K 153 726
3

ვ. ტოროპოვსკი

რად ვართ ჩვენ ასეთები

ჩასაფრებული მტერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა
თბილისი — 1973

საქართველოს
პარლამენტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმანი,
შესავალი წერილი,
შენიშვნები და ლექსიკონი
აკაკი გელოვანისა

ლეო ფაჩულია
ცოდნის
ბილეთი

ერისკაცის
ბიბლიოთეკა

გამოჩენილ ფრანგ მწერალს, ჟურნალისტსა და ათეისტს, კარდინალ ლეო ტაქსილს უკვე იცნობს ქართველი მკითხველი „წმინდა ბუნაგით“, რასაც დიდი ინტერესით შეხვდა. ახლა მკითხველთა ფართო მასები მშობლიურ ენაზე გაეცნობიან მის მეორე კაპიტალურ შრომას — „სახალისო ბიბლიას“, რომლის მესამე რუსული გამოცემა 400 000 ტირაჟით (1962 წ.) უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ტაქსილი ჩვეული მახვილი იუმორით, საუცხოო სტილითა და დიდი ცოდნით აცამტვერებს მითს ბიბლიის ღვთაებრივ წარმოშობაზე, მისი ანალიზი ღრმა და ამომწურავია. წიგნის ღირსებაა ისიც, რომ იძლევა ყველა ძირითადი ბიბლიური მითის სრულ შინაარსს, და მკითხველი გაეცნობა ამ დიდ წიგნს, თანაც გაიგებს მის თქმულებათა ნაკლსა და ღირსებას.

ბიბლიის ქართული თარგმანი ერთ-ერთი უძველესთაგანია. ესაა ჩვენი ლიტერატურული ენის ბრწყინვალე ძეგლი, და მით უფრო საინტერესოა ტაქსილის წიგნის ქართული თარგმანი, რომელიც უხვადაა ძველი ქართული „დაბადების“ ზუსტი ტექსტიდან ციტირებული. თარგმანში შენარჩუნებულია დედნის ცოცხალი სტილი, შინაარსის გადმოცემის სავოვნობა და ყველა ლიტერატურული ღირსება.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1973

მე მთელი სიცოცხლის განმავლობაში მასწავლიდნენ და დღესაც მასწავლიან. მასწავლიდნენ შექსპირი და სერვანტესი, ბეთჰოვენი და ბისმარკი, ლევ ტოლსტოი და ვლადიმერ ლენინი, შოპენჰაუერი და მეჩნიკოვი, ფლობერი და დარვინი, სტენდალი და ჰეკელი, მასწავლიდა მარქსი და მასწავლიდა აგრეთვე ბიბლია.

მაქსიმ გორკი.

ბიბლია— ბუმბერაზ მოაზროვნეთა მასწავლებელი? ბიბლია — ჩვენი ბიბლიოთეკის მშვენება? როგორ იქნება, ეს ხომ ბიბლიაა! დიახ, ეს ბიბლია გახლავთ, ან უფრო სწორად — ბიბლიური თქმულებანი. ბევრისათვის ეს შეიძლება სენსაცია იყოს, მაგრამ სენსაცია საჭირო და სასარგებლო. საჭირო თვით ატომის, კოსმოსის საუკუნისათვის, და იქნებ სწორედ ამ დროისათვის. დღეს აღარავის არ სჯერა სამყაროს შექმნის ზღაპარი შვიდ დღეში, მაგრამ ყველას ხიბლავს ლამაზი მითი, მხატვრული სიტყვა, ადამიანის შემოქმედებითი გენიის ნაყოფი. ასე გვესმის დღეს ბიბლია. ან რატომაც არ უნდა გავეცნოთ ბიბლიის დავიწყებულ თქმულებებს, როცა სიამოვნებით ვეცნობით ბერძნულ მითებს, ასურულ-ბაბილონურ თქმულებებს, ათას ერთი ღამის ზღაპრებს, ინდურ გადმოცემებს, ეგვიპტელთა თუ რომაელთა მითოლოგიას? ასე ესმის დღეს ბიბლია ყოველ გონიერ ადამიანს.

ეს წიგნი — ბიბლიაცაა და ბიბლიის კრიტიკაც. და მაინც ბევრი რამ ახსნა-განმარტებას საჭიროებს.

ძველ თაობას დავიწყებია, ახალს არ უსწავლია, ბიბლიური თქმულებანი კი ერთნაირად საყურადღებოა ყველა თაობისათვის — არა როგორც „საღმრთო წიგნი“, არამედ როგორც მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული.

ყოველ წიგნს ჰყავს ერთი ან რამდენიმე ავტორი. ბიბლიის ავტორი მთელი ხალხია, უფრო სწორად ხალხები. ყოველი წიგნი თვეობით ან წლობით იქმნება, ბიბლია კი 1500 წლის განმავლობაში იქმნებოდა.

ბიბლია თავისებური ნიმუშია მთავარ გმირად ხალხის გამოყვანისა, მისი ბელადებიც ხალხის წიაღიდან გამოდიან, და ასეთი ფანატიკური გულმოდგინებით რომ არ ემსახურებოდნენ ღმერთს, ამდენი წინააღმდეგობა რომ არ იყოს, ასე რომ არ სძაგდეთ „უცხო თეხლი“, მათი საქმიანობაც ერთგვარი ნიმუში იქნებოდა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვისა. მაგრამ ყველა და ყველაფერი უფალი ღმერთის რწმენითაა გაჟღენ-

თილი, ყველაფერს ის ამაღლებს და ამდაბლებს, რელიგიური სული ისე გასჯდომია მხატვრული ქმნილების ნოყიერ ნიადაგს, როგორც მარილი — მკვდარ ზღვას.

მაინც ბიბლიაში ფაქტიურად ხალხია ისტორიის მამოძრავებელი, იდეის დამცველი, რწმენის ბურჯი. განურჩევლად იმისა, თუ რა ეწოდება ხელისუფლებას ისრაელი ხალხი, ის იბრძვის შეუპოვრად, ნიშნავს და გადასდებს მსაჯულებს, ქურუმებს, მეფეებს, არ ერიდება ხშირად თვითონ იმ ღმერთს, რომლის თანაარსებობა სჯერა, ცნობისმოყვარეობით იჭყიტება თვით მისი სჯულის კიდობანში, თუმცა იცის, რომ ეს ძვირად დაუჯდება. ადამიანი ღმერთს ეურჩება იმ დღიდან, რაც დაარღვია მისი მცნება, მოსწყვიტა შემეცნების ხის ნაყოფი. ბიბლია ამ ურჩობის ამბავია, მისი ეპოპეა, აღსავსე პოეზიითა და ათასი შეუსაბამობით.

„დაბადება“ ებრაელი ხალხის ქმნილებაა, მაგრამ მხოლოდ საქმის უმეცართ შეიძლება იფიქრონ, რომ ის „ებრაელთა წიგნია“ და მეტი არაფერი. მესიანობა, ქრისტიანობა ხომ ებრაელი ხალხის წიაღში ჩაისახა და მას გამოეყო! მერე, ქრისტიანულმა ეკლესიამ გამოაცხადა კანონიკურ წიგნებად ბიბლიის ის წიგნებიც კი, რომელნიც თვითონ იუდეველთა მოღვაწეებმა არ ცნეს ასეთად. ბიბლიის ნაწილია „დავითნი“, ქრისტიანული ღვთისმსახურების განუყოფელი ნაწილი. და განა ექვთიმე, გიორგი, სტეფანე ათონელი, სხვა ყველა ქართველი თუ არაქართველი, ვინც ეგზომ დიდი შრომა გასწია ბიბლიის თარგმნა-გადაწერის საქმეში, ქრისტიანები არ იყვნენ? ეს, საერთოდ, ანბანური ჭეშმარიტებაა და ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ.

* * *

ბიბლია შედგება ძველ ებრაულ ენაზე შემონახული 39 წიგნისაგან, რომელთაც ძირითადად ქრისტიანები და ებრაელები ერთნაირად თვლიან კანონიკურ, „ზეგარდმო შთაგონებულ“, „ღვთისაგან ნაკარნახევ“ წიგნებად. ამას ემატება არაკანონიკური, მხოლოდ საკითხავი — სულის საამო, მაგრამ არა ზეშთაგონებული წიგნები. ესაა მთლიანად ძველი აღთქმა, „დაბადება“, საკუთრივ ბიბლია. ამას გარდა, ქრისტიანებს გვაქვს ახალი აღთქმის 27 წიგნი, სახარება, რაც ქრისტეს ცხოვრებასა და ვნებას ასახავს, და რასაც ებრაელები გადაჭრით უარყოფენ. ის შეიქმნა ახალი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში.

არსებობს ლეგენდა, რომ ბიბლიის ძველი ებრაული ტექსტი ბერძნულად თარგმნა 70 ბერძენმა. ალექსანდრიელ ბერძენთათვის განკუთვნილ ამ თარგმანს ეწოდება „სეპტუაგინტა“ (ლათინურად — „სამოცდაათი“). უძველესი ქრისტიანული ეკლესიები — მართლმადიდებელი და კათოლიკური—ბიბლიის ამ ტექსტით სარგებლობენ, ებრაელები კი, როგორც ითქვა,

არ თვლიან კანონიკურად იმ ტექსტებს, რომლებიც ძველებრაულ ენაზე არ შემონახულა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკლესიის მამღვანებლები ამ წიგნებს აცხადებენ არაკანონიკურად, თუმცა არა ნაყალბევად.

დაახლოებით 400 წელს სეპტუაგინტა ლათინურ ენაზე თარგმნა „წმინდა“ იერონიმემ. ამ ცნობილ თარგმანს „ვულგატა“ [illegible] სეთში არსებობს ბიბლიის სინოდალური თარგმანი, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმძღვანელოა (ძველი სლავური ტექსტის გარდა რუსებს აქვთ ბიბლიის მშვენიერი თარგმანი ახალ რუსულ ენაზე. უკანასკნელად რუსული ბიბლია გამოიცა 1958 წელს).

თუ ახალ აღთქმას (სახარებას, ოთხთავს) იუდეველნი სრულიად უარყოფენ, ძველი აღთქმა საერთოა როგორც იუდეველთათვის, ასევე ქრისტიანობის ყველა განშტოებისათვის. ოღონდ ესაა, მართლმადიდებელთ თავიანთ ბიბლიაში ჩვეულებრივ არ შეაქვთ ის 11 წიგნი, რომლებიც ძველ ებრაულ ენაზე არ შემონახულა და შემოგვრჩა მხოლოდ ძველ ბერძნულ თარგმანში. ეს წიგნები ითვლებიან სასარგებლოდ, მაგრამ არა „ზეგარდმო შთაგონებულად“. არის სხვა სერიოზული წინააღმდეგობანიც, რომელთა აღნუსხვა აქ შორს წაგვიყვანდა.

აუცილებლად მიგვაჩნია მხოლოდ ბიბლიის შედგენილობის გახსენება, რომ მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს ის, რისი შინაარსიც ამ ერთ წიგნშია გადმოცემული.

ბიბლიის 39 კანონიკური წიგნი სამ მთავარ ნაწილად იყოფა:

I. ხუთწიგნეული: ესაა მოსეს ხუთი წიგნი, ებრაულად ტორებად ანუ კანონად, სჯულის წიგნებად წოდებული (შექმნათა (შესაქმე), გამოსლვათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯულისა).

II. წინასწარმეტყველთა. აქ შედის ე. წ. „უფროს“ და „უმცროს“ წინასწარმეტყველთა წიგნები, მსაჯულთა, ორი სამუელის, ორი მეფეთა წიგნი (ან ერთად: ოთხი მეფეთა წიგნი).

წინასწარმეტყველთაგან უფროსებად იწოდებიან: იესო ნავინი (იოშუა), ესაია, იერემია, იეზეკილი (ნავინის წიგნს უფრო იმავე ხუთწიგნეულს მიათვლიან ხოლმე და მაშინ ლაპარაკობენ ექვსწიგნეულზე), უმცროსებად: ოსია, იოველი, ამოსი, ავდია, იონა, მიქაი, ნაუმი, აბაკუმი, სოფონია, აგეი, ზაქარია და მალაქია (სულ 12).

III. ჰაგიოგრაფია: ფსალმუნები, სოლომონის იგავნი, იობის წიგნი, ქება ქებათა, რუთი, იერემიას გოდება, ეკლეზიასტე, ნეემია, ქრონიკების ორი წიგნი (ნეშტთა).

ამ კანონიკური წიგნების გარდა სეპტუაგინტაში შეტანილია: ტობიას, ივდითის წიგნები, სოლომონის სიბრძნე, იესო სირაქის ძის სიბრძნე, ბარუქის, ეზრას ორი და მაკაბელთა სამი წიგნი.

ყველა ამ წიგნის გამაერთიანებელია ისრაელი ხალხის ბედი, რაც თითქოს იაღვეს უჭირავს მრისხანე ხელში.

* * *

ბიბლიაზე მრავალს ჩასძინებია — ბრძენსაც და ყრმასაც, სწავლულსაც და უვიცსაც. მრავალ მწერალსა და მეცნიერს უთენ-ულამებია ამ უდიდეს თავსატეხი წიგნის სიმართლისა და სიცრუის გარკვევაში, მრავალი მისი ეპიზოდი და ფრაზა თუ სიტყვაც კი გამხდარა სპეციალური, სამეცნიერო ექსპედიციებისა, ინგლისიდან თუ ამერიკიდან პალესტინის უდაბნოებში ჩასვლისა, მიწისქვეშა ღრმულებსა და კლდეში გამოკვეთილი გვირაბის სიღრმეში მომჭანცველი ძიებისა...

ყოველი წიგნი ან ისტორიულია ან მოგონილი. ბიბლიას ორივე პრეტენზია აქვს, მაგრამ გადაჭრით ვერც ერთს ვერ მივათვლით. ამრიგად, ეს ყველა თვალსაზრისით საინტერესო და თავისებური წიგნია.

ბერძნულად „ბიბლოს“ — წიგნია, „ტა ბიბლია“ — წიგნები. მართლაც, ბიბლია, „პირველი წიგნი“, უკეთ — წიგნთა კრებული, 1500 წლის განმავლობაში იქმნებოდა — ძველი წელთაღრიცხვის XIII საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნემდე. ათობით, ასობით ავტორი ჰყავს ამ წიგნს. ამ სათვალავში არ შედის ურიცხვი ხალხური თუ ლიტერატურული წყარო, მრავალი უცნობი რედაქტორ-გადამწერ-გადამკეთებელი.

ბიბლიის უდიდესი ნაწილი, საკუთრივ ძველი აღთქმა, ძველ ებრაელთა თქმულება-გადმოცემების, სოციალური და პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების, ლოცვებისა და წინასწარმეტყველებათა დიდი კრებულია. საუკუნეების განმავლობაში ეს იყო შთაგონების წყარო დასავლეთსა და აღმოსავლეთში მხატვართა, მწერალთა, მოქანდაკეთათვის, იყო ნიმუში, სახელმძღვანელო და შეუვალი ავტორიტეტი.

„დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ განმარტებებში დიდი გოეთე შენიშნავდა, რომ ყოველი ერისათვის ყოველი დიდი შემოქმედების დასაბამია გულუბრყვილო პოეზია, ნიმუშად კი ბიბლიას ასახელებს. გოეთეს აზრით, ბიბლიის მთავარ თემად მაინც რჩება ახალგაზრდობის სწრაფვა, ძიება, პოვნა, მიდრეკილება... ქანაანის ჰაერის სიგრილეს ვგრძნობთ თითქოს თანდათანობით, და თითქოს რაღაც სხვა სამყაროს საძიებლად მოგვცესო წინაპრებმა ეს დიდი პოეტური ნაწარმოები, „წიგნთა წიგნი“, ვნებათა ღელვის მთელი პოეტური სამყარო. საკმარისია ითქვას, რომ შილერთან მოთათბირების შემდეგ გოეთემ „ფაუსტის“ შესავალი — „პროლოგი ცაში“ იობის წიგნის მიხედვით შეადგინა.

* * *

ბიბლია მოგვითხრობს შეუპოვარი, დაუცხრომელი ხალხის შრომასა და ბრძოლას, ლხინსა და ძნელბედობას, მოგვითხრობს უამრავი გმირისა და თაობის ამბავს, ტომთა და ხალხთა საოცარ, თავისებურ „ისტორიას“.

თაობები იზრდებოდნენ ბიბლიის წიგნებზე, ეს იყო პირველი საკი-

თხავი წიგნიც, ხელოვანთა რთული ჩანაფიქრის წყაროც და მეცნიერული დავის საგანიც. ბიბლიის სტრიქონები ქცეულან უკვდავ პოემებად და შეუდარებელ ფრესკებად. ვის არ სმენია საიდუმლო სერობა, მოსე, დავითი, სიქსტინის ჭერი, განკითხვის დღე, ჯოტოს, მაზაჩოს, რაფაელის უკვდავი ქმნილებების ამბავი, მილტონის პოემის სიდიადე... და ამ ქმნილებათა ავტორები ბიბლიიდან იღებდნენ დაუშრეტელ წყაროს შთაგონებისას.

ბიბლია გვხვდება ყოველ ნაბიჯზე. გავიხსენოთ ის გამოთქმები, რომლებიც სმენია და უხმარია ყველას, ვისაც შეიძლება აზრადაც არ მოსვლია ბიბლიის არსებობა: ადამი და ევაო, განტევების ვაციო, ძმისმკვლელი კაენიო, ნოეს კიდობანიო, იობის მოთმინებაო, ციური მანანათ, სოლომონ ბრძენიო, გოლიათიო და ა. შ. — ეს ხომ სულ ბიბლიური თქმებია. არსებობს გამოთქმა: „გამრავლდი, ვითარცა იაკობიო!“ რომელი იაკობი? ტიციანმა შექმნა უკვდავი, მომჯადოებელი ტილო „დანაე“, ჯორჯონემ — „ივდითი“, სტროციმ — „ტობიას განკურნება“, რემბრანდტმა — „დავითისა და იონათანის დამშვიდობება“, პუსენმა — „ესთერი არტაქსერქსეს წინაშე“, კნუპფერმა — „სავთა დედოფალი სოლომონის ტახტთან“, ლასტმანმა — „აბრაამი ქანაანის გზაზე“ და ა. შ.

ვინ არიან გოლიათი, სოლომონი, დავითი, ივდითი, ესთერი, ტობია?.. რისთვის აჭუხებდნენ იერიქონის საყვირს? რატომ დაინგრა ბაბილონის გოდოლი? რისთვის მიდიოდა აბრაამი ქანაანში? ათასობით კითხვაზე გასცემს პასუხს ეს წიგნი — ახალ ენაზე გადმოცემული ბიბლიური თქმულებანი, თუნდაც გაშარჟებული...

ბიბლიის, როგორც ლიტერატურული ქმნილების უარყოფა არ შეიძლება. ძველი კულტურული ერები ბიბლიაზე ზრდიდნენ თაობებს, რაც გვაიძულებს მომეტებული პატივით მოვეკიდოთ ძველ ქართულ „დაბადებას“. ამ მხრივ საქართველო ბერძენთა და ლათინთა გვერდით დგას. მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ადრე ბიბლია ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, რაც მეტად ძვირი ჯდებოდა. შემდეგ ის დაიბეჭდა, მაგრამ მაინც მუდამ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. მისი ძველი თარგმანების მიხედვით ტექსტის გაგება მშობლიური ენის უზადო მცოდნესაც გაუჭირდება, და ეს ეხება არა მარტო ქართულ თარგმანს. ამიტომ აუცილებელი ხდება მისი გადმოღება ახალ სალიტერატურო ენაზე, ოღონდ არა როგორც „საღვთო წიგნისა“, არამედ როგორც ადამიანის შემოქმედებითი გენიის შედევრისა, ბრწყინვალე მოთხრობა-გადმოცემათა დიდი კრებულისა, რაც დიდ წინააღმდეგობებთან ერთად შეიცავს დიდ სიბრძნეს და ცხოვრების ღრმა ცოდნითაა გამსჭვალული.

ბიბლია ამბავთა დიდი რკალია, რომელიც იაღვეს დიდი ღვთაებრივი

სუბსტანციის გარშემო ტრიალებს. მისი იდეალისტური ფილოსოფია ღრმა ჩანაფიქრის ნაყოფია და მხატვრული ქსოვილით შემოსილი, რაც ერთგვარ ძალას აძლევს თვით გულუბრყვილო, ბავშვურ ლეგენდებს.

რაოდენ გულუბრყვილო, მოკლე და მარტივია მეფე, შვილ, დღეში სამყაროს შექმნისა! დღეს ბავშვიც არ დაიჯერებს, რომ ეს სიმართლეა, მაგრამ ეს მითი საფუძვლად დაედო ტიტანთა ქმნილებებს, ამაზე წლობით მუშაობდნენ მხატვართა თაობები. რად ღირს მარტო ის ფაქტი, რომ მიქელანჯელო სიქსტინის ჭერზე ხუთ წელიწადს ხატავდა შექმნათა სცენებს!

არის რაღაც შინაგანი ფილოსოფიური კავშირი ისეთ მოვლენებს შორის, როგორიცაა ბაბილონის გოდოლის მშენებელთა ენის აღრევა, კაენისა და აბელის შუღლი, ძმათა შორის გაუთავებელი სისხლიანი ჭიშპობა, იუდეისა და ისრაელის გათიშვა... ბიბლიაში კლასიკური სრულყოფით აისახა ადამიანის მოუსვენარი, მარად მღელვარე ბუნება, მისი ურჩობა და მოუდრეკელობა.

სამოთხიდან ადამისა და ევას განდევნა მარტივი ამბავია, მაგრამ ამაშიც არის რაღაც ღრმა შინაარსი. ღმერთი ჭკვიანია. ადამი და ევა რომ სამოთხიდან არ განედევნა, უკვდავების ნაყოფსაც შეჭამდნენ და ღმერთს დაამხობდნენ, მაგრამ არც ადამიანთა მოდგმას დაადგებოდა კარგი დღე: სხვა რომ არა იყოს რა, სად დაეტეოდა?

მაგრამ ეს ხუმრობაა. ბიბლიაში არის სერიოზული ამბებიც. ხუმარა სამსონი ფილისტიმელთა ნამდვილი რისხვაა. ივდითი გმირი ქალის, პატრიოტის მარადიული მაგალითია. მტრის ხელში ჩავარდნის ნაცვლად საული მონას უბრძანებს, მომკალიო. მონა უარს ამბობს. მაშინ თვითონ იყრის მახვილს და მის მაგალითს ბაძავს მისი საჭურველთმტვირთველიც. ჭეშმარიტად, ესაა დიდი ნებისყოფის ადამიანთა, დიდ პრინციპთა, დიდი ხალხის ბრძოლა, აღსავსე კლასიკური ეპიზოდებით, რომლებიც მხატვრული ღირებულებით ბერძენთა მითებს მოგვაგონებენ.

ისრაელები აღთქმულ ქვეყანაში მარტო იაღვეს იმედით როდი მიდიან. არც სიმამაცე აკლიათ, და რაკი ოქროს ქერუბიმები გამოაქანდაკეს, რითაც სჯულის კიდობანი დაამშვენეს, მათი კულტურა არც ისე დაბალ დონეზე მდგარა.

ნურავინ იფიქრებს, რომ ბიბლიის ავტორნი მუდამ უდრტვინველად ეთაყვანებიან მოწყალე იაღვეს. მისი სისასტიკე და ხშირად გაუმართლებელი რისხვა უდავოდ შიშსა და აღშფოთებას იწვევს ხოლმე. იერემია თავის გოდებაში აშკარად ამბობს: „და იქმნა ღმერთი, ვითარცა მტერი“,— დაამხო და მიწასთან გაასწორა იერუსალიმიო და ა. შ.

იაღვე დაუნდობელი ტირანია, თუმცა განუზომელია მისი ზრუნვაც თავისი ხალხისათვის. სულ მცირე დანაშაულისათვის საზარელ რისხვას

ატეხს ხალხს. მაგალითად, მისი ოქროულობის კოლოფში შეხედვისათვის ხუთასი ათას სამოცდაათ ისრაელს კლავს — უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის ხოცავს მთელს ნახევარმილიონიან არმიას, თავის სასტიკით ჩრდილავს ხალხთა ისტორიის ზოგიერთ სასტიკ მბრძანებელს.

ძლიერია ბიბლიაში სარწმუნოება, მაგრამ ძლიერია ამბოხების სულიც.

* * *

„ყოველ ქრისტიან ერს, რომელსაც თავის ენაზე სასულიერო მწერლობა ჰქონია, ეს დამწერლობა დაუწყია „საღმრთო წერილის“ ანუ ბიბლიის, ქართულად „ დაბადების“ თარგმნით“, — წერს კორნელი კეკელიძე.

მეხუთე საუკუნეში ჩვენ უკვე უდავოდ გვქონია სახარება, ფსალმუნი და დაბადების სხვა ნაწილები. ეს ჩანს პეტრე მაიუმელის ცხოვრებიდან, შუშანიკის წამებიდან, მატიანის ცნობიდან, რის მიხედვითაც ვახტანგ გორგასალმა მდიდრულად შეამკო სახარება და ა. შ.

ქრისტიანობას ყოველ ქვეყანაში თავისი ელფერი აქვს. ქართული ქრისტიანობის უპირველესი ნიშანია მისი სრული გათქვეფა ერის ისტორიასთან. ეს იყო ჩვენი ფიზიკური ხსნა-გადარჩენის დროშა. ამდენადვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სარწმუნოებრივი წიგნების დროულ თარგმნას.

გერმანიაში, მაგალითად, ბიბლია მხოლოდ **XVI** საუკუნეში თარგმნეს. ესაა ლუთერის კლასიკური თარგმანი. ამ თარგმანს დიდმა რეფორმატორმა ოცი წელი შესწირა (1522—1542). ამით ლუთერმა „განწმინდა არა მარტო ეკლესიის ავგიას თავლა, არამედ გერმანული ენისაც, და შექმნა თანამედროვე გერმანული პროზა“ (ენგელსი). ამასთან დაკავშირებით, ლუთერი მოითხოვდა ესწავლათ ენა არა კაბინეტის სწავლულებისაგან, არამედ „სახლებში დედებისაგან, ქუჩაში ბავშვებისაგან, ბაზარში უბრთაგან“.

ქართული ბიბლია უკვე ძირითადად არსებობდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა გერმანია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, (გერმანიის შექმნის ოფიციალურ თარიღად ითვლება 911 წელი). როცა 996 წელს მატიანეში პირველად ახსენებს „ავსტრია“, სტეფანე ათონელს უკვე დიდი ხნის გადაწერილი ჰქონდა „ბიბლიის“ ბრწყინვალე ქართული თარგმანი.

ქართული სალიტერატურო ენა ბიბლიის შექმნამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, სამაგიეროდ ბიბლიის თარგმანმა გაამაგრა და შეადუღაბა ჩვენი სალიტერატურო ენა, საუკუნეთა ორომტრიალში გამოატარა.

ქართულ ენაზე ადრევე გვქონია ბიბლიური ტექსტების ხანმეტური და

საბაწმინდური ვარიანტები. საბაწმინდის ვარიანტი შესრულებულა საბაწმინდის მონასტერში, პალესტინაში, IX საუკუნეში.

ექვთიმე ათონელს სახარების ახალი რედაქცია გაუკეთებია, გიორგი ათონელს კი ბერძნულ ტექსტთან შეუჯერებია. ექვთიმეს გადმოუთარგმნია „დავითნიც“. ათონელებს მთლიანად ბიბლიის თარგმნაც უცდიათ ბერძნულიდან.

ძველი აღთქმის ტექსტებიდან პირველად დავითნი უთარგმნიათ, რადგან ღვთისმსახურება უამისოდ შეუძლებელი იყო. შუშანიკს ხელთ ჰქონია დავითის ფსალმუნი.

ქართული დაბადების მთლიანი ნუსხა, ე. წ. ათონის ბიბლია, 978 წლით თარიღდება. ამ ძვირფასი ხელნაწერის ერთი ფოტოპირი ჩვენთანაც ინახება.

ქართული ბიბლიის გამოცემა განახორციელა ბაქარმა 1743 წელს მოსკოვში. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, რომელი ხელნაწერებიდან შეასრულა ეს. შემდგომი გამოცემისათვის შემსწორებელმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებულ თარგმანს.

XVIII საუკუნეში ჟამთ ვითარებით რუსეთს გადახვეწილმა ქართველებმა განიზრახეს ქართული დაბადების მთლიანად გამოცემა, მაგრამ ეს არ იყო იოლი საქმე. ზოგი შეცდომით უთარგმნიათ, ზოგი წიგნი კი სულაც არ აღმოჩნდა თარგმნილი, ან დაკარგულიყო. ქართველმა მოღვაწეებმა თარგმნილი წიგნები სლავურს შეადარეს ან ხელახლა თარგმნეს სლავურიდან (ისო ზირაქისა და მაკაბელთა), ზოგიც ლათინურიდან გადმოიღეს (ივდითისა და ტობიასი).

მაინც საიდან ითარგმნა ქართული დაბადების ძირითადი, უდიდესი ნაწილი, რაც ძველი ქართული სალიტერატურო ენის ბრწყინვალე ძეგლია? სწავლულებმა ქართული ტექსტი ბერძნულს შეადარეს და აღმოჩნდა, რომ ბიბლია უთარგმნიათ ბერძნული სეპტანტიდან. იმავე აზრისაა ბროსე. მარი საკითხს თავისებურად ამრუდებს და აცხადებს, ბიბლია პირველად სვანურ-მოსხურ ენაზე ითარგმნა არა ბერძნულიდანო, რაც აშკარა გაუგებრობაა და დამაჯერებლად გააბათილა კ. კეკელიძემ. ჰადიშის ოთხთავში რომ სვანური სიტყვები გვხვდება, ეს ცხადია, მაგრამ სვანური ხომ იგივე ქართულია! ჩანს, ეს სიტყვები სვანურს შემორჩა, საერთო ქართულში კი დავიწყებას მიეცა. მოვალეა აქ წყარო, რასაც მარმა რიგიანად ვერ მიაგნო და უბრალოდ მიივიწყა თუნდაც ბერძნულის ბრწყინვალე მცოდნე ათონელების უზარმაზარი შრომა, აგრეთვე მათი წინამორბედებისა, რომელთაც ხელთ ჰქონიათ ბერძნული, სირიული, ლათინური ტექსტები.

ბაქარისეულ ბიბლიაში გაპარულია შეცდომები, რაც უმთავრესად ცალკეულ სიტყვებს ეხება (სლავიზმებს და სხვ.). ეს შეცდომები გადმო-

ვიდა— და ახალიც მიემატა — 1884 წელს თბილისში ხელაძის სტამბაში ორ დიდ ტომად დაბეჭდილ გამოცემაში.

მაგრამ შეცდომები მაინც მხოლოდ ცალკეულ სიტყვებსა და კორექტურებს ეხება. ძირითადად კი ქართული ბიბლია — ესაა გრანდიოზული, ბრწყინვალე ეროვნული განძი, დიდი შრომის ნაყოფი, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს.

* * *

მოკლედ შევეხოთ ორ დიდ შრომას, რაც ბოლო წლებში მსოფლიომ გაიცნო: კოსიდოვსკის „ბიბლიური თქმულებანი" და ლეო ტაქსილის „თავშესაქცევი ბიბლია". ეს სულ სხვადასხვა, პოლარული წიგნებია, ამიტომაც საჭიროა ორივეს გაცნობა.

ზენონ კოსიდოვსკის „ბიბლიური თქმულებანი", როგორც თვითონ ამბობს, მრავალი წლის მეცნიერული და ლიტერატურული შრომის ნაყოფია, გამოქვეყნებისთანავე მრავალ ენაზე ითარგმნა და მას განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ არა მარტო პოლონეთში, არამედ მთელს ევროპაში. თარგმანი მოსკოვში გამოვიდა 1966 წელს და მიუხედავად დიდი ტირაჟისა (100 000 ცალი) ორიოდე კვირაში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. (ჩვენ ის უკვე ვთარგმნეთ ქართულად).

წიგნის ასეთი წარმატება მოულოდნელი არაა. საუკუნეების მანძილზე ბიბლია იყო ხალხთა პირველი საკითხავი წიგნი და როგორც აღინიშნა, სწორუპოვარ მხატვართა შთაგონების წყარო. გონიერი ადამიანები მასში ხედავდნენ მხატვრულ ნაწარმოებს, სახეების მოზაიკას, დაუშრეტელი ნებისყოფის გმირებს, მშობლიური ენის მყარ ძეგლს, რადგან ყოველი ქრისტიანი ერი ხომ პირველად ბიბლიას თარგმნიდა და თარგმნიდა არა ყოველი მოხალისე, არამედ ნამდვილი შემოქმედი, მოღვაწე, ოსტატი, და ამ თარგმნით აკეთებდა მეტ საქმეს, ვიდრე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დღეს, როცა განათლებული კაცობრიობა წიგნთა სიმრავლეს ვერ აუდის.

თვით ამ სტრიქონების ავტორს ახსოვს, როგორ ასწავლიდა კითხვას ბიბლიის ნამუსრევზე ბიძია გრიგოლი სადღაც სვანეთის მთებში მიკარგულ სოფელ ზედა წირმინდში, როგორ აწერინებდა ნახშირით კევრის ფიცარზე: „მეყსეულად დაეცა ბაბილონი და შეიმუსრა განხრწნილებისა მისისაგან... ვჰკურნებდით ბაბილონსა და არა განიკურნა". ან კიდევ: „აჰა, ზამთარი განვიდა... ყვავილნი გამოჩნდეს ქვეყანასა ზედა, ჟამი სხლვისა მოიწია, ხმა გვრიტისა ისმის ქვეყანასა შინა ჩვენსა, ლეღვმან გამოიღო ყვავილი თვისი..." ყოველივე ამაში ჩვენ ვხედავდით არა საღვთო სჯულს, არამედ ადამიანურ გარცდებს, ქართულ სიტყვას, ბუნების აღლუმს, ბრძოლისა და შრომის ფერხულს, საარაკო ამბავს საოცარ ქალაქ ბაბილონისას, რომელსაც „ჰკურნებდენ და არა განიკურნა".

„ბიბლიური თქმულებანი“ ანტირელიგიური აგიტაციის მძლავრი იარაღია. ყველაზე სუსტი აგიტაცია ისაა, რაც ეკლესიის დაკეტვითა და ზერელე ქადაგებით თავდება. საჭიროა რელიგიური ცრუ რწმენების ამოძირკვა თვით მორწმუნეთა გულში. ამისათვის საჭიროა რაიმე გწამდეს თვითონაც, იმაზე დიდი და ძლიერი, რასაც უარყოფ. ესაა მეცნიერების რწმენა, საკუთარი ძალების რწმენა. უნდა იცოდე. იცოდე ის, რასაც უარყოფ. ღვთისმეტყველნი ისევ ღვთისმეტყველთა პოზიციებიდან უნდა დაამარცხო, და ბიბლია რომ გააბათილო, ამისათვის ბიბლია უნდა იცოდე.

ბიბლიის კრიტიკა, მისი სასწაულების ახსნა მეცნიერულ-არქეოლოგიური მონაცემებით სარწმუნოა და დაწვრილებითი, მაგრამ მორწმუნენი იტყვიან: ვინც რაიმეს ამტკიცებს, ის ამით თავისი პოზიციის სისუსტეს ამტკიცებსო. ჩვენდა თავად, როგორც მკითხველს, ამ მტკიცების გარეშეც გვჯერა ბიბლიის რელიგიური ხასიათი, და გვხიბლავს ის, როგორც ამბავი, მხატვრული ნაწარმოები, მეტი არაფერი. აქ კი ბიბლიის ავტორებს ნამდვილად „ყვედრება არ უნდათ“, ისევე როგორც არ უნდა ყვედრება „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორს.

ბიბლიის გაბათილება უბრალო საქმე არ არის. მასში საოცარი კლასიკური სრულყოფითაა აღწერილი მრავალი მნიშვნელოვანი ამბავი, ამასთან საოცრადაა გადახლართული ისტორია და თქმულება, კომპილაცია და ქმნილება, საერო და სარწმუნოებრივი იდეები. აქ თითქმის ყველაფერი სადავოა. უდავოა მხოლოდ ერთი რამ: რომ ესაა გრანდიოზული მხატვრული ძეგლი. ჩვენ ვაცლით ამ განძს რელიგიურ ჩენჩოს და ვტოვებთ ქმნილებას.

მეცნიერების ხელში მრავალი ფაქტია ბიბლიურ მოვლენათა ასახსნელად, მაგრამ ფაქტებსაც გამოყენება უნდა. ასე, იორდანეს წყალთა შეჩერება ისრაელთა გადასვლის დროს მეცნიერებამ მიაწერა არა იაღვეს, არამედ ვულკანურ ბიძგებს, რაც კლდოვანი კედლების ჩამონგრევასა და ნაკადის შეჩერებას იწვევს. ეს მართლაც ბუნების საოცარი კაპრიზია, მაგრამ მორწმუნესაც ხომ შეუძლია გვიპასუხოს: ბუნებაც იაღვეს ქმნილებაა და ბიძგიც მისი ნებააო!

არ კმაროდა არც იმის თქმა, რომ ადამი და ევა ღმერთს არ შეუქმნია. საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ბიბლია არაა ღმერთის ზეგარდმო კარნახით ერთი პირის მიერ შექმნილი წიგნი, არამედ კომპილატორთა მიერ შეცვლილი ისტორიული ფაქტების, კანონთა, ხალხურ თქმულება-გადმოცემათა, აგრეთვე შუმერული, ეგვიპტური თუ ფინიკიური, ალმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა მითებზე და ლეგენდებზე აგებული მოთხრობების კრებული. ეს საქმე იკისრა ბიბლიის უმაღლესმა კრიტიკამ. ამ კრიტიკისა და არქეოლოგიური აღმოჩენების ანალიზი მოგვცა ხსენებულ წიგნში კოსიდოვსკიმ.

კოსიდოვსკი მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს წერს, მაგრამ არის მწერალი, სიტყვის ოსტატი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მრავალ ესაა, თავისი სამწერლო მოღვაწეობის საგნად მეცნიერების მონაპოვარს ხდის. ეს საიმედო გზაა. რაც დრო გადის, მით უფრო დაუნებებით სხვებს მწერლები თემად გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას, ადამიანის ბედის ტრიუმფსა და ტრაგედიას, სინამდვილეს, რაც ყოველგვარ ფანტაზიაზე ძლიერია.

ამ თვალსაზრისით ბიბლიის შინაარსის კეთილსინდისიერად გადმოცემა და მისი მეცნიერული კომენტირება არანაკლებ რთული შემოქმედებითი ამოცანაა, ვიდრე მოგონილ სიუჟეტზე აგებული, არაფრისმთქმელი, გოეთეს ენით რომ ვთქვათ, ჰაერიდან აღებული ნაწარმოები, გინდ შინაგანი მოწოდებით იყოს შექმნილი და გინდ პატივმოყვარეობის კარნახით.

კოსიდოვსკიმ ამ ამოცანას კარგად გაართვა თავი. ეს წიგნი ბიბლიაზე არსებულ წიგნებს შორის არა მარტო უახლესია, არამედ საუკეთესოც.

სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენ გვესაჭიროება ცოდნა. უამისოდ, თუ სტენდალის ხატოვან შედარებას გავიხსენებთ, კაცობრიობა ემსგავსება უტვირთო ხომალდს, ზღვაში ბედის ანაბარა მიტოვებულს. „ჩემი აზრით, არ არსებობს უფრო მომხიბლავი ეპოპეა, ვიდრე კაცთა მოდგმის მოძრაობა გამოქვაბულიდან ატომის საუკუნემდე და კოსმოსის დაპყრობამდე", — ამბობს კოსიდოვსკი და „ბიბლიური თქმულებანიც" ერთ-ერთი უზარმაზარი ფრაგმენტია, რაც ასახავს ერთ-ერთი უძველესი კულტურის მფლობელი ხალხის ერთგვარ თავგადასავალს, ძირითად ხაზებში მაინც ესაა ერთგვარი ისტორია ხალხისა, რომელიც ურღვევი ძაფებითაა დაკავშირებული ეგვიპტის, სირიის, ფინიკიის, ბაბილონის, სპარსთა და მიდიელთა, შუმერთა თუ ბერძენთა ისტორიასთან. მრავალი ყოფითი და ისტორიული დეტალი აისახა ბიბლიაში და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა არის მასში მართალი, რა — მოგონილი. აღთქმული ქვეყანა ქანაანშია, მაგრამ არსებობდა თუ არა ქანაანი? ვინ დაანგრია იერიქონი? არსებობდა თუ არა მეფე დავითი?

ბიბლიის ცოდნა მით უფრო საჭიროა, რომ საუკუნეების მანძილზე ის ითვლებოდა უდიდეს ისტორიულ და მეცნიერულ დოკუმენტადაც კი. როცა დარვინმა 1859 წელს, „სახეების წარმოშობით" ბიბლიის თქმულება უარყო, ამან მთელს საქრისტიანოში ისეთი საპროტესტო ღელვა გამოიწვია, თითქოს წყნარ ზღვაში ნაღმი გადაესროლათ. საოცარი ისაა, რომ დარვინს ედავებოდნენ არა მარტო ეკლესიის მამები, არამედ მეცნიერების მსახურნიც. მიზეზი გასაგებია. ბიბლია იყო სრულიად თავისებური, დიდი მასშტაბის თავსატეხი, საიდუმლო სალარო, ცხრაკლიტული, რომელსაც უცოდინარობის საუკუნო ბურუსი ბურავდა, და მას სჯულის კიდობნის

ოქროს ქერუბიმები იცავდნენ. კაცმა არ იცოდა, რა იყო მასში მართალი და რა — ტყუილი. არ იცოდნენ, დაწერა თუ არა მართლა სინას მთაზე მოსემ კანონები, გამოიყვანა თუ არა ეგვიპტიდან აბრაამის ხალხი, არსებობდნენ თუ არა საული და სოლომონი, ვინ შექმნა ფსალმუნი, ვინ იყვნენ წინასწარმეტყველნი, არსებობდა თუ არა იერუსალიმში საიდუმლო მიწისქვეშა არხი, ვინ იყვნენ ფილისტიმელები და ა. შ.

ყოველივე ამას შუქი მოჰფინა დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების ეპოქამ, როცა იპოვეს ათასობით ნივთი, ნამუსრევი, წარწერიანი ფირფიტა, ფრესკა, ათობით ლეგენდარული ქალაქის ნანგრევი, დოქებში შენახული ხელნაწერები, რომლებზედაც ამოიკითხეს ბიბლიის სიცრუე და სინამდვილე. ამოიკითხეს, მაგრამ რამდენი რამ დარჩა ამოუკითხავი!

მრავალი ბიბლიური ფაქტის სინამდვილე არქეოლოგებმა დაადასტურეს. ასე თანდათან შეიქმნა მთელი დარგი — ბიბლიური არქეოლოგია. შეიქმნა აგრეთვე ბიბლიის კრიტიკა.

ჯერ კიდევ რომაელმა ფილოსოფოსმა და მწერალმა ცელსუსმა ახალი წელთაღრიცხვით II საუკუნეში მკაცრად გააკრიტიკა ბიბლიის როგორც ისტორიული, ისე მორალური მხარე. დიდმა ვოლტერმა, ჰოლბახმა და სხვა განმანათლებლებმა სასტიკი ათეისტური ცეცხლი დაატეხეს ბიბლიის თეოლოგიურ მოძღვრებას.

ძველი აღთქმის ისტორიულ კრიტიკას სათავე დაუდო სახელოვანმა სპინოზამ (,,საღვთისმეტყველო—პოლიტიკური ტრაქტატი", 1670).

ამერიკელმა სენდერლენდმა ბიბლიაში 10 000 წინააღმდეგობა აღნუსხა.

ბიბლიის მთელი სარწმუნოებრივი სული რომ ყალბი, მითიური და მავნეა, ბიბლიაში რომ ისტორიიდან დიდი გადახვევებია და ბევრი წინააღმდეგობა, ამაზე დავა დღეს უბრალო გულუბრყვილობად მიგვაჩნია, ჩვენ მხოლოდ მისი ლიტერატურული სისრულე და სიღრმე გვაინტერესებს.

რაოდენ ტენდენციურნიც არ უნდა ვიყოთ, თავისუფლად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ბიბლიურ თქმულებათა უდიდესი უმრავლესობა, როგორც ლიტერატურული მოვლენა —სრულყოფილი, მხატვრულად დახვეწილი ქმნილებაა, სიუჟეტი ოსტატურადაა შეკრული და დასრულებული, სახეები — იოლად დასამახსოვრებელი და ორიგინალურად გამოკვეთილი, ეპიზოდები — მოულოდნელი და დამაჯერებელი. თუ ეპიზოდური გმირი შემდგომი თხრობისათვის საჭირო აღარაა, მისი ხსენება იქვე წყდება (მაგალითად, თამარი მეფეთა II წიგნში), და თუ საჭიროა, ავტორები მას თავის ადგილზე ხელახლა გამოაჩენენ. მოსაწყენი შეიძლება გვეჩვენოს მხოლოდ ის ადგილები, სადაც რიტუალების აღწერა და ღმერთის დაუსრულებელი ჩარევა ან გენეალოგიური სიებია. კოსიდოვსკიმ შექმნა საინტერესო წიგნი, მაგრამ ის არ იძლევა ბიბლიის მთელ შინაარსს.

აღებულია მხოლოდ ძველი აღთქმა და ისიც მხოლოდ სიუჟეტიანი, „ისტორიული“ ამბები. რაც შეეხება სოლომონის იგავებს, დავითის ფსალმუნს, წინასწარმეტყველთა წიგნებს, ვრცელ საწესჩვეულებო მსჯელობას, რაც უდავოდ მოსაბეზრებელია, აქ წიგნში ვერ ვნახავთ. ეს სწორედ ის წიგნებია, რომლებიც მორწმუნეთა თაობებს აძინებდნენ.

მთლიანად ბიბლიის შინაარსის გადმოცემა შეუძლებელია. ფსალმუნთა და წინასწარმეტყველთა წიგნები პოეტური მჭევრმეტყველების ნიმუშებია და ვისაც ისინი აინტერესებს, მთლიანად უნდა წაიკითხოს. „ნეშტთა“ წიგნიც განმეორებაა იმისა, რაც სხვა წიგნებში წერია. ტაქსილი მასაც იყენებს.

კოსიდოვსკი წერს სრულიად მიუდგომლად, ისე რომ ვერც კი გაიგებ მის პოზიციას, იმდენად ერიდება მიკერძოებას (ცხადია, ის რჩება ბიბლიის კრიტიკოსად, მეცნიერად). ეს ზრდის წიგნის ღირსებას. თანამედროვე მკითხველი თვითონვეა მსაჯული, ნაძალადევი აგიტაცია და თავსმოხვეული დებულებები მხოლოდ გულაცრუებას და ინტერესის დაკარგვას იწვევენ.

ჩვენ მივეჩვიეთ ბიბლიურ წიგნებსა და დეტალებზე ასეთ იოლ დახასიათებას: „მითიო“, „ლეგენდაო“, „ბიბლიური ზღაპარიო“ და ა. შ. აღმოჩნდა, რომ საქმე სულაც არ ყოფილა ასე უბრალოდ. „ბიბლიის, როგორც ისტორიული დოკუმენტის შეფასებაში ზ. კოსიდოვსკი არ მისდევს არც ერთ ძველ თვალსაზრისს, რა ავტორიტეტულიც არ უნდა გვეჩვენებოდეს. ის მუდამ მეცნიერულ პოზიციაზე დგას და ეს ძალიან დასაფასებელია“, — წერს ბიბლიური თქმულებების მოსკოვის გამოცემის ბოლოსიტყვაობაში ალ. ოსიპოვი.

ეს ის ოსიპოვია, რომელიც ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში „ბიბლიის“ კათედრას განაგებდა, მერე კი რელიგიის ნამდვილი არსის ღრმა ანალიზის შედეგად „დარწმუნდა რელიგიური იდეოლოგიის სიყალბეში“, ზურგი აქცია ილუზიებს და კავშირი გაწყვიტა ეკლესიასთან.

კოსიდოვსკის კომენტარების ძირითადი მიზანი, ბიბლიის ახსნასთან ერთად, იმისი დამტკიცებაა, რომ თითქმის ყველა თქმულებას საფუძვლად სხვა ხალხების მიერ შექმნილი მითი დაედო: მესოპოტამიური, შუმერული, ფინიკიური, სპარსული და ა. შ. მაგრამ ჯერ ერთი, ეს თქმულებები გადამუშავებული და შეუდარებლად უფრო ამაღლებულია და მეორეც, რაღა არ არის წინამორბედთა წარმატებაზე აგებული! მათი შეკვრა და ასეთ წიგნად ქცევა დიდ შემოქმედებით უნარს მოითხოვდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ კოსიდოვსკის კომენტარების ერთგვარი ცალმხრივობაც. ის უმთავრესად არქეოლოგიურ მონაპოვარზე ჩერდება და შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს წმინდა ლიტერატურულ წყაროებს, ვარაუდებს, პარალელებს. მაგალითად, წარღვნის ამბავს უკომპრომი-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სოდ ხსნის მესოპოტამიაში (ურის მიდამოებში) აღმოჩენილი კატასტროფული წყალდიდობის ნაშთებით. ეს უდავოდ სარწმუნო მონაპოვარია. სწორი ვარაუდია ისიც, რომ 600 კმ სიგრძისა და 150 კმ სიგანის ქვეყნის წყლით დაფარვა გულუბრყვილო ხალხმა მსოფლიოს [illegible] მიიღო, მაგრამ აუცილებელი იყო ამ მითის მხატვრული წყაროების გასინჯვა — ანალიზიც. ასე, უაღრესად საგულისხმოა ასირიული თქმულება, რაც 1872 წელს დ. სმიტმა აღმოაჩინა. ღმერთმა ეამ უტნაპიშტიმს სიზმარში აუწყა, რომ ღმერთებმა განიზრახეს გრანდიოზული წარღვნით ქვეყნიერების დაღუპვა. ასირიელმა ნოემ — უტნაპიშტიმმა ააგო გემი, წყვილ-წყვილად ჩასვა შიგ ყველა ცხოველი და ატივტივდა. სწორედ მეშვიდე დღეს გემი ნისირის მთას მიადგა. ხმელეთის საძებნელად ჯერ მტრედი გაუშვა, მერე მერცხალი, მაგრამ არც ერთი არ დაბრუნდა. მესამე ფრინველი — ყორანიც აღარ დაბრუნებულა. მაშინ უტნაპიშტიმი გემიდან გამოვიდა და ღმერთებს მსხვერპლი შესწირა. ვულის გათხრების მონაპოვართან ერთად წარღვნის ეს პოეტიზირებული სახეც უთუოდ მხედველობაშია მისაღები. მკითხველმა უნდა იცოდეს ბერძნული მითიც დევკალიონზე. პრომეთეს შვილმა დევკალიონმა თავის მეუღლე პირასთან ერთად წარღვნას გადარჩენილმა, ააგო კიდობანი, რომელიც ცხრა დღე-ღამის ცურვის შემდეგ პარნასს მიადგა (სხვა ვერსიით — ოთრისს), აქ დევკალიონმა ზევსს სთხოვა დედამიწის ხელახალი დასახლება და ა. შ.

ამ უაღრესად მსგავს მითებს, რომელთა გავრცელების არეც მართლა მსოფლიო მასშტაბისაა, აქვთ რაღაც საერთო. მათი ანალოგიები ცნობილია ეგვიპტის, შუა აზიის, ჩინეთის მითოლოგიიდან.

ჩვენ ტექსტის გაუმჯობესება კი არ გვაინტერესებდა, არამედ ბიბლიის შინაარსის კიდევ უფრო მეტი სისრულით გადმოცემა, ამასთან ჩვენი ძველი სალიტერატურო ენის საგანძურის უფრო მეტად გამომშვენება — ერთი მხრივ „ფერფლის გადაბერვა“, მეორე მხრივ კი უფრო სრულად წარმოდგენა იმ დიდი შემოქმედებითი მონაპოვრისა, რასაც ბიბლია ეწოდება.

ჩვენ გვაინტერესებს ძველი ქართული დაბადების ხატოვანი ენის რაც შეიძლება სრულად წარმოდგენა ყველგან, სადაც ის ფართო მკითხველისათვის გასაგებია. სადაც ქართული ფრაზა თუ მთელი ციტატა იმ ძველი ბიბლიიდანაა ამოღებული, გამორჩევის მიზნით წინწკლებშია ჩასმული. სტილი, უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით, დაცულია.

მკითხველს მოვაგონებთ, რომ ეს ბიბლია კი არ არის, არამედ ბიბლიის შინაარსი. მაგრამ ამ შინაარსში შენარჩუნებულია თითქმის ყველაფერი, რასაც მხატვრული ღირებულება აქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულ ბიბლიაში შეცდომებია გაპარული. ცხადია, მრავალი შეცდომა თვით ბერძ-

ნულ და ლათინურ ბიბლიაშიც არის. მაგრამ მკითხველს უნდა განმარტებით განვუმარტოთ, რომ ეს შეცდომები უმნიშვნელო დეტალებს ეხება, მთლიანობაში კი, ვთქვათ, ლუთერის ან რუსულ ბიბლიას რომ ვადარებთ, გვაოცებს ჩვენი ძველი დაბადების სისწორე და სრულყოფილება. შეცდომები, ცხადია, არის, და არის არა მარტო ბიბლიაში, რომელსაც ღმერთი არა ღმერთები, არამედ ადამიანები. თუ სადმე ერთგან „აბინერი“ წერია, მეორე ადგილას კი „ამენირი“, ან ერთ ბიბლიაში ნათქვამია, სამუელმა საულს „მისცა მუნ ადგილი სამეოცდაათ კაცთა შორისო“, მეორეში კი „ოცდაათი კაცი“ წერია, ამას ნაწარმოების მთლიან სახესთან სერიოზული მნიშვნელობა ვერ მიეცემა.

ბევრად უფრო ადრე დაწერილი „თავშესაქცევი ბიბლია“ „დაბადების“ სრული უარყოფა და განქიქებაა. უკვე აზრთა და მიდგომის ეს პოლარული სხვადასხვაობა განსაზღვრავს ამ ორივე სერიოზული შრომის ხასიათს: კოსიდოვსკი და ტაქსილი კი არ იმეორებენ, არამედ ავსებენ ერთი-მეორეს, ერთ ქმნილებას რომ ორი სხვადასხვა მეთოდით იხილავენ. კრიტიკის ქარცეცხლი, ცხადია, ორივე წიგნში ტრიალებს, მაგრამ ერთი აკრიტიკებს მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიაც ისტორია შერყვნილია, მეორე კი— რელიგიურ წიგნს, რომელშიაც ყველაფერი ყალბია. ამ აზრით ტაქსილი ოდნავ აჭარბებს და მისი წიგნიც მაინც „ახალი ბიბლიის“ დაბადებაა“...

* * *

ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს „წმინდა ბუნაგის“ ავტორს, იცის მისი სენსაციური მისტიფიკაციის ამბავი. ამიტომ „სახალისო ბიბლიის“ წინასიტყვაობაში აღარ გავიმეორებთ იმას, რაც „წმინდა ბუნაგის“ ბოლოსიტყვაობაში ითქვა. უფრო განვავრცობთ მხოლოდ იმ ეპიზოდს, რაც უშუალოდ „ბიბლიასთანაა“ დაკავშირებული.

ტაქსილმა სასულიერო კარიერით დაიწყო და ეკლესიას განუდგა. ერთ მშვენიერ დღეს ათეისტი მწერალი ლეო ტაქსილი — იგივე გაბრიელ პაჟესი — ერთ-ერთი პარიზელი მღვდლის ფერხთით დაემხო და თავისი განდგომა საჯაროდ მოინანია, წმინდა ეკლესიის წიაღში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. მღვდელმა დალოცა, სენსაციური ამბავი რომს აცნობეს. ლევ XIII პირადად იღებს და თავის უცოდველ კალთას აფარებს მონანიებულ კრავს, რომელიც სინამდვილეში მძვინვარე ვეფხვია. ქოშებზე კოცნის ნებას აძლევს, წიგნებს უქებს, გზას ულოცავს და წარმატებას უსურვებს ეკლესიის მტრებთან ბრძოლაში.

ნამდვილი მისტიფიკაცია ახლა იწყებოდა. მთელი თორმეტი წელი ატყუებდა ტაქსილი კათოლიკურ ეკლესიას, მის უზენაეს ბუნაგს — ვატიკანს, წმინდა კოლეგიას, თვითონ პაპს, რომელსაც, როგორც უცოდველს,

უნდა სცოდნოდა, რომ ეს იყო სახიფათო მისტიფიკაცია. ტაქსილი თავის საქმეს აკეთებდა. ასე გასინჯეთ, ვინმე დიანაც კი გამოსტაცა ეშმაკეულს, წმინდა ეკლესიის წიაღს დაუბრუნა. მთელი კათოლიკური ეკლესია ზეიმობდა ამ ახალ სასწაულს, პაპმა პირადად დალოცა გადარჩენილი ჰალი, რომელმაც კარდინალ ტაქსილის წყალობით დააღწია თავი ჯოჯოხეთის სატანჯველს. სამაგიეროდ მწერალი თვითონ პაპებს უმზადებდა ჯოჯოხეთს. სენსაციური მეხი უეცრად გავარდა.

1897 წლის 19 აპრილს პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების დიდ სააქტო დარბაზში ტაქსილმა მთელი თავისი ორატორული ხელოვნებით განაცხადა, თორმეტი წელიწადი მისტიფიკაციას ვეწეოდი, ვამდიდრებდი ჩემს ფანტაზიას, ვიმაღლებდი ცოდნას და ვემზადებოდი იმისათვის, რომ კათოლიკური სამყაროს მთელი დანაშაულისათვის ფარდა ამეხადაო. მთელი საქრისტიანო შეაცბუნა და შეაძრწუნა ამ გამოსვლამ.

გამოჩენილი ფრანგი სატირიკოსი-პამფლეტისტი ანრი როშფორი წერდა: „ლეო ტაქსილი პაპს აპამპულებდა, პაპი კი ჩვენ გვაპამპულებდა“, თუ იცოდა, რომ ტაქსილი ატყუებდა. მაგრამ იცოდა თუ არ იცოდა, პაპის საქმე მაინც წაგებულია: თუ არ იცოდა, მაშინ ის არ ყოფილა უცოდველი, რადგან ქრისტეს მოადგილეს უნდა სცოდნოდა, რომ ეკლესიას ატყუებენ; ხოლო თუ ის იცოდა და დუმდა, მაშინ დაუყოვნებლივ დასაპატიმრებელია და სასამართლოზე გადასაცემი „ადამიანთა ნდობის ბოროტად გამოყენებისა და თაღლითური გამოძალვისათვის“.

ორი თვეც არ გასულა და ტაქსილმა გამოსცა მისტიფიკაციის წლებში დაწერილი შრომა „თავშესაქცევი ბიბლია“.

ამ სენსაციურ წიგნს სენსაციური შესავალი წერილი დაურთო: თავისი წერილი ლევ მეცამეტისადმი. 13 ხომ კვიმატი ციფრია! ლევს ისე ემწვავა სატირის ვეფხვის კლანჭები, რომ შლეგს დაემსგავსა, რაც მის მაღალ მდგომარეობას ხოლოდ უმწეობის იერს აძლევდა.

აი, რას სწერდა კარდინალი პაპს:

„უწმინდესო მამავ! ამბობენ, რომ ამა წლის 19 აპრილიდან თქვენი წმინდა მეუფების მეოცე წლით უკმაყოფილო ხართ. ჩემი კომიკური მისტიფიკაციის გამოაშკარავებამ თურმე უბრალო მოკვდავთა მსგავსად გაგაბრაზათ. ოღონდაც! აბა რა გასაკვირია! მთელი თორმეტი წლის განმავლობაში გაბრიყვებდეს და მერე ვინ! — თავისუფლად მოაზროვნე! — ეს, რა თქმა უნდა, ფრიად არასასიამოვნო ამბავია, ყოველისშემძლე, ყოვლისმცოდნე ღმერთის უცოდველი წარმომადგენლისთვის... შეგნება იმისა, რომ ასეთი კომიკური მდგომარეობა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა — აი უსიამოვნების მწვერვალი...

...მინდა განუგეშოთ. უღმერთობის ტალღა ყოველდღიურად მატულობს... არაერთხელ განუზომელი კაეშნით მომიხდენია იმ ფაქტის კონსტან-

ტირება, რომ ხალხმა ამჟამად ნაკლებად იცის აბრაამის, ისაკის, იაკობის, იოსების, მოსეს, სამსონის, დავითის, სოლომონის და ა. შ. სულისმარგებელი ამბები, და ჩვენი დროის ადამიანებიდან მხოლოდ ორიოდე ვინმეს თუ ექნება ბუნდოვანი წარმოდგენა ამ ეგზომ მარტივ და პატივცემულ ბიბლიურ პიროვნებებზე. საქმის ასეთი ვითარება [illegible] ხიფათთა. ღმერთო მაღალო! სადამდე მივალთ, თუ ბიბლიის საღვთო ანეგდოტების ცოდნა დაიღუპება, თუ დავიწყებას მიეცემა ყველა ჩანაწერი, რაც ოდესღაც დაიღუღუნა ღვთაებრივმა მტრედმა — სულიწმინდამ? აი, რატომ ვიწყებ ახლა წმინდა წერილის ხელახლა გამოცემას. შევეცდები ამ წიგნს უფრო მიმზიდველი ხასიათი მივცე...

ვერ გავბედავ იმის მტკიცებას, რომ „თავშესაქცევი ბიბლია“ ხელს შეუწყობს რელიგიის განმტკიცებას. პირიქით, ის მკითხველს აუხსნის, რისი რწმენა არ შეიძლება და რატომ არ შეიძლება“.

ღვთისაგან ჩაგონებული, უზენაესის ნაკარნახევი, წმინდა მტრედის პირით გამოსული წმინდა წერილი რომ ჭეშმარიტების დაუშრეტელ წყაროდ ითვლება საქრისტიანოს მესვეურთა ქადაგებით, ეს ტაქსილის მოგონილი არაა. წმინდა პავლე თავის მეორე ეპისტოლეში ასე სწერდა ტიმოთეს: „ყოველი წიგნი ღმრთივ სულიერი და სარგებელი სამოძღვრებელად არს და სამხილებელად, და განსამართლებელად, და სასწავლელად სიმართლისა“. პეტრე მოციქული კი თავის მეორე კათოლიკე ეპისტოლეს პირველ თავში აცხადებს, წმინდა წერილი „სათარგმნებელი არა იქმნების, რამეთუ არა ნებითა კაცთათა მოსადამეიწია წინასწარმეტყველება, არამედ წყევითა სულისა წმიდისათა, იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი“. რაღა დაემატება ამას? მხოლოდ იოანე ოქროპირის სიტყვა: „ყველა წერილი დაწერილია არა მონათა, არამედ ყოველთა უფლის-ღმერთის მიერ“, და ნეტარ ავგუსტინეს ბეჭედი: „წმინდა წერილის ავტორიტეტი მეტია, ვიდრე ადამიანის გონების ყველა ძალა“.

ავგუსტინე ჭკვიანი იყო: რაკი ბიბლია ადამიანთა გონებას აღემატება, მაშ ამაოა მის ზღაპრებში გონების თვალით სიყალბის ჩხრეკა, ის უნდა ვიწამოთ, როგორც დოგმა, როგორც ტირანთა ყოველი აზრი, დებულება, იდეა, ძალადობით ნაკარნახევი.

მაგრამ მეცნიერება სხვა აზრისაა. მწერალთა, არქეოლოგთა, ისტორიკოსთა მთელი არმია იღაშქრებს ამ შეუვალი დოგმების წინააღმდეგ. ამ ლაშქრობაში ტაქსილს გამორჩეული ადგილი უჭირავს.

ესეც უნდა გვახსოვდეს: ტაქსილი მეტისმეტად შეურიგებელ პოზიციაზე დგას, მხოლოდ გმობს, აშიშვლებს, დასცინის ბიბლიას, ხშირად ცინიკურადაც კი, და არ აღნიშნავს მისი, როგორც ადამიანის შემოქმედებითი გენიის უდავო ღირსებებს, რომელთაც კაცობრიობის მოწინავე წარმომადგენლები პირუთვნელად აფასებენ. ბიბლიური ლეგენდების პოეტურობა,

ბუნების აღწერისა და მჭევრმეტყველების იშვიათი ნიმუშები, რომელთა თარგმანებზეც ხალხები, თაობები იზრდებოდნენ, შეუმჩნეველი და უგულვებელყოფილი რჩება. „მაშინ დაიწერაო უაზრო ფანტაზიით გაჟღენთილი წიგნები“, — რომ ამბობს დანიელის, ესთერის, [illegible] წიგნებზე, აქ ტაქსილი მეორე უკიდურესობაში ვარდება, თვითონვე [illegible] მხატვრული სიტყვის ძეგლების მიმართ. დე, ნუ იქნება დანიელის წიგნი ისტორია, — დღეს ამას ბავშვიც კი არ დაიჯერებს, — მაგრამ რა დააშავეს მათ, როგორც ლეგენდებმა?

ან თუნდაც შემეცნების ხის ამბავი ავიღოთ. ტაქსილი მას ვრცლად და დამაჯერებლად აკრიტიკებს, აშარჟებს, და დღეს არც კი ესაჭიროება სერიოზული მტკიცება იმას, რომ ეს ბიბლიური ლეგენდაა და მეტი არაფერი, მაგრამ აი, ამ გულუბრყვილო ეპიზოდშიც სტიქიურად არის ჩაქსოვილი დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე, თავი და თავი აზრი: ადამიანი ცნობისმოყვარეა, ცოდნას ესწრაფვის, და თუნდაც სიცოცხლის ფასად დაუჯდეს, უკან არ დაისევს, სამოთხესაც კი დათმობს მისთვის.

მეცნიერული აზრით ტაქსილი, ცხადია, მართალია, მაგრამ მის უკომპრომისო კრიტიკულ მსჯელობას დღეისათვის ერთგვარი პროვინციალური გულუბრყვილობის იერი გადაჰკრავს, თუნდაც იქ, სადაც ლაპარაკია იაკობის შერკინებაზე ღმერთთან (ზოგი ვარიანტით — ანგელოზთან). ეს კლასიკური ეპიზოდი ადამიანის ღმერთთან შებრძოლებისა ნამდვილად არის ბიბლიაში და მას მხოლოდ პოეტური მნიშვნელობა აქვს (რელიგიური თვალსაზრისით ამით ბიბლია კიდევაც ამცირებს თავის ღმერთს). თუ მას კრიტიკული თვალით შევხედავთ, ისევე შეგვიძლია გავაკრიტიკოთ, როგორც მაგალითად ჰერაკლეს ბრძოლა ღმერთთან, ან სკანდინავიელი ვიკინგების ბრძოლა ღმერთებთან, მაგრამ ვინ უყურებს მითებს კრიტიკის თვალით? ეს გულუბრყვილობაა.

ტაქსილის პოზიცია ბიბლიის გმირების მიმართ — ესაა უკომპრომისო განქიქების, სატირული ხერხით ბიბლიურ შეუსაბამობათა გაშიშვლების მეთოდი. ამ გზაზე კარდინალი ისე შორს მიდის, რომ „თავშესაქცევ ბიბლიას“ მცოდნენი „თავხედურ წიგნს“ ეძახიან, რაც მესამე უკიდურესობაა.

მართლაც, ტაქსილი აქ მეტისმეტად ულმობელია. ისევე არ ინდობს ბიბლიის ავტორებს, როგორც რომის პაპებს. სწორია, მაგრამ ერთი დეტალია გაუთვალისწინებელი: რომის პაპები — ბოროტი მრუშები და ტირანები არიან, ბიბლია კი — პოეტური ქმნილებაცაა. მისი გაკრიტიკება ისევე შეიძლება, როგორც თალმუდის, ყურანის, ეგვიპტელთა და ბერძენთა მითოლოგიის, და ისიც პოლემიკური სუსხის გარეშე, თუ საერთოდ საჭიროა მითების გაკრიტიკება მათი სიმართლე-სიყალბის თვალსაზრისით. მაგალითად, ვინ დაიჯერებს, რომ ჰერაკლემ ცის თაღი მხრებზე შეიდგა,

ზევსის შვილმა, რომელსაც უბადრუკ ევრისთევსის სამსახურში უწყდება ჭანცი?

ტაქსილის მებრძოლ სტილს ის საფუძველი აქვს, რომ ქრისტიანული რელიგია, და საერთოდ რელიგია ჯერ კიდევ მებრძოლი, ძლიერი საშიში ძალაა. ოდესმე, როცა ის გადაიქცევა ისტორიის კუთვნილებად, შეიძლება მხოლოდ მოგვითხრონ ბიბლიური ლეგენდებიც, როგორც ბერძენთა მითები, დღეს კი საჭიროა ბრძოლა, მტკიცება, დარწმუნება, სიცილი. ცნობილია ჰერცენის თქმა: ,,ვოლტერმა სიცილით მეტი დაანგრია, ვიდრე რუსომ ტირილითო". მართალია, იგივე ვოლტერი ცოტა შეცდა, როცა თქვა: ,,რაც სასაცილო გახდა, ის უკვე საშიში აღარ არისო". სწორედ ვოლტერის სიცილია ტაქსილის ნაცადი იარაღი, და უნდა ითქვას, რომ სატირის მახვილი კლასიკოსებივით უჭრის.

ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდება ყველა, ვინც წაიკითხა ,,წმინდა ბუნაგი" და წაიკითხავს ,,თავშესაქცევ ბიბლიას".

აკაკი გელოვანი

თავი პირველი

ქვეყნიერებისა და ადამიანის შექმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაბამიდან იყო ღმერთი. თავდაპირველად მარტო ცხოვრობდა. ქვეყნად არ ბოგინობდა არავინ, ერთი ღმერთის გარდა. თუმცა, რა დასამალია, ჯერ არც არავითარი „ქვეყანა“ არსებობდა. იმჟამად ღმერთს ერქვა „ელოაჰი“ ანუ „ელოჰიმი“. ასე ადიდებს მას „დაბადების“ წიგნის ძველებრაული ტექსტი. „ელოჰიმი“ ზუსტად „ღმერთებს“ ნიშნავს. საკმაოდ უცნაურია, რომ ბიბლია ასე უწოდებს ღმერთს, რომელიც სრულიად მარტოა[1]. ამრიგად, „ელოჰიმი“, იგივე „იაღვე„ „საბაოთი“ თუ „ადონაი“, როგორც ბიბლიის სხვადასხვა ადგილებში უწოდებენ, საკუთარ ქაოსში მოწყენილობისაგან ამთქნარებდა (თუ „ამთქნარებდნენ“), „დაბადება“ ამ ქაოსს ეძახის „ტოგუ ბოგუს“, რაც შეიძლება თავისუფლად ასე ვთარგმნოთ: უთავბოლო, ცარიელ-ტარიელი[2].

წარმოიდგინეთ, რა გრძელია მარადისობა! უნდა ვიფიქროთ, რომ ყოვლისშემძლე „ელოჰიმებმა“ მოწყენილობაში გაატარეს მილიონობით და მილიარდობით საუკუნე. დაბოლოს, ღმერთს (ბარემ ასე ვუწოდოთ ჩვენებურად) ასეთი აზრი მოუვიდა: რაკი ღმერთი ვარ და ყველაფერი შემიძლია, მოწყენილობისაგან კი არ უნდა მოვიკლა თავი, არამედ რამე გავაკეთო და დარდი გავფანტო როგორმეო. მოხუცმა შემოქმედებას მოჰკიდა ხელი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი ხელის მოსმითაც შეეძლო ყველაფრის შექმნა. მაგრამ არა, აბა რა ეჩქარებოდა: წყნარად იარე, ფეხი არაფერს წამოჰკრა, ყველაფერს თავისი დრო აქვსო. ჰოდა, პირველად მხოლოდ ცა და მიწა შექმნა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მყარმა მატერიამ თვითონვე შეთავაზა თავისი სამსახური. მართალია, ეს მატერია ჯერაც უფორმო იყო, ცარიელ-ტარიელი, უთავბოლო, უსაძირკვლო და უსახურავო, ცივი და სველი, „უხილავ და განუმზადებელ: ბნელი იყო ზედა უფსკრულთა, და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“, — ასე მოგვითხრობს დაბადების პირველი წიგნის მეორე მუხლი (შექმნათა, თავი I).

ბიბლიის მკითხველს არც ევალება ამ სიტყვების აზრის გაგება[3].

მაგრამ მივყვეთ შექმნათა ამბავს. მუშაობის დროს შეცდომები რომ არ დაეშვა, ღმერთს სინათლე დასჭირდა. როგორც შემდეგ თქმულიდან ჩანს, მთელი წინა საუკუნეების განმავლობაში შემოქმედი სრულ წყვდიად-

ში ყოფილა. საბედნიეროდ, კოპების შიში არ უნდა ჰქონოდა, ვერაფერს დაეჯახებოდა, რადგან გარშემო საერთოდ არაფერი არ იყო.

„და თქვა ღმერთმან: იქმენინ ნათელი, და იქმნა ნათელი“ (*შექმნათა, თ. I, მუხ. 3*).

რა ნათელი იყო ეს? ბიბლია ამაზე არაფერს ამბობს. [illegible] ამას აღნიშნავს: „და იხილა ღმერთმან ნათელი რამეთუ [illegible] ქმნილება მოეწონა, მორჩა და გათავდა. უპირველეს ყოვლისა, ბნელისა და ნათლის „განწვალვას“ ანუ გაყოფას შეუდგა. გაყოფა გაყოფაა, შემდეგ კი მორიგი თავსატეხი ჩნდება. მოდი და გაიგე რამე: „და უწოდა ღმერთმან ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე, და იქმნა მწუხრი. და იქმნა განთიად: დღე ერთი“ (*შექმნათა, თ. I, მუხ. 5*).

ამის შემდეგ მოხუცმა ხელახლა დაიწყო... აბა თუ გამოიცნობთ? ცის შექმნა“! აი, როგორ აღწერს „წმინდა წერილი“ ცის მეორედ შექმნის ამ ოპერაციას: „და შექმნა ღმერთმან სამყარო. და განჰყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი იყო კერძო ქვეშე სამყაროსა და შორის წყალსა ზედა კერძო სამყაროსა. და უწოდა ღმერთმან სამყაროსა ცა, და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ, და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად: დღე მეორე“ (*შექმნათა, თ. I, მუხ. 7—8*).

მთელი ეს ამბავი „ქვეშე კერძო სამყაროსა“ და „შორის წყალსა ზედა კერძო სამყაროსა“ გარკვევით გამოხატავს პირველყოფილ ადამიანთა უხეშ შეცდომას. უძველესი წარმოდგენით, ცა, ესაა მყარი გუმბათი, „სამყარო“, აქედან მოდის თვითონ სახელწოდებაც. არსებობდა რწმენა, რომ ამ გუმბათის მიღმა არის უზარმაზარი წყალსაცავი, რომლის ფსკერიც ეს სამყაროა. დღეს ყოველმა მცირემცოდნემ იცის, რომ წვიმა ის წყალია, რაც დედამიწიდან აორთქლდება. წყლის ორთქლი სქელდება, იქცევა ღრუბლად, რაც ნალექების სახით ისევ დედამიწაზე ბრუნდება. ოდესღაც კი ფიქრობდნენ, რომ წვიმა — ესაა ცისმიღმური წყალსაცავიდან მოდენილი წყალი, საგანგებოდ გაკეთებული ნახვრეტებიდან რომ ჩამოდის. ასეთი შეხედულება, დღეს რომ მხოლოდ ირონიულ ღიმილსა და სიბრალულს იწვევს, ძალიან დიდხანს ბატონობდა. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მას იზიარებდა ყველა სწავლული და ღვთისმეტყველი[5].

მივყვეთ ამბავთა მსვლელობას. მესამე დღეს ღმერთმა ხელი მოჰკიდა ისეთ საქმეს, რომლის ნაყოფიც წინანდელზე უფრო ძვირფასი იყო. ქვედა წყალს მიაპყრო მზერა და თქვა: კარგი იქნება გარკვეულ ადგილს მივუჩენდე, რომ ხმელეთიც გამოიყოსო. თქმა და შესრულება ერთი იყო. დაუყოვნებლივ გაჩნდა ღრმულები, რომელთა სიღრმეშიც ყველა წყალი მორჩილად შეერთდა, მაღლობებიდან დაქანებული ნაკადულები და მდინარეები კიდევ ზღვებსა და ტბებს უერთდებოდნენ.

„და გამოჩნდა ხმელი, და უწოდა ღმერთმან ხმელსა მას ქვეყანა,

და შესაკრებელთა წყალთასა უწოდა ზღვები. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“ *(შექმნათა, თ. I, მუხლ. 10)*.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხუცი თავისი ნაშრომით უმთავრესწილად კმაყოფილი რჩებოდა.

— დახე, რა ღმერთივით გამომდის! — შესძახებდა ალბათ ხოლმე, — რატომ აქამდე არ მომაგონდა ეს ყველაფერი!

ამ დღეს ისე კმაყოფილი იყო თავისი ხმელეთითა და ზღვებით, რომ განიზრახა, დაღამებამდე კიდევ წავიმუშავებ, რამეს მაინც გავაკეთებო. „და თქვა ღმერთმან: აღმოაცენენ ქვეყანამან მწვანილი თივისა, მთესველი თესლისა — ნათესაობისა ებრი და მსგავსებისა — და ხე ნაყოფიერი მყოფელი ნაყოფისა, რომლისა თესლი მისი მისთანა მსგავსებისა ებრ ქვეყანასა ზედა. და იქმნა ეგრეთ“ *(შექმნათა, თ. I, მუხლ. 11)*.

პირდაპირ ძნელია გამოხატო საკადრისი აღტაცება შემოქმედის ამ გასაოცარი სიბრძნით! შეუძლებელია იყო კაცი ამაზე უფრო გულმოდგინე, ამაზე უფრო წინდახედული. აბა წარმოიდგინეთ, რა არეულობა იქნებოდა, ღმერთს რომ ისეთი ხეები შეექმნა, რომლებიც უცხო ნაყოფს მოისხამდნენ, თავისი საკუთარი გვარისას კი არა. მადლობა შევწიროთ უფალს, რომ ისეთი ვაშლის ხეები არ მოგვცა, რომლებიც ფორთოხლებს მოისხამდნენ, ფორთოხლის ხეებს არ უბრძანა მსხალი მოესხათ, და მსხალი რომ მოცხარს არ ისხამს, ესეც ხომ ღვთის წყალობაა! აი, დომხალი მაშინ იქნებოდა!

მიწამ უფლის ნება შეასრულა, ვაშლის ხემ ვაშლი მოისხა. ღმერთმა ერთხელ კიდევ „იხილა, რამეთუ კეთილ, და იქმნა მწუხრი, და იქმნა განთიად: დღე მესამე“ *(შექმნათა, თ. I, მუხლ 12—13)*.

მაგრამ აი კიდევ ერთი უცნაური ამბავი: შუქისა და ჩრდილის სწორი განაწილების შედეგად უკვე სამი დღე გავიდა, დილას საღამო ცვლიდა, საღამოს დილა, და ეს დღეები ახლად შექმნილ ქვეყნიერებას ისე აშუქებდნენ, არავითარი სინათლის წყარო არ ჰქონიათ: მზისა და მთვარის ხსენებაც კი არ ყოფილა. ან საიდან? ღმერთს მზე ჯერ არ შეექმნა. ეს ახირებული ამბავი ღირს იმად, რომ ბიბლიიდან ვრცელი ციტატა დავიმოწმოთ:

„და თქვა ღმერთმან: იქმენინ მნათობნი სამყაროსა შინა ცისასა მნათობად ქვეყანისა: განსაყოფელად დღისა და შორის ღამისა, და იყვნედ სასწაულებად, ჟამებად და დღეებად და წელიწადებად, და იყვნედ განმანათლებლად სამყაროსა ცისასა, რათა ნათობდეს ქვეყანასა ზედა. და იქმნა ეგრეთ.

და შექმნა ღმერთმან ორნი მნათობნი დიდნი: მნათობი დიდი მფლობელად დღისა, და მნათობი უმრწემესი მფლობელად ღამისა, და ვარსკვლავები.

და დასხნა იგი ღმერთმან სამყაროსა ცისასა, რათა ნათობდენ ქვე-

ყანასა ზედა, და მთავრობდნენ დღესა და ღამესა, და განაწვალებდნენ შორის ნათლისა. და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ.

და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად: დღე მეოთხე" (*შექმნათა, თ. I, მუხლ. 14—19*).

არავითარი ეჭვი, ხომ მართალია? ლაპარაკია მზესა და მთვარეზე. ამრიგად, ბიბლიის თანახმად, დღე და ღამე არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ არსებობდა მზე, რომელიც სინათლის გაჩენის მეოთხე დღეს შეიქმნა.

რისთვის უკარნახა მოსეს უფალმა ასეთი თავბრუდამხვევი ფანტაზია მზისა და მთვარის შესახებ? საქმე უბრალოდ წყდება: XVII საუკუნის დასასრულამდე მეცნიერებსაც კი ეგონათ, რომ მზე სინათლეს კი არ იძლევა, არამედ მხოლოდ „უშვებს" მას. სინათლე კი თურმე თავისთავად არსებობდა. თვით სახელგანთქმული ფრანგი სწავლული რენე დეკარტი იზიარებდა ამნაირ დაბნეულობას.

1710 წელს გარდაცვლილ დანიელ ასტრონომს ოლაფ რემერს უმადლის მეცნიერება მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების აღმოჩენას, რაც სრულიად საწინააღმდეგოა ბიბლიური წარმოდგენისა: ჩვენს ქვეყნიერებას შუქი მზიდან ეფრქვევა და მისი გავრცელება წამიერად როდი ხდება. რემერმა სხივის სისწრაფე განსაზღვრა და დაადგინა ის, რაც მრავალგზის დადასტურდა: მზიდან დედამიწაზე სინათლე აღწევს 8 წუთსა და 18 წამში, ე. ი. აქვს დაახლოებით ასეთი სისწრაფე — 300 000 კილომეტრი წამში. ასეთ აღმოჩენამდე მივიდა დიდი დანიელი სწავლული მზის სისტემის ცთომილის —იუპიტერის თანამგზავრების დაბნელებაზე დაკვირვებისა და მისი შესწავლის საფუძველზე. რემერი იმ დროს საფრანგეთში ცხოვრობდა და თავისი აღმოჩენის ამბავი პარიზის აკადემიას შეატყობინა 1675 წლის 22 ნოემბერს.

ვინც ბიბლიას წერდა, რა თქმა უნდა, სრულიად უმეცარი იყო ასტრონომიაში. მაგრამ ღმერთს ხომ უნდა სცოდნოდა იმ დროისათვის ყველაფერი, რაც სამყაროში ხდებოდა!

ყურადღებას იპყრობს ისიც, თუ რა უმნიშვნელო როლს ასრულებენ ვარსკვლავები სამყაროს შექმნაში. „ორი დიდი მნათობი" — ეს მზე და მთვარე გახლავთ. მთვარე ხომ ჩვენი პლანეტის ერთი ციცქნა თანამგზავრია, ცთომილებთან შედარებითაც კი! ამ საქმის უმეცართა წიგნის ავტორებს წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რა ცოტა რამეს წარმოადგენენ სამყაროს სივრცეში დედამიწა, მთვარე და მზეც კი! ჩვენი სხივთამთოველი მზეც კი, მზის სამყაროს მთავარი მნათობი, ერთი პატარა ვარსკვლავთაგანია, რომლის მსგავსი ათობით მილიარდი სხვა მნათობი შეადგენს უნაპირო ვარსკვლავეთს — გალაქტიკას. „წმინდა" ავტორი ხედავს მხოლოდ დედამიწას, ამით იწყებს და ამით ამთავრებს ყოველივეს. დედამიწა კი

მხოლოდ ერთ-ერთი პლანეტაა და არც თუ ისე დიდი ვარსკვლავის გარშემო ტრიალებს. ამ ვარსკვლავს — ჩვენს მზეს, რომელიც დედამიწას მოცულობით მილიონ სამასი ათასჯერ აღემატება, „დაბადების“ უცნაური ავტორი მისი თანამგზავრის — დედამიწის მორჩილ მონად აცხადებს.

გულუბრყვილო ბიბლიური ფანტაზიების შემთხზველი სანტად დარჩებოდა, ჩვენს დროში რომ მკვდრეთით ამდგარიყო. როგორ დაჭყეტდა თვალებს, რომ ასტრონომიის რომელიმე პოპულარული წიგნი წაეკითხა ან ასტრონომიულ ობსერვატორიაში მოხვედრილიყო, კარგი ტელესკოპით ენახა მთვარის ზედაპირი, მზის ლაქები, იუპიტერის თანამგზავრები და სხვა ციური სხეულები, რომლებიც თითქოს ღმერთმა ციურ სამყაროში დაამაგრა.

დავუბრუნდეთ ბიბლიას:

„და თქვა ღმერთმან: გამოიღეთ წყალთა, ქვეწარმავლები, სამშვინველთა ცხოველთა (სული ცოცხალი); და მფრინველები მფრინვალენი ქვეყანასა ზედა, სამყაროსა ქვეშე ცისასა. და იქმნა ეგრეთ.

და შექმნა ღმერთმან ვეშაპნი დიდნი, და სამშვინველი ყოველთა ცხოველთა ქვეწარმავალთა, რომელმან გამოიღეს წყალთა ნათესაობისა ებრ მათისა, და ყოველნი მფრინველნი ფრთოვანნი ნათესაობისა ებრ, და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ.

და აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით და აღავსენით წყალნი ღვთისანი, და მფრინველნი განმრავლდით ქვეყანასა ზედა.

და იქმნა მწუხრი, და იქმნა განთიად, დღე მეხუთე.

და თქვა ღმერთმან: გამოიღეთ ქვეყანამან სამშვინველი ცხოველი ნათესაობისა ებრ: ოთხფერთხთა და ქვეწარმავალთა და მხეცთა ქვეყანისათა ნათესაობისა ებრ, და იქმნა ეგრეთ.

და შექმნა ღმერთმან: მხეცნი ქვეყანისანი, ნათესაობისა ებრ მათისა, და უსიტყვნი ყოველი ქვეწარმავალი ქვეყანისა, ნათესაობისა ებრ მათისა, და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ“ *(შექმნათა, თ. I. მუხლ. 20—25)*.

უკეთესი რა გინდათ! ქვეწარმავლებიც კი მოსწონებია. ყოვლისშემძლე ოსტატი სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა. მაგრამ ჯერ სადა ხართ, წინ კიდევ უკეთესი რამეები ელოდა.

— რაც გინდა თქვი და არც ერთი ეს ცხოველი მე არა მგავს, — გაიფიქრა მამაზეციერმა. — აფსუს! რა ლამაზი თავი მაქვს მერე, პატარა ყურები, ცოცხალი გამოხედვა, სწორი ცხვირი და კარგი კბილები. რასაკვირველია, სარკის შექმნაც შემეძლო, რომ ხშირ-ხშირად ჩამეხედა ხოლმე, მაგრამ ვფიქრობ ჯობია იხილო შენივე საკუთარი თავი, ხატი და მსგავსი. კეთილი! დედამიწაზე უნდა იყოს ჩემი მსგავსი ცხოველი.

ამ ფიქრებში იყო მოხუცი, როდესაც მის ფერხთით რამდენიმე მაიმუნი ყირაზე გადადიოდა.

— ღმერთო მომკალი, მაგათ რაღაცა აქვთ ჩემი, — გაიფიქრა ალბათ. — მაგრამ სად ისინი და სად მე. მაგ კუდიანები სად შემედრებიან! მართალია, ზოგი უკუდოა, მაგრამ... არა, მაინც [illegible]!

მაიმუნები კი ღმეჭასა და კოტრიალს [illegible].

მაშინ აიღო ღმერთმა თიხის ბელტი და დაიწყო ადამიანის გამოძერწვა.

განა ამის შემდეგ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ღმერთი მხოლოდ სულია და ხელები არა აქვს?

ბიბლია ამბობს: „და შექმნა ღმერთმან კაცი, მტვერისა მიმღებელმან ქვეყანისაგან, და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა, და იქმნა კაცი სულად ცხოველად“ *(შექმნათა, თ. I, მუხლ. 7)*.

წინა თავში კი არის ერთი ბუნდოვანი ადგილი, რაც თითქოს ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ღმერთმა თავდაპირველად ადამიანი ორსქესოვანი შექმნა, ჰერმაფროდიტი, და მხოლოდ მოგვიანებით შეიტანა შესწორება თავის ქმნილებაში. ხსენებულ მუხლში ნათქვამია: „და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატად თვისად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი“*. ესაა ებრაული დედნიდან ზუსტად თარგმნილი ფრაზა. მან მისცა ხალხს საბაბი, რომ შეექმნა უაღრესად გავრცელებული ლეგენდა ჰერმაფროდიტ-ღმერთებზე. მეორე მხრივ, ეს მუხლი, თავისი ორაზროვნობის გამო, ყოველთვის ირყვნებოდა ხოლმე კეთილმორწმუნე ქრისტიანი მთარგმნელების მიერ[6].

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გადამეტებული მნიშვნელობის მიცემა ბიბლიის ამ ფანტაზიისათვის: წმინდა წერილში სხვაც უთვალავი ადგილია, სრულიად რომ არ საჭიროებს, და არც ემორჩილება არავითარ ახსნა-განმარტებას. უმჯობესია იმაზე ვილაპარაკოთ, რაც საყოველთაოდ მიღებულ გასაგებ ჭეშმარიტებად ითვლებოდა საუკუნეების განმავლობაში.

როგორც კი შექმნა ადამიანი, ღმერთმა ის თავისი ქმნილების გვირგვინად გამოაცხადა. მაშინვე მისთვის სხვა ცხოველთა გასინჯვა მოაწყო.

„და შექმნა ღმერთმან კვალად ქვეყანისაგან ყოველნი მხეცნი ველისანი, და ყოველნი მფრინველნი ცისანი, და მოიყვანნა იგი ადამისსა ხილვად, რა ძი უწოდოსთ მათ, და ყოველი, რომელი უწოდა ადამ სულსა მათ ცხოველსა, ესე არს სახელები მათი, და უწოდა ადამ სახელები ყოველთა ცხოველთა“ *(შექმნათა, თ. 2, მუხლ. 19)*.

---

* როგორც ვხედავთ, ქართულ „დაბადებაში“ ასეთი ორაზროვნობისათვის ნაკლები საფუძველი რჩება: „შექმნა იგინიო“. ლუთერს ცოტა სხვანაირად აქვს გერმანულად თარგმნილი: „და შექმნა (ერთი) მამაკაცი და (ერთი) დედაკაცი“. ეს უფრო მთარგმნელთა ღვაწლია. (სქოლიოს შენიშვნები მთარგმნელისაა, **რედ.**).

ეტყობა, თავშესაქცევი პარადი იქნებოდა. ყველაზე უფრო განსწავლული ბუნებისმეტყველიც კი იოლად ვერ დადგებოდა ამ დროს ადამის ადგილზე[7].

„და აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყველმან: აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანაი და ეუფლენით მას, და მთავრობდით თევზთა ზღვისათა, და მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყვთა, და ყოველსა ქვეყანასა, და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა“ *(შექმნათა, თ. 1, მუხლ. 28)*.

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ უფლის ამ ბრძანების მიუხედავად, „ბუნების მეუფე“ ადამიანი ხშირად იძულებული გამხდარა ებრძოლა ამბოხებულ ლომებთან, ვეფხვებთან, დათვებთან, ნიანგებთან, მგლებთან და ათასნაირ სხვა მხეცთან. ეს ბრძოლა მუდამ ერთნაირი წარმატებით არ უწარმოებია. ნადირები სიამოვნებით გლეჯდნენ და მიირთმევდნენ თავიანთ მეფეს. გარდა ამისა, მთელი კაცობრიობის რაოდენ დიდი ნაწილია მსხვერპლი უჩინარი მიკრობების, მწერების და სნების გამომწვევი უამრავი ცოცხალი არსებისა! ასე სრულდება ღმერთის ნება „ქვეყანასა ზედა“.

ამას გარდა, ღმერთმა ხომ ისეთი ცხოველები შექმნა, რომელთაც ადამიანის ხორცის ბივშტექსი უყვართ, სამაგიეროდ თვითონ ადამიანს უბრძანა, ვეგეტარიანი იყავიო, ბალახ-ბულახის ჭამა ურჩია. დავიმოწმოთ ბიბლია:

„და თქვა ღმერთმან: აჰა მიგეც თქვენ ყოველი თივა სათესავი მთესველი თესლისა, რომელ არს ზედა ყოვლისა ქვეყანისა, და ყოველი ხე, რომელსა აქვს თავსა შორის თვისსა ნაყოფი თესლისა სათესავი, — თქვენდა იყოს საჭმელად *(შექმნათა თ. 1, მუხლ. 29)*. მართალია, იგივე საკვები არც ცხოველებს აუკრძალა.

პირველ ადამიანთა კვების ეს თავისებური სახე გთხოვთ დაიხსომოთ.

ბოლოს, მეექვსე დღის მიწურულს, როცა ყველაფრის შექმნა უკვე დასრულებული ან თითქმის დასრულებული იყო და ღმერთი თავისი ნაღვაწით უაღრესად კმაყოფილი დარჩა, დასვენება მოიგონა: „და განასრულნა უფალმან დღესა მეექვსესა საქმენი თვისნი, რომელნი ქმნნა, და განისვენა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა თვისთა, და აკურთხა ღმერთმან დღე მეშვიდე და წმინდა ჰყო იგი“ *(შექმნათა თ. 2, მუხლ. 2)*.

განვაგრძოთ ბიბლიის კითხვა: „და დანერგა უფალმან ღმერთმან სამოთხე ედემს აღმოსავლეთით და დაადგინა მუნ კაცი, რომელი შექმნა, და აღმოაცენა ღმერთმან მერმეცა ქვეყანასაგან ყოველი ხე შვენიერი ხილვად და კეთილ საჭმლად, და ხე ცხოვრებისა საშუალ სამოთხისა, და ხე იგი ცნობა კეთილისა და ბოროტისა.

ხოლო მდინარე გამოვალს ედემით მომრწყველი სამოთხისა და მიერ განიყოფის ოთხად თავად.

სახელი ერთისა ფისონ: ესე გარე მოვლის ყოველსა ქვეყანასა ევლატისასა*: მუნ უკვე არს ოქრო.

ხოლო ოქრო ქვეყანისა მის კეთილ; და მუნ არს ანთრაკი, და ქვა მწვანე.

და სახელი მდინარისა მეორისა გეონი: ესე გარე მოვლის ყოველსა ქვეყანასა ეთიოპისასა.

და მდინარე მესამე ტიგრისი: ესე ვალს წინაშე ასურეთსა. ხოლო მდინარე მეოთხე ესე ევფრატი" *(შექმნათა, თ. 2, მუხლ. 8, 10—14).*

ამ წყრილმანებით ავტორს სურდა მორწმუნეთათვის ზუსტი ცნობები მიეწოდებინა სამოთხის ადგილმდებარეობის შესახებ დედამიწაზე. მაგრამ ჯობდა კი არაფერი ეთქვა, რადგან ამაზე უფრო სულელურად ხათაბალაში გაბმა სწორედ წარმოუდგენელია.

ყველა მიმომხილველი ერთხმად აღიარებს, რომ ფისონი, ესაა მდინარე ფაზი, მოგვიანებით არაქსად წოდებული. ეს მდინარე სომხეთის ტერიტორიაზე მიედინება, სათავე კავკასიის ერთ-ერთ მიუვალ ხეობაში აქვს. დავუშვათ, რომ იქ მოიპოვება ოქრო და ონიქსი, „ანთრაკი და ქვა მწვანე"** კი არავის უნახავს.

მეორე მხრივ, არავითარი შეცდომა არ შეიძლება იყოს ტიგრისა და ევფრატის ამბავი. აშკარაა, „დაბადება" მიწიერ სამოთხეს სომხეთსა და მესოპოტამიას ან ირაყს შორის დებს. თუმცა არაქსის, ტიგრისა და ევფრატის სათავეები ერთიმეორისაგან არც ისეთი დიდი მანძილით არიან დაშორებული, მაგრამ სამსავე მდინარეს საკუთარი შენაკადები აქვს, საკუთარი სათავე. მტკვრის ყველაზე უფრო დიდი შენაკადი არაქსი სათავეს ბენგელ-დაღზე იღებს, თურქეთში, გაივლის მასთან ეროად საქართველოს, და ერთვის კასპიის ზღვას. რაც შეეხება ტიგრსა და ევფრატს, მათ არა მარტო არა აქვთ საერთო სათავე, არამედ საკმაოდ შორიშორს იბადებიან, მერე ერთდებიან და ერთად ერთვიან სპარსეთის ყურეს.

რაც შეეხება მდინარეს, რომელსაც „დაბადება" გეონს (გიჰონს), ეძახის, აქ „წმინდა" ავტორის მარცხი პირდაპირ ფანტასტიკურია: ეთიოპიის, ზანგთა ქვეყანას ანუ კუშს ჩაუვლისო. კუშის ან ჰუშის ქვეყანა მას ეწოდა, ბიბლიის თანახმად, ქამის შვილისა და ნიმვროდის მამის ჰუშის სახელის მიხედვით. მაშასადამე, გეონი, გიჰონი ან ჯეონი — ესაა ნილოსი. როგორც ცნობილია, ნილოსი აფრიკის მდინარეა და არა აზიის, თანაც

---

* დედანშია „ჰევილა", ასე აქვს ლუთერსაც (რუს. Хавила).

** ონიქსი (ბერძ. „ფრჩხილი")— ფრჩხილისებრ ზოლებიანი შავ-თეთრი ძვირფასი ქვა, აქატის ნაირსახეობა, ძველად უფრო ძვირად ფასობდა. საყურადღებოა, რომ „ანთრაკის და ქვა მწვანის" ადგილზე უცხო ენებში აქვს „ბედელიონ" (რუსული ბიბლიის ვარიანტით—„бдолах"), და ამაზე ტაქსილი შენიშნავს: „არავინ არ იცის, რა არის ბედელიონიო".

მიედინება ტიგრიოსისა და ევფრატის სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით — სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. თუ მის სათავედ ჩავთვლით ეკვატორულ აფრიკასა და ვიქტორია-ნიანსას ტბას, მიედინება [illegible] სამი ათას კილომეტრ მანძილს, რაც ამ მდინარისა და [illegible] ნარის სათავეებს შორის ძევს. დაბადების წიგნი კი გვიმტკიცებს, ოთხივე ეს მდინარე ედემის ბაღსა რწყავსო[§]. მართალია, ორი მათგანის — ტიგრისა და ევფრატის სათავეებს შორის მანძილი ას კილომეტრზე მეტი არაა. მაგრამ ერთი ბაღისათვის ესეც საკმაოდ დიდი მანძილია. მერე, ღვთის გულისათვის, წარმოიდგინეთ, რა ბაღია ეს, მთებსა და ფრიალო კლდეებს შორის რომ გადაჭიმულა, ყველაზე უფრო მოუწყობელ და მოუხერხებელ ადგილზე, როგორიც კი დედამიწაზე არსებობს?

წარმოვიდგინოთ, რომ ამ ბაღში ვართ, სადაც ოთხი დიდი მდინარე ერთად იღებს სათავეს და სხვადასხვა მხარეს მიედინება (სად შუა აფრიკა და სად კავკასია!). ადამი თავის მამულში დაეხეტება და სიამოვნებას არ იკლებს. აი, როგორი ფიქრები უტრიალებს ალბათ თავში:

„მე ადამი მქვია და ვარ ადამიანი. ადამი ალბათ წითელ მიწას ნიშნავს, რადგან თიხისაგან ვარ გაკეთებული, როგორც ქოთანი. რამდენი წლისა ვარ? ამ რამდენიმე დღის წინ დავიბადე. მაგრამ ძველი ანდაზა ამბობს: მამაკაცი იმდენი წლისაა, რამდენსაც მისი გარეგნობა გვიჩვენებსო. აი, რატომ შემიძლია ვთქვა, რომ 28 წლისა დავიბადე, რადგან ყველა კბილი უკვე მაქვს... თუმცა ყველა არა, ჯერ სიბრძნის კბილები არ ამომსვლია.

ისე, ღვთისა და ადამიანების წინაშე, კარგად კი ვარ გამოძერწილი, ეშმაკმა დალახვროს! რა შვილი ვარ, რომ ტანად აღნაგი ჭაბუკი არ ვიყო! მე ხომ, წვერსა და ასაკს თუ არ ჩავთვლი, ზუსტი ასლი ვარ მამა ღმერთისა, სამყაროს ყველაზე უფრო სახელგანთქმული არსებისა! შეხეთ, რა ჯანმაგარი ვარ, რა მარჯვე ხელები მაქვს, რა კოხტა ფეხები, მაგარი კუნთები, რა თურაშაულივით ლოყები მაქვს! არავითარი რევმატიზმი არ მაწუხებს! საერთოდ, ფეხზე მკიდია ყველა სნეულება, მათ შორის ყვავილიც. მამაჩემმა დროზე ამიცრა*, ღმერთივით კაცი ვარ!

ბედს არ ვემდური, ჩინებული ბაღია, ცხოვრება შეიძლება. წავალ, წამოვალ, გავივლი, გამოვივლი, მოვწყვეტ, რა ხილიც სულსა და გულს ეამება, მივირთმევ, რამდენიც სტომაქში ჩამეტევა. არ ვიღლები, რადგან არაფერს არ ვაკეთებ. თუ ბალახში გავგორდები ხოლმე, ისიც ჩემი სიამოვ-

---

* ტაქსილი ჰიპს გულისხმობს. ადამის ჰიპის საკითხი მთელი დისკუსიის საკითხად იქცა. როცა ერთმა ამერიკელმა მხატვარმა ადამი ჰიპიანი დახატა, კლერიკალებმა განგაში ატეხეს. ოსტატმა დავი მხოლოდ იმით იმართლა, რომ მიქელანჯელოს ფრესკებზე ადამი ჰიპიანია, თუმცა დედამ კი არ შვა. შემოქმედმა გამოძერწაო. ამან სამღვდელოება დააშვიდა.

ნებისათვის. კიდევ კარგი, ექიმები არ არიან, თორემ მტკაცებდნენ, გადაგვარდებიო.

მესამე დღეს ჩემმა ბატონმა ღმერთმა პატარა გასართობი მომიწყო. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის დღე: ყველა ცხოველი ჩემს წინ ჩამოატარა, ნამდვილი პარადი გაიმართა: „რა სახელსაც ამა თუ იმ ცხოველს დაარქმევ, ის იქნება მისი სახელიო“, — მითხრა მოხუცმა. აი, სტუმართმოყვარე მასპინძელიც ასეთი უნდა!

ვერ წარმოიდგენთ, რამდენმა ცხოველმა ჩაიარა ჩემს თვალწინ. ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ქვეყნად ამდენი ცხოველი იქნებოდა. მაგრამ სახელების გაღონახვა არ გამჭირვებია. ენა, რომელზედაც მე სხვასასხუპით ვლაპარაკობ და რაც არსად არ მისწავლია, არაჩვეულებრივ მდიდარი ენაა, თქმების მიუწვდომელი სიუხვით გამორჩეული. შევხედავდი თუ არა ცხოველს, არც კი დავფიქრდებოდი ხოლმე, ისე ხელდახელ გავარკვევდი მის თვისებებს, ხასიათს, ზნესა და ბუნებას. ყოველ სახეს თავის შესაფერ სახელს ვაძლევდი. ამრიგად, ჩემი ნაბოძები სახელი სავსებით გამოხატავს მის რაობას. მაგალითად, დავასახელოთ ცხოველი, რომელსაც შემდეგში უწოდებენ ლათინნი „ეკვუსს“, ბერძნები „ჰიპოსს“, გერმანელები „პფერდს“, ჩვენებურად კი ცხენს ვეძახით. ჰოდა, მე მას ისეთი სახელი შევურჩიე, რაც ზუსტად განსაზღვრავს ამ ოთხფეხის ბეწვს, კუდს, უნაგირს. რა შეუდარებელ ენაზე ვმეტყველებ! რა სამწუხაროა, რომ ოდესმე ეს ენა სრულიად დაიღუპება!

დიდებული რამ იყო ეს ცხოველთა დათვალიერება. როცა ვამბობ, დიდებული-მეთქი, ეს ჯერ კიდევ ყველაფერს როდი ნიშნავს. ჩვენს პროგრამაში კომიკური ნომერიც გვქონდა: თევზების გამოცხადება. წარმოიდგინეთ, ჩვენი ბაღი ხმელეთზე მდებარეობს, ზღვიდან დიდი დაშორებით. აქ მხოლოდ მტკნარი წყალია, მდინარის წყალი. უნდა გენახათ, როგორ იმანჭებოდნენ მლაშე ზღვის თევზები, ტიგრისა და ევფრატის აყოლებით რომ ამოცურავდნენ ჩემთან! მტკნარ წყალში თავს ძალიან უხალისოდ გრძნობდნენ. როგორ ვხარხარებდი! ახლა ზღვის ძუძუმწოვრებს არ იკითხავთ? აი, თუ ვინმეს უჭირდა, იმათ უჭირდათ. საბედნიეროდ, ამ შემთხვევისათვის შემოქმედმა მდინარეების გაგანიერება მოისაზრა, თორემ ვერც ერთი ვეშაპი ვერ მინახულებდა. მივცემდი სახელს თუ არა, გაბრუნდებოდნენ და ოკეანეს მიაშურებდნენ. ისე ატყლაშუნებდნენ ტალღებში კუდსა და ფარფლებს, რომ სიცილით ვიგუდებოდი.

იქნებ ვინმემ ეს ამბავი არ დაიჯეროს. ურწმუნო ხალხი იტყვის, რა მოიყვანდაო ტიგრისა და ევფრატის ხეობაში სელაპებს, ზღვის ლომებს, კენგურუს, იხვნისკარტას, ავსტრალიურ სირაქლემას ემუს, სპილოებს, მარტორქებს, ბეჰემოთებსა და აფრიკის ნიანგებს, თუთიყუშებს, ლამებს, ალიგატორებს, ანაკონდებსა და სამხრეთ ამერიკის სხვა ცხოველებს... მერე, რა

მოხდა? კრიტიკა არაფერს არ ნიშნავს: პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ყველა ეს ცხოველი და ფრინველი, თევზი და ქვეწარმავალი მე ჩემი ედემის ბაღში ვნახე.

გამოვა ვინმე შარიანი და მეტყვის: „უნიკალური თევზებიც მოცურდნენ დახურული წყალსაცავებიდან? მაგალითად, ბაიკალის ომული, ბელდის ტბის სიგი, შორეული აღმოსავლეთის კალმახი... [illegible] ამ თევზებმა უზენაესისაგან საგანგებო ნებართვა აიღეს და ედემში გამოცხადდნენ... საჰაერო გზით. ანათემა ურწმუნოებს, რომლებიც ამ ახსნა-განმარტებას არ დასჯერდებიან!

ან რა მრჯის, ასეთ წვრილმანებზე რომ კამათს ვიწყებ? მით უარესი მისთვის, ვინც არ დაიჯერებს, რომ ყველა ხსენებული ცხოველი ედემში გამომეცხადა. ერთი მწერიც არაა, მე რომ სახელი არ მიმეცა. ზოგი თვით ჩემში ცხოვრობდა... თუმცა რას მიშლიან! აგერ, ხუთი დღეა გავიგე, რომ თურმე დასახლებული ვარ, მე კი არავითარ უსიამოვნებას არ მაყენებენ ჩემი ნაწლავების ბინადარნი“.

ადამი თავის გამოსახულებას შესცქერის ანკარა წყაროს წყალში და ზანტად იშხლართება ბალახში.

— რა კარგია სიცოცხლე! — დუდუნებს თავისთვის.

მაგრამ აი, დაამთქნარა, გაიჭიმა. რაღაც უცხო მოთენთილობა ეუფლება. ესეც ახალი ამბავი! არავითარ დაღლილობას არა გრძნობს. მაშ ეს რას ნიშნავს? ვერაფერი გაუგია. რაღაც სევდა კი აწვება გულზე, იდუმალი და გამოუცნობი. თვალები ეხუჭება. ადამს სძინავს. ეს ადამიანის პირველი ძილია.

ვიდრე ადამი ხვრინავს, მამა-ღმერთიც მობრძანდება. დგას და უყურებს. ეს უქნარა კაცი რა ძილის გუდა ყოფილაო!

— უნდა ვაღიარო: თუ საქმეს შევუდექი, ხელიდან ყველაფერი კარგად გამომდის, — ამბობს კმაყოფილებით. ყმაწვილიც თვალ-ტანადია, ვერავინ დაიწუნებს. შემიძლია დავიფიცო, რომ მე თვითონ... ჩემს ახალგაზრდობაში, ამ რამდენიმე მილიარდი წლის წინ.

იჩოქებს და კუნთებს უსინჯავს. ამ ღვთაებრივ ხუმრობას ადამი ხვრინვით პასუხობს.

— ძალიან კარგი, — განაგრძობს ოსტატი „იელოხიმი“. — არავითარი გამაყუჩებელი წამალი არაა საჭირო. ვხედავ, ჩემს ახალგაზრდა ადამს ისე სძინავს, ქვემეხითაც ვერ გააღვიძებ. ახლა საქმეს შევუდგეთ, რადგან აქ მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის ვარ მოსული. ვიდრე ჩემი სიტყვა არავის ესმის, შემიძლია ვაღიარო: ამ დილით შევნიშნე, რომ ზოგჯერ მაინც უგერგილოდ ვმუშაობ, ჰაი-ჰარად ვაკეთებ საქმეს. აბა თავი სადა მჭონდა, როცა ადამიანს კენტად ვძერწავდი და მეგობარი არ მივუჩინე? ყოველ ცხოველს დედალიც გავუჩინე .ასეა თუ ისე, ამ წესიდან ძა-

ლიან ცოტა გამონაკლისია. მაგალითად, სოლიტერი რომ ჰერმაფროდიტი არ იყოს, ხომ სოლიტერსაც არ ვუწოდებდით. მაგრამ ადამიანი ხომ ჭია არ არის, ეშმაკმა დალახვროს! მაშასადამე, მეგობარიც უნდა, მისივე საკუთარი სხეულის ნაწილი".

თქვა ესა თუ არა უფალმა, „მოიღო ერთი გვერდთა-მისთაგანი და აღუვსო ხორცითა მის წილ და აღუშენა უფალმან ღმერთმან გვერდი, რომელი მოიღო ადამისგან, ცოლად, და მოუყვანა იგი ადამისს". *(შექმნ. თ. 2, მუხლ. 21—22).*

პირდაპირ ყურში ჩამესმის ყვირილი ადამიანისა, რომელმაც უეცრად გამოიღვიძა:

— ვაი, ვაი! ნეკნი მომტეხეს!

მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა მშვენიერი ცოცხალი თოჯინა იხილა:

— ეს რაღაა?

— ესა? შენი ცოლია. ნება მიბოძეთ კანონიერი ქორწინება მოგილოცოთ, — მიუგო ღმერთმა, — რას იტყვი, არ მოგწონს?

— სიმართლე გითხრა, ურიგო არაა.

— ურიგო? ბედნიერი კაცი ხარ! რაც მთავარია, სიდედრი არ გეყოლება. პირდაპირ ბედი გიღიმის, ჩემო კარგო.

ბიბლია მოგვითხრობს: „და თქვა ადამ: „აწ ესე ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი, ამას ეწოდოს ცოლი, რამეთუ ქმრისა თვისისაგან გამოიყვანა ესე. ამისთვის დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც". *(შექმნ. თ. 2, მუხლ. 23—24).*

არა ღირს ამ ახლად დაქორწინებული ადამის ამ წამოძახილის გამეორება. განა ამაზე უფრო წესიერი აზრი ვინმეს დაებადება? თავაზიანი და ყველაფერი.

რაც შეეხება გამოღებული ნეკნის ძვალს, ნეტარი ავგუსტინე გვიმტკიცებს, ღმერთმა ის სულაც არ დაუბრუნა ადამსო. მაშასადამე, პირველი ადამიანი ასე ხეიბრად დარჩა: ერთი ნეკნი დაკარგა. ეს, ალბათ „ცრუ ნეკნი" იქნებოდა, რადგან ნამდვილის დაკლება შესამჩნევი დანაკლისი იქნებოდაო, ირონიულად შენიშნა ვოლტერმა.

დაბადების „შექმნათა" წიგნში წერია: „და იყვნეს ორნივე შიშველ, ადამ და ცოლი მისი, და არა რცხვენოდათ" *(შექმნ. თ. 2, მუხლ. 25).*

ღვთისმორწმუნე კომენტატორები ამტკიცებენ, რომ ეს უსირცხვილო სიშიშვლე ჩვენი წინაპრების უცოდველობის დამამტკიცებელი ნიშანია, მათი სულიერი სრულყოფისა. ამ ღვთისმეტყველური მტკიცების შესაბამისად, სულიერი სრულყოფის ნიმუშებად უნდა ჩაგვეთვალა ყველა ის ხალხი, რომელიც პირველყოფილ ადამიანთა დონეზე დგას, ტიტველია და არ იც-

ნობს თითქმის არავითარ შემოსილობას, მაგალითად, ამერიკელი ინკები, აფრიკის ზოგიერთი ტომი, პოლინეზიის, მელანეზიის და სხვა კუნძულთა ბინადარნი. ამის მიუხედავად, ესპანელი, ფრანგი, პორტუგალიელი თუ ინგლისელი კოლონიზატორები იმთავითვე ანადგურებდნენ უცოდველ ტომებს, ჯოჯოხეთურად აწამებდნენ, წვავდნენ, გუდავდნენ. ქადაგებდნენ, ნენ, თანაც თეორიულად ასაბუთებდნენ „ცივილიზატორთა" ამ საარაკო მხეცობას. მეორე მხრივ, ამტკიცებენ, რომ სამოსის გამოყენება მხოლოდ სიცივით აიხსნება, რადგან შიშველი მხოლოდ ცხელი ქვეყნების ხალხები ყოფილან. მერე, როცა ყველა ტიტველია, მაშინ არავის არ ერცხვინება შიშველი სიარული და ცხოვრება. თუ ვინმე მაინც წითლდებოდა, მხოლოდ რაიმე ისეთი ხინჯისათვის, რაც დანარჩენ თანამოძმეებს არ ჰქონდათ.

წინაპირობა შეცოდება

ვენ მივედით განსაცვიფრებელ ხიფათთან, რამაც, სამწუხაროდ, საზღვარი დაუდო ადამისა და მისი მეუღლის დღეკეთილობას.

„და აღმოაცენა ღმერთმან მერმეცა ქვეყანისაგან ყოველი ხე შვენიერი ხილვად, და კეთილ საჭმელად, და ხე ცხოვრებისა საშუალ სამოთხისა, და ხე იგი ცნობა კეთილისა და ბოროტისა“ *(შექმნ. თ. 2, მუხლ. 9)*. ქვემოთ: „და მოიყვანა უფალმან ღმერთმან კაცი, რომელი შექმნა, და დაადგინა იგი სამოთხესა შინა საშვებელისასა, საქმედ მისსა დაცვად, და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქვა: „ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით შჭამოთ. ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ მისგან, და რომელსა დღესა უკვე შჭამოთ მისგან, სიკვდილით მოკვდეთ“ *(შექმნ. თ. 2, მუხ. 15—17)*.

უწინარეს ყოვლისა, სასარგებლო შენიშვნას გავიხსენებთ: სარწმუნოებრივი რჩევა-დარიგებებისათვის არსებობდა მრავალი სასწავლო სახელმძღვანელო, რომელთაც „წმინდა ისტორია“ ეწოდებოდა. ამ წიგნებში ბიბლიის საჩოთირო ადგილებს გვერდს უვლიდნენ. მაგალითად, მორწმუნეებს ჩვეულებრივ მხოლოდ „სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხეებს“ უხსენებენ. ახლავე ვნახავთ, რატომ არ ასახელებენ ეკლესიის მამები სიცოცხლის ხეს. დავიმოწმებთ მხოლოდ იმ მუხლს, რაც გულუბრყვილოდ, იოლად დამჯერე ადამიანებისათვის გამოტოვებულია ხოლმე.

ახლა კი ჯერ მხოლოდ ნაყოფზე შევჩერდებით, ადამიანის დაცემის თავი და თავი მიზეზი რომ არის. გავიხსენებთ, რომ იმპერატორმა იულიანე ფილოსოფოსმა[10], ეკლესიის მსახურთა ამ საძულველმა მბრძანებელმა, ამ საკვირველი ხის შესახებ რამდენიმე შენიშვნა დაგვიტოვა.

„ჩვენი ფიქრით, — წერდა იმპერატორი, — უფალ ღმერთს, პირიქით, უნდა ებრძანებინა ადამიანისათვის, რომ სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხის ნაყოფი რაც შეიძლებოდა მეტი ეჭამა, რადგან, რაკიღა მოაზროვნე თავი უბოძა, კიდევაც უნდა ეაზროვნა და ესწავლა რამე, მით უფრო უნდა შეეცნო ბოროტება და სიკეთე, რათა უკეთ შეეგნო თავისი დანიშნულებანი. აკრძალვა სულელური და სასტიკი გამოდის. ის ასჯერ უარესია იმაზე, რომ ღმერთს ადამიანისათვის მიეცა, ვთქვათ, კუჭი, და მერე აეკრძალა მისთვის ჭამა-სმა“.

მეორე მოსაზრება, რაც თავისთავად იჩენს თავს, ეს ისაა, რომ უფალ ღმერთს ალბათ ფარული მოსაზრება ჰქონდა და უხაროდა კიდეც, ადამიანის დაცემის, სიკვდილის საბაბი რომ მიეცა.

— ჩემო საყვარელო უფალო ღმერთო! თუ არ ვცდები, სიკვდილი — ეს ისაა, რაც ზნეობრივად კეთილია, კარგია, მოგვწონს. ბოროტება კი, რიქით, ისაა, რაც ცუდია, არ მოგვწონს. არის თუ არა ეს ასე?

— რა თქმა უნდა, მართალია, შვილო, — მიუგო შემოქმედმა.

— მაშინ,—ეტყოდა ადამი, — ნება მომეცი შევიცნო ბოროტი, რათა ვიცოდე, რა არის ის, და მოვერიდო. ან რისთვისაა აქ ეს ხე, თუ მისი შეხების ნება არ მექნება?

მაგრამ პასუხებს უფლის ნაცვლად იძლევიან ის ადამიანები, რომლებიც უფლის სახელს ეფარებიან.

— ღმერთმა, — ამბობენ, — გამოცდაზე დააყენა ახლად შექმნილი კაცთა მოდგმა. მას უნდოდა გაეგო, დაემორჩილებოდა თუ არა ადამი მაშინ, როცა მცირეოდენ წყალობას დააკლებდა.

მაგრამ არც ამ პასუხის გაბათილებაა ძნელი. ღვთისმეტყველთა მოძღვრების თანახმად, ღმერთი ყოვლისმცოდნეა — მისთვის ცნობილია მომავალიც. მაშასადამე, უნდა სცოდნოდა ისიც, თუ რა მოხდებოდა მომავალში. მისი ნების წინააღმდეგ ხომ არაფერი ხდება. მაშასადამე, ღმერთმა თვითონვე ინება, რომ მისი ნებით შექმნილი ადამიანი ცოდვილი ყოფილიყო. ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს.

შემდგომში მთელი ეს ამბავი მართლაც ღმერთის წინააღმდეგ შეტრიალდება. აი, რას მოგვითხრობს „დაბადება“:

„ხოლო გველი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა, რომელნი ქმნნა უფალმან ღმერთმან. და ჰრქვა გველმან დედაკაცსა მას: რასათვის გრქუათ უფალმან ღმერთმან, არა შჭამოთ ყოვლისაგან ხისა სამოთხისა?

და ჰრქუა დედაკაცმან გველსა: ყოვლისაგან ნაყოფისა ხისა სამოთხისა ვშჭამოთ.

ხოლო ნაყოფისაგან ხისა, რომელ არს შუა სამოთხისა, თქვა ღმერთმან, არა შჭამოთ მისგანი, არცა შეეხნეთ მას, რათა არა მოჰკვდეთ.

და ჰრქუა გველმან დედაკაცსა: არა სიკვდილით მოჰკვდეთ.

რამეთუ უწყოდა ღმერთმან, ვითარმედ რომელსა დღესა შჭამოთ მისგან, განგეხვნეს თქვენ თვალნი, და იყვნეთ ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა.

და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხისა მის ჭამა და სათნო თვალთათვის ხილვად და მშვენიერ განცდად. და მოიღო დედაკაცმან ნაყოფისა მისგან და ჭამა და მისცა ქმარსაცა მისსა მის თანა და ჭამეს.

და განეხვნეს თვალნი ორთანივე და აგრძნეს, რამეთუ შიშველ იყვნეს“ *(შექმ. თ. 3. მუხლ. 1—6)*.

რაც ამ მოთხრობაში თავიდანვე თვალში გვეცემა, — ეს ისაა, რომ გველის სიტყვა, მისი საუბარი ქალთან, თვით იმ გველისა და ეშმაკის წინაპრებთან ურთიერთობა რაიმე ზებუნებრივ, ჯადოსნურ ამბად კი არაა გასაღებული, ალეგორიაც კი არ არის. თვით ბიბლია გველს ისე წარმოგვიდგენს, როგორიც არის ქვეწარმავალი, მავნე, მაცდური და ცბიერი, დედაკაცის შემაცდენელი, რომელიც მიზანს ისე იოლად აღწევს, ყოველ გამოცდილ მოარშიყეს შეშურდება, გულუბრყვილო გოგოს ნდობით რომ ბოროტად სარგებლობს.

ბიბლიაში გველი ისე ბუნებრივადაა აღწერილი, რომ ქრისტიან ღვთისმეტყველებს ეჭვი შეეპარათ ამ ვერსიის სიმართლეში და საჭიროდ ჩათვალეს ბიბლიური ზღაპრის შესწორება. მაგრამ ეს შესწორება ყველაფერს ცვლის, რაც კი დაბადების წიგნშია მოთხრობილი, და სრულიად ეწინააღმდეგება წმინდა წერილს, თუმცა იმდენადვე ეშმაკურია, რამდენადაც კეთილმსახურული: თვითონ ეშმაკმა მიიღო გველის სახე და ისე შეაცდინა ადამიო. ასე შეატრიალეს საქმე ღვთისმეტყველების ბურჯებმა, ასე ასწავლიან ახლაც.

ეს ახსნა დაბადების წიგნის თაღლითური განმარტებაა. ჯერ ერთი, დედნის არც ერთი სიტყვა არ იძლევა ასეთი ახსნის საფუძველს. მეორეც, ძველი აღთქმის სხვადასხვა ავტორთა შორის მხოლოდ ორი იხსენიებს ეშმაკს: იობის წიგნის ავტორი, რომელიც ამტკიცებს, ზეცაში ერთ მშვენიერ დღეს ეშმაკმა ღმერთს დავა გაუმართაო, აგრეთვე ტობიას წიგნის ავტორი, რომელიც მოგვითხრობს: ქაჯმა ასმოდესმა ვინმე სარა შეიყვარა და ზედიზედ დაუხრჩო შვიდი ქმარიო. მაგრამ ორივე ეს წიგნი ბიბლიის ბოლო ნაწილებია. არც ერთ სხვა და არც თვით ამ წიგნებში მეტად სატანა-ლუციფერის ხსენებაც არაა. ეშმაკს მხოლოდ ეკლესიის მსახურნი მიმართავენ ხშირად, როცა სურთ რელიგიურ ლეგენდებს მეტი სანელებელი დააყარონ. ბიბლიაში არსად არაა ნახსენები აგრეთვე ის სატანა, რომელიც თითქოს ღმერთს აუჯანყდა და მიქელგაბრიელმა დაამარცხა. ესეც და ყველა დანარჩენი ლეგენდაც, რომელიც ეშმაკს ეხება, ბევრად უფრო გვიანაა შექმნილი, ვიდრე ძველი აღთქმის წიგნები[11].

მეორე მხრივ, ზოგიერთი მხიარული კომენტატორი, ფილოსოფოსი-სკეპტიკოსი, ორიოდე ნაჩქარევ სიმბოლოს გამოედევნა და „სიკეთისა და ბოროტების შემეცნების“ სახელგანთქმული ხე ვაშლის ხედ აქცია. მათი ვარაუდით, მთელი ამ მოთხრობის მიზანია გვიამბოს, როგორ იქცა ეშმაკი გველად, როგორ შეაცდინა პირველად ქალი, ქალბატონი ადამი, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა სიყვარული.

რარიგ სასაცილოც არ უნდა იყოს ეს ხუმრობა, რომელიც, სიმართლე

უნდა ითქვას, კეთილმსახურულ ახსნა-განმარტებებზე ნაკლები არ არის, მაინც ეს ტექსტი უცვლელად უნდა დავტოვოთ, ისევე როგორც ეკლესიის მსახურთა ნაყალბევი ტექსტი.

ბიბლია ისე უნდა ავიღოთ, როგორც არის. ეპიზოდში, რაც ამ წუთს გვაინტერესებს, ლაპარაკია მხოლოდ გველზე და არავითარი [illegible] ნახსენები არაა. რაც შეეხება სასიყვარულო ინტრიგას, [illegible] პირველად ეშმაკმა შეაცდინა, დაბადების წიგნი ასეთ მაცდურ გველს სრულებით არ იცნობს.

აქ სწორედ ქვეწარმავალია გამოყვანილი. ავტორი მას ხედავს სხვა რელიგიების მიმდევართა თვალით. ძველად გველი ძალიან ცბიერ, გონიერ და ბოროტ არსებად მიაჩნდათ. აფრიკის ზოგიერთი ტომი მას თაყვანსა სცემდა.

მეორე მხრივ, ასეთი „მეტყველი გველი“ ხშირად გვხვდება აღმოსავლურ ლიტერატურაში. აზიაში აღორძინებული ყველა მითოლოგია სავსეა მოლაპარაკე ცხოველებით. მაგალითად, ქალდეველთა თევზი ხშირად ამოჰყოფდა თავს ევფრატიდან და დიდხანს უქადაგებდა ხალხს, რომელიც ნაპირს მიაწყდებოდა ხოლმე. ამ თევზს ოანესს ეძახდნენ. მსმენელებს სასარგებლო რჩევებს აძლევდა, სიმღერასა და მიწათმოქმედებას ასწავლიდა.

ბიბლიურ „გველს“ სულაც არ ესაჭიროებოდა ქაჯი და ეშმაკი, არაფერი მსგავსი არ შემძვრალა მის პერანგში, და არც ისეთი ცბიერი იყო, როგორც დაბადების წიგნი გვიხატავს. მოთხრობა არაჩვეულებრივი გულუბრყვილობით გამოირჩევა და უამრავ წინააღმდეგობას შეიცავს. ასე მაგალითად, რას გულისხმობდა უხსენებელი, როცა ევას უთხრა: „და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი“? მრავალ ღმერთზე ასეთი მითითება დაბადების მარტო ამ ერთ ადგილზე რომ გვხვდებოდეს, კიდევ არაფერი. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ თვითონ ბიბლიური ღმერთი იაღვეც თავის სიტყვებში საკუთარ თავს ერთადერთ ღმერთად არა თვლის. ქრისტიანი ამხსნელები გველის ამ სიტყვამ საგონებელში ჩააგდო და იძულებული გახადა განეცხადებინათ, ქვეწარმავალი აქ ანგელოზებს გულისხმობდაო. მაგრამ ანგელოზი ანგელოზია. გველი არ იცნობდა ანგელოზებსო, ედავებოდნენ კომენტატორებს. მაგრამ ასევე არ შეეძლო გველს ღმერთების ცნობა. გულუბრყვილობა და არეულ-დარეულობა საერთოდ ბიბლიის მუდმივი თანამგზავრია.

არა, ეს გველი არც ისეთი ცბიერია. მისი რჩევა ბუნდოვანია. მართლა რომ ასე გონიერი ყოფილიყო, გველს დედაკაცისათვის უნდა ეთქვა:

— ჯერ აკრძალული ხილი ჭამე და მერე მაშინვე ცხოვრების ხის ნაყოფი დააყოლე, რაც არ გეკრძალება.

ახლა ღმერთი? განა თვითონვე არ იყო პირველი შეცოდების მიზეზი?

რატომ მიანიჭა გველს მეტყველების უნარი? უამისოდ ხომ ქალს ვერასოდეს ვერ აუხსნიდა თავის საწადელს!

ბიბლია არ იმოწმებს მადამ ადამის სიტყვებს, რითაც პირველმა დედაკაცმა ქმარი დაარწმუნა, აკრძალული ხის ნაყოფი შეჭამეო. შევეცადოთ შევავსოთ ეს ხარვეზი.

წარმოიდგინეთ პირველი ქალი, რომელსაც ასეთი ცნობისმოყვარეობა გველმა აღუძრა. აი, უახლოვდება „შემეცნების ხეს“, სამოთხის შუაგულში რომ აღმართულა „სიცოცხლის ხის“ გვერდით. დიდხანს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს, აბა რა ხილიაო.

— არც ისე ლამაზია, — ამბობს, — ეს გველი რომ ჩამციებია და რაღაცას ჩამსისინებს. მაგრამ ურიგოდ არ იქცევა და კარგადაც მეტყველებს. მე მგონია, მისი რჩევა მისაღებია, რადგან სისულელეა, რომ ადამიანმა არაფერი არ იცოდე. მე და ადამი ინდოურებივით ვცხოვრობთ, შეგვიძლია კი ღმერთებივით ვიცხოვროთ. მაცდური ხილია! მთელს ბაღში ამისთანა ხილი არა დგას. თუმცა, ესეც მართალია: თუ გველმა მომაღორა, ძალიან საწყენი კი იქნება. ცხოვრება სასიამოვნოა, სიცოცხლე მშვენიერია. ძალიან მინდა ვაშლი ვჭამო, მაგრამ თუ ამისათვის მოკვდი? ეს უკვე უარესია.

არის ამ ფიქრებში, ტრიალებს და ტრიალებს ხის გარშემო. გველი კი ბუჩქებში მიმალულა და მის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებს.

— არა, ეს წარმოუდგენელია, რომ ასეთი წვრილმანისათვის მოკვდეთ, მამა-ღმერთი ნამდვილად გვატყუებს. ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ ეშმაკური იერი აქვს იმ ბერიკაცსა. გველს კი ლამაზი პატარა თავი ამშვენებს და არაფრისმეტყველი სახე, თვალებში კი ჭკუა ვეღარ ეტევა, ისე უციმციმებს. მოხუცს, რა თქმა უნდა, ჩვენი უმეცრება ხელს აძლევს. რა ენაღვლება, თუნდაც მთელი სიცოცხლე ისე გავატაროთ, ღმერთების საწუკვარ სიამეთა არა ვიცოდეთ რა! ალბათ ამიტომაც დაგვემუქრა, რომ დავეშინებინეთ, მორჩა და გათავდა! არ სურს, რომ ყველაფერი ვიცოდეთ! ოჰ, ეს მოხუცები! ყველანი ერთიმეორესა ჰგვანან! მაგათ ადამიანმა არც უნდა დაუჯეროს.

ასეთი მონოლოგის შემდეგ ქალი მიდის, სამოთხის ერთ-ერთ გრძელ სკამს მოათრევს, ადის ზედ, წყვეტს აკრძალულ ხილს და მიირთმევს. ჩვენ ამ ხილს „ვაშლს“ ვეძახით, თუმცა ბიბლია ამაზე არავითარ მითითებას არ გვაძლევს. ან მართლა რა მნიშვნელობა აქვს, ვაშლი იყო თუ მსხალი! ქალი ჯერ სინჯავს, ლოკავს. გველი ყველაფერს უყურებს, ბუჩქების უკან ყალყზე დგება და უხარია.

ქალბატონ ადამს ვაშლი პირთან მიაქვს.

— ნეტა, როგორ იჭმევა ეს ხილი? კანი წავაცალო თუ ისევე მივირთვა? სულერთია, ასედაც და ისედაც გემრიელი იქნება.

კიდევ ცოტა ხანს ჩერდება და ყოყმანობს.

— ვიცოდი თუ არ ვიცოდი? საკითხავი აი, ეს არის. როცა მე და ადამი მალულობიას ვთამაშობთ — ეს ცუდია თუ კარგი? მძიმე ამოცანაა. კარგია, ცხვარს რომ ვკრეჭთ თუ ცუდად ვიქცევით, მატყუს, რომ ვართმევთ? ლამის თავი გამისკდეს. ადამი რომ ამთქნარებს, — კარგია თუ ცუდი? ღმერთმანი, ასეთ ცხოვრებას არაფერი ფასი არა აქვს, თუ არაფერი არ იცი!

როგორც იქნა, გაბედა და ვაშლი მოკბიჩა.

— ჰაი-ჰაი-ჰაი, რა გემრიელია! რა წვნიანი ყოფილა! აჰ, იმ ბებერმა უფალმა როგორ აგვიკრძალა ამისთანა ვაშლის ჭამა!

სკამლოგინზე ჯდება და სიამოვნებით შეექცევა „აკრძალულ ხილს“. მოდის ადამი, საკუთარ თავს ელაპარაკება:

— მოწყენილობისაგან ეს არის თევზაობა დავიწყე, კარჩხანა თევზები დავიჭირე ტიგრში, მაგრამ ხორცეულს რომ არ ვეკარები, რად მინდოდა, ისევ მდინარეში გადავუძახე.

უცებ ცოლი შენიშნა.

— ჰეი, დედაკაცო, მანდ რას მიირთმევ?

ქალბატონი ადამი მაშინვე ზეზე წამოიჭრა:

— ჰოი, ჩემო კარგო, არ გამიჯავრდე. ეს... იმ ხის ნაყოფია... შენ რომ იცი. ორიდან ერთისა, შუა ბაღში რომ დგას...

— ამას მეც ვხედავ, ეშმაკმა წაიღოს! სწორედ ამ ხილის ჭამა გვაქვს აკრძალული. დიდი რეგვენი ხარ, დედაკაცო! დაგავიწყდა, მოხუცმა რომ გვითხრა?

— რომელმა მოხუცმა? მამა-ღმერთმა? ყველაფერი რომ აურ-დაურია? საქმე არა გაქვს? გვიბრიყვებს ის ბებერი! გვატყუებს.

— რას როტავ, დედაკაცო?

— სიკვდილით არ დაგვემუქრა? არ გახსოვს?

— რა თქმა უნდა, მახსოვს. ტანში მაჟრიალებს.

— ჰა-ჰა-ჰა! ნუ გეშინია! მისი მუქარა მხოლოდ ხერხია.

— რას ამბობ? მთლად გასულელებულხარ, შე საწყალო!

— მხოლოდ ხერხია-მეთქი, გეუბნები. რაც ეს ვაშლი ვჭამე, თვალი ამეხილა. იცი, რამდენი რამ ვისწავლე?

— შენ იცი, რა არის კარგი და რა არის ბოროტი? იცი, რა უნდა გააკეთო და რა არ უნდა გააკეთო? ყველაფერი იცი, რა რისთვის არის და როგორ არის?

— დიახ, თვალი მეხილება, ჩემო ძვირფასო. დაიცა, აი უკვე ვიცი, რამდენი მარილი უნდა ჩავყარო კვერცხში.

— შეუძლებელია!

— მე ვიცი, რატომ ხუჭავენ მამლები თვალებს, როცა ყივიან.

— განსაცვიფრებელია! ის თუ იცი, რატომ არა აქვთ ბაყაყებს კუდი?

— მხოლოდ ახლა გავიგე.

— აბა მითხარი.

— იმიტომ, რომ ჯდომაში ხელს შეუშლიდათ.

— გასაოცარია!

— მეტსაც გეტყვი! მე ვიცი, დარწმუნებული ვარ, გესმის? მე ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ერთგული ხარ და ერთხელაც არ გიღალატნია ჩემთვის.

ადამი სახტად რჩება.

— რა ეშმაკმა გასწავლა? დახეთ, რა ნასწავლი მეუღლე მყავს! მართლა ასე არ არის? ერთხელაც არ მიღალატნია. მაგრამ რომ მეღალატნა, სხვაში გამეცვალე, ეს ცუდი იქნებოდა თუ კარგი?

— ეს ძალიან ცუდი იქნებოდა, ბატონო! ძალიან ცუდი!

ამ სიტყვებზე ხელს ჰკიდებს და სკამლოგინზე სვამს.

— ისე კი, ჩემო ძვირფასო ადამ, შენი საქმეა, ჩემსავით ნასწავლი გახდები ახლავე თუ სამუდამოდ ბრიყვად დარჩები. ახლავე, უფასოდ. ჭამე ეს ვაშლი.

ქალი ვაშლს აწვდის.

— მეც მინდა, განა არ მინდა, ძვირფასო ცოლო! მაგრამ რად გვინდა ცოდნა, რად გვინდა აკადემიკოსობა, თუ ამისათვის დღესვე მოვკვდებით? ბოლოს და ბოლოს, მოდი განვსაჯოთ: ათასი წლის შემდეგ სიკვდილს კიდევ არა უშავს, ჯანდაბას ჩვენი თავი! მაგრამ დღესვე რომ კისერი მოიტეხო, ეს ნამდვილად სისულელე იქნება.

ქალბატონი ადამი მხრებს იჩეჩავს. ადამი კი განაგრძობს:

— გეტყობა, არ გჯერა, ძვირფასო ჩემო. მაგრამ მე ყველაფერი კარგად მახსოვს, რაც მამა-ღმერთმა მითხრა. მე პირადად ველაპარაკე და გარწმუნებ, ძალიან სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. აი, რა მითხრა: „ხოლო ნაყოფისაგან ხისა, რომელ არს შუა სამოთხესა, არა შჭამოთ მისგანი, არცა შეეხნეთ მას, რათა არა მოჰკვდეთო“. როგორც ხედავ, საქმე აშკარაა. თუ საკუთარი ტყავი არაფრად გიღირს, მე მაინც ჩემსას გავუფრთხილდები.

— ადამ, ადამ, რა სასაცილო ხარ! განა მე მოვკვდი, მითხარი?

— არა, შენ ჯერ ცოცხალი ხარ, მაგრამ ჯერ ხომ არ დაღამებულა? ფრთხილად იყავი!

— აჰ, რა ჯიუტი ხართ მამაკაცები! შეგიძლია იამაყო, ძვირფასო ჩემო: ნამდვილად, სახედარივით ჯიუტი ხარ. პირდაპირ გასაკვირია შენი საქმე, როგორ უნდა დაგარწმუნო, რომ მოხუცმა დაგვცინა? აი, შენ ახლახან აკადემიკოსები ახსენე.

— ვახსენე, მერე რა გინდა?

— მერე, ისინი ხომ ნამდვილი სიბრძნის ჭები არიან, ჭკუის კოლოფები, როგორ ფიქრობ?

— რა თქმა უნდა!

— ჰოდა, აკადემიკოსები ხომ უკვდავნი არიან?[12] ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საბუთმა ადამი დააბნია. მეუღლემ კი უკვე [illegible] დაჟინებით განაგრძო მტკიცება, დამიჯერეო.

— ერთი მაინიამოვნე, ძვირფასო, შეჭამე ეს ვაშლი, რა იქნება? როცა შეჭამ, ღმერთებივით ვიქნებით.

— ღმერთებივით?

— ნუ მეკითხები. ასე მითხრა გველმა.

ადამმა გული გაიმაგრა. რაკი გველმა თქვა...

— კარგი, მომეცი ვაშლი.

ხარბად მოკბიჩა. ორი წუთი დუმილში გავიდა. ბუზის გაფრენა ისმოდა. უეცრად ადამმა შეჰყვირა: შეიცნო! ტვინი ამუშავდა.

— ეშმაკმა დალახვროს! — შესძახა. — ჩვენ ტიტვლები ვართ, მაიმუნებივით. რა არის ესა?

ქალმა ტაში შემოჰკრა:

— მე წვივსაკრავებიც კი არ გამაჩნია! ვაი სირცხვილო!

— ჩავიცვათ, ჩქარა ჩავიცვათ!

...„და განეხვნეს თვალნი ორთანივე, და აგრძნეს, რამეთუ შიშველ იყვნეს. და შეკერეს ფურცელი ლეღვისა, და ქმნნეს თავთა თვისთა გარე მოსარტყმელნი“ (*შექმნ. თ. 3, მუხლ. 7*).

არ დაგავიწყდეთ, ადამიანის პირველი სამოსელი ვაზის ფოთოლი კი არ ყოფილა: ვენახის შოშენების პატივი ბიბლიამ ნოესათვის შემოინახა.

ტანი რომ შეიმოსეს, ერთიმეორეს გადახედეს.

— ახლა არა უშავს, — შენიშნა ადამმა.

— მართალია, ლეღვის ფოთოლი ძალიან მიხდება. მართალია, ცოტა მტვრიანია. ეს კაბა არავის არ გაუფერთხია იმ დღიდან, რაც ღმერთმა შექმნა. ერთი ჯაგრისი აიღე, ადამ.

მაგრამ მათი სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა.

„და ესმათ ხმა უფლისა ღვთისა მავალისა სამოთხესა შინა მიმწუხრი, და დაიმალნეს ადამ და ცოლი მისი პირისაგან ღვთისა საშუალ ხესა სამოთხისასა“. (*შექმნ. თ. 3, მუხლ. 8*).

როგორც ვხედავთ, ბიბლიური ღმერთი სრულიად ხორციელი არსებაა: დასეირნობს, ადამიანივით ლაპარაკობს. დაბადების „შექმნათა“ წიგნი თავის ღმერთს ისევე წარმოგვიდგენს, როგორც წარმართული ლეგენდები. ძველი დროის ხალხების უმეტესობა ღმერთს მართლაც ადამიანის მსგავს არსებად თვლიდა.

კრიტიკოსები კითხულობენ, რა სახით ეცხადებოდათ ღმერთი ადამს და შემდეგ იმ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი ბაგეებით ელაპარაკებოდა. ეკლესიის მსახურნი პასუხობენ: ადამიანის სახითო, სხვანაირად შეუძლებელიცაა, რადგან ღმერთმა ხომ ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნაო, მაშინ რითიღა გამოირჩევა ძველებრალთა წარმოდგენა ღმერთზე სხვ რელიგიებისაგან, რომელთაც ქრისტიანები წარმართულს ეძახიან და გმობენ? ძველი რომაელები, რომელთაც სარწმუნოება ბერძნებისაგან გადაიღეს, ღმერთებს უსათუოდ ადამიანების სახით წარმოიდგენდნენ. ეს გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი თავისი მსგავსი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი იმ სახით, რაც თვითონ ჰქონდა. არ შეეედავებით, რადგან ასეთი მოსაზრება რომ გავიზიაროთ, ჯოჯოხეთის ცეცხლში ადგილი მზად გვექნება. გავიხსენებთ მხოლოდ ერთი ფილოსოფოსის მახვილგონივრულ შენიშვნას: თაგვებს რომ თავიანთი ღმერთი გამოეგონებინათ, თაგვების ჭერას მიაწერდნენ.

ისეთი წვრილმანი, როგორიცაა ღმერთის სეირნობა სამოთხეში, აშკარად გვიმტკიცებს, რომ აქ რაიმე მისტიკურ ალეგორიაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მთელი თხრობა რეალისტურ სტილში მიმდინარეობს.

„და უწოდა უფალმან ღმერთმან ადამს და ჰრქვა მას: ადამ, ადამ, სადა ხარ?“ *(შექმნ. თ. 3, მუხლ. 9)*.

რა დარცხვენილი და საცოდავია ეს ბატონი ადამი. აღარც მისი ცოლია უწინდებურად თამამი. შეცბუნებულნი იმალებიან. მაგრამ სადა? რა შვილები არიან, რომ უზენაესის ყოვლისმხილველ თვალს დაემალონ! ცდილობენ, ფოთლებს ეფარებიან, მაგრამ სულ ტყუილი ცდაა. წინ, უკან, მხარმარჯვნივ თუ მხარმარცხნივ — ყველგან უფლის ძახილია, ხმა უფლებისმოყვარე და სასტიკი მბრძანებლისა, რომელსაც ურჩი შვილების დასჯა განუზრახავს. ვერაფერს გახდები, ადრე თუ გვიან თავისი მოგივა. თავს მორჩილი მონებივით უხრიან და პატიებას ითხოვენ.

„და მან თქვა: ხმისა შენისა მესმა მავალისა შორის სამოთხესა და შემეშინა, რამეთუ შიშველ ვარ და დავიმალე“ *(შექმნ. თ. 3. მუხლ. 10)*.

აი, დარცხვენილები დგანან ღმერთის წინაშე. ეს ის ღმერთია, რომელმაც ყველაფერი იცის, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა გველისა და ვაშლის ამბავი, რომელიც ისე ბრაზობს და წყრება, თითქოს არაფერიც არ სცოდნოდა და ყველაფერი უზენაესის ნებისაგან დამოუკიდებლად მომხდარიყო. ადამსა და ევას ასეთი ეშმაკობა აზრადაც არ მოსვლიათ. დგანან გულუბრყვილო ბავშვებივით, რომელთაც შაქარი მოიპარეს.

— მე არაფერი არა ვარ. პირველად ევამ ჭამა. მეტს აღარ ვიზამ. ღმერთმანი, აღარ ვიზამ.

„და ჰრქვა მას ღმერთმან, ვინ გითხრა შენ, რამეთუ შიშველ ხარ? უკეთუ არა ხისაგან, რომლისა გამცენ შენ, მისგან მხოლო არა ჭამა, და მის-

გან ჭამე? და თქვა ადამ: დედაკაცი, რომელი მომეც ჩემ თანა, მან მომცა მე ხისა მისგან და ვჭამე“ (*შექმნ. თ. 3, მუხლ. 11—12*).

ახლა მოხუცი დამნაშავეებს დასჯის. აქაც წესსა და რიგს იცავს, ვინც პირველად დაიწყო, პირველი სილა მოხვდება. უფრთხილდეს, ვაი მისი ბრალი!

როგორც ვხედავთ, ადამი საკმაოდ მოსწრებულად ცდილობს ღმერთს: „ღმერთო ჩემო, განა ცოლი შენ არ მიბოძე? განა არ იცოდი, ვის მაძლევდი მეუღლედ?“

„და ჰრქვა უფალმან ღმერთმან დედაკაცსა: რაი ესე ჰყავ? და თქვა დედაკაცმან: გველმან მაცთუნა მე და გჭამე (*შექმნ. თ. 3, მუხლ. 13*). და ჰრქვა უფალმან ღმერთმან გველსა: რამეთუ ჰყავ ესე, წყეულ იყავნ შენ ყოველთაგან პირუტყვთა, და ყოველთაგან მხეცთა ქვეყანისათა. მკერდს ზედა და მუცელსა ხვიდოდე, და მიწასა შჭამდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა. და მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა, და ზორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა: იგი უმზირდეს თავსა შენსა შენ უმზირდე ბჭალსა მისსა“ (შექმნ. თ. 3, მუხლ. 14—15). ე. ი. გესლავდე, ფეხში კბენდეო ადამიანს.

გველის ამნაირი დასჯა ულაპარაკოდ ამტკიცებს, რომ ღვთისმეტყველნი უსირცხვილოდ ცრუობენ, როცა თავიანთი ჩვეული მანიით ატანილები, აქაც ეშმაკს ხედავენ და ქალის ცთუნებას სატანას მიაწერენ. ეშმაკი რომ ყოფილიყო დამნაშავე, რა თქმა უნდა, სასჯელსაც ის მიიღებდა და არა გველი.

არა, ადამიანთა შეცდენისათვის სასჯელს იღებს მხოლოდ გველი, როგორც ცხოველი, როგორც ველზე მობინადრე „ნადირი“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოდესღაც ამ ნადირსაც ჰქონდა ფეხები, მერე რაღაც დანაშაულისათვის ღმერთმა ეს წყალობა წაართვა და ხოხვა უბრძანა. ეს დანაშაული უთუოდ ადამიანთა ასე ბოროტად შეცდენა იყო, და ასეთი მძიმე სასჯელი დიდი უსამართლობა იქნებოდა, საქმის მოთავე რომ სხვა ყოფილიყო.

წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინმე თაღლითი პატიოსანი კაცივით გამოეწყო, მაგალითად, ეკლესიის მსახურის სახე მიიღო და ასე მიჰყო ხელი ყალთაბანდობას. რა მოხდება რომ ის ამხილონ, შეიპყრონ და სასამართლოში წაათრიონ? განა სასამართლო ეკლესიის მსახურს დასჯის? ცხადია, არა. ნამდვილ დამნაშავეს უკრავს თავს ვირის აბანოში. ეს უდავოა.

ამრიგად, ღვთისმეტყველნიც კარგს იზამენ, თუ ეშმაკის ზღაპარზე როტვას მოეშვებიან, სხვა ცოდვებს აკმარებენ და ქალის ცთუნებას აღარ დააბრალებენ. ეს ამბავი კრიტიკას ვერ უძლებს, უბრალო ცილისწამებაა. თუ ამ ზღაპარს მაინც არ დათმობენ, ერთი რამ მაინც უნდა ვაღიაროთ:

თვითონ ღმერთს ამ საქმეში ეშმაკის ხელი ვერ შეუმჩნევია და გველი უსამართლოდ დაუსჯია.

თუ მართალია, რომ ადამიანს სძაგს გველი, დანახვისთანავე ცდილობს თავი გაუჩეჩქვოს, ხოლო გველი ცდილობს ფეხში უკბინოს, სამაგიეროდ არის სასჯელის ერთი მხარე, რასაც გველი არ ეხება და ბიბლიის ლეშს არ ეკარება. ეტყობა, ღმერთმა აქ მხოლოდ „პირობითი სასჯელი" დაადო. საკვირველია, როგორ დაივიწყეს ასეთი დეტალი ბიბლიის ავტორებმა.

კიდევ ერთი კითხვა: რომელმა გველმა ითამაშა მაცდურის როლი? ანკარამ? მგუდავმა? სათვალიანმა გველმა? ეფამ? გიურზამ? გველთა ყველა სახეობას ვინ ჩამოთვლის!

დავუშვათ, რომ ქალბატონი ევა ანკარამ შეაცდინა. დავუშვათ, რომ ანკარის სასჯელი გავრცელდა მის ყველა შთამომავალზე, მაგრამ მახრჩობელამ რა დააშავა? ვთქვათ, ევამ ურჩობის დანაშაულში ადამი ვერ ჩაითრია, მაშინ ხომ მარტო დედაკაცი დაისჯებოდა? საცოდავი გველები! დაამავა ანკარამ და აგერ ძლოკიც, ბოა-კონსტრიქტორიც, ჩხრიალა გველიც, მახრჩობელაც, ასპიტიც და მათი მოდგმის უთვალავი სხვა ქვეწარმავალიც მიწა-მიწა დაძვრება, თუმცა მათი უდანაშაულობა აშკარაა.

„და დედაკაცს ჰრქუა: განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი, და სულთქმანი შენნი, მწუხარებით შვნე შვილნი შენნი, და ქმრისა შენისა, მიმართ იყოს მიქცევა შენი, და იგი გეუფლებოდეს შენ" *(შექმნ. თ. 3, მუხლ. 16)*. ე. ი. კაცი იყოს ბატონი შენიო!

ყველა კომენტატორი ერთი აზრისაა: რომ ასეთი სასჯელი დაედო არა მარტო ევას, არამედ მისი სახით ყოველ დედაკაცსაც უკუნითი უკუნისამდე. ნუ შევჩერდებით იმაზე, რამდენად უსამართლო და გიჟურია ეს განაჩენი, ეკადრება თუ არა ასეთი მსჯავრი ღმერთს. აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ თუ ევა გველის სისინს ყურს არ ათხოვებდა, შვილების ტანჯვით შობაც არ მოუხდებოდა. მაშასადამე, აქამდე სხვანაირი აღნაგობისა ყოფილა, პირველი მშობიარობის დროისათვის კი ანატომიური ცვლილებები განუცდია. ამრიგად, განაჩენის წარმოთქმისთანავე, წამიერად ყველაფერი ყირამალა დაუყენებია მრისხანე შემოქმედს. აი, ეს კი მართლაც ღვთის რისხვა და უფლის ხელია!

შემდეგ არც იმისი თქმა იქნება ზედმეტი, რომ ღმერთმა თავისი ძლიერების მიუხედავად ცხოვრებაში მაინც სავსებით ვერ გაატარა ეს სასჯელი: ბევრი ქალი ბავშვს თითქმის უმტკივნეულოდ შობს. მერე და, რამდენი ქალია ქვეყანაზე, ქმრის მორჩილება კი არა, დედოფლობს და დამონებულ ქმარს საბლით ატარებს! ასეთები ლეგიონობით არიან.

„ხოლო ადამსა ჰრქუა: რამეთუ ისმინე ხმა ცოლისა შენისა და სჭამე ხისაგან, რომლისა გამცენ შენ მისი ხოლო არა ჭამად, და მისგან სჭამე,

წყეულ იყავნ ქვეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჭამდე მისგან ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა.

ეკალსა და კუროსთავსა აღმოგიცენებდეს შენ, და სჭამდე თივასა ველისასა.

ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცეოდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ და მიწასა ცა მიიქცე“ *(შექმნ. თ. 3, მუხლი 17—19)*.

ღმერთმა დაუწყევლა მიწა ადამს, ტანჯვით ჭამეო პური! შენიშვნები აქაც იგივეა, რაც ზემოთ იყო. სასჯელი, რაც ადამს გამოუტანეს, მისი მოდგმის ყველა მამაკაცზე ვრცელდება. ამაზე არც ერთი ღვთისმეტყველი არ დავობს. მერე და განა ყველა ტანჯვით იწევს და ჭამს პურს? ზოგმა არც იცის, როგორ მოდის პური და ისე იყორავს მუცელს თეთრი პურით.

ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულისათვის ადამიანს სიკვდილით სჯიან. სიკვდილი — ყველაზე მძიმე სასჯელია. მართალია, ჩვენმა ჩინებულმა ღმერთმა მაშინვე დაივიწყა თავისი მუქარა, სულ ცოტა ხნის წინ რომ ასე გამოხატა: ვინც აკრძალულ ხილს შეჭამს, „სიკვდილით მოკვდებაო“ იმავე დღეს. მამა-ღმერთის ამ გულმავიწყობამ საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლე აჩუქა ადამსა და მის მემკვიდრეებს. თუ ბიბლიას ვერწმუნებით, ადამმა კიდევ 930 წელი იცოცხლა *(შექმნ. თ. 5, მუხლ. 5)*. მაგრამ ადამს რომ ვაშლი არ ეჭამა, არასოდეს არ მოკვდებოდა და ჩვენც ყველანი უკვდავნი ვიქნებოდით.

თუ ღმერთი მართლა ისეთია, როგორც ბიბლია გვიხატავს, კარგად მოქცეულა, რომ გველი დაამუნჯა და მეტყველების უნარი წაართვა, თორემ რამდენ რამეს გაამხელდა! უნდა ითქვას, რომ გველის სასჯელთა შორის დამუნჯება არაა ნახსენები.

ერთი შენიშვნაც ძალაუნებურად იჩენს თავს, ოფლით გაჟღენთილი პურის ამბავთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, თავდაპირველად პური არ იყო და ადამიანები იმით იკვებებოდნენ, რასაც მოიხელთებდნენ. მაგრამ ნუ ჩავუდგებით ღმერთს კრიჭაში. იქნებ ის მომავლის განათლებულ საზოგადოებას გულისხმობდა. ებრაელები, რომელთაც ბიბლიური თქმულებანი შექმნეს, მართლაც ჭამდნენ პურს მოგვიანებით, როცა ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ და მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი. მაგრამ ეკლესიის მსახურნი ამტკიცებენ, ბიბლია მარტო ებრაელებისათვის კი არაა შექმნილი, არამედ დედამიწაზე მობინადრე ყველა ხალხისთვის ერთნაირად სავალდებულო წიგნიაო. პურს კი მხოლოდ იმ ქვეყნებში ჭამენ, სადაც ხორბალი ხარობს, ჯეჯილი ბიბინებს, პური მოჰყავთ. ესკიმოსებმა არ იციან, რა ხილია ხორბალი. ინდოეთის, ამერიკის, ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის მრავალ მხარეში ადამიანები ნაყოფითა და ნანადირევით იკვებებიან.

შეიძლება გვითხრან, რომ სიტყვა „პური“ ღმერთმა გადატანითი მნიშვნელობით იხმარა, სანოვაგის ყველა სახეობას გულისხმობდა? მაინც რატომ არ გავრცელდა სასჯელი ყველაზე? თუ მშრომელები შრომობენ იმისათვის, რომ ჭამონ, თუ ადამიანთა უმრავლესობა გრძნობს, რომ თავისი მძიმე შრომით ადამის ცოდვა უნდა გამოისყიდონ, [illegible] ერთა ამა ქვეყნისათა, რომელთაც არმად ნაშოვნი [illegible] ძევი ქონება აქვთ? თუ ეს გაბღენძილი და შუბლიწრო მუქთახორები ოფლს ღვრიან, მხოლოდ ჭამა-სმაზე, ზედმეტი სიმსუქნისაგან. თუ მათი პური არსობისა ოფლით გაჟღენთილა, ეს ჭამის დროს მოხდა და არა მოპოვების დროს.

მომდევნო, მეთვრამეტე მუხლი პირდაპირ მტრულადაა განწყობილი ადამიანთა ტომის მიმართ. პური ჭამე და მინდვრის ბალახი, ცხოველთა მსგავსად, მერე კი მიწად იქეციო! ეკალი და კუროსთავი ამოგივა, „და სჭამდე თივასა ველისასაო“. დალოცვილო, ადამიანი განა პირუტყვია, თივა ჭამოს? ეკალი და კუროსთავი რა კაცის საჭმელია, რას გვემუქრება ბიბლია? მაგრამ ღმერთს გამოეპარა: ადამიანი კიდევ ბევრ რამეს მიირთმევს, პურისა და ბალახის გარდა. რატომ მეხს არ დაატეხს რესტორნებსა და სასადილოებს, სადაც მენიუდ ხორცეული ცხადდება?

მაგრამ აი, რა მოხდა განაჩენის გამოცხადების შემდეგ: „და უწოდა ადამ სახელი ცოლსა თვისსა ევა (ცხოვრება), რამეთუ იგი არს დედა ყოველთა მცხოვრებელთა“ *(შექმნ. თ. 3, მუხლ. 20)*.

ამ კეთილმა ქმარმა აქამდე ვერ მოისაზრა, რომ ცოლისათვის სახელი ეწოდებინა. უბრალოდ, ცოლს ეძახდა.

ახლა კი ვნახავთ, რომ, გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ღმერთმა ადამი და ევა სამოთხიდან მაშინვე კი არ განდევნა. ჯერ მამა ღმერთმა ლეღვის ხის ფოთლების კოსტუმი მეტად მარტივად მიიჩნია და თვითონვე იკისრა უკეთესის შეკერვა.

„და უქმნა უფალმან ღმერთმან და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი, და შემოსნა მით“ *(შექმნ. თ. 3, მუხლ. 21)*.

ამ ტანისამოსის დასამზადებლად საჭირო გახდა სრულიად უდანაშაულო ცხოველთა დაკვლა. მაშასადამე, პირველი საყასბო თვითონ უფალ ღმერთს გაუხსნია. ამის შემდეგ როგორ უნდა დავძრახოთ პირველყოფილი ადამიანები, რომლებიც ასე შეუბრალებლად დაკლულ-გატყავებული საქონლის ხორცს მიირთმევდნენ? „რა ეშმაკად მინდა მცენარეული საკვებიო!“— ალბათ იმთავითვე ეუბნებოდნენ ერთმანეთს.

უფალი ღმერთი ალბათ აღარც გააგდებდა ადამსა და ევას ედემიდან, რაც „შემოღობილს“ ნიშნავს, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ხელახლა არ შეხვედროდა შემოსილებს და არ გახსენებოდა „ცხოვრების ხე“, რომლის ნაყოფის ჭამაც პირველმა ქალმა და კაცმა საერთოდ ვერ მოისაზრეს.

„და თქვა ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩვენგანი, მცნიერი კეთილისა და ბოროტისა, და აწ ნუსადა მიყოს ხელი თვისი, და მოიღოს ხისა მისგან ცხოვრებისა და სჭამოს და ცხოვნდეს უკუნისამდე“ *(შექმნ. თ. 3, მუხლ. 22)*.

ასეთია მუხლი 22, რაზედაც „წმინდა წერილის“ ბაპტისტმღვდლები საერთოდ დუმილს ამჯობინებენ.

ამრიგად, ნათელი ხდება: ამ ორმა რეგვენმა, ადამმა და ევამ, რომელთაც არავინ არ აუკრძალა ცხოვრების ხის ნაყოფის ჭამა, ვერ ისარგებლეს ასეთი სიკეთით და სულელურად გაუშვეს ხელიდან ასეთი შემთხვევა. აი, ან ქალს ან კაცს რომ თავში მოსვლოდა აზრი: ვიდრე ღმერთი ნადირთა ტყავებისაგან ტანისამოსს გვიკერავს, ჯადოსნური ხილიც ვიგემოთო, მაშინ უჩვენებდნენ შემოქმედს სეირს. სასტიკი მსაჯული განაჩენს სისრულეში ვერ მოიყვანდა და ღმერთი უძლური აღმოჩნდებოდა.

მართლაც და, ჩვენს შორის რომ ვთქვათ, ხომ სასაცილოა „წმინდა“ ბიბლია, როცა დაკვირვებით კითხულობთ?

ეს „ერთიანი“, ერთარსება ღმერთი, რომელსაც უცებ წამოსცდება, რამდენიმე სხვა ღმერთიც არსებობსო, რა თქმა უნდა, ზედმეტსა ყბედობს. ამავე დროს ეს ყოვლისშემძლე უფალი იძულებულია იქვე თვითონვე აღიაროს, რომ უძლურია სისრულეში მოიყვანოს ის განაჩენი, რაც ესაა თვითონვე გამოიტანა. აბა წარმოიდგინეთ! ცოტა სითამამე, ცოტა საზრიანობა, და ადამი და ევა უკვდავნი გახდებოდნენ, ღმერთის ნებისა და სურვილის წინააღმდეგ წავიდოდნენ.

როგორ უნდა მიელოცა საკუთარი თავისათვის, როცა ბოლოს, როგორც იქნა, ძველმა ღმერთმა ეს დაწყევლილი „ცხოვრების ხე“ გაიხსენა? ცხადია, ჯავრი ადამზე იყარა:

„და გამოხადა იგი უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშვებელისა საქმედ ქვეყანისა, რომლისაგან მოღებულ იქმნა. და განხადა ადამ, და დაამკვიდრა იგი წინაშე საშვებელსა სამოთხისასა და დაადგინა ქერუბინი და მოტყინარე (ცეცხლოვანი) მახვილი იქცევისი დაცვად გზასა ხისა ცხოვრებისასა“ *(შექმნ. თ. 3, მუხლ. 23—24)*. ახლებურად რომ ვთქვათ, ადამი მიწის დასამუშავებლად გაუშვა, ცხოვრების ხის დასაცავად კი ცეცხლოვანი მახვილი აღმართა.

სიფრთხილის ღონისძიებები საიმედოა, ხომ მართალია? ეს ხერი „ცხოვრების ხე“ მოხუც „იელოჰიმს“ ყველაზე მეტად აწუხებდა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაბრუნებულიყვნენ ედემის ბაღში ადამი და ევა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რა გიჟური აზრი იყო ამ ხის შექმნა? მართლაც, ღმერთი ხომ მომავლის მენცარი იყო, ხომ უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენი ერთ-ერთი შორეული წინაპარი შესცოდავდა, აკრძალულ ხილს შეჭამდა და მთელი ადამის მოდგმა დასაღუპავი ან მკაცრად დასასჯელი

გაუხდებოდა? ასეთ პირობებში „ცხოვრების ხე“ მისთვის მხოლოდ დაბრკოლება იქნებოდა და არაფრად არ გამოადგებოდა. განა არ ჯობდა, რომ ღმერთს ის სულაც არ დაერგო[13]?

ხოლო ეს ქერუბინი, ცეცხლოვანი მახვილით ხელში, რომ დაუდგა ედემის ბაღის კარებთან — ეს რაღა მიჭარვაა კიდევ? განა თვითონ ღმერთს ერთი სიტყვით, თავისი ნებითვე არ შეეძლო გაეცამტვერებინა ხე, რომელიც ამიერიდან ყოველგვარ აზრს კარგავდა? ღმერთმა ეს ვერ მოისაზრა.

თამამ მოხალისეებს ეძებენ! ვის სურს სამოთხის მაძიებელთა ექსპედიციაში ჩაეწეროს. რაკი უფალმა ღმერთმა ასეთი ღონისძიება მიიღო, ხმალამოღებული ქერუბინი დააყენა ედემის შესასვლელთან, რათა ამნაირი პრიმიტიული საშუალებით დაეცვა „ცხოვრების ხე“ ადამიანთა ხელყოფისაგან, მაშასადამე ეს ჯადოსნური ხე სადმე ნამდვილად არსებობს! თუ ტიგრისა და ევფრატის მხარეში კვლევა-ძიებას ჩავატარებთ და სადმე ბაღის შესასვლელთან ვნახავთ ქერუბინს, რომელსაც ხელში ცეცხლოვანი მახვილი უჭირავს, თამამად შეგვიძლია წამოვიძახოთ:

— მოვედით! აი, სამოთხე, რაც ღმერთმა შექმნა![14]

თუმცა ერთი ესეცა ვთქვათ, ვინ არის ეს დარაჯი? „დაბადების“ ძველებრაულ ტექსტში ნახმარია სიტყვა „ქერუბ“, რაც მომდინარეობს სიტყვიდან „ქარაბ“-„ხვნა“ და ნიშნავს „ხარს“. ძველი ებრაელები ხშირად ბაძავდნენ თავიანთ მეზობლებს და მოგვიანებით დამპყრობელებს — ბაბილონელებს, არა მარტო ყოფაცხოვრების საკითხებში, არამედ რელიგიის თვალსაზრისითაც. მაგალითად, მათ დაიწყეს უზარმაზარი ხარების გამოძერწვა, რაღაც თავისებური სფინქსებისა, რომელთაც ტაძრებში დგამდნენ. ამ რთულ ცხოველებს ორ-ორი სახე ჰქონდათ: ადამიანისა და ხარისა, აგრეთვე ფრთები, ადამიანთა ფეხები და ხარის ჩლიქები. ქრისტიანმა ღვთისმეტყველებმა მათი სახელი გადააკეთეს: ქერუბი აქციეს ქერუბინიად ანუ ქერუბიმად. ქერუბიმი კი პატარა ლოყებღაჟღაჟა ანგელოზია, რომელსაც არა აქვს სხეული და საერთოდ არაფერი, გარდა კოხტა თავისა და ორი პატარა ფრთისა. საეკლესიო სამკაულებში ასეთ ქერუბიმებს რამდენიც გინდათ, იმდენს ნახავთ. ადვილი შესაძლებელია, რომ მიწიერი სამოთხის მეკარე ანგელოზი ნაკლებად შეეფერება გულუბრყვილო მორწმუნეთა წარმოდგენებს და ბიბლიაში აქ ლაპარაკია არა ანგელოზზე, არამედ, პირიქით, იმავე „ქერუბზე“, ძველი ებრაული გაგებით რომ ორი თავი ჰქონდა, მათ შორის ერთი ხარისა. მოგზაურებს ეს ცნობა დაეხმარება, რომ სამოთხის დარაჯი შორიდანვე გამოიცნონ. ხოლო თუ ეს ქრისტიანული ტიპის ქერუბიმია, უსხეულო და უხელო, მაშასადამე, ალმოდებული მახვილი კბილებში უჭირავს, და ეს მით უფრო იოლად მიიქცევს ცნობისმოყვარეთა ყურადღებას.

ჩვენ უფრო მეეზოვის ფიგურის მხარეს ვიხრებით, რომელსაც ნახევრად ხარის თავი ექნება, ნახევრად ადამიანისა.

ამრიგად, თამამად გავეშუროთ სამოთხის საძებნელად. თუმცა შიშს ვერ შევიდეთ, მოგზაურობა მაინც საინტერესო იქნება: სამოთხეს გარშემო ვიხეტიალებთ და გეოგრაფიულ რუკაზე გადავიტანთ, თორემ ასეთი მნიშვნელოვანი კუთხე მსოფლიოს რუკაზე დღემდე თეთრი ლაქითაა დაფარული, და ეს ხომ დიდი ხარვეზია!

თავი მესამე

პირველ ადამიანთა მოკლე ისტორია

აბადების“ მეოთხე თავი იწყება მოკლე და საკმარისად ნათელი შენიშვნით: ადამიანთა მოდგმის მამამთავრებმა სამოთხიდან განდევნის შემდეგ უწინარეს ყოვლისა იმისათვის იზრუნეს, რომ უმემკვიდროდ არ გადაგებულიყვნენ და შთამომავლობა დაეტოვებინათ.

„ხოლო ადამ იცნა ევაი, ცოლი თვისი. მიუდგა და შვა კაინ. და თქვა: მოვიგე კაცი ღვთისა მიერ. და შესძინა შობად ძმაი მისი აბელ“ *(შექმნ. თ. 3, მუხლ. 1—2)*.

ჩვენმა ღვთისმეტყველებმა, ბიბლიას რომ წაღმა-უკუღმა ატრიალებენ, აქაც გამონახეს სადავო საგანი. ზოგიერთები, ეტყობა, ზემოთ დამოწმებულ ტექსტს საკმაოდ გაშუქებულად ვერა თვლიან, და ამ ცნობის საწინააღმდეგოდ ამტკიცებენ, ადამმა და ევამ ედემშივე იცხოვრესო ერთად. დანარჩენები კი ბიბლიას იმოწმებენ და ამტკიცებენ, ადამს ევასთან ცხოვრება არც განუზრახავს, ვიდრე ედემიდან განდევნიდნენო.

უთანხმოება ამით არ დამთავრებულა. ღვთისმეტყველნი ასეთი საკვირველი ნიშნის მისედვითაც გათიშულან: თუ ადამმა და ევამ ცოლქმრული ცხოვრება მხოლოდ სამოთხიდან განდევნის შემდეგ მოისაზრეს, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს მაშინვე მოხდა. მაშ როდის? მაინც როდის დაიწყო პირველ ადამიანთა თანაცხოვრება? ღვთისმეტყველთ სურთ ყველაფერი იცოდნენ. ეს საოცრად ცნობისმოყვარე ხალხია, მეტადრე ასეთ საკითხებში. ადამმა თხუთმეტი, მთელი ოცდაათი წლით შეიკავა თავი, ვიდრე ცოლს გადაჭრით „მიუდგებოდაო“, ამტკიცებენ. ზოგიერთები უფრო შორსაც მიდიან და სრულიად სერიოზულად გვარწმუნებენ, ადამმა და ევამ, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, თავიანთი ცოდვის გამოსყიდვის მიზნით, საერთო საწოლზე უარი თქვეს მთელი... ასი წლის განმავლობაშიო.

თქვენ ფიქრობთ, რომ სულ ეს არის? აჰ, რა ცუდად იცნობთ ღვთისმეტყველთა მეტყველებას! ზოგმა მიაგნო ისეთ ლეგენდას, რომლის თანახმადაც ადამს უმანკობის ფიცი მთელი ას ორმოცდაათი წლის მანძილზე არ დაურღვევია, სულ კი იმ ავბედითი „აკრძალული ხილის“ მიზეზით, და ამ ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ვინმე ლილიტასთან, რომელიც მასავით თიხისაგან იყო გამოძერწილი. ამ ხასასთან უზნეო ცხოვრების შედეგად

თურმე რამდენიმე ქაჯი და ეშმაკი ეყოლა[15]. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ, როცა ღმერთმა განკვეთა მოხსნა, ადამმა ევა შეირთო, მხოლოდ მას შემდეგ ეყოლა შვილები, ადამიანები. ბოლოს, იყვნენ ისეთი კომენტატორებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ: სამოთხიდან განდევნის შემდეგ გარკვეული დროით ევა ეშმაკმა ჩაიგდო ხელში და ცოლად შეირთო.

ახლა ევას მშობიარობის ამბავს არ იკითხავთ? კეთილმა ებრაელებმა აქაც ნახეს ამოუწურავი მასალა კეთილმსახურული განსჯისა და „მეცნიერული“ კვლევისათვის. მაგალითად, სრულიად სერიოზულად არკვევდნენ საკითხს, ჰქონდათ თუ არა ადამსა და ევას ჭიპი[16].

მაგრამ ეს ყველაფერი სასაცილო წვრილმანებია. გადავიდეთ იმაზე, რაც სრულიად სერიოზული და არსებითია. ბიბლიაში სერიოზულ ამბავსაც შეუძლია მხიარულ გუნებაზე დაგვაყენოს და ბევრი გვაცინოს.

„და იქმნა აბელ მწყემსი ცხოვართა, ხოლო კაინ იყო მშრომელ ქვეყანისა“ (*შექმნ. თ. 4, მუხლ. 2*).

გთხოვთ ერთი წუთით დაფიქრდეთ: ადამის ორი შვილიდან რომელმა გაუგონა ღმერთს პროფესიის არჩევის საქმეში, როგორ იტყვით? რა თქმა უნდა, კაინმა, რადგანაც ღმერთმა ადამიანს უბრძანა, მიწა დაამუშავე და მინდვრის ბალახი ჭამეო. აბელი კი მწყემსი გახდა. რაკი ცხვარში წავიდა, ცხადია, იმისათვის არ წავიდოდა, რომ სალამური დაეკრა და დამტკბარიყო იმის ცქერით, როგორ ძოვდა ცხვარი ბალახს. უთუოდ ყელსაც ღადრავდა და მოხრაკულს შეექცეოდა. როგორც ვხედავთ, აბელმა აშკარად დაარღვია ღმერთის კატეგორიული მოთხოვნები და დარიგებები. მაგრამ განა ამან ხელი შეუშალა, რომ ღმერთს თავის უსაყვარლეს პირმშოდ ეღიარებინა? სიმართლე რომ ითქვას, ძვირფასო ღვთისმეტყველნო, თქვენი უფალი ღმერთი მონასტრის სენაკებში კი არ უნდა გყავდეთ, არამედ შესაფერის სამკურნალო დაწესებულებაში.

„და იყო შემდგომად დღეთა, მოართვა კაინ ნაყოფთაგან ქვეყანისათა მსხვერპლი უფალსა. და აბელცა მოართვა პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცმელთაგან მათთასა და მოიხილა ღმერთმან აბელს ზედა და ძღვენთა მისთა ზედა. ხოლო კაინს ზედა და მსხვერპლთა მისთა ზედა არა მიიხილა და შეწუხნა ფრიად, შეიჭუნა პირი მისი (*შექმნ. თ. 4, მუხლ. 3—5*), ე. ი. თავი დახარა შეწუხებულმა.

როგორც გენებოთ და მიზეზიც ჰქონდა, რომ წარბი შეეკრა. ღმერთმა ხომ აქ ჭირვეულობა გამოიჩინა, უსამართლოდ მოექცა[17].

„და ჰრქუა უფალმან (ღმერთმან) კაინს: რაიდ შეიჭვნა პირი შენი? არა მართლიად შემოწირე, არცა მართლიად არა განჰყავ, სცოდე. ჰსდუმენ და იყავნ შენდამი მიქცევაი მისი, და შენ მსთავრობდე მას“ (*შექმნ. თ. 4, მუხლ. 6—7*).

ბიბლია არ გვეუბნება, რა უპასუხა აბელმა ღმერთს. უნდა ვაღია-

როთ, რომ მეშვიდე მუხლში გადმოცემული აბდაუბდა, აბელს კი არა, სოლომონ ბრძენსაც დააბნევდა. პასუხის გაცემა ძნელია. კაინი არ იყო წინასწარმეტყველი, თორემ ასე ეტყოდა:

— მაშ თქვენ მსხვერპლად ხორცეულს ამჯობინებდით, არა, ღრმად პატივცემულო ღმერთო-ბატონო? კეთილი! მაგრამ თქვენ ძღვენით მაგალითს, რასაც აჰყვება ყველა წარმართი ქურუმი. თქვენ სამწუხაროდ იმ გემოვნებას, რასაც ყოველი კერპი გაიზიარებს. ოდესმე ეს გემოვნება ღმერთებისათვის შეუფერებლად გამოცხადდება... და მერე ვისგან? თვით სარწმუნოების მსახურთა, ბიბლიის მიმდევართაგან!

მაგრამ კაინმა არაფერი უპასუხა. ეს კაცი, რომელმაც ამდენი ჯაფა გასწია კვახის მოსაყვანად, ასეთი რჩეული წვნიანი ნესვი მიართვა ძღვნად უფალ ღმერთს, მიხვდა, რომ ღმერთი დასცინის, და ისე ეწყინა, რომ თავდაპირველად თავგზა დაებნა. ჰოდა, იმის მაგიერ, რომ თავის ჭირვეულსა და რეგვენ ღმერთზე გაბრაზებულიყო, ჯავრი ძმაზე იყარა.

„და ჰრქვა კაინ აბელის მიმართ, ძმისა თვისისა: განვიდეთ ზოგად ველად. და იყო ყოფასა მათსა ველსა, აღდგა კაინ აბელის ზედა, ძმისა თვისისა, და მოკლა იგი“ *(შექმნ. თ. 4, მუხლ. 8)*.

მოკლედ და ნათლადაა თქმული. კაინი სწრაფი ყმაწვილია, ყოყმანი არ უყვარს. თავის ღვიძლ ძმას ველზე გაიტყუებს რაიმე საბაბით, თუნდაც პეპელების დასაჭერად, გაიმარტოვებს, ჩხუბს აუტეხს რაღაც წვრილმანზე, შემდეგ თავში წერაქვს დაჰკრავს და მორჩა — წირვას გამოუყვანს! უცნაური ამბავი ხდება. კაცთა მოდგმის ისტორიაში პირველად კვდება ღმერთის უსაყვარლესი რჩეული — მწყემსი აბელი.

რა ხდება ამის შემდეგ კაინის თავში? შეაძრწუნა თავისი დანაშაულის შეგნებამ თუ არა? საქმე არა გაქვთ? იმავე წუთიდან იქცევა გამოუსწორებელ ავაზაკად და ნამდვილ კატორღელად. მოულოდნელად ამჟღავნებს არაჩვეულებრივ უტიფრობას ღმერთის წინაშე, არავითარ შიშს არ განიცდის.

„და თქვა უფალმან ღმერთმან კაინის მიმართ: სადა არს აბელ, ძმა შენი? და თქვა: არა უწყი. ნუ უკუე მცველი ძმისა ჩემისა ვარ?“ *(შექმნ. თ. 4, მუხლ. 9)*.

პირდაპირ თვალწინ დაგიდგებათ ასეთი სურათი: მამა-ღმერთი ღრუბლებიდან თავს გამოჰყოფს და მკვლელს ეკითხება, ის კიდევ პროფესიონალური ბოროტმოქმედის უზადო სიმშვიდით გადააფურთხებს, დარწმუნებული, რომ დანაშაულის კვალი ჩინებულად დაფარა, სამძებრო ორგანოებს პირში ჩალა გამოავლო, და ეს საქმე მას ტყუილად ეკითხება. მაგრამ ღმერთიც ფხიზლადაა, შემთხვევის არც ერთი დეტალი არ დარჩენია უყურადღებოდ. მისი ღვთაებრივი თვალი ამჯერადაც ჯეროვან სიმაღლეზე აღმოჩნდა.

„და თქვა უფალმან: რაი ესე ჰყავ? რამეთუ ხმაი სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩემდამო ქვეყანით“ (შექმნ. თ. 4, მუხლ. 10).

აშკარაა, კაინს სასტიკი სასჯელი არ ასცდება. ღმერთი მას წყევლის და აცხადებს:

„რაჟამს შვრებოდი ქვეყანასა, არა შესძინოს ძალი თვისი მოცემად შენდა. კვნესით და ძრწოლით იყო ქვეყანასა ზედა“ (შექმნ. თ. 4, მუხლ. 12).

კაინს მიწა დაუწყევლეს, მოსავალი წაუხდება, მაწანწალობა უნდა დაიწყოს, თავის დღე და მოსწრება უსახლკაროდ უნდა იხეტიალოს, ყარიბმა და მიუსაფარმა. მაგრამ ნება გვიბოძეთ, ძვირფასო ღმერთო! თუ თავისი ხეტიალის დროს არც სიმშვიდე ექნება, არც დასვენება, მაშინ რაიარად უნდა ხნას და თესოს? ასეთი საქმიანობა ხომ დასახლებას ითხოვს. როგორღა უნდა გასწიოს მიწათმოქმედება, თუნდაც ფუჭად და უნაყოფოდ?

ბიბლიის კაინმა ეს ამბავი გულთან მიიტანა. ძალიან შეეშინდა და შიშისაგან ისიც კი დაავიწყდა, რომ დედამიწის მოსახლეობას სულ სამი სული შეადგენს: თვითონ ისა და მისი დედ-მამა. ყოველ ნაბიჯზე მკვლელი ელანდება: ვაი თუ სადმე კუთხეში ბოროტმოქმედი გამომიხტეს და სული გამაცხებინოსო!

„და თქვა კაინ უფლისა მიმართ ღვთისა: უფროს არს ცოდვა ჩემი მოტევებისა ჩემისა. (ე. ი. ასეთ მძიმე სასჯელს ვერ ვზიდავო) და უკეთუ განმაძებ მე დღეს პირისაგან ქვეყანისა, და პირისაგან შენისა დავიმალო, და ვიყო მე კვნესით და ძრწოლით ქვეყანასა ზედა; და იყოს ყოველმან, მპოვნელმან ჩემმან, მომკლას მე“ (შექმნ. თ. 4, მუხლ. 13—14).

უფლის რისხვა მაშინვე განელდა. რეალური სინამდვილის გრძნობა დაკარგა, დაავიწყდა, რომ დედამიწა დაუსახლებელია, და მაშინვე თავის მფარველობაში აჰყავს კაინი, რომ უჩინარმა მკვლელმა არ იმსხვერპლოს. თუ ეს ბოდვა არ არის, მაშინ გაგვაგებინეთ, რა არის?

„და ჰრქვა მას უფალმან ღმერთმან: არა ეგრეთ, ყოველმან მომკვლელმან კაინისამან შვიდნი შურისძიებანი დახსნნეს. და დასდვა უფალმან ღმერთმან სასწაული კაინს, არა მოკვლად მისსა ყოვლისაგან მპოვნელისა მისისა“ (შექმნ., თ. 4, მუხლ. 15).

აქ ძალაუნებურად ელოდები შემდგომი თავგადასავლის მოყოლას. თქვენც არ მომიკვდეთ! კაინი ნამდვილი შინაყუდაა, ტოლი არა ჰყავს. რომელი „მაწანწალა“, კერას არ გასცილებია კაცი! არ გჯერათ?

„და გამოვიდა კაინ პირისაგან ღვთისა, და დაემკვიდრა ქვეყანასა ნაიდს, წინაშე ედემისა. და იცნა კაინ ცოლი თვისი, და მიუდგა, და შვა ენოხ. და აღაშენა ქალაქი, და უწოდა ქალაქსა სახელი ძისა თვისისა: ენოხ“ (შექმნ., თ. 4, მუხლ. 16—17).

აქ ვგებულობთ, რომ კაინმა ცოლი მოიყვანა. ავტორი არ გვეუბნება, ვინ, მაგრამ აშკარაა, ადამსა და ევას ქალიშვილებიც ჰყვოდათ, ოღონდ ბიბლია მათ ხსენების ღირსად არა თვლის, დაკარგულ ქართველთა ერთერთი და შეირთო. ამისათვის ბრალს არა ვდებთ. სამოთხიდან გაცხრიობის აკვანში „დაბადების“ მიხედვით აუცილებელი გახლდათ.

მაგრამ გაოცებისაგან რომ გვახტუნებს, ესაა კაინის მიერ დაარსებული ქალაქი. ეს უკვე მეტისმეტია! მაწანწალა ქალაქს აშენებს! მუშები სადღა გამონახა? კალატოზები, კირითხუროები, ზეინკლები, ქვისმტეხელნი არ უნდოდა? რა იარაღები ჰქონდა, რა ხელსაწყოები? მერე და, საიდან მოიყვანა ამ სახელოვანი ქალაქისათვის საჭირო მოსახლეობა? წმინდა წერილის კეთილმსახური ავტორი აქ ისეთ ტყუილს აცხობს, რომ მკვდარს ფეხებს გააქნევინებს.

მომდევნო მუხლები კაინის შთამომავალთა ამბავს მოგვითხრობენ. ენოქმა შვა ირადი (ღაიდადი)*, ირადმა შვა მაჰიაელი (მალელეილი), მაჰიაელმა შვა მათუსალა. მათუსალამ შვა ვიღაც ლამეხი, რომელიც ქორწინების საქმეში ბევრად უფრო გაუმაძღარი იყო, ვიდრე მისი კეთილშობილი წინაპრები. პატივცემული ლამეხი მრავალცოლიანობის გამომგონებელი გახლავთ: პირველად ორი ცოლი მოჰყავს. ერთმა, ადამ, ორი ვაჟი აჩუქა: იაბალი და იუბალი. მეორე ცოლისაგან, რომლის სახელია ცილა (სელლაი), ეყოლა თუბალკაინი (თობელი) და ასული ნოემაი.

ეტყობა, იაბალის შვილებმა ქალაქს მინდორ-ველების სუფთა ჰაერი ამჯობინეს, მიატოვეს პაპის აშენებული ქალაქი და დედამიწაზე პირველნი დასახლდნენ კარვებში *(მუხლ. 20)*. იუბალის შვილებს კი, პირიქით, ქალაქი მოეწონათ. ყველაზე უფრო მხიარულნიც გამოდგნენ: მუსიკა უყვარდათ. იუბალი „იყო გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა“ *(მუხლ. 21)*.

მრავალცოლიან ლამეხს, ეტყობა, ცოტა უქროდა. დიდი ჭკუის კოლოფი რომ არა ყოფილა, ეს ჩანს მისი ერთ-ერთი სიტყვიდან, რასაც დაბადება იმოწმებს და ერთი კარგი ღირსება აქვს: მოკლეა. მაგრამ ვერასოდეს ვერც ერთმა კომენტატორმა ის გარკვევით ვერ ახსნა:

„და ჰრქვა ლამექ ცოლთა თვისთა: ადაი და სელლაი! ისმინეთ ხმისა ჩემისა ცოლთა ლამექისთა, და ყურად იხვენით სიტყვანი ჩემნი: რამეთუ კაცი მოვჰკალ წყლულებად ჩემდა, და ჭაბუკი საგვემელად ჩემდა. რამეთუ შვიდგზის შური ძიებულ არს კაინისაგან, ხოლო ლამექისაგან სამეოცდა ათ შვიდგზის“ *(შექმნ. თ. 4, მუხლ. 23—24)*.

ამ სიტყვამ ორივე ცოლზე საშინლად იმოქმედა: როგორც ჩანს,

---

* ფრჩხილებში მოქცეულია ბიბლიურ სახელთა ის ვარიანტები, რომლებიც დაბადების ძველ ქართულ თარგმანშია მოცემული.

სრულიად შეძრწუნებულნი ბრინჯივით დაიბნენ, ამ ფიცხელი ბაქიობით გაოგნებულებმა ახსნა-განმარტებაც კი არ ითხოვეს.

აქედან „შექმნათა“ წიგნი პირდაპირ გადადის ადამის მესამე შვილის, სეითის დაბადების ამბავზე.

„ხოლო ადამ იცნა ევაი ცოლი თვისი, და მიდგომილმან შვა ძე და უწოდა სახელი მისი: სეით, მეტყველმან: რამეთუ აღმადგინა მე ღმერთმან მან თესლი სხვაი ნაცვლად აბელისა, რომელი მოკლა კაინ. და სეით შვა ძე, და უწოდა სახელი მისი ენოს. ესე ესვიდა და ხადოდა სახელსა უფლისა ღვთისასა“ (*შექმნ. თ. 4, მუხლ. 25—26*).

მომდევნო, მეხუთე თავი მთლიანად ნოეს შთამომავლობას ეძღვნება. ნოე ადამის შვილიშვილია, სეითის ძე. კაინის შთამომავლობა განზე რჩება და მეტად აღარ იხსენიება.

შეგვიძლია თვალი გავაყოლოთ საგვარეულო ხის ზრდა-განვითარებას, ოღონდ დასახელებული არიან მხოლოდ უფროსი შვილები: სეითი, ენოსი, კაინანი, მაჰიაელი, იარედი, ენოქი, მათუსალა, ლამექი, ნოე. ამ თავში ყველაზე უფრო საინტერესოა ყველა ამ პატრიარქის არაჩვეულებრივი დღეგრძელობის ამბავი: ადამი 130 წლისა იყო, როცა სეითი შეეძინა, და კიდევ 800 წელი იცოცხლა. სეითი 912 წლისა გარდაიცვალა. ენოსმა 905 წელი გაძლო, კაინანმა — 910 წელი. ყველაზე უფრო ახალგაზრდა მოკვდა ლამექი, ნოეს მამა. ეს ლამექი (რომელიც არ უნდა ავურიოთ მოსულელო ორცოლიან ლამეხთან) 777 წლისა გახლდათ, როცა მიიცვალა.

ენოქი, იარედის შვილი, ყველაზე უფრო მარჯვე გამოდგა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ის საერთოდ არ მომკვდარა.

„და ცხოვნდა ენუქ ას სამეოცდა ხუთ წელს, და შვა მათუსალა. ხოლო სათნო ეყო ენუქ ღმერთსა, და ცხოვნდა ენუქ, შემდგომად შობისა მის მათუსალაისსა, ორას წელ, და შვნა ძენი და ასულნი. და იქმნნეს ყოველნი დღენი ენუქისანი სამას სამეოც და ხუთ წელ. და სათნო ეყო ენუქ ღმერთსა და არა იპოვა, რამეთუ გარდასცვალა იგი ღმერთმან“ (*შექმნ., თ. 5. მუხლ. 21—24*).

ღმერთმა წაიყვანაო! ეს ბრწყინვალე შემთხვევაა. რა მნიშვნელობა აქვს, თუ რა ახსნა-განმარტებები მისცეს ამ მოვლენას ღვთისმეტყველებმა: მათგან არაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს.

საპატიო თასი დღეგრძელობისათვის მაინც მათუსალას ერგო, ცაში ცოცხლად წაყვანილ ენუქის შვილს: ო, რა ჯანმრთელი გამოდგა! მერე როგორ უფრთხილდებოდა თავს! 187 წელიწადი ქალს არ გაეკარა და მხოლოდ ასეთი თავშეკავების შემდეგ მისცა თავს ნება შეეკრა საქორწინო კავშირი, რისი ნაყოფიც იყო ლამექ II . შემდეგ კიდევ იცოცხლა 782 წელი, ამ ხნის განმავლობაში კი სიამოვნებას არ იკლებდა.

„და ცხოვნდა მათუსალა, შემდგომად შობისა მის ლამექისა, რვაას და ორ წელ, და შვა ძენი და ასულნი“ *(შექმნ., თ. 5, მუხლ. 26)*.

სულ 969 წელი! გეეჭვებათ? როგორ გეკადრებათ, უწინ ადამიანები ასე დღეგრძელნი იყვნენ.

ახლა რას იტყვით ლამექის შვილზე? მას მშობელმა ნოე უწოდა, „მეტყველმან: ამან განმისვენოს ჩვენ საქმეთაგან ჩვენთა [და შრომისა ხელთა ჩვენთა]ბათაგან ხელთა ჩვენთასა, და ქვეყნისაგან, რომელი დაწყევა უფალმან ღმერთმან“ *(შექმნ., თ. 5, მუხლ. 29)*.

„და იყო ნოე წელიწადთა ხუთასთა, და შვა სამნი ძენი: სემ, ქამ და იაფეტ“ *(შექმნ., თ. 5, მუხლ. 32)*.

კაცმა რომ ხუთასი წელი უმანკოდ იცხოვრო და მხოლოდ მაშინ დაუწყო ცოლს კოცნა... თუმცა, ჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს!

ბევრი მელანი დაღვრილა პატრიარქების უჩვეულო დღეგრძელობის საკვლევ-საჩხრეკად. კათოლიკე სწავლულნი-ღვთისმეტყველნი გრძნობდნენ, რა ძნელია ასეთი მონაჭორის მონელება, და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ ეხსნათ „წმინდა წერილი“ დაცინვისაგან. რას არ ვარაუდობდნენ: იქნებ წლებში მხოლოდ მთვარის მოქცევანი იგულისხმებაო, რადგან იმ ხანებში წლებს თურმე მხოლოდ მთვარის მიხედვით ანგარიშობდნენ. ამ ანგარიშით გამოდიოდა, რომ მათუსალამ მხოლოდ 80 წელი იცოცხლა. მაგრამ ასეთ გონიერ კომენტატორებს პირდაპირ ალყა შემოარტყეს გაშმაგებულმა ფანატიკოსებმა, რომელთაც ბრმად სწამთ ბიბლიის ყოველი ასო. ეს მართლმორწმუნენი დაჟინებით მოითხოვენ, წელიწადში თორმეტი თვე უნდა ვიგულისხმოთ, თორემ ის მთელი ბიბლია სასაცილო გახდებაო. მაგალითად, აბრაამი, თანახმად „დაბადებისა“, „მოკვდა სიბერესა შინა კეთილსა, მოხუცებული და სავსე დღეთაგან“ *(შექმნ. თ. 25, მუხლ. 8)* 175 წლისა. თუ წლებს აქაც მთვარის მოქცევის მიხედვით ვიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ აბრაამს უცოცხლია სულ 14 წელი და შვიდი თვე, რაც „უდღეურ ბერიკაცს“ გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს. კიდევ ერთი მაგალითი: ბიბლია ამბობს, რომ ენოსმა, კაინანმა, მაჰიაელმა პირმშო შვილები მაშინ „შვეს“, როცა 90, 70 და 65 წელი შეუსრულდათ. თუ აქაც მთვარის მიხედვით ვიანგარიშებთ, ხსენებულ პატრიარქებს დაახლოებით შვიდი, ექვსი და ხუთნახევარი წლისას ჰყოლიათ პირველი შვილები. დაბოლოს, ბიბლიის მიხედვით, ნაქორს შვილი 29 წლისას ეყოლა. „განა შეიძლება დავუშვათ, — გაიძახის ერთი კეთილმსახური კომენტატორი, — რომ როცა ნაქორს პირველი შვილი ეყოლა, მხოლოდ ორი წლისა და ხუთი თვისა იყო?!“

რა თქმა უნდა, კულტის უფალო მსახურნო, ბიბლია წელიწადს ეძახის 12 თვეს. ასე რომ, უაღრესად თავშესაქცევი ამბავია, რა ჭკუის კარნახით იცდიდა გულუბრყვილო ნოე, როდის მიუკაკუნებდა კარვის კარზე 500 წელი, რათა სქესობრივი ცხოვრება დაეწყო?

აქა ამბავი ანგელოზთა მიჯნურობისა დედამიწაზე

ვენ ვშლით ბიბლიის ერთ-ერთ [illegible] თავშესაქცევ ფურცელს. ამ ფურცლის [illegible] „წმინდა წერილის“ მოკლე სახელმძღვანელოებიდან საუკეთესოდ ახასიათებს ეკლესიის მსახურთა უსირცხვილობას, ასე ხელმარჯვედ რომ ამახინჯებენ და ასხვაფერებენ რწმენის დოგმატებს. ეკლესიის „წმინდა“ მამები ყველა ყაიდაზე გაიძახიან, ბიბლია ღვთაებრივი წიგნიაო, უშუალოდ ღმერთის კარნახით დაიწერაო, მისი ყოველი სიტყვა ჭეშმარიტებაა, თანაც უზენაესი და ყველაზე უფრო სრულყოფილიო, ამიტომაც ეს წიგნი ყველაზე უფრო გულწრფელი მოწიწების ღირსიაო. მაშინ რატომ არ გააცნობენ ეკლესიის მსახურნი მორწმუნეებს ამ წიგნს უკლებლივ, მის ყოველ მუხლს? რატომ აკლებენ და ჩქმალავენ დაბადების ცალკეულ ადგილებს? თუ წმინდა წიგნია, იყოს წმინდა წიგნი ისე, როგორც არის, როგორც შეიქმნა, როგორც ღმერთმა უკარნახა მის დამწერთ. ხოლო თუ იქიდან ამოვაგდებთ მთელ რიგ ადგილებს, რომლებიც საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ცალკეულ დებულებებს, სარწმუნოების დოგმატებად გამოცხადებულთ, ეწინააღმდეგებიან, მაშინ, უბრალოდ, მთელი წიგნი უნდა გადავაგდოთ. ის გაუქმებულა, აღარ ყოფილა წმინდა, ძაგების ღირსი გამხდარა, რაკი ყოველდღე ცვლიან. ყოველგვარი იდეის, რწმენისა თუ მოძღვრების ერთი ცალკეული ადგილის სიცრუე უკვე საიმედო საბუთია, რომ მთელი წიგნის ღვთაებრივი წარმოშობა უარვყოთ.

სინამდვილეში ასეა: როგორც კი ნოეს ახსენებენ, რელიგიის მჭადაგებელნი მაშინვე გადადიან წარღვნის ამბავზე, ამასთან ამტკიცებენ, რომ ადამიანთა გარყვნილებამ ღმერთი განარისხა, აიძულა წარღვნა მოევლინა და მთელი ადამის მოდგმა შეემუსრა, ერთადერთი ნოეს ოჯახის გარდა, რომლის უფროსიც ვითომ ბოლომდე კეთილმსახური დარჩა.

ეს ბიბლია არაა! „დაბადება“ სხვას ამბობს. მეექვსე თავის ოთხი მუხლი ადამიანთა წახდენის ნამდვილ მიზეზს გვამცნობს. ბატონო ეკლესიის მესვეურნო, თქვენ არა გაქვთ უფლება გვერდი აუაროთ თქვენი „წმინდა წერილის“ ამ ეპიზოდს! თუ ის უხერხულ მდგომარეობაში გაყენებთ, მით უარესი: არ უნდა ეკარნახა ასეთი საჩოთირო რამეები სულიწმინდას მოსეს ხუთი წიგნის ავტორისათვის. ეს აბი ცოტა მწარეა, მაგრამ წმინდა

მასწავლებლები და ეკლესიის მამები უკვე მიჩვეულნი არიან, ოდესღაც ბევრი ყლაპეს. ახლა თქვენი რიგია — ყლაპეთ თქვენცა. სიმართლე არავის აწყენს.

აბი, რომლის გადაყლაპვასაც თანამედროვე ღვთისმეტყველნი ერიდებიან და ცდილობენ პირიდან ისე გადმოაგდონ, ვერაგად „შეიცვალოს შექმნათა“ მეექვსე თავის პირველი მუხლებია.

„და იყო, რაჟამს იწყეს კაცთა განმრავლებად ქვეყანასა ზედა, და ასულნი იშვნეს მათდა. ხოლო იხილნეს რა ძეთა ღვთისათა ასულნი კაცთანი, რამეთუ შვენიერ იყვნეს, მიიყვანეს თავთა თვისთა ცოლებად ყოველთაგან, რომელნი გამოირჩინნეს. და თქვა უფალმან ღმერთმან: არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა ამათ შორის უკუნისამდე, რამეთუ არიან იგინი ხორც: იყვნეს უკვე დღენი მათნი ას ოც წელ.

და იყვნეს გმირნი ქვეყანასა ზედა მათ დღეთა შინა, და შემდგომად ამისსა, ვითარცა შევიდოდეს ძენი ღვთისანი ასულთა მიმართ კაცთასა, და შობდეს მათგან. იგინი იყვნეს გმირნი, საუკუნითგან კაცნი სახელოვანნი“ *(შექმნ. თ. 6, მუხლ. 1—4)*.

მართალია, „დაბადებას“ ჩვენთვის არ გაუმხელია ანგელოზთა შექმნის საიდუმლოება, მაგრამ აგერ უკვე მეორედ ახსენებს ამ ყოვლად სრულქმნილ არსებებს. პირველად ეს იყო „ქერუბი“, ედემის კარზე რომ დარაჯად დააყენა, ცეცხლოვანი მახვილით ხელში. აქვე უნდა ვთქვათ, როგორ სწამდათ ძველ ებრაელებს ანგელოზები.

ქრისტიანებმა რომ მათგან თავიანთი რელიგია გადმოიღეს, ახალი დოგმები მოიგონეს, ბიბლიაში მათი კვალიც არ არის. ასე, მაგალითად, მთლიანად გამოგონილია ეშმაკ სატანის ამბოხება და გაბრიელ მთავარანგელოზის მახვილით მისი დამარცხება. აქ რომ ბიბლიას მხოლოდ ქრისტიანული თვალსაზრისით ვიხილავთ, ამ საკითხის დავიწყება არანაირად არ შეიძლება.

ქრისტიან ღვთისმეტყველთა მოძღვრების თანახმად, ცათა მეუფემ ღმერთმა ოდესღაც გულში თქვა, ჩემებრ ყოვლისშემძლე უფალს არ შევშვენის მარტოოდენ ცისა და მიწის შექმნით დაკმაყოფილებაო. რაკი დედამიწა დაასახლა, რატომ არ უნდა დაასახლოს ასევე ზეცაც? თავის დროზე მას მოჰბეზრდა ქაოსი. ახლა არანაკლებ მოჰბეზრდა მარტოობა სამოთხეში. რაკი უზადო ოსტატი იყო და პირდაპირ არარაობისაგან უთვალავ გასართობ რამეებსა ქმნიდა, მათ შორის ცოცხალ არსებებსაც კი, ახლაც ადგა და ანგელოზები შექმნა. მათი მოვალეობა იყო პირადად ღმერთის სიახლოვეს ყოფნა და მისი შექცევა. სავარძელიც შეუკვეთა თავისთვის, ღერბიანი, ამ სავარძელში ჯდებოდა ხოლმე, ციურ კრებებს რომ მართავდა. ანგელოზები განუწყვეტლივ გალობენ, რომ ღმერთი გაართონ.

როგორც ციური არსებები, ცხადია, არასოდეს არ იღლებიან და არც ხმა ეკარგებათ.

მაგრამ, მსგავსად ჩვენი დროის პატივმოყვარე მბრძანებლებისა, ერთ-ერთ ანგელოზთაგანს, ჯანმაგარ ჭაბუკს, სავარძელი არასრულად ეჭირა და და გაიფიქრა, ურიგო არ იქნება, თუ ყოვლის შემძლე შემოქმედს ნაცვლად მის ტახტზე თავმჯდომარის ადგილს მე დავიკავებო. ეს ბოროტი განზრახვა ჭკუაში დაუჯდა მრავალ თამამ ანგელოზს, რომელსაც უთუოდ მოსწყინდა დაუსრულებელი ვარჯიში გალობაში, და კადნიერ ლუციფერს ამოუდგა გვერდში, უდიდესი უმრავლესობა კი ღმერთის ერთგული დარჩა და ამ სულელური წამოწყების წინააღმდეგი წავიდა. ვინმე მიქელგაბრიელმა, არქანგელოზმა ანუ მთავარანგელოზმა ღმერთის ინტერესების დაცვა იკისრა, სათავეში ჩაუდგა ციურ მხედრობას და შავი დღე აყარა სატანას. მეამბოხე ანგელოზი მაშინვე ჩააგდეს ჯოჯოხეთში, რაღაც საშინელ მიწისქვეშა სამყაროში, რაც მისთვის სახელდახელოდ შეიქმნა. იქვე გადაყარეს მისი თანამზრახველნი, ღმერთი კი ისევ მორჭმით დაჯდა თავმჯდომარის ტახტზე, რადგან სხვა დესპოტებზე ფხიზელი გამოდგა.

ასეთია ლეგენდა, რაც ეკლესიის მსახურთ თავიანთი აკანკალებული მორწმუნეებისათვის რწმენის დოგმად აქციეს, რადგან ბოლოს და ბოლოს ესაა მთავარი ეპიზოდი იმისათვის, რომ მორწმუნე ადამიანებს შიში და მოწიწება ჩაუნერგოს: გეშინოდეთ, კეთილმსახურო ცხვრებო! თუ ბატონ ღვთისმსახურთა მორჩილი არ იქნებით, თქვენც იმ ბოროტ ანგელოზებს მიჰყვებით და პირდაპირ ჯოჯოხეთში ამოჰყოფთ თავსო!

ძველებრაულ ბიბლიაში, იქ, სადაც ეშმაკზეა ლაპარაკი, ე. ი. იმ წიგნებში, რომლებიც უდავოდ ბაბილონის ტყვეობის შემდეგაა დაწერილი (მოსეს სიკვდილიდან ათას წელზე მეტი ხნის შემდეგ), დემონთა შორის უსაშინელესი სატანის სახელითაა ცნობილი. ხოლო ეშმაკი[18], ესაა უბრალო ბოროტი სული, რაც ღმერთსა და მის მახლობლებს უპირისპირდება. არავითარი სხვა ახსნა ამ დემონურ ძალას არ ეძლევა. არავინაც არ თვლის მათ ციდან განდევნილებად, დაჩაგრულებად, ჯოჯოხეთის ცეცხლოვან კედელზე გაკრულებად. ასე, მაგალითად, იობის ამბავში ბოროტი სული სატანა არხეინად დასეირნობს ცაში, თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, და პირდაპირ ღმერთსაც კი თავისუფლად ედავება. კრიტიკოსებიც ხედავენ, რომ ბიბლიის უკანასკნელი წიგნების მიხედვით ეშმაკები თავისუფლად დანავარდობენ და ჯოჯოხეთურ ტანჯვას არ იცნობენ. ამ ვითარების გასამართლებლად ისინი აცხადებენ, ქალდეველთა და სპარსელთა რწმენის ანარეკლიაო, მაგრამ ამ ხალხებს ებრაელებზე ბევრად უფრო ძველი სარწმუნოება აქვთ. საერთოდ, ასეთი დასკვნა გაკეთდა: ებრაელებმა გადმოიღეს რომელიღაც იმ ხალხთა სარწმუნოება, რომელთა შორისაც ბაბილონის ტყვეობის დროს დიდი ხნით მოუხდათ ცხოვრებაო. მაგრამ თვით

მთავარი ეშმაკის, სატანის სახელი ქალდეველთა ან ბაბილონელთა რელიგიის ანარეკლი უნდა იყოს: „სატანა“ არ არის ებრაული სიტყვა, ქალდეურია და ნიშნავს „სიძულვილს“.

მაშასადამე, ღმერთმა თავის „რჩეულ“ ებრაელ ხალხს დაუმალა არა მარტო ზოგიერთი ანგელოზის შეთქმულების ამბავი, არამედ თვით ამ ციურ სასახლეში მომხდარი ამბოხების მთავარი მოთავის სახელიც კი. ბიბლია არსად არ ეძახის მთავარ მეამბოხეს ლუციფერს. ეს ქრისტიანებმა უწოდეს. მაგრამ ეკლესიის მამები და მასწავლებლები ყოველნაირად შეეცადნენ რაიმე მინიშნება მაინც ეპოვათ ბიბლიაში ამ ლუციფერზე. საამისოდ მოხერხებულად მიმართეს ყალთაბანდობას, რომ მოეტყუებინათ მორწმუნეები, რომლებიც თვითონ ბიბლიას არ კითხულობენ და პროფესიონალების ახსნას სჯერდებიან. ეს ყალთაბანდობა ჩვენ დღის სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ და მკითხველს პატიებას ვთხოვთ მცირე გადახვევისთვის.

ესაიას წინასწარმეტყველებაში *(თავი 14, მუხ. 12)* ლუციფერზე მისი ნამდვილი სახელითაა ლაპარაკიო, ამტკიცებენ ღვთისმეტყველნი და მუხლის დასაწყისს იმოწმებენ, მაგრამ სინამდვილეში ესაა ფალსიფიკაცია ბიბლიის ლათინური თარგმანის შემწეობით.

ამ თავში ესაია, ფანატიკურად აღტკინებული ებრაელი, განრისხებული იმით, რომ ბაბილონელებს მისი ხალხი ასე დიდხანს ჰყავთ ტყვეობაში, თავის პატრიოტულ სულისკვეთებას მგზნებარე სიტყვაში გამოხატავს და ბაბილონის მეფეს უწინასწარმეტყველებს, შენი სამეფოც დაემხობა, მტვერში დაეცემა და მიწასთან გასწორდებაო.

„და შეიწყალოს უფალმან იაკობი, — ქადაგებს ესაია, — და გამოირჩიოს მერმედ ისრაელი, და განისვენებდეს ქვეყანასა ზედა მათსა, და მეჰვეყანე შეეძინოს მათ თანა, და შეეძინოს სახლისა მიმართ იაკობისსა და მიიხვნენ იგინი ნათესავად და შეიყვარნენ ადგილად მათდა, და დაამკვიდრდენ და განამრავლენ, და განიყოფენ მათ ძენი ისრაელისანი ქვეყანასა ზედა ღვთისასა, მონებად და მხევლებად... და მოიღო გოდება ესე მეფისა ზედა ბაბილონისასა, და სთქვა მას დღესა შინა, ვითარ განსვენებულ არს მიმხდელი და განსვენებულ არს (ე. ი. როგორ დაემხო მტანჯველი და როგორ შეწყდა მძარცველობაო). შემუსრა უფალმან ცოდვილთა უღელი მთავართა და მცემელი ნათესავი გულისწყრომითა წყლულებითა უკურნებელისათა, მგვემელი ნათესავი გულის წყრომითა წყლვისათა, რომელსა არა ერიდა... ხოლო შთახდა ჯოჯოხეთად დიდება შენი და მრავალი შვებულება შენი... და სავანე შენდა მატლი, ვითარ განვარდა ცისაგან მთიები განთიად აღმომავალი, შეიმუსრა ქვეყანასა ზედა განმავლენელი ყოველთა წარმართთა... ხოლო შენ დაჰვარდე მთათა ზედა, ვითარცა მკვდარი მოძაგებული, მრავალთათანა შთამავალთა ჯოჯოხეთად, ვითარ სახედ სამოსელი

შებღალული სისხლითა არა არს წმინდა, ეგრეთვე არც შენ იყო წმინდა, რამეთუ ქვეყანა ჩემი წარწყმიდე, და ერი ჩემი მოჰსარ, არა ეგო ხარკუნოსა ჟამსა, თესლი ბოროტი“ (ესაია, თ. 14, მუხლ. 1, 4, 5, 12, 19, 20).

მართლაც, იგავმიუწვდომელი უტიფრობაა საჭირო, რათა აქ ვაცმა ამტკიცო, ლუციფერ-სატანაზეა ლაპარაკიო. რასაკვირველია, ესაია ეუბნება ბაბილონის მეფეს, მხოლოდ მეფეს. ესაა მისი ბრაზის, რისხვის, მუქარის გადმოფრქვევა ებრაელი ხალხის დამმონებლის — ნაბუქოდონოსორის მისამართით.

ახლა ვნახოთ, როგორ შეიყვანა ტექსტი წმინდა იერონიმემ, რომელმაც ბიბლია ლათინურ ენაზე თარგმნა. იერონიმე სარგებლობს იმით, რომ ესაია ბაბილონის მეფეს ადარებს მთიებს, ცისკრის ვარსკვლავს (პლანეტა ვენერას), რომელსაც ეწოდება ჰელელ (ცისკარი) ებრაულად და ლუციფერი (სხივოსანი) ლათინურად (რომაულად), ამის საფუძველზე თავს უფლება მისცა მეთორმეტე მუხლის პირველი ნაწილი ლათინურად ასე გადმოეღო „როგორ ჩამოვარდი შენ ციდან, ლუციფერო, შენ, რომელიც ალიონზე დგებოდი“.

ნამდვილი, სარწმუნო ებრაული ტექსტი, ჰელელს რომ ახსენებს, იქვე ბაბილონის მეფეზე ლაპარაკობს. მეფე ნაბუქოდონოსორი შედარებულია ცისკრის ვარსკვლავთან — ვენერასთან. ღვთისმეტყველნი კი საზეიმო იერით გაიძახიან: „ბიბლიაში აღნიშნულია ლუციფერის დაცემა! ამაზე თვით ესაია ლაპარაკობს!“

წრესგადასული უტიფრობა თუ გნებავთ, ეგაა! ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: ძველ ებრაელთა „წმინდა წიგნებში“ სიტყვაც კი არ არის ნათქვამი ლუციფერის ამბოხებასა და მის დამხობაზე!

ახლა ისევ „შექმნათა“ მეექვსე წიგნის ანგელოზებს ეუბრუნდებით და დავიმოწმებთ ზემოთ ხსენებულზე არანაკლებ წმინდა წყაროებს, რომლებშიაც მოიპოვება ცნობები ზეცის მკვიდრთა თანაცხოვრებაზე ადამიანთა მოდგმის ასულებთან.

უბრალო მოკვდავთათვის შექმნილ სასკოლო სახელმძღვანელოებში სიტყვაც არ არის ნათქვამი ზემოთ ციტირებული ოთხი მუხლიდან, სამაგიეროდ ეს ადგილი არავის ამოუშლია ბიბლიიდან. ეს კიდევ არაფერი. რელიგიის ხსახურთ აქვთ კიდევ ერთი წიგნი, მხოლოდ თავისთვის, დიდი მოწიწებით ინახავენ, „გარეთ“ კი არ გააქვთ, რომ ფართო საზოგადოება არ გაეცნოს. ესაა ენუქის წიგნი.

ენუქი ანუ ენოქი — ხომ არ დაგავიწყდათ? — ეს გახლდათ პატრიარქი, რომელმაც 365 წელიწადი იცოცხლა. ღმერთმა ისე შეიყვარა, რომ „გარდაცვალა“ და სულიან-ხორციანად ცაში წაიყვანა, როგორც ელვამ — განიმედი[19]. მაგრამ ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად ენუქმა წიგნიც დაწერა. სამწუხაროდ, ეს წიგნი სამოთხეში არ წაუღია, აქვე უანდერძა თავის

შვილს მათუსალას, ნოემ კიდევ ძვირფასი ხელნაწერი თავის კიდობანში შეიტანა, რითაც წარღვნას გადაარჩინა.

მართალია, ენუქის ეს წიგნი დიდი ხნის განმავლობაში თავის უნახავს. ამტკიცებენ, მოციქულთა ჟამს, ესე იგი 19 საუკუნის წინათ, ის ჯერ კიდევ არსებობდაო, თუმცა კაცმა არ იცის, სად. ეს დასაბუთებულია ახალ აღთქმაში. იუდა მოციქულის ეპისტოლეში, სადაც ლაპარაკია ცოდვილებზე, რომელნიც „უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა უარყოფენ“, ნათქვამია: „ჰსწინასწარმეტყველა მათთვის, ნეშვიდემან ადამისითგან ენუქ, და სთქვა: აჰა ესერა, მოვალს უფალი ბევრეულითა წმიდათა მისთათა ყოფად სასჯელისა ყოვლისათვისვე და მხილებად ყოველთა უღმრთოთა მათთა ყოველთათვის საქმეთა უღმრთოებისა მათისათა, რომელთა ურჩულოებდეს...“ (*მუხლ. 14—15*).

ჰოდა, რაკი „წმინდა მოციქული“ წიგნის ციტირებას ახდენს, მაშასადამე სცოდნია კიდეც! ამიტომაც ღვთისმეტყველნი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეძებდნენ პასუხს ამ კითხვაზე: რა მოუვიდა ენუქის წიგნს? ბოლოს საკმაოდ ცნობილმა მოგზაურმა, შოტლანდიელმა იაკობ ბრიუსმა ეს სახელგანთქმული წიგნი ეთიოპიაში ნახა (აბისინიაში). უფრო სწორად რომ ვთქვათ, უბრალოდ წააწყდა ეთიოპიურ ლეგენდას, რადგან ბოლოს და ბოლოს ეს მითიური ენოქი რაღა ეთიოპიურ ენაზე დაწერდა თავის წიგნს! ახლა ნახეთ, რა კარგი რამეა გქონდეს ღვთაებრივი განგების ძალა, როცა ღვთისმეტყველებას ემსახურები! „ბაბილონის გოდოლზე“ ადრე გაბატონებულ ენაზე შექმნილ ამ ჯადოსნურ წიგნს საკვირველი ბედი ეწია. მიუხედავად იმისა, რომ პირველყოფილი ენა უიმედოდ და საბოლოოდ დაკარგულია, აღმოჩნდა კაცი, რომელმაც წიგნი იმ ენიდან ძველ ებრაულ ენაზე თარგმნა. შემდეგ მოციქულებისა და ეკლესიის მამებისათვის კარგად ცნობილი ეს თარგმანი ბუზივით გაჭრა. უეცრად ხდება ასეთი საოცარი ამბავი: რომელიღაც შოტლანდიელი XVIII საუკუნის დამლევს მის სრულ ნუსხას პოულობს სადღაც აბისინიაში. დიდი მადლობა, „ღვთაებრივო განგებავ!“ მადლობა და კიდევ მადლობა!

ბრიუსმა თავისი ნაპოვნი ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩაიტანა და ღვთისმეტყველებს სიხარულით საბე გაუბადრა. მალე გამოვიდა თარგმანები. 1838 წელს გამოქვეყნდა ირლანდიის ეპისკოპოსის რიჩარდ ლოურენსის ინგლისური თარგმანი.

ენუქის წიგნი 11 თავისაგან შედგება. მეორე თავში მოთხრობილია ანგელოზების სიყვარულის ამბავი. ვნახოთ, როგორ შეიყვარეს ციურმა ქმნილებებმა ადამიანთა მოდგმის ასულები:

„რაკი ადამიანთა მოდგმა ძლიერ გამრავლდა, სილამაზით გამორჩეული ქალიშვილებიც ჰყავდათ. ულამაზესმა ანგელოზებმა შეიყვარეს ისინი და ბევრი შეცდომაც ჩაიდინეს. ზეშთაგონებით ატაცებულებმა თქვეს, ჩა-

ვიდეთ დედამიწაზე და ადამიანთა ასულებს შორის საცოლეები შევირჩიოთო. მაშინ სემიაზანმა, რომელიც ღმერთმა უბრწყინვალეს ანგელოზთა მთავრად შექმნა, ასე თქვა: ეს განზრახვა ჩინებულია, მაგრამ ვაი, თუ თქვენ მისი აღსრულება ვერ გაბედოთ და ადამიანთა ასულებისგან [illegible] თა შობა მხოლოდ მე ერთს მომიხდესო! ამაზე ყველამ [illegible] შევასრულოთ ჩვენი განზრახვა და წყეულიმც ვიყოთ, თუ დავარღვიოთო. ასე შეკრეს პირი. თავდაპირველად ორასი ანგელოზი იყო. ეს მაშინ მოხდა, როცა იარედი ცხოვრობდა, ენუქის მამა. ერთად წავიდნენ, ციდან ჩამოვიდნენ და ჰერმონის მთაზე გაჩერდნენ, ფიცის მთაზე. აი, ოცი მათგანის, შეთქმულების მოთავეთა სახელები: სემიაზასი, ატარკუფი, არასიელი, ჰობაბიელი, ქორამამი, სამფსიქი, ზაქინელი, ბალკიელი, აზაკიელი, ფარმარი, ამარიელი, ანაჰემასი, ფაუზაილი, სამიელი, სარინასი, ევმიელი, ტირიელი, იუმიელი, სარიელი. მათაც და სხვათაც მრავალთა ადამიანთა ასულები მოიყვანეს, ცოლად შეირთეს 1170 წელს ქვეყნიერების შექმნიდან. ამ ქორწინებიდან ბუმბერაზთა მოდგმა იშვა...“

აქ, რა თქმა უნდა, არავითარ ამბოხებას არა აქვს ადგილი ღმერთის წინააღმდეგ: უბრალოდ, რამდენიმე ციურმა ლოველასმა მთავარ სემიაზასის წინამძღოლობით, რომელიც არც ლუციფერია, არც სატანა, ამურის გზით დედამიწაზე გამგზავრება განიზრახა თავგადასავლის საძიებლად და განზრახვა კიდევაც აღასრულა, მეტი არაფერი.

მართალია, როცა მრავალმა სხვა ანგელოზმაც მათ მიჰბაძა, ღმერთმა თავი მიტოვებულად იგრძნო და ბუზღუნი დაიწყო, მაგრამ კიდევ დიდხანს ითმენდა და არ ბრაზობდა. მისი დიდი რისხვის მიზეზს კი, რაც ბოლოს მაინც დაატეხა ურჩებს, ენუქის წიგნი და „დაბადება“ სხვადასხვანაირად ხსნიან. აქ რაღაც ვერაა საქმე რიგზე. ვნახოთ!

„დაბადების“ მიხედვით, ციურ ანგელოზთა ალერსის შედეგად ლამაზი მიწიერი მანდილოსნები მეტისმეტად გრძნობიერ შვილებს შობდნენ. აქ, ჩვენის აზრით, ღვთისმეტყველებს საქმე ყელამდე აქვთ. მართლაც, იტყოდნენ, თუ ქალიშვილებს თამაში მოეწონათ და გაუმაძღარნიც აღმოჩნდნენ, ზეციურ ქმნილებებსაც შეეძლოთ ისეთივე ზებუნებრივი ძალით ეგებინათ მათთვის სიამოვნება, ეს კი გააღიზიანებდა უბრალო მოკვდავთ, მათს მეტოქეებს და საქმე გაუჭირდებოდათ. მაგრამ რა ესაქმება ამასთან ღმერთს, ვეკითხებით? განა კაცთა მოდგმას ნაყოფიერება და გამრავლება არ უანდერძა?

ენუქის წიგნი საქმის ვითარებას სხვა კუთხით აყენებს. ანგელოზები, რომლებიც დედამიწაზე ბედნიერი მამები გახდნენ, ძლიერ დაინტერესდნენ თავიანთი მემკვიდრეებით და სრულიად უჩვეულო დამრიგებლებად იქცნენ. თავიანთ შვილებს არა მარტო ძვირფასი ქვების ხეხვა ასწავლეს, არამედ მაგიაც და ციური მნათობების მიხედვით მომავლის

წინასწარმეტყველებაც. ცხადია, თავიანთ საყვარლებსაც გაანდეს დიდი საიდუმლოებანი. შედეგი გასაგებია: ანგელოზთა საყვარელი ქალიშვილები და მათი უკანონო შვილები—ბუმბერაზები გადიდგულდნენ და სხვა უბრალო ადამიანებს მაღლიდან დაუწყეს ცქერა. იოლი სათქმელია, არ მოგვარებ, თუ მაგია იცი და მოჩხიბვა გეხერხება.

„და აქვითინდა მიწა და აღივსო კაენის შეძახილებით".

მიწის ასეთი „სალმობა" რომ ნახეს, ოთხმა ანგელოზმა იმავე კორპორაციიდან ღმერთსა სთხოვა, ბოლო მოუღე ამნაირ უბედურებასო. სწორედ ამ დროს ბატონი აზაზელი — მიწიერი ქალიშვილის ქმარი ანგელოზი — სემიაზასს წაეჩხუბა, მუშტები უთავაზა და ციურ არშიყთა მეთაურის ადგილი წაართვა, ანგელოზთა მთავრის ტახტზე თვითონ დაჯდა. ღმერთმა ანგელოზი რაფაილი გაგზავნა აზაზელის შესამუსრავად, და ჩვენი აზაზელი იმ რაფაილმა დოდოელის უდაბნოს გამოქვაბულში ჩააგდო.

ჰოდა, ღმერთი ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა: ჭიპზეც რომ გასკდე, წარღვნას არაფერი ეშველებაო. ბუმბერაზებისათვის რომ ხელი შეეშალა მაგიის ხელოვნების გამოყენებაში, შემოქმედმა მთელი ქვეყნიერების დახრჩობა გადაწყვიტა, თან უბრალო ადამიანებიც მიაყოლა, ტანჯვის მეტს რას ხედავენო ამ ჯადოქრებში! ანგელოზები კი, რომლებიც დედამიწაზე საყიალოდ წავიდნენ, ისევ ზეცაში დაიბარა და მკაცრად გააფრთხილა, ფეხი არსად მოიცვალოთ და ჭკუით იყავითო.

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ხანებში გახდნენ ანგელოზები უსქესონი. ქვეშევრდომთა მსგავსი ოინებისაგან რომ თავი დაეზღვია, უფალმა ღმერთმა უსათუოდ აიძულა ანგელოზები დაეთმოთ სათანადო ორგანოები, როგორც აღმოსავლელი შაჰები ასაჭურისებდნენ ხოლმე იმ მამაკაცებს, რომლებიც ჰარამხანებში გარკვეულ მოვალეობას ასრულებდნენ. სრულიად ამაოდ შლიან ღვთისმეტყველნი ამ მეტყველ ეპიზოდს თავიანთი „წმინდა წერილის" მოკლე სახელმძღვანელოებიდან. სხვა თუ არაფერი, ადამიანები იმას მაინც გაიგებდნენ, თუ რისთვის გახდნენ ანგელოზები საჭურისები.

საბრალო აზაზელი, რომელიც რაფაილმა გამოქვაბულში გამოამწყვდია, რასაკვირველია, მსოფლიოს წარღვნის დროს დაიხრჩობოდა. არ დავიშუროთ ცვარი ცრემლი მისი სამწუხარო ხვედრისათვის!

ამის შემდეგ როგორ იტყვით? განა უფლის ხელი არ ურევია ამ საქმეში, ენუქის წიგნი რომ იპოვნეს? ის პირველ ქრისტიანებს არ დაუკარგავთ. იუდა მოციქული იქიდან ციტატას იმოწმებს. ეკლესიის ზოგიერთი ცნობილი მამაც ლაპარაკობდა ამ წიგნზე, როგორც უაღრესად ცნობილ წიგნზე. ენუქის წიგნი ქრისტიანთა შორის დიდ პატივში იყო IV საუკუნემდე. მოგვიანებით კი, როცა ნახეს, რომ „ენუქი" ადასტურებს და კარ-

გადაც ხსნის „დაბადების“ მეექვსე წიგნის ოთხ მუხლს, ეკლესიის მსახურთ ის „ბიბლიიდან“ ამოაგდეს.

ჩვენ ვხედავთ, რანაირი წარმოდგენა ჰქონიათ ებრაელებს ანგელოზებზე და არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ქრისტიანული [illegible] მნიშვნელოვანი შესწორებანი შეიტანეს. ამის მიუხედავად, ქრისტიანული ეკლესია აღიარებს, რომ ებრაელები ღმერთის რჩეული ხალხი იყო და მის რელიგიურ წიგნებს ისე იღებს, როგორც წმინდა, უდავო, შეურაცხად ძეგლებს.

ებრაელები ანგელოზებს იერარქიულ კიბეზე ათ ასეთ საფეხურად ანაწილებენ: 1) კადოშიმ-უწმინდესნი, 2) ოთამიმ-სწრაფნი, 3) ორალიმ-ძლიერნი, 4) შასმალიმ-ცეცხლოვანნი, 5) სერაფიმ-ნაპერწკლები, 6) მალაჰიმ-დესპანნი, 7) იელოჰიმ-ღვთაებრივნი, 8) ბენ-იელოჰიმ-უფლის შვილნი, 9) ქერუბიმ-ხარანგელოზნი, 10) იშიმ-სულიერნი. მაგრამ პაპმა გრიგოლ პირველმა ანგელოზები სულ სხვაგვარად დააყენა. მისი უწმინდესობის ბრძანებით ქრისტიანობა ანგელოზებს სამ ხარისხად ყოფს, ყოველ ხარისხში თითო სამი წოდებაა: პირველი ხარისხი — სერაფიმები, ქერუბიმები და ტახტები; მეორე ხარისხი — ძალის, ძალაუფლებისა და ბატონობისა; მესამე — ანგელოზნი დასაბამისა, არქანგელოზები და უბრალოდ ანგელოზები. აქედან ჩანს, რა დიდია პაპის ძალაუფლება: ციური რანგების გადახალისება, ჰადრაკის ფიგურებივით მათი გადასმა — ეს ხუმრობა საქმე არ არის.

ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი ამტკიცებენ, რომ ებრაელებს თავიანთი წმინდა წიგნები ვერ გაუგიათ, დღემდე ვერ აუხსნიათ საკუთარი რელიგია და არც იციან „ჭეშმარიტი სარწმუნოება“. წარმოგიდგენიათ, თურმე ეს სულელი ებრაელები ვერ მიხვედრილან, რომ მათს ისაიას, როცა ბაბილონის მეფეს, ებრაელი ხალხის მტერს, თავს ესხმოდა და მისი ძალაუფლების დამხობის დღეს წინასწარმეტყველებდა, მხედველობაში ჰქონია არა ამ მეფის დამხობა, არამედ ძველი ლეგენდა ლუციფერის ამბოხებაზე ღმერთის წინააღმდეგ! რა რეგვენნი ყოფილან ეს რაბინები, რომ სტრიქონებს შორის ამის ამოკითხვა ვერ მოუხერხებიათ!

ამის გარდაც მრავალი ამბავია, ბიბლიის შემდგენ ხალხს რომ სრულიად შეუმჩნეველი დარჩენია საკუთარ ნაშრომში! მოკლედ, ებრაელები ტყემალზე სხედან.

აიღეთ თუნდაც „სამება“! სცადეთ, დაარწმუნეთ მორწმუნე ებრაელი, რომ თაყვანსა სცემს ერთ სამსახოვან ღმერთს! ტყუილად დაკარგავთ დროს. პირდაპირ სასაცილოდ არ ეყოფა. ასე იტყვის: ჩვენს ღმერთს რომ სამი სახე ჰქონოდა, ამას გაუმხელდა მოსეს, პატრიარქებს, წინასწარმეტყველებსო. ბიბლიას დაიჭერს ხელში და მოჰყვება მტკიცებას, რომ ერთი სიტყვითაც კი არსად არაა მინიშნებული სამსახოვნობა, რომ მას საერთოდ

არ ესმის „სამება“ და პირიქით, წმინდა წერილის თანახმად, ღმერთის პიროვნება ერთიანი და განუყოფელია.

ამ სიტუტუციის, „უბადრუკი მიუაზრებლობის“ მოწმე ღვთისმეტყველი მხოლოდ მხრებს იჩეჩავს და მოწყალე ღიმილით გვეკითხება. ხედავთ, მისთვის თურმე საკმარისია „დაბადების“ პირველი ერთი მუხლი, რათა დაამტკიცოს, რომ სამება მარად არსებობდა, ქრისტემდეც კი, და ეს სავსებით ნათელი ყოფილა. საზეიმო იერით იმოწმებს კიდეც:

„თავდაპირველად იელოჰიმმა შექმნა ცა და მიწა. დედამიწა იყო პარტახი უდაბნო („ტოგუ ბოგუ“), წყვდიადი დაწოლილიყო უფსკრულის თავზე, და ღვთის სული დაჰქროდა წყალზე“.

ასეთია ებრაული ტექსტის ზუსტი თარგმანი.

განა აქ არა ხედავთ მამა-ღმერთს, ძე-ღმერთსა და სულიწმინდას? მართლაც, პირველი შეხედვით მათ ვერ შენიშნავ, მაგრამ გაიკეთე ღვთაებრივი სათვალე და მაშინვე გაარჩევ „სამებას“. ჩვენი უბრალო სათვალით კი, თუ ნებას მოგვცემთ, ნეტარი ავგუსტინეც კარგად ხედავს და მსჯელობაც დამაჯერებელი აქვს ჩინებულ წიგნში „დე კანტიკო ნოვო“ (თავი VII). ამ მსჯელობაზე უფრო სარწმუნოს ვერაფერს ნახავთ. ავგუსტინეს ყველა ღვთისმეტყველი ერთხმად აღიარებს ღვთისმეტყველების მნათობად.

„თავდაპირველად“ ანუ „დასაბამად“, დროთა და საგანთა ეს დასაწყისი, თურმე „ძე-ღმერთს“ აღნიშნავს. საბუთები გნებავთ? გადაშალეთ ახალი აღთქმის წიგნი „გამოცხადება იოანე ღმრთისმეტყველისა“, მუხლი 14, მესამე თავი, და ნახავთ, რომ ქრისტეს ეწოდება „დასაბამი დაბადებულთა ღმრთისათა“. ახლა გაშალეთ იოანეს სახარება, ნახეთ მერვე თავი (მუხლი 25): ებრაელები ეკითხებიან: „და შენ ვინ ხარ?“ და „ჰრქვა მათ იესო: პირველად, რამეთუ მე გეტყვი თქვენ“.

მეტი რაღა გინდათ? დაბადების პირველი მუხლი ასე უნდა წავიკითხოთ: „ძე-ღმერთში, რომელიც არის დასაბამი, მამა ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“.

თქვენ უკვე „იხილეთ“ სამების პირველი ორი პერსონაჟი, მაგრამ მესამეს ხედავთ? არა? წუთით მოითმინეთ! თუ არ შეწუხდებით, აიღეთ წმინდა ავგუსტინეს სათვალე. მესამე გმირი, ღმერთი-სულიწმინდა, მეორე მუხლშია, მის ბოლოში: „და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“. განა ეს სული არაფერს გეუბნებათ? სწორედ ეს სულია სულიწმინდა.

ამრიგად, ებრაული ტექსტის თარგმანი ასე იქნება: „ძე-ღმერთში, რომელიც არის დასაბამი, მამა ღმერთმა შექმნა ცა და მიწა; მაგრამ მიწა იყო უხილავი და განუმზადებელი, ბნელი იყო ზედა უფსკრულთა, და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“.

რამ დააბრმავა ებრაელები, რომ თავიანთ საკუთარ წიგნში, ბიბლიაში, ამ წმინდა წიგნის დასაწყისშივე, ეს სამება ვერ შენიშნეს? სამართლე თუ გინდათ, ეს უმაგალითო სიბრმავეა!

გიხაროდეთ და აღტაცდებოდეთ სულიწმინდა ღვთაებრივ [illegible]
პირველყოფილ ქაოსში სხვა საქმეს ვერ პოულობდა, [illegible]
როდა მხოლოდ! მაინც ასეთი კითხვა ისმის: ნუთუ „სულიწმინდა“ მართლა მტრედია?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის უბრალო იხვია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსოფლიო წარღვნა

აბადების“ წიგნი ძალიან ძუნწად აღწერს იმ ცოდვებსა და ბოროტმოქმედებათა წვრილმანებს, რომლებიც ადამის მოდგმას მოუხდენია დედამიწაზე ანგელოზებისა და ქალების თანაცხოვრების დროს. უბრალოდ ამბობს:

„ხოლო იხილა რა უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქვეყანასა ზედა და ყოველი ვინ იგონებს გულსა შინა თვისსა მოსწრაფებით ბოროტთა ყოველთა დღეთა“ *(შექმნ., თ. 6, მუხ. 5)*.

პირდაპირ ვთქვათ: ეტყობა, ადამის მემკვიდრეებმა ხელი აიღეს ყოველ დილა-საღამოს წესიერად ლოცვაზე, რადგან ღმერთს ისე არაფერი არ აბრაზებს, როგორც უწესობა ლოცვა-კურთხევაში. ყოველი მღვდელიც გეტყვით, თუ არ იცით, რომ ვინც ლოცვაზე ხელს აიღებს, ის ადვილად ჩაიდენს ყოველგვარ ცოდვას.

„და შეინანა ღმერთმან, რამეთუ შექმნა კაცი ქვეყანასა ზედა, და განიზრახა, და თქვა ღმერთმან: აღვხოცო კაცი, რომელი შევჰქმენ, პირისაგან ქვეყანისა, კაცთაგან მიპირუტყვთამდე და ქვეწარმავალთაგან მფრინველთამდე ცისათა. რამეთუ შევინანე, რამეთუ შევქმენ იგინი“ *(შექმნ., თ. 6, მუხლ. 6—7)*.

ღმერთის სინანული! ეს უკვე აღარ არის ჩვეულებრივი ამბავი. თანაც ბერიკაცის დარდი მეტისმეტად მწველი ყოფილა, რომ გონება დაუბნელებია მისთვის და განუზრახავს ამოეხოცა ცხოველებიც, რომელთაც არავითარი ცოდვა არ ჩაუდენიათ და ისეთი არაფერი არ დაუშავებიათ. ერთი შეხედვით, ყოვლის შემძლე ღმერთს უფრო ის ეკადრებოდა, რომ შეეცვალა ცოდვილ ადამიანთა ზნე და ბუნება: მას ხომ ყველაფერი შეეძლო! მაგრამ, როგორც ვხედავთ, ასე კი არ მოიქცა, ყველა ცოცხალი არსების განურჩევლად ამოწყვეტა ამჯობინა. ეს უკვე, უნდა ვაღიაროთ, ვერაფერი მამაშვილური ამბავია!

„ხოლო ნოე ჰპოვა მადლი წინაშე უფლისა ღვთისა“ *(შექმნ., თ. 6, მუხლი 8)*.

ნოე იყო „კაცი მართალი, სრული ნათესავსა შინა მისსა“ *(მუხლი 9)*. ჰოდა, ღმერთმა ეს კაცი გააბედნიერა, ინახულა, რათა მოსალოდნელი

კატასტროფის ამბავი ეუწყებინა და გადარჩენის საშუალება მიეცა მისთვის.

„და თქვა უფალმან ღმერთმან ნოეს მიმართ: ჟამი ყოველისა ხორციელისა მოიწია წინაშე ჩემსა, რამეთუ აღივსო ყოველი ქვეყანა უსამართლოებითა მათგან. და აჰა მე განვხრწნი მათ და ქვეყანასა

ჰქმენ უკვე თავისა შენისა კიდობანი ძელთაგან ულპოლველთასა ოთხკუთხედ. ბუდეებად, ბუდედ ჰქმენ იგი, და მოფისო იგი შინათ და გარეთ ნავთითა.

და ესრეთ ჰქმნე კიდობანი იგი: სამასი წყრთა სიგრძე კიდობნისა, ერგასის წყრთა სივრცე, და ოც და ათი წყრთა სიმაღლე მისი.

და შეკრულ ჰყო კიდობანი: და წყრთეულად შეასრულო იგი ზედა კერძო. ხოლო კარი კიდობნისა ჰქმენ იგვრდივ. ქვეყნად საყოფელად ორ სართულებად და სამ სართულებად ჰყო.

ხოლო მე მოვხადო რღვნა წყლისა ქვეყანასა ზედა, განხრწნად ყოველისა ხორცისა, რომლისა თანა არს სული სიცოცხლისა ცასა ქვეშე. და რაოდენიცა არს ქვეყანასა ზედა, მოსწყდეს.

და დავამტკიცო აღთქმა ჩემი შენ თანა, ხოლო შეხვიდე კიდობნად შენ, და ძენი შენნი, და ცოლი შენი, და ცოლნი ძეთა შენთანი შენთანა.

და ყოველთაგან ქვეწარმავალთა, და ყოველთაგან საცხოვართა, და ყოველთაგან მხეცთა, და ყოვლისაგან ხორციელისა ორ-ორი ყოველთაგან შეიყვანო კიდობნად, რათა ზრდიდე თავისა შენისა თანა. მამალი და დედალი იყვნენ.

ყოველთაგან ფრთოვანთა მფრინველთა, ნათესაობისა ებრ მადისა, ყოველნი პირუტყვნი ქვეყანისანი ნათესაობისა ებრ, ყოველნი ქვეწარმავალნი და ქვემძრომნი ქვეყანისანი ნათესაობისა ებრ, ორ-ორი ყოველთაგან შევიდეს შენ თანა, ზრდად შენ თანა, მამალი და დედალი.

ხოლო შენ მიიღო თავისა შენისად ყოველთაგან ჭამადთა, რომელთა სჭამთ, და შეჰკრიბო თავისა შენისა თანა. და იყოს შენდა და მათდა საჭმელად.

და ქმნა ნოე ყოველნი, რაოდენი ამცნო მას უფალმან ღმერთმან, და ეგრეთ ქმნა“ *(შექმ., თ. 6, მუხლ. 13—22)*.

კიდობნის შენება ასი წელი გაგრძელდა[20]. ღმერთს დანარჩენი ადამიანებისათვის არ უზრუნია, ნოე არ გაუფრთხილებია, შეატყობინეო წარღვნის ამბავი. აშკარად ჩანს, ნოე და მისი ჯალაბობა სამზადისს საიდუმლოდ აწარმოებდა. ხალხს უთუოდ უკვირდა, რას აშენებდა ეს კაცი გაშლილ ველზე ამ უზარმაზარ ხომალდს, რომლის სიგრძე იყო სამასი წყრთა, ე. ი. 150 მეტრი. ზოგი ვინმე ბერიკაცს ალბათ შეშლილად თვლიდა და კიდევაც დასცინოდა. მაგრამ მოხუცი ლაზღანდარებს ყურს არ აპყრობდა და სამზადისს განაგრძობდა.

ეს ასი წელი, რაც უზარმაზარი კიდობნის შენებას დასჭირდა, არც ისე დიდი მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ათასი წელიწადია, თვით ბიბლია რომ დუმილით უვლის გვერდს. ასე, მაგალითად, ნოეს სამი შვილი იძულებული გახდა შორეულ ქვეყნებში გამგზავრებულიყო, რათა აქიდან სხვადასხვა ცხოველები ჩამოეყვანათ, მაშინდელი საგრანსპორტო საშუალებებით კი ეს რამდენ დროს მოითხოვდა! მერე, კიდობანში რომ ლომებს, ვეფხვებს, ნიანგებსა და სხვა საშინელ ცხოველებს არ შეეჭამათ, ხომ უნდა გამოეყოთ თავიანთი სამყოფელი, ან არა და მომთვინიერებელთა და მწვრთნელთა ხელოვნებას უნდა დაუფლებოდნენ. ახლა სანოვაგის მომზადებას არ იტყვით? ხომ უნდა მოემარაგებინათ აუარებელი ხორცი, თივა, ხილი, ხორბალი და სხვა მრავალი პროდუქტი, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ ადამიანები, მტაცებელი ცხოველები და სხვა არსებები?

უნდა ვივარაუდოთ, რომ კიდობანი საუკეთესო ხისაგან იქნებოდა დამზადებული. ახლა რომ ვინმემ გემის აშენებას ასი წელი მოანდომოს, ვერც კი ნახავდა ისეთ ხეს, რომ მშენებლობის დამთავრებამდე არ დამპალიყო. ცხვირის აშენებამდე რომ მივიდოდნენ, კიჩო მტვრად იქცეოდა, და ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდებოდათ. ზუსტად არავინ არ იცის, რა ხისა იყო ნოეს კიდობანი[21]. ჰოფერიო, მაგრამ ვინ ნახა ასეთი ხე?

როცა კიდობნის შენება დამთავრდა, ღმერთმა ნოეს უთხრა: „შევედ შენ და ყოველი სახლი შენი კიდობნად, რამეთუ გიხილე შენ მართლიად წინაშე ჩემსა ნათესავსა ამას შინა“ *(შექმნ., თ. 7, მუხლ. 1)*. საუბრის გაგრძელება გვიჩვენებს, რომ ღმერთს თავისი თავდაპირველი მითითებანი დავიწყებია: როგორც უკვე დავიმოწმეთ სათანადო ადგილი, პატრიარქს ებრძანა მხოლოდ წყვილ-წყვილად აეყვანა ყოველი ცოცხალი არსება, დედალ-მამალი. უკანასკნელ წუთს მოხუცმა გადაწყვეტილება შეცვალა. „ხოლო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა შეიყვანნე შენთანა შვიდ-შვიდი, მამალი და დედალი. ხოლო პირუტყვთაგან არა წმიდათა ორ-ორი, მამალი და დედალი“ *(შექმნ., თ. 7, მუხლ. 2)*.

ბიბლია არ გვეუბნება, აუხსნა თუ არა ღმერთმა ნოეს, რის საფუძველზე მოეხდინა ასეთი გაყოფა „წმიდადა“ და „უწმიდურად“. სამაგიეროდ მეორე წიგნი, „ლევიტელთა“, რაც მოსეს მიეწერება, გვიხსნის (თ. 11), რომელ ცხოველს თვლიდნენ ებრაელები წმინდად და რომელს უწმინდურად. ოთხფეხთა შორის წმინდად ითვლება ის ცხოველები, რომელთაც წყვილ-წყვილი ჩლიქები აქვთ და იცოხნიან. აქლემი და კურდღელი, რომლებიც იცოხნიან, მაგრამ ჩლიქები დაწყვილებული არა აქვთ, უწმინდურ ცხოველებად ითვლებიან. ფრინველთა შორის ღმერთმა უწმინდურად გამოაცხადა: არწივი, ძერა, შევარდენი, ყორანი, სირაქლემა, ბუ, თოლია, ქორი, მიმინო, ჭოტი, გედი, ვარხვი, წერო და ზოგიერთი სხვა.

მამა-ღმერთმა ნოეს განუცხადა, წარღვნა შვიდი დღის შემდეგ დაი-

წყებაო[22]. პატრიარქს ზეპირად უნდა დაესწავლა ბუნებისმეტყველება, რათა გაეგო, რა ოდენობით აეყვანა ესა თუ ის ცხოველი და ფრინველი: ორი წერო აეყვანა თუ შვიდი, ორი თუ შვიდი სპილო, ორი თუ შვიდი მარტორქა, ორი თუ შვიდი ბეჰემოთი და ა. შ.

„და იყო შემდგომად შვიდთა დღეთასა, და წყალი წარღვნისა ყო ქვეყანასა ზედა. ექვსასსა წელსა ცხოვრებისა ნოესსა, მეორესა თთვესა, ცხრამეშვიდესა თთვისა დღისასა, ამას დღესა შინა გამოეცხეს წყარონი უფსკრულისანი, და საქანელნი ცისანი განეხვნეს“ *(შექმნ., თ. 7. მუხლ. 10—11).*

აქედან ცხადია, რომ სულიწმინდა მხარს უჭერს ცის თაღის გადაღმა რაბებით გამაგრებული რაღაც დიდი აუზის არსებობას. საკმარისია რაბი გაიხსნას, რომ დედამიწას წარღვნის წყალი წალეკავს.

„და იქმნა წვიმა ქვეყანასა ზედა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე.

ამას დღესა შევიდა ნოე, სემ, ქამ და იაფეთ, ძენი ნოესნი, და ცოლი ნოესი, და სამნი ცოლნი ძეთა მისთანი მის თანა კიდობნად.

და ყოველნი მხეცნი ქვეყანისანი, ნათესაობით, და ყოველნი საცხოვარნი, ნათესაობით, და ყოველნი ქვეწარმავალნი, მოძრავი ქვეყანასა ზედა, ნათესაობით, და ყოველნი მფრინველნი, ნათესაობით მისით, ყოველი მფრინვალი, ფრთოსანი“. *(შექმნ., თ. 7, მუხლ. 12—14).*

რა კიდობანია, რა კიდობანი! თუ ამ და მომდევნო თავებში ჩამოთვლილ ყველა ვადას შევაჯამებთ, ნოემ, მისმა ჯალაბობამ და ყველა სულდგმულმა კიდობანში 393 დღე დაჰყო[23]. ღვთისმეტყველნი არ გვიხსნიან, რანაირად ირჩენდა თავს რვა სული წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, როგორ ინახავდა მთელს ამ ზოოლოგიურ ბაღს, როგორ წმენდდა კიდობანს უწმინდურობისაგან, რაც ქვეყანას ააყროლებდა. მერე, შთამომავლობაზე და ნამატზეც ხომ უნდა ეზრუნათ! რამდენი ხორცი დასჭირდებოდათ! რამდენი სანოვაგე! რა განუზომელი შრომა მოუხდებოდათ ნოეს, მის ცოლსა და რძლებს კიდობნის გასაწმენდად ნაკელისაგან![24].

ღმერთმა პირადად დახურა კიდობნის კარი („და დახშა უფალმან ღმერთმან გარეგნით მისსა კიდობანი“).

როცა გემი აცურდა, ან უკეთ რომ ვთქვათ, კიდობანი ატივტივდა, დაიწყო სიცოცხლის მასობრივი მოსპობა, „ხოლო წყალი ამაღლდებოდა ფრიად ქვეყანასა ზედა, და დაფარნა ყოველნი მთანი მაღალნი, რომელნი იყვნეს ქვეშე ცისა. ათ თხუთმეტ წყრთა ზედა კერძო ამაღლდა წყალი, და დაფარნა ყოველნი მთანი“ *(შექმნ., თ. 7, მუხლ. 19—20).*

ძალიან ძნელია წყალთა მასების ასეთი სიუხვის წარმოდგენა, მეტადრე თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენთვის ცნობილი ყველაზე უფრო დიდი სიღრმე წყნარ ოკეანეში (მარიანის ღრმული) შეადგენს 11 კილომეტრზე მეტს, ხოლო ჩვენი პლანეტის ყველაზე უფრო მაღალი მწვერვალი — ევე-

რესტი ანუ ჯომოლუნგმუ ჰიმალაიზე ზღვის დონიდან 8880 მეტრზე აზიდულა.

„და მოკვდა ყოველი ხორცი, მოძრავი ქვეყანასა ზედა, მფრინველნი და პირუტყვნი და მხეცნი და ყოველი ქვეწარმავალი, მოძრავი ქვეყანასა ზედა, და ყოველი კაცი.

და ყოველი, რაოდენსა აქვს სული სიცოცხლისა, და ყოველი, რომელი იყო ხმელსა ზედა, მოკვდა.

და აღიხოცა ყოველი არსება, რომელი იყო პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა კაცთაგან ვიდრე პირუტყვთამდე, და ქვეწარმავალთა, და მფრინველნი ცისანი მოისპო ქვეყანისაგან: და დაშთა მხოლოდ ნოე და მისთანანი კიდობანსა შინა.

და ამაღლდა წყალი ქვეყანასა ზედა ას ერგასის დღე“ (*შექმნ., თ. 7, მუხლ. 21—24*).

მხოლოდ ბედნიერი თევზები დაცურავდნენ უდარდელად აქაფებულ წყალთა წიაღში.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული.

„და მოეხსენა ღმერთსა ნოე და ყოველნი მხეცნი (ე. ი. მოაგონდაო), და ყოველნი საცხოვარნი, და ყოველნი მფრინველნი, და ყოველნი ქვეწარმავალნი, რაოდენნი იყვნეს მის თანა კიდობანსა შინა. და მოაწია ღმერთმან ქარი ქვეყანასა ზედა, და მოაკლდა წყალი.

და დასწყდეს წყარონი უფსკრულისანი და საქანელნი ცისანი და მოაკლდა წყალი ცისაგან.

და უკუიქცა წყალი, მრავალი ქვეყანისაგან. შედგებოდა და შემცირდებოდა წყალი, შემდგომად ას ერგასისთა დღეთა.

და დადგა კიდობანი თთვესა მეშვიდესა, ოცდაშვიდსა მას თვისასა მთასა ზედა არარატისასა.

ხოლო წყალი მავალი შემცირდებოდა ვიდრე მეათედ თთვემდე. და მეათესა თთვესა პირველისა თთვისასა გამოჩნდეს თავნი მთათანი“ (*შექმნ., 8, 1—5*).

რამდენი მოულოდნელი სასწაულია ამ რამდენსამე სტრიქონში! ჯერ ერთი, მარტო ეს სიამოვნება რად ღირს, რომ ხელახლა ვეცნობით დალოცვილ ღვთაებრივ ქარს, რომელსაც პირველყოფილი ქაოსის დალაგების შემდეგ საქმე აღარა ჰქონდა და რასაც კომენტატორები სულიწმინდასთან აიგივებენ. თავდაპირველად, როგორც ბიბლია გვაუწყებს, მხოლოდ დაჰქროდა ანუ „იქცეოდა წყალთა ზედა“. მაგრამ აი, დასჭირდა უზენაესს წარღვნის წყალთა დაშრობა და ხელახლა უხმო ღვთაებრივ ქარსა, იგივე სულიწმინდას, რომელსაც წმინდა წერილი მტრედის სახით წარმოგვიდგენს— ან თუ გნებავთ, ღვთაებრივი იხვის სახით — და უზარმაზარ მოვალეობას აკისრებს — მსოფლიო წარღვნის ნაკადის ამოშრობას.

მართლაც, აუცილებელი იყო სამების რომელიმე სამთაგანი წევრის ჩარევა, თორემ ისე უბრალო ქარი ვერასოდეს ვერ ამოაშრობდა ამდენ წყალს, რაკი წარღვნის დროს მისი დონე მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალებს თხუთმეტი წყრთით აღემატებოდა, რაც ზოგიერთი გამოანგარიშების თანახმად იმდენსავე წყალს შეადგენდა, რამდენსაც დღევანდელი მსოფლიო ოკეანე, თორმეტ სართულად ერთიმეორეზე ატრრტმანებული. წარღვნა ყველაზე უფრო საოცარ სასწაულად შეიძლება ჩავთვალოთ იმ სასწაულთა შორის, რომლებიც ღმერთ იაღვეს ოდესმე მოუხდენია, რადგან ამდენი უნაპირო ახალი ოკეანე რომ შექმნა, რაც თავისთავად საარაკო ოინია, შემდეგ თვითონვე სულიწმინდის ერთი შებერვით გააქრო. რა ფილტვები ჰქონია იმ დალოცვილ მტრედსა?

ვერც მეორე სასწაული ჩაივლის შეუმჩნეველად. მეშვიდე თვის მეჩვიდმეტე დღეს ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. ამ მთის სიმაღლეა 5156 მეტრი. ხოლო უფრო მაღალი მწვერვალები, მაგალითად, ჰიმალაის მთების 14 მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება, აგრეთვე სამხრეთ აფრიკისა და ამერიკის მწვერვალები მეათე თვის პირველ დღეს გამოჩნდნენ, ე. ი. ექვსი კვირით გვიან. საკვირველი სასწაულია!

ბიბლიური მოთხრობა წარღვნის დასასრულზე ამას გარდა შეიცავს ყოვლად გულუბრყვილო ამბავს მტრედისა და ყორანის შესახებ, მაგრამ ეს არავითარ ინტერესს არ იწვევს. ნოემ ჯერ ყორანი გაუშვა, რომელიც მიფრინავდა და მოფრინავდა, ვიდრე წყალი დაშრებოდა. მერე მტრედი გაუშვა, რათა გაეგო, ხომ არ დაიკლოო წყალმა. მტრედმა ვერ ნახა ფეხის მოსაკიდებელი ადგილი, უკანვე მობრუნდა, ნოემ „განყო ხელი მისი, მიიქვა და შეიყვანა იგი თავისა თვისსა კიდობანად". შვიდი დღის შემდეგ ისევ გაუშვა. ამჯერად კი მტრედმა ზეთისხილის რტო მოიტანა ნისკარტით. ჩანს წელიწადზე მეტი ხნით წარღვნის წყალში დგომამ მცენარეებს ვერაფერი ავნო. ესეც ხომ სასწაულია! ნოე მიხვდა, „რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქვეყანისა". ბიბლია გვაცნობებს, რომ ამ დროისათვის ნოეს ექვსას ერთმა წელმა მიუკაკუნა. მაშინ უთხრა ღმერთმა, გამოდის კიდობნიდან და გამოიყვანე შენი ჯალაბობაო. ცხოველთა გამოყვანა, ეტყობა, სანაქებო წესრიგით ჩატარდა. ამას გარდა, უნდა ვივარაუდოთ, — ბიბლია ამაზე დუმს, — რომ მტკნარი წყალი მლაშე წყალს იმთავითვე გამოეყო (ახალი სასწაული!), რათა ზღვები, ტბები და მდინარეები თავთავიანთ კალაპოტში ჩამდგარიყვნენ, როგორც წარღვნამდე იყო. თევზებიც თავთავიანთი ბუნების შესაბამისად დაუბრუნდნენ წყალთა წიაღს.

„და იყნოსა უფალმან ღმერთმან სუნი სუნნელებისა, და თქვა უფალმან ღმერთმან: შევინანე, არღარა შევსძინო მერმე წყევად ქვეყანისა, საქმეთათვის კაცთასა: რამეთუ მიდრეკილ არს გული კაცისა მოსწრაფებით ბო-

როტთა სიჭაბუკით მისით, არღარ შევსძინო უკვე მერმე მოსპობად ყოვლისა ხორცისა ცხოველისა, ვითარცა ვყავ.

და ყოველთა დღეთა ქვეყანისათა, თესვა და მკა, ზამთარი და სიცხე, ზაფხული და არე, დღე და ღამე არა მოაკლდენ" *(შექმნ., 8, 20—21)*.

ამასთან მოხუცმა ღმერთმა ნოე და მისი ოჯახი დალოცა, თანაც ნება დართო ამიერიდან ველის ბალახთან ერთად ყოველნაირი სხვა საკვებიც მიერთვათ:

„და აკურთხა ღმერთმან ნოე, და ძენი მისნი, და ჰრქვა მათ: აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა, და ეუფლენით მას.

და შიში თქვენი და ზარი იყოს ყოველთა ზედა მხეცთა ქვეყანისათა, და ყოველთა ზედა მფრინველთა ცისათა, და ყოველთა ზედა იძრვისთა ქვეყანისათა, და ყოველთა ზედა თევზთა ზღვისათა, ხელთა ქვეშე თქვენთა მიგცეს იგინი.

და ყოველი ქვეწარმავალი, რომელი არს ცხოველ, თქვენდა იყოს საჭმელ. ვითარცა მხალი თივისა მიგცნე თქვენ ყოველნი.

და გარნა ხორცი სისხლითურთ, სულითურთ არა სჭამოთ.

რამეთუ სისხლიცა თქვენი, სულთა თქვენთა, ხელისაგან მხეცთასა გამოვიძიო იგი, და ხელისაგან კაცისა, ძმისა მისისა, გამოვიძიო სული კაცისა.

და რომელმან დასთხიოს სისხლი კაცისა, ნაცვლად სისხლისა მისისა დაითხიოს სისხლი მისი: რამეთუ ხატად ღვთისა შევჰქმენ კაცი" *(შექმნ., 9, 1—6)*.

თქმულიდან ჩანს, რომ ცხოველებს აქვთ სული და ეს სული სისხლშია. უფალი ღმერთი კაცის კვლას თითქოს კრძალავს. მაგრამ ბიბლიის ღმერთი ხშირად ამეტყველდება ხოლმე, და ჩვენ ვნახავთ, როგორ გაშმაგებით აქეზებს ხოლმე ებრაელებს მკვლელობისათვის. ისე კი კაცი იფიქრებს, რომ მისი რჩეული ხალხი ადამიანის სისხლს არ დაღვრის.

რაკი ღმერთმა თქვა, ადამიანთა მოდგმას აღარ დავახრჩობო, შეთანხმებაზე ხელიც უნდა მოეწერა. ღვთაებრივი ხელმოწერის მაგიერობას ასრულებს ცისარტყელა, რაც იმ დღეს პირველად გამოჩნდა:

„მშვილდსა ჩემსა დავსდებ ღრუბელთა შინა, და იყოს სასწაულად აღთქმისა ჩემისა, რომელ არს შორის ჩემსა და თქვენსა და ქვეყანასა.

და იყოს, ოდეს მოვაწიო ღრუბელი ქვეყანასა ზედა, გამოჩნდეს მშვილდი ჩემი ღრუბელთა შინა.

და მოვახსენო აღთქმა ჩემი, რომელი არს შორის ჩემსა და თქვენსა, და შორის ყოვლისა სულისა ცხოველისა ყოველსა შინა ხორციელსა. და არღა იყოს მერმე წყალი რღვნისა აღხოცად ყოველისა ხორციელისა" *(შექმნ., 9, 13—15)*.

წინდახედულობა ზედმეტი არ იყო, რადგან თვითონ ღმერთსაც კი თა-

ვისი მეხსიერების დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა! სხვათა შორის, უნდა გვახსოვდეს, რომ წმინდა წერილი ამბობს: „მშვილდი ჩემი ღრუბელთა შინა“, „მშვილდსა ჩემსა დაჰდებ“. ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ მანამდე არავითარი ცისარტყელა არ ყოფილა. და რაკი ცისარტყელა სხვა არა არის რა, გარდა წვიმის ცვარზე მზის სხივების გადატეხვისა, ცხადია, ზარი დროის მანძილზე, რაც ქვეყნიერების შექმნასა და წარღვნას შორის გავიდა, წვიმა არ ყოფილა. ხეები და სხვა მცენარეები ისე იზრდებოდნენ, ჰაერში, უნესტოდ, ან მაშვრალთა ოფლი ჰყოფნიდათ, ან კიდევ იმ მოხეტიალე კაენმა, მთელს დედამიწაზე რომ დაყიალობდა და ქალაქებს აშენებდა, მსოფლიო არხების ქსელით დასერა.

ნეტარხსენებული ნოე და ღვთისაგან დალოცვილი მისი შთამომავლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არღვნის ამბავს ორი საყურადღებო ეპიზოდი აგვირგვინებს: ნოეს სიმთვრალე და „ბაბილონის გოდოლი“.

„და იწყო ნოე კაცმან საქმედ ქვეყანისა, და დაასხა ვენახი.

და სვა ღვინო მისგან, და დაითრო, და განშიშვლდა სახლსა შინა თვისსა.

და იხილა ქამ, მამამან ქანაანისამან, სიშიშვლე მამისა თვისისა, და გამოსრულმან გარე, მიუთხრა ძმათა თვისთა.

და მიიღეს სემ და იაფეთ სამოსელი და დაიდვეს ორთავე მხართა მათთა ზედა, და ვიდოდეს ზურგ უკუნ ქცევით, და დაფარეს შიშლოება მამისა, და პირი მათი იყო უკუნ ქცევით მჭვრეტელ, და შიშლოება მამისა მათისა არა იხილეს“. *(შექმნ., 9, 20—23)*.

ამრიგად, სემი და იაფეთი ისე კეთილსახიერად მოიქცნენ, როგორც ღირსეულ შვილებს ეკადრებათ, მთვრალ მამას რომ იხილავენ. ქამი კი, პირიქით, ისე მოიქცა, როგორც ღორი, ურიგოდ და უწესოდ დასცინა, რის გამოც, ცხადია, მაშინვე წყევლა დაატყდა, მაგრამ ნაბეთ, ვის!

„და განიფრთხო ნოე ღვინისაგან, და ცნო, რაოდენი უყო მას ძემან უმცროსმან,

და თქვა: წყეულ იყავნ, ქანაან! ყრმა და მონა იყავ ძმათა თვისთა.

და თქვა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი სემისი, და იყოს ქანაან მონა მისსა“. *(შექმნ., 9, 24—27)*.

ასე დაიწყევლა ახალგაზრდა ქანაანი, თუმცა სულაც არ მიუყენებია შეურაცხყოფა თავისი პაპისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ნოე საკმაოდ კარგად ვერ „განიფრთხო“ ღვინისაგან, როცა წყევლა წარმოთქვა. ამის მიუხედავად, უფალმა ღმერთმა მისი წყევლა დაადასტურა[25].

ღვთისმეტყველნი ერთი აზრისანი არიან, რომ ნოემ აზია სემს უბოძა, ევროპა — იაფეთს, აფრიკა -- ქამს. ქანაანმა და ქამმა დასაბამი მისცეს ზანგებსა და ნეგროიდებს. ამიტომაც მათი შთამომავლები ევროპელთა მონები უნდა გამხდარიყვნენ[26]. რანაირად უნდა გამხდარიყო ერთი დედმამის სამი შვილი სამი სხვადასხვა რასის მამამთავარი? ისღა დაგვრჩენია, ქედი მოვიხაროთ ღმერთისა და მისი წმინდა წერილის წინაშე, დავიჯე-

როთ, რომ სემის შთამომავალნი არიან სემიტები, ყვითელკანიანი ბუდისტები, იაფეტისა — თეთრკანიანი ევროპელები, ქამისა და ქანაანისა — შავკანიანი აფრიკელები. მხოლოდ ერთია გაუგებარი: საიდანღა წარმოიშვა ამერიკელ წითელკანიანთა რასა. სულიწმინდას დაავიწყდა ეკარნახა „დაბადების“ ავტორისათვის, ან არა და უნდა ჩავთვალოთ, რომ ინდეველები, ესკიმოსები, ინკებსა და მოჰიკანებს მამები არ ჰყოლიათ[27].

ახლა გადავიდეთ სახელგანთქმული ბაბილონის გოდოლის განხილვაზე.

„და იყო ყოველი ქვეყანა ენა ერთ, და ხმაი ერთ ყოველთა.

და იყო სლვასა მათსა აღმოსავლით გამო პოვეს ველი ქვეყანასა სენაარისასა და დაემკვიდრნეს მუნ.

და რქვა კაცმან მოყვასსა თვისსა: მოვედით, გამოვზილნეთ აღიზნი, და გამოვაცხვნეთ იგინი ცეცხლითა, და იყო მათდა აღიზი იგი ქვა და ასფალტოსი იყო მათდა თიხა.

და თქვეს: მოვედით, ვიშენოთ თავთა თვისთათვის ქალაქი და გოდოლი, რომლისა თავი იყოს ვიდრე ცადმდე, და ვყოთ თავთა თვისად სახელი, პირკელ განთესვისა ჩვენისა პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა.

და გარდამოვიდა უფალი ხილვად ქალაქისა და გოდოლისა, რომელი აღაშენეს ძეთა კაცთასა.

და თქვა უფალმან: აჰა, ნათესავი ერთ და ბაგე ერთ სოველთა, და ამათ იწყეს ქმნად, და აწ არა დააკლდენ მათგან ყოველნი, რაოდენთაცა ინებონ ქმნად.

მოვედით, გარდავიდეთ, და შეურივნეთ მათ ენანი მუნ, რათა არა ესმოდეს მუნ თვითეულსა ხმაი მოყვსისა.

და განთესნა იგინი უფალმან მუნით პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა, და დაცხრეს მაშენებელნი ქალაქისა და გუდლისანი.

ამისთვის ეწოდა სახელი მისი შერევნა, რამეთუ მუნ შეურივნა უფალმან ბაგენი ყოვლისა ქვეყანისანი და მუნით განთესნა იგინი უფალმან პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისასა“ (შექმნ., 11, 1—9).

ზოგიერთი ღვთისმეტყველი იერით ამტკიცებს, ბაბილონის გოდოლი ანუ კოშკი იმ დროისათვის, როცა ღმერთმა დაანგრია, ერთნახევარ კილომეტრს აღწევდა, ესე იგი სიმაღლით ათჯერ აღემატებოდა ეგვიპტის უდიდეს პირამიდას — ხეოპსის პირამიდას, რომლის სიმაღლეა 147 მეტრი. მაგრამ პირამიდები დღესაც დგანან, ხოლო უზარმაზარი ნაგებობიდან, რასაც ბაბილონის გოდოლს ეძახიან, ერთი ლოდიც აღარ დარჩენილა. 1500 მეტრის სიმაღლის კოშკისათვის საძირკველიც არაჩვეულებრივი იქნებოდა ჩასაყრელი. რანაირად უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა ასეთი შენობა? „დაბადების“ ავტორს ამისი ახსნა დაავიწყდა.

და კიდევ: იმ დროს, თვითონ ბიბლიის თანახმად, ჯერ კიდევ არ

იყო იმდენი ხალხი, არც ისეთი ხელოვნება, რასაც ასეთი უშარმაზარი ღონისძიება მოითხოვდა. მთელი ეს ამბავი მხოლოდ უდიდეს რელიგიურ სასწაულად უნდა ჩავთვალოთ!

არანაკლებ დაუჯერებელ სასწაულად უნდა ჩავთვალოთ უამრავი ენისა და კილოს ანაზდეული წარმოშობა. „კომენტატორები ვარდაუვლტერი, — ეძებდნენ, რა ენები შობილან ხალხთა ამ გაფანტვის შედეგად, მაგრამ არ მიუქცევიათ ყურადღება არც ერთი იმ ძველი ენისათვის, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ხალხები ინდოეთიდან მოყოლებული იაპონიამდე. საინტერესო იქნებოდა იმის დათვლა, თუ რამდენ ენაზე მეტყველებს დღეს დედამიწა. ამერიკაში ვიცით, სამასზე მეტი ენაა, ჩვენს კონტინენტზე — სამი ათასზე მეტი. ჩინეთის ყოველ პროვინციას თავისი ენა აქვს. პეკინის მოსახლეობას ცუდად ესმის კანტონელთა მეტყველება, და მალაბარელი ინდუსი ბენარესელ ინდუსს ვერაფერს გაუგებს. თუმცა დედამიწის მოსახლეობამ არაფერი იცოდა „ბაბილონის გოდოლზე“, ეს მხოლოდ ძველ ებრაელ მწერლებს ეუწყებოდათ“.

გვიკვირს და გაგვკვირვებია, რომ უდიდეს ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც ბიბლიაში საფუძვლად დასდებია კაცთა მოდგმის წარმოშობას, არც ერთი სხვა ხალხი არ იცნობს. თუ ბერძნები, რომაელები, ეგვიპტელები, ქალდეველები, სპარსელები, ინდუსები, ჩინელები და სხვა ძველი კულტურული ხალხები არ იცნობენ გედეონს, სამსონს ან რომელიმე სხვა წმინდა ებრაული გვარ-ტომის გმირს, ეს კიდევ არაფერი. მაგრამ თუ ეს ხალხები სრულიად არ იცნობენ ადამსა და ნოეს — ეს უკვე სხვა საკითხია.

თუ ბიბლიურმა წარღვნამ ერთიანად დაახრჩო კაცობრიობა და ადამიანთა ხელახლა აღორძინებულ მოდგმას დასაბამი მისცა ნოემ, მაშინ ეს პატრიარქი ცნობილი უნდა ყოფილიყო ყველა სხვა ხალხის მემატიანეებისთვისაც. როგორ მოხდა, რომ ადამის და ევას, კაენისა და აბელის, ენუქისა და მათუსალას, ლამექის, ნოეს, სემის, ქამის და იაფეტის სახელები არ შეუტანიათ პაპირუსებსა და პერგამენტებში, რის გამოც მათ იცნობს მხოლოდ მცირერიცხოვან ებრაელთა, ან პირველყოფილი კულტურის მომთაბარე ხალხის საღვთო წიგნი? როცა პირველი წარღვნის ვეტერანები დედამიწის სხვადასხვა მხარეში დამკვიდრდნენ და დასაბამი მისცეს ახალ ხალხებს, როგორღაც უცნაურად დაივიწყეს ყველაფერი: როგორ შექმნა ღმერთმა დედამიწა და ცის თაღი („ცა და ქვეყანა“), როგორ ცხოვრობდნენ სამოთხეში პირველი ადამიანები. ყველაფერი ეს მხოლოდ ებრაელთა მემატიანეებს დაუმახსოვრებიათ, მათ კიდევ ბიბლიური თქმულებების სახით ეს ყველაფერი სხვა ხალხებს გადასცეს. ვენახის მოყვანამ და ღვინის დაყენებამაც კი ვერ იხსნა ნოე საყოველთაო დავიწყებისაგან, რადგან ხალ-

ხთა უდიდესი ნაწილი ღვინის გამომგონებელს ბახუსსა აცემს თაყვანს და მას აღიარებს ღვინის ღმერთად.

რაც შეეხება წარღვნას, კრიტიკოსები ერთხმად თვლიან მას რომელიმე ადგილობრივ კატასტროფად და ამტკიცებენ, რომ ადვილი შესაძლებელია ეს ჩვეულებრივი დიდი წყალდიდობა ყოფილიყო, რომ პოეტისტი ნის დაბლობში შეიძლებოდა უზარმაზარ წარღვნად მიეღოთ. ძველ ბერძნებსაც ხომ აქვთ მითი დევკალიონზე[28]!

კრიტიკოსები ასეთი რამის მტკიცებას ბედავენ: ბიბლიური წარღვნა რომ მსოფლიოს მომცველი ყოფილიყო, მაშინ ნოეს სახელიც მსოფლიოს საკუთრება იქნებოდა, ხოლო დევკალიონისა და ქალდეველთა ლეგენდის გმირის უტნაპიშტიმის სახელები დავიწყებას მიეცემოდა. გასაკვირია ისიც, რომ ჰესიოდე და ჰომეროსი ერთი სიტყვითაც არსად ახსენებენ ადამსა და ნოეს, რომელთაგანაც ერთი იყო კაცობრიობის მამა, მეორე კი მისი მხსნელი.

ასეთი დუმილი უმაგალითო ამბავია, რადგან დაუშვებელია „ღვთაებრივი მტრედი" ისეთი მისტიფიკატორი გამომდგარიყო, პირველი ადამიანისა და დასახრჩობად განწირული კაცობრიობის მხსნელისათვის შემთხვევითი, მოგონილი სახელები მიეცა, მათი ვინაობის ერთადერთი წყარო კი მხოლოდ ბიბლია ყოფილიყო.

ნეტარხსენებულ წმინდა აბრაამ პატრიარქის ცხოვრება

კითხველს ალბათ ახსოვს ღვთის გადაწყვეტილება, რომ ადამიანის ასაკი 120 წელს არ გადასცილებოდა *(შექმნ., 6, 3)*. ამ კატეგორიული ღვთაებრივი იმპერატივის მიუხედავად სემმა განიზრახა ეცოცხლა უთუოდ 600 წელიწადი *(შექმნ., 11, 10—11)*, არფაქსადმა — 438 *(მუხ. 12 — 13)*, სალმა — 433 წელი, ებერმა — 464 წელი, ფალეკმა და რაგავმა—თითოეულმა 239 წელი, სერუქმა — 230 წელი, ნაქორმა — 148 წელი, ფარამ — 205 წელიწადი. სემის ეს რვა შთამომავალი მიგვიძღვება პირდაპირ პატრიარქ აბრაამთან, რომელსაც წილად ხვდა განსაცვიფრებლად ფართო და მრავალმხრივი როლი ეთამაშა ებრაელი ხალხის საარაკო ისტორიაში.

ბიბლია არ გვიხსნის, რისთვის შეიყვარა ღმერთმა მოულოდნელად ეს აბრაამი, რომელსაც პირველად უბრალოდ „აბრამი" ერქვა, განსაკუთრებული დამსახურების შემდეგ კი სიბერეში „აბრაამი" ეწოდა. მშვიდად ცხოვრობდა თავისთვის ქარანში, როცა ერთ მშვენიერ დღეს დილით ღმერთი გამოეცხადა და უბრძანა, ბარგი გაიმზადეო.

„და ჰრქვა უფალმან აბრამს: გამოვედ ქვეყანისაგან შენისა, და ნათესავისაგან შენისა, და სახლისაგან მამისა შენისა, და მოვედ ქვეყანად, რომელიცა გიჩვენო შენ.

და გყო შენ ნათესავად დიდად და გაკურთხო შენ, და განვადიდო სახელი შენი, და იყო კურთხეულ.

და ვაკურთხნე მაკურთხეველნი შენნი, და მწყევარნი შენნი ვწყევნე. და იკურთხეოდიან შენდამი ყოველნი ტომნი ქვეყანისანი" *(შექმნ., 12, 1—3)*.

თუმცა უკვე 75 წლისა იყო, აბრამი გულუბრყვილოდ ენდო ღმერთს და არავითარი ახსნა-განმარტება არ უთხოვია ასეთი საკვირველი წინადადების გამო. აიკიდა გუდა-ნაბადი და გაუდგა გზას, მაგრამ საით, თვითონაც არ იცოდა. თან თავისი ცოლი სარაც გაჰყვა, არც ძმისწული ლოტი, მისი ცოლი და მსახურები დაუტოვებია.

ქარავანს რამდენიმე ასეული კილომეტრი მანძილი უნდა გაევლო, ვიდრე ქანაანის მიწაზე მოხვდებოდა. უთუოდ ამ მიწის ჩვენება ეწადა

ღმერთს, რადგან დაპირებული იყო, შენს შთამომავლობას ქანაანს დავუმკვიდრებო. დიდხანს მიეხეტებოდნენ ჩვენი მოგზაურები ქვიშის უდაბნოში, სადაც არ იყო მცენარეულობა. თავისი თავის გასამხნევებლად და ადამიანთა რწმენის განსამტკიცებლად პატრიარქმა შუა უდაბნოში საკურთხეველი აღმართა და ღმერთს შეევედრა, მალე მიგვიყვანე დანიშნულ ადგილებში, რადგან, ეტყობა, ცხელ ქვიშაში მოხუცებულ პატრიარქს ფეხები ეტკივა.

ქანაანის ქვეყანა და ზოგიერთი სხვა მიწაც რომ გაიარეს, მოგზაურებმა სამხრეთისაკენ გაუხვიეს და ეგვიპტეში ჩავიდნენ[29].

„და იყო რაჟამს მიეახლა ეგვიპტედ, ჰრქვა აბრამ ცოლსა თვისსა სარას: ვუწყი, რამეთუ დედაკაცი პირმშვენიერი ხარ.

და ოდეს გიხილონ შენ ეგვიპტელთა, სთქვან მათ, ვითარმედ ცოლი მისი არს ესე, და მომკლან მე. ხოლო შენ კეთილად შეგიწყნარონ.

სთქვი, ვითარმედ დაი მისი ვარ, რათა კეთილი მეყოს მე შენგან, და განერეს სული ჩემი.

და იყო, რაჟამს შევიდა აბრამ ეგვიპტეს, იხილეს ეგვიპტელთა მათ დედაკაცი იგი, რამეთუ შვენიერ იყო ფრიად.

და იხილეს იგი მთავართა ფარაოსთა, და აქეს იგი წინაშე ფარაოსსა და შეიყვანეს იგი სახლსა ფარაოსსა.

და აბრამს კეთილსა უყოფდეს მის გამო: და იყო მისი ცხოვარი და ზროხა და ვირი და მონა და მხევალი, და კერძო ვირი და აქლემი“ *(შექმნ., 12, 11—16)*.

ეს, რა თქმა უნდა, კეთილმსახურულ-დამრიგებლური თავგადასავალია. წმინდა წერილი ერთი სიტყვითაც არ ამტყუნებს ალფონს მამამთავარს, რომელმაც ასე იოლად დათმო მშვენიერი მეუღლე. ზოგიერთმა განმმარტებელმა სასტიკად გაკიცხა აბრამი თავისი საქციელისათვის, მაგრამ წმინდა ავგუსტინემ ეს პატრიარქი თავის მფარველობაში აიყვანა[30]. სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ სარა ამ დროს 65 წლისა იყო. ცხადია, მისი საპის მშვენიერებას დაღი ვერ დაასვა ვერც ამ ასაკმა, ვერც მძიმე გზამ. ცხადია, ესეც მორიგი რელიგიური სასწაულია. მოგვიანებით, როცა 90 წლის სარას ისევ მისი საკვირველი სილამაზისათვის ერთ-ერთი მეფე მოიტაცებს, ჩვენ ვნახავთ, რა შეუძლია ქალის მშვენიერებას.

როგორც კი მომხიბლავი სარა ფარაონმა თავის სასახლეში შეიყვანა და გაემზადა იმისათვის, რომ მისი ქმრისათვის რქები დაედგა, უცებ უფლის ყოვლისმხილველმა თვალმა შენიშნა, რაც ხდებოდა მისი უდიდებულესობის, „ეგვიპტის მეფის“ ჰარამხანაში.

„და სტანჯა ღმერთმან ფარაო ტანჯვითა დიდითა და ბოროტითა, და სახლი მისი სარასთვის, ცოლისა აბრამისა.

და მოუწოდა ფარაო აბრამს და ჰრქვა მას: რაი ესე მიყავ მე, რად არა მითხარ მე, ვითარმედ ცოლი შენი არს?

რისათვის სთქვი, ვითარმედ დაი შენი არს, და მოვიყვანე იგი თავისა ჩემისა ცოლად, და აწ აჰა ცოლი შენი წინაშე შენსა, მიიყვანე და განისწრაფე[31].

და ამცნო ფარაო კაცთა აბრამისთვის, რათა წარგზავნონ იგი და ცოლი მისი, და ყოველი, რაოდენნი, რა იყვნენ მისნი, და ლოტი მისვანა" *(შექმნ., 12, 17—20)*.

ამრიგად, ჩვენი აბრამი ისევ გზაშია. ოღონდ ამჯერად უკვე „აბრამ იყო მდიდარ ფრიად საცხოვარითა და ვერცხლითა და ოქროთა" *(შექმნ., 13, 2)*. ეს გასაგებია და გვჯერა, რადგან ცხადია, ფარაონს არაფერს არ დაუბრუნებდა იმ გასამრჯელოდან, რაც ლამაზი ცოლით მოვაჭრემ მისგან მიიღო.

„და მოვიდა ვინაცა წარსულ იყო უდაბნოდ ვიდრე ბეთელადმდე, ვიდრე ადგიდმდე, სადა იგი იყო კარავი მისი პირველად შორის ბეთელსა და შორის ანგესა" *(შექმნ., 13, 3)*.

ამ მეორე მოგზაურობის დროს მოხდა ჩხუბი აბრამისა და ლოთის (ლოტის) მსახურთა შორის. ბიძა-ძმისწულმა ქონება გაიყვეს, ამასთან გულითად მეგობრებად დარჩნენ. აბრამმა ქანაანის მიწაზე დასახლება გადაწყვიტა, ლოტი კი იორდანის ველზე გავიდა და სოდომში დამკვიდრდა, სადაც თავისი კარვები გაშალა.

გავიდა ხანი და რომელიღაც მეფეებმა, მათ შორის სოდომის მეფემაც ერთიმეორეს შორის ომი ატეხეს. ბრძოლაში ლოტი ტყვედ ჩავარდა. ბიძამისმა აბრამმა ამ დროისათვის ისევ გამოიცვალა ადგილსამყოფელი და კარავი ქებრონში გადაიტანა. აქ გაიგო სამწუხარო ამბავი. წმინდა გულისწყრომამ მოიცვა მისი არსება და გადაწყვიტა თავისი ნათესავის გამოხსნა. აი, აქ გამოჩნდა, რა შესძლებია პატრიარქს. თურმე ამ მომთაბარე კაცს, რომელსაც ერთი გოჯი საკუთარი მიწა არ გააჩნდა, მსახურთა მთელი ჯარი ჰყოლია: ბიბლია მოგვითხრობს, რომ აბრამმა თავისი 318 მოსანსახურე აღჭურვა და ამ მუჭა რაზმით გააცამტვერა ამ ქვეყნის ოთხი უძლიერესი მეფის არმია: ამარფალის (ამრაფელის) — სენაარის მეფის, არიოქის — სილასარის (ელასარის) მეფის, ქედორლაომერის (ქოდოლოგომორის) — ელამის მეფისა და თიდეალის (თაგალის) — წარმართთა მეფისა*.

დიდი გამარჯვებაა, ვერაფერს უსაყვედურებთ! დამარცხებულ მტერს აბრამმა სდია დანამდე (რაც, უნდა შევნიშნოთ, ჯერ კიდევ არ არსებობდა. ლეო ტაქსილი). „და დაესხა მათ ზედა ღამე იგი და ყრმანი მისნი და

---

* საკუთარ სახელთა დაწერილობაში ხშირად დიდ სხვადასხვაობას ვხვდებით სხვადასხვა ენაზე არსებულ თარგმანთა შორის. მეფე თაგალი (ლუთერთან თიდეალი, რუსულში ფიდალა) ქართულ დაბადებაში ისეა, როგორც ლუთერის ბიბლიაში: მეფე წარმართთა (König der Heiden), რუსულში — (Царь гоимский).

ღასცნა იგინი და სდევდა ვიდრე ქობალადმდე, რომელ არს მარცხენით დამასკისა. და შემოაქცია ყოველი ცხენოსანნი სოდომთა, და ლოთიცა, ძე ძმისა თვისისა, შემოაქცია, და ყოველნი საქონელნი, და დედანი და ერი. *(შექმნ., 14, 15—16).*

წლები გადიოდა, აბრამს კი შვილი არ უჩნდებოდა, რაც ფიქრის ხანში შედიოდა, მით უფრო წუხდა და მოუსვენრობა ეუფლებოდა. რანაირად უნდა გამიჩნდესო მემკვიდრეობა, როგორ უნდა შესრულდესო ღვთაებრივი დაპირება, დიდი ხალხის მამა გახდებიო?

„და შემდგომად სიტყვათა ამათ იქმნა სიტყვა უფლისა აბრამის მიმართ, ჩვენებასა ღამისასა, მეტყველი: ნუ გეშინინ, აბრაჳ, მე შეგეწიო შენ, და სასყიდელი შენი ფრიად იყოს.

და სთქვა აბრამ: მეუფეო უფალო, რაი მომცე მე, რამეთუ ესერა წარვსწყმდები მე უშვილოდ. ხოლო ძე მასეკისი, სახლის წულისა ჩემისა, ესე დამასკოს ელიეზერ.

და სთქვა აბრამ: ვინათგან მე არა მომეც თესლი, ამან სახლის წულმან ჩემმან დამიმკვიდროს მე.

და მეყვსეულად იქმნა ხმაი უფლისა, მისსა მიმართ მეტყველი: არა დაგიმკვიდროს შენ მაგან, არამედ რომელი გამოვიდეს შენგან, მან დაგიმკვიდროს შენ.

და განიყვანა იგი გარე და ჰრქვა მას: აღიხილენ ცად მიმართ და აღრიცხენ ვარსკვლავნი, უკეთუ ძალგიძს აღრიცხვა მათი. და ჰრქვა: ესრეთ იყოს თესლი შენი[32]. *(შექმნ., 15, 1—5).*

აბრამმა ღმერთს დაუჯერა და ისევ ლოდინი გადაწყვიტა, მაგრამ უშედეგოდ. „ხოლო სარაი, ცოლი აბრამისი, არა უშობდა მას, და იყო მისა მხევალი მეგვიპტელი, რომლისა სახელი აგარ. და თქვა სარა აბრამის მიმართ: აჰა ესერა დამხშა მე უფალმან არა შობად, შეევედ უკვე მხევლისა მიმართ ჩემისა, რათა შვილიერ ვიქმნე მისგან. და ისმინა აბრამ ხმისა სარასი“ *(შექმნ., 16, 1—2).*

ეს ნიშნავს, რომ სარამ თავისი მოახლე ქალის ბავშვის შვილად აყვანა განიზრახა. აღმოსავლური წესის თანახმად, მამა ან დედა სხვის ნაშობს მუხლებზე დაისვამენ დაბადებისთანავე. ესაა შვილად აყვანის წესი.

„და მოიყვანა სარა, ცოლმან აბრამისმან, მხევალი მისი მეგვიპტელი აგარ, შემდგომად ათისა წლისა დამკვიდრებისა აბრამისა ქვეყანასა ქანაანისასა, და მისცა იგი აბრამს, ქმარსა თვისსა, ცოლად.

და შევიდა აგარის მიმართ, და მიუდგა: და იხილა, რამეთუ მუცელ ქმნულ არს, და უპატიო იქმნა დედოფალი მისი მის წინაშე.

და სთქვა სარა აბრამის მიმართ: ვიუსამართლოები შენგან, მე მოგეც შენ მხევალი ჩემი წიაღთა შენთა, ხოლო მან იხილა რა, ვითარმედ

მუცელ ქმნულ არს, უპატიო ვიქმენ წინაშე მისსა, საჯენ ღმერთმან შორის შენსა და ჩემსა.

და სთქვა აბრამ სარას მიმართ: აჰა მხევალი შენი ხელთა შინა შენთა, იხმიე იგი, ვითარმეცა სათნო არს შენდა: და [illegible] მას, და ივლტოდა იგი პირისაგან მისისა" *(შექმნ., 16, 3—6)*.

იმავე აბრამმა ცოლის წინაშე ქედი მოიხარა, ფეხმძიმე ქალი უკანვე ჩააბარა, როგორც გენებოს, ისე მოექეციო. სარამ მხევალი შეავიწროვა და აიძულა გაქცეულიყო. განა ჩვენი „წმინდა მამამთავრის" ეს საქციელი ჰკუის სასწავლებელი და ზნეობრივად სამაგალითო არ არის?[33]

საბედნიეროდ, აგარს უდაბნოში ანგელოზი შეხვდა და ანუგეშა:

„ხოლო ჰპოვა იგი ანგელოსმან უფლისა ღვთისამან წყაროსა ზედა წყლისასა უდაბნოსა შინა, წყაროსა თანა გზასა ზედა სურმისასა.

და ჰრქვა მას ანგელოსმან უფლისამან: აგარ, მხევალო სარასო, ვინა მოხვალ, და სადა წარხვალ, და თქვა: პირისაგან სარას, დედოფლისა ჩემისა, ვივლტვი მე.

და ჰრქვა მას ანგელოსმან უფლისამან: მიიქეც დედოფლისა მიმართ შენისა, და დამდაბლდი ქვეშე ხელსა მისსა... განმრავლებით განვამრავლო თესლი შენი, და არა აღირაცხოდეს სიმრავლისაგან... აჰა, შენ მუცელ ქმნულ ხარ და შვი ძე და უწოდი სახელი მისი ისმაილ[34], რამეთუ შეისმინა უფალმან სიმდაბლისა შენისა" *(შექმნ., 16, 7—11)*.

ასე შეისმინა უფალმა აგარის ტანჯვა.

„ხოლო იყო აბრამ ოთხმეოცდა ათცხრამეტისა წლისა, და ეჩვენა უფალი აბრამსა და ჰრქვა მას: მე ვარ ღმერთი შენი, სათნო იყავ წინაშე ჩემსა და იქმენ უბიწო.

და დავსდვა აღთქმა ჩემი შორის ჩემსა და შენსა და განგამრავლო შენ ფრიად.

და დავარდა აბრამ პირსა ზედა თვისსა და ჰრქვა მას ღმერთმან, მეტყველმან:

და აჰა, მე ესერა, დავსდვა აღთქმა ჩემი შენთანა, და იყო შენ მამა მრავალთა თესლთა.

და არა გეწოდოს მერმეცა სახელი შენ აბრამ, არამედ იყოს სახელი შენი აბრაამ: რამეთუ მამად მრავალთა თესლთა დაგდევ შენ. და აღგაღორძინო შენ ფრიად, ფრიად და დაგდვა შენ ნათესავად ერთა, და მეფენი შენგან გამოვიდენ.

და დავადგინო აღთქმა ჩემი შორის ჩემსა და შორის შენსა და შორის თესლისა შენისა, შემდგომად შენსა, ნათესავისა მიმართ მათისა, აღთქმად საუკუნოდ: რათა ვიყო შენდა ღმერთ, და თესლისა შენისა შემდგომად შენსა.

და მიგცე შენ და ნათესავსა შენსა, ქვეყანა, რომელსა მსხემობ, ყო-

ველი ქვეყანა ქანაანისა, სამკვიდრებელად საუკუნოდ, და ვიყო მე მათდა ღმერთ.

და სთქვა ღმერთმან აბრაამის მიმართ: ხოლო შენ აღთქმა ჩემი დაიცვა, შენ და თესლმან შენმან ნათესავთა შინა მათთა.

და წინა დაიცვითოს თქვენმან ყოველმან წულმან

წინა დაიცვითოთ ხორცი წინა დაუცველობისა თქვენისა და იყოს სასწაულ აღთქმისა შორის ჩემსა და თქვენდა.

და ყრმამან რვისა დღისამან წინა დაიცვითოს თქვენმან ყოველმან წულმან, ნათესავსა შორის თქვენსა, სახლის წულმან და ვერცხლით სყიდულმან ყოელისაგან ძისა უცხოსა, რომელი არა არს თესლისაგან შენისა, წინა დაცვეთით წინა დაიცვითოს სახლის წულმან შენისამან, და ვერცხლით ფრდილმან (სყიდულმან).

და იყოს აღთქმა ჩემი ხორცსა ზედა თქვენსა აღთქმად საუკუნოდ.

და წულმან, რომელმან არა წინა დაიცვითოს ხორცი წინა დაუცველობისა მისისა, დღესა მერვესა, მოისპოს სული იგი ნათესავისაგან მისისა, რამეთუ აღთქმა ჩემი განაქარვა.

და ჰრქვა უფალმან აბრამს: სარას, ცოლსა შენსა, არა ეწოდოს სახელი მისი სარა, არამედ სარრა იყოს სახელი მისი.

ხოლო ვაკურთხო იგი, და მოგცე შენ მისგან შვილი, და ვაკურთხო იგი და იყოს ნათესავად დიდად და მეფენი წარმართთანი მისგან გამოვიდენ.

და დავარდა აბრაამ პირსა ზედა თვისსა და განიცინა და თქვა გონებასა თვისსა: უკეთუ ასისა წლისაჲ ესვას ძე და სარრა ოთხმეოცდა ათისა წლისამან შვას!

და თქვა აბრაამ ღვთისა მიმართ, ისმაელ ესე ცხოვნდინ წინაშე შენსა, უფალო!

და ჰრქვა ღმერთმან აბრაამს: აჰა სარრა, ცოლმან შენმან, გიშვეს შენ ძე და უწოდი სახელი მისი ისაკ და დავადგინო აღთქმა ჩემი მისა მიმართ აღთქმად საუკუნოდ, და ვიყო მისი ღმერთად, და თესლისა მისისა შემდგომად მისა.

ხოლო ისმაელისათვის აჰა ვისმინე შენი, და აჰა ვაკურთხე იგი და განვამრავლო იგი ფრიად: და ათორმეტნი ნათესავნი შვნეს, და ვყო იგი ნათესავად დიდად.

ხოლო აღთქმა ჩემი დავადგინო ისაკის მიმართ, რომელი გიშვეს შენ სარრა, ჟამსა ამას წელიწადსა მეორესა.

და დაასრულნა სიტყვანი ესე მისა მიმართ, და ამაღლდა ღმერთი აბრაამისგან“ *(შექმნ., 17, 1—22)*.

შეუძლებელია ამ სტრიქონების წაკითხვა ღრმა მოწიწების გარეშე:

აი, როგორ გამოეცხადა და ესაუბრა ყველგან მყოფი ღმერთი აბრაამს და ესაუბრა ისეთ ინტიმურ საკითხზეც კი, როგორიცაა წინადაცვეთა.

ამ აღწერილობის ავტორი, ცხადია, სულიწმინდის მთაგონებული იყო! ეკლესიის მსახურნი ტყუილად ნუ გაირჯებიან ამისი მტკიცებით, რადგან ღვთაების აზრი აქ ისეთ სიმაღლემდე ადის, რასაც უბრალო მოკვდავი ვერასოდეს ვერ მიაღწევდა. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელს არასოდეს არ მოუვიდოდა აზრად, ინდოეთის მეფეებთან კავშირს რომ კრავდა, ჩვენი მეგობრობის ნიშნად წინადაიცვითეთო. როცა ტილზიტში ნაპოლეონი რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პირველს ძმასავით გადაეხვია, რუსეთთან კავშირის დამყარებას მხოლოდ ერთი მიზნით ფიქრობდა: ინგლისის საერთო სიძულვილის საფუძველზე. დავუშვათ, რომ მარშალმა მიურატმა, რომელიც მაშინ ნაპოლეონს ახლდა, იმპერატორს ასეთი წინადადება მისცა: მოთხოვეთ რუსეთის იმპერატორს, რომ ხვალვე წინადაიცვითოს და იგივე წესი შეასრულონ მისი შტაბის წევრებმა, რადგან ესაა ორი იმპერიის ურთიერთ კავშირის მთავარი, საუკეთესო საწინდარიო! ნაპოლეონი მაშინვე იფიქრებდა, ჩემი მარშალი შეიშალაო და თავის საუკეთესო ექიმებს მიანდობდა. მაგრამ ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონი მხოლოდ ადამიანები იყვნენ. მხოლოდ იაღვეს ღვთაებრივ გონებას შეეძლო მიეგნო მარადიული კავშირის იდეისათვის, რაც გამოიხატებოდა წინადაცვეთის ადათის გადაცემაში საშვილიშვილოდ.

მაგრამ თუ ამ ღვთაებრივ წინადაცვეთას მართლაც ასე ციური დანიშნულება აქვს, მაშინ ქრისტიანებმა რატომ უარჰყვეს?

რაც შეეხება წმინდა პატრიარქს აბრაამს, მან უყოყმანოდ მიიღო უზენაესის მოთხოვნა.

„და მოიყვანა აბრაამ ისმაელი, ძე თვისი, და ყოველნი სახლის წულნი, ყოველნი ვერცხლით ფრდილნი (ნაყიდნი) თვისნი, და ყოველი წული კაცთა მათ სახლისა აბრაამისთა და წინა დასცვითა დაუცვეთელობა მათი, ჟამსა მის დღისასა, ვითარცა ჰრქვა მას ღმერთმან.

ხოლო აბრაამ იყო ოთხმეოც და ათ ცხრამეტის წლისა, რაჟამს დაიცვითა ხორცი დაუცვეთელობისა თვისისა.

ხოლო ისმაელ, ძე მისი, იყო ათ ცამეტისა წლისა, რაჟამს წინა დასცვითა ხორცი წინა დაუცვეთელობისა მისისა.

ხოლო ჟამსა მის დღისასა წინა დაიცვითა აბრაამ და ისმაელ, ძემან მისმან.

და ყოველთა მამა კაცთა სახლისა მისისათა, და სახლის წულთა, და ვეცხლით ფრდილთა, და სხვა ნათესავთაგანთა წარმართთა წინა დასცვითა მათ“ *(შექმნ., 17, 23—27).*

როგორღა უნდა ამტკიცონ ახლა ქრისტიანებმა, რომ მათი რელიგია ებრაელი ხალხის რელიგიაზეა დამყარებული, თუკი ამ რელიგიის მთავარ

წესებს არ ასრულებენ? ქრისტეც კი დაემორჩილა წინადაცვეთის წესს. მისი ჩუჩა თაყვანისცემის საგნად ქცეულა და რომის ლატერანის ეკლესიის ერთ-ერთ უწმინდეს რელიქვიად ითვლება. ეს ჩუჩა რაღაც უზენაესი და მიუწვდომელი სასწაულის ძალით საოცრად გამრავლდა კიდეც: ამჟამად იგივე რელიქვია ინახება აგრეთვე შარუს (პუატიეს მახლობლად), ანველეს, კულომბოს, მარნის შალონის, ანტვერპენისა და [illegible] ეკლესიებში. გარდა ამისა, „მაცხოვრის წინადაცვეთის“ დღეს ეკლესია 1 იანვარს აღნიშნავს.

იმპერატორი იულიანე ფილოსოფოსი თავისი ქრისტიანობის კრიტიკაში აღნიშნავს, რომ ახალი სარწმუნოების წარმომადგენლები არღვევენ იუდეველთა რელიგიურ წესებს და იმავე დროს თავი მათ ერთგულ შვილებად მოაქვთ. იმპერატორმა ჩამოთვალა განსხვავება რელიგიურ წესებს შორის, მსხვერპლშეწირვის გაუქმება, ხორცის გამოყენების კანონის დარღვევა, შაბათის ზეიმისა და უქმის გადატანა მომდევნო დღეზე და ა. შ[35].

წინადაცვეთის წესზე კი ასე წერს:

„მე თქვენ გეკითხებით, გალილეველნო, რატომ არ ასრულებთ საკუთარ თავზე წინადაცვეთის წესს? განა იესომ არ გიბრძანათ, ზუსტად დაიცავით ეს წესიო? „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაჰხსნად სჯულისა, გინა წინასწარმეტყველთა. არა მოვედ დახსნად, არამედ ასრულებად“ *(მათეს სახარება, 5, 17)*. შემდეგ კი მანვე თქვა: „უკეთუ ვინმე დაჰხსნას ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთა, და ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა. ხოლო რომელმან ჰყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქვას სასუფეველსა ცათასა“ *(მუხლ. 19)*. ვინც ერთ მცნებასაც დამირღვევსო, დაისჯებაო! რაკი ქრისტემ ასე გიბრძანათ, ჩემი კანონის სულ მცირე დარღვევისთვისაც სასუფეველში მკაცრად დაისჯებითო, რითღა იმართლებთ თავს თქვენ, გალილეველნო, მთელს ამ კანონს რომ არღვევთ? ან იესო ქრისტე ტყუის, ან თქვენ ხართ კანონის დამრღვევნი“.

იულიანეს ამ შენიშვნაზე პასუხს წმინდა კირილე აძლევს[36]. უნდა ითქვას, რომ ამ მღვდელმთავრის საბუთები სუსტი და უნიათოა.

„წინადაცვეთა უსარგებლოა, — ამბობს წმინდანი, — თუკი ჩვენ მის სულიერს აზრს უკუვაგდებთ. თუ აუცილებელია, რომ ადამიანმა წინადაცვეთის წესი შეასრულოს, თუ ღმერთი წყევლის და გმობს ხორცს, მაშინ რატომ თავიდანვე ისეთი არ შექმნა, როგორიც სურდა ეხილა? წინადაცვეთის უსარგებლობის ამ პირველ მიზეზს მეორესაც მივუმატებთ: ადამიანის არც ერთ სხეულში, თუ ის სნეული, ან გონჯი არ არის, არაფერი ზედმეტი არ არის. ყველაფერი გონივრულად შეუქმნია ბუნებას, ისეთი, როგორიც უნდა იყოს, საჭირო და აუცილებელია. მე ვფიქრობ, ადამიანის სხეულისათვის დიდად საზიანო იქნებოდა, რომ მისი თუნდაც რო-

მელიმე მცირე ნაწილი დაგვეკლო. განა ქვეყნიერების შემოქმედმა თვითონ უკეთ არ იცოდა, რა არის სასარგებლო და სიკეთის მომნიჭებელი? განა ამით არ ხელმძღვანელობდა, ადამიანის სხეულს რომ ქმნიდა, რაკი დანარჩენი ყველა არსება და ქმნილება სრულყოფილია? [illegible] წინადაცვეთა? იქნებ ამ ჩვეულების დასაცავად იგივე [illegible] ბობენ ებრაელები და კერპთთაყვანისმცემელნი: ეს იმისათვის არის საჭირო, რომ სხეული სუფთად დავიცვათო? ამ აზრს მე არ ვიზიარებ. მე ვფიქრობ, ეს წესი შეურაცხყოფს ბუნებას, რომელსაც არაფერი არ შეუქმნია ზედმეტი და უსარგებლო. პირიქით, ყველაფერი, რაც მანკიერებად და უპატიოსნობად ითვლება, სინამდვილეში აუცილებელი და ღვთისაგან ნებადართულია, მეტადრე თუ ადამიანი ზედმეტი ვნებისაგან თავს შეიკავებს. უნდა მოვითმინოთ ყველა ხორციელ ტვირთის სიმძიმე და ჩუჩა დავტოვოთ შობის წყაროზე. ხორციელი ბუნება არ შეურაცხყოფს გონებას"[37].

ამრიგად, „წმინდა" კირილე კითხულობს, რაღა საჭიროა წინადაცვეთა, თუ მის მისტიკურ აზრს უკუვაგდებთო? იმპერატორ იულიანეს იოლად შეეძლო ალექსანდრიის ეპისკოპოსისათვის ასეთი პასუხი გაეცა: არაფრისათვის არ არის საჭირო, თუ გნებავს, მაგრამ საქმე ეს კი არ არის. საქმე ისაა, მოსთხოვა თუ არა ნამდვილად ღმერთმა აბრაამს წინადაცვეთის აღთქმა, როგორც მასთან და მისი სარწმუნოების მიმდევრებთან უზენაესის საიმედო კავშირის საიმედო საბუთი? წმინდა წერილის ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ ასეთი იყო ღმერთის განზრახვა და ამის შესახებ სრულიად გარკვევით ილაპარაკა. შემდეგში მოსემ უფლის ბრძანებით აღადგინა კანონი წინადაცვეთაზე. იესო ქრისტეს, რომელმაც განაცხადა, რომ მოვიდა არა კანონის დასარღვევად, არამედ მის აღსასრულებლად, არასოდეს არაფერი არ უთქვამს ამ წესის შეცვლაზე. ევანგელისტები — მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე — არსად არ აღნიშნავენ, რომ ქრისტემ ამ წესის შეცვლა სადმე საჭიროდ ჩათვალა. მაშ რატომ ჩათვალეს საჭიროდ თვითონ ქრისტიანებმა ამ წესის შეცვლა თავიანთი ღვთაებრივი კანონმდებლის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ?

ქრისტიანი ღვთისმეტყველნი წმინდა მოციქულს პავლეს იმოწმებენ, რომელმაც თქვა, წინადაცვეთა უცილობელია მხოლოდ გულშიო. მაგრამ არსებობს წიგნი „საქმე მოციქულთა", რომელშიაც იმავე პავლემ „მოიყვანა და წინა დასცვითა მას (თავის მოწაფეს, ბერძენ ტიმოთეს. ა. გ.) ჰურიათა მათთვის, რომელნი იყვნეს მათ ადგილთა, რამეთუ უწყოდეს ყოველთა, ვითარმედ წარმართი იყო მამა მისი" *(საქმე მოციქულთა, 16, 3)*. რაკი პავლე აქ ებრაელთა კანონს წინადაცვეთის შესახებ ზუსტად იცავს და სასარგებლოდაც თვლის, რატომ შეცვალა შემდეგ ასეთი აზრი?

ღმერთმა ხომ არ ჩააგონა? პავლე ამაზე არაფერს გვეუბნება. მაშ სიბრძნე მოსჭარბდა? თუ ეს ასეა, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ წმინდა მოციქული დიდხანს ყოფილა ბნელში, ვიდრე თვალი აეხილებოდა. მერე, მისი მასწავლებელი ხომ თვითონ ქრისტე იყო!

ვოლტერი ამბობს: „სწავლულებმა ვერაფერი შეფასება მისცეს წინადაცვეთას. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ეს რამდენადმე ხელს უწყობს სხეულის სისუფთავეს. ეტყობა, არასოდეს არ უხილავთ ეს ადათი, თორემ ეცოდინებოდათ, რა უმნიშვნელოა ამ ოპერაციის შედეგი და რა იოლად შეიძლებოდა მისი შეცვლა ჩვეულებრივი მობანვით, რაც ბევრად უფრო მარტივია და უვნებელი, რადგან ყმაწვილები ამ ოპერაციისაგან ხშირად იღუპებიან. იმასაც ამბობენ, რაკი ებრაელები მეტად ცხელპავიან ქვეყნებში ცხოვრობდნენ, ამ კანონით სურდათ თავი დაეზღვიათ პაპანაქება სიცხისაგან, რაც შეიძლებოდა სასქესო ორგანოზე წყლულების გაჩენის მიზეზი გამხდარიყო. ეს ტყუილია! პალესტინაში არაა იმაზე მეტი სიცხე, რაც სამხრეთ ევროპაშია. სპარსეთში ბევრად უფრო ცხელა, ინდოეთსა და აფრიკაში კი მით უფრო, მაგრამ არც ერთ იმ ქვეყნის ბინადარ ხალხს არასოდეს არ მოსვლია აზრად წინადაცვეთის წესით დაეცვა თავისი ჯანმრთელობა.

„წინადაცვეთის ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყნის მღვდლებმა წესად შემოიღეს ღმერთისათვის სხეულის რომელიმე ნაწილის შეწირვა, მაგალითად, ბელონის ან მარსის მცხოვრებთა მოძღვარნი ტანზე თასმებს იჭრიდნენ, სხვები თავს ისაჭურისებდნენ, როგორც კიბელის ქურუმები. ზოგიერთი ცრუმორწმუნე საკუთარ ლურსმნებს ირჭობდა. ფაკირები სასქესო ასოზე რგოლებს წამოიცვამდნენ. დანარჩენები მლოცველებს შოლტავდნენ, როგორც მაგალითად იეზუიტი ჟირარი იქცეოდა ეკატერინე კადიერთან. ჰოტენტოტების ქურუმები თავიანთი ღმერთების საპატივცემოდ ცალ კვერცხს გამოიღებდნენ და მის მაგიერ სურნელოვანი ბალახის გორგალს იტენიდნენ. ცრუმორწმუნე ეგვიპტელები იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ ოსირისის პატივსაცემად ნაწილობრივი წინადაცვეთის წესს ასრულებდნენ. ებრაელებმა, რომელთაც ბევრი რამ გადაიღეს ეგვიპტელებისაგან, სრული წინადაცვეთა დააკანონეს და ამ ადათს დღემდე იცავენ. არაბებსა და ეთიოპებს ეს წესი უხსოვარი დროიდან ჰქონდათ. თურქებმა, არაბთა დამმარცხებლებმა, მათგანვე ეს წესი გადაიღეს, ხოლო ქრისტიანთა შორის მიღებულია ყრმის ჩაყოფა წყალში — ემბაზში — ან წყლის გადავლება. ყოველივე ეს გონივრულია და სასარგებლო, და ალბათ ერთნაირად მოსწონს უზენაესს“, — დაასკვნის ვოლტერი.

მაგრამ კმარა ამაზე ლაპარაკი. დავუბრუნდეთ ჩვენს პატრიარქს. ეტყობა, საგონებელში ჩააგდო ღვთის უცნაურმა გადაწყვეტილებამ, ამ სიბერეში რომ ახლად მონათლა ქმარიცა და ცოლიც. ეს მით უფრო უცნა-

ური ჩანდა, რომ ცვლილება უმნიშვნელო იყო: აბრამის ნაცვლად აბრაამი, სარას ნაცვლად სარრა. ჭეშმარიტად, ებრაელთა და ქრისტიანთა ღმერთი სასაცილო ღმერთია!

მართლაც, ამის შემდეგ ბიბლია სულ უფრო დაკარგავს ეთნიკურ ეგზოტიკურ ხიბლს.

„ხოლო ეჩვენა მას ღმერთი მუხასა თანა მამბრესა, ჯდა რა იგი კართა ზედა კარვისა თვისისა შუადღე.

და აღმხილველმან თვალთა მისთამან იხილა, და აჰა სამნი კაცნი ზედა მოადგეს მას, და იხილნა რა იგინი, მირბიოდა შემთხვევად მათდა კარისაგან კარვისა თვისისა, და თაყვანისცა მათ ქვეყანასა ზედა“ (*შექმნ., 18, 1—2*).

ამას საკმაოდ უცნაური საუბარი მოსდევს: ისეთი მოულოდნელი აღრევაა ბხოლობითი და მრავლობითი რიცხვებისა, რომ ან პატრიარქი საერთოდ ცუდად ლაპარაკობდა თავის მშობლიურ ენაზე, ან მართლაც ძალიან სცხელოდა!

„და სთქვა: უფალო, უკეთუ ვპოვო სადამე მადლი წინაშე შენსა, ნუ თანა წარხდები მონასა შენსა.

მოიღონ წყალი და დაგბანედ ფერხნი თქვენნი, და დაიგრილეთ ხესა ქვეშე.

და მოვიღო პური და სჭამეთ, და ამისსა შემდგომად წარვედით გზასა თქვენსა, რომლისაგან მოიქეცით მონისა მიმართ თქვენისა, და ჰრქვეს: ეგრეთ ჰყავ, ვითარცა სათნო გიჩნს“ (*შექმნ., 18, 3—5*).

ღვთისმეტყველნი ვარაუდობენ: თუ იმ დღეს ღმერთი აბრაამთან ორი ანგელოზის თანხლებით მოვიდა, ეს იმისათვის მოხდებოდა, რომ სამების სამივე სახე ეჩვენებინაო. მაგრ:მ აბრაამი ვერ იყო ღვთისმეტყველებივით დახვეწილი და ეს ვერ გაიგო, და სხვათა შორის ვერც სხვა რომელიმე ებრაელმა პატრიარქმა გაიგო, ვიდრე ქრისტიანი ღვთისმეტყველები არ მოეშველებოდნენ.

„და მოისწრაფა აბრაამ კარვად სარრას მიმართ, და ჰრქვა მას: ისწრაფე და შესვარე სამი საწყაული სამინდოი, და ჰქმენ ყვერბელებად“, ე. ი. უცებ პური გამოაცხვეო (*შექმნ., 18, 6*).

ბიბლიის ზოგიერთი თანამედროვე მთარგმნელი წერს: „აიღე სამი საწყაო ფქვილიო“. ასეთ ბუნდოვან გამოთქმას განზრახ მიმართავენ. ის, რასაც სულიწმინდა „დაბადების“ ავტორს კარნახობს, მართლაც საარაკო გაუგებრობაა. ებრაულ ტექსტში ნახმარია სიტყვა „ეფა“, ხოლო ეფას ზომა — 25 ლიტრს აღემატება. მართლაც, რა ამბავია სამი საწყაული, ანუ რამდენი პური დასჭირდებოდა ღმერთს! მართალია, აღმოსავლეთში ასეთი წესი იყო: ერთ კერძს მიართმევდნენ სტუმარს, სამაგიეროდ უხვად,

მაგრამ პატრიარქმა თავისი სტუმრები უდავოდ გაუმაძღარ ლორმუცელებად მიიღო.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი:

„და სამროწლად მირბიოდა აბრაამ და მოიბა ხბოი ჩჩვილი და კეთილი, და მისცა მონასა და ისწრაფა შექმნად მისსა[illegible]

და მიიღო ერბო და სძე, და ხბო იგი, რომელი შემწადა დაუდვა მათ, და სჭამეს, და თვით წინა უდგა მათ ხესა ქვეშე.

და სთქვა უფალმან მისა მიმართ: სადა არს სარრა, ცოლი შენი? ხოლო მან მიუგო და ჰრქვა: აჰა ესერა კარავსა შინა.

და ჰრქვა მას, შემოქცეული მოვიდე შენდა ჟამსავე ამას, და ესვას ძე სარრას, ცოლსა შენსა. ხოლო სარრას ესმა კარსა ზედა კარვისასა, მყოფსა უკანით მისსა.

ხოლო აბრაამ და სარრა გარდასულ იყვნეს დღეთა და მოხუცებულ, და მოკლებულ იყო სარრა წესისაგან დედათასა.

ხოლო განიცინა სარრა, მეტყველმან თავისა მიმართ თვისისა: არღა სადა იქმნა ჩემდა ვიდრე აქამომდე, და უფალი ჩემი მოხუცებულ არს.

და ჰრქვა უფალმან აბრაამს: რად განიცინა სარრა თავსა შორის თვისსა, მეტყველმან, აწ სადამე ჭეშმარიტად ვშვაა, რამეთუ მე დაბერებულ ვარ?

ნუ შეუძლებელ არს ღვთისა მიერ ყოველი სიტყვა? ჟამსა ამას მოვიქცე შენდა მომართ, და ესვას სარრას ძე.

ხოლო უარ ჰყო სარრა, მეტყველმან: არა განვიცინენ, რამეთუ შეეშინა. და ჰრქვა მას: არა, არამედ განიცინენ“. *(შექმნ., 18, 7—15).*

განა თავშესაქცევი არ არის ღმერთისა და აბრაამის საუბარი ასეთ წვრილმანებზე? ამ საუბარს მართლაც შეუძლია ადამიანი გააამხიარულოს თავისი გულუბრყვილობით. „დაბადების“ ავტორი აღწერს ყველაფერს, რაც მოხდა, რაც ითქვა, და ისე დაწვრილებით, გეგონებათ თვითონ ესწრებოდა აღწერილ ამბებს. აშკარაა, ზეშთაგონებული იყო, თორემ ისე სრულიად ჩვეულებრივი ცრუპენტელა იქნებოდა.

ზოგიერთი თანამედროვე კომენტატორი, მთელი ამ სიცილისმომგვრელი წვრილმანებით დარცხვენილი ცდილობს მთელი მოთხრობის გასაღებას ალეგორიად. ყველაფერს ამას გადატანითი მნიშვნელობა აქვსო. ღმერთი და ანგელოზები მხოლოდ მოჩვენებით უსხედან სუფრას, სინამდვილეში კი არაფერს არ ჭამენო. გეყოფათ! — ვეუბნებით ჩვენ, — ბიბლია უნდა განვიხილოთ ისე, როგორც არის დაწერილი. თუ იმ ღვთისმეტყველთა ახსნას დავერწმუნებით, რომლებიც ბიბლიის საჩოთირო ადგილებში ალეგორიებს ეძებენ, მაშინ მთელი ბიბლია ერთიანი ალეგორია ყოფილა, მეტი არაფერი. ასე რომ, ყველაფერი, რაც წმინდა მტრედმა ავტორს მოუთხრო, ზღაპარი ყოფილა, სინამდვილეში ასეთი არაფერი მომხდარა, არა?

ყველაფერი მოჩვენებაა? ღვთაებრივი ბიბლია სიზმარია, ოცნებაა, სიცრუეა? ნახეთ, ბატონო მქადაგებელნო, საით მივყავართ ასეთ მხილველობას! ბევრად უფრო მარტივი და ბუნებრივი იქნება, თუ დავიჯერებთ, რომ ღმერთი, ჩვენ რომ ვიცით, მიწისაგან ადამიანს ძერწავს, სულს შთაბერავს, დადის, ამას გარდა იცინის, სვამს, ჭამს, იბრძვის და ა. შ. ის კი არა, არც სიცხით მიყენებული ტანჯვა-[illegible] ხის ჩრდილს აფარებს თავს, სცხელა მისი მასპინძელივით, რომელიც დაბნეულად მიმართავს ხან მხოლოობით, ხანაც მრავლობით რიცხვში.

სადილის შემდეგ პატარა გასეირნების ნება მისცეს თავს:

„ხოლო აღდგეს კაცნი იგი მიერ და შთახედნეს პირსა ზედა სოდომისა და გომორისა, და აბრაამ თანა უვიდოდა, და წარგზავნიდა მათ.

და უფალმან თქვა: ნუთუ დავფაროა მე პირისაგან აბრაამ, მონისა ჩემისა, რომელთა ვყოფ მე? (როგორ დავუფარო აბრაამს, ჩემს მონას, ჩემი განზრახვაო!)

რამეთუ აბრაამ იყოს ნათესავად დიდად და მრავლად, და იკურთხეოდიან მის მიერ ყოველნი წარმართნი ქვეყანისანი“ (*შექმნ., 18, 16—18*).

დედამიწაზე მოსახლე ყველა ხალხი დალოცვილია აბრაამის სახით! როგორც იუდეველი, ასევე ქრისტიანი კომენტატორები ამ ტექსტში ხედავენ მთელი დედამიწისათვის ერთიანი ღმერთის აღიარებას. მართალია, ესაა აბრაამის ღმერთი, მაგრამ ქრისტიანები ამ პატრიარქის თავს იუდეველებს როდი უთმობენ, ჩვენიაო. მაგრამ რაკი ქრისტიანები და იუდეველნი მარიამის შვილის თაყვანისცემის საქმეში ვერ შეთანხმებულან, იჭრება ახალი საკითხი: რომელი რელიგია გაიმარჯვებს ორიდან: ქრისტიანებს დარჩებათ დედამიწა თუ იუდეველებს? საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია!

თუმცა ჩვენ არ გვეჩქარება, დავიცდით. დედამიწის მოსახლეობა, მართალია, სამ მილიარდს აღემატება, აქედან კათოლიკეთა, ე. ი. იმ მორწმუნეთა რიცხვი, რომელნიც თავს ერთადერთ ნამდვილ ქრისტიანებად აცხადებენ, 400—500 მილიონს აღწევს. თითქმის ზუსტად ამდენივე იქნება მართლმადიდებელი და სხვა ქრისტიანები, რომლებიც ასევე დარწმუნებული არიან, ნამდვილი ქრისტიანები ჩვენა ვართ და ქრისტეს მცნებას ყველაზე სწორად ჩვენ ვასრულებთო.

იმისათვის, რომ ღმერთის წინასწარმეტყველება ახდეს, უწინარეს ყოვლისა ეს ქრისტიანები უნდა შეაკავშიროს ერთიანმა სარწმუნოებამ, მათ შორის თანხმობა უნდა ჩამოვარდეს. საერთო ძალით უნდა გაილაშქრონ კათოლიკებმა და მართლმადიდებლებმა, ლუთერანებმა, პროტესტანტებმა, მწვალებლებმა, ანგლიკანებმა, პაპტისტებმა, იეღოვისტებმა და ა. შ. შემდეგ, როცა საბოლოოდ დაარწმუნებენ იუდეველებს სამების არსებობაში, — რაც საეჭვოა, — მათ ქრისტიანულად მოსანათლავი დარჩებათ „მხოლოდ“ მაჰმადიანები, კონფუციანელები, ბუდისტები, ბრაჰმანები,

დაოისტები და სხვა და სხვა. ან იქნებ იუდეველები მოახერხებენ ყველას დარწმუნებას, მართლმორწმუნეებსაც დააჯერებენ და „ერეტიკოს“ ქრისტიანებსაც, რომ დაახლოებით ამ ორი ათასი წლის წინ თავიანთი მესიის იგავით მიჰქარეს, მაგრამ ვერ მოართვეს, ხელში ციური ნისლი შერჩათ და არიან დღემდე ასეთ მდგომარეობაში! ისე კი, ჩვენს შორის ბევრი ეჭვობს მთელი კაცობრიობის მოქცევა აბრაამის რჯულზე დღემდე ვერ მოგვარებულა და ვერც ვერასოდეს მოგვარდება, ასე ეტყობა.

მაგრამ ის რა ზრახვები იყო, მამა-ღმერთი რომ ყოყმანობდა, გავანდო ჩემს საყვარელ პატრიარქს თუ არაო? კარგად რომ დაუფიქრდა და ყველა გარემოება აწონ-დაწონა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აბრაამთან მალულობიას თამაში სრულიად ზედმეტია. აი, მაშინ მიხვდა უთუოდ დიდი პატრიარქი, რომ ის სამი მოგზაური, რომელთაც 80 გირვანქა ფქვილი და მთელი ხბო შეუსანსლეს, რძის ნაწარმზე რომ არაფერი ვთქვათ, ზებუნებრივი არსებანი ყოფილან და ერთი მათგანი მისი ძველი მეგობარი მამა ღმერთი გამოდგა.

„და სთქვა უფალმან ღმერთმან: ღაღადება სოდომისა და გომორრისა განმრავლდა ჩემდა მომართ, და ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად.

და გარდავიდე უკვე და ვიხილო, უკეთუ ღაღადებისაებრ მათისა, მოსავალისა ჩემდა, იქცევიან, ღა უკეთუ არა, ვსცნა“ *(შექმნ., 18, 20—21)*.

ღმერთი კარგი ადმინისტრატორი იყო. ბრმად არ ენდობოდა თავისი პოლიციის ცნობებს, პირადად უნდა შეემოწმებინა, ნამდვილად ისეთი ცოდვილნი იყვნენ სოდომისა და გომორის მცხოვრებნი, როგორც მოახსენებდნენ, თუ ცილსა სწამებდნენ. შეიძლება გვითხრან, ყოვლისმცოდნე ღმერთმა ისედაც ყველაფერი წინასწარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და არავითარ კვლევა-ძიებას არ საჭიროებდაო. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მოხდა ზაფხულში, პაპანება სიცხე იყო და უხვი სადილობის შემდეგ დამძიმებულ კუჭს მისი ღვთაებრივი გონება შეეძლო დროებით დაენისლა.

„და მიაქციეს მუნით კაცთა მათ, და მოვიდეს სოდომად, ხოლო აბრაამ იყოლა მდგომარე წინაშე პირსა უფლისა.

და მიეახლა აბრაამ და ჰრქვა უფალსა: ნუ თუ წარწყმედ მართალსა უღთოსა თანა, და იყოს მართალი, ვითარცა უღთო?

უკეთუ იყვნენ ერგასისნი მართალნი ქალაქსა შინა, წარწყმიდნეა იგინი? არა რიდოა ყოველსა მას ადგილსა, ერგასისთა მართალთა ძლით უკეთუ იყვნეს მას შინა?

ნუ სადა ჰყო შენ სიტყვა მისებრ, უკეთუ მოჰკალ მართალი უღთოსა თანა, და იყოს მართალი, ვითარცა უღთოი! ნუ სადა რომელი სჯი ყოველსა ქვეყანასა, არა ჰყოა სასჯელი?

და სთქვა უფალმან: უკეთუ ვპოვნე ერგასისნი მართალნი სოდომსა ჭა-

ლაქსა შინა და ვაცადო ყოველი ადგილი მათ თავის (ე. ი. თუ ორმოცდაათი მართალი მაინც ვნახე, მათი გულისათვის მთელს ქალაქს შევიწყალებო).

მიუგო აბრაამ და სთქვა: აწ ვიწყო სიტყვად უფლისა მიმართ, რამეთუ მე ვარ მიწა და ნაცარ.

უკეთუ შემცირდეს ერგასისნი მართალნი ორმეოცდა ხუთად, წარსწყმიდოა ორმეოცდა ხუთთა თვის ყოველი იგი ქალაქი? და სთქვა ღმერთმან: უკეთუ ვპოვნე მუნ ორმეოცდა ხუთნი, არა წარვსწყმიდო ორმეოცდა ხუთთა მათთვის" *(შექმნ., 18, 22—28)*.

საუბარი ამავე კილოზე გრძელდება მომდევნო ოთხი მუხლის მანძილზე *(მუხლ. 29—32)*. აბრაამი ცდილობს გამოსტყუოს ახალ-ახალი დათმობანი: 45 მართლმორწმუნე ჩამოდის ორმოცზე, მერე ოცდაათზე, ოცზე. ბოლოს და ბოლოს ღმერთს მოსწყინდა ამდენი დათმობა და განაცხადა: ათ მართლმორწმუნეზე ნაკლებისათვის შენდობა ხელს არ მაძლევსო. ესაა მისი უკანასკნელი სიტყვა!

„და წარვიდა უფალი, ვითარცა დასცხრა სიტყვად აბრაამის მიმართ, და აბრაამ მიიქცა სახიდ თვისსა" *(შექმნ., 18, 33)*.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა წინაპარი ლოტი

მერთი, რომელსაც ყველაფრის ხილვა სურდა, თანამგზავრების თანხლებით აღარ წასულა. შემდგომი თხრობიდან ჩანს, რომ საერთოდ ის შინ დაბრუნებულა, განზრახვაზე ხელი აუღია.

,,ხოლო მოვიდეს ორნი ანგელოსნი სოდომად მიმწუხრი, და ლოთ ჯდა წინაშე ბჭეთა სოდომისათა, და იხილნა რა იგინი ლოთ, აღსდგა მიგებებად მათდა, და თაყვანის-სცა პირით ქვეყანასა ზედა. და ჰრქვა: აჰა, უფალნო, მოაქციედ ჩემდა მოწართ სახიდ მონისა თქუენისა, და დაივანეთ, და დაიბანენით ფერხნი თქუენნი, და განცისკრდეს რა, წარვედით გზასა თქუენსა და სთქუეს: არა, არამედ უბანთა ზედა დავივანთ.

და აიძულა იგინი და მიაქციეს მისსა მიმართ, და შევიდეს სახიდ მისსა, და უქმნა მათ სერი, და უცომონი გამოუცხო მათ, და სჭამეს.

და პირველ დაძინებისა კაცთა ქალაქისა სოდომის, გარე მოიცვეს სახლი, ჭაბუკითგან ვიდრე მოხუცებულთამდე, და ყოველმან ერთმან ერთბამად.

და უწოდდეს ლოთს, და იტყოდეს მისსა მიმართ: სადა არიან კაცნი, მოსრულნი შენდა ღამით? გამოიყვანენ იგინი ჩვენდა, რათა თანა ვეყვნეთ მათ.

ხოლო გამოვიდა ლოთ მათდა მიმართ წინაშე კართა, და კარი განიხშა უკანა თვისსა.

და ჰრქვა მათ: ნუსადა, ძმანო, ნუ უკეთურობთ!

რამეთუ არიან ჩემნი ორნი ასულნი, რომელთა არღა უცნიეს მამა კაცი, გამოვიყვანნე იგინი თქუენდა, და იხმიენით იგინი, ვითარცა გთნავსთ თქუენ (ე. ი. ჩემს ქალიშვილებს ისე მოექეცით, როგორც გენებოთო). მხოლოდ კაცთა ამათ მიმართ ოდენ ნუ ჰყოფთ ნურარას ბოროტსა (უსამართლოებასა): ვინადგან შემოვიდეს სართულსა ქვეშე სახლისა ჩემისასა.

და ჰრქვეს: განერე იქი! მწირობად შემოხვედ, ნუ სასჯელისა სჯადა! აწ უკვე შენ გიბოროტოთ უფროღა, ვიდრეღა მათ. და აიძულებდეს ლოთსა ფრიად, და მიიახლნეს შემუსვრად კარისა.

ხოლო კაცთა მათ განყვნეს ხელნი და შეიტაცნეს ლოთ მათდა მიმართ სახლსა შინა, და კარი სახლისა დაჰხშეს.

ხოლო კაცნი, მყოფნი კარსა ზედა სახლისათა, იგვემნეს სიბრმითა,

მცირითგან მათითა ვიდრე დიდადმდე და მოუძლურდენ ძიებითა კარისათა“, ე. ი. ანგელოზებმა ყველა სოდომელი დააბრმავეს და მათაყვებმა სახლს კარი ვერ უპოვნეს (*შექმნ., 19, 1—11*).

აუცილებელი იყო ამ ადგილის ზუსტად დამოწმება „დაბადების“ წიგნიდან: უნდა გვახსოვდეს და არ დავივიწყოთ, რომ ეს სტრიქონები სათითაოდაა ნაკარნახევი სულიწმინდის პირით!

მეორე მხრით, უსარგებლო არ იქნება, თუ ვოლტერის კომენტარებსაც დავიმოწმებთ: „ბიბლიის ტექსტის ეს ადგილი ყველა სხვა დანარჩენზე მეტად აწითლებს სირცხვილით ადამიანს და აბნევს მის გონებას. თუ ეს ორი ანგელოზი თუ ღმერთი უხორცოა, მაშინ საოცრად მომხიბლავი სახე მიუღიათ, რომ საზიზღარი ქვენა გრძნობა აღუძრავთ მთელი ხალხისათვის. აბა წარმოიდგინეთ, რა ხდება: მოხუცები და ბალღები, ყმაწვილები თუ მოზრდილები, უკლებლივ ყველა მამაკაცი დიდიან-პატარიანად მოსდგომია კარზე ლოთს იმ მიზნით, რომ საძაგელი ცოდვა ჩაიდინონ ამ ორ ანგელოზთან. ადამიანის ბუნებისათვის უცხოა ამ ცოდვის ჩადენა და ისიც საჯაროდ, რადგან ასეთი საძაგლობისათვის ჩვეულებრივ სრული განმარტოებაა საჭირო. სოდომელები კი დაჟინებით მოითხოვენ ამ ორ ანგელოზს, როგორც მეამბოხეები ითხოვენ პურს შიმშილობის დროს. წარმართთა მითოლოგიაში ვერაფერს ვერ იპოვნით, ამ განუზომელი სიბილწის შესადარს. ღვთისმეტყველნი, რომლებიც ამტკიცებენ, მიწაზე დაშვებული სამი ნაზაარი იყო მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმინდაო, ამ დანაშაულს კიდევ უფრო საზიზღარ სახეს აძლევენ, მთელს ამბავს კი უფრო გაუგებარს ხდიან“.

ლოტის წინადადება, ჩემი სტუმრების — ამ ორი ღმერთისა თუ ანგელოზის—მაგიერ ჩემი უმანკო ქალიშვილები წაიყვანეთ და რაც გენებოთ, ის უქენითო, კიდევ უფრო აღმაშფოთებელია[37]. მთელი ეს ამბავი მოწმობს წმინდა მართლმორწმუნის უჩვეულო მლიქვნელობას, რაც აქამდე არც ერთ წიგნში არ აღნიშნულა.

ღვთისმეტყველნი რაღაც საერთოს პოულობენ ამ შემთხვევასა და ბერძნულ მითს შორის, რომელშიაც მოთხრობილია ფილემონისა და ბავკიდეს ამბავი[38]. მაგრამ ბერძენთა მითში არაფერი არაა უშვერი და უწმაწური, თანაც უფრო ჰკუისსასწავლებელია. ზევსი-იუპიტერი და ჰერმეს-მერკური ქალაქს სტუმართმოძულეობისათვის სჯიან, რაც სიკეთესა და ადამიანურ მოვალეობას მოგვაგონებს. აქ არაფერი ურიგო არ არის, გარდა იმისა, რომ სტუმარს კარს არ უღებენ.

ზოგიერთი ამტკიცებს, წმინდა ავტორის მიზანი იყო დაეჩრდილა ფილემონისა და ბავკიდის ავტორი უფრო დიდი ბოროტებით, უფრო მძიმე ცოდვით, რაც ცხელ ქვეყნებში ძლიერ გავრცელებულიაო. მაგრამ სოდო-

ის უდაბნოს არაბები ამტკიცებენ, ქარავნები საკმარისად გვაწვდიან მომწიფებულ ქალიშვილებს და ბიჭები არ გვესაჭიროებაო.

ორი ანგელოზის ამბავი აქ ალეგორიულად კი არაა მოთხრობილი. სულაც არა! ყველაფერი ზუსტია! სიმართლე რომ ითქვას, ვერც ვიტყვით, რა ალეგორია შეგვეძლო აქ გვეპოვნა ახალი აღთქმის ხალხისთვის, რომლისთვისაც წმინდა მამათა მტკიცებით ძველი აღთქმა პირველხარისხოვნად ითვლება.

მივყვეთ ისევ წმინდა ტექსტს იმ ღვთაებრივი წიგნისას, რომელსაც უნდა ვერწმუნოთ, თუ მომაკვდინებელი ცოდვისა არ გვეშინია. ამაზე სუფთა ადგილებსაც შევხვდებით!

„და თქუეს კაცთა (მათ) ლოთის მიმართ: არს ვინმეა შენი აქა: სიძენი ანუ ძენი, ანუ ასულნი? ანუ ვინცა ვინ სხუა შენი არს ქალაქსა შინა, განიყვანენ იგინი ადგილით ამით“. (*შექმნ., 19, 12*).

რაღა საჭიროა ასეთი კითხვები? განა ანგელოზებმა არ იცოდნენ, ვინ ჰყავდა ლოტს და ვისგან შედგებოდა მისი ოჯახი? აი, რას აპირებენ:

„რამეთუ წარვსწყმედთ ჩვენ ადგილსა ამას, რამეთუ ამაღლდა ღაღადება მათი წინაშე უფლისა, და მომავლინნა ჩვენ უფალმან აღხოცად მისსა.

გამოვიდა ლოთ და სთქუა სიძეთა მიმართ თვისთა, მიმყვანებელთა ასულთა მისთასა: აღდეგით, და გამოვედით ადგილისა ამისაგან, რამეთუ აღხოცს უფალი ქალაქსა. და საცინელად შეირაცხა იგი წინაშე სიძეთა მისთა.

და ვითარ ცისკარი იქმნა, ასწრაფობდეს ანგელოზნი ლოთს, მეტყველნი: აღსდეგ, მიიყვანე ცოლი შენი და ორნი ასულნი შენნი, რომელნი გისხენ, და განვედ, რათა არა წარწყმდეთ უსჯულოებითა ქალაქისათა.

და აღაშფოთნეს და უპყრეს ანგელოსთა ხელთა მისთა, და ხელსა ცოლისა მისისასა, და ხელთა ასულთა მისთასა, რამეთუ ჰრიდა იგინი უფალმან.

და იყო, რაჟამს გამოიყვანეს იგინი გარე, და ჰრქუეს: ცხოვნებით აცხოვნე სული შენი, და ნუ უკმოიხედავ, ნუცა დასდგები ყოველსა შინა გარემოს სოფლებსა, მთად აღვედ, ნუსადა თანა დაეპყრა.

და სთქუა ლოთ მათდა მიმართ:

ევედრები, უფალო, ვინადგან პოვა მონამან შენმან წყალობა წინაშე შენსა, და ადიდებს სიმართლესა შენსა, რომელსა ჰყოფ ჩემ ზედა ცხოვნებითა სულისა ჩემისათა, და ვერ ძალმიძს მიწევნა მთადა, ნუ უკვე მეწინენ მე ძვირნი და მოვჰკვდე.

აჰა, ქალაქი ესე ახლოს არს შელტოლვად ჩემდა მუნ, რომელ არს მცირე, და მუნ შევიდე, რამეთუ მცირე არს, და ცხოვნდეს სული ჩემი შენ ძალით.

და ჰრქვა მას უფალმან: აჰა, დამიკვირდა პირი შენი ამ საქმისა ზედა სიტყვასა, არა დაქცევად ქალაქი, რომლისათვის თქვი.

ისწრაფე უკვე მიწევნად მუნ, რამეთუ ვერ ძალმიძს ქმნად საქმისა, ვიდრე შესლვადმდე შენდა მუნ. ამისთვის ეწოდა სახელი ქალაქისა სეგორ.

და მზე აღმოვიდა ქვეყანასა ზედა და ლოთ შევიდა სეგორს.

და უფალმან აწვიმა სოდომს ზედა და გომორრსა წუნწუბა (გოგირდი) და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით.

და დააქცივნა ყოველნი ესე ქალაქნი, და ყოველი გარემო სოფელი, და ყოველნი მკვიდრნი ქალაქთა შინა, და ყოველნი მცენარენი ქვეყანისანი.

და მიიხილა ცოლმან მისმან უკუღმართ, და იქმნა ძეგლ მარილისა.

ხოლო იმსთო განთიად აბრაამ ადგილ, სადა დგა წინაშე უფლისა.

და მიიხედნა პირთა ზედა სოდომის და გომორრისათა, და პირსა ზედა ყოვლისა მის ქვეყანისა გარემოს სოფლისასა, და იცილა, და აჰა აღვიდოდა ალი ქვეყანით, ვითარცა ალმური სახმილისა (ე. ი. ადიოდა ალი, როგორც ღუმელიდან ალმური)" *(შექმნ., 19, 13—28)*.

გომორის შესახებ ღვთისმეტყველნი საინტერესო სიმარჯვით ამტკიცებენ, მისი ცოდვა სულ სხვა სახისა იყოო. ბიბლიაში კი არსად ერთი სიტყვითაც კი არაა მინიშნებული ამ განსხვავების ამბავზე. ეს პირდაპირ ღვთისმეტყველთა მონაგონია.

ახლა გასაგებია, რა ღაღადისი ადიოდა სოდომიდან და გომორიდან ზეცაში, უფალი ღმერთის მიმართ, როგორც ეს უკანასკნელი უმტკიცებდა აბრაამს: სოდომში მიტოვებული ქალები გოდებდნენ, გომორში კი, პირიქით, მიტოვებული მამაკაცები ბღაოდნენ. მაგრამ მაშინ იბადება კითხვა: რა ცოდვისათვის გაანადგურა ღმერთმა გოგირდის წვიმით სოდომელი ქალები, ან რატომ არ შეიბრალა მოხუცებულმა ღმერთმა გომორის მამაკაცები, რომლებიც ისედაც საკმარისად იყვნენ დასჯილი მათი დედაკაცების არაბუნებრივი მიდრეკილებებით?

ამასთან ერთად ცნობილია, რომ ორი მამაკაცი, რომელთაც ლოტის ასულების შერთვა ჰქონდათ გადაწყვეტილი, არ ყოფილან მამათმავლობის ცოდვაში შემჩნეული. ეს საქმე თითქმის მოგვარებული იყო, ასე რომ ლოტი მათ სიძეებს ეძახდა. წმინდა ავტორს გადაკვრითაც კი არსად მიუნიშნებია, რომ მისი სასიძოები სოდომურ ცოდვას ეწეოდნენ, ამ სამარცხვინო ცოდვას, რისთვისაც აღიგავა პირისაგან მიწისა მათი ქალაქი და დაიღუპა ყველა სოდომელი. სასიძოები არ ჩანან იმ ბრბოში, რომელსაც ანგელოზების გაუპატიურება განეზრახა. პირიქით, ბიბლია გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ეს პატიოსანი ადამიანები საკუთარ სახლებში დარჩნენ, რადგანაც ლოტს მათ გასაღვიძებლად მოუხდა წასვლა, რათა

ეხსნა და თან წაეყვანა. ამის მიუხედავად, მათაც ცოდვილთა ბედი გაიზიარეს.

რაც შეეხება ლოტის ცოლს, მას ძვირად დაუჯდა ცნობისმოყვარეობა თუ თანაგრძნობა, უკან რომ მიიხედა, რათა მშობლიური ქალაქი ეხილა, სადაც უთუოდ მშობლები ეგულებოდა, და გაქვავდა.

ლოტის ცოლის მარილის სვეტად ქცევა პირველი საუკუნის ებრაელ ერთი ქრისტიანი და იუდეველი მწერლის ნაწერებითაც დასტურდება. იუდეველი ისტორიკოსი იოსებ ფლაბიუსი თავის წიგნში „იუდეის სიძველეები" გვარწმუნებს, ეს სვეტი ჩემი თვალით ვნახეო და ყველა მსურველს აჩვენებდნენო. სკეპტიკოსები ვარაუდობენ, ადგილობრივ ებრაელებს თვითონვე შეეძლოთ მარილის ფიგურა გამოეკვეთათ და ეთქვათ, ლოტის ცოლიაო. განა ცოტა ქანდაკებაა გამოკვეთილი მარილისაგან? ზოგმა მათგანმა საკმაოდ დიდხანს გაძლო. მთავარია არ დააწვიმოს. მეორე მხრივ, წმინდა ირინეი ძალიან შორს წავიდა: „ლოტის ცოლი ხრწნადი სხეული როდია, — ამტკიცებს, — სამუდამოდ მარილის სვეტად დარჩა და ჩვეულებრივი ქალური წესიც მოსდიოდა. სახელგანთქმული და კათოლიკურ სამყაროში ძლიერ ავტორიტეტული ღვთისმეტყველი ტერტულიანიც თავის პოემაში „პოემა სოდომზე" იმასვე ამტკიცებს, ოღონდ ნაკლებ დაბეჯითებით[39].

მაგრამ ეს ამბები არ იცოდნენ რომაელებმა, როდესაც პალესტინაში მივიდნენ: როცა იერუსალიმი დაიპყრეს, არავითარი სურვილი არ გამოიჩინეს, რომ ეს სახელგანთქმული მარილის სვეტი ენახათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი სვეტი არ არსებობდა. არც პომპეოსს, არც ტიტეს, არც ადრიანეს არასოდეს არაფერი სმენიათ არც ლოტზე, არც მის ცოლზე, არც მათი ორი ასულის ამბავი იცოდნენ, არც აბრაამისა და საერთოდ არც ამ კეთილმსახური ოჯახის სხვა წევრებზე. დღესაც ხომ მიდიან მომლოცველები ბიბლიური წმინდა ადგილების თაყვანსაცემად, მაგრამ მკვდარი ზღვის სანაპიროებზე ვერ უპოვნიათ ვერც მარილის და ვერც ცრანტის სვეტი. ადგილობრივ მაჰმადიანებს იმდენი ვერ მოუსაზრებიათ, რაიმე ყალბი ქანდაკება მაინც აღემართათ, რომ ჩასული მორწმუნეების ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილონ. სამაგიეროდ უჩვენებენ მამრიის მუხას, რომლის ჩრდილშიაც ღმერთმა და მისმა ორმა ანგელოზმა ასე მადიანად მიირთვეს მთელი ხბო, აუარებელი პური, ყველი, კარაქი და არაჟანი.

დიდმა ბერძენმა გეოგრაფმა სტრაბონმა, რომელიც სწორედ იმ ეპოქაში ცხოვრობდა, რომელსაც ქრისტეს დაბადებას მიაკუთვნებენ, დაწვრილებით შეისწავლა მცირე აზია, განსაკუთრებით კი პალესტინა, რაც გამორჩეულის გულმოდგინებით აღწერა. კერძოდ, შეისწავლა სოდომის მხარე და მკვდარი ზღვა. მაგრამ არაფერს არ ლაპარაკობს მარილის სვეტზე, რაც თითქოს იოსებ ფლაბიუსმა იხილა სტრაბონის გარდაცვალებიდან რამ-

დენიმე წლის შემდეგ. რასაც მიუდგომელი მოგზაური სტრაბონი აღწერს, ძალიან საგულისხმოა.

დავიმოწმოთ ბერძენი სწავლული: „არსებობს საკმაოდ ბევრი საფუძველი დავასკვნათ, რომ ეს მხარე ცეცხლის მსხვერპლი გამხდარა დამწვარი გარუჯული კლდეები, უთვალავი ნაპრალი, დაფერფლილი მიწა, მდინარეები, რომლებიც საზიზღარ სუნს აყენებენ, და გარშემო კიდევ ყველგან ადამიანთა გაპარტახებული საცხოვრებლები. ყოველივე ეს გვაიძულებს ვირწმუნოთ ის, რასაც აქაური ხალხი ამბობს, სახელდობრ ისა, რომ ოდესღაც ამ მიდამოებში ყოფილა ოცდაათი ქალაქი, რომელთა დედაქალაქად ითვლებოდა სოდომი. მაგრამ მიწისძვრების, ვულკანების ამოფრქვევის, აგრეთვე გოგირდიანი წყლების ნაკადის ზემოქმედების შედეგად მთელი მხარე ტბამ შთანთქა და მხოლოდ გაშიშვლებული კლდეები დარჩენილან იმ კატასტროფის მოწმედ. ზოგიერთი ქალაქი ჩაიძირა, დანარჩენები მიუტოვებია მოსახლეობას, რომელიც გაქცეულა და დაფანტულა“ (სტრაბონი, „გეოგრაფია“, წიგნი XVI, თავი II). ეს სულაც არა ჰგავს „დაბადების“ აღწერილობას: „და უფალმან აწვიმა სოდომს ზედა და გომორრსა და წუნწუბა და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით“[40].

აღნიშვნის ღირსია „შექმნათა“ მეთოთხმეტე თავში ნათქვამი ცნობა: „ხოლო ღელე მარილოვანი მთხრებლ მთხრებლოან იყო ასფალტოსითა, და შეილტვოდა მეფე სოდომთა ხევად, და მეფე გომორრისა, და დაეცნეს მუნ, ხოლო დაშთომილნი მთად კერძო ივლტოდეს“ (მუხლი 10). ბიბლია თვითონვე აღიარებს, რომ აქ მიწა მარილოვანი და ფისოვანი იყო ჯერ კიდევ კატასტროფამდე, და უფლის რისხვა ზედმეტი ყოფილა.

ერთხელ კიდევ ეძლევათ შემთხვევა მეცნიერებს აღიარონ, რომ ღვთაებრივმა მტრედმა უმოწყალოდ დასცინა წმინდა ავტორს. ამ უდაბნოს მთელი ბუნება რაღაც დიდი გეოლოგიური კატასტროფის კვალს ატარებს, რამაც დიდი ვნება მიაყენა მის ყველა ცოცხალ ბინადარს, თუ იქ საერთოდ ვინმე ან რამე ცოცხლობდა. ასე, მკვდარ ზღვას, რომელსაც მდინარე იორდანი ერთვის, 920 კვადრატული კილომეტრი ფართობი აქვს, 100 კილომეტრი სიგრძე და 20 კილომეტრი სიგანე ყველაზე უფრო განიერ ადგილას. იორდანის წყალს მთლიანად შთანთქავს ეს გაუმდინარი ტბა, რომელსაც არაბები ბაჰრ-ლუტს ეძახიან. მთელი ეს წყალი ორთქლდება, სხვანაირად ვერ ავხსნით, საით უნდა ქრებოდეს, რაკი ტბის დონე მუდამ ერთნაირია. მისი უდიდესი სიღრმეა 400 მეტრი, და თითქმის სწორედ ამდენივე მეტრით დაბლაა ოკეანის დონეზე (392 მეტრით). ცხელსა და მშრალ ჰაერს, რომელსაც თავისებურად უდიდესი და საოცარი წნევა აქვს (793 მეტრი), განუზომელი რაოდენობის წყალი შეუძლია შთანთქას და ორთქლად აქციოს. შემოგარენის ჭაობიანი შრეები, ფისოვან ნივთიერებათა მასა, ყველგან რომ მიმობნეულა, ხშირი მიწისძვრები — ყველა-

ფერი ეს მოწმობს, რომ ეს მხარე არასოდეს არ ყოფილა დასახლებული. საოცრად მლაშე წყალში, რომლის მარილის შემცველობა 26 პროცენტს აღწევს, არც ერთი ცოცხალი არსება არ მოიპოვება, ტბა მართლაც მკვდარია. გეოლოგები აქ ხედავენ დედამიწის ერთ უდიდეს დეპრესიას, ამ უღრმესი ტაფობის ჩავარდნა სანაპირო ხმელეთთან შედარებით თითქმის მთელ კილომეტრს შეადგენს.

თუ ძალიან გვინდა ვირწმუნოთ, რომ წმინდა მატრედი ბიბლიის ავტორს არ დასცინებდა, თუ ძლიერ გვინდა დავიჯეროთ გოგირდის წვიმის ამბავი, ციდან რომ დაეშვა, რათა მოესპო მამათმავალ მამაკაცთა ქალაქიცა და ლესბიური სიყვარულით შეპყრობილი დედაკაცების სამკვიდროც, —მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ დიდმა ღმერთმა, თუმცა ასეთი შეურაცხადია, აქ ცოტათი მაინც იცრუა. მართლაც, განა არ შეჰფიცა ნოეს, ამიერიდან ადამიანთა მოდგმას აღარასოდეს არ გავწყვეტო? რაც არ უნდა დააშავონ, წარღვნას აღარ მოვახდენო? მართალია, წყალდიდობაზე დაიფიცა, წყალთა ღვარი ცეცხლის ნიაღვრით შეცვალა, მაგრამ განა ეს ღმერთის მხრით პატიოსანი პოლიტიკა იყო?

მივყვეთ შემდეგ „დაბადების“ არაჩვეულებრივ მოთხრობას. წმინდა ავტორი გვარწმუნებს, რომ უცოდველი ლოტი ღმერთმა გადაარჩინა, წინასწარ გააფრთხილა, როგორც მაშინ მოიქცა ნოეს მიმართ, ლოტთან ერთად იხსნა მისი უცოდველი ქალიშვილებიც. მაგრამ ავტორი იქვე გვიჩვენებს ქველმოქმედების მშვენიერ მაგალითებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ წმინდა ოჯახში. ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ბიბლიის ავტორი ერთი სიტყვითაც არსად არ ჰკიცხავს სამ სოდომელ ლტოლვილს. ღვთაებრივ მატრედს საკუთარი დამახასიათებელი თვისება აქვს: უსაზიზღრეს ამბებს ისე გულდამშვიდებით მოგვითხრობს, თითქოს საქმე სრულიად გასაგებ ამბებთან გვქონდეს. სისხლის აღრევაც კი ჩვეულებრივი პატრიარქალური ადათი გვგონია „წმინდა ავტორის“ მოთხრობაში.

მკითხველმა გვაპატიოს კიდევ ერთი გრძელი ციტატის მოტანა, მაგრამ ის აუცილებელია, და აუცილებელია სრულიად ზუსტი სახით, რათა ვუჩვენოთ, რაც არის „წმინდა წერილი“, ყველა წიგნთაგან უწმინდესი, საყრდენი და საძირკველი უსათნოესი სარწმუნოებისა და სამი რელიგიისა — იუდეველთა, ქრისტიანთა და ისლამისა.

„ხოლო აღვიდა ლოთ სეგორით, და დაჯდა მთასა შინა თვით და ორნი ასულნი მისნი მის თანა, რამეთუ შეეშინა დამკვიდრებად სეგორსა შინა, და დაემკვიდრა ქვაბსა შინა თვით და ასულნი მისი მის თანა.

და სთქვა უხუცესმან უმრწემესისა მიმართ: მამა ჩვენი მოხუცებულ არს, და არა ვინ არს ქვეყანასა ზედა, რომელი შემოვიდეს ჩვენდა მოსართ, ვითარცა წესი არს ყოვლისა ქვეყანისა.

და მოვედ და ვასვათ მამასა ჩვენსა ღვინო, და დავწვეთ მის თანა და აღვადგინოთ თესლი მამისა ჩვენისაგან.

ხოლო ასვეს მამასა მათსა ღვინო ღამესა მას, და შევიდა უხუცესი და დაწვა მამისა თვისისა თანა ღამესა მას. და ვერ ცნა დაწოლა მისი ანუ აღდგომა ლოთ.

ხოლო იყო ხვალისა, და ჰრქვა უხუცესმან უმრწემესსა: აჰა, დავწევ გუშინ მამისა თანა ჩვენისა.

ვასვათ მას ღვინო ღამესაცა ამას, და შეხვიდე და დაწვე მის თანა, და აღვადგინოთ მამისაგან ჩვენისა თესლი.

და ასვეს ღამესა მას მამასა მათსა ღვინო, და შევიდა უმრწემესი და დაწვა მამისა თანა თვისისა, და ვერ ცნა დაწოლა მისი, ანუ აღდგომა. და მიუდგეს ორნივე ასულნი ლოთისანი მამისაგან მათისა,

და შვა უხუცესმან ძე და უწოდა სახელი მისი მოაბ, მეტყველმან: მამისაგან ჩემისა ესე, ესე არს მამა მოაბელთა ვიდრე აქამომდე.

ხოლო შვა უმრწემესმანცა ძე, და უწოდა სახელი მისი ამმან, მეტყველმან: ძე ნათესავისა ჩემისა, ესე არს მამა ამანელთა ვიდრე დღეინდელად დღედმდე" *(შექმნ., 19, 30—38)*.

დე, იყოს ღვიძლ მამასთან ქალიშვილების „მიდგომის" ეს ამბავი სულიწმინდის ნაკარნახევი — ეს არ შეუშლის იყოს საზიზღარი.

ლოტისა და მისი ასულების თავგადასავალი არ შეიძლებოდა გამორჩენოდა სასტიკ კრიტიკოსს ვოლტერს, რომელსაც დავუთმობთ აქ ადგილს. ამ დიდი ადამიანის აზრები დღემდე საინტერესოა, რადგან ისევ ცოცხლობენ რელიგიური ცრუ რწმენები, რომლებიც ბიბლიას ისევ და ისევ უფლის წმინდა სიტყვად თვლიან.

„ბიბლიის ტექსტი, — წერს ვოლტერი, — არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ქნა ლოტმა, როცა ნახა მარილის სვეტად გადაქცეული თავისი ცოლი. არც მისი ასულების სახელებს გვიმხელს. მამის დათრობა იმ მიზნით, რომ გამოქვაბულში მასთან დაწოლით ისიამოვნონ, საკმაოდ ორიგინალურია. ბიბლია სრულიად არაფერს გვეუბნება იმაზე, თუ სად იშოვეს გაქცეულმა ქალიშვილებმა ღვინო, სამაგიეროდ ვგებულობთ, რომ ლოტმა ორივე ასული გამოიყენა, მაგრამ არც მოსვლა გაუგია მათი და არც წასვლა. ძალიან ძნელია დაეუფლო ქალს, მეტადრე ქალწულს, და ვერაფერი გაიგო, ვერც გაიხსენო, რა გააკეთე. აი შემთხვევა, რომლის ახსნაც ვერანაირად ვერ გვიპოვნია.

გაუგებარია ისიც, რატომ ეშინოდათ ლოტის ასულებს ასე ძალიან კაცობრიობის მომავლისათვის. აბრაამს ხომ უკვე ჰყავდა აგარასთან ისმაილი, ხალხები უკვე გაფანტულიყვნენ დედამიწაზე, ხოლო ქალაქი სიგორი, საიდანაც ლოტი და მისი ასულები სულ ახლახან გამოვიდნენ, ასე ახლოს იყო".

ახლა ესეც ვიკითხოთ: ვის მიმართეს ქალწულებმა ღვინისათვის, თუ არა რომელიმე მახლობელ მედუქნეს? ვოლტერი ყურადღებას აქცევს ამ შემთხვევის მსგავსებას მირას ამბავთან, საკუთარი მამის კინირასაგან რომ ადონისი ეყოლა. „აქ, — ამბობს ვოლტერი, — საქმე გვაქვს კინირასა და მირას ძველი იგავის მიბაძვასთან". მაგრამ მირა ასე თუ ისე დაისაჯა, მცენარედ იქცა, დანაშაულისათვის პასუხისგება მოუხდა, ხოლო ლოტის ასულები ღმერთმა დაასაჩუქრა ღვთისმეტყველური თვალსაზრისით უზენაესი საჩუქრით: დალოცვით, რის შედეგადაც მრავალრიცხოვანი შთამომავლობის დედები გახდნენ[11].

ციფრული ბიბლიოთეკა

აქა ამბავი დასასრული „უფლის წმინდა მეგობრის“ კეთილმსახურებისა აბრაამისა

აკმიოთ საკმეველი! სცენაზე ისევ გამოდის აბრაამი, პატრიარქი-ალფონსი, რომელიც მზადაა გაიმეოროს იგივე ოინი, რამაც ეგვიპტეში ასე გაამდიდრა. ვიკითხოთ მეოცე თავი:

„და აღიძრა აბრაამ მიერ ქვეყანით სამხრად მიმართ და დაივანა შორის კადისა და შორის სურისა და დაისხემა გერართა შორის.

ხოლო სთქვა აბრაამ სარრასთვის, ცოლისა თვისისა, ვითარმედ დაი ჩემი არს, რამეთუ შეეშინა თქმად: ცოლი ჩემი არს, ნუსადა მოკლან იგი კაცთა მის ქალაქისათა ძალით. და მიავლინა აბიმელექ მეფემან გერართამან, და მიიყვანა სარრა.

და შევიდა ღმერთი აბიმელექისა მიმართ ძილსა შინა ღამით და ჰრქვა: აჰა მოჰკვდები დედაკაცისა მაგის ძალით, რომელი მიიყვანე, რა მეთუ არს იგი თანა მკვიდრ ქმრისა.

ხოლო აბიმელექ არა შეეხო მას და სთქვა: უფალო ღმერთო! ნათესავსა უმეცარსა და მართალსა წარსწყმენდაა?

არა მან მითხრაა, ვითარმედ დაი ჩემი არს, და არა ამან მრქვა მე, ვითარმედ ძმაი ჩემი არს? გულითა წმინდითა და სიმართლითა ხელთათა ვყავ ესე.

და ჰრქვა მას ღმერთმან ძილსა შინა: მეცა ვცან, რამეთუ გულითა წმინდითა ჰყავ ესე, და გრიდე შენ მე, რათა არა სცოდო ჩემდა მომართ, ამისთვის არა გიტევე შენ შეხებად მისსა.

ხოლო აწ უკუნ ეც ცოლი კაცსა მას, რამეთუ წინასწარმეტყველი არს და ილოცოს შენთვის, და სცხოვნდე, ხოლო უკეთუ არა უკუნსცე, უწყოდე, ვითარმედ მოკვდე შენ და ყოველნივე შენნი.

და აღიმსთო აბიმელექ ცისკარს, და მოუწოდა ყოველთავე ყრმათა თვისთა და მიუთხრნა ყოველნივე ესე სიტყვანი ყურთა მათთა. და შეეშინათ ყოველთა მათ კაცთა უფლისა ფრიად.

და მიუწოდა აბიმელექ აბრაამს და ჰრქვა მას: რაი ესე მიყავ ჩვენ? ნუ ვცოდეთ რაი შენდამი, რამეთუ მოაწიე ჩემზედა და მეფობასა ჩემსა ზედა ცოდვა დიდი? საქმე, რომელი ქმნის არავინ, მიყავ მე.

და ჰრქვა აბიმელექ აბრაამს: რაი გულსა მოგიხდა და ჰყავ ესე?

და სთქვა აბრაამ: რამეთუ ვსთქვი, ნუ უკვე არს ღვთისმსახურება ადგილსა ამას და მე მომკლან ცოლისა ჩემისა ძალით (—ამ მხარეში ღვთისა არ ეშინიათ და ცოლის მიზეზით მომკლანო?).

და რამეთუ ჭეშმარიტად დაი ჩემი არს მამით, და არა დედით, ხოლო იქმნა ჩემდა ცოლად.

და იყო, რაჟამს გამომიყვანა მე ღმერთმან სახლისაგან მამისა ჩემისა და ვარქვი მაგას: ესე სიმართლე ჰყო ჩემდამო ყოველსა ადგილსა, რომელსაცა შევიდეთ, მუნ სთქვა ჩემთვის, ვითარმედ ძმა ჩემი არს.

ხოლო მოიღო აბიმელექ ათასი დიდრაჭმა, ცხოვარნი და ზვარაკნი, მონანი და მხევალნი, და მისცნა აბრაამს, და უკუნსცა მას სარრა, ცოლი მისი.

და ჰრქვა აბიმელექ აბრაამს: აჰა ქვეყანა ჩემი წინაშე შენსა, სადაცა გნებავს დაივანე.

ხოლო სარრას ჰრქვა: აჰა, მივეც ათასი დიდრაჭმა ძმასა შენსა, ესენი იყვნენ შენდა ფასად პირისა შენისა, და ყოველთავე შენთათანა, და ყოველივე იჭეშმარიტენ.

ხოლო ილოცა აბრაამ ღვთისა მიმართ და განჰკურნა ღმერთმან აბიმელექ და ცოლი მისი და მხევალნი მისნი და იწყო შობად.

რამეთუ დახშვით დახშა უფალმან ყოველი საშოი სახლსა შინა აბიმელექისსა, სარრას ძლით, ცოლისა აბრაამისსა“ *(შექმნ., 20, 1—18)*.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ დროს სარრას ოთხმოცდაათმა წელმა მიუკაკუნა *(შექმნ., 17, 17)*.

იბადება რამდენიმე კითხვა: მართალი თქვა თუ არა აბრაამმა, აბიმელექს რომ არწმუნებდა, სარრა ჩემი დაც არის და მეუღლეცო? თუ კი, მაშინ აქ სისხლის აღრევის ერთი კეთილმსახურული მაგალითიც გვაქვს. რა მომხიბლავი რამეა ეს „წმინდა წერილი“!

მაგრამ ეს როდია საქმის ბოლო. თუ მთელს ამ საქმეში აბიმელექი წესიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, აბრაამი რა მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ, სულმდაბალი და საკმაოდ საძაგელი სუბიექტია. თუ მართლა სარრას ძმაა, ეს ხომ არ ამართლებს მის მაჭანკლობასა და სიცრუეს, საკუთარი ტყავის გადასარჩენად რომ ცოლს ასაჩუქრებს? და, იგივე ცოლი, მისთვის შემოსავლის წყაროა. ჯერ მაშინ ტყუოდა, თავის ქმრობას რომ უარყოფდა. ხოლო ის განმარტება, რასაც მეფეს აძლევს, რაკი მის სიცრუეს ნიღაბი აეხადა, აბრაამს გვაცნობს, როგორც გაქნილ კაზუისტს, რომელიც ღირსია მიენიჭოს ღვთისმეტყველების კანდიდატის ან თუნდაც დოქტორის წოდება. გონებრივი სიჩლუნგეც კი ვერ გაამართლებდა მას პატიოსანი ადამიანების თვალში.

მეორე მხრივ, ითვლება თუ არა ნამდვილად სარრას ძმად, როგორც

განაცხადა ამ შეყვარებულმა პატრიარქმა, ბედნიერმა კაცმა, რომელსაც განსაკუთრებულ მფარველობას უწევს ღმერთი? ბიბლიის ყველა დანარჩენი ადგილი უარყოფს ამას. ეგვიპტის ფარაონთან პირველად მიმართა ამ თავის გამამდიდრებელ სიცრუეს. მაგრამ როცა ფარაონმა ამხილა, თავის მართლება არც უცდია, საგულისხმო საიდუმლო პირველად აბიმელექს გაანდო. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ესაა მოულოდნელი შთაგონი, პირველი აზრი, რაც აბრაამს თავში მოუვიდა, გერარის მეფის მკაცრი საყვედურები რომ მოისმინა. რატომ არ იმართლა ასევე თავი მაშინ, როცა ფარაონმა დაგმო?

მეტიც. სულიწმინდა საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. მეთერთმეტე თავში ფარა გაგვაცნო, აბრაამის მამა (იგივე ფარაჰი): „ხოლო ესე შობანი არიან: თარრა შვა აბრამ და ნაქორ ღა არრან, ხოლო არრან შვა ლოთ. და მოკვდა არრან წინაშე თარას მამისა თვისისა ქვეყანასა მას, რომელსა იშვა, სოფელსა ქალდეველთასა და მიიყვანნეს აბრამ და ნაქორ თავთა თვისთათვის ცოლნი. სახელი ცოლისა აბრამისისა სარაი, და სახელი ცოლისა ნაქორისისა მელქა, ასული არრანისი. ესე არს მამა მელქასი და მამისა იესხანისი“ *(შექმნ., 11, 27—29)*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაქორმა ძმისწული შეირთო. სარრა რომ თარას ასული ყოფილიყო, ე. ი. აბრაამის, ნაქორისა და არანის და, ასეთ დაწვრილებით ჩამოთვლაში ავტორი ამას უსათუოდ იტყოდა, თარას ოჯახის წევრს იქაც დაასახელებდა.

მერე და ბიბლია ხომ პირდაპირ უწოდებს სარრას თარას რძალს! „და მოიყვანნა თარრა აბრამ, ძე თვისი, და ლოთი, ძე არრანისი, ძე ძისა თვისისა, და სარა, რძალი თვისი, ცოლი აბრამისი, ძისა თვისისა, და გამოიყვანნა იგინი სოფლისაგან ქალდეველთასა წარსლვად ქვეყანად ქანაანისასა, და მოვიდა ვიდრე ხარრანადმდე, და დაემკვიდრა მუნ. და იქმნნეს ყოველნი დღენი თარრასნი ხარანს შინა ორას და ხუთ წელ, და მოკვდა თარრა ხარრანს შინა“. *(შექმნ., 11, 31—32)*.

ამრიგად, აბრაამი სულაც არ დაერიდა სისხლის აღრევის შეცოდებას, ისე გადმოულაგა აბიმელექს სიცრუე, რათა გამართლება ენახა თავისი ავანტურისათვის. ან თუ გერარის მეფეს გაანდო ის საიდუმლო, რისი თქმაც ფარაონთან ვერ გაბედა, და ყველაფერი ეს მართალია, მაშინ სულიწმინდა საერთოდ გახლართულა სიცრუესა და წინააღმდეგობაში.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სრულიად ჩვეულებრივი ზღაპარია და მისი ავტორი — გაუთლელი უმეცარია. სულიწმინდა წელზე ფეხს იდგამს, რომ ლამაზი მისტიფიკაცია გამოუვიდეს, უზნეო და უგემოვნო სიცრუე სიმართლედ გაასაღოს, კარნახობს ყველაფერს, რაც თავში მოუვა, გონებაშეზღუდული ავტორიც ჭკუას ძალას არ ატანს, წერს ყველაფერს, რაც ესმის. უმგავსობა, უხამსობა, პორნოგრაფია და სიცრუე — რაც გნებავთ, ყველაფერია, ავტორს არა აქვს სირცხვილის გრძნობა, არ აწუხებს

მათი წინააღმდეგობანი, უთავბოლობა და უბრალო ფიზიკური ფაქტი, რომ შეუძლებელია ასეთი რამეები მოხდეს.

როგორ ვერ მიხვდა ამ ბიბლიური სტრიქონების ავტორი, რომ ციური მტრედი მას სასაცილოდ იგდებს, როცა „გერარის მიწას“ სამეფოდ უსაღებს! ძველ გეოგრაფთა აღწერილობის თანახმად, [illegible] პატარა ქვიშიანი ხეობა, მოკლებული ყოველნაირ მცენარეულობას, სასტიკი უდაბნო, სადაც ადამიანის შვილს არასოდეს არ უცხოვრია. მაშასადამე, აბიმელექი უდაბნოს მეფე იყო? მერე, რამდენ ხანსა ჰყავდა სარრა? როგორ მოხდა, რომ ქალბატონმა აბიმელექმა მას თვალები არ დასთხარა?

აი კიდევ ერთი წვრილმანი, რაც სულიწმინდის ხუმრობის მთელს უსირცხვილობას ამჟღავნებს. ეს ეპიზოდი მოხდა სოდომის განადგურების შემდეგ და იმაზე ადრე, რაც ღმერთმა მამრის მუხასთან მიცემული დაპირება აღასრულა. XXI თავი ასე იწყება: „და უფალმან ღმერთმან მოხედნა სარრას, ვითარცა სთქვა, და უყო ღმერთმან სარრას, ვითარცა ეტყოდა. და მუცლად მღებელმან სარრა უშვა აბრაამს ძე სიბერესა: ჟამსა მას, ვითარცა ჰრქვა მას ღმერთმან. და უწოდა აბრაამ სახელი ძესა თვისსა ისააკ, რომელი უშვა მას სარრა“ *(შექმნ., 21, 1—3)*.

რამდენადაც ეს მშობიარობა მოხდა მამრის (მამბრეს) მუხასთან ღმერთისა და მისი ორი ანგელოზის გამოცხადებიდან ერთი წლის შემდეგ, თუ ნორმალური ფეხმძიმობის დროს ვიანგარიშებთ, გერარის მიწაზე აბრაამის მოხვედრა მომხდარა ცეცხლის ნიაღვრის შემდეგ პირველი სამი თვის განმავლობაში. თუნდაც დავუშვათ, რომ აბრაამი და სარრა მთელი ამ სამი თვის განმავლობაშიც გერარში იმყოფებოდნენ, იბადება კითხვა, რანაირად გაიგეს მისმა უდიდებულესობამ მეფე აბიმელექმა, მისმა ცოლმა და მხევლებმა, ასე მოკლე ხანში, რომ უნაყოფონი არიან, ღმერთმა „დახშვით დახშო ყოველი საშო“, როგორც ამბობს წმინდა ავტორი? განა ასე მოკლე ხანში შეიძლება ადამიანი მიხვდეს, რომ ბავშვის გაჩენის უნარი დაუკარგავს?

უნდა ვაღიაროთ, — ღვთისმეტყველებთან ერთად, რომელთაც არ უკვირთ არავითარი, თვით უსაზიზღრესი სასწაულიც კი, — რომ ღმერთმა საძაგლად, თუმცა ორიგინალურად იხუმრა. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზე დადგებოდა უდაბნოს მეფე, ან მისი ქვეშევრდომები რას იფიქრებდნენ, როცა ნახავდნენ, რომ მათი ცოლების საშო დახშვით დახშულა! ეს ძალიან უხამს ხუმრობად უნდა მოსჩვენებოდათ. სრულიად გასაგებია, რომ აბიმელექმა აბრაამსა და მის ცოლს მისცა ყველაფერი, რაც გააჩნდა იღონდ იქაურობას გასცლოდნენ და ბოლო მოეღოთ ამ უბედურებისათვის. „დახშული საშოების“ სასწაულს შექმნათა წიგნში მოსდევს მეორე, სარრას მშობიარობის სასწაული. ოთხმოცდაათი წლის ქალს, რომელსაც შობის უნარი ადრევე უნდა დაეკარგა, ვაჟი ეყოლა.

რა მხიარული ვინმეა ეს მტრედი!

ახლა კი — ახალი საქმე გაუჩნდა აბრაამს: უკვე ჰყავს კანონიერი შვილი, ამიტომ უნდა გააგდოს ის, რომელიც ხასამ აჩუქა.

„და უწოდა აბრაამ სახელი ძესა თვისსა ისააკ, რომელი შვა მას სარრა.

და წინა დასცვითა აბრაამ ისაკს, ძესა თვისსა, მერვესა დღესა, ვითარცა ამცნო მას ღმერთმან.

ხოლო აბრაამ იყო წელიწადთა ასთა, რაჟამს მიეცა მას ისააკ, ძე მისი.

და სთქვა სარრა: საცინელ მყო მე უფალმან, რამეთუ ვისმცა ესმას, ჩემთანა უხაროდეს (ყველა დამცინებსო).

და სთქვა: ვინ მიუთხრას აბრაანს, ვითარმედ აწოებს ყრმასა სარრა, რამეთუ ვშევ ძე სიბერესა ჩემსა?

და აღორძნდა ყრმა, და განეყენა სძესა, და ჰქმნა აბრაამ სერი დიდი, რომელსა დღესა სძესა განეყენა ისააკ, ძე მისი.

ხოლო იხილა რა სარრა, ძე აგარ მეგვიპტელისა, რომელი იქმნა აბრაამისსა, მომღერალად ისააკსა ზედა, ძესა მისსა.

ჰრქვა აბრაამს, განაძე მხევალი, და ძე მისი, რამეთუ არა დაიმკვიდროს ძემან მხევლისა მისმან ძისა ჩემისა თანა, ისააკისსა.

ხოლო ფიცხელად გამოჩნდა სიტყვა დიდი ფრიად წინაშე აბრაამისსა. ძისა მისისა ისმაილისთვის.

და ჰრქვა ღმერთმან აბრაამს: ნუ ფიცხელ არს სიტყვა წინაშე შენსა ყრმისათვის და მხევლისათვის: ყოველი, რაოდენიცა გრქვას შენ სარრა, ისმინე ხმისა მისისა, რამეთუ ისააკისაგან გეწოდოს შენ თესლი.

ხოლო ძე მხევლისა იმის ნათესავად დიდად ვყო იგი, რამეთუ თესლი შენი არს.

ხოლო აღსდგა აბრაამ განთიად, და მოიხვნა პურნი და თხიერი წყლითა, და მისცნა აგარს, და დასხნა მხართა მისთა ზედა ყრმა და წარგზავნა იგი: ხოლო იგი წარსრული სცთებოდა უდაბნოსა, ჯურღმულსა თანა ფიცისასა.

და მოაკლდა წყალი თხიერისაგან, და მიაგდო ყრმა ქვეშე ნერგისა ერთისა.

და წარვიდა და დაჯდა წინაშე მისსა მოშორებულად, ვითარ მშვილდის სატყორც ოდენ, რამეთუ სთქვა: არა ვიხილო სიკვდილი ყრმისა ჩემისა. და დაჯდა წინაშე მისსა, ხოლო ხმა აღუტევა ყრმამან და ტიროდა.

და შეისმინა ღმერთმან ხმაი ყრმისა. ადგილით, სადა იყო, და უწოდა ანგელოსმან ღვთისამან აგარს ზეცით და ჰრქვა მას: რა არს, აგარ? ნუ გეშინინ, რამეთუ შეისმინა ღმერთმან ხმისა ყრმისა შენისა ადგილით, რომელ არს.

აღსდეგ, აღიქვი ყრმა და იპყარ იგი ხელითა შენითა, რამეთუ ნათესავად დიდად ვყო იგი.

და განუხვნა ღმერთმან თვალნი მისნი და იხილა ჭურჭელი წყლისა ცხოველისა და წარივლდა და აღავსო ტიკრი წყლითა და ასვა ყრმასა.

და იყო ღმერთი ყრმისთანა და აღორძინდა და დაემკვიდრა უდაბნოსა შინა და იქმნა მშვილდოსან.

და დაემკვიდრა უდაბნოსა ფარანს და მოჰგვარა მას დედამან ცოლი ქვეყანისაგან ეგვიპტისა". *(შექმნ., 21, 3—21).*

ეს ჭეშმარიტად არაადამიანური, აღმაფშოთებელი განდევნა აბრაამის მიერ თავისი პირმშო შვილისა და დედამისის აგარასი მცირე პურითა და ერთი ტიკი წყლით განსაკუთრებით აღმაფშოთებელია ეგზომ ძლიერი და გავლენიანი ბატონისათვის, რომელმაც 318 მსახურით ხუთი მეფე დაამარცხა, აურაცხელი სიმდიდრე მოიხვეჭა თავისი ცოლის საამო ნაცნობობით ეგვიპტისა და გერარის მბრძანებლებთან. აი, სიკეთისა და ზნეობის რა მარადიულ აღთქმებს ქადაგებს წმინდა წერილი!

ახის შემდეგ დაბადება გვაუწყებს, რომ დიდი პატრიარქი დიდხანს, კიდევ დიდხანს ცხოვრობდა ფილისტიმელთა მიწაზე.

მაგრამ ბედნიერმა აბრაამმა, რომელსაც მეორე შვილი ღრმად მოხუცებულმა საყვარელმა მეუღლემ აჩუქა, რა იცოდა, რა ოინს უმზადებდა მისი მფარველი — ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთი.

ვკითხულობთ „ბიბლიას":

„და იყო შემდგომად სიტყვათა ამათ ღმერთმან გამოსცადა აბრაამ და სთქვა მისსა მიმართ: აბრაამ, აბრაამ! ხოლო მან სთქვა: აჰა მე! და ჰრქვა: მიიყვანე ძე შენი საყვარელი, ისააკი, და წარვედ ქვეყანასა მაღალსა და შეწირე მუნ ყოვლად დასაწველად ერთსა ზედა მთათაგანსა, რომელსაცა გრქვა შენ" *(შექმნ., 22, 1—2).* გესმით? ღმერთი ეუბნება აბრაამს: „ძალიან გიყვარს შენი ყმაწვილი, ჩემი გულის რჩეულო წინასწარმეტყველო? ჰოდა, მაშ, თუ გინდა მასიამოვნო, დაკალი ის". ასეთი მოულოდნელი სურპრიზი შესთავაზა ღმერთმა თავის რჩეულს. მართალია, გაეხუმრა, ვითომ გააპამპულა, ღმერთს ხომ ხშირად უყვარს გახუმრება! ალბათ იფიქრა, მოდი ვნახო, რა სახეს მიიღებს ჩემი აბრაამი, ასეთ შემაძრწუნებელ ამბავს რომ ვეტყვიო! აქ ისევ ბიბლიას სათანადო ადგილი უნდა დავიმოწმოთ. მეტისმეტად მომხიბლავი მოთხრობაა!

„და აღსდგა განთიად აბრაამ და დასხნა კარაულსა თვისსა და წარიყვანა თავისა თვისისა თანა ორნი ყრმანი და ისააკ, ძე თვისი. და დაკოდა შეშა ყოვლად დასაწველისათვის და აღსდგა და წარვიდა და მოვიდა ადგილსა, რომელსა ჰრქვა მას ღმერთმან, დღესა მესამესა.

და აღმხილველმან აბრაამ თვალთა მისთამან, იხილა ადგილი შორით.

და ჰრქვა აბრაამ ყრმათა თვისთა: დასხედით აქა კარაულისა თანა, ხოლო მე და ყრმა მივიდეთ ვიდრე აქამდე და თაყვანი ვსცეთ რა, მოვიქცეთ თქვენდა მომართ.

და მოიხვნა აბრაამ შეშანი ყოვლად დასაწველისანი და [illegible] ისააკს, ძესა თვისსა, ხოლო მიიღო ცეცხლი ხელითა და მახჳრი და წარვიდეს ორნივე ერთბამად.

და სთქვა ისააკ აბრაამის მიმართ, მამისა თვისისა: მამაო! და მან სთქვა: რა არს, შვილო? ხოლო მან ჰრქვა: აჰა ცეცხლი და შეშა, სად არს ცხოვარი ყოვლად დასაწველად?

და სთქვა აბრაამ: ღმერთმან იხილოს თავისა თვისისა ცხოვარი ყოვლად დასაწველად, შვილო ჩემო (ღმერთმა გამონახოს თავისი სამსხვერპლო ცხვარიო!). და წარვიდეს ორნივე ზოგად.

მოვიდეს ადგილსა მას, რომელი ჰრქვა მას ღმერთმან. და აღაშენა მუნ აბრაამ საკურთხეველი და ზედა დასხნა შეშანი და შემკვრელმან ისააკისა, ძისა თვისისამან, დადო იგი საკურთხეველსა ზედა, ზედა კერძო შეშათა.

და განჰყო აბრაამ ხელი თვისი წაღებად მახვილისა და დაკლვად ძისა თვისისა.

და უწოდა მას ანგელოსმან უფლისამან ზეცით და ჰრქვა მას: აბრაამ, აბრაამ! და მან სთქვა: აჰა მე!

და ჰრქვა: ნუ მიჰყოფ ხელსა შენსა ყრმასა მაგას ზედა, ნუცა უყოფ მას ნურა რაის, რამეთუ აწ უწყი, ვითარმედ გეშინის შენ ღვთისა, და არა რიდე ძესა შენსა საყვარელსა ჩემთვის.

და იხილა აბრაამ თვალნი თვისნი და იხილა, და აჰა ვერძი ერთი დამოეკიდა რქითა ნერგსა საბეკსა (ნერგსა შინა ველისასა)*. და წარვიდა და მოიყვანა ვერძი იგი და შესწირა ყოვლად დასაწველად ისააკის წილ ძისა თვისისა.

და უწოდა აბრაამ სახელი ადგილსა მას: უფალი გამოჩნდა.

და უწოდა ანგელოსმან უფლისამან აბრაამს მეორედ ზეცით, მეტყველმან:

თავსა ჩემსა ვფიცავ, იტყვის უფალი, ვინათგან ჰყავ სიტყვა ესე, და არა რიდე ძესა შენსა საყვარელსა ჩემთვის.

კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განვამრავლო თესლი შენი, ვითარცა ვარსკვლავნი ცისანი, და ვითარცა ქვიშა ზღვის კიდისა; და დაიმკვიდრნეს თესლმან შენმან ქალაქნი მტერთანი.

---

* საბას განმარტებით, საბეკი უცხო სიტყვაა და ნიშნავს „ხე გამოხსნისა, გინა მიტევებისა, გინა ვერძისათვის". ბიბლიის სხვა ენებზე გადაღებულ ტექსტებში აქ ყველგან „ეკლიანი ხე" წერია.

და იკურთხეოდიან თესლისა მიერ შენისა ყოველნი ტომნი ქვეყანისანი, ამისთვის, რამეთუ ისმინე ხმისა ჩემისა.

ხოლო მიიქცა აბრაამ ყრმათა მიმართ თვისთა, და აღდგომილნი წარვიდეს ზოგად ჯურღმულად მიმართ ფიცისა*, და დაემკვიდრა აბრაამ ჯურღმულისთანა ფიცისა“ (შექმნ., 22, 1—19).

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ აბრაამმა, რომელიც [illegible] მისა და გომორის შეწყალებას სთხოვდა, შვილის დასაცავად ლოცვა-ვედრებით არ მიმართა ღმერთს. ისინი ბრალს სდებენ პატრიარქს სიცრუეში, ამასთან გულისხმობენ სიტყვებს, თავის ყრმებს რომ უთხრა: „დასხედით აქა, ხოლო მე და ყრმა მივიდეთ ვიდრე აქამდე და თაყვანი ვსცეთ რა, მოვიქცეთ თქვენდა მომართ“. რაკი მთაში იმ მიზნით მიდიოდა, რომ თავისი შვილი ღმერთისათვის მსხვერპლად შეეწირა, ტარიგივით დაეკლა, ცხადია. მასთან ერთად უკან ვეღარ დაბრუნდებოდა, მით უმეტეს, რომ უნდა დაეწვა კიდეც. ეს იყო ბარბაროსის სიცრუე, ხოლო ადრე კი, ცოლს რომ ანათხოვრებდა, ხარბი მაჭანკალივით ცრუობდა.

მეორე მხრივ, გვიკვირს, რომ ასი წლის ბერიკაცი თვითონ აპობს კოცონისათვის საკმარის შეშას, დაუდებს სახედარს და მიდის სალოცავად. ადამიანი რომ კოცონზე დასწვა, ამისათვის საჭიროა არა ერთი კონა, არამედ სულ მცირე, ერთი ურემი შეშა მაინც. აბრაამის დაპობილი შეშა ერთ ვირს და ორ მსახურს აჰკიდა და ატარა ორი დღე-ღამე. დავუშვათ, რომ შეშა მარტო ვირს აჰკიდეს. მაშინ როგორ მოხდა, რომ იგივე შეშა უკან დაბრუნებისას ცამეტი წლის ისააკს წამოაღებინეს? განა რამდენი შეშა ან ნახშირი უნდა წაეღოთ, რომ ხრიოკ კლდეზე კოცონი გაეჩაღებინათ? პატრიარქი და მისი შვილი რომ მსახურებს დაშორდნენ, მაშინ მორიას მთა ძლივს მოჩანდა. ბოლოს, ამბობენ, რომ ეს სახელგანთქმული მორიას მთა, რომელზედაც მოგვიანებით იერუსალიმის ტაძარი ააშენეს, მოშიშვლებულ კლდეს წარმოადგენდა, არავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი იქ არ ყოფილა, გარშემო ერთი ბუჩქიც კი არ იზრდებოდა წამლად და მიდამო ქვებს დაეფარა. ასე რომ, ხე შორიდან შემოჰქონდათ.

მაგრამ ყოველივე ამას ხელი არ შეუშლია ღმერთისათვის, რომ აბრაამის ერთგულება გამოეცადა, ხოლო აბრაამს — რომ თავისი უსაზღვრო მორჩილებით მისი განსაკუთრებული პატივისცემა დაემსახურებინა.

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ როცა იეფთაი ღმერთს თავის ასულს შესწირავს, არც ერთი ანგელოზი არ ჩაერევა. მართალია, იეფთაი არ ეწეოდა მაჭანკლობას და ამიტომ განსაკუთრებული წმინდანობის შარავანდედით ვერ შეიმოსა, როგორიც ამკობს ებრაელთა, ქრისტიანთა და მუსულმანთა შორის პატრიარქ აბრაამს, „ღვთის მეგობარს“.

---

* ფიცის ჯურღმული — ჰა (ორმო) ფიცისა — დედანშია ბერსება (ბეერსება), ადგილის საკუთარი სახელი.

ოცდამესამე თავი მოგვითხრობს, რომ სარა 127 წლისა გარდაიცვალა ქებრონში, ქანაანის მიწაზე. მეუღლის დასაკრძალავად აბრაამმა ურიე ბატონ ეფრონისაგან მაჰპელას გამოქვაბული იყიდა და საკმაოდ ძვირადაც დაუჯდა. ეფრონმა უთხრა: „არა, უფალო, რამეთუ მასწიეს, ვითარმედ ადგილი ესე ოთხასისა დიდრაქმისა ვეცხლისა არს, გარა [illegible] და შენსა რამცა იყოს ესე? ხოლო შენ მკვდარი შენი დაფალ. დაჰპირა აბრაამ ეფრონისი, და მისცა აბრაამ ეფრონს ვეცხლი, რომელი თქვა ყურთა ძეთა ქეტისათა, ოთხასი დიდრაქმა ვეცხლისა გამოცდილისა სავაჭროსა“ *(შექმნ., 23, 15—16)*.

გაოცებას იწვევს ეს ამბავი. აბრაამს, რომელსაც ბიბლია არაჩვეულებრივ მდიდარ ადამიანად აცხადებს, ნუთუ გოჯი მიწაც არ გააჩნია, რომ ცოლი დაკრძალოს? კრიტიკოსები მეორე უცნაურ გარემოებასაც აღნიშნავენ რაღაც უცნაურ მონეტებს რომ ასახელებენ: „ოთხასი დიდრაქმა ვეცხლისა“ მივეციო, „გამოცდილისა სავაჭრო“ ისიც. მამა აბრაამის ჟამს კი არა, საერთოდ არასოდეს არავითარ მონეტებს არ ჭრიდნენ ებრაელები, და მეტადრე ქანაანის მიწაზე.

ოცდამეხუთე თავში ვხედავთ, რომ ღრმად მოხუცებულმა მამამთავარმა გადაწყვიტა მოწყენილობის გასაქარვებლად ცოლი შეერთო. მართლაც, „შესძინა აბრაამ მოყვანებად ცოლი, რომლისა სახელი ქეტტურა“. ამ დროს აბრაამი, სულ მცირე, 140 წლისა იქნებოდა. ზედმეტი არ იქნება იმისი გახსენება, რომ სარრა ადრევე თვლიდა აბრაამს მეტისმეტად მოხუცებულად იმისათვის, რომ შვილი გაეჩინა, როცა ის ჯერ კიდევ „მხოლოდ“ ასი წლისა იყო, და საჭირო გახდა ღმერთის ჩარევა, რათა ისააკი გასჩენოდათ. მაგრამ აი, ამ ქეტტურასთან, ყოველგვარი უზენაესის ჩაურევლად და უსასწაულოდ ექვსი შვილი გაუჩნდა: „და უშვნა მას დემბრან და იექტან და მადამ და მადიამ და იესბაკ და სოიე“.

ბოლოს, ერთ მშვენიერ საღამოს, 175 წლის პატრიარქი გარდაიცვალა *(შექმნ., 25, 7)* და მთელი ქონება ისააკს უანდერძა. დანარჩენ შვილებს ბევრი არაფერი ერგოთ. წინდა მაჭანკალი სარრას გვერდით დაკრძალეს, მაჰპელეს გამოქვაბულში, „ქვაბსა მრჩობლსა, აგარაკსა შინა ეფრონ, რომელ არს წინაშე მამბრესა“.

წმინდა მამამთავარი ისააკი და მისი შვილები, რომელნიც ღმერთმა აჩუქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლა კი ვნახავთ ღვთის დაპირების აღსრულებას, აბრაამის მემკვიდრეთა „დიდ განმრავლებას“. ისე გახდებიან, ვითარცა ზღვაში ქვიშა და ცაში ვარსკვლავი.

სარრას გარდაცვალების შემდეგ და ქეტტურას მოყვანის წინ პატრიარქმა თავისი საყვარელი პირმშო შვილის კეთილად დასახლების თადარიგი დაიჭირა. კეთილმსახურული კვლევა-ძიებისა და რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ამბავი აღწერილია „შექმნათა“ 24-ე თავში.

ნაჭორმა, აბრაამის ძმამ, თავისივე ძმისწული მელქა შეირთო *(შექმნ 11, 29)*. ამ ბატონ ნაჭორს ძმასავით უდაბნოებში ხეტიალი არ მოსწონდა და მესოპოტამიის ნაყოფიერ ველზე დასახლდა. იქ მელქამ რვა შვილი აჩუქა. მაგრამ რვა ცოტა იყო, ამიტომ ხასა დაისვა, სახელად რეიმა (რეუმა), რომელმაც კიდევ ოთხი შვილი აჩუქა *(შექმნ., 22, 20—24)*. ეს შვილებიც გამრავლდნენ. ერთმა მათგანმა, ბათოილმა, „შვა ლავან და რებეკა“. ეს უკანასკნელი უნდა გამხდარიყო მომავალში, „წყალობითა უფლისათა“, ისაკის ცოლი.

ერთ მშვენიერ დილას მოხუცმა აბრაამმა უფროსი მსახურთაგანი იხმო, რომელიც იმავე დროს მთელი მისი ქონების მთავარი მოურავიც იყო. „შექმნათა“ წიგნი მხოლოდ ერთხელ ასახელებს მას — ელიეზერს ეძახის, სხვაგან კი — მხოლოდ „მონას“. აი, რა უთხრა აბრაამმა მონასა (ყრმას), „უხუცესსა სახლისა მისისასა, მთავარსა ყოველთა საქონელთა მისთასა“: „დამდევ ხელი შენი წყვილთა ჩემთა“ (ბარძაყებზე. ა. გ.), და გაფუცებ შენ უფალსა, ღმერთსა ცისა და ღმერთსა ქვეყანისასა, რათა არა მოჰგვარო ცოლი ძესა ჩემსა ისაკს ასულთაგან ქანაანელთასა, რომელთა მე მკვიდრ ვარ მათ შორის, არამედ ქვეყანად ჩემდა, რომლისაგან ვარ მე, წარხვიდე ტომისა მიმართ ჩემისა, და მოჰგვარო ცოლი ძესა ჩემსა ისაკს მუნით“. (შექმნ., 24, 2—4).

სკეპტიკოსი კომენტატორები დიდხანს იქცევდნენ თავს ფიცის ამ წესით. საქმე ისაა, რომ ამ ადგილას ძველი ებრაული ტექსტი პირდაპირ ამბობს: „ხელთ აიღე ჩემი სარცხვინელიო“. სწავლული ეთნოგრაფები ამ

ადათს იმითა ხსნიან, რომ მამაკაცის სასქესო ორგანოები დიდ პატივში იყვნენ არა მარტო წინადაცვეთის ადათისათვის, რაც ადამიანს უზენაესთან — ღმერთთან აკავშირებდა, არამედ იმიტომაც, რომ როგორც გამრავლების ორგანოები და უზენაესის კურთხევის საგანნი, ისინიც ითვლებოდნენ ძალის, ძლიერების სიმბოლოდ. რა უცნაურია, რომ ჩვენ უნდა მოგვეჩვენოს ფიცის ასეთი სახეობა, მის წინაშე კრძალვით თავის დადრეკა გვმართებს, რადგან დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყოველივე ეს „სულიწმინდას“ უკარნახებია.

ყოველთვის, როცა ბიბლიის თანამედროვე გამოცემებში გვხვდება სიტყვა „წყვილთა ჩემთა“, ეს გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ*. მაგალითად, როცა ვკითხულობთ, რომ ერთ-ერთი ბელადი „გამოვიდა იუდის მოდგმის „წყვილთაგან“, ჩვენთვის აშკარაა ფაქტის დამახინჯება და ტექსტიდან განზრახ გადახვევა, რადგან ყველამ იცის, რომ ბავშვები „წყვილთაგან“ არ იშობიან, თუ წყვილებში მხოლოდ ბარძაყებს ვიგულისხმებთ. თანაც, როგორც მრავალჯერ დავრწმუნდით, „ღვთაებრივი მტრედი“ სულაც არ არის მორცხვი, საგნებს თავიანთ საკუთარ სახელებს უწოდებს, თუნდაც ძალიან მაგარი სახელები იყოს.

„და დადვა ყრმამან ხელი თვისი წყვილთა აბრაამ, უფლისა თვისისათა და ეფუცა მას სიტყვისა ამისთვის“ *(შექმნ., 24, 9)*.

მორჩა, ამის შემდეგ გაირეკა ათი აქლემი და მესოპოტამიაში გაეშურა. ცხრა მთას იქით![42]

როცა ელიეზერი იმ ქალაქს მიუახლოვდა, სადაც იმედი ჰქონდა, რომ თავისი ბატონის ნათესავებს იპოვიდა, შიმშილ-წყურვილისაგან არაქათი გამოლეოდა. საბედნიეროდ, სანდომიან შავგვრემან ქალიშვილს შეხვდა, რომელიც დაუზარებლად წავიდა ქალაქგარეთ, ჭიდან წყლის მოსატანად. აქ კი ჩვენი რიგია, რომ უფლის წყალობამ გული აგვიჩვილოს: ეს კეთილი შავთვალწარბა გოგო გამოდგა სწორედ რებეკა, ბათოილის ასული, აბრაამის შვილიშვილი. ოქროს საყურე და ორი სამაჯური რომ მისცა, მერე ჰკითხა აბრაამის მონამ, ვისთანა მაქვს პატივიო. აი, აქ იყო, რაც იყო! რებეკამ მოციქული შინ შეიპატიჟა, მამას და ძმებს გააცნო. აბრაამის მოურავმა მასპინძლებს აუხსნა, ამოდენა მანძილი იმ მიზნით გამოვიარე, რომ ისაკისათვის საპატარძლო გამოვძებნოო. რა თქმა უნდა, ბათოილმა და ლავანმა ერთხმად წამოიძახეს:

— ხელი უფლისა არის აქა! ახლავე წაიყვანეთ რებეკა და თქვენს ბატონს შერთეთო!

ელიეზერი ფრიად გაახარა საქმის ასე სასიკეთოდ დაგვირგვინებამ

---

* ქართულ თარგმანში ეს ადგილი არც თუ ის ორაზროვანია: „წყვილნი“ ქართულად „ორნი ბარკალნიც“ არიან და სხვა რამეც (წ. საბა).

და საჩუქრებით აავსო რებეკა, ოქროს ბეჭდები და ძვირფასი სამოსელი უბოძა. ასევე დაასაჩუქრა მისი ძმები და დედა. ქალიშვილის დედამ ათორდე დღით გადადება უნდოდა გამგზავრებისა, მაგრამ რებეკამ განაცხადა, არა მცალია და ახლავე მინდა ჩემს უცნობ საქმროსთან წასვლა. გზა არა მაქვსო.

რა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ელიეზერს ახალგაზრდა ისააკის ფოტოსურათი ჰქონოდა თან წამოღებული. ამის მიუხედავად, რებეკას ერთბაშად სამიჯნურო ცეცხლი მოედო და თხემით ტერფამდე სიყვარულის სახმილში ჩაეშვა. თავის მხრივ ისააკიც უზომოდ შეყვარებული აღმოჩნდა, თუმცა არ იცოდა, ვის ჩამოუყვანდა ელიეზერი, და საერთოდ ჩამოუყვანდა თუ არა ვინმეს. გვაგონდება პოეტის ჩანაფიქრი: „გავა ქამი და ვნახავ ქალიშვილს, რომელიც ალბათ შემიყვარდება!“ ხელქმნილი ჰაბუკი დღე და ღამე გზაზე იყო ატუზული და ქარავნის გამოჩენას ელოდა. წარმოიდგინეთ მისი სიხარული, როცა ერთ მშვენიერ დღეს ელიეზერი გამოჩნდა და თან სანატრელი საპატარძლო მოჰყავდა. ერთგულმა მოურავმა თავისი მოქმედების ანგარიში წარუდგინა და ახალგაზრდები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

„ხოლო შევიდა ისააკ სახიდ დედისა თვისისა და მიუყვანა რებეკა და იქმნა მისსა ცოლ. და შეიყვარა იგი და ნუგეშინის ეცა ისააკს სარრას შემდეგ, დედისა თვისისა“ (*შექმნ., 24, 67*).

პირველ ხანებში წმიდა ისააკის მთელი გულმოდგინება და მეცადინეობა წყალში იყრებოდა. ვერანაირად ვერ ახერხებდა შვილის გაჩენას ისეთ მოკლე ხანში, როგორც სურდა. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ „დაბადებას“ რებეკასათვის უექსპერტოდ დაედო ბრალი, ბერწი ხარო. ასეთ დროს ხომ დამნაშავე ყოველთვის ქალი გამოდის!

„ხოლო ევედრებოდა ისააკ უფალსა რებეკასათვის, ცოლისა თვისისა, რამეთუ ბერწი იყო. და ისმინა მისი ღმერთმან, და მიუდგა რებეკა, ცოლი მისი“ (*შექმნ., 25, 21*). რაკი მიუდგა, ყველაფერი გამოსწორდა, მაგრამ რისთვის სჯიდა ღმერთი ისააკს?

ჩვენს შორის რომ ითქვას, ღმერთი მხოლოდ თავს იფასებდა, თორემ ხომ დაჰპირდა აბრაამს, უთვალავ მემკვიდრეს გაჩუქებო, გაგამრავლებო? განა თვითონ განგებამ არ შეურჩია ცოლი აბრაამის შვილს? მაშინ ღმერთი ფიცს ხომ არ გატეხდა, უნაყოფო ქალს ხომ არ შერთავდა ისააკს! ცხადია, თუ უბედურ ქალს აქაც შეუკრა საშო, მხოლოდ იმისათვის, რომ მერე მისი გახსნით გამოეჩინა თავი და წინასწარ კი ცოტა დაეტანჯა მისი საყვარელი ალფონსის — აბრაამის შვილი.

მაგრამ საქმეს მაინც გარკვეული გართულებების გარეშე არ ჩაუვლია.

„და ჰკრთებოდეს ყრმანი მის შორის და მან სთქვა: უკეთუ ესრეთ

ყოფად იყო ჩემდა, რასათვის ესე ჩემდა? და წარვიდა კითხვად უფლისა მიმართ“ (შექმნ., 25, 22).

წმინდა ავტორს დაავიწყდა, ვერ გვითხრა, საით წავიდა რებეკა უფალთან საბაასოდ. „წმიდათა წმიდად“ წოდებული განყოფილება ტაძრისა, ქრისტიანთა ეკლესიების საკურთხეველის მსგავსი, ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული. ჯერ კიდევ ასეთი წესი ჰქონდა ღმერთს — სადაც უნდოდა და როცა უნდოდა, მოულოდნელად გამოეცხადებოდა ადამიანებს. მისი ციური კანცელარიის მიწიერი განყოფილება ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ამის მიუხედავად, რებეკამ იმდენი მოახერხა, ღმერთს დაეკითხა, როგორ იქნება ჩემი საქმეო. უფალმაც პასუხი არ დააყოვნა: „ხოლო უფალმან ჰრქვა მას: ორი ნათესავი არიან მუცელსა შინა შენსა, და ორნი ერნი მუცლისაგან შენისა გამოვიდენ, და ერი ერსა აღემატოს, და უფროსმან ჰმონოს უმრწემესსა“ (შექმნ., 25, 23).

ესეც ახალი ამბავი: უფროსი უნდა ემსახუროს უმცროსს. ასე და ამგვარად, მშობიარობის დროც დადგა. რა თქმა უნდა, რებეკა სათანადო ტკივილებით დაისაჯა იმისათვის, რომ გაუმაძღარმა ევამ ზედმეტი ვაშლი შეჭამა.

„და აღივსნეს დღენი შობისა მისისანი, და რამეთუ მარჩბივნი (ტყუპნი) იყვნეს მუცელსა შინა მისსა, გამოვიდა პირმშო ძე მწითური ყოვლად, ვითარცა ტყავი ფაჩვნიერი და სახელსდვა სახელი მისი ესავ. და ამისა შემდგომად გამოვიდა ძმაი მისი, და ხელი მისი მოხვეული იყო ბრჭყალსა ესავისასა. და უწოდა სახელი მისი იაკობ, ხოლო ისააკ იყო წელთა სამეოცთა, ოდეს შვნა იგინი რებეკა“ (შექმნ., 25, 24—26).

ძალიან იშვიათად ხდება ასეთი რამე: რომ დაბადების დროს ყრმას ხელით ეჭიროს მეორის ტერფი. ისე იშვიათად, რომ ეს დღემდე ცნობილი ერთადერთი შემთხვევაა. მაგრამ თუ ასეთი რამე სხვაგან არსად და არასოდეს არ მომხდარა, ეს ჯერ კიდევ არ გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ვერც მაშინ მოხდებოდა. თანაც ღმერთის ეს ახირებანი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ქვემოთ ვნახავთ.

ესავი უფროსად გამოაცხადეს. როგორც ცნობილია, ზოგიერთ რთულ იურიდიულ ვითარებაში პირველშობილობის საკითხში უპირატესობა ეძლეოდა ტყუპის იმ ცალს, რომელიც პირველის შემდეგ დაიბადებოდა. ამ გადაწყვეტილების სასარგებლოდ ასეთი საბუთი მოაქვთ: პირველად ჩასახულს, ბუნებრივია, დედის მუცელში უფრო შორეული ადგილი ექნებოდა დაკავებული, ე. ი. პირველად ჩაისახებოდა, ეს სეკუნდების საქმეა, მაგრამ სეკუნდიც დროის კანონიერი ნაწილია! ასეა თუ ისე, უფროსად იაკობი უნდა გამოეცხადებინათ. მაგრამ ეს ჭირვეული ყმაწვილები დედის მუცელშივე ისე მწარედ იყვნენ გადაკიდებული, რომ ვინ იცის, რამდენჯერ იცვალეს ადგილი! აზრად არავის მოსვლია, ასეთი სადავო საკითხი კენჭისყრით გა-

დაეწყვიტათ. უფრო უბრალოდ გადაწყვიტეს ჰაქმე. ვინც პირველი დაიბადა, პირველობაც იმას მისცეს. ფიქრი ნუ გაქვთ, უფროსმა იაკობმა მალე წაართვა პირველშობილის უფლებები ესავს, ასე რომ შეცდომა შეასწორა.

„აღორძნდეს ჰაბუკნი იგი (ე. ი. გაიზარდნენ), და ესავ იყო კაცი მეცნიერ ნადირობისა, ველური. ხოლო იაკობ იყო კაცი მარტივი (კეთილი, მშვიდობიანი), მკვიდრი სახლისა.

და შეიყვარა ისააკ ესავი, რამეთუ ნადირებული მისი იყო საჭამად მისა. ხოლო რებეკას უყვარდა იაკობ (ეტყობა, რებეკას არ უყვარდა ნადირის ხორცი!).

და შეაგბო იაკობ გბოლვილი, ხოლო ესავ მოვიდა ველით მაშვრალი.

და ჰრქვა ესავ იაკობს: მაგემე გბოლვილისაგან ოსპისა ამის, რამეთუ მოუძლურდი მე. ამისთვის ეწოდა სახელი მისი: ედომ*.

ხოლო ჰრქვა იაკობ ესავს: მომცენ მე დღეს პირმშოებაი შენი.

და სთქვა ესავ: აჰა, მე მივალ აღსრულებად, და რად ჩემდა პირმშოება ესე? (ე. ი. მე ვკვდები, პირველშობილობას რას ვაქნევო!).

და ჰრქვა მას იაკობ: მეფუცე მე დღეს! და ეფუცა მას. და მისცა ესავ პირმშოებაი თვისი იაკობს.

ხოლო იაკობ მისცა ესავს პური და გბოლვილი ოსპისა. და ჭამა და სვა და აღდგომილი ვიდოდა. და წარწყმიდნა ესავ პირმშოება“ (შექმნ., 25, 27—34).

ჩვენ არ შევჩერდებით ასეთ უცნაურ დავაზე იმ ეპოქაში, როცა საერთოდ არ არსებობდა პირველშობილობის ანუ პირმშოობის სამართალი. მხოლოდ მოგვიანებით ბრძანა უფალმა ღმერთმა, უფროსმა შვილმა ორწილი ქონება მიიღოსო მამის მემკვიდრეობიდან. მაგრამ ვერ გავჩუმდებით იაკობის საქციელზე: ეს საძაგლობაა: წმინდა წერილის თანახმად, ესავი პირდაპირ შიმშილით კვდებოდა და იაკობმა ძმის მძიმე მდგომარეობით ისარგებლა, პირმშოობის უფლება გამოსტყუა ერთი მათლაფა ოსპის ფასად. თუმცა, თვითონ სახელი „იაკობი“ აღნიშნავს „კაცს, რომელმაც ხლინკი გამოსდო“ ვინმეს, შეაფერხა, სარმა მოსდო. როგორც ვხედავთ, იაკობი სწორედ ასე მოექცა ძმას. არც იმით დაკმაყოფილდა, რომ თავისი წილი ოსპი ასე ძვირად გაასაღა: როგორც ავაზაკი, რომელიც თავის მსხვერპლს ძალით ართმევს ფულს ან ქონებას, მანაც თავის ღვიძლ ძმას გამოძალვით ჩამოართვა თავის უფლებებზე ხელის აღების ფიცი. ერთი მათლაფა ოსპისათვის გაძარცვა და მშრალზე დასვა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ერთადერთი ბოროტება, რაც მას მიაყენა. ჰოდა, აი ეს სავაჭრო შეთანხმება, როცა ასე ცინიკურად. მოატყუეს მშიერი კაცი, ეს თავისთავად უბადრუკი შეთანხმება, რასაც ყოველი სასამართლო გააუქმებ-

---

* იაკობმა ოსპის წითელი შეჭამადი გააძზადა (ედომი — წითელი).

და, როგორც გამოძალვას, — სამართლიანობის ღმერთმა დააკარგინა, სუსტთა მფარველმა, დაღდასმულთათვის შურისმაძიებელმა. პირველმშობილის უფლებები დაუმტკიცა იაკობს, გამომძალველს, ესავის დაქცევას ბევრი დააკრა.

გავიდა ხანი და ესავმა აბრაამის ღირსეულ შვილად გამოუცხადა თავი — ღვთისაგან რჩეული მართლმორწმუნის „კეთილმსახურული“ ტრადიციის გამგრძელებლად.

ქვეყანაში შიმშილმა იფეთქა, და ისააკი გერარში გაეშურა, სადაც, რა უცნაურიც არ უნდა გვეჩვენოს, იგივე აბიმელექი განაგრძობდა მეფობას. უცნაური ამბავია, ბიბლია მას ერობაშად ფილისტიმელთა მეფედ აცხადებს. ღმერთს, ცხადია, შეეძლო ისააკისა და მისი ოჯახისათვის პური მიეცა, მან კი მხოლოდ მოჩვენება მისცა, ამასთან გრძელი სიტყვით დაასაჩუქრა, როგორც აბრაამს უმასპინძლდებოდა ხოლმე: „და განვამრავლო თესლი შენი, ვითარცა ვარსკვლავნი ცისანი, და მოგცე შენ და თესლსა შენსა ქვეყანა ესე და იკურთხევოდინ თესლისა მიმართ შენისა ყოველნი ნათესავნი ქვეყანისანი“. მოკლედ, ძველი სიმღერაა! ისააკი გერარს დაემკვიდრა, და როცა იქაურებმა ჰკითხეს, რებეკა ვინ არისო, უპასუხა: „დაი ჩემი არს, რამეთუ შეეშინა თქმად, თუ ცოლი ჩემი არს, ნუ უკვე მოკლან იგი კაცთა მის ადგილისათა რებეკასათვის, ცოლისა მისისა, რამეთუ შვენიერ იყო იგი ხილვითა“. შემდეგ ასე მოხდა:

„ხოლო მრავალ ჟამეულ რაი იქმნა მუნ, შთაიხედნა აბიმელექ, მეფემან, გერრართამან, სარკმელსა და იხილა ისააკ მომღერელად რებეკას თანა, ცოლისა თვისისა.

და მოუწოდა აბიმელექ ისააკს, და ჰრქვა მას: ცოლი სადამე არს შენი რებეკა! რად სთქვი, თუ დაი ჩემი არს? ხოლო სთქვა ისააკ: რამეთუ ვსთქვი, ნუ უკვემცა მოვკვდე მის ძლით (მისი მიზეზით).

და ჰრქვა აბიმელექ: რაი ესე მიყავნ ჩვენ? კნინღა დავინმეწვა ნათესავისა ჩემისა ცოლისა შენისა თანა (კინაღამ ერთი ჩვენგანი დაწვა შენს ცოლთანო); და მოეწიემცა ჩვენ ზედა უმეცრებაი.

ხოლო უბრძანა აბიმელექ ყოველსა ერსა თვისსა, მეტყველმან: ყოველი შეხებელი კაცისა ამისა, ანუ ცოლისა მისისა, თანამდებ სიკვდილისა იყოს“ *(შექმნ., 26, 8—11)*.

როგორც ვხედავთ, აბიმელექს არ დავიწყებია „დახშულ საშოთა“ ამბავი, თუმცა ეს საქმე მაშინ სარამ გამოიწვია, ოთხმოცი წლის წინათ. მაგრამ უცნაური ისაა, რომ ბიბლია ჯერ იმას აღნიშნავს, ფილისტიმელები თავიანთ ღმერთებსა სცემენო თაყვანს, არა აბრაამისა და ისააკის ღმერთს, და თანაც ამტკიცებს, წარმართი მეფე ფილისტიმელებისა იუდეველთა ღმერთის პატივისმცემელია, მის აღთქმას ასრულებსო.

რა უთავბოლობაა? „ხოლო სთესა ისააკ ქვეყანასა ზედა და პოვა მას

წელიწადსა ასეულ ქმნილად ქრთილი და აკურთხა იგი უფალმან" *(შექმნ., 26, 12)*.

უკვე თავისთავად საკმაოდ მაგარი ნათქვამია, რომ ისააკს არხეინად შეეძლო ეხნა, ეთესა მიწაზე, სადაც ერთი გოჯიც კი შიში ბატონობდა არ იყო. მაგრამ თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ გერარის შიშა უდაბნო იყო, სადაც ქვიშისა და ქვების კიდეგან არა არის რა, მაშინ ეს უბრალო სასწაული „ბრალიანი" გამოდგება: ასმაგი მოსავალი ხრიოკ უდაბნოში! სეირი თუ გინდათ, ეს არის. მოკლედ, ისააკს ბედმა გაუღიმა. ბიბლია ამბობს, მალე გამდიდრდაო. თუ ასეთ მოსავალს აიღებს, რა გასაკვირია!

ფილისტიმელებს „წმინდა მამამთავრის" დღეკეთილობა შეშურდათ და ქვით ამოავსეს ყველა ჭა, რაც აბრაამმა გათხარა. შეიქნა დავა, გაწევ-გამოწევა, და აბიმელექმა ისააკს გაცლა ურჩია. ისააკი გაეცალა, ხეობაში დასახლდა და მამის ჭები ხელახლა გათხარა. გაიმართა ახალი დავა, ისევ გამოეცხადა ისააკს ღმერთი, ნუგეში სცა, ნუ გეშინია, უცხო თესლს ანგარიშს გავუსწორებთო. მართლაც, შეიკრა ახალი საზავო ხელშეკრულება აბიმელექთან. გაიმართა დიდი ნადიმი. მკითხველმა იცოდეს, ვათავისუფლებთ მოსაწყენი, თუმცა, ცხადია, წმინდა წვრილმანთა თხრობისაგან.

რაც შეეხება ესავს, ორმოცი წლისა რომ გახდა, დაქორწინდა: „მიიყვანა ცოლი ივდით, ასული ვეოხ ქეტელისაი, და ვასემათ, ასული ელომ ქეტელისა (ერთბაშად ორი!) და იყვნეს მხდომ ისააკისა და რებეკასი" *(შექმნ., 26, 34—35)*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა მამამთავარი იაკობი და მისი ცოდვილი ძმა ესავი

სააკი რომ დაბერდა და თვალთა მზერამ უმუხთლა, უფროსი ძმა ესავი მიიხმო და უთხრა... მაგრამ ჯობს ძველ დაბადებას მივყვეთ:

„და იყო შემდგომად სიბერესა ისააკისა, დაუბრყვილდეს თვალნი მისნი ხედვავდ და მოუწოდა ესავს, ძესა თვისსა უხუცესსა და ჰრქვა მას: შვილო ჩემო! და სთქვა: აჰა, აქა ვარ.

და ჰრქვა მას ისააკ: აჰა, მე დავბერდი და არა უწყი დღე აღსრულებისა ჩემისა.

აწ უკვე აღიღე ჭურჭელი შენი, კაპარჭი და მშვილდი და განვედ ველად და მინადირე მე ნადირი.

და მიქმენ მე საჭმელი, ვითარცა მიყვარს მე, და მომართვი მე, რათა ვსჭამო, და გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან პირველ სიკვდილისა ჩემისა.

ხოლო რებეკას ესმა მეტყველება ისააკისა — ესავისა, ძისა მიმართ თვისისა. და წარვიდა ესავ ველად, ნადირობად ნადირსა მამისათვის თვისისა.

ხოლო რებეკა სთქვა იაკობის მიმართ, ძისა თვისისა უმრწემესისა: აჰა, მესმა მამისა შენისა, იტყოდა რა ესავის მიმართ, ძმისა შენისა, მზრასველი:

მინადირე მე ნადირი და მიქმენ მე ჭამადი, რათა ვსჭამო და გაკურთხო შენ წინაშე უფლისა, პირველ სიკვდილისა ჩემისასა.

აწ უკვე შვილო, ისმინე ჩემი, ვითარცა მე გრქვა შენ.

წარვედ ველად ცხოვართა და მომგვარე მე მუნით ორნი თიკანნი ჩჩვილნი და კეთილნი და უქმნნე მე იგინი მამასა შენსა, ვითარცა უყვარს.

და შეართვი მამასა შენსა და სჭამოს და გაკურთხოს შენ მამამან შენმან, პირველ სიკვდილისა მისისა.

და სთქვა იაკობ რებეკას მიმართ, დედისა თვისისა: არს ესავ, ძმაი ჩემი, კაცი ფაჩვნიერი, ხოლო მე კაცი წყლტუ.

ნუ უკვე ხელი შემახოს მე მამამან ჩემმან და ვიყო წინაშე მისსა, ვითარცა შეურაცხის მყოფელი და მოვაწიო თავსა ჩემსა ზედა წყევა და არა კურთხევა.

და ჰრქვა მას დედამან: ჩემ ზედ იყავნ წყევა იგი, შვილო, გარნა ისმინე ხმისა ჩემისა. არამედ წარვედ და მომგვარენ მე.

ხოლო იგი წარვიდა და მოჰგვარა დედასა თვისსა და ჰძღნა დედამან მისგან ჭამადი, ვითარცა უყვარდა მამასა მისსა.

და მოიღო რებეკა სამოსელი ესავისა, ძისა თვისისა უხუცესისა, კეთილი, რომელი იდვა მისთანა სახლსა შინა, და შემოსა მიით იაკობ, ძე თვისი უმრწემესი.

და ტყავნი იგი თიკანთანი შიშველთა მკლავთა ხელთა, და ქედსა მისსა.

და მისცნა ჭამადი და პურნი, რომელნი შექმნნა, ხელთა იაკობ, ძიაა თვისისათა და შეართვნა იგინი მამასა თვისსა.

და ჰრქუა: მამაო! ხოლო მან ჰრქუა: აჰა მე. ვინ ხარ შენ, შვილო?

და ჰრქუა იაკობ მამასა თვისსა: მე ვარ ესავ, პირმშო ძე შენი, ვყავ ვითარცა მარქვი მე, აღსდეგ და დაჯედ, და ჭამე ნადირებულისა ჩემისა, რათა მაკურთხოს მე სულმან შენმან.

და ჰრქუა ისააკ ძესა ღვისსა: რაი არს ესე, რამეთუ მალე ჰპოვე იგი, შვილო! ხოლო მან სთქუა: რამეთუ მომცა უფალმან ღმერთმან შენმან წინაშე ჩემსა.

და ჰრქუა ისააკ იაკობს: მომეახლე მე და ხელი შეგახო შენ, შვილო, უკეთუ შენ ხარ ძე ჩემი ესავ, ანუ არა.

და მიიახლა იაკობ ისააკს, მამასა თვისსა, და ხელი შეახო მას და სთქუა: ხმა ესე ხმა იაკობისი, ხოლო ხელნი ესე ხელნი ესავისანი.

და ვერ იცნა იგი, რამეთუ იყვნეს ხელნი მისნი, ვითარცა ხელნი ესავისანი, ძმისა მისისანი, ფაჩუნიერი, და აკურთხა იგი.

და ჰრქუა მას ისააკ: შენ ხარა ძე ჩემი ესავ? ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ.

და ჰრქუა: მომართვი მე ნანადირებულისაგან შენისა, შვილო, რათა ვჭამო და გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან. და მიართვა მას და ჭამა, და მეართვა მას ღვინო, და სვა.

და ჰრქუა მას ისააკ, მამამან მისმან, მომეახლე მე, და ამბორს გიყო შენ, შვილო.

და მიეახლა და ამბორს უყო მას, და იყნოსა რა სუნნელება სამოსელთა მისთა, და აკურთხა იგი და ჰრქუა: აჰა ესე რა სუნნელება ძისა ჩემისა, ვითარცა სუნნელება ველისა სავსისა, რომელი აკურთხა უფალმან.

და მოგცეს შენ ღმერთმან ცვარისაგან ცისა, სიპოხისაგან ქვეყანისა და სავსე იფქლისა და ღვინისა.

და გმონებდეს შენ თესლები და თაყვანის — გცემდენ მთავარნი, და იყო შენ უფალ ძმისა შენისა, და თაყვანის — გცემდენ შენ ძენი მამისა შენისანი. მწყევარნი შენნი წყეულ იყვნენ და მაკურთხებელნი შენნი კურთხეულ იყოს". *(შექმნ., 1—29)*. ყოველივე ეს ღირს ზოგიერთ შენიშვნად, მაგრამ მივყვეთ საქმის ვითარებას:

„და იყო შემდგომად დაცხრომისა ისააკისა იაკობ, ძისა თვისისა და ვითარცა გამოვიდა იაკობ პირისაგან ისააკ, მამისა თვისისა, და ესავ-ცა, ძმა მისი, მოვიდა ნადირობით.

და უქმნა მანცა ჭამადი და მიართვნა მამასა თვისსა და ჰრქვა: აღსდეგინ მამა ჩემი და ჭამედ ნანადირებისაგან ძისა თვისისა, რათა კურთხოს მე სულმან შენმან.

და ჰრქვა ისააკ, მამამან მისმან: ვინ ხარ შენ? ხოლო მან ჰრქვა: მე ვარ პირმშო ძე შენი, ესავ.

და განცვიფრდა ისააკ განცვიფრებითა დიდითა ფრიად და ჰრქვა: ვინ იყო იგი, რომელმან მომინადირა მე ნადირი და შემომართვა, და ვჭამე ყოვლისა მისგან პირველ, ვიდრე შემოსვლად შენდა, და ვაკურთხე იგი და კურთხეულ იყავნ.

და იყო რაჟამს ესმნეს ესავს სიტყვანი მამისა თვისისა ისააკისნი, ხმა ყო ხმითა დიდითა მწარითა ფრიად და ჰრქვა მამასა: მაკურთხე მეცა, მამაო!

და ჰრქვა მას ისააკ: მოვიდა ძმა შენი და ზაკვითა მიიღო კურთხევა შენი.

და ჰრქვა ესავ: სიმართლად ეწოდა სახელი მისი იაკობ, რამეთუ მიბრკმა მე ესერა მეორედ: პირველად პირმშოება ჩემი მიმიღო, და აწ მიმიღო კურთხევა ჩემი. და ჰრქვა ესავ მამასა თვისსა: არა რაი დამიშთინე მეცა კურთხევა, მამაო?

მიუგო ისააკ და ჰრქვა ესავს: ვინადგან უფალი შენდა ვყავ იგი და ყოველნი ძმანი მისნი ვყვენ მონა მისსა: იფქლითა და ღვინითა განვამტკიცე იგი, აწ რაი გიყო შენ, შვილო?

ჰრქვა ესავ მამასა თვისსა: ნუ უკვე ერთი ხოლო არს კურთხევა შენი, მამაო? მაკურთხე მეცა. და ვითარცა შეწუხნა ისააკ, ხმაი ყო ხმითა დიდითა ესავ, და ტიროდა.

მიუგო ისააკ, მამამან მისმან, და ჰრქვა მას: აჰა ესერა სიპოხისაგან ქვეყანისა იყოს მკვიდრობაი შენი და ცვარისაგან ცისა ზეგარდაჳო.

მახვილითა შენითა სცხოვნდე, და ძმასა შენსა ჰმონებდე, და იყოს ოდესმე, რაჟამს ვანიხსნა და განაგდო უღელი მისი ქედისაგან შენისა" *(შექმნ., 27, 30—40)*.

მეტი არაფერი! ესავს კურთხევა აღარ ეირსებია.

რომის პაპსა და ქრისტიანთა ყველა პატრიარქს მივმართავ: ისააკის, რებეკას, ესავისა და იაკობის მთელი ეს თავგადასავალი ან წმინდა წყლის სიცრუეა და ბიბლიის შთამაგონებელი სულიწმინდა მორწმუნეთა მისტიფიკაციას ახდენს, ცუდ მაგალითებს აძლევს და ფიქრობს, რომ გულუბრყვილო ადამიანებს რელიგიურ საკითხებში შეიძლება მოუთხრო ყველაფერი, რასაც ინებებ, ან არა და მთელი ეს ამბავი სიმართლეა, და მაშინ

ღმერთი დიდი რეგვენი გამოდის, რადგან ვერ სარგებლობს თავისი უზენაესი უფლებით: აბა რა აიძულებს, რომ თავისი დალოცვა დაუკავშიროს იმ ადამ ისააკის კურთხევას, რომელიც იაკობმა ასე პირში წალაგამოვლებული დატოვა? ორსავე შემთხვევაში თავისუფლად მოაზროვნეს მოსარიდებელი არაფერი აქვს: შეუძლია, რამდენიც უნდა, იმდენჯერ მოატრიალოს საცილოდ აიგდოს ღვთისმეტყველნი, ეპისკოპოსები, პაპი, პატრიარქები წმინდანები, წინასწარმეტყველნი და თვით მამა-ღმერთი, რომელიც მთელს ამ საქმეში მხოლოდ ჭკუასუსტი ბერიკაცივით გამოიყურება.

მართლაც, როგორც „წმინდა წერილიდან“ ჩანს, ისააკის კურთხევა არ ყოფილა ჩვეულებრივი მამობრივი დალოცვა, ბედნიერების სურვილის გამოხატვა, რასაც მამა შვილისათვის არ იშურებს. პირიქით, ეს იყო ფორმალური, საზეიმო აქტი, რასაც ზუსტი და გარკვეული შედეგები მოსდევს, მსგავსად ყოველი რელიგიური და იურიდიული აქტისა, რასაც ნოტარიალური ძალა აქვს. თუმცა კურთხევა მხოლოდ ზეპირი, სიტყვიერი იყო, მას მაინც წერილობითი დოკუმენტის მნიშვნელობა ეძლეოდა იმის სასარგებლოდ, ვის საამებლადაც ითქვა, თანაც განურჩევლად პიროვნებისა, რადგან ღვთაებრივი კურთხევის ძალას ვერც გააუქმებ, ვერც უკან დააბრუნებ. „წმინდა წერილი“ ისააკს ღრმად დამწუხრებულს გვიხატავს, როცა პატრიარქმა შეიტყო, რომ მოტყუების მსხვერპლი შეიქნა. ძალიან შეუწუხებია იაკობის საზიზღარ საქციელს, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, უკან ვეღარ დააბრუნებდა. იაკობმა მოიპარა და წაიღო კურთხევა, რაც გათვალისწინებული იყო ესავისათვის, — მათ უარესი ესავისათვის.

აქ აშკარად სისხლის სამართლის დანაშაულთან გვაქვს საქმე. რომელიც გნებავთ სასამართლო დასდებდა ბრალად იაკობს ყალბი ღონისძიებით სამემკვიდრეოს მიღებას. მას გაასამართლებდნენ და მასთან ერთად დედამისს რებეკასაც, რომელიც არა მარტო თანამზრახველია, არამედ წამქეზებელიც დანაშაულისა, რაც წინასწარგანზრახვით ჩაიდინეს.

მეორე მხრით, რაც არ უნდა დასაგმობი იყოს და სისხლის სამართლის კანონის ძალით დაისაჯოს დამნაშავე, სიცრუე და სიყალბე მაინც ჩადენილია იმ ბიზნით, რომ ხელიდან გამოაცალონ ესავს ეგზომ მნიშვნელოვანი სიკეთე, როგორიცაა კურთხევა, დაკავშირებული მრავალ მიწიერ სიკეთესთან, ამდენად უნდა განვიხილოთ და გავარჩიოთ, რატომ ასე იოლად გაება ისააკი. მართლაც, რა მოხდა? ბიბლია ამბობს, რომ მოხუცმა იაკობის ხმა იცნო, ყოყმანობს, ეჭვი აუღია, და ამის მიუხედავად შვილის ანკესზე აეგო, თავი გააბრიყვებინა ბუტაფორიითა და გრიმით და უკანასკნელი რეგვენივით მოტყუვდა. ნანადირევის მოლოდინშია, ნადირის ხორცი უყვარს, ესაა მისი სანატრელი საჭმელი, ამიტომაც უყვარს უფრო მონადირე შვილი — ესავი. აგერ უცებ თხის ხორცს სთავაზობენ, და ღრმა სიბერემდე ნადირის ხორცის გემოს შეჩვეულმა ცხვრის ბარკალი

ხოხბის ფრთისაგან ვეღარ გაარჩია? ეშმაკმა იცის, რა დახელოვნებული მზარეული ყოფილა ეს რებეკაც! მაგრამ ისააკს უცრად მოეშალა გემოვნების გრძნობა, და განა მარტო გემოვნების? ერთბაშად დაუჩლუნგდა ყნოსვაც, შეხებაც. რებეკამ ბატკნის ტყავით დაუფარა ხელები იაკობს, ტყავი შემოახვია კისერზეც. ეს როგორ? რა ბანჯგვლიანიც არ უნდა ყოფილიყო ესავი, ცხოველივით ბალნიანი მაინც არ იქნებოდა. ისააკ [illegible] ჩენ ნაწილებს აღარ შეხებია: ესავის ტანისამოსის სუნსა გრძნობს და მორჩა, ველთა სურნელება შეიცნო, თუმცა მხოლოდ ახლად დაკლული ბატკნის ტყავის სუნი უნდა ეგრძნო.

დასუსტებულ ისააკზე მეტი რა უნდა ვთქვათ!

მაგრამ როგორ დაუკავშირა ღმერთმა თავისი ურღვევი, მტკიცე და სამართლიანი კურთხევა ისააკის შემთხვევითსა და შემცდარ დალოცვას, რაც მოტყუების საშუალებით მიიღეს და რასაც ვერ მიხვდებოდა მხოლოდ უკანასკნელი ლენჩი? აქ ღმერთი ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც ცარიელი ფორმალობის მონა, ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული უპრინციპო პრინციპის გამტარებელი, და ეს საბოლოოდ აყენებს დოყლაპია ბერიკაცის — ისააკის გვერდით.

ეს მოსაზრებანი გამოსადეგია მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ მთელი ეპიზოდის სიმართლეს დავუშვებთ. მაგრამ მთელი ამბავი თავიდან ბოლომდე წმინდა წყლის მონაგონია, და ამიტომ ეკლესია არც უნდა გვთავაზობდეს თავისი მტრედის ამ იგავს ისე, თითქოს თაყვანსაცემი იყოს. ეს ფრთოსანი ან ბავშვურად ტიტინებს, როგორც ბებერი თუთიყუშა, ან ესაა არა მტრედი, არამედ ჩვეულებრივი იხვი, რომლის ადგილია არა წიგნში, ისიც წმინდა წიგნში, არამედ ყოველდღიური ბულვარული გაზეთის გვერდებზე. ჩვენ პირადად ამ უკანასკნელი აზრის მომხრენი ვართ.

ესავი ძლიერ განაწყენებულია (არც თუ უსაფუძვლოდ!). ხედავს, რომ მისი კურთხევა არამზადა ძმის თავზე ციმციმებს და განიზრახავს იაკობის მოკვლას, თანაც ფიცით. თაღლითს დედა დროზე აფრთხილებს: გუდა-ნაბადი აიკარი და თავს უშველეო, ურჩევს რებეკა. იაკობი დიდი გულადობით არ გამოირჩეოდა, დედას მეორედ აღარ ათქმევინა, მაშინვე გზას გაუდგა. დედამ ურჩია, ბიძაჩემთან წადიო, ჩემს ძმასთან, ლაბანთან. მოხუცმა ისააკმა თავის მხრივ დაარიგა, შემთხვევით ისარგებლე და ერთერთი ბიძაშვილი შეირთეო (შექმნ., 27, 41—46; 28, 1—5).

იმ დროს, როცა იაკობი მესოპოტამიაში გაემგზავრა, ესავი „ისმაილის ქვეყანაში“ წავიდა და მისი ასული მაჰალათი (მაელეთი) შეირთო. პირველი ორი თუ სამი ცოლი რას ეყოფოდა!

ასე რომ, იაკობი შუამდინარის, ქარანის გზაზეა.

„და ჰპოვა ადგილი და დაიძინა მუნ, რამეთუ ჩავიდოდა მზე. და მოი-

ღო ლოდი ლოდთაგან მის ადგილისათა, და დაიდო სასთუმალად, და დაიძინა ადგილსა მას და ჩვენება იხილა.

და აჰა ესე რა კიბე აღმართულ ქვეყანით, რომლისა თავი მიწვთომილ იყო ცად, და ანგელოსნი ღვთისანი აღვიდოდეს დაეშვებოდეს მას ზედა.

ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო მის ზედა, და სთქვა: მე ვარ ღმერთი აბრაამისა, და ღმერთი ისაკ მამისა შენისა. ნუ გეშინინ, ქვეყანა ეგე, რომელსა შენ გძინავს, შენ მიგცე იგი, და ნათესავსა შენსა.

და იყოს ნათესავი შენი, ვითარცა ქვიშა ქვეყანისა, და განავრცნეს ზღვად მიმართ, და სამხრად, და ჩრდილად, და აღმოსავალად, და იკურთხეოდიან შენდამი ყოველნი ტომნი ქვეყანისანი, და ნათესავისა შენისა მიერ.

და აჰა, მე ვარ შენ თანა მცველად შენდა ყოველსა გზასა, რომელსაცა სვიდოდი, და მოგაქციო შენ ქვეყანისა ამის მომართ, რამეთუ არა დაგიტეო შენ, ვიდრემდე ვყო იგი, ყოველსა, რაოდენთა გეტყოდი შენ.

და აღსდგა იაკობ ძილისა მისგან და სთქვა: რამეთუ არს უფალი ადგილსა ამას, ხოლო მე არა უწყოდი.

და შეეშინა და სთქვა: ვითარ საშინელ არს ადგილი ესე, არა არს ესე სხვა, გარნა სახლი ღვთისა და ესე ბჭე ზეცისა.

და აღსდგა იაკობ განთიად და მოიღო ლოდი, რომელი ედვა მუნ სასთუნლად თვისა, და აღმართა იგი ძეგლად და დაასხა ზეთი თავსა ზედა მისსა.

და უწოდა იაკობ სახელი ადგილსა მას: სახლი ღვთისა*. ხოლო იულამლუზ იყო სახელი ქალაქისა მის პირველ.

და აღუთქვა იაკობ აღთქმა, მეტყველმან: უკეთუ იყოს უფალი ღმერთი ჩემთანა, და დამიცვას მე გზასა ამას, რომელს ავალ, და მომცეს მე პური საჭმელად და სამოსელი მოსაბლარდნელად.

და მომაქციოს მე ცოცხლებით სახიდ მამისა ჩემისა, და იყოს უფალი ჩემდა ღმერთად.

და ლოდი ესე, რომელი აღვიმართე ძეგლად, იყოს ჩემდა სახლი ღვთისა, და ყოველნივე, რომელნიცა მომცნე მე, ათეულად განგიათეულნე იგინი შენ, ღმერთო“ *(შექმ., 28, 11—22)*.

ნუ ვიდავებთ ქალაქ ლუზის (იულამლუზის), იგივე ბეთელის არსებობაზე. მხოლოდ გაკვრით აღვნიშნოთ, რომ არასოდეს არც ერთ გეოგრაფს ასეთი ქალაქი არ უხსენებია და არც არავის სმენია მისი სახელი. გასაოცარი სხვა რამეა: ამ შესანიშნავი მარტოსულის, იაკობის პრაქტიკული ჭკუა და საზრიანობა: კაცმა ის იყო პირში ჩალა გამოავლო თავის

---

* დედანშია: ბეთ-ელ (სახლი ღვთისა).

უფროს ძმას ესავს, მოატყუა ღრმად მოხუცებული მამა ისააკი, ირიბად კი თვითონ მამა-ღმერთიც, და ახლა იმისათვის ზრუნავს, რომ როგორმე ღმერთმა გვერდი არ აუაროს, შემდგომი ურთიერთობის სრულიად გარკვეული პირობები უყენებს — თავის სასარგებლოდვე, ცხადია. წინაპართა ღმერთმა ახლახან უჩვენა თავბრუდამხვევი სანახაობა: ანგელოზები, რომლებიც გასაოცარი ჯამბაზობით ართობდნენ ცად აღმართული კიბის თავზე, თანაც ნამდვილი ოქროპირივით დაუბერა, შენ კრხეინად იყავი, გაგაბედნიერებ, გაგამრავლებ, ოქროს მთებს აგიმართავო შენს გზაზე. იაკობის პირველი გრძნობა — ესაა შიში, შეერთებული პატივისცემასთან. მაგრამ მაშინვე კი მშვიდდება: სიზმარია, მეტი არაფერიო. მაშინ კი მიმართავს თავისი წინაპრების ღმერთს: თუ საჰმელსა და სამოსელს მომცემ, ჩემი ღმერთი იქნები და თაყვანსა გცემო. ეს აზრი ასედაც შეიძლება გამოითქვას: „ჩემო ძმაო, თუ არაფერს მომცემ, არაფერს მიიღებო, მოცემამ კი მიცემა იცისო“. აი, მეათედს ჰპირდება: თუ ხარს მომცემ, რქებს შენ მიიღებო. ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

კრიტიკოსები იაკობის ამ საქციელს ადარებენ ზოგიერთი ძველი ხალხის ჩვეულებას: როცა ღმერთი დროზე არ უგზავნიდა წვიმას ან არ ესმარებოდა ნადირობაში, მის გამოსახულებებს მდინარეში გადაუძახებდნენ ხოლმე. მე პირადად ვიცნობდი ერთ მოხუცებულ დედაკაცს, რომელიც წმინდა იოსებს სასჯელს ადებდა, როდესაც მისი ლატარია, ეს ძარცვა-ღლეტის მიზნით გამოშვებული ჭრელი ქაღალდი ფულს ვერ მოიგებდა. ეს კეთილი ქრისტიანი მანდილოსანი ძალიან ერთგული მორწმუნე იყო, მაგრამ ეშმაკი, და ალბათ იაკობის პირდაპირი შთამომავალი: ლატარიაზე გულმოსული თავის წყრომას წმინდა იაკობს დაატეხდა ხოლმე: პირით კედლისაკენ შეაბრუნებდა, მანდ ეგდე და კედელს უცქირეო!

ასეთი თავგადასავლის შემდეგ იაკობმა გზა განაგრძო. ერთხელ რომელიღაც ჭასთან, სადაც საქონელს წყალს ასმევდნენ ხოლმე, ერთი კეკლუცი ქალიშვილი გაიცნო, მწყემსი ქალი. სწორედ ეს აღმოჩნდა მისი ბიძაშვილი რაქილი. როცა ბიბლიის ავტორებს ფანტაზია გამოელევათ, ძველ ამბებს იმეორებენ ხოლმე. ელიაზარიც ხომ განგების ჩარევით გაეცნო ჭასთან რებეკას, რომელსაც არ იცნობდა, თუმცა დაეძებდა.

რაქილმა, ლაბანის უმცროსმა ასულმა, თავაზიანმა ქალიშვილმა, საყვარელ მამიდაშვილს წყურვილი მოუკლა და მერე თავის მამასთან წაიყვანა. აქ იაკობმა მთელი მისი ჯალაბობა გაიცნო. ბიბლია ამბობს: „ხოლო ასულნი ლაბანისნი იყვნეს ასულნი ორნი. სახელი უფროსისა ლია, სახელი უმრწემესისა — რაქილ. ხოლო თვალნი ლიასნი უძლურ, ხოლო რაქილ კეთილ იყო სახითა, და შვენიერ შესახედავად ფრიად“. იაკობმა თავისი განცდები ბიძას გაანდო და ლაბანმაც რამდენიმე სანუგეშო სიტყვა უთხრა („უმჯობეს არს ჩემთვის მიცემა მისი შენდა, ვიდრე მიცემა

მისი ქრმისა სხვისა. დაემკვიდრე ჩემ თანა"). მაგრამ ლაბანი იაკობზე არანაკლებ ჩახედული პრაქტიკოსი იყო. სასიძოს პირდაპირ უთხრა:

— ჩემო კეთილო! შენ გინდა რაქილი შეირთო? საწინააღმდეგო არაფერი მაქვს! რაღა სხვას, ისევ ნათესავს მივცემ. მაგრამ ეს უნდა დაიმსახურო.

— რანაირად, ბიძაჩემო?

— მემსახურე შვიდ წელიწადს, ერთი ვნახო, მშრომელი კაცი ხარ თუ უქნარა, წესიერი თუ უწესო.

ასე შეთანხმდნენ. შვიდი წელიწადი ცდიდა ბიძა დისწულს, ყველა მძიმე შინაურ სამუშაოს ავალებდა. ვადაც მიიწურა. დადგა ქორწილის დღე. ებრაელთა წესისამებრ, საპატარძლოს სქელი საბანი შემოახვიეს. იაკობი ნერწყვსა ყლაპავდა, გული თევზივით უფართხალებდა. ლაბანი საზეიმო იერით ასრულებდა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების თანამშრომლის მოვალეობას. იაკობის გული გაახარა, ქორწინება შეკრულად გამოაცხადა და კანონიერად ჩათვალა, ხოლო რამდენად კანონიერი იყო მისი საქციელი, ამას არავინ ეკითხებოდა. აქვე ურიგო არ იქნებოდა დედნის ტექსტი დაგვემოწმებინა, წმინდა მტრედის ნაკარნახევი:

„ხოლო ჰრქვა იაკობ ლაბანს: მომეც ცოლი ჩემი, რამეთუ სრულქმნილ არიან დღენი ჩემნი, რათა შევიდე მისსა.

და შემოკრიბნა ლაბან ყოველნი კაცნი მის ადგილისანი, და ჰქმნა ქორწილი.

და იქმნა მწუხრი, და მოიყვანა ლაბან ლია, ასული თვისი, და შეიყვანა იგი იაკობისსა, და შევიდა მისსა იაკობ.

ხოლო მისცა ლაბან ლიას, ასულსა თვისსა, ზელფან, მხევალი თვისი, მხევლად.

ხოლო იქმნა ცისკარი და აჰა, იყო ლია! და ჰრქვა იაკობ ლაბანს: რაი ესე მიყავ მე? არა რაქილისათვის გმსახურეა შენ: რასათვის მეცრუვე მე?

და ჰრქვა ლაბან: არა არს ესრეთ ადგილსა ჩვენსა მიცემა უმრწემესისა პირველ, ვიდრე უხუცესისა.

სრულ ჰყვენ უკვე შვიდეულნი ამისნიცა წელნი, და მიგცნე შენ მოქმედებისათვის, რომელ ჰქმნა ჩემდად შვიდთა წელიწადთა სხვათა.

და ჰქმნა იაკობ ეგრეთ. და განასრულნა შვიდეულნი მისნი, და მისცა ლაბან რაქილ, ასული თვისი, მას ცოლად.

ხოლო მისცა ლაბან ასულსა თვისსა ბალლაი, მხევალი თვისი მხევლად მას.

და შევიდა იაკობ რაქილის მიმართ და შეიყვარა რაქილ უფროს, ვიდრე ლია, და მსახურა მას შვიდთა წელთა სხვათა". *(შექმნ., 29, 21—30).*

ამრიგად, მამისა და ძმის მოტყუებისათვის იაკობი საკმარისად დაი-

საჯა: თვითონ ის მოატყუა ლაბანმა, თვალად ნავსი ქალი შეაჩეჩეს იმის მაგიერ, ვინც უნდოდა. მართალია, მთლად გარკვეული არ არის, როგორ მოხდა, რომ შვიდი წლის განმავლობაში ამ სახლში სამსახურის დროს დები წესიერად ვერ გაიცნო და დილამდე ვერ გაარჩია ლია რაქილისაგან. მაგრამ დაეჭვება როგორ შეიძლება, ეს ხომ ყველაფერი „წმინდა წერილში“ წერია!

„ხოლო იხილა რა უფალმან ღმერთმან, ვითარმედ შორძულვების ლია, განუღო საშო მისი, ხოლო რაქილ იყო ბერწ“ (შექმნ., 29, 31).

ეს ცუდი როდია! ყველა გონჯს რომ საშო ასე გაეხსნებოდეს და ლამაზს ჩაეხურებოდეს, შინაბერების რიცხვი ნაკლები იქნებოდა.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავია ის, რასაც ბიბლია მომდევნო ოთხ მუხლში მოგვითხრობს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ იაკობი ლიასთან ქმრის მოვალეობას მხოლოდ ქორწინების პირველ დღეებში ასრულებდა. ამის მიუხედავად ლიამ ზედიზედ აჩუქა ოთხი შვილი: რუბენი, სიმონი, ლევი და იუდა. ზედიზედ რომ ეს სანაქებო ვაჟები შვა, ლიამ გული იჯერა „და დადგა შობისაგან“.

აქ ისევ დედანს ვშლით:

„ხოლო იხილა რაქილ, რამეთუ არა უშვა იაკობს და ეშურვა რაქილ ლიას, დასა თვისსა (ე. ი. შეშურდა), და ჰრქვა იაკობს: მომცენ შვილნი, თუ არა, — აღვესრულო მე.

ხოლო განურისხნა იაკობ რაქილს და ჰრქვა მას: ნუთუ ნაცვალ ღვთისა ვარ მე, რომელმან დაგაკლო შენ ნაყოფსა მუცლისასა?

და ჰრქვა რაქილ იაკობს: აჰა მხევალი ჩემი ბალლა, შევედ მისსა მიმართ და შობდეს მუხლთა ჩემთან ზედა და შვილ ვისხნე მე მის მიერ.

და მისცა მას ბალლა, მხევალი თვისი ცოლად მისა, და შევიდა მისსა იაკობ.

და მიუდგა ბალლა, მხევალი რაქილისი, და უშვა იაკობს ძე.

და სთქვა რაქილ: მისაჯა მე ღმერთმან, და შეისმინა ხმისა ჩემისა, დამომცა მე ძე. ამისათვის უწოდა სახელი მისი: დან.

და მიუდგა მერმე ბალლა, მხევალი რაქილისა, და უშვა ძე მეორე იაკობს.

და სთქვა რაქილ: თანა შემეწია მე ღმერთი, თანასწორ ვექმენ დასა ჩემსა და რა ძალვედევ, და უწოდა სახელი მისი: ნეფთალიმ.

ხოლო იხილა რა ლია, რამეთუ დადგა შობისაგან, მოიყვანა ზელფა, მხევალი თვისი, და მისცა იგი იაკობს ცოლად, და შევიდა მისსა მიმართ იაკობ.

და მიუდგა ზელფა, მხევალი ლიასი, და უშვა იაკობს ძე.

და სთქვა ლია: ბედნიერ ვიქმენ, და უწოდა სახელი მისი: გაად.

და მიუდგა ზელფა, მხევალი ლიასი, და უშვა მერმე იაკობს ძე მეორე.

და სთქვა ლია: ნეტარ ვარ მე, რამეთუ მნატრიდენ მე დედანი და უწოდა სახელი მისი: „ასირ“ *(შექმნ., 30, 1—13)*.

განა რა კომენტარები ესაჭიროება ამ ჩინებულსა და ჭკუის სასწავლებელ ტექსტს? ყველაფერი ისედაც ნათელია! შეჯიბრია, შობენ, აშობინებენ და არქმევენ სახელებს, სიხარულით აღარ არიან

გაგრძელება კიდევ უფრო საგულისხმოა. მის გასაგებად უნდა იცოდეთ, რომ ძველი ხალხების რწმენით, რასაც აქაიქ დღესაც მაგრად გაუდგამს ფესვები, მანდრაგორას ფესვი სქესობრივი უძლურობის წამალია. ეს დატოტვილი ფესვი მრავალი ურიგო და უსირცხვილო შედარების საფუძველს იძლევა. ეს საშუალებას აძლევდა ძველი დროის შარლატანებს, რომ ამ ჯადოსნური ფესვისათვის სახელი განეთქვათ. მისგან ამზადებდნენ თილისმას, მის წვენს აყენებდნენ და სიყვარულის წამლად ასაღებდნენ. სულიწმინდას არც ეს თავშესაქცევი ამბავი დაუტოვებია უყურადღებოდ. ადგა და წმინდა წერილის ავტორებს უკარნახა თავისი აზრი, რაც მანდრაგორის სასწაულებრივი ძალის საეჭვო რწმენას განამტკიცებდა*.

„ხოლო წარვიდა რუბენ დღესა ზაფხულსა მკისასა და პოვა ვაშლი მანდრაგორისა ველსა ზედა და მიართვა იგი ლიას, დედასა თვისსა. ხოლო ჰრქვა რაქილ ლიას, დასა თვისსა: მომცენ მე მანდრაგორნი ძისა შენისანი.

და ჰრქვა ლია: არა კმა არსა შენდა, რამეთუ მიმიღე ქმარი ჩემი? ნუ უკვე მანდრაგორიცა ძისა ჩემისა მიიხვნა? და ჰრქვა რაქილ: არა ესრეთ, დაწევინ შენ თანა ღამესა ამას მანდრაგორთა წილ, ძისა შენისათა (ე. ი. მე მანდრაგორას მოგცემ, შენ კი დღეს ქმარი დამითმეო).

შემოვიდა იაკობ ველით მიმწუხრი, და განვიდა ლია მიგებებად მისსა და ჰრქვა: ჩემდა მომართ შემოხვიდე დღესა, რამეთუ მოგიყიდე შენ მანდრაგორთა წილ ძისა ჩემისათა (ჩემი შვილის მანდრაგორით გიყიდეო). და დაწვა მისთანა ღამესა მას.

და შეისმინა უფალმან ლიასი, და მიდგომილმან უშვა იაკობს ძე მეხუთე.

და სთქვა ლია: მომცა ღმერთმან სასყიდელი ჩემი, რამეთუ მივეც მხევალი ჩემი ქმარსა ჩემსა, და უწოდა სახელი მისი: ისაქარ, რომელ არს სასყიდელი.

და მიუდგა მერმე ლია და უშვა ძე მეექვსე იაკობს“ *(შექმ., 30, 14—19)*.

---

* სხვაგვარად ამ მცენარეს „ადამის ვაშლს“ ეძახიან, დავით ჩუბინაშვილის ცნობით — ონანას (ლათ. მანდრაგორა ოფიცინალის).

საბას განმარტებით: „მანდრაგორი ბალახია, ვაშლივით მოიბამს, თუ კაცმა ჭამა, ძილს მოგვრის“.

რა სასიამოვნოა, ხომ მართალია?

მეექვსე შვილს ლიამ ზებულონი უწოდა. ამას გარდა ერთი ასულიც ჰყავდა, სახელად დინა, თუმცა ბიბლია აღარ გვეუბნება, რა ვითარებაში და რისი წყალობით „მიუდგა“ ამდენჯერ, ვისი ზეგავლენით წვებოდა ასე ხშირად იაკობი თავის ამ პირველ ცოლთან, რომელიც რაქილს ადგა. რაც შეეხება რაქილს, უნდა ვიფიქროთ, რომ მან ვერაფერი იმშველა, ან ღმერთმა ინება „გაეხსნა საშო“ მისთვისაც, და დაიწყო შობა. პირველად იაკობს სახელოვანი პატრიარქი აჩუქა, სახელად იოსები.

ნუ ვიფიქრებთ, რომ იაკობმა ბატონ ლაბანს შაქრად შეარგო თოთხმეტი წლის დამამცირებელი სამსახური, ჭურჭლის რეცხვა, თივის ზიდვა და იატაკების რეცხვა. ბიბლია მოგვითხრობს, როგორ დიდხანს მოთმინებით ინახავდა უბეში შურისძიების ქვას და ბოლოს მაინც სამაგიერო გადაუხადა ბიძა-სიმამრს.

უპირველეს ყოვლისა თავისი ნაცადი ფლიდურ-ვერაგული ოინი გამოიყენა: ლაბანს გამოსთხოვა ყველა თიკანი და ბატკანი, რომლებიც კი დაწინწკლული და აჭრელებული გამოვიდოდნენ („სხურებულნი და მოთეთრონი თხათა შორის, ფერო ცხვართა შორის“). ლაბანი უყოყმანოდ დათანხმდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ასეთი სასწაული იშვიათად ხდება. თავისი ცბიერი სიძე-დისწულის ბიბლიური ეშმაკობის ამბავი კი მხედველობიდან გამორჩა. იაკობმა კი, როგორც „წმინდა წერილი“ გვამცნობს, „მოიღო თავისა თვისისათვის კვერთხი ბრაწისა ნედლი და ნიგოზისა და ძელქვისა და განქურთნა იგინი იაკობ ნაქურთნევად თეთრად, და გარე შემძრცველმან სიმწვანისამან. ხოლო სჩნდა სითეთრესა ზედა კვერთხისასა, რომელ განქურთნა, სიჭრელე. და წინა დასხნა კვერთხნი, რომელნი იგი გაქურთნნა საწნახელსა სასუმელსა წყლისათჳს, რათა მოვიდოდიან ცხოვარნი სვმად წინაშე კვერთხთა მოსვლასა მათსა სვმად, დაისახოდიან ცხოვარნნი კვერთთა ებრ (შექმ., 30, 37—40). მოკლედ, განგაცლილი და აჭრელებული წკნელები დადო პირუტყვის წყალსასმელ საწნახელთან. შედეგი ის იყო, რომ ლაბანის ჯოგში ჭრელი და დაწინწკლული თიკანი და ბატკანი საოცრად მომრავლდა. ლაბანი გაოცებისაგან გონს ვერ მოსულიყო, მაგრამ მიცემული სიტყვის თანახმად იძულებული იყო მთელი ნამატი იაკობისათვის მიეცა.

ჩვენ თავს მოვალედ ვთვლით ზოლებიანი ცხვრების მოყვარულებს ვურჩიოთ უსათუოდ გამოიყენონ სელექციის ეს უბრალო და უებარი ხერხი. სასწაულებრივი რეცეპტი, აგრეთვე მისი გამოყენების მეთოდი საიმედოდ არის ნაჩვენები წმინდა მტრედის მარკით.

იაკობი არ დაკმაყოფილდა ამ ხრიკით, რამაც ბიძამისს ჯოგის ცხრა მეათედი დააკარგვინა. ეშმაკი სიძე ერთ მშვენიერ დღეს დედაბუდიანად აიყარა და ფარულად გზას დაუდგა, ისე რომ ერთბაშად მისი ასავალ-

დასავალიც ვერავინ გაიგო. მოგეხსენებათ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ჯერაც ახალგაზრდა ჯალაბობა ჰყავდა. ცოლებმა ეს განზრახვა იმთავითვე მოუწონეს, ხოლო რაქილმა, სახლიდან რომ მიდიოდა, მამას ყველა მისი კერპიც მოჰპარა.

ლაბანი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. სიძესა და ასულს დაედევნა და კიდევაც დაეწია. მთელი მისი ენამოქარგულობის მიუხედავად ვერ მოახერხა იაკობის დაყოლიება, დაბრუნდიო უკან. დისწულმა ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. მაშ ჩემი კერპები მაინც დამიბრუნეო, შეესვენწა.

აწ, უკვე წარვედ, წადიერ ქმნილი წარსვლად სახიდ მამისა შენისა, გარნა რად მოიპარენ ღმერთნი ჩემნი?" (*შექმნ., 31, 30*). იაკობს ვერ გაუგია, რაზე ლაპარაკობს ბიძამისი. შენი ღმერთებისა მე არაფერი ვიცით. თუ გნებავს, გასინჯე მთელი ჩემი ქონება და თუ ნახო, წაიღეო. თან პირობა მისცა: „ვის თანაცა პოვნე ღმერთნი შენნი, არა ცხოვნდესო". აბა რა იცოდა, რომ მისმა ცოლმა რაქილმა მამის ღმერთები მოიპარა? ვიდრე ლაბანი ლიას ბარგს ჩხრეკდა, რაქილმა მამის კერპები აქლემის ბალიშის ქვეშ ამოსდო, ზედ თვითონ დაჯდა და მამას ბოდიში მოუხადა, აქლემის საპალნეზე ტყუილად კი არა ვზივარო: „და ჰრქვა მამასა თვისსა: ნუ მძიმე გიჩნს, უფალო, ვერ ძალმიძს აღდგომად შენდა წინაშე, რამეთუ ჩვეულება დედათა არს ჩემდა". რაღას ეტყოდა, რაკი ასულს დედათა წესი აღმოაჩნდა? ამაოდ ეძია, გადაქექა მთელი ბანაკი და თავისი კერპები ვერ იპოვა. ბოლოს, ბევრი ძებნის შემდეგ, სიძე-სიმამრი ერთიმეორეს დაემშვიდობნენ, მხოლოდ ესაა, ქვათა ზვინის აღმართვა ვერ მოასწრეს ან დაავიწყდათ, რათა აღენიშნათ ისტორიული თარიღი და საცნაურ ეყოთ ის ადგილი, სადაც მათი სამშვიდობო კავშირი შეიკრა. იაკობის გაქცევას, ლაბანის დევნას და მათს სამშვიდობო დაშორებას მთელი ოცდამეთერთმეტე თავი ეთმობა.

ორი მომდევნო თავი შეიცავს იაკობის მოგზაურობის აღწერას, ქანაანის მიწაზე მის დაბრუნებას. გზაში ესავს ხვდება და ხდება ძმების გულისამაჩუყებელი შერიგება. ბიბლია უზენაესის ახალ ოინს გვაცნობს. ამ ადგილის გამოტოვებას არც ჩვენ ვაპირებთ. ღმერთმა რატომღაც იაკობის წაქცევა განიზრახა, მაგრამ თვითონვე მიიღო ლაზათიანი ქიმუნჯები. როდის მოვიდა ასეთ ღონეზე იაკობი, რომელიც ძმას გაექცა და ბიძას თოთხმეტი წელი მოჯამაგირესავით ემსახურებოდა, ამისი ჩვენ არაფერი ვიცით. ცხადია მხოლოდ ისა, რომ ყოვლის შემძლე ღმერთი თვითონ აღმოჩნდა ძლეული.

რაქილის ქმარი, რომელიც იმავე დროს ლიას, ზელფას და ბალას ქმარიცაა, გზას განაგრძობს...

„და აღსდგა ღამესა მას, და მოიყვანნა ორნი ცოლნი თვისნი და ორნი მხევალნი და ათერთმეტნი ძენი თვისნი და განვლო განსავალი სეფესა*.

და მიიყვანნა იგინი და განვლო ნაღვარევი და განიყვანა ყოველნი თვისნი.

და დაშთა მუნ იაკობ მარტო, და ირკინებოდა მის[illegible]და) კაცი, ვიდრე განთიადმდე.

ხოლო იხილა, რამეთუ ვერ ძალუძს მისა მიმართ, და შეახო სივრცესა ბარკალის მისისასა და დაუბუშა სივრცე ბარკალისა იაკობისასა, რკინობასა მისსა მისთანა.

და ჰრქვა მას. განმიტევე მე, რამეთუ აღმოხდა ცისკარი; ხოლო მან ჰრქვა: არა განგიტევო, უკეთუ არა მაკურთხო მე.

და მან ჰრქვა: რაი არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქვა: იაკობ.

და ჰრქვა მას: ამიერითგან არღა გეწოდოს შენ იაკობ, არამედ ისრაილ იყოს სახელი შენი, რამეთუ განძლიერდი ღვთისა თანა, და კაცთათანაცა ძლიერ იყო.

ხოლო ჰკითხა მას იაკობ და ჰრქვა: მითხარ მე სახელი შენი! და სთქვა: რასათვის იკითხავ სახელსა ჩემსა? იგი არს საკვირველ**. და აკურთხა იგი მუნ.

და უწოდა იაკობ სახელი ადგილისა მის: „ხილვა ღვთისაი, რამეთუ ვიხილე პირი ღვთისაი პირისა პირ და ცხოვნდა სული ჩემი.

ხოლო აღმოუხდა მას მზე, რაჟამს წარვიდა ხილვა ღვთისა, და იგი მკლობდა ბარკალითა და თვისითა (ე. ი. კოჭლობდა).

ამისათვის არა სჭამენ ძენი ისრაილისნი ძარღვსა, ვიდრე დღეისამდე, ვინადგან შეეხო იაკობს სივრცესა ძარღვისასა, რომელი არს სივრცესა ზედა ბარკლისასა, რომელ დაუბუშა“ *(შექმნ., 32, 24—31)*.

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ სახელი ისრაელი, რაც ღმერთმა იაკობს უწოდა, ქალდეველთა მითოლოგიის ერთ-ერთი ანგელოზის სახელი იყო. ებრაელთა ლეგენდა გვაუწყებს, რომ ეს ნიშნავს „ღმერთზე გაძლიერებულს“. განათლებული ებრაელი მწერალი ფილონი (I ს. ახ. წ.) ამტკიცებს, ეს სახელი ქალდეურია და არა ებრაულიო და „ღმერთის მხილველს“ აღნიშნავსო. როგორც გნებავთ და მთელი ამ მოთხრობის წაკითხვა ღიმილის გარეშე შეუძლებელია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ნებისმიერ მითოლოგიაში, რაოდენ ველურიც არ უნდა იყოს, ადამიანი ისეთი ძლიერი გამოვიდეს, ხელი გამოიღოს და რომელიც გნებავთ ღმერთს შეერკინოს.

---

* ამ ხევის სახელია იაკობი (დედნით და ლუთერის ბიბლიით ესაა 23-ე მუხლი, ქართულ ბიბლიაში (შესაბამის 22-ე მუხლში) ამ ნაღვარევის სახელი არაა აღნიშნული.

** ლუთერის ბიბლიაში არაა ეს ფრაზა: „იგი არს საკვირველ“.

აქ კი იაკობმა არა მარტო გაუძლო, არამედ აჯობა კიდეც თავის ღმერთს; თუმცა იმანაც თავისი ღვთაებრივი შეხებით თეძო ატკინა და დაკოჭლა[43].

გადავიდეთ მომდევნო ღვთისსათნო-სამოძღვრებო თავგადასავალზე.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ლიამ იაკობს ექვსი შვილი, ჩვენ მეშვიდედ კი შვა ასული დინა. ვიცით აგრეთვე დროის ზუსტი ადგილი, რასაც იაკობი ლაბანის სახლში აწარმოებდა. გაქცევის დროს წალაპარაკება ჰქონდათ, და სიმამრს ასე უთხრა: „ესე ოცი წელი ვიყავ მე სახლსა შენსა, გმსახურე შენ ათოთხმეტ წელ, ნაცვლად ორთა ასულთა შენთა, და ექვს წელ შორს — ცხოვართა შენთა, და დაკლენ სასყიდელსა ჩემსა ათნი ტარიგნი“ (*შეკმ., 31, 41*). პირველი შვილი — რუბენი შეიძლებოდა შობილიყო მხოლოდ მერვე წელს. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ლიას შვილი აღარა ჰყოლია სულ ცოტა, ორი წლის განმავლობაში (ამ ხნის განმავლობაში ქმარს თავის მოახლე გოგოს ზელფას ათხოვებდა ხოლმე), ბუნებრივია, უნდა ვიფიქროთ, რომ დინა უნდა შობილიყო ლაბანთან იაკობის ყოფნის მეთექვსმეტე წელს. ამრიგად, როცა იაკობმა თავისი ბიძის, სიმამრისა, ბატონისა და მასპინძლის სახლიდან გაქცევა გადაწყვიტა, დინა ოთხი წლისა იქნებოდა, ხომ ასეა? ეს შენიშვნა აუცილებელია იმისათვის, რომ ბიბლია ახლავე გვიჩვენებს, რა ვნების ჭარიშხალი დაატყდა დინამ ერთ-ერთი მეფისწულის გულში, როცა ქანაანის მიწაზე ჩავიდა, ე. ი. პირდაპირ მას შემდეგ, რაც იაკობი ღმერთს შეეჭიდა და ესავს შეურიგდა.

და მოვიდა იაკობ სალიმად, ქალაქად სიკიმისად, რომელ არს ქვეყანასა ქანაანისასა, რაჟამს მოვიდა შუა-მდინარით ასურეთისად. და დაიბანაკა წინაშე პირსა ქალაქისასა. და მოიგო ნაწილი აგარაკისა, სადა დადგა მუნ კარავი, ემმორისაგან, მამისა სვიქემისსა, ასითა ტარიგითა. და აღმართა მუნ საკურთხეველი და სადა ღმერთსა ისრაელისასა“ (*შეკმ., 33, 17—19*).

აი, ამ სვიქემს შეუყვარდა ოთხი წლის დინა.

„ხოლო განვიდა დინა, ასული ლიასი, რომელი უშვა იაკობს, შემცნობად ასულთა მის სოფლებისათა (დინა წავიდა იმ მიდამოების ქალიშვილთა სანახავადო).

და იხილა იგი სვიქემ, ძემან ემმორისმან, ჰორეველმან, მთავარმან მის ქვეყანისამან, და მიიყვანა იგი და დაწვა იმისთანა და დაამდაბლა იგი.

და შეეთვისა სულსა დინასსა, ასულსა იაკობისსა, და შეიყვარა ქალწული იგი და ზრახა გონებისაებრ ქალწულისა მის.

და სთქვა სვიქემ ემმორის მიმართ, მამისა მისისა, მეტყველმან: მომგვარე მე ქალი ესე ცოლად.

ხოლო გამოვიდა ემმორ, მამა სვიქემისი, იაკობის მიმართ ცოლობად მისსა“ (შექმ., 34, 1—4).

ამრიგად, ემორი მაშინვე მიდის იაკობთან და გოგოსას ხელსა სთხოვს. წესით სვიქემს ბოდიში მაინც უნდა მოესადა, რომ საქმე ასე დაიწყო. ბოდიშისათვის მაინცა და მაინც არ შეუწუხებია თავი. პირდაპირ ზიანად კი სთხოვეს, მოგვეცი ასული, დაგვემოყვრენით, წაიყვანეთ ჩვენი ქალები, მოგვათხოვეთ თქვენი ქალიშვილები და იცხოვრეთ ამ ჩვენს ვრცელ ქვეყანაშიო. სვიქემი და მამამისი მზად იყვნენ შეესრულებინათ ყველა პირობა, რასაც სტუმრები წაუყენებდნენ. ბიბლია იმასაც კი ამტკიცებს, იაკობი ძალიან მშვიდობიანად იყო განწყობილი თავის შემარცხვენელთა მიმართ, ქალის ძმებს კი შერიგებაზე ლაპარაკიც არ სურდათ. მართლაც, ქალიშვილის უცხო კაცთან დაწოლამ ყველანი ძლიერ დააღონა, ასეთი რამ ისრაელთა შორის განსაკუთრებულ შეურაცხყოფად ითვლებოდა. ქორწილი არ მიაჩნდათ საკმარისად, რომ ასეთი შეცოდება გამოესყიდათ.

„და ძენი იაკობისანი მოვიდეს ველით. და ვითარცა ესმა, შეჭმუნდეს კაცნი იგი, და მწუხარებაი იყო მათდა ფრიად, რამეთუ უსახური იქმნა ისრაილისა შორის, დაწოლითა ასულისათანა იაკობისსა, და არა ჯერ უჩნდათ ესე.

და ეზრახა მათ ემმო, მეტყველი: სვიქემ, ძემან ჩემმან, შეიყვარა ასული თქვენი სულით თვისითა. მიეცით უკვე მას ცოლად.

და გვემძახლენით ჩვენ: ასულნი თქვენნი მომცენით ჩვენ და ასულნი ჩვენნი მიიყვანენ ძეთა თქვენთა.

და ჩვენ შორის დაემკვიდრენით, და აჰა, ქვეყანა ვრცელი წინაშე თქვენსა, დაემკვიდრენით და ვაჭრობდით მას შინა და მოიგებდით მას შინა.

და სთქვა სვიქემ მამისა მიმართ თვისისა და ძმათა მიმართ მისთა: ვპოვო მე მადლი წინაშე თქვენსა, და რაიცა სთქვათ, მოგცე თქვენ.

განამრავლეთ სათხოველი ფრიად და მოგცე, რაიცა იგი მრქვათ მე. და მომეცით მე ქალი იგი ცოლად.

ხოლო მიუგეს ძეთა იაკობისთა სვიქემს და ემორს, მამასა მისსა ზაკვით, და ჰრქვეს მათ, რამეთუ შეაგინეს დინა, დაი მათი.

და ჰრქვეს მათ სვიმეონ და ლევი, ძმათა დინასთა, ძეთა ლიასთა: ვერ ძალგვიძს სიტყვისა მაგის ქმნად, მიცემად დაი ჩვენი კაცსა, რომელსა აქვს წინა დაუცველობაი, რამეთუ ყვედრებაი არს ჩვენდა.

მხოლოდ ამით ოდენ ვიმსგავსნეთ ჩვენ ჩვენდა და დავემკვიდრნეთ თქვენ შორის, უკეთუ დაიცვითოს ყოველმან წულმან თქვენმან, რათამცა იქმნეთ, ვითარცა ჩვენ, თქვენცა წინადაცვეთილნი.

და მაშინ მოგცნეთ ასულნი ჩვენნი თქვენ, და ასულთაგან თქვენთა მივიყვანნეთ თქვენ შორის, და ვიქმნეთ, ვითარცა ნათესავი ერთად

ხოლო უკეთუ არა ისმინოთ ჩვენი, და არა წინა დაიცვითოთ მოვხვნეთ ასული ჩვენი და წარვიდეთ.

და სათნო უჩნდეს სიტყვანი ესე წინაშე ემმორისა და წინაშე სვიქემისსა, ძისა ემმორისსა.

და, არღარა ყოვნა ჰაბუკმა მან ქმნად სიტყვისა, ვინაჲთგან ტრფიალ იყო ასულისა იაკობისსა: რამეთუ იგი იყო უდიდებულეს ყოველთა სახლსა შინა მამისა მისისასა.

და მოვიდეს ემმორ და სვიქემ, ძე მისი, ბჭეთა თანა ქალაქისა მათისასა და ეზრახნეს კაცთა ქალაქისა მათისათა, მეტყველნი:

კაცნი ესე მშვიდობისანი არიან, ჩვენთანა დაემკვიდრნედ ქვეყანასა შინა და ვაჭრობდედ მას ზედა. და აჰა, ქვეყანა ვრცელ წინაშე მათსა. ასულნი მათნი მოვიყვანნეთ ჩვენ ცოლად, და ასულნი ჩვენნი მივსცნეთ მათ“ *(შექმ., 34, 7—21)*.

მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. იაკობის ოჯახთან კავშირი ერთსულოვნად იქნა მიღებული. იმავე დღეს მოხდა მთელი ქალაქის მამაკაცთა წინადაცვეთის ცერემონია. ამით გასულელებულმა მოსახლეობამ არსებითად თავი განაიარაღა დაუნდობელი მტრის წინაშე.

„და იყო დღესა მესამესა, რაჟამს იყვნეს ტკივილსა შინა, მოიღეს ორთა ძეთა იაკობისთა, სვიმეონ და ლევი, ძმათა დინასთა, თვითეულმან მახვილი თვისი და შევიდეს ქალაქად განკრძალულად (საიდუმლოდ) და მოკლეს ყოველი წული.

ემმორცა და სვიქემ, ძე მისი, მოკლნეს პირითა მახვილისათა. და გამოიყვანნეს დინა სახლით სვიქემისით, და წარვიდეს.

ხოლო ძენი იაკობისნი შევიდეს მოწყლულთა ზედა და დაიტაცეს ქალაქი, რომელსა შინა შეაგინეს დინა, დაი მისი.

და საცხოვარნი მათნი და ზროხანი მათნი და ვირნი მათნი, რაოდენი იყო ქალაქსა შინა და რაოდენი იყო ველსა ზედა, წარმოიღეს.

და ყოველნი ხორცნი მათნი და ჰურჰელნი მათნი, და ცოლნი მათნი ტყვე ჰყვნეს და დაიტაცეს, რაოდენი რაი იყო ქალაქსა შინა, და რაოდენი იყო სახლთა შინა“. *(შექმ., 34, 25—29)*.

ყოველივე ეს, ბიბლიურად კი არა, ადამიანურად რომ ვთქვათ, საზიზღარი ვერაგობაა და მიუტევებელი დანაშაული. იაკობის შვილები და მათი ჯალაბობა უკანასკნელი ავაზაკებივით გაუსწორდნენ მშვიდობიან ხალხს, რომელმაც ისინი გულთბილად მიიღო, დაიმოყვრა და ყოვლად უხამსი მათი ადათიც კი გადაიღო წინადაცვეთის სახით, სულ კი იმისათვის, რომ სვიქემს დინა შეერთო. არასოდეს არც ერთი მკვლელი არ ყოფილა არც ამაზე უსინდისო, არც ამაზე სისხლისმწყურვალი, არც ასე ხარბი და არამზადა. მაგრამ დანაშაულის საზარლობას ამსუბუქებს მისი ჯოჯოხეთური ხასიათიცა და ზღაპრულობაც. ასეთი რამ შეუძლებელია მოხდეს.

სკეპტიკოსები აქ ერთხელ კიდევ უსვამენ ხაზს მისტიფიკაციას, წმინდა მტრედს აბრალებენ ყველაფერს. სიმონი და ლევი, რომელთაც ეს საძაგელი ხოცვა-ჟლეტა მიაწყვეს, ამდენი კაცი დახოცეს, ამდენი ქალი კი დაატყვევეს, —ორი ყმაწვილი კაცია, ჯერ კიდევ თითქმის ბავშვები, რომელთაც ცხვირი ძლივს მოეხოცათ. სიმონი ხომ ლაბანთან იაკობის ყოფნის შეცხრე წელს დაიბადა, ლევი კიდევ მეათე წელს. მაშასადამე, ათი და თერთმეტი წლის ბიჭებმა მოკლეს მეფე ემმორი, მთავარი სვიქემი, ამოხოცეს მთელი ხალხი, ქვეშევრდომებიც კი გაუწყვიტეს და წავიდნენ, ისე რომ ბატკნის ყურიც კი არ დაკლებიათ. როგორ მოახერხეს ეს? მართალია, მათს ძარღვებში დუღდა ისეთი კაცის სისხლი, რომელმაც ღმერთს გვერდები დაუზილა. უეჭველად ზორბა ბიჭები იქნებოდნენ. ასეთი ჯანით მეტსაც იზამდნენ.

დაბადების ოცდამეთხუთმეტე თავი მოგვითხრობს, რომ იაკობი უცებ გაბრაზდა, ჩემი ცოლები კერპთაყვანისმცემლები რატომ ხართო, გადაყარეთ ეს უცხო ღმერთებიო: „აღიხვენით ღმერთნი უცხონი, რომელნი არიან თქვენ შორის, და წმინდა იქმენით, და შეიცვალენით სამოსელნი თქვენნიო“, — უბრძანა თავისიანებს, რადგან უბედურებისა შეეშინდა.

თქმა და შესრულება ერთი იყო (ჯერ კიდევ ცოლი ქმარს უგონებდა). რაქილმა, ლიამ, ზელფამ, ბალამ და მთელმა ჯალაბობამ კერპები იაკობს ჩააბარა, იმანაც ახლად დანგრეული ქალაქის ნანგრევებზე ერთი მუხის ქვეშ ჩამარხა ხელოვნების მთელი ეს შედევრები. ღმერთმა იაღვემ ამ საქციელის შემდეგ გული მოიბრუნა, ქვეყნის მოსახლეობას გონება დაუბნელა და ღმერთთან მორკინალი კაცი დევნას გადარჩა.

ამ თავში ერთხელ კიდევ ვხედავთ ღმერთს და გვესმის მისი ლაპარაკი, მაგრამ ეს სულ ძველი გამაგრებული კევის ღეჭვაა. მერე კი, გაზაფხულზე, იაკობი უკვე გადის დიდ გზაზე, რაც ევფრატისაკენ მიემართება. ამ გზაზე რაქილი მშობიარობას გადაჰყვა. ჯერ ღმერთი გამოეცხადათ. ეს მოხდა იმ ადგილას, სადაც იაკობმა ადგილს უწოდა „ბეთილ“ — ღმერთი ჩემთანა! აქედან წასულნა იაკობმა კარავი დადგა „გოდოლსა ღადერისა“, მერე ევფრატს მიუახლოვდა. აქ დაეწყო რაქილს მშობიარობა „და ძნიად მშობელ იქმნა შობასა შინა. ხოლო იყო მწარედ შობასა შინა მისსა ჰრქუა მას ამჭმელმან: ნუ გეშინინ, რამეთუ ესეცა არს შენდა ძე. და იყო განტევება სულისა მისისა, რამეთუ კვდებოდა, უწოდა სახელი მისი: ძე სალმობისა ჩემისა. ხოლო მამამან მისმან უწოდა მას ბენიამენ“ (ჩემი მარჯვენა ბარძაყის შვილი. — ლ. ტაქსილი).

იაკობმა რაქილი მიწას მიაბარა და ზედ დაადო ქვა, რომელსაც მუსულმანები დღესაც გვიჩვენებენ. ვიდრე იაკობი რაქილს დასტიროდა, რუბენმა, უფროსმა შვილმა, რომელიც ლიასაგან ჰყავდა, ოინი უყო, მამის მძიმე განცდებით ისარგებლა, მის ერთ-ერთ ცოლს ბალას შეუჩნდა და შე-

აცდინა კიდეც. როცა იაკობმა გაიგო, რომ მისმა საკუთარმა შვილმა რქები დაადგა, თვალები დახუჭა, წყენა გადაყლაპა, თუმცა ხარჭის შეცხენა ძალიან არ ესიამოვნა, „ბოროტად აღუჩნდა წინაშე მისსა“. ასეა თუ ისე, თორმეტი შვილის პატრონმა დუმილი ამჯობინა.

ბოლოს და ბოლოს იაკობი ჩავიდა ქალაქ მამბრესი ვაჭრისასა, ესე არს ქებრონი, ქვეყანასა ქანაანისასა, სადა მსხემ იყვნეს აბრაამ და ისააკ“. ჯერ კიდევ ოცი წლის წინ დაბრმავებული ისააკი ამის შემდეგ მალე მიიცვალა, დაბადებიდან ას ოთხმოცი წლისა. ესავმა და იაკობმა „დაფლეს იგი, სავსე დღეთაგანო“, მოკლედ მოსჩრის დაბადება პატრიარქის გარდაცვალების ამბავს.

ამრიგად, იაკობი დიდი ოჯახის სათავეში მოექცა. მასთან ესავიც ამ წიგნის ოცდამეთექვსმეტე თავი გადმოგვცემს უაღრესად მნიშვნელოვან საგვარეულო ნუსხას, ესავის ცოლებისა, ხარჭებისა და შვილების სიას, რაც ღვთისმეტყველთა დიდ გულმოდგინებასა და ძირფესვიანად შესწავლას ითხოვს. ესაა სრულიად მოულოდნელი და გაუგონარი სახელების უზარმაზარი სია: ოლიველი, იეგლომი, კორე, ელიფაზ, სოფარ, გოთომ, კენეზ, ბალაკ და ა. შ.

კრიტიკოსები ამ თავშიაც აღნიშნავენ ისეთ ადგილებს, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ბიბლიის ამ პირველი ხუთი წიგნის ავტორი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსე. ოცდამეთხუთმეტე თავის მეცხრამეტე მუხლში წერია, რომ რაქილი დაკრძალულია „ევფრათას“, ესე არს ბეთლემი“. მაგრამ ქალაქი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, მოსეს დროს არც არსებობდა, ეს სახელი უწოდა ბევრად უფრო გვიან თავის აშენებულ ქალაქს ვინმე ჰალებმა, თავისი ცოლის ევფრათას პატივსაცემად, ჰალები კი იესოს თანამედროვე იყო, მოსეს მემკვიდრისა. ამრიგად, მოსეს არ შეეძლო სცოდნოდა ქალაქ ევფრათას არსებობა, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ აშენდა. მით უფრო ვერ ახსენებდა ბეთლემს, რადგან ევფრათას ეს სახელწოდება რამდენიმე საუკუნის შემდეგ მიანიჭეს.

დაბადების ოცდამეთექვსმეტე თავის 31-ე მუხლი დამაჯერებლად უარყოფს ღვთისმეტყველთა მტკიცების სრულ სიცრუეს, მოსეს ავტორობაზე რომ სდებენ თავს. აქ ჩამოთვლილია ესავის შთამომავალთა სახელები და მერე ნათქვამია: „და ესე მეფენი მეფებულნი ედომს შინა პირველ გამეფებამდე მეფისა ისრაელისა შორის“. სრულიად ნათელია, რომ ეს სტრიქონები დაწერილია ებრაელთა პირველი მეფის, საულის შემდეგ მაინც, თუ უფრო გვიან არა. დავუშვათ, რომ რომელიმე საბუთში ასეთი ადგილი აღმოვაჩინეთ: „ხსენებული მთავრები მეფობდნენ საფრანგეთის რესპუბლიკაზე დიდი ხნით ადრე“. აბა ვინ ვერ მიხვდებოდა, რომ ეს სტრიქონები დაწერილი იქნებოდა საფრანგეთში რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ? ყოველ შემთხვევაში, მეფის დამხობის შემდეგ მაინც, აქაც ასეთი ანაქრონიზმია.

წმინდა იოსებ „მშვენიერის“ თავბრუდამხვევი კარიერა

ხლა გადავდივართ იოსების ამბავზე, რომლის დასაწყისი გადმოცემულია „დაბადების“ ოცდამეჩვიდმეტე თავში.

იაკობის უსაყვარლესი შვილი იყო იოსები, რომელსაც უმშვენიერესი სამოსელი აჩუქა. იოსებმა კეთილი ხსოვნა დატოვა, როგორც სიზმრის ამხსნელმა. ამ კეთილმსახურულ გზაზე ძალიან ადრე დადგა: უკვე ჩვიდმეტი წლისა აოცებდა თავის მშობლებს ამ საკვირველი ხელოვნებით. თავისდა სამწუხაროდ, საკუთარი სიზმრების ხმამაღლა ახსნა ჰქონდა წესად, ამ სიზმრების მიხედვით კი ისე გამოდიოდა, რომ ბედს მისი აღზევება და მისივე თერთმეტი ძმის დამცირება — დაჩაგვრა უნდა მოჰყოლოდა. ერთხელ დაესიზმრა, რომ ყანაში მკის დროს მისი ძნა ზეზე დადგა, ძმების ძნები კი დაბლა ეცემოდნენ, თითქოს მუხლებს უყრიანო. მეორეჯერ მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი ეახლა, რათა ყველა ცნათობს თავისი უმორჩილესი პატივისცემა დაემოწმებინა.

იოსების ასეთი მანია ბოლოს და ბოლოს მოჰბეზრდათ ძმებს და განიზრახეს კადნიერი მანიაკის თავიდან მოშორება. და როცა ერთ მშვენიერ დღეს იაკობმა საყვარელი შვილი დოფანის ხეობაში გაგზავნა, სადაც მისი ძმები საქონელს მწყემსავდნენ, ცბრა ძმამ სიზმრების ამხსნელს ხელი სტაცა, რათა მისი ბაქიობისათვის სამუდამოდ მოეღოთ ბოლო. მხოლოდ რუბენი წავიდა მოკვლის წინააღმდეგი. ამიტომ იოსები გაატიტვლეს და მშრალ ჭაში გადაუძახეს. ამ დროს ვაჭართა ქარავანი გამოჩნდა. წმინდა ავტორი, ბიბლიის საერთო სტილის თანახმად, აქაც ცოტას ურევს, მექარავნეებს ხან ისმაიტელებს ეძახის, ხანაც მადიამელ ვაჭრებს, რაც სულაც ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ასეთ წვრილმანზე აღარ შევჩერდებით. ისმაიტელთა გამოჩენაზე იუდას ძმა შეეცოდა, ჭაში ხომ შიმშილით სული ამოსძვრება საცოდავს, მოდი მივყიდოთ ამ მადიამელ ვაჭრებსო. ეს იქნებოდა პატარა სავაჭრო გარიგება, უფრო სარფიანიცა და უფრო ადამიანურიც, ვიდრე ჭაში ტიტველი ძმის დატოვება.

თქმა და ქმნა ერთი იყო! „და წარმოვლიდეს კაცნი იგი, მადიამელნი ვაჭარნი, და აღმოიყვანეს იოსებ მუვიმით და მიჰყიდეს ისმაიტელთა იოსებ ოც ოქროდ. და შთაიყვანეს მათ იოსებ ეგვიპტედ“.

რუბენი და ბენიამინი ამ გარიგებაში არ მონაწილეობდნენ. ბენიამინი მცირეწლოვანი იყო და შინ იჯდა, რუბენი კი ძმებს გაეცალა — რაღაცორი არ გვეუბნება, რა მიზეზით. მხოლოდ ესაა, ჭაში ჩაგდების დროს ასაკრეზიდან ქრება, თითქოს თვითონაც ჭაში ჩავარდნილიყო. მოთხრობის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილებაც რჩება, თითქოს რუბენს [illegible] გადარჩენა, ჭიდან ამოყვანა და მამისეულ სახლში დაბრუნება. [illegible] იოსები ველარ იხილა, ძალიან შეწუხდა: „ხოლო მიიქცა რუბენ მღვიმედ მიმართ და ვერ იხილა იოსებ მღვიმესა შინა, და დაიპო სამოსელი თვისი. და მიიქცა ძმათა მიმართ და ჰრქვა: ყრმა არა არს, ხოლო მე სადაღა ვიდე მერმე?“ მაგრამ ძმებმა, როგორც რელიგიის მსახურებს ეკადრებათ, უკვე მოიფიქრეს და სისრულეშიც მოიყვანეს ვერაგული, ფრიად ეშმაკური ღონისძიება: თხის სისხლით შესვარეს ძმის სამოსელი, იაკობს გაუგზავნეს და შეუთვალეს: „ესე ვპოეთ, იცან, უკეთუ სამოსელი ძისა შენისა არს ანუ არა?“

იაკობმა სასოწარკვეთილის ხმით შესძახა: „სამოსელი ძისა ჩემისა არს ესე. მხეცმან ბოროტმან შესჭამა იგი. მხეცმან წარიტაცა იოსებ“. შეძრწუნებულმა იოსებმა „დაიპო სამოსელი თვისი, ძაძა მოისხა წელთა ზედა და იგლოვდა (იტყებდა) ძესა თვისსა დღეთა მრავალთა. ხოლო შემოკრბეს ყოველნი ძენი მისნი და სულნი და მოვიდეს ნუგეშის ცემად მისსა, და მან არა ინება ნუგეშის ცემა, მეტყველმან: ვითარმედ შთავიდე ძისა ჩემისა მიმართ მგლოვარე ჯოჯოხეთად? და ტიროდა მწარედ“ *(შექმ., 37, 33—35)*.

ვაჭრებმა კი იოსები შორეულ ეგვიპტეში ჩაიყვანეს და ერთ წარჩინებულ კარისკაცს მიჰყიდეს, „პენტეფრეს, საჭურისსა ფარაოსსა, მზარეულთ მთავარსა“. შემდეგ კი, მომდევნო თავში ბიბლიაც გვაუწყებს, რომ ამ საჭურისს ჰყავდა.. ცოლიცა და შვილიც! შვილის გაჩენა სხვისი შემწეობით იოლად შეეძლო, მაგრამ ცოლი რანაირად ჰყავდა ფარაონის საჭურისს, ამაზე დაბადება დუმს.

თუმცა, ნუ ავჩქარდებით, მივყვეთ ჩვენს ამბავს. ვიღრე იოსები პენტეფრეს მონობაში იტანჯებოდა, იაკობის მეოთხე შვილის იუდას ოჯახში ძალიან მნიშვნელოვანი, კეთილმსახურული, რელიგიურ-ჭკუისსასწავლებელი ამბების მთელი სერია გათამაშდა. მოკლედ, დიდი ამბები დატრიალდა.

„ხოლო იყო მას ჟამსა შინა, შთავიდა იუდა ძმათა თვისთაგანა, და მივიდა ვიდრე კაცისა ვისმე მიმართ, ოდოლამიტელისა, რომლისა სახელი, ირას. და იხილა იუდა მუნ ასული კაცისა ქანანელისა, რომლისა სახელი: სავანა (შუა), და მიიყვანა იგი და შევიდა მისსა...“ *(შექმ., 38, 1—2)*.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ უზენაესი გადაჭრით უკრძა-

ლავს პატრიარქებს კერპთაყვანისმცემელთა, მეტადრე კი წყეულ ქანაანელთა შერთვას, ისინი კი შეუპოვრად აკეთებენ თავისას, მაინც უცხო ფესვი მოჰყავთ. ეს მეამბოხური სულისკვეთება ადამიანური და საინტერესოა, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ამის მიუხედავად ღმერთი მათ [illegible] ლებს. აბრაამი, ისააკი, იაკობი, იოსები და სხვები [illegible] ვარელი მამამთავრები არიან კაცთა მოდგმისა. მოგვიანებით ქრისტიანებმა ბიბლიის მთელი სისულელე და უხამსობა გადაიღო, ქრისტეს საგვარეულო ნუსხისათვის კი გასაოცარი არჩევანი მოახდინეს: მაცხოვრის წინაპართა სია წარმართთა და მრუშთა სახელებით აავსეს.

დავიწყოთ აგერ იუდას წარმართი ცოლიდან:

„და მიდგომილმან შვა ძე და უწოდა სახელი მისი: ირ და მიუდგა კვალად, შვა ძე და უწოდა სახელი მისი: ავნან.

და შემძინებელმან შვა ძე კვალად, და უწოდა სახელი მისი: სელომ, და ესე იყო ქაზბინს შინა, რაჟამს შვნა იგინი.

და მოჰგვარა იუდა ცოლი ირს, პირმშოსა ძესა თვისსა, რომლისა სახელი: თამარ.

და იყო ირ, პირმშო იუდასი, ბოროტ წინაშე უფლისა, და მოკლა იგი ღმერთმან“ *(შექმ., 38, 3—7)*.

ღვთისმეტყველნი დიდხანს ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ როგორმე აეხსნათ ირის შორსმჭვრეტელური ოინები, რაზედაც ბიბლია ასე ცოტას ლაპარაკობს. მხედველობაში აქვთ ამ საქმის სავალალო ბოლო და თანაც ითვალისწინებენ, რომ ღმერთს უნდოდა იუდას გვარში იესო ქრისტე შობილიყო, მესია, ჩვენი მაცხოვარი, ამიტომაც ღვთისმეტყველნი ბიბლიის სიძუნწეს ავსებენ და კეთილმსახურთა გულმოდგინებით ამტკიცებენ: ირი თავის ცოლთან... სოდომური წესით ცხოვრობდაო! მეტი რაღა გინდათ? ღმერთმა ირი იმისათვის მოკლა, რომ მეუღლესთან ნორმალურად არ ცხოვრობდა, ე. ი. არ სურდა შვილი გაეჩინა. ამისი დამამტკიცებელი საბუთი თვითონ წმინდა წერილის ტექსტშია: „და სთქვა იუდა ავნანის მიმართ: შეევედ ცოლისა მიმართ ძმისა შენისა და დაესიძე მას, და აღუდგინე თესლი ძმასა შენსა“ *(შექმ., 38, 8)*.

ებრაული წესის თანახმად, ასეთი აღმაშფოთებელი გარყვნილების შედეგად შობილი ყრმები ითვლებოდნენ კანონიერი ქმრის და არა ნამდვილი მამის მემკვიდრეებად.

„ხოლო აგრძნა რაი ავნან (ონან), ვითარმედ არა მისი იყოს თესლი იგი, და იყვის, რაჟამს შევიდოდის ცოლისა მიმართ ძმისა თვისისა, დასთხიის ქვეყანასა ზედა, არა მიცემად თესლი ძმასა თვისსა. ხოლო ბოროტად გამოჩნდა წინაშე ღვთისა, რამეთუ ქმნა ესე: და მოკლა ესეცა უფალმან“ *(შექმ., 38, 9—10)*.

აი, საიდან არის აღებული სიტყვა „ონანიზმი“. ამ უმართებულო

სქესობრივი კავშირის მიზანია შვილის გაჩენისაგან თავის არიდება და მას საფუძველი ჩაუყარა ბიბლიის ერთ-ერთმა გმირმა. ასე ლაპარაკობს ღმერთი!

„და ჰრქვა იუდა თამარს, სძალსა თვისსა: დაჯედ ქვრივად სახლსა შინა მამისა შენისასა, ვიდრემდის განდიდნეს სელომ, ძე ჩემი, და სთქვა: ნუ უკვე მოკვდეს ესეცა, ვითარ ორგი ძმანი მისნი: წოლო წარსრული თამარ დაჯდა სახლსა შინა მამისა თვისისსა.

ხოლო განმრავლდეს დღენი, და მოკვდა სავნა, ცოლი იუდასი, და ნუგეშინისცემისათვის იუდა აღვიდა მრისველთა მიმართ ცხოვართა (ცხვრის მკრეჭელებთან ავიდაო) და შთავიდა ირას, მწყემსი მისი, ოდოლამიტელი, თამნად მისთანა. (უნდა იყოს თიმნათ და ჰირა).

და გარე მომძრცველმან სამოსელსა ქვრიობისა მისისასა თავისაგან თვისისა, გარემოისხა თერისტროი, და შეიმკო, და დაჯდა ბჭეთა თანა ენანისათა, რომელ არს თანა წარსვლასა თამნასასა: რამეთუ იხილა, ვითარმედ განდიდნა სელომ, ძე მისი, და მან არა მისცა იგი მას ცოლად.

და იხილა რაი იგი იუდა, ჰგონა მისი მეძავ ყოფაი, რამეთუ დაებურა პირი მისი და ვერ იცნა იგი.

და მიაქცია მისსა მიმართ გზაი და ჰრქვა მას: მიტევე მე შესვლად შენდამი, რამეთუ ვერ იცნა, რამეთუ სძალი მისი არს. ხოლო მან ჰრქვა მას: რაი მომცე, უკეთუ შემოხვიდე ჩემდა?

ხოლო მან ჰრქვა: მე წარმოგიცე შენ თიკანი თხათა ცხოვართაგან ჩემთა. ხოლო მან მიუგო: უკეთუ მომცე წინდი, ვიდრე წარმოცემადმდე შენდა.

და მან მიუგო: რა წინდი მოგცე შენ? და მან ჰრქვა: ბეჭედი შენი და მძივი და კვერთხი ხელისა შენისა. და მისცნა მას, და შევიდა მისსა მიმართ, და მუცელ ქმნულ იქმნა მისგან.

და აღდგომილი წარვიდა და მოიძარცვა თერისტროი (ჩადრი, საბანი), და შეიმოსა სამოსელი ქვრიობისა მისისა.

ხოლო წარმოსცა იუდა თიკანი თხათა ხელითა მწყემსისა თვისისა ოდოლამიტელისათა აღებად წინდი დედაკაცისაგან და არა პოვა მან იგი.

ხოლო ჰკითხა კაცთა მას ადგილისათა: სადა არს მეძავი იგი, მყოფი ენანს გზასა ზედა? და ჰრქვეს: არავინ არს აქა მეძავი.

და მიიქცა მწყემსი იგი იუდას მიმართ და სთქვა: არა ვპოე. და კაცნი ადგილისანი იტყვიან არა ყოფასა მუნ მეძავისასა.

და სთქვა იუდა: აქვნდინ იგინი მას, არამედ ნუსადა მოვიკიცხნეთ ჩვენ, მე წარვეც თიკანი და შენ ვერ ჰპოვე იგი.

ხოლო იყო შემდგომად სამთა თვეთასა, მიუთხრეს იუდას, მეტყველთა ვითარმედ ისიძვა თამარ, სძალმან შენმან, და აჰა, მუცელ ქმნულ არს სიძვით. და სთქვა იუდა: გამოიყვანეთ იგი და დაიწვინ ცეცხლითა!

ხოლო იგი გამოიყვანებოდა რაი, მიავლინა მამამთილისა თვისისა მი-

მართ, მეტყველმან: კაცისაგან, რომლისანი არიან ესე, მე მუცელ ქმნულ ვარ. და ჰრქვა: იცან, ვისნი არიან ბეჭედი და ძეძივი და კვერთხი ესე?

ხოლო იუდა იცნა იგინი და სთქვა: განმართლებულ არს თამარ, ვიდრეღა მე, ამის თვის რომელ არა მივეც იგი სელომს, ძესა ჩემსა. და არღა შესძინა მერმე ცნობად მისსა.

და იყო რაჟამს შობდა იგი, და მარჩხივნი იყვნეს ხელსა მისსა.

ხოლო იყო შობასა მისსა, ერთმან პირველ გამოყო ხელი თვისი და მოიღო ამჭმელმან და შეაბა ხელსა მისსა მეწამული, მეტყველმან: ესე გამოვიდეს პირველ.

ხოლო ვითარცა შეყო ხელი, მეყვსეულად გამოვიდა ძმა მისი და ამჭმელმან სთქვა: რად განიკვეთა შენთვის ღობე? და უწოდა სახელი მისი: ფარეზ.

და ამისა შემდგომად გამოვიდა ძმა მისი, რომლისა იყო ხელსა მისსა ზედა მეწამული და უწოდა სახელი მისი: „ზარა“ (*შექმ., 38, 11—30*).

ჩვენ ბრალს ვერ დაგვდებენ იმაში, რომ რაიმე ბიბლიურ ამბავს მოკლედ გადმოვცემთ, განზრახ ვასხვაფერებთ და ვრყვნით წმინდა ტექსტს. პირიქით, ზოგიერთი ალბათ ბრალსაც დაგვდებს, შინაარსი ჯობდა მოკლედ გადმოეცა და კრიტიკისათვის მეტი ადგილი დაეთმოო. არა, ასეთი ბრიყვული, პროვინციალური გულმოდგინებისაგან შორსა ვართ. ჩვენ მხედველობაში ვიღებთ განსახილავი ნაწარმოების ხასიათს და მიგვაჩნია, რომ მოკლე დასკვნებს მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როცა საქმე გვაქვს ისეთ წვრილმანებთან, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. ხოლო როცა წმინდა წერილში ვხვდებით ისეთ ეპიზოდებს, როგორიცაა მაგალითად თამარის თავგადასავალი, აუცილებელია მთელი ეპიზოდის ციტირება უცვლელად. ეს ხომ სულიწმინდის ნაკარნახევი ტექსტია! ამიტომ რაც შეიძლება მეტი მარგალიტი უნდა გამოვამზეუროთ, მეტი შუქი გვესაჭიროება. კრიტიკას არ შეუძლია ღვთისმეტყველებს შემთხვევა მისცეს, რომ მკითხველს შეაგონონ: მწერალი რყვნის და აბიაბრუებს წმინდა წერილსო.

თამარის თავგადასავლის ყველა წვრილმანი მთელი თავისი უხამსობით ბიბლიის განუყოფელი ნაწილია, და ეკლესიას არ უფიქრია მისი უარყოფა, მიუხედავად აქ გადმოცემული ბინძური და დაუჯერებელი ხასიათისა: ქმარი ცოლთან არანორმალურად ცხოვრობს, მისი მაგიერობის გაწევას ძმას ავალებენ, ძმა თესლს მიწას ანდობს, მერე დაქვრივებული თამარი გებულობს, რომ მისი მამამთილი თიმნათს მიდის ცხვრების საკრეჭად, შებურვილი თამარი გზაში ხვდება, შეაცდენს, რძალი მამამთილისგან ფეხმძიმეა და შობს ტყუპებს...

ბოლოს და ბოლოს, გასაოცარია ისიც, რომ თამარი, რომელსაც ორ პირველ ქმართან არ გაუმართლა, მამამთილთან ცხოვრებას იწყებს მხოლოდ იმის გამო, რომ იუდამ არ მოისურვა მისი მიცემა მესამე შვილისათვის:

ვაი თუ ისიც მოკვდესო, და მამისეულ სახლში გაგზავნა ქვრივად, დაბერება არ შეუსრულა. „ეს ქალი რიდეს იხვევს იმისათვის, რომ მეძავს დაემსგავსოს, — წერს ვოლტერი, — მაგრამ, პირიქით, ჩადრი და რიდე უდაბნო წესიერი მანდილოსნების ატრიბუტი იყო. მართალია, დედაქალაქში, სადაც გარყვნილება უაღრესად გავრცელებულია, მეძავები ელეგანტურ ბურვილნი ელოდებიან გამვლელებს ქუჩებში, როგორც ხდება ლონდონში, პარიზში, ვენეციაში, რომში. მაგრამ სრულიად დაუჯერებელია, რომ საცოდავ და ღატაკ ქვეყანა ქანაანში მეძავები ორი გზის შესაყარზე დაელოდონ გამვლელ-გამომვლელს. ძალიან უცნაურია, გარდა ამისა, რომ პატრიარქი ამურის თავგადასავალს დახარბდეს დღისით — მზისით შუა გზაზე, თუნდაც იმის შიშით, რომ ყველა დაინახავს, ვინც გზაზე გაივლის და ბოლოს. სრულიად წარმოუდგენელია, რომ იუდამ, უცხო კაცმა, რომელსაც ქანაანში არავითარი საკუთრება არ გააჩნია, გაბედოს და თავისი რძლის დაწვა ბრძანოს, რაკი ის ფეხმძიმე აღმოჩნდა, და მაშინვე კოცონი გაეჩაღებინათ მისი ბრძანებისამებრ, თითქოს ამ მიწის ბატონ-პატრონიც ის იყოს და მისი მოსამართლეც“.

თამარის ამბავს რომ ამთავრებს, ბიბლია ისევ იოსებს უბრუნდება. აქ ეხვდებით ეპიზოდს, რაც გასოცარი სიზუსტით ემსგავსება თეზევსის, ფედრას და იპოლიტეს ამბავს ბერძნული მითოლოგიიდან. წმინდა ავტორი გვატყობინებს, რომ მდიდარი და გავლენიანი საჭურისი პენტეფრე (პოტიფარი), რომელმაც იოსები იყიდა, ცოლიანი იყო, და თუმცა იოსების ღმერთი არ სწამდა, მაგრამ აღიარებს, ეს ღმერთი თავის მონას ყოველ საქმეში ხელს უმართავსო. „ხოლო იხილა უფალმან მისმან, ვითარმედ მის თანა არს უფალი, და რაოდენსა რასა იქმს, უფალი წარმართებს ხელთა შინა მისთა“ (შექმ., 39, 3).

ამ დაკვირვებამ ჯერ კიდევ ვერ შეაცვლევინა სარწმუნოება საჭურისს და არ გადასულა იაღვეს ბანაკში, მაგრამ „პოვა იოსებ მადლი წინაშე უფლისა თვისისა, ხოლო სათნო ეყო მას და დაადგინა იგი სახლსა შინა თვისსა, და ყოველნი, რაოდენი იყვნეს მისნი, მისცნა ხელსა იოსებისსა“. ღმერთმაც დალოცა ეს კაცი, „იქმნა კურთხევა უფლისაი ყოველთა ზედა საქონელთა მისთა სახლსა შინა და ველთა ზედა.

და მიაქცივნა ყოველნი, რაოდენნი იყვნეს მისსა, ხელსა იოსებისსა, და არა უწყოდა მათთვის არა რაი, თვინიერ პურისა, რომელსა სჭამდა იგი, და იყო იოსებ კეთილ სახითა და შვენიერ ხილვითა ფრიად.

და იყო შემდგომად სიტყვათა ამათ, დაადგნა ცოლმან უფლისა მისისამან თვალნი თვისნი იოსების ზედა, და ჰრქვა: დაწევ ჩემთანა.

ხოლო მან არა ინება, არამედ ჰრქვა ცოლსა უფლისა თვისისასა: უკეთუ უფალმან ჩემმან არა უწყის ჩემ ძლით არა რაი სახლისა მისისათა, და ყოველნი, რაოდენნი არიან სახლსა შინა მისსა, მომცნა ხელთა ჩემთა.

და არცა ერთი რაი სახლსა შინა ამას, დაუმორჩილებელ არს ჩემდა, არცა განყოფილ ჩემგან არა რაი, თვინიერ შენსა, არამედ ცოლ ხარ მისი, და ვითარ ვქმნა ბოროტი ესე სიტყვა, და ვსცოდო წინაშე ღმრთისა.

და რაჟამს ეტყოდის იოსებს დღითი დღე, არა ისმინა მისი დაწოლად მისთანა, და ყოფად მას.

ხოლო იყო ესე ვითარი რამე დღე, და შევიდა იოსებ სახიდ ქმნად საქმეთა მისთა (თავის საქმეზე შევიდა სახლში), და არა ვინ იყო სახლსა მას შინა.

და უპყრა სამოსელი იოსებს, მეტყველმან: დაწევ ჩემთანა! და იოსებ, დამტევებელი სამოსლისა ხელთა შინა მისთა, ივლტოდა და განვიდა გარე" *(შექმ., 39, 6—12)*.

ამრიგად, ქალი ევედრება, დაწექ ჩემთანო, კაცი თავქუდმოგლეჯილი გარბის, შენს ქმარს ვერ ვუმუხთლებო! ეს უდავოდ იმდენადვე მორალური ეპიზოდია, რამდენადაც დაუჯერებელი.

შინ დაბრუნებულ ქმარს, პენტეფრეს, ცოლმა ყველაფერი შებრუნებით უამბო: „და ეზრახა მას სიტყვათა ამათებრ მეტყველი: შემოვიდა ჩემდა მონაი ებრაელი, რომელი შემოიყვანე ჩვენდა მომართ, კიცხევად ჩემდა, და მრქვა: დავწვე შენ თანა.

ხოლო ვითარცა ესმა, რამეთუ აღვიმაღლე ხმა ჩემი და ღაღად ვყავ, დაუტევნა სამოსელნი მისნი ჩემ თანა, განივლტო, და განვიდა გარე" *(შექმ., 39, 17—18)*.

ამის გამგონე პენტეფრე ისე გაშმაგდა, რომ მოპირდაპირე მხარის ახსნა-განმარტების მოსმენაც კი არ ისურვა, ისე ბრძანა იოსების შეპყრობა და იმ დილეგში ჩაგდება, სადაც მეფე მძიმე დამნაშავეებს ყრიდა. მაგრამ— ო, განგების წმინდანებავ! — ისე მოხდა, რომ ციხის გამგებელმა მონა ებრაელი შეიყვარა, მალე ბედი შეუმსუბუქა, დანარჩენი პატიმრების უფროსად დანიშნა, ისე რომ ციხეში იოსების ნება-სურვილის გარეშე არაფერი არ ხდებოდა.

გავიდა ხანი; წმინდა წერილის ავტორი არ გვიმხელს, რამდენი იგულისხმება. გასაგებია მხოლოდ ის, რომ მეღვინეთმთავარი და მეპურეთმთავარი ორივე სატყრობილეში მოხვდა. გაუწყრათ ღმერთი, გაუწყრათ ფარაონი და იმავე დილეგში ამოჰყვეს თავი, სადაც იოსები ჰყავდათ.

„ხოლო მათ ჰრქვეს მას: ჩვენებაი ვიხილეთ და შემტყვები არა არს მისი. და სთქვა იოსებ: არა ღვთისა მიერ არსა ცხად ყოფა მისი? მითხარით უკვე მე.

და მიუთხრა მეღვინეთ-მთავარმან ჩვენებაი თვისი იოსებს, და სთქვა: ძილსა შინა ჩემსა იყო ვენახი წინაშე ჩემსა.

ხოლო ვენახი შორის სამ წელს აღზრდილი, და თვით მყვავილებელი აღმომაფოფინებელი მორჩთაი მწიფეთა ტევანთა ყურძნისათა.

და სასვმელი ფარაოსი ხელსა ჩემსა, და მოვიღე ყურძენი იგი და გამოვწნიხე იგი სასვმელსა შინა, და მივეც სასვმელი იგი ხელსა ფარაოსსა.

და სთქვა იოსებ: ესე არს შეტყვებაი მისი: სამ წელ აღზრდილნი სამნი დღენი არიან.

მერმე სამნიღა დღენი, და მოეხსენოს ფარაოს მთავრობასა შენისა, და კვალად გაგოს შენ მთავრობასავე ზედა მეღვინეობისა შენისასა, და მისცე სასვმელი ფარაოსა ხელსა მისსა, მთავრობისა ებრ შენისა პირველისა, ვითარცა იყავ მწადე.

არამედ მომიხსენე მე თავისა შენისა თანა, რაჟამს კეთილი გეყოს შენ და ჰყო ჩემთანა წყალობაი, და ხსენება ჰყო ჩემთვის ფარაოს მიმართ, და განმიყვანო მე სიმაგრისა ამისგან.

რამეთუ პარვითა წარმომიპარეს მე ქვეყანით ებრაელთასა, და აქა არა ვქმენ არა რაი ბოროტი და შემომაგდეს მე მღვიმესა ამას.

და იხილა მეპურეთ-მთავარმან, რამეთუ მართლიად თანა განხილვა ჰყო და ჰრქვა იოსებს: მეცა ვიხილე ჩვენებაი, და მეგონა სამთა ფეშხუანთა სამინდოსათა ქონებაი თავსა ზედა ჩემსა (ე. ი. თავზე სამი წნული კალათი მედგაო).

ხოლო ზედა კერძო ფეშხუანთასა, ყოველთაგან სანავაგეთა, რომელთა ფარაო სჭამს, ქმნულსა პურისასა, და მფრინველნი ცისანი სჭამდეს და მათ ფეშხუანისაგან ზედა თავისა ჩემისა.

და მიმგებელმან იოსებ, ჰრქვა მას: ესე არს შეტყვება მისი: სამნი ფეშხუანნი სამნი დღენი არიან.

მერმე სამნიღა დღენი, და აღიღოს ფარაო თავი შენი შენგან, და მოგკიდოს შენ ძელსა ზედა, და მოგჭამნენ მფრინველთა ცისათა ხორცნი შენნი შენგან“ (*შეკმ., 40, 8—19*).

იოსების წინასწარმეტყველება სავსებით ახდა, მაგრამ ბედნიერი მწადე დიდი უმადური ვინმე გამოდგა, არც გახსენებია გაჭირვების მოზიარე და სიზმრის სასიკეთოდ ამხსნელი.

გავიდა ორი წელიწადი. ეგვიპტის მეფემაც ნახა უცნაური სიზმარი, რამაც საშინლად დააინტერესა. ესიზმრა, ვითომ მდინარის ნაპირზეა, მდინარიდან შვიდი მსუქანი ძროხა გამოვიდა, „კეთილნი ხილვითა და რჩეულნი ხორცებითა, და სძოვდეს მდინარის კიდესა ზედა“. ახლა სხვა შვიდი ძროხაც გამოვიდა მდინარიდან, „უშვერნი ხილვითა და მწვლილნი ხორცითა, და სძოვდეს ძროხათა თანა კეთილთა სახითა“. დიდხანს არ გაგრძელებულა ეს იდილია მჭლეთა და მსუქანთა ძროხათა. „და შესჭამნენ შვიდთა მათ ზროხათა, საძაგელთა ხილვითა და მჭლეთა ხორცითა, შვიდნი ივი ზროხანი, კეთილნი ხილვითა და რჩეულნი ხორცითა, და არა ცხად იქმნეს, ვითარმედ შევიდეს მუცველთა მათთა“. ფარაონს გამოეღვიძა, მერე ისევ ჩაეძინა, და მეორედ ნახა ასეთივე შინაარსის სიზმარი: შვიდი მშვენიერი

თავთავი ამოვიდა ერთ ღეროზე და შვიდი სხვა თავთავი მოისხა მეორე, დამჭკნარმა ღერომ, „მწვლილნი და ქარცემულნი“, რომელთაც სავსე თავთავები გადაყლაპეს. ფარაონი შეძრწუნდა. „და იქმნა რა ცისკარი, და აღშფოთნა სული მისი, და მიავლინა და მოუწოდა ყოველთა ქარაგმნელთა ეგვიპტისათა, და ყოველთა ბრძენთა მისთა, და მიუთხრა ფარაონ სიზმარი მისი, და არავინ იყო მიმთხრობელი მისი ფარაოსდა“.

მაშინ მოაგონდა მეღვინეთმთავარს თავისი ციხის ამხანაგი, ფარაონს უამბო მისი ამბავი და იმანაც არ დააყოვნა იოსების დაბარება.

იოსებმა უბრალოდ ახსნა ორივე სიზმარი, რომელთა მნიშვნელობა ერთი აღმოჩნდა: შვიდი მსუქანი ძროხა და შვიდი სავსე თავთავი —შვიდი მოსავლიანი წელია; შვიდი მჭლე ძროხა და შვიდი ქარცემული თავთავი— შვიდი მოუსავლიანი და უნაყოფო წელი. მეფემ ჭკვიანი და გამოცდილი მმართველი უნდა შეარჩიოს, რომელიც ეგვიპტეს ღირსეულად გაუძღვება და ისეთ მოხელეებს აირჩევს, რომლებიც ყოველწლიურად მოსავლის მეხუთედს გადაინახავენ. ეს რჩევა ფარაონსა და მის ვეზირებს მოეწონათ.

„და სათნო უჩნდა სიტყვა ესე წინაშე ფარაოსსა და წინაშე ყოველთა მსახურთა მისთა. და ჰრქვა ფარაო ყოველთა მსახურთა მისთა: ნუ ვპოოთა კაცი ესე ვითარი, რომელსა აქვნდეს სული ღვთისა თავსა შორის თვისსა? და ჰრქვა ფარაო იოსებს: ვინათგან გიჩვენა შენ ღმერთმან ყოველნი ესე, არა არს კაცი უბრძნესი და უგულისხმიერესი შენსა. შენ იყავ სახლსა ზედა ჩემსა, და სიტყვასა შენსა ერჩდეს ყოველი ერი ჩემი, გარნა მხოლოდ საყდრითა გმატდე მე შენ. და ჰრქვა იოსებს ფარაო: აჰა დაგადგენ შენ დღეს ყოველსა ზედა ქვეყანასა ეგვიპტისასა“ *(შექმ., 41, 38—43)*.

ჯერ სადა ხართ! მეფის მოთხოვნით იოსებმა სახელი გამოიცვალა: „და უწოდა ფარაო სახელი იოსებს: ფსომფო-ფანიხ (ცაფნაფ-პანეაჰ), და მისცა მას ასენეფუ, ასული პენტეფრესი, მღვდელისა მზის ქალაქისა ცოლად. ხოლო იოსებ იყო წელთა ოცდა ათთა, რაჟამს წარდგა წინაშე ფარაოსსა, მეფისა ეგვიპტისისა, და გამოვიდა იოსებ პირისაგან ფარაოსსა, და მოვლო ყოველი ეგვიპტე“.

ბიბლიამ სულ ახლახან მოგვცა შემთხვევა გაოცებისა, რომ პენტეფრეს ცოლი ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ებრაული ტექსტის თანახმად ფარაონის საჭურისი იყო. მაგრამ ღვთაებრივმა მტრედმა სურპრიზის ახალი კვერცხი დადო: იოსების ხანგრძლივი პატიმრობის ჟამს ამ საჭურისმა, ეგზომ გახურებული ცოლის პატრონმა კარისკაცმა, თურმე კარიერა შეიცვალა. ოცდამეჩვიდმეტე და ოცდამეცხრამეტე თავებში ფარაონის პირად მცველთა უფროსად ვხედავდით, ორმოცდა პირველ თავში კი უკვე ჰელიოპოლისის, მზის ქალაქის მთავარი ქურუმი და ასულის პატრონია. მაშასადამე, ამ ხნის განმავლობაში ქალბატონი პენტეფრე დედა გახდა. ასეთ ქალს ეს არ გაუჭირდებოდა. მეორე მხრივ, ეს შემთხვევა საფუძველს

გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეგვიპტელთა ღმერთებსაც შეეძლოთ ხასწაულების მოხდენა. როცა რომელიმე ხალხის მითოლოგიასთან გვაქვს საქმე, ყველაფერსაც უნდა მოველოდეთ. ნურც ის გაგვიკვირდება, რომ ადამიანის გამაოგნებელი ბიბლია პენტეფრეს უკვე აღარ გვისახავს საჭურისად. იქნებ უმკურნალეს?

ეტყობა, წმინდა ანტონიუსს შეეეჭდრა და დაიბრუნა ის, რაც ოდესღაც დაკარგა*. ამან თუ უშველა პენტეფრეს, მზის ქალაქის მთავარ ჭურუმად რომ დაუნიშნავთ, და საოცრად ლამაზი ასულის — ასენეთის მამა გამხდარა. წელთა და მშვენების მატებამ ვაფურჩქნა ეს ქალიშვილი და სწორედ მაშინ წამოიჩიტა, როდესაც ფარაონის წყალობით აღზევებულ იოსებს ცოლი უნდა ბყერთო, რათა ეგვიპტის სამეფოს ვაზირთუხუცესის სავარძელში ღირსეულ თანამემცხედრეს მისთვის გვერდი დაემშვენებინა. სწორედ ეს ქალიშვილი გახდა ქალბატონი ფსომფო-ფანიხი. პირდაპირ არ ვიცით, როგორ გამოვხატოთ აღტაცება ფარაონის ბრძნული გამგებლობის გამო. სათნო და კეთილ იოსები უსამართლოდ დაიტანჯა პენტეფრეს სიბრიყვისა და მისი უზნეო მეუღლის ცეცხლოვანი ვნებიანობის მიზეზით. კაცი ვერაფერს მოიფიქრებდა იმაზე უფრო ჰუმანურ, ამაღლებულ ღონისძიებას, რომ იოსები დაეკმაყოფილებინათ სწორედ მათი ასულის მიცემით. უდანაშაულოდ დასჯილი პატრიარქის გრძნობებს მხოლოდ ეს თუ დაამშვიდებდა.

იოსების თავგადასავლის ეს ნაწილი საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, რაც განამტკიცებს ჩვენს თვალსაზრისს, ამ წიგნის დასაწყისში გამოთქმულს. ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ბიბლია იყენებს სიტყვას „ელოჰიმ“ — „ღმერთები“. ეს იქ, სადაც ქვეყნიერების შექმნაზეა ლაპარაკი, აგრეთვე სხვაგანაც. ძველი ებრაელები მხოლოდ ერთ ღმერთს სცემდნენ თაყვანს და ეძახდნენ „იაღვეს“, თვლიდნენ უზენაეს ღმერთად, ყველა სხვა ღმერთზე აღმატებულად. ამ უზენაეს ღმერთს ისინი სამ ნაწილად არ ყოფენ, ქრისტიანებივით. სიტყვა „ღმერთების“ ხმარება კი მოწმობს, რომ ოდესღაც მათაც მრავალი ღმერთი სწამდათ, იაღვეს გარდა. სხვა ხალხებს თავთავიანთი ტომის ღმერთი ჰყოლიათ. ებრაელებს სჯეროდათ იმ სხვა ღმერთების არსებობაც, სულაც არ ხედავდნენ მათში ეშმაკებს, დემონებსა და ავსულებს. მხოლოდ ერთგული თავმოყვარეობა აიძულებდათ შეექმნათ ისეთი თეორია, რომ ებრაელთა ღმერთი ყველა სხვა ღვთაებაზე მაღლა დგას, ყველაზე ძლიერი და სამართლიანია. აი, რატომ გვიჩვენებს ბიბლია იოსების ღმერთის არაჩვეულებრივ ძლიერებას.

---

* კათოლიკური ეკლესიის მტკიცებით წმინდა ანტონიუსი სჭესთა ურთიერთობის აშპაზს განაგებს და მცველანს მამაკაცობას უბრუნებს, უნაყოფოს—ნაყოფიერებას.

პენტეფრე, იგივე პოტიფარი, მეღვინეთუხუცესი, იგივე ქურუმთუხუცესი, ფარაონი, მისი ვეზირები — მოკლედ, ყველა ეგვიპტელი სულ სხვა სარწმუნოებისაა და მათი სარწმუნოება არ ჰგავს ებრაელებისას. მაგრამ თავიანთ ღმერთებს სულაც არ უარყოფენ იმის გამო, რომ იოსების ღმერთი ეგვიპტის ყველა ქურუმზე ბრძენი და გამჭრიახი აღმოჩნდა. ყველა თავისი რწმენის ერთგული რჩება და ერთი სარწმუნოება არ უშლის მეორისას. იოსებიც იაღვეს ერთგული რჩება, მაშინაც კი, როცა წარმართი ქურუმის ქალიშვილს ირთავს. ჩინებულად შეეწყო ასენეფუს, სულს არ დაუკავებს წარმართის ასულს, თუმცა სარწმუნოება არც იმას გამოუცვლია. ამ თვალსაზრისით მოცემული ეპიზოდი უაღრესად საყურადღებოა. იოსები თავისი თითქმის უზენაესი ხელისუფლებით არც კი სარგებლობს, რომ თავისი სარწმუნოების ერთგული ადეპტების რიცხვი გაამრავლოს. მისთვის საკმარისია იმის ცოდნა, რომ მისი ღმერთი იაღვე უძლიერესია და უფრო დიადი, ვიდრე ყველა ღმერთი იმ ხალხისა, რომელსაც ახალ მბრძანებლად ის დაუნიშნეს.

არაბებსა და ებრაელებს ლეგენდების საერთო წყარო ჰქონდათ, საიდანაც თავიანთი რელიგიების „წმინდა ისტორიებს“ იღებდნენ. ვიდრე ბიბლია დაიწერებოდა, პალესტინასა და არაბეთში უკვე ცნობილი იყო იოსების ამბავი. დრომ მხოლოდ ცალკეული დეტალები შეცვალა, საერთოდ კი ეს თქმულება არაბეთიდან გასულმა ხალხებმა უკვე იცოდნენ. ასე, ყურანის თანახმად, პენტეფრე საჭურისი არ ყოფილა, ასენეფუ (ასენეთი) კი არსებობდა, მაგრამ ჯერ კიდევ ძუძუს წოვდა, როცა დედამისმა იოსებს ბრალი დასდო, გაუპატიურება მომინდომაო. ამ პატარა გოგონამ ჯერ კიდევ სულ პატარაობაში გამოიჩინა დიდი საზრიანობა. ერთხელ მამამისმა დედისა და იოსების შემთხვევა გაიხსენა. მისი გახსენება პენტეფრეს დიდხანს ტანჯავდა. ის სახელგანთქმული მოსასხამიც კი შეინახა, რომელიც ქალმა იოსებს მოაგლიჯა და ამ ბრძოლაში ცოტა დახეულიყო კიდეც. ერთერთმა მსახურმა პენტეფრეს ურჩია, ერთი შენს გოგოს ჰკითხე, იქნებ გითხრას რამეო. გოგონას ჯერ წესიერად ლაპარაკიც კი არ შეეძლო, მაგრამ ბრძენივით კი უპასუხა: „მისმინე, მამაჩემო! თუ დედამ მოსასხამი წინიდან დახია, ეს ნიშნავს, რომ იოსებს მისი ძალით დამორჩილება განუზრახავს, მაგრამ თუ უკანიდან, ეს ამტკიცებს, რომ თვითონ დედა მისდევდა იოსებს“.

ბიბლია და ყურანი ერთნაირად ამტკიცებენ, რომ ასენეფუ სამაგალითო მეუღლე ყოფილა. პირველი შვიდი წლის განმავლობაში იოსებს აჩუქა ორი შვილი — მანასია და ეფრემი. ამას მოჰყვა შიმშილობისა და ძნელბედობის შვიდი წელი. იოსებმა მთელი ეგვიპტე მოიარა.

„და შეკრიბნა ყოველნი ჭამადნი შვიდთა წელთანი, რომელთა შინა

იყო იეფობა ქვეყანასა ეგვიპტისასა, და დასხნა ჭამადნი ქალაქთა შინა, ჭამადნი ქალაქთანი გარემოსთა მისთანი დასხნა მას შინა.

„და შეკრიბა იოსებ იფქლი (ხორბალი), ვითარცა ქვიშა ზღვისა, მრავალი ფრიად, ვიდრემდის შეუძლებელი იყო აღრიცხვა: რამეთუ არა იყო რიცხვი.

ხოლო იოსებისა იყვნეს ძენი ორნი პირველ მოსლვისა შვიდთა წელთა სიყმილისათა, რომელნი უშვნა მას ასენეთ, ასულმან პენტეფრე მღვდლისა და მზის ქალაქისამან.

და უწოდა იოსებ სახელი პირველსა პირმშოსა: მანასსე, და სთქვა: რამეთუ დამვიწყებელ მყო მე ღმერთმან ყოველთა ტკივილთა ჩემთა და ყოველთავე მამისა ჩემისათა.

ხოლო სახელი მეორისა უწოდა ეფრემ და სთქვა: რამეთუ აღმაორძინა მე ღმერთმან ქვეყანასა დამდაბლებისა ჩემისსა.

წარხდეს უკვე შვიდნი იგი წელნი მეფობისანი, რომელნი იქმნეს ქვეყანასა ეგვიპტისასა.

და იწყეს შვიდთა მათ წელთა სიყმილისთა მოსლვად, ვითარცა სთქვა იოსებ, და იქმნა სიყმილი ყოველსა ქვეყანასა, და ყოველსა ქვეყანას ეგვიპტესა იყვნეს პურნი“ *(შექმ., 41, 49—55)*.

დამშეულმა ქვეყნებმა დახმარებისათვის ფარაონს მიმართეს, იმან კიდევ იოსებთან იწყო გაგზავნა, ის კიდევ ხორბალს ყიდდა და უთუოდ საგრძნობლადაც გაამდიდრა ეგვიპტე.

ციფრული ბიბლიოთეკა

ღვთისნიერი იოსების ლმობიერი შურისძიება

აკობის ყველა შვილი, ბენიამინის გამოკლებით, ეგვიპტეში წავიდა. პური უნდა ეთხოვათ ფარაონისათვის. ასე ურჩია მამამ. ბიბლია გულის ამაჩუყებელი უბრალოებით მოგვითხრობს, იოსები პირადად „მიჰყიდდა ყოველსა ერსა ქვეყანისასა“ და თავისი მიხედულობით ურიგებდა ხორბალს მთელს ქვეყნიერებასო, როგორც უზარმაზარი ქვეყნის ფაქტიური მბრძანებელი და სრულუფლებიანი მოურავი. რანაირად იცლიდა პრემიერ-მინისტრი ასეთი წვრილმანებისათვის, ბიბლია ამაზე გაჩუმებულია. ასეა თუ ისე, იოსებმა ძმები იცნო, მაგრამ ძმებმა ვერ იცნეს. საკმაოდ მკაცრად მოექცა. ნახა, როგორ ასრულდა მისი სიზმარი, „და ჰრქვა მათ. მსტოვარნი ხართ, განხილვად კვალთა ქვეყანისათა მოსრულ ხართ. ხოლო მათ ჰრქვეს: არა, უფალო, მონანი შენნი მოვედით სყიდად ჭამადთა. ჩვენ ყოველნი ვართ ძენი ერთისა მამისანი: მშვიდობისანი ვართ, არა არიან მონანი შენნი მსტოვარნი“. *(შექმნ., 42, 9—12)*.

საგულისხმოა: იაკობის ძეთა ეგვიპტეში ყოფნის განმავლობაში ერთი ეგვიპტელიც არ გამოჩნდა, რომ მათთვის ეთქვა, ქვეყნის მთავარი გამგებელი თქვენი ძმააო. თვითონ ძმა კი არც მაშინ გამოეცნაურა, როცა ქანაანიდან ჩამოსულმა ძმებმა თავის მართლების დროს უთხრეს: „ათორმეტნი ძმანი ვართ, მონანი შენნი, ქვეყანისა ქანაანისასა, და აჰა, უმრწემესი ჩვენი მამისა ჩვენსა თანა არს, ხოლო სხვაი იგი არღა არს“, ე. ი. მოკვდაო. ეს „მკვდარი“ ძმა აგერ ეგვიპტის გამგებელია და სათხოვნელად მოსულ ძმებს ესაუბრება, რომელთაც ის გაყიდეს. — კარგით, ნუ მატყუებთ, — გაიმეორა იოსებმა. — განა არ ვიცი, მსტოვრები რომ ხართ და ქვეყნის დასაზვერავად მოსულხართ? ჩვენი სუსტი ადგილი უნდა გამოჩხრიკოთ, რომ თქვენი ხალხი შემოიჭრას და ჩვენს ქვეყანას დაეპატრონოს.

ცოტა გაუგებარია, რანაირად უნდა შემოჭრილიყო ებრაელი ხალხი, რომელიც იმ დროს მხოლოდ იაკობის ოჯახისაგან შედგებოდა, რადგან ესავი, როგორც უმემკვიდრო, იდუმეველთა წინამძღოლი გახდა, — და როგორ უნდა დაეპყრო ამ ერთ ოჯახს ეგვიპტე, უზარმაზარი, მჭიდროდ დასახლებული, ძლევამოსილი სახელმწიფო, რომელიც თავისი ხორბლის მარაგით, როგორც ბიბლიის ავტორები ფანტაზიორობენ, მთელი მაშინ-

დელი მსოფლიოს ბედლის მაგიერობას ასრულებდა. მაგრამ მივყვეთ იოსების სიტყვას:

— მაგასაც გავიგებთ, ამბობთ თუ არა სიმართლეს, — უთხრა ძმებს. — ერთის გარდა ყველას ციხეში ჩაგყრით. ის ერთი შინ დაბრუნდება და უმცროს ძმას მოიყვანს.

ასედაც მოიქცა. ათივე ძმა საპყრობილეში ჩასვა. მესამე დღეს ათივენი ისევ მოჰგვარეს.

— მე გადავიფიქრე, — უთხრა. — აქ მძევლად მხოლოდ ერთი თქვენგანი დარჩება, დანარჩენები შინ დაბრუნდებიან. შეგიძლიათ ხორბალი წაიღოთ. ოღონდ დაუყოვნებლივ გამობრუნდით და უმცროსი ძმაც მოიყვანეთ, თორემ თქვენი ძმა ციხეში დალევს სულს.

მძევლად სიმონი აირჩია. დანარჩენი ძმების თვალწინ დაადო ბორკილი და სხვები გაუშვა. იმავე დროს თავის ხელქვეითებს უბრძანა ტომრებში ხორბალთან ერთად ჩაეწყოთ ის ფული, რაც გადაიხადეს. გზაში იოსების ერთ-ერთმა ძმამ ტომარას თავი მოხსნა, რომ ვირისათვის სანოვაგე მიეცა და გაოცებული დარჩა: თავისი ფული ტომარაში ნახა. დანარჩენებსაც იგივე მოუვიდათ. გაოცება ელდამ შეცვალა. ქანაანში რომ ჩავიდნენ, იაკობს ყველაფერი უამბეს. პირველად არაფრით არ თმობდა ბენიამინს, მაგრამ როცა ეგვიპტიდან ჩამოტანილი პური შემოაკლდათ, იუდამ აიძულა, რომ ღვიძლი შვილი შორეულ ქვეყანაში გაეშვა.

— თუ აუცილებელია ჩემი შვილის გაშვება, მოიქეცით ისე, როგორც შეატყოთ. წაიღეთ ხილი, ბალზამი, თაფლი, სტირაქსი* და საკმეველი, ფისტუღი და ნუში, წაიღეთ აგრეთვე ორჯერ მეტი ფული, ვიდრე ტომრებში ნახეთ, რადგან ეს, ეტყობა, გაუგებრობა იყო, და იმ კაცს აჩუქეთ.

ჰოდა, აი, ისევ ეგვიპტის გზას გასდგომიან. როცა იოსებმა ნახა, რომ ბენიამინი მოჰყავთ, დიდი პატივით შეეგება, სიმონი გაათავისუფლა, დიდებული ნადიმი გაუმართა ყველას. ძმებს ფულის დაბრუნება უნდოდათ, მაგრამ იოსებმა არ ვაიკარა, ჩემი სალარო სავსეა, თქვენ ჩემი არა გმართებთ რაო.

— ეს ღმერთმა ჩადო ფული თქვენს ტომრებში, — იხუმრა იოსებმა.

ეს მარტივი ზღაპარი შექმნათა ორმოცდამესამე თავშია მოთხრობილი. მთელი თავისი გულკეთილობისა და დიდსულოვნობის მიუხედავად არც იოსებისათვის იყო უცხო ცბიერება და მისტიფიკაცია. მაშინ, როცა მისი ძმები ნადიმობდნენ და კეთილშობილი ვეზირის სადღეგრძელოებს სვამდნენ, მან მსახურს უბრძანა, ბენიამინის ნივთებში ფარულად ჩემი საუკეთესო ვერცხლის ფიალა ჩაადგეო. ამის შემდეგ ძმებს ნება მიეცათ წასულიყვნენ. მაგრამ როცა ქარავანი საკმაოდ შორს იყო წასული, იგივე

---

* სტირაქსი (ბერძ.) — სურნელოვანი ბალზამი, ხის ქერქიდან გამოდის.

მსახური დაადევნა შეიარაღებული რაზმით. მსახურმა თერთმეტ ძმას უსაყვედურა, უმადურები ყოფილხართ, სიკეთისათვის ბოროტი გაგიკეთეთო.

— თქვენ მოიპარეთ, — უთხრა; — „რად მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა წილ? რად მომპარეთ მე ბარძიმი ვეცხლისა? არა ესე არს, რომელითა სვამს უფალი ჩემი და ზმნით იზმნის იგი მას, ბოროტ-ჩიელობსო) *(შექმნ., 44, 5)*.

ეს დეტალი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ წმინდა იოსები მარჩიელობდა. ვერცხლის ბარძიმში ყავას ჩაასხამდა და დანალექში მისნური კითხვების პასუხს ეძებდა!

იაკობის შვილები ბრალდებას უარყოფენ და ამტკიცებენ, ბარძიმს რანაირად მოვიპარავდით, როდესაც თქვენი ფული ჭანაანიდან დავაბრუნეთო! თუ ნაქურდალი მართლა აღმოაჩნდება რომელიმე ჩვენგანს, მზადა ვართ ეგვიპტეში დავრჩეთ მონებად და თუნდაც სიკვდილს მისცეთ ის, ვისაც ბარძიმი აღმოაჩნდება, ხმას არ ამოვიღებთო.

„და ისწრაფეს და გარდამოიღეს თვითეულმან ვაშკარანი (ტომარა) თვისი ქვეყანასა ზედა, და განხსნა თვითეულმან ვაშკარანი თვისი.

ხოლო ეძიებდა, დამწყებელი უხუცესითგან, ვიდრე მოვიდა უმრწემესისა მომართ, და პოვა ბარძიმი იგი ვაშკარანსა შინა ბენიამენისსა.

და დაიპეს მათ სამოსელნი მათნი, და დასდვა თვითეულმან ვაშკარანი თვისი კარაულსა (სახედარსა) ზედა და მიიქცეს ქალაქად.

და შევიდა იუდა და ძმანი მისნი იოსების მიმართ... და დაცვივეს წინაშე მისსა ქვეყანასა ზედა“ *(შექმ., 44, 11—14)*.

სხვა რა გზა ჰქონდათ? იყვნენ თუ არ იყვნენ ქურდები, ბარძიმი მათს ნივთებში აღმოჩნდა, ქურდობა აშკარად მტკიცდებოდა. სასოწარკვეთილი ძმები იოსების წინაშე დამხობილიყვნენ და თავს იკლავდნენ. საბედნიეროდ, იოსებს მოსწყინდა ეს ურიგო ხუმრობა ღვიძლ ძმებთან, რომელთაც ის გაყიდეს, მართალია, მაგრამ მაინც ძმები იყვნენ. იოსებმა ერთხელ კიდევ დაწვრილებით გამოჰკითხა დამნაშავეებს სახლის ამბავი. ძმებმა უთხრეს, ასე და ასეა ჩვენი საქმე, ერთი მოხუცებული მამის გარდა შინ აღარავინ დაგვიტოვებია და თუ იმას უმცროს შვილს არ მივუყვანთ, მოკვდებაო. ასედაც უთხრა: „და აწ უკეთუ წარიყვანოთ ესეცე (ბენიამენი) პირისაგან ჩემისა, და შეემთხვიოს მას უძლურება გზასა ზედა, შთაიყვანოთ სიბერე ჩემი მწუხარებით ჯოჯოხეთადო“.

იოსებმა ველარ გაუძლო ძმების გოდებას, გარეთ გაუშვა ყველა მსახური და უთხრა: მე ვარ თქვენი ძმა იოსები! ისევ ცოცხალია საცოდავი მამაჩვენიო? შეშფოთებულ-გაოცებულ ძმებს სიტყვა ვერ ეპოვათ. დაიწყო საერთო მხიარულება. რაღა საჭიროა ნერვებისა და გონების ზედმეტი გარჯა იმის წარმოსადგენად, რა მეფური წვეულება გამართა მინისტრმა ძმე-

ბის „გამოჩენისა“ და მთელი თავგადასავლის ბედნიერად დამთავრებასთან დაკავშირებით!

მთელს ამ თხრობაში ერთი წვრილმანია საინტერესო: ბიბლიას ბენიამინი რატომღაც ყოველთვის პატარა ბავშვად ჰყავს გამოყვანილი. ეს ბავშვი თითქოს არ იზრდება, ან მისი წლები წლებად არ ითვლება მასთან, თუ გავითვალისწინებთ მთელს წარსულს, და გავიხსენებთ, რომ ბენიამინის შობას გადაჰყვა, უნდა დავასკვნათ, რომ ეს მარადიული ყმაწვილი იოსებზე ოთხი-ხუთი წლით თუ იქნებოდა უმცროსი. იოსები კი ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა ძმებმა მონად გაყიდეს. თამარი, რომელიც თანმიმდევრობით ჰყავდათ ცოლად იუდას შვილებს (ორს, მესამესთან არ დააცალეს), კიდევ ოცდახუთი წლის შუალედს ტოვებს. ამრიგად, როცა ძმებმა ეგვიპტეში იპოვეს, იოსები ასე ორმოცდაათი წლისა მაინც იყო[*]. პატარა ბენიამინი დიდი ხანია აღარ არის პატარა. მაგრამ ბიბლია საერთოდ მოისუსტებს არითმეტიკაში. ეს მისი ყველაზე უფრო მტკივნეული ადგილია.

ბიბლიური ფარაონი ძალიან გახარებული იყო, როცა გაიგო თავისი მინისტრის შეხვედრის ამბავი თავის ძმებთან: „განიხარა ფარაო და ყოველთა მსახურთა მისთა“. მეტი საქმე არა ჰქონდათ! რაკი ფარაონს გაუხარდა, მსახურებს რაღა უფლება ჰქონდათ არ გახარებოდათ!

იოსებმა ძმებს სთხოვა, ჩადით ქანაანში და მამა ჩამოიყვანეთო. განზრახული ჰქონდა მისიანების დასახლება ჰესემში, რამდენიმე წლით მაინც, რადგან შიმშილობის ხუთი წელი ჯერ კიდევ წინ იყო. ეს აზრი მეფესაც მოეწონა.

„და სთქვა ფარაო იოსების მიმართ: არქვი ძმათა შენთა, ესე ყავთ: აღავსენით ჭურჭელნი თქვენნი იფქლითა და წარვედით ქვეყანად ქანაანისა.

და წარმომყვანებელნი მამისა თქვენისანი, მოვედით ჩემდა. და მოგცნე თქვენ ყოველნი კეთილნი ეგვიპტისანი, და სჭამდეთ ტვინსა ქვეყანისასა. ხოლო შენ ამცენ ესრეთ ძმათა შენთა: მიყვანებად მათდა ურმები ქვეყანით ეგვიპტით შვილთათვის მათთა და ცოლთა.

და წარმომყვანებელნი მამისა თქვენისანი, მოვედით.

და ნუ რიდებთ თვალითა ჭურჭელთა თქვენთა, რამეთუ ყოველნი კეთილნი ეგვიპტისანი თქვენდა იყვნენ.

და ყვეს ესრეთ ძეთა ისრაელისათა...“ (შექმნ., 45, 17—21).

ცხადია, იაკობის შვილებმა გაიხარეს, რომ ეგვიპტის „მიწის ტვინის“ მირთმევის უფლება მისცეს*. ახლა მათი მოხუცი მამის სიხარული იკი-

---

* რუსულ ბიბლიაში ამ ადგილას წერია «тук земли» (მიწის ჭონი, სიპოხივრე), ლუთერის (და ლათინურ) ბიბლიაში კი „მიწის ტვინი“, «Das Mark im Lande» (ძვლის ტვინი). ქართული თარგმანი ზუსტი და ხატოვანია.

თხეთ! შვილი რომ ცოცხალი მოჰგვარეს, ფეხზე აღარ იდგა, ღონდ კი არ ფრინავდა, გრძნობა დაკარგა და დაბლა დაეცა, ისე გაუხარდა ახალი ამბავი.

„და მიუთხრეს მას, მეტყველთა, ვითარმედ ძე შენი იოსებ ცოცხალ არს, და იგი მთავრობს ყოველსა ქვეყანასა ეგვიპტელთასა. და განკრთა გონებაი იაკობისი და არა ჰრწმენა მათ.

ხოლო ეტყოდენ მას ყოველსა თქმულსა იოსებისსა, რაოდენი ჰრქვა მათ. იხილა რაი ურმები, რომელნი მიავლინა იოსებ, რათა წარიყვანონ იგი, განცხოველდა სული იაკობ, მამისა მათისა.

და სთქვა ისრაელ: დიდ არს ესე ჩემდა! უკეთუ ჯერეთ იოსებ, ძე ჩემი, ცოცხალ არს, წარვიდე და ვიხილო იგი, უწინარეს სიკვდილისა ჩემისა“ *(შეკმ., 45, 26—28)*.

შეუძლებელია ამ ფაქტის გვერდის ავლა. ძალიან უცნაური ჩანს ეს ფარაონი, გადამთიელებს რომ ეგვიპტის საუკეთესო მიწა დაუთქვა და მიწის ტვინით, ქვეყნის მთელი სიკეთით სარგებლობის უფლება. მაგრამ ეს კია, ვერავინ დასწამებს უმადურობას იოსების წინაშე.

ჰოდა, მოხუცებული იაკობი გზას გაუდგა იმ ქვეყნისაკენ, სადაც მისი დაკარგული შვილი მინისტრის სავარძელში აღმოჩნდა. იოსები იაკობს თავის უძვირფასესი ეტლით გამოეგება, და მამა-შვილი ერთიმეორეს გადაეხვივნენ, სიხარულის ცრემლით დაუნამეს ერთმანეთს გულმკერდი. მთელი ეს ამბავი ისე გულისამაჩუყებელია, რომ — ხომ მართალია? — მისი კითხვის დროს ძნელი შესაკავებელია ცრემლი.

ქვემოთ იაკობის ოჯახის სათვალავია: „ხოლო ყოველნი სულნი, შესრულნი იაკობის თანა ეგვიპტეს, გამოსრულნი წყვილთაგან მისთა, თვინიერ ცოლთა ძეთა იაკობისთა, ყოველნი სამეოცდა ექვს“.

დაიმახსოვრეთ ესეც: იოსებმა ძმებსა და ყველა თავის ნათესავს უთხრა: „თუ ფარაონი გიხმობთ და გეტყვით, რა ხელობისანი ხართო, ასე უპასუხეთ: „კაცნი ცხოვართა მზრდელნი ვართ, მონანი შენნი სიყრმითგან ვიდრე აქამომდე, ჩვენცა და მამანიცა ჩვენნი, რათა დავემკვიდრნეთ ქვეყანასა გესემისასა, არაბიას, რამეთუ საძაგელ არს მეგვიპტელთა ყოველი მწყემსი ცხოვართა“ (ე. ი. ეგვიპტელებს ყოველი მეცხვარე ეზიზღებათო).

თვითონ ფარაონმა კი იოსებს უთხრა: „მამა შენი და ძმანი შენნი, მოვიდეს შენდა. და აჰა ქვეყანა ეგვიპტისა წინაშე შენსა არს. ურჩეულესსა ქვეყანასა დაამკვიდრენ მამა შენი და ძმანი შენნი და ემკვიდრდნენ ქვეყანასა გესემსა. ხოლო უკეთუ უწყი, ვითარმედ არიან მათ შორის კაცნი ძლიერნი, დაადგინენ იგინი მთავრად ცხოვართა ჩემთა“ *(შეკმ., 47, 5—6)*.

მაშასადამე, ფარაონს საქონელი („საცხოვარი“) ჰყოლია? შემდეგ კი ვნახავთ, რომ მის ხალხსაც ბლომად საქონელი ჰყავს. მაშ საიდან აიღო

ბიბლიამ, რომ ეგვიპტელებს საშინლად სძულდათ მეცხვარენი და საერთოდ მესაქონლენი?

იაკობი ფარაონს წარუდგინეს. პატრიარქი მეფეს ლოცავდა. მოხუცს ამ დროს 130 წლისა იყო. იოსებმა ძმებსა და მამას მიწას უკეთესი ნაკვეთები მისცა და სანოვაგით მოამარაგა. მართალია, მთელს მსოფლიოს უჭირდა, მაგრამ ყველაზე მეტად ეგვიპტე და ქანაანი დაზარალდნენ.

იოსების ბრძნული მმართველობა ეგვიპტეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებავთ, გაიგოთ, რა ბრძნულად განაგებდა იოსები ეგვიპტეს? ეს უაღრესად სათნო ისტორია გახლავთ.

„ხოლო შეკრიბა იოსებ ყოველი ვეცხლი, პოვნილი ქვეყანასა ეგვიპტისასა და ქვეყანასა ქანაანისასა, იფქლითა მით, რომელსა იყიდდეს, და იფქლს უწყვიდა მათ. და შეიღო იოსებ ყოველი ვეცხლი პოვნილი სახლსა ფარაონსა.

და მოაკლდა ყოველი ვეცხლი, ვიდრე აღსპოლვადმდე ქვეყანისა ეგვიპტისაგან, და ქვეყანისა ქანაანისაგან, და მოვიდეს ყოველნი მეგვიპტელნი იოსების მიმართ, მეტყველნი, მომცენ ჩვენ პურნი, და რად მოვკვდებით წინაშე შენსა, რამეთუ მოაკლდა ვეცხლი ჩვენი? (ე. ი. ხორბლის ყიდვაში ვერცხლი გამოგველია და ამისათვის უნდა დავიხოცოთ შენს წინაშეო?)

და ჰრქვა მათ იოსებ: მოასხენით საცხოვარნი თქვენნი, და მოგცნე თქვენ პურნი, ნაცვლად საცხოვართა თქვენთა, უკეთუ მოაკლდა ვეცხლი.

და მოასხნეს საცხოვარნი თვისნი იოსების მიმართ, და მისცნა მათ იოსებ პური, ნაცვლად ცხენთა, და ნაცვლად ცხოვართა, და ნაცვლად ზროხათა, და ნაცვლად კარაულთა, და გამოზარდნა იგინი პურითა, ნაცვლად ყოველთა საცხოვართა მათთა მას წელიწადსა“ *(შეკმ., 47, 14—17)*.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს ხდება შიმშილობის მესამე წელს: გვალვა ისე ძლიერია, მიწა ისე გამკვრივდა და გაიპო, რომ ხორბალი არ მოდის, აგერ უკვე მესამე წელიწადია. თუ მიწა არ იძლევა ხორბალს, რაღა თქმა უნდა, არც ბალახი გაიხარებს. მაშ რაღას ჭამდა ეს საქონელი, რაც ეგვიპტელებს საერთოდ არც უნდა ჰყოლოდათ, რადგან ბიბლიის სიტყვით, საშინლად სძულდათ მესაქონლეები?

ყველაფერზე უფრო გასაოცარი ისაა, რომ ავტორი არაფერს ლაპარაკობს ნილოსის პერიოდულ ადიდებაზე, რაზედაც არის დამოკიდებული ეგვიპტის სოფლის მეურნეობა. აი, ეს ერთი დაუდევრობა საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ შვიდი წლის მოუსავლიანობა წმინდა წყლის ზღაპარია. ასეთი რამ ეგვიპტეში არ ხდება. ნილოსს მოაქვს შლამი, ველმინდორი ნოყიერდება და მოსავალი მოდის. მთელი მოთხრობა ჩვეულებრივი ბელეტრისტიკაა და არა ისტორია. შეუძლებელია, რომ შვიდი

ალბრეხტ დიურერი. ადამი და ევა. 1504 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გილბერტი. ადამიანის შექმნა და სამოთხიდან განდევნა. ფლორენცია. ბაპტისტერიის კარები.

მიქელანჯელო. სამოთხიდან განდევნა. დეტალი. სიქსტინის ჭერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუსტავ დორე. მსოფლიო წარღვნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაფაელი. იეღოვა ლომ-არწივზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალტდორფერი ხარაზა ალექსანდრეში. ვიდეტის ფილ ქალაქის.

ანდრეა დელ სარტო. აბრაამის მსხვერპლშეწირვა.

ნიდერლანდური სკოლა. ციური მანანა. ვარშავის მუზეუმი. XVI ს.

მიქელანჯელო. წარღვნა. დეტალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიანდრინო. რწმენისა და ურწმუნოების ბრძოლა. ბრუკენტალის მუზეუმი.

მიქელანჯელო. წარღვნა.

ნიკოლას პუსენი. მოსემ კლდეს კვერთხი დაჰკრა — წყარო გადმოსკდა.

ებრაელთა უფროსი ძღვენს მიართმევს ეგვიპტელ დიდებულს. აკლდამა.

ბრუნი. გველი რვალისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიქელანჯელო. მოსე. რომი. ვატიკანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიქელანჯელო. მოსე. დეტალი.

მიქელანჯელო. დავითი. მარმარილო. სიმაღლე 434 სმ. ფლორენცია. აკადემია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რემბრანდტი. საული და დავითი.

წლის განმავლობაში ნილოსი ერთხელაც არ ადიდებულიყო. ეს შეცვლიდა ქვეყნის გარეგნულ სახეს სამარადისოდ. საამისოდ საჭირო გახდებოდა ჯებირებით გადაეკეტათ მდინარის სათავე, რაც გარკვეულ დროს ტროპიკული წვიმების ღვართქაფისაგან ივსება და ზღვას ემსგავსება. მაშინ მთელი ეთიოპია უდაბურ ჭაობად იქცეოდა. თუნდაც იმ ტროპიკული წვიმების ნაკადი შვიდი წლის განმავლობაში შეწყვეტილიყო, მაშინ ტროპიკულ აფრიკაში სიცოცხლე მოისპობოდა. ტროპიკული აფრიკა დაუსახლებელი აღმოჩნდებოდა. რასაკვირველია, ასეთი საყოველთაო უბედურება წარღვნას დაედრებოდა და ჩვენი პლანეტის მრავალი მხარის ცხოვრებას მოშლიდა, როგორც სტიქიური რამ, დიდი კატასტროფა. არ შეიძლებოდა ეს ეგვიპტის ისტორიაში არ აღენიშნათ. ეს ხალხი ხომ ებრაელებზე ბევრად უფრო ძველია და მთელი თავისი ისტორიის საკმაოდ დაწვრილებით მატიანეს ქმნიდა. გადავშალოთ ისევ ბიბლია:

„ხოლო წარჰხდა წელიწადი იგი და მოვიდეს მისა მიმართ წელიწადსა მეორესა და ჰრქვეს მას (იოსებს): ნუ სადა მოვისპნეთ უფლისაგან ჩვენისა, რამეთუ, მოაკლდა ვეცხლი ჩვენი, და საქონელნი და ხვასტაგი შენდა მიმართ, უფლისა ჩვენისა, და არა რაი დაშთომილ არს წინაშე უფლისა ჩვენისა, თვინიერ სხეული და ქვეყანა ჩვენი.

და რათა არა მოვკვდეთ უკვე წინაშე შენსა, და ქვეყანა ჩვენი მოოხრდეს, მიყიდენ ჩვენ და ქვეყანა ჩვენი მონა ფარაოსისა. მომცენ ჩვენ თესლნი, რათა დავთესოთ და ცოცხალ ვიყოთ და არა მოვკვდეთ, და ქვეყანა არა მოოხრდეს.

და მოუგო იოსებ ყოველი ქვეყანა ეგვიპტისა ფარაოს, რამეთუ მისცეს მეგვიპტელთა ქვეყანა მათი ფარაოს, რამეთუ განაშორა მათ სიყმილი და იყო ქვეყანა ფარაოსი.

და ერი დაუმონა მას მრწემად კიდეთათგან საზღვართა ეგვიპტისათა ვიდრე კიდეთამდე.

თვინიერ ქვეყანისა ხოლო მღვდელთასა. ესე არა მოიგო იოსებ, რამეთუ მიცემით სცემდა საცემელსა მღვდელთა ფარაოსთა. და სჭამდეს საცემელსა მას, რომელსა მისცემდა მათ ფარაო. ამისათვის არა მისცეს ქვეყანა მათი.

ხოლო ჰრქვა იოსებ ყოველთა მეგვიპტელთა: აჰა მომიგიეთ თქვენ და ქვეყანა თქვენი დღეს ფარაოსდა, და მიიხვენით თავთა თვისთათვის თესლნი და დათესეთ ქვეყანა.

და იყავნ, ნაყოფთა მისთაგან მოეცით მეხუთე წილი ფარაოს, ხოლო ოთხნი წილნი იყვნენ თქვენდა, სათესლეთ ქვეყანისა, და საჭმელად თქვენდა და ყოველთა სახლისა თქვენისათად.

და მათ სთქვეს: მაცხოვნენ ჩვენ. ვპოეთ მადლი წინაშე უფლისა ჩვენისა და ვიყვნეთ მონა ფარაოსა“ *(შექმ., 47, 18—25)*.

დახეთ, მთელი ეგვიპტე იყიდა ხორბლით და ფარაონს დაუმონა! მართვის ასეთ ხასიათს იოსებისათვის, ცხადია, ქვეყნის მჭამელის სახელი უნდა მოეხვეჭა და არა ქველმოქმედისა, როგორც ბიბლია გვიხატავს. თუ ეს ყველაფერი მართლა მოხდა და იოსების მმართველობა შიმშილობის პირველ წლებში ბრძნულად ჩაითვლებოდა, შემდეგ და შემდეგ ჩადენილ ღონისძიებებს, სასტიკ ექსპლოატაციასა და ქვეყნის დამონებას მისი გონების სიჩლუნგე და გულის სისასტიკე საქვეყნოდ ცნობილი უნდა გაეხადა.

ისტორიას არ ახსოვს სახელმწიფო მოღვაწის ასეთი მოქმედების სხვა მაგალითი. მინისტრი, რომელიც გნებავთ ქვეყნის მბრძანებელი რომ ასე მოქცეულიყო, აჯანყებასა და სასტიკ სასჯელს ვერ გადარჩებოდა. გამძვინვარებული ხალხი უსათუოდ აეშლებოდა.

საბედნიეროდ, ეს სასტიკი ამბავი უბრალოდ შეთხზული ტყუილია. მეტისმეტად აშკარა სისულელეა ქვეყნის მთელი საჭონლის შესყიდვა იმ დროს, როცა მიწა ბალახს არ იძლევა. მთელი ეგვიპტე ლეშისაგან აყროლდებოდა. ხოლო თუ საძოვრებს რამეს მიცემა შეეძლოთ, ყანებიც შესძლებდნენ, ეს ხომ ერთიმეორესთანაა დაკავშირებული! იქნებოდა ბალახი — იქნებოდა მოსავალიც. ეგვიპტის მიწა ქვიშიანია და მხოლოდ ნილოსის ადიდებას შეუძლია მისი განოყიერება. თუ დავიჯერებთ, რომ შვიდი წლის განმავლობაში ერთიანი გვალვა იყო, მთელი პირუტყვიც დაიხოცებოდა. მეტიც, იმ დროს მხოლოდ მეოთხე წელი იდგა შიმშილობისა. რაღა აზრი ჰქონდა ხალხისათვის სათესლე ხორბლის მიცემას, თუ მომდევნო სამი წლის განმავლობაში ამ მარცვალს გაღვივება არ ეწერა? შიმშილობის ეს შვიდი წელი — ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაუჯერებელი მონაჭორია, როგორიც სულიწმინდამ — ოინბაზმა მტრედმა შემოგვთავაზა წმინდა წერილში.

შესანიშნავია ის პატივისცემაც, რასაც „წმინდა ავტორი" ამჟღავნებს ეგვიპტის ქურუმების წინაშე. მხოლოდ ამ წარმართ ქურუმებს თანაუგრძნობს იოსები, მათი მიწა თავისუფალია. როცა მთელი ხალხი მონობის უღელში გაება, მხოლოდ ქურუმების კასტა იკვებება ხალხის დოვლათით. საქმე ისაა, რომ ბიბლია შეიცავს რელიგიურ დოგმატებს, რომელთაც „ღმერთის წარმომადგენლები" იცავენ. ამით უჭედავენ თავს ხალხებს. ამ ეპიზოდშიც ბიბლია მოწიწებას უნერგავს მკითხველს ყოველი კულტის, ყოველი რელიგიის წინაშე. ქურუმებმა ერთიმეორე არ უნდა ჭამონ! ქრისტიანმა არ უნდა ჭამოს ებრაელი, ებრაელმა — წარმართი; ხელი ხელს ჰბანს!

„მტრედი — იხვი" შემდგომ მოგვითხრობს, რომ იაკობმა ეგვიპტეში კიდევ ჩვიდმეტი წელი იცოცხლა და მერე გარდაიცვალა. საერთოდ კი ას ორმოცდა შვიდი წელი იცოცხლა. მთელი ორი თავი (48—49) ეთმობა მოხუცი პატრიარქის ლოცვა-კურთხევას, რასაც სიკვდილის სარეცლის სი-

მაღლიდან აფრქვევს. ლოცავდა თავის თორმეტსავე შვილს, სარეცლის გარშემო თავმოყრილთ. ოთახში რომ ორი უცნობი შენიშნა, იკითხა, ეს ვინღა არიანო. იოსებმა უპასუხა, ჩემი შვილები მომიყვანიაო. ჩვიდმეტი წელი იცოცხლა პატრიარქმა ეგვიპტეში ჩამოსვლის დღიდან და ნუთუ შვილიშვილები ერთხელაც არ წარუდგინეს პაპას?..

ლოცვა-კურთხევა, რაც იაკობმა შვილებს უბოძა, არაა მოკლებული ზოგიერთ საყვედურსა და სამდურავს. მაგალითად, რუბენმა, რომელმაც მამას რქები დაადგა, იმ დღეს მემკვიდრეობა დაკარგა, პირველშობილის უფლება წაართვეს:

„რუბენ, პირმშო ჩემი, შენ — ძალი ჩემი, დასაბამი შვილთა ჩემთა! ფიცხლად სჩნდი, ფიცხლად და თავხედად მაწყინებდი.

ნუ ვითარცა წყალი გარდასდუღდები, რამეთუ აღხედ საწოლსა ზედა მამისა შენისასა და შეაგინე სარეცელი, რომელსა აღხედ“ (შექმ., 49, 3—4).

იმ მოხუცმა იაკობმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ თანახმა იყო პატარა დინა მიეთხოვებინა მთავარ სიქემისათვის და გულში კიცხავდა სიმონსა და ლევის იმ არაადამიანური ხოცვა-ჟლეტისათვის, ამიტომაც არ მიაკუთვნა მათ უფროსობის უფლება, რუბენს რომ წაართვა, და ამას გარდა სასტიკადაც გაკიცხა მათი ძალმომრეობა.

„სვიმეონ და ლევი ძმათა აღასრულეს სიცრუვე ხდომისაგან მათისა. განზრახვასა მათსა ნუ მივალნ სული ჩემი, და შეკრებასა მათსა ზედა ნუ აღყვებინ ღვიძლნი ჩემნი, რამეთუ გულის წყრომითა მათითა მოსწყვედდეს კაცთა და გულის თქმითა მათითა ძარღვი კეთილ ყვეს კუროი.

წყეულ იყავნ გულის წყრომა მათი, რამეთუ თავ-ხედობა და ბოროგაი მათი განფიცხნა. განყვნე იგინი იაკობსა შორის და განვთესნე იგინი ისრაილსა შორის“ (შექმ., 49, 5—7).

ღვთისმეტყველნი წინასწარმეტყველურად თვლიან ყველა სიტყვას, რაც კი იაკობმა სიკვდილის სარეცელზე წარმოთქვა. მით უფრო საინტერესოა ქვემოთ ლევის შთამომავალთა ხილვა, რომელნიც სულაც არ ყოფილან ბედშეკრულნი და მარცხიანნი. სწორედ მათ—ლევიტელებს გადაეცათ ისრაელთა მემკვიდრეობა ყველა თავისი მოგებითა და პრივილეგიითურთ.

კაცმა რომ თქვას, უპირატესობა უნდა მისცემოდა იოსებს, საყვარელ რაქილის პირველ პირმშოს, იოსებს, იაკობის სიბერის ნუგეშს, მისი სიხარულის წყაროს, მთელი მისი ოჯახის გამაბედნიერებელს. მოხდა კი სრულიად სხვა რამ: იაკობის ლოცვა-კურთხევა ერგო იუდას, ქრისტეს წინაპარს, რომელმაც ძმებს ჩააგონა, იოსები ეგვიპტეში მიმავალ ვაჭრებს მივყიდოთო. სწორედ ეს სისხლისაღმრევი იუდა აღმოჩნდა იაკობის გულთან უფრო ახლოს, ვიდრე ღვთისმოსავი იოსები. სწორედ იუდას გადასცა

მოხუცმა იაკობმა პატრიარქობა, რაც მისი ღვთაებრივი მემკვიდრეობის ნაწილს შეადგენდა.

„იუდა, შენ გაქებდენ ძმანი შენნი, ხელნი შენნი ზურგსა ზედა მტერთა შენთასა, თაყვანის გცემდენ შენ ძენი მამისა შენისანი.

ლეკვი ლომის იუდა, მორჩისაგან აღმოჰხედ, შვილო ჩემო, მიწოლილ მან მიიძინე, ვითარცა ლომმან, და ვითარცა ლეკვმან ლომისამან, ვინ აღადგინოს იგი?

არა მოაკლდეს მთავარი იუდასაგან, და წინამძღვარი წყვილთაგან მისთა, ვიდრემდის მოვიდეს, რომლისა იგი დამარხულ არს და იგი არს მოლოდება წარმართთა.

გამოაბას ვენახსა კიცვი მისი და რჩასა ვენახისასა კიცვი ვირისა მისიაო (ე. ი. ჩოჩორი), და სისხლითა ყურძნისათა — მოსაბლარდნელი თვისი.

მხიარულ იყვნეს თვალნი მისნი უფროს ღვინისაგან, და პეტკაკნი მისნი უფროს სძისა“ (შექმ., 49, 8—12).

დანარჩენებმა საკმაოდ მარტივი დალოცვა მიიღეს. რაც შეეხება იოსებს, მართალია, პატრიარქის წოდება არ მიუღია და ამდენად იაკობის მემკვიდრე არ ყოფილა, მაგრამ რამდენიმე კეთილი სიტყვა მასაც ერგო:

„და შეგეწია შენ ღმერთი ჩემი და გაკურთხა შენ კურთხევითა ზეცისათა ზენაით, და კურთხევითა ქვეყანისა მტვირთველისა ყოველთასა. კურთხევისათვის ძუძუთა და საშოსათა.

და კურთხევითა მამისა შენისა და დედისა შენისათა, და განძლიერდი უფროს მთათა მყართასა და კურთხევითა ბორცვთა საუკუნოთასა. და იყვნენ თავსა ზედა იოსებისა, და თხემსა ზედა, რომელი უძღოდა ძმათა.

ბენიამენ მგელ მტაცებელ ცისკარსა სჭამდეს და მწუხრი განუყოს საზრდელი.

ყოველნი ესე ძენი ათორმეტნი, და ესენი ჰრქვნა მათ მამამან მათმან, და აკურთხა იგინი“ (შექმ., 49, 25—28).

ბოლოს იაკობმა შვილებს დაუბარა, ჩემი ნეშტი ეგვიპტიდან გაასვენეთ და მაჰპელეს გამოქვაბულში დამკრძალეთო, „რომელ არს ქანაანს“, „აგარაკსა ეფრონ ქეტელისასა“ — აბრაამის, სარას, ისააკის, რებეკას და ლიას გვერდით.

„და დასცხრა იაკობ, მამცნებელი ძეთა მისთა და ამხმელი ფერხთა ცხედარსა ზედა, მოკვდა და შეეძინა მამათა თვისთა“ (შექმნ., 49, 33).

მრავალცოლიან პატრიარქს განსაკუთრებული პატივი სცეს: ნეშტი მისი დააბალზამეს, უხრწნელ-ქმნეს, ქანაანში გადაასვენეს და მეფური დიდებით დაკრძალეს. თუ ორმოცდამეათე თავს—შექმნათა წიგნის უკანასკნელ თავს ვერწმუნებით, ეგვიპტელებს ამ გადამთიელი ბერიკაცის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოცდაათი დღე ეცვათ ძაძები, რაც შეძლება მორიგ ბიბლიურ სასწაულად ჩაითვალოს.

იოსები მოესწრო თავისი დიდების მზის ჩასვენებას, ბოლომდე ეხმარებოდა ძმებსა და მათს უთვალავ შთამომავალთ. შვილიშვილებით და შვილთა შვილიშვილებით გარემოცული იოსები ას ათი წლის გარდაიცვალა. ქრისტიანული სარწმუნოებით ის „წმინდანისა და ნეტარის“ ტიტულებს ატარებს. თუ ეგვიპტიდან აიყაროთ, ჩემი ნეშტი აქ არ დატოვოთო, ასეთი იყო იოსების უკანასკნელი ანდერძი.

უფალი ღმერთის ახალი ფავორიტი — „წმინდა ღვთისმჯვრეტელი“ მოსე

ქრისტიანული ბიბლიოთეკა

იგნი მეორე მოსესი გამოსვლათა“ — ესაა წიგნი ებრაელთა ძნელბედობისა: ეგვიპტიდან მათი გაქცევისა და ხანგრძლივი ხეტიალისა სინაის ნახევარკუნძულის უდაბნოებში. მას ავსებენ ლევიტელთა, „რიცხვთა“ და „მეორე სჯულის“ წიგნები. სულ ესაა მოსეს ხუთი წიგნი, ბიბლიის პირველი და მთავარი ნაწილი.

ბიბლია მოგვითხრობს, რომ ებრაელთა მოგზაურობა ეგვიპტიდან აღთქმულ ქვეყნამდე ორმოცი წელი გრძელდებოდა. შეხედეთ არაბეთისა და პალესტინის რუკას. ებრაელებმა ეგვიპტე მიატოვეს „პირისპირ ბელსეფონსა“ *(გამოსვ., 14, 2, 9)*, რასაც ახლა სუეცი ეწოდება. ამ ადგილას გადავიდნენ თითქოს წითელ ზღვაზე. შემდეგ სუეცის უბის ნაპირს მიჰყვებიან, რეფიდიმამდე ჩავიდნენ და სინაის მთიანი მასივი განვლეს. სინაის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მათ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაუხვიეს, ასიროთისკენ. შემდეგ ჩრდილოეთისაკენ ქნეს პირი და მკვდარ ზღვას შემოუარეს. ასე მიაღწიეს იერიქონს.

მთელი ეს გზა ათას კილომეტრსაც არ შეადგენს. კოჭლი ხეიბარიც კი გაივლიდა სამ თვეზე ნაკლებ ხანში ამ მანძილს, თუნდაც გზისპირა ტრაქტირებში შეევლო და ქეიფი გაეწია. ებრაელებმა კი ამ გზის გავლას ორმოცი წელი მოანდომეს. თავსა ვხრით და ვიცინით ამ მორიგი მონაჭორის წინაშე, რაც ბიბლიის ავტორებს მტრედმა უკარნახა, რათა მორწმუნეთა სუფრაზე ნუგბარ კერძად მიეტანათ.

მორწმუნეები კითხვებს არ იძლევიან და ყველა აბი ციების წამალი ჰგონიათ, ისე ყლაპავენ. ცოტათი მაინც რომ დაფიქრებულიყვნენ, გამოსვლათა წიგნის კითხვის დროს გაუკვირდებოდათ მაინც, რომ მოსე, რომელსაც ეს წიგნი მიეწერება, რომელიც თითქოს ეგვიპტეში აღიზარდა და ცხოვრობდა მრავალი წელი, თავის წიგნში არაფერს არ ამბობს იმ სახელოვანი ქვეყნის ზნეობაზე, კანონებზე, პოლიტიკაზე, რელიგიაზე, ისტორიაზე, რომელიც მაშინდელი ცივილიზაციის მწვერვალზე იდგა. ეგვიპტელები, მოსეს თანამედროვენი, თავიანთი დროის განათლებულ მსოფლიოს სათავეში დგანან. ამ ეპოქაში იფურჩქნებიან ქალაქები მემფისი და თებე, „გამოსვლათა“ ავტორმა კი, ეტყობა, მათი არსებობის შესახებ არაფერი

იცის. სიტყვასაც არ ამბობს ამ დიდმშვენიერი ქალაქებია შესახებ, რომელთა სიმდიდრისა და სიძლიერის ამბავი მთელმა მსოფლიომ იცოდა. რაც შეეხება ეგვიპტის მაშინდელ მბრძანებლებს, წმინდა წერილის ავტორი მათ განურჩევლად ეძახის ფარაონს, ალბათ არ იცის, რომ [illegible] არის. სიტყვა „ფარაონს" ეგვიპტელები თავიანთ მეფეს ეძახდნენ, იმგვე როგორც იაპონელები ეძახიან თავიანთ იმპერატორს „მიკადოს".

როცა მოსე ეგვიპტის მბრძანებლებზე ლაპარაკობს, მიაწერს მათ იმ მოვლენებს, რომელთაც ერთიმეორისაგან საუკუნეები აშორებენ, და სხვა სახელს ვერ პოულობს, ყველას ერთნაირად უძახის „ფარაონს", ეს ისეთივე ამბავია, რომ ვინმე ცრუ ისტორიკოსმა მაგალითად რუსეთის ისტორიის გადმოცემა ითავოს, სინამდვილე ზღაპრად აქციოს და უბრალოდ თქვას „მისი უდიდებულესობა რუსეთის მეფე", ისე რომ არ დაასახელოს არც ივანე მრისხანე, არც პეტრე დიდი, არც ნიკოლოზ I. ასეთი ისტორიკოსი უბრალო უმეცარი იქნებოდა, ქვეყანას გააცინებდა. როგორ შეიძლება სერიოზულად შევხედოთ „შექმნათა" თუ „გამოსვლათა" ავტორს? ის იცნობს და ზუსტად ჩამოთვლის ყოვლად უმნიშვნელო და უმცირეს მთავრებს, როცა საქმე ეხება დავიწყების წყვდიადში ჩანთქმულ ან არარსებულ სამეფოებს, რომელთა ისტორიას ვეღარავინ შეამოწმებს, ან სულაც მოგონილ ქალაქ-სახელმწიფოებს, როგორიც არიან სოდომი, გომორი, გერარი და ა. შ., ხოლო როდესაც ლაპარაკია საქვეყნოდ ცნობილ სახელმწიფოებზე, მაგალითად ეგვიპტეზე, მისი ცოდნა ისე მოიკოჭლებს, რომ ვეღარ ბედავს, ესა თუ ის ფარაონი, რომელსაც გვაცნობს, თუთმოსად გაგვაცნოს, ამენხოტეპად თუ რამზესად. დაწვრილებით მოგვითხრობს იმ ამბებს, რომელთა შემოწმება შეუძლებელია, ხოლო ენაზე კლიტეს იდებს და ზოგადი ფრაზებით კმაყოფილდება მაშინ, როცა ისტორიული ცნობები შემონახულია და იოლად შეიძლება მისი შიშველი ფანტაზიის ტყუილებში დაჭერა.

უკუთისმეტყველებმა, რომელთაც მოსეს სუთი წიგნი ჭეშმარიტებია უმაღლეს გამოხატულებად გამოაცხადეს, ვერ გაითვალისწინეს სწავლული ეგვიპტოლოგთა აღმოჩენები და არხეინად ადგენდნენ სამყაროს შექმნის თარიღებს ბიბლიური ზღაპრების საფუძველზე. ასე, რომ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ანგარიშით, „სამყაროს შექმნა" მოხდა ქრისტეს დაბადებამდე არც მეტი, არ ნაკლები, 4004 წლით ადრე, მსოფლიო წარღვნა კი—3229 წელს". სინამდვილეში კი მინამ, ეგვიპტელმა სარდალმა, ეს ქვეყანა გააერთიანა და ერთი მძლავრი სახელმწიფო შექმნა 3200 წლით ადრე ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაწყებამდე.

ეგვიპტის ისტორიული ძეგლები ახსნილია და გაშიფრულია, წაკითხულია მატიანე საუკუნეებისა, ქვებსა და ობელისკებზე რომ წერია, ცნობილია დიდი ფარაონების ისტორია, დიდი ტაძრების აგების ამბავი, ქალა-

ქებისა და პირამიდების საიდუმლოებანი. ებრაელთა „გამოსვლა“ ეგვიპტიდან, რასაც ღვთისმეტყველნი ვარაუდობენ XV საუკუნისათვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე, უნდა მომხდარიყო ფარაონ თუთმოს მესამის ან ამენხოტეპ მესამის ჟამს. მაგრამ ამ მეფობათა ისტორიაში [illegible] წყობა „გამოსვლათა“ წიგნის მოთხრობას. ეს ძლევამოსილი [illegible] ფარაონები ფლობდნენ ეთიოპიას, არაბეთს, მესოპოტამიას, ქანაანს, ნინევიას და კუნძულ კვიპროსს. მათი მოხარკეები იყვნენ ბაბილონელები, ფინიკიელები... მათი წარმატება შორს იყო გავრცელებული დასავლეთ აზიაშიც. ცნობილია ვრცელი სია ქალაქებისა და სახელმწიფოებისა, რომლებიც იმ ეპოქაში ეგვიპტელებს დაუმორჩილებიათ. არც ერთი ფარაონი არ დაღუპულა ისე უაზროდ და უსახელოდ, როგორც ბიბლია გვარწმუნებს.

ეს წინასწარი ცნობები დაგვეხმარება იმაში, რომ უფრო დაწვრილებით მივყვეთ მოსეს მითს.

ამრიგად, ნნ ებრაელი ეგვიპტეში კალიასავით მომრავლდა და „განძლიერდეს ფრიად, რამეთუ განამრავლებდა მათ ქვეყანა იგი“ (*გამოსვ., 1, 7*). ფარაონმა, რომელიც იმ ბიბლიურ დროს ქვეყანას განაგებდა, სრულიად დაივიწყა იოსების დამსახურება ხალხის წინაშე. მეტისმეტად სასტიკი გამოდგა ეს ფარაონი (ჩვენც სწორედ იმ სახელს დავუძახებთ, რაც წმინდა ავტორმა დაუსაკუთრა). ყოველნაირად ამდაბლებდა ეგვიპტეში დამკვიდრებულ ებრაელებს. „და რაოდენ იგინი დაამდაბლებდეს, ეგეოდენ ესენი უფროს განმრავლდებოდეს. და განძლიერდეს ფრიად და საძაგელ იყვნეს ეგვიპტელთა ძენი ისრაელისანი და აჭირვებდეს ეგვიპტელნი ძეთა ისრაელისათა სალმობით.

ჭირითა ცხოვრებასა მათსა, საქმითა მით ფიცხელითა, თიხითა და აგიზითა და ყოვლითავე საქმითა ველისათა, და ყოველსავე საქმესა, რომლითა დაიმონებდეს მათ სასტიკად.

ჰრქვა მეფემან ეგვიპტისამან ყრმისა ამქმელთა მათ ებრაელთასა, რომელთა სახელი ერთსა მას ერქვა სეფორა და მეორესა — ფუაი.

და ჰრქვა: ოდეს შეხვიდეთ ებრაელთა მიმართ აღქმად ყრმათა, უკეთუ წული იყოს, მოჰკალით იგი, და უკეთუ ქალი იყოს, განარინეთ იგი.

და შეეშინა ყრმისა ამქმელთა მათ ღვთისა და არა ჰყოფდენ, ვითარ იგი უბრძანა მათ მეფემან მეგვიპტელმან, და აცხოვნებდეს წულსა.

და მოუწოდა მეფემან ეგვიპტელთამან ყრმისა ამქმელთა მათ და ჰრქვა: რასა თვის ჰყავთ საქმე ესე, და აცხოვნებთ წულსა?

და ჰრქვეს ყრმისა ამქმელთა მათ ფარაოს: არა ვითარცა დედანი ეგვიპტელთანი არიან დედანი ებრაელთანი, რამეთუ შვიან, ვიდრე შესლვად ყრმისა ამქმელთა და მაშინ-ღა შეგვიწოდიან ჩვენ“ (*გამოსვ., 1, 12—19*).

მაშინ ფარაონმა ბრძანება გამოსცა, ახალშობილი ებრაელი ყრმები მდინარეში ჩაეხრჩეთო.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რა საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა ეს ბრძანება ებრაელთა ოჯახებს. მისი სისრულეში მოყვანა მით უფრო იოლი იყო, რომ იაკობის უბედური შთამომავალნი მონურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მფარველ კალთას მოკლებულნი, სრულიად ბეჩავნი და უუფლებონი. როგორც ზემოთ ბიბლია დავიმოწმეთ, უმძიმეს სამუშაოებს ასრულებდნენ, მეფის მოხელეთა ფეხქვეშ გათელილებს არავითარი ადამიანური კანონი არ იცავდა.

ჰოდა, ერთ-ერთმა დედამ, ლევიტელმა, იმდენი მოახერხა, რომ თავისი ყმაწვილი მთელი სამი თვის განმავლობაში შეუმჩნეველად გადამალა. მეტი აღარ შეეძლო, უსათუოდ გამოააშკარავდებოდა ეს საქმე, ან ვინმე დაასმენდა. ამიტომ შეშინებულმა დედამ ლერწმის კალათი დაწნა, ფისით ამოგლისა, ჩასვა შიგ ყრმა და მდინარის პირას ლაქაშებში დადგა. შემდეგ უფროს ქალიშვილს უბრძანა. შორიდან შეხედე, თვალყური ადევნე შენს ძმასო. ამ დროს მდინარეზე საბანაოდ ფარაონის ასული და მისი მოახლეები ჩამოვიდნენ.

წმინდა ავტორს ავიწყდება ახალგაზრდა პრინცესის შექება, და ეს ჟრიალ საწყენია: მეფის ასულის სითამამე ყოველგვარ ქებას იმსახურებს, ნიანგებით აქოთებულ ნილოსში ბანაობას რომ ბედავს, და მკითხველი ასეთ საგმირო საქმეს უდავოდ მოუწონებდა ფარაონის ასულს. ამას გარდა ფარაონის სასახლე მემფისში იყო (ნილოსის შუა წელზე), სადღაც ოთხმოცი კილომეტრის დაშორებით კი, მემფისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, „გესემის მიწაზე", სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, მეფის ასულის საბანაოდ წასვლა სკეპტიკოსებს აოცებთ, მაგრამ აბა რა გასაკვირია, რომ ადამიანის გადასარჩენად ფარაონის ასული ამაზე უფრო შორსაც კი წავიდეს? დროზე კი მიუსწრო, რაც მართალია, მართალია!

ყოვლისმცოდნე ღმერთის ნების გარეშე არაფერი არ ხდება, და თუ ყველა ყრმა, რომელთაც ნილოსში ახრჩობდნენ, ნიანგებმა შესანსლეს, ეს ერთი საგანგებოდ გადარჩა, რადგან უფალს თავისი მომავალი გეგმები ჰქონდა, დიდი ჭკუისა და ნებისყოფის თანაშემწე ესაჭიროებოდა. ცხადია, ფარაონის ასული საბანაოდ ასეთ სიშორეზე ღმერთმა გაუშვა, თანაც წინასწარ ჩაუნერგა მეფური გულგრილობა ნიანგებისა და ბეჰემოთებისადმი. მოხდა ისე, როგორც განგებას სურდა: პრინცესამ მცურავი აკვანი ნახა, ბავშვის ტირილმა გული აუჩუყა, მივიდა და მაშინვე მიხვდა, რომ მის წინაშე ებრაელი ბიჭუნა წევს. დედაც მივიდა. ვითომ სხვა ქალია. ფარაონის ასულმა უცნობი დედაკაცი მიიხმო, ყრმის მოვლა და ძუძუს წოვება დაავალა, გასამრჯელოს დაჰპირდა. თავისი კეთილშობილი საქციელით კმაყოფილი პრინცესა წავიდა, ისე რომ მგონი ტანი არც კი დაუბანია. ხოლო „მიიქცა დედაკაცთან მან ყრმა იგი და აწოებდა მას. და აღზარდა ყრმა იგი და შეჰგვარა ასულსა ფარაოსსა. და იყო იგი მისსა შვილად და დასდვა სა-

ხელი მისი მოსე და სთქვა: „წყლისაგან გამოვიღე ეგე“ (გამოსვ. ჲ, 9-11). ფარაონის ასული ისეთ გულმოდგინებას იჩენდა „წყლისაგან გამოღებული ყრმის“ — მოსეს მიმართ, რომ მთელი თავისი სისასტიკის მიუხედავად დათანხმდა სასახლეში მის ყოფნაზე.

მოსე ღირსი აღმოჩნდა ასეთი პატივისა. ფარაონი, მისი ასული და კარისკაცები აღტაცებული იყვნენ მისი სიკეთითა და სიწრფისობით. მაგრამ ერთხელ ნახა, რომ ეგვიპტელი ებრაელს სცემდა და მოსემ მოკლა ეგვიპტელი. მკვლელობის მოსალოდნელი შედეგები გაითვალისწინა და თავი მადიამელთა მიწას შეაფარა. ეს ქვეყანა სინაის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. მისი აღრევა არ შეიძლება ამავე სახელწოდების ორ სხვა ბიბლიურ პროვინციასთან. მათ ქვემოთ შევეხებით. ამ პროვინციების ადგილმდებარეობას ბიბლია აკუთვნებს აგრეთვე ელატის ზღვის ჩრდილოეთ მხარეს (ამჟამად აკაბის უბესთან) და მკვდარი ზღვის აღმოსავლეთს. ეს „მადიამელთა მიწები“ ბიბლიაში მოურიდებლად ბურდაურევიათ. კაცი იფიქრებს, სულიწმინდას გეოგრაფიული რუკა დაუკარგავს და თავის საკუთარ, ფრიად სუსტ მეხსიერებას ეყრდნობაო, უფრო კი მორწმუნეთა გულუბრყვილობას, ყველაფერი რომ სჯერათ, რასაც ეტყვიან.

მადიამ ნომერ პირველში მოსემ გაიცნო წარმართი ქურუმი, იოთორი, შვიდი ასულის მამა. ერთ-ერთმა მისმა ასულთაგანმა, სეფორამ, მოსეს გული მოინადირა. როცა ქალიშვილები საჭონელს წყალს ასმევდნენ, ვინმე მწყემსებმა შეავიწროვეს, წყალთან საკუთარი პირუტყვი მირეკეს. მოსემ უცნობი მწყემსები გარეკა და ქალიშვილებს გამოექომაგა. ქალიშვილებმა მამას უთხრეს, ვინმე ეგვიპტელმა ასეთი სიკეთე გვიყოო. იოთორმა ის ეგვიპტელი მიიწვია, სეფორა მიათხოვა და დაიწყო თაფლის თვე. თავის დროზე მოსე მამა გახდა, შვილს გირსამი უწოდა.

იმ ხანებში ეგვიპტის ფარაონისაგან მორიგი მუმია გააკეთეს, მაგრამ მისმა მემკვიდრემ მისი სასტიკი პოლიტიკა განაგრძო და ებრაელებს მონობის უღელი კი არ ჩამოხსნა, პირიქით, უფრო დაუმძიმა. მაშინ ღმერთიც გამოფხიზლდა, მოსესაგით რომ დავიწყებოდა ებრაელთა მძიმე მდგომარეობაც და საერთოდ მათი ბედიც. მოაგონდა თავისი მოვალეობა, ის კავშირი, რაც შეკრა აბრაამთან, ისაკთან, იაკობთან.

ქურუმ იოთორს ჯოგი ჰყავდა, ზოგჯერ სიძეს ავალებდა მწყემსობას. ერთხელ ამ მწყემსვის დროს საკმაოდ შორს მოუხდა წასვლა.

„ხოლო მოსე მწყსიდა ცხოვართა იოთორისთა, სიმამრისა თვისისათა, მღვდლისა მადიამელთასა. და მოჰყვანდეს ცხოვარნი იგი უდაბნოდ. და მოვიდა მთასა მას ღვთისასა ქორებად. ეჩვენა მას ანგელოზი უფლისა ცეცხლითა ალისათა მაყლოვანით გამო, და იხილა, ვითარმედ მაყლოვანსა აღატყდების ცეცხლი, და მაყლოვანი იგი არა შეიწვების. სთქვა მოსე: წარვიდე და ვიხილო ხილვა ესე დიდი, რამეთუ ცეცხლი აღატყდების და

მაყვალი არა შეიწვების. და ვითარცა იხილა ღმერთმან, რამეთუ მოვალს ხილვად, უწოდა მას უფალმან მაყლოვანით გამო და ჰრქვა: მოსე! მოსე! ხოლო მან ჰრქვა: რაი არს?“ (გამოსვ., 3, 1—4).

ღმერთმა მოსეს ფეხსაცმლის გახდა უბრძანა. მოსე დამორჩილდა. მაშინ ღმერთმა უთხრა, დიდი დავალებანი უნდა მოგცეო: ფარაონთან წახვალ და წინადადებას მისცემ, გაათავისუფლოს ებრაელი ხალხიო. საერთოდ, ეგვიპტიდან უნდა გაეშვა ეს ხალხი. მაგრამ ფარაონი ამას არ იზამდა, ვიდრე მოსეს სასწაულებს არ იხილავდა. განა სულელი იყო, ამდენი მუქთი მუშახელი დაეთმო! მოსეს თავისი სასწაულებით სათანადო ზეგავლენა უნდა მოეხდინა ფარაონზე და თანაც აღედგინა ებრაელი ხალხის, თანამემამულეთა დაცემული სულისკვეთება. მოსემ ჩვენებას ჰკითხა: ხალხმა რომ მკითხოს შენი სახელი, რა პასუხი გავცეო? „ჰრქვა ღმერთმან მოსეს, მეტყველმან: „მე ვარ, რომელი ვარ. და სთქვა ესრეთ: არქვი ძეთა ისრაელისათა: რომელ არს. მან მომავლინა მე თქვენდა“ (გამოსვ., 3, 14). ე. ი. მე ვარ, ვინცა ვარ-იეღოვა!

ეგვიპტიდან გამოსვლის ღონისძიებების შესახებ ღმერთმა მოსეს ერთი ასეთი რჩევაც მისცა:

„და მივსცნე მადლი ერსა ჩემსა წინაშე მეგვიპტელთა. რაჟამს გამოხვიდოდეთ, არ გამოხვიდეთ ცარიელნი.

არამედ ითხოვდენ დედანი მეზობელთა და მეგობრისაგან თვისისა ჭურჭელთა ვეცხლისა და ოქროსათა და სამოსელთა და შემოსდეთ ძეთა და ასულთა თქვენთა და გამოსტყვენეთ მეგვიპტელნი (ე. ი. მოპარეთ ეგვიპტელებსო).

როცა მოსეს ეჭვი შეეპარა, ცარიელ სიტყვას არ დამიჯერებს არც ხალხი, არც მით უმეტეს ფარაონიო, ღმერთმა იქვე და იმავე წამს სასწაულების მოხდენის ნიჭი უბოძა. კვერთხი, რაც იოთორის სიძეს ხელთ ეპყრა, ანაზდად გველად იქცა და მერე ისევ კვერთხი გახდა. მერე ღმერთმა უთხრა: ხელი უბეში ჩაიყავიო. მოსე დაემორჩილა, მაგრამ ხელი რომ უკან გამოიღო, კეთრით გათეთრებული ჰქონდა, როგორც თოვლი. ახლა მეორედ ჩააყოფინა უბეში ხელი და სრულიად ჯანსაღი გამოიღო. ღმერთმა ასწავლა აგრეთვე წყლის გადაქცევა სისხლად და სისხლისა წყლად.

მოსე ყოყმანობდა: ენაბლუ ვარ და მეეჭვება, რომ ჩემი ორატორობით ხალხი მოვხიბლოო. ღმერთი გაბრაზდა, მაგრამ ენაბლუ მოსე კი არ მოურჩენია, თუმცა ეს ემჯობინებოდა, არამედ თანაშემწედ მიუჩინა მისი ძმა აარონი. სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ ეს აარონიც ეგვიპტეში ცხოვრობდა და წმინდა წერილის ავტორს დაავიწყდა ჩვენთვის აეხსნა, რანაირად მოახერხა დედამისმა მისი გადარჩენა.

ჩვენებასთან მოლაპარაკების შემდეგ მოსე თავის სიმამრს დაემშვიდობა, ცოლ-შვილი წაიყვანა და წავიდა.

ღმერთმა წინასწარ ასე დაარიგა და გააფრთხილა:

„ჰრქვა უფალმან მოსეს: მირახვიდე შენ და მიიქცე ეგვიპტედ, იხილე და ჰქმენ ყოველი ნაშები, რომელი იგი მიგეც ხელსა შენსა, და ჰქმნე იგინი წინაშე ფარაოსსა. ხოლო მე განვაფიცხო გული მისი და არა გამოუტეოს ერი ჩემი!

შენ არქვი ფარაოს: ამას იტყვის უფალი, ღმერთი ებრაელთა: ძე ჩემი პირმშო ისრაილი.

გარქვი შენ: გამოუტევე ერი ჩემი, რათა მმსახურებდე მე, უკეთუ არა ინებო გამოტევებად, იხილე, მე მოვკლა ძე შენი პირმშო". *(გამოსვ. 4, 21—23)**.

ამრიგად, მოსე გაფრთხილებულია: თუ ებრაელებს ეგვიპტიდან არ გამოიყვან, შვილს მოგიკლავო.

მოსე გზას გაუდგა. უეცრად ღმერთმა მოკვლა დაუპირა.

„და იყო გზასა ზედა, სავანესა მას ანგელოზი უფლისა, და ეგულვა მოკლვა მისი. და მოიღო სეფორა ქარსრი (ქვის დანა) და წინა დასცვითა წინა დაუცვეთელობა ძისა თავისისა, და შეურდა ფერხთა მისთა (ფეხებში შეუგდო), და სთქვა: დაადეგინ სისხლი წინა დაცვეთისა ყრმისა ჩემისა. და წარვიდა მისგან ანგელოზი" *(გამოსვ., 4, 24—26)*.

ამ წინადაცვეთამ განაიარაღა ღმერთი: შენ სიძე ხარ ჩემი წინადაცვეთის სისხლისაო! მოსემ გზა განაგრძო.

---

* დედანში (აგრეთვე ლუთერის ბიბლიაში და სხვ.) ასეა: „უთხარი ფარაონს: ისრაელი ჩემი პირმშო შვილია, და მე გიბრძანებ გამოუშვა ჩემი შვილი, რათა ის მე მემსახუროს" (და არა: „რათა მმსახურებდე მე", როგორც შეცდომით წერია 1898 წლის ქართულ გამოცემაში, არც „მსახურობდნენ (იგინი)", როგორც 1884 წლის „დაბადებაშია". ა. გ.).

აქა ამბავი კეთილმსახურული ათი ეგვიპტური ჭირისა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მერთმა აარონი წინასწარ გააფრთხილა მოდისო, და, ისიც წინ შემოეგება:

„და ჰრქვა უფალმან აარონს: განვედ შენ და მიეგებოდე მოსეს უდაბნოდ. და განვიდა და შეემთხვივა მას მთასა მას ღვთისასა, და ამბორს უყვეს ურთერთას.

და უთხრა მოსე აარონს ყოველნი იგი სიტყვანი უფლისანი, რომლისათვის იგი მიავლინა, და ყოველნივე სასწაულნი, რომელნი ამცნო მას“ (*გამოსვ., 4, 27—28*).

ძმებმა შეკრიბეს უხუცესი ებრაელნი და ფარაონთან წავიდნენ. მეფემ ისინი ყურადღების ღირსადაც არ გახადა. პირიქით, ებრაელთა დევნა-შევიწროება გაძლიერდა. ვინაა ისრაელთა ღმერთი, მე არ ვიცნობო.

შემდეგ „გამოსვლათა წიგნი“ მოგვითხრობს რომ აარონმა ღმერთის რჩევით თავისი კვერთხი ფარაონის წინ დააგდო. კვერთხი გველად იქცა. მაგრამ საგანგებოდ ამ საქმეზე მოწვეულმა ეგვიპტელმა ქურუმებმაც ძირს დააგდეს თავიანთი კვერთხები და ისინიც გველებად იქცნენ. მაშინ აარონის გველმა სასახლის ჯადოქართა გველები შეჭამა. ვერც ამ სასწაულმა შეუცვალა გუნება ფარაონს. არც უფიქრია ებრაელების შებრალება.

მეორე დღეს აარონმა ფარაონის თვალწინ ნილოსის წყალი სისხლად აქცია. ბიბლია მოგვითხრობს, სასახლის მოგვებმაც შესძლესო ამ სასწაულის მოხდენა. მდინარეში თევზი გაწყდა. ეგვიპტელებმა ნილოსის ნაპირებზე ჭების გათხრა დაიწყეს, სასმელი წყალი მაინც ვიპოვოთ ეგებისო, მაგრამ ამაოდ. წმინდა წერილის ავტორს ავიწყდება იმისი ახსნა, თუ რა ღონისძიებით შოულობდნენ წყალს თვითონ ებრაელები.

ამ უბედურებას მოჰყვა გომბეშოების მომრავლება. ესეც აარონის კვერთხის წყალობა იყო: ისედაც დამპალი თევზით აყროლებულ ქვეყანაში ახალი უბედურება დატრიალდა: „და განირთხა აარონ ხელთა თვისი წყალთა მათ ზედა ეგვიპტისათა და აღმოიყვანა მყვარი. და აღმოჰხდა მყვარი იგი და დაფარა ქვეყანა ეგვიპტისა. შევიდნენ ფარაონის სასახლეში. საუნჯეში, საწოლ ოთახებში, მსახურთა სახლებში, „საპურეთა და თონეთა შინა“. პატივმოყვარეობის კარნახით ეს ფოკუსი ეგვიპტელმა ქურუმებმაც გაიმეორეს, თუმცა გომბეშოების ნაკლებობა ისედაც აღარ იყო. ბაყაყებმა და გომბეშოებმა დაფარეს ეგვიპტის მიწა. შემდეგ გაჩნდა მუმლის, ბუ-

ზანკალებისა და ბუზების ღრუბელი. კოღოებმა და ძაღლის ბუზებმა დაფარეს მთელი ეგვიპტე. ფარაონის გული მაინც ქვასავით უგრძნობელი და ჯიუტი, გაუტეხელი და უჯათო იყო. ქვა შეაგდო, თავი შეუშვირა, არ უმოძრავებდა და არა ებრაელებს.

მეხუთე ჭირი საქონელს დაატყდა თავს. ზედიზედ იხოცებოდნენ ცხვრები, ცხენები, აქლემები, ხარი და ცხვარი. არც ამან გაჭრა. მეექვსე ჭირი: მოსემ და აარონმა ფარაონის წინ ცოტაოდენი ფერფლი დაყარეს, როგორც ცირკის ოინბაზებმა იციან. მაშინვე მთელი ეგვიპტის მოსახლეობა (ცხადია, ებრაელების გამოკლებით) წყლულებმა დაფარა.

მეშვიდე ჭირი: ქვეყანას სეტყვა და ქარიშხალი მოევლინა. „და განირთხა მოსე ხელი მისი ზეცად, და უფალმან მოსცა ქუხილი და სეტყვა. და აღატყდებოდა ცეცხლი ქვეყანასა ზედა, და აწვიმა უფალმან სეტყვა ყოველსა ქვეყანასა ეგვიპტისასა... ხოლო სეტყვა იგი დიდ იყო ფრიად, რომელ ეგე ვითარი არა ყოფილ იყო ქვეყანასა ეგვიპტისასა, ვინათგან იყო მას ზედა ნათესავი კაცისა და მოსრა სეტყვამან მან ყოველსა ქვეყანასა ეგვიპტისასა, კაცითგან პირუტყვთამდე, და ყოველივე მწვანილი, რომელი იყო ველსა ზედა, მოსრა სეტყვამან და ყოველი ხე ველისა მოსრა სეტყვამან, ხოლო ქვეყანასა მას გესემისსა, რომელსა ზედა იყვნეს ძენი ისრაილისანი, არა იყო სეტყვა იგი. და მოუწოდა ფარაო მოსეს და აარონს და ჰრქვა მათ: ვცოდე აწ უფლისა მიმართ და მართალ არს უფალი, და მე და ერი ჩემი უღმრთო“ (*გამოსვ., 9, 23—27*).

ეს იყო ქედის მოხრა ებრაელთა ღმერთის წინაშე. მაგრამ ფარაონი პირველად როდი იხრიდა ქედს. ყოველი ახალი ჭირის შემდეგ ფარაონი ებრაელებს ნებას აძლევდა წასულიყვნენ და ელოცათ თავიანთი ღმერთისათვის უდაბნოში, მაგრამ გაივლიდა ჭირი და მეფე სიტყვას უკან იბრუნებდა. ახლაც ასე მოიქცა.

მაშინ ეგვიპტეს ძმებმა მერვე ჭირი დაატეხეს: კალიის ღრუბლებმა შთანთქეს ის, რაც მუმლებს, ძაღლის მწერებსა და სეტყვას გადარჩა. ისე, ძნელი სათქმელი კია, რა უნდა გადარჩენილიყო ამდენ ჭირს. ფარაონი თავის ჯიუტობას ნანობს და კალია ქარიშხალს მიაქვს, მეწამულ ზღვაში ახრჩობს: „და მოავლინა უფალმან ქარი ზღვით სასტიკი, აღიღო მკალი იგი და შთაყარა ზღვასა მას მეწამულსა, და არა დაშთა მკალი ყოველსა ქვეყანასა ეგვიპტისასა. და განუფიცხა უფალმან გული ფარაოს და არა გამოუტევნა ძენი ისრაელისანი“. უცნაურად კი იქცევა ბიბლიური ღმერთი, ხომ მართალია? ჯერ უბედურებას დაატეხს, დააშინებს ფარაონს, აიძულებს სიტყვა მისცეს, რომ გაუშვებს ებრაელ ხალხს, რათა საკუთარ ღმერთს ემსახუროს, მერე კი თვითონვე „გაუფიცხებს გულს“ და უარს ათქმევინებს, რომ თავისი ჯადოქრობის ხელოვნება ბოლომდე უჩვენოს ეგვიპტელებს.

მეცხრე ჭირი: ეგვიპტეს თავზე ისეთი წყვდიადი დააწვა, რომ სიბნელეს ხელით ეხებიან. ,,და არა ვინ იხილა არა ვინ ძმა თვისი სამ დღე. და არავინ აღდგა საწოლით თვისით სამ დღე, ხოლო ყოველთა შვილთა ძეთა ისრაელისათა იყო ნათელი ყოველსა შინა, ვიდრეცა ვიდოდეს. ამრიგად, ეგვიპტე წყვდიადი ღამის საფარველშია, ებრაელები კი ისევ ნათელში არიან ნათელი მიუძღვებათ. ფარაონმა ისევ დაიბარა მოსე და აარონი, მათი ხალხის გაშვება გადაწყვიტა, ოღონდ მათი ჯოგების მითვისება მოიწადინა (ებრაელთა საქონელი ჭირს არ დაუზარალებია).

მთელი ამ გაჯანჯლებული საქმისათვის რომ ბოლო მოეღო, ღმერთმა ანგელოზები მოავლინა დედამიწაზე და დაიწყო ეგვიპტელთა პირმშო შვილების — პირველშობილთა განადგურება. განმანადგურებელ ანგელოზებს თავიანთი ჯოჯოხეთური საქმე ბნელ ღამეში უნდა მოეხდინათ, და მოსალოდნელი შეცდომის თავიდან ასაცილებლად ყოველი ებრაელის სახლში ბატკნის ხორცს შეექცეოდნენ, ბატკნის სისხლით კი კარებზე ნიშანი გაეკეთეს. აქაო და ებრაული აღდგომის დღესასწაული გვაქვსო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ანგელოზებს, რომლებიც შუაღამისას ეგვიპტის ქალაქსოფლებში დადიოდნენ თავიანთი არც თუ ისე ჰუმანური მისიის აღსასრულებლად, ცალ ხელში მახვილი უნდა სჭეროდათ, მეორეში კი მაშხალა, რომ კარზე სისხლიანი ნიშანი შეენიშნათ. ჩვენ კი არა, ანგელოზებს ბიბლია ხატავს ამ სახით. ვინ იცის, როგორ იცინოდა წმინდა მტრედი, ამ სისულელეს რომ კარნახობდა წმინდა წერილის ავტორებს!

,,და შუაღამეს ოდენ გარდამოხდა უფალი და მოსწყვიდნა ყოველი პირმშო ქვეყანასა ეგვიპტისასა პირმშოთაგან ფარაოსით და მჯდომარე საყდართა ზედა ვიდრე პირმშომდე ტყვისა, რომელი ჯდა ჯურღმულსა შინა, და ვიდრე პირმშომდე ყოვლისა პირუტყვისა. და აღსდგა ფარაო ღამე და ყოველნი მსახურნი მისნი, და ყოველნი მეგვიპტენი, და იყო ღაღადება დიდი ყოველსა ეგვიპტესა, რამეთუ არა იყო სახლი, რომელსამცა შინა არა იყო მკვდარი" *(გამოსვ., 12, 29—30)*.

ფარაონმა მოსეს და აარონს კაცი მიუგზავნა და სთხოვა, მალე წაიყვანეთ ეგვიპტიდან თქვენი ხალხიო.

,,აღიღო ერმან ფქვილი ცმელი იგი, ვიდრე შესვრამდე თბისა მათისა, შეკრულნი სამოსლითა მათითა და აიკიდეს იგი ზურგსა მათსა.

ხოლო ძეთა ისრაილისათა ჰყვეს ეგრე, ვითარცა უბრძანა მათ მოსე. ითხოვეს ეგვიპტელთაგან ჭურჭელი ოქროსა და ვეცხლისა და სამოსელი.

და უფალმან მისცა მადლი ერსა თვისსა წინაშე მეგვიპტელთა მათ და ათხოვეს მათ და გამოაცალიერეს მეგვიპტელნი იგი (ე. ი. გაქურდეს, გაძარცვეს ეგვიპტელნი (გამოსვ., 12, 34—36).

შემდეგ ,,გამოსვლათა" წიგნში მოთხრობილია, რომ ებრაელები, რომლებიც ფეხმოუცვლელად ცხოვრობდნენ იაკობის ჟამიდან გესემში,

რატომღაც უცებ რაამზესში შეიკრიბნენ. აქედან სამხრეთისაკენ წავიდნენ, სოქხოთში. წარმოიდგინეთ, როგორ გამრავლებულან: 600 000 მარტო ბა-მაკაცი იყო, ყრმათა კიდეგან, თანაც ურიცხვი „უცხო თესლი“ შეუერთდა. აუარებელი საქონელიც თან მიჰყავდათ. მოსეს არც იაკობის ძვლები დავიწყებია*.

ებრაელების ამ უზარმაზარმა ლტოლვილმა არმიამ ბაალ-ცეფონში ჩააღწია (სუეცში) და აქ ზღვასთან შეისვენა. ბიბლიის მიერ ნაჩვენები ადგილი —სუეცის არხის ჩრდილოეთი ნაწილია. თუ რამე წყალზე გადავიდნენ, ეს იქნებოდა ფარაონთა არხი, რაც იმ ეპოქაში ნილოსსა და მლაშე ტბების ქვეყანას აერთებდა.

მოსე და მისი თანამემულეები, იაკობის მთელი ტომი რომ გზას გაუდგა, ფარაონის ბიბლიურმა, ფრიად მერყევმა გონებამ წარმოიდგინა, რა ძვირფას მუშახელს კარგავდა ამ ტომის ეგვიპტიდან წასვლით. მაშინვე დევნა გადაწყვიტა.

„აღაგო ფარაო ეტლები თვისი და ყოველი ერი თვისი წარიყვანა მისთანა. აღაგო ექვსასი ეტლები რჩეულები თვისი და ყოველი ცხენები ეგვიპტისა და ერისთავები ყოველთა ზედა... და სდევდეს ძეთა ისრაელისათა.. და დევნა უყვეს მეგვიპტელთა მათ შემდგომად მათსა და პოვნეს იგინი დაბანაკებული ზღვასა მის თანა, და ყოველი ჰუნები და ეტლები ფარაოსი, და მხედრები და ყოველი ერი, მისი წიაღ ღელესა მას, პირის-პირ ბელსეფონსა“ (გამოსვ,. 14, 6—9).

ამოუხსნელია, საიდან გაჩნდა მთელი ეს ცხენოსანი არმია, ამდენი ეტლი, როცა მეხუთე ჭირმა პირდაპირ გაჟუჟა ეგვიპტის საქონელი, არ დარჩენილა არც ერთი ცხენი, ვირი, აქლემი და ხარი? ფანტაზიის კარნახს აყოლილ ავტორებს მოსე და მისი ხალხი სწრაფად გადაჰყავთ მეწამული ზღვის ტალღებში. კვერცხის ერთი აწევით მოსე შუაზე ყოფს ზღვას.

„ხოლო განირთხა მოსე ხელი თვისი ზღვასა მას ზედა. და მოავლინა ღმერთმან ზღვასა მას ზედა ქარი სასტიკი სამხრეთ ღამე ყოველ და განახმო ზღვა იგი და განიპო წყალი იგი.

და შევიდეს ძენი ისრაილისანი შორის ზღვასა ხმელად და წყალი იგი იყო ზღუდე მარჯვენით მათდა და ზღუდე მარცხენით.

და სდევდეს მეგვიპტელნი იგი და შევიდეს კვალსა მათსა ყოველი ჰუნები ფარაოსი, და ეტლები და მხედრები მისი შორის ზღვასა.

---

* ქართულ ბიბლიაში: „აღიძრნეს ძენი ისრაელისანი სოქოთით და დაიბანაკეს ოთომს, უდაბნოსა შინა და ღმერთი უძღოდა მათ, დღისი სვეტითა ღრუბლისათა უჩვენებდა მათ გზასა და ღამე სვეტითა ცეცხლისათა უნათებდა მათ, და არა მოაკლდა სვეტი იგი...“ გამოსლვ. 13, 20—22).

და იყო სახმილავსა მას განთიადისასა მოხედნა უფალმან ბანაკსა მას ეგვიპტისასა სვეტითა ცეცხლისათა და ღრუბლისათა და შეაძრწუნა ბანაკი იგი მეგვიპტელთა.

და შეუკრა ღერძები ეტლებისა მათისა, და მოჰყვანდეს იგინი ძალით და სთქვეს მეგვიპტელთა მათ: ვივლტოდეთ პირისაგან ისრაჱლისაჲსა, რამეთუ უფალი გვიბრძავს ჩვენ მათ წილ, მეგვიპტელთა (უფალი გვებრძვის ეგვიპტელებს მათ მაგიერო).

და ჰრქვა უფალმან მოსეს: განირთხ ხელი შენი ზღვასა მაგას ზედა და კვალად მოეგოს წყალი ეგე, და დაფარნეს მეგვიპტელნი ეგე და ეტლები და მხედრები მათი.

და განირთხა მოსე ხელი თვისი ზღვასა მას ზედა და კვალად მოეგო წყალი იგი დღე ყოველ ადგილსავე თვისსა. ხოლო მეგვიპტელნი იგი ივლტოდეს წყალთა მათ ქვეშე და შთაყარნა უფალმან მეგვიპტელნი შორის ზღვასა მას.

და მოაქცია წყალმან მან და დაფარა ეტლები იგი და მხედრები და სადგომნი და ყოველი ძალი ფარაონი, რომელნი შესრულ იყვნეს დევნად მათდა ზღვასა მას შინა, და არა დაშთა მათგანი არცა ერთი“ (გამოს., *14, 21—28*).

უნდა შევნიშნოთ, რომ ფარაონი ებრაელებს იმისათვის კი არ დაედევნა, გაეჭლიტა ეს ხალხი, არამედ იმისათვის, რომ უკან დაებრუნებინა. მარტო ჯანმაგარი, მეომარი მამაკაცების რიცხვი ხომ ექვსასი ათასს აღწევდა. თუ ამას მივუმატებთ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, მრავლად შემოერთებულ უცხო ტომის ბრბოებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაშქრის საერთო რიცხვი სამ მილიონს მაინც აღწევდა. ასეთი არმია რომ ტყვედ ჩაიგდო და შენს ნებაზე ატარო, თვითონ ორი ამდენი მეომარი მაინც უნდა გყავდეს. რასაკვირველია, ფარაონს მრავალრიცხოვანი ჯარი ეყოლებოდა. მართალია, პირველშობილნი იმ დღეებში ღმერთმა გაჟლიტა ანგელოზების ხელით, მაგრამ უმცროს შვილებს ხომ შეეძლოთ იარაღის ტარება! როგორც ბიბლია ამბობს, ხალხი სტიქიურად გაჰყვა თავის მეფეს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ წასვლის წინ ებრაელებმა თავიანთი მასპინძლები გაქურდეს. აბა რომელი ეგვიპტელი იტყოდა უარს ქურდების დევნაზე! მოკლედ, ფარაონთან ერთად, რა თქმა უნდა, მილიონობით ეგვიპტელი ჩაიხრჩო მეწამული ზღვის ტალღებში.

მაგრამ არც ერთი ეგვიპტელი ისტორიკოსი არ იხსენიებს ამ საშინელ ეროვნულ უბედურებას, რაც ეგვიპტელ ხალხს მოსეს კვერთხის წყალობით დაატყდა. არც ეგვიპტურ ჭირზე ძრავენ კრინტს. ზოგიერთი ღვთისმეტყველი ცდილობს ეს დუმილი ეროვნული თავმოყვარეობით ახსნას. კეთილი! მემატიანე, რომელიც სხვა მარცხს არ ფარავს, აქ დუმილს ამჯობინებს, მაგრამ სხვა ქვეყნების ისტორიკოსები? როგორ მოხდა, რომ არსად არა-

სოდეს არ სმენიათ ამ საშინელი ტრაგედიის ამბავი? ამ უზარმაზარი წარღვნის წყალობით ხომ ერთბაშად გადააგდო მოხობის ველის 115 ქეფემ, ფარაონ ამენქოტეპს რომ ხარკს უხდიდა! თვით ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე, რომელმაც ბრწყინვალედ შეისწავლა ეგვიპტური ცხოვრების ყველა დარგი, ერთ სიტყვასაც არ ამბობს უზარმაზარი არმიის [illegible] დაღუპვის შესახებ,

ბიბლიის ავტორი არც კი წითლდება სასწაულებრივი გამოსვლის ამ ხატოვანი ეპიზოდის მოთხრობის დროს, მისი მტკიცებით იაკობის შთამომავალთ ღმერთს მადლობა შესწირეს, ილოცეს და მოსე უფრო იწამეს. ებრაელ ლტოლვილებს გულიანად ეცინებოდათ, გამართეს გალობა, ბობღნები აიღეს: „მოიღო მარიამ წინასწარმეტყველმან, დამან არონისამან, ბობღანი ხელითა თვისითა და განვიდოდეს ყოველნი დედანი მისთანა ბობღნებითა და მძნობრითა და უწყობდა მათ მარიამ და ეტყოდა: უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს: მხედრები და უნები შთასხია ზღვას“. ასე ცეკვა-სიმღერით აღნიშნავდნენ ქალები სასწაულებრივ გამარჯვებას მტერზე. მეთხუთმეტე თავში ნათქვამია, რომ მოსემ საგანგებოდ შეთხზა მხსნელი ღმერთის სადიდებელი ჰიმნი და მას მთელი ისრაელი ხალხი მღეროდა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ებრაელი მომღერლებისა და მოცეკვავეების რიცხვი სამ მილიონს აღწევდა. სიტყვა და მუსიკაც ერთბაშად ისწავლეს. ნეტა, ერთი იმ კონცერტზე დაგვასწრო! ეშმაკმა დალახვროს! რა სანახაობა იქნებოდა!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ორმოცწლიანი სეტიალი ებრაელებისა უდაბნოებაში. უფლის სიტყვისაებრ

ოდა, დაეხეტებიან ლტოლვილი ებრაელები არაბეთის უდაბნოების იმ ნაწილში, სადაც სიპი ქვების მეტი არაფერი მოიპოვება. მოგზაურობის მიზანია ისევ ქანაანი, ძველი ქანაანი, აღთქმული ქვეყანა, რაც ჯერ კიდევ პირველ პატრიარქებს იზიდავდა, თუმცა დიდი არაფერია. საკითხავია, რატომ არ მოეკიდებიან ბინადარ ცხოვრებას, რატომ არ დამკვიდრდებიან მუდმივად სადმე ახლა მაინც, როცა ეგვიპტის ტყვეობას თავი დააღწიეს და ერთ ძმურ ოჯახში შეიყარეს თავი? მოსე ღმერთს იმოწმებს, ქანაანი **საოცარი ქვეყანაა, ორმაგი მოსავალი მოდის***. მაგრამ იმ ქვეყნის პოვნა გაჭირდა, რადგან არ იყო გზები, არ იყო რუკები, არც კომპასი ჰქონდათ გამოგონილი. საბედნიეროდ, როგორც უკვე ვთქვით, ციური ღრუბელი მოევლინა ხალხს მხსნელად: დღისით მას შავი კვამლის სვეტის სახე ჰქონდა, ღამით — ცეცხლის სვეტისა. წმინდა წერილი ამბობს, ამ ღრუბლის სვეტში თვითონ ღმერთი იმალებოდაო. ასეთი მეგზურობა უდაბნოში ხელსაყრელი იყო, მაგრამ თავისი უარყოფითი მხარე ამასაც ჰქონდა. დალოცვილმა ვერ იქნა, ვერ მიიყვანა აღთქმული ქვეყნის საზღვრებამდე. იქნებ ხალხს დასვენებაც უნდოდა, მაგრამ ვინ დაასვენებდა! ღრუბელი წინ მიდიოდა. ერთიც ვნახოთ, სულაც გამჭრალიყო, სცადე მერე არაბეთის უდაბნოებში გზის გაგნება! რა უნდა ექნათ? ასეთი ძვირფასი მეგზურის დაკარგვა როგორ იქნებოდა! მერე, ღრუბელს ხელით ხომ ვერ შეაკავებ! ჰოდა, ინებე, იარე, გინდა თუ არა!

ამ გამობრძმედილმა ხუმარამ, ღმერთმა კიდევ ერთი გვარიანი თავშესაქცევი მოიგონა. აი, რა. სუეციდან იერიქონს რომ მიჰყავდა ხალხი, ჩრდილოეთისაკენ უნდა ებრუნებინა პირი ხმელთაშუა ზღვისაკენ, მაგრამ ამის ნაცვლად სინაის სამხრეთისაკენ გაუძღვა. ზუსტად ისე, კაცს რომ

---

* ღმერთი აღრევე უმტკიცებდა მოსეს, ქანაანი დალოცვილი ქვეყანაა და თქვენთვის მინდაო: „და გარდამოვხედ გაბრინებად მათთა (ებრაელთა) ხელთაგან ეგვიპტელთასა, გამოყვანებად მიერ ქვეყანით, და შეყვანებად მათთა ქვეყანასა ფრიად კეთილსა, ქვეყანასა მას, გამომადინებელსა ძძისა და თაფლისასა, აღგილსა ქანაანელთასა“ (შეკმნ., 3, 8).

მოსკოვიდან არხანგელსკში წასვლა ჰქონდეს გადაწყვეტილი და მოსკოვ-ხარკოვის მატარებელში ჩაჯდეს.

მაგრამ სამართლიანი უნდა ვიყოთ. მართალია, თავისი რჩეული ხალხის გზა წარმოუდგენლად გააგრძელა და გაართულა, სამაგიეროდ გზაში ბევრი გასართობი სასწაული აჩვენა. ასე, ბელსეფონში ებრაელები ცურას უდაბნოს დასავლეთ ნაწილში გაიყვანა, სადაც სამი დღე ისე იმეტიალეს, წვეთი წყალიც ვერსად ნახეს. ერთგან, მერად წოდებულ ადგილას, წყაროს საამური ჩუხჩუხი შემოესმათ. მოწყურებული მილიონიანი — სამმილიონიანი ხალხი ამ ერთ საცოდავ წყაროს მისცვივდა და ხარბად დაეწაფა, მაგრამ ვაი ამ მოსწრებას! წყალი მწარე აღმოჩნდა.

„მოვიდეს იგინი მერარად და ვერ ეძლო წყალი იგი მერარისა სვმად, რამეთუ მწარე იყო. ამისთვის ეწოდა ადგილსა მას სიმწარე.

დრტვინვიდა ერი იგი მოსესთვის და ეტყოდეს: ვითარმედ რა ვსვათ?

ღაღად ჰყო მოსე უფლისა მიმართ და უჩვენა უფალმან ძელი და შთააგდო იგი წყალსა მას და დატკბა წყალი იგი. მუნ დაუდვა ერსა მას სამართალი და მსჯავრი და მუნ გამოსცადა იგინი.

და ჰრქვა: უკეთუ სმენით ისმინოთ ხმა უფლისა, ღვთისა თქვენისა, და ჰყოთ სათნო წინაშე მისსა, და ყურად იხვნეთ მცნებანი მისნი, ყოველივე სენი, რომელი მოავლინა უფალმან ეგვიპტესა ზედა, არა მოვიდეს თქვენ ზედა, რამეთუ იგი არს უფალი, ღმერთი თქვენი, რომელმან გიკურნა თქვენ.

და მოვიდეს იგინი ელიმად, და იყო მუნ ათორმეტი წყარო და სამეოცდა ათი ხე დანაკის კუდისა და დაიბანაკეს მუნ წყალთა მათ ზედა“ *(გამოსვ., 15, 24—27)*.

წარმოიდგინეთ, რამოდენა „კუდი“ უნდა ჰქონოდა იმ დანაკსა თუ პალმას, თუნდაც სამოცდაათს, რომ სამი მილიონი ადამიანი შეეფარებინა, ამოდენა ჯოგებითა და ბარგი-ბარხანით! ჯერ მარტო ის 600 000 მამაკაცი რომ მოთავსებულიყო, პალმები საკმაოდ შორიშორს უნდა მდგარიყვნენ და მეტისმეტად გრძელი ტოტებიც უნდა ჰქონოდათ უთუოდ. ასე იოლად შიშვლდება ხოლმე წმინდა წერილის ავტორის ბაქიობა, რასაც საზღვარი არა აქვს. იცრუე, მაგრამ ზომა იცოდეო, იტყვიან.

ელიმიდან წასული ებრაელები ისევ სამხრეთისაკენ განაგრძობენ სვლას და სუეცის უბის სამხრეთით გაშლილ სინიც უდაბნოში ჩადიან. სამხრეთისაკენ სვლაში ბოლოს სინაის მთიან ზეგანზე აღმოჩნდნენ. იქ ბუნება დიდებულია, მაგრამ სრულიად უდაბური. ახლა ერთბაშად მილიონიანი მოსახლეობა გაჩნდა.

სანოვაგის მთელი მარაგი, ცხადია, დიდი ხნის წინ ამოიწურა, ამ საძაგელ უდაბნოებში კი, ეტყობა, არც ერთი დუქანი, არც ერთი ბარი არ

იქნებოდა, რომ ლუდით მაინც ჩაესველებინათ პირი. ჩვენმა სამმა მეთერთმეტმა ემიგრანტმა დრტვინვა დაიწყო:

„დრტვინვიდა ყოველი კრებული ძეთა ისრაელისათა მოსეს და აჰორნს ზედა.

ეტყოდენ მათ ძენი ისრაილისანი: უმჯობეს იყო მოკუდინებაჲ ჩუენი ეგვიპტესა ქუეყანასა გვემითა უფლისა მიერ ქუეყანასა ეგვიპტისასა, ოდეს იგი ვსხედით ჩვენ სიავთა (ქვაბთა) უკანა ხორცისათა და ვსჭამდით პურსა მაძღრივ, რამეთუ გამომიყვანენ ჩვენ უდაბნოსა ამას მოწყუედად ყოველი კრებული სიყმილითა“ (*გამოსვ., 16, 2—3*).

ებრაელები ალბათ ბოლოს მოუღებდნენ კიდეც მოსეს, რომ მას ღმერთი არ დახმარებოდა იმ სასწაულების მოხდენაში, რომელთაც დღეს ვერც ერთი ოინბაზი ვეღარ გაიმეორებს. ანაზდეულად ამ უსიცოცხლო უდაბნოში მწყერი გამოჩნდა, ურიცხვი მწყერი, უთვალავი. ებრაელებს ღუმელები არ გააჩნდათ, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მწყერები პირდაპირ სუფრაზე დაფრინდებოდნენ შემწვარ-მოხრაკულნი.

მაგრამ ეს კიდევ რა არის! „იყო მწუხრი და მოხდა მწყერ-მარხილი. და დაფარა ბანაკი იგი და განთიად, გარდამოსვლასა ცვარისასა, გარემოს ბანაკსა მას.

იყო პირსა ზედა უდაბნოსასა მწვლილი, ვითარცა ქინძის თესლი, და სპეტაკი, ვითარცა თოვლი პირსა ზედა ქვეყანისსა.

ვითარცა იხილეს ძეთა ისრაილისთა, ჰრქუა მოყუასმან მოყუასსა: რაი არს ესე? რამეთუ არა იცოდეს, რაი იყო. ჰრქუა მათ მოსე: ესე იგი არს პური, რომელი მოგცა თქუენ უფალმან ჭამად... შეკრიბეთ მისგანი, რაოდენი ჯერ იყოს საწყაული თავად თავად, მსგავსად რიცხვისა მის კაცად კაცადისა თქუენისა... და დასდვეს სახელი მისი ძეთა ისრაილისათა მანანაი, და იყო იგი, ვითარცა თესლი ქინძისა, სპეტაკი, ხოლო გემო მისი, ვითარცა ფქვილი თაფლიანი“ (*გამოსვ., 16, 13—16, 31*).

ამავე თავიდან ვგებულობთ, რომ იმ დღიდან ღვთისაგან ამორჩეული ხალხი ყოველდღიურად ულუფის სახით იღებდა ციური მანანის გარკვეულ არჩივს სულზე, და ისიც მთელი ორმოცი წლის განმავლობაში, ვიდრე ეს ბიბლიური ხეტიალი დამთავრდებოდა. მოწიწება, რასაც სულიწმინდის წინაშე ვგრძნობთ, ხელს ვერ შეგვიშლის, რომ შევნიშნოთ: ციური მანანა გვხვდება არა მარტო სინაის ნახევარკუნძულზე, არამედ დედამიწის მრავალ სხვა მხარეშიც: კალაბრიაში, სპარსეთში, თურქეთში და ა. შ. საკმაოდ კარგი სასაქმებელი საშუალებაა. ამრიგად, ისღა დაგვრჩენია, დავასკვნათ, რომ ღმერთი უაღრესად დიდ მზრუნველობას იჩენს ებრაელთა ჯანმრთელობისათვის, მეტადრე მათი კუჭ-ნაწლავის ნორმალური მუშაობისათვის: მუცელს რომ უვსებდა, თან ითვალისწინებდა, ვაი თუ შეკრულობამ შეაწუხოს ჩემი ხალხიო. მაგრამ სასაქმებელი წამლის მიცემა ყოველდღე ორ-

მოცი წლის განმავლობაში, როგორც პირდაპირ არის ნათქვამი მეთექვსმეტე თავის 35 მუხლში, — ეს უკვე ისეთი გულუხვობაა, რასაც მეცნიერი მამის გარდა ვერავინ გამოიჩენს.

ებრაელები ახლა ქორების (ქორიბის) მთასთან არიან და ბოლომდე იყვნენ შეწუხებული წყურვილისაგან. ხალხი ისევ ჩივილს აბრუნებს, ისევ ყვირის: გვიყვანე და რას გვახრჩობ წყურვილითო! დავიმოწმოთ ბიბლია: „და არა იყო წყალი, რათამცა სვა ერმან მან. და აგინებდეს იგინი მოსეს და ეტყოდეს: გვეც ჩვენ წყალი, რათა ვსვათ! ჰრქვა მათ მოსე: რასა მაგინებთ მე, ანუ რასა განცდით უფალსა?“ ხალხი კი დრტვინავდა და ისე იმუქრებოდა, თითქოს მოსეს წყალი უბეში ჰქონოდა დამალული. რას გამოგვიყვანე ეგვიპტიდან ჩვენა და ჩვენი პირუტყვიო! მოსემ ღმერთს მიმართა: რა ვუყო ამ ხალხს, ლაზის ჩამქოლონო. ღმერთმა გარკვეული რჩევები მისცა. გაბრაზებულმა მოსემ დაჰკრა კვერთხი კლდეს და მაშინვე იქიდან ანკარა წყლის ნაკადი გადმოსკდა. სამმა მილიონმა ემიგრანტმა წყურვილი მოიკლა. ალბათ იბანავეს კიდეც და კარვები გაშალეს. მაგრამ აქ მოულოდნელი არასასიამოვნო სურპრიზი ელოდათ. ამ მიდამოებში ვინმე ამალეკი ბინადრობდა. მის ხალხს არ მოეწონა იაკობის შთამომავალნი. ზედმეტი არ იქნება აქ იმის აღნიშვნა, რომ ეს ამალეკი ესავის შთამომავალი იყო: თავისი პირველი ცოლისაგან, რომელსაც ადა ერქვა, ესავს ჰყავდა უფროსი შვილი — ელიფაზი, ხოლო ელიფაზს ხარჭამ, სახელად თამნამ, ამალეკი აჩუქა.

რანაირად მოხდა, რომ ეს ამალეკი აქამდე ცოცხალი იყო? მტრედს დაავიწყდა, რომ ეს „წმინდა ავტორისათვის“ გაენდო, ამ უკანასკნელს კიდევ არ მიუქცევია ყურადღება, რა საოცარი ამბავია და იდუმალებით მოცული ამ მიდამოებში ამალეკის გამოჩენა. იაკობის თორმეტი შვილისაგან რომ ისეთი ხალხი გაჩნდა, რომელსაც 600 000 მეომრის გამოყვანა შეუძლია, მრავალი თაობის შრომას მოითხოვს დღითა და ღამით. ბოლოს და ბოლოს თვითონ ბიბლია აღიარებს: იაკობისა და მისი შვილების ეგვიპტეში მოსვლიდან „გამოსვლათა“ წიგნში აღწერილ ამბებამდე მანძილი ოთხას ოცდაათ წელს აღწევსო *(თავ. 12, მუხ. 40—41)*. მაშასადამე, როცა ამალეკი სინაის ნახევარკუნძულზე თავის ნათესავ ხალხს თავს დაესხა, ოთხასი წლისა მაინც უნდა ყოფილიყო. სინაის უდაბნოებში ასეთი ბერიკაცის ბრძოლა, მხრებზე რომ ოთხი საუკუნე ჰკიდია, პირდაპირ სასწაულია, წმინდა ავტორი კი არც უფიქრდება, რა ძნელია ეგზომ ხანდაზმული კაცისათვის ექვსასიათასიან არმიასთან ბრძოლა, ისიც მცირე რაზმით და უდაბნოს პირობებში. სრულიად დამშვიდებული მოგვითხრობს ამალეკისა და მისი გვარის საბრძოლო ავანტურების ამბავს.

როგორც გნებავთ და ეს ამალეკი საშინელი ვინმე კი ჩანს. ჩვენს ებრაელებს ლამის სული კოჭებში გაეპარათ, ისე შეეშინდათ. მტრის იერიში

რომ უკუეგდო, მოსემ შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს იესო ნავინს უბრძანა, დახვდიო, თვითონ კი დანარჩენი ხალხით მახლობელ მთას მიაშურა, თან აარონი და ორი იახლა. დაღლილ მოსეს ქვა მოუტანეს, დაჯდა, ცალი ხელი აარონმა დაუკავა, ცალი ორმა და იყო ასე მზის ჩასვლამდე. რისთვის? როცა მოსეს ხელები აწეული ჰქონდა, ებრაელები იმარჯვებდნენ. როგორც კი ხელებს დაუშვებდა, გამარჯვებას ამალეკისაკენ იხრებოდა. (გამოსვ., თ., 17, 11). ბოლოს და ბოლოს დაიღალა, ხელების აწევა გაუჭირდა და დახმარება ითხოვა მზის ჩასვლამდე (მუხლ. 11). (ვიდრე დასვლადმდე მზისა). საქმე იმით დასრულდა, რომ იესო ნავინმა ამალეკს ჭკუა ასწავლა.

„და ერეოდა ისო ამალეკსა, და ყოველი ერი მისი მოსრა პირითა მახვილისათა“ (გამოსვ., 17, 13).

მეთვრამეტე თავში ვხედავთ მადიამელთა „მღვდელს“ იოთორს, თავის სიძეს სტუმრებია, მოსეს. როცა მისი მოთხრობა მოისმინა, სასწაულებისა და ეგვიპტიდან გაქცევის ამბებმა ისე მოხიბლეს, რომ მოსეს რჯულზე გადასვლა განიზრახა. „აწ ვსცან ძალი, რამეთუ დიდ არს უფალი უფროს ყოველთა ღმერთთა ამით, რამეთუ ესვიდენ მათ“ (11). მართლაც, იაღვეს მსხვერპლი შესწირა. ვიდრე შინ დაბრუნდებოდა, იოთორმა მოსეს რამდენიმე კარგი რჩევა მისცა. მაგალითად, ურჩია, საქმეები შეიმსუბუქე, ხელქვეითებს დააკისრე, რომ უწინამძღვრონ ათასეულებს, ასეულებს და ა. შ. მოსეს ასეთი რჩევა ჭკუაში დაუჯდა და დაუყოვნებლივ შექმნა იერარქიული კიბე. იმავე ხანებში, ეგვიპტელთა და სხვა ხალხთა მაგალითისამებრ დააარსა ღვთისმსახურთა მთელი ინსტიტუტი; მრავალი პრივილეგია უბოძა მღვდლებს. ლევის ტომი, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა, ქურუმთა კასტად იქცა, ხოლო აარონი, მისი უფროსი ძმა, პირველ დიდ ქურუმად გამოცხადდა. ამრიგად, ბიბლიის მიხედვით, შეიქმნა ებრაული სარწმუნოების კულტი.

ყველაფერი ეს თითქოს თვით ღმერთის ბრძანებით მოხდა. გამოცხადება მოხდა სინაის მთაზე. მოსე იქ დიდხანს ელაპარაკა უფალს. იოთორის სიძე მარტოდმარტო ავიდა სინაის მთაზე და იქ მოხუცმა ღმერთმა გაანღო ათი მცნება, რაც შემდეგში ებრაელი ხალხის სარწმუნოების სიმბოლოდ იქცა. იმ დროს სინაის მთა გარემოცული იყო საშინელი ციური ცეცხლის ალით, ყოველი მხრიდან დამაყრუებელი გრუხუნი და გრიალი ისმოდა — აშკარა ნიშანი იმისა, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი ხდებოდა. ღმერთმა მოსეს სამოქალაქო კანონებიც უკარნახა.

მოლაპარაკება მოსესა და ღმერთს შორის ერთ დღეში როდი დამთავრებულა. „და მისცნა უფალმან მოსეს, რაჟამს დასცხრა სიტყვად მისა, მთასა მას ზედა სინასა, ორნი ფიცარნი საწამებელნი, ფიცარნი ქვისანი, დაწერილნი თითითა ღვთისათა“ (გამოსვ., 31, 18).

ვიდრე ისტორიულ-ღვთაებრივი აუდიენცია მიმდინარეობდა, რისი ღირსიც უფალმა მოსე გახადა, უმადურმა ებრაელებმა დაიწყეს საცარი სასწაულების მთელი რეპერტუარი, მოსემ რომ მოაწყო მათ სასარგებლოდ, თვითონ ღმერთის გამოცხადებაც კი არად მიიჩნიეს და გააკეთეს ოქროს ხბო, მუხლი მოუყარეს და თაყვანი სცეს. ყველაზე უფრო საკვირველი და უცნაური აქ ისაა, რომ ოქროს ხბო, ეს წარმართული ღმერთის სიმბოლო, თვითონ მოსეს ძმამ, პირველმა მღვდელმთავარმა აარონმა დაამზადა. საამისოდ აარონმა მოითხოვა ყველა სამკაული, ქალებისა და ქალიშვილების მთელი ოქროულობა. მხოლოდ ეს კი არაა ნათქვამი წმინდა წერილში, რომელი მოქანდაკეები, მდნობელნი და ოქრომჭედელნი მონაწილეობდნენ ამ შუაგულ უდაბნოში რენეგატი ქურუმთქურუმის წამოწყების განხორციელებაში. კოლოსალური კერპი, რომლის დამზადებასაც კარგი ფაბრიკა რამდენსამე თვეს მოანდომებდა, მოხეტიალე ხალხმა გაშლილ უდაბნოში, ღია ცის ქვეშ ერთ ღამეში დაამზადა.

ადვილი წარმოსადგენია მოსეს სამართლიანი რისხვა, როცა სინაის მთიდან ჩამოვიდა იღლიაში ამოჩრილი სჯულის დაფებიანად, რომელთაც თვით ღმერთი აწერდა ხელს, და ნახა, რომ მის ხალხს ოქროს ხბოს კერპი დაუმზადებია, გარშემო ცეკვა-სიმღერა გაუმართავს, მსხვერპლსა სწირავენ, და მერე ისიც მისი ღვიძლი ძმისა და ორეულის, უზენაესი ქურუმის აარონის ხელმძღვანელობით!

„და ჰრქვა მოსე: არა არს ხმაი ესე მთავართაგან ძლიერებისათა, არცა ხმაი მთავართაგან ძლევისა, არამედ ხმაი მთავართაგან ღვინისა მესმის.

და ვითარცა მიეახლა ბანაკსა მას, იხილა ხბო იგი და მძნობრები, და განრისხნა მოსე გულის წყრომითა და განუტევნა ხელთაგან თვისთა ორნი იგი ფიცარნი, და შემუსრნა იგინი მთასა მას ქვეშე“ *(გამოსვ., 32, 18—19)*.

მკრეხელური კერპის განადგურების სცენა ზუსტი ციტატის ღირსია: „და მოიღო ხბო იგი, რომელი ჰქმნეს, და დაწვა იგი ცეცხლითა და დამუსრა წვლილ-წვლილად, შთააბნია იგი წყალსა, და ასვა იგი ძეთა ისრაელისათა“ *(გამოსვ., 32, 20)*. ამრიგად, ოქროს მოზვრის მტვერი წყალს შეურია და მოღალატე ებრაელებს ასვა. რა ღონიერი ყოფილა, არა?

უნდა ვაღიაროთ, ყველას კი არ შეუძლია ოქროს დაბუსრვა, მტვრად ქცევა და წყალში გახსნა. ცეცხლში ჩაგდების გზით ამ ოპერაციის ჩატარების საიდუმლოება, ეტყობა, მხოლოდ მოსემ იცოდა და არასოდეს სხვას არავის სცოდნია. გარდა ამისა, ბიბლია გვიხსნის, რომ ოქროს ფხვნილი შეიძლება ადამიანმა დალიოს, წყალში გაზავებული (და ხომ ვსვამთ ჩვენც, როცა თავი გვტკივა ხოლმე?). ეს უბრალო რამე როდია. საერთოდ, ოქრო გოგირდთან შერევით ეხსნება, ეს მთელი ქიმიური პროცესია. ადვილი წარმოსადგენია, რა საზიზღარი სასმელი იქნებოდა ეს „მეფის არაყი“. მაგრამ

ყველაფერზე უკეთესი აქ ისაა, რომ მოსეს არ გაუკიცხავს რჯულის მოღალატე აარონი, რომელმაც კერპი დაამზადა, მხოლოდ ლევიტელთ უბრძანა, ნამდვილ დამნაშავეებს: ბანაკი დაიარეთ, ხალხს სცემეთ, დაუჯელი არავინ დატოვოთო, მეტიც: გაწყვიტეთო ხალხი!

„და ჰრქვა მათ: ამას იტყვის უფალი, ღმერთი ისრაელისა: შეიბენ კაცად კაცადმან მახვილი წელთა მისთა, და განვლეთ, და მოაქციეთ ბჭით ბჭედ ბანაკისა მაგისგან, და მოკლან კაცად კაცადმან ძმა თვისი, და კაცად კაცადმან მოყვასი თვისი, და კაცად კაცადმან მახლობელი თვისი.

და ყვეს ძეთა ლევისთა, ვითარცა ეტყოდა მათ მოსე, და დაეცნეს მას დღესა შინა სამ ათასნი კაცნი“ *(გამოსვ., 32, 27—28)*.

როცა ღმერთმა გული იჯერა და დაშოშმინდა, მოსეს უბრძანა, სკინია გააკეთეო, რაღაც კარვის მსგავსი ნაგებობა, ბანაკის გარეთ დადგი, რომ ყოველთვის მთაზე ასვლა არ დაგჭირდეს, როცა ბაასი მოგვინდებაო. აი, როგორ მოხდა ეს ფრიად საჭირო ამბავი:

„და ვითარცა შევიდეს მოსე კარავსა მას, გარდამოხდის სვეტი იგი ღრუბლისა და დადგის კართა თანა მის კარვისათა და ეტყვინ უფალი მოსეს.

და ჰხედვიდა ყოველი იგი ერი სვეტსა მას ღრუბლისასა, მდგომარესა კართა ზედა მის კარვისათა. დგან ყოველი იგი ერი და თაყვანისცის კაცად კაცადმან კარით კარვისა თვისისათა.

და ეტყოდა უფალი მოსეს პირის პირ, ვითარცა იგი ვინ ზრახავნ თვისსა მეგობარსა, და მოავლინის ბანაკად, ხოლო მსახური იგი მოსესი, ისო ჭაბუკი, არა გამოვიდის კარვით“ *(გამოსვ., 33, 9—11)*.

თვითონ მამა-ღმერთის ახლო მეგობარი რომ გახდა, მოსემ გადაწყვიტა სათანადოდ გამოეყენებინა ცისა და ქვეყნის შემოქმედის კეთილგანწყობილება. გათამამდა და ღმერთსა სთხოვა, მთელი შენი ბრწყინვალებით მომევლინეო (როგორც ზევსსა სთხოვა დიონისეს დედამ). როგორღა უეხვდა ამ თხოვნას უფალი ღმერთი? წმინდა წერილის სახელმძღვანელოებში ეს ამბავი გულმოდგინედაა გამოტოვებული. ჩვენ ისევ მოვიშველიებთ გრძელ ციტატას.

„და ჰრქვა მოსე: მიჩვენე დიდება თავისა შენისა.

და ჰრქვა უფალმან მოსეს: მე წარვიდე წინაშე შენსა დიდებითა ჩემითა, და უწოდი სახელითა უფლისათა წინაშე შენსა, და შევიწყალო, რომელი შევიწყალო, და შევიწყნარო, რომელი შევიწყნარო.

და ჰრქვა: ვერ ძალგიძს პირისა ჩემისა ხილვად, რამეთუ არა არს კაცი, რომელმანცა იხილა პირი ჩემი და ცხოვნდა.

და ჰრქვა უფალმან: აჰა ესერა ადგილი შენ წინაშე: დასდეგ შენ კლდესა ზედა.

რაჟამს წარვიდოდის დიდებაი ჩემი, დაგდვა შენ ხვრელსა კლდისა-სა, და დაგფარო ხელითა ჩემითა შენ ზედა, ვიდრემდის წარვიდე-მე და აღვიღო ხელი ჩემი, და მაშინ იხილო ზურგით ჩემსა, ხოლო პირი ჩემი ვერ იხილო". *(გამოსვლ., 33, 18—23)*

„წმინდა წერილის" ეს ადგილი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და წაიკითხოს ყველამ, ვინც მორჩილად ისმენს ღვთისმსახურთა ღაღადისს ღმერთზე საერთოდ და ბიბლიურ ღმერთზე კერძოდ.

რაკი სჯულის ფიცრები მოსემ დაცალეწა, ღმერთმა ისინი მეორედ გამოკვეთა და ზედაც ხელახლა ამოკვეთა კანონები. არაა ცნობილი, რა-ტომ, მაგრამ მეორე გამოცემა სკინიიდან არ გამოსულა. ეტყობა ამ სა-მუშაოს შესრულება ტექნიკურად შესაძლებელი ყოფილა მარტო სინაის მთაზე, ასეთი ბაზა სხვაგან არ ექნებოდათ, ამიტომ თუ მოუხდა მოსეს ისევ სინაიზე ასვლა. იქ გაატარა მოსემ უჭმელ-უსმელად კიდევ ორმოცი დღე და ღამე, რაც შიმშილობაში მსოფლიო რეკორდს შეადგენს.

„და ვითარცა გარდამოვიდოდა მოსე მთისა მისგან სინასა, და ორივე ფიცარნი იგი ხელთა შინა მოსესთა, და გარდამოხდა რაი მიერ მთით და არა უწყოდა მოსე, რამეთუ დიდებულ იყო ფერი პირისა მისისა სიტყვი-თა მით უფლისათა მისა მიმართ.

და იხილეს აარონ და ყოველთა ძეთა ისრაელისათა მოსე, და იყო დიდებულ მათ წინაშე ფერი პირისა მისისა, და შეეშინათ მიახლებად მისდა" *(გამოსვ., 34, 29—29)*. ეტყობა, ასეთ დროს გამოაქანდაკა მისი სახე მიქელანჯელომ! იგივე სახე ჰქონდა, სკინიიდან რომ გამოდიოდა. ეტყობა, ამიტომაც გამოხატავენ მას თავზე აღმართული სხივთა წყვილი კონით, რომლებიც რქებს მოგვაგონებენ*.

„გამოსვლათა" წიგნი ექვსი თავით მთავრდება *(35—40)*, რომლებ-შიაც გადმოცემულია წვრილმანი და სრულიად დეტალური კანონ-წესები ებრაელი ხალხისა, ყოველივე ეს მოსეს თვითონ ღმერთმა უკარნახა და მოკვდავთა სიტყვა სუსტია, რომ მათი შინაარსი გაიმეოროს.

---

* ასეთი „რქოსანი" მოსე გამოაქანდაკა რომში, იულიუს მეორის სამარხი-სათვის, მიქელანჯელომ. სჯულის ფიცარზე დაყრდნობილი დიდებული მოსე შო-რეულ საუკუნეებს გადასცქერის.

წიგნი მესამე მოსესი ლევიტელთა

ევიტელთა წიგნი, რაც 27 თავისაგან შედგება, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს, არაფერი საგულისხმო ამ წიგნში არაა. ეპიზოდებიდან აქ ნახავთ მხოლოდ ერთ სცენას, და ისიც საკმაოდ უმნიშვნელოს: როგორ აკურთხეს აარონი და მისი შვილები ქურუმებად, აგრეთვე ნადაბისა და აბიუდის კეთილმსახურული ამბავი: აარონის შვილებმა საცეცხლურები აიღეს და შიგ ცეცხლი გააჩაღეს, ზედ საკმეველი აკმიეს, და რაკი ეს უცხო ცეცხლი იყო, უცხო ღვთაების სადიდებელი, გაუწყრათ ღმერთი, დაიწვა ორივე: „და გამოჰხდა ცეცხლი უფლისა მიერ, და შეწვნა იგინი და მოსწყვიდეს წინაშე უფლისა“, ე. ი. საკურთხეველთან *(თ. 10, 1—2)*. ლევიტელთა წიგნი, ესაა არსებითად გრძელი და მოსაბეზრებელი სია რელიგიური დღესასწაულებისა და მათი შესრულების წესებისა. წმინდა ავტორი გადმოგვიშლის ქურუმთა კასტის შეხედულებებს, სუფთა და უწმინდურ ცხოველთა და ფრინველთა ამბავს, შერყვნა-შებილწვის სხვადასხვა სახეობებს ჩამოგვითვლის. კერძოდ, ბევრს ლაპარაკობს კეთრზე, კეთროვანებზე, ადასტურებს ქურუმთა სიწმინდეს, ისევ ბრძანებს დავიცვათ დღესასწაულებისა და რიტუალების წესი და რიგი, ღმერთს ვუძღვნათ მსხვერპლად პირველი ხილი და ნაყოფი ყოველნაირი, დაწვრილებით მიმოიხილავს ყოველგვარ განწმენდას, კერძოდ ქალის განწმენდას მშობიარობის შემდეგ; ლაპარაკია ღვთის გმობაზე, ითხოვს ამისათვის სიკვდილით დასჯას და ა. შ. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სამოქალაქო ცხოვრების წესებს. ესაა არეულ-დარეული, არათანმიმდევრული და უცნაური რჩევა-დარიგებების მთელი კოდექსი, რისი კითხვაც მთქნარების გარეშე შეუძლებელია.

სწორედ აქ ცხადდება კურდღელი „უწმინდურ“ ცხოველად, რადგან, მართალია, იცოხნის და „კევს ღეჭავს“, მაგრამ ჩლიქი არა აქვს გაყოფილი: „ხოლო მათგანი არა სჭამოთ, რომელნი არა აღმოიცოხნიან, და რომელთა არა განყოფილ არს ჭლიკი, და რომელნი ფრცხენენ ფრცხილითა: აქლემი, რამეთუ არა აღმოიცოხნის. და ჭლიკი მისი არა განპებილ არს, არა წმინდა არს ესე თქვენდა. და ყურდგელი, რამეთუ აღმოიცოხნის, და ჭლიკი მისი არა განპებილ არს, არა წმინდა არს ესე თქვენდა, და

მაჩვი, და ღორი. რამეთუ განპებილ არს ჭლიკი... და ესე არა ღმრთისცის-ნის, არა წმინდა არს თქვენდა“ (ლევიტ. 11, 4—7).

ლევიტელთა წიგნში რელიგიური თვალსაზრისით არიან აგრეთვე სნეულებანი. ამ საკითხის განხილვაში წმინდა ავტორი ისევე ამოუწურავია, რამდენადაც საძაგელი. ზოგი მისი განცხადება სრულიად მახინჯი სახისაა: „ყოველი საწოლი, რომელსა დაწვეს მას ზედა თესლ მდინარე იგი, არა წმინდა იყოს... უკეთუ ნ[illegible]წყოს* თესლ მდინარემან წმინდისა ვისმე, განირცხეს სამოსელი მისი, დაიბანოს წყლითა, და არა წმინდა იყოს ვიდრე მწუხრამდე“ (ლევიტ., 15, 4 8). სამაგიეროდ ასეთი კაცი, ვისაც „დენა აქვს“, შეიძლება განიწმინდოს... სარწმუნოებით. თქვენა გგონიათ ბიბლია მას რაღაც გარკვეულ წამალს უწერს? ვერ გამოიცანით! „უკეთუ განწმდეს (განიწმინდოს) თესლ მდინარე იგი დინებისაგან მისისა, და აღირაცხნეს შვიდნი დღენი განწმედისა მისისანი, და განირცხას სამოსელი მისი, და დაიბანოს გვამი მისი წყლითა ცხოველითა, და წმიდა იყოს. და დღესა მერვესა მოიხვნეს თავისა თვისისა ორნი გვრიტნი, ანუ ორნი მართვენი ტრედისანი, მოართვნეს იგინი წინაშე უფლისა კართა ზედა კარვისა საწამებელისათა, და მისცნეს იგინი მღვდელს“ (ლევიტ., 15, 13—14).

ამრიგად, მთავარია მღვდელს მისცეს, სნეული განიწმინდება. ბიბლია სნეულს ურჩევს, როგორ მოიქცეს განკურნების შემდეგ, მაგრამ სრულიად უძლურია იმისათვის, რომ განკურნებამდე დაეხმაროს.

შესანიშნავია ზოგიერთი აკრძალვა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ წმინდა ავტორი მცირეოდენი ეჭვის ადგილსაც კი არ ტოვებს ეჭვისათვის, ისე ყოველმხრივ აშიშვლებს, რა საძაგლობაც ყოფილა იაკობის შთამომავალთა მაშინდელი სარწმუნოება. დაგმობილია „ცხოველთმავლობა“, რაც იმდროის ისრაელში, ეტყობა, ძლიერ გავრცელებული ყოფილა. მეოცე თავში ჩამოთვლილია გარყვნილების ყველა სახეობა, როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, და ყველასათვის ერთი სასჯელია: სიკვდილი!

„და კაცმან უკეთუ ვინმე იმრუშოს ქმრის ცოლისა თანა, ანუ მრუშება ჰყოს, ანუ სიძვა ჰყოს ცოლისა მოყვისა თვისისა თანა, სიკვდილით მოკვდინ, ორივე შემცოდე არიან, რამეთუ ქმრის ცოლისა თანა იმრუშა.

და უკეთუ მამისა ცოლისა თანა იმრუშოს, სიკვდილითა მოკვედინ, რამეთუ სარცხვინელი მამისა თვისისა გამოაცხადა, სიკვდილითა მოკვედინ ორნივე, რამეთუ თანამდებ არიან.

უკეთუ ვინ დაწვეს სძალისა თვისისა თანა, სიკვდილითა მოკვდეს ორნივე, რამეთუ უპატიობა ჰყვეს...

---

* — მიაფურთხოს.

რომელმან შეირთოს ცოლი და დედა მისი, რამეთუ უსჯულოება არს, ცეცხლითა დაწვით იგი, და არა იყოს უსჯულოება თქვენ შორის.

და რომელი დაწვეს პირუტყვთა თანა, სიკვდილითა მოკუედინ და ოთხ ფერხიცა იგი მოკალთ.

დედა-კაცი, რომელი მოუხდეს ყოველსა პირუტყვსა [illegible] მოკალთ იგი, და პირუტყვიცა, რამეთუ თანამდებ არიან.

რომელმან შეირთოს დაი თვისი, მამით გინა დედით, და იხილოს მან სარცხვინელი მისი, და ამან სარცხვინელი მისა, საყუედრელ არიან, მოისპედ იგინი წინაშე ძეთა ნათესავისა მათისათა...

და მამა-კაცი, რომელი დაწვეს დედა-კაცისა თანა უწმიდურისა, და გამოაცხადოს სარცხვინელი მისი, წყარო მისი გამოაცხადა, და თვით დედა-კაცმან გამოაცხადა მდინარება სისხლისა თვისისა, მოისპედ ორნივე ნათესავისაგან მათისა...

რომელმან შეირთოს ცოლი ძმისა თვისისა, არა წმიდება არს, რამეთუ სარცხვინელი ძმისა თვისისა გამოაცხადა, უშვილოდ მოსწყდენ...

დაიმარხენით ყოველნი ბრძანებანი ჩემნი და სამართალი ჩემი... და იყვენით თქვენ ჩემდა წმიდაი, რამეთუ წმიდა ვარ მე, უფალი ღმერთი თქვენი" *(ლევიტ., 20, 10—22)*.

არანაკლებ თავშესაქცევია „სარცხვინელთა თავი":

„და ეტყოდა ღმერთი მოსეს და ჰრქვა:

ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა და არქვი მათ: მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი...

სამართალთა ჩემთა ჰყოფდეთ, და ბრძანებათა ჩემთა იმარხევდეთ...

კაცად კაცადი ყოველივე თვისსა მოყვასსა ხორციელსა არა მოუხდეს გამოცხადებად სარცხვინელისა, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი (მახლობელს ხორცით არ შეეხოთო!).

სარცხვინელი მამისა შენისა და სარცხვინელი დედისა შენისა არა გამოაცხადო*, რამეთუ დედა შენი არს.

სარცხვენელი მამისა ცოლისა შენისა არა გამოაცხადო, რამეთუ სარცხვენელი მამისა შენისა არს.

სარცხვენელი დისა შენისა არა გამოაცხადო მამითისა, გინა დედითისა შინა შობილისა ანუ გარე ნაშობისა, არა გამოაცხადო სარცხვენელი მისი.

სარცხვენელი ასულისა ძისა შენისა, გინა ასულისა შენისა, არა გამოაცხადო სირცხვილითა, რამეთუ სარცხვენელი შენი არს...

..სარცხვენელი სძლისა შენისა არა გამოაცხადო, რამეთუ ძის ცოლი შენი არს, რათა არა გამოაცხადო სარცხვენელი მისი.

---

* სიტყვა „სარცხვენელი" ნახმარია სიშიშვლის მნიშვნელობით.

სარცხვენელი ძისა ცოლისა შენისა არა გამოაცხადო, რამეთუ სარცხვენელი ძმისა შენისა არს.

სარცხვენელი ცოლისა და ასულისა მისისა არა გამოაცხადო, ასული ძისა მისისა და ასული ასულისა მისისა... რამეთუ თქვენ შენა-ვრისან, უღმერთობა არს.

ცოლად დაი ცოლისა შენისა შენსა არა მოიყვანო საწოლსა ზედა ხარჭად სიცოცხლესა შინა მისსა გამოცხადებად სარცხვენელი მისი.

და ცოლისა მოყვისა შენისა თანა არა სცე დაწოლად თესლსა შენსა და შეგინებად მისსა.

და ყოვლისა თანა ოთხ ფერხისა არა შეხვიდე დაწოლად თესლსა და შეგინებად მის თანა. და დედაკაცი არა დადგეს მოსვლად მის ზედა ყოველივე ოთხ ფერხი და მამლობად, რამეთუ საძაგელ არს“ *(ლევიტ., 18, 6—24)*.

დიახაც, „საძაგელ არს!“ რა გულისამაჩუყებელი ქადაგებაა სათნოებისა და სარცხვენელი სიშიშვლის არა გამოჩინებისა! რა ზნეობრივი იწმინდება! ლევიტელთა წიგნი ნამდვილი ღვთისმსახურული კოდექსია, მხოლოდ ესაა, სათნო წმინდანები და ღვთის მეგობარნი ხშირად ჩივიან, მორწმუნეები ამ რჩევა-დარიგებას ხშირად არღვევენო. რაც მართალია, მართალია!

წიგნი მეოთხე მოსესი რიცხვთა

მ წიგნს „რიცხვთა“ იმიტომ ეწოდა, რომ მასში ნაჩვენები ოთხი თავი წარმოადგენს ებრაელთა აღრიცხვას უდაბნოებში ხეტიალის ორი წლისა და ორი თვის თავზე. სულ აღმოჩნდა 603 550 შეიარაღებული ებრაელი.

ამ წიგნის დანარჩენ ოცდათორმეტ თავში მოთხრობილია ებრაელთა შემდგომი ხეტიალი უდაბნოებში, აღთქმული ქვეყნის გზაზე. ამის მიუხედავად, ამ თავშიაც გვხვდება ნაირნაირი წესები, იმდენადვე წვრილმანი, რამდენადაც ერთფეროვანი და მოსაბეზრებელი. მაგალითად, მერვე თავის ნახევარი — ესაა ვრძელი ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აინთოს შვიდივე სანთელი სასანთლეზე. ღმერთი აძლევს ამ ინსტრუქციას მოსეს, რათა იმან თავის მხრივ აარონს ასწავლოს. „რიცხვთა“ წიგნში, სხვათა შორის, მოცემულია სასარგებლო მითითებანი ეჭვიანი ქმრებისათვის, რომელთაც ცოლის ერთგულებაში ეჭვი ეპარებათ, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცებიათ.

მოსესთან საუბარში ღმერთი ამბობს: „ეტყოდე ძეთა ისრაელისათა და არქვი მათ: კაცისა, რომლისა გარდაჰხდეს ცოლი მისი და უგულებელს ჰყოს ქმარი იგი თვისი უგულებლობითა, და ვინმე წვეს მის თანა საწოლითა თესლისათა, და დაეფაროს თვალთაგან ქმრისა მისისათა, და დაუმალოს, დედა-კაცი იგი იყოს შეგინებულ, და მოწამე არავინ იყოს მისა, და იგი მიდგრომილ (მხილებულ) არღა იყოს, და მოუხდეს ქმარსა მისსა სული შურებისა... და მოიღოს მღვდელმან წყალი წმინდაი და ცხოველი ჭურჭლითა.. და აფუცოს იგი მღვდელმან მან, და ჰრქვას დედა-კაცსა მას, უკეთუ და ვინმე არა წოლილ არს შენთანა, უკეთუ არა შეგინებულ იყო სხვისა მამა-კაცისაგან, თვინიერ ქმრისა შენისა, უბრალო იყო შენ წყლისა ამისგან მხილებისა და წყევისა. უკეთუ შეგინებულ იყო სხვისაგან, თვინიერ ქმრისა შენისა, ანუ მოგცემოდეს თესლი სხვაი, იყოს შენ ზედა წყევა იგი. და აფუცოს მღვდელმან მან დედა-კაცი იგი ფიცსა მას წყევისასა, და ჰრქვას მღვდელმან მან დედა-კაცსა მას: მოგეცინ შენ უფალმან წყევასა და ფიცსა ერსა შორის შენსა მოცემად უფლისა მიერ ბარკალი შენი გარდავრდომად და მუცელი შენი განსივებად. და შევიდეს წყალი ესე დაწყეული მუცელსა შენსა, რათა გარდავარდეს ბარკალი შენი და განასიოს მუცელი შენი და თქვას დედაკაცმან მან: იყავნ, იყავნ! და ასვას დედა-კაცსა მას

წყალი იგი მხილებისა და ფიცისა, და შევიდეს მისა წყალი წყევისა მის მხილებისა... და დადვას (მღვდელმა) შესაწირავი იგი წინაშე უფლისა საკურთხეველსა ზედა. და უკეთუ შეგინებულ იყოს დედა-კაცი იგი, და დაჩუნებით უჩინარ ექმნას ქმარსა მისსა, შევ დეს წყალი იგი მხილებისა და წყევისა და განსივნეს მუცელი მისი, და იყოს დედა-კაცი იგი წყეული ერსა შორის, ხოლო უკეთუ არა შეგინებულ იყოს დედა-კაცი იგი და წმიდაი იყოს, უბრალო არს, და თესლი გამოიღოს“ (რიცხვთა, 5, 12—13, 19—22, 24, 27).

ეს ღვთაებრივი დადგენილება, რომლის მთავარი ღონისძიებაა „წყალი მხილებისა“, თვით ღმერთმა მონათლა „ეჭვიანობის კანონად“.

ახლა კი დავუბრუნდეთ ებრაელებს, რომლებიც ისევ ისე დაეხეტებიან უდაბნოებში, მოსეს წინამძღოლობით. ღმერთის ბრძანებით მოსემ დაამზადებინა ორი ვერცხლის ბუკი, რომელთა დანიშნულება იყო გამგზავრების ნიშნის მიცემა. იმ ხანებში ებრაელებს მოსწყინდათ ცის მანანა, მენიუს შეცვლა გადაწყვიტეს და ხორცი მოითხოვეს. რასა ბრძანებთ? განა „გამოსვლათა წიგნში“ მტრედის ბრძანებით არ ჩაიწერა, ეგვიპტიდან გაქცევის დროს ებრაელებმა ურიცხვი საქონელი გარეკესო (თ. 12, მუხ. 38). მართალია, ზოგჯერ, ათასში ერთხელ ღმერთიც ითხოვდა სამსხვერპლოდ პირველ ბატკანს, მაგალითად სინაის მთის ძირას რომ მთელი წელი გაატარეს. ისიც მართალია, რომ ლევიტელნი და აარონი ოქროს ხბოს სწირავდნენ ტარიგებს. მაგრამ ნუთუ მთელი ჯოგები გაწყდა?

უნდა ვაღიაროთ, ყველაფერი ეს მეტად გაუგებარია: როცა უდაბნოში მსხვერპლის შეწირვაზეა ლაპარაკი, ებრაელებს ჯერ კიდევ მთელი ის პირუტყვი თანა ჰყავთ, ეგვიპტიდან რომ გამორეკეს. მაგრამ როგორც კი სხვა ამბავზე გადავდივართ, ებრაელები შიმშილით წყდებიან და მხოლოდ ციური მანანით იკვებებიან, მერე ეს სასაქმებელი წამალიც ღვთის წყალობად მიაჩნიათ. როგორ გავბედავთ და ვიტყვით, რომ წმინდა მტრედი საკუთარ თავთან წინააღმდეგობაშია: ეს ხომ უსინდისობა და ღვთის გმობა იქნებოდა! იძულებული ვართ პირდაპირ მოკლედ მოვჭრათ და ვთქვათ, რომ მსხვერპლის მოყვარულმა ღმერთმა მთელი ჯოგები შეჭამა, სულიწმინდას კი დაავიწყდა ამის თქმა, ან უხერხულად ჩათვალა უფლის მადაზე სიტყვის დაძვრა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, სინამდვილე ასეთია: სინაიდან წასვლის წინ ებრაელები უკვე დრტვინავენ, ხორცი გვინდაო! მაშასადამე, აღარ დარჩენილა აღარც ერთი ხარი, არც ერთი ცხვარი და არც ერთი ბატკანი.

მოსემ ხალხის მოთხოვნა ღმერთს აუწყა. „და სული უფლისა მოვიდა და გამოიღო მწყერ-მარხილი ზღვით, და დადგა იგი ბანაკსა მას დღისა ერთისა გზასა ამიერ და ამიერ გარემო ბანაკსა მას, ვითარ ორ წყრთა ქვეყანასა ზედა, და აღდგა ერი იგი მას დღესა დღე ყოველ, და შეკრი-

გეს მწყერ-მარხილი... და დასწყვიდეს იგი და განახმეს გარეშე ბანაგსა მას“ *(რიცხვთა, 11, 30—31)*. ამრიგად, ღმერთი თავის ხალხს დახმარებას უწევს, ვიდრე საჭირო ადგილზე მიიყვანდეს. ერთი დღის სავალზე მწყერმა უდაბნო დაფარა, მისი ფენა ორ წყრთას აღემატება. ხელსაყრელ მანძილზე მიირთვი, გამზადებულია!

ბუნებრივია, მამა-ღმერთს ასეთი დათმობა უნდა მოეხდინა თავისი ხალხის სასარგებლოდ: ხალხმა ხომ თავისი ჯოგები მას დაუთმო! ადვილი წარმოსადგენია, როგორ გამოძღებოდნენ დაღლილი მგზავრები! მაგრამ მონელება კი არ დასცალდათ. „და ხორცი იგი იყოლა კბილთა შინა მათთა, და არა მოკლებულ იყო, და უფალი განრისხნა ფრიად ერსა მას ზედა, და მოსრა ერი იგი წყლულებითა დიდითა ფრიად. და ეწოდა ადგილსა მას !აფლავებ გულის თქმისა, რამეთუ მუნ დაჰფლეს ერი იგი გულის მთქმელი“ *(რიცხთა, 11, 33—34)*. წარმოიდგინეთ, რა სასტიკი ღმერთია! რამ გააბრაზა? ნუთუ ასე გაძვირდა ღვთაებრივ ბაზარზე მწყერი, რომ მამასისხლად დაჯდა, ერი გაწყდა და უდაბნო სასაფლაოდ იქცა?

ღმერთი ებრაელთა სიხარბემ განარისხა: ამდენი რატომ ჭამეთო, ამისათვის დაისაჯა ერი! ადამიანი ღორმუცელა არ უნდა იყოს, ღმერთს ეწყინება.

ამის შემდეგ გადარჩენილი ემიგრანტები ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ, და მოხვდნენ უდაბნოში, რომელსაც ბიბლიაში თარანი ეწოდება. ესაა სინაის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. წმინდა ავტორმა ამ მხარეს კიდევ მადიამის მიწა მიაკერა. მოსემ ხალხი შეაჩერა და ბრძანა, ყოველი ტომიდან თითო კაცი ქვეყნის დასაზვერავად წავიდესო. მზვერავები ქებრონს ჩავიდნენ, მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ქანაანის შუაგულში, სადაც იმ დროს ამორეველნი ცხოვრობდნენ. მზვერავები ორმოცი დღის თავზე დაბრუნდნენ და თან თავიანთი მოხსენების საბუთად მოიტანეს საკვირველი ხის ნაყოფი — ბროწეული, ლეღვი და ყურძენი. ყურძნის მტევნების სიდიდეს ნუღარ იკითხავთ: თითო მტევნის ზიდვას რამდენიმე კაცის ღონე უნდოდა. ეს უკვე უდავო დამამტკიცებელი საბუთი იყო. ხალხი მიადგა იმ ქვეყანას, რომლის დაპატრონებასაც ოცნებად ატარებდა *(თ. 13)*.

მაგრამ მოხსენების გაგრძელებამ ებრაელების იმედს ცივი წყალი გადაასხა. ისეთი რამეები მოისმინეს, რომ წინსვლის ხალისი დაკარგეს.

— ასეთი სანაქებო ხილი არსად არ გვინახავს, — ამბობდნენ წარგზავნილები, — მაგრამ ქვეყნის პატრონები — ჯანმაგარი ვაჟკაცები არიან, ქალაქებს მაგარი ზღუდეები ევლებათ გარშემო და ციხე-გალავნებით აქვთ გამაგრებული.

„ყოველი ერი იგი, რომელი ვიხილეთ მას ზედა, კაცნი ასაკ გრძელნი არიან. და მუნ ვიხილენით გმირნიცა, ძენი ანაკისა, და ვიყვენით ჩვენ მათ

წინაშე, ვითარცა ჩკალსი. ესრეთ ვიყვენით მათ წინაშე“ (რიცხვთა, 13, 33—34). მოკლედ, გოლიათებს ქვეყანაში მოხვედრილან.

ათი მზვერავი იმ აზრისაა, უმჯობესია იმ ქვეყანაში ცხვირი არ შევრგოთო. ხალხიც მათ მიემხრო. მხოლოდ იესომ და ქალებმა სხვა აზრი გამოთქვეს: ეს ქვეყანა მეტისმეტად კარგი ყოფილა, რომ მისი ალება არ ვცადოთო. ეგვიპტეში დაბრუნებას და მონობის უღელში ხელახლა თავის შეყოფას ისა სჯობია, ბედს ქეჩოში ხელი ჩავავლოთ — ღმერთი ჩვენთანაა, ნუ გეშინიათო! ვისაც თევზი უნდა, ფეხის დასველება არ უნდა დაეზაროსო, რისკი სანაქებო საქმეაო და ა. შ.

ხალხი მაინც ჯიუტობდა. ექვსასი ათასი მეომარი შეუდრკა ერთი პატარა ქვეყნის მოსახლეობას. მაშინ ღმერთმა თქვა, მთელი ებრაელი ხალხი გაწყდება, მხოლოდ იესო ნავის-ძე და ხალები (ჰალები) გადარჩებიანო. უსახელოდ გაწყვეტას ისევ აღთქმული ქვეყნისათვის ბრძოლაში გაწყვეტა ჯობდა. ხალხი ყოყმანობდა. რამდენიმე დღე ასე გავიდა. ამასობაში ამალეკები და ქანაანელები გამოჩნდნენ და ებრაელებს გაუგონარი უბედურება დაატეხეს. ხელახლა წინ წასვლა აღარ სურდა და ამისათვის დამარცხდა. ღმერთი აღარ იყო მათთან.

„რიცხვთა“ წიგნში აღწერილი ამბებიდან აღნიშვნის ღირსია ამბავი შეთქმულებისა, რომელსაც მეთაურობდნენ კორე, დათან და აბირონი. 250 თანამოაზრე შემოიკრიბეს და დაადგინეს: მოსე და აარონი არ არიან ღირსი ლევიტელთა წინამძღოლობისა და უნდა დავამხოთო. ეს შეთქმულნი ანაზდეულად მიწამ შთანთქა: „განსქდა ქვეყანა ფერხთა ქვეშე მათსა, და განეღო ქვეყანა და დანთქნა იგინი და სახლნი მათნი და ყოველნი კაცნი, რომელნი იყვნეს კორესთანა, და ყოველი საცხოვარი მათი“ (რიცხვთა. 14, 30—31). ასეა ბიბლიაში: ადამიანები რომ სასტიკად ისჯებიან, მათი პირუტყვიც მათ ბედს იზიარებს, ერთბაშად დაიწვა 250 ებრაელი იმ ცეცხლით, რომელიც „გამოჰხდა უფლისაგან“, ცოცხალნი შთანთქა ღვთის რისხვამ ჯოჯოხეთში. ამას გარდა, ღმერთმა კეთრით შემუსრა 14 700 ემიგრანტი, რომელთაც შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამდენი უბედური მსხვერპლი რომ იხილეს, წყლულისაგან დაღუპულები, დანარჩენმა ხალხმა უფალს მორჩილების საკმეველი უკმია, თუმცა ამ ხალხის საბოლოოდ დათრგუნვა არც ღმერთს შეეძლო: „და დრტვინვიდეს ძენი ისრაელისანი ხვალისა დღე მოსესა მიმართ და აარონისა და იტყოდეს: თქვენ ზოსართ ყოველივე ესე ერი უფლისაო“.

ამის შემდეგ ღმერთის ბრძანებით მოსემ ტომთა წინამძღოლებს ხმელი ხის თითო კვერთხის მოტანა სთხოვა, იმ კვერთხის მსგავსთა, რომელიც აარონს მუდამ ხელთ ეჭირა. ყოველ კვერთხზე თითო ტომის სახელი ეწერა. სულ თორმეტი გვარი იყო, თორმეტი კვერთხი შეგროვდა. მეთორმეტე — ლევის ტომისა, აარონმა მოიტანა, ზედაც მისი სახელი ეწერა. ყველა კვერ-

თხი წმინდა სკინიაში მოათავსეს. მეორე დღეს, ხალხის გასაოცებლად, აარონის ხმელი კვერთხი გაიფოთლა, ამწვანდა, ხოლო დანარჩენები არ შეცვლილან. ლევიტელთა კვერთხმა არა მარტო ფოთლები, ნუშიც კი გამოისხა, და ისიც მწიფე!

ამ „სასწაულმა" ცხადჰყო, რომ ჭურუმად ღმერთი სწორედ აარონს ნიშნავს და სხვას არავის. ხალხი დამშვიდდა და მას შემდეგ ლევიტელებს ჭურუმობას აღარავინ ედავებოდა *(თ. 17)*.

კითხვა: თუ ეს სასწაული ასე დამაჯერებელი იყო და ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაშინ ღმერთმა რისთვის გაჟლიტა ჭირით 14 700 უდანაშაულო კაცი?

რიცხვთა 19 თავი მეტისმეტად „მნიშვნელოვან" ეპიზოდს ეძღვნება. ღმერთმა მოითხოვა: დამიკალითო დეკეული უბიწო, ისიც წითელი, „რომლისა თანა არა იყო ბიწი, და არა დადებულ მას ზედა უღელი". დეკეული მოიყვანეს, დაკლეს, და ელიაზარმა მისი წმინდა სისხლი სკინიას კარვის კარებს ასხურა შვიდგზის. მერე მსხვერპლი დაწვეს.

მეოცე თავში ნათქვამია, რომ მგზავრები ისევ სინის უდაბნოში აღმოჩნდნენ. ეს წინსვლა კი არა, წრეში ტრიალია. უდაბნოში წყალი არაა. ისევ იწყება დრტვინვა, ისევ დაჰკრეს კვერთხი კლდეს, ისევ გადმოსკდა წყალი, სასწაული მეორდება. არ გჯერათ? „და აღიპყრა მოსე ხელი თვისი და სცა კლდესა მას კვერთხითა მით ორგზის და გამოჰხდა წყალი მრავალი და სვა კრებულმან მან და საცხოვარმან მათმან" *(მუხლ. 11)*.

ძალიან უბრალოდ და კოხტად გამოდის! ხალხს არა აქვს ხორცი, მაგრამ ჰყავს ჯოგები. ღმერთს წითელ დეკეულს უკლავენ. ხალხს სწყურია და კლდიდან წყალი გადმოსჩქეფს. რას სვამს საქონელი უდაბნოებში? ეს არ წერია.

შემდეგ მაშა-ღმერთმა მოსეს უბრძანა, შენი ძმის აარონისა და მისი ძის ელიაზარის თანხლებით ორის მთაზე ამომყევი, ასე ინება ღმერთმაო. მწვერვალზე რომ ავიდნენ, უზენაესის ნებით მოსემ აარონს სამღვდელმთავრო სამოსელი გახადა, მის შვილს ელიაზარს ჩააცვა და აარონი იმავე წამს გარდაიცვალა, როგორც სკიდან გაგდებული მამალი ფუტკარი. უდროოდ გარდაიცვალაო, ვერ ვიტყვით: აარონი 123 წლისა იყო.

ამ უდაბნოში ვინმე არადი „მეფობდა". როგორც კი ებრაელთა მოახლოება გაიგო, ჯარი შეყარა, დაუპატიჟებელ სტუმრებს შეება, დაამარცხა და ტყვეები წაასხა. ღრმად შეურაცხყოფილმა ებრაელმა ხალხმა ხელები აღაპყრო და ღმერთს შეევედრა:

„და აღუთქვა ისრაელმან აღთქმა უფალსა და ჰრქვა: მოთუმცე ერი ესე ხელთა ჩემთა, შეჩვენებულ ვყო იგი და ქალაქები მათი (ე. ი. თუ მომცემ იმ ხალხს ხელში...). და ისმინა უფალმან ხმა ისრაელისა და მისცა

ქანაანი ხელთა მისთა და შეჩვენებულ ჰყო იგი და ქალაქები მისი და უწოდა ადგილსა მას სახელი შეჩვენებულ"*.

მეორე ბრძოლაში ჩვენმა ემიგრანტებმა ქანაანელნი დაამარცხეს, გაანადგურეს და შეასრულეს ღმერთისათვის მიცემული სიტყვა. მათს ქალაქებს მიწასთან გავასწორებთო. შემდეგ კი ისევ სამხრეთში ენეს პერი და ისევ თარანის უდაბნოს სიღრმეში შევიდნენ. აქ „კეთილმა ღმერთმა" ახალი განსაცდელი დაახვედრა თავის რჩეულ ხალხს: შხამიანი გველები:

„და მოუვლინა უფალმან ერსა მას გველნი მომსრველნი და უკბენდეს ერსა მას და მოხისრა ერი მრავალი ძეთა ისრაელისათა.

და მოვიდა ერი იგი მოსესა და ეტყოდეს: ვსცოდეთ, რამეთუ ძვირსა ვიტყოდით უფლისათვის" (რიცხვთა, 21, 6—7). მაშინ მოსემ სპილენძის გველი გააკეთა, ასე უბრძანა ღმერთმა:

„ასე უბრძანა უფალმან მოსეს: ჰქმენ შენ გველი და დადევი იგი ძელსა ზედა სასწაულად და იყოს, უკბინოს თუ გველმან კაცსა, ყოველმან კბენილმან, რომელმან იხილოს, ცხოვნდეს" (8).

უცნაურია, რატომ უნდა შველოდეს გველის გამოსახულების ხილვა გველის დაკბენილს? თუმცა გესლის წამალი ხომ გესლია! რას არ იგონებს ღმერთი, რომ თავისი სასწაულთმოქმედი ძალა უჩვენოს ხალხს!

გაურკვეველია, რამდენი ხანი იხეტიალეს კიდევ უდაბნოში, ბოლოს ებრაელები ისევ ჩრდილოეთში აღმოჩნდნენ, ამორეველთა მეზობლად, რომელთაც მეფე სიგონი ჰყავდათ**. ებრაელებმა მათ ისეთი აბანო გაუმართეს, როგორიც ღმერთსა და მის მსახურებს ეკადრებათ. მთელი ხალხი „მოსრა მახვილითა და ეუფლა ქვეყანას მისსა". მერე კიდევ ერთი მხარე დაიმორჩილეს.

ეგვიპტიდან ლტოლვილმა ემიგრანტებმა მკვდარი ზღვის სამხრეთი ნაპირებიც იხილეს. პატარა მთაგრეხილი უნდა გადაელახათ, მოაბის შთამომავალთა ქვეყნის საზღვარი. ეს მოაბი პატრიარქ ლოტის შთამომავალი იყო თავისი ასულისაგან, ერთი მშვენიერი ღამის ნაყოფი, სიმთვრალის ჟამს რომ შეცდა. მოაბიტელთა ქვეყანას აღმოსავლეთიდან მადიამელთა მიწა ეკრა (ესეც მესამე მადიამი!), მოაბიტელნი და მადიამიტელნი კი კეთილი მეზობლები იყვნენ, გასაყოფი არაფერი ჰქონდათ.

მოაბიტელთა მეფემ ბალაკმა რომ ებრაელთა მოახლოების ამბავი გაიგო, მაშინვე სათათბიროდ მოიწვია თავისი ვეზირებიც და ზოგი ვინმე გარეშეც. ჭკვიანი ხალხის რჩევა უნდოდა. აი, რა გადაწყვეტილება მიიღეს.

---

* ქართულ ბიბლიაში არ წერია „შეჩვენებულის" ებრაული სახელი „ხორმა" (ეს სიტყვა ნახსენებია ზემოთაც, სადაც ამალეკელნი და ქანაანელნი ებრაელებს ამარცხებენ სინაის მთებში (მოსე. 4, 14, 45).

** ქართულ ბიბლიაში მისი სახელია სეონ. მან გზა არ მისცა ისრაელებს და ამისათვის დაისაჯა.

იმხანად ქალაქ ფადარს ცხოვრობდა ვინმე ბალაამი, ბეორის ძე, რომლის ხელობა იყო მომავლის განჭვრეტა და ბედის მოდრეკა. ბალაკმა გაგზავნა მისთვის დელეგაციის გაგზავნა და მიუგზავნა კიდეც: მე და ჩემი მოკავშირე მადიანიტელნი დაგვლოცე და რაიმე მაგარი წყევლა-კრულვა მიმიძღვნე ებრაელებისათვისო.

პირველად ბალაამი უარზე დადგა, არ უნდოდა ბალაკისა და მისი მოკავშირეების დალოცვა, მაგრამ მერე მოეჩვენა, თითქოს ღმერთს ნებავს მეფის სურვილის აღსრულება. მაშინ დეპუტაციასთან ერთად გზას გაუდგა და პირადად ეახლა მეფეს. გზაში ერთი სასწაული იხილა. თავისი ვირით რომ გრძელ გზაზე მიჩანჩალებდა, უცებ უფლის ანგელოზი გამოეცხადა, მახვილშემართულმა გზა გადაუღობა. დედალი ვირი, რომელზედაც ჯადოქარი იჯდა, გაჯიუტდა, წინ აღარ წავიდა, და მერე ველად გაიჭრა, ანგელოზთან შეხვედრას მოერიდა. გადავშალოთ ბიბლია:

„და იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი ღვთისა, მდგომარე გზასა ზედა და მახვილი ხდილი ხელსა შინა მისსა, და მიაქცია ვირმან მან გზისაგან და ვიდოდა ველსა, და სცა ვირსა მას კვერთხითა მოქცევად იგი გზად.

და დადგა ანგელოზი იგი ღვთისა ფოლორცთა ვენახისათა, და იყო ღობე ერთი კერძო და ღობე მეორე კერძო.

და იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი ღვთისა და მიედრიკებოდა იგი ღობესა მას და მოჭლიშა ფერხი ბალამისა ღობითა და შესძინა მერმედ გვემად მისა (ჯოხით დაუწყო ვირს ცემა).

და შესძინა ანგელოზმან მან ღვთისამან მერმე, და მივიდა და დადგა გზასა იწროსა, რომელსა ვერ იყო მისაქცეველი მარჯულ, არცა მარცხენით.

და იხილა ვირმან მან ანგელოზი ღვთისა და დაწვა ქვეშე ბალამისა და განრისხნა ბალამ და სცემდა ვირსა მას კვერთხითა.

და განუღო ღმერთმან პირი ვირსა მას და ჰრქვა ბალამს: რაი გიყაკ შენ, რამეთუ მეც (მცემე) მე ესე სამ გზის?

და ჰრქვა ბალამ ვირსა მას: რამეთუ ჩამიწევ, და თუმცა მჭონოდა მახვილი ხელსა ჩემსა, მუნ ვთქვი — ესემცა განგგმირე შენ.

და ჰრქვა ვირმან ბალამს: არა მე ვარა კარაული შენი, რომელსა ზედა სჯდი სიჭაბუკით შენითგან ვიდრე დღეინდელად დღედმდე? ნუ შეურაცხებით შეურაცხ გყავა და ეს: ერეთ სადამე გიყავ შენ? ხოლო მან ჰრქვა: არა.

და აღუხილნა ღმერთმან თვალნი ბალამს, და იხილა ანგელოზი იგი ღვთისა, წინა აღმდგომი მისი გზასა ზედა, და მოდრკა ბალამ და თაყვანისსცა პირსა ზედა თვისსა.

და ჰრქვა მას ანგელოზმან მან უფლისამან: რაისათვის სცემდი ვირსა მაგას შენ ესე მესამედ, და აჰა მე გამოვსულვარ დაბრკოლებად შენდა, რა-

მეთუ არა სათნო არს გზა შენი ჩემ წინაშე, და მიხილა მე ვირმან და მიაქცია ჩემგან ესერა სამ გზის.

და უკეთუმცა არა მიექცე, შენმცა მოგკალა, და იგიმცა განვარინე.

და ჰრქვა ბალამ ანგელოზსა მას უფლისასა: ვსცოდე, რამეთუ არა ვიცოდე, ვითარმედ შენ წინა აღმიდეგ გზასა ზედა შემთხვევად წინაშე ჩემსა და აწ, თუ არა სათნო არს შენდა, გარე უკუნ ვიქცე.

და ჰრქვა ანგელოზმან მან ღვთისამან ბალამს: წარვედ შენ კაცთა მათთანა, ხოლო სიტყვაი, რომელი გრქვა შენ, იგი დაიმარხო სიტყვად. და წარვიდა ბალამ მთავართა თანა ბალაკისთა" *(რიცხვთა, 22, 23—35)*.

ამ თავგადასავლის ბოლო ის იყო, რომ ებრაელმა ხალხმა სამგზის დალოცვა მიიღო ბალაამის პირით, რითაც გააცოფა მოაბიტელთა მეფე, და სამართლიანადაც: გადამწყვეტი ბრძოლის წინ თავისი მოკავშირე ჯადოქარი წყევლიდა, იმის ნაცვლად, რომ დაელოცა! თუმცა რა მისი ბრალი იყო? რამდენჯერაც დასაწყევლად პირს გააღებდა, მისდა უნებურად დალოცვა გამოსდიოდა პირიდან!

მეფე ცოფს ებანთხევდა:

„და განრისხნა ბალაკი ბალამის ზედა, და დაიტყველვნა ხელნი (ხელი ხელს შემოჰკრა) მისნი, და ჰრქვა ბალაკ ბალამს: წყევად მტერთა ჩემთა მოგხადე შენ და აჰა ესერა აკურთხენ იგინი კურთხევითა სამ ვზის. და აწ უკვე ივლტოდე ადგილად შენდა, ვთქვი, ვითარმედ პატივგცემ შენ, ხოლო აწ დაგაკლო შენ უფალმან დიდებაი" *(რიცხვთა, 24, 10—11)*.

მალე ვნახავთ, როგორ გადაუხადეს ებრაელებმა ბალაამს სიკეთე.

მეფე ბალაკმა რისხვა წყალობად შეცვალა: 25 თავი გვაუწყებს, რომ ებრაელები მშვენივრად მოთავსდნენ მოაბიტელებსა და მადიანიტელებს შორის. ეს ექვსასიათასიანი არმია, რომელიც დილით მზადაა გაჟლიტოს ქვეშევრდომებიცა და ბალაკის მოკავშირეებიც, საღამოს ბრძოლებზე აღარ ფიქრობს. არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა, არც ზავი, არც დაზავება, ისე თავისთავად ჩამოვარდა მშვიდობა: ებრაელი ხალხი მეგობრულად უერთდება მეზობლებს — მოაბიტელებსა და მადიანიტელებს. „და ისრაელი დაადგრა სატინს, და შეიგინა ერი იგი სიძვითა ასულთა მიმართ მოაბისთა. და ჰხადის მათ ნაზორევთა ზედა კერპთა მათთასა (ე. ი. ქალები ებრაელებს ეპატიჟებოდნენ, ერთად შეექცეოდნენ კერპთა სამსხვერპლო საქონელს), და ჭამა ერმან მან ნაკერპავი იგი მათი და თაყვანისცეს კერპთა მათთა" *(რიცხვთა, 25, 1—2)*.

მოკლედ, აირია მონასტერი! ქალი და კაცი, ერი და ბერი, ებრაელი და მოაბიტელი, კერპი და ღმერთი!

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ აძლევდა ხელს ლევიტელებს, რომელთაც წარმართი ქურუმები ლუკმას ართმევდნენ. მაშინ გამოვიდა პირველი ქურუმის ელიაზარის შვილი ფინეზი და სჯულის დაცვა იკისრა. როგორც

კი თვალი მოჰკრა, ერთ-ერთი ებრაელი, სახელად ზიმრი, მშვენიერ მადიამიტელთან*, ხაზვასთან სახლში შედიოდა, ფარულად გაჰყვა, „შეიძულა უკანა კაცისა მის ისრაიტელისა საცხობელსა პურისასა და განგმირა ორთავე იგი, კაცი ისრაიტელი, და დედაკაცი იგი საშოთ მისით, და დასცხრა გვემა იგი ძეთაგან ისრაელისათა“ (25, 8).

ცოტა ხნის წინ ღმერთმა თავის ურჩ ქვეშევრდომებს კიდევ ერთი ჭირი გაუგზავნა: ოცდაოთხი ათასი კაცი უკვე დაღუპულიყო. ფინეზის მახვილით დაღვრილმა შეყვარებულთა სისხლმა ღმერთი ძლიერ გაახარა, და დაუყოვნებლივ მოსპო ეპიდემიის კერები. ახლა ღმერთმა პირდაპირ უბრძანა მოსეს, მოემზადე, მოაბიტელები და მადიამიტელები უნდა გაჟლიტოთო.

ვიდრე ამ ღვთაებრივ განზრახულობას სისრულეში მოიყვანდა, მოსემ მოსახლეობის აღწერა ჩაატარა, რადგან აგერ 38 წელი გავიდა, რაც ებრაელი ხალხი ეგვიპტიდან გამოვიდა, და ჯერაც არ მომხდარა აღწერა საყოველთაო. ამასობაში ხალხი შეიცვალა. ახალი თაობა წამოიზარდა, და ღმერთმაც ხომ ასე უწინასწარმეტყველა: აღთქმულ ქვეყანაში ვერც ერთი კაცი ვერ შევა, მოსეს და ხალების მეტიო. მოსეს სტატისტიკამ ისევ ის რიცხვი მოგვცა: 601 730 კაცი ოცი წლის ასაკს გადაცილებული და იარაღის ტარების უნარის მქონე! ან რიცხვში არ შედის 23 000 ლევიტელი.

ისრაელი ხალხი შეუდგა უფლის ნების აღსრულებას, ხალხების გაწყვეტას, და მერე იმ ხალხებისას, რომელთაც შესანიშნავი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს, შეიკედლეს უცხო ტომი. მოხდა მეომართა შერჩევა. ყოველ ტომს თითო ათასი კაცი უნდა გამოეყვანა. სულ თორმეტი ტომი იყო. ასე შედგა 12 000 კაციანი არმია...

„და აწ მოჰკალით ყოველი მამა-კაცი ყოველსა სოფელსა... ყოველმან ასაკმან დედებისა, რომელთა არა იციან საწოლი მამა-კაცისა, აცხოვნენით იგინი“, — ასეთი იყო ამ „უფლის შურისმაძიებელთა“ დევიზი.

განსაკუთრებით შავი დღე მადიანიტელებს დაადგათ: ეს ხალხი ერთიანად გაიქუცა. არ დატოვეს არც ერთი მამაკაცი, მოკლეს ხუთივე მოკავშირე მეფე. ებრაელებმა მახვილით განგმირეს აგრეთვე ბალაამი, ბეორის-ძე, ჯადოქარი და წინასწარმეტყველი, ჩინებული ადამიანი, რომელმაც ეს ხალხი ასე კარგად დალოცა ცოტა ხნის წინ. რისთვის? საცოდავს სხვა დანაშაული არა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ვირსა სცემა უსამართლოდ და ბოდიში არ მოუხდია.

„და წარტყვევნეს დედები მადიამისა, და ჭურჭლები მათი, და სა-

---

* ტექსტში პარალელურადაა ნახმარი „მადიამიტელნი“ და „მადიანიტელნი“. ლუთერის ბიბლიაშია: „მიდიანიტელნი“.

ცხოვარი, და ყოველი მონაგები მათი და ყოველი ძალი მათი წარმოსტყვენეს. და ყოველი ქალაქები მათი საყოფელისა მათისა და სოფლები მათი მოწვეს ცეცხლითა“ *(რიცხვთა, 31, 9—10)*.

მაგრამ მოსეს ასეთი ჟლეტაც ეცოტავა, სარდლებს განურისხდა:

„და განრისხნა მოსე განმგებელთა მათ ზედა ძალისათა, ასის თავება და ათასის თავთა, რომელნი მოვიდოდეს წყობით ბრძოლისათ. და ჰრქუა მათ მოსე: რად აცხოვნეთ ყოველი მდედრი? და მოჰკალით ყოველი მამაკაცი ყოველსა სოფელსა და დედა-კაცი, რომელმან უწყის საწოლი მამაკაცისა“ *(რიცხვთა, 31, 14—15, 17—18)*. არ ეკადრება ეს მოსეს.

ახლა ალაფი დათვალეს: 675 000 წვრილფეხა და 72 000 მსხვილფეხა საქონელი, 61 000 ვირი, 32 000 ქალი, რომელმაც „არ იცოდა მამაკაცის საწოლი“ *(მუხლ. 32—35)*. ნადავლის ნაწილი ღმერთს უძღვნეს, მის წილში მოხვდა 32 ლამაზი მადიამიტელი ასული *(მუხლ. 40)*.

„რიცხვთა“ დანარჩენ თავებში საინტერესო აღარაფერია: მემკვიდრეობის წესებია ჩამოთვლილი, მსხვერპლის შეწირვის კალენდარი, „აღთქმული მიწის“ გაყოფის წესი მომავლისათვის და ა. შ. ყოველივე ამას წმინდა წერილი კიდევ უფრო მოსაწყენი წვრილმანებით ტვირთავს, ვიდრე წმინდა წიგნებშია. ესაა ბიბლიური ლეგენდების წმინდა ბალასტი!

წიგნი მეხუთე მოსესი — „მეორე სჯულისა“*

„მეორე სჯულის“ წიგნი — მოსეს მეხუთე და უკანასკნელი წიგნი — კიდევ უფრო ნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე ლევიტელთა და რიცხვთა წიგნები. აქ უბრალოდ, სხვა ვარიანტით მეორდება ვითომდა მოსეს მიერ წარმოთქმული სხვადასხვა კანონ-წესები, რომლებიც ადრე უკვე იყო ნაჩვენები წმინდა წერილის თავებში[45]. პირველ ოთხ თავში მოკლედაა გადმოცემული ის, რაც ებრაელებს ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ შეემთხვათ, და ყოველ ნაბიჯზე ნახსენებია ის წყალობის ნაკადი, რითაც ღმერთი თავის ხალხს აბედნიერებდა. მეორე სიტყვაში, რაც 21 თავი უჭირავს, ისევ განმეორებულია ის, რასაც ებრაელთა კანონ-წესების კრებული შეიცავს. ამას მოსდევს უთვალავი პირობა, რაც კანონთა შესრულებასთანაა დაკავშირებული: ებრაელები დალოცვილი ხალხია და მათი საქმე გაიმარჯვებს, თუ ღმერთის ბრძანებას შეასრულებენ. პირიქით, ყველა წყევლა, ჭირი და უბედურება თავს დაატყდებათ, თუ ამ კანონებს ერთი ნაბიჯითაც გადაუხვევენ.

რაკი წმინდა ავტორი სერიოზულად ამტკიცებს, მოსეს პირით თვითონ ღმერთი ლაპარაკობსო, ამ ღვთაებრივი მჭევრმეტყველების ორიოდე მაგალითიც უნდა მოვიყვანოთ:

„სამოსელი შენი არა განგიკფდა (არ დაგიძველდაო), ხამლნი შენნი (ფეხსაცმელი), ფერხნი შენნი არა გამოგტკუფა (არ გაგისივდა), ესე მეორმოცე წელი არს“ *(მეორე სჯულისა, 8, 4)*.

აი, რასაკვირველია, სასწაული, რაც დანარჩენ სასწაულებზე ნაკლებ თავშესაქცევი და დაუჯერებელი არ არის.

ჩვენ მოვიხსენიეთ ორი აღწერა. ორივეს მიხედვით ეგვიპტიდან გამოსვლის დროისათვის ებრაელთა ჯარი მრგვალი ციფრით 600 000 კაცს შეადგენდა, ასევე მოაბიტელთა ქვეყანაში ჩამოსვლის დროისათვის. მოაბში ჩამოვიდა, ცხადია, არა ის თაობა, რომელიც ეგვიპტიდან გამოვიდა, არა-

---

* სულ ცნობილია მოსეს ხუთი წიგნი („ხუთწიგნეული“). ზოგიერთ ენაზე არსებულ თარგმანს სათვალავში მცირეოდენი განსხვავება შემოაქვს. მაგალითად, ლუთერის ბიბლიაში ცალკე არ აღნიშნავენ შექმნათა (შესაქმე), გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა, „მეორე სჯულის“ წიგნებს (წერენ პირდაპირ მოსეს 1, 2, 3, 4, 5 წიგნებს). ტექსტი კი იგივეა.

მედ ახალი თაობა. უფროსი თაობა გაწყდა „უფლის სიტყვისა ქვეშ". მეომართა რიცხვი გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ საერთოდ ამ ხალხის რიცხვი სამ მილიონს აღწევდა.

თუ ეს სამი მილიონი ადამიანი ორმოცი წლის განმავლობაში თართლა გაწყდა უდაბნოებში, ხომ სამი მილიონი ტანისამოსი და ფეხსაცმელი უნდა გადასულიყო ერთი ხელიდან მეორეში. მაგრამ უკანასკნელი აღწერის დროს ხომ 601 730 სული აღმოჩნდა, ისიც სათვალავში არ იყო 23 000 ლევიტი.

თუ დავუშვებთ, რომ ყოველ მეომარს და ყოველ ლევიტს მხოლოდ თითო ცოლი ჰყავდა, მხოლოდ თითოს სამი შვილი ეყოლათ, რომ მხოლოდ მეუღლეთა ნახევარს ჰყავდა მამები და დედები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოაბში ჩამოსულ ადამიანთა რიცხვი არ აღემატებოდა ოთხნახევარ მილიონს. ყველას ხომ ჩაცმა-დახურვა უნდოდა! ეს გარემოება სასწაულა კიდევ უფრო საოცარსა და იდუმალ სახეს აძლევს, რადგან უფალ ღმერთს უდაბნოში ორ მილიონამდე წყვილი სამოსისა და ამდენივე ფეხსაცმლის შოვნა მოუხდებოდა.

თუმცა, წმინდა იუსტინი, სკეპტიკოსთა ამ ეჭვებს რომ ფანტავს თავის „დიალოგში ტრიფონ იუდეველთან", ამტკიცებს: ებრაელთა ტანისამოსი და ფეხსაცმელი არა მარტო არ ცვდებოდა ორმოცი წლის განმავლობაში, არამედ იზრდებოდა ბავშვის ტანზე და ფეხზე თავის მფლობელთან ერთად. წმინდა იერონიმე კი თავის XXXVIII ეპისტოლეში ამასაც კი ამბობს: „ტყუილად სწავლობდნენ დალაქები თავიანთ ხელობას: ორმოცი წლის განმავლობაში უქმად იყვნენ, რადგან ებრაელებს არც თმა ეზრდებოდათ, არც თუ ფრჩხილები". იქნებ ახლა მაინც დარწმუნდეთ, ბოლოს და ბოლოს, რომ ბიბლია არ ტყუის, და იწამოთ ღვთის სასწაულები?

ახლა ღვთის მეორე მცნება გავიხსენოთ, რაც არავის გააოცებს: „ეკრძალე, ნუ უკვე დაუტევ ლევიტელი იგი ყოველთა დღეთა, რაოდენთა სცხოვნდე ქვეყანასა ზედა" *(მეორე სჯულისა, 12, 19)*. თუ გავიხსენებთ, რომ ლევიტელნი სასულიერო პირები არიან, ეს სრულიად გასაგებია.

„უკეთუ განხვიდე ბრძოლად მტერთა შენთა და მოგცნეს იგინი უფალმან ღმერთმან შენმან ხელთა შენთა, და წარმოსტყვევნო ნატყვენავი მათი.

და იხილო შენ ნატყვენავსა მას შორის (ტყვეთა შორის) დედა-კაცი კეთილ-ჭმნული (ლამაზი ქალი), შეგინდეს შენ და გინდეს ცოლყოფა მისი (თუ მოგეწონოს და ცოლად შერთვა მოინდომო).

შეიყვანო იგი სახიდ შენდა და დაჰყვინო თავი მისი და მოჰყვინო ფრჩხილნი მისნი (შინ შეიყვანე, თავი გაიკრიჭოს და ფრჩხილები მოიჭრას).

და განძარცვო ყოველი იგი სამოსელი ტყვეობისა მისისა და ჯდეს იგი სახლსა შინა შენსა, და სტიროდის მამა-დედათა თვისთა თვეი დღეთა. მაშინღა შეხვიდე და შეირთო იგი და იყოს იგი მიერითგან ცოლად შენდა.

უკეთუ არა სათნო გეყოს, გამოავლინო იგი შენგან, გაჰფრთავისუფლებული და სასყიდლით არა განჰყიდო იგი ვეცხლად, და არა შეურაცხყო იგი, რამეთუ დაამდაბლე" *(მეორე სჯულისა, 21, 10—14)*.

დიდი ღვთისმოსავი ვინმე წერს ამას, ხომ მართალია?

„იყოს თუ ვინმე შენ შორის კაცი, რომელი არა წმიდა იყოს დინებისაგან მისისა ღამე, განვედინ ბანაკსა მას გარეშე და ნუ შემოვალნ ბანაკად (ომის დროს. ლ. ტაქსილი)[16].

და მერმე მიმწუხრი დაიბანოს გვამი მისი წყლითა და მზის დასვლასა შემოვიდინ ბანაკსავე მას" *(მეორე სჯულისა, 23, 10—11)*.

იმავე თავის პირველი მუხლი მორწმუნეებს აფრთხილებს: „ნუ შევალს კვეთილი და საჭურისი შესაკრებელად უფლისა!" ე. ი. ვისაც ასო მოკვეთილი აქვს ან დასაჭურისებულია, ღვთის ტაძარში ფეხს ნუ შედგამსო. მოკლედ, ბიბლიაში ყველაფერი გათვალისწინებულია!

ამრიგად, „მოკვეთილი" ვერ იღოცებს და „თესლდანთხეული" ვერ იბრძოლებს. ვოლტერმა საჭიროდ ჩათვალა ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი მოსაზრება გამოეთქვა: „სამხედრო საქმის მრავალი მცოდნე ამტკიცებს, ეროტიკული სიზმრები უმთავრესად ჯანმრთელ ახალგაზრდებს ესიზმრებათო, და ბრძანება არმიიდან მათი მთელი დღით განდევნისა ფრიად არაგონივრული და საშიში ღონისძიება იქნებოდა, რადგან სწორედ დღისით ხდება ხოლმე ბრძოლა და არა ღამით. ასეთი ბრძანება სიმხდალეს წააქეზებდა. დაბოლოს, ბევრად უფრო იოლია განბანვა თავის კარავში ან სადმე ბანაკში მაინც, სადაც წყალი იშოვება, ვიდრე ბანაკიდან წასვლა და წყლის ძებნა ღმერთმა უწყის, სად".

ღმერთი თავის ხალხს ასწავლის თვით ბუნებრივი საჭიროების დაკმაყოფილების ხერხებს ბრძოლის ველზე: „და ადგილი ერთი განჩინებულ იყავნ შენდა გარეშე ბანაკსა მას, რომელსა განსხვიდოდი შენ.

და სათხრელი ერთი იყავნ გამობმულ სარტყელსა შენსა. სადა იჯდე გარე, აღმოსთხარო მით და დაფლა საძაგელება იგი სარცხვენელისა (სიშიშვლისა) შენისა მას შინა" *(მეორე სჯულისა, 23, 12—14)*.

ასეთ ჰიგიენურ ღონისძიებას სხვა ბრძნული გამართლებაც აქვს: „რამეთუ უფალი ღმერთი შენი გარდამოსულ არს და იქცევის ბანაკსა შინა შენსა განრინებად შენდა და მოცემად მტერთა შენთა წინაშე პირსა შენსა, რათა იყოს ბანაკი იგი წმიდაი, და არა გამოსჩნდეს საქმე საძაგელებისა და გარე მიაქციოს პირი მისი შენგან".

ბიბლიის ეს ადგილი განსაკუთრებით სერიოზულ შენიშვნებს ითხოვს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ღმერთს აქვს ხელები, რომლებითაც ქმნის, რომ მას აქვს ფეხები ჩვენს პლანეტაზე სასიარულოდ, როცა კი ამას ინებებს. ახლახან ისიც გავიგეთ, რომ ღმერთს ჰქონია ზურგი, რომელიც მოსეს უჩვენა. აქვს ცხვირიც, რითაც „ყნოსავს ნელსურნელებას“. ახლა გავიგებთ, რომ ღმერთის ცხვირი არა მარტო ქვეყნიერების შემქმნელის, სახეა ამ ვნებას, რათა უმისობას სიცილი არ გამოეწვია. არა, ნამდვილი ცხვირი! ისევე, როგორც ღმერთს უყვარს მადიანად სადილობა, (გავიხსენოთ საარაკოდ გავარდნილი მისი სადილობა აბრაამთან!). ახლა დავრწმუნდით, რომ ცხვირი მისთვისაც ყნოსვის ორგანოა და ვერ იტანს ცუდ სუნს. ყოვლის შემძლე ღმერთს ხომ ისიც შეეძლო, რომ თავისი რჩეული ხალხი გაეთავისუფლებინა საჭმლის მონელების შედეგად საძაგლობის გამოყოფის წესისაგან, რომ სუნს არ შეეწუხებინა! ეს იქნებოდა ორგანიზმის გადაკეთება. და ებრაელი ხალხი ცოტა სხვანაირი აღნაგობისა გამოვიდოდა, უფრო მარტივი და სუფთა! განა გაუჭირდებოდა ქვეყნიერების შემქმნელს, ღორმუცელა ტირანთა და ქვეწარმავლების შემქმნელს, განდიდებული ღორების შემქმნელს, პაპთა და ჯალათთა შემქმნელს, ასეთი დეკრეტი რომ გამოეცა: ომიანობის ჟამს ებრაელ მეომართა ღამის ოქროს იის ან სხვა რომელიმე ყვავილის სუნი ჰქონოდა?

ამბობენ, ერთი უზადო სონეტი მთელ პოემად ღირსო. ჩვენის აზრით, 23 თავის 12, 13 და 14 მუხლები მეორე სჯულის წიგნისა მეტი ღირს, ვიდრე დავითის ყველა ფსალმუნი. რა შეუდარებლად ფართოა პორიზონტი, რასაც ეს მუხლები უშლიან წინ ღვთისმეტყველების მეცნიერებას! ამ მსჯელობაში ღვთაებრივი ცხვირის შესახებ, რომელსაც ეჯავრება ცუდი სუნი, მთელი თეოლოგიური სიღრმეა, თუ კაცი უკეთ ჩაუფიქრდება და გონივრულად განიხილავს!

მსაჯულად ვიხმობთ რომის პაპს და ყველა ქრისტიან პატრიარქს, ვთხოვთ მსოფლიო საეკლესიო ყრილობაზე ასეთი საკითხი დასვან: ეს სამი ლექსი, სამი მუხლი, რომელნიც ყოველ მორწმუნეს უნდა სჯეროდეს, რაკი სულიწმინდის ნაკარნახევია, — ხომ არ ართულებს ეს წმინდა ზიარების ისედაც რთულ საიდუმლოს? მოკლედ რომ ვთქვათ, თუ ღვთისმსახურების დროს მორწმუნე წმინდა სიტყვებს წარმოთქვამს და თანაც ურიგოდ მოიქცევა, ჰაერს გააფუჭებს, ხომ არ ჩამოვა უფალი დედამიწაზე და ხომ არ მოხდება მისი გარდასახვა პურად და სისხლად.

ნუ იტყვით, რომ ასეთი რამე შეუძლებელია. ჩემს ყრმობაში, პარიზის წმ. ლუდოვიკოს გიმნაზიაში სწავლის დროს, ხშირად ვმღეროდი საეკლესიო გუნდში, და ერთ წმინდა კაცსაც ხშირად ვემსახურებოდი — აბატ ჟურდანს, რომელსაც ჰქონდა .. როგორ გითხრათ, რომ უზრდელობა არ დამწამოთ? მოკლედ, ძალიან მოუწყობელი კუჭი ჰქონდა. იქნებ მიზეზი ცერცვი იყო, რასაც გიმნაზიაში გვაჭმევდნენ? მინდა ის წმინდა კაცი გავამარ-

თლო. ერთხელაც, დილით, ლოცვის დროს, როცა მის უკან ვიდექი და სამოსის კალთა მეჭირა, უეცრად მოხუცის მუცელმა ისეთი ამბავი ატეხა, რომ ძალიან გამიჭირდა ჩემი მოვალეობის შესრულება.

იმ ხანებში ღვთისმსახურის მუცლის მოშლილობას ვუყურებდი მხოლოდ ჩემთვის, ჩემი ყნოსვისათვის არასასიამოვნო გრძნობის თვალსაზრისით და მეტი არაფერი, ახლა კი, როცა წმინდა წერილს ვფურცლავ და იქ ვკითხულობ, როგორ უფრთხილდებიან უფლის ყნოსვას, უნებურად იმ თვალსაზრისზე ვდგები, რომ საჭიროა ამ საკითხის აღძვრა — სუნის მნიშვნელობისა, როცა ღვთის კაცი წარმოთქვამს: „ესე არს ჭეშმარიტი ხორცი ჩემი, ესე არს სისხლი ჩემი!“

რამდენადაც შეუძლებელია, რომ ძველი აღთქმა ახალ აღთქმას ეწინააღმდეგებოდეს, რაკი ორივე ერთი პირის — სულიწმინდის ნაწარმოებია, უაღრესად ლოგიკური ამბავია ასეთი საკითხის დასმა: ძველი აღთქმით ხომ დამტკიცებულია, რომ ღმერთს არ უყვარს ავი სუნი? მაშ რა ხალისი უნდა ჰქონდეს, რომ იქცეს პურად, სეფისკვერად? წარმოდგენილი გვაქვს, რა უხალისოდ იქცევა მისი ხორცი პურად, და რა გუნებაზე დგება, როცა სეფისკვერებით მაძღარი ღვთისმსახური ავ სუნს აფრქვევს. ისევ ცაში გარბის თუ მოთმინებით იცდის, ვიდრე ავი სუნი გაიფანტება? აი, რა კითხვა მინდა მოწიწებით დავუსვა ჩემს სათაყვანებელ ეკლესიას!

როგორც ხედავთ, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან თუ ზიარების დროს მღვდლის ხელით მიწოდებული პური მხოლოდ პურია და ერთი ღერი თმაც კი არ ურევია შიგ ღვთაებრივი, მაშინ მორწმუნე აბუჩად აგდებულია, ისიც ყოვლად უსირცხვილოდ. ახლა წარმოიდგინეთ მორწმუნე, რომელსაც ზიარების მიღება ახარებს და ჰგონია, რომ ცოდვებისაგან უფლის სხეული განწმენდს. აბა რა დიდი უბედურებაა, როგორ ტყუვდება კაცი! წმინდა მამებო! სასწრაფოდ მოიწვიეთ ყრილობა! გაარჩიეთ „მნიშვნელოვანი საკითხები“, ხალხი თქვენი იმედითაა! შიმშილობს, მარხულობს და გელოდებათ, როდის აუხსნით ამოუხსნელს.

ნუ დავხურავთ „მეორე სჯულის წიგნს“, წავიკითხოთ კიდევ ერთი ბრძანება უფლისა, ასეთი რამის წინაშეც კი რომ არ ჩერდება: „იბრძოდიან თუ ორნი კაცნი ურთიერთას ერთბაშად, კაცი ძმისა თვისისა, და მოვიდეს ცოლი ერთისა მის მათგანისა განრინებად ქმრისა თვისისა ხელისაგან მგვემელისა მისისა, და მიჰყოს ხელი და შებმა უყოს მრჩობლთა მისთა, წარკვეთო ხელი მისი და არა შეიწყალოს იგი თვალმან შენმან“ (*მეორე სჯულისა, 25, 11—12*). უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, ბიბლია ასე გვასწავლის: თუ ქალი ქმარს გამოექომაგა, ხელი გაიწოდა და მოწინააღმდეგეს სარცხვინელ ადგილას ჩაავლო ხელი, ეს ხელი უნდა მოჰკვეთოთ, არ დაინდოთო ქალი!

მოდღეინდელად დღედმდე. და იყო მოსე ვითარ ას ოცისა წლისა, ოდეს მოკვდა იგი, და არა დაუბრყვილდეს თვალნი მისნი, და არცა იცვალა ძმნულება პირისა მისისა. და იტირეს მოსე ძეთა მათ ისრაელისათა... პირიპირ იერიქოს, ოც-და-ათ დღე, და აღესრულნეს დღენი იგი ტირილისა და გლოვისა მოსესნი. და არღარავინ აღდგა მერმე წინასწარმეტყველი, მორეს ისრაელისა, მსგავსად მოსესა, რომელი იგი უფალსა შეესწავა პირის პირ (რომელიც პირადად იცნობდა ღმერთს *(მეორე სჯულისა, 34, 5—10)*.

ზოგი მკითხველი, ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავს, ალბათ თავს გადააქნევს: არა, მოსე არ ყოფილა ამ წიგნის დამწერიო. გეშლება, ჩემო მეგობარო! ღვთისმეტყველნი პირდაპირ გეტყვიან, ეს მოსეს სტილიაო, პირველი სტრიქონიდანვე თავის თავზე ისე ლაპარაკობს, როგორც მესამე პირზე, და ასე მიდის ბოლომდე.

რაკი ეკლესიამ თქვა, კამათი ზედმეტია! ხოლო ეკლესიის აზრი ზუსტად არის გამოთქმული სწავლული ღვთისმეტყველის პავლე გერენის მიერ ასეთი სახით: „ხუთწიგნეული —ასეთია მოსეს პირველი ხუთი წიგნის საერთო სახელწოდება. ხუთწიგნეულის ავტორი უდავოდ მოსეა. ხუთწიგნეული უტყუარი, ნამდვილი მოსესეულია, და მისი უტყუარობა ისევე უეჭველია, როგორც უტყუარობა ყველაზე უფრო უტყუარი წიგნებისა. ისიც ისევე უეჭველია, როგორც უეჭველია თვით მოსეს არსებობა. არ შეიძლება იმ წიგნის უტყუარობის უარყოფა, რომელსაც ასეთად რაცხს მამაპაპური სარწმუნოება ხალხისა, რომლის ისტორიაც მასშია გადმოცემული, რომლის კანონმდებლობა და რელიგიური კულტიც მან შექმნა, მით უფრო როცა ეს წიგნი ატარებს იმ სიძველის დაღს, რომელსაც მიეწერება. შეუძლებელია, რომ ის დაეწერა ვინმე სხვას და არა იმას, ვის სახელსაც საერთოდ ატარებს. ასეთია „ხუთწიგნეული", სულიწმინდის ჩაგონებული და ნაკარნახევი" (კათოლიკური ენციკლოპედია, ფრანგული გამოცემა, ტ. V. გვ. 690)[47].

ქედი მოვიხაროთ, ძმანო, და ნუღარაფერი გაგვიკვირდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა საქმენი საგმირონი ნეტარისა იესო ნავინისა, ისრაელთა ბელადისა

ოსეს გარდაცვალების შემდეგ ებრაელი ხალხია ბელადი გახდა იესო ნავინი. ებრაელთა გასამხნევებლად ღმერთი მაშინვე გამოეცხადა იესო ნავინს და რამდენიმე ტიპიური ბიბლიური დაპირება მისცა:

„მოსე მონა ჩემი აღესრულა, აწ შენ აღდეგ და წიაღვედ იორდანესა შინა და ყოველი ეგე ერი ქვეყანასა მას, რომელსა მე მიგცემ თქვენ, ყოველსა ადგილსა, რომელსაცა დაადგათ კვალი ფერხთა თქვენთა, მიგცე თქვენ იგი, ვითარცა იგი კარქვა მო' ეს. უდაბნოი წინა ლიბანე მიმდინარემდე დიდად ევფრატად და ვიდრე ხღვადმდე, დასასრულად მზისა დასავლამდე, იყვნენ საზღვარნი თქვენნი. არა დაგიდგეს კაცი წინაშე თქვენსა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა, და ვითარ იგი ვიყავ მოსეს თანა, ეგრეცა ვიყო შენთანა, და არა დაგაგდო შენ, და არცა უგულებელს გყო შენ. განძლიერდი და მხნე იყავ: რამეთუ შენ განუყო ერსა მას ქვეყანა იგი, რომლისათვის ვეფუცე მამათა თქვენთა მიცემად მათდა. აწ განძლიერდი და მხნე იყავ ფრიად“ *(ნავინი, 1, 2—7)*.

ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ პირველად როდი ვისმენთ ასეთ დაპირებას, რაც მოისმინეს ჯერ კიდევ აბრაამმა, ისააკმა და იაკობმა. რა უზარმაზარი ქვეყანა მისცა ფიცით თავის რჩეულ ხალხს! და მერე როგორ დაამადლა, წინასწარ ყელში ამოუყვანა! მთელი ეს აღთქმული ქვეყანა შემოფარგლულია სინაის ნახევარკუნძულით, ხმელთაშუა ზღვითა და ევფრატით! ეს სამეფო ასირიაზე დიდი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რა ფართო ბანკრიტობა, რა სიტყვის გატეხვის მაგალითი გვიჩვენა ღმერთმა! ებრაელები დაამკვიდრა ერთი ხელის დადება მიწაზე და ისიც რამდენი ტანჯვის შემდეგ! დაპირებულ ევფრატის სანაპიროებზე კი ისინი ისე ცხოვრობდნენ, როგორც საცოდავი ტყვეები, ბაბილონელთა უუფლებო მონები! მათი „დიდი მდინარე“ კი იყო მხოლოდ გაძვალტყავებული იორდანი.

რა გააკეთა მოსეს მემკვიდრემ ღმერთის დაპირების პასუხად?

„და წარავლინა ისუ ძემან ნავესმან სატხით ორნი ჭაბუკნი განმსტობრად (დასაზვერავად) ქვეყანისა და ჰრქვა მათ: აღვედით და იხი-

ლეთ ქვეყანა იგი და იერიქო. და წარვიდეს ორნი იგი ჭაბუკნი და მოვიდეს იერიქოდ და შევიდეს სახლსა მეძავისა დედა-კაცისასა, რომლისა სახელი რააბ და იყვნეს მუნ“ *(ნავინი, 2, 1)*.

ზოგიერთი თარგმანი ქალბატონ რააბს სახამროს მფლობელის პატივს აკუთვნებს. მაგრამ ნამდვილი ებრაული დედანი სხვანაირად ამბობს. თავისი ქალური მომხიბლაობით ირჩენსო თავს. რატომ გადაეცემა მანში ასეთი უზუსტობა? იმიტომ ხომ არა, რომ ზემოთ დასახელებული რააბი სახარებაში ქრისტეს ერთ-ერთ წინაპრადაა გამოცხადებული და მეძავობა არ დაშვენდებოდა?

„და მიავლინა მეფემან იერიქოსამან და ეტყოდა რააბს და ჰრქვა გამოიყვანენ კაცნი იგი, რომელ შემოსრულ არიან სახიდ შენდა ღამე, რამეთუ განმსტრობად ქვეყანისა მოსრულ არიან.

და მიიყვანნა დედა-კაცმან კაცნი იგი ორნი და დამალნა იგინი და მათ მიუგო და ჰრქვა: შემოვიდენ ჩემდა კაცნი იგი, არამედ არა უწყნი, სადაითგან იყვნენ (მოვიდნენ, მაგრამ არ ვიცი, საიდანო).

და რაჟამს დახშვიდეს ბჭეთა სამრიისსა ქალაქისათა, კაცნი იგი განვიდენ და არა უწყი, ვიდრე ვიდეს, დევნა უყავთ უკანა მათსა, ეწიენით ხოლო თუ მათ“ *(ნავინი, 2, 3—5)*.

მეფის პოლიციის წასვლის შემდეგ რააბმა უცებ მოლაპარაკება გამართა ორსავე ჯაშუშთან. ქვეყანამ უკვე იცის ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის, სასწაულების ამბავი და ძალიან ეშინიათ თქვენი არმიისაო. მსტოვრებმა ამ ქალს ნიშანი მისცეს, „შტანგი ესე მეწამული სასწაულად გამოაბა სარკმელსა“, რათა ქალაქ იერიქონში შემოსულ ებრაელთა არმიას ეცნო მათი მოკავშირე მეძავი ქალის სახლი და ცეცხლისათვის არ მიეცა მთელი მისი სარჩო-საბადებელი, დანარჩენ მოქალაქეთა სახლ-კართან ერთად. შემდეგ ჯაშუშები თოკით გადავიდნენ ფანჯრიდან, მიატოვეს „სახლი მეძავისა დედაკაცისა“, ქალაქის კედელთან რომ იდგა, თავი მთას შეაფარეს, და „იყვნეს მუნ სამ დღე, ვიდრემდის მოიქცნენ მდევარნი“.

ამ ცნობილი ეპიზოდის გამო ვოლტერი შენიშნავს: „რამ აიძულა ნავინი, რომ ამ უბედური ქალის დახმარება ეთხოვა, რაკი ღმერთმა თავისი საკუთარი პირით დაუთქვა შეწევნა და დახმარება, რაკი არ შეეძლო არ ყოფილიყო დარწმუნებული, რომ ღმერთი მის მხარეზე იბრძვის? მისი დროშის ქვეშ იყო ექვსასი ათასიანი არმია, და 40 000 მეომარი გამოყო იერიქონის ასაღებად, ქალაქისა, რაც არასოდეს არ ყოფილა გამაგრებული და ეკუთვნოდა სამხედრო საქმეში ისეთ გამოუცდელ ხალხს, რომ დედაქალაქი დაბლა ველზე ჰქონდა, რითაც მოკლებული იყო სერიოზული თავდაცვის უნარს? იერიქონისაგან სულ ორიოდე შესაბრალისი ქოხმახი გადარჩენილა, რომლებშიაც რაღაც 300 სული ცხოვრობს“.

რააბის გამო ღვთისმეტყველი კალმეტი თავის დროზე ასეთ კითხვას სვამდა: იყო თუ არა ტყუილის თქმისათვის ეს ქალი დამნაშავე, ებრაელი მსტოვრების წასვლა რომ თქვა და სინამდვილეში თავის ჭერქვეშ ყაყდა დამალული? არა, კარგად მოიქცაო!

„რააბმა იცოდა, — წერს ღვთისმეტყველი, — რომ ღმერთს განზრახული ჰქონდა ქანაანელთა განადგურება და მათი მიწა ებრაელებისათვის გადაეცა, ამიტომ არ შეეძლო წინ აღდგომოდა უფლის ნებას, რადგან ამით თავს ცოდვაში ჩაიგდებდა. გარდა ამისა, მან იცოდა ღმერთის კეთილგანზრახულობა და ქანაანელთა უსამართლობის ამბავი. ამრიგად, ამ ქალს არ შეეძლო მოქცეულიყო არც ამაზე უფრო სამართლიანად და არც ამაზე უფრო გონივრულად“.

არც ამაზე გონივრულად წერა შეიძლება! სწავლულმა ფრერემ კი ასე უპასუხა: „თუ ეს ასეა, მაშინ მეძავი რააბიც უფლისაგან შთაგონებული ყოფილა, როგორც იესო ნავინი, რაც საკმაოდ უცნაური ამბავია. უფრო გონივრული იქნება ვაღიაროთ, რომ ეს რააბი, რომელმაც თავისი სამშობლო უცხო ბარბაროს ხალხს ჩაუგდო ხელში, პირდაპირ ბინძური მოღალატე იყო და უსასტიკესი სასჯელის ღირსი“.

წავიდეთ წინ. ნავინმა იერიქონის ასაღებად იერიშზე გადასვლა ბრძანა. საამისოდ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო იორდანზე გადასვლა. ქურუმები, რომელთაც სჯულის კიდობანი მიჰქონდათ, ხალხს წინ მიუძღოდნენ. ისინი თამამად შევიდნენ წყალში, როგორც ადამიანები, რომლებიც სრულიად დარწმუნებული არიან, გადავალთ და აუცილებლად სასწაული მოხდებაო. როგორც კი წყალში ფეხი ჩადგეს, მართლაც მდინარის დენა ისე შეწყდა, გეგონებოდათ უხილავი ჯებირით გადაკეტესო.

ასე იდგნენ მღვდლები შუაგულ მდინარეში, ვიდრე ხალხი გაღმა არ გადავიდა. ამ სასწაულის სამახსოვროდ იორდანის ნაპირზე თორმეტი დიდი ქვა აღმართეს. როგორც კი კიდობანი გაღმა გაიტანეს, მდინარე ისევ დაიძრა და წავიდა. მიმოსვლის საშუალებათა, ხიდებისა და გვირაბების ნაკლებობის დროს ასეთი სასწაული ნამდვილი მისწრება იყო! მსგავსი სასწაული ამ მხარეში არ ენახათ და ხალხებს, რომელთაც მისი ამბავი გაიგეს, ხმელთაშუა ზღვამდე ელდის ჭარიშხალმა გადაუქროლათ. მეფეები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ.

აქ, სხვათა შორის, ღმერთმა იესო ნავინის ყურადღება იმაზე შეაჩერა, რომ წინადაცვეთის წესი, რაც მან ეგვიპტიდან გამოსვლის ჟამიდან სამუდამოდ დააკანონა, სულ გამოვიდა ხმარებიდან. ბიბლია ამ უცნაური გარემოების მიზეზს არ გვიხსნის: მხოლოდ მომხდარი ფაქტის წინაშე გვაყენებს. მამრობითი სქესის არც ერთ ყმაწვილს, რომელიც კი უდაბნოში დაიბადა, ასეთი ოპერაცია არ განუცდია. მთელი ებრაელობა კი იმ დროს 4 000 000 სულს შეადგენდა, და მაშასადამე, 2 000 000 მაინც იქნებოდა

მამაკაცი. წარმოიდგინეთ ფანტასტიკური ზვინები ტყავისა, რაც ერსო ნავინის ბრძანებით სარცხვინელიდან ამოდენა ხალხს მოაჭრეს! ბიბლია საკმაოდ ხატოვნად უწოდებს ამ ადგილს „წინადაცვეთილთა გორაკს“: „და შექმნა ისუ დანაკნი ცის ნატეხისანი და წინა დასცვეთა ძენი ისრაელისათა ადგილსა მას, რომელსა ერქვა ბორცვი წინა დაცვეთილთა“ (ნავინი, 5, 3).

თოთხმეტი დღის შემდეგ აღდგომა იყო, ზატიკი იყო. ებრაელებს საკმაო იფქლი (ხორბალი) აღმოაჩნდათ, რომ უხვად გამოეცხოთ „უფოველი“. მაშინ შეწყდა ციური მანანის ფრქვევა: „ამას დღესა შინა მოაკლდა მანანა“ (თ. 5, მ. 12). საიდან გაჩნდაო იფქლი, როგორ გაჩნდაო ფქვილი უწისქვილოდ? ღმერთი რას არ გააჩენს!

ღვთაებრივი ბრძანების თანახმად, ებრაელთა არმიამ იერიქონს ალყა შემოარტყა. ჯარისკაცები მთელი ექვსი დღე მწყობრი ნაბიჯით ტკეპნიდნენ ქალაქის შემოგარენს, ქურუმები კი სასულე ორკესტრით ართობდნენ განწირულ ხალხს. ალყაშემორტყმულნი უაღრესად გაოცებული შესცქეროდნენ ასეთ სანახაობას, მაგრამ არ ნებდებოდნენ. მეშვიდე დღეს, აგრეთვე უფლის ბრძანებით, შვიდჯერ შემოუარეს მხედრული ნაბიჯით ქალაქის კედლებს, ამასთან სასულე ორკესტრი კიდევ უფრო მრისხანე ხმით ქუხდა, ამ სხვანაირ მუსიკას ხალხის შეძახილებიც თან ერთვოდა. ეს იყო ფსიქიური იერიში. სამმილიონიანი ხალხის ერთიანმა ყვირილმა შეძრა ქალაქი და დააქცია კედლები. ბიბლიაში ეს უფრო ლამაზადაა აღწერილი:

„და დაჰბერეს ნესტვითა მათ მღვდელთა, და რაჟამს ესმა ერსა მას ხმა იგი ნესტვისა, ღაღად ყო ყოველმან ერმან ერთბამად ღაღადებითა დიდითა და ძლიერითა და დაეცა ყოველი ზღუდე ქალაქისა გარემოს და აღხდა ყოველი ერი ქალაქად კაცად კაცადი პირის პირ თვისსა და დაიპყრეს ქალაქი იგი“ (ნავინი, 6, მ. 19—20).

იესომ ბრძანა, გაწყვიტეთო განურჩევლად ყველა: მამაკაცები და დედაკაცები, ბავშვები და მოხუცები, თვითონ პირუტყვიც კი -- „ვიდრე ხბოდ და ცხოვართა და კარაულადმდე“. შეიწყალეს მხოლოდ მეძავი რააბი და მისიანები, რომელთაც თავის პატარა საროსკიპოში მოუყარა თავი. „და ქალაქი იგი დაწვეს ცეცხლითა ყოვლითურთ, რაიცა იყო მას შინა, გარდა ოქროსა და ვეცხლისა, რვალისა და რკინისა, რომელი მისცეს უფალსა შეღება სახლსა უფლისასა“ (ნავინი, 6, 23).

„განა შესაძლებელია, -- წერდა ლორდი ბოლინგბროკი[48], — რომ ღმერთი, ყოველი ადამიანის მამა, თავად ხლებოდა და დახმარებოდა ბარბაროსს, რომელსაც თავს არ გაუყადრებდა თვითონ ყველაზე უფრო პირსისხლიანი კაციჭამია? ღმერთო მაღალო! უცნობი და უფერული უდაბნოები გადმოლახო იმისათვის, რომ გაანადგურო სხვისი ქალაქი,

გაქრიტრ მისი ყველა მცხოვრები, მათ შორის ქალები, ბავშვები, გაწყვიტო მთელი პირუტყვი, დაწვა სახლ-კარი და ქონება მაშინ, როდესაც თვითონ გამარჯვებულებს არ გააჩნიათ არც სახლი, არც კარი, და შეწყალო მხოლოდ ერთი მეძავი დიაცი, გამცემი, მოღალატე, წამების ღირსი! ეს ზღაპარი რომ ასე უაზრო არ ყოფილიყო, ის შესაძლებელი იქნებოდა. მხოლოდ მთვრალ ვიგინდარას შეეძლო ის დაეწერა და მხოლოდ გალეშილ რეგვენს შეუძლია ის დაიჯეროს".

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ სიტყვების ავტორი ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი მოქალაქე იყო. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი ბოლინგბროკი აღმოჩნდა შთამაგონებელი და სულისჩამდგმელი სახელგანთქმული უტრეხტის ზავისა, რამაც ბოლო მოუღო ლუდოვიკო მეთოთხმეტის გაუთავებელსა და სისხლისმღვრელ ომებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დიადი საქმე, მისი სიცოცხლის სიამაყე. მან დაუბრუნა ევროპას მშვიდობა, ამასთან შექმნა პირობები, შესაძლოა ყველაზე უფრო ხელსაყრელი დასავლეთის სახელმწიფოებისათვის. სასარგებლოა გახსენება ამ ღირსპატივცემული ადამიანისა, რომელმაც დაამშვენა კაცობრიობა და თავისი გენია იმისათვის გამოიყენა, რომ ხალხთა შორის ხოცვა-ჟლეტა შეეჩერებინა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ შევაჩეროთ ფანატიკოსები, რომლებიც დაფაცურდებიან და ზემოთ დამოწმებულ სიტყვებს ისე შეაფასებენ, როგორც რომელიმე გაუნათლებელი უღმერთო კაცის მკრეხელობას. ლორდმა ბოლინგბროკმა ნათელ საქმეს ნათელი სიტყვაც დაურთო. აი, რა თქვა ბიბლიაზე: „ღვთის გმობა და ადამიანთა გვანაწყენება იქნებოდა სერიოზულად შეგვეხედა დაუჯერებელი ამბების ამ საცოდავი კრებულისათვის, სადაც ყოველი სიტყვა ან უაღრესად სასაცილოა, ან უაღრესად საშინელი".

წმინდა წერილის ავტორის სიტყვით, იერიქონის აღება და დანგრევა გახდა მიზეზი ისრაელის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებისა. მეზობელი ქვეყნების მეფეებმა ნახეს, როგორ ესმის ებრაელ ხალხს დაპყრობა და როგორ ექცევა დაპყრობილ ქალაქებს, ამიტომ გადაწყვიტეს: ბევრად უკეთესი იქნება კავშირი შევკრათ და ეს ხალხი მოვსპოთ, ვიდრე ვიცადოთ, სანამ თვითონ ჩვენ მოგვსპობსო, — დათქვეს და შეკრეს კიდეც კავშირი, ითათბირეს და მიიღეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი (*თავი 9*).

მაგრამ ერთი გარემოება მაინც ვერ გაითვალისწინეს, რასაც თავისი „წმინდა" მნიშვნელობა ჰქონდა: იესოსთან იყო ღმერთი. ღმერთმა დათესა მათს არმიაში შუღლი და უწესობა. ღმერთმა ანუგეშა იესო: ნუ გეშინიათ, ერთიც ვერ დაგიდგებათ წინო.

„და რამეთუ მიიწია მათდა ისუ მეყვსეულად, ღამე ყოველ მივიდა გალგალით, და განაკრთნა იგინი უფალმან პირისაგან ძეთა ისრაელისა-

თა და შემუსრნა იგინი უფალმან შემუსვრითა დიდითა გაბაონს შინა და დევნა უყვეს მათ გზასა აღსავალსა ბეთრონისასა და მოსრვიდა მათ ვიდრე აზეკადმდე და მაკედადმდე, და რაჟამს ივლტოდეს იგინი პირისაგან ძეთა ისრაელისათა... უფალმან დასხნა მათ ზედა ქვანი ხეტყვისანი დიდი ზეცით და იყვნეს უმრავლეს მომკვდარნი იგი ქვითა სეტყვისათა, ვიდრე რომელნი იგი მოსწყვიდნეს ძეთა ისრაელისათა მახვილითა ბრძოლასა შინა" *(ნავინი, 10, 9—12)*.

ამრიგად, საშინელი ჟლეტა ისრაელებმა დაიწყეს, ღმერთმა განაგრძო, ამორეველნი გარბიან, იესო ნავინს კი გამარჯვება სრულად არ მიაჩნია და ღმერთს შესთხოვს იმას, რამაც ისტორიაში მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: მზის შეჩერება:

„მაშინ იტყოდა ისუ უფლისა მიმართ, დღესა მას, რომელსა მოსცა უფალმან ღმერთმან ამორეველი ხელთა ისრაელისათა, რაჟამს შემუსრნა იგინი გაბაონს შინა და შემუსრნეს პირისაგან ისრაელისა, და თქვა ისუ: დადეგიე, მზეო სწორ გაბაონსა ზედა და მთოვარე სწორ ხევსა ზედა ელონისსა! და დადგა მზე და მთოვარე დადგომით, ვიდრემდის სძლო ღმერთმან მტერთა მათთა. აჰა ესერა წერილ არს წიგნსა სიმართლისასა" *(ნავინი, 10, 12—14)*.

ამ ეპიზოდს რომ კითხულობ, საგონებელში ვარდები: მას შემდეგ, რაც საცოდავი ამორეველნი ჯერ ისრაელის არმიამ გაწყვიტა, მერე უფლის სეტყვამ გასრისა, რაღად დასჭირდა ნავინს კიდევ მზისა და მთვარის შეჩერება, რომ ახალი სასწაულის დახმარებით მთელი ხალხი მოესრა. მოთხრობის მიხედვით, დღის მნათობი ჯერ კიდევ საკმაოდ მაღლა იდგა. თითქოს საკმაოდ ბევრი დრო რჩებოდა დაღამებამდე, რომ დარჩენილი ჯარის ნამუსრევი გაეწყვიტათ ბეთრონის ხეობაში, თუნდაც დავუშვათ, რომ ციდან დაგორებულ ლოდებს კიდევ რომელიმე სულიერი გადარჩა. მაგრამ რაკი „სიმართლის წიგნში" ასე წერია, ჩვენ რა გვეთქმის! მერე და ღვთისმეტყველნიც ამტკიცებენ, ლტოლვილნი ისე სწრაფად გარბოდნენ, შვიდი საათიც ცოტა იყო, რომ დასწეოდნენო. მეცნიერებას კი ჯერაც ვერ დაუდგენია, რანაირად შეაჩერა ღმერთმა მზე, რომელიც საერთოდ არ ბრუნავს დედამიწის გარშემო*. გაუგებარია ისიც, როგორ მოხდა, რომ ყველა სხვა დღეზე უფრო გაგრძელებულმა დღემ არ გამოიწვია, უმცირესი დარღვევაც კი პლანეტების მოძრაობაში, დღისა და ღამის მონაცვლეობაში.

ამ ჩინებულმა სასწაულმა განათლებული ადამიანები ბევრი აცინა. ამბობენ, რომ ერთმა მეცნიერმა, რომელსაც ბრალად სდებდნენ კო-

---

* ამ შემთხვევაში ღმერთს დედამიწა უნდა გაეჩერებინა და არა მზე. მხიარული მხატვრები გამოსავალს პოულობენ: ღმერთს ცალ ხელში ჭამანდი უჭირავს, მზეს და მთვარეს აჩერებს, მეორე ხელით კი ლოდებს აგორებს ღრუბლებიდან.

პერნიკის მოძღვრების ქადაგებას მზის გარშემო დედამიწის მოძრაობის შესახებ, ინკვიზიტორებს მარჯვედ უპასუხა: „შესაძლებელია, იესო ნავინის სასწაულის შემდეგ მზე აღარ ბრუნავდეს დედამიწის გარშემო“.

ამორეველთა უბედური არმიის სათავეში ხუთი მეფე იდგა. ნავინმა გადარჩა ციურ სეტყვას და ისრაელთა მახვილს. ამ მეფეებმა [illegible] მოქვაბულს შეაფარეს. ეს რომ გაიგო, ნავინმა ბრძანა, გამოქვაბულის შესასვლელი ლოდებით ამოაშენეთო. ხუთი მეფე ნამდვილ სათაგურში გაება. ამაში რომ დაარწმუნა, მერე ნავინმა ლოდები ისევ გადააყრევინა თავის ხალხს და ხუთივე ხელმწიფის გამოყვანა ბრძანა.

„და ყვეს ეგრე ესე და გამოიყვანნეს ხუთნივე იგი მეფენი მის მიერ ქვაბით მეფე იერუსალიმისა, და მეფე ქებრონისა, და მეფე იერიმუთისა, და მეფე ლაქისა და მეფე ოდოლომისა. და რაჟამს მოიყვანეს იგინი ისუსა, მოუწოდა ისუ ყოველსა ისრაელსა და წინამძღვართა ბრძოლისათა, რომელნი თანა უვიდოდეს მას და ჰრქვა მათ: მოვედით და დაადგემდით ფერხთა თქვენთა ქედსა ზედა მეფეთა მათ, და მოვიდეს და დაადგეს ფერხნი მათნი ქედსა ზედა მათსა და ჰრქვა მათ ისუ: ნუ გეშინინ მათგან, ნუცა შეძრწუნდებით, მხნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ესრეთ უყოს უფალმან თქვენმან ყოველთა მტერთა თქვენთა, რომელთა ჰბრძოდეთ თქვენ! და მოსწყვიდნა იგინი და შთამოჰკიდნა ხუთთა ძელთა, და იყვნეს იგინი დამოკიდებულნი ძელთა მათ ზედა მიმწუხრამდე, და იყო დასლვასა მზისასა, უბრძანა ისუ, და გარდამოიხვნეს იგინი ძელთაგან, და შთათხივნეს იგინი ქვაბსა მას, რომელსაცა შეივლტოდეს მუნ, და მიაგორვეს ქვები დიდ დიდი ქვაბსა ვიდრე დღეინდელად დღედმდე“ (ნავინი, 10, 22—27).

წმინდა ავტორი პირდაპირ ამტკიცებს, ხუთი მეფის გვამი დღესაც ასე გდია გამოქვაბულშიო.

იესო ნავინი კი ახალ საგმირო საქმეებს ახდენს. ღმერთი ასწავლის, მოსრე, აღხოცე, გაჟლიტეო, და ისიც ასრულებს.

„და მოსრა ისუ ყოველი ქვეყანა მთისა და ნაგესა და ველი და ასიდოთი და ყოველნი მეფენი მისნი, და არა დაუტევეს მათგან არცა ერთი, განრინებული, და ყოველი მშვენიერი აღხოცეს, ვითარცა ამცნო უფალმან ღმერთმან ისრაელისამან. და მოსრნა იგინი ისუ კადეთ მარნეთაგან, ვიდრე გაზადმდე და ყოველი ქვეყანა გესემისა გაბაონადმდე, და ყოველნი ესე მეფენი, და ქვეყანა მათი დაიპყრა ისუ ერთბამად, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაელისა შეეწეოდა ისრაელსა. და მოაქციეს ისუ და ყოველმან ისრაელმან მისთანა და დაიბანაკეს გალგალად“. (ნავინი, 39—42).

ნავინი ულმობელია. მარჯვეა დევნაშიც. ყველა გადარჩენილ მეფეს სიდონამდე სდია და, როგორც წესი, ერთი არ დატოვა ცოცხალი. ცხენებს

ძარღვები გადაუჭრა, ეტლებს ცეცხლი წაუკიდა, უკან დაბრუნებულმა ასორი აიღო და მისი მეფე მახვილით მოკლა (ეს ასორი უწინ ყველა მეზობელ სამეფოს მბრძანებელი იყო). დახოცა ყოველი სულიერი, მახვილსა და ცეცხლს მისცა ყველაფერი:

„და უყო მათ ისუ, ვითარცა ამცნო მას უფალმან, ჟუთა—ათთა დაჰკვეთნა კართნი და ეტლები მათი დაწვა ცეცხლითა, და მოიქცა ისუ მას ჟამსა შინა და დაიპყრა ასორი და მეფე მისი მოკლა მახვილითა, რამეთუ ასორი მთავრობდა ყოველთა ამათ მეფეთა. და მოსრა ყოველი მშვინვიერი მას შინა პირითა მახვილისათა და აღხოცა ყოველი და არა დაშთა მათ შინა და ასორი მოწვა ცეცხლითა“ (თ. 11, მ. 9—11). „და დაყვნა მრავალნი დღენი ისუ მეფეთა ამათ მიმართ ბრძოლად“ (მუხლ. 18). ესეც ცოტაა. „და მოვიდა ისუ მას ჟამსა შინა და მოსრნა ყოველი ენაკიმსა შინა მთისაგან... და არა ვინ დაშთა,რომელნი იყვნეს ენაკიმს შინა ძეთა ისრაელისათა, გარნა თვინიერ გადებს შინა და გეთს შინა და ასეროთს შინა დაშთეს“ (მუხლ. 22). „და ყოველნი ესე მეფენი ოცდა ათერთმეტ“, — დაასკვნის ბიბლია, იესო ნავინის საგმირო სოცვა-ჟლეტის ამბავს რომ მოგვითხრობს.

ეშმაკმა დალახვროს! ოცდათერთმეტი მეფის დამარცხებას ეხუმრებით? ეს მეტისმეტად ბევრი ხომ არ არის იმ ქვეყნისათვის, რომლის სიგრძე-სიგანე სულ რამდენიმე ათეული კილომეტრია?

როცა, დაბოლოს, აღთქმული ქვეყნის ყველა ხალხი მიწაში ჩაწვა, ამ მიწის ერთადერთი მეპატრონე ებრაელი ხალხი აღმოჩნდა. რჩებოდა მისი გაყოფა. ესეც გააკეთეს. 13—21 თავებში უწვრილეს დეტალებამდეა გადმოცემული, თუ რომელ „ნათესავს“ (ტომს, გვარს) რომელი ნაკვეთი ერგო, ამ თავებში უთვალავი ქალაქის სიას ვხვდებით. მათი რაოდენობის შესახებ გარკვეული წარმოდგენა გვექნება, თუ გავიხსენებთ, რომ მარტო იუდა „ნათესავს“ ასი ქალაქი ერგო, სოფლების ჩაუთვლელად. ლევიტელებმა 48 ქალაქი მიიღეს, მათგან ექვსი — ეგრეთ წოდებული „სამკვიდრებელი ნათესავისა“ ანუ ქალაქი-თავშესაფარი. ეს ციფრი მათთვის თვითონ ღმერთმა განსაზღვრა, როდესაც მან თქვა: ლევიტელნი თორმეტი ნათესავის ქალაქთა შორის 48 ქალაქს დაეპატრონებიანო. ისინი იცხოვრებენ აღთქმულ ქვეყანაში გაფანტულ ამ ქალაქებში, შემოგარენი კი საქონლისათვის ექნებათო. გარდა ამისა, ლევიტელთა ქალაქებს ათასი წყრთა შემოგარენი ექნებათო. ექვსი თავშესაფარი ქალაქის დანიშნულება ის იყო, რომ აქ თავს შეაფარებდა დევნილი კაცი, რომელსაც უნებურად ვინმე შემოაკვდებოდა და სისხლის აღებას გაურბოდა.

ლორდი ბოლინგბროკი ვარაუდობს, რომ ბიბლიის ეს ადგილები შეეძლო დაეწერა მხოლოდ რომელსამე ხარბსა და უმეცარ ლევიტელს, ისიც უმეფობის ხანაში, იესო ნავინის შემდეგ. აი, როგორ აყალიბებს ეს მოაზ-

როვნე თავის მოსაზრებას: „არასოდეს ებრაელ ხალხს, თვით თავისი ძლიერებისა და დღეკეთილობის ჟამს არა ჰქონია 48 გამაგრებული ქალაქი. საეჭვოა, რომ ამდენი ქალაქი ჰქონოდა თვით იროდს, ებრაელთა უძლიერეს მეფეს. დავითის დროის იერუსალიმი იყო ერთადერთი დასახლებული ადგილი, რომელიც შეიძლებოდა ქალაქად ჩაგეთვალა. მომთაბარე ებრაელ ხალხს საერთოდ არ ჰქონია ქალაქებ[illegible] ნის, არც თვითონ მსაჯულთა დროს. ქალაქთა გრძელი სია ბიბლიაში — ესაა მხოლოდ სასაცილო სიცრუე... ლევიტი, როცა სიყალბეს სჩადიოდა და ამ ქედმაღლურ სისულელეებს წერდა, ამტკიცებს, რომ ლევიტელთა გვარი განაგებდა კიდევ ექვს ქალაქს, მკვლელთა თავშესაფარს. რა მოულოდნელი, ბრწყინვალე წაქეზებაა მკვლელებისა! კაცმა აღარ იცი, რაზე უფრო აღშფოთდე — სისულელისათვის, რომ უდაბნოში ქურუმებს 43 ქალაქი გამოუყვეს თუ უაზრობისათვის, რომ ექვსი ქალაქი აუშენო დამნაშავეებს, რომლებიც იმავე უდაბნოში თავს შეაფარებენ. ამ ზღუდეებს“.

ეს ყბადაღებული გაყოფა გულისხმობს ისრაელთა ტომებისათვის დახლოებით 600 ქალაქის გამოყოფას. ჭეშმარიტად, რელიგიური ფანტაზია ისეთია, რომ საზღვარი არ იცის თვითონ სულიწმინდამ, ბიბლიის შთამაგონებელმა! ამასთან შევნიშნავთ, რომ ამ ქვეყანას ყველაზე უფრო განიერ ადგილას ორი გრადუსი გრძედი აქვს და ისიც იმ დროისათვის, როცა ებრაელთა ძლიერება უმაღლეს წერტილს აღწევდა, ესე იგი სულაც არა იესო ნავინის დროს.

როცა გაყოფა დასრულდა, იესომ თავისი მისია დამთავრებულად ჩათვალა, ამიტომაც გარდაიცვალა, 110 წლისა. სიკვდილის დღემდე ანადგურებდა ყველაფერს, რაც ებრაელებს ხელს არ აძლევდა, ან აძლევდა, მაგრამ „მტრის“ ნახელავი იყო. ყველგან ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ არ ინდობდა არც ერთ ხალხს, ანადგურებდა უკლებლივ ყველას.

მაგრამ ამაზე უფრო საინტერესო ისაა, რომ იესოს სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებულსა და მომაგრებულს ვხედავთ იმ ხალხებს, რომლებიც იესომ თითქოს პირწმინდად გაწყვიტა. მეტიც: სწორედ ამ „გაწყვეტილ“ ხალხებს დაუდგამთ ებრაელებისათვის მონობის უღელი და ეს ხალხი უსასტიკესი მონობის უღელქვეშაა საულისა და დავითის მოვლინებამდე.

ისრაელთა მსაჯულების „წმინდა“ ისტორიის კეთილმსახურული შესავალი

ერიენული ბიბლიოთეკა

საჯულთა წიგნი — „წიგნი მეშვიდე მსაჯულთა“ — იესო ნავინის წიგნის გაგრძელებაა და 21 თავისაგან შედგება. პირველი თავი უკვე ომს იუწყება. იუდასა და სიმონის ნათესავთა ჯარი შებმია 10 000 ქანაანელს, მეფე ადონი-ბეზეკის მეთაურობით რომ გამოჩენილა ეშმაკმა უწყის საიდან. რასაკვირველია, მთელს ამ ბრბოს ისრაელები აცამტვერებენ. ადონი-ბეზეკი სიკვდილის წინ აწამეს: ხელ-ფეხის ცერები წაჰკვეთეს. მაშინ ადონი-ბეზეკმა თქვა: „სამეოც და ათნი მეფენი, რომელთანი ხელნი მათნი და ფერხნი მათნი მოკვეთილ იყვნენ ჩემ მიერ, და ჰკრეფდეს ნაბიჭევსა ტაბელსა ჩემსა ქვეშე; რამეთუ ვითარცა უყავ მათ, ეგრეცა მომაგო მე უფალმან. და მოიყვანეს იგი იერუსალიმად, და მოკვდა მუნ“ *(მსაჯ., 1, 7)*.

ეტყობა, ეს ადონი-ბეზეკი დიდი საარაკო ვინმე იყო, ეგზომ განსაკუთრებით ძლიერი მონარქი, რომ სამოცდაათი მეფე პატიმარჰყო და ხელ-ფეხი მოჰკვეთა — უკეთ, „მწვერვალნი ხელთა მათთა და ფერხთა მათთა“. ბიბლიის მიხედვით, მის დედაქალაქს ბეზეკი ერქვა. ისევ იგივე ამბავი: არც ასეთი დედაქალაქი, არც ასეთი მეფე და არც მისი სამეფო არც ერთი ქვეყნის ისტორიაში ნახსენები არაა. ეს ძალიან გასაკვირია, რადგან უზარმაზარი მაგიდა, რომლის ქვეშაც ის სამოცდაათი ტყვე მეფე პურის ნამცეცებს აგროვებდა, მის სახელსა და საქმეს სამარადისოდ უკვდავჰყოფდა.

ხუმრობა იქით იყოს და ამ სამოცდაათ მეფეს რომ იესო ნავინის ხელით დასჯილი ოცდათერთმეტი მეფეც მივუმატოთ, სულ ჩვენს წინაშე დადგება ას ორი გვირგვინოსანი ლანდი, ადონი-ბეზეკ მრისხანის ჩათვლით. მაშასადამე, ქანაანის მიწა-წყალზე ას ორი სამეფო ყოფილა. ბევრი მტკიცება რა საჭიროა, გეოგრაფიულ რუკას რომ დავხედოთ და ეს პატარა ტერიტორია ას ნაწილად გავყოთ, ყოველ სამეფოს სულ ასიორასი კვადრატული კილომეტრი შეხვდება, რაც ჭიანჭველას თუ ეყოფა, მეფეს კი არა. მაგრამ რაკი წმინდა წერილი მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობს, უნდა დავიჯეროთ, რომ ეს 102 მეფე მეტისმეტად ვიწროდ ცხოვრობდა, ამიტომ ებრაელებს იქ წესრიგი უნდა დაემყარებინათ, ისე-

დაც შევიწროებული მეფეები გაეწყვიტათ და მათი ტერიტორია თვითონ დაეკავებინათ. ეს მისია მათ ღმერთის დახმარებით შეასრულეს.

მაგრამ აი, კიდევ რა აფიქრებს ურწმუნო ადამიანებს: როგორ მოხდა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი ზოგიერთ ქანაანელს ვერ მიჰრეკია [illegible] დეგ, რაც იესო ნავინმა ქუდის დამხურავი აღარ დატოვა [illegible] ისევ სოკოებივით წამოიზარდნენ და მომრავლდნენ ამ საკვირველ ქვეყანაში.

„და იყო უფალი იუდას თანა, და დაიმკვიდრა მთა იგი, რამეთუ ვერ შეუძლეს დამკვიდრებად მკვიდრთა მათ ხევისათა, რამეთუ რქაბ შორის წინააღმდგომ უდგა მათ, და ეტლები რკინისა იყო მათი“ (მსაჯ., 1, 19).

ამრიგად, იუდამ დაიმორჩილა მთა, მაგრამ ვერაფერი ავნო ბარის ბინადართ, რადგან რკინის ეტლები ჰყავდათ!

ეტყობა, ღმერთს ცაში ქვების მარაგი შემოელია ამ დროისათვის. თუ ბიბლიის ამ ნაწილს უფრო ღრმად შევისწავლით, გაოცებული დავრჩებით, რანაირად შეეძლოთ რკინის ეტლებით ქროლა, როცა მთელი ეს მხარე მთაგორიანი იყო და ეტლით მოძრაობა სრულიად შეუძლებელი ხდებოდა. ისტორიიდან ცნობილია, რომ საბრძოლო ეტლები დაბლობ ადგილებში გამოიგონეს. ეს გამოგონება სპარსელებსა და ბაბილონელებს მიეწერებათ, იმ გაშლილ ველებზე ჩაიქროლეს. პირველმა ეტლებმა, მხოლოდ სამიოდე საუკუნის შემდეგ, როცა ნავინი აღარ იყო.

„მსაჯულთა“ მეორე და მესამე თავიდან ვგებულობთ, რომ ებრაელებმა ღმერთი დაივიწყეს. ამისათვის უფალმა ეს ხალხი სასტიკად დასაჯა, ააწიოკა და მონებად აქცია.

ნავინის შემდეგ ებრაელებმა საერთოდ მსაჯულების არჩევა დაიწყეს. მათი ისტორიის ეს პერიოდი არც თუ ისე ბრწყინვალე იყო. „და დაუტევეს უფალი ღმერთი ნამათა მათთა, რომელმან გამოიყვანნა იგინი ქვეყანით ეგვიპტით, და ვიდოდეს იგინი შემდგომად ღმერთთა უცხოთა, ღმერთთა მას მის ერისათა, რომელნი იყვნეს გარემო მათსა, და თაყვანისცემდეს მათ, და განრისხნა უფალი. და დაუტევეს უფალი იგი და მსახურებდეს ბაალსა და ასტარტსა“ *(მსაჯ., 2, 12—13)**.

„და ძენი ისრაელისანი დაემკვიდრნეს შორის ქანაანელისა მის და ქეტელისა და ამორველისა და ფერეზელისა და ეველისა და გერგესველისა და იობოსელისა, და მოიყვანნეს ასულნი მათნი თავისა თვისისა ცოლად, და ასულნი თვისნი მისცნეს ძეთა მათთა და მსახურებდეს ღმერთთა მათთა“ *(მსაჯ., 3, 5—6)*.

ეს უცნაური ქორწინებანი რომ უკეთ შევაფასოთ, ერთხელ კიდევ გა-

---

* ქართულ დაბადებაში შეცდომით წერია „ასტრატსა“, უნდა იყოს ასტარტსა (ფინიკიელთა სიყვარულისა და ნაყოფიერების ღმერთის ბერძნულ-სემიტური სახელწოდებაა).

გიხსენოთ, ექვსასიათასიანმა არმიამ იესო ნავინის მეთაურობით უკვე გაჟლიტა მთელი ეს ხალხი, მომეტებულად მამაკაცები. თუ მოსემ ჯერ კიდევ მოახერხა ოცდათორმეტი ათასი ქალწულის შენარჩუნება, მისი მემკვიდრე სულ გაგიჟდა, ერთ ცოცხალ არსებას არ უშვებდა, „არც ქალსა და არცა საცხოვარსა“. მაშ ვის ეუღლებოდნენ ებრაელ [illegible] ლებს?

„და განრისხნა გულის წყრომითა უფალი ისრაელისა ზედა და მისცნა იგინი ხელთა ქუსარსათემისთა მეფისა შუა მდინარისათა, და მონებდეს მას ძენი ისრაელისანი ქუსარსათემს რვა წელი“ *(მსაჯ. 3, 8)*. ვინც გუშინ სამოცდაათი მეფის მძლეველს სიკვდილით სჯიდა, ის დღეს ვინმე ქუსარსათემს ემონება მთელი რვა წლით!

ინგლისელი კრიტიკოსი ვულსტონი[9] ამის შესახებ შენიშნავს, რომ უნდა მოვახდინოთ არჩევანი მსაჯულთა ისტორისა და იესო ნავინის ისტორიას შორის: ერთი მათგანი უსათუოდ მცდარია და მოგონილი, რადგან ეს ორი წიგნი ერთიმეორის გამომრიცხველ წინააღმდეგობებზეა აგებული. „შეუძლებელია, — წერს ის,— რომ ებრაელებს მონობის უღელში შეერგოთ თავი უშუალოდ მას შემდეგ, რაც თავიანთი ექვსასიათასიანი არმიით გაანადგურეს და გაწყვიტეს ქანაანის ხალხები. ვინაა ეს ქუსარსათემი, მესოპოტამიის მეფე, ასე უცებ რომ ადებს ებრაელთა შვილებს ბორკილს? როგორ ჩამოვიდა თავისი შორეული ქვეყნიდან? რატომ არაფერი არ არის ცნობილი მისი ლაშქრობის შესახებ? მართალია, ბიბლია ამას ასე ხსნის: უფლის სასჯელი იყოო იმისათვის, რომ ებრაელები ქანაანელ ქალებს ირთავდნენ და თვითონაც აძლევდნენ ქანაანელებს თავიანთ ქალიშვილებს. მაგრამ მეტისმეტად სუსტი საბუთია გამარჯვებულთა გამარჯვება მხოლოდ თავიანთი ერთგულების გამო და დამარცხებულთა დამარცხება მარტოოდენ თავიანთი ცოდვებისათვის. არც ერთი ველური ხალხი არ გვეგულება, რომ იგივე ვერ თქვას. და კაცი ვერასოდეს ვერ გაიგებს, რანაირად უნდა გაეგებას უეცრად მონობის უღელში ოთხმილიონიანი ხალხი, რომელსაც ექვსასიათასიანი არმია ჰყავს, და ისიც მის მიერ ახლად დამორჩილებულ ქვეყანაში. ზუსტად ასევე, შეუძლებელია, რომ მეომართა ამ ზარდამცემ ურდოებს უკვალოდ გაექროთ, გაეწყვიტათ ადრინდელი მოსახლეობა და შემდეგ დამპყრობელებს დაპყრობილებთან საქორწინო კავშირი აერთიანებდეთ. წინააღმდეგობათა ასეთი ზვინის დაცვა არ შეიძლება“.

ჰოდა, ახლა „მსაჯულთა“ წიგნში ნათქვამია, რომ რვა წლის შემდეგ „ღაღად ჰყვეს ძეთა ისრაელისათა უფლისა მიმართ, და აღუდგინა უფალმან მხსნელი ისრაელსა, და იხსნა იგინი გოთონიელ ძემან კენეზისამ, და იყო მის ზედა სული უფლისა, და შჯიდა ისრაელსა (მსაჯულობდა), და მოსცა უფალმან ხელთა მისთა ქურსათემ მეფე ასურეთისა, და განიმტკიცნა ხელი მისი ქურსათემსა ზედა (ე. ი. მოკლა დამპყრობელი) და

იყო განსვენებით ქვეყანა ორმეოც წელ, და მოკვდა გოთონიელ“ (*მსაჯ., 9—11*). კარგია, მაგრამ ბიბლია არავითარ დაწვრილებით ცნობას არ გვაწვდის ამ ბრძოლის შესახებ, რაც უთუოდ დიდი და სისხლისმღვრელი უნდა ყოფილიყო და რაზედაც, სხვათა შორის, არასოდეს არც ერთ ისტორიკოსს არაფერი სმენია.

ორმოცი წლის შემდეგ ებრაელები ისევ მონობაში ჩავარდნენ, ჯერად მოაბიტელთა მეფე ეგლონის უღელქვეშ, თუმცა იმავე ბიბლიის თანახმად ეს სამეფო დიდი ხანია დასამარდა, მისი მოსახლეობა კი—მოაბიტელნი და მადიამიტები — არაერთხელ გაჟუჟეს ებრაელებმა, ისე რომ მთხრობელიც არ დარჩენილა.

მოაბიტელთა ბატონობა 18 წელი გაგრძელდა. მას ბოლო მოუღო აოდმა. ამ ებრაელმა, რომლის შესახებაც ბიბლია მხოლოდ იმას ამბობს, რომ ცაცია იყო, ერთხელ მეფე ეგლომს რაღაც ძღვენი მიართვა და სთხოვა, ცალკე ოთახში მიმიღე, რადგან საყურადღებო ამბავი მაქვს გასანდობიო. ეგლონი ენდო, ცალკე ოთახში ჩაიკეტა აოდთან ერთად, ამ უკანასკნელმა კი თავისი მარცხენა ხელი „მიჰყო და აღმოიხადა მახვილი ბარკალისაგან თვისისა მარჯვენით და სცა მუცელსა ეგლომისასა“, მერე კი მიიმალა და კვალსაც ვეღარ მიაგნეს (*მუხლ. 21—22*). ტერორისტულმა აქტმა ებრაელები გაამხნევა. ამბოხებულმა ხალხმა მტერს შეუტია, ათი ათასამდე მოაბიტელი გაწყდა მოულოდნელ შეტაკებაში. ქვეყანამ მოისვენა თითქმის მთელი საუკუნით: „და იყო მშვიდობა ოთხმეოც წელ, და შჯიდა მათ აოდ ვიდრე დღედმდე სიკვდილისა მისისა. და ამისა შემდგომად აღდგა სამეგრ ძე ანათობისა, და მოსრა უცხო თესლნი ექვსასი კაცი საკვეთილითა ერქვნისათა სახვნელისა ხართათა, და იხსნა ისრაელი მანცა“ (*მსაჯ., 3, 30—31*).

ბედი მაინც ცვალებადი იყო. აოდის გარდაცვალების შემდეგ „მისცნა იგინი უფალმან ხელთან იაბინისთა, მეფისა ქანაანელთასა“ (*მსაჯ. 3, 31*). საბედნიეროდ, ვინმე დებორამ, პატივცემულმა ქალბატონმა და წინასწარმეტყველმა, ვინმე ბარაკი მოიწვია, გამბედაობა ჩაუნერგა, სხვა ათი ათას მეომართან ერთად, თან იახლა ზაბულონისა და ნეფთალემის ნათესავთაგან შედგენილი ეს ჯარი და მტერზე სალაშქროდ წავიდა. იაბინის ჯარი, რომელსაც „გენერალი“ სისარა წინამძღოლობდა, პირველსავე შეტაკებაში ბარაკისა და დებორას მეომრებმა აჩეხეს, დაკეპეს, „და არა დარჩა არცა ერთი“ (*მუხლ. 17*).

მთავარსარდალი სისარა „იქცა ფერხითა თვისითა“ და იაილის ქაბერის ცოლის კარავში დაიმალა. ამ ქალს წმინდა ავტორი კეთილს ეძახის. თავაზიანმა იაილმა, რომელსაც ღმერთმა ორიოდე სიტყვა ჩასჩურჩულა, თვითონვე შეიპატიჟა დევნილი სარდალი. გარეთ გამოეგება და უთხრა: „მოაქციე, უფალო, ჩემდა, მოაქციე, ნუ გეშინინ“ (*მსაჯ. 4, 18*).

შეიყვანა, ხალიჩა გადააფარა და რძე მისცა, სხვა არაფერი მოუცია. სისარამ დაიძინა, კართან დარაჯად დედაკაცი დააყენა და გააფრთხილა: თუ ვინმემ გკითხოს, აქ კაცი ხომ არ შემოსულაო, ასე უთხარი: „არავინ არს“. ქალმა უთუოდ იწყინა, რა დარიგება მინდა, ჩემი დამლუკავი კაცი მე გავცეო! ლენჩი ხომ არა ვგონივარო. მაგ სისარას დაჭრის პალო (მანაი) და ჩაქუჩი აიღო, წყნარად მივიდა მძინარე კაცთან და აუჩქარებლად ჩაასო ლურსმანი თუ პალო საფეთქელში, მიწაზე დაალურსმნა („დაასვა მანაი იგი ყვრიმალსა მისსა, და დამსჭვალა იგი ქვეყანასა“). ჯერ ისედაც მაგრად ეძინა, ახლა კი სულაც გადაგორდა და მოკვდა. ისმინეთ, რა მოხდა შემდეგ. „და აჰა, ესერა, ბარაკ სდევდა სისარას, და მოიწია მუნ და იაილ განვიდა და მიეგებოდა მას და ჰრქვა მას, მოვედ და გიჩვენო შენ კაცი იგი, რომელსა შენ ეძიებ, და შევიდა იგი მისა, და აჰა, სისარა იდვა მკვდარი“ *(მსაჯ., 4, 22)*.

რაც შეეხება მეფე იაბინს, ებრაელებმა არც მისი მოკვლა დააყოვნეს იმ ნაცადი ხერხით, რაც არაერთხელ აკურთხა ღმერთმა. წინასწარმეტყველმა დებორამ ამ შემთხვევის გამო თავისი ერთი უმშვენიერესი სიმღერა იგალობა: „ისმინეთ მეფეთა და ყურად იღეთ მთავართა, რამეთუ უფალსა ვაქებდე და უგალობდე ღმერთსა ისრაელისასა. უფალო, გამოსვლასა შენსა სეირით, და ამაღლებასა შენსა ველთაგან ედომისთა, ქვეყანა შეიძრა, და ცანიცაი შეძრწუნდეს, და ღრუბელნი ცროდეს წყალთაი, და მთანი შეიძრნეს პირისაგან უფლისა ელოისა, მთისა მის სინასა, პირისაგან უფლისა ღვთისა ისრაელისა...“ (თ. 5). ჩვენ შევიბრალებთ მკითხველს და აღარ გავაგრძელებთ ამ გულისწამღებ-კეთილმსახურულ-მეომრულ ჭრიჭინს.

ებრაელთა ძნელბედობა ამით როდი დამთავრებულა. გამოჩნდნენ მადიამიტელნი (ისევ ლანდები!), რომელნიც ჯერ კიდევ მოსემ გაწყვიტა *(რიცხვთა, 31)*. საიქიოდან დაბრუნებული სულებივით ფეხაკრეფით წამოვიდნენ და მიზნად დაისახეს სიცოცხლე მოეწამლათ იაკობის ბედუკუღმართი მემკვიდრეებისათვის. ეს უკანასკნელნი თუმცა უშუალოდ არ ყოფილან მადიამიტელთა მონები, მაგრამ ყოველნაირად გაწამებული კი იყვნენ მათგან: თარეშობდნენ, დასცინოდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ: ებრაელები წელზე ფეხს იდგამდნენ, მუშაობდნენ, უხვი მოსავლის იმედი ჰქონდათ. გამოჩნდებოდნენ მადიამიტელთა ურდოები და აქლემებით თელავდნენ ნათესებს. თან მიჰყავდათ ხარები, ცხვარი, ვირები, აოხრებდნენ ბაღებს. უბედური ისრაელები თითქოს იძულებული ხდებოდნენ გამოქვაბულში ეძებნათ თავშესაფარი, რათა სიცოცხლე მაინც გადაერჩინათ მოთარეშე მტრისაგან, თავი დაეღწიათ ათასობით გაცოფებული მაწუხებლებისათვის *(მსაჯ., 6, 1—6)*.

მთელი ეს უსიამოვნება შვიდი წელიწადი გრძელდებოდა, ვიდრე

კეთილმა ღმერთმა ისევ არ შეიბრალა თავისი ხალხი და არ გამონახა ახალი გმირი. მაგალითი რომ უფრო გასაშტერებელი ყოფილიყო, ამჯერად ვინმე უსუსურ, გალეულ ჭაბუკზე, გედეონზე შეჩერდა. ერთი დუხჭირი ვინმე იყო ეს გედეონი, იმდენად სუსტი და უნიათო, რომ ძლივს ეხმარებოდა თავის მამას. ჰოდა, ერთ მშვენიერ დილას გედეონს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და „ჰრქვა მისა მიმართ: უფალი შენთანა ძლიერ ძალითა“ *(მსაჯ., 6, 12)*. გედეონი საკმაოდ გონივრულ პასუხს აძლევს არ მჯერა, ღმერთო, „უკეთუ არს უფალი ჩვენთანა, და რაისათვის მპოვნია ჩვენ ყოველმანვე ბოროტმან, და სად არიან ყოველნივე საკვირველებანი მისნი, რაოდენთა მითხრობდეს ჩვენ მამანი ჩვენნი?“ გედეონის ურწმუნოება მით უფრო მაშინ გაძლიერდა, როცა ანგელოზის პირით მოისმინა, რომ ამ სუსტ არსებას ევალება ებრაელი ხალხის განთავისუფლება ურიცხვი მტრისაგან.

„და ჰრქვა მას გედეონ: და უკეთუ ვპოვე მადლი წინაშე თვალთა შენთა და მიყოფ მე დღეს სასწაულსა, რამეთუ შენ იტყვი ჩემდამო, ნუ განმეშორები ამიერ, ვიდრე მოსლვადმდე ჩემდა წინაშე შენსა და მოგართა მსხვერპლი ჩემი და დავაგო წინაშე შენსა. და ჰრქვა მას: მე ვყოვნო ვიდრე მოსლვადმდე შენდა.

გედეონ შევიდა და შეაგბო თიკანი თხათა და საწყაული ერთი ფქვილი უცომონი და ხორცი დააგო ლაკანსა ზედა და წვენი იგი მისი შთაასხა ჭოთანსა და მოართვა მას მუხასა მას ქვეშე და თაყვანისცა მას.

და ჰრქვა მას ანგელოზმან მან უფლისამან: მოიღე ხორცი ეგე და უცომონი ეგე პურნი, და დააგენ კლდესა იმას ზედა და წვენი ეგე აღლოს დაასხი მას ზედა, ხოლო მან ყო ეგრე.

და განირთხა ანგელოზმან მან უფლისამან წვერი კვერთხისა, რომელი იყო ხელსა მისსა, და შეახო ხორცსა მას და უცომოთა პურთა მათ, და აღატყდა ცეცხლი კლდისა მისგან, და შეჭამა (ცეცხლმა) ხორცი იგი და უცომონი იგი. და ანგელოზი იგი უფლისა წარვიდა და მიეფარა თვალსაგან მისთა“ *(მსაჯ., 6, 17—21)*.

მაშინ გედეონმა მამის ათი რჩეული მსახური იხმო, ღამით წავიდა ბაალის ტახტის დასანგრევად და მადიამიტელთა ღმერთის სალოცავი ჭალაკის გასაკაფავად. იმ ხეებისაგან აანთო კოცონი და ზედ მთელი ხარი დაწვა, თავის ღმერთს მიუძღვნა. დიდი იყო მოსახლეობის რისხვა, როცა იხილეს, რომ ბაალის სამსხვერპლო დაქცეულია და მისი წმინდა ჭალაკი გაკაფულია. მაგრამ რაკი იოასს, გედეონის მამას არ უნდოდა ხალხის ხელში შვილის გადაცემა, ისრაელის ყველა მტერი სიძულვილმა და რისხვამ გააშმაგა, ყველა მადიამელი, ამალეკი და აღმოსავლეთის ძენი შეკავშირდნენ, იორდანი გადალახეს და იზრეელის ხეობაში დაიბანაკეს. „და სულმან ღვთისამან განაძლიერა გედეონ“ *(მსაჯ., 6, 34)*.

მაგრამ გედეონი ჯერ კიდევ ყოყმანობს, ნუთუ მართლა ღვთის არჩეული ვარო ეგზომ დიდი საქმისათვის, ისრაელთა მტრების დამხობა მე დამეკისრაო? მერე მოიწვია მანასეს, ასირის, ზაბულონის და ნეფთალიმის გვარები (ნათესავნი), რომელთა იმედიც ყველაზე მეტად ჰქონდა და ღმერთს შეევედრა, თუ ნამდვილად ასეთ საქმეა მავალებელი, ერთი სასწაული მიჩვენე, რომ ამაში დავრწმუნდეო.

„და ჰრქვა გედეონ უფალსა: უკეთუ შენ ჰეშმარიტად იხსნე ხელითა ჩემითა ისრაელი, ვითარცა იგი იტყოდი, აჰა ესერა მე დავდვა საწმისი ერთი მატყლისა კალოსა ზედა, და უკეთუ იყოს ცვარი საწმისსა, მას ზედა, და ყოველი ქვეყანა ხმელ იყოს, უწყოდე, რამეთუ ხელითა ჩემითა იხსნე ისრაელი, ვითარცა იგი იტყოდი.

და იყო ეგრე, და აღიმსთო გედეონ განთიად, და გამოწურა საწმისი იგი, და გამოჰხდა ცვარი საწმისისა მისგან, და აღავსო ფიალი წყლითა მით.

და ჰრქვა გედეონ ღმერთსა: ნუ განრისხდებინ გულის წყრომა შენი ჩემ ზედა, და ვიტყოდიღა კვალად, ერთგზის, და გამოვსცადოღა ერთგზის საწმისითა ამით: და იყავნ სიხმელე საწმისსა ამას, ხოლო ზედა, და ყოველსა ქვეყანასა ზედა იყავნ ცვარი.

და ყო ღმერთმან მას ღამესა ეგრეთ და იყო სიხმელე საწმისსა ზედა ხოლო, და ყოველსა ქვეყანასა ზედა იყო ცვარი“ *(მსაჯულ., 6, 36—40)*.

აი, ეს კი ნამდვილად არქიღვთაებრივი სასწაულებია! დარწმუნებული ვარ, თქვენც აღტაცებული და გაოცებული იქნებით.

ამ დიდი სასწაულების ამბავი სწრაფად მოედო მთელს ისრაელს და გამოთქვა სურვილი გაჰყოლოდა გედეონს ბრძოლის ველზე. მაგრამ ენთუზიაზმის ცეცხლი მალე ჩაქრა. გმირმა თავის ერთ-ერთ მოწოდებაში თქვა: „მხდალნი შინ დაბრუნდითო“, — და მასთან სულ ათი ათასამდე მეომარი დარჩა, დანარჩენებმა მაინც ისარგებლეს ნებართვით და შინ დაბრუნდნენ.

მაგრამ ღმერთმა ეს ათი ათასიც ზედმეტად მიიჩნია, გედეონს უბრძანა, მამაცთა ერთი რაზმი შეადგინე და გეყოფაო. გედეონი ასედაც მოიქცა. შერჩეული რაზმი საომრად წავიდა. ათი ათასსავე კაცს უბრძანა, მდინარეზე ჩადით და პირდაპირ ნაკადის წყალი დალიეთო. ვიდრე მეომრები წყალს სვამდნენ, თვითონ გულდასმით აკვირდებოდა. ესეც უფლის რჩევით მოხდა:

„და ჰრქვა უფალმან გედეონს: ყოველმან, რომელმან წბოს ენითა თვისითა წყლისა მისგან, ვითარცა იგი წბის ძაღლმან, ადგინენ იგინი თვისგან მარტოდ (ასეთები, — წყალს რომ ძაღლივით ენით სვლეპს, ცალკე დააყენეო), და ყოველი რომელი მოდრკეს მუხლთა თვისთა სვმად წყლისა, განადგინე იგი მხოლოდ.

და იყო ყოველი რიცხვი, რომელთა წბეს ენითა მათითა სამას ოდეს კაც, და სხვაი იგი დანარჩომი ერი ყოველი მოდრკა მუხლთა თვისთა ზედა სვმად წყლისა.

და ჰრქვა უფალმან გედეონს: სამასითა ამით კაციფა, რომელთა წბეს წყალი, გიხსნნე თქვენ, და მოგცე მადიამი ხელთა შენთა, და ყოველი ერი წარვედინ ადგილად თვისა“ (მსაჯ., 7, 5—7).

ამრიგად, გედეონმა გაიყოლია სამასი „ძაღლურად მსვლეპავი“ კაცი. ალბათ დარწმუნებულმა, რომ საჭირო შემთხვევაში მათ ძაღლური ეშვებიც აღმოაჩნდებოდათ. ახლა კი — ყურადღება! არც ერთი სტრიქონი არ გამოტოვოთ ახალი ბიბლიური სასწაულების წიგნიდან! თქვენ ნახავთ, რომ ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონი — პატარა ბავშვები და ლეკვები-ღა არიან გედეონთან, მისი უდიდებულესობის „ციური მეუფის“ არმიის მთავარსარდალთან შედარებით.

მადიამიტელთა ბანაკი დაბლა იყო, ღელეში. გედეონმა თავისი 300 წყალსვლეპია სამ ჯგუფად დაყო. ყოველ მეომარს „მისცა ნესტვები (ბუკები) რქისა ხელთა მათ ყოველთასა, და სარწყულნი ცალიერნი და ლამპრები შორის სარწყულთა.

და ჰრქვა მათ: ჩემგან ისწავეთ და ეგრეთ ყავთ, და აჰა მე შევიდე შორის ბანაკსა მას და იყოს ვითარ ვჰყო ეგრეცა ჰყავით.

და მე დავბერო ნესტვსა მას რქისასა და ყოველთავე, რომელნი ჩემთანა იყვნეთ, დაბერეთ ნესტვთა თქვენთა რქისათა გარემოს ყოვლისა ბანაკისა, და თქვით: მახვილი ღმრთისა და გედეონისა!“ (მსაჯ. 7, 17—18).

დაღამდა თუ არა გედეონმა სამასი წყალისსვლეპია ღაძრა და მტრის ბანაკისაკენ დაეშვა. ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ ავანპოსტებს. მერე ყველამ აანთო თავისი ლამპარი და დოქში (სარწყულში) ჩამალა. აქ გაისმა გედეონისა და მისი მოლაშქრეების გიჟური შეძახილები, დოქების მტვრევა („შემუსრეს სარწყულნი იგი ხელთა შინა მათთა“), ბუკების ჭუხილი და ჟრიამული, რასაც ხანგამოშვებით ფარავდა წმინდა ლოზუნგი: „მახვილი უფლისა და გედეონისა!“ მადიამიტელნი გონს ვერ მოვიდნენ, შიშით დაფეთებულნი ერთიმეორეს ხოცავდნენ.

შემდეგ ბიბლია ჩამოთვლის ამ სერემის შედეგებს. ორი მადიამიტელი გენერალი — ორები და ზიბი ეფრემიანელებმა მოკლეს, ორი მეფე კიზებეი და სალმანი პირადად გედეონმა მოკლა. წმინდა ტექსტი გვაუწყებს: „და ზებე და სალმანა იყვნეს კარკარსა შინა, და ბანაკნი მათი მათ თანა, ვითარ ათხუთმეტ ათას ოდენ, რომელნი განრინებულ იყვნეს ყოველისა მისგან ბანაკისა ძეთა მზისა აღმოსავალისათასა, და რომელნი დაცემულ იყვნეს ას ოცი ათას კაცნი მპყრობელნი მახვილისანი“ (მსაჯ., 8, 10).

როგორც ხედავთ, სასწაულია: მადიამიტელნი, ამალეკების და სხვა

აღმოსავლელი ხალხების ლაშქარი, იზრეელის ღელეში რომ იდგა ბანაკად, 135 000 კაცს შეადგენდა. ასეთ არმიას ვინ არ ინატრებდა! ასი ათასი კაცის დაბანაკებას 15 კვადრატული კილომეტრი ფართობი უნდა. გედეონის ყველა ჯარისკაცი თავის ადგილზე რჩებოდა. ამრიგად, მთელი ბანაკისათვის რომ ალყა შემოერტყათ, წყალისვლეპიები ერთიმეორესაგან 50—70 მეტრის დაშორებით უნდა დამდგარიყვნენ. ეს ამბავი ღამით მოხდა. როგორ სედავდნენ ერთიმეორეს ამ სიშორეზე და რანაირად იმეორებდნენ გედეონის ჟესტებს, თიხის დოქებს რომ ლეწავდა? მერე და, რა საცოდავი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა თიხის დოქების მტვრევას 15-20 კილომეტრიან ხაზზე? ვის გაუხეთქავდნენ ამით გულს? 300 კაცი რომ თუნდაც მჭიდრო რიგებად შესულიყო 135 000 კაციან ბანაკში, 15 კვადრატულ კილომეტრიან ბრძოლის ველზე, ვერც მაშინ მოახდენდნენ დიდ ეფექტს. სინამდვილეში კი დაფანტული იყვნენ და გამაგრებული ბანაკის გარე ხაზზე რჩებოდნენ. რა თქმა უნდა, არავითარი ეფექტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. გედეონის ეშმაკური ჩანაფიქრი მთელს ამ საქმეში არავითარ როლს არ თამაშობდა. თუ რაიმეს გაკეთება შესძლო, ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი უდიდესი რელიგიური სასწაული და მეტი არაფერი. ეტყობა, ღმერთმა სამასი ბუკით ისეთივე ხმაური ატეხა, როგორც სამასიათასით. დალეწილი დოქების ხმაურიც ათასმაგად გააძლიერა. წყალისვლეპიების საბრძოლო ყიჟინიც თავზარდამცემი ქუხილის გამოძახილად გაისმა. თავისთავად ცხადია, ციური მტრედის მოთხრობა, თუ პირდაპირ გავიგებთ, სრული მიქარვაა, შეუძლებელი და გონჯი ზღაპარი, თუმცა ზოგჯერ გონჯი ზღაპარიც ღვთაებრივ პრემიას იმსახურებს და ნესტვის ხმა სალამურის ხმად საღდება: თუ ღმერთი შენთანაა, რა არ მოხდება! ღმერთი კი გედეონთანაა. ამიტომ „შეიპყრა ორნი იგი მეფენი მადიამისანი ზებე და სალმანა, და ყოველი იგი ბანაკი მათი მოსრა“.

როგორც გენებოთ, ისე შეაფასეთ, მაგრამ ასეთი საზღაპრო ბრძოლის შემდეგ მთელს ისრაელში გედეონის სახელი გაისმოდა. თანამემამულეებმა მეფის გვირგვინი შესთავაზეს. მაგრამ ჩვენი გმირი იმდენადვე თავმდაბალი აღმოჩნდა, რამდენადაც პრაქტიკული. მეფობაზე უარი განაცხადა, მცირედი სათხოვრით დაკმაყოფილდა.

„და ჰრქვეს კაცთა ისრაელისთა გედეონს: მთავრობდ შენ ჩვენ ზედა, და ძენი შენნი და ძენი ძეთა შენთანი, რამეთუ შენ განმარინენ ჩვენ ხელთაგან მადიამისთა.

და ჰრქვა მათ გედეონ: არა გმთავრობდე მე თქვენ ზედა, არცა გმთავრობდეს ძე ჩემი, არამედ უფალი გმთავრობდეს თქვენ... ვითხოვ მე თქვენგან თხოვასა ერთსა და მომეცინ მე კაცად კაცადმან თქვენმან საყური ხატყვენავისაგან თქვენისა, რამეთუ საყურნი ოქროსანი ესხნეს მათ, რამეთუ ისმაიტელ იყვნეს.

და ჰრქვეს მათ: მიცემით მიგცეთ. და განიპყრა სამოსელი თვისი და შთაუდებდა კაცად კაცადი საყურსა ოქროსასა ნატყვენაუსა მისგან.

და იყო სასწორი საყურებისა მის ოქროსა, რომელ ითხოვა შთაგან, ათას შვიდას სასწორი ოქროსა, თვინიერ მანიაკებისა და მძივებისა და სამოსლისა ძოწეულისა... გარდა ფარიღებისა ოქროსა მის, რომელი იგი იყო ყელსა აქლემებისა მათისასა" (მსაჯ., 8, 22—26).

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ გედეონი მრავალცოლიანი იყო და ჰყავდა 70 შვილი. ერთ-ერთი ხარჭისაგან, რომელიც სიქემში ცხოვრობდა, ჰყავდა შვილი, სახელად აბიმელექი. ბიბლია მოგვითხრობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ აბიმელექმა ყველა თავისი ძმა წიწილებივით დაკლა „ერთ ქვაზე". გადარჩა მხოლოდ უმცროსი ძმა იოთამი, რომელმაც მიმალვა მოასწრო. სიქემის მოსახლეობამ, რომელსაც ძალიან ეამაყებოდა ეს ძმათამჭელეტი ვაჟბატონი, გედეონის მოყმე მეფედ აირჩია. გავიდა სამი წელი და აბიმელექმა პოპულარობა სადღაც მტვერში დაკარგა. მის დედაქალაქში „რევოლუციური მღელვარება" დაიწყო. მეამბოხეებს სათავეში ჩაუდგა ვინმე გაალი. აბიმელექმა განდევნა გაალი და გაშმაგებული ბრძოლის შემდეგ ქალაქი აიღო, „და ერი იგი მისი მოსრეს, და ქალაქი იგი დაარღვიეს და დასთესეს მას შინა მარილი". ამის შემდეგ ამიბელექმა „სიქემის ერი" გაიყოლია და მეამბოხეთა გოდოლს შეუტია. გზად აიღო ცული, მოაჭრა ტოტი ხეს, მხარზე გადაიდო და ყველას უბრძანა, მე მომბაძეთო. ასე შემოუწყვეს გოდოლს შეშის ზვინი, წაუკიდეს ცეცხლი, დაწვეს გოდოლი, „და მოსწყდა ყოველი კაცი გოდლისა მის სიკიმელთასა, ვითარცა ათას ოდენ მამა-კაცი და დედა-კაცი. და წარვიდა აბიმელექ თებად და გარე მოადგა მას და დაიპყრა იგი" (მსაჯ., 9, 49). ხალხმა თავი ერთ დიდ გოდოლს შეაფარა. აბიმელექი ახლა ამ გოდოლს მიადგა, დაწვა განიზრახა, მაგრამ ვიღაცა დედაკაცმა კოშკიდან დოლაბი გადმოუშვა და თავი გაუტეხა („შთატეხა თხემი მისი"). თხემგატეხილი კაცი ჩვეულებრივ წიგნებში იქვე კვდება, მაგრამ ბიბლიაში საქმე სხვანაირად დატრიალდა. აბიმელექმა მოასწრო თავისი საჭურველთმტვირთველის დაძახება და უბრძანა: „იხადე მახვილი შენი და მომკალ მე, რათა არა თქუან, ვითარმედ დედაკაცმან მოკლა იგი. და განგვრიმა იგი მონამან მან და მოკვდა" (9, 54). ამით მონამ „მეფის" გული მოინადირა. როგორც ვხედავთ, აბიმელექი პატივმოყვარე ვინმე იყო და ტვინდანთხეულმაც კი დაამტკიცა ეს ერთხელ კიდევ. კაცს რომ კოშკის თავიდან გადმოგდებული დოლაბი მოგხვდება თავში და ამის შემდეგ კიდევ განკარგულებებს გასცემ, ეს შეიძლება მორიგ ბიბლიურ სასწაულად ჩაითვალოს.

ასე დაასრულა თავისი დღე გედეონის საბელგანთქმულმა შვილმა. მომდევნო მსაჯულებად ბიბლია ასახელებს თოლაის, რომელიც „შჯიდა" ისრაელს ოცდასამი წელი, და იაირ გალადელს, რომელიც ქვეყანას

ოცდაორი წელი განაგებდა. იაირს 32 შვილი ჰყოლია, „რომელნი აღსხ-
დებოდეს ოცდა ათორმეტთა ვირთა, და ოცდა ათორმეტი იყო ქალაქი მათი
და უწოდეს მათ ჭალაქნი იაირისა და ვიდრე აქა დღემდე“*. ამ წმინდა
წვრილმანების გარდა, რომელთაც მხატვრული თვალსაზრისით გარკვეუ-
ლი მნიშვნელობა აქვთ, ბიბლიაში ამ მსაჯულებზე არაფერი ითქმის.

ბიბლიოთეკა

---

* „იაირის ვირების“ რიცხვთა საკითხში მთლიანობა არ არის. ლათინურ, გერმანულ, რუსულ ტექსტებში აღნიშნულია 30 ვირი, ქართულ თარგმანში და მის წყაროში მხედრების რიცხვია 32.

წმინდა მსაჯულნი იეფთაი და სამსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ იქნა და ვერ ასწავლა ჭკუა უთვალავმა ვეთილმა იმდროინდელ ებრაელებს: წარამარა იჩენდა თავს წარმართული მიდრეკილებები. ყველა სასჯელის მიუხედავად ივიწყებდნენ თავიანთ ღმერთს — იაღვეს და ცვლიდნენ სხვა ღმერთების თაყვანისცემით, თუმცა ერთი შეხედვით არაფერი სოდეს არ უნდა დავიწყებოდათ, რა ძვირად უჯდებოდათ ბაალის, ასტარტას, ოქროს ხბოს და სხვა წარმართული ღმერთებისა და კერპების თაყვანისცემა, რომელთა მიმართაც ბიბლიური ღმერთი მეტისმეტად ეჭვიანი იყო. ისევ და ისევ კერპთაყვანისცემა რომ დაიწყეს, ღმერთმა ახალი სასჯელი დაატეხა თავს: ამჯერად ამონიტელებს ჩაუგდო ხელში თავისი ხალხი, რომელსაც ყველა გაკვეთილმა უქმად ჩაუარა. ამრიგად, აგერ უკვე მეექვსედ იდგამენ მონობის უღელს ქვეყანაში, რომელიც ექვსასიათასიანი არმიით დაიპყრეს, ქვეყანაში, რომლის მთელი მოსახლეობა თავის დროზე იესო ნავინმა გაწყვიტა.

18 წლის მონობის შემდეგ ებრაელებმა ისევ „პოვეს წყალობა“ უფლის თვალში, და იაღვემ ისევ ნახა მათი განმათავისუფლებელი. „და იეფთაე გალადელი იყო ძლიერი ძალითა, და ესე იყო ძე დედაკაცისა მეძვისა, რომელმან უშვნა გალადს იეფთაე. და მერმე უშვნა ცოლმან გალადისმან ძეებ მისა, და განღორძინდეს ძენი იგი ცოლისა მისისანი და გამოაძეს იეფთაე, და ჰრქვეს მას: ვერ დაიმკვიდრო სახლსა შინა მამისა ჩვენისასა, რამეთუ დედაკაცისა მეძვისა ძე ხარ შენ. და წარივლტოდა იეფთაე პირისაგან ძმათა თვისთასა, და დაეშენა ქვეყანასა ტობიისასა და შეკრბებოდეს იეფთაეს თანა კაცნი ცარიელნი და ვიდოდეს მისთანა“ *(მსაჯ., 11, 1—3)*.

უბრალოდ რომ ვთქვათ, მეძავის შვილი იეფთაი იყო ავაზაკთა ბრბოს მეათური. შარაგზის ყაჩაღზე შეაჩერა ღმერთმა არჩევანი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იეფთაის ერთი კარგი ღირსება ჰქონდა: შესანიშნავი მამა იყო. ერთადერთი ასული ჰყავდა, და უნდა გენახათ, როგორ ანებივრებდა, როგორ უყვარდა, როგორ აღმერთებდა, როგორ ახარებდა ყოველდღე ძვირფასი საჩუქრებით. თუმცა მას, როგორც ბანდიტს, ეს საჩუქრები არც ისე ძვირი უჯდებოდა.

მოხდა ისე, რომ თანამემამულეებმა მას სთხოვეს, დაგვეხმარე, მო-

ნობის უღელი გვინდა გადავაგდოთო. როგორც ცნობილია, ღვთისმსახურებას არც ერთი სახეობა ძარცვა-რბევისა არ გამორიცხავს. იეფთაი ღმერთს შეევედრა, შეწევნა სთხოვა, თან მსხვერპლად აღუთქვა ადამიანის სული: პირველი ადამიანი, ვინც ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებულს გზად შეხვდებოდა.

ღმერთს, რა თქმა უნდა, სულაც არ გაუჭირდება თავისი რჩეულისათვის გამარჯვების ბოძება. რაკი მოხუც საბაოთს ერთის მხრივ თვითონ იეფთაი უყვარდა და მეორე მხრივ დაპირებული მსხვერპლით წინასწარ ტკბებოდა, მაშინვე დახმარების ხელი გაუწოდა, ებრაელთა სარდლის ძალა ერთი ათად გაზარდა, და იმანაც ამონიტელები დაამარცხა, გაქლიტა, ნაკუწ-ნაკუწ აკეპა. ოცი ქაალქი დაარბიეს!

ვერ წარმოიდგენთ გმირის გაოცებას, როცა მშობლიურ ქალაქ მასიფუში* დაბრუნდა და წინ ასული შემოეგება ქალიშვილებთან ერთად, საზეიმოდ განწყობილი, „ბობღნებითა და მძნობრებითა, და იყო ესე მხოლოდ-შობილი მისი საყვარელი“. ცხადია, ქალიშვილმა არაფერი იცოდა იმ საზიზღარი დაპირებისა, რაც მამამისმა ღმერთს მისცა.

ყაჩაღს პატიოსანი სიტყვის გარდა არაფერი არ გააჩნია. ქალიშვილის ბედი გადაწყვეტილია. მართალია, თვითონაც ხალისით დათანხმდა: მერე, რა მოხდა, მზადა ვარ, შემწირე მსხვერპლადო! მხოლოდ ორი თვის ვადა ითხოვა: „რათა აღვიდე მთასა ზედა და ვტიროდე ქალწულებასა ჩემსა მე და მოყვასნი ჩემნი“. რაკი მამამისმა „აღაღო პირი უფლისა მიმართ“ და უფალმაც გამარჯვება მოუტანა, ერთი ასულის სიცოცხლე რა იყო, მაგრამ ებრაელი ხალხის ძველი ტრადიციის თანახმად, ამ ხალხის ქალიშვილებისათვის უდიდეს უბედურებად ითვლებოდა ისე სიკვდილი, რომ მამაკაცს ერთხელაც არ დანებებოდა. ალბათ ამიტომაც ებრაელებს არასოდეს არ ჰყოლიათ მონაზვნები.

მსხვერპლად შეწირვა თვითონ იეფთაის დასწრებით მოხდა. უბედურ მამას დარდი კლავდა, ცრემლად იღვრებოდა. სწორედ ამ დროს ერთი კაცი იჭაჭებოდა სიცილით და თითებს ილოკავდა... კაცი კი არა, ღმერთი. ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ, ქალიშვილი საკუთარ წიაღში მიიღოო. მოხუცი ოინბაზი მორიგ გამარჯვებას ზეიმობდა!

მაგრამ როგორ ბედავენ ამის შემდეგ ეკლესიის მოღვაწენი იმის მტკიცებას, რომ ჩვენი უფლის ხალხისათვის ადამიანის მსხვერპლი უცხო იყოო! ფინიკელთა და კართაგენელთა მოლოქზე ნაკლები კი არ არის ებრაელთა ღმერთი, ამჟამად კი ქრისტიანთა ოფიციალური ღმერთი! სიამოვნებით იღებდა მსხვერპლად ადამიანის სისხლსა და ხორცს, დამშვიდე-

---

* ქართულ ტექსტშია „მოვიდა იეფთაე მასეფად, სახლსა თვისსა“ (მსაჯ. 11, 34).

ბული, ზიზღისა და ბუნებრივი ელდის გარეშე, რაც ამნაირი მოსაკითხის მირთმევამ უნდა გამოიწვიოს.

იეფთაი ამონიტელთა განადგურებით არ დაკმაყოფილებულა. მამა ღმერთს მორიგი სიამოვნება მიანიჭა 42 000 თანამემამულის განადგურებით. რა დააშავეს? სჯულის კიდობანში შეიჭყიტეს? არა, ვერ არაფერს მოთქმა არ ეკარგოდათ. ეფრემიანნი, როგორც ბიბლია ამბობს, „სა“, „სე“, „სის“ ნაცვლად ამბობდნენ „შა, „შე“, „შის“. დღეს ასეთი ნაკლისათვის მხოლოდ მკურნალობენ, მაშინ კი... იეფთაიმ ეს ხალხი იორდანის გადასასვლელ ფონთან შეყარა და იქ... თუმცა არა, ნამდვილი ტექსტი უნდა დავიმოწმოთ: ეს ადგილი მეტისმეტად მშვენიერია.

„დაიპყრეს გალადელთა მათ წიაღსავალი იგი იორდანისა ეფრემისნი, და იყო რაჟამს იგი თქვეს განრინებულთა ეფრემისთა, ვითარმედ წიაღვხდეთ. ჰრქვეს კაცთა გალადელთა მათ: ნუ უკვე ეფრემისთაგანნი ხართა თქვენ? ხოლო მათ ჰრქვეს: არა ვართ. და მათ ჰრქვეს: გვითხარ რაიმე ნიშანი, და მათ ვერ წართქვეს სიტყვა ეგრე სახედ*. და იპყრობდეს მათ და მოსწყვედდეს წიაღსლვასა მას ზედა იორდანისასა, და დაეცნეს მას დღესა შინა ერისაგანი ეფრემისა, ორმეოცდა ორი ათასი“ *(მსაჯ., 12, 5—6)*. უბრალოდ, კარგად და კეთილმსახურულად! ასო ვერ აქციეს ბგერად და ამისათვის ასო-ასო აკუწეს 42 000 კაცი!

იეფთაი ექვსი წელი განაგებდა ისრაელს და მერე მოკვდა. მისი მემკვიდრეები იყვნენ ესებონი, ელონი და აბდონი. მათ შესახებ მხოლოდ ისაა ნათქვამი, თუ რამდენი „ძე ესხნეს“. მაგალითად, ესებონს ოცდაათი შვილი ჰყავდა და ამდენივე ასული. აბდონზე ანუ აბიდონზე ერთი სხვა საგულისხმო დეტალიც წერია: „ესხნეს მას ორმეოც ძე და ოც და ათ ძის წულ, რომელნი ასხდებოდეს სამეოც და ათთა სახედართა, და იგი სჯიდა ისრაელსა რვა წელ“ *(მსაჯ., 12, 14)*. საოცარია, როდისღა „შჯიდა“ ქვეყანას კაცი, რომელსაც სამოცდაათი შვილი ჰყავდა და ამდენივე სახედრით დაატარებდა უთვალავ მემკვიდრეს.

ახლა ჩვენ მივყვეთ სახელგანთქმული სამსონის ამბავს. ესაა გოლიათი, ბიბლიური ჰერაკლე. ფილისტიმელები, რომელთა სახელიც აქამდე არ გვსმენია, უეცრად გამოდიან ასპარეზზე და საგრძნობლად უწამლავენ სისხლს ებრაელებს, ღვთისაგან დალოცვილ ხალხს. ეს „ურწმუნოები“ ერთბაშად იმონებენ ებრაელებს და ორმოცი წლის განმავლობაში აწამებენ, ყოველნაირად ჩაგრავენ და ამცირებენ. როცა ღმერთმა მოხედა თავის ხალხს და გადაწყვიტა, რომ დროა ისევ იფიქროს მის განთავისუფლებაზე, ისევ ძველი მეთოდი გამოიყენა: ანგელოზი მიუგზავნა ვინმე მა-

---

* აქ ქართული ტექსტი ოდნავ გაუგებარია. დედანში წერია: გვარ-ტომობის გამოსაცდელად გალადელები აიძულებდნენ ეფრემიანებს: „თქვით სიტყვა „შიბბოლეტ“, ისინი კი ამბობდნენ „სიბოლეტ“, და ამისათვის ხოცავდნენ.

ნოეს, დანთა გვარის კაცს, რომლის ცოლიც „ბერწი“ იყო. ანგელოზის ვიზიტის შემდეგ მანოეს მუცელი ეძრა[30]. ჩვენ არ შეგვიძლია აღვწეროთ მანოეს სიხარული. თავის დროზე იშვა ყრმა, რომელსაც უწოდეს „სამსონი“ — „მზიური“.

ყმაწვილი ადრევე „აღორძინდა“, არაჩვეულებრივ ლომიერ გამოდგა. ერთხელ თამაშში შემოაკვდა ლომი, რომელიც მთელს იმ მხარეს შიშის ზარსა სცემდა. როგორც კი დავაჟკაცდა, ცოლის შერთვა განიზრახა და ღვთის კაცისათვის უცნაური არჩევანი გააკეთა: ფილისტიმელი ქალი მოეწონა. მშობლები ევედრებოდნენ, მოეშვიო, მოაგონებდნენ, მოსეს კანონი კერპთაყვანისმცემლებთან ქორწინებას კრძალავსო, მაგრამ სამსონი ამ საქმეშიც ურყევი და უდრეკი გამოდგა: ყოველ კანონს აქვსო გამონაკლისი, და იმდენი სცადა, რომ ბოლოს მაინც თავისი გულის სწორი შეირთო, არიანელი, ეცხო თესლი.

ამ მიმოსვლაში ერთხელ გზად ლომი შემოეყარა. სამსონს ხელთ არაფერი არა ჰქონდა, მაგრამ იმარჯვა და ლომი ხელით დაახრჩო. შემდეგ, რომ აქ გამოიარა, ნახა რომ ლომის პირიდან ფუტკარი გამოდიოდა. თურმე ფუტკარს ლომის პირში თავისებური სკა გაუკეთებია, თაფლი დაუმზადებია. სამსონმა ჭამა, დედ-მამასაც აჭამა და ის კი არავის უთხრა, საიდან მოიტანა ეს თაფლი.

სამსონისა და ფილისტიმელი ქალის ქორწილი შვიდ დღეს გაგრძელდა. სამსონი ბავშვობიდანვე იგავების შეთხზვის უნარით გამოირჩეოდა. ისეთებიც ყოველთვის დასცინოდა ფილისტიმელებს, გამოცანებს აძლევდა, თამაშში ამარცხებდა. ახლაც, საქორწინო ნადიმზე, თავისი ცოლის ნათესავებს გამოცანა უთხრა: თუ გამოიცნობთ, 30 პერანგს და ამდენსავე სამოსელს მოგცემთო, არა და თქვენ მომეცით ოცდაათი არდაგი და კვართიო. ასეთი შეთანხმების შემდეგ სამსონმა გამოცანა უთხრა: „მჭამელისაგან გამოვიდა საჭმელი და ძლიერისაგან გამოჰხდა ტკბილიო“. ვერავინ ვერ გამოიცნო. ცხადია, სამსონი გულისხმობდა მის მიერ მოკლულ ლომს, რომლის პირშიც თაფლი დახვდა, მაგრამ აბა ეს ვინ იცოდა!

სამსონის ცოლი სულით მაინც „არიანელთა“ ერთგული ჯაშუშად დარჩა. ძალიან უნდოდა მის ნათესავებს ამდენი ქონება მოეგოთ და მათივე დავალებით ქმარს ჩააცივდა, ახსნა გამოსტყუა ღამით სარეცელში და ახალგაზრდა ფილისტიმელებს უამბო, ასე და ასე ყოფილაო.

სამსონს ისღა დარჩა, რომ წაგებული კვართები და არდაგები ეშოვა. ამ მიზნით ასკალონში გაემგზავრა, იქ ოცდაათ ფილისტიმელს ჩხუბი აუტეხა, ჭერეხივით დააწყო დაბლა ყველანი, რაც ამოდენა ბუმბერაზს, ისიც უფლის რჩეულს, ცხადია, არ გაუჭირდებოდა, გახადა ყველას სამოსელი და პატიოსნად გაისტუმრა ვალი. რაც შეეხება მის ცოლს, რომელიც ამოდენა ვაჟკაცს საბლით ატარებდა, მოულოდნელი ამბავი შეემთხვა სა-

ქორწინო ნადიმის მეშვიდე დღე იწურებოდა. მამამ ქალი უეცრად მიათხოვა მეორე კაცს, რომელსაც სამსონი უახლოეს მეგობრად თვლიდა.

სამსონმა ამ ღალატისა არაფერი იცოდა, სადღაც წახეტიალებული უკან დაბრუნდა და ცოლს თიკანი მოუყვანა საჩუქრად. ოთახის ზღურბლზე სიმამრი შემოეყარა, შინ არ შეუშვა: „არა უტევა იგი შესლვად, და ჰრქვა მას მამამან მისმან, მეტყველმან: ვთქვი, ვითარმედ სიძულვილით მოიძულე იგი (მეგონა მოგძულდაო), და მივეც იგი ერთსა მოყვასსა შენსა: და აჰა ესერა დაი მისი უმჯობეს არს მისსა, შეირთე აწ იგი ცოლად შენდა მის წილ. და ჰრქვა მას სამფსონ: უბრალომცა ვარ აწ მე ამიერითგან ფილისტიმელთაგან, რამეთუ ვყო მე ყოფით ბოროტი მათ თანა“ (მსაჯ., 5, 2—3). მაშინ დაიწყო ბუმბერაზის გამანადგურებელი ლაშქრობა ფილისტიმელთა წინააღმდეგ, რომყვრობამ ვერ უზრუნველჰყო მტერთან მშვიდობა. „და წარვიდა სამფსონ და შეიპყრა სამ ასი მელი და მოიღო ლამპრები და შეუკრა კუდი კუდსა თანა და გამოაბარა ლამპარი, ერთი შორის ორთა კუდთა და შეკრა ბაგრიად. და აღუდვა ცეცხლი ლაპმრებსა მას და განუტევნა იგინი შორის მჭელეულებსა მას ფილისტიმელთასა, და მოწვა ხუვილი ზვინთაგან, ვიდრე უმკლადმდე და ვენახი და ზეთის ხილები მათი. და თქვეს უცხო თესლთა მათ: ვინმემ ქმნა საქმე. ესე? და უთხრეს: სამფსონმან სიძემან თამნათელისამან, რამეთუ მოიღო ცოლი მისი და მისცა იგი ერთსა მოყვასსა მისსა: და აღმოვიდეს უცხო თესლნი იგი და დაწვეს იგი და სახლი მამისა მისისა ცეცხლითა“ (მსაჯ. 4—5). ფილისტიმელები ფიქრობდნენ, რომ ამით დააშოშმინებდნენ სამსონს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! გოლიათმა განაცხადა: ჩემი შურისძიება მხოლოდ ერთ ვინმეს კი არა, მთელს თქვენს სამეფოს ეხებაო, და ამით მხოლოდ იწყებაო.

სიტყვას საქმეც დაურთო, „და მოსრნა იგინი წვივითა ბარკალ სხვილისათა“, ე. ი. წვივები და ბარძაყები გადაუმტვრია. ბიბლია არ გვეუბნება, სად და რა პირობებში მოხდა ეს, მარტო იყო თუ ებრაელების რაზმიც ახლდა, როგორც უნდა ყოფილიყო, ვითარება გართულდა: ახლა ფილისტიმელებმა — ალბათ იმათ, რომელთაც წვივები და ბარძაყები მთელი შერჩათ, განიზრახეს შურისძიება და ებრაელთა სამაგალითოდ დასჯა.

სამსონი კი ამ დროს კლდეზე იჯდა. იუდას ტომის სამი ათასი კაცი მივიდა, საყვედურებით აავსო: ახალი უბედურება დაგვატეხე თავს, შენი მიზეზით ფილისტიმელებმა ალყა შემოგვარტყეს და ბრძოლის გამართვის ძალა არა გვაქვსო.

— რა გაეწყობა? — მხრები აიჩეჩა გოლიათმა. — შემკარით მაგრად და მიჰგვარეთ ჩემი თავი ჩვენს მტერს. მაშინ დაგეხსნებიანო.

ასედაც გააკეთეს. იმის ნაცვლად, რომ მტერს გაბედულად შებმოდ-

ნენ, ისევ თავიანთი ეროვნული გმირი შებოჭეს ლაჩრებმა და ფილისტიმელებს მიჰგვარეს. როცა ფილისტიმელებმა ნახეს შებოჭილი ჯაბუკი, რომელმაც მათ ამდენი უსიამოვნება მიაყენა, სიხარულით ცას ეწივნენ.

მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი იყო. რაწამს მტერი მიუახლოვდა, სამსონმა ბორკილები დალეწა, აიტაცა ის იარაღი, რაც ხელთ მოხვდა — ეს იყო ვირის ყბა—დაერია ფილისტიმელებს და ათასი კაცი გაწყვიტა.

ასეთი ათლეტური ვარჯიშის შემდეგ სამსონს მოსწყურდა, დაიღალა კაცი. მაგრამ ეს მოხდა გაშლილ ველზე და თვალსაწიერზე ერთი ჭაც არსად ჩანდა.

„და პოვა ღაწვი ვირისა მდებარე და მიჰყო ხელი მისი და მოიღო იგი და მოკლა მით ათასი კაცი.

და თქვა სამფსონ: ღაწვითა ვირისათა აღხოცით აღვხოცნე წინააღმდგომნი იგინი, რამეთუ ღაწვითა ვირისათა მოვსრან ათასი კაცი. ვ: იყო რაჟამს აღასრულნა სიტყვანი, დააგდო ღაწვი ხელისაგან თვისისა, და უწოდა ადგილსა მას მოსრვა ღაწვითა*. და მოეწყურა მას ფრიად, და ღაღადყო უფლისა მიმართ და თქვა: შენ წარუმართე ხელსა მონისა შენისასა ცხოვრება ესე დიდი, და აწ ესერა მოვკვდები წყურვილითა და შთავარდე მე ხელთა წინა დაუცვეთელთასა. და განაღო ღმერთმან წყლული იგი ღაწვისა მის და გამოეცა წყალი მისგან, და სვა და განისვენა. ამისთვის ეწოდა სახელი მისი წყარო წოდებული, რომელ არს ღაწვისა, ვიდრე აქა დღედმდე. და სჯიდა ისრაელს სამფსონ დღეთა მათ ფილისტიმელთათა ოც წელ“ *(მსაჯ., 15, 15—20)*.

ასეთი გმირობა სავსებით იმსახურებდა ქვეყნის გამგებლობის უფლებას და გონებამახვილი სამსონი ამ მოვალეობას წარმატებით ასრულებდა ორი ათეული წელიწადი.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მბრძანებლობის დროს სამსონი არავითარ ძალადობას და სისასტიკეს არ იჩენდა. უბრალო კაცი იყო და სოროსკიპოებში ქვეშევრდომთა დასანახავად შედიოდა. ერთხელ ისეთი ამბავი შეემთხვა, რომ შეიძლებოდა მისთვის ცუდად დამთავრებულიყო, ღმერთი რომ ასე მოწყალე არ ყოფილიყო დიდი მსაჯულისადმი... ცელქობაშიც კი. აი, რა მოხდა, სამსონს ისევ ისე მოსწონდა ფილისტიმელი ქალები. ერთხელ გაზში გაემგზავრა, ისრაელთა მტრების ქალაქში. „და იხილა მუნ დედა-კაცი მეძავი, და შევიდა მისა“. გაზელებმა დაინახეს და თქვეს: სამსონი აქ არისო. ქალაქის კარებთან დაუდარაჯეს და მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ: დილამდე დაველოდოთ და მოვკლათო. სამსონს კი შუაღამემდე ეძინა, მერე ადგა, „შებმა უყო ორთავე კარ-

---

* გერმანულ ბიბლიაში აქ წერია Kinnbackenhöhe — ყბის გორაკი, რუსულში — брошенная челюсть — დაგდებული ყბა, ებრაულად — რამათლეჰი.

თა მის ქალაქის ბჭისათა", ასწია, წირთხლებიანად დაიდო მხარზე და მთის მწვერვალზე აიტანა, „რომელ არს წინაშე ქებრონსა". ეს მორიგი გმირობაც მაღალ პოეტურ დონეზე დგას და კრიტიკა ამაზე დუმს.

როგორც გამოუსწორებელი არშიყი, სამსონი მალე სხვა ქალს აედევნა, ამჯერად მშვენიერ დალილას, რომელიც სორექის სანაპიროებზე ცხოვრობისას გაიცნო. როგორც კი მტრებმა გაიგეს, ფილისტიმელთა უძლეველ მტერს ეს მზეთუნახავი ქალი შეჰყვარებიაო, დაფაცურდნენ, დალილას კაცის თავზე „ათას და ასი ვეცხლი" შესთავაზეს და დაავალეს, როგორმე დაასუსტე და ისე ჩაგვიგდე ხელშიო. დალილა პირდაპირ წავიდა მიზნისაკენ: სამსონი რომ დაწვა, ჰკითხა: თუ ჩემი ალერსი გინდა, მითხარი, რაშია შენი ღონის საიდუმლოებაო. ებრაელთა ჰერაკლე ისე სულელურად გაება ვერაგი დიაცის მახეში, რომ სრულიად აუცილებელია ისევ ბიბლიის ნამდვილი ტექსტი დავიმოწმოთ:

„და მიერითგან იწყო დალილა სიტყვად სამფსონისა და ჰრქვა: მითხარ მე, აწ რაისგან არს ძალი ეგე შენი დიდი, რაითაცა შეიკრა და დამდაბლდე?

მიუგო სამფსონ და ჰრქვა მას: უკეთუ შემკრან მე შვიდითა ძარღვითა ნედლითა, რომელი არა განრყვნილ იყოს, მაშინ მოუძლურდე, და ვიქმნე ვითარცა ერთი კაცთაგანი.

და მოართვეს მას მთავართა მათ უცხო თესლთა შვიდი ძარღვი ნედლი, რომელ არა განრყვნილ იყო, და შეკრა იგი მითა.

და მზირნი იგი, სხდეს სენაკსა შინა, და ჰრქვა მას უცხო თესლნი შენ ზედა მოსულან, სამფსონ! აღდგა სამფსონ და განხეთქნა ძარღვნი იგი, ვითარცა განწყდის მკედი, რაჟამს ეცის ცეცხლი. და ვერ საცნაურ იქმნა ძალი მისი.

და ჰრქვა დალილაი სამფსონს: აჰა ეს ერა შეურაცხ მყავ მე და მეტყვი მე ტყუვილით, აწ მითხარ მე, რაითა შეიკრა შენ.

ჰრქვა მას: უკეთუ შემკრან მე, საბლითა ახლითა მანქანისათა, რომლითა არა ქმნილ იყოს საქმე, მოუძლურდე და ვიქმნე ვითარცა ერთი კაცთაგანი.

და მოიღო დალილა საბელი მანქანისა ახალი და შეკრა იგი მითა, და ჰრქვა მას :უცხო თესლნი შენ ზედა მოსრულან, სამფსონ! და განხეთქნა იგინი მკლავთაგანი თვისთა, ვითარცა მკედი.

და ჰრქვა დალილა სამფსონს: აქამომდე შეურაცხ მყავ მე, და მეტყოდე ტყუვილითა, აწ მითხარ მე, რაითა შეიკრვი შენ? და ჰრქვა მას: უკეთუ დაქსოვო შვიდი ესე კონძოლი თავისა ჩემისა საგუვასსა თანა (ჩემი შვიდი კულული რომ საქსოვ ძაფს შეაწნა) და დამსჭვალო მანებითა კედელსა (ლურსმნებით მიაჭედო კედელს), და მაშინღა მოუძლურდე მე, ვითარცა ერთი კაცი (ჩვეულებრივი ადამიანივით დავსუსტდებიო).

და დააწვინა იგი დალილა შორის მუხლსა თვისსა, და ოდეს დაეძინა, მოიხვნა იგი შვიდნი კონძოლნი თავისა მისისანი და დაესერნა იგინი ვარჯითურთ და დამსჭვალნა მანებითა კედელსა, და პრქვა: უცხო თესლნი შენ ზედა მოსრულან, სამფსონ! და აღდგა იგი ძილისაგან და გამოჰხადა ვანაები იგი ქსოვილითურთ კედლისა მისგან საგულასხმოთ და არა ბაცნაურ იქმნა ძალი იგი მისი.

და პრქვა მას დალილა: ვითარ სთქვი, ვითარმედ შეგიყვარე შენ, და გული შენი არა არს ჩემ თანა? ესე სამგზის შეურაცხმყავ მე, და არა მითხარ მე, რაისაგან არს ძალი ესე შენი დიდი.

და იყო, რაჟამს იგი შეაწუხა სიტყვითა თვისითა დღე ყოველ, და სულ მოკლე იქმნა იგი, ვიდრე სიკვდიდმდე (სიკვდილივით მოჰბეზრდა ქალის ღიჯინი).

უთხრა მას ყოველივე გულისა მისისა, და პრქვა მას: არა აღსრულ არს საპარსველი თავსა ჩემსა, რამეთუ ნაზირევი ვარ მე უფლისა მუცლითგან დედისა ჩემისათ. და უკეთუ დავიყვინო (გავიპარსო) თმა ესე ჩემი, მოუძლურდეს ჩემგან ძალი ჩემი და მოუძლურდე და ვიქმნე მე, ვითარცა ყოველნი კაცნი.

და ვითარცა იხილა დალილა, რამეთუ უთხრა მას ყოველივე გულისა მისისა, მიავლინა და მოუწოდა ყოველთა მათ მთავართა უცხო თესლთასა და პრქვა: ვითარმედ მოვედით ან ერთგზისღა, რამეთუ მითხრა მე ყოველივე გულისა მისისა! და მოვიდეს მისა ყოველნი მთავარნი უცხო თესლთანი და მოართვეს ვეცხლი იგი ხელითა მათითა.

დააწვინა დალილა სამფსონ მუხლთა თვისთა ზედა და მოიყვანა მკვეცარი და დაიყვინა შვიდი იგი კონწოლი თმა თავისა მისისა: და იწყო დამდაბლებად და განეშორა ძალა მისი მისგან.

და პრქვა მას დალილა: უცხო თესლნი შენ ზედა მოსრულან, სამფსონ და განიღვიძა ძილისაგან თვისისა და თქვა: განვიდე და განვყარნე მტერნი ჩემნი და ვყო, ვითარცა იგი პირველ! და მან არა უწყოდა, რამეთუ განეშორა უფალი მისგან.

და შეიპყრეს იგი უცხო თესლთა მათ, და აღმოჰხადნეს თვალნი მისნი და წარიყვანეს იგი გაზად და შეკრეს იგი ბორკილითა რვალისათა და იყო ფქვიდა იგი სახლსა შინა საპყრობილისასა.

და იწყო თმამან თავისა მისისამან აღმოსვლად, რომელ იგი დაეყვინა.

და შეკრბეს მთავარნი იგი უცხო თესლთანი შეწირვად მსხვერპლისა დიდისა ღონისა ღვთისა მათისა და იხარებდეს და თქვეს: მოგვცა ღმერთმან ჩვენმან ხელთა ჩვენთა სამფსონ მტერი ჩვენი... რომელი მოაოხრებდა ქვეყანა ჩვენსა, და რომელმან განამრავლა წყლულებანი ჩვენნი" (მსაჯ., 16,6-24).

ძნელია ამაზე უფრო სულელური ზღაპრის შეთხზვა! პირველი ქრონიდან უკანასკნელამდე ეს ეპიზოდი უაზროა და ვერაფერს დაამტკიცებს თვითონ გულუბრყვილო ბავშვებს*.

ლორდი ბოლინგბროკი წერილში ნავს, რომ ვირის ყბა, სამსონის ამბავში რომ ასეთ დიდ როლს თამაშობს, ალბათ წმინდა ავტორის, ებრაელი ხალხის ტლანქი მიბაძვა, უხერხემლო და უსახური პლაგიატი ბერძენთა მითისა ჰერაკლეზე. ისევე, როგორც მეფე აგამემნონმა თავისი ასული იფიგენია შესწირა არტემიდეს, ბიბლიაშიც იეფთაი სწირავს თავის ასულს იეღოვას. მართალია, ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ, რომ, პირიქით, ბერძნებმა გადაიღეს და დაამახინჯეს ბიბლია. მაგრამ პროფესიონალური მატყუარების ასეთი ვარაუდი გაბათილებულია ზუსტი ქრონოლოგიური თარიღებით, რომელთა ნაწილიც თვითონ მათ აქვთ ნაჩვენები.

ისინი თვითონვე ამბობენ, რომ „მსაჯულთა წიგნი" დაწერა სამუელმა მეფე საულის დროს. ბერძენთა მითი ჰერაკლეზე კი ტროადის ომზე ბევრად უფრო ადრე ცნობილი იყო, ხოლო საული მეფედ აირჩიეს ტროადის ომიდან ორასი წლის შემდეგ. ცხადია, ბერძენთა მითი ბევრად ძველია.

გარდა ამისა, წარმართული ბერძნული გადმოცემა მოთხრობილია ბევრად უფრო ჰკვიანურად, ვიდრე ებრაული, და ჩანაფიქრიც უფრო ღრმაა. სამსონის აღსასრული უფრო უაზროა, ვიდრე ჰერაკლესი. ბერძნულ მითოლოგიაში ჰერაკლემ, ნახევრად ღმერთმა, ისე შეიყვარა ომფალა, რომ დაივიწყა თავისი საბრძოლო გმირობანი და ხეტიალის ჩვეულება, დიდი ხნით დასახლდა თავისი საყვარლის მახლობლად, რომელსაც დიდი ზეგავლენა ჰქონდა. როცა ლიდიის დუხჭირი დედოფალი ჰერკულესის სამოსის ჩაცმით და მისი მძიმე კომბლის ტრიალით თავს იქცევდა, თვითონ გმირი ქალის სამოსელში გამოწყობილი იჯდა დედოფლის ფერხთით და შალის ქსოვას ლამობდა, ჩხირებს ამტვრევდა და სიცილით ხვდებოდა მხიარული საყვარლის სილას. ეს ეპიზოდი საკმაოდ ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დიდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ქალმა თავის საყვარელ მამაკაცზე, თუნდაც გმირზე. მაგრამ აქ ალეგორია არ გადადის საზღვარს და ბოლომდე სიმართლის მსგავსი რჩება.

თუ ჰერაკლე ივიწყებს თავის ღირსებას, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ხდება ორ შეყვარებულს შორის და არა საჯაროდ. მოგზაურობენ გადაცმულები. ომფალას თვითონვე ავიწყდება, სადაა მისი სამეფო და ჰერაკლე მიჰყავს სადღაც გამოქვაბულში, სასახლიდან დიდი დაშორებით. ერთ მშვენიერ დღეს ჰერაკლე ღალატობს ომფალას და შეიყვარებს მასთან დაახლოებულ

---

*ცხელი ტაქსილი აქაც მეტისმეტად აჭარბებს თავის კრიტიკულ გულმოდგინებაში სამსონის ეპიზოდი დაუჯერებელია რელიგიური თუ ისტორიული თვალსაზრისით, მაგრამ როგორც თქმულება, ის იზიდავს არა მარტო „გულუბრყვილო ბავშვებს", არამედ დიდ შემოქმედთაც:

სხვა ქალს. ამას მოსდევს მითიური ბუმბერაზის სხვა სასიყვარულო თავგადასავალი. ბოლოს და ბოლოს დეიანირას, მის ცოლს, მოსწყინდება ქმრის დაუსრულებელი ღალატი და უგზავნის კენტავრ ნესის პერანგს, რომელიც თითქოსდა ჰგონია, იმ იმედით, რომ ქმარს საკუთარ სახლში დააბრუნებს და მოვალეობას შეახსენებს. ჰერაკლეს ტანზე ეწებება მწვავე შხამი ჰერანგი (ტუნიკა) და საშინელ ტკივილებს აყენებს. გამწარებული ჰერაკლე ძლივნებს კოცონი გააჩაღონ და პირდაპირ ცეცხლში იწვავს თავს, რათა მისი არადამიანური ტანჯვა ამით დასრულდეს.

სამსონისა და დალილას ეპიზოდი რომ ჰერაკლესა და ომფალას მითის მიბაძვაა, ეს სრულიად უეჭველია. ამის მიუხედავად გვჯერა, რომ სულიწმინდას შეეძლო თავისი გმირები უკეთეს მდგომარეობაში ჩაეყენებინა, ვიდრე ვხედავთ. სამსონი, ეტყობა, არ ენდობა თავის საყვარელს და სამჯერ ატყუებს, თავისი ძალის ნამდვილ წყაროს არ უმხელს. სამჯერ დარწმუნდა, რომ თავისი გულუბრყვილობით შეუძლია თავი მტრის ხელში ჩაიგდოს, და მაინც ჰყვება ქალის ნებას, მეოთხედ სინამდვილეს უმხელს, ეუბნება საიდუმლოს, რაც არავის არ უნდა გაანდოს. ამაშია სწორედ უაზრობა, რაც თვალში გვეცემა, რასაც არა აქვს გამართლება, თუ ისრაელთა მსაჯული უკანასკნელი რეგვენი არ არის. იმაზე სულაც არაფერს ვამბობ, თუ რანაირად ატრიალებს მძიმე დოლაბებს საპყრობილეში ჩაგდებული სამსონი, რომელსაც ფიზიკური ძალა დაკარგული აქვს. პირიქით უნდა ყოფილიყო: სწორედ აქ უნდა დაემცირებინათ სამსონი, რაიმე ქალური საქმე უნდა დაევალებინათ გმირთა-გმირისათვის, მსგავსად ჰერაკლესი, რომელიც სართავ ჯარასთან დასვეს.

მაგრამ რაც უფრო შორს შევალთ ტყეში, მით მეტ შეშას ვპოულობთ რაც მეტს კითხულობთ ამ ამბავს, მით უფრო სულელურ წვრილმანებს აწყდებით. რაკი ფილისტიმელებმა გაიგეს, რომ სამსონის ძალა მის თმაშია, თუნდაც დიდი ჭკუის კოლოფები არ ყოფილიყვნენ, კვირაში ერთხელ მაინც უნდა გაეპარსათ. მაგრამ ასეთი არაფერი მოლანდებიათ. ამუშავებენ და საშუალებას აძლევენ ისევ გახდეს საშინელი ძალის მფლობელი. ნუთუ ვერ შენიშნეს, რომ „იწყო თმამამ თავისა მისისამან აღმოსვლად, რომლით იგი დაეყვინა“?

როგორც ითქვა, მალე ფილისტიმელები აწყობენ დიდ ნადიმს თავიანთი ღმერთის პატივსაცემად, რომელმაც საშიში მტერი ხელთ ჩაუგდო. ესაა დაგონის ზეიმი, რაც დიდ ტაძარში ხდება. ტაძარი კი არა, ესაა უზარმაზარი სასახლის დარბაზი, სადაც სამი ათასი კაცი და ქალი ნადიმობდა. ფილისტიმელებმა მტრის ახალი დამცირება მოინდომეს, სამსონი მოაყვანინეს, რომ ბრმა ბუმბერაზის სიმღერა მოესმინათ. სამსონმა მონებს უბრძანა, ორ დიდ სვეტს შორის დამაყენეთო. ეს სურვილი

შეუსრულეს. „ხოლო ტაძარი იგი სავსე იყო მამებითა და დედებითა, და მუნ იყვნეს ყოველნი მთავარნი უცხო თესლთანი, და ერდოსა ზედა დგა ვითარ სამ ათას ოდენ მამა-კაცი და დედა-კაცი და ხედვიდეს და ემღერებოდეს იგინი სამფსონს. და ღაღად ყო სამფსონ ღვთისა მიმართ და თქვა: „ადონა! უფალო, უფალო ძალთაო! მომიხსენე მე მხოლოდ ამ ჟამად და განმაძლიერე მე ერთგზისღა კვალად, ღმერთო, და შურის გებით ერთი ორთა წილ თვალთა ჩემთა ფილისტიმელთა ამათგან!“ და შებმა უყო სამფსონ ორთა მათ სვეტთა, რომელნი დგეს შორის, რომელსა ზედა ტაძარი იგი დამტკიცებულ იყო, და მოსდვა მას ერთსა ხელი მარჯვენე მისი და მეორესა მარცხენე, და თქვა სამფსონ: მოკვდინ სული ჩემი უცხო თესლთა ამათ თანა, და მოზიდა ძალითა, და დაეცა ტაძარი იგი მთავართა მათ, და ყოველსავე მას ერსა, რომელი იყვნეს მას შინა. და იყვნეს მომწყდარნი მათნი, რომელნი მოსწყვიდნა სიკვდილსა მისსა, უფროს ვიდრე რომელნი მოსრნა ცხოვრებასა მისსა“ *(მსაჯ., 16, 27—30)*.

ასე გმირულად დაიღუპა სამსონი და სიკვდილის წამს დაღუპა მეტი ფილისტიმელი, ვიდრე სიცოცხლეში. ეს ეპიზოდი კი აღარაა ნასესხები.

წარმართული რწმენების დიდი პატივისცემა არ არის საჭირო, რათა ვაღიაროთ, რომ ჰერაკლეს აღსასრული უფრო პოეტური და საინტერესოა, ვიდრე სამსონისა*. მერე კიდევ, რანაირად უნდა გაემხნევებინა მის მცირე საგმირო საქმეებს მორწმუნეები, თუ ამ საქმეს რელიგიური თვალსაზრისით შევხედავთ? თუ სამსონი ავიწროებს ფილისტიმელებს და წვავს მათ ნათესებს, ეს სულაც არაა ნაკარნახევი შელახული ეროვნული თავმოყვარეობით და თუნდაც იმით, რომ მისი ღმერთი საბაოთი ფილისტიმელთა დაგონმა ჩრდილში გადასწია. ამით მხოლოდ თავისი პირადი შურისძიების გრძნობას იკმაყოფილებს. ბრძოლას იწყებს მას შემდეგ, რაც მას ცოლი გაუთხოვეს და პირადად აწყენინეს იმ წარმართებმა, რომელთა შორისაც დიდხანს სრულ თანხმობაში ცხოვრობდა[51]. მის შურისძიებას საერთო არაფერი აქვს ეროვნულ შურისძიებასთან. მერე, სულ ფილისტიმელ ქალებთან იჭერს საქმეს. სადღაა ღმერთი? სამსონი იმაზე იმდენს ფიქრობს, რამდენსაც შარშანდელ თოვლზე.

---

* ტაქსილის ნიჭისა და კრიტიკული მსჯელობის მთელი ძალის მიუხედავად ჩვენც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ასეთი ტენდენციური განცხადება არ ამაგრებს მის კრიტიკულ პოზიციას და არ სდებს პატივს მის სახელს, უბრალოდ რომ ვთქვათ, სამსონის გმირულ-რომანტიკული თავგანწირვა და მტრებთან ერთად ტაძრის ნანგრევებში ჩამარხვა უფრო ამაღლებული და ამაღელვებელია, ვიდრე ჰერაკლეს სიკვდილი, რაც მხოლოდ ფიზიკური ტკივილისაგან თავის დაღწევის სურვილითაა ნაკარნახევი.

ჰერაკლე კი, პირიქით, ბერძენთა ნამდვილი ეროვნული გმირია. თუ მის საგმირო საქმეთა სინამდვილეს არ ვცნობთ, სამაგიეროდ ყოველი მათგანი ნაკარნახევია უაღრესად კეთილშობილური გრძნობებით. ჰერაკლეს გმირობანი არასოდეს არაა მარტოოდენ ტლანქი ძალის გამოვლინება: ეს გმირი მუდამ სუსტთა დასახმარებლად იყენებს თავის ზებუნებრივ ძალას და ამას მომხიბლავი დიდსულოვნებით აკეთებს. ახალგაზრდობაში გზაჯვარედინზე ორი მშვენიერი ქალის სახით შეხვდა მანკიერება და ქველმოქმედება. ორივე ცდილობს მის მოხიბლვას. რომელს აძლევს უპირატესობას ბერძენთა გმირი? ერთი მათგანი ათასობით მაცდური სიკეთის ცეცხლს აფრქვევს თვალთაგან და რომელ ჭაბუკს არ შეაცდენს! ყვავილებით მორთულ, ფართო და იოლ გზას უჩვენებს. მეორე კი ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული და სახიფათო გზით უნდა გაუძღვეს. ალკმენეს შვილი მისი ასაკისათვის უჩვეულო გონიერებით ირჩევს სახიფათო გზას, მიუხედავად მისი სიძნელეებისა. იცის, რომ ესაა ნამდვილი ბედნიერების გზა, მაცდური ტკბობის გზის დასასრული კი სულიერი ტანჯვა და სინდისის ქენჯნაა.

დაე, ყველა უცოდველმა პაპმა ხმის ჩახლეჩამდე იქადაგოს, წარმართობა ეშმაკის საქმეაო: იმას მაინც ვერ უარყოფენ, რომ ეს წარმართული ალეგორია უაღრესად ამაღლებული ზნეობითაა გაჟღენთილი.

მერე: ჰერაკლე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძვის ტირანებს, მოძალადეებს, ურჩხულებსა და მხეცებს—ტლანქ ფარულ ძალებს, რომლებიც თავს იღმერთებენ. ის ებრძვის კაცობრიობის ყოველნაირი ჯურის რისხვას, ანადგურებს უსასტიკეს ყაჩაღებს. ეს პარალელი — ყველაზე უფრო მომაკვდინებელია ბიბლიური გმირისათვის. კაცი რელიგიური წინასწარი აზრით ან კეთილმსახურული კრეტინიზმით უნდა იყოს გაჟღენთილი, რომ სამსონი ამჯობინოს ჰერაკლეს*. თავიანთ საკურთხევლებზე რომ ამაღლებდნენ, წარმართები პატივსა სცემდნენ სიმპათიურ გმირს. ხოლო როცა დალილას საყვარელს თაყვანსა სცემს, როგორც უფლის რჩეულს, ამით ეკლესია უსაძაგლეს სიცრუეს აჩეჩებს მორწმუნეებს, რადგან წმინდანის გვირგვინს მაინც არც ისე მიმზიდველ და პირიქით, საკმაოდ ბნელ პიროვნებას ადგამს თავზე.

---

* სამსონისა და ჰერაკლეს დაჯიდება, მათი უკეთეს-უარესობის თვალსაზრისით განხილვა ჭარის წისქვილებთან ბრძოლას მოგვაგონებს. კაცთა მოდგმის თუ ლიტერატურის ისტორიაში მათ სულ სხვადასხვა ადგილი უჭირავთ და ერთიმეორეს არ უშლიან (ა. გ.).

ერთი ლევიტელის კეთილმსახურულ-სამოძღვრებო ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯულთა წიგნი მთავრდება ერთი კეთილმსახურული მოთხრობით, რაც, სხვა ბიბლიური თქმულებებისა არ იყოს, ვერაფრით ამაღლებს ღვთისაგან რჩეული ხალხის სახელს.

ერთ-ერთ ლევიტელს (რელიგიის მსახურს) ხასი ჰყავდა. სამოგზაუროდ წასული წყვილი ბენიამინელთა „ქალაქ“ გიბეაში გაჩერდა, ერთი სტუმართმოყვარე მოხუცის სახლში, რომელმაც სადილად მიიპატიჟა*.

ახლა კი „წმინდა ტექსტი“ წავიკითხოთ:

„და შეიყვანა იგინი სახიდ თვისა, და მისცა ადგილი კარაულთა (სახედრებს) მისთა, და დაჰბანა ფერხნი მათნი, და აჰა ესერე კაცნი მის ქალაქისანი, ძენი უშჯულოებისანი, გარე მოადგეს სახლსა მისსა და ჰრეკდეს კარსა მას მისსა, და ეტყოდეს კაცსა მას მოხუცებულსა, უფალსა სახლისასა, მეტყველნი: გამოიყვანე კაცი, რომელი შემოვიდა სახლსა შინა შენსა, რათა ვსცნათ იგი.

და გამოვიდა კაცი იგი უფალი მის სახლისა, და ჰრქვა მათ: ნუ სადა, ძმანო, ბოროტსა იქმთ უგნურებასა მაგას.

აჰა, ესერე ასული ჩემი ქალწული, და ხარჭი მისი, გამოგგვარნე თქვენ იგინი, და დაამდაბლნეთ იგინი, და უყავთ მათ იგი, რაი სათნო არს წინაშე თვალთა თქვენთა, ხოლო კაცსა ამას ნურას უზამთ სიტყვისა უგუნურებისასა.

ხოლო მათ კაცთა არა ინებეს სმენად მისგან, და კაცმან მან უპყრა ხელი ხარჭსა (ხასას) თვისსა, და გამოჰგვარა იგი მათ გარე, და იცნეს იგი, და დაამდაბლეს, და მოკიცხეს ღამე ყოველ, ვიდრე განთიადმდე; და განუტევეს იგი ოდენ აღმოსლვასა ოდენ ცისკრისასა.

და მოვიდა დედა-კაცი იგი განთიად, და დაეცა იგი კართა ზედა სახლისა მის, სადა იყო ქმარი იგი მისი განთიადმდე. და აღდგა კაცი იგი განთიად და განახვნა კარნი მის სახლისანი, და გამოვიდა, რათამ-

---

* ამ მღვდელს ხარჭამ უღალატა, მერე მამის სახლში გაექცა, კაცი დაედევნა, რამდენიმე დღე სიმამრმა არ გაუშვა, მერე გიბეაში ჩავიდნენ, იქ არავინ მიიღო, გარდა მოხუცისა, რომელიც იქაური არ იყო.

ცა წარვიდა გზასა თვისსა, და აჰა ესერა დედა-კაცი იგი ხარჭი მისი დაცემულ იყო კართა ზედა და ხელნი მისნი დაესხნეს კართა ზედა (ხელები ზღურბლზე დაედო).

და ჰრქვა მას: აღდეგ, წარვიდეთ. და არა რაი მიუგო მას, რამეთუ მომკვდარ იყო. და აღიღო იგი და აღჰკიდა კარაულსა, და აღვიდა კაცი იგი, და წარვიდა სახიდ თვისა.

და მოვიდა სახლსა თვისსა, და მოიღო მახვილი, და უპყრა ხარჭასა თვისსა, და განჰყო იგი ასოდ ასოდ ათორმეტად ნაწილად, და მიუძღვანა იგი ყოველსა ტომსა ისრაელისასა.

და იყო ყოველთა, რომელთა იხილეს იგი, თქვეს: არცა ყოფილ სადა იყო, არცა ეხილვა ვის ესრეთ, ვინათგან გამოვიდეს ძენი ისრაელისანი ქვეყანით ეგვიპტით და ვიდრე აქა დღედმდე, და აწ ყავთ ზრახვა ამისთვის და თქვით, რა ვყოთ". (მსაჯ., 19, 21—29).

ლორდი ბოლინგბროკი ამ ეპიზოდს სოდომიტების საქციელს ადარებს, ორი ანგელოზის გაუპატიურება რომ მოიწადინეს, და ამას დიდი აღმოჩენა არ უნდა. ვინც ბიბლია ერთხელ მაინც წაიკითხა, უმალ მიხვდება, რომ აქ თითქმის ზუსტად მეორდება სოდომიტების უსაქციელობა.

ჩვენ თითქმის შეიძლება ვაპატიოთ ახალგაზრდა ბერძნებს, ნელსაცხებლითა და ნელსურნელებით დამშვენებულნი რომ თავიანთ ორგიებში გასაქანს აძლევდნენ მოჭარბებულ გრძნობებს, რომლებიც მოწიფულ ადამიანში გარკვეული ზომიერების ფარგლებიდან გადასვლის გამო ზიზღს იწვევენ ხოლმე. მაგრამ რა უნდა ვთქვათ ამ გივის მცხოვრებლებზე, რომლებიც უფრო საზიზღარნი არიან, ვიდრე მძუნავი ძაღლები? საკითხავია, შეიძლება თუ არა კაცმა ნახოს სადმე, გარდა სულიწმინდისად გასაღებული წიგნისა, უფრო ამაზრზენი და საზიზღარი რამ, ვიდრე ამ მღვდლის ამბავია? ეს კაცი აღმოსავლური ღვთისმსახურების ჩვეულებისამებრ წვერმოუპარსავი იქნებოდა, ნამგზავრი ტანისამოსი დამტვერიანებული ექნებოდა, და ნუთუ ასეთი ქვენა გრძნობები აღუძრა მთელი ქალაქის მოსახლეობას?

ბოლინგბროკი აღშფოთებულია: „ძველი დროის ყველა აღმაშფოთებელ ამბავს შორის არ მოიპოვება არაფერი, ოდნავ მაინც რომ უახლოვდებოდეს ამ დაუჯერებელ საძაგლობას. სოდომის ანგელოზები, რაც უნდა იყოს, მშვენიერი ჰაბუკები მაინც ეგონათ. უთუოდ თვალს იტაცებდა მათი ციური სილამაზე და ამან თუ მოხიბლა უბედური სოდომიტები. მაგრამ გივის მცხოვრებლებმა, ეტყობა, გარყვნილების ყოველგვარი საზღვარი გადალახეს".

რაც შეეხება ქალის სხეულის თორმეტ ნაწილად დაჭრას და ებრაელთა თორმეტი ნათესავის წინამძღოლებთან გაგზავნას, ესეც უმაგალითო

აძბავია და მხოლოდ ზიზღს იწვევს. საჭირო გახდებოდა თორმეტი შიკრიკის გამზადება და ამ საშინელი საჩუქრებით თორმეტ მხარეს გაგზავნა. მაგრამ სად იმყოფებოდა თორმეტი ტომი? ვისთვის უნდა გადაეცათ ეს ნამუსახდილი ქალის ნაწილები, როცა თორმეტივე „ნათესავი" ფუნტიურად ფილისტიმელთა მონა იყო, არ გააჩნდათ ძალაფლება და არ ჰყავდათ ოფიციალური გამგებელნი?

„და გამოვიდეს ყოველნი ძენი ისრაელისანი და შემოკრბა ყოველი კრებული, ვითარცა კაცი ერთი, დანითგან ვიდრე ბერსაბედმდე და ქვეყანა იგი გალადისა უფლისა მასეფთად (მასიფში). დადგეს წინაშე პირსა უფლისასა და ყოველნივე ტომნი ისრაელისანი კრებულნი ერნი ღვთისანი ოთხასი ათასი კაცი მკვირცხლი, აღმღებელნი მახვილისანი" (მსაჯ., 20, 1—2).

ცხადია, თქვენ გახსოვთ, რომ ეს მოხდა უშუალოდ სამსონის დაღუპვის შემდეგ, როდესაც ებრაელები ჯერ კიდევ ფილისტიმელთა სასტიკი და განუკითხველი მონობის უღელში იყვნენ გაბმული. როგორ მოგროვდა თორმეტი ტომი, როგორ შეიყარა ასე თავისუფლად ქუდზე კაცი? როგორ უყურებდნენ გულგრილად დამპყრობელნი ამოდენა, თითქმის ნახევარმილიონიანი შეიარაღებული ლაშქრის თავმოყრას? ბიბლია ამაზე არაფერს გვეუბნება. ეტყობა, წმინდა მტრედმა საერთოდ დაივიწყა რჩეული ხალხის სავალალო მდგომარეობა. ამის მიუხედავად, სწორედ ფილისტიმელებთან უნდა ეჩივლათ, რათა დამნაშავეები სამაგალითოდ დაესაჯათ: დამპყრობელების ასეთ კანონს ყოველთვის თავგამოდებით იცავდნენ.

ებრაელები დამოუკიდებლად ემზადებიან დამნაშავეთა დასასჯელად. მათი თერთმეტი ტომი იარაღში ჩაჯდა, მხოლოდ ბენიამინელნი გამოვიდნენ გახრწნილ თანამემამულეთა დამცველად „და იყვნეს ოცდა ხუთ ათას კაცნი აღმღებელნი მახვილისანი"*. თერთმეტი ტომი შეადგენდა ოთხასიათასიან არმიას.

ვოლტერი ამბობს: თუ ამ რიცხვს მივუმატებთ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, ებრაელთა რიცხვი შეადგენდა მილიონ შვიდასიათას კაცს, მღვდლების გამოკლებით. მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი რაოდენობის ხალხი მონობაში იყოლიონ, თანაც აქედან 426 000 იარაღში ჩამჯდარი, დამპყრობელებს უნდა ჰყავდეთ სულ მცირე რვაასიათასიანი არმია მაინც. როგორ მოხდა, რომ ბატონებმა მონებს ამდენი იარაღი დაუტოვეს, როდესაც მეფეთა პირველ წიგნში (თავი. 13. მუხლ. 19) ნათქვამია, რომ ფილისტიმელები არც ერთ ებრაელ მჭედელს არ აჩერებდნენ, რათა იარაღი არ გაეჭედათ და სამუშაო იარაღის გალესვა რომ

* ლათინურ ტექსტში და მრავალ სხვა თარგმანში სხვა ციფრია: 26 000 კაცი.

დასჭირდებოდათ, ისევ დამპყრობელებს მიმართავდნენ ხოლმე? („ხოლო მჭედელნი რკინისანი ყოველსა შორის ქვეყანასა ისრაელისასა, რამეთუ თქვიან უცხო თესლთა, ნუ უკვე იქმოდიან ებრჯელნი მახვილსა და შუბსა“).

აქ ორი ურთიერთ გამომრიცხველი ცნობაა. რომელ მათგანს ვირწმუნოთ ღვთაებრივ მტრედს? რომელ მუხლში უფრო დასცინის სულიწმინდა გულუბრყვილო მორწმუნეებს?

ახლა ვნახოთ, რა ხოცვა-ჟლეტა გამოიწვია ლევიტელის ხასის მასობრივმა გაუპატიურებამ. შურისძიებად თავმოყრილ ოთხასიათას კაცს მოუთხრო ებრაელთა მღვდელმა მომხდარი ამბავი. სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა უჩვეულოდ მაღალ ხმას მოითხოვს, რადიო კი იმ დროს, რამდენადაც ვიცით, ჯერ არ იყო გამოგონილი.

ბიბლიას დაწვრილებით აქვს დამოწმებული მისი სიტყვა. ჯერ გაკერით და დაფარულად მოუთხრო გიველთა იმ უზნეო აღტკინების ამბავი, რომლის მსხვერპლიც კინაღამ თვითონ გახდა, მერე კი მოითხოვა სამაგიეროს გადახდა მისი ხარჭის საქვეყნოდ გაუპატიურებისათვის. „მოკიცხეს და მოკვდა!“ — შესძახა მღვდელმა.

უსარგებლო საქმე არ იქნება არც იმის აღნიშვნა, რომ პირველ თხრობაში უბედური ქალი ქალაქში მცხოვრებმა ყოველმა მამაკაცმა გააუპატიურა, ვისაც კი შეეძლო, ხოლო ქვემოთ, დაზარალებულის სიტყვაში წმინდა მტრედი ცოტა სხვანაირ ვარიანტს გვთავაზობს: „რომელნი აღრაცხნეს და იყვნეს შვიდასნი, კაცნი რჩეულნი ყოველთაგან ერისა ორითავე ხელითა მარჯვენი, ესე ყოველნივე მეშურდულენი, რომელნი ესროდეს ქვითა თმასა და არა შესცვალებდეს“ (*მსაჯ., 20, 16*). ეს ჩინებულია, ხომ მართალია?

შემაძრწუნებელი საქციელი, ნამუსის ახდა, რაშიაც უკან არ დაუხევია ქალაქ გივის არც ერთ მცხოვრებს, მთელი ღამე გაგრძელდა— და მხოლოდ ერთი ღამე! თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ ამ შვიდას ჯან-ღონით სავსე მამაკაცს და იმ გარემოებას, რომ პალესტინაში ღამეები ათ საათზე მეტ ხანს არ გრძელდება, გასაკვირია, რომ ეს გაცოფებული ადამიანები როგორღაც ძალიან სწრაფად ამთავრებდნენ თავიანთ საქმეს! — სულ რაღაც ნახევარ წუთში! სრულიად ბუნებრივია, რომ ატეხილ ნადირთა ასეთ არმიას ერთი სუსტი დედაკაცი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და მალე გადაიქცეოდა უგრძნობელ მასად. ამის მიუხედავად პირდაპირ გვიკვირს, რომ ლევიტელმა ქალმა ერთ საათში 70 მამაკაცის ძალადობას გაუძლო. წუთზე ნაკლები, თითქმის ნახევარი წუთი ხვდება თითო მამაკაცს! უსათუოდ უნდა ვიფიქროთ, რომ თავიდანვე გატიტვლებულებმა თავისებური რიგი დააყენეს და ისეთი პოზა მიიღეს, რომ

არც ერთი წამი არ დაეკარგათ. განა ამის შემდეგ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ბიბლია ჭეშმარიტად არის ყველაზე უფრო გასაოცარი, მართლაც ქვეყნად განუმეორებელი სასწაულების წიგნი?

არანაკლებ გასაოცარია ის ხოცვა-ჟლეტის სერიებს შორის მომხდარი საშინელ დანაშაულს მოჰყვა. მას მერე, რაც წინამძღვარად დიდი ჩიეს.

„და აღდგეს ძენი ისრაელისანი განთიად და დაიბანაკეს გაბაონად, და განვიდა ყოველი კაცი ისრაელისა ბრძოლად ბენიამენისა, და ეწყო ბრძოლად კაცი ისრაელისა გაბასა, და გამოვიდეს ძენი ბენიამენისანი გაბად, და მოსრნეს ისრაელისაგან მას დღესა შინა ოცდა ორი ათასი კაცი ქვეყანასა ზედა“ *(მსაჯ., 20, 19—21)*.

განა გასაკვირია, რომ ღმერთი სწორედ ბენიამინის ტომს მფარველობს, ამ უკუღმართებს, რომლებიც დამნაშავეთა მხარეზე დადგნენ და ყველა სხვა ისრაელს შებმიან?

„და გამოხდეს ძენი ბენიამენისნი გაბათ (გიბეიდან) მათდა დღესა მეორესა, და დასცეს კვალად ძეთაგან ისრაელისთა ათვრამეტი ათასი კაცი ადგილობანსა, ესე ყოველნივე, რომელთა ეხადა მახვილი... და ტიროდეს და სხდეს წინაშე უფლისა“ *(მსაჯ., 20, 25—26)*.

ამრიგად, უკვე განადგურებულია სამართლიანი საქმის 40 000 დამცველი. ეს საშინელებაა! სამართლის ღმერთს არ ეძინა... მაგრამ დაელოდეთ დასასრულს. ბოლოს ისრაელთა შვილები გამოვლენ გამარჯვებული და ამით ვინუგეშოთ. ერთადერთი რამ, რაც დაგვაღონებს, ეს იქნება ფანტასტიკური რიცხვი ებრაელებისა, რომლებიც საკუთარმა ძმებმა გაჟლიტეს.

საბოლოო გამარჯვება ცვალებადი წარმატების შემდეგ ისრაელთა არმიას დარჩა, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ მართალი საქმისათვის იბრძოდა, არამედ ფინეესის—ელიაზარის შვილისა და აარონის შვილიშვილის ლოცვის წყალობით. მხურვალე ლოცვა აღაგზნა უფლის მიმართ ფინეესმა, იგივე ფინეზმა, და მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა უკუღმა ბენიამინელთა საქმე. ფინეზი? მაშ კიდევ არ მომკვდარა ჩვენი ძველი მოკეთე ფინეზი? აი, რამდენმა წყალმა ჩაიარა, რომ მისი სხენებაც არ ყოფილა! უგზო-უკვლოდ დაკარგული გვეგონა.

„და მოიქცეს იგინი წინაშე გაბაასა. ათი ათასი კაცი რჩეული ყოველისაგან ისრაელისა, და ბრძოლა იგი დამძიმდა მათ ზედა, და მათ არა უწყოდეს, რამეთუ მოწევნულ არს ბოროტი მათ ზედა. და დასცა უფალმან ბენიამენ წინაშე ძეთა ისრაელისათა, და მოსრეს ძეთა ისრაელისათა მას დღესა შინა ბენიამენისი ოც და ხუთი ათასი და ასი კაცი, ყოველნივე ესე, რომელთა ეხადა მახვილი. და იხილეს ძეთა ბენიამენისთა, რამეთუ ძლეულ არიან“ *(მსაჯ., 20, 34—36)*.

მაშინ უჩვენეს „ბენიამენელთ“ ისრაელებს ზურგი და უდაბნოებისაკენ მოჰქუსლეს. მაგრამ ისრაელთა არმია ფეხდაფეხ მისდევდა, ალყა შემოარტყეს „ბენიამენის შვილთა“, სდიეს მენუქამდე, „და დევნა ქყვეს მას ნუათგან, შემდგომად მისა გაბადმდე განუსვენებლად [illegible] ბენიამენისაგანნი თვრამეტი ათასი კაცნი, ყოველნი [illegible] მხედრნი“. არც აქ შეასვენეს. რემონის კლდემდე სდიეს და მოსრეს „გზათა ზედა ხუთი ათასი კაცი. აქედან გაადამდე სდიეს და „მერმე მოსრეს მათგანი ორი ათასი კაცი“. ექვსასი კაცი მაინც გაექცათ და რემონის კლდეს შეაფარეს თავი, „და იყვნეს იგინი კლდესა მას რემონისასა ოთხ თვე“. ისრაელები უკან მობრუნდნენ, გიბეას შეესივნენ და დახოცეს ყოველი ცოცხალი არსება, რაც კი ნახეს — ქალი, კაცი, საქონელი. სახლები დაწვეს და „ყოველი მოპოვებული“ ცეცხლს მისცეს (*მუხლ. 47—48*).

ამ ბატალურ სცენაში სულიწმინდა, რომელიც ადამიანებს ბუზივით წყვეტს, ცოტა არ იყოს, დაიბნა. სულ ამ რამდენიმე გვერდის წინ გვითხრა, ბენიამინელ ჯარისკაცთა თუ მოლაშქრეთა რიცხვი სულ 26 700 იყოო. მათ შორის რჩეული მეომრებიც ჩათვლილია. მაგრამ აი, თუ არ ვცდებით, ანგარიში თუ არ შეგვეშალა, უკვე 50 000 ბენიამინელი გაწყდა ამ ბრძოლებში, რომლებიც ელვის სისწრაფით მიჰყვა ერთიმეორეს. ახალი ჯარების თავმოყრისა კი არა, უკან მიხედვის თავიც აღარა ჰქონდათ. მაშასადამე, ორში ერთია: ან ბენიამინელები ბრძოლის დროს მრავლდებოდნენ, ერთი მოკლული ორ ცოცხალ მეომრად იქცეოდა, რაც შესანიშნავი სასწაული იქნებოდა, ან არა და სულიწმინდას კარნახის დროს დააკლდა მიმატება-გამოკლების წესები, და ეს კიდევ უფრო საკვირველი სასწაულია.

ამ „ისტორიაში“ საინტერესოა აგრეთვე ჩვენი შესანიშნავი მოკეთის ფინეზის გამოჩენა. ის უცებ აღმოჩნდა საქმეში იქ, სადაც მას არავინ არ მოელოდა, როცა ყველას მიცვალებულთა სიაში ჩაწერილი ეგულებოდა და არც თუ უსაფუძვლოდ. დიდი ხანია, გამოვიგლოვეთ, და იმით ვნუგეშობდით, რომ თავის პაპასთან, აარონთან თუ არა, მამამისის ელიაზარის გვერდით მაინც დაკრძალავდნენ. თქვენც არ მომიკვდეთ! სულ ტყუილად დავიხეთქეთ გულები. მეოცე თავის 28 მუხლი სრულიად გამორიცხავს ასეთ ვარაუდს. „მსაჯულთა წიგნის“ ხსენებულ მუხლში სულაც არ არის ლაპარაკი ვინმე სეხნიაზე, აშკარადაა ნათქვამი, რომ მლოცველი ფინეზი იყო აარონის შვილის, ელიაზარის შვილი.

თქვენ კიდევ ვერ მოსულხართ აზრზე? მაშინ თითებზე გადაითვალეთ და გაოცებული დარჩებით.

ეს ის ფინეზია, რომელმაც თავისი ბასრი მახვილით განგმირა მოსეს სიცოცხლეშივე ებრაელი ზამბრი და მადიამელი დედაკაცი ქაზბი, როცა

საცოდავი წყვილი სიყვარულით ოხრავდა. ეს გახლდათ სწორედ „ღი-
ნეზ, ძე ელიაზარისა, ძე აჰრონ მღდლისა“ (რიცხვთა 25, 7—11).

როგორც მკითხველს ახსოვს, ეს მოხდა მოაბში, აღთქმულ მიწაზე გა-
რაელთა მოსვლამდე, როცა ჯერ იორდანზე გადასულიყვნენ და
მტკიცება უნდა, მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ
ყველგანაც — ზამბრის მოკვდინებიდან ბენიამინელთა გაჟლეტამდე. ეს
სვრემა მოხდა სამსონის სიკვდილის შემდეგ. ამით თავდება „მსაჯულ-
თა წიგნი“.

თქვენ, ცხადია, გახსოვთ, რომ ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ოცი
წლის ასაკამდე მიღწეული ებრაელებიდან ღმერთი აღთქმულ ქვეყანაში—
ქანაანში ფეხის შედგმის პატივს დაჰპირდა მხოლოდ და მხოლოდ „გე-
ნერალ“ იესო ნავინსა და ბატონ ხალებს. ამავე დროს ბიბლია ამბობს,
რ-ვ იესო იმავე ისუმ, 110 წელი იცოცხლა. თუ უდაბნოში მისი ხე-
ტალის 40 წელიწადს მივუმატებთ მეწამულ ზღვაზე მისი გადასვლის
დროის ასაკს — ოც წელს, სამოცი წლისა გამოდის, როცა მოსეს ცვლის.
მაშასადამე, ებრაელებს წინამძღოლობდა ორმოცდაათი წელი.

ახლა ესეცა ვთქვათ, რამდენი წელი გავიდა ებრაელთა იორდანზე
გადასვლის დღიდან „ბენიამინის ძეთა“ განადგურებამდე?

იესოს მმართველობა — 50 წელი. „და შემდგომად ამისა ყოველი
იგი ნათესავი წარხდა და შეეძინეს მამათა მათთა და აღდგა ნათესავი
სხვაი შემდგომად მათსა, რომელთა არა იცოდეს უფალი და საქმენი“.
ვიანგარიშოთ ამ თაობის 20 წელი. იწყება ებრაელთა პირველი მონობა
მესოპოტამიელების უღელქვეშ — 8 წელი. განთავისუფლება და გოთო-
ნიელის მმართველობა — 40 წელი. მეორე მონობა, მეფე ეგლონის
დროს —18 წელი. მსაჯულმა აოდმა ის გადააყირავა და ებრაელი
ხალხი იღებს ხანგრძლივ თავისუფლებას — 80 წელი. მერე იწყება მესა-
მე მონობა, მეფე იაბინის დროს — 20 წელი. მადიამიტელთა ახალი
გამოჩენა, მეოთხე მონობა — 7 წელი. გედეონის გმირობა და მადიამი-
ტელთა უღლისაგან განთავისუფლება—40 წელი. ებრაელების ახალი
მონობა, ამჯერად ხალხს საკუთარი ტირანი აბიმელექი იმონებს — სამი
წელი. მსაჯულ ფოლას მეუფება — 23 წელი. მსაჯულ იაირას გამგებ-
ლობა — 22 წელი. ამონიტელთა მეშვიდე მონობა — 18 წელი. ებ-
რაელებს იეფთაი ათავისუფლებს და თვითონვე ხდება ერის მსაჯული —
6 წელი. მშვიდობიანი მმართველობა სამი მსაჯულისა: ესებონისა —
7 წელი, ელონისა — 10 წელი, ავდონისა — 8 წელი. მეშვიდე, ფი-
ლისტიმელთა მონობის უღელი — 40 წელი. სამსონის გმირობა და მსა-
ჯულობა — ესეც 20 წელი. სულ 480 წელი! აი, რამდენი უცოცხლია
ჩვენს ფინეზს, იორდანის გადალახვის დღიდან, როცა მამამისს სამსონს
ახლდა, სამსონის სიკვდილამდე.

დასკვნა: ქურუმი ფინეზი სულ მცირე ხუთასი წლისაა, როცა ასპარეზზე მეორედ გამოდის და ღმერთს ევედრება, დათრგუნე „ბენიამინელთა შვილებიო!“ მისი თხოვნით ისჯება გიბაეს შვიდასი ხედი მხეცი, ერთი მეძავის კოლექტიური გაუპატიურებისათვის!

მაგრამ რატომ ავიწყდება ბიბლიის ავტორს ფინეზის ზუსტი ასაკის განსაზღვრა? მცირე გულისყური, დაზუსტება აქ უსარგებლო საქმე არ იქნებოდა. ასე ხომ სკეპტიკოსები იტყვიან, წმინდა მტრედი არითმეტიკასთან მწყრალად ყოფილაო და წმინდა ქრონოლოგია დავიწყებიაო, საუკუნეების წინ განსვენებული გმირი ხელახლა გამოჰყავს ასპარეზზეო! ხუმრობა საქმეა?!

თერთმეტმა ტომმა, რომელმაც ასე უწყალოდ გაწყვიტა მოძმე ხალხი, მალე ინანა თავისი გამანადგურებელი შურისძიება. ებრაელები კვნესოდნენ: რა ჩავიდინეთო, რისთვის ამოვხოცეთო ჩვენი წათესავი ტომი. „დასხდეს მუნ წინაშე უფლისა ვიდრე მწუხრამდე, და აღიღეს ხმა მათი და ტიროდეს ტირილითა დიდითა და თქვეს: „რაისათვის, უფალო ღმერთო ისრაელისაო, იქმნა ესრეთ დღეს ისრაელსა შორის, რომელ აღხოცად ისრაელისაგან ნათესავი ერთი!“.

შემდეგ გაიხსენეს ბენიამინის ექვსასი „ძე“, რემონის კლდეს რომ შეაფარეს თავი და იქ იყინებოდნენ. მადლობა უფალს! რატომაც არ უნდა ვაქციოთო ეს ექვსასი კაცი თესლად, რომლისგანაც ხელახლა წამოიზრდება ხე ბენიამინისა? დიახ, მაგრამ... სწორედ შეტაკების წინ მასეფში საზეიმო ფიცი დადეს, რომ ბენიამინის ნათესავისთვის ქალი არ მიეთხოვებინათ. ახლა ეს ფიცი გაიხსენეს და დაიწყეს გამოსავალის ძებნა. ერთმა არც თუ უჭკუო კაცმა ასეთი აზრი გამოთქვა: იქნება ვნახოთ ოჯახი, რომელიც ფიცის დადების დროს მასეფში არ იმყოფებოდაო? უნდა გამოვიკითხოთო.

ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდათ. დაიწყეს კვლევა-ძიება. აღმოჩნდა, რომ ქალაქ იაბისის მოსახლეობა არ ესწრებოდა იმ მიტინგს, რომელზედაც გამოიტანეს რეზოლუცია, არავინ მისცეს ქალი ბენიამინის ნათესავს. იქვე გადაწყდა ამ ტომის განადგურება. ახლა კი უბედურ იაბისელებს დაატყდათ იმავე ისრაელთა რისხვა. როგორ თუ მიტინგზე არ გამოცხადდითო! მიავლინეს თორმეტი ათასი კაცი და დაავალეს: „წარვედით და მოსრენით ყოველნი მკვიდრნი იაბის გალაადისანი პირითა მახვილისათა, დედანი და ერი მათი, და ესე სიტყვა არს, რომელი ჰყოთ, ყოველივე მამა-კაცი და ყოველივე დედა-კაცი, რომელმან იცის საწოლი მამა-კაცისა, მოსრვილ ჰყავთ (გაწყვიტეთ), ხოლო ქალწულნი განარინენით (არ მოკლათო)“. ეს ქალწულები, რიცხვით ოთხასი, რემონის კლდეებში გამაგრებულ ექვსას მამაკაცს მიუგზავნეს. ადვილი წარმოსადგენია მათი ბედი: ორასი მამაკაცი ხომ ზედმეტია!

ეს დანაკლისი კლდის ხიზანთაც შენიშნეს: ორასი ქალწული დააკლეს „ბენიამინის ძეთ“. საქმე ისევ გართულდა. ამ გასაჭირში მრჩეველებმა ასეთი ბრძნული გადაწყვეტილება გამოიტანეს: ამ დღეებში ქალაქ სილომში დიდი რელიგიური დღესასწაული გვაქვს. უცნაური დაორგიები ორას კაცს ნება ეძლევა ამ სახალხო დღესასწაულიდან გაიტაცონ ქალიშვილები, მანამდე კი მოითმინონო. მართლაც, კლდეში შეფარებულმა ორასმა ბენიამინელმა დღესასწაულის დღეს გაიტაცა თავისი სიამოვნებისათვის ორასი რჩეული მოცეკვავე ქალი. დედებსა და მამებს ნება არა ჰქონდათ წინ აღდგომოდნენ ამ მტაცებლობას, დანარჩენები კი საერთოდ კმაყოფილნი იყვნენ. ამის შემდეგ ბენიამინელები წელში გასწორდნენ, მომრავლდნენ და დაქცეული ქალაქებიც ხელახლა ააშენეს.

მთელი გაწყვეტილი ტომის ასეთი ხელოვნური შეჯვარების გზით მოკლე ხანში აღდგენის ეპიზოდი საკმაოდ უცნაური ეჩვენა ყველა კრიტიკოსს, თუმცა რა იყო ამაში უცნაური და უჩვეულო? სადაც ჭაბუკები და ქალიშვილები შეიყრებიან, იქ ტომი მრავლდება! მერე და, კრიტიკოსები ხომ ყველანი პატიოსნებას მოკლებული მკრეხელები არიან. და რა ანგარიშგასაწევია მათი ეჭვი? გატაცების დღეს სჯულის კიდობანი სილომში იდგა, მაშასადამე ღმერთიც იქ იყო, და რაკი ღმერთი იქ იყო, ყველაფერი კანონიერად მოხდა.თუ მან არ დაიწყო ცეცხლისა და მეხის ფრქვევა, რათა დამნაშავეები შეემუსრა, განა ამაზე უფრო დამაჯერებელი საბუთი იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ უფალი წყალობის თვალით უყურებდა ახალგაზრდა მზეთუნახავების გატაცებას?

გაჩუმდით, სწავლულნო! მუხლი მოიყარეთ ყოვლისმხილველი განგების წინაშე!

გულის ამაჩუყებელი ამბავი იესო ქრისტეს დედათმთავრის — წმინდა რუთისი

(„წიგნი მერვე რუთისი“)

ვენ მივედით იმ ბიბლიურ ამბავთან, რაც აღტაცების ცრემლებს გვაღვრევინებს. ესაა რუთისა და ნოემინის ამბავი. გულაჩვილებულნი ვიწყებთ ამ წმინდა ისტორიის გადმოლაგებას[52].

ეს მოხდა მსაჯულთა მეუფებაში. დიდი შიმშილობა იყო და ერთი ბეთლემელი კაცი ჰურიასტანიდან წავიდა, „მწირობდა სოფელსა მას მოაბისასა, იგი და ცოლი მისი, და ორნი ძენი მისნი. ხოლო სახელი კაცისა მის ელიმელაქ, და სახელი ცოლისა მის ნოომენ (ნოემინი), და სახელი ორთა ძეთა მისთა მაალონ და ქელონ“. მერე ეს ნოომენი დაქვრივდა, დაკარგა ორივე ვაჟიშვილიც, რომელთაც მოაბელი ქალები ჰყავდათ. ერთ რძალს ერქვა ორფა, მეორეს — რუთი, „და იყოფოდეს მუნ ვიდრე ათ წლამდე“, მერე ისინიც დაქვრივდნენ, მაგრამ დედამთილს მაინც არ ტოვებდნენ. ამასობაში ხმა მოვიდა, ჰურიასტანში ღმერთმა მოხედა ხალხს და პური მისცაო. ნოომენმა შინ დაბრუნება გადაწყვიტა და მოაბელ ქალებს უთხრა: მე წავალ და თქვენ მშობლების სახლებში დაბრუნდით, რაღა გინდათ ჩემებრ ხანდაზმულ ქვრივ-ოხერთანო! რძლები ტიროდნენ და არ ტოვებდნენ. მერე ორფამ „ამბორს უყო დედამთილსა თვისსა და მიაქცია და წარვიდა ერისა თვისისა“, რუთი კი ბოლომდე ერთგული დარჩა: ნუ მომიშორებო, უთხრა დედამთილს: „ნუ შემემთხვევინ მე ეგე ყოფად შენდა, ვითარცა დაგიტევე მე შენ და მივიქცე და წარვიდე შენგან, არამედ ვიდრემცა მიხვიდე შენ, მივიდე მეცა, და სადაცა იყოფოდე შენ, ვიყოფოდე მეცა შენ თანა. ერი შენი ერი ჩემი არს და ღმერთი შენი ღმერთი ჩემი არს, და სადაცა მოჰკვდე, მოვკვდე მეცა და მუნ დავეფლა. ესრე მიყავნ მე უფალმან და ესრე შემძინენ, რამეთუ სიკვდილმან განწვალოს შენ შორის და ჩემ შორის (მხოლოდ სიკვდილმა გაგვყოს მე და შენო)“. რაღას იტყოდა მოხუცებული ქალი, „ხელი უფლისა გამოვიდა მას ზედა“, მაგრამ ეს ერთი ნუგეში მაინც შემორჩა, და წამოიყვანა დაქვრივებული ახალგაზრდა რძალი, რომელსაც კიდევ შეეძლო გათხოვება, მაგრამ დედამთილს არ დაუჯერა.

„და იყო, ვითარცა მოიწივნეს ბეთლემად, ოხრიდა ყოველი ქალაქი იგი მათ ზედა და თქვეს: უკეთუ ნანდვილ ნოემინ არს ესე? და ჰრქვა მათდა მიმართ: ნუ მარქვით მე ნოემინ, არამედ მარქვით მე მიმწარე, რამეთუ განმამწარა მე ძლიერმან ფრიად, რამეთუ სავსე წარვედ და აწ ცალიერი მომაქცია მე უფალმან. რაისათვის მარქვით მე ნოემინ, [illegible] თუ უფალმან დამამდაბლა მე და ძლიერმან ბოროტ[illegible] მოიქცა ნოემინ და რუთ მოაბელი ძის ცოლი მისი მისთანა, მოვიდეს ქვეყანით მოაბისათ და ესენი მოვიდეს ბეთლემად, დასაბამსა ოდეს მკასა ქრთილისასა (პურის მკის დასაწყისში) (რუთი, 1, 19—22).

ნოემინი და რუთი იმდენად ხელმოკლედ იყვნენ, რომ თავს ბედნიერად თვლიდნენ, თუ სხვის ნაწვერალზე ორიოდე ქერის თავთავს იშოვიდნენ. როგორც უსახლკაროებს და შემოხიზნულებს, ამისი უფლება ჰქონდათ. განგების ნებით მოხდა ისე, რომ რუთმა ნებართვა აიღო ვინმე ბოოზის (ბოოსის) ყანაში მკის დროს დაყრილი თავთავი ეკრიბა. ამ ბოოზს ბიბლია ახასიათებს, როგორც ნოომენის განსვენებული ქმრის ელიმელაქის ნათესავს. ეს იყო „კაცი მეცნიერი ტომი ქმრისა ნოემინისა. კაცი ესე ძლიერი ძალითა“. მას არა თუ არ დაუშლია რუთისათვის თავთავის მოგროვება, არამედ წაახალისა და ასე უთხრა: „შენ გეტყვი, ასულო, ნუ წარხვალ კრებად სხვისა ყანისა, ნუცა განეშორები, არამედ შეეყავ მხევალთა ჩემთათანა... შეუდეგ კვალსა მათსა. აჰა ესერა მიბრძანებიეს მონათა ჩემთათვის, რათა არა შეგეხნეს შენ და ოდეს გწყუროდის, მიხვიდე ჭურჭლად და სვა, ვინაიცა სუნ მონათა ჩემთა. და დავარდა რუთ პირსა ზედა და თაყვანისცა მიწამდე და ჰრქვა: რაი არს, რამეთუ ეპოვე მადლი წინაშე თვალთა შენთა, რამეთუ მე ვარ უცხო. და მიუგო მას ბოოს და ჰრქვა მას: თხრობით მითხრეს მე, რაოდენი უყავ დედამთილსა მას შენსა, შემდგომად სიკვდილისა ქმრისა შენისა, და ვითარ დაუტევე მამა შენი და დედა შენი და ქვეყანა საშო შენი და მოხვედ, ერისა, რომელი არა იცოდი გუშინ და ძელან, დღეს მოგაგენ უფალმან საქმისა წილი შენისა, და იყავნ სასყიდელი შენი სავსებით უფლისა მიერ ღვთისა ისრაელისა, რომლისა მოხვედ სასოებად ქვეშე ფრთეთა მისთა. ხოლო მან ჰრქვა: მიპოვნიეს მადლი წინაშე თვალთა შენთა, უფალო ჩემო, რამეთუ ნუგეშინის მეც მე, და ეტყოდე გულსა მხევლისა შენისასა, და აჰა, მე ვიყო ამიერითგან, ვითარცა ერთი მხევალთა შენთაგანი“.

ძდიდარმა ბოოსმა იმდენი გულკეთილობა გამოიჩინა, რომ რუთი მიიწვია კიდეც მსახურთა სუფრაზე: „და ჰრქვა ბოოს: ჟამსა პურისა ჭამისასა მოვედ აქა და ჭამე პური ჩემი და დააწევ პური შენი ძმარსა. და დაჯდა რუთ ერთ კერძო მომკალთა მათ და მისცა მას ბოოს ხალი და ჭამა და განძღა დაუშთა“, ე. ი. გადარჩა კიდეც, მერე მსახურებს უბრძანა, თავთავების მოგროვებას ნუ დაუშლითო.

მოიწმინდეთ გულჩვილობის ცრემლები! ქვემოთ რელიგიური სათნოების კიდევ უფრო ამაღელვებელ მაგალითებს ნახავთ.

ნოემინმა გაიგო, რომელ ყანაში აგროვებდა მისი რძალი თავთავებს, სად სადილობდა, და ხელი ხელს შემოჰკრა: „მახლობელია კაცი იგი ჩვენდა ნათესავცა ჩვენდა არს“ (*მუხლი 20*). ეს ფაქტი შინ მომწიფდა დედამთილის თავში აზრი, რომ რუთი როგორმე ამ მდიდარი „ნათესავის“ დიასახლისად ექცია.

„და ჰრქვა მას ნოემინ დედამთილმან მისმან: ასულო, აწ არა მე გიძიო შენ განსვენება, რათა კეთილი გეყოს შენ. და ესერა ბოოს მეცნიერი ჩვენი არს ჩემი, სადა იგი მხევალთა მისთა თანა იყავ შენ, და იგი შეჰკრებს ქრთილსა კალოსა თვისსა ამას ღამესა.

და შენ იბანე და იცხევ პირი შენი და შეიმოსე სამოსელი შენი და აღვედ კალოდ მისა და ნუ გამოეცხადები კაცსა, ვიდრემდის აღასრულოს ჭამა და სმა. და იყოს ოდეს დაწვეს იგი, დაისწავე ადგილი, სადა დაწვეს, მუნ მივედ მახლობელად მისა და აღხადე და დაწევ ფერხთათანა მისთა, და მან გრქვას შენ, რაი ჯერ იყოს ყოფად (ის გეტყვის, რაც უნდა გააკეთო).

ჰრქვა რუთ დედამთილსა თვისსა: ყოველივე, რაიცა მრქვა, მე ვყო.

და აღვიდა იგი კალოდ მისა და ყო ეგრე, ვითარცა ამცნო მას დედამთილმან მისმან.

და ჭამა ბოოს და სვა და განმხიარულდა გული მისი და მივიდა და დაწვა იგი ზვინსა თანა წერეულისა მისისასა. ხოლო იგი მივიდა მისთანა ფარულად, აღხადა და დაწვა მახლობლად ფერხთათანა მისთა.

და იყო შუაღამე, განკრთა კაცი იგი (გამოეღვიძა) და შეძრწუნდა, რამეთუ დედა-კაცი წვა ფერხთა თანა მისთა.

და ჰრქუა მას ბოოს. ვინ ხარ შენ? ხოლო მან ჰრქვა მას: მე ვარ რუთ, მხევალი შენი, და გარდამომდევ სამოსელი შენი მხევალსა შენსა, რამეთუ შენ ნათესავ ჩემდა ხარ.

და ჰრქვა მას ბოოს: კურთხეულ იყავ შენ უფლისა ღვთისა მიერ, ასულო, რამეთუ კეთილი ჰქმენ წყალობაი ესე შენი უკანასკნელი უფროს პირველისა მის, რამეთუ არა მიხვედ შენ შედგომად ჭაბუკთა, გინა თუ გლახაკისა ვისმე, გინა თუ მდიდრისა.

აწ, ასულო, ნუ გეშინინ, ყოვლისავე თვის, რაც მარქვა, ვყო შენთვის, რამეთუ იცის ყოველმან ნათესავმან ერისა ჩემისამან, რამეთუ დედაკაცი ძლიერებისა ხარ შენ.

და აწ ჭეშმარიტად ნათესავ ვარ მე, არამედ არს ნათესავი სხვა, უახლოესი ჩემსა“ (*რუთი, 4, 1—11*).

ამრიგად, ბოოსს თავისი ფეხით მოუვიდა ლოგინში ახალი საცოლე, მაგრამ ეს კაცი მტკიცედ იცავს ბიბლიურ ტრადიციას, — დაქვრივებულ ქალთაგან სხვაზე ადრე ის უნდა მოიყვანოს, რომელიც უფრო ახლო ნათესავია. ამიტომ რუთი გააფრთხილა, შენ და ნოემინზე უფრო მახლობელი ნათესავიც მყავსო. შემდეგ ქალს ნება მისცა დილამდე დარჩენილიყო, დილით კი მოიწვია მოხუცები, მოიწვია ნოემინის ახლო ნათესავი და უთხრა: აგერ ამ ხალხს ესმის, ასე და ასეა საქმე. თუ გინდა ამ შენი ნათესავის ქვრივის შერთვა, რომ დედამთილს ეშვილო, მითხარი, თუ არა და მე მინდა შევირთო ეს ქალიო. ნათესავმა რატომღაც იუარა:

„ჰრქვა მას ნათესავმა: ვერ ხელმეწიფების თავისა ჩემისა შვილებად მისა. ნუ უკვე განვრყვნე სამკვიდრებელი ჩემი: ეშვილე მას საშვილებელსა ჩემსა ზედა, რამეთუ მე ვერ ძალ მიც შვილებად. და ესე სამართალი იყო პირველ ისრაელსა შორის საშვილებელსა ზედა“... ბოოსმაც მარჯვედ გაიძრო ფეხსაცმელი, იმ კაცს გადასცა და საქვეყნოდ განაცხადა რუთს მე ვირთავ ცოლადო („რუთი მოაბელი, ცოლი მაალონისი, მოვიგე თავისა ჩემისა ცოლად“).

„და მოიყვანა ბოოს რუთ, და იყო იგი მისა ცოლად, და შევიდა მისა, და მოსცა მას უფალმან მიდგომილება, და შვა ძე. და ეტყოდეს დედანი იგი ნოემინს: კურთხეულ არს უფალი, რომელმან დაგიმტკიცა შენ დღეს შვილიერება, წოდებად სახელი შენი ისრაელსა შორის,და იყოს იგი შენდა მოსაქცეველ სულისა, და გამომზრდელ სიბერესა შენსა, რამეთუ სძალმან შენმან, რომელმან შეგიყვარა შენ, შვა ძე, რომელ არს შენდა უმჯობეს შვიდთა ძეთა. და მოიქვა ნოემინ ყრმა იგი, და დაისვა იგი წიაღთა თვისთა, და ექმნა მას მპოხელ“ *(რუთი, 4, 13—17)*. ამ ყრმასაც, როგორც წესია, „უწოდეს სახელი მისი“ იობედ, და ეს იყო დავითის წინაპარი.

ასეთია რელიგიურ-სამოძღვრებო ნოველა რუთისა, ბიბლიის სამაგალითო პატარძლისა, და ნოემის, დედამთილების ნიმუშისა და მშვენებისა. არ უნდა დავივიწყოთ არც ბოოსის დიდსულოვნობა, ღირსი აღტაცებისა: მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი კაცი იყო, არ დაენანა მისთვის ლუკმა და პურის ნაწვერალი, ნება დართო თავის მხევლებთან ერთად ეჭამა პური და ჩაეწო ლუკმა შეჭამადში, ან ძმარში, რათა ლუკმა ყელზე არ დასდგომოდა. თავშესაქცევი, სათნო მოთხრობაა!

კრიტიკოსები აქაც პოულობენ უცნაურ ამბებს. მაგალითად, უკვირთ, რატომ გაშხლართულა უბრალო მუშებივით კალოზე ბოოსი, იმის ნაცვლად, რომ ღამის გასათევად შინ დაბრუნებულიყო? მაგრამ თუ მემამულეს ასე ეხასიათება, ვინ უშლის! უფრო უცნაურია რუთის საქციელი, ამ უცხო კაცის ფეხებთან რომ მოკალათებულა, როგორც წმინდა წერილი მოგვითხრობს. ისინი საკმაოდ ახირებული გემოვნების ნიშნებად

თელიან იმას, რაც ბიბლიურ ავტორს ბუნებრივად მიაჩნია და რაც ახალგაზრდა ქალს აიძულებს ურიგოდ მოიქცეს, ისე რომ არც კი წითლდება სირცხვილისაგან. თუ ბოოსს, როგორც ნათესავს, ეს ქალი უნდა შეერთო, მაშინ ნოემინს სრული უფლება ეძლეოდა ეს პატიოსანი და პირდაპირი გზით მოეთხოვა, რადგან რუთს დედის მაგივრობას უწევდა. ამბობენ სკეპტიკოსები. მას არ უნდა ერჩია უახლოესი ადამიანის, რძლისათვის ისეთი რამეები, რაც პატიოსან ქალს ჩრდილს აყენებს, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი საქციელი კიდევ უფრო გაართულებდა ქალის მდგომარეობას. გარდა ამისა, ნოემინს ხომ თვითონვე უნდა სცოდნოდა, რომ უფრო ახლობელი ნათესავიც ჰყავდა და პირველად თვითონ უნდა მიემართა მისთვის.

ახლა კიდევ ერთი გარემოება: როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესია იესო ქრისტეს თვლის დავითის და მაშასადამე, ბოოსისა და რუთის შთამომავლად. ამრიგად, გარყვნილება და სისხლის აღრევა ერთხელ კიდევ გვხვდება იმ ღმერთკაცის გენეალოგიაში, რომელსაც ღვთაების მიწიერ განსახიერებად ვთვლით. ბოოსი პირდაპირი ჩამომავალია ფარესისა, რომელიც სისხლის აღრევის გზით იშვა: დედამისი თამარი მეძავის როლს თამაშობს და ასე მოტყუებით უკავშირდება თავის მამამთილს იუდას. გარდა ამისა, თვითონ ბოოსი ანუ ბოოზი სალმონისა და რაავბის, იერიქონელი როსკიპის შვილია. რაც შეეხება რუთს, ის მოაბელი ქალია და მაშასადამე ეკუთვნის იმ ტომს, რომელიც წარმოიშვა ლოტისა და მისი დის სისხლისაღმრევი კავშირის შედეგად. აი, იესო ქრისტეს პატივცემული წინაპრები! ასეთია წმინდა სისხლი ღმერთისა, რომელიც ადამიანად მოგვევლინა!

მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმო აქ სხვა რამეა. რუთის წიგნს რომ კარნახობდა, წმინდა მტრედს საერთოდ დაავიწყდა, რომ მისი უხეში სიცრუე ყოველ ნაკერში ჩანს.

რაავბის მეუღლე სალმონსა და დავითის მამა იესეს შორის მხოლოდ ბოოსი და იობედი დგანან. მაგრამ რაავბი და სალმონი ხომ იესო ნავინის თანამედროვენი არიან! რაავბი სალმონს შეუერთდა მხოლოდ იერიქონის აღების შემდეგ. მეორე მხრივ, იობედი დიდი ქურუმის ილიას დროს ცხოვრობდა, ხოლო ილიას მემკვიდრე სამუელი იესეს თანამედროვე იყო. მსაჯულთა მეუფება თავდება სამუელით, რომელმაც აკურთხა იუდეველთა პირველი მეფე — საული, შემდეგ დაამხო მანვე და მეფედ დავითი აკურთხა.

რუთის წიგნის ქრონოლოგია კატეგორიულად ეწინააღმდეგება იესო ნავინის წიგნსაც და მსაჯულთა წიგნსაც, რადგან ფიზიკურად შეუძლებელია, რომ ადგილი ჰქონოდა ამ წიგნებში აღწერილ უბედურებათა ასეთ გრძელ ოდისეას, რაც ებრაელმა ხალხმა გადაიტანა, მის ძლევამოსილ

ომებსა და ხანგრძლივ არაერთგზის მონობასა თუ მშვიდობიან დამოუკიდებლობას, რაც სამსონის სიკვდილამდე გაგრძელდა, ე. ი. სრულ 480 წლიანი ცხოვრებისა და ძნელბედობის ასეთ ხანგრძლივ ისტორიას ისე რომ სალმონსა და ბოოზს ეცხოვრათ ამ ისტორიის [illegible] და ენახათ მისი ბოლოც. ასეთი ანაქრონიზმი თვით ბიბლიური ტექნიკის ნორმებსაც კი არღვევს.

სამუელ წინასწარმეტყველი სამუელი*

ყო და არა იყო რა. ცხოვრობდა ბიბლიურ დროში ერთი კაცი, სახელად ელკანა. ეფრემის მთიდან იყო, არმათემს ბინადრობდა და ჰყავდა ორი უაღრესად კანონიერი ცოლი. ერთს ერქვა „სახელი მისი“ ანა, მეორეს კი — ფენანა. პირველს შვილები არ ჰყავდა. ყოველ ცისმარე დღეს ცოლ-ქმარს ჩხუბი ჰქონდათ. ამ გაუთავებელი და განუზომელი უსიამოვნების მიზეზი ის იყო, რომ ფენანა, ეს ცოდვასავით საძაგელი და ძმარივით მჟავე დიაცი, უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა და „ბერწ“ ანას გესლიანად დასცინოდა. ასეთი ვითარებისათვის რომ ბოლო მოეღო, ანამ სარწმუნოების სახელით მიმლოცველობა გადაწყვიტა. მაგრამ სად უნდა წასულიყო? ბიბლია ამბობს, რომ „სჯულის კიდობანი“ იქხანად სილომში იდგა, და მას იცავდნენ უზენაესი ქურუმი, ილია, ორი მისი ვაჟიშვილი და ფინეესი (ეს ფინეესი კი არ უნდა ავურიოთ მის სეხნიასთან, ელიაზარის შვილთან). ელკანაც თავისი ოჯახით სილომს გაემგზავრა. მისი გადაწყვეტილება დროული და გონივრული იყო, მაშ ოავს ხომ არ მოიკლავდა! იცით კი, რა დღეში იყო? დავიმოწმოთ წიგნი.

„და ვინადგან არა მისცა უფალმან შვილი და შეიწუხებდა მას და შეიურვებდა მისთვის, და ძრწოდა და მოუძლურდა მწუხარებითა თვისითა და იგლოვდა ამისთვის, რამეთუ დაუხშა უფალმან საშოი მისი, არა მიცემად მისა შვილისა.

ესრეთ პყოფდა წლითი წლამდე, აღსლვასა მისსა სახლსა უფლისასა (აყვედრიდენ მას ეგრე) და იგლოვდა და ტიროდა და არა ჭამდა.

და ჰრქვა მას ელკანა ქმარმან მისმან: ანნა, რაი არს შენდა, რამეთუ სტირ, არა რაისა სჭამ, და რაისათვის იცემ მკერდსა შენსა? არა ვარა მე უმჯობეს შენდა უფროისა ათთა ძეთა? და აღდგა ანნა შემდგომად ჭამისა მათისა, წარვიდა სილოამს, და დადგა წინაშე უფლისა, ხოლო ელი მღვდელი ჯდა საყდარსა ზედა, წინაშე წყრთილთა ბჭისა ტაძრისა უფლისასა,

---

* აქ იწყება „წიგნი პირველი მეფეთა“ (ლუთერის ბიბლიაში და ზოგ სხვა თარგმანში: სამუელის I და II წიგნები, იხ. ლექსიკონში „მეფეთა“).

და იგი მწუხარებითა სულისათა ილოცვიდა წინაშე უფლისა და ტირილითა ტიროდა,

და აღუთქვა აღთქმა უფალსა და იტყოდა: ადონა უფალო ელოე საბაიოთ! უკეთუ მოხედვით მოხედო სიმდაბლესა ზელა-მსეხლისა ჩემისასა და მომიხსენო მე, და მოსცე მხევალსა შენსა თესლი კაცი, და მოგცე იგი წინაშე შენსა, ძღვნად დღედმდე სიკვდილისა მისისა: ღვინო და სამთვრალო არა სვას და რკინა არა აღვიდეს თავსა ზედა.

და იყო ოდეს განამრავლა მან ვედრება წინაშე უფლისა, ხოლო ელი მღვდელი უმზერდა პირსა მისსა.

და იგი იტყოდა გულსა შინა თვისსა: ესოდენ ბაგეთა მისთა სძრავსო, და ხმაი მისი არა ისმა, და ჰგონებდა მას ელი მთვრალ ყოფად.

და ჰრქვა მას ელი: ვიდრემდის მთვრალ ხარ, განიფრთხვე ღვინოი შენი და წარვედ ადგილისაგან უფლისა.

და მიუგო ანნა, და ჰრქვა: არა, უფალო, დედა-კაცი სიფიცხესა შინა დღეთასა ვარ მე, ღვინოი და სამთვრალო არა მისვამს, არამედ განვჰფინე წინაშე უფლისა სული ჩემი" *(I მეფეთა, 1, 6—16)*.

როგორც ვხედავთ, ანა არ დაბნეულა, მარჯვედ მიუგო, ღვინო კი არ მისვამს, სხვა დარდი მაქვსო. მღვდელმთავარმა იგრძნო თავისი შეცდომა და ამ ქალით დაინტერესდა. ცნობილია, რანაირად ხდება სასწაულები, მსგავსი იმისა, რასაც ანა ითხოვდა. იგივე ხერხი ჩვენს დროშიაც არ გამოსულა პრაქტიკიდან. ადვილი მისახვედრია, რაც მოხდა. ელკანის, მავედრებელი ქალის ქმრის ნებართვით ქურუმმა ანა თავის სამლოცველოში მიიწვია. მართალია, ქალი ცოტას ჭოჭმანობდა, ასეთი საქმე როგორ იქნებაო, მაგრამ ქმარმა დაამშვიდა: წადიო, ურჩია, ეს წმინდა კაცი თილისმას მოგცემს და გიშველისო. ამრიგად, ქალი „წმინდა სამლოცველოში" მიიღეს. თილისმის მიცემა მღვდელს როგორ გაუჭირდებოდა! არც ისეთი მოხუცი იყო, ხელში ვერ აეღო. თუმცა რატომ, შვილებიც ხომ ჰყავდა.

ტაძარში ანა მეტისმეტად დიდხანს დარჩა, ქმარი დაიღალა და ტაძრის შესასვლელთან სვეტებს შორის ჩამოჯდა. ბოლოს მისი ძვირფასი მეუღლეც გამოჩნდა, ოფნისა და ფინეესის თანხლებით. ქურუმის ვაჟიშვილებს რატომღაც სახეები უღვიოდათ და ებადრებოდათ. ვერ გაიგებდით, რა უხაროდათ. კეთილი ელკანი კი დაარწმუნეს, ამჯერად შენს ანას უფალი ღმერთი უსათუოდ დანამავს თავისი წყალობითო. მართლაც, გავიდა იმ დღიდან ცხრა თვე და ელკანის სახლში გაჩნდა ახალი ბუთხუზა ბიჭი, რომელსაც უწოდეს „სახელი მისი" სამუელი. ანა საჯაროდ იმეორებდა თავის აღთქმას, ჩემს ბავშვს თავზე რკინას არ მივაკარებ და არასოდეს არც ერთ კულულს არ წავაჭრიო. მართლაც, ტაძარში იმდენი ისიამოვნა, რომ ფიცს როგორ გატეხდა!

შვილი ქალმა უფალს მიუძღვნა, ქმარს არ გაჰყარა, ვიდრე ძუძუს მოაშორებდა, მერე თავის სათაყვანებელ უფლის სახლში ავიდა, ისევ, ქმარმაც ღმერთს ზვარაკი შესწირა დახმარებისათვის, რომ ცოლი ის, რისი შექმნაც თვითონ რატომღაც ვერ მოახერხა, ქალმა ცხელ ცრემლებს ღაპყრო და ილოცა: „ჰეი, უფალო, ცხოველ არს სული შენი, მე ვარ დედაკაცი იგი, რომელ ამისათვის ვდეგ წინაშე შენსა ოდესმე...“ ცხადია, არა მარტო წინაშე, არამედ ქვეშეცო, იღიმებოდა „უფალი“.

„და ილოცვიდა ანნა და თქვა: განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ და ამაღლდა რქაი ჩემი ღვთისა მიერ ჩემისა... განვიხარე მე მაცხოვარებითა შენითა, რამეთუ არავინ არს წმიდა ვითარ უფალი და არავინ არს მართალ, ვითარცა ღმერთი ჩვენი... ღმერთი არს მეცნიერებათა უფალი... მშვილდი ძლიერთა მოუძლურდა და უძლურთა გარე შეირტყეს ძალი. სავსენი პურითა ნაკლულევან იქმნეს და მშიერთა დაიპყრეს ქვეყანა, რამეთუ ბერწსა მას ესხნეს შვიდ შვილ და შვილ მრავალი იგი მოუძლურდა. უფალი მოაკვდინებს და აცხოვნებს, შთაიყვანებს ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებს, უფალი დააგლახაკებს და განამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს, აღადგენს ქვეყანისაგან გლახაკსა და სკორეთაგან აღამაღლებს დავრდომილსა, რათა დასვას იგი ძლიერთა თანა ერისათა და საყდარნი დიდებისანი დაუმკვიდრნეს მას“...

ასე ბრძნულად ლოცულობდა ანა, უღირსად ამაღლებულთაც კი გადასწვდა, მაგრამ შვილის ჩუქებისათვის მადლობას ქურუმის ვაჟებიც იზიარებდნენ უთუოდ.

ყმაწვილი რომ წამოიზარდა, ანამ უზენაეს ქურუმს ილიას გაუგზავნა. მაშინ ეძღვნა საბოლოოდ სამუელი ღმერთს. ბავშვი საეკლესიო გუნდში შეიყვანეს, გალობა ასწავლეს, საკურთხევლის მცველად დანიშნეს. ელმა (ილიამ) დედა დაარწმუნა თავისი წინასწარმეტყველური სიტყვით, რომ მის შვილს არაჩვეულებრივი დიდება მოელის. ამან დედა ისე აღაფრთოვანა, რომ იქვე, სახელდახელოდ შეთხზა მთელი ჰიმნი, უფლის სადიდებელი ქება ქებათა, რომლის ნაწილიც აქ დავიმოწმეთ, მთლიანად კი მეორე თავშია მოცემული. მკითხველს შევიბრალებთ და ამ ჰიმნს ბოლომდე არ გავიმეორებთ.

სამაგიეროდ შეუძლებელია დუმილით ავუაროთ გვერდი წინასწარმეტყველ ელის შვილთა, შეჩვენებულ ოფნისა და ფინეესის უსაქციელობას.

„და ყრმა იგი (სამუელი) მსახურებდა პირსა უფლისასა, წინაშე პირსა, ელი მღდელისასა. ხოლო ძენი ელი მღდელისანი, ძენი უძღებებისა არა მცნობელნი უფლისანი, არა სიმართლისა მსხვერპლისა წინაშე ერთა ყოველთასა შემწირველნი, რამეთუ ოდეს ვინ შესწირვიდა მსხვერპლსა და მივიდოდა ყრმა მღდლისა, ვიდრე შეიგებებოდა ხორცი და აქვ-

ნდა ფუცხი ხელსა შინა მისსა და აკვეთებდა მას სიავსა დიდსა (ქვაბს), ანუ სპილენძისა ჭურჭელსა ანუ ქოთანსა შინა, და ყოველი, რომელი მოემთხვიის ფუცხვასა (ჩანგლით აიღებდა), აღიღებდა მას თავისა თვისათვის მღდელი, და ესრეთ უყოფდეს ყოველსა ისრაელსა, მრმავალსა შეწირვად უფლისა სელომსა შინა. და პირველ დაკმევად ცხელისა (ქონის დაკმევამდე) მოვიდოდა ყრმაი მღდელისა და ეტყოდა კაცსა მსხუველსა: მეც ხორცი შესაწველად მღდელისა (მომეცი მღვდლისთვის ხორციო), და არღარა მოვიღო შენგან ხორცი მგბარი სიავისაგან (მოხარშულს არ მივიღებო!). და ეტყოდა კაცი შემწირველი, რათა პირველ ეკმიოს ცმელი, ვითარცა ჯერარს, და მისსა შემდგომად აღიღე თავისა შენისა ყოვლისაგან, რომელი ენებოს სულსა შენსა! ხოლო იგი ეტყოდის: არა! აწ მომეც! უკეთუ არა მომცე, აღვიღო ძალითა. და იყო წინაშე უფლისა ცოდვა ყრმათა დიდ ფრიად, რამეთუ შეურაცხ ჰყოფდენ მსხვერპლსა უფლისასა“ (I მეფეთა, 1, 12—17).

ამრიგად, არა მარტო სალოცავად მოსულ სხვის ცოლს „აპკურებდნენ უფლის ნამს“, არამედ სამსხვერპლოდ მოყვანილ საკლავსაც ითვისებდნენ. შეწვასა და მოხარშვასაც არ აცლიდნენ პატრონს მღვდლის ავხორცი შვილები! მაგრამ ეს კიდევ რა არის! „ხოლო ელი მოხუცებულ იქმნა ფრიად, და ესმა, რასა უყოფდეს ძენი მისნი ყოველთა ძეთა ისრაელისათა და ვითარ იქცეოდეს დედათა თანა მყოფთა ლოცვასა ზედა კართა თანა კარვისა საწამებელისათა“ (მუხლ. 22). უბრალოდ რომ ვთქვათ, პირდაპირ წმინდა ტაძრის კარებთან იკლავდნენ მხეცურ ჟინს მლოცველ ქალებთან!

უზენაესმა ქურუმმა იცოდა თავისი შვილების უსაქციელობის ამბავი, მაგრამ ოლიმპიური სიმშვიდით შესცქეროდა ამ უმსგავსობას, დარწმუნებული, რომ მლოცველები მაინც ყველაფერს აიტანენ. ზოგჯერ კი ეტყოდა ხოლმე: „ნუ, შვილნო ჩემნო, ნუ, რამეთუ არა კეთილსა სასმენელსა ვისმენ მე თქვენთვის, ნუ ჰყოფთ ეგრეთ, რათა არა მონებდეს ერი ღმერთსა“, — მაგრამ ქურუმთქურუმის დარიგებას შვილები ერთ ყურში შეუშვებდნენ, მეორეში გამოუშვებდნენ.

ამ სანაქებო გულისწყრომის გვერდით ბიბლია მოგვითხრობს, სამუელის დედა ხშირად ნახულობდაო თავის შვილს სილომში: „დედაი მისი დღითი დღე აღმოვიდოდა ქმრისა თვისისა თანა, შეწირვად მსხვერპლისა დღეთასა. და აკურთხა ელი (ელიმ) ელკანა და ცოლი მისი, მეტყველმან: მოგეცინ შენ უფალმან თესლი დედა-კაცისა ამის მიერ, ძღვენისა ამისათვის, რომელი უძღვენ შენ უფალსა! და წარვიდა კაცი ადგილსა თვისსა. და მოხედა უფალმან ღმერთმან ანნას, რამეთუ მუცლად იღო და შვა კვალად სამნი ძენი და ორნი ასულნი, და განდიდნა სამოელ წინაშე უფლისა“ (I მეფეთა, 2, 20—21).

სკეპტიკოსები ფიქრობენ, რომ უფალმა კი არა, კაცმა მრუდა ელკანას და მისი ოჯახის გამრავლებაში მღვდელმთავრის შვილებს — ოფნისა და ფინეესს მეტი წილი ედოთ, ვიდრე უფალს. მაგრამ მორწმუნეებს შეუძლიათ უპასუხონ, რომ ქალბატონ ანას განაყოფიერებაში მხოლოდ უფალ საბაოთს უდევს წილი, ამიტომაც გამოდგა სამუელი დიდი წინასწარმეტყველი, ხოლო რაც შეეხებათ დანარჩენ მლოცველ დედაკაცებს, ოფნი და ფინეესი მათთან ნამდვილად თავისუფლად წვებოდნენ და ამიტომაც მათი შვილები უკანასკნელი არამზადები გამოდიოდნენ. დიდი მკრეხელობა კი იქნებოდა იმ მზვთუნახავების ხელყოფა და მითვისება, რომლებიც უფალ ღმერთს თავისთვის ამოერჩია, ისევე როგორც ჩანგლის ჩაყოფა იმ ქვაბში, სადაც ხორცი უფალი ღმერთისთვის იხარშებოდა. თუმცა ოფნი და ფინეესი ისეთი ვინმეები იყვნენ, რომ ყველაფერშიც იოლად ყოფდნენ ჩანგალს.

,,ხოლო ყრმა სამოელ იყო მსახურ უფლისა წინაშე ელი მღდლისა, და სიტყვა უფლისა იყო პატიოსან დღეთა ამათ შინა: არა იყო ხილვა მოვლინებულ,

და იყო დღე იგი, დაეძინა ელის ადგილსა ზედა თვისსა, და თვალთა მისთა ეწყო მძიმე ყოფად, და ვერ ეძლო ხილვად,

და პირველ ვიდრე დაშრეტისა სანთლისა ღვთისა, და სამოელს ეძინა ტაძარსა შინა უფლისასა, სადაცა იყო კიდობანი ღვთისა,

და უწოდა უფალმან: სამოელ, სამოელ! და ჰრქვა: აჰა მე!

და მიირბინა ელის მიმართ და ჰრქვა: აჰა მე, რად მიწოდ მე?

და ჰრქვა მას ელი: არა მიწოდებიეს შენდა, მიიქეც და დაიძინე. და მიიქცა და დაიძინა.

და შესძინა უფალმან კვალად წოდებად სამოელისა და უწოდა: სამოელ, სამოელ! და აღდგა სამოელ და წარვიდა ელისა მეორედ და ჰრქვა: აჰა, მე, რად მიწოდ მე? და ჰრქვა: არა მიწოდებიეს შენდა, შვილო, მიიქეც და დაიძინე.

ხოლო სამოელ მას ჟამსა კვალად ვერ სცნა ღვთისა, პირველ განცხადებისა მისდა ხმისა უფლისა.

და შესძინა უფალმან წოდებად სამოელისა მესამედ: აღდეგ და წარვედ ელის მიმართ და არქვი: აჰა მე, ვითარცა მიწოდ მე!

და სცნა ელი, რამეთუ უფალი უწოდს ყრმასა და ჰრქვა: მიიქეც და დაიძინე, შვილო! და იყოს, უკეთუ გიწოდოს შენ კვალად, ეტყოდე: იტყოდი, უფალო, რამეთუ ისმინოს მონამან შენმან. და წარვიდა სამოელ და დაიძინა ადგილსავე თვისსა ზედა.

და მოვიდა უფალი და დაადგა და უწოდა მას, ვითარცა პირველ და მეორედ: სამოელ, სამოელ! და ჰრქვა სამოელ: იტყოდი, უფალო, რამეთუ ისმინოს მონამან შენმან.

და თქვა უფალმან სამოელის მიმართ: აჰა ესერა მე აღვასრულო სიტყვანი ჩემნი ისრაელსა შორის, რათა ყოველთა, რომელთა ესმას ყური, ოხრიდეს ორთავე შინა ყურთა მისთა.

და მას დღესა შინა აღვადგინო ელის ზედა, ყოველი რაოდენსა ვეტყოდი სახლსა მისსა, ვიწყო და აღვასრულო.

და მიუთხარ მას, რამეთუ შური ვაგო მე სახლსა მისსა მარადის ვიდრე ნისამდე, და არა განვამართლო ძენი მისნი, რომელ ვიხილე, რამეთუ ძვირის მეტყველეს ღვთისა ძეთა მისთა, და არა ასწავა მათ.

ამისათვის ვეფუცე სახლსა ელისასა, რამეთუ არა განწმდეს ცოდვანი სახლისა ელისა, საკმეველითა მსხვერპლითა მისითა უკუნისამდე" (I მეფეთა, 3, 1—14).

დილით მღვდელმთავარმა ღამის თავგადასავლის შედეგის გაგება მოიწადინა: რით დამთავრდაო ღმერთის ვიზიტი? ადვილი წარმოსადგენია ახალგაზრდა ლევიტელის სამძიმო მდგომარეობა: გაუმხილოს თუ არ გაუმხილოს ყველაფერი თავის მასწავლებელს? ილიამ დაჟინებით მოითხოვა, სრული სიმართლე მითხარიო, და ბოლოს სამუელმა ენა ამოიდგა. „და უთხრა სამოელ ელის ყოველნი სიტყვანი და არა დაფარა მისგან არცა ერთი სიტყვა. და ჰრქვა ელი: უფალმან თვით! (ისაა თავად უფალი!) იყოს, ვითარცა სათნო არს წინაშე მისსა, ეგრეთ იყოს. და განდიდნა სამოელ, და უფალი იყო მის თანა, და არა დავარდა ყოველთაგან სიტყვათა მისთა ქვეყანასა ზედა არცა ერთი სიტყვა, და ცნა ყოველმან ისრაელისამან დანითგან ვიდრე ბერსაბედმდე, რამეთუ სარწმუნო არს სამოელ უფლისა წინასწარმეტყველთა შორის (მუხლ. 18—20).

ამ სახელგანთქმული წინასწარმეტყველისა და იმავე დროს ისრაელის უკანასკნელი მსაჯულის ცხოვრების ამ პირველმა ნაწილმა უკვე აღძრა ეჭვი და გამოიწვია ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა. თვით წიგნის გამო, რაც სამუელს მიეწერება, ფრერემ შემდეგი ზოგადი მოსაზრებანი გამოთქვა. ჯერ შენიშნავს შეცდომას, რასაც არ დაუშვებდა არც ერთი სერიოზული ისტორიკოსი: მკითხველს არ აცნობს ხალხის საერთო მდგომარეობის სურათს, ისე ლაპარაკობს ამ ხალხზე. სიმართლე რომ ითქვას, ძალიან ძნელია იმის გაგება, რა ფართობი ეჭირათ ებრაელებს სამუელის წინასწარმეტყველების დროისათვის, სად ცხოვრობდნენ ილიას (ელის) მღვდელმთავრობის ხანაში, ჯერაც მონები იყვნენ თუ მხოლოდ მოხარკენი ფინიკიელებისა, რომელთაც უმეცარი მწერლები, სხვათა შორის, დაჟინებით ასაღებენ ფილისტიმელებად. ეტყობა, ავტორი ჯინმე ჭირუმი იყო, და მხოლოდ თავისი პროფესიისათვის საჭირო ამბები აინტერესებდა, სხვა კი ყველაფერი წვრილმანი ეგონა.

ავტორი სილომზე ლაპარაკობს, როგორც უზენაესი ჭირუმის ცის რეზიდენციაზე. ამის გამო ვოლტერი შენიშნავს: სილომად სახელდებული

სოფელი ფინიკიელებს ეკუთვნოდათ და ძალიან საეჭვოა, რომ იქ მოეთმინათ უცხო სარწმუნოების ტახტზე ებრაელთა ქურუმის ჯდომა. თუ სჯულის კიდობანი მართლა ამ სოფელში იდგა, ის საიდუმლოდ უნდა ჰქონოდათ შენახული, რადგან როგორც ქვემოთ ვნახავთ, მიგებნეველს კიდობანი მათ დიდი ცხარე ბრძოლით დაისაკუთრეს. მაგრამ მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ებრაელთა მიმლოცველობა სილომში?

სამუელის შემთხვევის აღწერის დროს ავტორი გვაგრძნობინებს, რომ ღმერთი უწინდებურად ხშირად როდი აბედნიერებდა ებრაელებს თავისი გამოცხადებითა და გასაუბრებით. აქ ერთხელ კიდევ გამოკრთება ყველა პირველყოფილი ხალხის იდეოლოგია: როცა ხალხი დამარცხებულია, დამარცხებულია მისი ღმერთიც, და როცა ხალხი ფეხზე დგება, ფეხზე დგება მისი ღმერთიც.

ბევრი იმ აზრისაა, რომ თუ იუდეველ-ქრისტიანთა ღმერთი ნამდვილად სამყაროს შემოქმედია, მაშინ მას, ბოლოს და ბოლოს, მეტად დამამცირებელსა და სულელურ როლს აკისრებენ: ზის სჯულის კიდობანში და იქიდან შუაღამისას სამჯერ უძახის ყმაწვილს ტყუილად, ვიდრე გაუმხელდეს, თუ რა უნდა უთხრას. ვულსტონი გაოცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ყმაწვილმა ღმერთის ხმა ვერ გაარჩია: აქაო და პირველად გავიგონეო. რა თქმა უნდა, ძნელია იმ ხმის გარჩევა, რაც უწინ არასოდეს არ გვსმენია. მაგრამ ასე რომ ლაპარაკობს, წმინდა ავტორი გულისხმობს, რომ ღმერთს ადამიანივით ხმა ჰქონია, თანაც გარკვეული ხასიათისა, ისევე როგორც ყოველი ადამიანის ხმას თავისი ინდივიდუალური იერი ახლავს.

აქედან შეიძლება კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი გამოვიყვანოთ იმისა, რომ ებრაელებს თავიანთი ღმერთი წარმოდგენილი ჰყავდათ სრულიად ადამიანის მსგავსად, მისებრ ხორციელ არსებად, ხედავდნენ მასში მხოლოდ უმაღლესი თანრიგის ადამიანს, რომელიც ღრუბლებზე ცხოვრობს და ხანდახან ჩამოდის დედამიწაზე, რათა თავისი საყვარელი მიწიერი ქმნილებანი ინახულოს, მფარველობა გაუწიოს ან უპატრონოდ მიატოვოს. მოკლედ, ეს ღმერთიც ისეთია, როგორიც იყვნენ ბერძენთა და სხვა „წარმართთა“ ღმერთები.

აი, უკვე წამოიზარდა სამუელი, წმინდა მტრედი კი ბოლოს არ უღებს ოფნის და ფინეესის თავხედობას. განაგრძობდნენ თუ არა უფალი ღმერთის ქვაბში ჩანგლების ჩაყოფას ეს მუქთახორები? ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ სამუელმა ისრაელებს ყველაფერი უთხრა. მაშასადამე, ელისა და მისი ვაჟიშვილების გასამართლება „პოლიშინელის საიდუმლოდ“ დარჩა. მაგრამ ეს მაინც არ უშლიდა მორწმუნეებს, რომ კვლავ განეგრძოთ მხილებული ქურუმისა და მისი შვილების რჩენა. იქნებ ამ უკანასკნელთ მოსალოდნელი სასჯელის შიშით ხელი აიღეს თავიანთ უმსგავს საქციელზე? მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ბიბლიური ღმერთი წყე-

ნას არ ივიწყებს და საშინლად შურისმაძიებელია. აქ საჭიროა უფლის სიტყვის თვალსაჩინოდ დამოწმება.

„და იქმნა დღეთა მათ, და შეკრბეს უცხო თესლნი წინა აღდგომ ბრძოლად ისრაელისა, და განვიდეს ისრაელნი შემთხვევად მტერთა და ბრძოლად, და დაიბანაკეს აბენეზერად, და უცხო თესლნი დაიბანაკეს აფეკს შინა.

დაიძრნეს ბრძოლად უცხო თესლნი ისრაელთა ზედა, და მიდრიკეს იგინი ბრძოლად და დაეცნეს კაცნი ისრაელთაგანი წინაშე უცხო თესლთა, და მოკლულ იქმნა ბრძოლასა შინა ველსა ზედა ოთხ ათასი კაცი.

და მოვიდა ერთი ბანაკსა შინა, და თქვეს მოხუცებულთა ისრაელისთა: რად მოგვსრა ჩვენ უფალმან დღეს წინაშე უცხო თესლთა? აწ აღვიღოთ კიდობანი ღვთისა ჩვენისა სილომისაგან და ვიდოდეს შორის ჩვენსა და გვიხსნეს ჩვენ ხელთა მტერთა ჩვენთაგან.

და წარავლინნეს კაცნი სელომსა და აღიღეს მუნითგან კიდობანი უფლისა, მჯდომარე ქერაბინთა ზედა: და იყვნეს მუნ ორნი ძენი ელისნი, კიდობანსა თანა ღვთისასა — ოფნი და ფინეზ.

და იყო რაჟამს მოვიდა კიდობანი უფლისა ბანაკსა შინა, და ღაღად ყო ყოველმან ისრაელმან ხმითა დიდითა, და გრგვინვიდა ქვეყანა.

და ესმა უცხო თესლთა ხმა ღაღადებისა და თქვეს: რაი არს ღაღადება ესე დიდი ბანაკსა შორის ებრაელთასა? და ცნეს, რამეთუ კიდობანი უფლისა მოვიდა ბანაკსა შინა.

და შეშინდეს უცხო თესლნი და თქვეს: ესე ღმერთნი მოსრულ არიან ბანაკსა შინა მათთა: ვაი ჩვენ, მიხსენ ჩვენ, უფალო, დღეს, რამეთუ არა იქმნა ესრეთ გუშინ და გუშინწინ!

ვაი ჩვენ, ვინ გვიხსნეს ხელთაგან ღმერთთა, რომელმან განაძლიერნა იგინი, ესენი არიან ღმერთნი მომწყვედელი ეგვიპტისა ყოვლითა წყლულებითა და უდაბნოსა შინა!

განძლიერდით და იყვენით მხნედ უცხო თესლნი, რათა არა ვმონებდეთ ებრაელთა, ვითარცა იგინი გვმონებდეს ჩვენ, და ვიქმნეთ მხნედ, და ვბრძოდეთ მათ!

და ბრძოლა ჰყვეს მათ თანა, და დაეცნეს კაცნი ისრაელნი წინაშე უცხო თესლთა, და ივლტოდეს კაცად კაცადი სოფელსა თვისსა, და იქმნა წყლვა დიდი ფრიად, და დაეცა ისრაელთაგან ოც და ათი ათასი ხელის მჭონებელნი.

და კიდობანი ღვთისა წარიღეს და ორნი ძენი ელისნი მოსწყდეს, ოფნი და ფინეზ.

და წარივლტოდა კაცი იემენელი ბრძოლისაგან და მივიდა სელომს მას დღესა შინა იგი, და სამოსელი თვისი დაიპო და მტვერი დაიყარა თავსა მისსა ზედა.

და მოვიდა და აჰა ელი ჯდა საყდარსა ზედა მისსა კარისთანა და იხედვიდა გზასა, რამეთუ იყო გული მისი ურვასა შინა კიდობნისათვის ღვთისა: და კაცი შევიდა ეალაესა შინა მიძთაროშელი, და ღაღად ყო ყოველმან ქალაქმან ხმითა დიდითა.

და ესმა ელის ხმა ღაღადებისა და თქვა: რა-ხმა ღაღადებისა ამის? და კაცმან მან ისწრაფა და შევიდა და მიუთხრა ელის.

და იყო ელი ოთხმოც და ათვრამეტის წლისა და თვალნი მისნი მოუძლურებულ და ვერ ხედვიდა.

და ჰრქვა ელი კაცთა, წინა მდგომარეთა მისთა: რაი არს ხმაი ღაღადებისა ამის? და კაცმან მან მიისწრაფა შესლვად ელისთანა და ჰრქვა მას: მე ვარ მოსრული ბანაკთაგან და მე მოვიველტვი ბრძოლისაგან დღეს. და ჰრქვა ელი: რაი არს ქმნილი? იტყოდი, შვილო! და მიუგო ყრმამან და ჰრქვა: განიველტნეს კაცნი ისრაელნი პირისაგან უცხო თესლთასა, და წყლულება დიდი იქმნა ერთა შორის და ორნი ძენი შენნი მოისრნეს და კიდობანი ღვთისა წარიღეს.

და იქმნა რაჟამს მოეხსენა კიდობნისათვის ღვთისა, დაეცა ელი საყდრით, უკანა ზღურბლსა, წინა კარსა და შეიმუსრა ბეჭი მისი და მოკვდა მუნ, რამეთუ კაცი იყო მოხუცებული და მძიმე და იგი შჯიდა ისრაელსა ორმეოც წელ.

და რძალსა მისსა ცოლსა ფინეზისსა ეწყო შობად, და ესმა ამბავი, რამეთუ მოკვდა მამამთილი მისი, და ქმარი მისი, და ტიროდა მწარედ და შვა, რამეთუ მიიქცა მას ზედა სალმობაი მისი.

და ჟამსა მას შინა, ოდეს მოკვდებოდა იგი, ჰრქვეს მას დედათა წინაშე მდგომარეთა მისთა: ნუ გეშინის, რამეთუ ძისა მშობელ ხარ, და მან არა მიუგო და არა სცნა გულმან მისმან.

და უწოდეს ყრმასა მას სახელი უეჭაბოთ, და თქვეს: კიდობნისათვის ღვთისა და მამამთილისა მისისა, და ქმრისა მისისათვის.

გარდაშენდა დიდება ისრაელისა, რამეთუ აღებულ იქმნა კიდობანი ღვთისა“ *(I მეფეთა, 4, 1—22).*

წმინდა ავტორი არც იმას გვეუბნება, როგორ აეშალნენ ფილისტიმელებს დამონებული ებრაელები, არც იმას, თუ რა იყო ომის საბაბი, არც იმას, თუ რა ტერიტორიები ეჭირათ ისრაელებს. მხოლოდ ახალ უცნაურ ცნობას გვაწვდის: 30 000 ებრაელი გაუწყვეტიათ მიუხედავად იმისა, რომ სჯულის კიდობანი მათთან იდგა.

„როგორ დავიჯეროთ, — ამბობს ვოლტერი, — რომ ხალხი, რომელიც ამდენი ხანი მონობაში იყო, ასეთი მძიმე დანაკლისის შემდეგ უცებ წელში გასწორდა?“

კრიტიკოსები ყოველთვის ეჭვით შეხცქეროდნენ წმინდა ავტორის მიდრეკილებას როგორც წარმატების, ისევე მარცხის აღწერაში, მოცე-

მულ მომენტში ბიბლია ბევრად უფრო დაინტერესებულია სამუელის განდიდებით, ვიდრე ებრაელი ხალხის ისტორიაში სინათლის შეტანით. ამაოდ ელით ებრაელთა ქვეყნის სწორ აღწერილობას; იმ გარემოებათა გადმოცემას, რომლებშიაც ამბოხება მოხდა: ციხე-სიმაგრეთა ან თუნდაც გამოქვაბულთა დასახელებას, რომლებიც მეამბოხეებს ეჭირათ; ფავდაცვის ღონისძიებების ჩამოთვლას; ცნობებს სარდლებზე, რომელთაც ბრძოლის გაძღოლა ევალებოდათ, „არავითარი ასეთი მნიშვნელოვანი და ამოსებითი გარემოება! სწორედ აქედან დაასკვნის ბოლინგბროკი, რომ ამ ბიბლიური ისტორიის ავტორი ლევიტი ისევე წერდა თავის თხზულებას, როგორც შუა საუკუნეების ბერები წერდნენ საკუთარი თვალსაზრისით ცალკეულ ეპიზოდებზე, რომელთა რელიგიური მხარეც აინტერესებდათ, სხვა კი არაფერი. ვოლტერიც თავისი მწველი ირონიით შენიშნავს: „უეჭველია, სამუელი, რომელსაც ღმერთმა წინასწარმეტყველობა ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაუთქვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 30 000 დაღუპული ებრაელი, რომელთაც უფლის სიტყვა არ ღირსებიათ. აი, ალბათ, ამის გამოა, რომ წმინდა წერილი ბევრად უფრო გულმოდგინედ აღწერს ებრაელ წინასწარმეტყველებს, ვიდრე ებრაელს ხალხს".

ახლა გულისყურით მოგვისმინე, მკითხველო! დარბაისლურად ვილაპარაკოთ! ჩვენ ვუახლოვდებით ბიბლიის იმ ადგილს, რომელიც კიდევ უფრო ნაკლებად გვაყენებს მხიარულ გუნებაზე, ვიდრე ხეიბრის ჯოხი ან ხის ფეხი. სიტყვა ეხება ოქროს კერპებს.

არ გაიცინოთ! ეს ძალიან სერიოზული ამბავია და, ცხადია, კეთილმსახურული, რადგან ამასაც სულიწმინდა მოგვითხრობს.

ღმერთმა განიზრახა სამაგალითოდ დაესაჯა მღვდელმთავრის შვილები ოფნი და ფინეესი (ფინეზი), რომლებიც წლების განმავლობაში ღვთაებრივ ქვაბში ყოფდნენ თავიანთ ჩანგლებს, და ამ მიზნით გადაწყვიტა თავისი სახელგანთქმული „სჯულის კიდობნით" ფილისტიმელთა ხელში გადასულიყო. ოფნი და ფინეზი კიდობანს დარაჯობდნენ და მაშასადამე, ღმერთსაც, მაგრამ ღმერთმა ინება (ასეთია განგების მიუწვდომელი საიდუმლოება!), რომ ეს ოფნი და ფინეზი სხვა 30 000 ებრაელთან ერთად დაცემულიყო, თუმცა იმ საცოდავებს არასოდეს არ უგემებიათ უფლის ლუკმა. სენსაციური სასჯელი თუ გინდათ, ეგაა!

ბოლოს და ბოლოს, თავისი თავი რომ წარმართ ფილისტიმელებს ჩაუგდო ხელში, ამით ღმერთმა თვითონვე ჩაიდინა მკრეხელობა საკუთარი თავის მიმართ. იქნებ ეს ლოგიკური არ გეჩვენებათ? სამაგიეროდ ეს ღვთაებრივია, და ყოველი ღვთისმეტყველი დაგიდასტურებთ ამას.

ჯერ ისა ვთქვათ, რომ ფილისტიმელები საერთოდ ღმერთების პატივისცემაში სანაქებო ადამიანები იყვნენ. ახლაც უზადო მოკრძალება

გამოიჩინეს ებრაელთა ღმერთისადმი, თუმცა ეს მათთვის უცხო ღმერთი იყო. სულ ახლახან ვნახეთ, რომ მისი ძლიერების წინაშე კანკალებდნენ. შეურიგებელი ფანატიკოსებივით კი არ მოიქცნენ, სხვის რელიგიურ სიწმინდეებს რომ შეურაცხყოფენ, არამედ საგანგებო პატივში ჰყავდათ ებრაელთა ღმერთი და ოქროში ჩასვეს მისი კიდობანი.

რომელიმე იუპიტერი ან ბუდა რომ ქრისტიან იწკვიტორებს ჩავარდნოდათ ხელში, სანაგვე ორმოში ან საწამებელ სენაკში უკრავდნენ თავს. ფილისტიმელებმა კი, რომელთაც იცოდნენ, რომ კიდობანში, სასტიკი ბრძოლის შედეგად რომ ხელთ იგდეს, ებრაელთა ღმერთი იჯდა,— ეს წმინდა ყუთი ზეიმით გადაიტანეს აზოტში*, სადაც ერთ-ერთი უდიდესი სამლოცველო — ღმერთ დაგონას ტაძარი ჰქონდათ აღმართული. სწორედ ამ ტაძარში მოათავსეს, ყველაზე უფრო საპატიო ადგილზე, თვით დაგონას გვერდით.

ფილისტიმელები უთუოდ ასე მსჯელობდნენ: ისრაელთა ღმერთი პირველი კლასის ღმერთიაო. ჩვენ ხომ ვიცით, რა სასწაულები მოახდინა ეგვიპტიდან ებრაელების გამოყვანის დროსო! რაკი ბედმა გაგვიღიმა და ხელში ჩაგვივარდა, შევეცადოთ ისე მოვექცეთ, რომ მისი გული მოვიგოო და ჩვენს სამსახურში ჩავაყენოთო, დაგონას თანაბარი პატივით მოვეპყრათო. ერთი ღმერთის წყალობა ზედმეტი არასოდეს არ იქნებაო.

ვაი რომ ჭკვიან ფილისტიმელებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ! სულ მალე გამოსცადეს საკუთარ თავზე, თუ რა მძიმე ხასიათი აქვს ბიბლიურ ღმერთს. დაგომის ქურუმებში იაღვე თავიანთი ღვთაების პირისპირ დატოვეს აზოტის ტაძარში და თვითონ თავთავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. ფინიკიელებს რომ იმ დღეს ხელთ ეგდოთ არა ებრაელთა ღმერთი, არამედ ეგვიპტელთა ანუბისი, სპარსელთა ორმუზდი ან ბერძენთა აპოლონი, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, ღმერთები მეგობრულ საუბარს გამართავდნენ, მოუთხრობდნენ ერთიმეორეს თავიანთი თაყვანისმცემლების კურიოზული სიგიჟის ამბებს და მერე დასაძინებლად დაწვებოდნენ. მოკლედ, კეთილ ნეგობრებად იქცეოდნენ და აზოტის მოქალაქეებიც ბედნიერად იცხოვრებდნენ.

თქვენც არ მომიკვდეთ! აზოტის ტაძარში აზოტის სუნი დატრიალდა. ფინიკიაში მშვიდობა არ იყო. ბუზღუნა მოხუცმა საბაოთმა ისარგებლა დაგონის ქურუმების არყოფნით და თავის კოლეგას ისე მოექცა, როგორც შეურიგებელ მტერსა და მოქიშპეს. უსათუოდ უნდა დაემტკიცებინა, რომ ფილისტიმელთა კერპზე ბევრად უფრო ძლიერია. დაგონი კი, სიმართლე უნდა ითქვას, არ ყოფილა ბოროტი ღმერთი. არ მოითხოვდა

---

* ქართულ დაბადებაში წერია „აზოთ“, გერმანულში — აზდოდ, რუსულში აზოტი.

ადამიანის მსხვერპლს, იდგა თავისთვის და საერთოდ კეთილი გული ჰქონდა. მით უფრო გაოცებული დარჩა, როცა ბუაღამისას ებრაელთა ღმერთი მოულოდნელად თავისი კიდობნიდან გამოძვრა, ეცა და წააქცია.

ბიბლია დაწვრილებით არ აგვიწერს იმ ღამის ამბავს, მაგრამ მთელი ტექსტიდან ჩანს, რომ სწორედ ასეთი რამ მოხდა.

„და წარიღეს უცხო თესლთა კიდობანი ღვთისა და მიიღეს ავენეზერით აზოთსა შინა. და აღიღეს უცხო თესლთა კიდობანი უფლისა და შეიღეს იგი ტაძარსა შინა დაგონისასა, და დაადგინეს ახლოს მისა. და აღიხსთნეს აზოთელთა ხვალისად და შევიდეს ტაძარსა შინა დაგონისასა და იხილეს და აჰა დაგონ დაცემული ქვეყანასა ზედა პირსა ზედა თვისსა წინაშე კიდობნისა აღთქმისა უფლისასა. აღადგინეს დაგონ და დაადგინეს იგი ადგილსავე ზედა მისსა“ (I მეფეთა, 5, 1—3).

მეორე ღამე პირველზე საშინელი აღმოჩნდა. იაღვეს საწყენად დარჩა აზოტელთა საზიარო თაყვანისცემა, არ იკადრა დაგონისათვის თავის გაყადრება. იქნებ თვითონვე გრძნობდა, რომ მისი ეჭვიანობა სასაცილოა და ბრძოლის მეთოდი ტლანქი. მთელი დღე კიდობნის კუთხეში იჯდა, ცხვირიც არ გამოუყვია გარეთ.

აჰ, ერთი ღვთისნიერ ადამიანებს დაენახათ, ღვთისმოშიშ აზოტელებს შეენიშნათ, რომ თუნდაც ერთხელ იაღვემ კიდობნიდან თავი გამოჰყო! მაშინვე აღიარებდნენ მის სიდიადეს და საკუთარი კერპის თაყვანისცემაზე უარს იტყოდნენ. მაგრამ არა! საქმე არა გაქვთ? საბაოთი იჯდა თავის კიდობანში და თვალსაც არ ახამხამებდა. ბრაზობდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. მოთმინებითა შენითაო, ფიქრობდა და თავს იმით ინუგეშებდა, რომ დაღამებისთანავე რისხვას გამოსავალს მისცემდა და შურისძიების წყურვილს მოიკლავდა.

ამჯერად დაგონს მეტისმეტად მწარედ მოხვდა: „და იყო რაჟამს აღდგეს განთიად და აჰა დაგონ მდებარე იყო პირითა ქვეყანასა ზედა წინაშე კიდობნისა ღვთისა. ხოლო თავი დაგონისა და ორნივე ტერფნი მდებარენი მტვერსა შინა ცალკე თვითეული. და ორნივე ნებნი ხელთა მისთანი მდებარენი კართა თანა“ (I მეფეთა, 5, 4).

ყოველივე ამას, ცხადია, ჯერ კიდევ არ შეეძლო ქალაქის მცხოვრებთა შეძრწუნება. გულუბრყვილო ფილისტიმელებმა ვერაფერი ვერ გაიგეს და თავიანთი მიამიტური ბუნებით ვერც კი წარმოიდგინეს, რომ ღამით მომხდარი ნგრევის მიზეზი აღთქმის ყუთის ბინადარი იქნებოდა. მაგრამ საშინელი რისხვა დაატყდათ თავს. აქ ისევ დავიმოწმებთ წმინდა ტექსტს:

„და დამძიმდა ხელი უფლისა აზოთს ზედა და სტანჯნა იგინი და მოსრნა იგინი სენითა სასხდომელებთა (საჯდომები დაუწყლულა). აზოთს შინა და საზღვართა მათთასა, და შორის ქვეყანისა მათისა განამრავლა

თაგვი და იქმნა შეძრწუნებაი სიკვდილისა დიდი ქალაქსა შინა (*მუხლ. 52, 6*). მოკლედ, თაგვი, წყლული და სენი დაატყდა ქალაქს და ყო დიდი შეძრწუნება. მხოლოდ ახლა მიხვდნენ აზოთელები, რომ ებრაელთა უფლის ხელი დამძიმდა მათ ზედა და ყველა უბედურების მიზეზი ყოფილა საბაოთია.

უხუცესებმა ბრძანეს კიდობნის გადატანა სხვა ქალაქში, ითათბირეს, სად გადავიტანოთო. გეთელებმა თქვეს, ჩვენს ქალაქში გადმოიტანეთო, მაგრამ მალე ინანეს: „და შემდგომად მისლვასა მისსა ხელი უფლისა იყო ქალაქსა ზედა და შფოთი დიდი იქმნა ფრიად და მოსწყვიდნა კაცნი ქალაქისანი, მცირითგან დიდადმდე, და მოსრნა იგინი სასხდომლებსა ზედა მათსა და ქმნეს გეთელთა თავისა თვისისა საჯდომნი ოქროსანი. და განუტევეს კიდობანი უფლისა ასკალონსა შინა. და იყო, ვითარცა შევიდა კიდობანი ღვთისა ისრაელისა ასკალონსა შინა, ღაღად ყვეს ასკალონელთა და იტყოდეს: რაიდ მოაქციეთ კიდობანი ღვთისა ისრაელისა მოწყვედაღ ჩვენდა და ერისა ჩვენისა? და წარავლინნეს და შეკრიბნეს ყოველნი მხედარნი უცხო თესლთა და თქვეს: წარავლინეთ კიდობანი ღვთისა ისრაელისა, რათა დაადგინონ ადგილსა ზედა მისსა და რათა არ მოვსწყდეთ ჩვენ და ერი ჩვენი. რამეთუ იქმნა შფოთი სიკვდილისა, ყოველთა შორის ქალაქთა მძიმე ფრიად, რაჟამს შევიდა კიდობანი ღვთისა ისრაელისა მუნ, და ცხოველნი და არა მომწყდარნი დაწყლულდებოდენ სასხდომლებთა შინა, და ვანხდა ღაღადება ქალაქისა ცადმდე“ (*I მეფეთა, 5, 9—12*).

შვიდი თვის განმავლობაში დაატარებდნენ ბედგამწყრალი ფილისტიმელები თავიანთ ნადავლ „ღვთის კიდობანს“ ქალაქიდან ქალაქში, და ყველგან, სადაც კი ეს უსაშველო ღვთაებრივი ბუნაგი გამოჩნდებოდა, ჩნდებოდა თაგვი, წყდებოდა ხალხი, ემართებოდა ყველას „სასხდომელის სენი“, ერთობ მომჭანცველი და დაბეჭველი ჭირი საჯდომისა, რაც სოკოს სენზე უარესი უნდა ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს მისანთან მისვლა გადაწყვიტეს, რომ ეკითხათ, როგორ ვუსაშველოთ ჩვენს საქმესო. ეს მისნები იყვნენ „ცრუ რელიგიის“ ქურუმები, ცრუ, რა თქმა უნდა, ქრისტიანული თვალსაზრისით. და მაინც ისინი ჩინებული წინასწარმეტყველნი აღმოჩნდნენ! ფილისტიმელებმა კიდობნის დაბრუნება გადაწყვიტეს, როგორც მისნებმა ურჩიეს.

„და ჰრქვეს მათ: უკეთუ განუტეოთ თქვენ კიდობანი აღთქმისა უფლისა ღვთისა ისრაელისა, ნუმცა განგიტევებიესთ იგი ცარიელ, არამედ მიაგეთ მისაგებელი მას ტანჯვისათვის ძღვენი, და მაშინ და განკურნესთ, და შეგიწყალოს თქვენ, უკეთუ არა განგაშოროს ხელი მისი თქვენგან

და ეტყოდეს: რაი მივაგოთ მას სატანჯველისათვის? და ჰრქვეს

მათ: რიცხვისაებრ მთავართა უცხო თესლთასა, ხუთი საჯდომი ოქროსა, და ხუთი თაგვი ოქროსა, რამეთუ შეცოდება არს თქვენთანა, და მთავართა შორის თქვენთა, და ერთა შორის.

და ჰყავთ მსგავსებისაებრ თაგვთა თქვენთა, განმხრწნელთა ქუეყანისათა, და მიეცით დიდება ღმერთსა ისრაელისასა, რაჟამს აიღოს ხელი თვისი თქვენგან და ღმერთთაგან თქვენთა და ქვეყანისაგან თქვენისა.

და რაიდ დაიმძიმებთ გულთა თქვენთა, ვითარცა დაიმძიმა ეგვიპტემ და ფარაო გული თვისი, არა მაშინა, რაჟამს ეკიცხოდენ მათ, განუტევნეს იგინი და განვიდეს.

და აწ აღიღეთ და უქმენით ეტლი ახალი ერთი, და ორი ზროხა პირველ მშობელი უხბოდ, რომელსა ზედა არა დადებულ იყოს უღელი, და შეაბენით ზროხანი ეტლსა შინა და ხბონი მათნი მოაქციევით მართლუკუნ სახლად.

და აღიღეთ კიდობანი უფლისა და დაადგინეთ იგი ეტლსა ზედა და ჭურჭელნი ოქროსანი მიეცით მას ტანჯვისათვის და დასდევით კიდობანსა შინა კერძოსაგან მისსა და განუტევეთ იგი, რათა წარვიდეს.

და იხილეთ, უკეთუ გზასა ზედა საზღვრისა მისისასა ბერსაბედ, მან გვაგო ჩვენ სიბოროტე დიდი ესე: და უკეთუ არა მით ვცნათ, რამეთუ არა არს ხელი მისი შემხებელ ჩვენდა, არამედ შემთხვევამან ესე ჭნა ჩვენდა.

და ყვეს უცხო თესლთა ეგრეთ...“ (I *მეფეთა, 6, 3—10*).

ამ ამბავს რომ კითხულობ, უნებურად გაგონდება ოთხმოცდაათი წლის სარა, რომელიც გამორჩეული სილამაზისათვის გერარის მეფემ წაიყვანა, როგორც აბრაამის და. თქვენ გახსოვთ, რომ ვიდრე აბრაამმა თავისი ცოლი უკანვე არ წაიყვანა, უფლის ნებით ყველა გერარელ დედაკაცს „საშო დაეხშო“. იქ საშო, აქ კი უფლის ნებამ უკვე მამაკაცების სხეულის სხვა ნაწილი — საჯდომი დააზიანა. უბედური წიაღნი! მათი უდანაშაულობა ეჭვს არ იწვევს, და მერე როგორ დატანჯეს! რატომ აბრაამი არ დასაჯა მაჭანკლობისათვის ამ უცნაურმა ბიბლიურმა ღმერთმა? აკი თავისი ცოლით ვაჭრობდა და გერარის ყველა უბედურების მიზეზი გახდა თავისი მიუტევებელი სპეკულაციით, ცოლს რომ დად ასაღებდა! რად გაუწყრა ფილისტიმელებს, რომელთაც პატიოსანი ბრძოლით მოიპოვეს დიდებული ნადავლი — ღმერთი და მისი კიდობანი? მან ხომ თვითონვე დართო ნება, რომ კიდობანი წაეღოთ? ეს გახლავთ წმინდა საიდუმლო და ღვთაებრივი უთავბოლობა!

მაგრამ ფილისტიმელებმა თავიანთ წინასწარმეტყველებს დაუჯერეს. გაამზადეს ხუთი ოქროს თაგვი და ხუთი ოქროსავე „მსგავსი საჯდომისებრ მათისა“. ეს იყო ხუთი ქალაქის სახელით გამოკვეთილი მსხვერპლი: აზოტის, გეთის, ასკალონის, გაზისა და აკარონისა. მთელი ეს შესაწირავი კიდობანთან ერთად ურემზე მოათავსეს, შეუბეს შიგ ორი ძროხა,

რომელთაც ხბოები შინ დაუბეს, და ნებაზე მიუშვეს. „და წარემართეს ზროხათა გზასა ზედა სწორად გზასა ბერსაბედ, წარვიდოდა და არა მოიქცეოდა, რცა მარჯვენესა ზედა და არც მარცხენესა, ვიდრე სანამდის ეტყოდეს მთავარნი უცხო თესლთა, მისდევდეს უკანა მისსა ვიდრე სანამდის მდე ბეთსამის“ (მუხლ. 12).

რა საკვირველებაა ეს ყველაფერი და რა კანონიერია სიამაყე მორწმუნეებისა, რომელთაც ასეთი უზადო რელიგია აქვთ! ბიბლიაში წინასწარმეტყველთა ნაკლებობა ნამდვილად არ არის. ფილისტიმელთა, ამ დაწყეველილი ხალხის წინასწარმეტყველნიც კი ჭეშმარიტ წინასწარმეტყველებად საღდებიან. ყოველ ქვეყანას ჰყავს თავისი წინასწარმეტყველნი, და ბიბლიის ავტორები, რომლებიც თვითონ არიან წინასწარმეტყველნი, პატივისცემით ექცევიან უცხო ტომთა კერპთაყვანისმცემლებს, რადგან კოლეგები არიან, ერთი პროფესია აქვთ. თავისი განუზომელი ძლიერებით სხივმოსილი ღმერთი ქმნის თვით „ცრუ“ რელიგიების მისნებსა და წინასწარმეტყველებს, რისი მაგალითიცაა ბალაამი. ღმერთი არ უკრძალავს თავიანთი ხელოვნების გამოყენებას თვითონ მოგვებსა და მტრული რელიგიების მაგებს, როგორც ეს ვნახეთ მაგალითად ეგვიპტელი ჯადოქრების მაგალითზე, რომელთაც მოსეს ზოგიერთი ასწაული გაიმეორეს. ახლა ამ ძროხებს შეხედეთ, ხბორები რომ შინ დაუტოვეს და თვითონ კი აღთქმის კიდობანს ეზიდებიან, რომ თავის ადგილზე დააბრუნონ— განა ეს ბრწყინვალე სასწაული არ არის? ბეთსამისში მიდიან, ებრაელებთან, თუნდაც იქ დაკლან, მიდიან ღვთაებრივი მარჯვენის მინიშნებით, ისე რომ არც მეურმე ზის კოფოზე, არც ვინმე მიერეკებათ. თვითონაც წინასწარმეტყველნი ხომ არ არიან? ღმერთს ხომ ყველაფერი შეუძლია! გავიხსენოთ თუნდაც ბალაამის მუტრუკი, ადამიანის ენაზე რომ ამეტყველდა: რისთვისა მცემო? — ჰკითხა პატრონს.

„და რომელნი ბეთსამიდელნი* მკიდეს სამკალსა იფქლისასა ღელესა შინა ,და აღიხილნეს თვალნი თვისნი, და იხილეს კიდობანი უფლისა და განიხარეს შემთხვევად მისა.

და ეტლი შევიდა დაბასა ოსიასსა ბეთსაიდასა შინა, და დაადგრა მუნ, და დადგეს მუნ მისთანა ქვა დიდი და დაჭრეს შეშა საეტლონი და აღამაღლეს ზროხანი ყოვლად დასაწველად უფლისა.

ხოლო ლევიტელთა ეტვირთა კიდობანი უფლისა და კიდობნისა, რომელი მისთანა, და რომელი მათ ზედა ჭურჭელნი ოქროსანი, და დადვეს წინა ქვათა დიდთა, და კაცნი ბეთსამიდელნი მოიღებდეს ყოვლად დასაწველსა, და შესწირვიდეს მსხვერპლსა მას დღესა შინა უფალსა.

და ხუთნი მთავარნი უცხო თესლთანი უმზერდეს და მიიქცნეს აკარონად მას დღესა შინა“ (I მეფეთა, 6, 13—16).

---

* საკუთრივ: ბეთ-სემიტელნი.

ეს კიდევ არაფერი. უკვე როგორღაც რამდენიმე ხანი ისე გავიდა, ღმერთს თავისი ხალხიდან აღარავინ უჭცევია ფერფლად და აღარავინ გაუნადგურებია ისრითა თუ გოგირდის წვიმით. მაშ რით უნდა აღენიშნა თავისი დაბრუნება საყვარელი ხალხის წიაღში, თუ არა მორიგი ხოცვა-ჟლეტით? ჰოდა, უყურეთ ახლა სეირს! გაიხარონ მორწმუნეთა სულებმა! კიდობანი ბეთსაიდში დადგეს, „დაბასა შინა ოთხთა", დგომიათ დღეს „დღეინდელად დღედმდე". მათდა შავბედად ბეთსაიდელები მეტისმეტად ცნობისმოყვარენი აღმოჩნდნენ, აღთქმის კიდობანში შეიჭყიტეს და ამისათვის ისეთი რისხვა დაიტეხეს, რომ ყველა სხვა რისხვა მოგონილია: რამეთუ იხილეს კიდობანი უფლისა, და მოსწყვიდნა მათ შინა ორმოც და ათი ათას და სამეოც და ათნი კაცნი, და ტიროდა ერი, რამეთუ მოსრნა უფალმან ერსა შორის წყლულებითა დიდითა ფრიად" *(I მეფეთა, 6, 19)*.

უფალ ღმერთს არ უყვარს ხუმრობა და არავის აპატიებს ზედმეტ ცნობისმოყვარეობას თავისი პიროვნების მიმართ. განა არაერთხელ არ აღნიშნა, რომ საგანგებო შემთხვევების გარდა ვინც კიდევ სხვა დროს მის ხილვას მოიწადინებს, მოკვდება? ასე რომ, ბეთსამიდელი დოყლაპიები საკმაოდ მკაცრად იყვნენ გაფრთხილებული, ჩემს კიდობანში არ შემოიხედოთო. ერთი მითხარით, ღვთის გულისათვის, რა სულელური წესია, ჩემოდანში ჩაჰვრეტა? ეტყობა, ფილისტიმელები უფრო მოკრძალებულნი იყვნენ და აზრადაც არ მოსვლიათ სახურავი აეხადათ წმინდა ყუთისთვის. ამიტომ ღმერთი იმით დაკმაყოფილდა, რომ... სოკოს სენი შეჰყარა!

კიდევ ერთი შენიშვნა: თუმცა გეოგრაფია არ იცნობს ბეთსაიდს, მაგრამ ეტყობა, ძალიან მნიშვნელოვანი ქალაქი ყოფილა, რომ მარტო ერი ადგილზე ასე უცებ 50 070 ცნობისმოყვარე აღმოჩნდა, ერთბაშად რომ გაწყვიტა განრისხებულმა ღმერთმა! ამდენი ათასი ბეთსაიდელის უეცარი გაწყვეტით სულიწმინდამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა თავისი რაობა. მოდით, ასე ვიმსჯელოთ.

ფიზიკურად შეუძლებელია, რომ 50 070 კაცმა ერთდროულად შეიხედოს ერთ კიდობანში, ასე არ არის? დავუშვათ, რომ ათმა, ოცმა, სულ დიდი ოცდაათმა კაცმა ასწია სახურავი და შიგ ჩაიხედა. ეს ოცდაათი კაცი მაშინვე სასტიკად დაისაჯა. ყველანი უსულოდ დასცა ღვთის რისხვამ. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ დანარჩენმა ოცდაათმა ამ გაკვეთილიდან საჭირო დასკვნა ვერ გამოიტანა და მათაც პირველთა ბედი გაიზიარეს. დავუშვათ უშიშართა მესამე რიგის გამოსვლაც. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბეთსაიდელებს სულ უფრო და უფრო ეშინიათ კიდობანთან მისვლისა: გვამებზე უნდა გაიარონ, რომ კიდობანში შეიჭყიტონ: რა ღმერთია, ვნახოთ, სძინავს თუ ღვიძავსო? მართლაც საოცრად ჯიუტი უნდა იყო, რომ მაინც სურვილი აისრულო და კიდობანში ჩაიხედო, როცა იცი, რომ

იქვე მოგსპობენ. რა ჯიუტიც არ უნდა ყოფილიყვნენ ბეთსაიდელები, ბოლოს მაინც უნდა შეჩერებულიყვნენ, რადგან გვამების ზვინზე გადასვლა და კიდობანში ჩახედვა შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ საჭიროა რამ უნდა ვიფიქროთ. როგორც კი რამდენიმე ათეული კაცი დაბლა დაეცა, დანარჩენები კიდობანს უნდა მოშორებოდნენ და თავისუფალ ჯილნი გაქცეულიყვნენ.

რა თქმა უნდა, წმინდა წერილში დახეთქებული ციფრი მეტისმეტად გაბერილია, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. შესაძლებელ 70 დაღუპულს წმინდა მტრედმა უბრალოდ მიუმატა დანარჩენი 50 000 კაცი. ეს არის და ეს.

შევეცადოთ, ნურავის გავაკვირვებთ, თუ ვიტყვით, რომ შეძრწუნებულმა ბეთსამიტელებმა კიდობნის მოცილება განიზრახეს და ძროხები გარეკეს. ტექსტი ასახელებს ადგილსაც — „მიმართ კარიათიმისთა“. კარიათ — იარიმილებს შეუთვალეს, უფლის კიდობანი დაბრუნდა, ჩამოდით და წაიღეთ, მოგვაშორეთო მომაკვდინებელი ზანდუკი. იქ ოცი წელიწადი დარჩა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა გულმოსულმა ღმერთმა თავისი რჩეული ხალხის განთავისუფლება ფილისტიმელთა მონობისაგან: „და განვიდეს კაცნი ისრაელნი მასიფითგან და განსდევნეს უცხო თესლი და სცემდეს მათ ვიდრე ღელედმდე ვეთხორისა, და უწოდა სამოელ სახელი მისი ავინეზერ, ესე იგი არს ლოდი შეწევნისა და თქვა: ამიერ შეგვეწია ჩვენ უფალი“.

სამუელმა ისრაელის მსაჯულობა განაგრძო. დედის აღთქმა არ დაურღვევია, თმა არ მოუპარსავს. ბიბლია გვიამბობს, რომ სხვადასხვა კეთილი საქმეებით მან ხალხის სიყვარული მოიპოვა და მის პოპულარობას საზღვარი არა ჰქონდა: ბოლოს, როცა ანნას შვილი დაბერდა, თავისი შვილები იხმო — იოილი და აბიო, თანაშემწეებად დანიშნა. ეტყობა, ეს ჭაბუკები ოფნისა და ფენეზს არ ჩამორჩებოდნენ: „და არა ვიდოდეს ძენი მისნი გზასა მისსა და მიიქცეს მართლ უკუნ კვალსა ზედა მოქრთამობისასა და მიიღებდეს ძღვენთა და განდრეკდეს სამართალსა“ (I მეფეთა, 8, 3).

საყურადღებო ფაქტია: ღმერთი, რომელმაც ბოლოს მაინც გასწირა ილიას უკეთური შვილები, ამჯერად თვალს არიდებს სამუელის უწესო, კანონისა და სამართლის განმდრეკელ ვაჟიშვილებს, რომლებიც, ეტყობა, უფრო გონიერნი აღმოჩნდნენ: ხელს არ ახლებდნენ თვითონ ღმერთის საკუთრებას, არ შელახავდნენ მის პირად ინტერესებს, ეს კი მთავარია ყოველ ხეპრე ტირანთა სამეფოში. მათი მექრთამეობა და ძალადობა შეუმჩნეველი რჩება. აი, მათაც რომ თავხედურად ჩაეყოთ თავიანთი ჩანგლები უფალი ღმერთისათვის განკუთვნილ ქვაბებში, მაშინ ღვთის რისხვას ვერ დააღწევდნენ თავს.

ღვთისაგან მირონცხებულის — მეფე საულის წმინდა ცხებასხმა და ტახტზე ასვლა

ეცდომა იქნებოდა ფიქრი, რომ სამუელის ამბავი თავდება იმ მომენტში, როდესაც ღვთით დაღდასმული ქურუმთუხუცესი იძულებული გახდა თავისი მოვალეობანი შვილებისათვის გადაეცა. თავისი სიკვდილის დღემდე სამუელი პირველხარისხოვან როლს თამაშობდა. ჩვენ კიდევ ვნახავთ, როგორ გამოვა პირადად სიკვდილამდეც და სიკვდილის შემდეგაც, რომ ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ცვლილებანი შეიტანოს.

ერთ მშვენიერ დილას ებრაელთა უხუცესნი სამუელთან იყრიან თავს და მეფის არჩევას სთხოვენ.

— მეზობელ ხალხებს მეფეები ჰყავთ. რატომ არ უნდა გვყავდეს ჩვენ?

წინასწარმეტყველი ღმერთს მოეთათბირა და მერე პასუხად დახატა სურათი, რაც ბევრს სანუგეშოს არაფერს იძლეოდა სამეფო ძალაუფლების სასარგებლოდ.

— თქვენ მეფე გინდათ? — უთხრა უხუცესებს. — კეთილი! მაგრამ იცოდეთ, რა ზნე და ხასიათი ექნება თქვენს მეფეს: „და ეტყოდა მათ: ესე არს სამართალი მეფეთა, რომელი მეფობდეს თქვენ ზედა: ძენი თქვენნი წარიყვანოს და დაადგინნეს იგინი მეტყველად მისსა, და ცხენთა ზედა აღსხნეს იგინი, წინა ეწრბოლად ეტლისა თვისისა. და დაადგინნეს იგინი თვისდა, ასისთავად და ათასის თავად და მომკლად სამკალისა თვისისა, ვენახისა მოქმედად და მეზვრედ და ყვნეს მათგანნი, რომელნიმე საჭურველის მოქმედად და რომელნიმე ეტლთა თვისთა მოქმედად, და ასულნი თქვენნი აღიხვნეს და ყვნეს საცხებელის მბგოლველ და სხვანი ქმნეს მზარეულ და მეპურედ ცხობად პურისა, და აგარაკნი თქვენნი და ვენახნი თქვენნი და ზეთისხილნი თქვენნი, კეთილი მიგიღოსთ და მისცეს მონათა თვისთა, და თესლნი თქვენნი და ღვინო თქვენი გაანათეულნეს და მისცეს საჭურისთა თვისთა და მონათა თვისთა. და მონანი თქვენნი და მხევალნი თქვენნი და სამწყოსონი თქვენნი კეთილნი და ვირნი თქვენნი მიგიღოს და განგიათეულნეს საქმესა ზედა თვისსა, და სამწყსონი თქვენნი განგიათეულნეს, და თქვენ იყვნეთ მისდა მონად, და ღაღადყოთ მეფისა მიმართ თქვენისა მას დღესა შინა, რომელიცა გამოირჩიოთ თავისა თქვენისათვის, და არა გისმინოს თქვენ უფალმან დღესა მას შინა, რამეთუ თქვენ თვით გამოირჩიეთ თავისა თვისისა მეფედ; და არა ინებეს ერთა სმენად სამო-

ელისა და ჰრქვეს მას: არა, არამედ მეფე იყავნ ჩვენ ზედა! და ვიყოთ ჩვენცა, ვითარცა ყოველივე წარმართნი..." (I მეფეთა, 8, 11—18).

მთელი თავისი მჭევრმეტყველებისა და დამაჯერებელი საბუთების მიუხედავად სამუელმა ვერ დააჯერა ერისკაცნი, მეფე გვინდაო, აიჩემეს. უნდა ვაღიაროთ, რომ მისი საერთოდ სავსებით სწორი სიტყვა მეფის რეჟიმის სისასტიკეზე გამსჭვალულია წყენის გრძნობით იმის გამო, რომ ებრაელებს სურთ შეზღუდონ ქურუმთა ძალაუფლება. საქმე კი საბოლოოდ იქით მიდიოდა, რომ თუ აქამდე ხალხს ქურუმები კრეჭდნენ, ახლა უხუცესნი მოითხოვდნენ, მკრეჭავი შეგვიცვალეთო, ან უფრო სწორად: ერთი საკმარისად ვერა გვკრეჭს, ორი გვირჩევნიაო.

თათბირი იმით დასრულდა, რომ ღმერთმა თავის წინასწარმეტყველს უთხრა: „ისმინე ხმაი მათი და დაუდგინე მათ მეფე" (მუხლ. 22). ამის შემდეგ სამუელი დამორჩილდა ხმას ღვთისას და ხმას ერისას, ხელი ჩაიქნია და უხუცესებს უთხრა: თქვენ-თქვენს სახლებში დაბრუნდითო.

ვისთვისღა გამოიზოგა ღმერთმა ისრაელის პირველი მეფის გვირგვინი?

„და იყო კაცი ძეთაგან ბენიამენისათა, რომლისა სახელი კის, ძე აბიელისა (აბიილისა), ძისა იარედისა (ცერონისა), ძისა ვახორისი (ბეხორათისა), ძისა აფეკისა, ძისა კაცისა იემენელისა, კაცი ძლიერი და მაგარი, და ამას ესვა ძე, და სახელი მისი საულ, კეთილ, დიდებულ კაცი და ტკბილ, და არა იყო ძეთა შორის ისრაელთასა სახიერ უფროს მისსა, და მხრითა ყოველთა ზედა, და უმაღლესი სიმაღლითა უფროს ყოველთა ერთა" (I მეფეთა, 9, 1—2).

როგორც ხედავთ, ეს საული მთელი თავით მაღალია მთელს თავის ერზე და ულამაზესია მთელს ისრაელში. სამეფო კაციც ასეთი უნდა.

საული სულაც არ იყო ეშმაკი კაცი. მამის დედალ სახედრებს მწყემსავდა, ეს იყო და ეს.

კისმა მოსამსახურის თანხლებით დედალი ვირების საძებნელად გაგზავნა. უშედეგოდ დაეხეტებოდნენ აღმა-დაღმა, ვირები თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ბოლოს მოსამსახურემ ურჩია, ერთი მისანსა ეკითხოთ, სად გადაკარგულან ის სამგლე სახედრებიო! საულმა შენიშნა, მისანს რამე უნდა მივცეთ, ჩვენ კი არაფერი გაგვაჩნიაო.

— ეს ნუ შეგაწუხებს, — მიუგო მსახურმა, — ჯერ კიდევ შემომრჩენია მეოთხედი ნაწილი სიკილა ვერცხლი და ამას მივცემთო. ამისათვის „ღვთის კაცი" მარჩიელობაზე უარს არ გვეტყვისო.

შემდეგ ბიბლია მოგვითხრობს, როგორ ეძებენ საული და მისი იონა ღვთის კაცს, წინასწარმეტყველს. ქალიშვილებმა უჩვენეს მისი სახლი, ეგერ ცხოვრობსო. საული და მისი მხლებელი სახლში შევიდნენ.

„და უფალმან აუწყა ყურსა სამოელისა დღითა ერთითა პირველ

მისვლისა მისდა მიმართ საულის და ეტყოდა, რამეთუ ქამსა ამას სცალისა მოვაველენ შენდა კაცსა ატომისაგან ბენიამენისა და ცხო მას მეფედ ერსა ზედა ჩემსა ისრაელისა, და იხსნას მან ერი ჩემი ხელთაგან უცხოთესლთასა, რამეთუ მივხედე შეჭირვებასა ზედა ერისა ჩემისასა, რამეთუ აღმოვიდა ღაღადება მათი ჩემდა. და იხილა სამოელ [illegible] მან ჰრქვა მისა მიმართ: აჰა ესერა კაცი, რომლისათვის გარქვი შენ, ესე მეფობდეს ერთა ჩემთა ზედა“ (I მეფეთა, 9, 15—17).

საულმა სამუელს ჰკითხა, სად ცხოვრობს წინასწარმეტყველიო. („წინა მხედველი“). „და მიუგო სამოელ საულს და ჰრქვა: მე თვით ვარ, აღმოვედ წინაშე ჩემსა ჭამად“. იმ დღეს „წინამხედველს“ სტუმრად 30 კაცი ჰყავდა. სუფრასთან საულს საპატიო ადგილი შესთავაზა და მზარეულმაც განსაკუთრებული კერძი მიართვა. უპირველეს ყოვლისა საული დაამშვიდა: შენი სახედრები იპოვეს და როცა შინ დაბრუნდები, მამაშენთან იქნებიანო. მეორე დღეს დილით კი დამშვიდობების წინ სამუელმა „აღიღო ჭურჭელი ზეთითა და დაასხა თავსა ზედა მისსა და ამბორს უყო მას და ჰრქვა: გცხო შენ უფალმან მეფედ ერისა თვისისა ისრაელთა შორის, და შენ ჰფედ პირველ იქმნე ერთა შორის უფლისათა, და შენ იხსნნა იგინი ხელისაგან მტერთა მათთა გარემოსთა, და ესე შენდა სასწაულად, რამეთუ გცხო შენ უფალმან სამკვიდრებელსა ზედა თვისსა მთავრად“ (I მეფეთა, 10, 16). სული უფლისა გადმოვიდა საულზე.

მართლაც, კისის შვილი სრულიად გარდაიქმნა, „იცვალა სხვად კაცად“, „შესცვალა ღმერთმან გული მისი სხვად“. პირდაპირ ხალხიდან ამორჩეულმა, გუშინდელმა ვირების მწყემსმა მეფისა და წინასწარმეტყველის იერი მიიღო. რაკი სამუელმა ჩააგონა, „ღმერთი შენთანა არსო“, თავი ცით შთაგონებულად იგრძნო. შინ რომ მივიდა და თავისი საყვარელი ვირები (კარაულები) ჭიშკართან ნახა, ისე გაიხარა, რომ პირდაპირ წინასწარმეტყველება დაიწყო, თანაც ისე ბუნებრივად და ზეშთაგონებულად, თითქოს თავის სიცოცხლეში ამის მეტი არაფერი ეკეთებინოს. „და აღვიდა მიერითგან ბორცვსა ზედა. და აჰა გუნდი წინასწარმეტყველთა წინაშე მისსა, და მოვიდა მას ზედა სული ღვთისა, და წინასწარმეტყველებდა საშუალ მათსა, და იქმნნეს ყოველნი მხილველნი მისნი გუშინ და მესამესა დღესა და იხილეს და აჰა იგი, შორის წინასწარმეტყველთა წინასწარმეტყველებდა. და თქვა ყოველმან ერმან კაცად კაცადმან მოყვასსა თვისსა: „რაი ესე იქმნა ძისა კისისსა, ანუ თუ საულცა წინასწარმეტყველთა შორის“* (I მეფეთა, 10, 9—12).

* ბიბლიის ეს მხატვრული თვალსაზრისით შესანიშნავი ეპიზოდი ანდაზად იქცა: „ნუთუ ახლა საულიც წინასწარმეტყველიაო?“ — იხმარება ირონიული მნიშვნელობით.

ამ დროისათვის აღთქმის კიდობანი მასეფში იდგა. აქ შეკრებილა სამუელმაც ისრაელი ხალხი. წმინდა მწერალი არაფერს ამბობს არც ამ დიდი **ისტორიული თავყრილობის დროზე,** არც იმის შესახებ, თუ როგორ მოთავსდა მრავალმილიონიანი ხალხი ერთ პატარა ქალაქში.

„და ჰრქვა სამოელ ძეთა მიმართ ისრაელისათა: ესრეთ ჰრქვა უფალმან ღმერთმან ისრაელისამან და მეტყოდა: მე ვარ, რომელმან გამოვიყვანენ მამანი თქვენნი, ძენი ისრაელისანი ეგვიპტისაგან და გიხსნენ თქვენ ხელისაგან ფარაოსა, მეფისა მეგვიპტელთასა, და ყოველთაგან მეფეთა, რომელნი გაჭირვებდეს თქვენ. ხოლო დღეს თქვენ შეურაცხყავთ ღმერთი თქვენი, რომელი იგი არს მხსნელი თქვენი ყოვლისაგან ბოროტისა და ჭირისა თქვენისა, და სთქვით არა: არამედ მეფე დაგვიდგინე ჩვენ ზედა. და აწ დადეგით წინაშე უფლისა ალმოთა თქვენითა და ტომითა თქვენითა და ათასის თავებითა თქვენითა.

და მოიყვანა სამოელ ყოველი ტომი ისრაელისა და დაეცა წილი ალამსა გუნდასა ზედა ბენიამენისსა, და მოიყვანა ალამი ბენიამენისა ტომად ტომად და დახდა წილი ტომსა ზედა მატტარისთა, და შეჰკრიბა ტომი მატტარისი კაცად კაცად და დაეცა წილი საულს, ძესა კისისსა, და ეძებდეს მას და ვერა ჰპოვეს“ (I *მეფეთა, 10, 18—21*).

საულს თვითონაც არაფერი უთქვამს მისი საიდუმლო ხელდასხმის შესახებ, და არც სამუელს უთქვანს ახლა ხალხისათვის: „ამასწინათ ღმერთმა საული მიჩვენა და ზეთი დავასხი თავზე, ის იქნება თქვენი მეფეო“ ამისათვის მოაწყო ასეთი მრავალსართულიანი არჩევნები, ეს გაფანტავდა ხალხში ყოველგვარ ეჭვსა და შურს ტომთა შორის. ბედის გამგებელი ღმერთი იყო და სამუელი დარწმუნებული იყო, რომ არჩევანი სწორედ საულზე შეჩერდებოდა. ხომ ვერ დატოვებდა ღმერთი თავის რჩეულს ყურადღების გარეშე, ხომ ვერ გახდიდა შემთხვევის საქმედ, რომ შეხლა-შემოხლის შედეგად ვინმე სხვა აერჩიათ მეფედ და არა ის, ვისი მირონცხებაც მისი ნებით უკვე მოხდა!

ახლა კი გავიხსენოთ იაკობის წინასწარმეტყველება: პატრიარქმა სიკვდილის წინ შვილები მოიხმო და მეფობა იუდას გვარ-ტომს დაუთქვა: „იუდა, შენ გაქებდენ ძმანი შენნი, ხელნი შენნი ზურგსა ზედა მტერთა შენთასა, თაყვანის გცემდენ შენ ძენი მამისა შენისანი. ლეკვო ლომისა, იუდა, მორჩისაგან აღმოჰხედ, შვილო ჩემო. მიწოლილმან მიიძინე, ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკვმან ლომისამან, ვინ აღადგინოს იგი? არა მოაკლდეს მთავარი იუდასაგან“ (*შექმნ., 49, 8—10*). ეტყობა, ღმერთს სრულიად დაავიწყდა ეს წინასწარმეტყველება და ისე ჩაუყარა საფუძველი ებრაელთა მონარქიას. გულმავიწყობა წინასწარმეტყველს არ ეპატიება, ღმერთს კი არა. მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, ამას გაიხსენებს მოგვიანებით. ჩვენ ვნახავთ, როგორ გადავა გვირგვინი საულის თავიდან

იუდას ერთ-ერთი შთამომავლის ხელში. ამრიგად, ღვთაებრივი გადმოცემა მეფობა დროებითია, ის გამოსწორდება და პატრიარქის წინასწარმეტყველება მაინც ახდება.

ჯერჯერობით კი ხალხი მუხლს იყრიდა არჩევნების შედეგის წინაშე. მაგრამ სწორედ ამ არჩევნებზე არ აღმოჩნდა თვით არჩეული.

— სადაა საული? რა მოუვიდა საულს?

პირიდან პირზე გადადიოდა ეს კითხვა. თვითონ ღმერთიც კი შეაწუხეს, ჰკითხეს: გამოჩნდება საული თუ არ გამოჩნდებაო?

„და ჰრქვა უფალმან: აჰა, იგი დაფარულ არს კიდობანსა შინა. და მიისწრაფა სამოელ და მოიყვანა იგი მიერითგან და დაადგინა იგი შორის ერისა, და იყო უმაღლეს ყოველთა ზედა ერთა მხრითა (მთელი ხალხი მხოლოდ მხრებამდე სწვდებოდა სიმაღლითო). და თქვა სამოელ ყოვლისა მიმართ ერისა: ხედავთა, რომელიცა გამოირჩია თვისად უფალმან, რამეთუ არა არს მსგავს მისსა ყოველთა შორის თქვენსა! და იხილა ყოველმან ერმან და ჰრქვეს, რათა ცხონდეს მეფე. და თქვა სამოელ ერისა მიმართ სამართალნი მეფეთანი და დაწერა წიგნსა და დადვა წინაშე უფლისა, და განუტევა სამოელ ყოველი ერი“ (I *მეფეთა, 10, 22—25*).

მომდევნო მუხლებიდან ჩანს, რომ პირველ ხანებში სამუელი ახალი ხელმწიფის პრემიერ-მინისტრი იყო. მან შეადგინა ებრაელთა სამეფოს ძირითადი კანონები და სწორედ ეს მისი ძვირფასი ხელნაწერი შეინახეს „უფლის წინაშე“, ე. ი. აღთქმის კიდობანში.

მაგრამ მოკლე ხანში საულსა და სამუელს შორის წინააღმდეგობამ იჩინა თავი. დაახლოებით ერთი თვე გავიდა. გულკეთილი და სულაც არა ამაყი საული არანაირად არ განასახიერებდა ულმობელ ტირანს, რომლის დესპოტიზმითაც სამუელი ებრაელებს ემუქრებოდა, რათა მონარქიული განწყობილება დაელეწა. იმის ნაცვლად, რომ აეგო ბრწყინვალე სასახლე, მოერთო ფუფუნებით და შემოეკრიბა დიდებული ამალა, ზიზილ-პიპილებით მორთული კარისკაცები, კისის შვილი თავის ფერმაში დაბრუნდა და ჩვეულებრივ მიწის მუშასავით განაგრძო ცხოვრება. ახლა სახელრებს აღარ მწყემსავდა, სამაგიეროდ ხარებს ერეკებოდა, მიწას ხნავდა. ამ დროს კი ამონიტელთა მეფემ ნაასმა ებრაელთა ქალაქ იაბისის დამორჩილება განიზრახა.

„და იქმნა შემდგომად თვისსა, და აღმოვიდა ნაასა ამანითინი, და დაიბანაკა იაბის ზედა გალადისასა, და ჰრქვეს ყოველთა კაცთა, იაბისთა, ნაასის მიმართ ამინითელისა, დაგვიდევ ჩვენ აღთქმა, და გმონებდეთ შენ. და ჰრქვა მათდა მიმართ ნაას ამანითელმან: ესე აღთქმაი დაგიდვა თქვენ, აღმოგხადო თქვენ კაცად კაცადსა თვალი მარჯვენე და დავდვა ყვედრებაი ისრაელსა ზედა.

და ჰრქვეს მას კაცთა იაბისთა გალადისთა: გვიტევე ჩვენ შვიდ

დღე, რათა წარუგზავნოთ ღაღადისი ყოველსა შორის საზღვართა ისრაელისათა, და უკეთუ არა იქმნას მხსნელი ჩვენი, მაშინ წარმოვიდეთ თქვენთანა.

და მივიდეს ღაღადისნი გაბაონსა საულის მიმართ და მიუთხრეს სიტყვანი ესე ყურსა შინა ერისასა. და აღიმაღლა ყოველმან ერმან ხმაი თვისი და ტიროდეს“ (*I მეფეთა, 11, 1—4*).

ამასობაში მეფე საული ყანიდან დაბრუნდა, ხარები გამოეხსნა უღლიდან და შინ მოერეკა.

„და სთქვა საულ: რაისა სტირს ერი ესე? და აუწყეს მას სიტყვანი კაცთა იაბისთა.

და გარდამოვიდა სული უფლისა საულის ზედა, რაჟამს ესმა სიტყვანი ესე, და განრისხნა მათ ზედა ფრიად.

და მოიყვანნა ორნი ხარნი და განანაწილნა იგინი ასოეულად და წარსცა ყოველსა შორის საზღვარსა ისრაელისასა, ხელითა ღაღადისთასა, და ეტყოდა: რომელი არა შეუდგეს კვალსა საულსა და კვალსა სამოელისასა, მსგავსად დაჭრად არს ძროხა და ცხოვარი მისი! და დაეცა შიში დიდი უფლისა ისრაელსა ზედა, და გამოვიდნენ, ვითარცა ერთი კაცი.

და აღრიცხვნა იგინი, ბეზეკსა და ვამესა შინა და იყვნეს ყოველნი კაცნი ისრაელისანი ექვს ასი ათასი, და კაცნი იუდასნი სამეოცდა ათი ათასი*.

და ჰრქვა საულ ღაღადისთა მოსრულთა: ესრეთ მიუთხრათ კაცთა იაბის გალადისასა: ხვალე იყოს ხსნა თქვენი აღმოსვლასა მზისასა (ელჩებს უთხრა: ხვალ მზის ამოსვლისას მოგეშველებითო). და მოვიდეს ღაღადისნი ქალაქად და მოუთხრეს კაცთა იაბისთა, და განიხარეს.

და თქვეს კაცთა იაბისთა ნაასის მიმართ ამანითელისასა: ხვალე გამოვიდეთ თქვენთანა და ქმენით ჩვენდა კეთილი წინაშე თვალთა თქვენთა.

და იქმნა განთიად და საულ განყო ერი. ყოველი სამად ბანაკად, და შევიდა შორის ბანაკთა სახმილავსა შინა განთიადისასა. და მოსრნა ძენი ამანითისანი, ვიდრე შემწუხრდებოდა დღე, და რომელი დაშთა, განივლტოდეს, და არა დაშთა არცა ორი მათგანი ერთად.

და თქვეს ერმან სამოელის მიმართ: ვინ არს, რომელი იტყოდა, რათა საულ არა მეფობდეს ჩვენ ზედა? მომეცით იგი და მოვწყვიდნეთ იგინი. და ჰრქვა საულ, რამეთუ არა მოკვდეს არცა ერთი ამას დღესა შინა,

---

* ქართულ დაბადებაში სხვა წყაროს ცნობაა, უნდა იყოს სამასი ათასი ისრაელი და ოცდაათი ათასი იუდეველი (ასეა ლუთერის ბიბლიაში, რუსულ ბიბლიაში და სხვ.).

რამეთუ დღეს ქმნა უფალმან ცხოვრებაი ისრაელსა შორის“ (I მეფეთა, 11, 5—13).

„მეფე-გლეხიკაცის“ ამ წმინდა გმირობამ ხალხი აღაფრთოვანა. ებრაელებმა თავიანთი „გიგანტური არმიის“ გამარჯვება ზეიმით აღნიშნეს, და გაიხარა „ყოველმან კაცმან ისრაელისამ ფრიად[illegible]

კრიტიკოსებს სულაც არ უკვირთ, რომ მეფე საულ[illegible] ხის მირონცხებული წინამძღოლი, მიწათმოქმედებას მისდევდა და მამის საქონელს უვლიდა. მაგრამ იმის დაჯერებაზე კი უარს აცხადებენ, რომ ასეთმა მეფემ სახნისიდან ხარები გამოხსნა და ხუთ დღეში ფეხზე დააყენა 330 000 მეომარი, ისიც იმ ეპოქაში, როცა თვითონ ბიბლიის ავტორების თქმით ქვეყანა ფილისტიმელთა, უცხო თესლის უღელქვეშ გმინავდა; ეპოქაში, როცა თვით ავტორთა თქმით ებრაელ ხალხს არ გააჩნდა არც მახვილი, არც შუბი, არც უბრალო რკინის ხელსაწყო, რომ გაფუჭებული ბარი ან დაჩლუნგებული თოხი შეეკეთებინა, ცელი გაეღესა, და ამასაც კი მჩაგვრელთა ნებართვა უნდოდა.

„გულივერმაც კი იცის ბევრი სიცრუე, — წერს ლორდი ბოლინგბროკი, — მაგრამ ასეთი წინააღმდეგობანი მას არა აქვს“.

მეთორმეტე თავში გადმოცემულია სამუელის ბუზღუნა სიტყვა: მთავარი ქურუმი დაბერდა, დაიღალა და მოსვენებას ითხოვს. დამთავრდა მსაჯულთა ბატონობა და დაიწყო მეფეთა მეუფება. მაგრამ სამუელი თავისი სურვილით არ წასულა ასპარეზიდან: თავის სიტყვაში განაცხადა, ებრაელმა ხალხმა რომ მეფე მოითხოვა, ამით ცოდვა გაიმრავლაო. მაგრამ რაკი მეფე გყავთ, ბარემ გაუფრთხილდითო, დასძენს თვითონვე. რაც მთავარია, ხალხმა უნდა იწამოს, ორკეცი რელიგიური გულმოდგინება უნდა გამოიჩინოსო. ღმერთთან თავისი სიახლოვე რომ დაემტკიცებინა, სამუელმა იქვე სახელდახელოდ მოახდინა ისეთი სასწაული, რომლის მსგავსიც მხოლოდ ბიბლიაშია მოსალოდნელი.

სამუელმა ხალხს უთხრა: „და ამიერითგან დადეგით და იხილეთ სიტყვა ესე დიდი, რომელი ქმნას უფალმან წინაშე თვალთა თქვენთა. არა არსა მკა იქცლისა დღეს? მოუწოდო უფალსა და მოსცეს ქუხილნი და წვიმანი და გულის ხმა ყოთ და იხილოთ, რამეთუ სიბოროტე თქვენი დიდ არს, რომელი ჰყავთ წინაშე უფლისა, გამოითხოვეთ რა თავისა თქვენისა მეფე. და მოუწოდა სამოელ უფალსა და მოსცა უფალმან ქუხილი და წვიმა მას დღესა შინა. და შეუშინდა ყოველი ერი ფრიად უფალსა და სამოელსა“ (I მეფეთა, 12, 16—18).

ამის შემდეგ მოხუცი წინასწარმეტყველი წავიდა, მაგრამ წინდაწინ თავის თანამემამულეებს დაჰპირდა, ჩემს ლოცვაში არასოდეს არ დაგიწყებთო.

მაგრამ სამუელის გადადგომა უაღრესად ჰგავს დიპლომატიურ ოინს.

„სამეფო ხელისუფლებაში“ მომხდარი ცვლილების ამბავი რომ გაიგეს, ფილისტიმელებმა ახალი თავდასხმის მოწყობა განიზრახეს ებრაელი ხალხის დასათრგუნავად. ამას საულის ქვეშევრდომთა სულიერი მღელვარება არ გამოუწვევია. 330 000 მეომარი, სულ ახლახან რომ შეკრიბა და გამარჯვების გვირგვინიც დაადგა, ისე გადაყრია ხელიდან მახვილი წყალში. ძლივს შეიყარა მცირე ჯარი.

„და შეკრბეს ერნი საულისა თანა გალგალსა. და უცხო თესლნიცა შეკრბეს ბრძოლად ისრაელისა ზედა (და მოვიდენ ისრაელსა ზედა) ოცდა ათი ათასი ქვეითი ჭურვილი და ექვსი ათასი ცხენოსანი, და ერისა სიმრავლე, ვითარცა ქვიშა ზღვისა. და შევიდეს და დაიბანაკეს მაქამსსა შინა (მიქმასში), წინაშე ბეთრონისა აღმოსავლით. და იხილეს კაცთა ისრაელისათა, რამეთუ ვერ უძლებდეს მათდა წინა აღმდგომად, და დაიმალნეს ერნი ქვაბთა შინა და მთათა და ქვაბთა და ნაპრალთა და მღვიმეთა შინა. და წარვიდენ და განვიდენ იორდანესა ქვეყანასა შინა გადისა და გალადისასა. ხოლო საულ იყო კვალად გალგალასა, და ყოველნი ერნი შეძრწუნდეს, რომელნი იყვნეს მისთანა. და უცდიდეს შვიდ დღე, ვითარცა უბრძანა სამოელ, და არა მოვიდა სამოელ გალგალად, და განიბნივნეს ყოველნი ერნი მისნი მისგან“ (I *მეფეთა, 13, 5—8*).

რაკი სამუელი აგვიანებდა, საულმა საჭიროდ ჩათვალა თვითონ შეეწირა ღმერთისთვის ყოვლად დასაწველი — მსხვერპლი.

„და შეწირა ყოვლად დასაწველი.

და იქმნა, ოდეს აღასრულა შეწირვა ყოვლად დასაწველისა და აჰა, სამოველ მოვიდა და საულ გამოვიდა მიგებებად მისსა, კურთხევად მის მიერ.

და ჰრქვა სამოელ: რაი ესე ჰქმენ? და ჰრქვა საულ: ვიხილე, რამეთუ განვიდოდეს ერნი ჩემგან და შენ არა მოხვედ, ვითარცა განმისაზღვრე (დათქმულ დროს) მოწმობითა დღეთასა, და უცხო თესლნი შემოვიდეს ჩემდა გალგალსა და პირსა უფლისასა არა ვევედრე და ვერ მოვითმინე და შევწირე ყოვლად დასაწველი.

და თქვა სამოელ, საულის მიმართ: ამაო არს შენდა, ვინათგან არა დაიმარხე მცნება ღვთისა შენისა, რომელი გამცნო შენ უფალმან, რამეთუ აწ განემზადა უფლისა მეფობა შენი ისრაელისა შორის უკუნისამდე.

და აწ მეფობაი შენი არა დაადგრეს შენდა, და იძიოს თვისად უფალმან კაცი გულისაებრ თვისისა, და უბრძანოს მას უფალმან მფლობელ ყოფად ერსა ზედა მისსა, რამეთუ არა დაიმარხე, რაოდენნი გამცნო შენ უფალმან.

და აღდგა სამოელ და წარვიდა გალგალითგან გზასა თვისსა: და ნარჩომნი ერნი ვიდოდეს კვალსა საულისასა შემთხვევად ერისა მბრძოლისა აღმოსლვასა მათსა გალგალითაგან გაბას შინა ბენიამენისთა: და

აღრიცხვნა საულ ერნი და ეპოვა მისთანა ექვსასი კაცი“ (I მეფეთა, 13, 8—15).

სამუელი უბრალოდ ქურუმი და წინასწარმეტყველი იყო. საულსაც ისეთივე ღირსებები ჰქონდა, რადგან მირონცხების შემდეგ ის ქურუმიც და წინასწარმეტყველებაც დაიწყო. მაშასადამე, საულს ერთადერთი ნაკლი დომა არ ჩაუდენია, თავის თავს რომ მსხვერპლის შეწირვის ნება მისცა. გარდა ამისა, ხომ არ გეჩვენებათ, რომ სამუელმა, რომელსაც ფარული ბრაზი ღრღნიდა თავისი სიბერისა და გადადგომის გამო, განზრახ შეიგვიანა, ბრძოლის ველზე დათქმულ დროს არ გამოცხადდა, რათა სამღვდელოთა წესი მეფეს შეესრულებინა და ხალხის თვალში გაეკიცხა, დაემცირებინა თავისი მეტოქე? თუ ვინმეს შეუძლია დაიტრაბახოს, რომ ისრაელის მეფობისათვის არავითარი მზაკვრული ბრიკები არ მოუწყვია, ეს იქნება საული, სახედრების მწყემსი კისის თავმდაბალი შვილი. ახლა კი მასაც უპოვეს ხინჯი. როგორც გენებოთ და მდგომარეობა ძალზე გამოუვალი ჩანდა. ექვსასი კაცით განრისხებული მტრის ურდოების წინაშე დგომა ვის არ გაუფუჭებდა ხასიათს?

„ხოლო მჭედელნი რკინისანი არა იპოვნეს ყოველსა შორის ქვეყანასა ისრაელისასა, რამეთუ თქუიან უცხო თესლთა, ნუ უკვე იქმოდიან ებრაელნი მახვილსა და შუბსა.

და ვიდოდეს ყოველნი ძენი ისრაელისანი ქვეყანასა უცხოსა თესლთასა, ჰედად თვითეული თვისისა მანგლითა, და საჭურველისა მათისა, და კაცად კაცადი ცულისა თვისისა და ცელისა თვისისა.

და მომსთველელნი ყოველნი ჭურჭელსა მოისწრებდეს მკისასა, ხოლო ცულნი და ცელნი, წარმართებულ მათდა არა იქმნებოდა.

და იყო დღესა მას შინა ბრძოლასა მაჭამსისასა, არა იპოვა მახვილი და შუბი ხელთა შინა ყოველთა ერთასა, რომელნი იყვნენ საულისა და იონათანისა თანა, თვინიერ საულისა და იონათან, ძისა მისისა.

და გამოვიდეს სადგურთაგან უცხო თესლთასა, წიაღ კერძო უცხო თესლთასა“ (I მეფეთა, 13, 19—22).

ნათელია, ბრძოლა იქნებოდა უთანასწორო: არც იმ 330 000 მეომარს იქნებოდა იარაღი, ერთი წლის წინ იაბისის მისადგომებთან ამონიტელთა ლაშქარი რომ აღგავეს პირისაგან მიწისა (რა მალე ამოდიოდნენ ხალხები მიწიდან სოკოსავით!). მაგრამ მაშინ საქმე ალბათ რიცხვობრივმა უპირატესობამ გადაწყვიტა. ახლა კი, როცა სულ ექვსასი მეომარი ჰყავდათ და ისიც უიარაღო, საქმე რთულდებოდა, და საულს უთუოდ დაღრეჯილი სახე ექნებოდა, როცა ფილისტიმელებს ხვდებოდა „მაქსამსის კერძო“.

საბედნიეროდ, იონათანს, მეფის შვილს, პირველი თანრიგის მძლეოსნის ღონე და შეუპოვარი ზნე ჰქონდა. მამას არც დაეკითხა, ისე წაიყ-

ვანა ერთი მონა და ფილისტიმელთა არმიის მოწინავე ხაზზე გავიდა. იქ შენიშნეს მტრის ჯარისკაცები, რომელთაც ბექობზე გაემართათ საგუშაგო და მთელს დაბლობს მაღლიდან გადასცქეროდნენ.

ფილისტიმელებმაც შენიშნეს უფლისწული და მისი მსახური, „და იტყოდეს უცხო თესლნი: აჰა ებრაელნი აღმოვლენ ნაპრალით, ფიცხით, სადა იყვნენ დაფარულნი,

და მიუგეს კაცთა მესაველთა იონათანის მიმართ, და მტვირთველისა მისართ საჭურველისა მისისა, და ჰრქვეს: აღმოდით ჩვენდა და გამოგიცხადოთ თქვენ სიტყვად. და ჰრქვა იონათან მტვირთველსა საჭურველისა მისისასა: მოვედ შემდგომად ჩემსა, რამეთუ იგინი უფალმან ხელსა შინა ისრაელისასა მოსცა.

და აღვიდა იონათან ხელითა და ფერხითა ბორძღვით, და მტვირთველი საჭურველისა მისისა უკან მისა და ხედვიდეს უცხო თესლნი პირსა იონათანისასა და მოსრნა იგინი მან და მტვირთველმან საჭურველისამან მსრველმან კვალსა შინა მისსა.

და იქმნა წყლულებაი პირველი, რომლითა მოსრნა იონათან, და მტვირთველმან საჭურველისა მისისამან, რამეთუ ოც ოდენ კაცნი ხიშტითა და გორვითა ქვათა და ლოდთა ველისათა.

და იქმნა საშინელება ბანაკთა შორის და სოფელსა ზედა და ყოვლისა ერისა, რომელი იყო მეხავსა შინა, და მომსრველნი განცვიფრდეს, რამეთუ მათ არა ენებათ ბრძოლად და შეძრწუნდა ქვეყანა“ (I მეფეთა, *14, 11—15*).

ამ დროს საულმა უზენაესი ქურუმი აქია მოიწვია მსხვერპლის შეწირვაზე დასასწრებად. უეცრად გაისმა ხმაური, გოდება და წივილ-კივილი, ფილისტიმელთა ბანაკში არეულობა იყო.

„აღვიდა საულ და ყოველი ერი, რომელი იყო მისთანა, და მოვიდეს ბრძოლამდი, და აჰა, ქმნა საჭურველი თვითეულისა მოყვასსა ზედა თვისსა (ერთიმეორეს ხოცავდნენ თავისიანები), და იქმნა შფოთი დიდი.

არამედ ებრაელნიცა, რომელნი იყვნენ უცხო თესლთათანა გუშინ და გუშინისწინ, გამოსული ბანაკსა შინა და მოიქცეს იგინიცა, რათამცა ქმნნეს ისრაელთა თანა, მყოფთა საულისა და იონათანის თანა.

და ყოველნი ისრაელნი, რომელნი დაფარულ იყვნეს მთასა შინა ეფრემისასა, ესმათ, რამეთუ განვლტოლვილ იყვნეს უცხო თესლნი: შეკრბეს იგინიცა და დევნა უყვეს მათ ბრძოლითა, და იხსნა მას დღესა შინა უფალმან ისრაელნი ხელთაგან უცხო თესლთაგან. ხოლო ბრძოლა განვიდა ბამოფამდე.

და ყოველნი ერნი იყვნეს საულის თანა, ვითარ ათი ათასი კაცნი, და იყო ყოველი ბრძოლა განბნეული ყოველთა შინა ქალაქთა მთასა ზედა ეფრემისსა“ (I მეფეთა, *14, 20—24*).

წარმოიდგინეთ, ბაფომამდე (ბეფ-აბენამდე) გაგრძელდაო ბრძოლა! აი, გამარჯვებაც ის იქნებოდა. ლამის ერთმა იონათანმა დაამარცხა ფილისტიმელთა ურდო, თვითონ მისი საჭურველთმტვირთველიც კი მხოლოდ ეხმარებოდა, გადარჩენილებს ან დაჭრილებს მუსრავდა. ბოლოს მხოლოდ ბრძოლის ხმაურში დასძებნეს იონათანი და მისი საჭურველთმტვირთველი, მაშინ მიხვდნენ, ვის გაუმართავს მტრის რიგებში ასეთი სვრეტა.

„და საულ ჰყო უგუნურება დიდი მას დღესა შინა, და აფუცა ერსა, მეტყველმან: წყეულ იყავ კაცი, რომელმან ჭამოს პური მწუხრამდე, ვიდრე შური ვაგო მტერთა ჩემთა, და არა იგემეს ყოველთა კაცთა პური.

და ყოველი ქვეყანა სადილობდა და აჰა იყო მაღნარი ფუტკრისა წინაშე სოფლისა.

და შევიდოდა ყოველი კაცი სასკესა ფუტკრისასა და აჰა ხედვიდეს კაცნი, რამეთუ გამოდის თაფლი, არამედ (მაგრამ) არა იყო მიმქცევი ხელის პირისა მიმართ თვისისა, რამეთუ ეშინოდა ერსა ფიცისა უფლისა.

ხოლო იონათან ვერ ისმინა, ოდეს აფიცა მამამან მისმან ერი (ბრძოლაში იყო გასული) და განირთხა წვერი შუბისა თვისისა, რომელი იყო ხელსა შინა მისსა, და დააწო იგი გოლსა თაფლისასა და მიაქცია ხელითა თვისითა პირსა შინა მისსა, და განუნათლდა თვალნი მისნი.

და ჰრქვა ერთმან ერისგანმან, მეტყველმან: ფიცით დასწყევა მამამან შენმან ერი, მეტყველმან: წყეულ იყავნ კაცი, რომელმან ჭამოს პური დღესა ამას შინა, და მოუძლურდა ერი.

და იონათან ცნა და ჰრქვა: შეაძრწუნა მამამან ჩემმან ქვეყანა. იხილეთ, ვითარ განათლდა თვალნი ჩემნი, ოდეს მცირე გემოი ვიხილე თაფლისა ამისგან.

ჰოი, რათამცა ჭამით ეჭამა დღეს ერსა ნატყვენავისაგან მტერთა მათთასა, რომელი იპოვეს, უმრავლესცა ყოფილ იყო დღეს წყლულება უცხო თესლთა შორის! (ხალხს რომ ეჭამა, განა მეტი ზიანი არ მოუვიდოდათ ფილისტიმელებსო?).

და მოსრნეს დღესა ამას შინა უცხო თესლთაგან უმრავლეს, ვიდრე მაქმასსა შინა, და დაშვრა ერი ფრიად“ (I მეფეთა, 14, 24—31).

ქვემოთ წმინდა ავტორი შემდეგ მოგვითხრობს, როგორ დაიტაცეს გამარჯვებულებმა ნადავლი.

„და მიიქცა ერი ნატყვენავსა ზედა და მოყვანდათ ერსა სამწყსო ხარნი, კამბეჩნი და ხბონი ზრდილთანი და დაჰკლვიდეს ქვეყანასა ზედა და ჭამდეს ერნი სისხლითა.

და მიუთხრეს საულს, მეტყველთა: სცოდა ერმან უფლისა მიმართ, რამეთუ ჭამეს სისხლითა. და ჰრქვა საულ: მომიგორეთ მე აქა ლოდი დიდი.

და ჰრქვა საულ: მივედით ერთა მათ მიმართ და არქვით, რათა მოიღონ აქ თვითოეულმან ხბო თვისი და თვითოეულმან ცხოვარი თვისი, რათამცა დაკლან ქვასა ამას ზედა, და ჭამონ იგი და ნუ სცოდავთ უფალსა ჭამითა სისხლითურთ. და მოიყვანეს ღამით [illegible] თვითოეულმან, რომელი აქვნდათ ხელთა შინა თვისთა და [illegible] მუნ" *(I მეფეთა, 14, 32—34)*.

წარმოდგენილი გაქვთ, ეს რა ხოცვა-ჟლეტა იყო?

„და საულ აღუშენა მუნ საკურთხეველი უფლისა, და ესრეთ იწყო საულ აღშენება საკურთხეველისა უფლისა.

და ჰრქვა საულ. შთავიდეთ უკანა უცხო თესლთა ღამით და მივიტაცხეთ იგინი, ვიდრე განთენებადმდე, და ნუ დაუტევებთ მათგან კაცსა, და ჰრქვეს: ჰყავ, რაიცა ჰსთნდეს წინაშე თვალთა შენთა. და ჰრქვა მღდელმან: წარვდგეთ აქა ღვთისა მიმართ.

და ჰკითხა საულ ღმერთსა: შთავიდეა უკანით უცხო თესლთა? და მოსცეა იგი ხელთა შინა ისრაელთასა? და არა მიუგო მას უფალმან მას დღესა შინა" (1 მეფეთა 14, 35—37).

ამაოდ მიადო საულმა ყური აღთქმის კიდობანს, რომლის აქ მოტანაც უზენაესმა ქურუმმა აქიამ ბრძანა. ამაოდ ელოდნენ იქიდან უფლის სიტყვის გაგონებას. ღმერთი გაჯიუტდა და კრინტს არა ძრაობდა. მაშინ საული დარწმუნდა, რომ ღმერთი რატომღაც უკმაყოფილოა.

რისთვის უნდა გაბრაზებულიყო საბაოთი? უზენაეს ქურუმს აქიას, ფინეზის შვილიშვილს, ეტყობა, არაფერი არ უჭამია წმინდა ქვაბიდან, რადგან არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ასეთი ღორმუცელობა პაპამისს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. საულიც სრულიად უცოდველად თვლიდა თავს და მართლაც, სამაგალითო კაცი იყო. საძრახისი არაფერი არ ჩაუდენია, თუ არ ჩავთვლით ფიცს, რომ მტრის გაწყვეტამდე ლუკმა არავინ ჭამოს. ყოველ შემთხვევაში, ბიბლია მის შესახებ საძრახისს არაფერს არ ამბობს. არც იონათანი შეიძლება ცოდვილად ჩაითვალოს, რადგან მტრის წინააღმდეგ ერთმა გაილაშქრა და არ იცოდა, რომ მამამისმა ჭამა აკრძალა. გარდა ამისა, ისიც არაა ცნობილი, დაადასტურა თუ არა ღმერთმა ასეთი გადაწყვეტილება საულისა. ბრძოლის წინ რომ ჯარს ჭამა აუკრძალო, ეს ხომ უბრალო, უნიჭო სისულელეა და მეტი არაფერი!

მაშასადამე თუ ვინმემ რამე დააშავა, ისევ უბედური ხალხი დააშავებდა, ფილისტიმელთა მთელი სქონელი რომ შეჭამა, ისე რომ სისხლის გამოსვლაც არ დააცალეს, შეწვა კი არა, ეს კანონის საწინააღმდეგოა. იმავე ღამეს ხალხმა საკუთარი პირუტყვიც გაწყვიტა და შეჭამა, ოღონდ უკვე კანონის შესაბამისად. ბიბლია სხვათა შორის, არაფერს არ ლაპარაკობს ჯარისკაცთა კუჭის მოშლილობაზე. ეტყობა, მათ რკინის ორგანიზმი ჰქონდათ, წყალობითა ღვთისათა.

ასეა თუ ისე, ღმერთმა პასუხის გაცემა არ ინება. მაშასადამე, საჭირო იყო დამნაშავის გამონახვა.

„და ჰრქვა საულ ყოველსა ისრაელსა: თქვენ დადეგით ერთსა მხარესა, ხოლო მე და იონათან, ძე ჩემი დავდგეთ მეორესა მხარესა. და მიუგო ყოველმან ერმან საულს: რაიცა სათნო არს წინაშე შენსა, იქმოდეს.

და თქვა საულ: უფალო ღმერთო ისრაელისაო! მოგვეც სასწაული. თუ ჰრქვა ესე, აწ ერსა შენსა ისრაელს, მომეც აწ ღირსება: და დაეცა წილი იონათანსა და საულსა ზედა, და ერი გამოვიდა.

და ჰრქვა საულ: განაგდეთ წილი ჩემ ზედა და იონათან ძესა ჩემსა ზედა, და რომელიცა გამოაჩინოს უფალმან, სიკვდილით მოკვდეს. და ჰრქვა ერმან საულს; ნუ იყოფინ სიტყვა ესე: დასძლია საულ ერსა და განაგდეს წილი მისთვის და იონათანისათვის, ძისა მისისა, და დაეცა იონათანის ზედა წილი.

და ჰრქვა საულ იონათანს: მაუწყე მე, რაი გიქმნიეს ესე? და მიუთხრა მას იონათან, და ჰრქვა: „ჭამით ვჭამე მცირე თაფლი ამოწებული შუბია დუგლუგითა, რომელი მაქვნდა ხელსა შინა ჩემსა და აჰა, მე მოვკვდები.

და ჰრქვა მას საულ: ეგრეთ მიყოს მე ღმერთმან და ესე შემძინოს მე, რამეთუ სიკვდილითა მოჰკვდე დღეს.

და მიუგო ყოველმან ერმან საულს: ნუთუ მოკვდეს დღეს, რომელმან ჰმნა ცხოვრებაი ესე დიდი ისრაელისა შორის? ნუ იყოფინ ეგრე, ცხოველ არს უფალი, არა დაეცეს თმაცა თავისა მისისა ქვეყანასა ზედა, რამეთუ წყალობითა ღვთისათა ჰმნა მან დღეს ესე: და ევედრნეს იგი იონათანისათვის მას დღესა შინა და არა მოკვდა“ (I მეფეთა, 14, 40—45).

ამრიგად, ხალხმა არ გაიმეტა მისი გადამრჩენი იონათანი, ილოცა მისთვის და სიკვდილს გადაარჩინა. საულმა კი აღარ „უყო დევნა“ ფილისტიმელებს და მტერი მშვიდობით წავიდა შინ. შემდეგ კი „განძლიერდა საულ მეფედ ისრაელსა შორის და სძლო გარემოს ყოველთა მტერთა მისთა, მოაბელთა, და ძეთა ამონისათა,და ძეთა ედომისათა და ევფორისათა და სამეფოსა სუბანისასა და უცხო თესლთა... იხსნა ისრაელი ხელთაგან მძლავრთა მათთასა“... მაგრამ მთელი ამ გამარჯვებების ნაყოფი წყალში იყრებოდა „და იყო ბრძოლა ძლიერი უცხო თესლთა ზედა ყოველსა დღესა შინა საულისასა“ (მუხლი 47—52).

კისის შვილის მეფობა ერთ დროს, რასაც წმინდა ავტორი ზუსტად არ გვაცნობს, საულის მეფობა დიდებითაც ყოფილა მოსილი. უაღრესად ღვთისმსახურული და მნიშვნელოვანი მეთოთხმეტე თავის დასასრული გადმოგვცემს საულის ოჯახის და მის შთამომავალთა მოკლე ამბავს. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ იონათანის გარდა საულს ჰყავდა კიდევ ორი შვილი და ორი ასული — მეროვა და მელხოლა. ამ ქალიშვილებს ქვემოთ კიდევ შევხვდებით.

საულის შეცოდება და უმოწყალესი ღმერთის რისხვა

ეთხუთმეტე თავში ასპარეზზე ისევ გამოდის მოხუცი სამუელი. მისი წაქეზებით იწყება ომი ამალეკებთან, თუმცა ეს ხალხი აღარ ამჟღავნებს აგრესიულ სულისკვეთებას და სრულიად წყნარადაა.

„და ჰრქვა სამოელ საულს: მომავლინა მე უფალმან ცხებად შენდა მეფედ, ერთა შორის ისრაელთა. და აწ უსმინე ხმასა სიტყვისა უფლისასა. ესრეთ მრქვა უფალმან საბაოთმან: აწ შური ვაგო, რომელი უქმნა ამალეკმან ისრაელსა, რაჟამს შეემთხვივა იგი გზასა ზედა აღმომავალთა მათ ეგვიპტითგან.

და აწ შენ წარვედ და მოსრენ ამალეკი და იარიმ, და ყოველი, რომელნი არიან მისსა, და ნუ აცოცხლებ მათგან ნურა რაისა, და აღმოჰფხვარ იგინი და დასწყევე იგინი და ყოველნი მეფენი მისთანა და არა რიდო მათ, და მოსწყვიდენ მამაკაცითგან დედაკაცადმდე, და ყრმითგან ვიდრე ძუძუს მწოვართამდე რძისა და ზროხითგან ცხოვართამდე და აქლემითთგან კარაულთამდე“ *(I მეფეთა, 15, 1—3)*.

ყველაზე უფრო ზომიერი კრიტიკოსებიც კი ისე ლაპარაკობენ ბიბლიის ამ ნაწყვეტზე, როგორც უსაზარლეს, შემაძრწუნებელ უკაცუროებაზე.

„როგორ! — შესძახა მორწმუნე ლორდმა ბოლინგბროკმა, — სამყაროს შემოქმედი აიძულო დაეშვას დედამიწის ერთ უბადრუკ კუთხეში მხოლოდ იმისათვის, რომ ებრაელებს უთხრას:

— ის მინდოდა მეთქვა: ეს არის მომაგონდა, რომ დაახლოებით ამ 500 წლის წინათ რომელიღაც პაწაწინა ხალხმა არ ისურვა თქვენი გაშვება თავის ტერიტორიაზე. თქვენ გინდათ სასტიკი ომი გამოუცხადოთ თქვენს დამმონებლებს — ფილისტიმელებს, რომელთაც თქვენ აეშალეთ. მოეშვით ამ ძნელ საქმეს და გაეშურეთ სალაშქროდ იმ პატარა ხალხის დასათრგუნავად, რომელმაც ოდესღაც გაბედა წინააღმდეგობა გაეწია თქვენი წინაპრებისათვის, რომელთაც მისი აოხრება განიზრახეს. გაჟლიტეთ მამაკაცები, დედაკაცები, მოხუცები და ბავშვები. გაწყვიტეთ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, აქლემები, ვირები, რადგან თქვენს მომავალ ომში, ძლიერ ფილისტიმელებთან შეტაკებაში ძალიან სასარგებ-

ლოა, რომ არა გყავდეთ არც ბსხვილფეხა, არც წვრილფეხა საქონელი, არც სახედრები, არც აქლემები, არ გქონდეთ არც სალაშქრო ეტლები...“

ასე გახლავთ, ბიბლია კი მშვიდად მოგვითხრობს:

„და შეკრიბა ერი საულ და აღრაცხნა იგინი გალგალასა შინა ოთხასი ათასი ქვეითი* და ოც და ათი ათასი ძეთაგან იუდასთა“ (I მეფეთა, 11, 8). გზა მშვიდობისა! ღმერთმა ხელი მოუმართოს! საულს ცოტათი მეტი ჯარი ჰყავს, ვიდრე გალგალის მწირ ბანაკში, სადაც სულ 600 კაცი შემორჩა. თუმცა ჩვენ არც ახლა ვიცით, რა მოუვიდა დანარჩენ 120 000 კაცს, რომელთაც თავისი მეფობის პირველ ხანებში მიუძღოდა. სულ ახლახან ჩვენს თვალწინ ჩაიარა 330 000 გმირმა, რომლებიც უიარაღოდ შეებნენ ამონიტელებს. ახლა იმ ლაშქრიდან სულ 210 000 მებრძოლი გადარჩენილა. დანარჩენი 120 000 კაცი სად გაქრა? ნუთუ ბრძოლის ველზე დაეცა! აჰ, საყვარელო მტრედო, როგორ გღალატობს ამ ბოლო დროს მეხსიერება!

ებრაელთა არმიის გამარჯვება სრული და ბრწყინვალე იყო. ამალეკების სახსენებელი გაწყდა „აბილიდან სურამდე“. საულმა ურიცხვი ტყვე მოასხა და ებრაელებმა ისინი პირწმინდად გაწყვიტეს. მაგრამ საულმა მაინც შეიბრალა მეფე აგოგი, რადგან რაც უნდა იყოს, მისი თანაბარი ტიტული ჰქონდა :„დიაცო საულ და ყოველმან ერმან აგოგ მეფე ცოცხალი“. ამან დაღუპა საული.

ღმერთს არ მოეწონა ასეთი ქველმოქმედება. საბაოთი სამუელს გამოეცხადა და უთხრა: „შევინანე, რამეთუ ვსცხე საულსა მეფედ, ვინათგან მიიქცა ჩემგან და სიტყვანი ჩემნი არა დაიმარხნა. და მოიწყინა სამოელ, და გოდებდა უფლისა მიმართ ღამე ყოველ“ (I მეფეთა, 15, 11). რა შედეგი მოჰყვა ღმერთის გამოცხადებასა და სამუელის გოდებას ყოველ ღამე? ბიბლიის ეს თავი ვოლტერს გადმოცემული აქვს დრამაში „საული“. სცენა იწყება გალგალში, იუდეველთა მეფისა და მისი კარისკაცის ბაზას საუბრით.

ბ ა ზ ა. ო, დიდო საულ! ო, უძლიერესო მეფეთა შორის! შენ ბატონობ სამ ტბაზე, 500 სტადიის თანაბარ ფართობზე! შენ ხარ აგოგ მეფის მძლეველი, ამალიკელთა დიდი მეფისა, რომლის სარდლები უღონიერეს ვირებს კაზმავდნენ! შენ უსათუოდ დაიმორჩილებ მთელს დედამიწას, როგორც ღმერთი არაერთხელ დაჰპირდა ებრაელებს! რა კაეშანს უნდა დაენისლა შენი კეთილშობილური ღეზეიმი და შენი დიდი იმედები?!

ს ა უ ლ ი. ო, ძვირფასო ბაზა! ათასჯერ უფრო ბედნიერია ის, ვინც დამშვიდებული მწყემსავს ბენიამინის ბღავილა ნახირს და ენგადის ველ-

* რაოდენობაში აქაც განსხვავებაა: ლათინურ ტექსტში (ავრეთვე რუსულში, გერმანულში) წერია ორასი ათასი.

ზე ტკბილ ყურძენს წურავს! ვაგლახ! მე დავეძებდი მამის სახედრებს და ვიპოვე სამეფო! იმ დღიდან მხოლოდ ჭირსა და ვარამს ვხედავ... უმჯობესი იქნებოდა სამეფოს ძებნაში სახედრები მენახა! როგორც მოგეხსენება, სამუელმა უფლის ნებით მაცხო ზეთი. ყველაფერი გაგეგო. ამისათვის, რომ წინ აღდგომოდა ხალხის მიერ სხვა მეფის არჩევას, და თავგორც კი ამირჩია, ჩემს უსასტიკეს მტრად იქცა.

ბაზა. შენ ამისი მოლოდინი უნდა გქონოდა: ის იყო ქურუმი, შენ კი იყავი მეომარი. შენამდე ის იყო გამგებელი. ადამიანებს ყოველთვის სძულთ თავიანთი მემკვიდრეები.

საული. განა შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ კვლავაც შეიძლებდა გამგებლობას? ვის გაუზიარა ძალაუფლება? უღირს შვილებს, გარყვნილებსა და მექრთამეებს, რომლებიც საჯაროდ ვაჭრობენ მართლმსაჯულებით. ხალხი ბოლოს და ბოლოს აუჯანყდა ამ ქურუმთა ძალაუფლებას. მეფის არჩევა გარდუვალი გახდა. წმინდა დროშებმა ზეცის ნება განაცხადეს, ხალხმა ის დაამტკიცა, და სამუელი შეცახცახდა. ის კიდევ არაფერი, რომ ჩემში სძულს მბრძანებელი, ზეცის რჩეული. მას სძულს ჩემში კიდევ წინასწარმეტყველი. ხომ იცის, რომ მისებრ ძალმიძს განჭვრეტა და მეც ვწინასწარმეტყველებდი მასავით! ახალი ანდაზა, რაც ისრაელში გავრცელდა — „საულიც წინასწარმეტყველიაო“ — მის სმენას მეტისმეტად შეურაცხყოფს. მერე და, ჩემდა საუბედუროდ, მას ჯერ კიდევ პატივს სცემენ. ის ქურუმია და ამიტომ საბიშია.

ბაზა. შენი სამეფო ძალაუფლება საკმაოდ მომაგრებულია შენი გამარჯვებებით, ხოლო მეფე აგოგი, შენი ბრწყინვალე ტყვე, შეგიძლია გამოიყენო, როგორც მისი ხალხის ერთგულების მძევალი, რომელიც ერთნაირად აღტაცებულია შენი გამარჯვებითა და შენი დიდსულოვნობით... აი, მოჰყავთ კიდევაც შენდა სახილველად (გუშაგთა თანხლებით შემოდის აგოგი).

აგოგი. მოწყალეო და ძლევამოსილო გამარჯვებულო, მაგალითო მეფეთა, რომელთაც შეუძლიათ გამარჯვება და შეწყალება! შენს წმინდა ფერხთა ქვეშე ვემხობი: ღირსი გამხადე ბრძანებისა შენისა: რა უნდა მოგართვათ, რომ თავი გამოვისყიდო? ამიერიდან მე ვიქნები შენი მეზობელი, ერთგული მოკავშირე, თავდადებული ქვეშევრდომი. მე შენში ვხედავ მხოლოდ მწყალობელსა და ბატონს. მე თაყვანსა ვცემ და შევიყვარებ შენში შენს დამსჯელსა და შემწყნარებელ ღმერთს.

საული. დიდო მეფეო, კიდევ უფრო განდიდებულო შენი კაეშნისაგან! მე მხოლოდ ჩემი ვალი მოვიხადე, შენი დღეები რომ ვიხსენი: მეფეებმა ერთიმეორეს პატივი უნდა სცენ. გამარჯვების შემდეგ შურისმაძიებელი არ არის ღირსი გამარჯვებისა. მე არ განვსაზღვრავ შენს გამოსასყიდს, რადგან შენი ფასი განუსაზღვრელია. იყავ თავისუფალი! ხარკი,

რასაც შენი ხალხი ისრაელს გადაუხდის, იქნება მეგობრობის ნიშანი და არა ნიშანი მონობისა. ასე შეჰფერით დაზავება ხელმწიფეებს.

აგოგი. ო, სათნოებავ! ო, დიდო ვაჟკაცობავ! რა ძლიერია შენი ზეგავლენა ჩემს გულზე! მე ვიცოცხლებ და მოვკვდები დიდი საულის ქვეშევრდომად. მთელი ჩემი სამეფო მას ეკუთვნის (გამოაძრობს ბეჭედს თითიდან და აძლევს საულს).

საული. სამუელ, რა ცნობები მოგაქვს? ვისი სახელით მოდიხარ? ღმერთის, ხალხისა თუ შენი სახელით?

სამუელი. ღმერთის სახელით!

საული. როგორია მისი ნება?

სამუელი. ღმერთმა მიბრძანა შეგატყობინო, რომ ნანობს, მეფედ რომ აგირჩია.

საული. ღმერთი? ნანობს? სინანული შეუძლიათ მხოლოდ მათ, რომელთაც შეცდომები მოსდით. ღმერთს ხომ არ შეუძლია შეცდომა მოუვიდეს?

სამუელი. მაგრამ მას შეუძლია მოინანიოს ტახტზე ისეთი კაცის აყვანა, რომელიც შეცდომებს უშვებს.

საული. დიახ, მაგრამ რომელი კაცი არ უშვებს შეცდომებს? მითხარი, რა დავაშავე?

სამუელი. ისა, რომ ერთი მეფე შეიწყალე.

აგოგი. როგორ? უმშვენიერესი ქველმოქმედება თქვენთან დანაშაულად ითვლება?

სამუელი. (აგოგს). გაჩუმდი, ღმერთს ნუ გმობ! (საულს). საულო, იუდეის ყოფილო მეფევ, განა ღმერთმა ჩემი პირით არ გიბრძანა ყველა ამალეკის გაწყვეტა? განა არ გებრძანა, რომ არ დაგენდო არც ქალი, არც კაცი, არც მოხუცი, არც ბავშვი?

აგოგი. ეს შენმა ღმერთმა გიბრძანა? გეშლება! შენ გინდა თქვა: ჩემმა ეშმაკმაო?

სამუელი (ქურუმებს). მოემზადეთ ჩემდა მორჩილებად. შენ კი, საულ, დაემორჩილე თუ არა ღმერთს?

საული. მე არ ჩამითვლია ასეთი ბრძანება მტკიცედ. მე მეგონა, რომ მოწყალება უზენაესი არსების პირველი ნიშანია, რომ სიბრალულით აღსავსე გული მისთვის უსიამოვნო ვერ იქნება.

სამუელი. შენ შეცდი, ორგულო კაცო: ღმერთი გკიცხავს შენ, შენი სკიპტრა სხვის ხელში გადავა.

ბაზა (საულს). რა უტიფრობაა! ხელმწიფევ, ნება მომეცი დავსაჯო ეს უკაცური ქურუმი!

საული. ფრთხილად, ეს არ იქნება. განა არ ხედავ, რომ მის

ზურგს უკან ხალხი დგას და მაშინვე გაგვანადგურებს, თუ წინააღმდეგობას გავუწევთ? მე ხომ მართლა დავპირდი...

ბაზა. ნუთუ შენ დაჰპირდი, რომ ასეთ საზარელ საქმეს მოახდენდი?

საული. არაფერს ნიშნავს! ებრაელები კიდევ უფრო საშიშნი არიან. ისინი სამუელის მხარეს დაიჭერენ და ჩვენს წინააღმდეგ აღდგებიან.

ბაზა (განზე). ო, უბედურო ხელმწიფევ!

საული. ჰო, ახლა რას მიბრძანებთ, ბატონო ქურუმებო? რა უნდა ვქნა?

სამუელი. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა დაემორჩილო მეუფეს (ქურუმებს მიუბრუნდება). ო, წმინდა ქურუმნო, ლევის შვილებო! მიჩვენეთ აქვე თქვენი გულმოდგინება: მოიტანონ მაგიდა, ზედ ეს მეფე დააწვინონ, რომლის ჩუჩა დანაშაულია ღვთის წინაშე! (ქურუმები ხელსა სტაცებენ აგოგს, შებოჭავენ და მაგიდაზე დააწვენენ).

აგოგი. რას მიპირებთ, უწყალო ურჯულოებო?

საული. წმინდა სამუელ, უფლის სახელით!..

სამუელი. ნუ უხმობ უფალს! ამისი ღირსი არა ხარ. აქ დარჩი, ღმერთი გიბრძანებს. მოწამე იყავი ამ მსხვერპლშეწირვისა, იქნებ გამოიყიდო შენი შეცოდება!

აგოგი (სამუელს). მაშ აბა მკლავ? ო, სიკვდილო, რა მწარე ხარ!

სამუელი. ჰო, შენ მსუქანი ხარ. მით უფრო ეამება მსხვერპლი ღმერთს.

აგოგი. ვაგლახ, საულ! როგორ ვწუხვარ, რომ ასეთ ურჩხულებს ემორჩილები!

სამუელი (აგოგს). მომისმინე, წარმართო! გინდა ებრაელი გახდე? გინდა წინადაიცვითო?

აგოგი. და თუ საკმაოდ სუსტი აღმოვჩნდები, რომ შენი სარწმუნოება მივიღო, შემიწყალებ და სიცოცხლეს მაჩუქებ?

სამუელი. არა! შენ მოკვდები, როგორც ებრაელი, და შენთვის ესეც დიდი პატივი იქნება.

აგოგი. დაიწყეთ, ჯალათებო!

სამუელი. მომაწოდეთ ეგ ნაჯახი, ბრძანებითა უფლისათა. და ვიდრე მე ხელს მოვკვეთ, თქვენ ფეხები დააჭერით. ასე ნაწილ-ნაწილ, ასო-ასო (ქურუმები ადამიანს კვეთენ უფლის სახელით).

აგოგი. ო, სიკვდილო! ო, წამებავ! ო, მწამებელნო!

საული. რატომ უნდა ვიყო ასეთი ბოროტმოქმედების მოწმე?

ბაზა. ღმერთი დაგსჯის იმისათვის, რომ ამას ითმენდი.

სამუელი. გაიტანეთ ეს სხეული და ეს მაგიდა. დაწვან ამ ურ-

ჯულოს ნეშტი, და ჩვენმა მსახურებმა შეიქციონ თავი მისი ნაშთების ძიძგნით. (საულს) შენ კი, ხელმწიფევ, მუდამ იცოდე, რომ მორჩილება მსხვერპლის შეწირვაზე მაღლა დგას.

საული (სავარძელში ემხობა). მე ვკვდები! მე ვერ გავუძლებ ასეთ უმსგავსობასა და ასეთ სირცხვილს!"

ფიქრიც ზედმეტი იქნებოდა იმაზე, რომ ლიტერატურულ გადამუშავებაში რაიმე ზედმეტი და გაზვიადებულია. მეფეთა პირველი წიგნის 15 თავი უმაგალითო სისასტიკით აღწერს უბედური აგოგის წამებას ურჯუკი ჭურუმის ხელმძღვანელობით. გარდა ამისა, სამუელმა გამოუცხადა საულს, ამ წუთიდან დამხობილი ხარ, ღმერთმა უარგყოო. „და ჰრქვა სამოელ საულს: არა მოვიქცე შენთანა, რამეთუ შეურაცხ ჰყვენ სიტყვაი უფლისა და შეურაცხ გყოს შენ უფალმან არა ყოფად შენ მეფედ ისრაელისა. და მიიქცია პირი თვისი სამოელ განსლვად მისგან, დაუპყრა საულ კიდე სამოსლისა მისისა და განუღო იგი (გაუხია). და ჰრქვა მას სამოელ: განხეთქოს უფალმან მეფობა ისრაელისა ხელისაგან შენისა დღეს და მისცეს იგი მოყვასსა შენსა, უსახიერესსა (უკეთესსა) უფროს შენსა" (I მეფეთა, 15, 27—28).

ამის შემდეგ სამუელი დაუყოვნებლივ ბეთლემს გაეშურა, იქ მიიწვია ვინმე იესე, ბოოზის შთამომავალი, და რუთი, აგრეთვე მთელი მისი ოჯახი. საერთო განწმენდის შემდეგ, რაც მსხვერპლის შეწირვას თან ახლავს, სამუელმა უთხრა იესეს: „გაკლსლა უკვე შვილი? (ყველა შვილი აქა გყავსო?), და ჰრქვა იესე: კვალად არს ერთი მცირე და ესე მწყსის საძოვართა ზედა. და ჰრქვა სამოელ იესეს: წარავლინე და მოიყვანე იგი, რამეთუ არა წარვიდე, ვიდრემდე არა მოვიდეს იგი აქა. და წარავლინა და მოიყვანა იგი: და იგი მეწამულ შვენიერ თვალითა, და ტკბილ შესახედავ უფლისა. და ჰრქვა უფალმან სამოელს: აღდეგ და სცხე დავითს, რამეთუ ესე კეთილ არს. და მოიღო სამოელ რქა ზეთითა და სცხო მას შორის ძმათა მისთასა. და მოვიდა სული უფლისა დავითის ზედა მიერ დღითგან და შემდგომად, და აღდგა სამოელ და განვიდა არმათამს, და სული უფლისა განეშორა საულისაგან და შეაშთო იგი სულმან ბოროტმან უფლისაგან. და ჰრქვეს საულს ყრმათა მისთა: აჰა, აწ სული ბოროტი უფლისაგან გაშთობს შენ"[53] (I მეფეთა, 16, 11—14).

კრიტიკოსებს უკვირთ და გაჰკვირვებიათ, რომ ღმერთი სამუელს დაელაპარაკა დავითის მამის სახლში, და ისიც გარეშე პირთა დასწრებით, თანაც არ ჩანს, იყო „გამოცხადება" თუ მხოლოდ ხმა ისმოდა, ღვთისმეტყველნი იმ აზრისა არიან, რომ ღმერთი თავის წინასწარმეტყველს შინაგანი ხმით ელაპარაკა. მაგრამ მაშინ დამსწრენი როგორ დარწმუნდებოდნენ იმაში, რომ ბებერი თაღლითი სამუელი ნამდვილად ღვთაებრივ დავალებას ასრულებდა?

ვოლტერი წერს: „საული მეფობდა, რადგან სამუელმა დაასხა თავზე ზეთი. მაშასადამე, როცა დავითთანაც იმავე საქმის გაკეთებას შეუდგა, მის დედ-მამას, ძმებსა და ყველა იქ მყოფს არ შეეძლოთ არ შეენიშნათ, რომ აქ ახალ მეფეს აცხობენ და ამით მათი ოჯახი თავს დაიტეხს საულის შურისძიებას. აქ რაღაც ვერ არის საქმე რიგზე!..

იტალიურ თეატრში არ ყოფილა იმაზე უფრო კომიკური სცენა, ვიდრე კეთილმსახური მღვდლის გამოცხადება გლეხის ქოხში იმ მიზნით, რომ ბუთხუზა ბიჭი ეკურთხებინა თან წამოღებული ზეთით, ჯიბეში რომ ედგა, და მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება. არც ეს სახელმწიფო და ეს მწყემსი ბავშვი — დავითი იმსახურებენ უკეთეს ადგილს პრიმიტიული კომედიის დასადგმელად.

ჩვენ უკვე დავიმოწმეთ ბიბლიის ის ადგილი, სადაც საულს თავისი მსახურები ეუბნებიან, უფლის ბოროტი სული გახრჩობს და გავიწროებსო. მათვე ურჩიეს, ქნარზე დამკვრელი ვინმე გამონახეო:

„გეტყვიან მონანი შენნი აწ წინაშე შენსა, მოუძიოთ უფალსა ჩვენსა კაცი მეცნიერ ებნითა გალობად, და ოდეს იყოს სული ბოროტი შენ ზედა, მაშინ, გალობდეს რა ებნითა თვისითა, კეთილი გეყოს შენ და განგისვენოს შენ.

და თქვა საულ ყრმათა მიმართ თვისთა: მომიძიეთ მე კაცი კეთილად მგალობელი, და მოიყვანეთ იგი ჩემდა.

და მიუგო მას ერთმან მისმან მონათაგანმან და ჰრქვა: აჰა ესერა ვიხილე ძე იესესი ბეთლემით, და მან უწყის გალობაი, და კაცი მეცნიერი არს, და მბრძოლი და ბრძენი სიტყვითა, და კაცი კეთილ ხილვითა და უფალი მისთანა.

და წარგზავნა საულ მითხრობელი იესეს მიმართ, მიმთხრობელმან: წარმოავლინე ჩემდა დავით, ძე შენი, რომელი არს სამწყსოსა შენისათანა.

და აღიღო იესე ტვირთი პურთა და თხიერითა ღვინო და თიკანი თხათაგან ერთი და წარგზავნა საულის მიმართ ხელითა დავითისა ძისა მისისათა.

და შევიდა დავით საულის თანა და დადგა წინაშე მისსა, და შეიყვარა იგი ფრიად საულ, და ყო იგი მტვირთველ საჭურველისა თვისისა.

და წარავლინა საულ იესეს მიმართ, მეტყველმან, რათა დაადგრეს დავით წინაშე ჩემსა, რამეთუ ჰპოვა მადლი წინაშე თვალთა ჩემთა.

და ოდეს იქმნებოდა სული ბოროტი საულის ზედა, მოიღებდა დავით, დაჰკრვიდა ხელითა თვისითა ებანსა (ქნარს დაუკრავდა), და განისვენებდა საულ და კეთილად ეყოფოდა მას, და განეშორებოდა მისგან სული ბოროტი (I მეფეთა, 16, 15—23).

რა მიქარვაა? დავითი, რომელიც ის იყო გაგვაცნეს უბრალო მწყემს ბიჭად, ვისაც მშობელი მამაც კი შვილების სათვალავში ძლივს იღებს,

უეცრად აღმოჩნდება მთელს ქვეყანაში განთქმული მექნარე. მუსიკოსი, რომელსაც დაუყოვნებლივ მეფესთან იწვევენ. ჯერ იყო და სულ ახალ-გაზრდა გაგვაცნეს, ლამის ყრმა, და თუ ასეა, მაშინ რანაირად შეიძლება ის იყოს იმავე დროს „კაცი მეცნიერი, და მბრძოლი და ბრძენი?“ მერე და მსახურმა, რომელიც ასე უხასიათებს მეფეს დავითის ფაქტს, ნუთუ არ იცოდა, რომ იგივე დავითი სამუელმა მეფედ აკურთხა და მისი მოყვანა სასახლის მუსიკოსად საშიში იქნებოდა? ახლა იესეს საჩუქარი, მეფეს რომ მიუგზავნა, განა სასაცილო არ არის? ტომარა ფქვილი, ტიკი ღვინო და ერთი თიკანი? დაბოლოს, რა უნდა ვთქვათ ღმერთზე, რომელიც ბოროტ სულს უგზავნის საულს სიცოცხლის აღმაშფოთრად, და ნერვებმოშლილს თვითონვე მკურნალობს მისი მოჭიშპის მუსიკით? ყველაფერი ეს უაზრო სიცრუე და სისულელეა!

წმინდა თქმულება დავითის სახელოვანი გამარჯვებისა ურჯულო გოლიათზე

ეფეთა პირველი წიგნის 17 თავი დაწვრილებით მოგვითხრობს დავითისა და გოლიათის ორთაბრძოლისა და დავითის ძლევამოსილი გამარჯვების ამბავს. აი, როგორ მოხდა ეს.

„და შეკრიბეს უცხო თესლთა ბანაკნი თვისნი ბრძოლად, და შეკრიბეს სოკქოთსა შინა ურიასტანისასა და დაიბანაკეს შორის სოკქოთისა და შორის აზიკასა აფეზდომინსა შინა (აზეკსა და სოკქოთს შორის, ეფეს-დამიმში).

ხოლო საულ და კაცნი ისრაელნი შეკრბეს და დაიბანაკეს ღელესა შინა ბელეკონსა, და განეწყვნენ ბრძოლად პირის პირ უცხო თესლთა...

და უცხო თესლნი დგეს მთასა ზედა მუნითგან, და ისრაელნი იდგეს მთასა ზედა აქედგან, ხოლო ღელე იყო შუა მთასა.

და გამოვიდა კაცი ძლიერი მწყობრისაგან უცხო თესლთასა, სახელი მისი გოლიათ გეთელი, ხოლო სიმაღლე მისი ექვსი წყრთა და მტკაველი.

და ჩაფხუტი რვალისა თავსა ზედა მისსა და ჯაჭვი, ვითარცა დასხმული შეგრეხილი, რომლითა შემოსილ იყო, და წონა ჯაჭვისა მისისა ხუთი ათასი სიკილა რვალისა და რკინისა.

და საბარკულები რვალისა წვივთა ზედა მისთა, და ფარი რვალისა ბეჭთა მისთა ზედა.

და რკინის შუბი მისი, ვითარცა ჭურჭელი მთიწართ, ესე იგი არს მაქო. და შუბი მისი ექვსასი სიკილა რკინისა, და მტვირთველი საჭურველისა მისისა წინა უვიდოდა მას.

და დადგა და ღაღად ყო წინაშე მწყობრისა მიმართ ისრაელისა, და ჰრქვა მათ: რასა გამოხვედით ერთბაშად წყობად წინაშე ჩვენსა? არა მე ვარა უცხო თესლი, და თქვენ ებრაელნი მონანი საულისანი? გამოირჩიეთ თავისა თქვენისა კაცი, რათა გამოვიდეს ჩემდა.

და უკეთუ შეუძლოს ჩემდა ბრძოლად და დამცეს მე, მაშინ ვიქმნეთ თქვენდა მონად, უკეთუმცა მე შეუძლო დაცემად იგი, იქმენით თქვენ ჩვენდა მონად და გვმონებდით ჩვენ.

და ჰრქვა უცხო თესლმან: აჰა, მე შეურაცხ ვყავ ბანაკი ისრაელისა

ამას დღესა შინა, მომეცით მე კაცი ერთი, რომელი ჰბრძოდეს ჩემთანა.

და ესმა საულს და ყოველსა ისრაელსა სიტყვანი ესე. უცხო თესლი-სანი და განცვიფრდეს, და შეეშინათ ფრიად" (I მეფეთა, 17, 1—11).

ცოტაოდენი შუქი მოვფინოთ გოლიათ გეთელის აღწერილობაზე. ეგ ფორეჯებიანი სპილენძის ჯავშანი, როგორც ბიბლია ამბობს, წონიდა 5000 სიკილა სპილენძისა და რკინისა ყოფილა, ე. ი. 80 კილოგრამზე მეტი. შუბის წონაა 600 რკინის სიკილა — 10 კილოგრამი, ე. ი. სულ 90 კილოგრამ ლითონს ატარებდა, და ეს სულაც არ არის მთელი მისი აღჭურვილობა.

ეს გიგანტი, რომლის სიმაღლე, ამასთან ერთად, სამ მეტრს აღემატებოდა, უჩვეულოდ არ უნდა გვეჩვენოს მას შემდეგ, რაც ბიბლიაში ასეთი ბუმბერაზები ვნახეთ. მართალია, ჩვენს დროში ასეთი აღნაგობის ადამიანები აღარ იბადებიან. ადამიანის სხეულის აგებულება ისეთია, რომ ასეთი უზომო სიდიდე არანაირად არ შეიძლება სასარგებლოდ ჩაითვალოს, პირიქით, დამღუპველიცაა ორგანიზმისათვის და უბრალოდ აქცევდა გიგანტს უმწეო არსებად, რომელსაც თავდაცვის უნარი არ გააჩნია. ვოლტერი ირონიულად შენიშნავს, რომ გოლიათი უბრალო ურჩხულია, რაც ღმერთმა საგანგებოდ გამოიყვანა იმისათვის, რომ დავითის შეუმჩნეველი გარეგნობა უფრო განედიდებინა.

„და წარვიდეს სამნი ძენი იესესნი უხუცესნი საულისთანა ბრძოლად და სახელნი ძეთა მისთანი, რომელნი წარვიდეს ბრძოლად, ელიავ პირმშო მისი და მეორე ამინადაბ, ხოლო მესამე სამმა. ხოლო დავით იყო უმცირესი და სამნი იგი უხუცესნი, წარვიდეს საულისა. ხოლო დავით მიიქცა საულისაგან და განვიდა მწყსად საცხოვართა მამისა თვისისათა ბეთლემს შინა (I მეფეთა, 17, 13—15). საკმაოდ უცნაურია, რომ დავითი, რომელიც მეფემ თავის საჭურველთმტვირთველად დანიშნა, გახურებული ომის წინ ტოვებს თავის თანამდებობას, ქნარს, და მიდის, რომ სადღაც რაღაც ცხვარი მწყემსოს.

„და გამოვიდოდის უცხო თესლი იგი განთიად და მწუხრი და დადგებოდეს წინაშე ისრაელთა ორმეოც დღე.

და ჰრქვა იესე დავითს, ძესა თვისსა: მიუღე უკვე ძმათა შენთა საწყაული ერთი ფქვილი და ათნი პურნი ესენი და მიისწრაფე ბანაკად და მიართვი ძმათა შენთა.

და ათი ყველი სძისა ამისგან, და მიართვი ათასის თავსა და ძმანი შენნი მოიკითხენ მშვიდობით, და რაოდენი რა უხმდესთ, სცანი, ხოლო შაბათ იყავ ჩემთანა.

ხოლო საულ და ყოველნი ერნი იყვნენ ღელესა შინა, მუხოვანსა, ჰბრძოლად უცხო თესლთა თანა.

და აღიმსთო დავით (ადგა) განთიად, დაუტევა ცხოვართა-

მცველი, და აღიღო, რაიცა ამცნო მას მამამან მისმან იესე, და განვიდა, და მივიდა ადგილსა, სადაცა აღმოვიდოდეს ძალნი ბრძოლად და ეომებოდებდეს ბანაკთა შორის.

რამეთუ განეწყვნენ ისრაელნი წინაშე უცხო თესლთა და ესხდეს ლნი განეწყვნეს წინაშე ისრაელისა.

ხოლო დავით დაუტევა ტვირთი თვისი ხელთა შინა მცველისასა და მიისწრაფა ბანაკად და შევიდა და მოიკითხა ძმანი თვისნი მშვიდობით.

ხოლო ზრახვასა მისსა მათ თანა, და აჰა კაცი ამასელი, რომლისა სახელი გოლიათ ფილისტიმელი გეთითგან, გამოხდა მწყობრთაგან უცხო თესლთასა, და იტყოდა სიტყვათა ებრ მათთა და ესმა დავითს.

და ყოველნი კაცნი ისრაელნი ოდეს იხილვოდეს კაცსა მას, იკლტოდეს პირისაგან მისისა და შეშინდებოდეს ფრიად.

და იტყოდეს კაცნი ისრაელისანი: ჰხედავთა კაცსა ამას აღმომავალსა, რამეთუ ყოვდრებად ისრაელისა აღმოვიდა? და უკეთუ იყოს კაცი, რომელმან მოკლას იგი, განამდიდროს იგი მეფემან სიმდიდრითა დიდითა, და ასულიცა თვისი მისცეს მას, და სახლი მამისა მისისა თავისუფალ ყოს ისრაელთა შორის.

და ჰრქვა დავით კაცთა მიმართ მისთანა მდგომარეთა, მეტყველმან: რაიმე ეყოს კაცსა მას, რომელმან დასცეს უცხო თესლი ესე, და აღხოცოს ყოვდრებაი ისრაელისა? (ვეღარ ლანძღოს და აგინოს ისრაელები); რამეთუ ვინ არს უცხო თესლი ესე წინა დაუცვეთელი, რომელმან აყოვდროს მწყობრსა ღვთისა ცხოველისასა!

და ჰრქვეს მას ერმან სიტყვისაებრ პირველ თქმულისა: ესრეთ ეყოს კაცსა მას, რომელმანცა მოკლას იგი" (I მეფეთა, 17, 16—27).

ბიბლიის ამ ადგილიდან ჩანს, რომ დავითს სულაც არ მიუწევდა გული ბრძოლის ველისაკენ პატრიოტული აღტკინებით, ბრძოლა მან გადაწყვიტა მხოლოდ მაშინ, როცა კაცებმა დაუდასტურეს, ასე და ასე აშენდება ამ გოლიათის მკვლელიო*. არც ძმები ურჩევენ დავითს გოლიათთან შებმას: „და ესმა ელიავს, ძმასა მისსა უხუცესსა, მეტყველება მისი კაცთა მიერ, და განრისხნა გულის წყრომითა ელიავ დავითის მიმართ და ჰრქვა: რაისათვის შთამოხველ აქა? მე ვიცი ამპარტავნებაი და სიბოროტე გულისა შენისა, რამეთუ ხილვისათვის ბრძოლისა შთამოხველ!"

გამორჩენისა თუ „ამპარტავნების" კარნახით აენთო დავითის გული:

„და ჰრქვა დავით საულს: ნუ შეიურვებს გული შენი, უფალო ჩემო, ამისათვის. წარვიდეს მონა შენი და ჰბრძოდეს უცხო თესლსა მას.

და ჰრქვა საულ დავითს: არ ძალგიც წარსლვად უცხო თესლისა მის

---

* დავითის პატრიოტული სულისკვეთების ნაკლებობა არ მტკიცდება ბიბლიის ტექსტით, რაც აქვე და ქვემოთ გვაქვს დამოწმებული.

მიმართ და ბრძოლად მისთანა, რამეთუ შენ ყრმა ხარ, და კაცი ესე მბრძოლი არს სიჭაბუკითგან მისით.

და ჰრქვა დავით საულს: ისმინენ სიტყვანი მონისა შენისანი: ოდეს ვმწყსიდი მონა შენი საცხოვართა მამისა ჩემისთანა, და ოდეცა მოვიდოდა ლომი ანუ დათვი და წარიტაცებდეს სამწყსოთაგან მამისა ჩემისათა ერთსა, მეცა უკანა მისსა განვიდოდი და დავაკვეთებდი შას და გამოუმიდი პირით მისით, და თუ წინა აღმიდგებოდა, მაშინ შეუპყრობდი სასასა მისსა და განვგლეჯდი და მოვაკვდინებდი მას.

და ლომი და დათვი იყოს მონისა შენისა უცხო თესლი ესე წინა დაუცველთელი, ვითარცა ერთი ამათგანი: არა განვიდეა და დავაკვეთო იგი, აღვხოცო დღეს ყვედრება ისრაელისაგან, რამეთუ ვინ არს წინა დაუცველთელი ესე, რომელმანცა აყვედრა მწყობრსა ღვთის ცხოველისასა!

და თქვა დავით :უფალმან, რომელმან მიხსნა მე პირისაგან ლომისა და ხელისაგან ბრანგვისა (დათვისა), იგივე მიხსნის მე ხელისაგან უცხო თესლისა მის წინა დაუცველისა. და ჰრქვა საულ დავითს: წარვედ და იყოს უფალი შენთანა!

და შემოსა საულ დავითს სამოსლითა და ჩაფხუტი რვალისა დაადგა თავსა მისსა,

და შეარტყა დავითს საჭურველი მისი სამოსელსა ზედა მისსა. და დაშვრა დავით, წარვლიდა რაი იმიერ და ამიერ, რამეთუ არა ჩვეულ იყო სიმრავლე საჭურველისა მას ზედა, და ჰრქვა დავით საულს: არა ძალმიც წარსლვად საჭურველითა ამით, რამეთუ არა ვარ გამოცდილი ამით, და აღიღეს მისგან საჭურველი“ (I მეფეთა, 17, 32—39).

მეფე საული განაცვიფრა ჭაბუკის მოთხრობამ და ასევე შეცბუნდებოდა ყველა სხვაც მის ადგილზე. აბა წარმოიდგინეთ აქ გადმოცემული სურათი: ლომი ან დათვი დაიტაცებენ რომელიმე ცხვარს მოხუც იესეს ჯოგიდან და ნადავლიანად გარბიან. გულმოსული მწყემსი ყმაწვილი დაედევნება და პირიდან გამოსტაცებს ცხვარს, თან ხელითა სცემს მძვინვარე ნადირს, ხოლო თუ არ დაანებეს, პირდაპირ ყბებში ჩაავლებს ხელებს და „გაგლეჯს“, შუაზე გახლეჩს ლომს. რა სურათია! იპოვით სადმე ასეთ სცენებს, ბიბლიის გარდა? ო, ტარტარენ, ო, ბარონ მიუნჰაუზენ და სხვა კლასიკურო ცრუპენტელებო! ეტყობა, ბიბლიაზე გაიზარდეთ!

ჯერ კიდევ სამსონის ცხოვრების აღწერილობაში გავიგეთ, რომ პალესტინაში ლომი ყოფილა. ეს მაშინაც მკითხველისათვის სურპრიზი იყო. მაგრამ დავითთან პალესტინაში დათვიც აღმოვაჩინეთ. ნატურალისტები ამტკიცებენ, რომ სადაც დათვია, იქ ლომი არაა და პირიქით. ძირს ნატურალისტები! მაშასადამე, მეცნიერება ტყუის. ო, ღვთაებრივო მტრედო! შენ ისღა დაგრჩენია, რომ გაგვაცნო დათვები ეკვატორზე და ლომები, რომლებიც პოლუსებზე ცხოვრობენ.

ჩვენ ისიც გავიგეთ, რომ დავითმა სამოსელი და საჭურველი მოხსნა. არა ვარო მიჩვეული. კეთილი! მაგრამ მაშინ წინა თავის 18 მუხლი რატომ უგალობს დავითს, როგორც „მამაცსა და მეომარ კაცს“?

„და აღიღო კვერთხი თვისი ხელსა შინა თვისსა, [illegible] თავისა თვისისათვის ხუთი ქვა წყალტუ ნაღვარევისა [illegible] ტავარჯუხსა სამწყემსოსა, რომელი ეტვირთა და შურდული თვისი ხელსა შინა თვისსა და მივიდა კაცისა მიმართ უცხო თესლისა. და გამოვიდა უცხო თესლი და მიეახლა დავითის მიმართ და ეტვირთა საჭურველი მისი წინაშე მისა მსვლელსა“ (*I მეფეთა, 17, 40—41*).

გოლიათის საჭურველთმტვირთველი? მას მხოლოდ ბიბლიის სრული ტექსტები ასახელებენ, ბიბლიის სახელმძღვანელოებში ეს წოდება გაუქმებულია და გოლიათიც იქ უბრალო ფეხოსნადაა გამოცხადებული. რატომ კვეცავს ასე თანამედროვე ეკლესია ძველ ტექსტებს? ფილისტიმელთა საჭურველთმტვირთველი სულაც არ იმსახურებს იმას, რომ კაცმა ტექსტიდან თვითნებურად ამოიღოს. გარდასულ დროთა ოფიცერს ომში თან ახლდა ჯარისკაცი, რომელიც მის აღჭურვილობას იცავდა. ჩვენს დროში მას ალბათ შიკრიკს უწოდებდნენ. მაშასადამე, თუ საჭურველთმტვირთველი ჰყავდა, გოლიათი ფილისტიმელთა არმიის კავალერიის ოფიცერი ყოფილა. ბიბლია რამდენსამე ადგილას გვეუბნება, რომ ფილისტიმელებს ანგარიშგასაწევი კავალერია ჰყავდათ. მაგრამ ჩვენს მტრედს დაავიწყდა ეთქვა, რა ზომისა იყო გოლიათ გეთელის ცხენი. გოლიათის ცხენიც გოლიათური უნდა ყოფილიყო. წმინდა წერილი არაფერს ამბობს იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში გამოჰყავდათ ტაიჭები, რომელთაც შეეძლოთ სამმეტრიანი მხედრების ტარება. საწყენი ხარვეზია! გამორჩენიათ!*

დავუბრუნდეთ ბიბლიის ტექსტს:

„და გამოვიდა უცხო თესლი და მიეახლა დავითის მიმართ და ეტვირთა საჭურველი მისი წინაშე მისსა მსვლელსა.

და იხილა გოლიათ უცხო თესლმან დავით და უპატიო ჰყო იგი, რამეთუ იგი ყრმა იყო მეწამული და შვენიერ თვალითა.

და ჰრქვა უცხო თესლმან მან: დავით! ნუთუ ვარ მე ძაღლი, რამეთუ შენ მოხვალ წინა აღდგომად ჩემდა შურდულითა და ქვითა? და მიუგო მას დავით და ჰრქვა: არა (ძაღლი), არამედ უბოროტესცა ძაღლისა! ხოლო უცხო თესლი იგი სწყევდა დავითს კერპითა თვისითა.

და ჰრქვა უცხო თესლმან დავითს: მოვედ ჩემდა! და მივსცნე ხორცნი შენნი მფრინველთა ცისათა და მხეცთა ქვეყანისათა.

---

* უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინ გოლიათის საჭურველთმტვირთველიც მისებრ გოლიათი უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვეულებრივ მოკვდავს არ შეუძლია „რვალისა, სპილენძისა და რკინის“ ისეთი საჭურველის ზიდვა, როგორიც გოლიათს ესაჭიროებოდა.

და პრქვა დავით უცხო თესლსა: შენ მოხვალ ჩემ ზედა მახვილითა, ჯაჭვითა და ფარითა, ხოლო მე მოვალ შენ ზედა სახელითა უფლისა ღვთისა მწყობრისა ისრაელისა, რომელსაცა აყვედრე შენ დღეს.

და შთამოგაგდოს შენ დღეს უფალმან ხელთა შინა ჩემთა და მოგაკვდინო შენ და განგაშორო თავი შენი შენგან და მივსცე გვამი შენი და ხორცნი ბანაკისა უცხო თესლისა დღესა ამას მფრინველთა ცისათა და მხეცთა ქვეყანისათა.

და სცნას ყოველმან ქვეყანამან, რამეთუ არს უფალი ღმერთი ისრაელისა და სცნას ყოველმან კრებულმან ამან, რამეთუ არა მახვილითა, არცა ჯაჭვითა აცხოვნებს უფალი, რამეთუ უფლისაი არს ბრძოლა, და მოგვცეს უფალმან თქვენ ყოველნი ხელთა შინა ჩვენთა!

და აღდგა უცხო თესლი და წარვიდა მიგებებად დავითისა, და მიისწრაფა დავით და მირბიოდა ბრძოლად უცხო თესლისა.

და მიჰყო დავით ხელი თვისი ტავარჯუხსა (ჩანთას) და აღმოიღო მისგან ქვაი ერთი და შთადვა შურდულსა და სტყორცნა შურდულითა და ჰკრა უცხო თესლსა შუბლსა შინა მისსა და დაასო ქვა ჩაფხუტსა ქვეშე მისსა შუბლსა შინა მისსა, და დაეცა გოლიათი პირსა ზედა თვისსა ქვეყანასა ზედა.

და განძლიერდა დავით უცხო თესლსა ზედა, შურდულითა და ქვით მოკლა უცხო თესლი იგი და მახვილი არა იყო ხელსა შინა დავითისა.

და მირბიოდა მსწრაფლ დავით და დაადგრა მას ზედა და მოიღო მახვილი მისი და აღმოსწოდა მას წიაღისა მისისაგან (ამოაძრო გოლიათის მახვილი მისივე ქარქაშიდან) და მოჰკვეთა მით თავი მისი. და იხილეს უცხო თესლთა, რამეთუ მოკვდა ძლიერი მათი და ივლტოდეს.

და აღდგენ კაცნი ისრაელისანი და იუდასნი და ხმაი ყვეს და დევნა უყვეს უკანით მათსა, ვიდრე შესლვადმდე გეთსა და ვიდრე ბჭისა ასკალონისასა: და დაეცა წყლულებაი მრავალი უცხო თესლთა გზათა ზედა ბჭეთასა და ვიდრე გეთისამდე და ასკალონისა.

და მოიქცეს კაცნი ისრაელისანი მდევარნი უკანით უცხო თესლთა, და დათრგუნეს ბანაკნი მათნი.

და აღიღო დავით თავი უცხო თესლისა და მოიღო იგი იერუსალიმს. და საჭურველი მისი დვა სახლსა შინა თვისსა“ (I მეფეთა, 17, 42—54).

სდექ! მაშ ამ ახალგაზრდა დავითს საკუთარი სახლი თუ კარავი ჰქონდა? იერუსალიმში? ის ხომ უბრალო მწყემსი იყო? თანაც საულის შექნარე, რომელსაც არ იცნობს საული! მაგრამ დაიცათ, გოლიათის თავი იერუსალიმში წაიღოო? ეს კიდევ უფრო უცნაურია, რადგან იმ ეპოქაში იერუსალიმი ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა ებრაელებს. ჩვენ თვითონ ვნახავთ, რანაირად აიღებენ მას ებრაელები, უკვე დავითის მეფობაში, საულის

გარდაცვალების შემდეგ. თუმცა, რა, პირველად ვნახეთ „წმინდა წერილში“ შეუსაბამობანი?

ჰოდა, „ოდეს იხილა საულ დავით მომავალი წინა აღმდგომად უცხო თესლისა, ჰრქვა აბენირის მიმართ, ძალთა მთავრისა (საულ აბენირის მიმართა): ვისი ძე არს ჭაბუკი ესე, აბენირ? და ჰრქვა აბენირ: ცოცხალ არს სული შენი, მეფეო, რამეთუ არა უწყი (არ ვიცი!).

და ჰრქვა მას მეფემან: გამოიკითხე აწვე შენ, ვისი ძე არს ჭაბუკი ესე.

და ოდეს მოიქცა დავით შემდგომად უცხო თესლისა მოკლვისა, მოიცვა იგი აბენირ და მიიყვანა წინაშე საულისა და თავი უცხო თესლისა იყო ხელსა შინა მისსა.

და ჰრქვა მას საულ: ვისი ძე ხარ, ყრმაო? და ჰრქვა დავით: ძე მონისა შენისა იესე ბეთლემელისა“. (I მეფეთა, 17, 55—58).

ეს კიდევ რა აბდა-უბდაა? რა მოუჩმახავს, სადა აქვს ტვინი ამ წმინდა წერილის ღვთაებრივ შთამაგონებელს? წინა თავში უაღრესად დაწვრილებით მოვისმინეთ ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მოინდომა მოშლილი ნერვების დასაწყნარებლად საულმა ვინმე ისეთი კაცის გამონახვა, ქნარზე რომ დაუკრავდა და კაეშანს გაუქარვებდა. ერთმა მსახურთაგანმა დავითის მოყვანა ურჩია, მოიყვანეს კიდეც, საული იცნობდა ახალგაზრდა დავითსაც და მის ოჯახსაც. ის კი არა, მეფემ მოხუც იესეს კაციც კი გაუგზავნა, შენი შვილი მომეწონა და ჩემთან დარჩესო. მერე ბიბლია მოგვითხრობს, დავითი ხშირად ჩადიოდა ბეთლემში, მამისეულ სახლშიო, ე. ი. მეფის სასახლესა და მამის ჯოგს შორის მიმოდიოდა. ჰოდა, აგერ უცებ ირკვევა, რომ არც საული, არც მისი კარისკაცები არ იცნობენ დავითს, არ იციან, ვინაა ეს ჭაბუკი, გოლიათი რომ დაამარცხა! მეფის მუსიკოსი, მისი სმენის დამატკბობელი, მისი კაეშნის გამქარვებელი, მისი საჭურველთმტვირთველი უეცრად ისევ ვინმე უცნობი მწყემსი აღმოჩნდა?! რა ვიფიქროთ ასეთ საკვირველ გულმავიწყობაზე? სრულ ჭკუაზე თუ იყო წმინდა ავტორი, ამას რომ წერდა? ამაში შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს.

ამოვიღოთ მოთხრობიდან ეს დასკვნები და განვაგრძოთ სასარგებლო კითხვა.

წმინდა ავტორს სულაც არ აწუხებს თავისი მოთხრობის შეუსაბამობა, ისე არხეინად განაგრძობს, რომ ამჯერად საულმა დავითს მამის სახლში დაბრუნება აუკრძალა. მეორე მხრივ მოულოდნელად იონათანს მეგობრული გრძნობის ცეცხლი მოედო, ისე შეუყვარდა მეფის მექნარე, რომლის არსებობის ამბავი აქამდე, ეტყობა, არც მან იცოდა. „და დადვა იონათან აღთქმა დავითის თანა, ვინათგან შეიყვარა იგი სულითა თვისითა, და განიხადა იონათან სამოსელი თვისი ზეითი და მისცა დავით

და სხვა მოსაბლარდნელი ვიდრე მახვილისა თვისისა და სარტყლისა თვისისა. და იქცეოდა დავით მეცნიერად ყოველთა შინა, სადაც უკეთუ წარგზავნიდა მას საულ, ხოლო დაადგინა იგი საულ კაცთა ზედა მბრძოლთა“ (I მეფეთა, 18, 3—5).

მეგობრობაც ასეთი უნდა! რას იფიქრებდნენ „გენერალი“ და „ჯარისკაცი“, მთელი მისი შტაბი, კარისკაცები და ამალა, როცა ხელადინელი რიგითი იხდის ტანზე და იხსნის საჭურველს მეფის ძე, რათა უკანასკნელ პერანგამდე ყველაფერი გოლიათის მძლეველს აჩუქოს? სამწუხაროდ, ბიბლიას დაავიწყდა ჩვენდა ნუგეშად შემოენახა იმ პირთა აზრი, რომლებიც ამ სანახაობის მოწამენი გახდნენ.

ბრძოლა სამეფო ტახტისათვის და უფალი ღმერთის დამსჯელი მარჯვენა

სე დაიწყო ახალი ცხოვრება [illegible] ლიც სამუელმა ფარულად აკურთხა მეფედ, მაგრამ ჯერჯერობით ერიდებოდა საულის მეტოქეობას და მეფის მებარბითისა და საჭურველთმტვირთველის ხვედრით კმაყოფილდებოდა. მაგრამ ასეთი სამაგალითო თავმდაბლობის მიუხედავად, დავითმა მალე წაუხდინა გუნება მის უდიდებულესობას მეფე საულს.

დავითი ყველამ შეიყვარა — მეფემ, კარისკაცებმა და „ერმა“. ერთხელ ასეთი ამბავი მოხდა: „და იყო სლვასა მათსა (როცა მიდიოდნენ), რაჟამს მოიქცა დავით ძლევისაგან უცხო თესლთასა და გამოვიდოდეს ქალწულნი როკვით მიგებებად საულ მეფისა, ყოველთაგან ქალაქთა ისრაელისათა გალობდეს და ხლდოდენ წინწილითა სიხარულისათა და ებნითა, და ვიდოდეს დედანი განცხრომელნი და იტყოდეს: სძლო საულ ათასთა და დავით ბევრეულთა (საულმა ათასებსა სძლია, დავითმა — ათი ათასებსო)“ (I მეფეთა, 18, 6—7).

ცხადია, ძნელი სათქმელია, რომ განსვენებული გოლიათი, რა ბუმბერაზი უზამფარიც არ უნდა ყოფილიყო, ათეულ ათას მეომრად ღირებული იყო. საულს, რომელიც არაერთხელ დაბრუნებულა გამარჯვებული დიდი საბრძოლო ლაშქრობებიდან, მოეჩვენა, რომ მისი მექნარე-საჭურველთმტვირთველის საპატივცემოდ მოწყობილი ოვაციები კეთილგონიერების საზღვრებს სცილდებიან და მისი პიროვნებისათვის არასასურველი უპატივცემლობის ხასიათს ატარებენ.

„და განრისხნა საულ ფრიად და ბოროტად აღუჩნდა წინაშე თვალთა საულისთა სიტყვანი ესე და ჰრქვა საულ: დავითს მისცეს ბევრეულნი და მე მომცეს ათასი და რაიმეღა არა არს მისა თვინიერ მეფობისა.

და იყო მომზირალ საულ დავითისა მიერ დღითგან და შემდგომად.

და იყო დღითგან ხვალისა და დაეცა სული ბოროტი ღვთისა მიერ საულის ზედა და წყლულებდა შორიც სახლსა თვისსა და დავით გალობდა ხელითა თვისითა ებანსა ზედა, ვითარცა ყოველ დღე, ხოლო შუბი იყო ხელთა შინა საულისთა. და აღიღო საულ შუბი და თქვა: დავსცე დავითს ზღუდისა მიმართ, და მიდრკა დავით პირისაგან მისისა ორ გზის. და შეიშინა საულ პირისაგან დავითისა“ (I მეფეთა, 18, 8—11).

მცირე ხნის შემდეგ მეფემ ჰაბუკის თავიდან მოშორების მიზნით ის ათასისთავად დანიშნა (მუხლ. 13), დავითიც, რომელსაც ყველაფერი ბრწყინვალედ გამოსდიოდა, თანდათან უფრო პოპულარული გახდა ისრაელთა შვილებს შორის. მისი სახელი ეკერა პირზე ერსა და ბერს, „მალე ვნახავთ, რომ თვით ღმერთი განამრავლებდა მისდამი განსაკუთრებულ კეთილგანწყობილების დამამტკიცებელ საბუთებს.

ერთხელ საულმა დავითი დაიბარა და უთხრა: „აი ჩემი უფროსი ასული მერობ, შეირთე ცოლად, ოღონდ იყავი მამაცი და ებრძოლე უფლის მტრებს“. (მუხლ. 17). გულის სიღრმეში საულს იმედი ჰქონდა, რომ ამ ბრძოლებში დავითს ბოლოს და ბოლოს ფილისტიმელები მოკლავდნენ. მაგრამ დავითმა უთხრა საულს: „ვინა ვარ მე და რაი არს ცხოვრება ნათესაობისა მამისა ჩემისა ისრაელსა შორის, რათა ვიქმნე სიძე მეფისა?“ (მუხლ. 18). ამრიგად, დავითი თავს მეფის სიძობის ღირსად არ თვლიდა და ჯერ კიდევ მალავდა, რომ სამუელმა ის მეფედ აკურთხა.

„და იქმნა მას ჟამსა შინა, ოდეს მიეცემოდა მერობ, ასული საულისა დავითს, — ესე მიეცა ადრიელს მოლათიტელსა (მექოლელს) ცოლად“. დავითს უმუხთლეს. ავტორი არ ამბობს, რატომ მოხდა ეს, მაგრამ საქმე საკმაოდ ნათელია. მეფეს უნდა დავითის მოშორება და არა დამოყვრება. მოხდა ისე, რომ „შეიყვარა მელქოლა, ასულმან საულისამან, დავითი, და მიეთხრა ესე საულს, და სათნო იყო წინაშე თვალთა მისთა სიტყვა ესე. და სთქვა საულ: მივსცე მას იგი, და იყოს მისა შესაბრკოლებელ... და ჰრქვა საულ დავითს მიმართ: რომლისათვის იქმნები ჩემდა სიძე დღეს“ (მუხლ. 20—21). ნასახურებმა დავითს აუწყეს, მეფის სიძე გახდებიო.

ქვემოთ ნათელი ხდება, რომ გოლიათის მძლეველი დავითი სიამოვნებით შეირთავდა მომხიბლავ მელქოლას თუნდაც დღესვე. მაგრამ საულმა ახლაც იცნა, რომ ასე აჩქარდა და თანხმობა განაცხადა. როგორც კი გაიგო, დავითი მზადაა მელქოლა შეირთოსო, მოულოდნელად სრულიად განუხორციელებელი მოთხოვნების წაყენება დაუწყო. ვერასოდეს ვერავინ ვერ გამოიცნობს, რა შეუძლებელი საქმეები მოიგონა საულმა. „და ჰრქვა საულ: ესრეთ არქვით დავითს, არა ჰნებავს მეფესა მდიდრისა სიძობაი, არამედ ოდეხ ასთან თანა წინა დაუცვეთელთა უცხო თესლთასა შურის გებად მტერთა მეფისა“ (მუხლ. 25).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფე არავითარი მზითევის მიცემას არ აპირებდა ასულისათვის. უცნაური აზრი დაებადა: მზითევი თვითონ დავითმა უნდა მოიტანოსო, და მერე რა მზითევი? „უცხო თესლთა“, ე. ი. ფილისტიმელთა ასი ჩუჩა, წინადაცვეთით ნაშოვნი! სრულიად გაუგებარია, ამდენი ჩუჩა რაში დასჭირდა სამეფო მეურნეობაში ან ახალგაზრდა

ცოლ-ქმარს რად უნდოდათ ასი ფილისტიმელის სხეულის ნაწილი! საულს დავითის დაღუპვა უნდოდა.

მაგრამ „არა შემდგომად მრავალთა დღეთა აღდგა დავით და წარვიდა თვით და კაცნი მისნი მისთანა და მოსრნეს უცხო თესლთი ორასნი კაცნი და მოართვეს წინა დაუცვეთელნი მათნი მეფესა, და იქმნა იგი სიძე მეფისა, და მისცა მას მეფემ ასული თვისი მელქოლა ცოლად“ (I მეფეთა, 18, 27).

ახლა წარმოიდგინეთ კრება, რომელზედაც შეიკრა საქორწინო ხელშეკრულება, და სცენა, რომელზედაც „მეფის ნოტარიუსი“ მიყოლებით უთვლის მეფის ასულს მზითევს — ორასი წინადაუცვეთელის ჩუჩას, ხოლო შეყვარებული მელქოლა მხარზე დაყრდნობია დავითს და შესცინის, მოხიბლული ასეთი ძვირფასი მზითევით! საული კი ხედავს, რომ „უფალი არს დავითის თანა“, კიდევ უფრო ივსება მისი ეჭვიანი გული შურითა და შიშით ამ კაცის, საკუთარი სიძისა და მექნარის წინაშე, რომელიც მთელს ისრაელს უყვარს.

მაგრამ ფილისტიმელებმა იწყინეს: ასე როგორ იქნებაო, თქვეს, ებრაელებმა ჩვენთან იარონ, როგორც საბაზისო საწყობში, და თავიანთი პატარძლებისათვის ჩვენი წინადაცვეთილი ჩუჩები მოიმარაგონო! ომი განახლდა. ეს მაშინ, როცა „იქმნა დავით მოძულებულ საულისაგან ყოველ დღე“. მტერი იერიშზე გადმოვიდა. „და გამოვიდოდეს მთავარნი უცხო თესლთანი და იქმნა დასაწყისისაგან გამოსლვისა მათისა დავით მეცნიერ უფროს ყოველთა მონათა საულისათა, და პატივცემულ იქმნა სახელი მისი ფრიად“ (I მეფეთა, 18, 30).

სწორედ ამ დროისათვის მოუხშირა საულს ნერვული მოშლილობის შემოტევამ. მაგრამ მაინც გაუგებარია, რატომ ცდილობს წმინდა ავტორი, რომ თავიდან ასეთი პატიოსანი, ამდენი ნაომარი და პატივცემული მეფე მისი უბედურების ჟამს ასეთი მუქი ფერებით დაგვიხატოს? იმავე ბიბლიის ტექსტის თანახმად, ზოგჯერ თვითონ ღმერთი მიუგზავნიდა ბოროტ სულს, თვითონვე აგიჟებდა უდანაშაულო ხელმწიფეს. არც ერთი სულელი არაა თავისი საქციელისათვის დამნაშავე, და მით უფრო საული. ძლეული მეფე შეიწყალა და ამისათვის კაცი გააგიჟეს!

„და ჰრქვა საულ იონათანს, ძესა თვისსა, და ყოველთა ყრმათა (მსახურთ) თვისთა, რათა მოკლან დავით, ხოლო იონათანს, ძესა საულისსა უყვარდა დავით ფრიად, და მიუთხრა იონათან დავითს და ეტყოდა: მამა ჩემი საულ გეძიებს შენ სიკვდილად, აწ მიეფარე ხვალისაგან ადრე და დაჯედ დაფარულად, და მე გამოვიდე და დავდგე ვედრებად წინაშე მამისა ჩემისა აგარაკსა ზედა, სადაცა ხარ შენ, და ვეტყოდე მამასა ჩემსა შენთვის, და ვიხილო, რაი იყოს, და მოგითხრა შენ“ (I მეფეთა, 19, 1—2).

იონათანი ცდილობს მძულვარეთა შერიგებას.

„და ეტყოდა იონათან დავითის თვის კეთილსა საულსა მამასა თვისსა, და ჰრქვა მას: ნუ სცოდავს მეფე მონისა თვის შენისა დავითისა, რამეთუ არა რაი გცოდა წინაშე შენ, და ქმნილნი მისნი კეთილ არიან შენდა ფრიად.

და შთადვა სული თვისი ხელსა შინა თვისსა, და დასცა უცხო თესლი და ქმნა უფალმან ცხოვრება დიდი ყოვლისა ისრაელისა, და ყოველთა იცილეს და განიხარეს და რად სცოდა სისხლითა უბრალოსათა, რომელ მოაკვდინებ დავითს ამაოდ? და ისმინა საულ ხმა იონათანისა და ჰფუცა საულ და ეტყოდა: ცხოველ არს უფალი, რამეთუ არა მოკვდეს დავით. და მოუწოდა იონათან დავითს და მიუთხრა ყოველნი ესე სიტყვანი და მიიყვანა იონათან დავით საულის მიმართ და იყო წინაშე მისსა, ვითარცა გუშინ და ძოღან (გუშინწინ)“ (I მეფეთა, 19, 4—7).

ცხადია, მონარქის გულში სიძულვილი განქარდებოდა, როგორც კი ბოროტი სული მიატოვებდა, ე. ი. ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა, და მხოლოდ ღვთის წყრომის წუთებში ფიქრობდა სიძის მოკვლაზე, როცა მისი ავადმყოფი გონების წინამძღვრად ისევ სული ბოროტი მოევლინებოდა*.

ამ დროს ფილისტიმელებთან ფიცხელი ომი იყო გაჩაღებული, და დავითი დროგამოშვებით, სერენადებს შორის, სასტიკ დამარცხებებს აგებებდა მტერს. „და განძლიერდა დავით და სძლო უცხო თესლთა და მოსწყვიდნა წყლულებითა დიდითა ფრიად, და ივლტოდეს პირისაგან მისისა, და იქმნა ღვთისაგან სული ბოროტი საულის ზედა, და ჯდა იგი სახლსა შინა თვისსა, და შუბი ხელთა მისთა, ხოლო დავით ხელითა თვისათა გალობდა ბობღნითა“ (მუხლ. 8—9). მკითხველი უკვე ხვდება, რაც უნდა მოხდეს.

„და ეძიებდა საულ შუბითა განგუმერად დავითისა, და განეშორა დავით პირისაგან საულისა, და სცა საულ შუბი კედელსა, ხოლო დავით განვიდა და ცხონდა მას ღამესა შინა“, ე. ი. გადარჩა (მუხლ. 10).

ახალგაზრდა მექნარე — მხედართმთავარი იმ ღამეს თავის მეუღლესთან ეძებს ნუგეშს, რადგან სიმამრს ისევ მოუარა სიგიჟემ.

„და წარგზავნა საულ მოამბენი სახლსა შინა დავითისსა, მხვმილ-

---

* ბიბლია, ცხადია, ვერ დაიჩემებს ისტორიის თუნდაც ერთი ეპიზოდის ზუსტად გადმოცემას, მაგრამ „ისტორიის სულს“ კი ხშირად სწორად და ბრძნულად გადმოსცემს: საულიც წიმუშია ეპვიანი ხელმწიფეებისა, რომელთაც თავიანთი ქვეშევრდომის წარმატებანი მუდამ ეპვით ავსებდა. ამნაირი ეპვის მსხვერპლნი არიან, სხვათა შორის, ჟანა დარკი, ვალენშტაინი და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანი.

ვად (დასაზვერავად), რათა მოკლან იგი განთიად, და მიუთხრა დავითს მელქოლა ცოლმან მისმან, მეტყველმან: უკეთუ შენ არა იხსნა სული შენი ღამესა ამას შინა, ხვალისად მოჰკვდე!

და გარდაუტევა მელქოლამ დავით სარკმლითა, და წავიდა და იქცა და ეტოდა, და ცხონდა.

და მიიღო მელქოლა გამოქანდაკებული და დადვა სარეცელსა ზედა, და ტყავი თხისა დასდვა სასთაულსა მისსა ზედა და თავსა ზედა და დაფარა იგი სამოსლითა.

და წარავლინნა საულ მიმთხრობელნი, რათა შეიპყრან დავით და ეტყოდეს, რამეთუ ტკივნეულ არს.

და წარავლინა საულ მეორედ, და ეტყოდა: მოიღეთ იგი ცხედრითურთ ჩემდა მომართ, რათა მოვაკვდინო იგი.

და მოვიდეს მსახურნი და აჰა, გამოქანდაკებული (ქანდაკება) სარეცელსა ზედა, და ტყავი თხათა თავსა ზედა მისსა.

და ჰრქვა საულ მელქოლას: რაისათვის ესრეთ შეურაცხ მყავ მე და განუტევე მტერი ჩემი და განმერა? მიუგო მელქოლა საულსა: მან მრქვა მე, განმიტევე მე, და უკეთუ არა, წარგწყმიდო შენ (თუ არ გამიშვებ, მოგკლავო).

და დავით იქცა და ეტოდა და ცხონდა..." (*I მეფეთა, 19, 11—17*).

წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ გადმოვცემთ უწმინდესი წიგნის ზუსტ შინაარსს, ღვთაებრივი ნაწარმოებისას, სარწმუნოების საფუძველთა საფუძველს, რომელსაც აქვს პრეტენზია თავის კანონებს დაუმორჩილოს ყოველი ადამიანი. მერე და განა შეიძლება კაცმა სადმე ამაზე უფრო სულელური ამბავი ამოიკითხოს? ეს ანეგდოტი რომელიმე მდარე ვოდევილის მასალადაც კი არ გამოდგება. თავისი მხატვრულობითა და დამაჯერებლობით ის არა დგას უბირთა საბაზრო-საბალაგანო წარმოდგენებზე მაღლა. ჯოჯოხეთის მარადიულ ცეცხლზე მოხრაკვის შიშით მაინც მზადა ვართ დავიჯეროთ, რომ მელქოლა დაეხმარა საყვარელ ქმარს, ღვთისაგან მირონცხებულ დავითს, მომავალ მეფეს, ფანჯრიდან თოკით გადაუშვა, მის ლოგინში კი ჩადო მანეკენი, რომელიც თხის ტყავით შემოსა. ეტყობა, ეს თხის ტყავი დავითის ჩვეულებრივ ქუდსა ჰგავდა, მწყემსობაში ან ღამით რომ ეხურა.

ებრაულ ტექსტში „ქანდაკებას" შეესიტყვება „ტერაფიმი". ეს სიტყვა ბიბლიის თანამედროვე თარგმანებში გადმოცემულია როგორც ქანდაკი (გამოქანდაკებული). მაგრამ „ტერაფიმი" ზუსტად კერპს ნიშნავს. მაშასადამე, მელქოლას ჯერ კიდევ აქვს კერპები? ებრაელთა მეფის ასულს? ფიქრობდა თუ არა მელქოლა, რომ მამამისის მიერ მოგზავნილი მკვლელები კერპს მისი ქმრისაგან ვერ გაარჩევდნენ, ხოლო თხის ტყავს

შის ჩვეულებრივ თავსარქმელად მიიღებდნენ? აი ჩინებული სიუჟეტი სერიოზული გამოცდისათვის, რასაც უფალი ღმერთი გაუმართავდა ბატონ შეგანათლებულეს ღვთისმეტყველებს.

შემდეგ ბიბლიის მოთხრობა პირდაპირ ბოდვას ემსგავსება:

„და დავით ივლტოდა და ცხონდა და მივიდა სამოელის შიმართ აწ მათემს შინა, და მიუთხრა მას ყოველი, რაოდენიცა უყო მას საულ და წიდოდეს დავით და სამოელ და დასხდეს ნავათსდარმას (ნავათს) შინა.

და მიუთხრეს საულს, მეტყველთა: აჰა ესერა დავით ნავათსდარმას შინა (არისო).

და წარგზავნა საულ მსახურნი შეპყრობად დავითისსა, და იხილეს კრებული წინასწარმეტყველთა და სამოელ იდგა წინამძღვრად მათ ზედა, და იქმნა სული ღვთისა მსახურთა ზედა საულისთა და იწყეს წინასწარმეტყველებად.

და მიეთხრა საულს, და წარავლინნა სხვა მსახურნი, და იწყეს წინასწარმეტყველებად მათცა, და შესძინა საულ წარგზავნად მსახურთა მესამედ, და იწყეს მათცა წინასწარმეტყველებად.

და განრისხნა რისხვითა საულ და წარვიდა თვით არმათემს და მოვიდა ჯურღმულამდე კალოსსა, რომელ არს სეფენსა შინა და იკითხა და ჰრქვა: სადა არს სამოელ და დავით? და ჰრქვეს: აჰა ესერა ნავათსდარმას შინა*.

და წარვიდა მუნით ნავატს რმას შინა და იქმნა მას ზედაცა სული ღვთისა და ვლიდა მსვლელი და წინასწარმეტყველებდა, ვიდრე მისლვადმდე ნავატს რმას შინა.

და განიძარცვა სამოსელი თვისი და იწინასწარმეტყველა წინაშე მათსა და დაეცა შიშველი დღე ყოველ და ღამე, ამისათვის იტყოდეს: „ნუ თუ საულცა არს წინასწარმეტყველთა შორის?“ (I მეფეთა, 19, 18—24).

ჩვენ განზრახ სიტყვასიტყვით დავიმოწმეთ ეს ახირებული ტექსტი. წინასწარმეტყველს ეძახიან კაცს (ან ქალს), რომელიც მომავლის წინასწარ განჭვრეტას და გამოცხადებას კისრულობს. მაშასადამე, ღვთისაგან შთაგონებული უნდა იყო, რომ გაიგო, რა მოხდება მომავალში. ასედაც ესმით მორწმუნეებს „წინასწარმეტყველის“ მისია. ჩვეულებრივ წინასწარმეტყველი წინასწარმეტყველებს ერთ რომელსამე ფაქტს: ორაკულს ეკითხებიან, ის კი უპასუხებს. ან კიდევ: ღვთის კაცი წავა რომელიმე ქალაქში, ან მეფის სასახლეში, და რაიმე კატასტროფას ან ბედნიერ მოვ-

---

* საკუთრივ: ნაიოთ რამა, ნავათ რამა (ქართულ ბიბლიაში ჯერ ნავათსდარმა წერია, მერე ნავატს ლარმა, რაც შეცდომაა).

ლენას იწანასწარმეტყველებს. ასე მოღვაწეობენ წინასწარმეტყველნი, ესე იგი ადამიანები, რომლებიც თავს ზეშთაგონებულად და ყველაზე უფრო საიდუმლო საქმეების მცოდნედ ასაღებენ. მაგრამ ვის მოუვა აზრად ერთგან შეყაროს წინასწარმეტყველთა მთელი დასი, მთელი კრება, ათასნაირ წინასწარმეტყველებას რომ ისე დაუსრულებლად აფრქვევენ, როგორც შადრევანი აფრქვევს წყალს? საგიჟეთი გახლავთ!

ასე გასინჯეთ, პოლიციელებიც, ქეშიკებიც კი წინასწარმეტყველები ხდებიან, დავითსა და სამუელს უერთდებიან და მათთან ერთად იწყებენ მომავალზე ქადაგებას. ბოლოს კი თვითონ საული, სიძის მოსაკლავად რომ მიდის გაალმასებული, გზაში წინასწარმეტყველებას იწყებს, ტანზე იხდის, თითქმის შიშველდება, წმინდანთა და წინასწარმეტყველთა დასში შედის და რომელიმე უბრალო ქადაგივით დგება მისანთა ფერხულში. ეს ძალიან ჰგავს შეშლილობის კლინიკურ სურათს.

XVIII საუკუნის მეცნიერმა ბულანჟემ შენიშნა, რომ ეს სულელური ჭორი ქვემო ბრეტანის ერთ-ერთი სოფლის მოსამართლის ამბავს მოაგონებს. სასამართლოს ბოჭაული გაუგზავნია მოწმის მოსაყვანად. მოწმე დუქანში სვამდა თურმე და ბოჭაულიც შეიყოლია. მოსამართლემ მეორე ბოჭაული გაგზავნა და ისიც ბოთლში ჩაიხრჩო. ბოლოს თვითონ მოსამართლე წავიდა, მაგრამ თვითონაც იქ დარჩა, გაილეშა და საქმე გადაიდო.

მეოცე თავში მოთხრობილია, რომ დავითი ნავათიდან გაიქცა და თავი იონათანის სახლს შეაფარა. როცა საულმა წინასწარმეტყველება მოათავა, იონათანმა ისევ სცადა სასტიკი მამის გულის მოლბობა, დავითის დაცვა. დაცვა დაემთხვა ნადიმს, რაც საულმა მოაწყო „ახალი მთვარის" დღესასწაულთან დაკავშირებით. საულმა შენიშნა, რომ სუფრაზე დავითის ადგილი ცარიელია, და მაშინ დაიწყო იონათანმა თავისი სიტყვა. მაგრამ მეფეს ალბათ ეწყინა საჯაროდ ასეთ რამეზე სიტყვის ჩამოგდება, პასუხიც არ გაუცია, მხოლოდ ბრაზისაგან აჭარხლებული იჯდა და ისმენდა, რატომ არ იყო წვეულებაში დავითი: ბეთლემს წავიდა თავისი ძმების სანახავად, ამისათვის არ მოვიდა ტრაპეზსა ზედა მეფისასაო. ამაზე კი „განრისხნა რისხვითა საულ იონათანის მიმართ ფრიად და ჰრქვა: ძეო გოგოსა მეძვისაო (როსკიპის შვილო!), მე არა ვუწყია, რამეთუ ზიარ ძისა იესასა ხარ შენ, სირცხვილად შენდა, და სირცხვილის გამოსაცხადებლად დედისა შენისა?.. აწ უკვე წარგზავნენ, შეიპყარ ჰაბუკი იგი, რამეთუ ძე სიკვდილისა არს იგი" (I მეფეთა, 30—32). შვილისა და მეუღლის მაგინებელ მამას უკვე იონათანიც თამამად პასუხს აძლევს:

„და მიუგო იონათან საულს, მამასა თვისსა და ჰრქვა: რასათვის მოჰკვდეს, რაი ჰქმნა?

და აღიღო საულ შუბი იონათანის ზედა, რათა მოკლას იგი, და

სცნა იონათან, რამეთუ აწ აღესრულა სიბოროტე ესე მამისა მისისა, რათა მოკლას დავით.

და აღხლტა იონათან რისხვითა გულის წყრომისათა ტრაპეზისაგან, და არა ჭამა პური დღესა მეორესა თვისასა, რამეთუ იწყლოდა დავითისათვის, რამეთუ აღასრულა სიბოროტე მისთვის მამამან მისმან" (I მეფეთა, *20, 32—34*).

იონათანი წავიდა, დავითის გასაფრთხილებლად გაეშურა: ამჯერად მამას ალბათ ვეღარ აღუდგებიო წინ. უსმინა დავითმა, მერე „აღდგა, დავარდა პირსა თვისსა ქვეყანასა ზედა და თაყვანი სცა მას სამგზის და ამბორს უყო თვითეულმან ურთიერთას და იტირა თვითეულმან მოყვასი თვისი, აღსასრულადმდე დიდისა", მაგრამ დავითმა მეტი იტირა (მუხლ. 40—41). შემდეგ დავითი წავიდა, იონათანი კი ქალაქში შევიდა.

დავითი ნობათს შევიდა, ლევიტელთა ქალაქში, აბიმელიქ მღვდელთან ითხოვა თავშესაფარი. მღვდელს შეეშინდა. მართალია, მიიღო, აჭამა წმინდა პური, მაგრამ სიტყვა ჩაუკრა, თავშესაფარს ვერ გაგიჩენო. ვიდრე ახალგაზრდა მექნარე გზას გაუდგებოდა, მღვდელს იარაღი სთხოვა თავდასაცავი, აბიმელექმა (აქიმელექმა) უპასუხა: „აჰა მახვილი გოლიათისა უცხო თესლისა, რომელიცა შენ მოაკვდინე ხევსა შინა ელასა და შემოსილი სამოსლითა მიყრდნობილ არს ევფუდს იქით. უკეთუ გნებავს აღებად, აღიღე თავისა შენისათვის, რამეთუ არა არს აქა სხვაი, თვინიერ მისსა. და ჰრქვა დავით: უკეთუ არა არს სხვაი, მომეც იგი მე" (I მეფეთა, *21, 9*).

დავითმა თავისი მსხვერპლის — გოლიათ გეთელის ხმალი აიღო და გეთს მიაშურა, ფილისტიმელთა ქალაქს, სადაც მაშინ ანქუსი მეფობდა. იმედი ჰქონდა, რომ ისრაელის მტერი მისცემდა თავშესაფარს. გეთს რომ მიუახლოვდა, ანქუსის ზოგიერთმა მსახურმა იცნო. ეს საკმარისი გახდა იმისათვის, რომ დავითს შიში და ეჭვი დაუფლებოდა. მიიღებს თუ არა მოსისხლე მტერი გოლიათის მკვლელს? გაიგებს თუ არა მის სავალალო მდგომარეობას? ეს ძალიან საეჭვო ეჩვენა. „და დაიდვა დავით სიტყვა ესე გულსა შინა თვისსა და შეეშინა ფრიად პირისაგან ახუს მეფისა გეთელთასა, და შეიცვალა პირი მისი წინაშე მისსა და შესცვალა მას დღესა შინა და სცემდა კართა ქალაქისასა, ვითარცა ბობღნსა ზედა და დაცემოდის ხელთა ზედა თვისთა და დავარდის ბჭეთა თანა ქალაქისასა და ნერწყვი გარდამოდიოდიან წვერსა ზედა მისსა. (ე. ი. თავი მოიგიჟიანა, ჭიშკარს მუშტებსა სცემდა, პირიდან ნერწყვს უშვებდა). და ჰრქვა ანხუს ყრმათა თვისთა: აჰა ესერა ხედავთა კაცისა ცოფსა? რად მოიყვანეთ იგი ჩემდა? ანუ არა მივანა მე კაცნი ცოფნი, რამეთუ მოიყვანეთ იგი, რათა ბორგვიდეს წინაშე ჩემსა?! ესე არა შემოვიდეს სახლსა ჩემსა!"

(I მეფეთა, 21, 12—14). მართალს ამბობს გეთელთა მეფე: გაქები ჩემია მყოფნის, ეს რაღას მომიყვანეთო!

დავითის მოხერხებამ გაჭრა. ის გაუშვეს, როგორც გიჟი. „და გამოვიდა დავით მიერითგან და ცხონდა და მოვიდა ქვაბსა თდულამისასა, და ესმათ ძმათა მისთა, და სახლსა მამისა მისისასა, მოვიდოდეს მისა მიმართ მუნ, და შემოკრბებოდეს მის თანა ყოველნი ჭირვეულნი და ყოველნი თანამდებნი და ყოველნი მწუხარენი სულითა, და იყო მათდა ერისთავ და იქმნა მისთანა ვითარ ოთხასი კაცი“ (I მეფეთა, 22, 1—2). ამის შემდეგ დავითმა მოხუცებული დედ-მამა მოაბიტელთა მეფეს შეავედრა და სალაშქროდ დაიძრა. დავითსა და მის სიმამრს საულს შორის აშკარა ომი დაიწყო.

საულმა გაიგო, რა დახმარება აღმოუჩინა დავითს ქურუმმა აქიმელექმა (აბუმელექმა), განრისხდა და ქურუმი თავის მღვდლებთან ერთად სამსჯავროზე დაიბარა. „და ჰრქვა მას საულ: რა განიზრახე ჩემ ზედა შენ და ძემან იესესმან, რამეთუ მისცენ მას პური და მახვილი და კითხე მისთვის ღმერთსა, დადებად იგი ჩემ ზედა მტრად, ვითარცა დღეს ამას.

და მიუგო აბიმელიქ მეფესა და ჰრქვა: ვინ არს ყოველთა მონათა შენთა შორის სარწმუნო, ვითარცა დავით და სიძე მეფისა და თავადი ყოველთა მცნებათა შენთა, დადებულ სახლსა შინა შენსა?

ნუ თუ დღეს მიწყიეს მე გამოკითხვად მისთვის ღვთისა? არა ვითარ არა დამდვა, მეფეო, მონასა შენსა ზედა სიტყვანი ამისი, და ყოველსა ზედა სახლსა მამისა ჩემისასა, რამეთუ არა ვუწყოდი მონამან შენმან ამის სიტყვისა მცირე ან დიდი.

და ჰრქვა მეფემან საულ: სიკვდილითა მოჰკვდე, აბიმელიქ, შენ და ყოველი სახლი მამისა შენისა!

და ჰრქვა მეფემან მსწრაფლ მორბედთა წინაშე მდგომარეთა წინაშე მისსა: მოიყვანეთ და მოსწყვიდეთ მღდელნი უფლისანი, რამეთუ ხელნი მათნი დავითის თანა არიან“ (I მეფეთა, 22, 12—17).

მაგრამ საულის პირადმა მცველებმა უარი განაცხადეს ამ სიკვდილის განაჩენის სისრულეში მოყვანაზე, რადგან ვერ გაბედეს ღვთისმსახურებზე ხელის აღმართვა. „და ჰრქვა მეფემან დოიკს: მიაქციე შენ და მისწრაფე მღდელთა ზედა. და მიიქცა დოიკ ასური და მოსწყვიდნა მღდელნი უფლისანი მას დღესა შინა, სამას და ხუთი კაცი, ყოველნი მტვირთველნი ევფუდისანი. და ნომვი ქალაქი მღდელთა წარწყმდეს პირითა მახვილისათა, მამა-კაცითგან დედა-კაცადმდე და ყრმათაგან ძუძუმწოვართამდე და ზვარაკისა და ვირისა და ცხოვარისა“ (მუხლ. 18—19). ასეთი სვრემა! ეს ახალი საღვთო ომია! ომი კი არა, ხოცვა-ჟლეტა! აბიმელიქის ერთ-ერთი შვილი, აბიათარი, ჟლეტას გადარჩა, გაიქცა, დავითს შეეხიზნა. დავითმა უთხრა: „ვსცან დღესა ამას შინა,

რამეთუ მუნ იყო დოიკ ასური, რამეთუ მითხრობით მიუთხრა საულს: მე ვარ მიზეზი სულთათვის სახლთა მამისა შენისათა. დაჯედ ჩემთანა, ნუ გეშინის, რამეთუ სადაცა თუ ვიძიო სული ჩემი, ერთად ვიძიო სულიცა შენი, რამეთუ დაცულ იქმნები დღეს ჩემ თანა“ (მუხლ. 23).

რამდენადაც შეიძლება, ვამოკლებთ ამბავთა მსვლელობას. მაგრამ „წმინდა წერილის სახელმძღვანელოები“ ბევრად უფრო შემოკლებულია და ჩვენ იძულებული ვართ მკითხველისათვის აღვადგინოთ ბიბლიის სრული, ნამდვილი ტექსტი, გავიხსენოთ უამრავი ეპიზოდი, რასაც ჩვენი საეკლესიო მოღვაწენი დარცხვენილნი უვლიან გვერდს. წმინდა წერილის უცნაური წვრილმანები ხშირად არ არიან მოკლებულნი ყველაზე უფრო საჩოთირო, პიკანტურ მნიშვნელობას, ცხოველ ინტერესს. ჩვენ შევეცდებოდით უფრო ლაკონიური სტილი შეგვერჩია, რომ საქმე სხვა რომელიმე ჩვეულებრივ წიგნს ეხებოდეს, თუნდაც ტირანთა აბდაუბდა ქადაგებას, რაც ისეა დაშორებული სინამდვილეს, როგორც ცა და დედამიწა. მაგრამ ეს ხომ თვით უფალი ღმერთის ნაწარმოებია და არა ჩვეულებრივი დემაგოგი ტირანისა! ამიტომ ვერა ვბედავთ გვერდი ავუაროთ ღვთაებრივ მარგალიტებს, რომლებიც ბიბლიის ფერად, ხბოს ტყავის ან მოვერცხლილ-მოჩუქურთმებულ ყდაშია მოქცეული!

დავითი თავისი ლტოლვილთა რაზმით თარეშობდა გარეშე მტრის ბანაკში, მაგრამ საულის მიმართაც ფხიზლად ეჭირა თვალ-ყური. აი, მიუთხრეს, რომ კეილი უცხო თესლს მოუცავს, აოხრებენო იჭაურობას. დავითმა სალაშქროდ წასვლა გადაწყვიტა, ღმერთმაც ასე ურჩია: „წარვედ და სძლო უცხო თესლთა ამათ და აცხოვნო კეილ“. წავიდა, „და ბრძოდეს უცხო თესლისა თანა და ივლტოდეს უცხო თესლნი პირისაგან დავითისა და წარმოიყვანა პირუტყვნი მათნი, და მოსრნა იგინი წყლულებითა დიდითა“.

იმ ხანებში იესეს შვილი დავითი ზითის უდაბნოში დაეხეტებოდა. მისი ჭრელი ბრბო იზრდებოდა. უკვე 200 კაცი მიემატა. საული ამ ბანდას დაედევნა, მაგრამ ვერ დაეწია. ამის მიუხედავად, დავითს შეხვედრა ჰქონდა იონათანთან ტყეში. ორივემ ერთიმეორეს სამარადისო მეგობრობა შეჰფიცა.

საულმა გაიგო, ფილისტიმელები სალაშქროდ დაძრულანო, დავითის დევნა შეწყვიტა და ეროვნულ მტერს შეება. ფილისტიმელები რომ უკუაგდო, საული ისევ დავითს მიუბრუნდა. დავითმა ამ დროისათვის ენ-გადის უდაბნოში თავისი „ბანაკი“ გაიმართა და ზეგავლენის სფეროს გაზრდას შეუდგა. ეს მუშაობა ერთობ ნაყოფიერი გამოდგა, რადგან ბიბლიის სიტყვით დავითი ყაჩაღთა ბანდის ნამდვილი მთავარი, ატამანი გახდა. 600 კაცი ჰყავდა, მთასა და ბარში დათარეშობდა, თავზე ხელაღებული-

ავაზაკების რაზმით ესხმოდა თავს მტერსა და მეგობარს, არ ინდობდა არავის და არაფერს, ძარცვავდა ყველას, ვინც გზად შეხვდებოდა.

ორჯერ მიუახლოვდა საული სამი ათასიანი რჩეული ჯარით. ორსავე შემთხვევაში სიძემ სამაგალითო დიდსულოვნობა გამოიჩინა. ერთ ეპიზოდი მეტისმეტად თავშესაქცევია, რომ ზუსტად [illegible] ამ ეპიზოდების მოთხრობისას ღვთაებრივი მტრედი მართლაც უჩვეულოდ შთაგონებული უნდა ყოფილიყო. ყველაფერი ღმერთის ნებით ხდებოდა. მას არ გაუჭირდებოდა დავითისათვის უფრო ნაკლებად სასაცილო გარემოებებში მიეცა შემთხვევა გამოეჩინა თავისი დიდსულოვნობა. თუ ეს თავგადასავალი მაინც გონჯია, ეს იმიტომ, რომ წმინდა სამებამ თავშესაქცევად მოიწადინა ხუმრობის იერი მიეცა ამ მოსაწყენი კარნახისათვის. მაგრამ ჩვენ სულაც არ გვინდა ამ მოთხრობებს თავიანთი ღვთაებრივი საფარველი ჩამოვაცალოთ. სწორედ ისაა კარგი, რომ ყველაფერი უცვლელადაა აღებული წმინდა წერილიდან.

ამრიგად, წინ, — ახალი ციტატა!

„და აღდგა დავით მიერითგან და დაჯდა იწროსა შინა ენღადისასა (ენგედის მთებში გამაგრდა).

და იყო, ოდეს მოიქცა საულ უკანა უცხო თესლთაგანი, და მიეთხრა მას მეტყველთაგან: აჰა დავით უდაბნოსა ენღადისასა.

და წარიყვანნა საულ სამ ათასნი კაცნი მის თანა რჩეულნი ყოველთაგან ისრაელისათა, და წარვიდა ძიებად დავითისა და კაცთა მისთა მართლ პირსა სადდემისა.

და მოვიდა სამწყსომდე მწყემსთასა გზასა ზედა და იყო მუნ ქვაბი: და საულ შევიდა, რათა დაცალიერდეს, ხოლო დავით და კაცნი მისნი შინაგან ქვაბთასა ისხდენ.

და ჰრქვეს კაცთა დავითისთა მისდა მიმართ: აჰა დღე ესე, რომლისათვის გრქვა უფალმან შენ მოცემად მტერისა შენისა ხელსა შინა შენსა, და უქმენ მას, ვითარცა სათნო არს წინაშე თვალთა შენთა: და აღდგა დავით და მოჰკვეთა კიდესა სამოსლისა საულისსა ფარულად.

და იყო შემდგომად ამისა და შეუძრწუნდა დავითს გული თვისი, რამეთუ მოუკვეთა კიდე სამოსლისა საულისა.

და ჰრქვა დავით კაცთა თვისთა: ნურა ოდესცა იყოფინ ჩემდა უფლისა მიერ, უკეთუ უყო სიტყვა ესე უფალსა ჩემსა და ცხებულსა უფლისასა, რომელ აღვიღო ხელი ჩემი მას ზედა, რამეთუ ცხებულ არს უფლისა ესე. (საული შემთხვევით შევიდა გამოქვაბულში, სადაც დავითი და მისი ხალხი იმალებოდა — საქმეზე, რისთვისაც მეფენიც საკუთარი ფეხით მიდიან. რომ დაიკუზა, დავითმა სამოსის კალთა მოაჭრა ფარულად, მტრის მოკვლაზე კი უარი თქვა: მირონცხებულიაო).

და შეაჯერა დავით კაცნი თვისნი სიტყვითა ამით და არა სცა მათ მოკვლად საულისა: და აღდგა საულ და გამოვიდა გზასა ზედა.

და გამოვიდა დავით უკანა მისსა ქვაბისა მიერ: და ხმაი უყო დავით უკანა საულს და ეტყოდა მას: უფალო ჩემო მეფეო! და უკმოხედა საულ უკანა თავისა და დავარდა დავით მიწამდე პირითა თვისითა ბიბლიოთეკა ნისცა მას.

და ჰრქვა დავით საულს: რად უსმენ სიტყვათა კაცთასა მეტყველთა: აჰა დავით ეძიებს სულსა შენსა!

აჰა დღეს იხილეს თვალთა შენთა, რამეთუ მომცა უფალმან დღეს თავი შენი ხელთა ჩემთა ქვაბსა შინა და არა მოვინებე მოკლვად შენდა, და გრიდე შენ და ვთქვი: არა განვმარტო ხელნი ჩემნი უფალსა ზედა ჩემსა, რამეთუ ცხებულ არს უფლისა ესე.

და აჰა, იხილე კიდე სამოსლისა შენისა ხელსა შინა ჩემსა, რომელი მოვკვეთე კიდისაგან სამოსლისა შენისა და არა მოგაკვდინე შენ, და სცან და იხილე დღეს, რამეთუ არა არს ბოროტი ხელსა შინა ჩემსა, არცა უპატიოებაი და შეურაცხყოფაი, არცა შეცოდება შენდა, და შენ ეძიებ სულსა ჩემსა მიღებად მისსა.

საჯოს უფალმან შორის ჩემსა და შენსა და შურისძიება ყოს უფალმან შენგან. და ხელი ჩემი არა იყოს შენ ზედა.

ვითარცა იტყვის იგავი ძველი: უსჯულოთაგან გამოვიდეს გარდამავლობა (უსამართლოსაგან გამოდისო უსამართლობა), ხოლო ხელი ჩემი არა იყოს შენ ზედა!

და აწ, მეფეო ისრაელისა, უკანით ვისამე ხვალ, ვისა სდევნი შენ? უკანითმეა ძაღლისა მომკვდარისა და უკანით გრწყილისა ერთისა (ვის სდევნის ისრაელის მეფე? მკვდარ ძაღლს, უბრალო რწყილს!).

იყავნ უფალი მსაჯულ და შურის მგებელ შორის ჩემსა და შენსა, და იხილოს უფალმან და საჯოს მსჯავრი ჩემი და მისაჯოს მე ხელისაგან შენისა.

და იყო, ოდეს აღასრულა დავით სიტყვანი ესე, მეტყველმან საულის მიმართ, და ჰრქვა საულ: შენი არს ხმაი ესე, შვილო დავით? და აღმოუტევა საულ ხმაი თვისი და ტიროდა.

და ჰრქვა საულ დავითს: მართალ ხარ შენ უფროს ჩემსა, რამეთუ შენ მომაგე მე კეთილი, ხოლო შენ მე მოგაგე ბოროტი.

და შენ მომითხარ მე დღეს, რომელი მიყავ მე კეთილი, რამეთუ დამხშა მე უფალმან ხელთა შინა შენთა დღეს და არა მომკალ მე.

და უკეთუ პოვოს ვინმე მტერი თვისი შეჭირვებასა შინა და განუტეოს იგი გზასა კეთილსა, უფალმან მიაგოს მას კეთილი, ვითარცა ჰყავ შენ დღეს!

და აწ აჰა უწყი მე, რამეთუ მეფობით სუფევდე შენ, და დაადგრეს ხელსა შინა შენსა მეფობა ისრაელისა.

და აწ მეფუცე მე უფლისათა, რათა არა აღმოუფხვრა თესლი ჩემი შემდგომად ჩემსა, და არა წარსწყმინდო სახელი ჩემი სახლისაგან მამისა ჩემისა.

და ეფუცა დავით საულს და წარვიდა საულ ადგილსა თვისსა. ხოლო დავით და კაცნი მისნი აღვიდეს მეჭერსა შინა იწროსაჲ. (I მეფეთა, 24, 3—23).

ეს სცენა მეტად პათეტიკურია, თუმცა ძნელი გასაგებია, რატომ ადარებს დავითი თავის თავს ჩამღრძვალ ძაღლსა და რწყილს, რისთვის იმცირებს ასე გადამეტებით თავს. ეპიზოდი მართლაც ბრწყინვალე იქნებოდა, რომ მას თან ახლდეს სხვა გარემოებანი. მაგრამ ესაა ცოტა უცნაური, სად მივიდა დავითის მიერ შეწყალებული საული თავისი ბუნებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად? გამოქვაბულში? სულიწმინდას რომელიმე სხვა, უფრო ბუნებრივი დეკორაცია შეეძლო შეექმნა. მაგრამ რაკი ღმერთს უნებებია, რომ საქმის ვითარება ასეთი იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ აქ მისი შემოქმედებითი შთაგონება უცნაურ გემოვნებას ამჟღავნებს. კლერიკალები ემილ ზოლას ზოგიერთ წიგნზე ღმუიან და იღრინებიან, მაგალითად იმ ადგილებზე, სადაც დიდი მწერალი — ნატურალისტი გარყვნილების სცენებს ან იმ ავ სუნს აღწერს, რასაც გლეხები აყენებენ. მაგრამ ემილ ზოლას რომანები ხომ წმინდა წიგნები არ არიან და არსად არასოდეს არ მოუვათ აზრად, რომ მათზე რელიგია დააფუძნონ. ვიდრე წმინდა მტრედი შთაგონების წუთებში იყო, თამამად შეეძლო დაემატებინა, რომ დავითი გამოქვაბულიდან მოიჩქაროდა, უცებ ფეხი წამოჰკრა საულის იქ ყოფნის დამადასტურებელ საგანს და ამან მოუტანა ბედნიერება, ან სუნი იგრძნო და ა. შ. მორწმუნეები ამ დეტალსაც მოწიწებით მიიღებდნენ.

მაგრამ ნუ შევჩერდებით ასეთ მარჩიელობაზე.

მეორეჯერ საულის მოქიშპემ, იესეს შვილმა თავისი სულის სიდიადე ცოტა სხვანაირ გარემოებაში გამოავლინა. დავითი ვინმე აბესას თანხლებით შეიპარა საულის ბანაკში. ღამე იყო და ღმერთი იყო დავითის უშუალო თანამგზავრი.

„და შევიდეს დავით და აბესია მხედართა შორის ღამე. და აჰა, საულს ეძინა ძილითა კარავსა შინა. და შუბი მისი აღმართული და დასობილი მიწასა თავით მისსა, ხოლო აბენირს და მხედართა მისთა ეძინათ გარემოს მისსა.

და ჰრქვა აბესია დავითს: მოგცა შენ უფალმან დღეს მტერი შენი

ხელთა შენთა და აწ მოჰკალ იგი შუბითა მიწასა ზედა ერთგზის და არა დაუორო მას ზედა (მეორედ აღარ დაჰკრა)*.

და ჰრქვა დავით აბესიას: ნუ მოჰკლავ მას, რამეთუ ვინ განმორტის ხელი თვისი ცხებულსა ზედა უფლისასა, და უბრალო იყოს!

და ჰრქვა (კვალად) დავით: ცხოველ არს უფალი, რამეთუ არა უფალმან მან დაამხვას იგი, ანუ დღე მისი არა მოუვიდეს და მოკვდეს, ანუ ბრძოლადმცა განვიდეს, და წარწყმდამცა.

ნუ იყოფინ ჩემდა უფლისა მიერ დასხმად ხელისა ჩემისა ცხებულსა ზედა უფლისასა, და აწ აღიღე შუბი თავისაგან მისისა და ჭურჭელი წყლისა და განვიდეთ: ჩვენ თვისგან.

და აღიღო დავით შუბი და ჭურჭელი წყლისა თავისაგან მისისა და გამოვიდეს ზოგად და არა იყო, რომელმანცა სცნა ანუ იხილა, და არა იყო ზემდგომი, რამეთუ ყოველთა ეძინათ, რამეთუ ძილი იყო მძიმე ძლიერი უფლისა მიერ დაცემული მათ ზედა.

და განვიდა დავით მიერ ველთა ზედა და დადგა წვერსა ზედა მთისასა შორით და მრავალ იყო გზა შუა ამათსა.

და უხმო დავით ერისა მიმართ და ამენირს მიუგო მეტყველმან: „არა მომიგებს, ამენირ?“ და მიუგო ამენირ და ჰრქვა: ვინ ხარ შენ? შენ, რომელი მიხმე მე? და ჰრქვა დავით ამენირს: არა კაც ხარა შენ? და ვინ არს, ვითარცა შენ ისრაელთა შორის და რად არა იცავ უფალსა შენსა ნეფესა? რამეთუ შემოვიდა ერთი ერისაგანი მოკლვად უფლისა შენისა მეფისა.

და არა კეთილ არს ესე ფრიად, რომელი ჰქმნე. ცხოველ არს უფალი, რამეთუ ძენი ხართ სიკვდილისანი, თქვენ არა მცველნი უფლისა თქვენისა მეფისა ცხებულისა უფლისანი, და აწ იხილე, სადა არს შუბი მეფისა და ჭურჭელი წყლისა, რომელი იყო თავით მისსა.

და იცნა საულ ხმაი დავითისი და ჰრქვა: შენი არსა ხმა ესე, შვილო, დავით? და ჰრქვა დავით: მე, მონა შენი, უფალო მეფეო!

და ჰრქვა დავით: რაიდ მდევნი მონასა შენსა; უფალო მეფეო, რაითა შეგცოდე შენ? და რაი იპოვა უსამართლოება ჩემ შორის?“ (I მეფეთა, 26, 7—18).

ეს ეპიზოდიც ისევე თავდება, როგორც წინა, იმ განსხვავებით, რომ იესეს შვილი თავის თავს აღარ ადარებს ჩამღრძვალ ძაღლს, მხოლოდ

---

* ქართულ დაბადებაში აქ მცირე უზუსტობაა: გარდა იმისა, რომ აბესიას (საკ. აბისაის) ნაცვლად ზოგან „ამესია“ წერია, ისეა გამოყვანილი, თითქოს საულის მოკვლას აბესია დავითს ავალებდეს, სინამდვილეში კი თვითონ სთხოვს დავითს: ჰა, მოგცა ღმერთმა მტერი ხელთა, ნება მომეცი ერთი დაკვრით მიწაზე დავაკრაო.

რწყილთან შედარებით კმაყოფილდება. ამას გარდა, შუბსაც უბრუნებს, მხოლოდ მეფის მათარას იტოვებს.

საკითხავია, რატომ ჩაუთვლიათ ბიბლიურ გმირებს შორის საული დაწყევლილად? თუ ადამიანური საზომების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს მეფე საერთოდ ცუდი ადამიანის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. მისი სიშმაგე დავითის წინააღმდეგ ბოროტი სულის შთაგონების შედეგია, გარდა ამისა, თვითონ დავითიც საკმაოდ უსუსური არსებაა. როცა საული თავის ჭკუაზეა, მას ადამიანთა სისასტიკე ზიზღსა ჰგვრის. მან შეიწყალა მოსისხლე მტერი აგოგი და ამის შემდეგ იწყება ფაქტიურად მისი სიგიჟე, რადგან იგივე აგოგი მის თვალწინ ქურუმებმა აკეპეს. გარდა ამისა, საული პატრიოტია, დავითი კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავისი ყაჩაღთა ბანდით ფილისტიმელების სამსახურში დგება. მაგრამ... მაგრამ ეკლესიის მამები გვიქადაგებენ, აქ ჩვეულებრივი ადამიანის გონება უძლურია, საქმე ღვთაებრივ შთაგონებას ეხება და რაც სარწმუნოებას ეხება, ის უნდა ვიწამოთ.

ქეთური საულის სავალალო აღსასრული

მერთი არასოდეს არ უშვებდა ხელიდან ხელთ-ვევას, რათა დაემტკიცებინა, რომ ის სწორედ დავითს მფარველობდა ყველაზე უწინარეს, რადგან ეს მეწნარე ყველაფერში მის სურვილებს ასრულებდა. თავი შეიქციეთ, მაგალითად, ნაბალისა და აბგეას ამბით. შეეცდებით ზუსტად გადმოვცეთ ეს ბიბლიური მოთხრობა, მივყვეთ წმინდა წერილს და დავთმოთ მხოლოდ მოსაწყენი გამეორებანი.

ქურუმთ ქურუმი სამუელი რომ მოკვდა და მთელმა ისრაელმა დაიტირა, დავითი „შთამოვიდა უდაბნოსა შინა მაონისასა". აქ, მაონში, ვინმე მდიდარი კაცი ცხოვრობდა, სამი ათასი ცხვარი ჰყავდა და ათასი თხა. ამ კაცის სახელია ნაბალი, მისი ცოლისა კი აბგეა (აბიგეა). ერთხელ ეს მდიდარი კაცი ცხვარსა კრეჭდა კარმელში თუ კარმილში. დავითმა ამ კაცს მსახურები მიუგზავნა, მოიკითხა, როგორ ხარო, მშვიდობაც უსურვა მონათა პირით, მერე კი ასე უნდა ეთქვათ: ამ უდაბნოში დავითი დგას ბანაკად, გაუგია, რომ ცხვარსა კრეჭ, სალამს გიძღვნის და გთხოვს მისცე, „რაიცა უკვე ჰპოვოს ხელმან შენმანო". ამ კაცს ცოლი გონიერი ჰყავდა, „კეთილი ხატითა ფრიად", თვითონ კი იყო „კაცი ფიცხელი და ბოროტი და წყებასა შინა კაცი მხეც ჩვეულებისა". ასეთი კაცი აბა რას გაიმეტებდა?" და ახტა ნაბალ და მიუგო მონათა დავითისთა და ჰრქვა: „ვინ არს დავით, ძე იესესი? დღეს განმრავლებულ არიან მოსანი, განშორებულნი თვითეულნი პირისაგან უფლისა თვისისა, და აღვიღოა პურნი ჩემნი, და ღვინო ჩემი და საკლავი ჩემი, რომელი დაუკალ მჭრისველთა (მკრეჭელთ) ცხოვარისა ჩემისათა, და მივსცნეა იგინი კაცთა, რომელნი არა ვუწყი, ვინ არიან?" და მიიქცეს ყრმანი დავითისნი გზასა მათსა და მოვიდეს და მიუთხრეს დავითს სიტყვისა ებრ მისისა. და ჰრქვა დავით კაცთა თვისთა: შეირტყენ თვითეულმან საჭურველი თვისი! და შეირტყა დავითცა მახვილი თვისი, და ვიდოდეს და შეუდგეს დავითს, ვიდრე ოთხასი კაცი და ორასი დაშთა ჭურჭელთა თანა. და აბიგეას, ცოლსა ნაბალისასა მიუთხრა ერთმან ყრმამან და ეტყოდა: აჰა, წარმოგზავნა დავით მოციქულნი უდაბნოსაგან კურთხევად უფლისა ჩვენისა, და მან მიაქცია იგინი... და აწ სცან და იხილე, რასა ჰყოფ, რამეთუ აღესრულა სიბოროტე უფალსა ჩვენსა ზედა... და ისწრაფა აბიგეა და

აღიღო ორასი პური და ორი ჭურჭელი ღვინო და ხუთი ცხოვარი მწვარე და ხუთი საწყაული ფქვილი სიმინდოვანი* წმინდაი, კალათი ყოველი და ორასი ლეღვის ჩირი და დაადვა კარაულსა ზედა“ (I მეფეთა, 25, 9—17).

გონიერმა ქალმა ბორგნეულ ქმარს არა უთხრა ვისი ვინ არის და ტვირთული ვირები და წავიდა. „და აჰა ესერა დავით და კაცნი მისნი შთამოვიდოდეს წინაშე მისსა და შეემთხვივა მათ და ჰრქვა დავით: ჭეშმარიტად ცუდად ყოველი ნავახისა დავიცვ უდაბნოსა შინა და არა რაიცა ვუბრძანე მოყვანებად ყოველისაგან, რომელი არს მისი, და მომაგო მე ბოროტი კეთილისა წილ, და ესე უყავნ ღმერთმან დავითს და ესე შესძინენ, უკეთუ განთიადისამდე დაუტეო ყოველთაგან ნაბალისათა შემფსმელადმდე კედლისა მიმართ“, ე. ი. შენ რომ არ მოსულიყავი, დილამდე შენი ქმრის ოჯახიდან მამაკაცის ნასახს არ დავტოვებდიო, უთხრა დავითმა „წარწყმედილი ნაბალის“ ცოლს.

ათი დღის შემდეგ ნაბალი გარდაიცვალა. ჯერ მისი ცოლის საქციელი და დავითის მუქარის ამბავი რომ გაიგო, „მოკვდა გული მისი ამას შინა“ და „იქმნა ვითარაც ქვა“, შემდეგ კი თვითონაც გადაჰყვა: „დასცა უფალმან ნაბალ და მოკვდა“. დავითმა უფლის წყალობა ისევ ინიშნა და თქვა: „კურთხეულ არს უფალი, რომელმან საჯა სჯა ყვედრებისა ჩემისა ხელისაგან ნაბალისა და მონა თავისი დაიცვა ხელისაგან ბოროტისა. და სიბოროტე ნაბალისა მიაქცია უფალმან თავსა ზედა მისსა! და წარავლინა დავით, მეტყველმან აბიგეის მიმართ: მოგიყვანო შენ თავისა ჩემისა ცოლად! და მივიდეს ყრმანი დავითისნი აბიგეის მიმართ კარმელსა და ჰრქვეს მას, მეტყველთა: დავით წარმომგზავნა ჩვენ შენდა, რათა შენ მიგიყვანოს თავისა თვისისა ცოლად! და აღდგა და თაყვანისცა მიწამდე პირითა და ჰრქვა: აჰა, მხევალი შენი, და მხევალმან დაჰბანოს ფერხნი მონათა შენთანი! და აღსდგა აბიგეი და დაჯდა კარაულსა ზედა და ხუთნი ქალწულნი მისდევდეს უკანა მისსა, და ვიდოდეს უკანით ყრმანი დავითისნი და იქმნა მისა ცოლად“ (I მეფეთა, 25, 39—42).

წარმოიდგინეთ ბიბლიური პრინცესა, სახედარზე რომ შემჯდარა, რათა მომავალ იმპერატორს ეახლოს, უკან კი ამალა მისდევს — ხუთი სეფექალი — მწყემსი ქალი, და დავითის ბანდის ავაზაკები... განა ეს თავშესაქცევი სანახაობა არ არის?

დაიწყო დავითის ცოლების მომრავლება. „და იაღხინამიცა მოიყვა-

---

* „ფქვილი სიმინდოვანი“ (ლუთერის ბიბლიაში მხოლოდ „ფქვილი“ წერია, რუსულში — „მარცვალი“) — კულტურული მცენარის ეს ძველთაგანვე ცნობილი შესატყვისი ზუსტად იმ მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, რაც დღეს აქვს: როცა კოლუმბმა ამერიკიდან სიმინდი ჩამოიტანა, ბიბლია დიდი ხნის თარგმნილი იყო ქართულად.

ნა დავით იეზრაელისგან, და იყვნეს მისა ორ ცოლად. ხოლო საულ მისცა მელქოლა, ასული თავისი, ცოლი დავითისი, ფალთიას ძესა ამისოვისა რომელი იყო რომმასაგან“ (მუხლ. 43).

შარაგზის ყაჩაღის ცხოვრების აღწერა რომ გახდეს საჭირო, ძნელი იქნებოდა იმაზე უკეთესად დაწერა, როგორც ბიბლიის ეს ადგილია — დაწერილი. დავითის განდიდებით გატაცებული ბიბლია საბოლოოდ გვიხატავს როგორც ტლანქსა და წაწყმედილ ადამიანს. მაგრამ დავითის საქციელი განა ნაკლებად აღმაშფოთებელია? თუმცა თვითონ ღმერთი მონაწილეობს მის მოკვლაში, რათა ქმრის მოძულე ცოლი დავითის ხელში მოახვედროს, და ღმერთთან რა გაეწყობა! თავისი ბოროტი ჩარევით კი უზენაესი ხელს უმართავს პირველი ცოლის მოღალატე დავითს, თავის რჩეულს, რომელსაც სამუელის ხელით თავზე ზეთი დაასხა. უცნაური მორალია, ღმერთმა იცოდეს!

როგორც უკვე ვთქვით, იმ ხანებში გარდაიცვალა დიდი ქურუმი სამუელი, „და შეკრიბა ყოველი ისრაელი და ტიროდეს მას და დამარხეს იგი სახლსა მისსა არმათემსა შინა“ (თავი 25, მუხლ. 1). მოსესი არ იყოს, სიკვდილმა ხელი ვერ შეუშალა, რომ თავის წიგნში აეწერა მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მისი სიკვდილის შემდეგ. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ სამუელი მოსეს რეკორდს აჭარბებს. თუ მოსე მხოლოდ თავისი დასაფლავებისა და სახალხო გლოვის აღწერით დაკმაყოფილდა, სამუელის სიკვდილისშემდგომი ნაწარმოები მოიცავს საულის მეფობის აღსასრულისა და დავითის მეფობის მთელს პერიოდს, რაც, ცხადია, სამუელს არ მოსწრებია. მთელი 38 თავი გადმოგვცემს ამბავთა ქარავანს, რომელთა მსვლელობასაც სამუელი თავისი საკუთარი გვამის განსვენების შემდეგ თვალს ადევნებდა. სასწაულთა სასწაულო! როგორ მოხდა, რომ ეს მოვლენები, რომელთაც თავისი ციური სიმაღლეებიდან ხედავდა საკუთარი სულის თვალებით, აღწერა საკუთარი ხრწნადი სხეულის ნაწილით — ხელებით, რომლებიც მისივე თქმით მთელს მის ნემსთან ერთად ასეთი პატივით დაკრძალეს! ეს ღვთაებრივი საიდუმლოა! ვინ განჭვრიტოს ძალნი განგებისანი!

ნუ შევეცდებით მის ახსნას და დავკმაყოფილდეთ იმის თქმით, რომ განსვენებულმა წინასწარმეტყველმა უკან მიიხედა და იკისრა იმ ორი ხელმწიფის ცხოვრების მემატიანის როლი, რომელთაც თავისი ხელით დაასხა თავზე ზეთი. „სამუელი“ გულდამშვიდებით მოგვითხრობს, რომ „აღდგა დავით და ექვსასი კაცი, რომელი იყო მისთანა და წარვიდა ანქუს მიმართ, ძისა ამახოვისა, მეფისა გეთელონისა“ (თავ 27, მუხლ. 2). ამრიგად, ისრაელთა ზეთცხებული მეფე ისრაელთა მოსისხლე მტერს შეეკედლა და კიდეც მიიღო მისგან საცხოვრებლად ქალაქი სეკელაგი. აქ

იცხოვრა მოსისხლე მტერთა შორის ღვთისაგან კურთხეულმა დავითმა წელიწადი და ოთხი თვე.

„და ვიდოდა დავით და კაცნი მისნი და დაესხმოდენ ყოველსა ღესერერასა და ამალეკსა ზედა და ყოველსა ქვეყანასა ... და შეებრძოლა ... ამსურითგან ქვეყანამდე ეგვიპტისა, და სძლევდა დაუტევებდა ცოცხალსა, მამა-კაცსა და დედა-კაცსა, და მოიყვანდა სამწყსოსა და ხართა რემათა და ვირთა, აქლემთა (კიდევ კარგი, პირუტყვს რომ არ ხოცავდა!), და სამოსელთა, და მოიქცენ და შემოვიდენ ანხუსის მიმართ. და ჰრქვა ანხუს დავითს: ვისა ზედა დაესხენით აწ? და ჰრქვა დავით ანხუსს: სამხრით კერძო იუდასა და სამხრით იეზმელისა და სამხრით ქენეზიასა, და არცა მამა-კაცი და დედა-კაცი არა დაუტევეთ ცოცხალი მოყვანებად გეთს შინა და სიტყვად: რათა არა ვითარ მოგვითხრან გეთს შინა ჩვენ ზედა, მეტყველთა: ამას ჰყოფს დავით, და ესე იყო სიმართლე მისი ყოველსა შინა დღესა, რომელსა შინა ჯდა დავით სოფელსა უცხო თესლთასა. და დაერწმუნა დავით ანხუსს ფრიად და ეტყოდა: მოძაგებით მოიძაგეს ერთა თვისთა ისრაელთა შორის, და იყოს მონა ჩემი უკუნისამდე!“ (I მეფეთა, 8—12).

როგორ მოგწონთ ეს წმინდა მირონცხებული, უფალი მაცხოვრის იესო ქრისტეს უდიდესი წინაპარი, ებრაელთა უძლიერესი მეფე, ღმერთის რჩეული?

კრიტიკოსები მოგვაგონებენ, რომ პირველად ფილისტიმელთა იმავე მეფის წინაშე თავი მოიგიჟიანა. ეს, ცხადია, ვერაფერი ხერხია იმისათვის, რომ ნდობა ჩაუნერგო მეფეს, რომელსაც ბრძოლის ველზე ემსახურები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომში, როგორც ეს შემდეგ მოხდა. მაგრამ ხერხი, რითაც დავითი თავის კეთილისმყოფელ მეფეს ემსახურება, კიდევ უფრო უჩვეულოაო, განაგრძობენ კრიტიკოსები. აიძულებს დაიჯეროს, რომ ძარცვავს ებრაელებს, ჟლეტს და ართმევს პირუტყვის ჯოგებს, სინამდვილეში კი მისსავე მოკავშირეებს აწიოკებს და მთხრობელიც არ მოჰყავს ცოცხალი. ყველას და ყველაფერს ანადგურებს. ხოცავს თვით ბავშვებს, რომ არ დაასმინონ.

მაგრამ ანხუსი განა ბრმა იყო, რომ მთელი თექვსმეტი თვის განმავლობაში ეშმაკობა ვერ შეუტყო? ეტყობა, კიდევ უფრო სულელი იყო, ვიდრე დავითი ჩანდა იმ დღეს, მსახურებმა რომ მიჰგვარეს და თავს კედელს უბრახუნებდა. ღვთისმეტყველებს სულაც არ აწუხებთ „მირონცხებულის“ ასეთი საქციელი. მერე რა, რომ ანხუსის მოკავშირეებს ანადგურებდა, ისინი ხომ წარმართები იყვნენო! დავითში ისინი ხედავენ ღმერთის ნების გამოხატულებას და ყოველგვარ ცოდვას ულაპარაკოდ მიუტევებენ ხოლმე, მხოლოდ მის „სიწმინდეს“ უგალობენ.

მომდევნო თავში ფილისტიმელები სალაშქროდ ემზადებიან ებრა-

ელთა წინააღმდეგ, და ისრაელთა მეფის საჭურველთმტვირთველი ხიქე და ათასისთავი ერთბაშად იქცევა ფილისტიმელთა მეფის გვარდიის უფროსად. აქ ჩვენ ვუახლოვდებით ცნობილ ეპიზოდს — აენდორის ჯადოქრის ამბავს.

ბიბლია ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, „მოკვდა სამოელ და გოდებდა და მის ზედა ყოველი ისრაელიო", მერე დასძენს, რომ საულმა „მოსწყვიდნა ყოველნი მოგვნი და მისანნი ქვეყანისა თვისისანი", შემდეგ კი უცხო თესლის ლაშქრობის აღწერაზე გადადის.

„და შეკრბეს უცხო თესლნი და შემოვიდეს და დაიბანაკეს სომანსა შინა. და შეკრიბა საულ ყოველნი კაცნი ისრაელისანი და დაიბანაკა ღელბუსა შინა.

და იხილა საულ ბანაკი უცხო თესლთა, შეშინდა და განკრთა გული მისი ფრიად.

და ჰკითხა საულ უფალსა, და არა მიუგო მას უფალმან, არცა ჩვენებითა და არცა ცხადად, არცა წინასწარმეტყველითა*.

და ჰრქვა საულ ყრმათა თვისთა: მომიძიეთ მე დედა-კაცი ულუკი (მისანი), და წარვიდე მისა და ვკითხო მას. და ჰრქვეს მას ყრმათა მისთა: აჰა, არს დედა-კაცი ულუკი აენდორსა შინა.

და დაიფარა საულ და შეიმოსა სამოსლითა სხვითა, და წარვიდა თვით და ორნი კაცნი მისთანა, და მივიდა ღამით დედა-კაცისათანა და ჰრქვა საულ მას: მიმისნე მე მისნობითა მოგვობისათა და მომგვარე მე, რომლისაცა გრქვა შენ.

და ჰრქვა დედა-კაცმან: აჰა, აწ შენ თვით უწყი, რაოდენ ქმნა საულ, ვითარ მოსპო მისან-მოზღაპრე და მოგვნი, და რად შენ მოინადირებ სულსა ჩემსა, რომელ მოაკვდინო იგი?

და ფუცა მისა მიმართ საულ (შეჰფიცა) და ეტყოდა: ცხოველ არს უფალი, უკეთუ შეგემთხვიოს შენ უსამართლოებაი მის სიტყვისათვის.

და ჰრქვა დედა-კაცმან საულს: ვინ მოგგვარო შენ? და ჰრქვა საულ: სამოელ მომგვარე მე!

და იხილა დედა-კაცმან სამოელ, და ხმაი ყო ხმითა დიდითა, და ჰრქვა დედა-კაცმან საულს: რათ მაცდუნე მე, რამეთუ შენ ხარ თვით საულ?

და ჰრქვა მას მეფემა: ნუ გეშინის, მარქვი, ვინ იხილე? და ჰრქვა მას დედა-კაცმან: ღმერთნი ვიხილენღა, აღმომავალნი ქვეყანისაგან.

და ჰრქვა მას: რაი სცან? და ჰრქვა მას დედა-კაცმან: ვიხილე კაცი

---

* ისრაელთა ღმერთის ასეთი დუმილი, ისევე როგორც საერთოდ მისი წყრომა საულის მიმართ, რომელიც ასე ერთგულად ემსახურება მას, და მფარველობა დავითისა, რომელიც ხან ავაზაკობს, ხან მტრის ბანაკშია, გვაფიქრებინებს, რომ მოხუცი საბაოთი საკუთარ თავს გადაუდგა.

მოხუცებული, აღმომავალი ქვეყანისაგან, და ესე შემოსილი სამოსლითა გრძელითა. და ცნა საულ, რამეთუ ესე სამოელ არს, და მიიდრიკა პური თვისი ქვეყანასა ზედა და თაყვანი სცა მას.

და ჰრქვა მას სამოელ: რასა მაიძულებ წიაღმოსვლად ჩემდა და აჩრქვა საულ: ვიჭირვები ფრიად, რამეთუ უცხო თესლნი მბრძანან მე და მერჩითი განეშორა ჩემგან და არღარა ისმენს ჩემსა ვისამე, არცა ხელითა წინასწარმეტყველისათა, არცა ჩვენებასა შინა, არცა ცხადად, და აწ მოგიწოდე შენ, რათა მითხრა მე, რაი ვყო.

და ჰრქვა სამოელ: რასა მკითხავ მე? და უფალი განშორებულ არს შენგან და იყოს უფალი მახლობელთა შენთათანა.

და გიყოს უფალმან შენ, ვითარცა გეტყოდა უფალი ხელითა ჩემითა და განხეთქოს უფალმან მეფობა შენი ხელისაგან შენისა, და მისცეს იგი მახლობელსა შენსა დავითს!

ვინათგან არა უსმინე ხმასა უფლისასა და არა აღასრულე რისხვა გულის წყრომისა მისისა ამალეკსა ზედა, სიტყვისა მისთვის ქმნა შენდა უფალმან დღესა ამას შინა.

და მისცეს უფალმან ისრაელიცა შენთანა ხელსა უცხო თესლთასა და განთიად შენ და ძენი შენნი დაეცნენ შენთანა და ბანაკი ისრაელისა მისცეს უფალმან ხელსა შინა უცხო თესლთასა*!

და აღისწრაფა საულ და დაეცა მდგომარე ქვეყანასა ზედა და შეშინდა ფრიად სიტყვისაგან სამოელისა, და არღარაი იქმნა მერმე ძალი მას შინა, რამეთუ არა ეჭამა პური ყოველსა დღესა მას და ყოველსა ღამესა მას.

და შევიდა დედა-კაცი საულის მიმართ და იხილა იგი, რამეთუ ძრწოდა ფრიად და ჰრქვა მას: აჰა აწ მესმა მხევალსა შენსა ხმაი შენი და დავდევ სული ჩემი ხელსა შინა შენსა და ვისმინე სიტყვა, რომელი ჩემდა იტყოდი.

და აწ ისმინე სიტყვა მხევლისა შენისა, და დავდვა წინაშე შენსა ნამუსრევი საჭმლად პური, და ჭამე, და იყოს შენდა ძალი და შემდგომად ამისა წარხვიდე გზასა.

და არა ინება ჭამა და აიძულებდეს ყრმანი მისნი და დედა-კაცი, და ისმინა ხმა მათი. და აღდგა მიწისაგან და დაჯდა საჯდომსა ზედა.

და იყო დედა-კაცი მის სახლსა შინა დიაკეული ჭამებული და ისწ-

---

* ისრაელთა ღმერთის ეს უწყალო და უსამართლო განაჩენი, სხვა ასობით ანალოგიურ მაგალითზე რომ არაფერი ვთქვათ, იაღუეს ახასიათებს, როგორც სასტიკ, შურისმაძიებელ დესპოტს, იმისათვის, რომ თავისი პრინციპი გაიტანოს, ისაელთა ღმერთი მთელს თავის ხალხს და მის პატრიოტ მეფეს სწირავს, მტრის ხელში აძლევს, რაც ბევრად დიდი ბოროტებაა, ვიდრე იმავე ფილისტიმელთა ერთადერთი მეფის შეწყალება საულის მიერ ბიბლიის აეტორთა სათაყვანო ღმერთი რომის პაპებზე ულმობელია.

რაფა და დაკლა იგი და მოიღო ფქვილი და შესვარა და გამოაცხო ტკბომო.

და ამოიღო წინაშე საულისა და წინაშე ყრმათა მისთა და ჭამეს და აღდგეს და წარვიდეს ღამესა მას შინა“ (I მეფეთა, 28, 8 – 25).

ამ ეპიზოდმა მრავალგზის დავა გამოიწვია ღვთისმეტყველთა შორის. რაც შეეხებათ კომენტატორ-სკეპტიკოსებს, მათ ხომ მასალა ფრთადე ჰქონდათ! სიმართლე ითქვას, თავშესაქცევად კმარა!

ყველგან და მარად ასე იყო: თაღლითები, შარლატანები, გაიძვერები ბოროტად სარგებლობდნენ მიამიტ ადამიანთა გულუბრყვილო ნდობით, მამასისხლად ასაღებდნენ მათ შორის ნაირნაირ, იდუმალებით მოცულ და, ცხადია, მოგონილ პასუხებს. აი, აქ კი საული არა თუ არაფერს არ უხდის მისან ქალს, არამედ, პირიქით, ეს უკანასკნელი დიდ ზრუნვას იჩენს, ვახშმით უმასპინძლდება და მის პატივსაცემად ნასუქ ხბოსაც კი კლავს.

მისნები, მჩხიბავები, ჯადოქრები, კუდიანები, მკითხავნი ჩვეულებრივ რამე ბუნდოვან სახეს აჩვენებენ მორწმუნეებს, ლანდებსა და მოჩვენებებს ანიჭებენ მოძრაობის უნარს, რაღაც ფარული და ხშირად უბრალო ხრიკის წყალობით. აენდორელი წინასწარმეტყველი ასეთი ღონისძიებითაც არ იწუხებს თავს: უბრალოდ ამბობს, გრძელსამოსიან ლანდსა ეხედავო, და საულიც სიტყვიერ ჩვენებას უჯერებს.

„ყველა სხვა წიგნში, — ამბობს ვოლტერი, — წმინდა წერილის გარდა, ეს მოთხრობა ჩვეულებრივ, და ისიც ცუდად შეთხზული ზღაპრის სახით გასაღდებოდა. მაგრამ რაკი ის სულიწმინდის ჩაგონებულია, ამიტომაც ზღაპარი უდავო სინამდვილედ საღდება და ისეთივე პატივითაა მოსილი, როგორც ყველაფერი დანარჩენი“.

რაც შეეხებათ ღვთისმეტყველებს, ისინი ზღაპარს კი არ თვლიან საეჭვოდ, მხოლოდ არ იციან დანამდვილებით, ვინ გამოიყვანა, ვინ გამოიწვია მისანმა ქალმა. წმინდა იუსტინე თავის „დიალოგში ტრიფონ იუდეველთან“ დასაშვებად თვლის, რომ გარდასულ დროს უფლის ნებით მოგვებს შეეძლოთ წინასწარმეტყველთა სულების გამოწვევა, აგრეთვე ნეტართა, რომლებიც ყველანი უკლებლივ ჯოჯოხეთში იმყოფებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ნეტარნი იყვნენ, და რჩებოდნენ იქვე, ვიდრე იესო ქრისტე არ მივიდოდა და იქიდან არ გამოიყვანდა, როგორც ქრისტიანი ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ. მაშასადამე, წმინდა იუსტინეს უნდა ვერწმუნოთ, აენდორის მოჩვენება სამუელ წინასწარმეტყველის სული ყოფილა.

ეკლესიის მეორე მამა — ორიგენი — კიდევ უფრო შორს მიდის: ჯადოქარმა თვითონ სამუელი გამოიწვიაო, ამბობს, ამასთან მისი სული კი არა, სულიცა და სხეულიც. რეალურობის საბუთად კი სულის სამოსელს აცხადებს, სამოსელი ხომ მხოლოდ ხორციელ არსებებს აცვიათ! ასეთი

ახსნა ცნობისმოყვარეებს საფუძველს აძლევს იკითხონ: აცვიათ კი სულებს ჯოჯოხეთში სამოსელი? განსაკუთრებით საინტერესოა, აცვიათ თუ არა ცეცხლგამძლე სამოსელი?

თანამედროვე ღვთისმეტყველნი უკან ტოვებენ ქრისტიანობის პირველი საუკუნეების გულუბრყვილო ღვთისმეტყველთა [illegible]. ისინი კარგად გრძნობენ იუსტინესა და ორიგენის პოზიციების [illegible], რომლებიც დასაშვებად თვლიან უცნაურ ფაქტს: ვითომ მოგვებსა და ჯადოქრებს, ამ ეშმაკის დოქებს, წმინდანთა გამოწვევაც შეეძლოთ! არა, აენდორელმა მისანმა სამუელი კი არ გამოიწვია, არამედ ეშმაკი, რომელიც თავს სამუელად აცხადებსო.

ბიბლიური ტექსტი ნათლად ლაპარაკობს ამ კაზუისტიკური განმარტების წინააღმდეგ. ბიბლია არაერთგზის იმეორებს: „და ჰრქვა სამოელ საულს", „საულს შეეშინდა სამოელის სიტყვისა", თანაც სამუელი საულს ეკითხება: „რასა მაიძულებ წიაღმოსვლად მე?" ე. ი. რისთვის მიწვევ, რად მიშფოთებ მოსვენებასო!

მეორე მხრივ აქ იჭრება კიდევ ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა იოლი საქმე არ არის. საული წარმოდგენილია, როგორც დაწყეველილი კაცი იმ დღიდან, რაც თავისი მოსისხლე მტერი, ფილისტიმელთა მეფე აგაგი შეიწყალა. ამიტომ მორწმუნეები მასში განწირულ ცოდვილს ხედავენ. ისრაელთა პირველი მეფე იმდენჯერ დაუწყევლიათ ქურუმებს, რომ მრავალს დღემდე შიშის ზარსა სცემს. წყევლა შებრალებისათვის?

თუ წმინდა ტექსტს კაცი გულდასმით წაიკითხავს, მოეჩვენება, რომ უკანასკნელ ხანებში საული გადარჩება, ღმერთი კი საკუთარ თავს უარყოფს. სამუელი უცხადებს: „ხვალ შენ და შენი შვილები ჩემთან იქნებითო". სამუელი კი ჯოჯოხეთშია, ნეტართა ჯოჯოხეთში! ქრისტიანი ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ, რომ იესო ქრისტეს აღდგომამდე არსებობდა ორი ჯოჯოხეთი: შეჩვენებულთა ჯოჯოხეთი, რომელმაც შთანთქა კორეი, დათანი და აბირონი*, და რჩეულთა ჯოჯოხეთი, სადაც ძველი აღთქმის პატრიარქები და წმინდანები ქრისტეს აღდგომას ელოდნენ, რომ ისინი ციურ სასუფეველში გადაეყვანა. მაშასადამე, თუ საული სადმე სამუელს შეხვდა, ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ნეტართა ჯოჯოხეთში. მაშასადამე, წყევლის მიუხედავად, საული მაინც რჩეულთ ხვედრს იზიარებს.

დაბოლოს, აი კიდევ ერთი გარემოება, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს საქმის ვითარებას და ფანტავს ამ ეჭვებს. საერთოდ არის კი რაიმე

---

* ბიბლიური გმირები, ლევის შთამომავალნი, რომელთაც ხალხი აამხედრეს მოსეს და აარონის წინააღმდეგ და ამისათვის მიწამ შთანთქა სამივე. მათი შვილები კი შეიწყალეს (მათი შთამომავალნი ტაძრის მცველებად და უზადო მომღერლებად იხსენიებიან. იხ. პარალიპომენონი ანუ ნეშტთა, IX, 19, VI, 33 და სხვ.)

მტკიცე საფუძველი ვიფიქროთ, რომ ოდესმე ქვეყნად არსებობდნენ საული და სამუელი? მთელი მათი ამბავიც ხომ ერთ-ერთი მორიგი მისტიფიკაცია არ არის ბიბლიის შესაბამისი ავტორებისა? თავისუფლად მართლწერნი ამტკიცებენ, რომ მათს სახელს მხოლოდ ებრაელი ავტორები ახსენებენ, ხოლო ტიროსის საქალაქო მატიანეები, სადაც ნახსენებია სოლომონი, დავითის ხსენებაც არ არის.

რა გაეწყობა? სხვაც მრავალია, გაკვირვებას რომ გამოთქვამს მანამდელ მეცნიერთა დუმილზე ბიბლიის მრავალი პერსონაჟის შესახებ, სულიწმინდას რომ გამოჰყავს ასპარეზზე. მრავალი სკეპტიკოსი გამოთქვამს ეჭვს „წმინდა ისტორიკოსის“ მიერ მოთხრობილ უთვალავ ამბავზე, როგორიცაა მაგალითად დავითის ბრძოლა გოლიათთან, რომლის სიმაღლე სამი მეტრი იყო, ორასი ფილისტიმელის ჩუჩაზე, მზითვად რომ მიართვა დავითმა თავის საცოლეს, როგორც საქორწინო საჩუქარი და სხვა მრავალი. როცა ყოველივე ამას ემატება აენდორელი მისნის ამბავი, ამოდენა მასალის მონელება მართლაც უფრო ძნელდება.

მაგრამ გვეყოფა. ერთი დარტყმა მესმის, ორი დარტყმა მესმის, ხომ არ უნდა მოვკლათ!

ამ დროს დავითი ფილისტიმელთა არმიაში მსახურობდა*, ოღონდ ზურგში. 29 თავი გვაუწყებს, რომ ფილისტიმელთა სარდლობა უკმაყოფილო იყო მისი ყოფნით აფეკის ბანაკში. ანჰუსს მოსთხოვეს, მოგვაშორეო. ამ მოლაპარაკების დროს აძალეკებმა დაწვეს სეკელაგი, სადაც წმინდა მირონცხებული ცხოვრობდა. ფილისტიმელთა ბანაკიდან რომ დაბრუნდნენ, დავითმა და მისმა ექვსასმა თავზე ხელაღებულმა ყაჩაღმა იქ თავიანთი ცოლ-შვილი ვეღარ იპოვეს. ამალეკებს გაერეკათ („მოსრნა სეკილიელნი და მოწვა იგი ცეცხლითა, ხოლო დედანი და ყოველნი მყოფნი მას შინა მცირითგან ვიდრე დიდამდე არა მოსწყვიდეს მამა-კაცი, არცა დედა-კაცი, არამედ დაატყვევეს“, *(თავ. 30, მუხლ. 1—3)*. აქედან ჩანს, რომ ბიბლიურ ებრაელთა მოსისხლე მტრები არ იყვნენ მათებრ ულმობელნი, არ წყვეტდნენ ქალსა და კაცს, დიდსა და მცირეს, საქონელსა და „საცხოვარს“. დავითის ორივე ცოლი —აბიგეა და აქინოამა ტყვეთა შორის მოხვდა. დავითი დაედევნა, დაეწია, გაჟლიტა ამალეკები და ტყვეები უკან დააბრუნა.

მეფეთა პირველი წიგნი დასასრულს უახლოვდება. მის ბოლო გვერდზე მოთხრობილია საულის დაღუპვის ამბავი. საულმა თავისი უკანასკნელი ბრძოლა ფილისტიმელებთან გადაიხადა ღელბუსას მთაზე (უფრო

---

* ანალოგიური ამბავი არაერთხელ მომხდარა ისტორიაში. ამისი კლასიკური მაგალითია რომაელი პატრიცი კორიოლანოსი, რომელიც გაანაწყენეს, გააგდეს, ისიც ვოლსკებს შეეხიზნა, ზედიზედ დაამარცხა რომაელთა ჯარები და რომიდან მხოლოდ დედისა და მეუღლის თხოვნით დაიხია უკან.

სწორად — გილბოას მთებში). ისრაელთა პირველი მეფის ცხოვრების ეპილოგი ისე მნიშვნელოვანია, რომ მისი პატივისცემით მთელს ამ თავა დავიმოწმებთ — ისე როგორც წმინდა ისტორიკოსმა ავტორებს უკარნახა.

„და უცხო თესლნი ებრძოლნეს ისრაელსა და ძვლტოდეს კაცნი ისრაელისანი პირისაგან უცხო თესლთასა და დაეცეს ჭრილობებითა (ჭრილობებისაგან) მთასა შინა ღელბუსასა.

და შემოვიდნენ უცხო თესლნი საულის თანა და ძეთა მისთა თანა, და მოკლვიდენ უცხო თესლნი იონათანს და ამინადაბს და მელქისა, ძეთა საულისთა.

და დამძიმდა ბრძოლა საულსა ზედა და პოვეს იგი მეშუბართა კაცთა და მოისართა და მოწყლულ იქმნა საულ მუცელსა შინა.

და ჰრქვა საულ საჭურველისა მტვირთველსა მისსა, იხადე მახვილი შენი და განმგვირე მე მით, რათა არა მოვიდენ წინა დაუცვეთელნი ესე და გამგმირონ მე და მბასრობდენ მე და არა ინება მტვირთველმან საჭურველისა მისისამან, რამეთუ მოკვდა საულ და დაეცა იგიცა მახვილსა ზედა თვისსა და მოკვდა მისთანა.

და მოკვდა საულ და სამნი ძენი მისნი და მტვირთველი საჭურველისა მისისა და ყოველნი კაცნი მისნი და მტვირთველი საჭურველისა მისისა და ყოველნი კაცნი მისნი მას დღესა შინა ერთბამად.

და იხილეს კაცთა ისრაელთა, რომელნიცა იყვნენ წიაღ ღელესა ნაღვარევისასა, და რომელნიცა იყვნენ წიაღ იორდანესა, რამეთუ ივლტოდეს კაცნი ისრაელისანი და რამეთუ მოკვდა საულ და ძენი მისნი: დაუტევეს ქალაქნი თვისნი და ივლტოდეს, და მოვიდეს უცხო თესლნი და დაეშენნეს მას შინა.

და იქმნა ხვალისაგან და მოვიდეს უცხო თესლნი განძარცვად მკვდართა და პოვეს საულ და სამნი ძენი მისნი, დაცემულნი მთასა ზედა ღელბუესსა.

და მოაჭრიეს იგი და საჭურველი მისი და მოკვეთეს თავი მისი და წარგზავნეს ქვეყანასა უცხო თესლთასა და გარემოს ახარებდეს კერპთა მათთა და ერთა მათთა.

და დადვეს საჭურველი მისი ასტრატეს თანა და გვამი მისი შთადვეს ზღუდესა შინა ბეთსამისასა.

და ესმათ მკვიდრთა იაბის გალადისათა, რაიცა უყვეს საულს უცხო თესლთა.

და აღდგეს ყოველნი კაცნი ძლიერნი და ვლეს ღამე ყოველ და აღიღეს გვამი საულისა და გვამი იონათან ძისა მისისა ზღუდით ბეთსამისა და მოიღეს იგინი იაბისსა და დაწვეს იგინი მუნ.

და აღიღეს ძვალნი მათნი და დაფლეს იგინი მაღნარსა შინა, რომელი იყო იაბისსა და იმარხვიდეს შვიდ დღე“ (I მეფეთა, 31, 11—13).

ამით თავდება მეფეთა პირველი წიგნი.

მეორე წიგნი მეფეთა იწყება საულის სიკვდილის ამბითვე, მაგრამ მოვლენებს სულ სხვანაირად აღწერს. წინააღმდეგობა [illegible] დებს. ის ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ წმინდა ავტორები [illegible] მომადგენლები მორწმუნეებს სრულიად მოურიდებლად დასცინიან.

„და იყო ოდეს მოკვდა საულ და დავით მოიქცა შემდგომად ამალეკისა ძლევისა და დაჯდა დავით სეკლას ორ დღე...“

აქ ღვთისაგან ზეშთაგონებულ ავტორს ავიწყდება, რომ ეს ქალაქი ამ რამდენიმე დღის წინ ხანძარმა გადაბუგა („ამალეკი დაესხა და მოსრნა სეკიელნი და მოწვა იგი ცეცხლითა“).

მერე, განვაგრძობ:

„და იქმნა მესამე დღე და აჰა, მოვიდა კაცი ბანაკისაგან ერისა საულისა და სამოსელნი მისნი იყვნეს დაპობილნი და მტვერი თავსა ზედა მისსა, და იყო, ოდეს შევიდა დავითის მიმართ იგი, დავარდა მიწასა ზედა და თაყვანისცა მას.

და ჰრქვა მას დავით: სადა მოხვედ შენ? და ჰრქვა მას: ბანაკისაგან ისრაელისა, მე ლტოლვილი.

და ჰრქვა მას დავით: რაი არს, სიტყვა ესე, მომითხარ მე. და ჰრქვა, რამეთუ ივლტოდეს ერნი ბრძოლისაგან და დაეცნეს მრავალნი ერთაგან და მოისრნეს, საულ და ძე მისი იონათან მოკვდენ.

და ჰრქვა დავით კაცსა მას მიმთხრობელსა: ვითარ იცი, რამეთუ მოკვდა საულ და იონათან, ძე მისი?

და ჰრქვა კაცმან მან, რომელი უთხრობდა მას: შეხდომისა ებრ მოვედით მთასა ღელბულისასა და აჰა საულ დაეცა შუბსა მისსა ზედა, და აჰა, ეტლები დიდ ძალი და მთავარნი შეკრბეს მას ზედა.

და აღმხილველმან უკანით საულ მიხილა მე და მიმიწოდა მე და ვარქვი: აჰა მე!

და მრქვა მე: ვინ ხარ შენ? და ვარქვი: ამალეკი ვარ.

და მრქვა მე: მოვედ უკვე ჩემ ზედა და მომკალ მე, რამეთუ მომიცვა მე ბნელმან ბოროტმან, რამეთუ სული ჩემი კვალად ჩემ შორის არს.

და აღვდეგ მისა ზედა და მოვკალ იგი, ვითარცა ვიხილე, რამეთუ არღარა იყო მისი ცხოვრება შემდგომად დაცემისა მისისა, და აღვიღე გვირგვინი სამეფო, რომელი იყო თავსა ზედა მისსა და სამხრე, რომელი იყო მკლავსა ზედა მისსა, და მოვიღე ესენი უფლისა მიმართ ჩემისა აქა.

და დავით იპყრა სამოსელი თავისი და დაიპო იგი. და ყოველმან კაცმან, რომელნი იყვნეს მის თანა, დაიპეს სამოსელი თვისი.

და გოდებდენ და ტიროდენ და იმარხეს მწუხრამდე საულის თვის და

იონათანის თვის, ძისა მისისა, და ერისათვის იუდიელთა და სახლისათვის ისრაელისა, რამეთუ მოწყვედილ იყვნეს მახვილითა.

და ჰრქვა დავით ყრმასა მას მიმთხრობელსა მისა: საიდანგან ხარ შენ? და ჰრქვა: ძე კაცისა მწირისა ამალეკისა ვარ მე.

და ჰრქვა მას დავით: ვითარ არა შეშინდი აღძრვად ხელისა შენისა და წარწყმედად ცხებულისა უფლისასა?

და მოუწოდა დავით ერთსა მონათაგანსა თვისსა და ჰრქვა: მივედ და მოკალ იგი! და მოსწყდა იგი და მოკვდა.

და ჰრქვა მას დავით: სისხლი შენი თავსა ზედა შენსა, რამეთუ პირი შენი შენ ზედა მოუთხრობდა, მეტყველი, ვითარმედ მე მოვკალ ცხებული უფლისა.

და ტიროდა დავით ტირილითა ამით საულისათვის და იონათანისთვის, ძისა მისისა.

და თქვა: რომელი ასწავებდი ძეთა იუდასთა სროლასა, აჰა წერილარს წიგნსა შინა მართლისასა.

და თქვა: აღმართე ძეგლი, ისრაელ, მაღალთა ზედა შენთა მოწყლულთათვის, ვითარ დასცნეს ძლიერნი!

და ნუ მიუთხრობთ გეთელთა, ნუცა ამცნებთ გამსვლელთა ზედა ასკალონელთასა, რათა არა იხარებდენ ასულნი უცხო თესლთანი და რათა არა იშვებდენ ასულნი წინადაუცვეთელთანი! ნუ გარდამოვალნ ცვარნი და ნურცა წვიმა თქვენ ზედა, და აგარაკნი დასაბამისა საცხოვრებელისანო, რამეთუ მუნ დამხობილ იყო ფარი ძლიერთა და ფარი საულისა არა იქმნა ცხებულ ზეთითა...“ *(2 მეფეთა, 1, 1—21).*

ასე იწყება სამგლოვიარო ჰიმნი, რაც დავითმა უმღერა თავის მტერ-მოყვარეს საულს და გულითად მეგობარს — იონათანს. ჰიმნის დასასრული კი ასეთია: „ტკივილითა მელმის შენთვის, ძმაო იონათან, შვენიერო ჩემო ფრიად, ვიკვირვებ სიყვარულსა შენსა ჩემდა, უფროს სიყვარულისა დედათა ვითარ დაეცნეს ძლიერნი და წარწყმდეს საჭურველნი ბრძოლისანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყნარი და უწყინარი წმინდა მეფე დავითის ტახტზე ასვლა და სახელოვანი მეფობა

ხლა მივედით იმ ეპოქამდე, სადაც ნამდვილად იწყება ასე თუ ისე სარწმუნო ისტორია ებრაელი ხალხისა. სწორედ საულის დროიდან მოყოლებული ამ ისტორიიდან თითქოს თანდათანობით ქრება მისი საეჭვო და ბუნდოვანი მოხაზულობა. სიმართლე რომ ითქვას, შემდეგაც მრავლად შევხვდებით საკვირველ და არაჩვეულებრივ სასწაულებს. მაგრამ ეს სასწაულები მხოლოდ თავისებურად დაამშვენებენ იმ პირთა ბიოგრაფიებს, რომელთა არსებობა მაინც ხშირად სადავო აღარაა.

ბიბლიის შემადგენელი წიგნები მარად და ყველგან დავას იწვევდნენ. ღვთისმეტყველნი ამტკიცებდნენ, ესა და ეს წიგნი დაწერილია ამა და ამ პირის მიერ, რომელიც თავის თანამედროვე ამბებს აღნუსხავდაო. „ხუთწიგნეული“ მოსეს მიეწერება, იესო ნავინი ითვლება იესო ნავინის წიგნის ავტორად, სამუელი — მეფეთა პირველი ორი წიგნის დამწერად. ამ ვერსიას რომ ამაგრებენ, ამით ღვთისმეტყველნი ლამობენ მთელი ბიბლიის რწმენა განამტკიცონ. როცა ეუბნებიან, ეს წიგნები ბევრად უფრო გვიანაა დაწერილი, ვიდრე მათში გადმოცემული მოვლენები მოხდა, უმთავრესად ბაბილონის ტყვეობის შემდეგო, პირდაპირ ცოფდებიან.

სწავლულთა — ბიბლიის კრიტიკოსების თვალსაზრისის სასარგებლოდ აქ საჭიროა აღინიშნოს სხვათა შორის ერთი ფრაზა მეფეთა მეორე წიგნიდან, რაც ნებას გვაძლევს კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გავხადოთ ღვთისმეტყველთა პოზიციის მცდარობა: „აჰა წერილარს წიგნსა შინა მართლისასა“ *(თავ. 1, მუხლ. 18)*. იმავე მართლის წიგნს ასახელებს იესო ნავინი მზისა და მთვარის შეჩერების სასწაულთან: „და დადგა მზე და მთოვარე, ვიდრემდის სძლო ღმერთმან მტერთა მათთა. აჰა ესერა ესე ყოველი წერილ არს წიგნსა სამართლისასა“ *(ნავინი, 10, 13)*.

თუ ნავინი საერთოდ მითიური პიროვნება არ არის, მაშინ მისი სასწაული მომხდარია დავითის მეფობამდე ხუთასიოდე წლის წინ. მაშასადამე, ფიზიკურად შეუძლებელია, რომ იესო ნავინს თავის დაწერილ წიგნში დაემოწმებინა ციტატა, რომელიც ხუთასი წლის შემდეგ იმეო-

რებს დავითის სამგლოვიარო ჰიმნს საულისა და იონათანის დაღუპვის გამო.

ეს მართალი წიგნი, რასაც ბიბლია არაერთგზის ახსენებს, იუდეველმა ქურუმებმა უარყვეს, დაიწუნეს და თვითონვე მოსპეს, მაგრამ ასე ამბობენ, ეს წიგნი საუბედუროდ დაიკარგაო. მისი არარსებობა უმნიშვნელო იყო და ხელს არ აძლევდა საეკლესიო მოღვაწეებს, რადგან ამკარად ამტკიცებდა, რომ ძველი აღთქმა არ არის დაწერილი თანმიმდევრობით, თანდათანობით — მოსეს, სამუელის, დავითის და სხვათა მიერ, რომლებიც თითქოს თავიანთ თანამედროვე ამბებს აღწერდნენ.

ორი ბიბლიური მუხლი, რაც ახლა დავიმოწმეთ, აშკარად ასაბუთებს სიყალბეს და საბუთალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, ვის ეკუთვნის ამ წმინდა ნაყალბევიდან ამოშვერილი გრძელი ყურები.

დავითი ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში აკურთხა მეფედ სამუელმა, მაგრამ თვითონ თავს მეფედ მხოლოდ სამუელისა და საულის სიკვდილის შემდეგ თვლის. მხოლოდ მაშინ იწყებს მეფური სიდიადის გამოჩენასაც. დადინჯდა, ამაღლდა. უპირველეს ყოვლისა, ღმერთს ჰკითხა, რომელი ქალაქი ავირჩიო სატახტოდო. ღმერთმა პირდაპირ მიუთითა: „ქებრონიო“. შემდეგ ხალხს მიმართა, მაგრამ მხოლოდ იუდას „ნათესავმა“ აღიარა მეფედ „და მოვიდეს კაცნი იუდასგან და სცხეს მუნ დავითს, რათა მეფობდეს სახლსა ზედა იუდასსა“ *(თავ. 2, მუხლ. 4)*. ეს იყო მეორედ კურთხევა.

ამის შემდეგ დავითი ქებრონში დამკვიდრდა, იქვე ჰყავდა ახიგეა და აჭინოამა. ალბათ იმ მიზნით, რომ თავისი პირველი ცოლი — მელქოლა, საულის ასული დავიწყებოდა, ოთხი სხვა ქალიც მოიყვანა, შვილებიც მოუმრავლდა: „და ეშვნეს დავითს ქებრონს შინა ძენი ექვსნი, და იყო პირველ შობილი მისი ამონ, აჭინოამანისაგან იეზრაელისნისა, და მეორე ძე მისი დალუია, აბიგეისაგან კარმელელისა, და მესამე აბესალომ, ძე აგითისა, და მეხუთე საფატია აბითალაისაგან, და მეექვსე იეთერამ, ეგალისაგან, ცოლისა დავითისთა, ესენი ეშვნეს დავითს ქებრონს შინა“ *(2 მეფეთა, 3, 2—5)*. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს ექვსი დედოფალი — მეფის მეუღლე ერთიმეორეში სიამტკბილობით ცხოვრობდა.

დავითს მთავარსარდალი დასჭირდა. ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს აბესა, საულის ბანაკში შეპარულ დავითს რომ ახლდა თან, მეფის შუბნაჯახი და წყლის მათარა მოიპარეს. აბესას ორი ძმა ჰყავდა — იოაბი და ასაილი. იოაბი დავითს არ დაუყენებია თავის არმიის სათავეში, მაგრამ ქვემოთ ვნახავთ, რა დიდი როლი ითამაშა დავითის მეფობის დროს.

საულისა და დავითის ბრძოლის დროს საულის სახლის „მპყრობელი“ იყო აბენირი. შემდეგ ამ აბენირმა ისარგებლა თავისი უფლებებით და საულის ხარჭასთან, რიცპასთან შევიდა. საულის ძე იეოსთეი გან-

რისხდა და მოურავს მიმართა: „რაი არს ესე, რამეთუ შეხვედი სარჭისა მიმართ მამისა ჩემისა?“ ამაზე „განრისხნა ფრიად ავენირ სიტყვასა ამისათვის იეოსთეისა ზედა და ჰრქვა მას ავენირ: ნუ უკვე ძღოლის თავი ვარ მე, ვყავ დღეს წყალობა სახლსა მამისა შენისა საულისა და ძმათა და მეგობრისა, და არა განუდეგ სახლსა დავითისსა, და მუნ-ეძებ უსამართლოებასა ჩემ შორის დედა-კაცისას დღეს?!“ მოკლედ, აბენირმა საულის შვილს გმობა დაუწყო, იქით გამოედავა: მე საულის ერთგული ვრჩები, დავითის მეფობის წინააღმდეგი, და ვიღაც დედაკაცისათვის მყვედრიო? „და ვეღარ შეუძლო მერმეღა იეოსთეი მიგებად აბენირისა სიტყვისა შისისაგან მისისა“. აბენირმა კი დავითს მოციქული მიუგზავნა და შეუთვალა: „დადევ აღთქმა ჩემთანა, და აჰა ხელი ჩემი შენთანა, რათა მოვაქციო მე შენდა ყოველი სახლი ისრაელისა. და ჰრქვა დავით: კეთილ, მე დავდვა შენთანა აღთქმა, გარნა სიტყვასა ერთსა ვითხოვ შენ მიერ, მეტყველი: ვერღარა იხილო პირი ჩემი, უკეთუ არა მომგვარო მელხოლა, ასული საულისა, ვერ მოხვიდე შენ ხილვად პირისა ჩვენისა“. მაგრამ რატომღაც მაშინვე იგივე დავითი იმავე თხოვნით მიმართავს საულის ძეს იეოსთეს. ეს უკანასკნელი მელხოლას თავს ართმევს მის კანონიერ ქმარს და დავითთან გზავნის. ამრიგად, დავითს ის ქალიც მოჰგვარეს, რომელიც ადრევე „მოიპოვა“ ასისა წილ წინადაუცვეთელთა უცხო თესლთასა*, და წარავლინნა იეოსთე და გამოგვარა იგი ქმრისაგან მისისა... და სდევდა ქმარი მისი მისთანა და ტიროდა“. მალე აბენირიც ესტუმრა დავითს ოცი კაცის თანხლებით და დაჰპირდა, მთელს ისრაელს დაგიმორჩილებ, „და გიმეფონ ყოველთა, რომელნიცა სურის სულსა შენსაო“. დავითმა დაუჯერა და მშვიდობით გაუშვა. ამ დროს ლაშქრობიდან დაბრუნდა იოაბი და მეფეს უსაყვედურა: რად გაგიშვია, სიბოროტით მოსულა აბენირი, შენი საიდუმლოება უნდა გაეგოო! მეფემ იოაბი დაადევნა აბენირს. სარდალი დაეწია თავისი ძმის ასაილის მკვლელს, მოაბრუნა ქებრონს, განზე გაიხმო „და განგმირა იგი ზაკვით თეძოსა შინა და მოკვდა“. დავითი თავს იმართლებს, მე უბრალო ვარო, და ჩემი სამეფო წმინდაა უფლისა მიერ, და „გარდამოვიდეს თავსა ზედა იოაბისასა და ყოველსა ზედა სახლსა მამისა მისისა, და რათა არა მოაკლდეს სახლისაგან იოაბისა დამთხეველი თესლისა და კეთროვანი და მპყრობელნი კვერთხისა“ (2 მეფეთა, 3, 29).

იეოსთეის, საულის ძეს, აბენირის მხარდაჭერით, დანარჩენმა თერთმეტმა ტომმა გვირგვინი დაადგა და დავითის პარალელურად მეფობდა ორი წელი.

ამრიგად, ისევ სამოქალაქო ომი! შეხვედრა მოხდა გაბაონის მახ-

---

* კრიტიკოსები რატომღაც შეუმჩნეველად ტოვებენ აშკარად შეუსაბამო ცნობას: მეფეთა I წიგნის მე-18 თავის 27 მუხლში ლაპარაკია ორას ფიელისტიმელზე („ფილისტერზე“) და მათ ჩუჩებზე, აქ კი ასი წერია.

ლობლად. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალმა აბენირმა იოაბს ორთაბრძოლა შესთაზავა: თორმეტი ბენიამინელი გამოვიდეს, თორმეტი დავითის მხრიდან და ბრძოლის ბედი მათ გადაწყვიტონო. იოაბი დათანხმდა. „და აღიღეს თვითეულმან ხელითა ჩაფხუტი თავისა წილ მოყვასისა თვისისა და მახვილი მისი გვერდსა ზედა და დასცნეს ერთბამად... და იქმნა ბრძოლა ფიცხელი ფრიად, სრულიად მას დღესა შინა, და იძლივნენ აბენირ და კაცნი ისრაელისანი წინაშე ყრმათა დავითისთა, და იყვნეს მუნ სამნი ძენი სამუელისა — იოაბ და აბესა და ასაილ, ხოლო ასაილ იყო მსუბუქ ფერხითა, ვითარცა ერთი ქურციკი ველსა ზედა“.

დავითმა რომ გაიმარჯვა, აბენირმა გაქცევით უშველა თავს, და სწორედ ეს ქურციკივით ფეხმარდი ასაილი დაედევნა.

„და სდევდა ასაილ უკანით აბენირსა და არა მიიქცა არცა მარჯვენით და არცა მარცხენით, არამედ უკანით აბენირისა.

და მიხედა აბენირ უკან თავისა თვისისა და ჰრქვა: შენ ხარა თვით ასაილ? და ჰრქვა: მე ვარ!

და ჰრქვა მას აბენირ: მიიქეც შენ მარჯვნივ ანუ მარცხნივ და წარიყვანე თვისად ერთი ყრმათაგან და აღიღე თავისა შენისათვის საჭურველი მისი! და არა უნდა უკუ ბრუნება მისგან.

და შესძინა (დაიწყო) კვალად აბენირ სიტყვად ასაილის მიმართ: განვედ ჩემგან, რათა არა მოგაკვდინო შენ ქვეყანასა ზედა! და ვითარ გამოვაჩინო პირი ჩემი იოაბის მიმართ, ძმისა შენისა!*

და არა ინება განდგომად, დასცა მას აბენირ შუბითა უკანით თეძოსა შინა და განავლო შუბი შორის მისსა, და დაეცა მუნ და მოკვდა წინაშე მისსა, და იქმნა ყოველნი მომავალნი ადგილადმდე, სადა დაეცა ასაილ და მოკვდა.

და სდევნიდეს იოაბ და აბესა შემდგომად კვალსა აბენირისა, ვიდრემდე მზე დავიდოდა“ *(2 მეფეთა, 2, 19—24)*.

აი, ამის შემდეგ მოხდა ზემოთ ნათქვამი: იოაბმა შური იძია ძმის მკვლელზე და მასაც თეძოში გაუყარა შუბი. ამან არ შეუშალა ხელი დავითსა და თვით იოაბს, რომ მამაცი აბენირი დაეტირათ**.

იმ ადგილას, სადაც ასაილი დაეცა და მოკვდა, ხალხი ჩერდებოდა.

„ხოლო ყრმათა დავითისა მოკლნეს ძენი ბენიამენისნი, კაცნი ავენირისნი, რომელნი იყვნეს სამას და სამეოცი კაცი. და აღიღეს ასაილ

---

* ქართულ ტექსტში აქ ზედმეტი სიტყვებია: „პირი ჩემი იოაბის მიმართ (და სადა არიან ესენი: მოაქციე იოაბის მიმართ), ძმისა შენისა (ფრჩხილებში მოცემული სიტყვები დედანში არაა და არც უნდა).

** ქართულ ტექსტში ხან აბენირი წერია, ხან ავენირი, ხან აბეინირი, სწორია პირველი ფორმა.

და დამარხეს იგი საფლავსა შინა მამისა მისისა ბეთლემს. და წარვიდა იოაბ და კაცნი მისნი მის თანა ღამე ყოველ და განათიეს ქებრონს შინა“ (2, მეფეთა, 31—32).

საწყენი იქნებოდა ამ განთქმული ბრძოლის ისტორიის გამოტოვება, რადგან ჯერ ერთი, საინტერესოა, და მეორეც, რაც ისტორიული ყველივე ესაა ღვთაებრივი წიგნიდან, რომლის ყოველი „შემასმენელი“ და ხმნა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, მათი გამოტოვება არ შეიძლება. არასოდეს არ უნდა გამოვუშვათ მხედველობიდან, რომ ამ ჭორებისა და ზღაპრებისათვის, მღვდლები რომ ჭეშმარიტებად ასაღებენ, მრავალ ქვეყანაში რელიგიის მესვეურნი ითვლებიან სახელმწიფო მოხელეებად, სარგებლობენ პრივილეგიებით, ხოლო მათ მიერვე მოსახლეობიდან აკრეფილი ფული ისევ მათ შესანახავად იხარჯება, თითქოს და ეს ვაჟბატონები იყონ უკეთილშობილეს მეცნიერებათა მსახურნი ან ყველაზე უფრო ამაღლებული და ყველასათვის სასარგებლო ჭეშმარიტებათა მასწავლებლები.

იმ დროს, როცა თერთმეტმა ტომმა უარი თქვა დავითის ცნობაზე, ახალი მეფე თავის ოჯახს ამაგრებდა, შვილებს აჩენდა. უფლისაგან ცხებული წუთსაც არ კარგავდა. აკი ზედიზედ ეყოლა ქებრონში ექვსი შვილი!

ქალის გულისათვის გადავიდა აბენირი დავითის მხარეზე. ეს ამბავი ზემოთ უკვე გავიხსენეთ. საულის ხარჭასთან შესვლისათვის საულის შვილმა აბენირს უსაყვედურა, ის კიდევ დაემუქრა: ვიღაც დედაკაცს როგორ მამადლი, შენი ოჯახისათვის და მამაშენისათვის არ მიღალატნიაო. რაკი ასეა, მე ვიცი, დავითს იმას შევუსრულებ, რასაც ღმერთი დაჰპირდა, ისრაელისა და იუდეის მეფედ ვაქცევ, დანიდან ბერსაბემდე გავაბატონებო! ამის შემდეგ მოხდა აბენირისა და დავითის შეთანხმება, დავითმა რომ პირობა წაუყენა, მელქოლა მომგვარეო, იმანაც თავისი და ქმარს წაართვა, დავითს მიჰგვარა, ქმარი ტირილით მოსდევდა, იეოსთეიმ უბრძანა, უკან გაბრუნდიო, და ისიც უკან გაბრუნდა. ეს ამბავი უკვე ცნობილია.

აი, ასე დაიბრუნა დავითმა პირველი ცოლი, რომელიც, ეტყობა, ძალიან უყვარდა. თუმცა დანარჩენი ექვსის სარეცელსაც ძველებურად იზიარებდა.

რაც შეეხება აბენირს, იეოსთეის მიტოვებას მისთვის ბედნიერება არ მოუტანია. როგორც ითქვა, ოცი კაცის თანხლებით ქებრონს ჩასული აბენირი დავითმა თავისი ძალაუფლების სასარგებლო აგიტაციის დაგალებით გაგზავნა, მაგრამ იოაბმა მოაბრუნა ქებრონში, „მიუბრუნდა მას კერძოსა ზედა ბჭისა სიტყვად მისა ზაკვით“ და განგმირა ძმის მკვლელი. დავითმა ხომ შეიცხადა: მე არაფერ შუაში ვარ, აბენირის სისხლი

იოაბს დააწვესო! — და დიდებული გასვენება მოუწყო თავისი მოწინააღმდეგის, აწ განსვენებული საულის ყოფილ მთავარსარდალს.

ვერც იეოსთეი გახლდათ კარგ გუნებაზე. თითქმის ყველამ მიატოვა და ცარიელ გვირგვინს რას აქნევდა! მოხდა უარესიც — [illegible] დღეს, პაპანაქება სიცხეში, მეფემ ისადილა, მოსაცვენად [illegible], მის ოთახში მისივე სარდლები — ბაანა და რიქაბი შეიპარნენ და გაგუდეს. ამ საჩოთირო საგმირო საქმით გაამაყებულმა სარდლებმა იეოსთეის თავი მოჰკვეთეს და დავითს მიართვეს, დარწმუნებულებმა, რომ ღირსეულ საჩუქარს მიიღებდნენ. იმდენი მამა უცხონდათ, რამდენიც იმათ მიიღეს! ეტყობა, ცუდად იცნობდნენ დავითს და საერთოდ ხელმწიფეებს. გასამრჯელო ასეთი იყო: დავითმა ჯერ მათი ხელების მოკვეთა ბრძანა, მერე ფეხები მოჰკვეთეს, ბოლოს კი ქებრონის გუბის პირას ერთ სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს, ნიშნად იმისა, რომ ასე მოუვა ყველა მოღალატეს და მეფის მკვლელს. იეოსთეის თავი კი ქებრონში დაკრძალეს პატივით, აბენირის სამარხის გვერდით. უნდა ითქვას, რომ მბრძანებელთა პატივისცემის პრინციპს დავითი სანაქებოდ იცავდა.

ქებრონში რომ შვიდნახევარი წელი იმეფა, შემდეგ დავითმა 33 წელი იმეფა იერუსალიმში, რომელიც იებუსეველებს ეკუთვნოდათ და რომელსაც დაეპატრონა მაშინ, როცა თორმეტივე ტომი მისი სკიპტრის ქვეშ გაერთიანდა**. დავითი ცხოვრობდა სიმაგრეში, რასაც მისი სახელი ეწოდა. ეს „დავითის ქალაქი“ ახლად აშენდა გარედანაც და შიგნითაც. ქარამმა, ტიროსის მეფემ ზეინკლები და ხუროები გამოუგზავნა. ...და დაჯდა დავით ზღუდესა შინა ციხისასა და ეწოდა მას ქალაქი დავითი... და აღაშენა ქალაქი იგი გარემოს კიდისაგან და სახლი თვისი. და ვიდოდა დავით სლვითა დიდებულებითა და უფალი ყოვლის მპყრობელი მისთანა. და წარმოგზავნა ქირამ მეფემ ტვიროსისმან მოციქულნი დავითის მიმართ და ხენი ნაძვისანი და ხურონი ხეთანი და ხურონი ქვათანი და აღუშენეს სახლი დავითსა“ *(2 მეფეთა, 5, 9—11)*. ეტყობა, ასეთი ხელოვნება ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, და მეფეები, რომლებიც უკვე იწყებენ ისრაელისადმი ანგარიშის გაწევას, ამ მხრივაც ეხმარებიან „უფლის რჩეულს“.

უნდა აღინიშნოს, რომ ტვიროსის მატიანე ასეთ ელჩობასა და დახმარებას არსად არ აღნიშნავს და საერთოდ დავითს არ იხსენიებს. რო-

---

* ამ და მრავალ სხვა საქციელშიც (თუნდაც საულის ამღენგზის დანდობაში და სხვ.) დავითი გვეცნობება, როგორც დახვეწილი პოლიტიკოსი, მოხერხებული ფარისეველი.

** ეს ციფრი „მაგიურია“. 33 წელი აღნიშნა დედამიწაზე იესო ქრისტემ. იგივე ითქმის „დიარმეტზე“: ქრისტეს 12 მოციქული ჰყავს და სხვ. ბუნებრივია, ბიბლიის ბევრი მსგავსი დეტალი სახარებაშიც გადავიდა.

გორც გენებოთ და ებრაელთა ბინადარი ცხოვრების ისტორია მაინც იერუსალიმის აღებითა და იქ დამკვიდრებით იწყება, მანამდე ეს იყო მომთაბარე, მოხეტიალე ხალხი. ეს მოხეტიალე ურდოები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და გამოქვაბულიდან გამოქვაბულში, მთიდან მთაში, უდაბნოდან უდაბნოში მიეხეტებოდნენ. ამ ხეტიალში ხარკვა-რბევას მისდევდნენ, თითქოს არ შეეძლოთ ადამიანურად ცხოვრება და ერთ ადგილზე გამაგრება. იერუსალიმი მდებარეობდა საქარავნო გზების თავშესაყარზე. ფინიკიისაკენ მიმავალი ქარავნები აქ ჩერდებოდნენ. მისი ადგილმდებარეობა ძალზე მოხერხებული იყო. მართალია, ნიადაგი მშრალი, მწირი და ქვიანია, მაგრამ სამი ბორცვი, რომლებზედაც გაშენებულია იერუსალიმი, ომიანობის ჟამს საიმედოდ იცავს ამ ქალაქს მტრისაგან. ეტყობა, დავითს არაფერი არ გააჩნდა იმისათვის, რომ რამდენადმე გამძლე კედლები ამოეყვანა, რაკი ტვიროსის მეფემ გამოუგზავნა ხე-ტყეც, ხუროებიც, დურგლებიც და კალატოზებიც. გაუგებარია მხოლოდ ის, რა უნდა მიეცა სამაგიეროდ დავითს, რა ჰქონდა და რა ურთიერთობა უნდა ყოფილიყო საერთოდ მათ შორის.

„დავითი იმყოფებოდა იმ ხალხის სათავეში, რომელიც მრავალი წლის მონობის შემდეგ გაძვალტყავებული უნდა ყოფილიყო, — წერს ვოლტერი, — თავისი თარეშის დროს ნაშოვნი ალაფი იმდენად ვერ გაამდიდრებდა, რაკი თვითონაც ვერ ასახელებს ვერც ერთ მდიდარ ქალაქს, რომელიც მას უნდა გაეძარცვა. ბოლოს და ბოლოს, ებრაელთა ისტორია არავითარ დაწვრილებით ცნობებს არ იძლევა იუდეის იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ, და სრულიად არაფერი არ ვიცით, რანაირად შეუდგა დავითი ქვეყნის მართვა-გამგებლობას.

როგორც კი დავითმა თავი იერუსალიმის მეფედ იგრძნო, მისი შემოგარენის ჩათვლით 25—30 კილომეტრის მანძილზე, „მოიყვანა დავით კვალად ცოლნი და ხარჭნი იერუსალიმისაგან შემდგომად მოსლვისა მისისა ქებრონით, და ჵსხნეს დავითს კვალად ძენი და ასულნი“ *(2 მეფეთა, 5, 13—14)*.

თავისი ოჯახური საქმეები რომ ასე მოაგვარა — უთვალავი ცოლი, ხარჭა, ძე და ასული გაიჩინა, — ამის შემდეგ დავითმა იზრუნა იმისათვისაც, რომ უკეთესი ბინა მიეცა ღმერთისათვის, ე. ი. სჯულის კიდობნისათვის, რომელშიაც იეღოვა იჯდა.

„და შეკრიბა დავით ყოველნი ჭაბუკნი ისრაელისაგან სამეოცდა ათი ათასი.

და აღდგა და წარვიდა დავით და ყოველი ერი მისთანა და მთავართაგან იუდასთა, განსლვასა ზედა, რომელ მიიღოს მუნით კიდობანი ღვთისა, რომელსა ზედა წოდებულ იყო სახელი უფლისა ძლიერისა, მდგომრისა ქერაბინთა მას ზედა (უფლისა საბაოთისა).

და დადგეს კიდობანი უფლისა ეტლსა ზედა ახალსა, და აღმოიყვანეს იგი სახლისაგან ამინადაბისა, რომელ არს ბორცვსა ზედა. ხოლო ოზია და ძმანი მისნი, ძენი ამინადაბისნი, აღზევდეს ეტლსა კიდობნისა უფლისათა, და ძმანი მისნი ვიდოდეს წინაშე კიდობნისა ღვთისა (*2 მეფეთა, 6, 1—4*). ეს პროცესია საზეიმო ვითარებაში მიემართებოდა იერუსალიმისაკენ. „ხოლო დავით და ძენი ისრაელისანი ვიდოდეს წინაშე უფლისა მროკველნი ორღანოთა შეხმობილითა ძლიერითა და გალობითა და ებნითა და წინწილითა და ბობღნითა და საყვირითა და სტვირებითა“. ნახორის კალომდე რომ მივიდნენ, ხარმა როგორღაც გაიწია, თუ გზა იყო დამრეცი, და კიდობანი კინაღამ გადაყირავდა. ოზიამ უეცრად ხელი სტაცა, რომ არ გადავარდნილიყო, და მაღლობის მაგიერ „განრისხნა რისხვითა უფალი ოზიას და დასცა იგი მუნ ღმერთმან, და მოკვდა მუნ კიდობნისთანა უფლისაი წინაშე ღვთისა“ (*მუხლ. 6—7*). ასეთ რამეს, მოწყალე ღმერთი კი არა, კაციჭამია ველური ტომის ბელადიც კი არ ჩაიდენდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ დავითი შეძრწუნდა: „და შეუშინდა უფალსა დავით დღესა მას დღესა შინა, და თქვა: ვითარ შთამოვიდეს ჩემდა მომართ კიდობანი უფლისა? და არა უნდა დავითს, რათა მივიდეს მისთანა კიდობანი აღთქმისა უფლისა ქალაქსა შინა დავითისსა, და მიაქცია იგი დავით სახლსა შინა აბიდარისსა გეთჟანისსა“ (*მეფეთა, 2, 6, 9—10*).

თუ ბიბლიის ამ ნაწილის ავტორი სამუელი არაა, ღვთისმსახური მაინც არის რომელიმე, რადგან აქედან განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ მისი თვალსაზრისით აღთქმის კიდობანთან მიახლოება და ხელის მოკიდება ყველა შემთხვევაში ეკრძალება გაუნდობელს, საერო კაცს. ჩვენ გვახსოვს 50 070 ბეთსამიტელის სავალალო ბედი, ერთბაშად რომ გაჟლიტა ღმერთმა კიდობანში ჩახედვისათვის. მორწმუნეთათვის რომ მეტი შიში და რიდი ჩაენერგა, მთხრობელი არ მოერიდა თავისი ანეგდოტის ისე გაბერვას, რომ ჭკუათამყოფელი მას არ დაიჯერებს. ბოლოს და ბოლოს, რელიგიის მსახურთ სრულებით არ აწუხებთ ღმერთისათვის მღაღადებელი უსამართლობის მიწერა. მერე რა, იყოს ღმერთი ულმობელი, უსამართლო, ცივი და უგულო, როგორც ყოველი ტირანი, ოღონდ გეწინოდეს მისი!

ავიღოთ, მაგალითად, ეს კიდობანი, რომელიც, თავისი ღვთაებრივობის მიუხედავად, არც თუ ისე დიდი უნდა ყოფილიყო, რაკი ადამიანებს ის ხან ხელით მიაქვთ, ხან ურმით. ხოლო ეს ურემი თუ მარხილი ძალიან ვიწრო უნდა ყოფილიყო, თუ მართლა მოხერხდა მისი შემწეობით რაიმე ტვირთის გადატანა მთის ხეობებში გაზიდან იჟრუსალიმამდე. მაგრამ ღვთის სახლს სულაც არ ახლავს მღვდლების ამალა, რაც სრულიად გაუგებარია. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არც რაიმე ღონისძიება

ჩატარებულა შემთხვევებისაგან კიდობნის დაზღვევის თვალსაზრისით, მაშინ ამ კეთილ ოზიას ვერაფერს ვუსაყვედურებთ: კიდობანს ხელი წაატანა მისი გადარჩენის მიზნით და იქვე სიკვდილით დაისაჯა. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ეს, რაც უნდა იყოს, სასტიკი უსამართლობაა.

სკეპტიკოსები ლორდ ბოლინგბროკის მეთაურობით ცდილობენ იმ გარემოებას, რომ ეს მოთხრობა შეურაცხყოფს „მოწყალე“ ღმერთს. თუ ვინმე სასჯელს იმსახურებდა, ეს ლევიტელები უნდა დასჯილიყვნენ, რომ კიდობანი ბედის ანაბარა მიატოვეს, და არა ერისკაცი, რომელიც მას ხელით აკავებდა. მაგრამ სწორედ ამ სახის მოთხრობებში იჩენს თავს ეკლესიის მსახურთა „შორსმჭვრეტელობა“: ამნაირი ხრიკებით აღწევენ მორწმუნეთა დაშინებასა და მოწიწების გრძნობით გამსჭვალვას, თანაც კიდევ ქურუმთა კასტისათვის ღმერთის ნებით მინიჭებულ წმინდა პრივილეგიებს.

კიდევ ერთი შენიშვნა: დავითის მეფობის დასაწყისის ამ სასტიკ სინამდვილეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ებრაელებს მართლაც ჯერ კიდევ არ გააჩნდათ არც ერთი რიგიანი შენობა, სადაც თავიანთი კულტის უწმინდეს საგნებს მოათავსებდნენ, და უბრალო ნაძვის მორებსაც მეზობლები უგზავნიან, რომ სახლი ააშენონ კიდობნისათვის.

ბატონი აბიდარი, რომელიც კიდობნის მცველად დანიშნეს, ყოველნაირად ერიდება მის შეხებას, რადგან თავი არა სძულს: მთელი სამი თვე იდგა კიდობანი მის სახლში და ერთხელაც არ შეხებია, რისთვისაც „აკურთხა უფალმან ყოველი სახლი აბიდდარისა და ყოველნი, რომელნი იყო მისი“ *(მუხლ. 11)*. სამი თვის შემდეგ კი დავითმა კიდობანი მოითხოვა. უფლის სახლი იერუსალიმში გადაიტანეს. გადატანის ცერემონია დიდი ზეიმით ჩატარდა და დავითმა ამის გამო განსაკუთრებული სიხარული გამოთქვა. „და იყვნენ მისთანა ამღებელნი კიდობნისა უფლისა შვიდი გუნდი და შესაწირავი ზვარაკისა და კრავთა, და დავით უცემდა ორღანოთა შებანებულითა წინაშე უფლისა, და შემოსილ იყო დავით სამოსლითა უმჯობესითა“ *(მუხლ. 13—14)*. გამხიარულებული დავითი როგორღაც მოცეკვავეებს აჰყვა და ეტყობა, ფეხი მეტისმეტად მაღლა ასწია, ამასთან გამოაჩინა ის, რაც არ უნდა გამოეჩინა. მას შემდეგ, რაც წმინდა ყუთი თავის ადგილზე დადგეს, ამის გამო მელქოლამ, ნომერ პირველმა ცოლმა, თავისი უკმაყოფილობა გამოთქვა, დავითს უსაყვედურა, თავი ისე გეჭირა, როგორც ვინმე უბირთაგანსო.

„და მოიქცა დავით კურთხევად სახლისა თვისისა: და გამოვიდა მელხოლა, ასული საულისა, მიგებებად დავითისა და აკურთხა იგი და ჰრქვა: რაბამ განდიდენ დღეს მეფე ისრაელისა: რომელ გამოჩნდი დღეს წინაშე თვალთა მხევალთა შენთასა, ვითარცა განცხადებით, განე-

ცხადები ერთი მროკველთაგანი! და ჰრქვა დავით მელხოლას: წინაშე უფლისა ვროკვიდი!“ *(2 მეფეთა, 6, 20—21)*.

რაც შეეხება ღმერთს, ეტყობა, ძალიან კმაყოფილი იყო დავითის ცელქობით, მისი ბავშვური ცეკვით. მელხოლა კი ფასავდა ამ ყველაფერს, როგორც ეს მისთვის, რომ ამ საზეიმო დღეს სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინა ქმრის მიმართ: უშვილობა დააწყევლა. დავითის წყრომას ღვთის წყრომაც ზედ დაერთო. „კურთხეულ არს უფალი, — უთხრა ცოლს დავითმა,— რომელმან გამომირჩია მე უფროს მამისა შენისა და უფროს ყოვლისა სახლისა მისისა, დადგინებად მე მფლობელი ერსა მისსა ზედა... და მელქოლას, ასულსა საულისსა, არა ესვა შვილი დღედ სიკვდილადმდე მისსა“ *(მუხლ. 21—23)*.

დავითმა ტაძრის აშენებაც დააპირა იაღვესათვის, მაგრამ ებრაელთა ღმერთმა ამისი ნება არ მისცა, რადგან ასეთი პატივი სოლომონისათვის გამოიზოგა.

მერვე თავი დავითის ახალ გამარჯვებებს ეძღვნება: „და იქმნა შემდგომად ამათსა და მოსრა დავით უცხო თესლნი და სძლო მათ და მიუღებდა დავით გამორჩეულსა ხელისაგან უცხო თესლთასა. და მოსრა დავით მოაბი და განზომა იგინი ნაწილად და დასხნა იგინი ქვეყანასა ზედა. და იყო ორი წილი მკვდართა ზედა და ორი წილი ცოცხალთა ზედა*, და იქმნეს მოაბელნი მონად დავითისა, მომცემელ ხარკისა“ *(2 მეფეთა, 8, 1—2)*.

„და მოკლა დავით ადრააზარი, ძე რააბისა, მეფისა სუბისა, რომელი მოვიდოდა მისდა დადებად ხელისა თვისისა მდინარესა ზედა ევფრათისასა.

და წინათ აღიღო დავით მათგან ათასი ეტლი და შვიდი ათასი ცხენოსანი და ოცი ათასი კაცი ქვეითი, და შემუსრნა დავით ყოველნი ეტლნი და დაუტევა თვისდა მათგან ასი ეტლი.

და წარვიდა ასურეთს დამასკოსა შეწევნად ადრააზარის მეფისა სურისასა.

და მოსწყვიდნა დავით სურისაგან ოცდა ორი ათასი კაცი და დაადგინნა დავით ხმივილნი სურის შინა, რომელი არს ქვეშე დამასკოსა, და იქმნა სური დავითის მონებად მოცემად ხარკისა და აცხოვნებდა დავითს უფალი, სადაცა ვიდოდა.

და აღიღო დავით სალტენი ოქროსანი, რომელნი იყვნეს ყრმათა ზედა ადრაზარ მეფისა სურისათა, და მოიღო ისინი იერუსალიმს შინა *(მუხლ. 3—7)*.

---

* ქართულ ნაბეჭდ ტექსტში აქ შეცდომაა. დავითმა ძლეული მტერი დედამიწაზე დააწვინა, გულაღმა გაამწკრივა, თოკით გაზომა და ორი წილი სასიკვდილოდ გაწირა, ერთი კი ცოცხლად დატოვა.

შემდეგ დავითმა კავშირი შეკრა ვინმე ფოისთან, იმათის მეფესთან, იმდენადვე უცნობთან ისტორიისათვის, რამდენადაც იმ სხვა მეფეთა სახელები, რომლებიც დავითმა ზემოთ დაამარცხა. დავითმა დაიმორჩილა სირიელები და მოაბიტელნი, ამონიტელები, ფილისტიმელები, ამალეკები... რააბ მეფის შვილი ადრაზარი, სუბის მეფე, „დაიპყრა დავითმან თავისა თვისისა სახელი: ოდეს მოიქცა, მოსრა იდუმიანი ველსა მარილოვანსა შინა, ათვრამეტ ათასამდე“, ე. ი. უკან დაბრუნებისას სახელი მოიხვეჭა მარილოვან ხეობაში თვრამეტი ათასი სირიელის გაწყვეტით.

არც ერთი ისტორიკოსი არ აღნიშნავს დავითის ამ გამარჯვებებს სირიაში და ევფრატამდე. არავის არ გაუგონია მეფე ადრაზარი. დავითს რომ თავისი სამფლობელოები ევფრატამდე განევრცო, თავისი დროის უძლიერესი მეფე იქნებოდა, და ასეთ მეფეს რომელი ისტორიკოსი არ ახსენებდა? მაგრამ ასეთი საეჭვო გამარჯვებები მეფისა, პატარა ხალხის მბრძანებლისა, რომელსაც ერთადერთი და ისიც ნახევრად აუშენებელი ქალაქი გააჩნია, მხოლოდ ბაქიობაა და უსირცხვილო ტყუილი, მეტი არაფერი.

დავითი ებრძოდა ამალეკებსა და განსაკუთრებით ამონიტელებს. ომი გაჩაღდა ამონიტელთა მეფის ანონის ურიგო ხუმრობის შედეგად. მის მიწაზე რამდენიმე ებრაელი მოხვდა. ანონს მამა გარდაეცვალა. დავითმა „მონანი“ მიუგზავნა, მიუსამძიმრა, რადგანაც განსვენებული მეფის მადლიერი იყო. ამონიტელებმა დავითის კაცები დაიჭირეს და ანონს მიაღვენეს: სამძიმრისათვის კი არა, დასაზვერავად არიანო გამოგზავნილი („რათა გამოიძიონ ქალაქი და განიმსტოვრონ იგი და განსეთქონ, ამისათვის წარმოგზავნა დავით მონანი მისნი შენდა“). „და შეიპყრნა ანონ კაცნი დავითისნი და მოჰკვეცნა ნახევარნი წვერნი მათი და შემოსჭრნა სამოსელნი მათნი შუა, ვიდრე წელამდე მათთა და განუტევნა იგინი“ (მუხლ. 10, 4). რასაკვირველია, ამონიტელები ამისათვის სამაგალითოდ დაისაჯნენ. დავითმა მარტო ასურებს შვიდასი ეტლი წაართვა და ორმოცი ათასი ცხენოსანი ტყვედ იგდო. ამონიტელებმა ასურელთა მიშველება ვეღარ გაბედეს.

წმინდა დავითის, იუდეველთა მეფისა და წინასწარმეტყველის სატრფიალო თავგადასავალი

მინდა წერილში" ჩამოთვლილია შვილები, რომლებიც დავითს იერუსალიმში ეყოლა ახალი ცოლებისა და ხარჭებისაგან. ყველას ჩამოთვლა მეხსიერების ამაო გადატვირთვა იქნებოდა. საკმარისია ვთქვათ, რომ მათ შორის იყო სოლომონი. ამ ვაჟიშვილის დაბადების გარემოების აღწერილობას ეძღვნება მეთერთმეტე თავი. ერთხელ სეირნობისას მეფემ მომხიბლავი მობანავე ქალი შენიშნა. მთელი თავისი სიწმინდის მიუხედავად ამ ქალის გაცნობა მოიწადინა.

„და წარავლინა დავით და იძია დედა-კაცი და თქვა: არა ესრე არსა ბერსავია, ასული ელიაბისა, ცოლი ურია ქეტელისა?

და წარავლინა დავით მსახურნი და მოიყვანეს იგი და შევიდა მისდა და დაიძინა მასთან, და იგი იყო განწმენდილ უწმინდურებისაგან მისისა და მიიქცა სახლსა შინა თვისსა.

და მიუდგა რა დედა-კაცი, მუცლად იღო და წარუგზავნა და მიუთხრა დავითს და ჰრქვა: აჰა, მე მუცლად ვიღე!

და წარავლინა დავით იოაბისა მიმართ და ეტყოდა: წარმომივლინე მე ურია ქეტელი, და წარგზავნა იოაბ ჰურია დავითის მიმართ.

და მოვიდა ურია და შევიდა მისა მიმართ და ჰკითხა მას დავით მშვიდობისათვის იოაბისა და მშვიდობისათვის ერისა და მშვიდობისათვის ბრძოლისა.

და ჰრქვა დავით ჰურიასა მიმართ: წარვედ სახლსა შენსა და დაიბანე ფერხნი შენნი. და გამოვიდა ურია სახლით მეფისა და ვიდოდა უკანით მისსა მსახური მეფისა.

და დაიძინა ურია წინაშე ბჭესა სახლისა მეფისა, მონათათანა უფლისა მისისათა და არა წარვიდა სახლსა შინა თვისსა.

და მიუთხრეს დავითს და ეტყოდეს: რამეთუ არა წარვიდა ურია სახლსა შინა მისსა. და ჰრქვა დავით ურიას მიმართ: არა გზით მოსრულ ხარა? რად არა წარხვედ სახლსა შენსა?

და ჰრქვა ურია დავითის მიმართ: კიდობანი ღვთისა და ისრაელი, და იუდა იყოფებიან კარავთა შინა და უფალი ჩემი იოაბ და მონანი უფლისა ჩემისანი პირსა ზედა აგარაკისასა მყოფობენ და მე შევიდე

სახლსა ჩემსა ჭამად და სმად და დაწოლად ცოლისა ჩემისათანა? ვითარ ცხოველ სული შენი უკეთუ ვყო სიტყვაი ესე! (ე. ი. უფლის კიდობანი, მთელი ისრაელი, იუდა, ჩემი ბატონი იოაბი კარავში არიან, მე კი ჩემს სახლში შევიდე და ცოლთან დავწვე? შენს სულსა ვფიცავ, ამას არ ვიზამო!).

და თქვა დავით ურიას მიმართ: დაჯედ აქა დღე და—ესეც სხვა ტეო შენ! და დაადგრა ურია იერუსალიმს მას დღესა შინა და განთიადსა.

და მოუწოდა მას დავით, და ჭამა მისთანა და სვა და დაითრო იგი და წარვიდა მწუხრი ძილად სარეცელსა ზედა მისსა, მონათათანა უფლისა მისისათა და სახლსა შინა თვისსა არა შევიდა.

და იქმნა განთიად და მიუწერა დავით წიგნი იოაბს და წარსცა ხელითა ურიისათა.

და დაწერა წიგნსა შინა სიტყვანი: შეიყვანე ურია პირის პირ ბრძოლისა ძლიერისა და უკუხ იქეცით მისგან, რათა იწყლას (დაიჭრას) იგი და მოკვდეს!

და იყო ოდეს ხმილვითა იოაბს ქალაქსა (ე. ი. როცა ალყა შემოარტყა იოაბმა მტრის ქალაქს) და დაადგინა ურია ადგილსა ზედა, სადაცა იცოდა, რამეთუ კაცნი ძლიერნი არიან მუნ.

და გამოვიდეს კაცნი ქალაქით და ბრძოდეს იოაბისთა და დაეცნეს მრავალნი ერთგან და მონათაგან დავითისთა, და მოკვდა ურიაცა ქეტელი.

და წარგზავნა იოაბ და მიუთხრა დავითს ყოველნი სიტყვანი ბრძოლისანი მეფისა მიმართ.

და ამცნო იოაბ მოციქულსა, მეტყველმან: ოდეს აღასრულო ყოველი თქმული, რომელსა ბრძოლისათვის მეფისა მიმართ გეტყოდი.

და იყოს, უკეთუ განრისხნეს მეფე და გრქვა შენ: რად მიეახლენით ქალაქისა მიმართ ბრძოლად? არა უწყოდითა, რამეთუ მოისარნი იქმნებოდენ ზღუდით?

ვინ მოკლა აბიმელიქ, ძე იერობოალისა, ძისა ნერისა? არა დედაკაცმან დასცაა ნატეხი წისქვილისა ზღუდით და მოკვდა თამასს შინა? რად მიეახლენით ზღუდესა? და არქვი, მონაცა შენი ურია ქეტელი მოწყლულ იქმნა და მოკვდა" *(2 მეფეთა, 11, 3—21)*.

ასე შესრულდა ვერაგული დავალება*.

„და ჰრქვა მოციქულმან დავითს, რამეთუ განძლიერდეს ჩვენ ზედა

---

* ამ სიუჟეტზეა აგებული რემბრანდტის ბრწყინვალე ტილო: დავითი და ურია. დავალება ვერაგულია და ძლიერ ამცირებს „წმინდა" დავითს. მაგრამ მეორე მხრით აქ ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ ბიბლია არ არის თავის მთავარ გმირთა ერთიანი პოლოგია. ადამიანებს დადებით მხარეებთან ერთად აქვთ ყველა ადამიანური სისუსტეც.

კაცნი და გამოვიდეს ჩვენ ზედა აგარაკსა ზედა და განვდევნოთ იგინი ზღუდემდე ქალაქისა. და ჰრქვა მას დავით: ესრე ეტყოდე თოაბს: „ნუ გექნების ბოროტ (ნუ იდარდებ) წინაშე თვალთა შენთა სიტყვაი ესე, რამეთუ ოდეს მე უკვე ესრეთ, ხოლო მე ისრეთ შეგიწყალო მაგალითად განაძლიერე ბრძოლა შენი ქალაქსა ზედა და შესთხარე იგი და დაითხარე იგი.

და ესმა ცოლსა ურიისასა, რამეთუ მოიკლა ურია, ქმარი, მისი, და გოდებდა ქმრისა თვისისათვის.

და გამოვიდა ტირილითა და წარავლინა დავით და მოიყვანა იგი სახლსა შინა თვისსა, და იქმნა მისა ცოლად, უშვა მას ძე, და ბოროტად გამოჩნდა საქმე ესე, რომელი ქმნა დავით წინაშე თვალთა უფლისათა" *(2 მეფეთა, 11, 25—27)*.

ღმერთმა მეფეს ნათან ბრძენი გამოუგზავნა. ბრძენმა დავითს ასეთი ამბავი უთხრა: ვიღაც მდიდარმა კაცმა, რომელსაც აურაცხელი ცხვარი ჰყავდა, ერთხელ ვიღაც გამვლელი შეიპატიჟა და ცხვრის ხორცი გამოუტანა, ოღონდ საკუთარი ცხვარი კი არ დაუკლავს, ერთ საწყალ კაცს მოჰპარა ცხვარი და იმით გაუმასპინძლდა მგზავრს. მდიდრის ამ უმსგავსმა საქციელმა დავითი აღაშფოთა, ხოლო ნათან წინასწარმეტყველმა სიტყვა შეაწყვეტინა: „და ჰრქვა ნათან დავითს: შენ ხარ კაცი, რომელმან ჰყავ ესე, აწ ამას იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა: მე ვარ, რომელმან გცხე შენ მეფედ ისრაელსა ზედა და მე ვარ მხსნელი შენი ხელთაგან საულისთა, და მოგეც შენ სახლი უფლისა შენისა და ცოლნი უფლისა შენისანი წიაღსა შენსა და მოგეც შენ სახლი ისრაელისა და იუდასი, და უკეთუ მცირე შენდა არს ესე, შეგძინო შენ მათთანა (თუ ესეც გეცოტავება. კიდევ მოგცემო). და რაი არს, რამეთუ ეცრუე სიტყვასა უფლისასა, რომელ ქმენ ბოროტი წინაშე თვალთა მისთა: მოჰკალ ურია ქეტელი მახვილითა და ცოლი მისი მიიყვანე თავისა შენისა ცოლად და იგი მოჰკალ მახვილითა ძეთა ამონისთაჲთა! და აწ არა მიიქცეს მახვილი სახლისაგან შენისა უკუნისამდე, ვინაოგან შეურაცხმყავ მე და მოიყვანე ცოლი ჰურია ქეტელისა ცოლად თავისა შენისა. და ამას იტყვის უფალი: აჰა, მე აღვადგინო შენ ზედა ბოროტი სახლისაგან შენისა და მიგიღო ცოლნი შენნი წინაშე თვალთაგან შენთა და მივსცე მოყვასსა შენსა და დაწვეს იგი ცოლთა შენთა თანა წინაშე მზისა! რამეთუ შენ ქმენ ფარულად, ხოლო მე ვყო საქმე ესე წინაშე ყოველთა ისრაელთა და წინაშე მზესა ამას! და ჰრქვა დავით ნათანს: ვცოდე უფლისა მიმართ! და ჰრქვა ნათან დავითს: და უფალმან აღიღო ცოდვა შენი შენგან და არა მოჰკვდე, გარნა რამეთუ აღმახვენ მტერნი უფლისანი სიტყვითა ამით, და ძე შენი, რომელი იშვას შენდა, სიკვდილით მოკვდეს! — და წარვიდა ნათან სახლსა თვისსა" *(2 მეფეთა, 12, 7—15)*.

ბრძენი წინასწარმეტყველი დარბაისლურად გაეცალა ცოდვილ მეფეს*. ამას მოჰყვა დავითის ლოცვა და მარხვა, ხოლო შვიდე დღის შემდეგ — ახალშობილის სიკვდილი, როგორც ნათანმა წინასწარმეტყველმა. მამის ცოდვას ზღავს ჯერარშობილი ბავშვი!

„და შემუსრა უფალმან შვილი, რომელი უშვა ცოლმან ურიისმან დავითს და დასნეულდა. და ილოცვიდა დავით ღმერთსა ყრმისა მისთვის და იმარხვიდა მარხვითა, და შევიდა და შეიმოსა ძაძა, დაწვა ქვეყანასა ზედა.

და შევიდეს მისსა მოხუცებულნი სახლისა მისისანი აღდგინებად მისსა ქვეყანისაგან და არა ინება და არა ჭამა მათთანა პური.

და იქმნა დღე შვიდი და მოკვდა ყრმა, და შეშინდეს მონანი დავითისნი მითხრობად მისსა, რამეთუ მოკვდა ყრმაი, რამეთუ იტყოდეს: ოდეს ცა ყრმა კვალად ცოცხალი იყო, ვიტყოდით მისა მიმართ და არა ისმინა ხმისა ჩემისა, და ვითარ ვუთხრათ მას, რამეთუ მოკვდა ყრმა და გვიქმნეს ბოროტი!... და ნუგეშინისცა დავით ბერსაბე ცოლსა თვისსა და შევიდა მასთანა და მუცლად იღო და შვა ძე და უწოდა სახელი მისი სოლომონ და უფალმან შეიყვარა იგი,

და მიავლინა ნათან წინასწარმეტყველი და უწოდა მას სახელი იედდედი, სიტყვითა უფლისათა *(2 ნეფეთა, 12, 16—18, 24—25)*.

აი, ჭკუის სასწავლებელი ეპიზოდი თუ გნებავთ, ეგ არის. ვოლტერმა შენიშნა, რომ ქმრის მოღალატე ცოლად ვერ გაჰყვებოდა თავის შემაცდენელს, კანონიერი ქმრის მკვლელს, თუ რომის პაპი არ მიუტევებდა შეცოდებას და არ დალოცავდა საგანგებოდ. პაპებს აქვთ ასეთი ძალაუფლება, მართალია. მაგრამ არც ერთ ცივილიზებულ ხალხში მკვლელს უფლება არ ეძლევა თავისი მსხვერპლის ცოლის შერთვისა[54].

აქ კიდევ ერთი სიძნელე იფარება: თუ დავითისა და ბერსაბეს ქორწინება უკანონოდ ითვლება (და მაშ რანაირად უნდა ჩაითვალოს!), მაშინ არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იესო ქრისტე დავითის კანონიერი შთამომავალია, როგორც სახარების საგვარეულო ნუსხა წარმოგვიდგენს. თუკი, პირიქით, კანონიერ მემკვიდრედ წარმოვიდგენთ, ეს ნიშნავს, რომ წიხლი ვკრათ ზოგადკაცობრიულ და მაშასადამე, რელიგიურ კანონებს. თუ დავითისა და ბერსაბეს ქორწინება დანაშაულია, მაშინ ქრისტეს ჩამოშვავლობის სიწმინდე ფრიად საჩოთიროა, რადგან ახალი აღთქმა მას სოლომონის პირდაპირ შთამომავლად თვლის[55].

ამ რთული დილემის გადაწყვეტის მიზნით ღვთისმეტყველნი დავითის მონანიებას გვისაელებენ: მოინანია, იმარხულა, მეტი რაღა

---

* უფრო დაწვრილებით ამ წინასწარმეტყველის ამბავი მკითხველს შეუძლია გაიგოს ლესინგის დრამიდან „ნათან ბრძენი" (ქართული თარგმანი ვ. ბერწუკელისა).

გინდათო! მაგრამ მისი „მონანიება“ ძალიან ხანმოკლე იყო და მერე თავისი მსხვერპლის ცოლიც თავისთვის დაიტოვა, მაშასადამე, თავისი დანაშაული კიდევ უფრო დაამძიმა; ეს ახალი სიძნელეა, რასაც ღვთისმეტყველნი ვერანაირად ვერ აღწევენ თავს, და აქაც [illegible] თავენ, რასაც ყოველ გამოუვალ მდგომარეობაში იყენებენ მიუწვდომელია განგების ნება, ის უნდა ვიწამოთ!

აქ განხილულ შემთხვევაში, სიმართლე რომ ითქვას, ძალიან ძნელია ამ „განგების ნების“ გამოცნობა. ღმერთი, რომელმაც ადრე მოხუცებული ნაბალი მოკლა, რათა დავითის პირველი მრუშობა შეემსუბუქებინა, ახლა უცებ გაბრაზდა, როცა მისი რჩეული, ბედის ნებიერი დავითი შეცდა, ურია ვერაგულად მოაკვლევინა და მისი ცოლი თვითონ შეირთო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დავითს ეს საქმეც ღმერთისათვის უნდა მიენდო, ის მოუვლიდა ურია ქეტელს და ისევე იოლად ჩაუგდებდა ხელში ბერსაბეს, როგორც აბიგეა ჩაუგდო. მაშინ ღმერთი არ გაუწყრებოდა.

მაგრამ ღმერთი აქ უცნაურად ამჯღავნებს რისხვას. ალბათ წყრებოდა, როცა მეფეს ნათანი მიუგზავნა და მისი პირით სასტიკი მუქარა შეუთვალა. მაგრამ ეს აღარ უშლის ხელს, რომ შემდეგში დავითისა და მისი მიტაცებული ქალის, ბერსაბეს შეუღლებას კეთილი თვალით შეხედოს, რადგან ამ უკანონო ქორწინების ნაყოფს — სოლომონს თავიდანვე განსაკუთრებული წყალობის კალთა გადააფარა. მთელს თავის რისხვას ღმერთი ატეხს არა მრუშ დიაცს ან მისი ქმრის მკვლელ მეფეს, არამედ უდანაშაულო ახალშობილ ყრმას.

ამრიგად, ამ უცნაური, მაგრამ ცხადია, ღვთაებრივი კომბინაციის წყალობით დავითი წყლიდან მშრალი გამოდის. თუმცა, მთლად ასე როდია საქმე. ახალშობილი დასნეულდა და მოკვდა, მთავარი დამნაშავე შეწყალებულია. მაგრამ მუქარა, შენი ცოლები სხვა კაცებს მიუწვებიან საქვეყნოდ, ყველას დასანახადო, მუქარად რჩება და ნაწილობრივ ასრულდება კიდეც, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

ამ დროს დავითი ამონიტელთა ქალაქ რაბის (რაბაფას) წინააღმდეგ იბრძოდა და აიღო კიდეც ეს დედაქალაქი. მის ჯარებს ისევ იოაბი წინამძღოლობდა, მაგრამ ქალაქის „მისაღებად“ თვითონ დავითიც იქ ჩავიდა, „და აღიღო გვირგვინი მოლხოზ მეფისა მათისა თავისაგან მისისა და ტალანტი ოქროსა მისისა წონა და ქვათაგან ძვირფასისა, და იყო თავსა ზედა დავითისასა და ნატყვენავი მოიღო ქალაქით მრავალი ფრიად“ *(2 მეფეთა, 12, 30)*. ტალანტი — 36 კილოგრამი ოქრო გახლავთ. აქ წერია, რომ დავითმა ამონიტელთა მეფის გვირგვინი თავზე დაიდგა. წონით ეს გვირგვინი ერთი ტალანტი იყო და კიდევ ძვირფასი ქვებით მოოჭვილიო. ძვირფასი ქვებიც რომ იქით გადავდოთ, მაშინაც შეუძლებე-

ლია კაცმა თავზე დაიდგას ასეთი მძიმე გვირგვინი — ბიბლიურ გოლიათსაც კი გასრესდა ის თავისი სიმძიმით.

ამონიტელები რომ დაამარცხა, ისრაელთა „წმინდა“ მეფემ თავის ტყვეებს სრულიად ზედმეტი, არაადამიანური წამებით ამოხადა სული. ეს სწორედ იმ ქალაქ რაბაფის ბინადარნი იყვნენ, რომელთაც დავითმა ძულველი მეტოქე ურია ჩამოაცილეს. ღმერთმა დავითს ცოდვა ვინ რად შეუნდო, მაგრამ ღმერთმა დავითი იმისათვის აირჩია, რომ მისი იდეალები გაეტარებინა დედამიწაზე, მოესპო „უცხო თესლი“, თუნდაც მეფის უნებური თანამშრახველები ყოფილიყვნენ ისრაელთა მტრები. დავითი ღვთაებრივი შურისმაძიებელია და ამიტომ უსწორდება მათ ასე სასტიკად, თუმცა არავითარი დანაშაული იმათ არ მიუძღვით, რადგან საკუთარ ქალაქს იცავენ. თუ ვინმე სასჯელს იმსახურებდა, ეს იყო იოაბი, რომელმაც ვერაფერი საპატიო როლი ვერ ითამაშა რაბაფის დატრიალებულ ამბებში.

„და ერთნი მყოფნი მას შინა გამოიყვანნა და დასხნა ხერხთა ზედა და კუროს თავთა რკინისათა და ცულთა რკინისათა და განიყვანა იგინი შორის სახმილსა ალიზისასა და ესრეთ უყო ყოველთა ქალაქთა ძეთა ამონისთა და მოიქცა დავით და ყოველი ისრაელი იერუსალიმსა შინა“* *(2 მეფეთა, 12, 31)*.

ძალიან სასურველი იქნებოდა, რომ მთელი ეს მიუწვდომელი ბარბაროსობაც ისეთივე ზღაპარი ყოფილიყო, როგორიც სამეფო გვირგვინის ამბავი, 36 კილოგრამს რომ იწონის. ისტორიამ არ იცის ეგზომ გრანდიოზული და მოფიქრებული სისასტიკის ამბავი, რასაც ბიბლია — „წმინდა წიგნი“ მოგვითხრობს, აკანონებს და ამართლებს.

განსწავლული კათოლიკე ღვთისმეტყველი, ბენედიქტინელი კალმეტი ამბობს: „უნდა ვიფიქროთ, რომ დავითი იცავდა მისი დროის ომის წესებს, რაკი წმინდა წერილი ამ სისასტიკისათვის არ კიცხავს და მის ყველა საქციელს, ურიის შემთხვევის გამოკლებით, სწორად და უნაკლოდ თვლის“.

გიუე[56] კი ასეთ პასუხს აძლევს: „ეს მობოდიშება კარგი იქნებოდა ვეფხვებისა და პანთერების ისტორიაში, მაგრამ რომელი ადამიანი იკმარებს ასეთ ბოდიშს ასეთი სისასტიკისათვის? ამასთან ეს კაცი უფლის რჩეულია. სულერთია, მართალია ეს ამბავი თუ მონაგონი — მსგავსი რელიგიური დარიგება მხოლოდ გმობას იმსახურებს. აბა რაღა ვიფიქროთ ადამიანებზე, რომელთაც თავიანთ თავზე აუღიათ მისია, რომ ასე-

---

* ვინც პაპთა „მოღვაწეობისა“ და „წმინდა“ ინკვიზიციის საზარელ ისტორიას ახლო გაეცნობა, ის ბევრ რამეს ნახავს საერთოს ამ ისტორიასა და ბიბლიურ სისასტიკეს შორის. ცხადია, ეკლესიის მსახურთ ბიბლია ასეთ საქმეებს აძლევდა: თუ ღმერთი სასტიკია, მის მსახურთაც იგივე მოეთხოვებათ!

თი უკაცური ურჯულობა სასახელო და ღირსეულ საქციელად გაასაღონ ხალხის თვალში?“

დავითის „ისტორია“ ასეთია: ერთი სისასტიკე ვერ დაგივიწყებია და ისე მეორეს შეეჩეხები.

„და იყო ამისა შემდგომად და აბესალომს, ძესა დავითისსა, ჰყვა დაი სახედ შვენიერი ფრიად, ხოლო სახელი იყო მისი თამარ, და ეტრფიალა მას ამნონ, ძე დავითისა.

და შეიჭირვებდა ამნონ, რამეთუ ელმოდაცა (ე. ი. დარდობდა) ფრიად დისა თვისისათვის თამარისა, რამეთუ ქალწულებით იყო ესე და ჯეროვან იყო წინაშე თვალთა ამნონისთა, ყოფად მისა (ე. ი. ქალწული იყო და ვერაფერს ვერ გახდებოდა თავის დასთან).

და იყო ამნონისა მეგობარი და სახელი მისი იონადაბ, ძე სამაის, ძმისა დავითისა, და იონადაბ კაცი ბრძენ ფრიად.

და ჰრქვა მას იონადაბ: რა არს შენდა, რამეთუ ეგრეთ გელმის ძესა მეფისასა განთიად განთიად და არა მომითხრობ მე?

და მიუგო მას ამნონ: თამარს, დასა აბესალომ, ძმისა ჩემისასა ვეტრფიალე მე.

და ჰრქვა მას იონადაბ: დაწევ სარეცელსა შენსა ზედა და შეიწუხე, და შემოვიდეს ხილვად მამა შენი შენდა და ეტყოდე მას:მოვედინ აწ დაი ჩემი თამარ, რათამცა მომცეს მე ჭამადი და მიქმნეს წინაშე თვალთა საჭმელი, რათა ვიხილო და ვჭამო ხელისაგან მისისა.

და დაწვა ამნონ და შეიწუხებდა და შევიდა მეფე ხილვად მისა და ჰრქვა ამნონ მეფესა: რათა მოვიდეს აწ თამარ, დაი ჩემი ჩემდა, და შემიგბოს ორი კვერი წინაშე თვალთა ჩემთა, რათა ვჭამო ხელისაგან მისისა.

და წარგზავნა დავით თამარის მიმართ სახლსა შინა და ეტყოდა: მოვედ აწ სახლსა ამნონის, ძმისა შენისასა, და უქმენ მას ჭამადი.

და წარვიდა თამარ სახლსა ამნონ ძმისა თვისისა, და იგი იწვა, და აღიღო ცომი და შესვარა და ისწრაფა შემზადებად წინაშე თვალთა მისთა და შეწვა შერთული ტაფაკსა შინა.

და მოიღო ტაფა იგი წინაშე მისსა და არა უნდა ჭამად, და ჰრქვა ამნონ: განსდევნენით ყოველნი კაცნი ჩემგან! და განსდევნნეს ყოველნი კაცნი მისგან.

და ჰრქვა ამნონ თამარს: მომიღე მე ჭამადი შინაგან საწოლსა და ვჭამო ხელისაგან შენისა. და აღიღო თამარ შერთული, რომელი შეწვა და მიართვა ამნონს, ძმასა თვისსა, შინაგან საწოლსა.

და წინა დაუდვა მას, რათა ჭამოს, და მან შეიპყრა იგი და ჰრქვა მას: მოვედ და დაწე ჩემთანა, დაო ჩემო.

და ჰრქვა მას: არა, ძმაო ჩემო, ნუ განმკიცხავ მე, ვინათგან არა ქმნილ არს ესრეთ ისრაელთა შორის, ნუ ჰყოფ უგუნურებასა ამას.

და მე სად დავფარო უპატივრობა ჩემი, და შენ იქმნები, ვითარცა ერთი უგუნურთაგანი ისრაელთა შორის, და აწ ეტყოდე მეფისა მიმართ, რათა არა განმყოს მე შენგან.

და არა ინება ამნონ სმენად ხმისა მისისა და ძლიერ შეურაცხ-ყო ლა იგი და დაიძინა მისთანა.

და მოიძულა იგი ამნონ სიძულვილითა დიდითა ფრიად... უფროს სიყვარულისა, რომლითა უყვარდა იგი, და უთხრა მას ამნონ: აღდეგ და წარვედ!

და ჰრქვა მას თამარ: ნუ, ძმაო, რამეთუ სიბოროტე უფროს არს უკანასკნელი უფროს პირველისა, რომელი ჰქმენ ჩემთანა... და არა ინება სმენად მისისა" *(2 მეფეთა, 13, 1—17)*.

ისტორიამ სხვა მაგალითებიც იცის სისხლის აღრევისა, მსგავსი ამნონის ამაზრზენი საქციელისა. ყოველ შემხთვევაში, ვერ ვიტყვით, ერთი-მეორისაგან გადაუღიათო: ეს ჩვეულება საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ ხალხებში, მაგრამ აი, რა არის აქ ყველაზე უფრო უცნაური: ამნონმა რომ თავისი დანაშაულებრივი ვნება ბიძაშვილს გაანდო, იონადაბს. ეტყობა, დავითის ოჯახი საკმაოდ გახრწნილი ყოფილა, რაკი ხარჭებით გარემოცულ ვერაგ ვაჟბატონს საკუთარ დასთან დაწოლა მოუწადინებია უსათუოდ და ღვიძლი ბიძაშვილი ამაში დახმარებია.

როგორც ვნახეთ, ამნონმა მიიღო „მეგობრის" რჩევა, მამას სთხოვა, ჩემი და გამომიგზავნე, საყვარელი საჭმელი გამიმზადოსო, იმანაც ასეთი სურვილი ავადმყოფი შვილის ფანტაზიად ჩათვალა, და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც სულიწმინდამ ინება.

ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი მაინც ისაა, რომ ასე მოტყუებით ნამუსახდილი და ამნონმა იქვე შეიძულა და ისე მიმართავს, როგორც უკანასკნელ მეძავს: გადიო! და არ მიდის. მაშინ ამნონმა მსახურს უბრძანა: გააგდე ეს ქალი და კარი ჩაკეტეო!

როგორ ფიქრობთ, მკითხველო? განა ზედგამოჭრილი ანეგდოტი არ არის წმინდა წერილისათვის, რაც თვითონ ღმერთმა უკარნახა ადამიანებს?

ვნახოთ, რა მოჰყვა ამნონის ბრძანებას: „განაძე აწ ესე ჩემგან გარე და დახაშ კარი უკანა მისსა". თამარი გააგდეს. „და იყო სამოსელი მას ზედა ჭრელი, ვინათგან ეგრეთ შეიმოსდენ ასულნი მეფისანი, მყოფნი ქალწულებასა შინა სამოსელსა თვისსა ზედა, და სამოსელი ჭრელი დაიპო და დაისხნა ხელნი თვისნი თავსა ზედა თვისსა, ვიდოდა და ღაღადებდა" *(მუხლ. 19)*.

აქ საქმეში ერევა აბესალომი, თამარის ღვიძლი ძმა (მათი დედა

მაახა, დავითის მეოთხე ცოლი იყო). ამ კაცმა „გრძელთმიანის“ სახელი დაიგდო. ესაა ბიბლიის კიდევ ერთი პერსონაჟი, რომელიც ცნობილი გახდა თავისი გრძელი ფაფრის წყალობით: სამსონსა და საულზე გრძელი თმა ჰქონდა. თამარის გაუპატიურების ამბავი რომ გაიგო, პირველად ნუგეშისცემა დაიწყო. დავიმოწმოთ ბიბლია:

„და მოიღო თამარ ნაცარი და დაისხა თავსა თავისსა და სამოსელი ჭრელი დაიპო თავსა ზედა და დაისხნა ხელნი თვისნი თავსა ზედა თვისსა, ვიდოდა და ღაღადებდა და ჰრქვა მას აბესალომ, ძმამან მისმან, ნუთუ ამნონ, ძმა შენი იქმნა შენთანა? და აწ, დაო ჩემო, დადუმდი, რამეთუ ძმა შენი არს, ნუ დაიდებ გულსა შენსა თქმად სიტყვისა ამის, და დაჯდა თამარ ქვრივად სახლსა შინა აბესალომ ძმისა მისისა“ *(მუხლ. 13, 19—22)*.

წყრომის ნაცვლად ტკბილი სიტყვა უთხრეს, მაგრამ თამარს რა ანუგეშებდა? რაც შეეხება დავითს, როცა გაიგო, თუ რას გულისხმობდა მისი ქებული შვილი „ტკბილ კერძში“, ბრაზისაგან ლამის გაგიჟდა. მაგრამ ღვთის ცეცხლი მალე გაუნელდა, რადგან მეფეს ასეთი ცოდვები თავადაც არაერთხელ ჩაუდენია სიჭაბუკეში, თანაც „უყვარდა იგი, რამეთუ პირმშო იყო მისი“. ვერაფერი გამართლებაა მირონცხებული მეფისათვის!

აბესალომი კი „არას ეტყოდა მიერითგან ამონისთანა არცა კეთილად, არცა ბოროტად, ვინათგან მოიძულა აბესალომ ამნონ მისთვის, ვინათგან თამარ, დაი მისი განკიცხა“. თავის სიძულვილს აბესალომი ორი წელიწადი იმარხავდა გულში. ამ დროის გასვლის შემდეგ ბაალგაზორში (ბელასორში) აბესალომი ცხვარს კრეჭდა. ამ დღესთან—„ცხოვართა რისვასთან“ დაკავშირებით დიდი ნადიმი გამართა და ამ ნადიმზე თავისი ძმებიც მოიწვია, მათ შორის ამნონი — სისხლისაღმრევიც. მეფეც დაპატიჟებული იყო, მაგრამ უარი თქვა: „არა, ძეო ჩემო, არა წარმოვიდეთ ჩვენ ყოველნი, რათა არა დაგამძიმოთ შენო“. მაშინ დაიჟინა, ამნონი მაინც მოვიდესო. ამნონი ეწვია. როგორც კი დათვრა, აბესალომმა თავის მონებს უბრძანა, მოკალით ეს უკეთური, ნუ გეშინიათ, მე გიბრძანებთო! ბრძანება ასრულდა. ამნონი აბრაამის წიაღში გაამგზავრეს. შეშინებულმა მეფისწულებმა თავთავიანთი ჯორები გამონახეს და თავს უშველეს. დავითს ამბავი მოუვიდა, აბესალომმა შენი შვილები ამოწყვიტა, ერთიც არ გადარჩენილაო. დავითმა „სამოსელი დაიპო“, მაგრამ იმავე იონაბადმა ანუგეშა: ყველა კი არა, მხოლოდ ამნონი მოკლა, თამარის ნამუსისათვისო!

„ეს საშინელი უპატიოსნობაა, — ამბობს ვოლტერი, — თავის ღვიძლ დასთან დაწოლა. საშინელი უხეშობაა მისი გაგდება ასეთი შეუ-

რაცხყოფის შემდეგ. მაგრამ ღვიძლი ძმა რომ ნადიმზე დაჰპატიჟო და მოკლა, ესეც, რა თქმა უნდა, არანაკლები დანაშაულია".

აქ ებრაელთა ისტორიაში პირველად გვხვდება ჯორები. ეროვნულ ღრმად განსწავლული ღვთისმეტყველი, შეპყრობილი უცნაური მანიით, რომ უმნიშვნელო ამბებსაც კი უჩვეულო იერი მისცეს, ძველი ნაცნობი, დაუშრეტელი კალმეტი, — ბიბლიის [illegible] გვიმტკიცებს: „პალესტინაში ჯორები არ არიან ვირისა და ფაშატის შეჯვარების შედეგი, არამედ უშუალოდ დედალ-მამალი ჯორების შეუღლებით იშობიანო". ასე აყირავებენ ღვთისმსახურნი მეცნიერებას!

ასეთმა მოულოდნელმა „აღმოჩენამ" ბევრი აცინა ვოლტერი, რომელიც ბენედიქტინელს ასეთ პასუხს აძლევს: „კალმეტი აქ არისტოტელეს მოსაზრებას აღადგენს, მაგრამ, ცხადია, უმჯობესი იქნებოდა, რომელსამე მესაქონლეს მოთათბირებოდა. ჩვენ ვიცნობთ რამდენიმე მოგზაურს, რომლებიც ამტკიცებენ, არისტოტელი ცდებოდაო, და მაშასადამე, ასევე ცდება კალმეტიც. ჩვენს დროში უკვე აღარ მოიპოვება არც ერთი ნატურალისტი, რომელიც ჯორების დამოუკიდებელი ჯიშის არსებობას დაიჯერებდა. ვირს შეუძლია კარგი ჯორი მოგვცეს ფაშატთან შეჯვარების შედეგად. მაგრამ ბუნება ამაზე ჩერდება, რადგან ჯორს აღარ გააჩნია უნარი, რომ შთამომავლობა გააჩინოს. მაშ რისთვის მიუნიჭებია განგებას მისთვის მწარმოებელი ორგანოებიო, იბადება კითხვა. ამბობენ, უმიზნოდ ის არაფერს არ აკეთებსო. ამასთან არაფერი არ არის ქვეყნად ისე უსარგებლო, როგორც ჯორის მწარმოებელი ორგანოები. ასეთი რამე მას ისევე არ ესაჭიროება, როგორც მამაკაცს — ძუძუები, რომლებიც აგრეთვე მხოლოდ დასანახავად არსებობენ".

დავითი დიდხანს დასტიროდა ამნონს და არ ფარავდა, რომ აბესალომს გმობდა ასეთი მკვლელობისათვის. აი, რატომ გადაიხვეწა აბესალომი. გესურის სამეფოში შეეხიზნა თავის პაპას და სამი წელი დაჰყო იქ. იოაბმა ეშმაკობა იხმარა, რომ იქიდან გამოეტყუებინა. ბოლოს ეს მოახერხა და ისევ იერუსალიმში ჩამოიყვანა. მაგრამ დავითს არც ახლა სურდა მისი ხილვა: თავის სახლში იყოს, „ხოლო პირი ჩემი ვერ იხილოსო", გააფრთხილა. ამასთან აბესალომი ნამდვილი მშვენება იყო მამაკაცთა შორის, მთელს ისრაელში სილამაზით ტოლი არა ჰყავდა.

„და მიიქცა აბესალომ სახლსა შინა თვისსა და პირი მეფისა ვერ იხილა: ვითარცა აბესალომ, არა იყო კაცი ყოველსა ისრაელთა შორის ქებული ფრიად, ცერითგან ფერხით მისით თხემადმდე მისა არა იყო მას შინა ბიწი.

და ოდეს მოჰკვეცდენ მას თავსა მისსა და იქმნა დასაბამითგან დღეთა დღედმდე, რომელსა შინა მოჰკვეცდენ, რამეთუ დამძიმდებოდა იგი მათგან და მოკვეცილთა ასწონდენ თმათა თავისა მისისათა ორასის

სიკლისა სასწორისა სამეფოსა (ე. ი. როცა თმას მოიკვეცდა — და მოიკვეცდა კი ყოველი წლის ბოლოს, რადგან თმა ამძიმებდა — მისი თმა ორას სიკლამდე იწონიდა)*.

და ეშვნეს აბესალომს სამნი ძენი და ერთი ასული, და სახელი მისი თამარ, ესე იყო დედა-კაცი ფრიად კეთილ სახითა. და შეირთა იგი ცოლ რობოამისა, ძისა სოლომონისა, და უშვა მას აბია.

დაჯდა აბესალომ იერუსალემს ორის წლის დღე, და პირი მეფისა ვერ იხილა.

და წარავლინა აბესალომ იოაბის მიმართ, რათამცა წარგზავნოს იგი მეფისა მიმართ და არა ინება მისლვად მისა მიმართ. და წარავლინა მეორედ მისა მიმართ და არა ინება მისლვად.

და ჰრქვა აბესალომ ყრმათა მიმართ თვისთა: შეეედით ნაწილსა აგარაკსა ზედა იოაბისასა ახლოს ჩემსა და არს მუნ მისი ქრთილი. წარვედით და მოწვით იგი ცეცხლითა. და წარვიდეს და მოწვეს მონათა აბესალომისთა ნაწილი იოაბისა ცეცხლითა.

მოვიდეს მონანი იოაბისნი მის მიმართ, დაიპეს სამოსელი თვისი და ჰრქვეს: მოწვეს მონათა აბესალომისთა ნაწილი ადგილი შენი ცეცხლითა და აღდგა იოაბ და მივიდა აბესალომის მიმართ სახლსა შინა და ჰრქვა მისდა მიმართ: რად მოწვეს მონათ შენთა ნაწილი ჩემი ცეცხლითა.

და ჰრქვა აბესალომ იოაბის მიმართ: აჰა, წარმოვგზავნე შენდა მეტყველნი, ერთგზის და ორგზის, მოვედ აქა და წარგზავნო შენ მეფისა მიმართ მეტყველი: რად მოველ მე გეთსურიდამ, უმჯობეს ჩემდა იყო ყოფაი კვალად მუნ, და აწ აჰა პირი მეფისა ვერ ვიხილე, უკეთუმცა არს ჩემ შორის უსამართლობა, მაშინღა მომკალ მე.

და შევიდა იოაბ მეფისა მიმართ და მიუთხრა მას: და მოუწოდა აბესალომს და მოვიდა მეფისა მიმართ და თაყვანისცა მას და დავარდა პირითა თვისითა ქვეყანასა ზედა წინაშე პირსა მეფისასა, და ამბორს უყო მეფემან აბესალომს" *(2 მეფეთა, 14, 24—33)*.

აბესალომის მოქმედება იოაბის წინაშე ნაკლებად საზარელია, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი, მაგრამ უაღრესად დუხჭირი და მახინჯი სახე კი აქვს: ბიბლიის გარდა არსად არასოდეს არ გაგონილა, რომ ვინმეს მთავარსარდლისა და პრემიერ-მინისტრის ყანები დაეწვას მხოლოდ იმისათვის, რომ პატრონი სალაპარაკოდ გამოეწვია. რა უცნაური ხერ-

---

* სიკლი-სიკილა, ერთი დიდრაქმა, ძველ ებრაელთა ფული, იგივე წონის ერთეული ორასი სიკილა-ორნახევარი კილოგრამი.

(ქართულ ტექსტში აქ კორექტურული შეცდომაა: „სამრფოსა", უნდა იყოს „სამეფოსა". სამეფო სასწორით).

ხია იმისათვის, რომ ვეზირთუხუცესთან აუდიენციას მიაღწიოს მეფის ძემ!

„და იყო შემდგომად ამათსა და ყო თავისა თვისისათვის აბესალომ ეტლები და ცხენნი და ორმეოცდა ათნი კაცნი, მორბედნი წინაშე მისსა“ (*2 მეფეთა, 15, 1*). შემდეგ შეუდგა ხალხში სამართლიანი კაცის სახელის მოხვეჭას: „ვინამე დაგადგინოს მსაჯულად ქვეყანასა ზედა, და ჩემდა მოვიდოდეს ყოველი კაცი, რომლის იყოს ბჭობისა სასჯელი, და განვამართლო იგი“ (კაცი რომ თაყვანისსაცემლად მოვიდოდა, ხელს გაუწვდიდა): „შეიწყნარის იგი და ამბორს უყვის მას“. ასე გახდა პოპულარული, „და მიითვისის აბესალომ გულნი ძეთა ისრაელისთანა“* (*მუხლ. 6*).

გავიდა ორმოცი წელი და აბესალომმა დავითს უთხრა: „წარვიდე აწ და მივაგო აღთქმა ჩემი, რომელი აღუთქვი უფალსა ქებრონსა შინა, რამეთუ აღთქმა აღუთქვი მონამან შენმან, ოდეს ვცხოვრობდი გეთსურსა შინა ასურეთისასა და ვიტყოდი: თუ მოქცევით მომაქციოს მე უფალმან იერუსალემს შინა, ვმსახურო უფალსა. და ჰრქვა მეფემან: წარვედ მშვიდობით! და აღდგა და წარვიდა ქებრონს. და წარავლინნა აბესალომ მსტოვარნი ყოველსა შორის ტომსა ისრაელისასა და ეტყოდა: ოდეს ისმინოთ თქვენ ხმა რჭისა საყვირისა, მაშინ სთქვით, რამეთუ გამეფდა აბესალომ ქებრონს შინა! და წარვიდეს აბესალომს თანა ორასი კაცი იერუსალიმითგან ჩინებულნი, და ვიდოდეს სიმარტივითა თვისითა და უმეცარნი ყოველისა სიტყვისანი“ (*მუხლ. 7—11*).

მაშინ დავითმა თავის იერუსალიმელ მსახურებს უბრძანა: „აღდეგით და ვივლტოდეთ, რამეთუ არა არს ცხოვრება ჩვენი პირისაგან აბესალომისა, —და აღისწრაფეთ წარსლვად, რათა არ გვეწიოს იგი და აღგვიღოს ჩვენ და მოაწიოს ჩვენ ზედა ბოროტი და მოსრას ქალაქი მახვილითა!

და ჰრქვეს ყრმათა მეფისა მიმართ. ყოველი, რაოდენი გვამცნო უფალმან მეფემან, აჰა ჩვენ, ყრმანი შენნი!

და განვიდა მეფე და ყოველი სახლი მისი ფერხითა თვისითა და დაუტევა მეფემან ათნი ცოლნი ხარჭთაგან თვისთა დაცვად სახლისა.

და განვიდა მეფე და ყოველნი ყრმანი მისნი ქვეითნი და დადგეს სახლსა შინა, რომელი იყვნეს შორს.

და ყოველნი ყრმანი მისნი წიაღ კერძოსაგან მისსა ვიდოდეს და ყოველნი ხერეთი და ყოველნი ფელეთი და ყოველნი ღეფელნი, ექვსასი კაცი გამოვიდა ქვეით მეფისაგან და წინა უვიდოდეს წინაშე პირსა მეფისასა“ (*2 მეფეთა, 15, 14—18*).

ლორდი ბოლინგბროკი მოგვითხრობს, რომ როცა ერთი მოძღვარი

---

* ამრიგად, კიდევ ერთი ბიბლიური გმირია რთული, ორმაგი ბუნებისა: მოძალადე ამნონის დამსჯელი თვით აღმოჩნდა ვერაგი მოძალადე.

ინგლისის გენერალს ბიბლიის ამ ადგილს უკითხავდა, გენერალმა წიგნი ხელიდან გამოსტაცა, ძირს დააგდო და შესძახა:

— ათასი მეხი დაეცეს! ეს რა ლაჩარი ყოფილა თქვენი დუხჭირი. დავითი, მთელი ათასეულით რომ გაქცეულა! არა, მარტო დავრჩენილიყავი და ბრძოლა მებოდი, იმ აბესალომს დავიჭერდი და პირველსავე ხეზე ჩამოვკიდებდი, როგორც ძაღლს!

დავითი კი გარბოდა, მეამბოხე შვილს გაურბოდა. „და მოვიდა მეფე ვაფირიმადმდე (ბაქურიმამდე), და აჰა, მიერითგან კაცი მოვიდოდა ნათესავისაგან სახლისა საულისა, ხოლო სახელი მისი სემეი, ძე გირანისა, და გამოვიდოდა მომავალი და მწყევარი, და ქვითა ჰქოლვიდა დავითს და ყოველთა ყრმათა მეფისა დავითისა და ყოველნი ერნი და ყოველნი ძალნი, რომელნი იყვნეს მარჯვენესა და მარცხენესა მეფისასა, და ესრეთ ეტყოდა სემეი მწყევარი მისი: განვედ, განვედ, კაცო მოსისხლეო! და კაცო უსჯულოო! მოაქცია შენ ზედა უფალმან ყოველი სისხლი სახლისა საულისა, ვინათგან გამეფდა მის წილ და მისცა უფალმან მეფობა ხელსა შინა აბესალომ, ძისა შენისასა, და აჰა, შენ სიბოროტესა შინა შენსა, რამეთუ კაცი მოსისხლე ხარ შენ... და წარვიდა დავით და ყოველნი კაცნი მისნი გზასა და სამეი ვიდოდა კერძოსა თანა მთისასა, მახლობელ მისა მსვლელი და სწყევდა და ქვითა ჰქოლვიდა გვერდით მისსა და მტვერსა აფრქვევდა“ *(2 მეფეთა, 16, 5—8, 13)*.

კრიტიკოსები აღნიშნავენ: ავტორი რომ ჩვეულებრივი მწერალი ყოფილიყო, აბესალომის ამბოხების შესახებ რაიმე წვრილმანებს კიდევ გვეტყოდაო. გვეტყოდა, რა ძალებს მოუყარა თავი, გვეტყოდა, როგორ მოხდა, რომ დავითი, გოლიათის მძლეველი და გამობრძმედილი მეომარი, შვილს შეუშინდა და იერუსალიმიდან უბრძოლველად გაიქცა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მტერი ჯერ კიდევ არც გამოჩენილიყო ქალაქის ჭიშკართან. ჩვენ გვეცოდინებოდა, იყო თუ არა იერუსალიმი გამაგრებული, რატომ არაფერი გაკეთებულა მისი გამაგრებისათვის, რატომ არ გაუწია ხალხმა წინააღმდეგობა მეამბოხეებს. განა დასაჯერებელია, რომ ისეთი სასტიკი ტირანი, როგორიც ულმობელი დავითი იყო, დამარცხებულ მტერს რომ მასობრივად ჟლეტდა, ხერხავდა, დოლაბებით ფქვავდა, ღუმელებში წვავდა, თავისი სატახტო ქალაქიდან გაქცეულიყო, როგორც სულმოკლე ვინმე, მშიშარა ბავშვი, ისე რომ ურჩი შვილის ამბოხების ჩაქრობა არც კი ეცადა? რაც შეეხება იმ სიმეის გამოხდომას, ქვებს რომ უშენს და სახეში მტვერს აფრქვევს მეფეს, რომელიც გარემოცულია ამოდენა ჯარითა და მთელი იერუსალიმის მოსახლეობით, ლანძღვავს, ნიშნს უგებს და დაუსჯელი რჩება, — ეს ეპიზოდი მთელი წმინდა წერილის ყველაზე უფრო დაუჯერებელი ჭორი ხომ არ არის? ზოგჯერ თავს ჩაეკითხები, სიზმარში ვარ თუ ნამდვილად წმინდა რელიგიურ წიგნში ვკი-

თხულობ ამდენ სისულელეს, რომლის ყოველი სიტყვა ანათემის შიშით უნდა ვიწამოთ?

„ხოლო აბესალომ და ყოველნი კაცნი ისრაელისანი შევიდეს იერუსალემს შინა და აქიტობელი მის თანა. და იქმნა ოდეს მოვიდა ხუს პირველი მეგობარი დავითისი აბესალომის მიმართ, [illegible] აბესალომს: ცხონდინ, მეფე!.. და ჰრქვა აბესალომ აქიტობელს: [illegible] თვისი განზრახვა, რაი ვყოთ? ჰრქუა აქიტობელ აბესალომს: შეუვედ ხარჭთა თანა მამისა შენისა ზედა, რომელნი დაუტევნა მცველად სახლისა თვისისა და ისმინოს ყოველმან ისრაელმან, რამეთუ სირცხვილეულ ჰყავ მამა შენი, და განძლიერდეს ხელი ყოველთა მყოფთა შენ თანა. და აღუდგეს აბესალომს კარავი ერდოსა ზედა, და შევიდა აბესალომ ხარჭთა მიმართ მამისათა, წინაშე თვალთა ყოველთა ისრაელთასა“ *(2 მეფეთა, 16, 15—16, 21—23)*.

კრიტიკოსები გაკვირვებული არიან. ვერ წარმოუდგენიათ, რომ მეფის ცოლებთან და ხასებთან ასეთი საჯარო დაწოლა კარგი ღონისძიება იყოს ხალხში სახელის მოხვეჭისა. უარს ამბობენ იმის დაჯერებაზეც, რომ მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა და სილამაზისა აბესალომს ეყოფოდა ენერგია ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით დაწოლილიყო მეფის ათსავე ხარჭასთან და მთელი იერუსალიმის მოსახლეობის თვალწინ მოეწყო ათივე ცდა ხალხის სიყვარულის მოპოვებისა. არა, ამდენს ვერ შესძლებდაო! მაგრამ ერთი რამ ცხადია: წმინდა ავტორს, რომელიც საქრისტიანოს უდიდეს წიგნს წერს, უყვარს ბინძურ ამბებში ქექვა და პორნოგრაფიული უხამსობის გადმოლაგება. ამნონის სისხლის აღმრევი სიძვის შემდეგ ერთბაშად მოდის ათი ასეთივე დანაშაულებრივი ამბავი: მამის ხარჭებთან შვილის საქვეყნო მრუშობის ამაზრზენი სცენა. ვაის გავეყარე, უის შევეყარეო, სწორედ ისეა! ამ წმინდა ბიბლიაში ერთ ლაფს მხოლოდ იმისათვის ვაღწევთ თავს, რომ მეორე წუმპეში ამოვყოთ თავი.

აქიტობელმა აბესალომს მეორე რჩევაც მისცა, გარდა ამ საძაგლობისა, რითაც დავითის მემკვიდრემ თავისი „მოღვაწეობა“ დაიწყო: 12 000 კაცი შეყარე და დავითს დაედევნეო. ვინმე ხუსიმ კი უწინარეს ყოვლისა ურჩია მიემართა მთელი ისრაელი ხალხისათვის მოწოდებით, დანიდან ბერსაბემდე. ეს უკანასკნელი რჩევა აბესალომს უფრო ჭკუაში დაუჯდა. აქიტობელმა იწყინა, რომ მისი რჩევა არ ისმინეს და თავი მოიკლა.

ბოლოს და ბოლოს მეამბოხეებმა მაინც სასტიკი დამარცხება იგემეს ეფრემის ტყეში, სადაც იოაბის სარდლობით მეფის ჯარმა აბესალომის 20 000 ჯარისკაცი გაწყვიტა. დავითის შვილი ჯორით გაიქცა — ეს იყო მაშინდელი მერანი —მაგრამ თავისი საარაკო თმით მუხის ტოტებში გაიხლართა, „ცასა და მიწას შუა“ დაეკიდა, ჯორი კი გაიქცა. იოაბმა

აბესალომი სამჯერ მახვილის ჩაცემით განგმირა, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალი ეკიდა მუხაზე*. ეს ეპიზოდი სწორედ თმებზეა ჩამოკიდებული, ხომ მართალია? რაც შეეხება დავითს, როცა მშვენიერი ქაბუკის სიკვდილის ამბავი შეიტყო, ბევრი შდუღარე დაღვარა (რაც მტრის სისხლის დაღვრასავით ემარჯვებოდა), თან ტიროდა და ასე ამოძახებდა შეძრწუნებული: „ძეო ჩემო აბესალომ, ძეო ჩემო, ძეო ჩემო აბესალომ! ვინმე მიმცეს სიკვდილსა მე შენ წილ! მე ვიქმენ შენ წილ, აბესალომ, ძეო ჩემო, ძეო ჩემო აბესალომ!“

დავითის ძემ სიცოცხლეშივე იზრუნა თავისი ძეგლისათვის: შვილი არა მყავს და ძირი, ეს ძეგლი მაინც იყოს ჩემდა მოსაგონებლადო, და იმ ადგილას აღმართულ სვეტს ეწოდება „ხელი აბესალომისა მოდღეინდელად დღედმდე“.

ამრიგად, დავითი თავის სატახტო ქალაქში დაბრუნდა, საიდანაც შეეძლო არც გასულიყო. გახარებულმა სიმეის აპატია ქვების სროლა: „და ჰრქვა მეფემან სიმეის: არა მოჰკვდე! და ეფუცა მას მეფე“**.

კიდევ ერთი „ძე უშჯულოებისა“ გამოჩნდა, საბეი თუ საბიე, ვინმე ბოხორის შვილი. ერთ მშვენიერ დღეს „დაჰბერა საყვირსა რქითა და თქვა: არა არს ჩვენდა ნაწილი დავითის თანა, არცა სამკვიდრებელი ჩვენი ძისა თანა იესესა: მიიქეცით კაცნი ისრაიტელნი სოფელსა შინა თქვენსა! და განეშორნეს ყოველნი კაცნი ისრაელისანი დავითისაგან“. მეამბოხეს იოაბი დაედევნა, თან ახლდა მთელი ჯარი, მოგროვებული „იორდანითგან ვიდრე იერუსალიმადმდე“, „აბისია და კაცნი მისნი და ქერეთი და ფელეთი და ყოველნი ძალნი“. ეს აბესია ოდესღაც აბესალომმა დააწინაურა თავის სარღლად, და ახლა იოაბმა თავი მოკეთედ მოაჩვენა, გაიყოლია, გულში კი ავი ზრახვა ჰქონდა. უცებ როგორღაც დაეცა, „და ჰრქვა იოაბ აბესიას: კეთილად ხარა თუ, ძმაო? და უპყრა იოაბ მარჯვენით ხელითა წვერი აბესიას ამბორის ყოფად (ე. ი. საკოცნელად წვერში ჩაავლო ხელი), ხოლო აბესია არა განეკრძალა მახვილსა, რომელი იყო ხელსა შინა იოაბისსა, და დასცა მას იოაბ მახვილი უპეს შინა (მუცელში) მისსა და განცვივნა ნაწლევნი მისნი ქვეყანასა ზედა და არღა დაუმეორა და მოკვდა აბესია“ *(2 მეფეთა, 20, 9—10)*.***

---

* ქართულ ტექსტში „ისარი“ წერია, უფრო ზუსტია „მახვილი“ (რუსულში «Меч», გერმანულში — «Spiess», ლათინურში — «gladius»): „და მოიღო იოაბ სამნი ისარნი ხელსა შინა თჳისსა და განაწონა იგინი გულსა შინა აბესალომისსა, იყორა კვალად ცოცხალი შუახსა ზედა. და გარე მიეხვივნეს ათნი ყრმანი მტვირთველნი საჭურველისა იოაბისანი და სცეს აბესალომს და მოკლეს იგი“ (მუხლ. 14—15).

** დავითს არ დავიწყებია სიმეისაგან მიყენებული წყენა. ანდერძად დაუბარა სიკვდილის წინ სოლომონს, მოკალით, და იმანაც აასრულა.

*** აბესია — ლათინურში (და გერმანულში)—ამასა.

რაც შეეხება საბეის, არც მას დაადგა უკეთესი დღე. გაიქცა, თავი ერთ ქალაქს შეაფარა, იოაბიც ქალაქს შემოადგა. ვიღაც ჭკვიანმა დედაკაცმა გადმოიხედა, შესძახა: ,,მე ვარ მშვიდობა და სიმტკიცე ისრაელისა, ხოლო შენ ეძიებ მოწყვედად ქალაქისა, რომელი არს დედა ქალაქთა ისრაელთასა, და რაიდ წარღღვნი სამკვიდრესა უფლისასა შეჰფიცა. ქალაქს არას ვერჩი, მოღალატე სიმეი შენი ქალაქში და მომეცითო. დედაკაცის ბრძანებით მეამბოხეს თავი მოჰკვეთეს და კედლიდან გადმოუგდეს. იოაბი გაბრუნდა.

ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ მოგვაგონებს იუდეველთა და ქრისტიანთა წმინდა წერილის უდიდეს ზნეობრივ-აღმზრდელობით მნიშვნელობასა და შინაარსს, რასაც თურმე უღმერთოები ვერ გებულობენ!

ციფრული ბიბლიოთეკა

წმინდა მეფე დავითის უკანასკნელი ლხენა და მარადნეტარი გარდაცვალება

და იქმნა სიყმილი ქვეყანასა ზედა დღეთა შინა დავითისთა სამ წელ ზედას ზედა, და გამოჰკითხა დავით პირსა უფლისასა, და ჰრქვა უფალმან: საულის ზედა და სახლსა მისსა ზედა არს უსამართლოება, ესე დათხევისა თვის სისხლისა მისგან, ვინათგან მოაკვდინა გაბაონელნი.

და მოუწოდა მეფემან დავით გაბაონელთა და ჰრქვა მათ: გაბაონელნი არა არიან ძენი ისრაელისანი, არამედ ნეშტთაგან ამორეველთასა, და ძენი ისრაელისანი ეფუცნეს მათდა მიმართ, ხოლო საულ დაიდვა გულსა მოსრვა მათი, ვინათგან ეშურვებოდა იგი ძეთა გამო ისრაელთა და იუდასთა.

და ჰრქვა დავით გაბაონელთა: რაი გიყო თქვენ და რაი შეგივედრო, რათა აკურთხოთ სამკვიდრებელი უფლისა?

და ჰრქვეს მას გაბაონელთა: არა არს ჩვენდა ვეცხლი ანუ ოქრო საულისა და სახლისა მისისა თანა, და არცა ჩვენდა კაცი სასიკვდინე ყოვლისაგან ისრაელისა. და ჰრქვა მათ: თქვენ რასა იტყვით და გიყოთა თქვენ? (რას ითხოვთ, რა გაგიკეთოთო?).

და ჰრქვეს მეფესა: კაცმან, რომელმან მოგვსრნა* ჩვენ და განგვდევნა ჩვენ და განიზრახა მოსპობა ჩვენი, მოვსპოთ იგი, რათა არა იყოს ყოველთა შორის საზღვართა ისრაელისათა.

მოგვეცით ჩვენ შვიდი კაცნი ძეთაგან მისთა და მოვჰკიდოთ მზესა ზედა უფლისადმი გაბაონს შინა, სადაცა იყო საულ, რჩეული უფლისა, და ჰრქვა მეფემან: მე მოგცენ!

და შეიწყალა მეფემან: მემფიოსთე ძე იონათანისა, ძისა საულისა, ფიცისა თვის უფლისა, რომელიცა იყო შორის მათსა, და შორის დავითის, და შორის იონათანისა, ძისა საულისა.

და მოიყვანა მეფემან დავით ორნი ძენი რეფასა (რიცფა), ასულისა აიასა, ხარჭისა საულისა, რომელნი უშვნა საულს, ერმონია და მემფიოსთე და ხუთნი ძენი მელხოლასნი, ასულისა საულისა, რომელნი უშვნა ეზდრიელსა... (ჩამოთვლილია ჩამოსახრჩობთა სახელები).

---

* ქართული ბიბლიის ცნობილ ძველ გამოცემაში აქ კორექტურული შეცდომაა: ნაცვლად სიტყვისა „მოგვსრნა“ წერია „მოყვასნი“.

და მისცნა იგინი ხელთა შინა გაბაონელთასა და დამოჰკიდეს იგინი მზესა ზედა წინაშე უფლისა და დაეცნეს მუნ ესე შვიდნი ერთად და მოსწყვიდნეს იგინი დღესა შინა მკისასა, პირველსა დასაწყისსა ქერის მკისასა" (2 მეფეთა, 21, 1—9).

ბიბლიის ეს ადგილი ღვთისმეტყველებს ყოველთვის ნავს უჩენდა. საქმე ისაა, რომ საულის ამბავში არსად თქმა ხომ არ არის, თითქოს სულ ოდნავი წყენა მიეყენებინოს გაბაონელებისათვის. პირიქით, სამეფელი ყოველთვის საყვედურებით ავსებდა და ამრეზით უყურებდა მეზობელი ხალხებისადმი გამოჩენილი ლმობიერებისათვის. ჩვენ ჯერ არ დაგვიწყებია, რომ ქურუმთუხუცესმა საული გადაყენებულად გამოაცხადა სწორედ იმისათვის, რომ საულმა არ ამოწყვიტა ამ ქვეყანაში მცხოვრები რამდენიმე ტომი: ამალეკები, ამორეველნი, იდუმეველნი და სხვები. გარდა ამისა, საული თვითონ იყო გაბაონელი და სრულიად ბუნებრივია, რომ თავის თანამემამულეებს იწყალებდა. მას რომ გაენადგურებინა ის თანამემამულეები, რომელთაც რჯულიდან გადაუხვიეს, ამ დამსახურებას უსათუოდ ჩაუთვლიდნენ ბიბლიის ავტორები და საულისადმი მიძღვნილ წიგნებში შეიტანდნენ.

ეს მოულოდნელი ანგარიშსწორება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს დავითს განეზრახოს თავისი განსვენებული მეტოქის ნათესავთა და თანამემამულეთა გაწყვეტა, რომ მათი სახსენებელიც არ ყოფილიყო. მაგრამ სამაგიეროდ ეს ეპიზოდი იმდენად დაუჯერებელია, რომ ავტორიც დაბნეულია: საულმა ადრიელ მექოლელს თავისი უფროსი ასული — მეროვა მიათხოვა და არა მელხოლა. რაც შეეხება მელხოლას, როცა დავითმა მას უღალატა და აბიგეა შეირთო, საულმა ეს ასული ფალთია ლაიშის ძეს მისცა. შემდეგ კი დავითმა ეს ქალი ფალთიას წაართვა და დაიბრუნა. იქნება წმინდა ავტორს აქ მხედველობაში ჰყავდა მელხოლა და შვილები, რომლებიც მას სხვა კაცთან ეყოლებოდა და არა დავითთან. მაგრამ შეუძლებელია, რომ წმინდა ავტორს ასე შეშლოდა, ფალთია და ადრიელი არეოდა, მელხოლას და მეროვას ქმრები.

რაც შეეხება მოუსავლიანობას, რაც სამ წელიწადს გაგრძელდა, არაფერი იმ დგილებში ისე ბუნებრივი არ იყო, როგორც გვალვა და მოსავლის ნაკლებობა. წმინდა წიგნები ძალიან ხშირად ჩივიან მოუსავლიანობას, პალესტინაში რომ ერთთავად ემუქრებოდა ხალხს. ჩვენ ქვემოთაც არაერთხელ შევხვდებით შიმშილობის შემთხვევებს ამ მწირსა და დუხჭირ ქვეყანაში, სადაც რიყის ქვა მუდამ სჭარბობდა სასარგებლო მცენარეს.

კიდევ უფრო გასაოცარია, ღმერთმა რომ უთხრა დავითს: ეს შიბშილობა იმისათვის მოგივლინეთ, რომ ოდესღაც მეფე საულს ცუდი ზრახვები ჰქონდა იმ ხალხის მიმართ, რომელიც არ წარმოადგენდა „ღვთი-

სას". ყველა კრიტიკოსთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ დავითის უთვალავ დანაშაულობათა შორის ეს დანაშაული ყველაზე ფერად გამოირჩევა, პირდაპირ ზიზღისმომგვრელია. მის გასამართლებლად ვერ მოვიტანთ ვერც ვნების ნასახს, ვერც რაიმე შეცდომის ნატამალს: ეს უბრალო მუხანათობაა — სრულიად უსაფუძვლოდ ჩამოახრჩო საკუთარი თავი უკანონო შვილი, რომელთაც არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ და არც შეეძლოთ ჰქონოდათ. მერე, რაკი მიტოვებული მელხოლა დაიბრუნა, საზიზღარი სისასტიკეა სხვა ქმართან გაჩენილი შვილების გადაცემა საწამებლად გაბაონელთა ხელში.

ამ დანაშაულის საძაგლობას ემატება სისულელე: დავითი შვიდი უდანაშაულო ქვეშევრდომის თავს აძლევს ჩამოსახრჩობად პაწაწინა ხალხს, რომლის შიშიც სრულებით არ უნდა ჰქონოდა დავითს —ძლევამოსილ მეფეს, ყველა მტრის მძლეველს. ასეთი „შიში" სილაჩრე და სიჩლუნგეა.

ამ საქციელში, როგორც ამბობენ კრიტიკოსები (ლორდი ბოლინგბროკი, გიუე, ფრერე ვოლტერი), არის არა მარტო ბარბაროსობა, რაც ყოველ ველურსაც კი აღაშფოთებდა, არამედ სიმდაბლეც, რისი ჩადენაც მხოლოდ უკანასკნელ ნაძირალას თუ შეუძლია. მაგრამ თავის საძაგლობასა და სისასტიკეს დავითი უმატებს კიდევ ფიცის გატეხვას, რადგან საულს შეჰფიცა, არასოდეს არ აღვმართავ ხელს შენი მემკვიდრეების წინააღმდეგ შურისძიების მიზნითო *(1 მეფეთა, 24, 22—23)*. ამ საზიზღარ მუხანათობას ღვთისმეტყველნი იმით „ამართლებენ", რომ დავითს რიცფასა და მელხოლას შვილები თავისი ხელით არ მოუკლავს, გაბაონელებს გადასცაო. მაგრამ ეს გამართლებაც ისეთივე მუხანათობაა, როგორიც თვითონ დავითის უკაცური და უსინდისო საქციელი, და კიდევ უფრო აძლიერებს სისასტიკეს — ბიბლიის დამცველ ღვთისმეტყველთა საზიზღარ პირფერობას, რაც დანაშაულს აკანონებს. საითაც არ უნდა მიიხედოთ, „უფლის ცხებული წმინდა მეფის" ისტორიაში ვერაფერს ვერ ნახავთ, დანაშაულობათა, ფიცის გატეხვისა და საზიზღარი მრუშობის გროვის გარდა. და ესაა წმინდა მეფე, ქრისტეს წინაპარი!

2 თავი შეიცავს დავითის ერთ-ერთ გალობას. აქ ვპოულობთ მეფის მეგობართა კეთილშობილ სახეებს: „და ბანეია, ძე იოდაბისა, კაცი ესე მრავალთა საქმეთა შინა, კაბეელისაგან, ამანცა მოკლნა ორნი ძენი არიელი მოაბელისა, და იგი შთამოვიდა, და მოკლა ლომი ჯურღმულსა თანა დღესა თოვლისასა, და მანვე მოკლა კაცი მეგვიპტელი, კაცი საჩინო, ხოლო ხელსა შინა მეგვიპტელისასა იყო შუბი, ვითარცა ძელი ხომალდის კიბისა და შთავიდა მისა მიმართ კვერთხითა და წარსტაცა შუბი ხელისაგან მეგვიპტელისა და მოკლა იგი შუბითა მისითა. ესე ყო ვანეა, ძემან

ოადისმან, და მისი სახელი იყო სამთა შორის ძლიერთა“ (2 მეფეთა, 23, 19—22).

ძალიან საწყენია, რომ ავტორს დაავიწყდა ეთქვა, თან დაერთო ეს შეუდარებელი თავგადასავალი, ბანეიამ რომ თოვლში ლომი მოკლა. თოვლი ისე იშვიათად მოდის იმ ქვეყნებში, სადაც ლომები ცხოვრობენ, რომ ჩვენი გულადი ბოყმე ძალიან კარგად მოქცეულა, დრო რომ ესარგებლა კარგავს და იმ წუთში გაუგუდავს ლომი, თორემ ძალიან საშიში იყო, რომ თოვლი სწრაფად გადნებოდა... კრიტიკის სხივებზე!

დავითს გონიერული აზრი მოუვიდა თავში: ქვეშევრდომთა რაოდენობის გაგება მოისურვა და მოსახლეობის აღწერა ბრძანა. ისრაელთა და იუდეველთა სრული აღწერა იმდენად ხანგრძლივი და მოსაწყენი იყო, რომ ცხრა თვე და ოცი დღე დასჭირდა. ბიბლიაში ამ ადგილების წაკითხვა ნაცადი საშუალებაა ძილის მოსაგვრელად.

„და მისცა იოაბ რიცხვი აღრიცხულთა ერთა მეფესა, და იყო ისრაელი რიცხვი რვა ასი ათასი, ძლიერნი მპყრობელნი საჭურველთანი, და კაცნი იუდიანთანი ხუთასი ათასი კაცი მბრძოლნი“ (მუხლ. 24, 9). მაგრამ როგორც კი აღწერა დაასრულეს, დავითი მიხვდა, რომ დიდი ცოდვა ჩაიდინა. ბიბლია არ გვიხსნის, რატომ უნდა გამოეწვია მოსახლეობის აღწერით მეფეს ღვთის რისხვა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მოხუცი სამინლად გაწყრა.

„და აღდგა დავით განთიად და სიტყვა უფლისა იქმნა გაადის მიართ წინასწარმეტყველისა წინა მხედველისა და ეტყოდა: წარვედ და ეტყოდი დავითს, მეტყველი: ესრეთ იტყვის უფალი: მოვავლინო მე სამი შენ ზედა და გამოირჩიე თავისა შენისათვის ერთი მათგანი და გიყო შენ. და შევიდა გაად მეფისა მიმართ და მიუთხრა და ეტყოდა მას: გამოირჩიე თავისა შენისათვის ყოფად, რაი გნებავს: ანუ მოვიდეს შენდა სამ წელ სიყმილი ქვეყანასა შენსა ზედა, ანუ გაქვნდეს სამ თვე ლტოლვა წინაშე მტერთა შენთა და იყვნენ მდევრად შენდა, ანუ სამ დღე ყოფად სიკვდილი ქვეყანასა შინა შენსა. ან უკვე გულის ხმა ყავ და იხილე, რაი მივუგო მომავლინებელსა ჩემსა“ (2 მეფეთა, 24, 11—13)*.

აქ რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნაა საჭირო. ჯერ ერთი, ტექსტი გარკვევით ლაპარაკობს: „და შესძინა უფალმან გულის წყრომა განრისხება ისრაელსა ზედა და აღსძრა დავით მათ ზედა და იტყოდა: წარვედ და აღრაცხენ ისრაელნი და იუდა“. ამრიგად, ეს დავითის აზრი კი არ იყო სინამდვილეში, მოსახლეობის აღწერა განრისხებულმა ღმერთმა ბრძანა. შემდეგ კი, როცა მისი ნება ასრულდა, ღმერთი უარესად გან-

---

* დავითმა თვითონვე იგრძნო და შეახსენა თავისი შეცოდება ღმერთს, რომელიც, ეტყობა, ჩინეთის იმპერატორივით ერიდებოდა აღწერას, და სთხოვა: შეცდი, „განცოფენ ფრიად“ და ღმსჯელო.

რასაც მხოლოდ სარგებლობა შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმავე ღმერთისათვის: მეფეს ეცოდინებოდა, რამდენი მცველი ჰყავს იეღოვას!

ამ ჭირითა და წყლულებით თავდება მეფეთა მეორე წიგნი.

მეფეთა მესამე წიგნი იწყება დავითის უკანასკნელი [illegible] აღწერითა და ბაბილონის ტყვეობით, რითაც იწყება [illegible] მონობა. თალმუდისტების გადმოცემა ამ წიგნს წინასწარმეტყველ იერემიას მიაწერს. ამ აზრმა, რასაც მხარს უჭერდა რაბინებისა და ქრისტიანთა უმრავლესობა ძველ ღვთისმეტყველთა სახით, გვიანდელ დროსაც იპოვა დამცველები. სხვა ღვთისმეტყველნი კი ამ წიგნს მიაწერენ იერემიას მოწაფეს ბარუხს. მაგრამ წიგნის მთავარ ავტორად, როგორც ქრისტიანთა, ისე ებრაელთა შორისაც, ცხადია, ღმერთი ითვლება. სწორედ ამ თვალსაზრისზე დავდგეთ ჩვენც. ჩვენც შევეცდებით ამ წიგნშიაც სათითაოდ გავტეხოთ ან გავხსნათ ეს ღვთაებრივი კაკლები და შევაგროვოთ ის ნოყიერი გული, რაც ნაჭუჭიდან გამოვარდება საღი აზრის დარტყმით.

„და მეფე დავით იყო მოხუცებული გარდასრულ დღეთა მისთა, და შემოსიან იგი სამოსლითა მრავლითა, რამეთუ ვერღარა ტფებოდა.

და ჰრქვეს ყრმათა მისთა: მოვუპოოთ უფალსა ჩვენსა მეფესა დავითს ქალი ჭაბუკი და წინაშე მეფისა დგეს და იყოს ესე განმატფობელი მისა და დაწვეს მისთანა და განატფობდეს უფალსა ჩვენსა მეფესა.

და მოიძიეს ქალი კეთილი ყოველთაგან საზღვართა ისრაელისათა და პოვეს აბესა სომანიტელი და მოიყვანეს იგი მეფისა მიმართ.

და იყო ქალი იგი კეთილ ხილვითა ფრიად, და იქმნა განმატფობელ მეფისა და მსახურებდა მას, ხოლო მეფემან არა სცნა იგი (ე. ი. ვეღარ იცხოვრა, არ გაკარებია მას)“ (*3 მეფეთა, 1, 1—4*).

ეს ბუმბულივით მსუბუქი ქალწული, რომლის ძებნაც მთელს ისრაელში მოუხდათ, ჭეშმარიტად ისეთი ნაპოვნია, რაც პატივსა სდებს „მტრედ-იხვის“ გამომგონებლობას. ბენედიქტინელმა კალმეტმა, რომელსაც ბრმად სწამდა ბიბლიის ყველა მისტიფიკაცია, თავისი ბასრი კალმით აღნიშნა, რომ ლამაზი ახალგაზრდა ქალწული უსათუოდ შესაფერისი საშუალებაა იმისათვის, რომ აღაფრთოვანოს სამოცდაათი წლის მამაკაცი (ამ ხნისა იყო მაშინ დავითი). წმინდა ავტორთა თხრობის დასტურად სწავლული ბერი ამბობს, ერთმა ებრაელმა ექიმმა ფრიდრიხ ბარბაროსას ურჩია, ლამაზ ბიჭებთან დაწექი და მკერდზე მიიკარიო. მაგრამ ყმაწვილს მთელი ღამე მკერდზე ვერ დააყენებ. ამიტომ, დასძენს კალმეტი, იმავე მიზნით წარმატებით იყენებდნენო პატარა ფინიებს.

ბიბლიურ მტკიცებას, რომ ვითომ დავითი მშვენიერი სუნამიტელი ქალიშვილის გვერდით მხოლოდ თბებოდა, მეტი არაფერი გაუკეთებიაო,

თვითონ სოლომონი არ იზიარებს: ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ მეფემ გრძანა მოეკლათ მისი უფროსი ძმა ადონია, ვისი დანაშაულიც ის იყო, რომ აბესას (აბისაგას) ხელი ითხოვა: სოლომონმა ამაში ნახა სურვილი, რომ შეერთო მამამისის ქვრივი თუ ხასა.

ადონია იყო აღიფის შვილი. ეს აღიფი თუ ადრეული დიდება შეირთო ბერსაბეს — სოლომონის დედის მოყვანამდე, ადრევე. მას შემდეგ, რაც აბესალომი, გრძელთმიანი უფლისწული მოკლეს, ადონიას ტახტის მემკვიდრედ თავისი თავი მიაჩნდა, როგორც უფროს შვილს. მართალიც იყო, მაგრამ სასახლის ინტრიგების წყალობით ტახტზე სოლომონი ავიდა. მამის გარდაცვალებას არც კი დაუცადეს, ისე გამართეს დავა სამეფო ტახტისათვის.

„და ადონია, ძემან აღღიფინისმან აღიმაღლა და იტყოდა: მე მეგულების (მეკუთვნის) მეფობად, და ქმნნა თავისა თვისისათვის ეტლნი და ცხენოსანნი და ორმეოც და ათი კაცი, რომელნი ვიდოდეს წინაშე მისსა.

და არა დააყენა იგი მამამან მისმან არა ოდეს მეტყველმან: რაიდ ესე ჰქმენ? და იყო ხილვითა შვენიერ ფრიად და იგი შვა უკანასკნელ აბესალომისა (აბესალომის მომდევნო შვილი იყო).

და იყო ზრახვა მისი იოაბისათანა, ძისა სარუინისა. და აბიათარ მღდელისათანა, და შეეწეოდეს ადონის.

ხოლო სადუკ მღდელი და ბანეი, ძე იოადისა, და ნათან წინასწარმეტყველი და სემეი და რისი, და ძენი ძლიერთა დავითისნი არა იყვნენ ადონისთანა.

და შესწირა ადონი ცხოვარნი და ზვარაკნი და კრავნი, ლოდსათა ზოლეთისთანა, რომელი იყო ახლოს წყაროსა როგილისა, და მოუწოდა ყოველთა ძმათა თვისთა, ძეთა მეფისათა და ყოველთა კაცთა იუდასთა, ყრმათა მეფისათა.

ხოლო ნათან წინასწარმეტყველსა და ბანეას და ძლიერთა, და სოლომონს, ძმასა თვისსა არა მოუწოდა,

და ჰრქვა ნათან ბერსაბეს, დედასა სოლომონისსა და ეტყოდა: არა გასმიესა, რამეთუ გამეფდა, ძე აგითასილ*, და უფალმან ჩვენმან დავით არა უწყის.

და აწ მოველ და განგიცხადო შენ ზრახვა, და იხსნა სული შენი და სული ძისა შენისა სოლომონისა.

მივედ და შეევედ (შედი) მეფისა მიმართ დავითისა და არქვი მას

---

* ქართულ ბიბლიურ საკუთარ სახელთა დაწერილობაში, სამწუხაროდ, ერთიანობა ხშირ შემთხვევაში არაა დაცული. აქაც ასეა: 5 მუხლში წერია აღღიფინი, 12 მუხლში „აგითასილ". უფრო სწორია „ჰაგითი".

მეტყველმან: არა შენ, უფალო ჩემო მეფეო, მეფუცა მხეცადსა შენსა და მეტყოდი, ვითარმედ სოლომონ, ძე შენი მეფობდეს შემდგომად ჩემსა და იგი დაჯდეს საყდარსა ჩემსა ზედა? და რაი არს, რამეთუ გამეფდა ადონა?

და ვიდრე იტყოდე შენ მუნ მეფისათანა, მეც შემოვალ მე შემდგომად შენსა და დავამტკიცო სიტყვა შენი“ *(3 მეფეთა, 1, 5—14)*.

თუ გავიხსენებთ, რომ ადონას არ გამოუცხადებია თავი მეფედ, მხოლოდ აპირებდა გამეფებას და ჰყავდა მომხრეები, როგორც სოლომონსაც, შეიძლება ითქვას, რომ წინასწარმეტყველი ნათანი უსინდისო მატყუარაა და ნამდვილი ინტრიგანი: ბერსაბეს უკავშირდება, მოკლულ ურიას უსირცხვილო ქვრივს, რაღაც ეშმაკურ-მზაკვრულ ბადესა ქსოვს იმ მიზნით, რომ კანონიერ მემკვიდრეს ტახტი ხელიდან გამოაცალოს, ამასთან არ ერიდება ცილისწამებას. ასეთია ეს წმინდა კაცი, მიზნისათვის ბრძოლაში არაფერს არ ერიდება!

ტახტის მემკვიდრეობის საკითხი, ეტყობა, ჯერ კიდევ არ იყო ებრაელთა შორის მტკიცედ დადგენილი. მაგრამ სრულიად უდავოა, რომ ადონა, როგორც უფროსი შვილი, მამის შემდეგ პირველი უნდა ასულიყო ტახტზე, მით უმეტეს რომ ის კანონიერი ცოლისაგან იყო შობილი და არა ხარჭის ან სხვისი ცოლისაგან, როგორც სოლომონი. მისი უფლება აღიარა სახელმწიფოს ორმა პირველმა კაცმა: მთავარსარდალმა და ქურუმთუხუცესმა. ამრიგად, თუ კანონის დარღვევასა და სოლომონის გამეფებას ფიქრობდა დავითი, მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი ლამაზი ცოლის, პირველი ქმრის მოღალატე ბერსაბეს გული მოეგო.

დავითმა ბერსაბეს და ნათანის ცილისმწამებლურ დასმენას ყური ათხოვა, ხალას სიმართლედ მიიღო ინტრიგა.

„და ჰრქვა დავით მეფემან: მომიწოდეთ თქვენ სადუკ მღდელსა და ნათან წინასწარმეტყველსა და ბანეია, ძესა იოადისსა, და შევიდეს იგინი წინაშე მეფისა.

და ჰრქვა მათ მეფემან: წარიყვანეთ თქვენთანა მონანი უფლისა თქვენისანიდა აღსვით ძე ჩემი სოლომონ ჯორსა ზედა ჩემსა და შეიყვანეთ იგი გეონსა შინა.

და მუნ სცხეთ მას სადუკ მღდელმან და წინასწარმეტყველმან ნათან მეფედ ისრაელსა ზედა, და დაჰბერეთ რქითა და თქვით: ცხონდინ, მეფე სოლომონ!

და განვედით უკანით მისსა და შევიდეს და დაჯდეს საყდარსა ზედა ჩემსა და იგი მეფობდეს ჩემ წილ და მე ვამცნო, რათა იყოს მფლობელად ისრაელსა და იუდასა ზედა“ *(3 მეფეთა, 1, 32—35)*.

მას შემდეგ, რაც ტახტი უკანონოდ და თვითნებურად დაუსაკუთრა ხარჭის შვილს, მალე დადგა დავითის აღსასრულის წამიც. აი, რას ეუბ-

ნება სიკვდილის წინ ბერსაბეს შვილს, რომელიც სიცოცხლეშივე საზეიმოდ აკურთხა:

„და ესე შენ უწყოდი, რაოდენი მიყო მე იოაბ, ძმამან სარუჱისმან, რაოდენი უყო ორთავე უხუცესთა ძალთა ისრაელისათა, ავენირს ძესა ნირისსა და აბესიას, ძესა იეფერისსა, და მოკლნა იგინი და დაღვარა სისხლი ბრძოლასა მშვიდობასა შინა და მიისხა სისხლი ბრძოლისა სარტყელსა ზედა თვისსა და მოგვსა (ფეხსაცმელსა) ზედა მისსა ფერხსა მისსა. და ჰყო სიბრძნისაებრ შენისა და არა შთაიყვანოს სიბერე მისი მშვიდობითი ჯოჯოხეთსა შინა“, ე. ი. ჩემი სარდლის ჭაღარა მშვიდობით არ ჩაუშვა საიქიოშიო *(3 მეფეთა, 2, 5—6)**.

„და აჰა შენ თანა სემეი, ძე გირასი, ძისა იემენენისნი, და იგი მწყევდა მე წყევითა მწარითა, დღესა შინა, რომელსაცა ვიდოდი ბანაკსა შინა, და იგი შთამოვიდა შემთხვევად ჩემდა იორდანესა ზედა. და ვეფუცე მას უფლისა მიერ და ვეტყოდი: არა მოგკლა შენ მახვილითა!

და რათა არა მოკლა იგი, რამეთუ კაცი ბრძენი ხარ შენ და სცან, რაი უყო მას, და შთაიყვანო სიბერე მის სისხლითა ჯოჯოხეთსა შინა!

და მიიძინა დავით მამათა თანა თვისთა და დამარხეს ქალაქსა შინა დავითისასა.

და იყვნეს, დღენი, რომელსა შინა მეფობდა დავით ისრაელსა ზედა ორმეოცი წელი: ქებრონს მეფობდა შვიდ წელ და იერუსალიმსა შინა ოცდა ათცამეტ წელ“ *(3 მეფეთა, 2, 8—11)*.

დავითი მოკვდა ისე, როგორც ცხოვრობდა. ბოლიათის მოკვლის შემდეგ მას სიკეთე თითქმის არა ჩაუდენია რა. ამ ღვთის რჩეულმა აღმაშფოთებელი უმადურობა გამოიჩინა, სიკვდილის წინ რომ სიკეთის ნაცვლად ისევ სისხლი და სიკვდილი იქადაგა, უწინარეს ყოვლისა კი ასე გადაუხადა სიკეთის სამაგიერო თავის ერთგულ სარდალს იოაბს, რომელსაც გვირგვინს უმადლოდა. სიკვდილის სარეცელზე საზიზღარი ცინიზმით დაარღვია ფიცი, და თავხედობა შეაზავა ფარისევლობასთან, როცა მემკვიდრეს სიმეისთან ანგარიშის გასწორება დააბარა, აღიარებს, რომ შეწყალება შეჰფიცა თავისი სამეფო ავტორიტეტის ასამაღლებლად, და ამიტომაც არ შეეხო მის სიცოცხლეს, მაგრამ ბრძენმა სოლომონმა უნდა გამონახოს ღონისძიება მასთან გასწორებისა.

მოკლედ რომ ვთქვათ, სამარის კარამდე მუხანათ ავაზაკად დარჩა.

ეკლესია კი, რასაკვირველია, იმავე კალმეტ-ბერის პირით ყოველნაირად ამართლებს დავითს. ეს ისეთი გამოთქმებით ხდება, რომ ზედმეტი არ იქნება, აქვე დავიმოწმოთ:

„დავითმა ისარგებლა იოაბის განუზომელი სამსახურით, და დაუს-

---

* დედანშია სამარე, საიქიო (ჯოჯოხეთი გვიანდელი ცნებაა, ებრაელებს ჰქონდათ „შეოლი“ და „გე-ენნა“).

ჯელობა, რითაც ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში ააჩუქრებდა, იყო საჩუქარი მისი ურყევი ერთგულებისათვის .მაგრამ ეს მოსაზრება არ ათავისუფლებდა დავითს დანაშაულისათვის დასჯისა და მართლმსაჯულების ასრულების მოვალეობისაგან იოაბის წინაშე".

ცნობილია: იოაბმა დიდი დანაშაული ჩაიდინა — ებრაელთა ჯარის, როცა მეფე დავითის ბრძანებას ასრულებდა და ურია მიატოვა იქ, სადაც მას აუცილებელი სიკვდილი ელოდა. ეკლესია კი ამართლებს დავითს და არ ამართლებს იოაბს.

„მეორე მხრივ, — დასძენს ბენედიქტინელი ბერი, — მადლიერების განცდა და საბაბი სოლომონს აღარ ჰქონდა, — ამ მეფეს ჰქონდა თავისი პირადი და კერძო მოტივები იმისათვის, რომ იოაბი მოეკვდინა, რამდენადაც ეს კაცი ადონას მომხრეების ბანაკში იმყოფებოდა".

საქმე იმით თავდება, რომ დავითი წმინდანია, სოლომონი კი — ბრძენი. ყველაფერი უფლის ნებაა! აღტაცების ღირსია ის ამბავი, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ ინება იესო ქრისტე უსათუოდ დავითისა და სოლომონის შთამომავლად გამოეყვანა! ჩვენ უკვე შევხვდით ბევრ საჩოთირო ამბავსა და ბევრ უცნაურ ტიპს, რომელიც მესიის წინაპრად ითვლება. მაგრამ ეს ორი ქებული და ცხებული მეფე—დავითი და მისი უკანონო შვილი სოლომონი — ყველა აქამდე ცნობილ მბრძანებელზე უფრო უზნეო, ბოროტი და ავი ხომ არაა?*

რაიმე შემამსუბუქებელი გარემოებანი მაინც რომ ეპოვა ეკლესიას, ვინ რას იტყოდა! მსგავსიც არაფერი! დავითის ყველა დანაშაულს გუნდრუკს უკმევს, სამაგალითო და საპატივცემო წინაპარი გამოჰყავს ისრაელთა მეფისაგან, რომელიც ადამიანებს ფქვავდა! ისაა მეფის ნიმუშად აღიარებული და ამდენად განსაკუთრებით ეთაყვანებიან ღვთისმეტყველნი. დავითი — წმინდანია წმინდანთა დასში! „ფსალმუნნი დავითისნი" წმინდა საგალობელთა კრებულია, რასაც ღვთისმსახურების დროს გალობენ ყველა ქრისტიანულ რიტუალზე. მეტიც. ეკლესიამ თავის მრავალრიცხოვან თავყრილობებზე, საეკლესიო კრებებზე გამოაცხადა, რომ დავითი ხორცშესხმული განსახიერებაა იესო ქრისტესი, მისი ადამიანური ხატება, ე. ი. ლამის ზუსტი ორეული ძე-ღმერთისა, წმინდა სამების მეორე წევრისა[57].

---

* საგულისხმოა, რომ ბიბლიის თითქმის არც ერთი, თუნდაც იდეალური პერსონაჟი, რომელსაც ხელში ხალხთა თუ ხალხის ბედი სჭერია, არ არის ბოლომდე კეთილი, წმინდა, უმწიკვლო და უბოროტო. მათ შორის პირველი „მირონცხებულნი — დავითი და სოლომონი ჯოჯოხეთურ დანაშაულობათა ტეირთს ეზიდებიან. მათი შთამომავალი ქრისტე, ცხადია, სათნოების განსახიერებაა და სულაც არა ჰგავს ბიბლიურ მემრუშე ტირანებს. სამაგიეროდ მისი „მემკვიდრეები" — რომის პაპები და მათი მსახურნი თვითონ ბიბლიურ ჯოჯოხეთსა ჩრდილავენ.

ერისწყლის
ბიბლიოთეკა

მისი უდიდებულესობის სოლომონის ღვთისგანბრძნობილი მეფობა

ა სოლომონ დაჯდა საყდარსა დავითი მამისა თვისისა, ათორმეტისა წლისა, და წარმართა მეფობა მისი ფრიად“ *(3 მეფეთა, 2, 12)*.

ვინც ბიბლიის ხასიათი იცის, ახსნაც არ დაგჭირდება, ისე მიხვდება, რომ სოლომონის პირველი ღონისძიება იქნებოდა სისხლის ღვრით მოეცილებინა თავიდან ის ორი გავლენიანი პირი, რომელთაც სურდათ ტახტზე ეხილათ არა ქმრის მოღალატე ბერსაბეს, არამედ კანონიერ აგითის შვილი ადონია (ადონა). ადონა მეფობაზე აღარ ოცნებობდა. ერთადერთი, რაც მას განსვენებული მამის სამემკვიდროდან უნდოდა მიეღო, ეს იყო უბირი ქალწული ქალი, რომელიც მის ცოდვილ მამას ბებრულ სარეცელში ძვლებს უთბობდა. მომხიბლავი აბისაგი შეუყვარდა. ტახტი დაკარგა, გვირგვინი დაკარგა, ხარჯი გასწია, და ახლა ერთადერთი საზღაურის სახით ითხოვდა მამის მოახლე ჭალიშვილს, რომელიც უძლურ მოხუცს ძვლებს უთბობდა და საჭმელს უმზადებდა, მეტი არაფერი არ უნდოდა. ეს სიყვარული, რაც თავისთავად არაფერი არ ღირდა და არაფერი დიდი ბედენა არ იყო, სწორედ იმის საბაბად იქცა, რომ სოლომონ ბრძენს თავისი „ღვთივ-ბრძნული“ განაჩენი გამოეტანა და ტახტზე ასვლა სისხლის დაღვრით აღენიშნა. მაშინვე განკარგულება გასცა ადონიას მოკვლის შესახებ, თუმცა საცოდავი უფროსი ძმა ყოველნაირ მორჩილებას ამჟღავნებდა და არც კი საყვედურობდა ძმას, ტახტი რატომ წამართვიო! ადონია ერთობ გულუბრყვილო ვინმე ყოფილა, რომ თავის მესაიდუმლედ და შუამავლად ისევ ის მუხთალი ბერსაბე აირჩია, სოლომონის დედა.

„და შევიდა ადონაი, ძე აღითინისა, ბერსაბეს მიმართ, დედისა სოლომონისა და თაყვანისცა მას, ხოლო მან ჰრქვა: სიტყვა არს ჩემი შენდა! და ჰრქვა მას: იტყოდი!

და ჰრქვა მას: შენ უწყი, რამეთუ იყო ჩემი მეფობაი და ჩემდამო დაედვა პირი თვისი ყოველსა ისრაელსა, რათა ვმეფობდე და მიიქცა მეფობაი. და იქმნა ძმისა ჩემისა, რამეთუ უფლისაგან იქმნა მისდა.

და აწ სათხოველსა ერთსა ვითხოვ მე შენგან, და ნუ გარე მიაქცევ პირსა შენსა. და ჰრქვა მას ბერსაბე: იტყოდი!

და ჰრქვა მას: სთქვი სოლომონის მიმართ მეფისა, რამეთუ არა მიიქციოს პირი თვისი შენგან და რათამცა მომცეს მე აბისაგ სომანიტელი ცოლად.

და ჰრქვა მას ბერსაბე: კეთილ, მე ვეტყოდი მეფესა მისა მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიდა ბერსაბე წინაშე მეფისა სოლომონისა თქმად მისდა ადონასთვის, და აღდგა მეფე მიგებებად მისა და თაყვანისცა მას და დაჯდა საყდარსა ზედა თვისსა და დაუდგეს საყდარი მეორე დედასა მეფისასა და დაჯდა მარჯვენით ძისა თვისისა.

და ჰრქვა მას: სათხოველსა ერთსა მცირესა ვითხოვ მე შენგან. ნუ მიიქცევ პირსა ჩემგან. და ჰრქვა მეფემან: ითხოვე, დედაო ჩემო, რამეთუ არა გარე მივიქცე შენგან.

და ჰრქვა: მიეც აბესაგ სომანიტელი ადონას, ძმასა შენსა, ცოლად.

და მიუგო მეფემან სოლომონ და ჰრქვა დედასა თვისსა: რად ითხოვ შენ აბესაგს სომანიტელსა ცოლად ადონისა? არამედ უთხოვე მას მეფობაცა, რამეთუ იგი ძმაი ჩემი ჩემი უხუცეს არს ჩემ ზედა. და მისსა არს აბიათარ მღდელი, და მისა არს იოაბ, ძე სარუინისა, მთავარი მეგობარი მისი.

და ფუცა მეფემან სოლომონ წინაშე უფლისა და იტყოდა: ესე მიყავნ მე ღმერთმან, და ესე შემძინენ მე, რამეთუ სულისა ზედა თვისსა იტყოდა ადონა სიტყვასა ამას! (ვფიცავ, თავის შავბედად უთქვამს ეს ადონასო).

და აწ ცხოველ არს უფალი, რომელმან განმიმზადა მე და დამსვა მე საყდარსა ზედა მამისა ჩემისა დავითისასა, და ამან მიქმნა მე სახლი ჩემი, ვითარცა მეტყოდა მე უფალი, რამეთუ დღეს მოკვდა ადონა (დღეს მოკვდება ადონია!).

და წარავლინა მეფემან სოლომონ ხელითა ბანეასითა, ძისა იოდაბისათა, და მოკლა იგი, და მოკვდა ადონა მას დღესა შინა" *(3 მეფეთა, 2, 13—25).*

უდანაშაულო ძმას რომ ასე ჯალათივით გაუსწორდა, ბრძენმა სოლომონმა თავისი სისხლიანი ბატონობა დაიწყო. დედის თხოვნას პირი ხომ აარიდა (ამითაც გატეხა სიტყვა), ძმა გასწირა და სხვას ვიღას დაინდობდა! დადგა აბიათარის ჯერი. მაგრამ ეს უკანასკნელი სიკვდილს გადარჩა. სოლომონმა საუცხოოდ იცოდა ხალხის განწყობილების ამბავი და მღვდელზე ხელი არ აღმართა. გაუჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ ეს მკვლელობა ღმერთმა ჩაიგონა.

„და აბიათარ მღდელს ჰრქვა მეფემან: ისწრაფე შენ ანათოთოს, აგარაკსა შენსა, რამეთუ კაცი ხარ შენ სასიკვდინე დღეინდელსა შინა დღესა, არამედ არა მოგკლა შენ, რამეთუ მოიღე კიდობანი აღთქმისა უფლისა წინაშე მამისა ჩემისა დავითისა და რამეთუ იჭირვებდი ყოველთა

შინა, რომელთა მიერ იჭირვებდა მამა ჩემი! და განდევნა სოლომონ აბიათარ, რათა არა იყოს იგი მღდელად უფლისა, ვითარცა იქმნა სიტყვა უფლისა, რომელ ეტყოდა სახლსა ზედა ელისსა სილომს შინა" (მეფ. 26—27).

აბიათარს ღმერთმა უშველა, სამაგიეროდ იოაბის საშველი არსად არ იყო.

„და მიესმა ესე იოაბის, ძესა სარუინისა, რამეთუ იოაბ შეუდგა (მხარი დაუჭირა) ადონასა და უკანით სოლომონისა არა შეუდგა, და შეიძლტოდა იოაბ კარავსა შინა უფლისასა, დაიპყრა რჭა საკურთხეველისა უფლისა.

და მიეთხრეს სოლომონს და ეტყოდეს, ვითარმედ შეიძლტო იოაბ კარავსა უფლისასა და აჰა, უპყრიეს რჭა საკურთხეველისა. და წარავლინა მეფემან სოლომონ იოაბის მიმართ და ეტყოდა: რა იქმნა შენდა, რამეთუ ლტოლვილ ხარ საკურთხეველსა შინა? და ჰრქვა იოაბ: რამეთუ შემეშინა პირისაგან შენისა და მოვიძლტოდე უფლისა მიმართ. და წარავლინა სოლომონ ბანეა, ძე იოადისი, და ეტყოდა: წარვედ და მოკალ და დაჰფალ იგი!

და მივიდა ბანეა, ძე იოადისა იოაბის მიმართ კარავსა შინა უფლისასა და ჰრქვა მას: ამას გეტყვის შენ მეფე: გამოვედ. და ჰრქვა იოაბ: არა გამოვიდე, არამედ აქა მოვკვდე. და მიიქცა ბანეა, ძე იოადისა და ჰრქვა მეფესა, და ეტყოდა: ესრეთ თქვა იოაბ, და ესრეთ მომიგო მე.

და ჰრქვა მას მეფემან: წარვედ და უქმენ მას, ვითარცა უთქვამს და მოკალ და დაფალ იგი, და აღოცე დღეს სისხლი, რომელი ცუდად დასთხია იოაბ ჩემგან და სახლისაგან მამისა ჩემისა!

და მიაქცია უფალმან სისხლი უსამართლო მისი თავსა ზედა მისსა, ვითარცა დაეცა ორთა კაცთა მართალთა და უსანატრელესთა უფროს მისსა, და მოკლნა იგინი მახვილითა, და მამამან ჩემმან არა სცნა სისხლი მათი, აბინერ, ძისა ნერისა, მხედართ მთავრისა ისრაელისა, და აბესია, ძისა იეთერისა, მხედართ მთავრისა იუდასა.

და მიიქცეს სისხლი მათი თავსა ზედა მისსა და თავსა ზედა თესლისა მისისა უკუნისამდე, ხოლო დავითს და თესლსა მისსა შვიდობაი იყავნ უკუნისამდე უფლისაგან!

და განვიდა ბანეა, ძე იოადისა, და დაეცა მას ზედა და მოკლა იგი და დამარხა იგი სახლსა შინა მისსა უდაბნოსა შინა" *(3 მეფეთა 2, 28—34)**.

ესღა აკლდა ბიბლიურ სათნოებას! საკურთხეველი შეისვარა იმ

---

* საკურთხეველის რჭას ტაბუს მნიშვნელობა ჰქონდა, იოაბისათვის ხელი არ უნდა ეხლოთ, მაგრამ ტირანთათვის კანონი არ იწერება.

მხედრის სისხლით, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში ამ საკურთხეველს იცავდა.

ვოლტერი ამაზე ამბობს, არა გვგონია რაიმე დანაშაული დაემატოს იმას, რაც უკვე მოხდა. სოლომონი თავის მეფობას მარხულობით იწყებს. მაგრამ რაც ამ საზარელ მკვლელობაში განსაკუთრებით გვაოცებს, ისაა, რომ ღმერთი, რომელმაც მის კიდობანში ჩახედვისათვის 50 070 კაცი ჭერეხივით დასცა, არაფერს არ ამბობს იმისათვის, რომ იგივე კიდობანი თხემის ადგილად აქციეს, ქათამივით წააჭრეს ყელი სარდალს, რომელმაც მის რჩეულ დავითს გვირგვინი დაუსაკუთრა!

მივყვეთ ამბავთა მსვლელობას:

„და დაადგინა მეფემან სოლომონ მანია, ძე იოადისი, ნაცვლად მისსა მხედრობათა ზედა. ხოლო მეფობაი წარემართებოდა იერუსალიმს შინა, და სადუკ მღვდელსა მისცა სოლომონ მეფემან მღდელთა შორის პირველობა აბიათარის წილ...

და სოლომონ, ძე დავითისი, სუფევდა ისრაელთა ზედა და იუდასა ზედა იერუსალემსა შინა და მისცა უფალმან გონება სოლომონს და სიბრძნე მრავალი ფრიად და სივრცე გულისა, ვითარცა ქვიშა ზღვისა კიდისა. და აღივსო მეცნიერებითა სოლომონ ფრიად, უფროს მეცნიერებისა ყოველთა ძეთა ძველთათა და უფროს ყოველთა ბრძენთა ეგვიპტისათა“ *(3 მეფეთა, 2, 35—36)**.

შემდეგ ვგებულობთ, რომ სოლომონი, რომელმაც მამის მოწინააღმდეგეების სისხლი „ბრძნულად“ დაღვარა, ეგვიპტის ფარაონს დაუმოყვრდა: „და შეირთო სოლომონ ასული ფარაოსი და შემოიყვანა იგი ქალაქსა შინა დავითისასა“ (მუხლ. 3, 1). ბიბლია არც აქ გვიმხელს ამ ფარაონის სახელს. ეს ნათლად მეტყველებს ამ ქორწინების ზღაპრულ ხასიათს.იმავე ხანებში, ცოტა მოგვიანებით, სოლომონმა დიდებული სასახლე აიშენა, დაიწყო ტაძრის შენება და ქალაქის გამაგრება. ტაძრის დას-

---

* აქ ქართულ ბიბლიაში გამოტოვებულია და მოჰდევნო 3 თავში გადატანილი (3—14) 11 მუხლი (36—46), მეორე თავის მთელი ბოლო. ასეთი შინაარსისა: მეფემ კაცი გაგზავნა, სემეი მოიწვია და უთხრა: აიშენე სახლი იერუსალიმში, იცხოვრე აქ და არსად არ წახვიდეო. სემეიმ უთხრა მეფეს: კარგი! როგორც მიბრძანა ჩემმა უფალმა, ისე მოვიქცევი მონა მისიო. და ცხოვრობდა სემეი იერუსალიმში დიდხანს. მაგრამ სამი წლის შემდეგ მოხდა ისე, რომ სემეის ორი მონა გაექცა ანქუსთან. მააქას ძესთან. გეთელთა მეფესთან. სემეის უთხრეს: შენი მონები გეთს არიანო. ადგა სემეი, შეკაზმა ჯორი და გეთს გაემგზავრა, ანქუსთან. თავისი მონების საძებნელად. მერე დაბრუნდა სემეი და თან თავისი მონები მოიყვანა. ეს სოლომონს უამბეს. სოლომონმა მაშინვე დაჰკითხა ეს კაცი. რომელიც დავითს ქვებს უშენდა: რატომ დაარღვიე აღთქმა და წახვედი იერუსალიმიდანო? სემეიმ აუხსნა. კეთილი საქმე გავაკეთე. ლტოლვილი მონები დავიბრუნეო. სოლომონმა გაუმეორა, რატომ დაარღვიე უფლის აღთქმაო. ერთგულ ბანეას უხმო და სემეი იქვე მოაკვლევინა. ასე გაძლიერდა მეფე სოლომონი.

რულების მოლოდინში მეფე სალოცავად გაბაონში დადიოდა, სადაც მთელს სამეფოში საუკეთესო ტაძარი ჰქონდათ. სწორედ იქ მიანიჭა ღმერთმა სიბრძნის უნარი. ეს საკმაოდ საინტერესო ეპიზოდია, რაც მოსდევს სოლომონის დღეკეთილობის აღწერასა და მის მიერ „ქრისტიანული და საკმევლის შეწირვის“ ამბავს გაბაონში.

„და გამოუჩნდა სოლომონს უფალი ძილსა შინა ღამისასა და ჰრქვა მას: მთხოვე, რაი გნებავს, თვისად?

და ჰრქვა სოლომონ: შენ ხარ მყოფელი მონისა შენისა თანა დავითი მამისა ჩემისა წყალობისა დიდისა, რამეთუ ვიდოდა წინაშე შენსა ჭეშმარიტებითა და სიმართლითა და სიწრფოებითა გულისათა შენთანა (?!). და დაუმარხე მას წყალობა დიდი ესე, რომელი მიეც ძესა მისსა დაჯდომად საყდარსა ზედა მისსა, ვითარცა ესე დღეს.

და აწ, უფალო ღმერთო ჩემო, შენ მიმეც მონა შენი დავითის წილ, მამისა ჩემისა, და მე ვარ ყრმა მცირე და არა ვუწყი გამოსლვა ჩემი და შესლვა.

ხოლო მონა შენი არს შორის ერისა შენისა, რომელი გამოირჩიე ერი მრავალი, რომელი არა აღირაცხების სიმრავლისაგან.

და მომეც მონასა შენსა გული გონიერი სმენად და სჯად ერისა შენისა სიმართლით, რათა ვსცნობდე შორის კეთილისა და ბოროტისა, რამეთუ ვინ შეუძლოს შჯად ერთა შენთა ფიცხელთა ამათ!

და სათნო იქმნა სიტყვა ესე წინაშე უფლისა, რამეთუ ითხოვა სოლომონ სიტყვა ესე.

და ჰრქვა უფალმან მისა მიმართ: ხოლო ვინათგან ითხოვენ სიტყვა ესე და არა ითხოვენ ჩემგან დღენი მრავალნი, და არა ითხოვენ სიმდიდრე, არცა ითხოვე სული მტერთა შენთა, არამედ ითხოვე თავისა შენისა მეცნიერება, რათა ისმენდე მსჯავრსა,

აჰა, ვყავ სიტყვისა ებრ შენისა, აჰა მიგეც შენ გული გონიერი და ბრძენი, ესრეთ, რომელ არს ყოფილ იყოს კაცი პირველ შენსა, და არცა აღდგეს შემდგომად შენსა მსგავსი შენი,

და ესენიცა, რომელნი არა ითხოვენ, მიგეც შენ, სიმდიდრეცა და დიდებაცა, რამეთუ არა იყოს კაცი, მსგავსი შენი მეფეთა შორის ყოველსა დღესა ცხოვრებისა შენისასა.

უკეთუმცა ხვიდოდე გზათა ჩემთა, დაიმარხო მცნებანი ჩემნი და ბრძანებანი ჩემნი, ვითარცა ვიდოდა დავით, მამა შენი, განვამრავლო დღენი შენნი.

და განიღვიძა სოლომონ და აჰა ჩვენება..." (3 მეფეთა, თ. 3, მუხ. 17—27)*.

ამრიგად, აქ საქმე სიზმართან გვაქვს. თუ უწინ ღმერთი არ უცდიდა პატრიარქებს — აბრაამს, ისააკსა და სხვებს, [illegible] ნენ, და ისე ეცხადებოდა, სოლომონთან ტაქტიკას იცვლის და [illegible] ვიდრე ჯერ ძილი, მერე სიზმარი მოევლინება. ასე იყოს! მაგრამ მაშინ ყველაფერი ეს როგორ გაიგო ქვეყანამ? მაშასადამე, სოლომონმა თქვა სიზმარი ვინმესთან? და ასე პირიდან პირზე გადაეცა, ვიდრე მივიდოდა წიგნის ავტორის ყურამდე, ბაბილონის ტყვეობის ხანაში რომ ცხოვრობდა? ეს საკმაოდ უცნაურია, ხომ მართალია?

ღვთისმეტყველნი იტყვიან, — ესაა მათი გამოსავალი! — რომ ძილში გამოცხადება არ ამცირებს ღვთის ხილვის მნიშვნელობას: ეკლესია ცნობს ღვთაებრივსა და ეშმაკეულ სიზმრებს. ადამიანის სიზმარი, მათი აზრით, ზებუნებრივი მოვლენაა და არა შემთხვევითი. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ეს ასეა. დავიჯეროთ, რომ ღმერთი ნამდვილად გამოეცხადა სოლომონს. მაგრამ სოლომონი ასე თუ ისე ძილის მდგომარეობაში იმყოფებოდა და შეზღუდული იყო, რომ დალაგებული სიტყვა-პასუხი დაეჭირა. თვითონ რომის პაპს რომ ეხილა თავისი თავი სიზმარში ღვთისმგმობელად, რომელიც სეფისკვერს აფურთხებს, არც ერთი მისი კარდინალი ამას ცოდვად არ ჩაუთვლიდა. სოლომონს რომ სიზმარში დღეგრძელობა და დიდება ეთხოვა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. უკეთესი იქნებოდა ღმერთს მარტო კითხვა მიეცა და მერე სოლომონისათვის დრო დაეტოვებინა, რომ შესაფერისი პასუხი გაეცა. ფხიზელი კაცის ასეთი არჩევანი, სიბრძნეს რომ ამჯობინებს ყველა სხვა სიკეთეს, მართლაც დამსახურება იქნებოდა. მაგრამ რაკი ეძინა, მისი პასუხი სათვალავში მისაღები არაა. ამის მიუხედავად ეს შეუდარებელი ღმერთი პირდაპირ აღტაცებული დარჩა.

ამრიგად, სიზმარში ნაშოვნი სიბრძნით სოლომონმა არ დააყოვნა თავისი ისრაელი ხალხის გაოცება მართლმსაჯულებითა და გონების სიმაღლით. არაჩვეულებრივი სიბრძნის დამამტკიცებლად ბიბლიის ავტორი მოგვითხრობს სოლომონის განაჩენის ამბავს ორი დედის დავაში. ამ ორმა დედაკაცმა ერთდროულად — სამი დღის შუალედით — შვა ერთ სახლში ორი ყმაწვილი. ერთი მათგანი მოკვდა, უდღეური გამოდგა, ერთი ჭალი მეორეს უჩივის: ღამით ძილში შენი შვილი უცაბედად გაგუდე, შემდეგ ფარულად მომტაცე ჩემი შვილი და მის ნაცვლად შენი ყრმის გვამი დამიტოვეო.

---

* მეფეთა მესამე წიგნის (გერმანული ბიბლიით — მეფეთა პირველი წიგნის) 2—3 თავებში გაერთიანებულია სიმეას მოთხრობა და სოლომონის სიზმრის ეპიზოდები (სხვა თარგმანებში სიზმარი მოთხრობილია 5—15 მუხლებში).

ამ დავის გადაწყვეტა მეფეს მიენდო. ქალი, რომელსაც ბრალად ედება გამოცვლა, ფიცულობს, ეს ცოცხალი ბავშვი, სასამართლოზე, რომ მოგიყვანიათ, ჩემი შვილიაო. მეორეც არანაკლებ გაცხარებული ფიცულობს, ბავშვი ჩემი შვილიაო და მოითხოვს, მომეცითო.

მაშინ სოლომონმა ბრძანა, მოიტანეთ მახვილი, გაჭერით ბავშვი შუაზე და ორივეს თავისი წილი მიეცითო.

აქ ერთი ქალის შემზარავი კივილი გაისმა: დარჩეს მას, ვინც მომპარა, ოღონდ არ მოკლათო! ბავშვის ქურდმა კი ასეთი უაზრო და უგუნური პასუხით გასცა თავისი თავი:

— არც მე, არც შენ! გაჭერით ბავშვი!

მაგრამ სოლომონის მსჯავრი მხოლოდ გამოცდა იყო. ბავშვი ნამდვილ დედას დაუბრუნეს (*თავ. 3, მუხლ. 16—28*).

მეფის სათნოებისა და სიბრძნის დასამტკიცებლად ასეთ ანეგდოტებს პირშავ ტირანებსაც კი მიაწერენ, ეს არაფერს ნიშნავს.

მორწმუნეები კი სიამის ცრემლმორეულნი ლოცულობენ, ამბიონიდან რომ ამ ანეგდოტს უყვებიან. სოლომონს შეეძლო ასეთი საშინელი გამოცდა სულაც არ ჩაეტარებინა. ყოველი ბებიაქალი ეტყოდა, რომელია ახალშობილი და რომელი — ოთხი დღისა.

მაგრამ ნუ ჩავაცივდებით და ვირწმუნოთ სოლომონის სიბრძნე. ვთქვათ მხოლოდ ის, რომ მსჯავსი ანეგდოტები საერთოდ აურაცხელია. ყოველ ხალხსა ჰყავდა მოსამართლეები, რომლებიც გამჭრიახობასა და უბრალოებას სამაგალითოდ აზავებდნენ. ჩვენ ორი მაგალითით დავკმაყოფილდებით. მოსამართლეებს, რომელთა ამბავსაც აქ გავიხსენებთ, უზენაესისაგან არ მიუღიათ საჩუქრად სიბრძნე.

ვიღაც კაცი სამრეკლოს სახურავზე აცოცდა, რომ იქ რაღაც გაესწორებინა. მისდა შავბედად გადმოვარდა, მაგრამ მისდა ბედად არ დაშავებულა. სამაგიეროდ მისი დავარდნა საბედისწერო გახდა იმ კაცისათვის, რომელსაც თავზე დაეცა: საცოდავი კაცი მოკვდა. მოკლულის ნათესავებმა დავარდნილს უჩივლეს. მკვლელობას სდებდნენ ბრალად და ან სიკვდილით დასჯას ითხოვდნენ ან ზარალის ანაზღაურებას. აბა როგორ უნდა გადაეწყვიტა მოსამართლეს ასეთი დავა? რამით ხომ უნდა დაეშვიდებინათ გარდაცვლილის მშობლები? მაგრამ მოსამართლემ გადმოვარდნილს ვერ დასდო ბრალი ვერც მკვლელობაში, ვერც უნებური მკვლელობა დასწამა, რადგან თვითონ იყო უბედური შემთხვევის მსხვერპლი. მოსარჩლეს, რომელიც ყველაზე მეტს ყვიროდა და ბრალდებულის დასჯას ითხოვდა, მან დაავალა სამრეკლოზე ასვლა, გადმოვარდნა და იმ კაცის თავზე დაცემა, რომელსაც ბრალს სდებდა, ამ უკანასკნელს კი ავალდებულებდა, რომ იმ დროს იმავე ადგილას ყოფილიყო, სადაც კაცი სასიკვდილოდ დააშავა. რა თქმა უნდა, აბეზარი მომჩივანი მაშინვე გაჩუმდა და სულელურ საჩივარზე ხელი აიღო.

მეორე თავშესაქცევი ამბავი ერთ ბერძენ მოსამართლეს შემთხვა. ვიღაც ბერძენი ჭაბუკი ფულს აგროვებდა, რომ კურტიზანი ქალის თეოგნიდესათვის მიეცა მისი დაუფლების მიზნით. ამ დროს ერთხელ დაესიზმრა, ვითომ უკვე იწვა თეოგნიდესთან და მისი მშვენიერებით ტკბება. გაიღვიძა და იმ დასკვნამდე მივიდა, სისულელე იქნება ახლანდელი ფულის დაკარგვა ერთი წუთისათვისო. თავის დროზე მეგობრებს გაანდო, ამასა და ამას ვაპირებო, ახლა კი მათვე უთხრა, ასეთი სიზმარი ვნახე, თითქმის უკვე დავეუფლე იმ ქალს და აღარ მიღირს იმად, რომ ამდენი ფული მივცეო. კურტიზანი ქალი შეურაცხყოფილი დარჩა საქმის ასეთი შემოტრიალებით, თანაც დაენანა ფული, რასაც უკვე თავის საკუთრებად თვლიდა, საქმე სასამართლოს გადასცა და ჭაბუკისაგან დაპირებული თანხა მოითხოვა. რაკი ამ ჭაბუკის გულის ნება ავასრულე თუნდაც სიზმარში, ამიტომ უფლება მაქვს იმ ფულზე, რაც ჩემთვის მოაგროვაო, აცხადებდა. მოსამართლე არ ყოფილა სოლომონი, მაგრამ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ჩვენი მღვდლები მისი სიბრძნის წინაშე ქედს მოიხრიან. ამ წარმართმა, რომელიც ღმერთს ჭეშმარიტი სარწმუნოებით არ გაუნათლებია, ახალგაზრდა ბერძენს წინადადება მისცა მოეტანა დაპირებული თანხა და ბასეინში ჩაეგდო, რათა კურტიზანი ქალი მათი ცქერით დამტკბარიყო და გამოყენება კი არ შესძლებოდა, არც ხელით შეხება.

სანაძლეოს ვდებთ, რომ თუ სულიწმინდას ეს ანეგდოტები ეცოდინებოდა, ბიბლიაში შეიტანდა და სოლომონის სიბრძნის სალაროს დაამშვენებდა მორწმუნეთა გასართობად. სამწუხაროდ, მისი ფანტაზია ყველა ანეგდოტს ვერ გადასწვდა.

სოლომონის სასამართლოს შემდეგ მესამე წიგნი სოლომონის მსახურთა ჩამოთვლაზე გადადის. მკითხველი არ გაგვიწყრება, თუ ამ ჩინებულ სტრიქონებს გამოვტოვებთ*. სამაგიეროდ ცოტა ქვემოთ საინტერესო ცნობებს ვპოულობთ დავითის შვილის სიმდიდრესა და დიდებაზე.

„და სოლომონ იყო მთავარ ყოველთა შინა სამეფოთა, მდინარითგან ქვეყანისა ფილისტიმელთასა და ვიდრე საზღვრადმდე მეგვიპტელთა, და მოაქვნდათ მისა ძღვენნი და მონებდეს სოლომონს ყოველთა ცხოვრებისა მისისათა. და ესე იყო სახმარ სოლომონისა დღესა ერთსა: ოც და ათი წონა ფქვილი სამინდოსა და სამეოც და ათი ფქვილი შესვარული. და ათნი ზვარაკნი რჩეულნი და ოცნი ხარნი მსუქანნი და ასი ცხოვარი. გარდა ირემთა, არჩვთა და მფრინველთა: რჩეულნი რჩეულთაგან და მსუქან“ *(3 მეფეთა, 4, 20—22)*.

---

* სოლომონის იგავთა კრებულს, უმთავრესად, ორსტრიქონიან გალექსილ აფორიზმებს როისის განთქმულ ილუსტრირებულ მრავალტომიან გერმანულ გამოცემაში მთელი მეშვიდე ტომი უჭირავს („მთავარ კრებულში“ 375 აფორიზმია). ესაა სასწავლო ბიბლიის ტომები.

აქ სულიწმინდამ უკვე ლაზათიანად გადაამლაშა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქმე უკვე აღარ ეხება იმ უხსოვარ დროს, რაზედაც ისტორიკოსებს თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვთ. ვის გაუგონია, რომ ებრაელები მეფობდნენ ხმელთაშუა ზღვიდან ევფრატამდე? სიმართლე ისაა, რომ მძარცველობითა თუ პატრიოსანი ბრძოლობით დაუსაკუთრებიათ მცირე ქვიანი ტერიტორია პალესტინაში, დანიდან ბერსაბემდე, მაგრამ არსად არავის დაუმტკიცებია, რომ სოლომონმა თუნდაც ერთი კვადრატული კილომეტრით გააფართოვა პალესტინა. პირიქით, „ეგვიპტის მეფე“ პალესტინის ნაწილს განაგებდა, ხოლო ამავე ქვეყნის ბევრი ოლქი — ქანაანელთა სამკვიდრებელი — სოლომონს საერთოდ არ ემორჩილებოდა. სადღაა ეს ქებული ძლიერება?

ახლა სოლომონის დღის ხარჯები გახსოვთ? ეშმაკმა დალახვროს! რა ბაქიობაა მართლა! ამდენი ძროხა, არჩვი, საიგა, ირემი... ეტყობა, შიმშილით არ იხოცებოდნენ სოლომონის სტუმრები და კარისკაცები.

ზოგიერთი ღვთისმეტყველი, რომელსაც საგონებელში აგდებს ეს აშკარა გაზვიადება, მდგომარეობიდან გამოსვლას იმით ლამობს, რომ სოლომონს ზედმეტ გულუხვობას მიაწერს: ბაბილონელთა მეფის მიბაძვით თავის მოსამსახურეებსაც უსასყიდლოდ აჭმევდაო. კეთილი, მაგრამ ებრაელთა ციცქნა მეფე ისევე ჰგავდა ბაბილონის მეფეს, როგორც რომელიმე მცირემიწაწყლიანი მემამულე რუსეთის იმპერატორებს.

სოლომონს ორმოცი ათასი საჯინიბო ჰქონდა ეტლში შესაბმელი ცხენებისათვის და თორმეტი ათასი — საცხენოსნო ჯარისათვის. ეს 40 000 საჯინიბო კიდევ ეფრო თავშესაქცევია, ვიდრე 30 ხარი (ზვარაკი) და 100 სული ცხვარი, ყოველდღიური ულუფისათვის რომ ჰქონდა გამოყოფილი ისრაელთა და იუდეველთა მორჭმულ ხელმწიფეს.

ახლა სოლომონის სიბრძნის ამბავი მოისმინეთ:

„და მისცა უფალმან სიბრძნე და მეცნიერება სოლომონს მრავალი ფრიად და სივრცე გულისა, ვითარცა ქვიშა, რომელ არს ზღვისა კიდესა. და განმრავლდა სიბრძნე სოლომონისა ფრიად, უფროს გონებისა ყოველთა ძველთა კაცთასა და უფროს ყოველთა კაცთასა და განბრძნდა უფროს გეთან ისრაიტელისა და ეთანისა და ხალხადისა და დარდას ძეთა სამადისთა, და განდიდნა სახელი მისი ყოველსა შორის ქვეყანისა გარემოთა. და გამოთქვნა სოლომონ სამ ათასნი იგავნი და იქმნეს გალობანი მისნი ხუთ ათას. და თქვა ხეთათვის კედრისაგან, რომელ არს ლიბანს შინა... და თქვა საცხოვართათვის და მფრინველთათვის და ქვეწარმავალთათვის და თევზთათვის. და მოვიდოდეს ყოველნი კაცნი სმენად სოლომონის სიბრძნისა და მოართმიდეს ძღვენსა“ *(3 მეფეთა, 4, 24—31)**.

---

* აქ მეხლების სათვალავში ბიბლიის თარგმანთა შორის დიდი განსხვავებაა. ზოგან ორი თავი შეერთებულია. ციტრთა ვარიანტები ფრჩხილებშია (პარალელური დალაგება).

რა თქმა უნდა, არავინ იცის, ვინაა გეთან ისრაელიტელი (ეთან ეზრაიტელი), ხალკოლი, დარდა, რომლებიც ასე თამამად გამოდიან სოლომონის მეტოქეებად და რომელთაც ბიბლია ისე გვისახელებს, თით-ქოს საქვეყნოდ ცნობილი ბრძენნი იყონ, მსგავსად ებრაული შაიდთა ბრძენთა. ასეთი მანერა უცნობ ავტორიტეტებთან შედარებისა ხშირად გამოკრთება ხოლმე ბიბლიის ტექსტიდან და ერთ-ერთი ფრიად დამახასიათებელი ნიშანია ეშმაკური ბაჭიობისა, რაც წმინდა წერილის მიუდგომელ მკვლევარს მისი ავტორების ერთადერთ შთამაგონებელ „სულად" მიაჩნია.

რაც შეეხება 3000 იგავსა და 5000 საგალობელს, მათგან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია შემონახული, და ისიც მხოლოდ მიეწერება სოლომონს. ვოლტერი შენიშნავს: უმჯობესი იქნებოდა საერთოდ ძველი ებრაული ოდები ეწერა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ვიდრე საკუთარი ძმის სისხლი დაეღვარაო.

ჩვენ ვუახლოვდებით სახელგანთქმული იერუსალიმის ტაძარს, რომლის აშენებას სოლომონმა, დღეში რომ ოცდაათ ხარს ნთქავდა, მთელი შვიდი წელიწადი მოანდომა. გარდა ამისა, მან ააშენა სამეფო სასახლე, რასაც ცამეტი წელიწადი მოანდომა. ამას ეძღვნა მეფეთა მესამე წიგნის ოთხი თავი. ჩვენ მხოლოდ ყველაზე უფრო არსებით მხარეს შევავლებთ თვალს.

„და იყო ოთხას ორმეოცსა წელსა შინა გამოსლვითგან ძეთა ისრაელისათა ეგვიპტით, წელსა შინა მეოთხესა, თვესა მეორესა მეფობასა სოლომონისსა ისრაელსა ზედა, აღაშენა სახლი უფლისა.

და სახლი, რომელიცა აღუშენა მეფემან სოლომონ უფალსა, იყო ორმეოცი წყრთა* სიგრძე მისი და ოცი წყრთა სივრცე მისი და ოც და ათი წყრთა სიმაღლე მისი.

და დასტოვა, რომელი იყო წინაშე პირსა ტაძრისასა ოცი წყრთა სიგრძე სივრცესა შინა სახლისასა და ათი წყრთა სიგრძე მისი წინაშე პირსა სახლისასა, და აღაშენა ტაძარი და აღასრულა იგი.

და უქმნა ტაძარსა სარკმელი მოდრეკილნი, ფარულნი.

და აღაშენა ზღუდესა ზედა სახლისასა სტოვანი გარემოს ტაძრისა და დაბირი და ქმნა გვერდნი გარემოს.

---

* ქართულ ტექსტში აქ შეცდომითაა ნაჩვენები ციფრი: „ორმეოცის" ნაცვლად უნდა იყოს „სამეოცი", როგორც რუსულ და გერმანულ თარგმანებშია. ტაძარი ასედაც კი არ გამოდის გრძელი: 31.5 მეტრია. ეს შეცდომა მომდინარეობს მეფეთა მესამე წიგნის ამ ადგილისა და მეორე ნეშტთა წიგნის (მუხლ. 3, 4) ცნობებს შორის არსებული წინააღმდეგობიდან. ლუთერის ბიბლიაში ეს წინააღმდეგობა „გასწორებულია": ტაძრის სიგრძედ ორსავე ადგილას ნაჩვენებია 60, სიგანედ კი 20 წყრთა.

გვერდი, რომელი იყო ძირითგან ექვსი წყრთა სივრცე მისი და სა-
შუალი ექვსი წყრთა სივრცე და მესამე შვიდი წყრთა სივრცე მისი. ვი-
ნათგან განშორებაი სახლისა ჰყო გარემოს გარე ტაძრისა, რათა არ მისწ-
ვდებოდეს ზღუდეთა ტაძრისათა...

და აღაშენა ტაძარი და განასრულა იგი და შემოზღუდა ტაძრი
რითა კედრისათა.

და ქმნა შესაკრავი გარემოს ყოველსა ტაძრისა ხუთი წყრთა სიმაღ-
ლე მისი და შეკრა შესაკრავი ხითა კედრისათა.

და იყო სიტყვა უფლისა სოლომონის მიმართ, მეტყველი:

ტაძარი, რომელი ესე შენ აღმიშენე, უკეთუ ხვიდოდე მცნებათაებრ
ჩემთა და მსჯავრი ჩემი ქმნა და დაიმარხო ყოველნი ბრძანებანი ჩემნი
და დაადგრე მათ შინა, განვამტკიცო სიტყვანი ჩემნი შენთანა, რომელი
ვარქვი დავითს, მამასა შენსა.

და ვემკვიდრო შორის ძეთა ისრაელთასა და არა დაუტეო ერი ჩემი
ისრაელი.

და აღაშენა სოლომონ ტაძარი და აღასრულა იგი.

და აღაშენა ზღუდე ტაძრისა შინაგან ხითა კედრისათა საფუძველიან
ტაძრისა, ვიდრე ზღუდედმდე და ვიდრე სიმაღლემდე, გარე შემოსდვა
პყრობილი ხითა შინაგან, და განმაგრა შინაგანი ტაძრისა გვერდებითა
(ფიცრებით) ფიჭვისათა.

და აღუშენა ოცი წყრთა კიდურითგან კედლისა გვერდი ერთი ია-
ტაკითგან ვიდრე სიმაღლემდე, და უქმნა მას შინათ დაბირითგან ვიდრე
წმიდაი წმიდათამდე" *(თავ. 6, მუხლ. 1—16)*.

საიდან მოზიდა ამდენი მასალა, სად აიყვანა ოსტატები? ამაზე მო-
გვითხრობს წინა, 5 თავი:

„და წარავლინა ხირამ, მეფემან ტვიროსისამან მონანი თვისნი
სოლომონისა მიმართ, ესმა რამეთუ სცხეს მას მეფედ დავითის წილ, მა-
მისა მისისა, რამეთუ მოყვარულ იყო სირამ დავითისა ყოველსა შინა
დღესა.

და წარავლინა სოლომონ ხირამის მიმართ და ეტყოდა:

შენ უწყი მამისა ჩემისა დავითისა, რამეთუ ვერ შეუძლო აღშენე-
ბად სახლისა სახელისა უფლისა ღვთისა ჩემისა, პირისაგან წინა აღმ-
დგომთა გარემოთა მისთასა, ვიდრემდის მისცნა იგინი მას უფალმან ქვე-
შე ტერფ:ა ფერხთა მისთა.

და აწ განმისვენა უფალმან ღმერთმან ჩემმან გარემოთაგან და არ-
ღარაი არიან მტერ, არცა წინა აღმდგომ ბოროტნი.

და აჰა, მე ვიტყვი აღშენებად სახლისა, სახელისა უფლისა ღვთისა
ჩემისა, ვითარცა იტყოდა უფალი ღმერთი დავითის მიმართ, მამისა ჩე-

მისა, მეტყველი: ძესა შენსა, რომელსაცა მივსცე შენ წილ საყდარი შენი, მან აღმიშენოს სახლი სახელისა ჩემისა!

და აწ ამცენ, რათა მომიჭრან მე ხე ლიბანისაგან, და აჰა, მონანი ჩემნი მონათა შენთა თანა, და სასყიდელი შრომისა მიგცე შენ, ყოველისათვის, რაოდენიცა სთქვა, ვინათგან შენ უწყი, რამეთუ არა არს—წყმდა მეცნიერნი ხის მკვეთელნი, ვითარცა სიდონელნი.

და რაჟამს ესმა ხირამს სიტყვა სოლომონისა, განიხარა ფრიად და თქვა: კურთხეულ არს ღმერთი დღეს, რომელმან მისცა დავითს ძე, მეცნიერი ერთა ამათ ზედა მრავალთა...

და იყო ხირამ მიმცემელი სოლომონისად ნაძვთა და ფიჭვთა და ყოველისა ნებისა მისისა.

და მისცა სოლომონ ხირამს ოცი ათასი საწონი იფქლი, საჭმელად სახლისა მისისა და ოცი ათასი საწონი ზეთითაგან წმიდისა: ესრეთ მისცემდა სოლომონ ხირამს ყოველსა წელიწადსა...

და მოიღო მეფემან ხარკი ყოველისაგან ისრაელისა და იყო ხარკი ოც და ათი ათასი კაცისა,

და წარგზავნა იგინი ლიბანსა: ათი ათასი თვესა შინა გამოცვლით: თვესა ერთსა იმყოფებოდენ ლიბანსა შინა და ორსა თვესა სახლსა შინა მათსა და იყო ადონირამ ხარკსა ზედა.

და იყო სოლომონისა სამეოც და ათი ათასი მომღებელი ტვირთისა, და ოთხმეოცი ათასი მომჭრელი ქვათა მთასა შინა.

თვინიერ უხუცესთა ზედა მდგომელთა, საქმეთა ზედა სოლომონისთა, სამი ათასი და ექვსასი ზედა მდგომელნი მოქმედთა საქმისათა. და ამცნო მეფემან და მოიხვნეს ქვანი დიდნი, ქვანი პატიოსანნი საფუძველად ტაძრისა და ქვანი განუთლელნი...

და განამზადნეს ქვანი და ხენი სამსა წელიწადსა შინა“ *(3 მეფეთა. 5, 1—6, 10—11, 13—16)*.

ტაძრის სიდიდე არც ისეთი გრანდიოზულია, როგორც მშენებლობის მასშტაბი და ვადა გვაუწყებს. ებრაული წყრთა 52 სანტიმეტრია, ისევე როგორც ეგვიპტური, და მაშასადამე შენობის სიგრძე 31 მეტრამდე ყოფილა, სიგანე ათნახევარი მეტრი და სიმაღლე თხუთმეტნახევარ მეტრამდე*.

ტაძრის გარეგანი და შინაგანი სახე საკმაოდ დაწვრილებით არის ზემოთ აღწერილი.

თავის სასახლეს კი სოლომონი ცამეტი წელი აშენებდა.

„და იყო, ოდეს აღასრულა სოლომონ შენებად სახლი უფლისა და

---

* თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდა პეტრეს ტაძრის სიგრძე 212 მეტრამდეა და მადრიდის ესკორიალისა —206 მეტრი, სოლომონის ტაძარი ლილიპუტების სასახლედ მოგვეჩვენება.

სახლი თვისი ოცთა წელთა, მაშინ შემოკრიბნა მეფემან სოლომონ ყოველნი უხუცესნი ისრაელისანი სიონსა შინა, რათა აღიღონ კიდობანი აღთქმისა უფლისა ქალაქისაგან დავითისა: ესე არს სიონი... და აღიღეს მღდელთა კიდობანი და კარავი წამებისა და ყოველნი ჭურჭელნი სიწმიდისანი, რომელნი იყვნეს კარავსა შინა წამებისასა... და შეიღეს კიდობანი მღვდელთა ადგილსა ზედა მისსა... წმიდათა [illegible] ქვეშე ფრთეთა ქერაბინთასა. რამეთუ ქერაბინნი იყვნეს გამოსრილნი ფრთითა ზედა ადგილსა კიდობნისასა და დაჰფარვიდეს ქერაბინნი კიდობანსა და სიწმიდესა მისსა ზესთამო... და იყო, ოდეს გამოვიდოდენ მღდელნი სიწმინდისაგან და ღრუბელმან აღავსო ტაძარი უფლისაი, და ვერ უძლებდეს მღდელნი დადგომად და მსახურებად პირისაგან ღრუბლისა, რამეთუ აღივსო დიდებითა უფლისათა ტაძარი*. მაშინ თქვა სოლომონ: უფალმან თქვა დამყოფებად ნისლსა შინა, ხოლო მე აღვაშენე სახლი... და იყავნ სიტყვანი ესე... ყოფად სიმართლისა მონისა შენისა, რათა ცნან ყოველმან ერმან ქვეყანისამან, რამეთუ უფალი თავადი არს ღმერთი, და არა ვინ არს სხვა. და იყავნ გული ჩვენი სრულ უფლისა მიმართ ღვთისა ჩვენისა, ღირსებით სლვად ბრძანებათა შინა მისთა და დაცვად მცნებათა მისთა, ვითარცა დღეს" *(3 მეფეთა, 8, 1, 3, 6—11, 60—63)*.

დაწვრილებითი ცნობები, რაც ამ ოთხ თავშია მოყვანილი და საკმაოდ ვრცლად დავიმოწმეთ, აშკარად გაზვიადებულია. მთელი ეს ღვთაებრივი აღწერილობა ისე დნება, როგორც თოვლი მზეზე, რაწამსაც ცოტად თუ ბევრად სერიოზულ ანალიზს დავიწყებთ. ვიდრე ოსტატები გამოჩნდებიან, წინასწარ 183 300 კაცია დასაქმებული ამ ერთი ტაძრის მშენებლობის მოსამზადებელ სამუშაოებზე, ტაძრისა, რომლის სიგრძე 31,5 მეტრი და სიგანე 10,5 მეტრი! აი, ეს ათი ათასობით მშენებელი ხერხავს, ეზიდება და აკაკუნებს მთელი შვიდი წლის განმავლობაში, რათა თავი მოაბან ერთი საშუალო სამსართულიანი ტაძრის ამოყვანას რაღაც 325 კვადრატულ მეტრ ფართობზე. კაცუნები ხომ არ არიან დალოცვილები! ვისაც მშენებლობაზე სულ მცირეოდენი წარმოდგენა მაინც აქვს, ეს ციფრები ადგილიდან წამოახტუნებენ. ეტყობა, სოლომონის მუშები გამოუსწორებელი ზარმაცები ყოფილან, სხვა ახსნა აქ არ არის. ან იქნება ხელფასს არ იღებდნენ და ისე უსაქმოდ დაყიალობდნენ.

მესამე წიგნში ნაჩვენებ ზომებს არ ეფარდება ნეშტთა წიგნში განმეორებული მონაცემები (მუხლ. 3, 4). მარტო ეს განსხვავებაც საკმა-

---

* ეს კომიკური სურათი, რაც სკიდან თაფლის გამოღების დროს ფუტკრის გასაბრუებლად დაყენებულ კვამლსა და ფუტკრის ზუზუნში მეფუტკრის „ვერ დადგომას" მოგვაგონებს, ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს უფლის ხასიათს „ნისლში დგომისას", რითაც იქმნებოდა რაღაც იდუმალების განწყობილება. რასაც მორწმუნეთა მოწიწება უნდა აღეძრა.

რისი იქნებოდა ეჭვის შესატანად, რომ ისედაც მთელი წმინდა წერილი წინააღმდეგობებით აღსავსე არ ყოფილიყო.

გარდა ამისა, შეუძლებელია სიცილისაგან ფერდები ხელით არ დაიჭირო, როცა კითხულობ ამ გულუბრყვილო აღწერილობას გარეთა რაგებობებზე, რომლებიც ტაძრის კედელს არ ეხებოდნენ და მისაგები სართულებისა თუ დანაშენთა ამბავს, თითო წყრთით გამოწეული რომ გამოუყვანიათ და ისე დაუშენებიათ ერთიმეორეზე, ისე რომ სულ ზედა სართული მეტრით ფართოა პირველზე. ეს პირდაპირ განსაცვიფრებელია! ქვევით ვიწრო, ზევით ფართო შენობა ნამდვილი შედევრი იქნებოდა! ახლა გვერდით ფანჯრებს არ იკითხავთ? შიგნით ფართო ყოფილან, გარეთ ვიწრო, როგორც საპყრობილეებში. ესეც არაა ურიგო არქიტექტურული გამოგონება.

ტვიროსის მეფის შეწევნით აგებული ტაძრის გარეგნულ ბრწყინვალებას მისი საზეიმო კურთხევის აღწერა აგვირგვინებს. ასეთი მსხვერპლის შეწირვისაგან ყოველდღიურად ღმერთმა დაგვიფაროს! ასე შეიძლება კაცი იქამდე მიხვიდე, რომ შიმშილით სული ამოგძვრეს. იმ დღეს „შესწირეს ხარნი და ვერძნი ურიცხვნი“. იანგარიშეთ ყოველი ზვარაკი ხარის წონა 100 კილოგრამი — ესეც თქვენი 2 200 000 კილოგრამი ხორცი!* ამას მიუმატეთ 2 000 000 კილოგრამი ცხვრის ხორცი. მთელი ეს ტონობით ხორცი სულ ტყუილად მოხრაკეს, იმისათვის, რომ მეფის ყნოსვისათვის უამებინათ, თორემ რამდენი წვეული უნდა ყოფილიყო, რომ ეს მარაგი შეეჭამათ! ეს 250 000 ფუთი ხორცი მხოლოდ სოლომონის მსხვერპლის ზომებზე მეტყველებს. ბიბლია განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისრაელის და იუდეის ყოველი კუთხიდან მოჰქონდათ სამსხვერპლო ქონება, მოერეკებოდნენ ჯოგებს, რომელთა აღნუსხვა აღარავის არ შეუძლია.

ყოველივე ამის შემდეგ რომ ღმერთი კიდევ უკმაყოფილო ყოფილიყო, მისი ხასიათი მართლაც აუტანელი იქნებოდა, აი, რისთვის გამოეცხადა ღმერთი სოლომონს მეორედ, ისევე როგორც ადრე გაბაონში დაესიზმრა. ასეთი გამოთქმა: „და ეჩვენა უფალი სოლომონს მეორედ, ვითარცა ეჩვენა გაბაონს წინა“ გვაფიქრებინებს, რომ აქაც სიზმარში ნახა; მაგრამ დავითის შვილი ამითაც კმაყოფილი იყო და არ მოითხოვდა აშკარად ჩვენებას. ნურც ჩვენ ვუსაყვედურებთ ღმერთს უყურადღებობას ყველაფერი მისი ნებაა!

უფლის საჩუქარს ამჯერად გამოხატავდა პატარა სადღეგრძელო, რაც უზენაესმა სოლომონის ყურთან წარმოთქვა. ეს სადღეგრძელო შეგ-

---

* ტაქსილს ეს ციფრი ვარაუდით მოჰყავს. მეფეთა 3 წიგნში, ისევე როგორც ნეშტთა 2 წიგნში (5, 6) ზოგადად წერია: იმდენი ხარი და ცხვარი დაიკლა, ვერც დაითვლიდით და ვერც იანგარიშებდითო.

კიძლია ასეთი უბრალო სიტყვებით გადმოვცეთ: თუ შენა და შენი ხალხი კვლავაც ერთგულად მემსახურებით, ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ თუ სხვა ღმერთებს სცემთ თაყვანს, შენ ან შენი ქვეშევრდომები, მაშინ კი მიფრთხილდით! მოკლედ, ძველებური საგალობელია!

„ხირამ, მეფე ტვიროსისა შეეწეოდა სოლომონს ხითა კედრისათა და ხითა ულპოლველითა და ოქროთა და ყოვლითა ნებითა მისითა. მაშინ მისცა სოლომონ ხირამს ოცი ქალაქი ქვეყანასა გალილეასა, და გამოვიდა ხირამ ტვიროსითგან და ვიდოდა გალილეას ხილვად ქალაქთა, რომელი მისცა სოლომონ მას და იხილა და არა იყო მისსა სათნო (არ მოეწონა) და ჰრქვა: რაი არიან ქალაქნი ესე, რომელი მომცენ მე, ძმაო? და უწოდა მათ საზღვარი ხილული დღეინდელად დღედმდე. და მოართვა ხირამ სოლომონს ას ოცი ტალანტი ოქრო“ (3 მეფეთა, 9, 11—14).

ნურაფერს ვიტყვით ოც ტალანტ ოქროზე, საარაკო თანხაზე, რაც ოც უვარგის ქალაქში მისცა სოლომონს ტვიროსის მეფემ. საკითხავია, საიდან გააჩინა თვითონ სოლომონმა ოცი ქალაქი, რომ თავისი მეგობარი ქირამი გაეხარებინა. სამარია ჯერ კიდევ არ იყო, იერიქონი საცოდავი სოფელი გახლდათ, სიქემს და ბეთილს ჯერ კიდევ ვერ წამოეწიათ თავი ნანგრევებიდან — ქალაქებად ისინი აქციეს მხოლოდ იერობოამის დროს. აი, მაშინდელი გალილეის ყველა ქალაქი!

„და შექმნა მეფემან სოლომონ ნავი ღასონსა შინა ღავერისასა*, რომელი იყო წიაღ ელათისა ნაპირსა ზღვისა უკანასკნელისასა, ქვეყანასა შინა ედომისასა, და წარგზავნა ხირამ ნავსა ზედა ყრმათაგან თვისთა, კაცნი მენავენი, მეცნიერნი მმართველობად ზღვისა ყრმათათანა სოლომონისთა და მივიდნენ სოფარას (ოფირს) და მოიღეს მუნით ოქრო ას ოცი ტალანტი და მოართვეს მეფესა სოლომონს“ *(3 მეფეთა, 9, 25—26)*.

მორწმუნეები რომ ვაიძულოთ გადაყლაპონ ასეთი დაუჯერებელი რამ, როგორიცაა სოლომონის ფლოტი, რომელიც თავისუფლად მიდის ოქროს საბადოებისაკენ, სადაც ოქრო ქვანახშირივით აწყვია, რა თქმა უნდა, რომელიმე შესაფერისი ნავსადგური უნდა გამოვძებნოთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, რადგანაც ამ ზღვის ყველა ნავსადგური ფინიკიელებს ეკუთვნოდათ და ყველანი მეტისმეტად ცნობილნი არიან, რომ სოლომონს მივაკუთვნოთ. რაღაც ღასონ-ღავერი თუ ეზეონგებერი რომ გამოიგონა წითელი ზღვის ელატის ყურის სანაპიროზე, ე. ი. სინაის სანაპიროს აღმოსავლეთ ნაპირებთან, ამით წმინდა მისტიფიკატორი, ცხადია, არავითარ რისკს არ ეწეოდა, რომ ვინმე მისი ცნობის სისწორეს შეამოწმებდა**.

---

* უფრო სწორია: ეზეონ-გებერ (3 მეფეთა, 9, 25 — ქართული ბიბლიით. ეს მუხლი რუსულ ბიბლიაში საძიებელია იმავე 9 თავის 26 მუხლში. ლუთერის ბიბლიაში კი — 8 თავის 17 მუხლში).

** მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ იმ დროს, როცა ბიბლია იწერებოდა,

გეოგრაფიაში ბიბლიის ეზეონ-გებერსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც სახელგანთქმულ ბიბლიურ ბრძენთ-გეთანს, ემანს, ხალხოლს და დარდას —ისტორიისათვის.

რაც შეეხება სოლომონის ფლოტის ექსპედიციას ოფირის ქვეყანაში, რაც მაინც აღმოუჩენელი დარჩა, მიუხედავად კეთილსინდისიერი ისტორიკოსების, გეოგრაფებისა და მეზღვაურების მიერ ჩატარებული ძიებისა, ეს ამბავი სრულიად უმნიშვნელო ეპიზოდია იმ დიდმშვენიერებასა და ფუფუნებასთან შედარებით, რაც წინა თავებში წავიკითხეთ. გემის გამოწყობა იმისათვის, რომ საიდანღაც გამზადებული 420 ტალანტი ოქრო ჩამოიტანოს, ეს, თქვენო უდიდებულესობავ, რა ისეთი ბედენაა! ისეთი ბატონისათვის, რომელსაც სამეფო ცხენებისათვის 40 000 საჯინიბო ჰქონდა და ერთ დღეს ტაძრის კურთხევაზე წვავს 250 000 ფუთ ხორცს, ეს თითქმის წვრილმანია. ახლა იანგარიშეთ ხარჯები ექსპედიციისათვის, რაც ორ წლამდე გაგრძელდა. სუფთა მოგება რაღაც გროშები დაგრჩებათ. აბა რა საკადრისი იყო დიდებული სოლომონის სიბრძნისა და სიძლიერისათვის ასეთი სისულელის აღნიშვნა! ერთი ასი ტონა ოქრო მაინც ჩამოეტანათ, დიდი საქმე იქნებოდა?

ჩემო საბრალო „სულიწმინდავ“! შენც კი გაქვს ისეთი წუთები, ჩვენს შორის რომ ითქვას, როცა ასე დაბლა ეშვები შენი ღვთაებრივი სიმაღლეებიდან, სადაც შენი ფანტაზია ზოგჯერ ჭეშმარიტად გრანდიოზული სითამამით გვხიბლავს.

მორწმუნე მკითხველის დასამშვიდებლად ვჩქარობთ აღვნიშნოთ, რომ „მტრედმა“ თავისი შეცდომა გამოასწორა ნეშტთა მეორე წიგნის თავში, და ეს წიგნი ხომ ძველი აღთქმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, ისეთივე კანონიკური და წმინდა, როგორც დანარჩენი მისი წიგნები! აქედან ვგებულობთ, რომ „იყო სიმძიმე ოქროსა, რომელსა მოიღებდეს სოლომონის მიმართ ყოველსა წელსა ზედა, ექვსას სამოცდა ექვსი ტალანტი ოქროსა“ *(მუხლ. 13)*. შემდეგ: „ხოლო ჭმნა მეფემან საყდარი (ტახტი) სპილოს კბილისა დიდი და მოოქროა იგი ოქროთა წმიდითა, და ექვსი ხარისხი საყდრისა თანა მოოქრულითა ოქროთა და მკლავნი ორნი ამიერ და იმიერ... არამედ ათორმეტნი ლომნი დგეს მუნ ექვსთა ზედა ხარისხთა ორგანითგანვე კერძოთა. და არა იქმნა ესე ვითარი საყდარი ყოველთა შორის სამეფოთა, ხოლო ყოველნი ჭურჭელნი მეფისა სოლომონისა იყვნეს ოქროსანი და ყოველნი ჭურჭელნი სახლისა ლიბანისა ოქროთი შემოხვეულნი, რამეთუ ვეცხლსა დღეთა შინა სოლომონისა-

---

ვერც ერთი შორსმჭვრეტელი ავტორი ვერ წარმოიდგენდა, რომ მეცნიერება ისე შორს წავიდოდა, წმინდა წიგნის ყოველ სიტყვას ჭეშმარიტების სასწორზე დადებდა, და ამითაც აიხსნება წმინდა წერილის ავტორთა დაუდევრობა: მათ პირი მუდამ ღია რჩებათ, რომ შიგ ბუზი შეფრინდეს.

თა არა რად შერაცხვიდეს“ (მუხლ. 17—20). ახლა გემების ამბავიც ისმინეთ: „რამეთუ ნავნი მეფისანი ვიდოდეს თარსის შინა მონათა თანა ხირამისათა. ერთსა წელსა შინა სამი მოვიდოდა ნავი თარსისაგან მეფისა მიმართ, სავსე ოქროთა და ვეცხლითა და კბილითა სპილოსათა და მაიმუნთა. და განდიდნა სოლომონ უფროს ყოველთა ზედა მეფეთა ქვეყანისათა სიმდიდრითა და სიბრძნითა. ხოლო ყოველთა მეფეთა ქვეყანისათა ეძებდეს ხილვად პირი სოლომონისა და სმენად სიბრძნისა მისისა, რომელი მისცა ღმერთმან გულსა მისსა“ (მუხლ. 21—23). „და მისცა მეფემან ოქრო და ვეცხლი იერუსალიმს შინა, ვითარცა ქვანი და კედრი, ვითარცა ჟოლა, რომელი იშვების ველთა ზედა სიმრავლე“ (მუხლ. 27).

როგორც იქნა! ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კეთილო ბაქიავ მტრედისფრთიანო! ეს ყველაფერი კიდევ ცოტაა. ნეშტთა ანუ პარალიპომენონის პირველი წიგნი გვაუწყებს, რომ სოლომონმა ჯერ კიდევ მამისაგან მიიღო მემკვიდრეობად აურაცხელი სიმდიდრე — ათასობით ტალანტი ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და ა .შ. მართლაც დიდი ტალანტია საჭირო, რომ ასეთი რამეები შეთხზა!

ვოლტერმა მკითხველის გასართობად მეფე დავითისა და სოლომონის ოქრო-ვერცხლის რაოდენობა იანგარიშა და თანამედროვე ფულზე გადაიანგარიშა. „ის, რაც დავითმა სოლომონს დაუტოვა ბიბლიის თანახმად, — წერს ვოლტერი, — შეადგენს ზუსტად თვრამეტ მილიარდ ფრანგულ ლივრს. ის, რაც სოლომონმა თავად მოიხვეჭა, არანაკლებს შეადგენს. საკმაოდ სასაცილოა წარმოდგენაც კი დუხჭირი მეფისა, რომელიც 36 მილიარდი ლივრის მფლობელია, ან დაახლოებით ერთნახევარი მილიარდი გირვანქა სტერლინგისა“.

აგერ ახლახან მოვისმინეთ, რომ ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან მოდიოდა ხალხი, რათა სოლომონისათვის თაყვანი ეცათ, საჩუქრები მიერთვათ, მისი სიბრძნე მოესმინათ. ვინმე იტყვის: ერთი ასეთი მეფე მაინც დაგვისახელონო, სასიამოვნო შთაბეჭდილება დაგვრჩებოდაო. მაგრამ ზუსტი ჩვენება მეტისმეტად საჭოთირო და სამძიმოა წმინდა ავტორისათვის. მუდამ ცდილობს მიუწვდომელი და მიუხელთებელი დარჩეს, რათა მის ტყუილებს მეტად იოლად არ აეხადოთ ფარდა.

მაგრამ თუ სხვა ხელმწიფეებზე დუმილს ამჯობინებს, აქ მაინც ღალატობს პრინციპს და ასახელებს სახელგანთქმულ მბრძანებელ ქალს, ვინმე „სავთა დედოფალს“. მეფეთა მესამე წიგნის 10 თავი თითქმის მთლიანად ამ უცნაურსა და უჩვეულო ვიზიტს ეთმობა, ისევე როგორც ნეშტთა მეორე წიგნის 9 თავი. რაც შეეხება ქვეყანას, რომლის მბრძანებელიც ეს განთქმული დედოფალი იყო, ღვთისმეტყველთა ხანგრძლივი დავის საგნად რჩება. სამწუხაროდ, ვერც ერთმა სწავლულმა თეოლოგმა

ზუსტად მაინც ვერ გვიჩვენა, დედამიწის რომელ კუთხეში იყო სავთა სამეფო, რასაც მხოლოდ ბიბლია იცნობს*.

ამრიგად: „ხოლო ესმა დედოფალსა საბაისსა სახელი სოლომონისა და სახელი უფლისაი და მოვიდა გამოცდად მისა იგავითა.

და მოვიდა იერუსალიმს ძალითა დიდითა ფრიად, და აქლემებითა ნელსაცხებელი და მრავალი ოქრო ფრიად და ქვანი ძვირფასნი, და შევიდა სოლომონისსა და ეტყოდა მას ყოველსა, რაოდენი ჰქონდა გულსა შინა მისსა.

და მიუთხრა მას სოლომონ ყოველნი სიტყვანი მისნი, და არა იყო სიტყვა შეურაცხ მეფისაგან, რომელიცა არა მიუთხრა მას.

და იხილა დედოფალმან საბაისმან ყოველი გონიერება სოლომონისა და სახლი, რომელი აღაშენა.

და საჭმელნი სოლომონისა და საცხოვრებელი ყრმათა მისთა და წინა დგომანი მსახურთა მისთანი და შემოსილება მისი და ღვინის მწდენი მისნი და ყოვლად დასაწველი მისი, რომელი შეიწიროდა ტაძარსა შინა უფლისასა, — და თავსა შორის თვისსა განცვიფრდა.

და ჰრქვა სოლომონს მეფესა: ჭეშმარიტად არიან სიტყვანი, რომელი მესმა ქვეყანასა ჩემსა სიტყვათათვის შენთა და გონიერებისათვის შენთა.

და არა მჭონდა დარწმუნება სიტყვათათვის მე, ვიდრე არა მოვედ აქა და ვხედავ თვალითა ჩემითა, და აჰა არა არს არცა ნახევარი იმისა, რომელსა მე მომითხრობდენ: შეგიძინეს სიბრძნე და კეთილნი მათ ზედა, უფროს ყოვლისა სმენისა, რომელი მესმა ქვეყანასა შინა ჩემსა“ (*3 მეფეთა, 10, 1—7*).

მცირე თავგადასავლის შემდეგ, წასვლის წინ დედოფალმა სოლომონს იმდენი ძვირფასეულობა მისცა, რომ ჩამოთვლაც კი ძნელია: „ას ოცი ტალანტი ოქრო და ნელსაცხებელი მრავალი ფრიად და ქვანი ძვირფასნი“. ცხადია, სოლომონი ცუდი კავალერი იქნებოდა, რომ მხოლოდ ქალის საჩუქრები მიეღო და თვითონ არაფერი მიეცა მისთვის. „და მეფემან სოლომონ მისცა დედოფალსა საბასა ყოველი, რაოდენი ინება და რაოდენი ითხოვა მისაგან, თვინიერ, ყოვლისა მის, რომელი მისცა მას ხელითა თვისითა მეფემან სოლომონ“ (მუხლ. 13). მიცემა მეფეთა საქმეა!

ასეთ ფართო სახელს არ შეეძლო ზიანი არ მიეყენებინა სოლომონის სულისათვის. ღმერთმა მისცა მას სიბრძნე და არ წაურთმევია. მაგრამ ბიბლია დაცემის დასაწყისის სახით აღნიშნავს მეგობრულ კავშირს ეგვიპტელებთან, სიდონის მცხოვრებლებთან, ამონიტელებთან და სხვ. ცხადია, ეს ცუდი ნაცნობობა იყო. ქალებმა გადარიეს ბრძენი მეფე.

---

*ლუთერი საეთა ანუ საბაის დედოფალს პირდაპირ „მდიდარი არაბეთის დედოფალს“ ეძახის.

„ხოლო იყო მეფე სოლომონ ფრიად დედათ მოყვარე და მოიყვანა დედანი უცხონი და ასული ფარაოსი, მოაბელთანი, ამანიტელთანი, სურიასანი და იდუმელთანი, ქეტელთა და ამორეველთანი, — ყოველთა მათ წარმართთაგან, რომელთა თვის ამცნო უფალმან ძეთა ისრაელისათა არა შეწესლვად მათდა, და იგინიცა რაითა არა ვიდოდნენ თქვენ შორის, რაითა არა მიაქცევდენ გულთა თქვენთა შემდგომად კერპთა მათთა, და ამათ მიმართ მიდრკა სოლომონ სიყვარულად. და იყვნეს მისა ცოლნი ეფროსნი შვიდას და ხარჭანი სამას. და იქმნა ჟამსა შინა სოლომონის სიბერისასა, და მიაქციეს ცოლთა მისთა გული მისი შემდგომად ღმერთთა უცხოთა“ *(3 მეფეთა, 11, 1—4)*.

წარმოიდგინეთ ათასი ცოლი, ათასი უცხორჯულის დედაკაცი, საკუთართან არეული! ვის გულს არ მიაქცევდნენ თუნდაც სატანისაკენ!

როგორც ცნობილია, ღმერთი არ სჯიდა თავის პატრიარქებსა და მეფეებს მრავალცოლიანობისათვის, წყალობითაც კი უყურებდა მათ. შორს რომ არ წავიდეთ, დავითი უხვად სარგებლობდა მისი ამ კეთილგანწყობილებით. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, სოლომონი კი უფალი ღმერთის ლმობიერებით ბოროტად სარგებლობდა. წარმოიდგინეთ ათასი ქალი ათასი ცოლი, და ისიც ყველა სიყვარულით მოყვანილი, უბრალოდ მოსაჩვენებლად კი არა! რომელ სულთანს არ შეშურდებოდა! ათას ქალს აცმევდა და აჭმევდა, ხდიდა და აწვენდა! ხელი როგორ არ ეღლებოდა!

და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რაც ღმერთმა, როგორც მოამავლის გამგებელმა, წინასწარ გაითვალისწინა. თავისი გადამთიელი სემიტი დედოფლებისათვის რომ ეამებინა, სოლომონმა დაიწყო უცხო ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვა. იერუსალიმის მახლობლად, ერთ მთაზე, „აღაშენა სოლომონ მაღალი ბომონი ხამოსისა, კერპისა მოაბისა და მეფისა მათისა კერპისა ძეთა ამონისათა და ასტრატესა, საძაგელებისა და სიდონელთასა“ *(მუხლ. 7)*.

თუ ჩვენი წიგნის თავში ქვეყნიერების შემქმნელმა მამა-ღმერთმა ადამსა და ევას შემეცნების ხის ნაყოფის ჭამა დანაშაულად ჩაუთვალა, ახლა პირიქით მოხიბლულია სოლომონით, რომელმაც იგივე ისურვა, ბოროტისა და კეთილის შეცნობა. ღმერთმა მას მიანიჭა სიბრძნე და ზედ ათასნაირი ლოცვა-კურთხევა დაატანა. ყოველივე ამაში, ბოლოს და ბოლოს, უნდა შევნიშნოთ ის ჭეშმარიტება, რომ ებრაელებს ამ თავიანთი ისტორიის ოქროს ხანაშიც ჯერ კიდევ არა ჰქონიათ მტკიცედ დადგენილი და შესისხლხორცებული რელიგიური კულტი. ეს ყველაზე უფრო სარწმუნოა. მათ რომ ჰქონოდათ მტკიცე კულტი, წმინდა ავტორი აღარ დაწერდა, რომ იაკობმა და ესავმა წარმართი ქალები შეირთეს, სამსონი არ შეირთავდა ფილისტიმელ ქალს და ა. შ

კრიტიკოსები ამ სისულელეებს იმისათვის ეყრდნობიან, რომ ამით

ხაზგასმით აღნიშნონ: არც ერთი ებრაული წიგნი იმ სახით, რა სახითაც ჩვენამდე მოაღწიეს, არ შეუქმნია აღწერილ ამბავთა მონაწილეს და თანამედროვეს. ფაქტიურად ისინი ამბობენ, რომ ებრაელებმა ცალკე სახელმწიფოდ შეკვრა ძლივს დაიწყეს სოლომონის დროს, ამ ხალხისათვის სულერთი იყო, მათი მეფე იაღვეს ეთაყვანებოდა, მოლოხს, ასტარტას, ხამოსს თუ ადონაის...

როგორც გნებავთ და ბიბლიას ღმერთი ძალიან გაბოროტებულ ვინმედ კი გამოჰყავს. ამ გაბრაზების მორიგი ნიშანი იყო მისი მესამე გამოცხადება სოლომონის წინაშე. ამჯერად სიზმარში გამოცხადება აღარ არის ნათქვამი. სცენა ძალიან ცოცხლადაა წარმოდგენილი: ღმერთი ცოცხალ სოლომონს გარკვევით და ცივად კიცხავს: სიბრძნე არ წამირთმევია და მაინც გონივრულად აღარ გიჭირავს თავიო. დავითის შვილი სამაგალითოდ დატუქსეს, მართალია, მხოლოდ სიტყვიერად: „და ჰრქვა უფალმან სოლომონს: ვინათგან იქმნა ესე შენ მიერ და არა დაიცევ მცნებანი ჩემნი და ბრძანებანი ჩემნი, რომლითაცა გამცენ შენ, განხეთქით განვხეთქნე მეფობა შენი ხელისაგან შენისა და მივსცე იგი მონასა შენსა *(მეფეთა, 11, 11)*. ასეთი მუქარა არც ერთ მეფეს არ ესიამოვნებოდა და არც სოლომონს გახარებია. ღმერთი ისეა განრისხებული, რომ აშკარად ენა ებმება, რადგან იქვე დასძენს: „გარნა დღეთა შინა შენთა არა ვყო ესენი, დავითის თვის, მამისა შენისა, ხოლო ხელისა გან ძისა შენისა მიუღო იგი“ *(მუხლ. 12)*. თითქოს დავითი დიდი წმინდანი ყოფილიყო, მის სახელს აპატია, მხოლოდ სოლომონის შვილს დაატეხა ხამის დანაშაული!*

აქვე შევნიშნავთ: სოლომონის შვილს რობოამს, ვისაც ეს მუქარა ეხება, ჯერ არაფერი შეუცოდებია. იბადება კითხვა (განა პირველად?): თუ რობოამს არაფერი ცოდვა არ მიუძღვის, მხოლოდ მამამისია ცოდვილი და მოღალატე, მაშინ რატომ უნდა აგოს მან პასუხი სხვისი დამტვრეული ჭოთნებისათვის? თუ ტახტზე ასვლის შემდეგ დაიტეხს ცოდვას, სასჯელიც მასვე დაატყდეს, ცხადია, ღირსი იქნება, მაგრამ ხამის ცოდვებისათვის რატომ ისჯება შვილი? რატომ იმუქრება ღმერთი, შენს შვილს წავართმევ ტახტსო? კაცი იფიქრებს, რომ როდესაც სოლომონს სიბრძნე აჩუქა, მეტისმეტი მოუვიდა, თავისი საკუთარი საჭიროებისათვის ნამცეცი ჭკუა დაუტოვებიაო!

---

* ამ ეპიზოდით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ბიბლიის პირველი მცნება, ურჩობის სული ტრიალებს ადამიანის არსებაში, და თვით იდეალური მეფე სოლომონი ეტანება სამოთხის მაცდურ ხილს, მხოლოდ დუხჭირი, უნიათო და უბაღრუკი ლაქიები რჩებიან თავიანთი მბრძანებლის — ღმერთისა და მეფის ბოლომდე ერთგულ, ყურმოჭრილ ყმებად. ერთი შეხედვით მოსაწყენ ბიბლიურ ამბავს ღრმა გააზრება უდევს საფუძვლად.

ამრიგად, ღმერთმა ერთი ცოდვილი მაინც ბოლომდე შეიწყალა, სოლომონს ფორმალურად განუცხადა, შენს სიცოცხლეში არ დაგსჯი, მხოლოდ შენი გარდაცვალების შემდეგ „განვხეთქავ“ ტახტს შენი შვილის ხელიდანო. მაგრამ ბიბლია დაუყოვნებლივ დასძენს: „და აღუდგინა უფალმან წინა აღმდგომი სოლომონს, ადერა იდუმიელი, რომელი იყო ნათესავისაგან მეფისა იდუმიელისა“ (მეფ. 14). ამ ადერამ [illegible] ბავი აშკარად ეწინააღმდეგება ზემოთ თქმულს. ძნელი მისაწვდომია, რა ტვინნაღრძობი უნდა ყოფილიყო ბიბლიის ეს ავტორი, რომ ყველაფერი უკლებლივ ჩაეწერა, რასაც კი მეზღაპრე მტრედი უკარნახებდა! როგორც გვაუწყებენ, ეს ადერა პატარა ბავშვი ყოფილა, როდესაც მეფე დავითის გენერალისიმუსს“ იოაბს ამ ქვეყნის ყველა მამაკაცი გაუწყვეტია. ადერას ბედმა გაუღიმა, მამის მსახურთა შემწეობით გადარჩა და თავი ეგვიპტეს შეაფარა თურმე. ფარაონმა დავითის მტერი შეივრდომა, სახლი მისცა, მამული აჩუქა და თავისი ცოლის დაც კი მისცა ცოლად. „წმინდა წერილი“ აქამდე ერთი ფარაონის სახელსაც კი არ გვიმხელს. ახლა კი როგორღაც გვეუბნება, რომ ეგვიპტელ პრინცესას ერქვა: თახპენესი თუ ფეკემინი. განა საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ არსად არასოდეს ისტორიას ასეთი დედოფალი არ უხსენებია?

— ამრიგად, ადერა — ფარაონის ქვისლია. არ დაგავიწყდეთ, რომ ყველაფერი ეს მეფე დავითის დროს ხდებოდა. როგორც კი იოაბის სიკვდილი გაიგო, ადერამ ქვისლს თავი დაუკრა, იმანაც „განტევებით განუტევა“, თუმცა ენანებოდა და ეუბნებოდა: რა გაკლია ჩემთან და რატომ მიდიხარო? ეს აკლდა, რომ ისრაელთა მეფეების ჯავრი სჭირდა, ხალხი რომ გაუწყვიტეს, ისევ იდუმეაში დასახლდა და იქცა ერთ-ერთ მტრად, რომლითაც ღმერთმა ისარგებლა სოლომონის დასასჯელად.

მაგრამ მეფეთა მესამე წიგნის 11 თავი ამბობს: „ჟამსა სიბერისასა“ სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო კერპთა სათაყვანებლად მიაქციესო, ქვემოთ კი ვგებულობთ, რომ მაინც ორმოცი წელი იმეფა, დავუშვათ, რომ აქედან იაღვეს ერთგული იყო ოცდაათი წელიწადი, დანარჩენი ათი წელი კი იყო ცოდვის პერიოდი. მაშინ გამოდის, რომ ადერამ მთელი ოცდაათი წელიწადი არაფერი იცოდა დავითის გარდაცვალების შესახებ, მხოლოდ მერე გაიგო და იქცა ღვთის რისხვად ისრაელებისათვის. მაგრამ ეს შეუძლებელია, მით უფრო რომ ბიბლია გვეუბნება, სოლომონმა ეგვიპტის მეფის ქალიშვილი ცოლად ითხოვაო, ე. ი. ფარაონს დაუნათესავდა და ამრიგად ადერაც მისი ახლო ნათესავი გახდა. არის მეორე ვარაუდი: ადერა ადრევე ამხედრებულა და მახვილით დაუვლია ებრაელთა მიწა-წყალი. მაგრამ სრულიად არაჩვეულებრივი ამბის მომსწრენი ვხდებით:

სოლომონი ოცდაათი წლით ადრე დაუსჯია ღმერთს ცოდვებისათვის, რომლებიც ამ სამი ათეული წლის შემდეგ უნდა ჩაედინა*.

მაგრამ აი, რაღაც უფრო ზუსტი ამბავი: „და აღუდგინა უფალმან სოლომონს წინააღმდგომ რაზონ, ძე ელიდასი, რომელი-იყო-ქმნა-ადაგლეზერ მეფისაგან სუბელთასა უფლისა თვისისა, და შეკრბეს მის-ა-კაცნი და იქმნა იგი მთავარ ლაშქართა მეშფოთეთა, ოდეს მოსწყვედდა მათ დავით, და მოვიდეს დამასკედ და დასხდეს მას შინა და გაამეფეს დამასკეს შინა, და იყო იგი მხდომ ისრაილსა ყოველთა დღეთა სოლომონისთა. ესე არს სიბოროტე ადერისა, და განამწარა ისრაელი და მეფობდა ქვეყანასა მას იდუმელთასა“** (*3 მეფეთა, 11, 23—25*). ე. ი., გარდა ადერის მიერ მიყენებული ვნებისა, სირიის მეფე რაზონიც რისხვად ექცა ისრაელს.

ეს რაზონი, სირიის მეფე, რომელმაც მთელი სიცოცხლისა და მეფობის განმავლობაში გაამწარა სოლომონი, ნათლად ამტკიცებს, რომ დავითის შვილი ღმერთმა სიჭაბუკეშივე დასაჯა იმ ცოდვებისათვის, რომლებიც სიბერეში უნდა ჩაედინა, წმინდა წერილის ავტორი კი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, როდესაც ზემოთ (*თავ. 4, მუხლ. 20—21*) ლაპარაკობს, სოლომონის ძლევამოსილი სამეფო ხმელთაშუა ზღვიდან ევფრატამდე იყო გადაჭიმულიო. ვიდრე იაღვეს გადაუდგებოდა, სოლომონი უკვე დაუსჯია იაღვეს.

„ხოლო იერობოამ იყო ძე ნაბათისა, ევფრათელისა...

და აღიმაღლა მან ხელნი მეფესა ზედა სოლომონსა და ესე არს ბრალი, რამეთუ აღიმაღლა მან ხელი მეფესა ზედა.

რამეთუ მეფემ სოლომონ აღაშენა კიდე ქალაქისა და მოზღუდა კედლითა ქალაქი დავითის, მამისა თვისისა.

და კაცი იერობოამ იყო ძლიერი ძალითა, და იხილა სოლომონ ყრმა ესე, რამეთუ კაცი საქმისა არს და დაადგინა იგი ყოველსა ზედა მეტვირთეთა სახლისა იოსებისთა.

და იყო ჟამსა მას შინა, გამოვიდა რა იერობოამ იერუსალიმით და პოვა იგი აქია სილონიტელმან წინასწარმეტყველმან გზასა ზედა და გააბრუნა იგი მიერ გზით. და იყო აქია შემოსილი სამოსლითა ახლითა და იყვნეს ორთავე ერთსა ველსა ზედა.

და მიჰყო აქია სამოსელსა თვისსა ახალსა, რომელი იყო მას ზედა და განაპო იგი ათორმეტ წილად.

და ჰრქვა იერობოამს: მიიღე თავისა შენისა თანა ათი ესე წილი,

---

* ამ ვარაუდის წინააღმდეგ მეორე, უფრო რეალური ფაქტიც მეტყველებს: თვითონ ბიბლია სულ სოლომონის სვიანობაზე ლაპარაკობს და არსად არ აღნიშნავს, რომ მის სამეფოს ასეთი დამსჯელი რაზმი მოვლენია.

** იდუმელთა, ე. ი. სირიის მეფე თუ ოჭროს ხანაშიც აწუხებს ისრაელებს, ცხადია, მათ სიმშვიდე არასოდეს არ ჰქონიათ.

რამეთუ ესრეთ იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა: აჰა ესერა მე განვხეთქო მეფობაი ხელისაგან სოლომონისა და მიგცე შენ ათი ნაწილი.

და ორი სკიპტრა იყვნენ მისსა მონისა თვის ჩემისა დავითის თვის და იერუსალიმისა თვის ქალაქისა, რომელი გამოვირჩიე თავისა ჩემისა თვის ყოველთაგან ტომთა ისრაელისათა" (3 მეფეთა, 11, 29-32).

ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ დაჭრა ერთმა ლევიტელმა თავისი ცოლი თორმეტ ნაწილად, როცა გიბში (გაბაონში) ერთბაშად შვიდასმა არამზადამ გააუპატიურა და მოკლა კიდეც. ახლა კიდევ წინასწარმეტყველი აჭია იფხრეწს ტანზე სამოსელს და თორმეტ ნაწილად ხევს (კიდევ კარგი, მხოლოდ სამოსელს), რათა იერობოამი დაარწმუნოს, რომ ღმერთი ნებას აძლევს ისრაელთა თორმეტი ტომი გააპოს, დაჩეხოს, სოლომონს აეშალოს და თორმეტი ტომი დაისაკუთროს. ვოლტერი იცინის: ამ აჭიას შეეძლო ნაკლები ხარჯი გაეწია, ტანისამოსი არ დაეპო და ისე დაერწმუნებინა ძლიერი იერობოამი, რომ ღმერთი მის მხარეზეა... მით უმეტეს, რომ იმ დროს უფალი უკვე არც ისე იოლად იმეტებდა წინასწარმეტყველთათვის ახალ შემოსილობას. ან იქნებ იმედი ჰქონდა, რომ ტახტზე ასვლის შემდეგ იერობოამი აუნაზღაურებდა ამ დანაკლისს?

კიდევ ერთი შენიშვნა, რომლის გამოტოვება არ შეიძლება. სოლომონის სამი მტრიდან, სოლომონს რჯულის ღალატისათვის რომ აუმხედრა ღმერთმა, მხოლოდ იერობოამი გადადის ნამდვილ იერიშზე, და სწორედ მანვე განიცადა მარცხი. დანარჩენი ორი კი მთელს სიცოცხლეში დევნიდა, აწუხებდა და ნერვებს უშლიდა სვიან მეფეს. იერობოამის აჯანყება სრული მარცხით დასრულდა. „და ეძიებდა სოლომონ მოკლვად იერობოამს, და აღდგა იერობოამ და ივლტოდა ეგვიპტედ სურაკის მიმართ, მეფისა ეგვიპტისა" (40). იქვე ცხოვრობდა იერობოამი სოლომონის სიკვდილამდე.

დიდი ხნის სიცოცხლე კი აღარ ეწერა ამის შემდეგ სახელოვან სოლომონს. (1 თავის 43 მუხლში მოთხრობილია შვიდასი ცოლისა და სამასი ხარჭის მბრძანებლის გარდაცვალების ამბავი: „და დღენი, რომელსა შინა მეფობდა სოლომონ იერუსალიმსა შინა ყოველთა ზედა ისრაელთა, წელიწადი ორმეოცი. და დაიძინა სოლომონ მამათა მისთა თანა, და დაჰმარხა იგი ქალაქსა შინა დავით, მამისა მისისა".

როგორც კი ესმა იერობოამს სოლომონის სიკვდილის ამბავი, ეგვიპტიდან დაბრუნდა და თავის ქალაქ სამარიაში გამაგრდა. ტახტზე კი დავითის შვილი რობოამი ავიდა.

ბიბლიაში არაფერია ნათქვამი დავითის ძის მრწამსზე გარდაცვალების წინ: არ ჩანს, რჯულიდან გადამდგარი ჩავიდა საფლავში თუ ისევ მოიქცა იაღვეს მცნებაზე, ჭეშმარიტ სარწმუნოებას დაუბრუნდა. ღვთისმეტყველნი ბევრს დავობენ ამ საგანზე: დაწყევლილია სოლომონი თუ არ

არის დაწყევლილი. მათი აზრი გათიშულია, ბიბლიის ავტორთა გულმავიწყობა რელიგიის მსახურთ ძვირად უჯდებათ.

მეორე ძალიან საწყენი ხარვეზი — ესაა ბიბლიის დუმილი სოლომონის უთვალავი ქორწინების შესახებ. ძალიან ადვილია, უბრალო ცნობის გამოცხობა, რომ სოლომონს ჰყავდა შვიდასი კანონიერი ცოლი, სულ უცხოელი პრინცესები, დედამიწის სულ სხვადასხვა კუთხის მეფეთა ასულები, რომელთაც „საძაგელი" სარწმუნოება ჰქონდათ. საინტერესო იქნებოდა საქორწინო ცერემონიების აღწერა, ან იმ დღესასწაულებისა, რომლებიც ამ ქორწილებს უსათუოდ თან ახლდა. დავუშვათ, რომ სოლომონის რელიგიური ცდომილება ათ წელს გაგრძელდა, რაც მეტისმეტად დიდი დროა. ეს შვიდასი კანონიერი დედოფალი, „გრაფისა" თუ „ჰერცოგის" ქალი, მის სასახლეში რომ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა, დაახლოებით სამოცდაათი ცოლი ყოველწლიურად, ეს შეადგენს სამეფო ქორწილს ყოველ ხუთ დღეში. როგორ მოგწონთ ქვეყანა, რომელიც ის იყოს გასწორდა წელში, ის იყო შეიკრა სახელმწიფოდ, და დროს ასე ყოველწლიურად ქორწილებში, საჯარო შეხვედრებში დიპლომატიურ ცერემონიებში და თავაზიანობის ვიზიტებში ატარებს? რა საწყენია, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა გოთური ალმანახი[50]. აი, მაშინ გვეცოდინება მთელი სია შვიდასივე დინასტიისა, რომელიც იმ დროს მეფობდა.

ბიბლიური სიბრძნის უმაღლესი გამოხატულება

არმოუდგენელია სოლომონის მეტი ვინმე ისეთი, რომ არ გადავშალოთ ოთხი დანარჩენი წიგნი, მას რომ მიეწერება და ბიბლიის შემადგენლობაში შედის: „იგავნი სოლომონისანი“, „ეკლესიასტე“, „ქება ქებათა“ და „წიგნი სიბრძნისა სოლომონისა“.

„იგავნი სოლომონისანი“ — ესაა კრებული აზრებისა და გამონათქვამებისა, რომელთა უდიდესი ნაწილი გაცვეთილი, სულელური, უგემოვნო და, მკაცრად რომ ვთქვათ, ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულია. ძნელი დასაჯერებელია, რომ განათლებულ ხელმწიფეს შეედგინა ისეთი სენტენციების კრებული, რომელთა შორის ერთიც კი არ ეხება, მაგალითად, მმართველობის ხერხებს, პოლიტიკას, სასახლის წეს-ჩვეულებებს. ჩვენი დროის მოაზროვნეებს უკვირთ და გაჰკვირვებიათ, რომ მთელი თავები ეთმობა ზნედაცემულ, მეძავ დედაკაცებს, პირდაპირ ჭუჩიდან რომ უხმობენ გამვლელ-გამომვლელს. არავისაც არ აღაფრთოვანებს, მაგალითად, ასეთი „იგავი“: „წურუბელსა ესხნეს სამ ასულ, სიყვარულით საყვარელნი, და სამნი ესენი ვერ განაძღებდეს მას, და მეოთხესა არა კმა ეყო თქმად: კმა არს ჩემდა! ჯოჯოხეთი და გულისთქმა დედაკაცისა, და ქვეყანა არა განძღების წყლითა, და წყალმან, და ცეცხლმან არა თქვას, კმა არს“ *(იგავნი, თ. 30, 15—16)*. საშინელი შედარებაა: ჯოჯოხეთი, დედაკაცი, ცეცხლი და მიწა ერთნაირად გაუმაძღარნი არიანო!

„სამნი არიან ჩემდა შეუნელებელ გულის ხმის ყოფად, და მეოთხესა ვერა ვცნობ: კვალი ორბისა მფრინველისა ჰაერსა ზედა, და გზა გველისა მცურავისა შემდგომად კლდესა, და კვალი ნავისა მცურავისა ზღვასა ზედა და გზა კაცისა სიჭაბუკესა შინა მისსა, — ეგრეთვე გზაცა დედაკაცისა, რომელი ოდეს ჰქმნეს, და განიბნნეს, არა რაისავე იტყვის ქმნად უჯეროსა“ *(მუხლ. 18—19)*.

„ხოლო ოთხნი არიან უმცირესნი ქვეყანასა ზედა, ხოლო ესენი არიან უბრძნეს ბრძენთა: ჯინჭველნი, რომლისა არა არს ძლიერება და განიმზადებს მკასა შინა საზრდელსა, და მძღარბნი ნათესავნი არა ძლიერნი, რომელნი იქმენ კლდეთა შინა სახლთა თვისთა. უმეფო არს მკალი და ამხედრდების ერთისაგან ბრძანებისა კეთილ მწყობრედ. ფსვენი ხელითა დაყრდნობილი და ადვილ მოსანადირებელი, მყოფი დამკვიდრებულ არს

სიმტკიცეთა შინა მეფეთასა“, ე. ი. ობობა სუსტია, მაგრამ მეფეთა სამყოფელშიც ბინადრობსო (*მუხლ. 24—28*).

„განა შეიძლება, — ამბობს ვოლტერი, — მსგავსი კეთილსინდისიერი ვინმე მიეწეროს დიდ მეფეს, მოკვდავთა შორის ყველაზე უფრო ბრძენს?“

„სოლომონის სიბრძნის“ წიგნი რამდენადმე უფრო სერიოზული ნაშრომია. მაგრამ კრიტიკა იმ აზრისაა, რომ მთელი ეს წიგნი ქმნის მოსაწყენი და მომაბეზრებელი, არაფრის მთქმელი ზოგადი ჭეშმარიტებების ნარევს. ვოლტერი შენიშნავს, რომ ასეთი სახის შრომები მჭევრმეტყველების კანონების შესაბამისად არ იწერება და ვერც კარგი შინაარსით იპყრობენ ყურადღებას. მათ წერენ ჭკუის სასწავლებლად და არა იმ მიზნით, რომ მკითხველს მოეწონოს. ადამიანი იძულებული ხდება კეთილმსახურულად ებრძოლოს საძაგლობის ბუნებრივ განცდას, რასაც მათი კითხვა იწვევს“.

ეკლესიასტის წიგნი სრულიად სხვანაირია. მთხრობელი ჩანს დიდების საცთურებით იმედგაცრუებული, წუთისოფლის ამაოებით დამაშვრალი, ტკბობით დაღლილი და შემეცნებით გამაძღარი ადამიანი. ყოველ გვერდზე იმეორებს, მართლმორწმუნე და ბოროტმოქმედი ერთნაირი შემთხვევითობის მსხვერპლნი არიანო, ადამიანი არაფრით არ განსხვავდებაო პირუტყვისაგან, ჯობს არ დაიბადო, ვიდრე არსებობდეო; არავითარი სხვა ცხოვრება არ არსებობსო, არაფერი არაა იმაზე უკეთესი და კეთილგონივრული, რომ მშვიდობიანად იყო, შენი შრომის ნაყოფითა და მეუღლის სიახლოვით დატკბეო.

„შესაძლებელია, — შენიშნავს ვოლტერი, — რომ სოლომონი მართლაც მიმართავდა რომელსამე თავის ცოლს ამნაირი სიტყვით. ამტკიცებენ, ეს მწარე შენიშვნებია, რომელთაც სოლომონი საკუთარ თავს აძლევდაო. მაგრამ ეს წარმონათქვამები, რომლებშიაც თავისუფლების სული ქრის, სულაც არ ჰგვანან საკუთარი თავისადმი მიმართულ საყვედურებს, ხოლო ავტორის ნაწარმოებებში იმისი საპირისპირო აზრის ძიება, რასაც სინამდვილეში ამბობს, ეს მის დაცინვას ხომ არ ნიშნავს?“

რაც შეეხება „ქებათა ქებას“, მისი რვა თავიდან ზოგიერთი ადგილის მთლიანად დამოწმება დაგვჭირდება.

„ამბორს მიყვეს მე ამბორის ყოფისაგან თვისისათა, რამეთუ უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფროს ღვინისა, და სულნელება ნელსაცხებელთა შენთა უფროს ყოველთა სულნელებათა, ნელსაცხებელ წარმოცარიელებულ სახელი შენი, ამისთვისცა ქალწულთა შეგიყვარეს შენ და მიგიზიდეს შენ. შემდგომად შენსა სულნელებასა შინა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდით, შემიყვანა მე მეუფემან საწოლსა შინა თვისსა, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ შენდამი, შევიყვარნენთ ძუძუნი შენნი უფროს ღვინისა: სიწრფოებამან შეგიყვარა შენ. შავ ვარ მე და კეთილ, ასულნო იერუსალემი-

სანო, ვითარცა საყოფელნი კედარისნი, და ვითარცა კრეტსაბმელი სიონ-
მონისი... ლუნითა ჩემითა ეტლთა შორის ფარაოსთა გამსგავსე შენ, მას-
ლობელო ჩემო. რაბამ განშვენდეს ღაწვნი შენნი, ვითარცა გვრიტისანი,
ყელი შენი ვითარცა ფარღული. მსგავსი ოქროსა გქმენით შენ [illegible]
თურთ ვეცხლისა... აჰა კეთილი ხარ, მოყვასო ჩემო, აჰა კეთილ [illegible]
თვალნი შენნი ტრედისა. აჰა კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო, და კვალად
შვენიერ, ცხედარსა ჩვენსათანა საგრილი. სართულნი სახლისა ჩვენისა,
ნაძვისანი და ფიცარი ჩვენი საროსანი" *(ქებათა ქება, თ. 1,1—4, 8—10, 14—16)*.

„მე ყვავილი სავსე, და შროშანი ღელეთა! ვითა შროშანი ეკალთა შინა, ეგრეთ მოყვასი ჩემი შორის ასულთა. ვითარცა ვაშლი შორის ხეთა ტყეთათა, ეგრეთ ძმისწული ჩემი შორის ძეთა, საგრილსა მისსა ქვეშე გულმან მითქვა და დავჯედ, და ნაყოფი მისი ტკბილი სასასა შინა ჩემსა. შემიყვანეთ მე სახლსა შინა ღვინისასა, და განაწესეთ ჩემ ზედა სიყვარული. დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა შინა, დამდევით მე ვაშლთა შინა, რამეთუ მოწყლულ ვარ მე სიყვარულითა. მარცხენა მისი თავსა ჩემსა ზედა, და მარჯვენამან მისმან შემიწყნაროს მე. გაფიცებ თქვენ, ასულნო იერუსალემისნო, ძალთა შინა, და ძლიერებათა აგარაკისათა, უკეთუ აღსდგეთ, და განაღვიძოთ სიყვარული... მომიგებს ძმისწული ჩემი და მეტყვის მე: აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, რამეთუ აჰა, ზამთარი, წარხდა წვიმა, განვიდა, განვიდა თავსა თვისსა შინა. ყვავილნი გამოჩნდეს ქვეყანასა ზედა, ჟამი სხლვისა მოიწია, ხმა გვრიტისა მოისმის ქვეყანასა შინა ჩვენსა. ლეღვმან გამოიღო ყვავილი თვისი, ვენახნი მწიფებულმან მოსცეს სულნელება. აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, კეთილო ჩემო, ტრედო ჩემო, და მოვედ! შენ, ტრედო ჩემო საფარდულსა შინა კლდისაჲსა, მახლობელად ზღუდისათანა, მიჩვენე მე პირი შენი, და მასმინე ხმა შენი, რამეთუ ტკბილ არს ხმა შენი, და სახე შენი შვენიერ... ვიდრემდის შერიჟრაჟდეს დღე და შეიძრნენ აჩრდილნი, მოიქეც, ემსგავსე შენ, ძმისწულო ჩემო, ჭურციკსა, ანუ ნუკრსა ირემისასა, მთათა ზედა ველოვანთა" *(ქებათა ქება, 2, 1—14)*.

„სარეცელთა ჩემთა ზედა ღამესა შინა ვეძიებდ, რომელი შეიყვარა სულმან ჩემმან, ვეძიებ მას და არა ვპოვე იგი: ვხადოდე მას და არა მისმინა მე. აღვდგე უკვე და მოვლო ქალაქსა შინა სავაჭროთა ზედა და უბანთა ზედა, და მოვიძიო რომელი შეიყვარა სულმან ჩემმან, ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი,ვხადოდე მას და არა მისმინა მე. მპოვეს მე მცველთა, რომელნი მოვლიდეს ქალაქსა შინა, იხილეთ თუ რომელი შეიყვარა სულმან ჩემმან. რამეთუ კნინ ოდენ წარვლე მათგან, ვიდრემდის ვპოვე რომელი შეიყვარა სულმან ჩემმან, შევიპყარ იგი და არა განუტევე იგი, ვიდრემდის შევიყვანე იგი სახლსა შინა დედისა ჩემისასა და საუნჯეთა ში-

ნა მშობლისა ჩემისათა. გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალემისანო ძალთა შინა, და ძლიერებათა შინა აგარაკისათა, უკეთუ შესძრათ და აღადგინოთ სიყვარული, ვიდრემდის უკეთუ ინებოს"... (*ქებათა ქებაჲ 3, 1—5*).

„აჰა კეთილ ხარ, მახლობელო ჩემო, აჰა კეთილ ხარ, თუალნი შენნი ტრედ არიან, თვინიერ დუმილისა შენისა. თმა შენი ვითარცა [illegible] თხათა, რომელნი გამოჩნდეს გალადისაგან. კბილნი შენნი, ვითარცა არეკ მორისულთა, რომელნი აღმოხდეს საბანელით, ყოველნივე ორთ ხორცნი, და ბერწი არა არს მათ შორის. ვითარცა საბელი ძოწეული, ბაგენი შენნი, და ზრახვა შენი შვენიერ, ვითარცა ნაქურცვენი ვარდისა, ვაშლი შენნი თვინიერ დუმილისა შენისა. ვითარცა გოდოლი დავითისა, ქედი შენი, რომელი აღშენებულ არს თალპიოსთ, ათასი ფარი დამოკიდებული მას ზედა, ყოველი ისარი ძლიერთა. ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი, რომელი სძოვდეს შორის შროშანთა... მოვედ, სძალო ლიბანით, მოვედ ლითანით... საყოფელთაგან ლომთასა, მთათაგან ვეფხთასა. გული ჩვენი მიიზიდე, დაო ჩვენო სძალო, გული ჩვენი მიიზიდე ერთითა თვალთაგან შენთათა ერთითა მძივსა შინა ყელისა შენნისათა, რაბამ განშვენდეს ძუძუნი შენნი, დაო ჩემო სძალო, რაი განშვენდეს ძუძუნი შენნი უფროს ღვინისაგან, და სუნნელება სამოსელთა შენთა ყოველთა ნელსაცხებელთა. გოლი მოსწვეთის ბაგეთა შენთა, სძალო, თაფლი და სძე ქვეშე ენასა შენსა და კეთილ სულნელება სამოსელთა შენთა, ვითარცა კეთილ სულნელება ლიბანისა. მტილი დახშული და ჩემი სძალი, მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული" (*ქებათა ქებაჲ, 4, 1—11*).

„მე მძინავს და გული ჩემი მღვიძარე არს, ხმა ძმისწულისა ჩემისა ჰრეკს კარსა შინა, განმიღე მე, დაო ჩემო, მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, სრულო ჩემო, რამეთუ თავი ჩემი აღივსო ცვარითა, და თმანი ჩემნი წვეთითა ღამისათა. განვიძარცვე სამოსელი ჩემი, ვითარ შევიმოსო მას შინა, დავიბანენ ფერხნი ჩემნი, ვითარ შევაგინნე მათ. ძმისწულმან ჩემმან მიყო ხელი თვისი სარკმლითა ნაძვით გამო და მუცელი ჩემი აღიძრა მისგან. აღვდგე მე განღებად ძმისწულისა ჩემისა, ხელთა ჩემთა დასწვეთდეს მური... განუღე მე ძმისწულსა ჩემსა, ძმისწული ჩემი წარვიდა, სული ჩემი განვიდა სიტყვასა შინა მისსა, ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი, უხმობდ მას, და არა მისმინა მე. მპოვეს მე მხმილავთა, რომელნი მოვლიდეს ქალაქთა შინა, მცეს მე და მწყლეს მე და განმძარცვეს ზეითი სამოსელი ჩემგან მცველთა ზღუდისათა... გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალემისანო ძალთა შინა და ძლიერებათა შინა აგარაკისათა, უკეთუ ჰპოოთ ძმისწული ჩემი, უთხართ მას, რამეთუ წყლულ ვარ მე სიყვარულითა..." (*ქებათა ქებაჲ, 5, 2—8*).

„ძმისწული ჩემი შთავიდა მტილსა შინა თვისსა, და ადგილსა შინა საკმეველთასა, მწყსად მტილთა შორის, დაკრებად შროშანთა. მე ძმის-

წულისა ჩემისა, და ძმისწული ჩემი ჩემდა, რომელი მწყსის შრომაშ[ი]ა შინა. კეთილ ხარ, მახლობელო ჩემო: ვითარცა სათნოება, შვენიერ, ვითარცა იერუსალემი, საკვირველ ვითარცა დაწესებულნი" (იქვე, 6, 1—4).

„...უპე შენი სასმელი გამოქნილი, არა მოკლებული სიპოხისა, მუცელი შენი, ვითარცა ხვავი იფქლისა, გარე მოცული შროშანთა. ძენი ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩიბევნი ქურციკისანი. ქედი შენი, ვითარცა გოდოლი სპილოს ძვალისა, თვალნი შენნი ვითარცა ტბანი ესებონსა შინა, ბჭეთა შორის ასულთა მრავალთა; ცხვირი შენი ვითარცა სვეტი ლიბანისა, მხედველი პირსა დამასკოსა; თავი შენი შენ ზედა, ვითარცა მთა კარმელი, და ნათხზენი თავისა შენისა, ვითარცა პორფირი სამეუფო, შეკრული თანა წარმავალთა შორის. რაბამ განმშვენდი და რაბამ დასტკბი, საყვარელო, სიტკბოთა შინა შენთა. ეს დიდებულება შენი მიამსგავსე ფინიკსა, და ძუძუნი შენნი ტევანთა: ვთქვი: აღვიდე ფინიკსა ზედა, დავიპყრე სიმაღლე მისი და იყვნენ ძუძუნი შენნი, ვითარცა ტევანნი ვენახისანი, და ყნოსა ცხვირთა შენთა, ვითარცა ვაშლისა, და სასა შენი, ვითარცა ღვინო კეთილი, სლვა ძმისა მიმართ ჩემისა სიწრფოებით, კმა არს ბაგეთა ჩემთა და კბილთა... მოველ, ძმაო ჩემო, განვიდეთ აგარაკსა ზედა, განვისვენოთ დაბათა შინა, აღვიმსოთ ვენახთა შინა, ვიხილოთ უკეთუ აღყვავნა ვენახი, აღყვავდეს თუ ხილნი, აღყვავდეს თუ ვარდნი: მუნ მოგცე შენ ძუძუნი ჩემნი. მანდაგორთა გამოსცეს სულნელება, და კართა თანა ჩვენთა ყოველნი ნიგოზთანი ახალ ძველთადმდე, ძმაო ჩემო, დაგიმარხენ შენ" (იქვე, 7, 2—13).

„ვინა მოგცეს შენ, ძმაო ჩემო, წოვნად ძუძუნი დედისა ჩემისანი, გპოვე შენ გარე, ამბორს გიყავ შენ, და მერმე არა შეურაცხ მყო მე. შეგიპყარ შენ, და შეგიყვანო სახლსა შინა დედისა ჩემისასა, და საშოსა მუცლად ღებულისა ჩემისათა, მუნ მასწაო მე, გასვა შენ ღვინისაგან სულნელითურთ შენებულისა, და წყლისაგან ვაშლთა ჩემთა. მარცხენა მისი თავსა ჩემსა ზედა, და მარჯვენა მისი მომეხვიოს მე. გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო ძალთა შინა და ძლიერებათა აგარაკისათა, უკეთუ შესძრათ და აღადგინოთ სიყვარული, ვიდრემდის უკეთუ ინებოს... დაი ჩვენი მცირე, და ძუძუნი არა ასხენ, რაი უყოთ დასა ჩვენსა დღესა შინა, რომლისა შინა უკეთუ ითქმის... მე ზღუდე, და ძუძუნი ჩემნი, ვითარცა გოდოლნი" (ქებათა ქება, 8, 1—4, 8—10).

(ო, შენ რომ ძმა იყო ჩემი, დედაჩემის ძუძუ გეწოვა, გარეთ შეგხვდებოდი, გაკოცებდი, არავინ დამძრახავდა, დედის სახლში შემოგიყვანდი, შენ მასწავლიდი, მე კი სურნელოვანი ღვინით გაგიმასპინძლდებოდი, ბროწეულის წვენით დაგატკბობდი. მისი მარცხენა ხელი თავქვეშ მექნებოდა, მარჯვენა მომეხვეოდა. გაფიცებთ, იერუსალიმის ასულნო, არ გამიღვიძოთ, ვიდრე ინებებს... ჩვენ და გვყავს პატარა, ჯერ ძუძუები არ

უჩანს. რა ვუყოთ დას, როცა მისი ხელის სათხოვნელად მოგვადგებიან? ჩემი მკერდი ზღუდეა, ძუძუები კოშკები...).

ასეთი გახლავთ თავისი მშვენიერებით ცნობილი „ქებათა ქება“, რაც ამდენი დავის საგანი ყოფილა. ცრუმორწმუნეობისაგან [illegible] ცდომილებისაგან თავისუფალი ადამიანები ამაში ხედავენ [illegible] ის დროის გემოვნების სატრფიალო რომანს თუ რომანსს. მაგრამ ღვთისმეტყველნი, ქრისტიანებიცა და ებრაელებიც, სხვანაირად ფიქრობენ. ებრაელები თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ პოეტის ხოტბის საგანი, არც მეტი, არც ნაკლები, ღმერთია, ხოლო მისი სატრფო, ხეობის შროშანი... ისრაელი ხალხი. „ქება ქებათა“ ახსნილია, როგორც ებრაელი ხალხის ისტორია „ეგვიპტიდან გამოსვლის“ დროიდან ვიდრე, მესიის“ მოვლინებამდე, როცა თითქოს უნდა მესამედ აშენდეს იერუსალიმის ტაძარი. ამ განმარტების გასამართლებლად გამოიყენეს თალმუდის მთელი რთული, დახლართული, ბუნდოვანი ტექსტი, მისი კაზუისტიკა, ერთნაირად წარმოსათქმელი სიტყვების შემოკლება, შედარება და შეცვლა.

რაც შეეხება ქრისტიან, კერძოდ კათოლიკე ღვთისმეტყველებს, სრულიად ასხვაფერებენ ებრაელ სწავლულთა განმარტებას და მთელი სერიოზულობით ამტკიცებენ, რომ ეს ეროტიკული პოემა უზენაესი შთაგონების წყაროა, წინასწარმეტყველური წიგნია, რომელშიაც ქრისტეს სიყვარული ეკლესიისადმი და ეკლესიისა — თავისი ღვთაებრივი დამაარსებლისადმი, რაც მეუღლის სახითაა წარმოდგენილი, თუმცა თამამ ფორმებშია მოცემული, მაგრამ მისი სახიფათო ხასიათი მისტიკური აზრითაა განსპეტაკებული და მისი გამასხრება შეუძლიათ მხოლოდ უკეთურებსა და თავისუფალ მოაზროვნეებს.

პირველი მისტიკური ახსნა ამ აზრით ეკუთვნის ეკლესიის ერთ-ერთ მამას — ორიგენს, რომელმაც ამასთან დაკავშირებით სქელტანიანი კომენტარები შეადგინა. საკმაოდ თავშესაქცევი ამბავია, სხვათა შორის, რომ ამ დიდებული აღმოჩენის პატივი ეკუთვნის ეკლესიის იმ მამას, რომელმაც სახელი განითქვა არა მარტო თავისი ღრმა ჭკუითა და ეკლესიის ერთგულებით, არამედ იმითაც, რომ თავი დაისაჭურისა. დასაჭურისებული ორიგენის კვალს მიაწყდა ყველა ქრისტიანი ექსეგეტი — ბიბლიის ტექსტის განმმარტებელი, მთელი სამღვდელოება, გაბედნიერებული შემთხვევით, რომ გულუბრყვილო მორწმუნეებისათვის შესანიშნავი ბიბლიური ალეგორიები მიეცათ.

ჰოდა, ამ მახვილგონივრული ოინის წყალობით „ქებათა ქებას“ დედათა მონასტრებში მარტოხელა მონაზვნებს აფორიაქებული სისხლის დასაწყნარებლად მიართმევენ ხოლმე. მაგრამ გასაგებია, როგორი იქნება ნამდვილი ზემოქმედება ამ პოემისა უბედურ ტყვე ქალებზე, რომლებიც მოკლებული არიან ბუნებრივ სიამეს, რომელთაც ჯერ-ნაკლებად ისტერი-

ული მისტიციზმი შთააგონებს, რომ ხორციელი სიამოვნება ცოდვაა და მათი ნამდვილი საქმრო იესო ქრისტეა. თავიანთ საცოდავ სენაკებში გამოკეტილი უსიხარულო მონაზვნები თავიანთ თავს ეკლესიასთან აიგივებდნენ — შეყვარებულ იესოს სარძლოებად ასაღებდნენ თავს და მიძღვებოდნენ მარტოხელა ქალების ოცნებას, რომლის შინაარსიც ყველამ ვიცით.

ეს უაზრო განმარტება რომ ადამიანთა გონებაში ფესვები ჰქონდა, ეკლესიის მსახურებმა „ქებათა ქების“ ყველა რვა თავს განსაკუთრებული სათაური გამოუნახეს. ამ სათაურებიდან პირდაპირ მოჰქრის ღვთისმეტყველური ეშმაკობისა და პირფერობის სიო. აგერ, ისინიც:

თავი I. ცოლი ქმარს სიყვარულს უცხადებს, ქმარი კი — ცოლს.

თავი II. ეკლესიის სიტყვა იესო ქრისტეზე.

თავი III. როგორ ეძებს ეკლესია იესო ქრისტეს და როგორ უხარია, როცა პოულობს.

თავი IV. ცოლის მშვენიერება, მისტიკურად აღწერილი სრულიად მისტიკური გამოთქმებით.

თავი V. ცოლის სინანული იმის გამო, რომ მეუღლის ძებნას სათანადოდ არ უპასუხა. აღწერს ქმრის სილამაზეს.

თავი VI. დიალოგი იესო ქრისტესა და ეკლესიას შორის.

თავი VII. კიდევ ერთი მისტიკური აღწერილობა ცოლის სილამაზისა. ეკლესიის ერთგული სიყვარული იესო ქრისტეს მიმართ.

თავი VIII. ეკლესიისა და იესო ქრისტეს ურთიერთ სიყვარული.

მოდით, ჩვენი გამოკვლევის ეს ნაწილი ვოლტერის სიტყვებით დავამთავროთ: „რაკი „ქება ქებათა“ ეკლესიის მსახურთა მიერ განიხილება, როგორც იესო ქრისტესა და ეკლესიის მარადიული საქორწინო კავშირი, ჩვენც კეთილმსახურულ სურვილს მივყვებით, გვინდა ამ ნაწარმოებში ყველაფერი ავხსნათ და ძალიან გვინდა ვიცოდეთ, რაღას ნიშნავს ეს ადგილი: „დაი ჩვენი მცირე, და ძუძუნი არა ასხენ, რაი ვუყოთ დასა ჩვენსა?“ *(ქება ქებათა, 8, 8)*.

მართლა, რაი ვუყოთ?

უფრო იოლი გასაგებია სოლომონის სიბრძნის ის ნაწილი, რაც ყმაწვილის აღზრდასა და საქციელს ეხება: შვილო ჩემო, თუ გინდა იცოცხლო, ჩემი მცნება შეისმინეო; მამის რჩევას მიჰყევი, დედის სიტყვას არ გადახვიდეო; ეს მორჩილება საუკეთესო თავსამკაულია და კისრის დამამშვენებელი ჯაჭვიო; თუ უკუღმართი ყმაწვილები გაცდუნებენ, არ გაჰყვეო; თუ დედ-მამა ძარცვასა და კაცის კვლას გიქადაგებენ, ნურც ასეთი მშობლების ბილიკს დაადგებიო; ბრძენთა სამკვდრო პატიოსნებაა და სულელი რომ მაღლა ავა, დაბლა დაეცემაო...

ამ თავისთავად უზადო რჩევებს საფუძვლად, ცხადია, ისევ მორჩილება და უფალ საბაოთის სიყვარული უდევს. ვინც მათ მიჰყვება, ციურ სასუფეველში მოხვდება და არ გადაიჩეხება იმ საშინელ ორმოში, იერუსალიმის მახლობლად რომ იყო, ინნოს ხეობის სახით, შიგ ჩამოვარდნილ კაცებსა და ძაღლებს ყრიდნენ და მოგვიანებით უწოდეს [illegible] ხეთი*.

* სოლომონის სიბრძნის სალარო ხალხმა ისე გაამდიდრა, რომ ხშირად „სიბრძნიაო“ ეჩრდილება. ამისი ბრწყინვალე ნიმუშებია ქართული ხალხური ზღაპრები: „სოლომონ ბრძენი და ბერიკაცი“, „სოლომონ ბრძენის რჩევა“ „სოლომონ ბრძენი და ღარიბი გლეხი“... (ხალხური სიბრძნე. ნაკადული, 1964. ტ. II, 301—308).

ისრაელთა და იუდეველთა მეფეების წმინდა ისტორია

ერისენული ბიბლიოთეკა

ოლომონის ტახტის მემკვიდრე იყო მისი შვილი რობოამი. თითქოს ყველაფერი უსაფუძვლოდ გარიგებული, რადგან წმინდა ავტორმა ახლახან გვაუწყა, არასოდეს ისრაელი ხალხი ისე სვებედნიერი არ ყოფილა, როგორც სოლომონის მეუფების ჟამს, და საყოველთაო კეთილდღეობა ისეთ დონეზე იდგა, რომ ოქრო უხვად იყო, ვერცხლი კი უბრალო ქვასავით საღდებოდა და განსაკუთრებული ფასი არ ედო. მაგრამ ღვთაებრივ მტრედს, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, მეტად მოკლე მეხსიერება აქვს, ხოლო მართლმორწმუნე ებრაელებისა და ქრისტიანების გულუბრყვილობის გამასხრება ხომ განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებს! ბიბლია ახლა უკვე დამშვიდებით მოგვითხრობს, ებრაელი ხალხი სიქემში შეიყარა და სოლომონის შვილს ასეთი სიტყვით მიმართავსო: „მამამან შენმან დაგვიმძიმა სახივი ჩვენი, ხოლო აწ შენ აღგვისუბუქე მონებისაგან მამისა შენისა სასტიკისა, და სახივისაგან* მისისა მძიმისა, რომელი დაგვადგა ჩვენ ზედა, და გმონებდეთ ჩვენ“ *(3 მეფეთა, 12, 4)*.

რობოამმა რჩევა ჰკითხა მოხუცებს — მისი მამის ყოფილ მრჩევლებს. მოხუცებმა აღიარეს, განსვენებულმა მართლაც აუტანელი გადასახადები დააკისრაო ხალხს და ასეთი მოსაზრება გამოთქვეს: კარგი იქნება, თუ გადასახადებს შეამცირებ, მაშინ დაგემონება ხალხი და აღარ დაიწყება დრტვინვა დინასტიის წინააღმდეგო. მაგრამ მეფემ რჩევა ახალგაზრდებსაც ჰკითხა, რომელთა შორისაც იზრდებოდა. აქ უკვე სხვა რჩევა მოისმინა (მუხლ. 6—10). ხოლო როცა სახალხო დეპუტატები ეგვიპტიდან დაბრუნებული იერობოამის მეთაურობით ახალგაზრდა მეფეს ეახლნენ, რობოამმა პასუხი გასცა: „ნეკი ჩემი უმსხოსია წელისაგან მამისა ჩემისა. მამამან ჩემმან დასდვა თქუენ ზედა სახივი მძიმე, ხოლო მე შევსაიჲო (შევმატო) სახივისა თქუენისა მიმართ: მამამან ჩემმან გასწავლა თქუენ წყლულებითა (დაგსჯათ მათრახით), ხოლო მე გსწავლო თქუენ ღრიანკალითა (დაგსჯით მორიელებითო“). ცხადია, ასეთი სიტყვით

---

* სახივი — ქედის ბორკილი (საბა).

რობოამი ხალხის სიყვარულს ვერ მოიპოვებდა. მაგრამ ბიბლია წარობს აგვიხსნას: ღმერთმა იზრუნაო ხალხის მაგიერ: „არა ისმინა ღმერთმან ერისა, რამეთუ იყო გარდაქცეულ უფლისაგან, რათა დაამტკიცის სიტყვაი თვისი, რომელსა ეტყოდა ხელითა აქიაი სილომიტელისათა ერობოამისთვის, ძისა ნავაქისა“ *(მუხლ. 15)*.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ არც მეტი, არც ნაკლები, თვითონ ღმერთს ჩაუგონებია ახალგაზრდა მეფის მეგობრებისათვის ცუდი რჩევების მიცემა და ისე დაუბნელებია თვითონ რობოამისათვის გონება, რომ ხალხისათვის ზემოთ მოტანილი სისულელე უთქვამს. ხალხი, რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილო დარჩა და დრტვინვით დაუბრუნდა კარვებს. რობოამი კი, რომელმაც ხარკის ამკრეფი ადონირამი გაგზავნა გადასახადების ასაკრებად, მალე შეაწუხეს არასასიამოვნო ცნობით: შენს ქვეყანაში არეულობა დაიწყო და თვითონ მეფის რწმუნებული მოკლესო. ამ ცნობამ მისი უდიდებულესობა ისე შეაშინა, რომ გაქცევა ამჯობინა: „და წარავლინა მეფემან რობუამ ადონირამ, რომელი იყო ხარკსა ზედა, და დაქოლეს იგი ქვითა ყოველთა ისრაელთა, და მოკვდა. ხოლო მეფემან რობუამ ისწრაფა აღსლვად ეტლთა ზედა, და ივლტოდა იერუსალემსა შინა. და განივლტა ისრაელი სახლისაგან დავითისა, ვიდრე დღეინდელად დღედმდე“ *(მუხ. 18)*.

„და იყო, რაჟამს ესმა ყოველსა ისრაელსა, რამეთუ მოიქცა იერობოამ ეგვიპტით, წარუვლინეს, წარუვლინეს და მოუწოდეს მას შესაკრებელსა შინა, და გაამეფეს იგი ისრაელსა ზედა, და არა ვინ იყო შემდგომ სახლისა დავითისა, გარნა სკიპტრა იუდასი ოდენ და ბენიამენისა. და შევიდა რობოამ იერუსალემსა შინა, და შეკრიბა ყოველი კრებული იუდასი, და სკიპტრა ბენიამენისა, ას ოცი ათასი ჭაბუკი, მყოფნი ბრძოლისანი, მწყობრად სახლსა ზედა ისრაელისასა, რათამცა მოუქციეს მეფობა რობოამს ძესა სოლომონისსა“ *(3 მეფეთა, თ. 12, 20—21)*. ისევ ეს სასაცილო გაზვიადებანი! ერთი პატარა, ნახევრად ველური ხალხის პატარა უბედურმა მეფემ ას ოთხმოცი ათასიანი არმია შეაგროვა? ვინ დაიჯერებს ამას?*

„და იყო სიტყვაი უფლისაი სამეის მიმართ, კაცისა ღვთისაი, მეტყველი: არქვი რობოამს, ძესა სოლომონისსა, მეფესა იუდასსა, და ყოველსა სახლსა იუდისსა, და ბენიამენისსა, და დანაშთომთა ერთა და ეტყოდი: ესრეთ იტყვის უფალი: ნუ აღხვალთა, ნურცა ებრძვით ძმათა თქვენთა, ძეთა ისრაელისათა, არამედ მიიქციით კაცად-კაცადი სახლსა შინა

---

* ქართულ დაბადებაში სხვა წყაროს ცნობაა: 120000 კაცი (საერთოდ, ციფრებში ხშირია განსხვავება. ტაქსილს იგივე ცნობა აქვს, რაც ლუთერის გერმანულ ბიბლიაშია, და მეფეთა წიგნების სათვალავშიც განსხვავებაა: დაბადების მესამე მეფეთა გერმანულში პირველია).

თქვენსა, რამეთუ ჩემგან იქმნა სიტყვა ესე, და ისმინეთ სიტყვა უფლისა. და დასცხრნენ წასლვად სიტყვისა ებრ უფლისა. და მეფესა სოლომონს ეძინა მამათა თანა თვისთა, დადებულ იქმნა ქალაქსა შინა დავითისა, ხოლო მეფობდა რობუამ, ძე მის წილ იერუსალემს შინა ყოველთა ტომთა მეტისა წლისა, ოდეს მეფე იქმნა“ (მუხლ. 22—24).

ამრიგად, ებრაელთა სამეფო ორ სამეფოდ დანაწილდა, რომელთაც ამიერიდან ეწოდათ იუდეა და იზრაილი (ისრაელი). პირველის მეფე იყო რობოამი (რობუამი), მეორეს კი განაგებდა იერობოამი. უნდა ვიფიქროთ, რომ სიქემი, სადაც ხალხი შეიყარა, რათა თავისი სურვილი რობოამ სოლომონის ძისათვის გაემჟღავნებინა, როგორც ქალაქი, არ არსებობდა, რადგან ქვემოთ ბიბლია ლაპარაკობს: „და აღაშენა იერობოამ სიკიმა მთასა შინა ეფრემისთა, და დაემკვიდრა მას შინა, და განვიდა მუნითგან და აღაშენა ფანუილი“ (მუხლ. 25).

თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ იერობოამი, ყოფილი მსახური, მადლობელი იყო ღმერთისა, რომელმაც სამეფო უბოძა. თქვენც არ მოგიკვდეთ! წავიდა, ორი ოქროს ხბო შეუკვეთა, ამათ ეთაყვანეთ, იერუსალიმში წასვლა აღარ დაგჭირდებათო!

„და თქვა იერობოამ გულსა შინა თვისსა: „აჰა, აწ მიიქცა მეფობა სახლისა შინა დავითისსა. უკეთუ აღვიდეს ერი ესე შეწირვად მსხვერპლისა ტაძარსა შინა უფლისასა იერუსალემს შინა, და მიიქცეს გული ერისა უფლისა მიმართ მათისა, და რობუამის მიმართ მეფისა იუდასა, და მომკლან მე! და განიზრახა მეფემან, და ქმნა ორნი ხბონი ოქროსანი, და თქვა ერთა მიმართ: კმა არს თქვენდაღა სლვად იერუსალიმს შინა: აჰა, ღმერთნი შენნი, ისრაელ, გამომყვანებელი შენი ქვეყანით ეგვიპტით, და დაადგინა ერთი ბეთილსა შინა, და მეორე დანსა შინა, და იქმნა სიტყვა ესე შეცოდებად: და მივიდოდეს ერნი წინაშე პირსა ხბოსა ერთისასა ვიდრე დანამდე, და დაუტევეს ტაძარი უფლისა. და ქმნა იერობოამ ბოსონი მაღალთა ზედა და უქმნა მღდელთა წილი ერთგან, რომელნი არა იყვნენ ძეთაგან ლევისათა... და აღვიდა საკურთხეველსა ზედა, რომელი ქმნა ბეთილს შინა, მერვესა თვესა, მეათხუთმეტესა შინა დღესა თვისასა, დღესასწაულობად, რომელი შეაზავა გულისაებრ თვისისა, და უქმნა დღესასწაული ძეთა ისრაელისათა, და აღვიდა საკურთხეველსა ზედა, რათა უმსხვერპლიდეს“ (3 მეფეთა, 26—33).

თუ ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება, ის კიდევ ერთი ახალი დადასტურებაა იმისა, რომ ებრაელთა რელიგია მაშინ ჯერ კიდევ არ ყოფილა დადგენილი. ეს პატარა ლტოლვილი ხალხი, როგორცა ვხედავთ, ყოველ წუთს იცვლის სარწმუნოებას. რაც ეგვიპტიდან გამოვიდა, და ეს გამოსვლაც ხომ ლეგენდარულია, ეზდრას დრომდე ‘აგერ უკვე რამდენჯერ იცვალა რწმენის სიმბოლო. ყურადღება მიაქციეთ, რა უსაშველო მიდრეკი-

ლება აქვს ხბოების, როგორც რელიგიის, ღვთაების გამოხატულებისადმი! ხომ გახსოვთ, როგორ გაანადგურა ღმერთმა 23 000 კაცი აარონის ოქროს ხბოს გულისათვის! ახლა კი, ჩვენი ანგარიშით, იერობოამის ორი ხბოს გულისათვის ორჯერ მეტი, სულ მცირე 46 000 კაცი უნდა დაეხოცა, მაგრამ ამჯერად სულ საპირისპირო რამეს ვხედავთ.

„და აჰა კაცი ღვთისა (იოსებ ფლაბიუსი მას წინასწარმეტყველ ადას უწოდებს. — ლეო ტაქსილი) მოვიდა იუდასაგან სიტყვისაებრ უფლისაი ბეთილს, და იერობუამ იყო მდგომარე საკურთხეველსა ზედა შეწირვად მნებებელი.

და ღაღად ყო საკურთხეველისა მიმართ სიტყვითა უფლისათა, და ჰრქვა: საკურთხეველო საკურთხეველო, ესრეთ იტყვის უფალი: „აჰა ძე იშვას სახლსა დავითისსა, სახელი მისი იოსიაი, და შეწიროს შენ ზედა მღდელნი შემწირველნი შენ ზედა, და ძვალნი კაცთანი დაწვას შენ ზედა“.

და მოსცეს მას დღესა შინა სასწაული და იტყოდეს: ესე სიტყვაი, რომელი თქვა უფალმან: აჰა, საკურთხეველი განიბნიოს, და დაინთხიოს ცმელი, რომელ არს მას ზედა.

და იყო, ოდეს ისმინა მეფემან, იერობუამ სიტყვა კაცისა ღვთისა, რომელმან ღაღადყო საკურთხეველისა მიმართ, რომელ არს ბეთილსა შინა, და განირთხა ხელი თვისი მეფემან საკურთხეველისაგან და იტყოდა: იპყარით იგი, და აჰა, შეხმა ხელი მისი, რომელი განიპყრა მას ზედა, და არღა ძალ ედვა მოქცევად იგი თვისდა.

და საკურთხეველი განსქდა, და დაინთხია ცმელი საკურთხეველისაგან სასწაულისაებრ, რომელი მოსცა კაცმან ღვთისამან სიტყვისაებრ უფლისა.

და ჰრქვა მეფემან იერობუამ კაცსა ღვთისასა: ევედრე აწ წინაშე პირსა უფლისა ღვთისა შენისასა, რათამცა მოიქცეს ხელი ჩემი ჩემდა: და ევედრა კაცი ღვთისა წინაშე პირსა უფლისასა, და მოეგო ხელი მეფისა მის მიმართ, და იქმნა ვითარცა პირველ.

და იტყოდა მეფე კაცისა მიმართ ღვთისა: შემოვედ ჩემთანა სახლსა შინა და ვისადილნეთ. და მიგცე შენ ნიჭი“. *(3 მეფეთა, თ. 13, 1—7).*

მაგრამ წინასწარმეტყველს ძალიან ზუსტი ინსტრუქციები ჰქონდა ღვთისაგან, რომელმაც მეფის პურის ჭამა აუკრძალა: „და ჰრქვა კაცმან ღვთისამან მეფესა: უკეთუ მომცე ნახევარი სახლისა შენისა, არა შემოვიდე შენთანა, არცა ვჭამო პური, არცა ვსვა წყალი ადგილსა ამას ზედა, რამეთუ ესრეთ მამცნო უფალმან სიტყვითა და მეტყოდა: ნუ სჭამ პურსა, ნუცა სვამ წყალსა, ნუცა მიიქცევი გზითა მით, რომლითაცა მიხვედ ბეთილს“ *(მუხლ. 9)*. ამრიგად, უარი თქვა სადილსა და საჩუქრებზე და იუდის სამეფოში დაბრუნდა, თანაც სხვა გზით და „არა მიიქცა გზით

:მით, რომლითაცა მივიდა ბეთილს". დამბლადაცემული ხელის სასწაული, რა თქმა უნდა, დიდი არაფერია იმ სასწაულებთან შედარებით, რომლებიც აქამდე მოვისმინეთ. საბედნიეროდ, ჩვენ მალე შევხვდებით წინასწარმეტყველ ილიას და სასწაულებსაც მაშინ ვნახავთ! რაც შეეხება ღმერთისაგან „ღვთის კაცის" გაფრთხილებას, რომ არც საჭმელს მიეროს იერიხონთან და არც სასმელს, ეს ერთხელ კიდევ იმაზე მეტყველებს, რომ მისი სამფლობელოები არც ისე ფართო ყოფილა. კაცს შეეძლო სამარიაში საუზმე მიერთვა და ვახშმად იერუსალიმში ჩაეღწია, ისიც ფეხით. მით უფრო, წინასწარმეტყველი, რომელიც უბრალო ცხოვრებას იყო მიჩვეული, შეიძლებოდა იოლად გასულიყო უსაუზმოდაც. ბეთილშიც არაფერს შეჭამდა და ისე ჩავიდოდა იერუსალიმში, ბეთილი ხომ სამარიაზე უფრო ახლოს იყო ამ ქალაქიდან.

„და წინასწარმეტყველი ერთი მოხუცებული ცხოვრობდა ბეთილს შინა, და მივიდეს ძენი მისნი, და მიუთხრეს მას ყოველნი საქმენი, რომელნი ქმნა კაცმან ღვთისამან, მას დღესა შინა ბეთილს, და სიტყვათა, რომელთა ეტყოდა მეფესა, და მოაქციეს პირი მამისა თვისისა.

და ეტყოდა მათ მამაი მათი, და ჰრქვა, რომლითა გზითა წარვიდა. და უჩვენებდეს ძენი მისნი გზასა მას, რომლითაცა გზითა წარვიდა კაცი იგი ღვთისა, რომელი მოსრულ იყო ქვეყანით იუდასით.

და ჰრქვა ძეთა თვისთა, შემიკაზმეთ მე კარაული და დაუსხნეს მას კარაულსა, და შეჯდა მას ზედა.

და წარვიდა უკანით კაცისა ღვთისაი, და ჰპოვა იგი მუხასა ქვეშე მჯდომარე, და ჰრქვა მას: შენ ხარ კაცი ღვთისა, მოსრული იუდასაგან. და ჰრქვა მას: მოვედ ჩემთანა ჭამად პურისა, და არცა ვსვა წყალი ადგილისა ამისგან.

რამეთუ ესრეთ მამცნო მე უფალმან სიტყვითა და მეტყოდა: ნუ ჭამ მუნ პურსა, ნუცა სვამ წყალსა მუნ და ნუცა მიიქცევი გზითა მით, რომლითა მიხვედ მას შინა.

და ჰრქვა მას: მეცა წინასწარმეტყველი ვარ, ვითარცა შენ, და ანგელოზი იტყოდა ჩემდამო სიტყვითა უფლისათა და მეტყოდა: მოაქციე იგი შენდა სახლსა შინა შენსა, რათა ჭამოს პური, და სვას წყალი: და უბრკმა მას (ე. ი. მოატყუა, შეაცდინა).

და მოაქცია იგი და ჭამა პური, და სვა წყალი სახლსა შინა მისსა" *(3 მეფეთა, თ. 13, 11—19)*.

საყურადღებო ამბავია, რომ თუ ვინმე თავს წინასწარმეტყველად გაასაღებდა, მაშინვე უჯერებდნენ, ცარიელ სიტყვას ენდობოდნენ. ჩვენ გვახსოვს, რომ საულის დროს წინასწარმეტყველნი პირდაპირ დასებად დადიოდნენ, და ანდაზაც ასე დარჩა: „საულიც წინასწარმეტყველია?"

როგორც კი ბეთილელმა ბერიკაცმა მგზავრს უთხრა, მეც შენსავით წინასწარმეტყველი ვარო, მგზავრიც მაშინვე გაჰყვა სახლში და პური ჭამა.

„და იყო სხდომასა მათსა ტრაპეზსა ზედა, იყო სიტყვა უფლისა წინასწარმეტყველისა მიმართ, მომქცეველისა მისისა.

და ჰრქვა კაცსა ღვთისასა, მოსრულსა იუდაგან, — ეტყველმან: ესრეთ იტყვის უფალი: ვინათგან გარდაჰხედ სიტყვასა უფლისასა, და არა დაიმარხენ მცნებაი, რომელი გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, და მოიქეც და ჭამე პური, და სვი წყალი ადგილსა ამას ზედა, რომლისათვის გარქვი შენ და გეტყოდი, რათა არა ჭამო პური, და არცა სვა წყალი, ამისთვის არა შევიდეს ხორცი შენი საფლავსა შინა მამათა შენთასა.

და იყო შემდგომად პურისა ჭამისა და შემდგომად წყლის სმისა, შეჰკაზმეს კარაული მის წინასწარმეტყველისა და მიიქცა და განვიდა.

და ჰპოვა იგი ლომმან გზასა ზედა. და მოკლა იგი. და იყო გვამი მისი დაგდებული გზასა ზედა, და კარაული დგა მას ზედა, და ლომი იდგა მახლობელ გვამისა მისისა.

და აჰა კაცნი მოვიდოდეს და იხილეს მკვდარი, განგდებული გზასა ზედა, და ლომი იდგა მახლობელ მკვდრისა: და მოვიდეს და მიუთხრეს ქალაქსა შინა, რომელსა შინა სცხოვრობდა წინასწარმეტყველი მოხუცებული.

და ისმინა ესე, წინასწარმეტყველმან, მიმაქცეველმან მისმან გზით, და თქვა: კაცი ღვთისა არს ესე, რომელი გარდაჰხდა სიტყვასა ღვთისასა, და მისცა იგი უფალმან ლომსა, და შემუსრა იგი და მოკლა იგი, სიტყვისაებრ უფლისა, რომელმან ჰრქვა მას.

და უბრძანა ძეთა თვისთა და ეტყოდა: შემიკაზმეთ მე კარაული!

და შეუკაზმეს, და წარვიდა და პოვა გვამი მისი, განგდებული გზასა ზედა, და კარაული და ლომი დგეს გვამსა ზედა, და არა ეჭამა ხორცი ლომსა კაცისა ღვთისა და არა შეემუსრა კარაული.

და აღიღო წინასწარმეტყველმან გვამი კაცისა ღვთისა და დადვა იგი კარაულსა ზედა და მოაქცია იგი წინასწარმეტყველმან, და შევიდა ქალაქსა შინა დაფლვად მისა.

და დადვა გვამი მისი საფლავსა შინა თვისსა, და გოდებდა მისთვის, ჰრქვა ძეთა თვისთა, და ეტყოდა: „უკეთუ მოვკვდე, მუნ დამფალით მე საფლავსა მას შინა, სადაცა კაცი ღვთისა დამარხულ არს, ძვალთა თანა მისთა დამდევით მე, რათა ცხონდეს ძვალნი ჩემნი ძვალთა თანა მისთა“ *(3 მეფეთა, 13, 20—31)*.

ასეთია ბედუკუღმართი მგზავრის სავალალო აღსასრული, თუმცა საიმისო არაფერი დაუშავებია: უცნობმა კაცმა თავი მოძმე წინასწარმეტყველად გაუსაღა, ხის ქვეშ რომ ისვენებდა დამშეული, მოატყუა, აჭამა, დაღუპა პატიოსანი ადამიანი და თვითონ კი დაუსჯელი დარჩა, თუმცა

წინასწარმეტყველთან ერთად მიირთვა სადილი. ეს საცოდავი „ღვთის კაცი", როგორც ეტყობა, დიდ როლს არ თამაშობდა ძველს ღვთაებრივ ისტორიაში: ლომს რომ არ შეყროდა და მერე მის გვამთან ასე თავგამოდებით არ მდგარიყო ის სახელოვანი სახედარი (კარაქანი?), მისი ამბავი სრულ დავიწყებას მიეცემოდა.

ახლა იერობოამის ამბავს არ იკითხავთ? კაცი იფიქრებდა, რომ ასეთი უსიამოვნება, ხელის დამბლა და მერე მისი უეცარი მორჩენა გონს მოიყვანდა და ოქროს ხბოების თაყვანისცემაზე ხელს ააღებინებდა. ესეც რომ არ იყოს, ღვთის კაცის სიკვდილი უთუოდ შეატყობინეს და ამაზე დიდი უბედურება რაღა იქნებოდა? ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ „შემდგომად სიტყვისა ამის არავე მოიქცა იერობოამ სიბოროტისაგან თვისისა, და მიიქცა და ქმნა ზოგნი მის ერისაგან მღდლად მაღალთა: რომელსა უნებნ, აღავსის ხელი მისი და იქმნნის მღდელ მაღალთა ზედა" *(მეფ. 33)*.

რაღა თქმა უნდა, ასეთი გამოუსწორებელი ცოდვილი სასჯელს ვერ გადარჩებოდა: ღმერთმა აუკრძალა, ის კი უწინდებურად განაგრძობს კერპთა თაყვანისცემას, მღვდლებსაც კი ნიშნავს ხალხიდან. მაგრამ ვის მოხვდა უფრო მძიმე სასჯელის კვერთხი? იერობოამს? არა! დაისაჯა მისი ახალგაზრდა შვილი, სახელად აბია. ყმაწვილი უეცრად ავად გახდა. იერობოამს აზრმა გაუელვა: წინასწარმეტყველ აქიას დავეკითხებიო, იმას, ვინც თავისი მოსასხამის ათი ნაჭერი მისცა და ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა. აქ ისრაელთა მეფის ლოგიკის ნაკლებობა ფანტასტიკურ ზომებს აღწევს. მან უკვე იცის, რასაც წარმოადგენს ღვთაების ყოვლისშემძლეობა და ყოვლისცოდნა. მაგრამ აქიას რომ ღმერთთან შუამდგომლობას სთხოვს, შვილი მომირჩინოსო, აქია მაინც მის მოტყუებას განიზრახავს, ამ წმინდა კაცისას. იერობოამი თავის უწმინდეს მეუღლეს გზავნის სილომში, წინასწარ კი ისე მოსავს, რომ აქიამ ვერ იცნოს. მეფე ასე ვარაუდობს: ჩემი ცოლი მხოლოდ ზოგადად ეტყვის აქიას შვილის ავადმყოფობას და თავის ვინაობას არ გაუმხელსო.

ჰოდა, აი, მისი უდიდებულესობის მეუღლე, დედოფალი ისრაელისა, სილომში ჩადის. ბიბლია გზადაგზა გვაუწყებს, პროგრამის გარეშე, რომ აქია სიბერისაგან თვალში ვეღარ იხედებოდა: „ხოლო კაცი მოხუცებულ იყო ხედვად, და თვალნი მისნი მობრყვილებულ სიბერისა მისისაგან" *(3 მეფეთა, 14, 4)*. ამრიგად, რა მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ ამ საქმეს, დედოფლის გადაცმა სრულიად ზედმეტი ხდება. „და ჰრქვა უფალმან აქიას: აჰა, მოვალს შენდა ცოლი იერობოამისა კითხვად შენდა ძისათვის მისისა, რამეთუ სნეულ არს: ესრეთ და ესრეთ ეტყოდე მას, რაჟამს შემოვიდეს გამოჩინებად შენდა. და იყო ოდეს, ესმა აქიას ხმა ფერხთა მისთა მოსლვასა მას მისსა ბჭეთა შინა, და ჰრქვა: შემოვედ, ცოლო იე-

რობოამისაო, რაისა შენ ეგრეთ უცხოდ იჩვენები, რამეთუ მე არა მოვლინებული შენდა ბოროტ? წარვედ, არქვი იერობოამს: ესრეთ იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა: ვინათგან აღგამაღლე შენ ერისაგან და მიგეც შენ მწყემსად ერთა ჩემთა ისრაელთა და გავხეთქე მეფობა სახლისაგან დავითისა, და მიგეც იგი შენ, ხოლო შენ არა იქმენ, ვითარცა მონაი ჩემი დავით, რომელმან დაიცვნა მცნებანი ჩემნი... და შენ ბოროტობდი უფროს ყოველთასა... და ქმენ თავისა თვისისა ღმერთნი უცხონი, გამოდნობილნი, განმარისხებელნი ჩემნი, და უარმყვენ მე უკანით თავისა შენისა, ამისთვის მოვავლინო ბოროტი სახლსა ზედა იერობოამისა, ვიდრე შემფსმელამდე კედლისა მიმართ, მყოფი და დაშთენილი ისრაელსა შორის, და მოვსპო სახლი იერობოამისა, ვითარცა მოისპის სკორე, ვიდრე აღსრულებამდე მისა. მომკვდართა იერობოამისთა ქალაქსა შინა შჭამდენ ძაღლნი და მომკვდარსა აგარაკსა ზედა ჭამდენ მფრინველნი ცისანი, რამეთუ უფალმან თქვა...“ *(მუხლ. 14, 5—11)*.

ასეთი გრძელი სიტყვით საყვედურობს აქია ღმერთის სახელით იერობოამსა და მის ხბოებს, უბედურებას უწინასწარმეტყველებს მეფის სახლსა და ქალაქს. არც სნეული ყმაწვილი დაივიწყეს, კონსულტაციის ობიექტი: „ხოლო შენ აღდეგ და წარვედ სახლად შენდა: ოდეს შეხვიდე ფერხითა შენითა ქალაქსა, მოკვდეს ძე შენი, და ტიროდეს მისთვის ყოველი ისრაელნი, და დამარხონ იგი, რამეთუ იგი ერთი დაიმარხოს ნათესავისაგან იერობოამისა საფლავსა შინა...“ *(მუხლ. 12—13)*. დარდით გულდამწვარი დედოფალი შინ დაბრუნდა: „და აღდგა ცოლი იერობოამისა და მივიდა სარირას შინა. და იყო, ოდეს შევიდა წინაშე ბჭესა სახლისასა, და შვილი მისი მოკვდა, და დამარხეს იგი“ *(მუხლ. 17)*. წარმოგიდგენიათ? დედოფალს რომ სულ მცირეოდენი მოსაზრება ჰქონოდა, უბედურებას აიცილებდა: ოჩოფეხებით უნდა გაევლო ქალაქი, ფეხი არ უნდა დაეკარებინა მიწაზე. დედობრივმა სიყვარულმა დაუბნელა გონება, ეს ვერ მოისაზრა.

აქ მეფეთა წიგნი პარალიპომენონის მეორე წიგნზე მიგვითითებს. მისი მეცამეტე თავიდან ვგებულობთ, რომ აბიამ, იუდეველთა მეფემ, რობოამის შვილმა, იერობოამს ომი აუტეხა. აბიას 400 000 მეომარი გამოუყვანია, იერობოამს კიდევ 800 000 დარჩეული ჯარისკაცი ჰყოლია. ამ ომში თურმე ისრაელს დაეღუპა 500 000 რჩეული მეომარი. მოკლედ, წმინდა საყასბოა! ხოცვა-ჟლეტა ისეთია, მეტი რომ არ უნდა.

ოცდაორი წლის მეფობის შემდეგ იერობოამმა „მიიძინა მამათა თანა თვისთა, და გამეფდა ნაბათ, ძე მისი წილ“ *(მუხლ. 20)*. მამა-ღმერთმა მზე დაუბნელა იერობოამის ერთ-ერთ შვილს, პატარა აბიას, მაგრამ თავისი ბიბლიური გულმავიწყობის ძალით ცოცხალი დატოვა მეორე შვილი, ნაბათი, რომელიც მამის ტახტზე დაჯდა.

რაც შეეხება რობოამს, არც ის ექცეოდა ღმერთს იერობოამზე უკეთესად: „და ქმნა რობოამ ბოროტი წინაშე უფლისა და ეშურვა იგი ყოველისათვის, რომელი ქმნეს მამათა მათთა, და ცოდვათა მათთა, რომლითა სცოდეს, და აღაშენნეს მაღალნი, და ქანდაკნი [illegible] ბომონნი ყოველთა ზედა ბორცვთა მაღალთა და ქვეშე [illegible] საჩრდილობელთასა, და შერევნა იყო ქვეყანასა შინა მათსა, და ქმნეს ყოველთაგან საძაგლებათა წარმართთასა, რომელიცა აღიღო უფალმან პირისაგან ძეთა ისრაელისათა“ *(3 მეფეთა, 14, 22—24)*.

შემდეგ: „და იყო წელსა შინა მეხუთესა მეფობაისა რობოამისასა, გამოვიდა სუსაკ მეფე ეგვიპტისა იერუსალემსა ზედა, და აღიღო ყოველი საუნჯე სახლისა უფლისა, და საუნჯენი სახლისა მეფისანი, და შუბნი ოქროსანი, რომელნი აღიღო დავით ხელთაგან ყრმათა ადრაასარ მეფისა სუბასთა, და მოიხვნა იგინი ყოველნი იერუსალემსა შინა: ესე ყოველი აღიღო, და ფარნი ოქროსანი, რომელი ქმნა სოლომონ, და წარიღო იგინი ეგვიპტედ“ *(მუხლ. 25—26)*.

აი, რას ამბობს ამ შემთხვევაზე ვოლტერი: „ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს სუსაკიმი იყო დიდი ფარაონი სეზოსტრისი; სხვა მეცნიერების მტკიცებით კი სეზოსტრისი ბიბლიურ სუსაკიმზე 1000 წლით ადრე დაიბადა. ყველაზე უფრო გამოჩენილი სწავლულები კი ამტკიცებენ, რომ სეზოსტრისი საერთოდ არ არსებობდა. ერთი მოსაზრება იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ სეზოსტრისმა იერუსალიმი გაძარცვა: ესაა, რომ მას, ბიბლიის თანახმად, არ გაუძარცვავს არც სიქემი, არც იერიქონი, არც სამარია, არც ორივე ოქროს ხბო, მაშინ, როცა ჰეროდოტე ამბობს, რომ მან მთელი დედამიწა გაძარცვა“*.

რობოამის მემკვიდრე იყო მისი შვილი აბია, რომელმაც მხოლოდ სამი წელი იმეფა, მაგრამ ეს მცირე დრო უქმად არ დაუკარგავს: პარალიპომენონის მეორე წიგნის თანახმად, მან ერთ ბრძოლაში დახოცა ისრაელთა მეფის ხუთასი ათასი ჯარისკაცი. „და არა ძალ ედვა ვისი წინააღმდგომად იერობოამს ყოველსა შინა დღესა აბიასსა, და დასცა იგი უფალმან და მოკვდა. ხოლო აბია განძლიერდა და მოიყვანნა თავისად ცოლნი ათოთხმეტნი და შვნა ძენი ოცდა ორნი და ათექვსმეტნი ასულნი“, — ვკითხულობთ „პარალიპომენონის“ ანუ ნეშტთა მეორე წიგნში (თ. 13, *20—21*).

მოდით, დავთვალოთ. სამი წელი იმეფაო აბიამ, ამბობს მეფეთა მეორე წიგნი (თავი 13, 2). პირველი წელი იერობოამთან ომს მოანდომა. რაღას იტყვით, მკითხველო, ამ აბიას 22 შვილზე და მის 16 ქალიშვილ-

---

* აქ ვოლტერი მისთვის ჩვეული, კლასიკური, ნატიფი იუმორით ამბობს, რომ თვით ბიბლიური სამყარო, როგორც იელოვას ასპარეზი, არ არსებობდა და მთელი წმინდა ისტორია ფანტაზიის ნაყოფია.

ზე, ესე იგი სულ 38 შვილზე, 14 ცოლისაგან რომ ეყოლა ორი წლის განმავლობაში?! რა ბედნიერი დრო ყოფილა! ო, წმინდაო ნაყოფიერებავ! საით, საით წასულხარ? ყოჩაღ, აბია!

მეფეთა მესამე წიგნში ორ საგულისხმო ცნობას ვპოულობთ: „და წელ მეფობდა (აბია, ძე რობოამისა) იერუსალემსა შინა, ხოლო სახელი დედისა მისისა მაახა, ასული აბესალომისა“ *(მუხლ. 15, 2)*. აბიას 22 ვაჟიშვილიდან ტახტი ასამ მიიღო. იერუსალიმში მან ორმოცდაერთი წელი იმეფა, „ხოლო სახელი დედისა მისისა ანნა, ასული აბესალომისა“ *(მუხ. 10)*. მაშასადამე, მამას და შვილს ცოლებად დები ჰყოლიათ.

ასე იყო თუ ისე, ტახტი ასას ხელში გადავიდა, მაგრამ მცირეწლოვანი ყმაწვილის ნაცვლად სამეფოს დედამისი განაგებდა. „და ქმნა ასა სიმართლე წინაშე უფლისა, ვითარცა დავით მამამან მისმან, და აღხოცა საძაგლება ქვეყანისაგან, და აღმოფხვრა ყოველნი კერპნი, რომელი ქმნეს მამათა მისთა, და ანნა დედა თვისი გარდაადგინა, რომელ არა უფლებდეს იგი, ვინათგან ჰყო შესაკრებელსა მაღნარსა შინა თვისსა და მოჰკვეთნა ასა სერტყენი კერპნი მისნი და დაწვა ცეცხლითა ნაღვარევსა შინა კედრისასა. ხოლო მაღალნი არა მოკვეთნა, ვინათგან გული ასასი იყო სრულ წინაშე უფლისა ყოველთა დღეთა შინა ცხოვრებისა მისისა“ *(მეფეთა, 3, თ. 15, 11—15)*.

დაუფასდა ასას ღვაწლი? ახლავე ნახავთ. თუ ნეშტთა მეორე წიგნს ვერწმუნებით, ჯერ შემოსეულ მტერთან უნდა ებრძოლა, და მერე რა მტერთან!

„და იქმნა ძალი აბიას საჭურველთ მტვირთველნი, მოსილნი ფარითა და შუბითა ქვეყანა იუდასი სამასი ათასი, ხოლო ქვეყანასა შინა ბენიამენისასა, ფაროსანნი და ისროსანნი ორას ოთხმეოცი ათასი: ხოლო ყოველნი ესე მბრძოლნი ძლიერნი. ხოლო გამოვიდა წინაშე მათსა ზარაი ეთიოპელი ძალითურთ ათჯერ ათასითა, და ეტლითა სამასითა, და წარვიდა ვიდრე მარისამდე, და განვიდა ასა წინაშე მისსა, და განაწყო ბრძოლა მუხასა შინა ჩრდილოთ მარისსა. და ღაღადყო ასა უფლისა ღვთისა მიმართ თვისისა და თქვა: უფალო, ვერ შეუძლოს შენ თანა ცხოვრებად მრავალთა შინა და მცირეთა შინა: განგვაძლიერენ ჩვენ, რამეთუ შენ გესავთ და სახელისათვის შენისა გამოვხედით სიმრავლესა ზედა მრავალსა ამას. უფალო ღმერთო ჩვენო, შენ ხარ ღმერთი, და ვერ შეუძლოს წინა აღდგომა შენი კაცმან. და დასცა უფალმან ეთიოპელნი წინაშე ასასა და იუდასა, და იქცეოდეს ეთიოპელნი, და განდევნა იგინი ასა და ერმან მისმან, ვიდრე ედორადმდე, და დასცნეს ეთიოპელნი, ვიდრე არა ყოფად მათ შინა ნეშტი, რამეთუ შემუსვრილ იქმნეს წინაშე უფლისა და წინაშე ძალთა მისთა, და ტყვევნიდეს ნატყვევნავთა მისთა“ *(მუხლ. 14, 8—13)*.

ეს ეპიზოდი მით უფრო შესანიშნავია, რომ ეთიოპიიდან იერუსალი-

მამდე უზარმაზარი მანძილია. ებრაელთა მხოლოდ ორი ტომიდან 580 000 ჯარისკაცის თავმოყრა არანაკლებ საოცარია, ვიდრე ეთიოპელთა მილიონიანი არმიის ლაშქრობა. საკითხავია, რანაირად გაუშვა ფარაონმა სასაკიმმა, ანუ სეზოსტრიტმა, თავის ტერიტორიაზე ბარბაროსთა ეს აურაცხელი ლაშქარი? თუმცა, შესაძლებელია, ეთიოპიელები აფრიკიდან აზიაში გადავიდნენ არა ხმელეთის გზით, არამედ... ფრენით?

მამა-ღმერთმა ერთი სხვა საჩუქარიც გაუმზადა თავის მეგობარ ასას: „ჟამთა შინა სიბერისა თვისასა იწყო სალმობად ფერხთა მისთა“ და მალე „დაიძინა ასა მამათა თანა თვისთა, და დაფლულ იქმნა ქალაქსა შინა დავით მამისა თვისისა“ *(3 მეფეთა, 15, 23—24)*. წმინდა ავტორის ცნობა ფეხთა ტკივილზე (სალმობაზე) უაღრესად მოკლეა. ეტყობა, ეს სენი განზრახ შეჰყარეს, რათა მისი მიწიერი დამსახურება ამით კიდევ უფრო გაეზვიადებინათ ორმოცდაერთი წლის მეფობის შემდეგ სული აბრაამს ჩააბარა და ტახტზე დატოვა შვილი იოსაფატი. ვნახოთ, რა ხდებოდა ამ დროს ისრაელის სამეფოში.

„ხოლო ნაბათ (ნავათ) ძემან იერობოამისმან იწყო მეფობად ისრაელისა ზედა, მეორესა წელსა ასას მეფობისასა იუდასა, და მეფობდა ისრაელთა ზედა ორ წელ. და ქმნა ბოროტი წინაშე უფლისა, და ვიდოდა გზითა მამისა თვისისათა და ცოდვასა შინა მისსა, რომლითა ჰყო შეცოდება ისრაელსა შორის“ *(3 მეფეთა, 15, 26—28)*. ვინმე ვაას ახნის-ძე გადაუდგა. ეს ამბოხება ტახტისა და სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ცხადია, ვაასმა თავი მეფედ გამოაცხადა. მეამბოხემ ოცდაოთხი წელი იმეფა და ისევე ურიგოდ ექცეოდა ღმერთ საბაოთს, როგორც იერობოამი და ნაბათი: „და ქმნა ბოროტი წინაშე უფლისა და ვიდოდა გზითა იერობუამისათა, ძისა ნაბათისა, და ცოდვათა შინა მისთა, რომლითა შეცოდებასა შინა მოიყვანნა ისრაელნი“ *(მუხლ. 33—34)*.

ბოლოს და ბოლოს, ეს მოსწყინდა ყოვლისშემძლე ბერიკაცს და მოლაპარაკება გამართა ვინმე იიუისთან: ვაასის დინასტიის განადგურება მაქვსო განზრახული: „და ეტყოდა: ვინათგან აღგამაღლე შენ ქვეყანისაგან და მიგეც შენ წინამძღვრებაი ერთა ზედა ჩემთა ისრაელთა... აჰა, მე განვაგდო სამკვიდრებელი ვაასისა და სამკვიდრებელი სახლისა მისისა და ვყო სახლი შენი ვითარცა სახლი იერობუამისა, ძისა ნაბათისა. მომკვდარსა ვაასას ქალაქსა შინა ჭამდენ ძაღლნი, და მომკვდარსა მისსა ველსა ზედა ჭამდნენ მფრინველნი ცისანი“ *(3 მეფეთა, 16, 2—4)*.

ვაასი მაინც წყნარად მიიცვალა თავის საწოლში, მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი შვილი ილა, რომელმაც ორი წელი იმეფა, შემდეგ კი ვინმე ზამბრემ მოკლა. ეს გმირობა რომ მოახდინა, ზამბრემ სახელმწიფო გადატრიალებაც მოაყოლა, ტახტი დაიკავა და ვაასის მთელი გვარი გაჟლიტა: „და მოსრა ზამბრე ყოველი სახლი ვაასისა სიტყვისა ებრ უფ-

ლისა, რომელსა იტყოდა სახლსა ზედა ვაასისა", „არა დაუტევა მისა შემფსმელი კედლისა, და არცა მოყვასნი და მეგობარნი მისნი" (*3 მეფეთა, 11—12*). საბაოთის-იაღვეს შურისძიების ამბავი ხომ ვიცით: თუ განრისხდებოდა, არ დატოვებდა ხალხებსა და ტომებს, „მგლოვარესა და ნათესავს, ბრალიანსა და უბრალოს... აქაც ასე მოიქცა.

მაგრამ ზამბრეს მეფობა სულ შვიდ დღეს გაგრძელდა: ვინმე ამბრი აეშალა. ზამბრემ იგრძნო, რომ ღვთის რისხვის როლი უკვე ითამაშა და ნებაყოფლობით მოიკლა თავი („დაიწვა თავს ზედა სახლი მეფისა ცეცხლითა"). ამბრიმ თორმეტი წელი იმეფა. „და იყიდა ამბრი მთა სემერონი სემერისგან უფლისა მის მთისა ორი ტალანტითა ვეცხლისათა, და აღაშენა მთა იგი და უწოდა სახელი მთასა მას, რომელი აღაშენა, სახელისა ებრ სემირა პატრონისა მთისა მის, „მთაი სემირონ" (*მუხლ. 16, 24*).

ისრაელის დიდ მეფეებსაც კი არ გააჩნდათ მეტნაკლებად კეთილმოწყობილი ქალაქები, თუ ბიბლიას ვერწმუნებით, ვიდრე აშენდებოდა სამარია, იერიქონი, სიქემი, — თუმცა ასეთი ძლიერი, მრავალათასიანი არმიები ჰყავდათ. აქ კიდევ ერთი შემთხვევა გვეძლევა, რათა დავრწმუნდეთ, რომ გახვრეტილ გროშადაც არ ღირდა წყევლა, რაც ოდესღაც თავს დაატყდა იერიქონს: ეს ქალაქი ფერფლიდან აღარასოდეს არ აღდგებაო.*

---

* იგულისხმება იესო ნავინის წიგნის ეს ადგილი „და ფიცა ისუ მას დღესა შინა და თქვა: წყეულ იყავნ წინაშე უფლისა კაცი იგი, რომელმან აღმართოს ანუ აღაშენოს ქალაქი იგი იერიქოი, პირმშოსა ზედა დააფუძნოს საძირკველი მისი, და უმრწამესსა ზედა თვისსა დადგას ბჭე მისი (და ეგრეთ ჰყო აზან ბეთლმელ: აბირონს, პირმშოსა მისსა ზედა დადგა საძირკველი მისი..." **(ნავინი, 6, 26—27).**

წინასწარმეტყველ-მეხთამტყორცნელ ილიას საბრძოლო საქმენი საგმირონი

ერისკაცის ბიბლიოთეკა

იარეთ, ვიარეთ და აი, ვისთან მოვედით! ჩვენი წინაშეა აქაბი, უკეთური აქაბი, ამბრის შვილი. „წმინდა წერილის“ მასწავლებლები პატარა ბავშვებს უბრძანებენ, დასწყევლეთ აქაბიო! ჩვენ კი ჩვენდა თავად ვფიქრობთ, რომ ამ მეფემ ბიბლია ისევ საინტერესო წიგნად აქცია. განა ისეთი რა ჩაიდინა, რომ დავითისა და სოლომონის დანაშაულობანი დაჩრდილა? ამასაც ვნახავთ და ილია წინასწარმეტყველსაც შევხვდებით. ესაა შეუდარებელი კაცი, ერთადერთი ადამიანი, ვინც ცად ამაღლდა ცეცხლის ეტლით, რომელშიაც ცეცხლისავე რაშები იყო შებმული. „და დაიძინა ამბრი მამათა თვისთა თანა და დაეფლა სამარიას შინა, და გამეფდა აქაბ, ძე მისი, მის წილ, და ქმნა აქაბ ბოროტი წინაშე უფლისა, უბოროტესი ყოველთა ყოფილთა პირველ მისა. და მეთერთმეტესა წელსა ამბრისასა იწყო მეფობად იოსაფატ... ათხუთმეტისა წლისა იყო, ოდეს იწყო მეფობა და ოცდა ხუთ წელ მეფობდა იერუსალემსა შინა... მეორესა იოსაფატ მეფისა იუდასა აქაბ, ძე ამბრისა მეფობდა ისრაელსა ზედა სამარიას შინა ოცდა ორ წელ. და ქმნა აქაბ ბოროტი წინაშე უფლისა უბოროტესი უფროს ყოველთა მის წინა მყოფთა. და მოიყვანა ცოლად იეზაბელ, ასული იეთებალისა, მეფისა სიდონისა და შევიდა და მსახურებდა ბაალს და თაყვანისცემდა მას... და სული თვისი წარწყმიდა, რამეთუ ბოროტ მოქმედებდა უფროს ყოველთა მეფეთა ისრაელისათა, ყოფილთა პირველ მისსა“ *(3 მეფეთა, 16, 28—36)*.

ღმერთმა შეუნდო დავითს ბერსაბესთან შეუღლება, რომლის ქმარიც მანვე მოკლა. კეთილი თვალით შეხედა სოლომონის შეუღლებასაც ფარაონის წარმართ ასულთან. მაგრამ როცა აქაბ მეფემ შეირთო სიდონის მეფის ასული იეზაბელი, ეს უკვე უბოროტეს დანაშაულად ჩაეთვალა. ძალადობაა, ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს...

უკეთური მეფე ჩვეულებრივი ოქროს ხბოებით არ დაკმაყოფილდა, თაყვანისცემაში გულმოდგინებით ყველას გადააჭარბა: „და დაადგინა საზორველი (სამსხვერპლო) ბაალისა სახლსა შინა საძაგლების მისისასა, რომელი აღუშენა სამარიასა შინა, და ქმნა აქა მაღნარნი და შესძინა

აქაბ ყოფად განრისხება უფლისა ღვთისა ისრაელისა". ამრიგად, თქროა ბბოც აღმართა, სამსხვერპლოც გამართა, ბაღიც გაუშენა ბაალს და საერთოდ ყველაფერი ის გააკეთა, რაც ისრაელთა ღმერთს აბრაზებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, იეზაბელის გათავხედებულმა ქმარმა სრულიად აიშვა თავი, ამწარებდა და გულს უხეთქავდა მოხუცებულ წინასწარმეტყველს. ამ საქმეს პირველხარისხოვანი წინასწარმეტყველი ესაჭიროებოდა. ცხოველ არს ღმერთი უფალი ისრაელისა, არქიუკეთურის აქაბის მოსარჯულებლად არქიწმინდანი ილია-თეზბიტელი გაგზავნა, გვალვით დაემუქრა: „და თქვა ილია წინასწარმეტყველმან თეზბიტელმან, რომელი იყო თესბით გალადისთა, აქაბის მიმართ: „ცხოველ არს უფალი ღმერთი ძალთა, ღმერთი ისრაელისა, რომლისა ვსდგა წინაშე მისსა, უკეთუ იქმნას წელსა ამას შინა ცვარი და წვიმა, თვინიერ სიტყვათა პირისა ჩემისათა" *(3 მეფეთა, 17, 1)*.

ბიბლია არ გვეუბნება, როგორ გუნებაზე დადგა აქაბი.

„და იყო სიტყვა უფლისა ილიას მიმართ: წარვედ ამიერ აღმოსავლით და დაიმალე ნაღვარევსა შინა ქორათისასა, პირის პირ იორდანისა. და იყო მსმელ ნაღვარევისა (იმ რუს წყალს დალევ) მისგან წყლისა და ყორანთა უბრძანო გამოზრდა შენი მუნ! და წარვიდა ილია სიტყვისა ებრ უფლისა და დაჯდა ნაღვარევსა ქორათისასა, პირის პირ იორდანისა, და ყორანი მიართმიდა მას ხორცსა განთიად და პურსა და ხორცსა მიმწუხრისა თანა და ნაღვარევისაგან სვამდა წყალსა. და იქმნა დღეთა მათ განხმეს წყარონი, რამეთუ არა იყო წვიმა ქვეყანასა ზედა" *(3 მეფეთა, 17, 2—8)*.

წმინდანთა სანოვაგის მიმწოდებლად ყვავ-ყორანთა გამოყენება ფრიად რაციონალური ხერხია, რაც შემდეგ წმინდა მოწამეთა ცხოვრების არაერთმა აღმწერელმა გამოიყენა. ეს ბოლოს და ბოლოს იაფი ჯდება და საინტერესოცაა. პავლე მეუდაბნოე, მაგალითად, თებაიდის უდაბნოში სამოცი წლის განმავლობაში ყოველდღიურად ნახევარ პურს იღებდა ყორნის ნისკარტით. როცა პავლე მეუდაბნოე სრული ას ცამეტი წლისა იყო, აბალგაზრდა მეუდაბნოე ანტონიუსმა, რომელიც მხოლოდ ოთხმოცდაათი წლისა გახლდათ, ყორნის ლუკმით ნაკვები კაცი ინახულა მის გამოქვაბულში. აი, მაშინ კი ყოოანმა ორსავე წმინდანს ერთი მთელი პური მოუტანა საუზმედ. ყველაფეოი ეს სრული სიმართლეა! ყოველ შემთხვევაში წმინდა იერონიმე პატიოსანი სიტყვით გვეფიცება, ასე მოხდაო!

დავუბრუნდეთ ილია წინასწარმეტყველს. ჩვენ გვალვაზე შევჩერდით.

„და იყო სიტყვა უფლისა ილიას მიმართ და ეტყოდა:

აღდეგ და წარვედ სარეფთად სიდონისა, და მივიდა ბჭეთა თანა ქალაქისათა, და აჰა მუნ დედაკაცი ქვრივი შეჰკრებდა შეშასა და ხმა

უყო ზურგით კერძო ილია და ჰრქვა მას: მომიღე აწ მე მცირე წყალი ჭურჭლითა და ვსვა.

და წარვიდა იგი მოღებად, და ხმა უყო უკახით ილია და ჰრქვა მას: მომიღე მე უკვე ნამუსრევი პურისა ხელითა შენითა, რათამცა ვჭამო.

და ჰრქვა დედა-კაცმან: ცხოველ არს უფალი ღმერთი შენი, უკეთუ არს ჩემთანა უფუარი (გამოცხობილი არაფერი გამაჩნიაო), არამედ ვითარ ოდენ მჭელ ერთ ფქვილი საფქვილესა შინა და მცირე ზეთი რჭასა შინა. და აჰა მე შევკრებ მცირესა შეშასა და შევიდე და ვქმნე თავისა ჩემისათვის და შვილთა ჩემთა და ვსჭამოთ და მოვსწყდეთ.

და ჰრქვა მისა მიმართ ილია. ისწრაფე და შეველ და ყავ სიტყვისაებრ შენისა, არამედ მიქმენ შე მისგან ყრბეული მცირე პირველ და მოართვი მე, ხოლო შენთვის და შვილთა შენთათვის ქმენ მერმე.

რამეთუ ესრეთ იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა: საფქვილესა შენსა არა მოაკლდეს ფქვილი და რჭასა ზეთისა შენისასა არა მოაკლდეს ზეთი, დღემდე ვიდრემდის მოსცეს უფალმან წვიმა ქვეყანასა ზედა.

და წარვიდა დედა-კაცი და ქმნა სიტყვისაებრ ილიასა და მოართვა მას და ჭამა მან იგი და მან და ძეთა მისთა.

და მის დღითგან არა მოაკლდა საფქვილესა მისა ფქვილი და რჭასა მას საზეთესა არა მოაკლდა ზეთი სიტყვისაებრ უფლისა, და იყო სალმობა მისი ძლიერ ფრიად, ვიდრემდის არა დაშთა მას შინა სული.

და თქვა დედა-კაცმან ილიას მიმართ: რაი არს ჩემდა და შენდა, კაცო ღვთისაო, შემოხვედ ჩემდა ახსენებად უსამართლოებისა ჩემისა და მოსიკვდიდ ძისა ჩემისა? (ჩემი შვილის მოსაკლავად მოხვედიო?).

და ჰრქვა ილია დედა-კაცსა მას: მომეც მე ძე შენი! და აღიღო იგი წიაღთაგან მისთა და მოიღო იგი ქორსა, სადაცა თვით იწვა და დადვა იგი ცხედარსა ზედა თვისსა.

და ღაღად ყო ილია უფლისა მიშართ და თქვა: ოი ჩემდა, უფალო, მოწამეო მის ქვრივისაო, რომლისა თანა აწ მე ვგიე, შენ ჰგვემე ძე მაგისი სიკვდილითა.

და შთაჰბერა სამ გზის ყრმასა მას და ხადოდა უფალსა და თქვა: უფალო ღმერთო ჩემო, მოაქციენ უკვე სული ყრმისა ამის აშისადვე! და იქმნა ეგრეთ.

და გარდამოიყვანა ილია ყრმა იგი ქორისა შისგან სახიდ და მისცა იგი დედასა მისსა, და ჰრქვა ილია: იხილე, ცოცხალ არს ძე შენი!

და ჰრქვა დედა-კაცმან ილიას: აჰა მიცნობიეს, რამეთუ კაცი ღვთისა ხარ შენ, და სიტყვა უფლისა ჭეშმარიტ არს პირსა შენსა" *(3 მეფეთა, 17, 7—23)*.

ეს წინასწარმეტყველი გამჭრიახობის მაგალითს იძლევა, რადგან შეხედვისთანავე მიხვდა, რომ ეს ქალი ქვრივი იქნებოდა. იქნებ ვინმეს

გაუკვირდეს, რომ პირველსავე სიტყვაზე სთხოვა ამ საწყალ დედაკაცს, მთელი შენი ფქვილის მარაგი გამომიცხვე და პური მაჭამეო? შეიძლება ითქვას, რომ ამ წარმართ ქალს უფრო სჯეროდა ისრაელთა ღმერთის სახელით მეტყველი უცნობისა, ვიდრე თვითონ წინასწარმეტყველსა. სჯერა თავისი ღმერთისა. მაგრამ ღვთისმეტყველნი გვარწმუნებენ, რომ მხოლოდ გეჩვენებათო: ილია ცდის ამ ქალს და სასწაული ქვრივის სასარგებლოდ წყდება მხოლოდ იმისათვის, რომ მან უფლის სიტყვა მაშინვე დაიჯეროს. მაგრამ ეს სასწაული ხომ ღმერთის ნაკარნახევია! თვითონვე მოაწყო ყველაფერი. თვითონ გამოჭრა და თვითონვე შეკერა. აბა როგორ არ უნდა მომხდარიყო? აქ მოჯადოებული წრეა და ამაოდ შევეცდებით ამ ბიბლიური მონაჭორის ახსნას. ყველაფერი აქ ზებუნებრივსა და ამოუხსნელ სფეროს განეკუთვნება. ამიტომაც არის წშინდა მამების კვლევის საგანი.

უფრო საგულისხმოა იმ სასწაულთა კვლევა, რომელთაც ღმერთი ზოგჯერ იმ ხალხის დასაშინებლად ახდენდა, რომელიც მის სარწმუნოებას არ იზიარებდა. მაგრამ ურწმუნოები, წარმართები, „საძაგებელ“ ღმერთთა მიმდევარნი ამ სასწაულების შემდეგაც არ იღებდნენ იაღვეს რჯულს და თავიანთ ღმერთებსა სცემდნენ თაყვანს.

მაგალითად, ბიბლია არ ამბობს, რომ სარეფთელი ქვრივი განუდგა თავის სარწმუნოებას და იაღვეს თაყვანისმცემელი გახდა. ძველი დროის ყველა ხალხი აღიარებდა სხვადასხვა ღმერთების არსებობას; სწამდათ, რომ ისინი თავიანთ ზრახვებს ანდობდნენ განსაკუთრებით სპატიო ადამიანებს, ეგვიპტის, ბაბილონის, სპარსეთის მოგვებს, ზოგჯერ კი ჩვეულებრივ კერპთაყვანისმცემელთ, მაგალითად ბაალის მსახურთაც. ყოველი ეს ჯადოქარი საკუთარ წეს-ჩვეულებას, თავის რიტუალს იცავდა, თავის კულტს მისდევდა. ამით აიხსნება ბიბლიური თქმულება, რომ ეგვიპტის ფარაონმა თუმცა აღიარა მოსეს სასწაულების მოქმედი ღმერთი, მაგრამ კი არ შეიცვალა სარწმუნოება, არ გადასულა ებრაელთა მხარეზე. სარეფთელი ქვრივიც აღიარებს ებრაელთა ღმერთს, მაგრამ არ მიაჩნია საჭიროდ სარწმუნოების გამოცვლა.

„და იყო შემდგომად დღეთა მრავალთა, და სიტყვა უფლისა იყო ილიას მიმართ, წელსა შინა მესამესა და ეტყოდა: წარვედ და ეჩვენე აქაბს და მივსცე წვიმა პირსა ზედა ქვეყანისასა“ *(3 მეფეთა, 18, 1)*. მაშასადამე, სამი წლის განმავლობაში წვიმა არ ყოფილა. „და წარვიდა ილია აქაბის მიმართ ჩვენებად და იყო სიყმილი ძლიერი სამარიას“ *(მუხლ. 2)*. ამას რა ახსნა უნდა, სამი წელი თუ ცვარი წვიმა არ ყოფილა, შიმშილი იქნებოდა, ცხადია! მაგრამ რატომ მძვინვარებდა შიმშილი სამარიაში და არა სხვაგან?

„და მოუწოდა აქაბ აბდიას, განმგესა სახლისასა. და აბდია იყო მოშიში უფლისა ფრიად.

და იყო, ოდეს იწყო მოწყვედად იეზაბელ წინასწარმეტყველთა უფლისათა (როცა იეზაბელი უფლის წინასწარმეტყველებს წყვეტდა), და წარიყვანა აბდია წინასწარმეტყველნი ასნი კაცნი და დამალნა იგინი ორმეოც და ათ ათნი ქვაბსა შინა და ზრდიდა მათ პურითა და წყლითა.

და ჰრქვა აქაბ აბდიას: წარსლვით წარვიდეთ ველად წყაროთა მართ წყალთასა და ყოველსა მიმართ ნაღვარევსა, ნუ თუ ვერ ვპოვნეთ მწვანილნი და ვერ გამოვზარდნეთ ცხენნი და ჯორნი, რათა არ განგვეხრწნენ საცხოვარნი?

და განიყვნეს თვისად გზანი წარსლვად მიერ: აქაბ წარვიდა გზითა ერთითა და აბდია წარვიდა გზითა მეორითა". *(3 მეფეთა, 18, 3—6).*

რაღაც ძნელი წარმოსადგენია მეფე, რომელიც სასახლეს ტოვებს და ჯორ-ცხენისათვის საკვებს დაეძებს, რომ საქონელი შიმშილით არ დაეხოცოს. თითქოს ვინმე მსახურთაგანი უნდა გაეგზავნა, როგორც იციან მეფეებმა. ნუთუ სამი წლის გვალვით გამოწვეული სიღარიბის გამო აქაბმა მთელი თავისი სასახლის ჯალაბობა გაუშვა და მარტო ერთი მსახურთუფროსი დაიტოვა? ყველაზე უფრო დაუჯერებელი ამ ამბავში მაინც ისაა, რომ ნაკადები და მდინარეები მაინც დარჩენილან. წვიმა შეწყდა. შეწყდა მთელი სამი წლით. ველებს ცვარი წყალი არ უნახავთ. ეს ცხადია. ვინღა კვებავდა წყაროებსა და მდინარეებს? ყორანი? ნუთუ ეს გვალვა მდინარეებს არ შეხებია? მაშ რაზე ელაპარაკება აქაბი აბდიას? თავშესაქცევი ამბავია. ვინც ბიბლიას კითხულობს, ასეთ კითხვებს არავინ არ სვამს.

მივყვეთ მეფეს და მის მსახურთუხუცესს. აბდიამ ბალახის ძებნაში ილია ნახა და „დავარდა პირსა ზედა თვისსა". წინასწარმეტყველმა უბრძანა, აბა მარდად, აქაბს აუწყე ჩემი სტუმრობაო. ამ ცნობამ უცნაურად შეაშფოთა აბდია, რომელიც ასე მსჯელობდა, აბდალივით: „და იყოს რაჟამს მე განვიდე შენგან და სულმან უფლისამან აღგიღოს შენ ქვეყანასა, რომელი არა ვიცოდე, და შევიდე მითხრობად აქაბისა, და ვერა გპოო შენ, და მომკლას მე: რამეთუ მონა შენი ვარ მოშიში უფლისა სიჭაბუკით ჩემით" (მუხლ. 2). ამ საცოდავი ღვთისმოშიშის მსჯელობა მხატვრული თვალსაზრისით თავშესაქცევია: ვაი თუ ბატონს შენი მოსვლა ვაუწყო, შენ კი უფალმა „გაგაფრინოს", მე კი მოტყუებისთვის აქაბმა მომკლასო! ჩანს, ამ აბდიას ისე ეშინოდა უფლისა, რომ მისი მოციქულის სიტყვაშიც კი მახეს ხედავდა. საბედნიეროდ, ილიამ აბდია დაამშვიდა და დაარწმუნა: ცხოველ არს უფალი, დღესვე ვეჩვენებიო! ან როგორ მოატყუებდა? აკი აბდიამ ეს არის შეახსენა: ჩემი დამსახურება ხომ იცი, იეზებელი წინასწარმეტყველებს წიწილებივით წყვეტს, მეც ასი წინასწარმეტყველი გადავმალე და ვაჭმევო!

ასეა თუ ისე, აბდია წავიდა და აქაბს მოახსენა: „აჰა ილია!"

„და წარვიდა აბდია შემთხვევად აქაბისა და მიუთხრა მას, და ისწრაფა აქაბ და წარვიდა შემთხვევად ილიასა.

და იყო, ოდეს იხილა აქაბ ილია და ჰრქვა აქაბ ილიას: შენ ხარა გარდამაქცეველი ისრაელისა? და ჰრქვა ილია: „არა მე, არამედ შენ, და სახლი მამისა შენისა! რამეთუ დაუტევეთ თქვენ უფალი ღმერთი თქვენი და ხვალთ უკანით ბაალისა!

და აწ წარავლინე და შემოკრიბე ჩემდა ყოველი ისრაელი მთასა ზედა კარმელისასა და წინასწარმეტყველნი სირცხვილისანი, ბაალისნი, ოთხას ერნი ერგასისნი და წინასწარმეტყველნი მაღნარისნი ოთხასნი მჭამელნი ტრაპეზისა იეზაბელისა!“

და წარავლინა აქაბ ყოველსა შორის ისრაელსა და მოიყვანნა ყოველნი წინასწარმეტყველნი მთასა ზედა კარმელსა.

და მიიკრიბნა ილია ყოველი იგი ერი და ჰრქვა მათ ილია: ვიდრემდის ჰკელობთ თქვენ ორითავე გოჯითა თქვენითა? (დიდხანს იკოჭლებთ ორივე მუხლით?). უკეთუ არს უფალი ღმერთი, ვიდოდეთ უკანით მისსა და უკეთუ არს ბაალი, ვიდოდეთ უკანი მისა, და არა რაი მიუგეს ერთა სიტყვაი.

და თქვა ილია ერთა მიმართ: მე დავშთომილვარ წინასწარმეტყველი ერთი უფლისა, და წინასწარმეტყველნი ბაალისნი, ოთხას ერგასისნი კაცნი, და წინასწარმეტყველნი მაღნარისნი ოთხასნი.

და თქვა ილია: მომცენით ჩვენ ორნი ზვარაკნი და გამოირჩიონ თავისა მათისათვის ერთი და განაგონ იგი ასოეულად და დასდვან შეშასა ზედა და ცეცხლსა ნუ შეახებენ; და მეცა განვყო ზვარაკი მეორე და დავსდვა შეშასა ზედა და ცეცხლი არა შევახო.

და ხადოდეთ სახელსა ღმერთთა თქვენთასა და მე ვხადო სახელსა უფლისა ღვთისა ჩემისასა, და იყოს ღმერთი, რომელმან ისმინოს ცეცხლითა, იგი არს ღმერთი! და მიუგეს ყოველმან ერმან და ჰრქვეს: კეთილ არს სიტყვა ეგე, რომელი სთქვი, და იყავნ ეგრეთ!

და ჰრქვა ილია წინასწარმეტყველთა სირცხვილისათა: გამოირჩიეთ თავისა თქვენისა ზვარაკი ერთი და ქმენით პირველ თქვენ, რამეთუ თქვენი არს სიმრავლე, და ხადოდეთ სახელსა ღმერთთა თქვენთასა, და ცეცხლსა ნუ შეახებთ.

და მოიყვანეს ზვარაკი (ხარი) და ქმნეს ეგრეთ, და ხადოდეს სახელსა ბაალისსა განთიადითგან შუადღემდე და იტყოდეს: ისმინე ჩვენი, ბაალ, ისმინე ჩვენი! და არა იყო ხმა, არცა სმენა. და რბიოდეს გარემო სამსხვერპლოსა, რომელი ქმნეს.

და იქმნა შუადღე, და ეკიცხოდა მათ ილია თეზბიტელი და ჰრქვა. ხადეთ ხმითა დიდითა, რამეთუ ღმერთი არს, ნუ თუ გაცხრებოდეს რისა-

რემბრანდტი. დავითი ემშვიდობება იოანათანს. 1642.

რუბენსი. სამოთხე.

ტინტორეტო. დასჯა გველითა და ლრიანკელით.



რაფაელი. სოლომონ ბრძენის სასამართლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეროდახ გალადანი ვასალს ასაჩუქრებს. ორიგინალი ბერლინის მუზეუმშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯორჯონე. იუდითი. დეტალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ლილიენი. ესთერი.

ქართული
ბიბლიოთეკა

ბერნარდო ლუინი. ახალგაზრდა ტობიას დაბრუნება მამასთან. მილანი.

ე. ლილიენი. ქება ქებათა

ე. ლილიენი. დანიელის ჩვენება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ლილიენი. დანიელ წინასწარმეტყველი.



მიქელანჯელო. წინასწარმეტყველი ეზეკია. სიქსტინის კაპელის ჭერი.

მიქელანჯელო. ტიტველი ჰაბუკი. სიქსტინი.

მიქელანჯელო. ერითრეის სიბილა. სიქსტინი.

მიქელანჯელო. დელფიელი სიბილა. სიქსტინი.

გუსტავ დორე. ლევიათანი.

მე, ნუ თუ სხვასა რასამე აგებდეს ანუ თუ ეძინოს თვით და განაღვიძოთ! (იქნებ სძინავს თქვენს ბაალს., გააღვიძეთო!)

და ხადოდეს ხმითა დიდითა და დაიჭრიდენ ჩვეულებისაებრ მათისა და ნებითა და მრავალსა იცემდეს შოლტებითა, ვიდრე დათხევადმდე სისხლისა თვისისა.

და წინასწარმეტყველებდეს, ვიდრემდის შემოხდა ჟამი... და არა იყო ხმაი და არა სმენა" *(3 მეფეთა, 18, 16—30)*.

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ კარმილის მთა სიდონიელთა მიწა-წყალზე მდებარეობდა, ხოლო სიდონიის სამეფოს აღრევა ისრაელთა სამეფოსთან არ არის სწორი. შეეძლოთ თუ არა აქაბის ქვეშევრდომთ, ილია წინასწარმეტყველის თამამ გამოწვევაზე პასუხის გასაცემად ზვარაკი დაეკლათ სხვა სამეფოს კუთვნილ მთაზე? კარმილის მთა ამ შემთხვევაში სამოქმედო ასპარეზად ამორჩეულია მხოლოდ იმის წყალობით, რომ წმინდა მტრედი ზოგჯერ გეოგრაფიაში ვერაა გაწაფული. კრიტიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ თუ ყველაფერი ისე ვიწამეთ, როგორც ილიას და ბაალის მსახურთა ამ პაექრობაშია მოთხრობილი, აქედან ჩანს, რომ ხალხი ძალზე კეთილსინდისიერი ყოფილა, რაკი ილიას წინადადება ასე ერთსულოვნად მიიღო. არანაკლებ სარწმუნოა, რომ ამ წარმართთა ქურუმებიც, რომელთაც ბიბლია წყევლის და გმობს, ასევე პატიოსანი მსახურნი ყოფილან თავიანთი ღმერთისა, რაკი მთელი ღამე გაჰყვიროდნენ, ბაალს უხმობდნენ, დანებს იცემდნენ და სისხლს იდენდნენ, რათა ციური ცეცხლი აღეგზნოთ მის საკურთხეველზე.

მაგრამ ასეთი სასაცილო და ფანატიკური მოთხრობიდანაც სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ებრაელი ხალხის ისტორიის შესახებ. როცა სასწაულების ნისლი იფანტება, ასეთი სუფთა მასალა მაინც რჩება თუნდაც მცირე რაოდენობით. მონათხრობიდან აშკარაა, მაგალითად, რომ ისრაელთა და იუდეველთა ღმერთი ერთი და იგივე ყოფილა, თუმცა სხვადასხვა სახელს არქმევდნენ. ისრაელს ჰქონია ოქროს ხბოები, იუდეას კი ოქროს ხარები, რომლებიც სოლომონმა თავის ტაძარში დადგა და იქვე დარჩნენ, ვიდრე „ფარაონი სუსაკიმი" ტაძარს დაანგრევდა და მასთან იერუსალიმსაც. ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ისრაელი სინამდვილეში არ სცემდა თაყვანს თავის ხბოებს, რადგან ნათქვამია, ბაალს სცემდაო თაყვანს. მაგრამ სიტყვა „ბალ", „ბელ", „ბაალ" ნიშნავს „ბატონს", ისევე როგორც „ადონაი", „ელოჰა", „საბაოთი", „იაღვე". მსხვერპლის შეწირვის რიტუალი ერთნაირი ჰქონიათ. განსხვავება იყო მხოლოდ ღვთის მსახურთა ანგარების სხვადასხვა ინტერესებში. ისრაელის ერესი იმაში მდგომარეობდა, რომ არ სურდათ ღვთისმსახურება და მსხვერპლის შეწირვა იერუსალიმში, არამედ თავიანთ საკუთარ სახლში უნდოდათ მოწყობა.

„და ჰრქვა ილია თეზბიტელმან წინასწარმეტყველთა სირცხვილი-

ჰათა და ეტყოდა: გარდადეგით აწ, რათა მეცა ვყო მსხვერპლი ჩემი. და გარდადგნენ იგინი და დადუმნეს.

და თქვა ილია ერთა მიმართ: მომეახლენით ჩემდამო! და მიეახლნეს მას ყოველნი იგი ერნი.

და მოიღო ილია ათორმეტნი ლოდნი რიცხვისა ტომთა ისრაელთასა, ვითარცა ეტყოდა მას უფალი, და ჰრქვა: ისრაელ იყოს სახელი შენი!

და აღაშენა ქვანი სახელითა უფლისათა და განკურნა საკურთხეველი დარღვეული და ქმნა ზღვაი, დამტევნელი ორისა საწყაულისა თესლისა გარემოს საკურთხეველისა.

და აღზვინა შეშა საკურთხეველსა ზედა, რომელი ქმნა და განყო ასოებულად ყოველად დასაწველი, დადვა შეშასა ზედა და აღზვინა საკურთხეველსა ზედა.

და ჰრქვა ილია: მომართვის მე ოთხი სარწყაული წყალი და დაასხით ყოველად დასაწველსა ზედა! და ქმნეს ეგრეთ, და ჰრქვა: დაასხით! და დაასხეს, და ჰრქვა მეორედ: დაასხით! და დაასხეს, და ჰრქვა მესამედ: დაასხით! და დაასხეს*.

და გარე მოვლიდა წყალი გარემოს საკურთხეველისა და აღივსო ტბა იგი წყლითა.

და ღაღად ყო ილია ცად მიმართ და თქვა: უფალო ღმერთო აბრაამისო, ისაკისა და იაკობისო! ისმინე ჩემი, უფალო, ისმინე ჩემი დღეს ცეცხლითა, და რათა ცნას ყოველმან ერმან ესე, რამეთუ შენ ხარ უფალი ღმერთი მხოლო ისრაელისა, და მე მონა შენი და შენთჳს ვქმენ ესე.

მისმინე მე, უფალო, ისმინე ჩემი ცეცხლითა, რათა გულის ხმა ყონ ყოველმან ამან ერმან ესე, რამეთუ შენ ხარ უფალი ღმერთი და შენ მოაქციე გული ერთა ამათ შენდა.

და გარდამოვარდა ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით და შეჭამა ყოველად დასაწველი და შეშა და წყალი, რომელი იყო ტბასა შინა და ქვანი და მიწა, აღწბა ცეცხლმან.

და დაეცა ყოველი ერი პირსა ზედა თჳისსა და თქვეს: ნამდვილვე უფალი იგი არს, უფალი იგი არს ღმერთი!

და ჰრქვა ილია ერთა მათ: შეიპყრენით წინასწარმეტყველნი ბა-

---

* ქართულ დაბადებაში აქ მცირე შეცდომაა: „და ჰრქვა მესამედ: დაასხით და დაასხით!“ უნდა იყოს: „და ჰრქვა მესამედ: დაასხით! და დაასხეს“ (ან: ქმნეს ეგრეთ).

ალისნი, რათა არცა ერთი განერეს მათგან! და შეიპყრეს იგინი და შთაიყვანნა იგინი ილია ნაღვარევსა მას კიშონისასა და დაკლნა იგინი მუნ*.

და ჰრქვა ილია აქაბს: წარვედ, ჭამე და სვი, რამეთუ ხმაი ცვერისა წვიმისა არს!" *(3 მეფეთა, 18, 29—41).*

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ილია ალეგორიული სახეა და სინამდვილეში არასოდეს არავითარი ილია არ არსებობდა. მაგრამ თუ ილია არსებობდა, ამბობენ კრიტიკოსები, მაშინ არასოდეს მისებრ ურჯული და უკაცური არავინ შობილა. აი, თუნდაც ამიტომ: თვით ტექსტის თანახმად, ბაალის ქურუმებსაც ისევე სწამდათ თავიანთი ღმერთი, როგორც ილიას თავისი, და ბაალის წინასწარმეტყველთა რწმენაც ისევე პატიოსანი, ძლიერი იყო, როგორც ილიას რწმენა. ისინიც ერთგულნი იყვნენ თავიანთი ღმერთისა და მეფისა. ეს კანონიერი საქმეა. მათი მოკვლა, უკეთ — მათი დაკვლა უსასტიკესი უსამართლობაა. ან როგორ მოითმინა ისრაელთა მეფემ ასეთი ეგზეკუცია? ეს ხომ საკუთარ თავზე გამოტანილი სიკვდილის განაჩენიც იყო! ბოლოს, ილიას დრო უნდა მიეცა, მას იმედი უნდა ჰქონოდა, რომ ამ მზიან დღეში ცაზე ცეცხლის გამოჩენა, უეცარი ელვა, რამაც დაწვა ხარი, შეშა, მიწა, ტბა, — უსათუოდ ჩააფიქრებდა ბაალის ქურუმებს და მართალ სარწმუნოებაზე მოაქცევდა ყველას. საერთოდ, თუ სარწმუნოებისა რაიმე გაეგებოდა, მას უნდა ეცადა ურწმუნოთა მოქცევა და არა მათი დახოცვა.

ბაალის წინასწარმეტყველნი რომ კისონის ტალღებს გაატანა, ილიამ აქაბს დამშვიდებით უთხრა: წადი, ჭამე და სვი, წვიმის ხმა ისმისო! თქვენ გახსოვთ, რომ სამი წლის განმავლობაში დედამიწას ცვარი წვიმა არ ახსოვს. მაშასადამე, ილიამ აქაბს ბედნიერება აცნობა. მაგრამ ილია ტყუოდა, წვიმის თუ ნაკადის ხმა ისმისო, რადგან ჯერ არაფერი არ ისმოდა, რაც მომდევნო სტრიქონებიდან ჩანს: „და წარვიდა აქაბ ჭამად და სვმად. ხოლო ილია განვიდა კარმელს და დადრკა ქვეყანასა ზედა და დადვა პირი თვისი ზედა მუხლთა თვისთა და ჰრქვა ყრმასა თვისსა: განვედ და განიხილენ გზით ზღვისად. და განვიდა და მიხედა ყრმამან და ჰრქვა: არა არს არა რაი. და ჰრქვა ილია: შენცა მიიქეც შვიდგზის! და მიიქცა ყრმა შვიდგზის. და იქმნა მეშვიდედ, და აჰა, ღრუბელი მცირე, ვითარცა კვალი ფერხთა კაცისათა, აღმღებელი წყლისა ზღვითგან და ჰრქვა: წარვედ და არქვი აქაბს: შეაბ ეტლი შენი და გარდაგვალე, რათა არა გეწიოს შენ წვიმა... და ცა დაბნელდა ღრუბლითა და ქარითა და იქმნა წვიმა დიდი, და

---

* ეს მორიგი საზარელი სცენა მორწმუნეებს შეიძლება უნერგავდა შიშს, მაგრამ არა მოკრძალებას იმ ღმერთის მიმართ, რომელიც მოითხოვს ადამიანები ძლიტონ, წიწილებივით დაკლან, მამის ცოდვისთვის შვილი დასაჯონ... თუ ძლიერება სამართლიანობის მაჩვენებელია, ებრაელთა ბიბლიური ღმერთი ბაალზე „ძლიერია", მაგრამ ის ყრუ ბაალზე საშინელია, რადგან უწყალო, სასტიკი ეგოისტია, იდეალური სახე ტირანისა, ყველას რომ თრგუნავს.

ტიროდა და მოვიდა აქაბ ისრაილადმდე, და ხელი უფლისა იყო ილიას ზედა, და შეირტყა წელსა თვისსა და რბიოდა წინაშე აქაბისა იზრაილსად“ (3 მეფეთა, 18, 43—46).

უნდა გენახათ ეს წმინდა მოხუცი, მეფის წინ რომ ჭენებით გარბოდა თავსხმა წვიმაში ასწარმეტყველური სისწრაფით გარბოდა თავსხმა წვიმაში ასწარ-სის კალთებაკეცილი! პირდაპირ სეირი იქნებოდა! მერე და რა ჯამბაზის ნიჭი ჰქონდა, წვიმის მოლოდინში მიწაზე რომ გაწვა და თავი საკუთარ მუხლებს ქვემ ჩაჰყო, ამას რომელი ჩვეულებრივი ადამიანი შესძლებს!

„და მიუთხრა აქაბ იეზაბელს ცოლსა თვისსა ყოველი, რაოდენი ქმნა ილია და რამეთუ მოსწყვიდნა წინასწარმეტყველნი მახვილითა.

და წარავლინა იეზაბელ ილიას მიმართ და ჰრქვა: შენ თუ ხარ ილია, ხოლო მე იეზაბელ, ესე მიყავნ მე ღმერთთა, და ეს შემძინენ მე, რამეთუ მასვე ჟამსა განთიადისასა ღაღვა სული შენი, ვითარცა სული ერთისა მათგანისა!

და შეეშინა ილიას და აღდგა და ივლტოდა სულისათვის თვისისა და მივიდა ბერსაბედ, ქვეყანასა იუდასსა და დაუტევა ყრმა თვისი მუნ.

და იგი თვით წარვიდა დღისა ერთისა სავალსა უდაბნოდ და მოვიდა და დაჯდა ქვეშე საბარკსა და ითხოვა თავისა თვისისა სიკვდილი და თქვა: კმა არს ჩემდა, აწ უფალო მიიღე ჩემგან სული ჩემი, უფალო, რამეთუ არა ვარ მე უმჯობეს მამათა ჩემთა“ (3 მეფეთა, 19, 1—4).

აქ ორი რამ არის გასაოცარი: რომ იეზაბელი იმდენად სულელი გამოდგა, თავისი განზრახვა ილიას წინასწარ შეატყობინა — სულს გაგაცხებინებო, გაქცევის საშუალება მისცა, თუმცა იცოდა, როგორი მორბენალიც იყო წვიმის მომყვანი ბერიკაცი. ბრძანება მეორე დღეს უნდა მოეყვანათ სისრულეში და ილიას მთელი 24 საათი ეძლეოდა თავის განკარგულებაში. მართალია, იმ დროს მიმოსვლის საშუალებები ვერ იყო ისე განვითარებული, მატარებელში ვერ ჩაჯდებოდა, მაგრამ გაქცევა, როგორც ვხედავთ, მაშინაც შეიძლებოდა. მერე და პირდაპირ გვაოცებს ამ კაცის სიმხდალე: უფლის რწმუნებული, ელვისა და მეხის მტყორცნელი, ბატონი, რომელსაც შეუძლია მკვდრები გააცოცხლოს, ასობით ცოცხალი ადამიანი კი ბატკნებივით დაკლას, უცებ შეუშინდა ერთ წარმართ დედაკაცს. მართალია, ქალის ძლიერება საერთოდ ცნობილია, მაგრამ ღმერთზე ძლიერი ხომ არ არის? ილიამ კი მოჰკურცხლა და დაღლილი დაწვა ღვიის ქვეშ.

„და დაწვა და დაიძინა, ქვეშე ნერგსა ერთსა, და აჰა შეევინმეახო მას და ჰრქვა: აღდეგ და ჭამე და სვი.

და აღიხილა ილია და აჰა თავით მისსა ხვეზა ერთი ახლისა (ნამცხვარი, პური) და წყალი სტამნითა*.

და აღდგა და ჭამა და სვა და მიიქცა და მიიძინა მუნვე. და მოიქცა (მობრუნდა) ანგელოზი მეორედ, და შეახო მას და ჰრქვა: აღდეგ და ჭამე და სვი, რამეთუ შორს არის გზა შენი.

და აღდგა და ჭამა და სვა და წარვიდა ძალითა მით ჭამისათა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე ვიდრე მთამდე ქორებად (3 მეფეთა, 19, 5—8).

ბიბლიურ მწერალს რომ წმინდა წერილს კარნახობდა, წმინდა მტრედს ეტყობა სულ დაავიწყდა, რომ თავის დროზე ქორებიდან ბერსაბემდე ებრაელები სრული ოცდათვრამეტი წელი მიდიოდნენ. გვინდა წარმოვიდგინოთ ღვთისნიერი მლოცველი ქალი, განცვიფრებული ამ წინააღმდეგობით, წმინდა წერილის მოთხრობაში რომ ეჭვის შეტანას ვერა ბედავს და ისე მოკრძალებული ეკითხება სულიერ მამას, რატომ არისო აქ ასეთი განსხვავებული ცნობები. თქვენა გგონიათ დაიბნევა მოძღვარი? თქვენც არ მომიკვდეთ! წმინდა მამებმა ყოველთვის იციან, როდის რანაირად უნდა ილაპარაკონ მორწმუნეებთან:

— მანძილი ქორებიდან ბერსაბემდე, — დიდის ამბით იტყოდა მღვდელი,— სამას ორმოცდაშვიდჯერ მეტია, ვიდრე ბერსაბედან ქორებამდე. აი, რატომ მოდიოდა მოსე ოცდათვრამეტი წელიწადი, ილია კი ორმოცი დღე, თანახმად უფლის სიტყვისა, რაც არ შეიძლება შემცდარი იყოს და არც შეუძლია შეგვაცდინოს.

მორწმუნეებიც მით უფრო მოწიწებით სცემენ თაყვანს ბიბლიას, რაც უფრო ნაკლებად გაიგებენ მას. გულის წუხილით უნდა გამოვთქვათ სინანული იმის გამო, რომ ბიბლია არ გვაცნობს იმ რეცეპტს, რომლის მიხედვითაც შეიძლება ისეთი ღვეზელის გამოცხობა, ორმოცი დღისა და ორმოცი ღამის განმავლობაში რომ ეყოფა დაღლილ მგზავრს, ვისაც უზარმაზარი უდაბური გზა აქვს გასავლელი.

მოგზაურობა, რაც ასე უცნაურად დაიწყო, ცხადია, წინასწარმეტყველს ბევრ სხვა მოულოდნელობასაც უმზადებდა. ქორების მთაზე რომ მივიდა, „შევიდა მუნ ქვაბსა შინა და დაივანა მას შინა და აჰა, სიტყვა უფლისა იყო მისა და ჰრქვა: რასა ხარ შენ აქა, ილია?“ (მუხ. 9). ხათაბალა თუ გინდათ, ესაა. უფლის დავალებით მოვლენილი ბერიკაცი წარმართი ქალის რისხვას გამოექცა, ერთადერთი ნამცხვრით დაკმაყოფილდა, ორმოცი დღე იარა ოცდათვრამეტი წლის გზაზე, და გამოქვაბულშიც აღარ აჩერებენ: რა გინდა აქა, ილია? წინასწარმეტყველს ანგელოზისაგან არა-

---

* სტამნი (ბერძ. სტამნა) — „პირფართო სარწყული“ (საბა), დოქი (მარკ. 7. 4; 3 მეფეთა, 19, 6). დღეს არქაიზმად ქცეული ეს მშვენიერი სიტყვა შემორჩენილა სვანურში, სადაც დოქს მხოლოდ „სტამანს“ ეძახიან.

ვითარი ინსტრუქციები არ მიუღია. იცოდა მხოლოდ ისა, რომ ქორების მთაზე უნდა ასულიყო, მეტი არაფერი. რა მიზანი ჰქონდა ასეთ მოგზაურობას, ილიამ აბსოლუტურად არ იცოდა. ამრიგად, ღმერთის კითხვა უცნაური და უადგილოა. ამის მიუხედავად ილიამ ბოდიში მოუხადა და უთხრა: „შემშურდა შურით უფლისა ღვთისა ყოვლისა მპყრობელისა, რამეთუ დაგიტევეს შენ ძეთა ისრაელისათა, საკურთხეველი შენი დაამხვეს და წინასწარმეტყველნი შენნი მოსწყვიდნეს მახვილითა და მე მარტო დავშთომილვარ და ეძიებენ ხელსაცა ჩემსა მიღებად“ *(მუხლ. 10)*.

გაკვრით უნდა შევნიშნოთ, რომ ილია თავის ღმერთს ატყუებს: ისრაელთა შვილების კი არ ეშინია, არამედ წარმართი დედაკაცის, იეზაბელის, რომელიც ფურიასავით დასდევს, მაგრამ აქაბის სასტიკი ცოლის სახელს არც კი ახსენებს. ისრაელის შვილებმა ხომ ყველა წარმართი წინასწარმეტყველნი მდინარეში გადაისროლეს, რომ ილიასთვის ესიამოვნებინათ! მათი შიში აღარც უნდა ჰქონოდა. კერპთაყვანისმცემლობა, რაზედაც ის ლაპარაკობს, უკვე წარსულის ამბავია. ხალხი, რომელმაც კარმილის მთაზე სასწაული დაინახა, ყვიროდა: „გაუმარჯოს ადონაის!“ ღმერთმაც ხომ იცის და მისმა წინასწარმეტყველმაც, რომ საზოგადოებრივი აზრი მათს სასარგებლოდ შეტრიალდა! პირდაპირ გაუგებარია, რა სისულელეს ბოდავს ილია?

„და ჰრქვა (უფალმან. — ლ. ტაქსილი): განვედ განთიად და დადეგ წინაშე უფლისა მთასა მაგას და აჰა, უფალი წარვიდოდის, — ქარი დიდი და ძლიერი, რომელი დაარღვევდეს მთათა და შემუსრვიდეს კლდეთა წინაშე უფლისა*. და არა ქარსა მას უფალი (ე. ი. იმ ქარში არაა უფალი), და შემდგომად ქარისა მის ძრვა (ე. ი. ქარიშხალს მიწისძვრა მოჰყვებაო) და არა ძრვასა მას უფალი! და შემდგომ ძრვისა მის ცეცხლი, და არა ცეცხლსა მას შინა უფალი...“ წარმოიდგინეთ ამ მოცეკვავე მთაზე მოხუცი ილია! იქით ქარიშხალი, აქეთ ცეცხლი და უფალი კი მაინც არსად არ არის! აი, სანახაობა, რისთვისაც არაფერი დაგენანება! მაგრამ ჯერ სადა ხართ? „და შემდგომად ცეცხლისა მის ხმაი წვლილისა ნიავისა, და მას შინა უფალი!“ *(მუხლ. 12)*.

ნუ გეცინებათ! სწორედ ნიავწვლილშია ღმერთი და არა ქარიშხალში. „და იყო, ვითარცა ესმა ილიას, დაიფარა პირი თვისი ხალენითა (მაზარით, შალის წამოსასხმელით) თვისითა და განვიდა და დადგა წინაშე ქვაბისა და აჰა, იყო მისა მიმართ ხმაი და ჰრქვა: „რასა ხარ შენ აქა, ილია?“ წინასწარმეტყველმა ამ უცნაურ კითხვაზე ზუსტად გაუმეორა წეღანდელი პასუხი. „და თქვა უფალმან მის მიმართ: წარვედ, მიიქეც

---

* აქაც ჩანს ღმერთის ბავშვური სურვილი, რომ სასწაული მოახდინოს და ხალხი გააკვირვოს, თორემ კლდეთა შემუსვრას ისა სჯობდა წარმართი იეზაბელი შეემუსრა. ბიბლიაში ხშირია ზედმეტი ხმაური.

გზასა შენსა და მივედ გზასა უდაბნოსასა დამასკედ, და სცხო აზაილს მეფედ ასურასტანსა ზედა, და იეუესს ძე ამესისსა სცხო მეფედ ისრაელსა-ზედა, და ელისეს, ძესა საფატისსა სცხე წინასწარმეტყველად შენს წილ. და იყოს განრინებული მახვილისაგან აზაელისა მოკლას იუამ* და განრინებული მახვილისაგან იუისა მოკლას ელისემ", ე. ი. ვინც აზაელის მახვილს გადარჩება, იუეი მოკლავს, ხოლო ვინც იუეის მახვილს გადარჩება, იმას ელისე მოკლავსო. ვერასოდეს ვერავინ ვერ ახსნა ბიბლიის ეს ადგილი, რადგან არსად არ არის ნათქვამი, რომ ილიამ „სცხო" ელისეს და მან დახოცა ყველა, ვინც იეუეს მახვილს გადარჩა.

..და წარვიდა მიერ ილია და პოვა ელისე, ძე საფატისა, და ესე ხნავდა (ბნავდა) ათორმეტითა უღლითა ხარისათა წინაშე მისსა და თვით იგი უკან ათორმეტისა უღლისა, და მივიდა ილია მისსა მიმართ და მიაგდო ხალენი მას ზედა. და დაუტევა ელისე კარნი და მირბიოდა უკანით ილიასა და ჰრქვა: ამბორს უყო მამასა ჩემსა და დედასა ჩემსა და მიგდევდე უკანით შენსა. და ჰრქვა მას ილია: წარვედ და იყავ, რამეთუ გეყავ შენ?" ე. ი. წადი და უკან დაბრუნდი, რადგან რა გიყავი მე? *(მუხლ. 19—21)*. ამრიგად, ელისეი ისე გახდა ილიას ყურმოჭრილი ყმა, რომ ერთი წვეთი ზეთიც არ დაუსხამს თავზე.

მეფეთა მესამე წიგნის 20 თავში** მოთხრობილია იმ ომის ამბავი, რაც სირიის მეფე ბენადადმა (კიდევ ერთი უცნობი!) საკმაოდ უცნაური სახით გამოუცხადა ისრაელთა მეფეს. ეს ბენადადი, ძე ადერისა მთელი თავისი ლაშქრით „წარვიდა და გარემოადგა სამარიას", მასთან იყო ოცდათორმეტი მეფე, მათი მხედრობა და ეტლები. აქედან „წარავლინა მოციქულნი აქაბის მიმართ, მეფისა ისრაელისა", და შეუთვალა: „ვეცხლი და ოქრო შენი ჩემი არს, და ცოლნი შენნი და შვილნი შენნი და კეთილნი ჩემნი არიან". ამაზე ისრაელთა მეფემ გაიფიქრა, დამცინისო, და თვითონაც ირონიული პასუხი გასცა:: „და მიუგო მეფემან ისრაელისამან და თქვა: ვითარცა გითქვამს, უფალო ჩემო მეფეო, შენი ვარ მე და ყოველი ჩემი. და მოიქცნეს მოციქულნი და ჰრქვეს: ესრეთ იტყვის ძე ადერისა: მე წარმოვავლინე შენდა სიტყვანი: ვეცხლი და ოქრო შენი და ცოლნი შენნი და შვილნი შენნი მომეც მე!" *(მუხლ. 4—5)*. შეშფოთდა აქაბ მეფე, ეს კაცი ბკვათამყოფელი არ უნდა იყოსო, „და მოუწოდა მეფემან ისრაელისამან ყოველთა მოხუცებულთა ქვეყანისათა და ჰრქვა: სცანთ და იხილეთ აწ, რამეთუ იგი ბოროტად ითხოვს ცოლთა, შვილთა და

---

* ამ მეფის სახელი ძნელად ემორჩილება სწორად დაწერილობას. რუსებს აქვთ „იიუი", გერმანელებს — „იეჰუ", ქართულ ბიბლიაში ხან „იეუეი" წერია, ხან „იუა", „იუი"; ასურასტანი — სირია; აქ ტაქსილს გამოუტოვებია. ღმერთი ინდობს 7000 ისრაელს, რომელთაც „არა მოუდრიკნეს მუხლნი თვისნი ბაალს". დანარჩენს კი გაწყვეტით ემუქრება.

** აქ რუსულ თარგმანში შეცდომით წერია მეფეთა „პირველი" წიგნი.

ასულთა ჩემთა", ვერცხლსა და ოქროს ითხოვს ჩემსას და როგორ მოვიქცეო. „და ჰრქვეს მათ მოხუცებულთა და ყოველთა ერთა: ნუ უსმენ მას და ნუ ინებებ მიცემად".

როგორც გამოირკვა, ბენადადი არ ხუმრობდა. როცა გაიგო, რომ ისრაელთა მეფე ცოლ-შვილსა და ოქრო-ვერცხლს არ უკმაყოფილებს, გაბრაზდა დიდი მეფური რისხვით და ასე შემოუთვალა აქაბ მეფეს: „ასე მიყოს მე ღმერთმა და ესე შემძინენ (ასე და ასე მიყოს ღმერთმა), უკეთუ დაშთეს ხვრელიცა მელისა სამარას შინაო". ნაცარ-მტვრად ვაქცევო ისრაელს! ამას მოჰყვა სასტიკი ომი. ღმერთი რატომღაც მოღალატე აქაბის მხარეზე დგება და ეუბნება: ხომ ხედავ ამ დიდ ერს? „აჰა, მე მიგცნე იგინი დღეს ხელსა შენსა". ბენადადი და მისი 32 მეფე მთვრალები იყვნენ, ომი თამაში ეგონათ, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ, მეფემ გაქცევით ძლივს უშველა თავს, ქალაქ აფეკში გაიპარა და ხან ერთ ოთახში აფარებდა თავს, ხან მეორეში. ბოლოს და ბოლოს მაინც აქაბის ხელში ხვდება და მერე რა დამამცირებელ ვითარებაში: მონებმა ურჩიეს: ისრაელთა მეფენი მოწყალენი არიან (ეს წყალობა საულს ტახტის ფასად დაუსვა ღმერთმა!), „აწ მოვირტყნათ ძაძანი წელთა ზედა ჩვენდა და საბელნი ქედთა ზედა ჩვენთა", იქნებ შეგვიწყალოსო აქაბმა. იმედი გაუმართლდათ. აქაბმა არა მარტო შეიწყნარა და შეიწყალა ქედმაღალი ბენადადი, არამედ პატივითაც მიიღო. მორჩილი ბაქია მეფე ბენადადი აქაბს დაჰპირდა: „ქალაქნი, რომელნი წარიხვნა მამამან ჩემმან მამისაგან შენისა, მიგცნე შენ, და გამოსავალად ჰქმენ იგინი თავისა შენისათვის დამასკოსა"* *(მუხლ. 34)*. „პირუცვალებელი" უფალი ღმერთი ნანობს, რომ გამარჯვება აქაბს უბოძა.

ამას მოსდევს ნაბოთე ისრაიტელისა და მისი ვენახის ამბავი *(თავი 21)*. ამ სახელოვან ნაბოთეს აქაბის მეზობლად ჰქონდა მცირე ვენახი. მეფემ მას მისცა წინადადება, რაც ისე ხელსაყრელი იყო, რომ ვის არ მოხიბლავდა! ვენახის ყიდვა მოისურვა და იქ თავისი ბაღის გაშენება. რასაც მთხოვ, იმას მოგცემ, ნუ ვივაჭრებთო, უთხრა, ან სხვა ვენახს გაგიცვლიო, ბევრად უკეთესს. ნაბოთე უარზეა, მე ჩემი ვენახი მინდაო. მემკვიდრეობითი ჭონებაა, არაფრისათვის არ დავთმობო. ასეთი ჯიუტობით შეწუხებული აქაბი იმ ზომამდე მივიდა, რომ ჭამა-სმაზე უარი თქვა, ყვე-

---

* აქაც და სხვაგანაც, ბიბლიაც და ყველა სხვა ძველი ქართული ტექსტიც გვემოწმება, რომ ამ უძველესი სახელგანთქმული ქალაქის სახელია „დამასკო" და არა „დამასკი", როგორც ზოგიერთი სპეციალისტი უმართებულოდ თვლის (მაგ., 4 მეფეთა წიგნშიც: „და გამოვიდა მეფე იგი ასირისა დამასკოდ"... ასევე აქვს საბას და სხვ.).

აქ ბიბლიის ტექსტი ბუნდოვანია: ისე გამოდის, თითქოს აქაბი ეუბნებოდეს ბენადადს, მამის წართმეულ ქალაქებს დაგიბრუნებო. სინამდვილეში კი პირიქითაა (გამოტოვებულია: „და ჰრქვა აქაბს").

ლაფერზე ხელი აიღო. მაშინ იეზაბელმა ნაბოთეს დაქირავებული მკვლელები მიუგზავნა, „დაჰქოლეს ნაბოთე და მოკვდა“. შემდეგ კი ქმარს ურჩევს, ახლა ვენახი შენია და მიხედეო. ამ ახალმა დანაშაულმა ღვთის აღაშფოთა, საქმეში თვითონ ღმერთი ჩაერია, ისევ ილიას მეშვეობით. აქაბმა რომ ნაბოთეს ჩაქოლვა გაიგო, „დაიპო სამოსელი თვისი და შეიმოსა ძაძითა“, მაგრამ ეს მხოლოდ მოსაჩვენებლად, ცოტა ხნის შემდეგ მაინც შეიხედა ნაბოთეს ვენახში. მაშინ დაავალა ღმერთმა ილიას სამარიაში მისვლა და აქაბის გაფრთხილება. ილია მივიდა და მეფეს ასე უთხრა: ესრეთ იტყვის უფალი: ვინათგან შენ მოაკვდინე ნაბოთე და მიუღე ვენახი მისი, ამისთვის ადგილსა ზედა, სადაცა ლოკდა ღორი და ძაღლი სისხლსა მისსა, მუნ ლოკდეს სისხლსაცა შენსა და მეძავნი იბანებოდიან სისხლითა შენითა. და ჰრქვა აქაბ ელიას: მპოვეა მე, მტერო ჩემო? და ჰრქვა ილია: გპოვე... ესრეთ იტყვის უფალი: აჰა მე მოვავლინო შენ ზედა ბოროტი, და მოვწვა შემდგომნი შენნი და აღმოვფხვრა ყოველი აქაბისა შემფსმელი კედლისა მიმართ და დაშთომილი და დატევებული ისრაელსა შორის... და იეზაბელისათვის ჰრქვა უფალმან: ძაღლთა შეჭამონ იგი წინაშე ქალაქისა იეზრაელისა! მკვდარსა აქაბისსა ქალაქსა შინა ჭამდენ ძაღლნი და მკვდარსა მისსა ველსა ზედა ჭამდენ მფრინველნი ცისანი *(მუხლ. 18—23)*.

აქაბი საშინელმა მუქარამ შეაძრწუნა, „და ვიდოდა და ტიროდა და დაიპო სამოსელი თვისი და მოირტყა ძაძა გვამსა თვისსა და იმარხვიდა და ვიდოდა შეჭირვებული“ *(მუხლ. 27)**.

ღმერთმა რომ ნახა ასე შეჭირვებული, სამოსელშემოგლეჯილი მეფე, რომელიც ქუჩა-ქუჩა დადიოდა, მარხულობდა და ტომარაში ეძინა, გული მოულბა და ილიას უთხრა: ნახე, „შეილმო აქაბ პირისაგან ჩემისა“**, ამიტომ მას აღარ დავსჯი, მუქარას მის შვილზე შევასრულებო.

აქაბის ამბავი, მეტადრე მისი სიკვდილის წინ დატრიალებული ამბები, საბედნიეროდ, დრამატულად დაძაბული, მხატვრულად გამართული, საინტერესო საკითხავია, ღირსი დაწვრილებით გადმოცემისა, კაცი არ მოიწყენს, იმდენი რამ ხდება ცაში და დედამიწაზე. აქ ვეცნობით ვინმე მიქიას, ნაბალის ძეს, ხელობით წინასწარმეტყველს, რომელიც უზენაესის სამსჯავროს ესწრებოდა და ყველაფერი ისე მოუთხრო ადამიანებს, როგორც ნახა და მოისმინა. თქვენ დარწმუნდებით, რომ ამაზე მეტი სიზუსტე წარმოუდგენელია.

„და მოვიდა სამარიას და დაჯდა სამ წელ და არა იყო ბრძოლა შორის ასურთა და შორის ისრაელთა, და იყო წელსა მესამესა და მოვიდა იოსაფატ, მეფე იუდასი მეფისა მიმართ ისრაელისა“ *(3 მეფეთა, 22, 1—2)*.

---

* რუსულ თარგმანში აქ შეცდომითაა ნაჩვენები მუხლი 21. უნდა იყოს **27.**

** ლმობა- — „გრძნობა ვნებისა, რომელ არს ტკივილი“ (საბა).

სასარგებლოა ცოდნა იმისა, რომ მეფე იოსაფატი, ღვთისმოსავ ასიას შვილი, თვითონაც სამაგალითო ღვთისმოსაობით გაბრწყინდა. იუდეველთა სამეფოს არსებობის განმავლობაში მხოლოდ ის, იოსაფატი, და კიდევ ეზეკია, რომლის ამბავსაც ქვემოთ ვიტყვით, — მხოლოდ ეს ორია ეკლესიის მიერ ბოლომდე კეთილ ბერებად აღიარებული. მაგრამ უწ ღვთისმოსავი იოსაფატი როგორღაც სამაგალითოდ ეწყობა უკეთურ აქაბს, რომელმაც ღმერთს ამდენი წყენა მიაყენა. აქაბისა და იეზაბელის კერპთაყვანისმცემლობა ნაკლებად აწუხებს, ასე რომ იმ უკეთურებს ასულის ხელიც კი სთხოვა თავისი შვილის იორამისათვის, და არც უთქვამთ უარი. სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ იეზაბელი ძლიერ ნაყოფიერი გამოდგა, ხოლო ოჯახის სიმრავლე კი ბიბლიის საერთო თვალსაზრისით, უფლის წყალობის უზენაესი გამოხატულებაა. ჩანს, არც ღმერთს სწყენია ისე იეზაბელის წარმართობა. თუმცა კერპებს სცემდნენ თაყვანს, მაგრამ ღვთისაგან დალოცვილები კი იყვნენ, რადგან ქვემოთ ვნახავთ, რომ სამოცდათორმეტი შვილი ჰყავდათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქალიშვილებს, რომელთა შორისაც გოთოლია უფროსი იყო. აი, ეს გოთოლია ითხოვა იოსაფატის შვილმა.

აი, კეთილმსახური იოსაფატი სტუმრადაა თავის სიმამრ აქაბთან. „და ჰრქვა მეფემან ისრაელისამან ყრმათა მიმართ თვისთა: უწყითა, რამეთუ ჩემი არს რემათ გალაადისა, და ჩვენ ვმდუმარებთ მოღებად მისა ხელისაგან მეფისა ასურთასა“ *(მუხლ. 3)*. მართლაც, სამი წლის წინ აქაბმა, ბენადადს რომ ეომებოდა, მტერი გაწყვიტა, მაგრამ ის კი ვერ მოისაზრა, რომ დაცარიელებული მიწა-წყალი აეღო. ამიტომ გალაადის რემათი (რამოთი) მაინც ისევ მტრის ხელში აღმოჩნდა. რა დაბნეულობაა! როგორ იქნება ასეთი კარგი ქალაქის დაკარგვა, რაც მსოფლიოს რუკაზე არაა აღნიშნული? „და ჰრქვა მეფემან ისრაელთამან იოსაფატს: აღმოხვალ თუ ჩვენ თანა ბრძოლად რემათს გალაადისსა? და ჰრქვა იოსაფატ: ვითარცა მე, ეგრეცა შენ. ვითარცა ერი ჩემი, ერიმცა შენი. ვითარცა ცხენნი ჩემნი, ცხენნიც შენნი“ *(მუხლ. 4)*.

ვერ დავფარავთ, რომ ეს დიდი გულკეთილობა იყო მისი მხრით, საომრად მზადყოფნა რომ ასეთი წმინდა სიტყვებით გამოხატა! მერე რა ღვთისმოსავი იყო, რომ მაშინვე განიზრახა ღმერთთან მოთათბირება, აბა როგორ შეხედავსო მომავალ ექსპედიციას*.

„და ჰრქვა იოსაფატ მეფემან იუდასმან მეფესა ისრაელისასა: ვკითხოთ დღეს უფალსა. და შეკრიბნა მეფემან ისრაელთამან ყოველნი წინას-

---

* ყოველ სერიოზულ საქმეს რომ ღმერთს ეკითხებიან, ეს ბიბლიური წესი პარალელებს პოულობს წარმართთა, განსაკუთრებით ბერძენთა მითოლოგიაში. ღმერთებთან შუამავლის როლს საბერძნეთში ორაკული ასრულებდა, ბიბლიურ ღმერთს კი ქურუმნი ეკითხებიან.

წარმეტყველნი, ვითარ ოთხასი კაცი, და ჰრქვა მათ მეფემან: განვიდე თუ რემათსა გალაადისასა ბრძოლად, ანუ დაუტეო? და ჰრქვეს: განვედ, რამეთუ მოცემით მოგცეს უფალმან ხელთა მეფისათა“ (მუხლ. 5—6). ეტყობა, ებრაელებს წინასწარმეტყველთა ნაკლებობა არ განუცდიათ. ბაალისა და ბაღნარის 800 წინასწარმეტყველის გაწყვეტიდან სამი წელი გავიდა და აგერ უკვე იაღვეს ოთხასი წინასწარმეტყველი გამოჩნდა.

იოსაფატის აზრით, ეს არ კმაროდა. არ სურდა, რომელსამე წინასწარმეტყველს ეს ღირსშესანიშნავი თავყრილობა გაეცდინა და თანბირში თავისი წვლილი არ შეეტანა. ამიტომ იოსაფატმა თქვა: „არა არს აქ წინასწარმეტყველი უფლისა და ვკითხოთმცა უფალსა მის მიერ. და ჰრქვა მეფემან ისრაელთამან იოსაფატს: ევალად არს კაცი ერთი კითხვად უფლისა მის მიერ და მე მოვიძულე იგი, რამეთუ არა იტყვის ჩემთვის კეთილსა, არამედ ბოროტსა: მიქია, ძე ნაბალისა. და ჰრქვა მეფემან იოსაფატ იუდასმან: ნუ იტყვი, მეფე ეგრეთ! და მოუწოდა მეფემან ისრაელთამან საჭურისსა ერთსა და ჰრქვა: წარვედ მსწრაფლ მიქიასა, ძისა ნაბალისა!“ (მუხლ. 7—9).

მეფეებთან გამოცხადებულმა მიქიამ სხვების მსგავსად დაიწყო ამ ლაშქრობის გამარჯვებით დაგვირგვინების წინასწარმეტყველება. მიქიას ამ სასიამოვნო ქადაგებამ („განვედ რამათსა შინა) და გიძღოდეს შენ უფალი და წარუმართოს უფალმან ხელთა მეფისათა“) აქაბი ძლიერ გააკვირვა. წინასწარმეტყველნი ჩვეულებრივ თამამი ხალხი იყო, ხშირად სასტიკ დესპოტებსაც პირში ეუბნებოდნენ სიმართლეს, და მიქიას სიტყვაც გულწრფელი იქნებოდა, მეფე ამაში დარწმუნებული იყო. „და ჰრქვა მას მეფემან: კვალად ერთგზის გაფუცებ შენ, რათა იტყოდი ჭეშმარიტებით ჩემთვის სახელითა უფლისათა. და ჰრქვა მიქია: არა ეგრე, ვიხილე ყოველი ისრაელი განბნეულ მთათა შინა, ვითარცა სამწყსო, რომლისა არა იყო მწყემსი, და ჰრქვა უფალმან: არა უფალი არს მათდა ღმერთ: მიიქცენ თვითეული სახლად თვისად მშვიდობით. და ჰრქვა მეფემან ისრაელისამან იოსაფატს, მეფესა იუდასა: არა გარქვა შენ, ვითარმედ არა მიწინასწარმეტყველებს მე ესე კეთილად, არამედ ბოროტსა?“ (მუხლ. 16—18).

ახლა ერთი რამ რჩებოდა გაურკვეველი: რატომ დანარჩენმა წინასწარმეტყველებმა გამარჯვება დაუთქვეს, მიქიამ კი ჩვენება შეცვალა? ვინაა უფრო ძლიერი და მართალი? ვის ერწმუნონ? მიქია ისევ ამეტყველდა და აქ მისი სიტყვა განსაკუთრებით შესანიშნავია:

„და ჰრქვა მიქია: არა ეგრეთ, არა მე! ისმინე სიტყვა უფლისა! არა ეგრეთ: ვიხილე მე უფალი ღმერთი ისრაელისა მჯდომარე საყდარსა ზედა თვისსა და ყოველნი მხედრობანი ცათანი მდგომარენი გარემო მისსა მარჯვენით და მარცხენით მისსა.

და ჰრქვა უფალმან: ვინ აცთუნებს აქაბს მეფესა ისრაელისასა და განვიდეს და დაეცეს რემათას შინა გალაადისასა? და ჰრქვა ვინმე ესრეთ და ვინმე ეგრეთ (ზოგმა ასე თქვა, ზოგმა ისეო). და ადვიდა სული და დადგა წინაშე უფლისა და ჰრქვა: მე ვაცთუნო იგი, და ჰრქვა მისა მიმართ უფალმან: რაით?

და ჰრქვა მან: განვიდე და ვიქმნე სული სცთომისა პირსა შინა ყოველთა წინასწარმეტყველთა მისთასა (მაცდურ სულად ვიქცევი მისი ყველა წინასწარმეტყველის პირშიო). და ჰრქვა უფალმან: აცთუნო და შეუძლოცა! განვედ და ყო ეგრეთ! (წადი, შეასრულეო).

და აჰა ესერა მოსცა უფალმან სული ცრუ პირთა შინა ყოველთა ამათ წინასწარმეტყველთა შენთასა და უფალი იტყოდა შენ ზედა ბოროტსა" *(3 მეფეთა, 22, 19—23)*.

როგორ მოგწონთ ეს წმინდა ანგდოტი? როგორ მიგაჩნიათ, კარგად მოქცეულა ყოვლისშემძლე მოწყალე ღმერთი, რომელიც ანგელოზებს მოეთათბირა და ბოროტს იზრახავს, რათა მოატყუოს და გაანადგუროს ადამიანები? ლორდი ბოლინგბროკი, ბიბლიის ამ ადგილის კომენტარებში ამბობს, რომ ეს ანეგდოტი უხეირო მიბაძვაა ილიადის ერთი ადგილისა, სადაც ზევსი ცდილობს აგამემნონის წინაშე აქილევსის ავტორიტეტი უფრო აამაღლოს და ამ უკანასკნელს სიზმრით ატყუებს.

„შესაძლებელია, — წერს ინგლისელი ფილოსოფოსი,— რომ მღვდელი, ვინც ძველ ებრაულ ლეგენდებს ადგენდა, ჰომეროსის ლეგენდებს ბაძავდა, რადგან ებრაელთა წიგნები ბევრად უფრო გვიან დაიწერა. მთელს ბიბლიაში ებრაელთა ღმერთი ბერძენთა ღმერთზე ბევრად უფრო დაბლა დგას: თითქმის ყოველთვის მარცხდება. სულ მუდამ მსხვერპლზე ოცნებობს, მისი ხალხი კი შიმშილით წყდება. რამდენჯერაც არ უნდა გამოეცხადოს პირადად, რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს საკუთარი პირით, მაინც თავის ხალხში ვერაფერი დიდი ზეგავლენით ვერ სარგებლობს, და ის ხალხი მაინც არ ასრულებს ღმერთის მოთხოვნებს. ტაძარს უშენებენ, მაგრამ აი, გამოჩნდება რომელიღაც სუსაკიმი, ეგვიპტის მეფე, და ამოდენა ტაძრიდან ქვას ქვაზე არ ტოვებს. ის სოლომონს სიბრძნეს ანიჭებს, მაგრამ სოლომონი დასცინის, ჰღალატობს და სხვა ღმერთებს ეთაყვანება. აღთქმულ მიწას აძლევს თავის ხალხს, და ეს ხალხი მის აღთქმულ მიწაზე სრულ მონობაში ცხოვრობს იესო ნავინის დროიდან საულის მეფობამდე. ჭეშმარიტად, არ არსებობს ამაზე უბედური ღმერთი და ამაზე უბედური ხალხი.

დაე, ამტკიცონ ძველებრაულ ზღაპართა შემდგენლებმა, რომ ებრაელი ხალხი ურწმუნოებისა და ღმერთის ორგულობისათვის ისჯებოდა. ჩვენს ანგლიკანელ მღვდლებსაც იგივე შეეძლოთ ეთქვათ ირლანდიელებსა და ჩვენს შოტლანდიელებზე, ძალიან უბედურსა და თანაც ძალიან რელიგიურ, ღვთისმოშიშ მთის ხალხებზე. არაფერი არ არის ამის თქმა-

ზე ადვილი: თუ დაგამარცხეს, ეს იმიტომ, რომ საკმაოდ მტკიცედ არ გწამდა ღმერთიო. შენ რომ ეკლესიისათვის მეტი ფული მიგეცა, უფრო გაგიღიმებდა და გაიმარჯვებდიო. ეს საზიზღარი ცრუ რწმენა შორეულ წარსულში იღებს სათავეს: მან ქვეყნიერება შემოიარა, ის ყველა ხუცესის ლოზუნგი იყო, ყველა რელიგიასა და ყველა ხალხში ქრისტიანობამდე გამდიდრების წყაროს ადამიანთა სისულელის წყალობით.

მაგრამ მიქიას მიერ გმობილი და შეურაცხყოფილი წინასწარმეტყველნი რისხვით ანთებულან, ერთ მათგანს მიქიასთვის სილა უთავაზებია, მერე კი თვითონ მიქია დაუპატიმრებიათ. აქაბი კი მაინც წასულა სალამჭროდ და იუდეის მეფის მხარდაჭერით უცდია გალაადის რემათის შემოერთება. მაშასადამე, კეთილმსახურმა იოსაფატმა თავის ოთხას წინასწარმეტყველს უფრო დაუჯერა, ვიდრე ახირებულ მიქიას, რომელიც ვითომ ღმერთის თათბირს ესწრებოდა.

ეტყობა, ისრაელთა მეფე ვერ იყო ძლიერ დამშვიდებული; „და ჰრქვა მეფემან ისრაელისამან იოსაფატს, მეფესა იუდასა: შემმოსე მე და შევიდე ბრძოლად, და შენ შეიმოსე სამოსლითა ჩემითა, და შეიმოსა მეფე ისრაელისა და შევიდა ბრძოლად“. აქაბის მიზანი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, რა გულუბრყვილო ყოფილა იოსაფატი.

„ხოლო მეფემან ასურისამან ამცნო მთავართა ეტლთა თვისთასა ოცდათორმეტთა და ეტყოდა: ნუ ებრძვით ნუცა დიდთა და ნუცა მცირეთა, არამედ მეფესა ისრაელისასა მხოლოდ.

და იყო, ოდეს იხილეს მთავართა ეტლთასა იოსაფატ მეფე იუდასა და თქვეს: იხილების მეფე ისრაელისა ესე! და გარემოეხვივნეს მას ბრძოლად მისთანა, და ხმა ყო იოსაფატ.

და იყო, რაჟამს იხილეს მთავართა ეტლთათა, რამეთუ არა არს იგი მეფე ისრაელისა და უკუნ იქცეს მისგან.

და მოვინმეირთხა მშვილდი ერთმან მოისართაგანმან და სცა მეფესა ისრაელისასა შორის ფერდსა და მკერდსა. და ჰრქვა მეფემან მეეტლესა მას თვისსა: მიმაქციე ხელი შენი და განმიყვანე მე ბრძოლისაგან, რამეთუ მოწყლულ ვარ.

და განმრავლდა ბრძოლა მას დღესა შინა, და მეფე იყო მდგომარე ეტლებთა ზედა წინაშე ასურთა დილითგან ვიდრე მწუხრადმდე და გარდამოვიდოდა სისხლი წყლულებისაგან მისისა უბესა ეტლისასა და მოკვდა მწუხრად, ითხოდა სისხლი წყლულისაგან ეტლით გამო.

და იყო ღაღადისი დასლვასა მზისასა...“* *(3 მეფეთა, 31—35).*

ასე დაიღუპა იეზაბელის მეუღლე აქაბ მეფე!

---

* ტაქსილის ტექსტში შემთხვევითაა გამოტოვებული ეს აუცილებელი ეპიზოდი, რაც ამართლებს ილიას წინასწარმეტყველებას, ადრე თქმულს.

აქაბის დაღუპვით თავდება მეფეთა მესამე წიგნი. დასასრულს მოკლედაა დახასიათებული ოქოზია, რომელმაც „ქმნა ბოროტი უფლისა მიმართ“, „ჰმონა ბაალს, შეიყვანა ცოდვასა შინა ისრაელი“ და ამით „განარისხა უფალი“.

საშინელი აღსასრული ერგო განდგომილ მეფეს.

„და მივიდეს სამარიასა და დამარხეს მეფე სამარიას. და განბანეს სისხლი ეტლისა მის წყაროსა შინა სამარიას, და სთქვლეფდეს ძორნი და ძაღლნი სისხლსა მისსა და მეძავნი ირეცხებოდეს სისხლითა მისითა, სიტყვისაებრ უფლისა, რომელი თქვა“ *(მეფ. 37—39)*.

წმინდა წერილი მეტისმეტად დიდ დამსახურებას მიაწერს აქაბს. „ხოლო სხვანი სიტყვანი აქაბისნი და ყოველი, რომელი იქმნა და ტაძარი იგი სპილოს ძვალისა, რომელი აღაშენა“, ცხადია, ფანტაზიის სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. სპილოს ძვლის ტაძარი სხვას არავის უშენებია. აქაბს ამაში, ცხადია, წმინდა მტრედი დაეხმარა.

აქაბის მემკვიდრე იყო მისი უფროსი შვილი ოქოზია, რომლის მოკლე ისტორია მოთხრობილია მეფეთა მეოთხე წიგნის პირველ თავში.

ოქოზიამ მეფობა ზოგიერთი რომის პაპივით უცნაურ გარემოებაში დაიწყო — უბედური შემთხვევის წყალობით. „ხოლო ოქოზია გარდავარდა სარკმლიდან, რომელი იყო ქორსა* შორის მისსა სამარიას და სალმობიერ იქმნა (დაშავდა)“ *(4 მეფეთა, 1, 2)*. ამ ადგილის განმარტებას სრულიად მოკლებულნი ვართ და ამიტომ იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ ოქოზია თავისი სახლის ერდოზე ან მეორე სართულზე ცხოვრობდა. ეტყობა, ეს მოხდა მწუხრის ჟამს, ზომაზე მეტად მთვრალმა ოქოზიამ ცაზე ვარსკვლავების დათვლა ინება, სარკმელი მიიღო კარადად, რომელშიაც ღვინო ეგულებოდა, შერგო შიგ თავი და ქვაფენილზე დავარდა. ღმერთმა ოქოზიას იქვე სული არ გააცხებინა. დაშავებული სასახლეში დააწვინეს. მეფისწული მაინც შფოთავდა, უნდოდა გაეგო, გადარჩებოდა თუ ვერა, და დახმარებისთვის აკარონელთა ღვთაებას ბელზებელს** მიმართა. ღმერთს ეწყინა „შეგინებული ბაალის“ ასეთი განდიდება. საქმეში ელია წინასწარმეტყველი ჩაერია. „და ანგელოზმან უფლისამან ჰრქვა ილიას მიმართ თეზბიტელისა, და ეტყოდა: აღდეგ და წარვედ შემთხვევად წარმოვლინებულთა ოქოზია მეფისა სამარიასა და ეტყოდი მათდა მიმართ: ანუ არა არსა ღმერთი ისრაელსა შინა, რამეთუ მოხვალთ კითხვად ბაალისა, შეგინებული ღვთისა, აკკარონისად? და ამისთვის ესრეთ იტყვის უფალი: ცხედარსა, რომელსა ზედა მდებარე ხარ მუნ, არა გაქვს გარდამოსლვაი მისგან, რამეთუ მუნ სიკვდილითა მოკვდე! და წარვიდა ილია და ჰრქვა მათდა მიმართ. და მიიქცენ მოვლინებულნი ოქოზიას მიმართ“ *(4 მეფეთა, 1, 3—4)*.

---

* ქორი საბას განმარტებით არის „სახლი სახლზედ აშენებული“ ან „ერდოზე სახლი“. მეორე სართული დღეისთვის ქართულში ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით აღარ იხმარება, მაგრამ შემორჩა სვანურში: ჭორ-სახლი.

** ბელზებელი შედგენილია ძველი ებრაული სიტყვებისაგან: ბაალბატონი და ზებუბ-ბუზი. აქედანაა გოეთესეული თარგმანი „ბუზების“ ღმერთი Fliegengot: „კაუსტში“ (შმაკი მაინე მწერთა ბატონად ითვლებოდა).

მსახურები უკან დაბრუნდნენ, ოქოზიას გაუკვირდა, რად მობრუნებულხართო? მსახურებმა აუხსნეს, ვიღაც კაცი შეგვხვდა, ასე და ასე გვითხრაო, მაგრამ ის კი ვერ უთხრეს, ვის უნდა ყოფილიყო ამ ბოროტების მაუწყებელი. „და მიუგო მათ მეფემან და უთხრა: ვითარი ჰაბაკისა იყო კაცი იგი, გამოსრული შემთხვევად თქვენდა და რომელ გეტყოდა თქვენ სიტყვასა ამას? და ჰრქვეს მას: კაცი ფაჩვნიერი (წვერიანი) და ერტყა სარტყელი ტყავისა წელსა მისსა. და ჰრქვა მეფემან: ილია თეზბიტელი არს ესე! და წარავლინა მისა უხუცესი ერგასის თავი და ორმეოც და ათი კაცი მისთანა და წარვიდეს და მივიდეს მისა მიმართ. და აჰა, ილია იჯდა წვერსა მთისასა, და ეტყოდა ერგასის თავი მას და ჰრქვა: კაცო ღვთისაო, მეფე გიხმობს შენ, შთამოვედ! და მიუგო ილია და ჰრქვა ერგასის თავსა: უკეთუ ვარ მე კაცი ღვთისა, რათა გარდამოხედინ ცეცხლი ზეცით და შეგჭამოს შენ და ორმეოც და ათნი შენნი შენთანა! და გარდამოხდა ცეცხლი ზეცით და შეჭამა იგი და ორმეოც და ათნი კაცნი მისთანა“ (4 მეფეთა, 1, 7—9).

მაშინ კიდევ ერთი ერგასისთავი (ორმოცდაათისთავი) გაგზავნეს, ხუთი ათეული კაცის თანხლებით, და იმათაც იგივე ბედი ეწიათ: ციურმა ცეცხლმა შთანთქა ყველანი. მეფემ მესამე დელეგაცია გაგზავნა.

„და შესძინა მეფემან, კვალად წარგზავნა უხუცესი, ერგასის თავი მესამედ, და ორმეოც და ათნი კაცნი მისთანა, და მივიდა მისა ერგასის თავი მესამე, და თაყვანისცა მუხლსა ზედა თვისსა წინაშე ილიაისა და ევედრებოდა მას და იტყოდა მისა მიმართ და ჰრქვა: კაცო ღვთისაო, შეიწყალე სული ჩემი და სულნი მონათა ამათ შენთა, ორმეოც და ათთანი წინაშე თვალთა შენთა.

აჰა, გარდამოვიდა ცეცხლი ზეცით და შეჭამნა ორნი ერგასის თავნი პირველნი და ორმეოც და ათნი მათნი. და აწ შეწყალებული იქმნენინ სულნი მონათა შენთანი წინაშე თვალთა შენთა.

და იტყოდა ანგელოზი უფლისა ილიას მიმართ და ჰრქვა: შთავედ მათ თანა და ნუ გეშინის პირისაგან მათისა! და აღდგა ილია და შთავიდა მათ თანა მეფისა მიმართ.

და ეტყოდა მას და ჰრქვა: ესრეთ იტყვის უფალი, რაი რამეთუ წარავლინენ მოციქულნი კითხვად ბაალისა შეგინებულისა ღვთისა აკკარონსა შინა? რეცა თუ არა იყო ღმერთი ისრაელისა შორის, რომელ გეკითხა მისგან სიტყვა? ამისთვის ცხედრისაგან, რომელსაცა შენ მდებარე ხარ მუნ, არა გაქვს გარდამოხდე მისგან, რამეთუ სიკვდილითა მოჰკვდე.

და მოჰკვდა სიტყვისა ებრ უფლისა, რომელსა ეტყოდა ილია, და მეფე იქმნა იორამ, ძმა ოქოზიასი მის წილ, ვინათგან არა ესვა ძე ოქო-

ზიას, წელსა მეორესა იორამის ძის იოსაფატისა, მეფისა იუდასა (4 მეფეთა, 1, 13—17).

ლორდი ბოლინგბროკი ამ ეპიზოდს ასეთ კომენტარებს უკეთებს: „ილია, რომელმაც ორჯერ იმარჯვა და ციური ელვა დაატეხა თავზე ორ ბამხედრო მეთაურსა და მათს ჯარისკაცებს, რომელნიც მეფემ მიუგზავნა, მოგონილი პირია, რადგან მას რომ მართლა შესძლებოდა ციური ელვის ასე გამოწვევა, უეჭველად დაიპყრობდა მთელს დედამიწას, ისე რომ თავის მსახურთან სეირნობას არ დაიშლიდა. სწორედ ასე ეუბნებოდნენ მუდამ ჯადოქრებსა და კუდიანებს გონიერი ადამიანები: თუ დარწმუნებული ხართ, რომ ეშმაკი, რომელთანაც თქვენ კავშირი გაქვთ, გააკეთებს ყველაფერს, რასაც უბრძანებთ, რატომ არა სთხოვთ თქვენთვის, რათა ყველა მიწიერი სამეფო გაჩუქონ, ყველა სიმდიდრე და ქალი, მაგალითად? იგივე შეგვეძლო გვეთქვა ილიასათვის:

— შენ ელვის ენით დახოცე ორი მეთაური და ორი ასეული ჯარისკაცი, და შენვე კუდამოძუებული გარბიხარ, როცა დედოფალი იეზაბელი გემუქრება, დაგიჭერო. განა არ შეგეძლო იეზაბელიც ფერფლად გექცია, როგორც აქციე ეს საცოდავი ჯარისკაცები? რა აღმაშფოთებელი წინააღმდეგობა გხდის შენ ხან ღმერთის თანატოლად, ხანაც ლაჩრად? რომელი ჭკვათამყოფელი მოითმენს ამ საძაგელ ზღაპრებს, რომლებიც სიბრალულის ღიმილსაც იწვევენ და ძრწოლის წამოძახილსაც?“

უნდა დავუმატოთ, რომ ამდენი სრულიად უდანაშაულო ჯარისკაცის, მეფის მსახურთა განადგურება საერთოდ გაუგებარი სისასტიკეა. არსად ბიბლიის ტექსტში არაა ნათქვამი, რომ ოქოზია ილიას რაიმე ცუდს უპირებდა. მაშინაც კი, როცა მეფის წინაშე ცხადდება და საბედისწერო აღსასრულს უწინასწარმეტყველებს: ამ სარეცელზე მოკვდებიო, — ღვთის კაცს არავინ არაფერს ერჩის. გარდა ამისა, ოქოზიას რომ მართლა ჰქონოდა განზრახული მიქიასავით დაესაჯა ილიაც, არც მაშინ იყო საჭირო ას ორი უდანაშაულო ადამიანის დაწვა ციური ცეცხლით, რადგან ეს ხალხი მხოლოდ მბრძანებელთა ნებას ასრულებდა... საკმარისი იყო მათი ჩაგდება უმწეო მდგომარეობაში, მაგალითად, დამბლის დაცემით. არც ეს იქნებოდა ნაკლები სასწაული და, რაც მთავარია, არ ჩაითვლებოდა სასტიკ და საძაგელ საქციელად.

ოქოზიას, იოსაფატისა და ორივე იორამის ამბებთან დაკავშირებით წმინდა წერილი ისეთ მოუთმენელ წინააღმდეგობაში ვარდება, რომ ამისი ხაზგასმა სასარგებლოდ მიგვაჩნია. მეფეთა მესამე წიგნის 22 თავში ნათქვამია: „და იოსაფატ, ძე ასასი გამეფდა იუდას ზედა წელსა ზედა მეოთხესა აქაბ მეფისა ისრაელისასა. ხოლო მეფე იოსაფატ, ძე ასასი, იყო წლისა ოც და ათხუთმეტისა, ოდეს იწყო მეფობად, და ოც და ხუთ წელ მეფობდა იერუსალემსა შინა, ხოლო იყო სახელი დედისა მისისა აზუვა.

ასული სალაილისა“ (მუხლ. 41—42). ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ: „და მოკვდა იოსაფატ და დაემარხა მამათა თანა თვისთა, და გამეფდა იორამ, ძე მისი, მის წილ“ (მუხლ. 46)*. ეს იორამი, იუდეველთა მეფე, სხვა რავინაა, თუ არა გოთოლიას, აქაბის ასულის ქმარი. „და ოქოზია, ძე აქაბისა, გამეფდა ისრაელთა ზედა სამარიას შინა წელსა მეთთშვიდმეტესა იოსაფატ მეფისა იუდასა, და მეფობდა ისრაელსა ზედა სამარიასა შინა, წელსა ორსა“ (მუხლ. 48).

ქვემოთ ბიბლია გვაუწყებს, რომ ოქოზიას (აქაზიას) შვილები არ ჰყავდა და ამიტომ მისი მემკვიდრე იყო მისი ძმა იორამი. ეს იორამი ისრაელის ტახტზე ავიდა იოსაფატის მეფობის მეცხრამეტე წელს, როცა იოსაფატს კიდევ წინ ჰქონდა სიცოცხლის ექვსი წელი, ე. ი. ტახტზე იუდეველთა მეფის, იოსაფატის შვილისა და გოთოლიას ქმრის იორამის ასვლამდე ექვსი წლით ადრე. ამ შემთხვევაში ძნელია მეფეთა მესამე წიგნის 20 თავის შეთანხმება მეფეთა მეოთხე წიგნის I თავთან, რადგან აქ, 17 მუხლში ნათქვამია, რომ მეფე იქმნა იორამ, ძმა ოქოზიასი მის წილ იოსაფატის ძე იორამის მეორე წელს.

რაკი იორამ იუდეველი მამის — იოსაფატის ტახტზე ავიდა აქაბის გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ, რანაირად იმეფებდა მთელი ორი წელიწადი იმ მომენტამდე, როცა მისი ცოლისძმა იორამ ისრაელი დაიკავებდა ოქოზიას, აგრეთვე მისი ცოლისძმის ადგილს, აქაბის შემდეგ რომ ორი წელი მეფობდა?

იქნებ ძნელად გაიგოთ, მაგრამ აქ წინააღმდეგობა სავსებით ნათელია! მაგრამ ჯერ სადა ხართ! ცოტა ქვემოთ, მეოთხე მეფეთა წიგნის 3 თავი ასე იწყება: „ხოლო იორამ, ძე აქაბისა, მეფე იქმნა ისრაელსა ზედა სამარიას, წელსა მეათვრამეტესა იოსაფატ მეფისა იუდასა, და მეფობდა ათორმეტ წელ. ამჯერად კი სამმაგი წინააღმდეგობა გამოდის. აქ ოქოზიას მეფობის დრო ერთი წელი გამოდის, როცა ზემოთ ფიქსირებულია ორი წელი. პირველმა წინააღმდეგობამ კი ამ მეფის ბატონობა, პირიქით, რვა წლით გაზარდა — მეფისა, რომლის ერთადერთი დამსახურება ებრაელი ხალხის ისტორიაში ისაა, რომ ფანჯრიდან გადავარდა.

ნუ დაგვძრახავთ იმისათვის, რომ ჩვენ ტყუილად ვკარგავთ დროს წმინდა წერილის ამ თუნდაც უხეში შეუსაბამობის მოსაბეზრებელ ანალიზზე. ესეც მოწმობს დაუდევრობასა და აღებული ამოცანისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას რელიგიის მსახურთა მხრივ, რომელთაც ასე

---

* აქ ქართულ თარგმანში რამდენიმე მუხლი არაა (მაგ. „იოსაფატმა გემები გაამზადა ოფირის ქვეყნიდან ოქროს ჩამოსატანად, მაგრამ არ წასულან, რადგან დაემსხვრა ეზეონ-გებერთან“, (მუხ. 49). მეფეთა 3 წიგნის ეს ბოლო თავი ქართულში 49 მუხლს შეიცავს, გერმანულში — 54 მუხლს (ასევე რუსულში და სხვ.). მუხლები „გაბნეულია“...

შეაკოწიწეს ეს უაზრო და საშინელი წიგნი, ისე რომ მისი წესიერი რედაქტირებაც კი არ ჩაუთვლიათ საჭიროდ.

ამასობაში დიდი სასწაული უკვე ჰაერში რიალობდა, ეს მოხდა ილია წინასწარმეტყველის „ცად აღტაცების“ ჟამს.

„და იყო აღტაცებასა ილიასსა უფლისა მიერ ძრვითა ვიდრე ცადმდე, ვიდოდეს ილია და ელისე გალგალით.

და ჰრქვა ილია ელისეს: დაჯედ უკვე აქა, რამეთუ წარმავლინა მე ბეთილადმდე. და ჰრქვა ელისე: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, უკეთუ დაგიტეო შენ! და მივიდეს ბეთილად (ე. ი. მარტო არ გაუშვა).

და მოვიდეს ძენი წინასწარმეტყველთანი, რომელნი იყვნეს ბეთილს შინა, ელისეს მიმართ, და ჰრქვეს, მას: გიცნობიესა, რამეთუ აღიტაცებს დღეს უფალი უფალსა შენსა ზე თავისა შენისა შენგან? და ჰრქვა: მეცა მიცნობიეს, დაიდუმეთ!

და ჰრქვა ილია ელისეს: დაჯედ უკვე აქა, რამეთუ უფალმან წარმავლინა მე იერიქოს. და ჰრქვა ელისე: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, რამეთუ არა განგიტეო შენ, და მივიდეს იერიქოს.

და მიეახლნენ ძენი წინასწარმეტყველთანი, რომელნი იყვნეს იერიქოს შინა ელისეს მიმართ და ჰრქვეს მას: გიცნობიესა, რამეთუ დღეს აღიტაცებს უფალი უფალსა შენსა უმაღლეს თავისა შენისა შენგან? (მეორდება: იცი თუ არა, რომ ილიას ღმერთი ცად აღიტაცებსო?) და ჰრქვა, რამეთუ მეცა მიცნობიეს, დუმენით!

და ჰრქვა მას ილია: დაჯედ აქა, რამეთუ წარმავლინა მე იორდანედ! და ჰრქვა ელისე: ცხოველ არს უფალი და ცხოველ არს სული შენი, რამეთუ არა დაგიტეო შენ! და ვიდოდეს ორნივე ზოგად.

და ორმეოც და ათნი კაცნი, ძეთაგან წინასწარმეტყველთასა, და დადგნენ პირის პირ შორად, და ესენი ორნი დადგეს პირსა იორდანისასა.

და მოიღო ილია ხალენი (მატყლის მაზარა) თვისი და შეკეცა იგი და სცა მით წყალსა და განიყო წყალი ამიერ და იმიერ და განვლეს ორთავე ხმელად.

და იყო განსლვასა მათსა, და ჰრქვა ილია ელისეს: ითხოვე, რაი გიყო შენ, პირველ ამაღლებადმდე ჩემდა შენგან, და ჰრქვა ელისე: იყავნ სული შენი მრჩობლ ჩემ ზედა (ორმაგად იყოს სული შენი ჩემზე).

და ჰრქვა ილია. ფიცხელად ითხოვე! უკეთუ მიხილო მე ამაღლებული შენგან, იყოს შენდა ეგრეთ, და უკეთუ არა მიხილო, არა იყოს (ე. ი. ძნელს ითხოვ! თუ მიხილე, ასე იყოს, თუ არა და არაო).

და იყო სლვასა მათსა, ვიდოდეს და ზრახვიდეს (საუბრით მიდიოდ-

ნენ) და აჰა ეტლი ცეცხლისა და ცხენნი ცეცხლისანი და განყო იგინი ურთიერთას, და ამაღლდა ილია ძრვითა, ვითარცა ზეცად*.

და ელისე ხედვიდა და ღაღადებდა: „მამაო, მამაო! — ეტლო ისრაჱლისაო და მხედარო მისო!“ და ვერღარა იხილა იგი მერმე და უპყრა ელისე სამოსელსა მისსა და განუპო იგი ორად.

და აღიღო ელისე ხალენი ილიასი დაცემული მისგან და მოიქცა ელისე და დადგა პირსა იორდანისა.

და მოიღო ელისე ხალენი ილიასი, რომელი დაეცა მას მაღლით და სცა წყალსა მას და არა განიპო წყალი. და თქვა: სადა არს ღმერთი ილიასი? და სცა ელისე წყალსა მეორედ, და განიპო იმიერ და ამიერ და ელისე განვიდა ხმელად“ *(4 მეფეთა, 2, 1—14)*.

ბუნებრივია, ასეთი სასწაულის ქარიშხალში ორიოდე შენიშვნა იჩენს თავს. თუ ღმერთმა მართლა ინება ილიას ცაში ატაცება, მსგავსად ენოქისა, სულითა და ხორცით, მაშინ რისთვის აწვალა, რატომ მოსთხოვა ეს სრულიად უაზრო და მომჭანცველი მოგზაურობა გალგალიდან ბეთილში, ბეთილიდან იერიქონში და იერიქონიდან იორდანზე? რისთვის გაიყვანა იორდანეზე? განა ცეცხლოვანი ეტლი, რაც ღმერთმა გამოუგზავნა, ისევე იოლად არ შეეძლო მიეცა მარცხენა ნაპირზე, როგორც მარჯვენაზე? ვინ უნდა გაეკვირვებინა?** ან ეს კიდევ რაღაა, ორმაგი სულის ულუფა, რასაც ელისე სთხოვს ილიას? მიიღო თუ არა ბოლოს და ბოლოს ის, რასაც ითხოვდა? ბიბლია მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ცეცხლოვანი ეტლის ამაღლების შემდეგ ელისეის თავისი უცნაური წამოძახილების მიუხედავად (მამაო, მამაო, ეტლო ისრაჱლისაო!) ილია აღარ უხილავს. ცხადია, ვერც მეორე სულს მიიღებდა.

ღვთისმეტყველნი გვიქადაგებენ, ციური სასუფეველი წმინდა სულთა სამყაროაო. ხომ არ ეწინააღმდეგება ამ მოძღვრებას ორმაგი ამბავი ცადამაღლებისა — ენოქისა და ილიასი? რაში გამოადგებოდათ წმინდა სულთა სასუფეველში ცარიელი ხორცი და ძვლები ამ პატრიარქსა და ამ წინასწარმეტყველს? უხორცოთა და ზებუნებრივთა საბრძანებელში ხორციელი საფარველი მხოლოდ ზედმეტი ტვირთი იქნება უთუოდ. რამდენად დიდია ენოქისა და ილიას დიდება სხვა რჩეულთა შორის, უსხეულოდ რომ დაფარფატებენ ციურ სამყოფელებში? ან, მაგალითად, რა საუბარია, როცა ზეცაში საუბრობენ ილია და მოსე? რა უნდა იყოს უს-

---

* ძრვა (ძვრა) საერთოდ ძველ ქართულში მიწისძვრის მნიშვნელობით იხმარება. მაგრამ ილიას ცად ამაღლება მოხდა ქარიშხალში, ბორბალქარში. და აქ ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ.

** აქ ლაპარაკია მხატვრულ მხარეზეც და უბრალო დასაბუთებაზეც: ილია რომ ხსენებულ ადგილებში რამეს ჭადაგებდეს, ან იორდანეზე გადასვლას ხალხი მაინც ესწრებოდეს, ყოველივე ამას მეტი გამართლება ექნებოდა.

ხეულო სულის უხმო მეტყველება ხორციელ სხეულთან, რომელსაც პირის საშუალებით უხდება აზრების გამოთქმა?

დაბოლოს, ეს ცეცხლოვანი ეტლი, ცეცხლის ცხენები, ქარიშხალი, და თვითონ სახელი ილია (ელი, ელიოსი, ჰელიოსი — [illegible]) ბუნებაგროკსა და ბულანჯეს საფუძველს აძლევენ ილიას თავგადასავალ[illegible] ბერძენთა მზის ღმერთის ჰელიოსის შვილის ფაეტონის ამბავს, მამის ეტლში რომ ჩაჯდა და დაიწვა. მაგრამ ფაეტონის ლეგენდა ეგვიპტური წარმოშობისაა და ქედმაღლობის წინააღმდეგ მიმართული შესანიშნავი სამოძღვრებო თქმულებაა, ხოლო ილიას ცად ამაღლებას რა გამართლება აქვს?*

---

* ცხადია, ასეთი ცალმხრივი მიდგომა თუნდაც ბიბლიური თქმულების მიმართ ისევ გაშიშვლებული ტენდენციის იერს ატარებს. როგორც თქმულებაა, ილიას ცად ამაღლებაც ისეთივე კლასიკური და საინტერესო მოვლენაა, როგორც ფაეტონის მითი (ანალოგია მეტად ცალმხრივი და საეჭვოა. ასეთი ხარისხის დამთხვევა უთვალავ მითსა და ზღაპარს შორის გვხვდება და ეს არ ამცირებს არც ერთის მნიშვნელობას).

ილიას სახელის დამთხვევა თუ მსგავსება ჰელიოსის სახელთან უფრო საინტერესოა და ბევრი ვარაუდის საფუძველს იძლევა. საგულისხმოა, რომ ილიას სახელი, როგორც ამინდის გამგებელი წინასწარმეტყველისა, სვანურში უფრო პირველყოფილი სახითაა შემორჩენილი: ელია, ელიობა, ელიღო („ელის ვფიცავ").

ზესასწაულებრივი ცხოვრება წმინდა წინასწარმეტყველის ელისეისა და ისრაელის სამეფოს აღსასრული

ერისწყალი
ბიბლიოთეკა

მრიგად, ელისე გახდა ილიას მოსასხამის მემკვიდრეცა და თუ ორმაგისა არა, მისი სულის გარკვეული ნაწილისა მაინც: წინასწარმეტყველთა შვილები მოვიდნენ იერიქონიდან და თქვეს: „განისვენებს სული ილიასი ელისეს ზედა, და მოვიდეს შემთხვევად მისა და თაყვანისცეს მას მიწამდე“ *(4 მეფეთა, 2, 15)*. იერიქონში თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ წყლები გააჯანსაღა, მუჭა მარილი ჩაყარა. იქიდან ბეთილში ჩავიდა: „და აღვიდა მუნითგან ბეთილსა, და სლვასა მისსა **გზასა ზედა და ყრმანი** მცირენი გამოვიდოდეს ქალაქისაგან და ემღერდეს მას და ეტყოდეს მას: „აღმოვედ, ბელოტო (მელოტო), აღმოვედ!“ და მიხედნა უკანით მათსა და იხილნა იგინი და დასწყევლა იგინი სახელითა უფლისათა, და აჰა გამოვიდეს ორნი ბრანგვნი (დათვები) მაღნარისაგან და განბძარნეს (დაგლიჯეს) მათგანი ორმეოცდა ორნი ყრმანი“ *(შუხლ. 23—24)*.

ლორდი ბოლინგბროკი შენიშნავს: „ელისეი ჰგავს გამდიდრებულ ლაქიას, რომელიც ყველას სჯის, ვინც მას დასცინის. როგორ?! წინასწარმეტყველის ბილწო მსახურო! შენ დათვებს იწვევ და ორმოცზე მეტ ყმაწვილს აგლეჯინებ იმისათვის, რომ მელოტი დაგიძახეს? საბედნიეროდ, ბეთილის გარეუბნებში არაა ტყეები, ხოლო პალესტინაში არ ბინადრობენ დათვები. ამ ზღაპრის უაზრობა ამსუბუქებს მის საზარლობას!“ შეიძლება დავძინოთ, განმარტების სახით, რომ ეს ორი დათვი, რომელთაც ასე იოლად შეახრამუნეს ოთხი ათეული ბავშვი, გამოვიდოდა არა ტყიდან, არამედ რომელიმე ადგილობრივი სალუდედან, სადაც წმინდა წერილის ავტორი ლაზათიანად გამოიბრუჟებოდა, ვიდრე ხელში კალამს აიღებდა.

მას შემდეგ, რაც მეფეთა მეოთხე წიგნის მესამე თავი ჯანსაღად და სვებედნიერად გვიხატავს მეფე იოსაფატს, პირველი თავის აღწერის საწინააღმდეგოდ, ბიბლია მოგვითხრობს, რომ მესა, მოაბიტელთა მეფე, აქაბ მეფის გარდაცვალებამდე ისრაელს ყოველწლიურად უხდიდა ხარკს ასი ათასი ცხვრისა და ამდენივე გაუკრეჭავი ყოჩის სახით („მისცემდა ხარკსა... ასი ათასთა კრავთა და ასი ათასთა ვერძთა“). მას შემდეგ, რაც

ტახტზე ავიდა ოქოზია, რომელიც, მოგეხსენებათ, მალე ფანჯრიდან გადმოვარდება, მესამ გადაწყვიტა, უმჯობესი იქნება ხარკი აღარ ვიხადოო. მაგრამ იორამი სხვანაირი აზრისა იყო. ძმის ტახტი რომ დაიკავა, ცხვარი მოითხოვა. მესამ უარი შემოუთვალა. იორამმა საომარი მოქმედება დაიწყო, ამ ომში თავის მთავარ მოკავშირეებს — იუდეველთა და იდუმეველთა სამეფოებს ეყრდნობოდა. მათაც შემოუთვალეს: „ვითარცა მე, ეგრეცა შენ. ვითარცა ერი ჩემი, ეგრეთცა ერი შენი...“

და წარვიდეს მეფე ისრაელისა და მეფე იუდასა და მეფე ედომისა და ვიდოდეს გზასა შვიდის დღისასა და არა იყო ბანაკსა შინა წყალი და არცა პირუტყვთათვის, მყოფთა მათთანა.

და ჰრქვა მეფემან ისრაელისამან: ჰოი, რამეთუ განსწირნა უფალმან სამნი ესე მეფენი, მსლველნი მიცემად ხელთა შინა მოაბელთასა!

და მიუგო იოსაფატ, მეფემან იუდასმან: არა არსა აქ წინასწარმეტყველი უფლისა? და ვკითხოთ უფალსა მის მიერ. და მიუგო ერთმან ყრმამან მეფისა ისრაელისამან და ჰრქვა: არს აქა ელისე, ძე საფათისა, რომელი უსხმიდა წყალსა ხელთა ელიასთა?

და ჰრქვა იოსაფატ: არსა მას ზედა სიტყვა უფლისა? და მივიდეს მისა მიმართ მეფე ისრაელისა და იოსაფატ, მეფე იუდასა და მეფე ედომისა“ *(4 მეფეთა, 3, 9—12)*.

შევნიშნავთ, რომ აქაბის ძე, ისევე როგორც ედომის მეფე, ებრაელთა ღმერთის კულტს არ ცნობდა. ეს აიძულებს ბოლინგბროკს, რომ ასეთი აზრი გამოთქვას: „ვინმეს რომ ეთქვა: სამი მეფე, რომელთაგანაც ერთი კათოლიკეა, ორი კი პროტესტანტი, კათოლიკე აბატთან წავიდა, რათა სამთავემ წვიმა ითხოვოს, — რას იტყოდნენ ასეთი სისულელეზე? ერთ კათოლიკე მღვდელს რომ დაეწერა სადმე ასეთი ჭორი, ამით განა არ დაასვამდა ბეჭედს ანდაზას: „მღვდელივით ცრუობსო?“

გავაგრძოთ ბიბლიის კითხვა:

„და თქვა ელისე მეფისა მიმართ ისრაელისა: რაი არს ჩემდა და შენდა? მიევედ წინასწარმეტყველთა მიმართ დედისა შენისათა. და მიუგო მას მეფემან ისრაელისამან: ნუ თუ მოგვიწოდა უფალმან სამთა მეფეთა მიცემად ხელსა შინა მოაბელთასა?

და ჰრქა ელისე: ცხოველ არს უფალი ძალთა, რომლისა წინაშე ვდგა*. რამეთუ უკვე თუ არა პირსა იოსაფატ მეფისა იუდასსა ვრიდებდე მე, მჭვრეტემცა არა ვიყავ შენი და მხილველ (იოსაფატის სათრი რომ არა მქონდეს, შენი შეხედვაც არ მინდაო).

და აწ მომგვარენ მე მგალობელნი, და იყო, ოდეს გალობდეს მგა-

---

* დედანში და თარგმანებში აქ ღმერთი დასახელებულია: „ცხოველ არს უფალი საბაოთი“.

ლობელნი, იყო ხელი უფლისა მას ზედა და ჰრქვა: ესრეთ იტყვის უფალი: ჰქმენით ნაღვარევი ესე თხრილად თხრილად“ (მუხლ. 13—16).

დასანანებელია, რომ წმინდა ავტორი არ გვეუბნება, რომელ მელოდიას ასრულებდა ეს შესანიშნავი მუსიკოსი, ილიას მსახურსა და მემკვიდრეს რომ შეუწყო და უფლის ხმა გააგონა!

ამრიგად: ღმერთი ბრძანებს: ამ ხეობაში თხრილები გაკეთდეს.

„რამეთუ ესრეთ იტყვის უფალი: არა იხილოთ სული და არცა იხილოთ წვიმა და ნაღვარევი ესე აღივსოს წყლითა და სვათ თქვენ და მოსათა თქვენთა და პირუტყვთა თქვენთა.

და ადვილ არს ესე წინაშე თვალთა უფლისათა და მოგცეს მოაბელთა შინა თქვენთა.

და დასცეთ ყოველნი ქალაქნი მტკიცენი და ყოველნი ხენი კეთილნი დასცნეთ და სოველნი წყარონი წყალთანი შეჰკრნეთ და ყოველნი ნაწილნი კეთილისა დაჰქოლნეთ ლოდითა.

და იქმნა განთიად და შეწირვასა მსხვერპლისასა, და აჰა, წყალნი მოვიდოდეს გზითა ედომისათა და აღავსო წყალმან ქვეყანა“ (მუხლ. 17—19).

რაკი ღმერთმა ასეთი ბრძანება გასცა, რომ დიდი და მტკიცე ქალაქები დააქციონ, წყარონი ჩაკეტონ, ხეები მოჭრან და მოსრან, რაღა საჭირო იყო გამარჯვება? ისრაელებმა ხომ მოაბის მეფეს მხოლოდ იმ მიზნით გამოუცხადეს ომი, რომ აიძულონ ძველებურად იხადოს ყოველწლიური ხარკი —ასი ათასი კრავი და ამდენივე ვერძი. თუ ყველაფერს მიწასთან გაასწორებდნენ, ცხადია, ამით კარაგავდნენ იმედს, რომ ოდესმე ასეთ უხვ ხარკს მიიღებდნენ.

შავი დღე გაუთენდათ მოაბელებს: „და ყოველთა მოაბელთა ისმინეს, რამეთუ აღვიდეს სამნი მეფენი ბრძოლად მათ ზედა და ღაღადებდეს ყოვლით კერძო, შერტყმულნი საჭურვლითა და იტყოდეს: ვაი! და დადგნენ საზღვარსა თანა. და აღიმსთვეს განთიად და მზე აღმობრწყინდა წყალსა ზედა და იხილა მოაბ წინაშე წყალთა წითლად, ვითარცა სისხლი. და თქვა: სისხლი ესე არს მახვილისაგან. ბრძოდენ მეფენი და მოკლა კაცმან მოყვასი თვისი“ (მუხლ. 20—22).

წინასწარმეტყველების მეორე ნაწილი პირველზე არანაკლები წარმატებით ასრულდა: მოაბელები, რომლებიც ისრაელთა წყობას დაესხნენ თავს, ერთიანად გაქუქეს („ისრაელნი აღდგეს და მოსრნეს მოაბელნი. და მოსწყვიდდეს“). დაიწყო დევნა და ხოცვა.

„და ქალაქნი დაარღვივნეს და ყოველსა ნაწილსა კეთილსა დაჰკრეთდეს კაცნი ქვათა და აღავსნეს იგინი და ყოველნი წყარონი დაშრნეს მით და ყოველნი ხენი კეთილნი მოჰკვეთნეს და არა უტევეს ზღუდენი

ქვითა დაუმუსრველი, და გარე მოიცვეს იგი მეშურდულეთა და დამუსრეს იგი.

და იხილა მეფემან მოაბელთამან, რამეთუ განძლიერდა მას ზედა ბრძოლა და მოიყვანა თვისთანა შვიდასი კაცი მოწვდილეთა მახვილითა, რათა განიკვეთნეს მეფისა თანა ედომისა და ვერ შეუძლეს.

და მოიყვანა მან ძე თვისი პირმშო, რომელი გაამეფა თავის წილ, და შეწირა იგი ყოვლად დასაწველად ზღუდესა მას ზედა. და იქმნა სინანული დიდი ისრაელსა შორის და უკუდგნენ მისგან და მოიქცნენ ქვეყანასა შინა თვისსა“ *(4 მეფეთა, 3, 24—27)*.

იდიოტური ტყუილების კონკურსზე აქ მოთხრობილი ამბავი პირველ პრემიას მიიღებდა: მას არავითარი კომენტარები არ ესაჭიროება. მამა შვილს მსხვერპლად სწირავს ღმერთებს ქალაქის კედელზე, და თვით ყოვლისშემმუსვრელი ფანატიკოსების ჯარი შეძრწუნებული უკუიქცევა.

ქვემოთ ელისე იმეორებს ილიას სასწაულებს მეორე გამოცემით, შევსებული და შესწორებული სახით. ასე, შემთხვევით ხვდება ერთ ქვრივს (ბიბლია არ გვეუბნება, სად), რომელიც შეწუხებულია და შესჩივის: განსვენებულმა ქმარმა ვალები დამიტოვა, მევალეები მემუქრებიან, შვილებს მონებად გამიყიდიანო: „მონა შენი, ქმარი ჩემი მოკვდა და შენ თვით უწყი, რამეთუ მონა შენი იყო მოშიში უფლისა, და აჰა მავასხებელი მოვიდა წარყვანებად ორისავე ძისა ჩემისა თავისა თვისისა მონად“ *(თ. 4, 1)*. ელისეი ქვრივსა სთხოვს, მითხარი, რა გაქვსო სახლში. ქვრივმა მიუგო: „არა რაი არს მხევლისა შენისა თანა სახლსა შინა, გარნა ოდენ მცირე ზეთი ჭურჭელსა შინა, რომელსა ვიცხებო“. ელისეის მეტიც არ უნდა. ქვრივს უბრძანებს, მეზობლებში მოიკითხე, ცარიელი ჭილები გათხოვონო. შემდეგ ეუბნება, შვილებთან ერთად ჩაიკეტე და შენი ჭურჭლიდან ცარიელ ჭურჭლებში ზეთი გადაასხიო. ალბათ უკვე ხვდებით სასწაულს: ქვრივის ჭურჭელი დაუშრეტელი აღმოჩნდა. გახარებული ქვრივი ელისეისთან გარბის, მადლობის თქმას ვეღარ აუდის. „და მოვიდა დედაკაცი იგი და მიუთხრა კაცსა ღვთისასა და ჰრქვა მას ელისე: წარვედ, განყიდე ესე ზეთი და გარდაიხადე ვახში შენი, და შენ და ძეთა შენთა სიცოცხლესა შინა გეყოსთ დანარჩომისაგან ზეთისა“ *(მუხლ. 7)*. ყველაზე უფრო საკვირველი აქ ის კი არ არის, რომ ელისეიმ ილიას მსგავსი სასწაული მოახდინა და ქვრივ ქალს დაეხმარა, როგორც ილიამ უშველა სარეფთელ ქვრივს, არამედ ის, რომ ელისე მუსიკის გარეშეც იოლად გავიდა. ახლა მეორე ქალსაც დაეხმარება!

„და იქმნა დღესა ერთსა შინა, და წარვიდა ელისე სონამად* და

---

* ქართულ დაბადებაშია „სომანად“, რაც შეცდომაა. უნდა იყოს „სონამად“ (უფრო სწორად: „სუნემად“). ქართველი მთარგმნელი ქვემოთაც „სომანიტელს“ წერს, რაც მოწმობს, რომ ეს კორექტურა არაა.

მუნ დედა-კაცმან დიდმან იპყრა იგი ჭამად პურისა. და იყო მისა შესლვასა და გამოსლვასა მრავალ გზის მიიქცეოდა მუნ ჭამად პურისა.

და ჰრქვა დედა-კაცმან ქმარსა თვისსა: აჰა აწ ვცან, რამეთუ კაცი ესე ღვთისა წმიდა არს, რომელი ვალს ჩვენსა მარადის.

უქმნეთ უკვე მას ქორი (სახლი) მცირე, დაუდგათ მას მუნ სხვადარი და ტრაპეზი და სავარძელი და სასანთლე. და იყოს, ოდეს მოვიდეს იგი ჩვენდა და მიიქცეს მუხ.

და იყო დღესა ერთსა და შევიდა მუნ და მიიქცა ქორსა და დაიძინა მუნ.

და ჰრქვა გეზის, ყრმასა თვისსა: მომიწოდე მე სონამიტელი ესე და მოუწოდა მას და დადგა წინაშე მისსა.

და ჰრქვა მას: არქვი უკვე მაგას: აჰა, დამაკვირვენ ჩვენ ყოვლითა ზრუნვითა, რაი ჯერ არს ყოფად შენდა. უკეთუ არს სიტყვა შენი მეფისა მიმართ ანუ მთავართა მიმართ ძალთასა. ხოლო მან ჰრქვა: არა რაი არს, შორის ერთა ჩემთა მე ვარ მყოფი.

და ჰრქვა გეზის მიმართ: რაი ჯერ არს ყოფად მისსა? და ჰრქვა გეზი, ყრმამან მისმან: ესე უწყი, რამეთუ ძე არა უვის მას და ქმარი მისი მოხუცებულ არს.

და ჰრქვა ელისე; მოუწოდე მას! და მოუწოდა მას. მოვიდა და დადგა კარსა თანა.

და ჰრქვა მას ელისე: დროსა შინა, ვითარცა ჟამსა ამას სცოცხლებ შენ, მუცლად იღო ძე. ხოლო მან ჰრქვა: ნუ, უფალო, ნუ მბასრობ მხევალსა შენსა (თავს ნუ მჭრი მონასა შენსაო!).

და მიუდგა და მუცლად იღო დედა-კაცმან და შვა ძე, ჟამსა ოდენ მას, ვიდრე ცოცხალ იყო, ვითარცა ეტყოდა მას ელისე" *(4 მეფეთა, 8—17)*.

ამ მოთხრობაში გვაოცებს ერთი წვრილმანი: მას შემდეგ, რაც ელისე ამ კეთილ ქვრივ ქალთან მოეწყო და მზამზარეული სიკეთით სარგებლობს, მეფესთან თითქოს უწინდებურად მტრულად განწყობილი აღარაა (სოხამი, ჰელვუის მთის ძირას რომ იყო, ისრაელთა მეფეს ეკუთვნოდა). წინასწარმეტყველი ქალის გულის მოგებას ცდილობს, თავაზიანია, ყურადღებიანი, იორამ მეფესთან დაგეხმარებიო, თითქოს მისი მეგობარი იყოს და თავისუფლად შეეძლოს დალაპარაკება ყოველ საქმეზე! ამავე დროს, ეს ის იორამია, რომელსაც ის იყო სრულიად თავხედურად განუცხადა: იოსაფატის ხათრი მაქვს, თორემ დანახვაც არა მსურს შენიო!

ბიბლიის ტექსტი პირდაპირ არ ამბობს, რომ ამ ქალს ბავშვი ელისემ გაუკეთა, მაგრამ გვაიძულებს ეს ვიფიქროთ. ქვემოთ კიდევ წმინდა წერილი ღვთის კაცს მამას ეძახის. ერთი რამ არ არის ცნობილი: ღვთის-

მშობლის ოფიციალური ქმრის იოსებ-ხუროს მსგავსად გახდა ელისეც მამა, თუ პირდაპირი მნიშვნელობით.

„და აღორძნდა (გაიზარდა) ყრმა იგი, და იყო, ოდეს მივიდა მამისა ძიმართ თვისისა მომკალთათანა.

და ჰრქვა მამასა თვისსა: თავი ჩემი! თავი ჩემი მელვის. (თავი მტკივა). და ჰრქვა მონასა ერთსა: მიიღე იგი დედისა მიმართ მისისა.

და მიიღო იგი დედისა მიმართ მისისა. ხოლო მან დაისვა იგი მუხლსა თვისსა შუადღემდე და მოკვდა.

და მან აღიქვა იგი და მიაწვინა ცხედარსა ზედა კაცისა ღვთისასა და დახშა იგი (ჩაკეტა) და განვიდა, და მოუწოდა ქმარსა თვისსა და ჰრქვა მას:

„მოვიმეავლინე ჩემდა ერთი ყრმათაგანი (ვინმე მსახურთაგანი გამომიგზავნე) და ერთი კარაულთაგანი (სახედარი) და მივისწრაფო კაცისადმი ღვთისა და მოვიქცე.

და ჰრქვა ქმარმან: რაი არს, რამეთუ წარხვალ მისაიმიმართ დღეს, რამეთუ არცა ახალ თვე არს, არცა შაბათი? ხოლო მან ჰრქვა: სდუმენ, მშვიდობაი არს.

და შეკაზმა კარაული და ჰრქვა ყრმასა მას თვისსა: წარიქციე და ვიდოდე და ნუ მელი მე, აღსმად მას ზედა, ვიდრემდე გრქვა შენ, და წარვედ და მივედ კაცისა მიმართ ღვთისა, მთასა ზედა კარმელსა.

და წარვიდა და მივიდა კაცისადმი ღვთისა მთასა კარმელსა. და იყო, ვითარცა იხილა დედა-კაცი იგი ელისე, მომავალი, ჰრქვა გეზის, ყრმასა თვისსა: აჰა ეგერა მოვალს სონამიტელი იგი, და მიისწრაფე შემთხვევად მისა, და არქვი მას: მშვიდობა არს შენდა? მშვიდობით არს ქმარი შენი, ანუ მშვიდობით არსა ყრმა შენი? ხოლო მან ჰრქვა: მშვიდობით არს!

და მოვიდა ელისეს მიმართ მთასა მას და უპყრა ფერხსა მისსა, და აჰკახლა გეზი განშორებად მისსა...

და ჰრქვა დედა-კაცმან: ვითხოვეა შვილი უფლისაგან ჩემისა? არა გარქვია, ნუ იტყვებ ჩემდამო?

...და აღდგა ელისე და წარვიდა შემდგომად მისსა.

...და შევიდა ელისე სახლსა მას შინა და დახშა კარი ორთა თვისთანა და ევედრა უფალსა.

და აღვიდა და დაწვა ყრმასა ზედა და დასდვა პირი თვისი პირთა ზედა მის ყრმისათა და თვალნი თვისნი თვალთა მისთა ზედა და შთაჰბერა მას და განუტფო ხორცი ყრმასა.

და მოიქცა და გარემოვლიდა სახლსა ამიერ და იმიერ და აღვიდა და შეიკუნცა (გაწვა, მოიკეცა) ყრმასა მას ზედა შვიდ გზის, და განახვნა ყრმამან თვალნი თვისნი (გაახილა ყმაწვილმა თვალები).

და ხმა უყო ელისე გეზის მიმართ და ჰრქვა: მომიწოდე მე სონამიტელი ეგე! და მოუწოდა მას და შევიდა მისსა და ჰრქვა მას ელისე: მიიქვი ძე შენი (აიყვანე შენი შვილიო). და შევიდა დედა-კაცი და დავარდა ფერხსა ზედა მისსა და თაყვანისცა მას მიწამდე და მიიქვა ძე თვისი და განვიდა“ *(4 მეფეთა, 18—37)*.

კრიტიკოსები იცინიან ამ სასწაულისათვის, რაც გეზისა და ვაჟიშვილის ნომერივითაა მოწყობილი და ილიას სასწაულისაგან მხოლოდ სხვანაირ მოძრაობის სიმრავლით განირჩევა. ღვთისმეტყველნი კი ამაში მისტიკურ აზრს ხედავენ: ჯერ ხომ მანჭვა-გრეხაა საჭირო, რომ მერე სასწაული მოხდეს! გაურჯელად თევზსაც ვერ ამოიყვან წყლიდან.

წინასწარმეტყველი ელისე სონამიდან ისევ გალგალში დაბრუნდა და იქ ცუდ დროს მოხვდა: ქვეყანაში შიმშილობა მძვინვარებდა. ისევ შიმშილი და კვლავ შიმშილი! კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ეს მშვენიერი ქვეყანა ქანაანისა თავისი ხრიოკი უდაბნოებით, ნაპრალებიანი მთებით, ქვა-ღორღითა და უფსკრულებით, სოდომის ტბითა და მშრალი ქვიშიანი ნიადაგით სულაც არ იყო ისეთი მომხიბლავი აღთქმული ქვეყანა, როგორც ღმერთმა აღუწერა თავის რჩეულ ხალხს მოსეს პირით.

„და ელისე მიიქცა გალგალს შინა და იყო სიყმილი ქვეყანასა მას შინა, და ძენი წინასწარმეტყველთანი სხდეს წინაშე მისსა, და ჰრქვა ელისე ყრმასა თვისსა: დაადგ ქვაბი დიდი და შეუგბე საგბოლველი ძეთა წინასწარმეტყველთასა.

და განვიდა იგი აგარაკსა ზედა და შეკრიბა მას შინა ვაშლი გარეული და აღივსო სამოსელი თვისი და მოვიდა და შთაყარა ქვაბსა შინა შესაგბოლველად, რამეთუ არა იცოდა, რა იყო.

და მოართვა კაცთა მათ ჭამად, და იყო ჭამასა მას მათსა, და აპა ღაღადებენ და თქვეს: სიკვდილი არს ქვაბსა ამას შინა, კაცნო ღვთისანო, და ვერ ეძლეს ჭამად.

და ჰრქვა ელისე: მოიღეთ ფქვილი და შთაყარეთ ქვაბსა ამას! და ჰრქვა მან გეზის, მსახურსა თვისსა: მოართვი ერთა, რათა ჭამონ! და არღა ითქვა მერმეღა სიტყვა ბოროტი ქვაბისათვის.

და მოვიდა კაცი ვეფარიდამ და მოიღო კაცისა მიმართ ღვთისა პირველ ნაყოფთაგან ოცი პური ჭრთილისა და ლეღვი და ჰრქვა: მიეცით ერთა, რათა ჭამონ!

და ჰრქვა ყრმამან მისმან: რაი მივსცე ესე ასთა კაცთა? და ჰრქვა (ელისე): მიეც ეგე ერთა, რათა ჭამონ, რამეთუ ესრეთ იტყვის უფალი: ეყოსთ ჭამად და დაშთესცა მათ!

და ჭამეს და დაშთათ სიტყვისაებრ უფლისა“ *(4 მეფეთა, 4, 38—44)*.

ამრიგად, მარცვლის ჩენჩო ჩაყარეს, ას კაცს ეყო, კიდევ გადარჩა! ასეთ ხუმრობას საბავშვო ზღაპრებში ხშირად მოისმენთ. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ზღაპარში მაინც ისაა, რომ დიდი ხნის შემდეგ ასეთივე სასწაული იესო ქრისტემ გაიმეორა. მაგრამ ელისე უკვე შორსაა გადაეჩვენებდა და მარიამის შვილს პლაგიატს ვერ დასწამებდა.

მეხუთე თავი ნეემანის ამბავს ეძღვნება. ბიბლიის თანახმად, ეს კაცი განსაკუთრებით სახელგანთქმული უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ყველა სხვა, ისიც ისტორიისათვის სრულიად უცნობია.

„ხოლო ნემან მთავარი ძალთა ასურთასა იყო კაცი დიდი წინაშე უფლისა თვისისა და საკვირველ პირითა, რამეთუ მით მისცა უფალმან ცხოვრება ასურსა და კაცი იყო ძლიერი ძალითა და კეთროვანი. და ასურიდამ გამოვიდეს მხედარნი და წარსტყვენეს ქალი მცირე ქუეყანისაგან ისრაელისა (პატარა ქალი წაიყვანეს ტყვედ ისრაელიდან), და იყო იგი წინაშე ცოლისა ნემანისა მსახურებად. და ჰრქვა მან დედოფალსა თვისსა: ჰოი, რათამცა უფალი ჩემი იყოს წინასწარმეტყველისათანა ღვთისა, რომელი არს სამარიასა შინა, მანმცა განსწმინდოს იგი კეთროვნებისაგან მისისა (ჩემი ბატონი რომ წინასწარმეტყველს ნახავდეს, სამარიაში რომ არის, ე. ი. ელისეს, კეთრისაგან განკურნავდაო)“ *(4 მეფეთა, 5, 1—3)*.

როცა ეს სიტყვები მისმა აღმატებულებამ გენერალმა ნეემანმა მოისმინა, მეფეს შვებულება სთხოვა და თანხმობაც მიიღო. სირიის მეფემ ისრაელთა მეფეს მეგობრული წერილიც კი მისწერა და სთხოვა, ჩემს სარდალს ჯეროვანი პატივით მოეკეცითო. ნეემანმა თან წაიღო ათი ტალანტი ვერცხლი, ექვსი ათასი დრაჰკანი ოქრო და ათი წყვილი სამოსელი. მაგრამ ისრაელთა მეფეს რაღაც საოცარი საქმე მოუვიდა. როცა იორამ ისრაელმა წერილი გახსნა, ასეთი რამ წაიკითხა: „აწ ოდეს მოვიდეს წიგნი ესე შენდა მიმართ, აჰა წარმოვგზავნე შენდა ნემან მონა ჩემი, რათა განსწმინდო იგი კეთროვანებისაგან მისისა“. ადვილი წარმოსადგენია იორამის გაოცება, როცა ეს წერილი წაიკითხა. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, როგორ მოიქცა მეფე ისრაელისა. ბიბლიის მიხედვით, „და იყო, ოდეს ამოიკითხა წიგნი მეფემან ისრაელისამან, დაიპო სამოსელი თვისი და თქვა: ნუ უკვე მე ღმერთი ვარა, რომელ მოვაკვდინო და ცხოველ ვყო? რამეთუ წარმოგზავნა მან ჩემდა, რათა განვსწმინდო კაცი კეთროვანებისაგან მისისა, აწ გულისხმა ყავთ და იხილეთ, რამეთუ აჰა ეძიებს მიზეზსა ჩემთანა!“ *(მუხლ. 7)*.

საბედნიეროდ, ელისემ ყველაფერი იცოდა, რაც სდებოდა, და იორამს შეუთვალა, ეგ კაცი მე გამომიგზავნეო. წინასწარმეტყველმა სნეულს უცნაური აბაზანები გამოუწერა: შვიდჯერ იორდანეს წყალში განბანვა სრულიად საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ყოჩაღი მეომარი კეთრისაგან სრულიად განეკურნა. სიმართლე რომ ითქვას, სარდალს პირველად გაუკ-

ვირდა, ასეთი რამე რომ მოისმინა: ამოდენა გზა განა იმისათვის გამოვიარე, რომ სუფთა მდინარის წყალში ტანი დავიბანოო? ჩემს ქვეყანაშიც არის მდინარეები, იქაც შემეძლო ეს აბაზანები მიმეღოო. მაგრამ უმეცარ გენერალს აუხსნეს, იმ თქვენს მდინარეებს არა აქვთ ის სასწაულებრივი ძალა, რაც ჩვენს იორდანეს ელისეს ჩარევით წყალთან მიუღიაო.

კაცი მორჩა და მადლობის სათქმელად ელისეს ეახლა: „მოვიდა და დადგა მის წინა და ჰრქვა: აჰა, აწ მიცნობიეს, რამეთუ არა არს ღმერთი ყოველსა შინა ქუეყანასა, არამედ მხოლოდ ისრაელისა შორის და აწ მიითვალე კურთხევა მონისაგან შენისა“ *(მუხლ. 15)*. ნეემანმა თავისი ოქრო-ვერცხლი ამოიღო, „და აიძულებდა იგი მიღებად და არა ისმინა“. რაკი საჩუქარს არ იღებ, მაშ ჯორები დამიტვირთე ამ მიწით, რადგან მონა შენი ამიერიდან მხოლოდ ერთ ღმერთსა სცემს თაყვანსო. „წარვედ მშვიდობით!“ — უთხრა ელისემ და გაუშვა. ახლა ელისეს მონამ გეზმა ხელის მოთბობა განიზრახა: ჩემმა ბატონმა არ აიღო, მე მაინც ავიღებო გასამრჯელოს, და უკან აედევნა ასურთა სარდალს. „და იხილა იგი ნემან, მსრბოლი უკანით მისსა და მოაქცია ეტლი შემთხვევად მისა და ჰრქვა: მშვიდობა არსა? და ჰრქვა გეზი: მშვიდობა!“ მხოლოდ ჩემმა ბატონმა გამომაგზავნა, ეფრემის მთიდან მესტუმრა ორი წინასწარმეტყველის კაცი, მიეცი ამათ ტალანტი ვერცხლი და ორი საცვალიო. ცხადია, ეს ყველაფერი მიიღო. მსახურები გაუშვა, ნათხოვარი შინ დამალა. ელისეს კითხვაზე, სად ყოფილხარო, მხრები აიჩეჩა: არსად არ წავსულვარო. ელისემ უთხრა: ყველაფერი ვიცი, შენ ვერცხლი აიღე, რათა იყიდო ვენახი, ცხვარი და მბევლებიო. „და კეთრიცა ნემანისა მოეფინნეს შენ ზედა და თესლსა შენსა უკუნისამდე, და განვიდა იგი პირისაგან მისისა კეთროვანი, ვითარცა თოვლი“ *(მუხლ. 26)*. როგორც ვხედავთ, მართლაც ბიბლიური სასჯელია, და ის არ აწყენდა ჩვენი დროის უთვალავ მექრთამეს, ვინც პატიოსნებას გადააბიჯა და გეზის მსგავსად მრუდე გეზი აიღო.

ელისემ კიდევ მოახდინა სასწაულების მთელი სერია. ერთ-ერთი იმ პერსონაჟთაგანი, რომელთაც ბიბლიის ავტორი ბუნდოვნად უწოდებს „წინასწარმეტყველთა ყრმებს“, როგორღაც იორდანეს ნაპირზე იმყოფებოდა, შეშას ჩეხავდა. უცაბედად ნაჯახი წყალში გადაუვარდა, უთუოდ მაგრად მოიქნია. „და რაჟამს მოჰრიდა ერთი ძელსა და აჰა რკინა წავარდა ტარსა და შთავარდა წყალსა მას შინა, და ღაღად ყო: ჰოი, უფალო, აღმომიღე ესე მე!“ ჩანს, ნატვრის თავი არც იმას ჰქონია. ელისემ ჰკითხა: „სადა შთავარდა? და უჩვენა მას ადგილი და მოჰკვეთა შეშა და შთააგდო იგი მუნ და შემოეცო რკინა“, ამოცურდა ნაჯახი ზედაპირზე. წინასწარმეტყველის შვილს მხოლოდ ის დარჩა, რომ ხელი გაიშვირა და წყლიდან ნაჯახი ამოეღო.

ვირის კლასიკურ ქვეყნებში ამით შეეძლოთ თავი ემართლებინათ. ერთხელაც...

„და იყო მეფე ისრაელთა მავალი ზღუდესა ზედა, და დედა-კაცმან ვინმე ხმა ყო მისა მიმართ, მეტყველმან: მიხსენ მე, უფალო ჩემო მეფეო!

და ჰრქვა მას: უკეთუ შენ არა გიხსნას უფალმან, ვითარ მე გიხსნა შენ, ნუ უკვე კალოსაგან თუ საწნეხლისაგან? (თუ ღმერთმა არ გიხსნა, მე რისგან გიხსნაო?).

და ჰრქვა მას მეფემან: რაი არს შენდა? და ჰრქვა: ესე დედა-კაცი მეტყოდა მე: „მომეც ძე შენი, რათა შევჭამოთ იგი დღეს, და ხვალე ძე ჩემი შევჭამოთ“.

და შევწვიოთ ძე ჩემი და შევჭამეთ იგი. და ვარქვი მას დღესა მეორესა: მომეც ძეცა შენი და შევჭამოთ იგი! და დაფარა მან ძე იგი ოვისი.

და იყო, ოდეს ესმა მეფესა ისრაელისასა სიტყვა დედა-კაცისა, დაიპო სამოსელი თვისი და თვით ვიდოდა ზღუდესა ზედა და იხილა ერმან: ძაძაა ხორცსა ზედა მისსა შინაგან.

და თქვა მეფემან: ესე მიქმნეს მე ღმერთმან, და ესე შემძინენ მე, უკეთუ იყოს თავი ელისესა მას ზედა დღეს!

ხოლო ელისე ჯდა სახლსა შინა თვისსა და მოხუცებულნი სხდეს მისთანა. და წარავლინა მეფემან კაცი წინაშე პირსა მისსა და პირველ, ვიდრე მისლვადმდე წარგზავნილისა მისა მიმართ, და მან ჰრქვა მოხუცებულთა: არა უწყითა, რამეთუ წარმოავლინა ძემან მკლველისამან, რათა მოკვეთნეს თავი ჩემი? იხილეთ, რაჟამს მოვიდოდის მოციქული, დახშთ კარი და შეაიწრეთ იგი კართა შინა; არა ხმა არსა ფერხისა უფლისა მისისა უკანით (კარი ჩაუკეტეთ და ზედ მიამწყვდიეთ მეფის მოციქული! ეს ხომ მისი უფლის ფეხის ხმაა, უკან რომ გამოჰყოლია!).

და ვიდრე იგი ამას ეტყოდა მათ, და აჰა მოციქული შევიდა მისა მიმართ და ჰრქვა: ესე ბოროტი უფლისაგან არს, რაღასა ვეცდებოდით ამისთვის უფალსა?“

საბედნიეროდ, თუ შიმშილობის მიზეზი ელისე იყო, მალე მანვე შეცვალა ვითარება, რომ დედას შვილის ხორცი აღარ ეჭამა! „და ჰრქვა ელისე: ისმინეთ სიტყვა უფლისა. ესრეთ იტყვის უფალი, ვითარცა ჟამსა ამას, განთიად საწონი ფქვილი იფქლისა იყოს ერთ სიკილად და ორი საწონი ქრთილი ერთ სიკილად კართა შინა სამარიასა“ *(მეფ. 7, 1)*.

„და უფალმან სმენით ყო ბანაკსა სურისასა ხმაი ეტლებისა და ხმაი ცხენებისა და ხმაი ძალისა დიდისა, და ჰრქვა კაცმან ძმისა მიმართ თვისისა: აჰა, აწ მოიბირა ჩვენ ზედა მეფემან ისრაელისამან მეფენი ქეტელთანი და მეფენი ეგვიპტისანი მოყვანებად ჩვენ ზედა (ჩანს, ჩვენმა

მეფემ ქეტელთა და ეგვიპტელთა მეფენი დაიქირავა, რომ ჩვენ დაგვლაიქროსო).

და აღდგეს და ივლტოდეს სიბნელესა შინა და დაუტევნეს კარავნი თვისნი და ცხენნი თვისნი და კარაულნი თვისნი, ვითარცა იცვნეს ბანაკსა შინა და ივლტოდეს განრინებად სულისა თვისისა (სულების გადასარჩენად გარბოდნენო") *(მუხლ. 6—7)*. „და განვიდა ერი და განძარცვა ყოველი ბანაკი სურისა და იყო საწონი ფქვილი იფქლისა ერთ სიკილად და ორი საწონი ქერი სიკილად, სიტყვისა ებრ უფლისა" *(მუხლ. 16)*.

თავი 8 მოგვითხრობს სონამიტელი ქალის ამბავს, რომლის შვილიც ელისემ მკვდრეთით აღადგინა, და რომელიც ფილისტიმელებში აფარებდა თავს შიმშილობის დროს, მთელი შვიდი წლის განმავლობაში. მოთხრობილია აგრეთვე „კაპიტან" აზაილის ამბავი. ეს ამბავი რომ გავიგოთ, ჯერ უნდა გავიხსენოთ, რომ როცა ილია (არა, ელისე კი არა) ქორების მთაზე იმყოფებოდა, ღმერთმა მიწისძვრისა და ციური ცეცხლის მოვლინების შემდეგ უთხრა: „წარვედ, მიიქეც გზასა შენსა, და მივედ გზასა უდაბნოსასა დამასკედ (ორმოცი დღის სავალზე — ლ. ტაქსილი) და სცხო აზაილს მეფედ ასურასტანსა ზედა, და იეუსს სცხო მეფედ ისრაელსა ზედა" და ა. შ. *(3 მეფეთა, 19, 15—16)*.

ბიბლია არ გვიხსნის, რატომ ღმერთმა თვითონ თავისი ხელით არა სცხო არც აზაილს, არც იეუსს. მამა-ღმერთმა ზემოთ დამოწმებული სიტყვები ბრძანა და მორჩა. ახლა საქმე ელისესთან გვაქვს. წმინდა წერილის ავტორი უეცრად იგონებს აზაილსა და იეუსს, და ცოდვა გამოტეხილი ჯობს, ცდილობს თავისი გულმავიწყობა გამოასწოროს, რაკი ელისე ხელთა ჰყავს (ილია ხომ ცად ამაღლდა, ისე რომ ვერც ერთ ხსენებულ მეფეს ვერა სცხო! მადლობა ღმერთს, ახლა მაინც გავიგებთ, ვინ არის ეს აზაილი! არ დაიბნეთ: დამასკოდ ილიას მაგიერ ელისე მიდის:

„და მივიდა ელისე დამასკოდ, და ძე ადერისა, მეფე სურისა სალმობიერებდა (ავადმყოფობდა), და მიუთხრეს მას მეტყველთა: მოვიდა კაცი ღვთისა აქამდე.

და თქვა მეფემან აზაილის მიმართ: მიიღე ხელითა შენითა ძღვენი და წარვედ შემთხვევად კაცისა ღვთისა და ჰკითხე უფალსა მის მიერ, და ეტყოდი: ვითარმედ ცხოველ ვიყოა სალმობისა ამისგან (მოვრჩები თუ ვერაო).

და წარვიდა აზაილ შემთხვევად მისსა და აღიღო ძღვენი ხელითა თვისათა და ყოველი კეთილი დამასკედ, ორმეოც აქლემისა ტვირთი, და მივიდა და დადგა წინაშე მისსა და ჰრქვა ელისეს: ძემან შენმან, ძემან ადერისმან, მეფემან სურისმან*, წარმომავლინა მე შენდა კითხვად, მეტყ-

---

* აქ უნდა იყოს: შენმა შვილმა ბენადადმა, სირიის მეფემ... (ბენადადს ქართველი მთარგმნელი რატომღაც არც ზემოთ ახსენებს).

ველმან: ვიყოა თუ ცოცხალ სალმობისაგან ამის ჩემისა? (მოვრჩებიო ამ სენს?).

და ჰრქვა მას ელისე: წარვედ და არქვი მას, ცოცხლებით სცოცხლებდე, არამედ მაუწყა მე უფალმან, რამეთუ სიკვდილითა მოკვდეს" *(4 მეფეთა, 8, 7—10)*.

ასეთ სისულელეებს რომ კითხულობ, კაცს თავი სიხმარში გგონია. ჩემ იცის ღმერთისაგან ელისემ, რომ ბენადადი მოკვდება, და მაშ რისთვის ავალებს აზაილს: გადაეცი ავადმყოფს, რომ ის იცოცხლებს, მაგრამ ღმერთისაგან გავიგე, რომ მოკვდებაო! ეს ღვთის კაცი რატომ აყრის თვალში ნაცარს აზაილს? ბიბლია ამას არ გვიხსნის. ზოგჯერ ამდენი სისულელე ერთად პირდაპირ ღლის ადამიანს*.

„და დგა აზაილ წინაშე პირსა მისსა და დაისხნა ხელნი, ვიდრე სირცხვილამდე და ტიროდა კაცი ღვთისა.

და ჰრქვა აზაილ: რაი არს, რამეთუ უფალი ჩემი ტირის? და ჰრქვა: უწყი, რაოდენი უქმნე (შენ) ძეთა ისრაელისათა ბოროტი, ქალაქნი მათნი მოსწვნე ცეცხლითა და რჩეულნი მათნი მოსწყვიდნე მახვილითა და ჩჩვილნი მათნი მოსრნე და მუცელსა შინა დედათა მათთასა მყოფნი განაყრევინე" *(მუხლ. 11—12)*.

მე ვფიქრობ, თქვენთვის რომ ვინმეს ასეთი საზარლობა ეწინასწარმეტყველა და თქვენ მისი სიტყვა გერწმუნათ, შეძრწუნებული უკუიქცეოდით, ასეთ სისხლიან პატივზე ხელს აიღებდით, მაგრამ როგორ მოგეწონებათ აზაილის პასუხი?

„და ჰრქვა აზაილ: ვინ არს მონა შენი, ძაღლი მკვდარი, რათა ქმნეს სიტყვა ესე? და ჰრქვა ელისე: მიჩვენა მე შენი უფალმან მეფობა ასურთა ზედა.

და განვიდა ელისესაგან და შევიდა უფლისა მიმართ თვისისა და ჰრქვა მას მეფემან: რაი გრქვა შენ ელისე? და მიუგო: მრქვა მე ელისე: ცოცხლებით სცოცხლობდე!

და იყო განთენებისა და მოიღო მახვარი (საბანი) და აღმოაწო წყალსა და დაბურა პირსა მისსა და მოკვდა, და მეფე იყო აზაილ მის წილ" *(მუხლ. 13—15)*.

ტახტის დაპატრონების ასეთი ხერხი უაღრესად უბრალოა. ბენადა-

---

* ბიბლიის ავტორებს რომ ამ უნივერსალური წიგნის რედაქტირება ზედმეტად ჩაუთვლიათ, ეს ერთხელ კიდევ აშკარად იჩენს თავს აზაილის ამბავში და თვით ავტორებსვე ატყდებათ თავს. ღმერთი რომ აზაილის და იუეის მეფედ ცხებას ილიას ავალებს და სინამდვილეში ელისე ასრულებს, ამისთვის რომ უბრალო ახსნა მაინც მიეცათ: ილიამ ვერ მოასწრო, თავის მოწაფეს დაავალაო, კრიტიკა ნაკლებ ულმობელი იქნებოდა. მსგავსი წინააღმდეგობა აქ ყოველ ნაბიჯზეა.

დის შვილებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან ეს იყო ღვთის ნება!

8 თავის ბოლოს ნათქვამია, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში იოსაფატმა ძალაუფლება გაუნაწილა თავის შვილს იორამს, გარდა ტახტისა, ეს აკი ეწინააღმდეგება იმას, რაც ზემოთ ითქვა (*3 მეფეთა, 22, 50*), რომ იორამი, იოსაფატის ძე, ტახტზე მამის გარდაცვალების შემდეგ ავიდა. მაგრამ ბიბლიის ყველა წინააღმდეგობაზე რომ შევჩერდეთ, ჩვენ ვერასოდეს ვერ დავამთავრებთ.

იორამ იუდეველი ცუდ გზაზე დადგა. თავისი ცოლისძმის — მეორე იორამის, ისრაილელის მსგავსად, სულ ბოროტს აკეთებდა, რისთვისაც საკადრისად დაისაჯა: „ედომი" გადაუდგა, ხარკის გადახდაზე უარი უთხრა. იორამ იუდეველი ოცდათორმეტი წლისა იყო, ტახტზე, რომ ავიდა, და როგორც ითქვა, რვა წელი იმეფა, როცა ის გარდაიცვალა, იორამ ისრაელი უკვე თორმეტი წლის ასული იყო ტახტზე.

იორამ იუდეველის მემკვიდრე იყო ოქოზია იუდეველი*, მისი და გოთოლიას შვილი. ოცდაორი წლისა იყო ოქოზია, როცა მამის გვირგვინი მიიღო. იუდეველთა ღმერთს არ ცნობდა და სულ ერთი წელი გაძლო. ოქოზიამ კავშირი შეკრა ბიძამისთან, ისრაელთა მეფე იორამთან, ამ კავშირის მიზანი იყო სირიის მეფე აზაილთან ომი. მაგრამ აზაილმა მოკავშირეები დაამარცხა. „და მოიქცა იორამ განკურნებად იეზრაელსა შინა წყლულებისაგან, რომლითა წყლეს იგი რამოთს შინა, ოდეს ბრძოდა იგი აზაილისთანა, მეფისა ასურეთისა, და ოქოზია, ძე იორამისა, მეფე იუდასა შთავიდა ხილვად იორამისა, ძისა აქაბისა იეზრაელსა შინა, რამეთუ სალმობიერებდა იგი" (*4 მეფეთა, 8, 29*).

მკითხველო, მოემზადეთ! ახლა კანკალს დაგაწყებინებთ! ღმერთი საშინელ ამბავს დაატრიალებს. ხალხი გაწყდება.

„და ელისე წინასწარმეტყველმან მოუწოდა ერთსა ძეთაგან წინასწარმეტყველთასა და ჰრქვა მას: მოირტყე წელი შენი და აღიღე რქა ზეთისა მის ხელსა შინა შენსა და წარვედ რამოთს შინა გალაადისასა. და შეხვიდე მუნ და იხილო მუნ იუა, ძე იოსაფატისა, და შევედ და გამოიყვანე იგი სამუალისაგან ძმათა მისთასა და შეიყვანე იგი უშინაგანესსა საუნჯესა (შიდა ოთახში), და მიიღე რქა ზეთისა და დაასხ თავსა ზედა მისსა და არქვი: ესრეთ იტყვის უფალი: გცხე შენ მეფედ ისრაელსა ზედა და განახვენ კარი და იკლტოდე და არა დაადგრე" (*4 მეფეთა, 9, 1—3*).

წინასწარმეტყველის ყრმამ დავალება ზუსტად შეასრულა, იუეის გაოცება გამოიწვია. ზეთის თავისი ულუფა რომ მიიღო, იუეიმ გარნიზონის ოფიცრებს უამბო, რაც შეემთხვა: „მცხეს მეფედ ისრაელსა ზედაო". „და რა ისმინეს, მირბიოდეს მოსწრაფედ და აღიღო თვითეულმან სამო-

---

* არ უნდა აგვერიოს ოქოზია ისრაელთან.

ხელი თვისი და დასდებდეს წინაშე მისსა, ვინათგან ჯდა იგი ერთსა ზედა ხარისხთაგანსა, და დაბერეს რქითა, თქვეს: გამეფდა იუი! და მოიქცა იუი, ძე იოსაფატისა, ძისა ნამესესა, იორამის მიმართ. ხოლო იორამ თვით ხუმილვიდა რამოთს შინა გალაადისასა, თვით დაეყრდნენ ისრაელნი ბირისაგან აზილისა, მეფისა ასურისა (იორამი ებრძოდა ქაზაელსა მეფესა ისრაელთან ერთად რამოთს, ასურთა მეფის აზაილის წინააღმდეგ)" *(მუხლ. 13—14)*.

აქ ჩვენ მკვლელობათა საშინელ, სასარულო ლაბირინთში ვხვდებით. როგორც ელისემ უწინასწარმეტყველა, ღმერთმა იუეის საშინელი მისია დააკისრა და ახალმა მეფემ ბენადადის სიკვდილის შემდეგ დაიწყო მისი განხორციელება. დაუჯერებელია საშინელებითაა აღსავსე ეს მისია. სირიის ახალი მეფე ყმაწვილთა თავებს მისდგება, კვახებივით დაჩეხავს, ფეხმძიმე ქალებს მუცლებს გამოუფატრავს. იუეის აქვს საზარელი ჩვეულება, რომ ადამიანთა სისხლში იბანაოს, ასე უბრძანა უფალმან: შური უნდა იძიო ჩემი წინასწარმეტყველთა დახოცვისათვის, „და სისხლი ყოველთა მონათა უფლისათა ხელისაგან იეზაბელისა და ხელისაგან ყოვლისა სახლისა აქაბისა და აღხოცო სახლისაგან აქაბისა შემფსმელი ზღუდესა ზედა... და მიგცე სახლი აქაბისა, ვითარცა სახლი იერობოამისა, ვითარცა სახლი ვაასისა, ძისა აქიასი, და იეზაბელ შეჭამონ ძაღლთა ნაწილსა შინა იეზრაელისა და არა ვინ იყოს დამფვლელ მისა". ასეთ „აპოკალიფსურ" სასჯელს უვლენს ღმერთი აქაბსა და იეზაბელს, რომელთაც სიცოცხლეში ყველაფერი შეარგო. ღმერთი არ ივიწყებს წყენას, სჯის ურჩებს, და ესაა ბიბლიის მთავარი საზრუნავი.

იუეიმ ყველა წინამორბედ ბოროტ მბრძანებელს გადააჭარბა. გავიხსენოთ, რომ იორამის, ოქოზიას და სხვა „მონარქთა" დანაშაული ის იყო, რომ ბაალს სცემდნენ თაყვანს ადონიას ნაცვლად, აქ კი აი, რა რჯულშემწყნარებლობას ქადაგებს ბიბლია!

მეფედ რომ გამოაცხადეს, იუეი ცხენს მოახტა და იეზრეელში გაემგზავრა, სადაც ასურთა ისრებით დაჭრილი მეფე იორამი ეგულებოდა. იქვე მივიდა იუდეველთა მეფე ოქოზია „ხილვად მეფისა", რომელიც იქ მკურნალობდა. „და ხუმილავი (მხმილავი, გუშაგი) აღკიდა გოდოლსა ზედა იეზრაელსა შინა და იხილა მტვერი* იუიესა, ოდეს მივიდოდა იგი, და თქვა: მტვერსა ვხედავ მე და ჰრქვა იორამ: შესვით კაცი ცხენსა ზედა და წარავლინეთ წინაშე მათსა და ჰრქვას მათ: „მშვიდობა არსა?".. და ჰრქვა იუე: „რაი შენდა და მშვიდობისა?" *(მუხლ. 17—18)*.

---

* ბაგულისხმოა, რომ აქ ქართველ მთარგმნელს უხმარია სიტყვა „მტვერი", იქ, სადაც წერია „ურდო", „ლაშქარი", და ეს მხატვრულად გააზრებული საჰე დამახასიათებელია საერთოდ მთელს ქართულ ტექსტში (რუსებს აქვთ «полчище», გერმანელებს — «Haufen»).

იუეიმ მოციქულს უბრძანა: დადექი „ზურგით ჩემსა!“ რაკი წუკაცი არ დაბრუნდა, იორამმა მეორე კაცი გაგზავნა, და ვეღარც ის ისრლებ. „და ჰრქვა იორამ: შეაუღლეთ! და შეაუღლეს ეტლსა და განვიდა იორამ მეფე ისრაელისა და ოქოზია, მეფე იუდასი, კაცად კაცადე ეტლსა შედა თვისსა, და განვიდეს შემთხვევად (შესახვედრად) იუიასა და პოეს იგი წილსა ზედა ნაბოთეს იეზრაელიტელისასა. და იყო, ვითარცა იხილა იორამ იუია და ჰრქვა: მშვიდობაი არსა, იუიე? და ჰრქვა იუე: რაი შენდა, და მშვიდობისა! კვალად სიძვანი იეზაბელ დედისა შენისანი და გრძნებანი მისნი მრავალ?“ *(მუსლ. 21—22)*. ამრიგად, დედამისის უზნეობა და მოგვობაც უკიჟინა იეღოვას რჯულის ერთგულმა იუეიმ იორამ მეფეს. და ბრძოლა გაუმართა.

იუეის ბრალდების მთელი მომხიბლაობა რომ შევიგრძნოთ, იეზაბელის გარყვნილების შესახებ რომ თქვა, აუცილებელია პატარა ქრონოლოგიური ანგარიში დავიმოწმოთ, წმინდა ტექსტებზე დამყარებული. რამდენი წლისა იქნებოდა ამ დროს აქაბის ქვრივი? უკვე ჰყავდა გოთოლია, და ამ გოთოლიას ასაკი ასი წელი გახლდათ, თუ მეტი არა.

არ არის ცნობილი, რამდენი წლისანი იყვნენ დედა ან შვილი, როცა გათხოვდნენ. მაგრამ დავუშვათ, რომ აქაბის ასული მხოლოდ თხუთმეტი წლისა იყო, როდესაც იორამ იუდეველს მიათხოვეს, იოსაფატის ძეს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს იორამი არ განირჩეოდა ღმერთის სიყვარულითა და ერთგულებით. ნეშტთა მეორე წიგნი გვაუწყებს, რა ბედი ეწია მას.

„და აღადგინნა უფალმან იორამს ზედა უცხო თესლნი (ფილისტიმელნი აუმხედრა), და არაბიელნი და თანა მესაზღვრენი, ეთიოპისანი.

და აღმოვიდეს იუდასა ზედა და სძლეს სტყენვიდეს ყოველსა საუნჯესა, რომელნი პოვნეს სახლსა შინა მეფისასა და ძენი მისნი და ასულნი მისნი და ცოლნი მისნი, და არა დაშთა მას ძე, გარნა ოქოზია უმცროსი ძეთა მისთა.

და შემდგომად ამათ ყოველთა დასცა იგი უფალმან მუცლისა სალმობითა უკურნებელითა.

და იქმნა დღითი დღედ, და ოდეს მოვიდა ჟამი დღეთა ორისა დღისა განვიდა ნაწლევნი მისნი სალმობითა და მოკვდა განრღვევითა ბოროტითა, და არა უქმნეს მას ერმან ჩვეულებისა ებრ დაფლულება, ვითარცა დაფლვისა მამათა მისთა.

ოცდა ათორმეტისა წლისა იყო, ოდეს იწყო მეფობად და რვა წელ მეფობდა იერუსალიმს შინა, ხოლო ვიდოდა არა წრფელად, და დამარხეს იგი ქალაქსა შინა დავითისსა, გარნა არა საფლავთა შინა მეფეთა“ *(2 პარალიპომენი, ნეშტთა, 21, 16—20)*.

მეფე რომ მეფეთა სამარხში არ დამარხონ, ეს ისეთი სასჯელია, რასაც მხოლოდ „ჭეშმარიტების გზიდან“ დიდი განდგომისათვის უსჯიან.

ახლა იმავე ნეშტთა წიგნის მომდევნო, 22 თავი ასეთი ძვირფასი ცნობით იწყება: „ხოლო დაადგინეს მკვიდრთა იერუსალიმსა შინა ოქოზია, ძე მისი უმრწემესი, მის წილ, რამეთუ ყოველნი უფროსნი ძისწყვიდნეს შემოსრულთა მათ ზედა ავაზაკთა არაბთა ბანაკსა შინა და მეფე იქმნა ოქოზია, ძე იორამისა, მეფისა იუდასა. და ოცისა წლისა იყო, ოდეს ოქოზია მეფობად იწყო და ერთ წელ მეფობდა იერუსალიმს შინა, და იყო სახელი დედისა მისისა გოთოლია, ასული ამვრინისა“ *(მუხლ. 1—2)*. ოქოზიას ძმების რიცხვი მეფეთა მეოთხე წიგნში გარკვევით წერია *(მუხლ. 10, 14)*: „ორმეოცდა ორნი კაცნი“ იყო და ყველანი... დაკლეს.

ახლა ცოტა უკან გავბრუნდეთ: გოთოლიას, რომელიც გათხოვების დროს სულ მცირე თხუთმეტი წლისა მაინც უნდა ყოფილიყო, შეეძლო ერთი წლის შემდეგ პირველი შვილი ჰყოლოდა. დავუშვათ სხვა ბიბლიურ სასწაულთა შორის ერთი ასეთი, თეორიულად შესაძლებელი სასწაულიც: ვთქვათ, ყოველწლიურად თითო შვილსა შობდა, და სულ ვაჟებს (ბიბლია მის ასულებზე არაფერს ამბობს). ოქოზია ორმოცდამესამე შვილი იყო, და მაშასადამე, გოთოლია სულ მცირე ორმოცდათვრამეტი წლისა გახლდათ, როცა ოქოზია ეყოლა. აქედან ნათელია, რომ ეს ქალი ოთხმოცდაორი წლისა ყოფილა, როცა ოცდაორი წლის ოქოზია ტახტზე ავიდა. ამით შემდეგ მტკიცდება, რომ დედამისი იეზაბელი სულ მცირე ასი წლისა მაინც არის, როცა იშვა მისი შვილი იორამი, ისრაელის მეფე, და შვილიშვილი ოქოზია, იუდეის მეფე. აი, ამ ასი წლის იეზაბელსა სწამებენ გარყვნილებას. ამის შემდეგ სრულიად ნათელი ხდება, თომ ჩხიბვა და ჯადოსნობა, რასაც მას გაბოროტებული იეუი სწამებს, მხოლოდ იმისათვის გამოადგებოდა, ბებერ ქალს საყვარლები მოეხიბლა და მიეზიდა.

იუეის ანუ იეჰუს, ცხადია, თავისი პასუხით არ შეეძლო იეზაბელის შვილის დაშოშმინება: დედაშენი ისევ ისე მეძავობს, გრძნებანი მისნი მრავალ არიანო! „და მიაქცია იორამ ხელი თვისი და იქცეოდა და ჰრქუა ოქოზიას მიმართ: ზაკვა არს, ოქოზია! და მოირთხა იუეი ხელსა თვისსა მშვილდი და განისრა იორამ შორის ბეჭსა მისსა და განვლო ისარმან შორის გულსა მისსა და მოდრკა მახვილსა ზედა თვისსა“ *(4 მეფეთა, 23—24)*. იუდეის მეფე ოქოზიაც გაიქცა, ბეთგანიას გზას დაადგა, მაგრამ ადონაის შურისმაძიებელს სად გაექცეოდა! „და სდევდა შემდგომად მისა იუე... და დასცა იგი ეტლსა ზედა... და მოკვდა მუნ“ *(მუხლ. 27)*.

ახლა იეზაბელის ჯერი დადგა. „და მივიდა იუე ქალაქსა იზრაელსა, ხოლო იეზაბელს ესმა რა ესე, იცხო პირი თვისი და შეიმკო თავი თვისი და იხედვიდა სარკმლით“ *(მუხლ. 30)*. ამ პატივცემულ წარმართ ბანოვანს, რომელიც უკვე ას თუ ას ოც წელს ითვლიდა, კიდევ იმედი ჰქონდა, რომ მოძალადე მეფის გულს მოინადირებდა, ამისათვის წაიცხო

ფერ-უმარილი და სარკმელში დაიწყო კეკლუცად ცქერა. „და იუე აღვიდოდა რა ქალაქად, ჰრქვა მას იეზაბელ: მშვიდობით არსა ზამბრი, მკვლელი უფლისა თვისისა?“ ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს, რომ ზამბრიმ თავისი მეფე ბასა მოკლა, მთელი მისი ოჯახიც გაწყვიტა, მაგრამ ასეთი წარმატების შემდეგ მხოლოდ შვიდი დღე იმეფა და თვითონაც მოიკლა თავი, როდესაც ამბრეს ამბოხების წარმატება ნახა.

იუეიმ მაღლა აიხედა: „და მიხედა მან პირითა თვისითა სარკმელსა ზედა, და იხილა იგი და ჰრქვა: ვინ ხარ შენ? შთამოვედ ჩემდა! და მიაქცია მისდა ორნი საჭურისნი, და ჰრქვა იუე: გარდამოაგდეთ იგი! და გარდამოაგდეს იგი და ესხურა სისხლი მისი ზღუდესა და ცხენთა და დაითრგუნეს იგი. და შევიდა იუე, ჭამა და სვა და ჰრქვა: მიხედეთ აწ წყეულსა მას და დამარხეთ იგი, რამეთუ ასული არს მეფისა. და წარვიდენ, რათა დამარხონ იგი, და არა ეპოვათ მისგანი, არა რაი სხვა, გარნა თხემი და ფერხნი და ნებნი ხელთანი. და მოიქცეს და მიუთხრეს მას და თქვა: სიტყვა იქმნა უფლისა, რომელი თქვა ხელითა მონისა მისისა ილია თეზბიტელისათა, და იტყოდა: ნაწილსა შინა იეზრაელისასა შესჭამდენ ძაღლნი ხორცსა იეზაბელისასა! და იყოს მძორი იეზაბელისა, ვითარცა სკორე პირსა ზედა აგარაკისასა... რათა არავინ თქვას მათგანმან, ვითარმედ ესე არს იეზაბელ“ (*მუხლ. 32—37*). ასე გაუსწორდნენ წინასწარმეტყველთა მჭლეტელ იეზაბელს ადამიანები და ძაღლები*.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იეზაბელი უაღრესად ნაყოფიერი იყო. უკანასკნელმა ფანდმა არ გაუჭრა, მაგრამ უკვე ჰყავდა შვიდი ათეული შვილი. იორამს დარჩა ძმები, რომელთაც შეეძლოთ ტახტზე ასვლა. „და იყვნენ ძენი აქაბისნი სამარიასა სამეოცდა ათნი, და მისწერა წიგნი იუე, და წარგზავნა სამარიად მთავართა მიმართ სამარიასათა, და მოხუცებულთა და მზრდელთა ძეთა აქაბისათა და ეტყოდა: და აწ, რაჟამს მოიწიოს წიგნი ესე თქვენდა, და თქვენ თანა არიან ძენი უფლისა თქვენისანი და თქვენ თანა ეტლნი და ცხენნი და ქალაქნი მტკიცენი და საჭურველნი.. აღიღეთ თავნი ძეთა უფლისა თქვენისათანი და წარმოგზავნეთ ჩემდა ხვალისად იეზრაელსა შინა, და იყვნენ ძენი მეფისანი სამეოცდა ათნი კაცნი და უხუცესნი ქალაქისანი ზრდიდეს მათ. და იყო, რაჟამს მოვიდა მათდა მიმართ წიგნი და მოიყვანნეს ძენი მეფისანი და დაკლნეს კაცნი სამეოცდა ათნი იგი და შთაყარეს თავნი მათნი გოდორთა შინა და წარუგზავნეს იგინი მისდა მიმართ იეზრაელს შინა“ (*4 მეფეთა, 10, 1—7*). როცა იეღოვას შურისმაძიებელ იუეის „ისტორიას“ ვკითხულობთ, ასე გვგონია ქვეყნიერებას სისხლისმსმელი აფთრები მოვლენიან, რათა ადამის ტომი გაჟლიტონო.

---

* როგორც ცნობილია, ძაღლი ადამიანის ხორცს არა ჭამს. ეტყობა, მაშინდელი ძაღლები ან ძლიერ მორწმუნეები იყვნენ ან ძლიერ დამშეულნი.

როგორ მოიქცა იუე? გოდრებით მოზიდული ორმოცდაათი მეფის წულის თავი ქალაქის ბჭეებთან დაყარა, ხალხი მოიხმო და გაამხიარულა; აი, ეს მოვიმოქმედე, ასე ავასრულე უფლის ბრძანება, გაველიტე აქაბის მოდგმა, „ყოველნი დიდ შემძლენი მისნი, და მეცნიერნი მისნი, და მღდელნი მისნი, რათა არა დაშთეს მათ შორის ნეშტი (მუხლ. 14). არ დაუტოვებია ცოცხალი აქაბისა და იეზაბელის მხარეში და ხოლქაში.

ამ „საგმირო საქმის“ შემდეგ იუეი „აღდგა და წარვიდა თვით სამარიას ბეთაკას შინა, მწყემსთასა გზით კერძო. და იუი პოვნა ძმანი ოქოზიას, მეფისა იუდასა, და ჰრქვა: ვინ ხართ თქვენ? და თქვეს მათ: ძმანი ოქოზიასნი ვართ ჩვენ, და შთამოვედით მოკითხვად ძეთა მეფეთასა და ძეთა მათ მფლობელთასა. და ჰრქვა მან: მოიყვანეთ იგინი ცოცხალნი! და დაკლნეს იგინი ვიბეთაკს შინა, ორმეოცდა ორნი კაცნი, და არა დაშთა კაცი მათგან“ (მუხლ. 12—14). ზიანს არ მოგვიტანს იმისი გახსენება, რომ გოთოლიას ეს ორმოცდაორი შვილი ერთხელ უკვე დახოცეს არაბებმა. ასე რომ, იუეის ცოდვები უამისოდაც ეყოფა (2 ნეშტთა, 22, 1). ოქოზია, იორამ იუდეველის ორმოცდამესამე, უკანასკნელი შვილი, სწორედ იმის გამო ავიდა ტახტზე, რომ უფროსი ძმები არაბებმა გაწყვიტეს. ო, სასტიკო და ულმობელო იუეი! შენ არ იხევ არაფრის წინაშე და შეგიძლია დახოცო თვითონ... მიცვალებულნი!

თუ ფიქრობთ, რომ ამით ბიბლიის კეთილმსახურული საზარლობის მატიანე თავდება, სასტიკად ცდებით. იუეიმ ბაალის პატივსაცემად დიდი დღესასწაულის გამართვა ბრძანა*. „და შეკრიბა იუე ყოველი ერი და ჰრქვა მათ: აქაბ ჰმონა ბაალს მცირედ, და იუე ჰმონოს მრავალად! და აწ ყოველნი წინასწარმეტყველნი ბაალისნი და ყოველნი მონანი მისნი და მღდელნი მისნი მომიწოდეთ ჩემდა და ერთიცა კაცი არ დაიმალნეს, რამეთუ მსხვერპლი დიდი არს ბაალისა! და ყოველი, რომელი დაიმალოს, არა იყოს ცოცხალ. და იუე იქმნა ესე ზაკვით, რათა წარწყმიდოს მონანი ბაალისანი. და ჰრქვა იუე: წმიდაი ყავთ მსხვერპლი ბაალისა! და ჰქადაგეს. და წარავლინა იუე ყოვლისა ისრაელისა მიმართ და ჰრქვა, მეტყველმან: აწ ყოველნი მონანი ბაალისნი და ყოველნი მღდელნი მისნი და ყოველნი წინასწარმეტყველნი მისნი მოვედინ და ნუ დაგშთების, რამეთუ მსხვერპლი დიდი ვყო. რომელიცა დაშთეს, არა იყოს ცოცხალ. და მოვიდეს ყოველნი მონანი ბაალისნი და ყოველნი მღდელნი მისნი. და არა

---

* იუეიმ საბაოთის ბრძანებით ლამის მთელი ისრაელი ხალხი გაწყვიტა და ახლა მის მეტოქეს ბაალს — ბელზებელს უმართავს დღესასწაულს, თუმცა ვერაგულს. ბიბლიური ხალხის ისტორიაში ეს წინააღმდეგობაც არ უნდა გვაკვირვებდეს. სულელური იდეისა თუ რწმენისათვის, ერთი მუჭა გაბატონებული ხროვისათვის, ერთი დესპოტი ღმერთისათვის ხალხი წყდება. იუეს მზაკვრული ხრიკი მხოლოდ აძლიერებს მის სისასტიკეს. მერე მაინც ბაალს სცემს თაყვანს'

დაშთა კაცი, რომელიცა არა მოვიდა, და შევიდეს ტაძარსა შინა ბაალისსა, და აღავსნეს ტაძარი ბაალისა კიდითგან კიდედმდე“ *(4 მეფეთა, 10, 18—21)*.

ღვთისმსახურების ჟამს საბაოთის მეტოქის ტაძარს იუეის ჯარებმა ალყა შემოარტყეს. „და იყო, რაჟამს აღასრულეს ქმნა ყოვლისა დასწვაბისა, ჰრქუა იუე წინა მდგომთა: შევედით და მოვსწყვიდნეთ იგინი, და ნუცა განერების მათგან კაცი, და მოსწყვიდნეს იგინი პირითა მახვილისათა და დაჰყარნეს წინა მსრბოლთა და წინამდგომთა, და ვიდოდეს, ვიდრე ქალაქადმდე ტაძრისა ბაალისა, და მოიღებდეს კერპსა ბაალისსა და დაწვეს იგი. და შემუსრვიდეს კერპთა და აღმოფხვრეს სახლი ბაალისა და განსამზღვრეს იგი სახლად სარცხვინელად (საროსკიპოდ აქციეს), ვიდრე დღეინდელად დღედმდე. და წარსწყმიდა იუე ტაძარი ბაალისა ისრაელისაგან“ *(მუხლ. 25—28)*. სადაც უმრავლესობა წყდება, იქ სიწმინდის ცნება შეიძლება სიბილწის ცნებით შეიცვალოს. ყველა ჭორისა და შეუსაბამობის მიუხედავად ბიბლია ბრწყინვალედ ასახავს სულელური რწმენისათვის ხალხთა უწყალოდ ქლეტის ამბავს.

ახლა კი, მკითხველო, ხელი მოჰკიდეთ რაიმეს ან კედელს მაინც მიეყრდენით, რომ არ წაიქცეთ. აი 29 მუხლი, რაც თვით ზემოთ მოთხრობილ მზაკვრულ დღესასწაულსა თუ სვრემას ჩრდილავს თავისი უცნაურობით: „გარნა ცოდვათაგან იერობოამისათა, ძისა ნაბათისა, რამეთუ მან შეიყვანა ცოდვათა შინა ისრაელნი, არა განეშორა იუე ხბოსა ბეთილსა შინა და დანსა შინა“. შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელია გაიგო, რა კაცია ეს ბატონი იუეი!

ბაალის თაყვანისმცემელთა მჟლეტელი რომ ბაალს ეთაყვანება, ღმერთიც კი გაოცებულია და თავის ლაქიას საყვედურობს: „და ჰრქუა უფალმან იუეს: ამის წილ, რაოდენი სანატრელ ჰყავ სიმართლე წინაშე თვალთა ჩემთა და ყოველი, რაოდენი გულისაებრ ჩემისა ქმენ სახლისა აქაბისა, ძენი შენნი მეოთხედმდე ნათესავისა დაჯდეს საყდარსა ზედა ისრაელსა შინა. და იუე არა დაიცვა სლვად რჯულსა შინა სახელისა ებრუფლისა ღვთისა ისრაელისა ყოვლითა გულითა თვისითა და არა განეშორა ცოდვათაგან იერობოამისა, ძისა ნაბათისა, რომელმან ცოდვათა შინა შთაიყვანა ისრაელნი. მას დღესა შინა იწყო უფალმან მოკვეთად ისრაელსა შინა და დასცნა იგინი აზალ ყოველთა საზღვართა ისრაელისათა“. ამრიგად, ერთი „დაცემა“ არ დამთავრებულა და მეორე იწყება. ამასობაში „დაიძინა და მოკვდა იუე მამათა თანა თვისთა და დაფლეს იგი სამარიასა შინა“. ასეა თუ ისე, ამ საზარელმა მხეცმა, უზურპატორმა იუეიმ ოცდარვა წელი იმეფა და ტახტზე თავისი შვილი იოაქაზი დატოვა.

იუეის ამბით გატაცებულ ბიბლიას სულ დაავიწყდა გოთოლია. ახლა, II თავში ისევ უბრუნდება ამ ნაყოფიერ ქალს. ტახტზე რომ უზურ-

პატორი იუეი ავიდა, მამამისის აქაბის მტერი, გოთოლიამ ძამები შეიმოსა და დიდხანს გლოვობდა. სულ რამდენიმე დღეში ფანჯრიდან გადააგდეს და ძაღლებს შეაჭამეს დედამისი იეზაბელი, მეფეებს ძლიერმა ისრაელი და სამოცდაათი სხვა ძმა, შვილი ოქოზიასი და კიდევ ერთი სხვა შვილი. დარდმა ვერ მომინელებო, ამ ქალმა უნდა დაიტრაბახოს! იერუსალიმის დედოფალს მხოლოდ შვილიშვილები შემორჩა, ოქოზიას შვილები. რა გააკეთა გოთოლიამ, რომ ისინი მაინც გადაერჩინა გამხეცებული იუეის რისხვისაგან? ადგა და თვითონვე... გაწყვიტა ყველანი. „და ღოფოლია*, დედამან ოქოზიასამან იხილა, რამეთუ მოკვდა ძე მისი და აღდგა და წარწყმიდა ყოველი თესლი მეფისა“ *(მეფ. 11, 1)*.

შურისძიების ასეთი სახე მხოლოდ ბიბლიაში გვხვდება. ამის გამო ვოლტერმა თქვა: „გოთოლია, პატარა იოასის ბებია, იერუსალიმში ყველა თავის შვილიშვილს ხოცავს, როგორც ამბობს წმინდა წერილი, პატარა იოასის გარდა, რომელმაც მიმალვა მოახერხა. ეს ქალი მაშინ დაახლოებით ასი წლისა იყო. მაშასადამე, ამ მკვლელობას არავითარი არსებითი მიზეზი არ შეეძლო ჰქონოდა. ამდენ მკვლელობას მხოლოდ თავშესაქცევად ახდენს, აგრეთვე იმისათვის, რომ უზენაეს ჭურუმს მიზეზი მისცეს, იქნებ თვითონაც მომკლასო. საერთოდ, ამ პერიოდის ისრაელთა და იუდეველთა მეფეების ისტორია აღსავსეა ისეთი უთვალავი შემაძრწუნებელი მკვლელობითა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტით, რანაირიც შეიძლება ვნახოთ მხოლოდ ქრცვინების ისტორიაში, რომ ამ ისტორიას რომელიმე მამალი დაწერდეს**.

ბიბლიური მოთხრობა ყოველთვის დაუჯერებლობით გამოირჩევა. ამბავი შეიძლება იყოს საშინელი, საინტერესო, მოულოდნელი, უცნაური, მაგრამ მართალი არ იქნება. როგორ უნდა გადარჩენილიყო ოქოზიას უმცროსი შვილი ასეთ სვრემას? იოსაბე მამიდამ „მოიპარა“, მეფე იორამის ასულმა, ოქოზიას დამ, გოთოლიას ასულმა, ძუძუს მტე მიუჩინა და ასე ზრდიდა. იგივე იოსაბედი მღვდელ იოდაის ცოლიცაა. ამრიგად, გოთოლიამ, თავისი ურჯულობით ცნობილმა ქალმა, რომელსაც ერთადერთ ღმერთად ბაალი მიაჩნდა, თავისი ასული ებრაელ მღვდელს მიათხოვა. პატარა იოასი კი გოთოლიასაგან დაფარულად ტაძარში იზრდებოდა. მთელი ექვსი წელიწადი იბატონა გოთოლიამ, ისე რომ თავისი სიძისა და ასულის შეთქმულებისა არაფერი იცოდა. მეშვიდე წელს იოდაიმ ებრაელთა ღმერთის ერთგული სარდლები შეყარა, ოქოზიას ნორჩი შვილი

---

* გოფოლია და გოთოლია (ღოფოლია) პარალელური ფორმებია. უფრო სწორია ათალია (ასე აქვს ლუთერსაც).

** ქრცვინი, პატარა, თამამი, სისხლისმსმელი კვერნისებური ცხოველი, ყოველ ცოცხალ არსებას ჰამს, რომელსაც კი მოერევა, თავს ესხმის ადამიანსაც კი (ლენცის ცნობით და სხვ.).

უჩვენა და მეფედ გამოაცხადა. გოთოლიას „ესმა ხმაი წინა მსრბოლთა ერთა და შთავიდა ერისა მიმართ სახლსა შინა უფლისასა და იხილა მეფე, მდგომარე სვეტსა ზედა ჩვეულებისა ებრ და იყვნენ წინაშე მეფისა მგალობელნი და მესაყვირენი და ყოველნი ერნი ქვეყანისანი მოხარულ და ჰბერვიდეს საყვირსა. და დაიპო ღოფოლია სამოსელნი თვისნი და თქვა: ღალატი, ღალატი! და ამცნო იოდაი მღდელმან ასის თავთა და მთავართა ძალთასა და ჰრქვა მათ: განიყვანეთ იგი გარეთ ქალაქისაგან და [illegible] გამოვიდეს შემდგომად მისა, სიკვდილით მოკვდეს მახვილისაგან, ვინათგან თქვა მღვდელმან, რათა არა ვინ მოჰკლათ სახლსა შინა უფლისასა... და განიყვანეს და მოაკვდინეს მუნ“ *(მუხლ. 14—16)*. ამავე დროს მოკლეს ბაალის ქურუმი — მატთანი* — იოდაის მეტოქე, დაანგრიეს ბაალის საკურთხეველი, ხატი მისი შემუსრეს და დაადგინეს მღვდელმთავარი უფლის სახლისა.

იოასი ამ დროს შვიდი წლისა იყო. მეფეთა მეოთხე წიგნი მას ღვთისმოსავ მეფედ გვიხატავს, მაგრამ ნეშტთა წიგნიდან ვგებულობთ, რომ იმანაც ცუდად დაამთავრა თავისი მოღვაწეობა: მას შემდეგ, რაც ას ოცდაათი წლის იოდაი გარდაიცვალა და პატივით დაკრძალეს დავითის ქალაქში, იოასი განუდგა ებრაელთა ღმერთს, თაყვანი სცა ასტარტას, მაღნართა გამოჭანდაკებულ ღმერთებს. მაშინ ისევ „იქმნა რისხვა უფლისა იუდასა ზედა იერუსალიმს“ *(ნეშტთა, 2, 24 თავი)*. ღმერთმა წინასწარმეტყველნი გამოგზავნა, ხალხმა არ დაუჯერა. გამოვიდა აზარია მღვდელი, იოდაის ძე და მემკვიდრე, ხალხი დაგმო, ჰეშმარიტ ღმერთს გადაუდექით, „რამეთუ დაუტევეთ უფალი და დაგიტეოს თქვენო“. აქ იჩინა თავი იოას მეფის უმადურობამ: „არა მოიხსენა იოას მეფემან მოწყალება, რომელი ყო იოდაი მამამან მისმან მის თანა, არამედ მოკლა ძე მისი, რომელი ოდეს მოკვდებოდა, თქვა: იხილოს და საჯოს უფალმან!“ უფალმან ასე განსაჯა: ერთი წლის შემდეგ ქვეყანას ასურთა ჯარი შემოესია, „მოვიდეს იუდასა ზედა და იერუსალიმს ზედა და მოსწყვიდნეს ყოველნი უხუცესნი ერთა შინა მეფისათა“. შემდეგ თვით მეფეს ორი თავისივე მონა დაესხა თავს „სისხლისათვის აზარიას მღვდელისასა, ძისა იოდაისა, და მოკლეს იგი სარეცელსა ზედა მისსა და მოკვდა და დაფლეს იგი ქალაქსა შინა დავითისსა, არამედ არა დაფლეს იგი საფლავთა შინა მეფეთასა“. მეფეთა და ნეშტთა წიგნები მისი მკვლელის სახელებს ცოტათი ურევს, მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, იოასმა თავისი განკითხვის დღემდე მთელი ორმოცი წელი იმეფა და მემკვიდრედ თავისი შვილი ამასია დატოვა.

ახლა ისევ მეფეთა მეოთხე წიგნს ვუბრუნდებით. იქ სასტიკი იუეის ტახტზე მისი შვილი იოაქაზი დავტოვეთ. ეს გახრწნილი კაცი ებრაელთა

---

* ქართულ დაბადებაში ეს სახელი გამოტოვებულია.

ღმერთს მთელი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში დასცინოდა. ღმერთი კი უბედურ ხალხზე იყრიდა ჯავრს. მის სამეფოს აოხრებდა და იკლებდა სირიის ორი მეფე — აზაილი და ვენადადი. როგორ დააცილებს ეგვიპტელები, ძნელი წარმოსადგენია! აი ტექსტი: „რამეთუ არა დაშთნეს იოაქაზს ერნი, არამედ ოდენ ორმეოცდა ათი ცხენოსანი და ათი [illegible] მისთა ქვეითი, რამეთუ მოსწყვიდნა იგინი მეფემან სურიისამან და ქმნა [illegible], ვითარცა მტვერი დასათრგუნველად“ *(4 მეფეთა, 13, 7)*.

იოაქაზის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი იოას უმცროსი, რომელიც არ უნდა ავურიოთ იუდეის მეფე იოასთან. იოას ისრაელი, იუეის შვილიშვილი, იოას იუდეველის შვილს ამასიას ებრძოდა, სასტიკად დაამარცხა, შეანგრია იერუსალიმის კედლები, რომელთა სისქე ასე საიმედოდ მიაჩნდათ, ბრეშის სიგანე ოთხას წყრთას შეადგენდა. ასე გაძარცვეს ტაძარი და სამეფო სასახლე.

იოას ისრაელის მეფობაში გარდაიცვალა ჩვენი ნაცნობი მელოტი ელისე წინასწარმეტყველი: „და ელისე სალმობიერ იქმნა სალმობითა დიდითა, რომლითა მოკვდაცა, და მოვიდა მისა იოას, მეფე ისრაელისა, და ტიროდა პირსა მისსა ზედა“ *(4 მეფეთა, 13, 14)*.

მომდევნო წელს სასწაული მოხდა. ერთ კაცს ასაფლავებდნენ და უცებ მოაბელთა ურდო დაინახეს: „და აჰა, იხილეს მხედარნი და შთააგდეს კაცი იგი საფლავსა შინა ელისესსა და დაეცა გვამი კაცისა მის მკვდარისა და შეესო ძვალთა ელისესთა და განცოცხლდა და აღდგა ფერხთა თვისთა ზედა“ *(მუხლ. 20—21)*. ეს მოხდა ელისეს დაკრძალვიდან ერთი წლის თავზე.

კრიტიკოსები მუდამ ბუზღუნებენ, ვერასოდეს ვერ ნახავ ამ მოდგმას კმაყოფილს! აქაც შენიშვნას იძლევიან. ბიბლიის ავტორებს ეკითხებიან: რატომ ღმერთმა თვითონ ელისე არ გააცოცხლა, იმის ნაცვლად, რომ გააცოცხლებინა ვიღაც უცნობი და უსარგებლო მოქალაქე, რომელიც არ იყო საინტერესო, არავის არ ესაჭიროებოდა და შემთხვევით ჩააგდეს წინასწარმეტყველის სამარეში? მეორე კითხვა ასეთია: როგორ მოხდა, რომ ელისეს სამარე მთელი წლის განმავლობაში თავღია რჩებოდა, შემთხვევით მაინც როგორ არ დაეყარა მიწა? ურწმუნო ხალხს ასეთი კითხვაც ებადება: რა მოუვიდა მკვდრეთით ამდგარ კაცს, რატომ არ შეეცადა. ამის შემდეგ მაინც მოეხვეჭა სახელი, და მეორე სიცოცხლეში მაინც რატომ არ ახსენებს ბიბლია იმას, რომელსაც პირველი სიცოცხლის განმავლობაში თავი არაფრით გამოუჩენია? დაბოლოს, თუ ელისეს ძვლებს ასეთი სასწაულებრივი ძალა ჰქონდათ, რატომ შემდეგ აღარავის გამოუყენებია მათი ჯადოსნური ძალა? სხვებიც ხომ კვდებოდნენ? რა საწყენია, რომ ეს ჩონჩხი დაიკარგა! მისი ნაწილები რომ გონივრულად დაენაწილებინათ და გამოეყენებინათ, იქნებ ჩვენი საშველიც დამდგარიყო და საყოველთაო უკ-

ვდავება უზრუნველყოთ! ყოველ შემთხვევაში, წმინდა მამები მაინც წარმატებით გამოიყენებდნენ ელისეს ძვლებს თავიანთი მიწიერი არსებობის გასაგრძელებლად[5].

ელისეს გარდაცვალების შემდეგ თითქოს მასთან ერთად დასამარდა ინტერესი და გარკვეულობაც. ბიბლიის შემდგომ ნაწილში [illegible] ლიტიკური უთავბოლობა ისეთ ხასიათს იღებს, რომ [illegible] ლია სახელთა და ფანტასტიკურ ამბავთა ხლართებში გარკვევა. მეფე ოსიას დროს დასრულდა ისრაელთა სამეფოს არსებობა, ოსია და მისი ყველა ყოფილი ქვეშევრდომი ასირიის ტყვეობაში წაასხეს.

განხეთქილებამ დაღუპა იუდეა და ისრაელი.

აფარეს*. მამის ტახტზე კი სენაქერიბის მესამე შვილი — ასარდანი (ისტორიაში ასარგადონი) დაჯდა. მომდევნო თავში ბიბლია გვარწმუნებს, რომ თავისი მეფობის ბოლო წლებში ეზეკიამ კავშირი შეკრა ბაბილონის მეფე ბეროდახ (მაროდახ) ბალადახთან.

ეს მტკიცებანი არ ეწყობიან არქეოლოგიურ აღმოჩენებს ასურეთის მეფეების ისტორიიდან. 1842 წელს ფრანგთა კონსულმა მოსულში, ბოტამ ჭორსაბადის სახელგანთქმული სასახლე აღმოაჩინა, მისი წარწერებიდან ირკვევა, რომ ბეროდახ ბალადანი ქალდეიდან განდევნა თვითონ სალმანასარ მესუთემ, სენაქერიბის მამამ, ბეტლაკიმთან გამართული ბრძოლის შემდეგ, რაც მოიგო 709 წელს ძვ. წ., და რომ სალმანასარი ამ გამარჯვების შემდეგ ბაბილონს დაეპატრონა, ეს სამეფო კი ნინევიას შეუერთა. რანაირადღა შეეძლო ეზეკიას კავშირის შეკვრა ბეროდახ ბალადანთან ასარდანის ანუ ასარგადონის, სენაქერიბის ძის მეფობის დროს, რაკი ბაბილონის ამ მეფემ ნინევიის მეფესთან ომში დაკარგა ყველა თავისი სამფლობელო, და რაკი ასარდანი, ნინევიის მეფის შვილიშვილი, ეზეკიას მეფობის ბოლო წლებში ერთდროულად იყო ნინევიისა და ბაბილონის მეფე? კაცმა სამეფო დაკარგა, განდევნეს, და უცებ სამეფო კავშირებს კრავს!

მაგრამ ისტორიასაც რომ არ გავუწიოთ ანგარიში და უპირატესობა ბიბლიას მივაკუთვნოთ, მაშინაც არ შეიძლება ასეთი შენიშვნა არ გავაკეთოთ: ღმერთმა ჩომ აღუთქვა ეზეკიას: „და შევეწიო ქალაქსა ამას, რათა დაემწყსა იგი ჩემთვის და დავითისთვის, მონისა ჩემისა!“ მაშ რაღას შეუსია მაშინვე დავითის ქალაქს სენაქერიბი? თუ ყოვლის შემძლე ღმერთმა მართლა იკისრა ქალაქის დაცვა, თავიდანვე უნდა დაეცვა და არ მიეცა საშუალება სენაქერიბისათვის, რომ შეჭრილიყო, გაეძარცვა ტაძარი, სასახლე, წაეღო ქვეყნის სიმდიდრე. გაუგებარია ისიც, როგორ მოხდა, რომ ღმერთმა, ასე საზეიმოდ რომ გამოაცხადა თავი იუდას ტომის მცველად და მფარველად, ერთ ღამეში რომ გაჟლიტა ანგელოზის ხელით 185 000 ასირიელი, ორიოდე წლის შემდეგ ხელი აიღო იუდეაზე, ასირიის მეორე არმიას დაანგრევინა ის და გულგრილად უყურებდა, როგორ უყრიდნენ ბორკილებს იუდეველებს, ბენიამინელებს, ლევიტელთა დიდ ნაწილსაც კი, რათა შორეულ მხარეში გაერეკათ, როგორც მონები?

•ი ეზეკიას შესახებ არსებული კიდევ ერთი ფაქტი, რომლის დეტალებიც საყურადღებოა. ეს მეფე ტახტზე ავიდა ოცდასუთი წლისა და ღმერთმა ბედის წიგნში ჩაუწერა, ოცდაცხრამეტი წლისა მოკვდებიო. მაგრამ გარემოებათა საფუძველზე, რომელთა აღნიშვნაც საჭიროა, ღმერ-

---

* დედანში წერია „არარატის ქვეყანა“, რაც „არმენიად“ წოდებულ ძველ სამეფოს გულისხმობს, არმენებით დასახლებულს. „სომხითი“ ქართული სიტყვაა, და გვიანდელი წარმოშობისა, სხვა ეთნოგრაფიული ცნება.

თმა საშლელით ჩაასწორა ბედის წიგნის გვერდი და შესწორება შეიტანა „მარადისობის დიდი წიგნის“ გვერდებზე. ამის შედეგად ეზეკიამ რამოც-დათოთხმეტ წლამდე იცოცხლა.

თავისი მეფობის მეთოთხმეტე წელს ეზეკია ავად გახდა და ისე მოსალოდნელი იყო ბედის წიგნის მიხედვით, ვიდრე [illegible] აიღებდა. იუდეველთა მეფეს ექიმი არ მოუწვევია. არც იყო საჭირო, რადგან გვერდით ჰყავდა ესაია, წმინდა კაცი, წინასწარმეტყველი, რომელმაც ღმერთის გადაწყვეტილება ისე იცოდა, თითქოს მისი პირველი მრჩეველი ყოფილიყო. ესაიამ გაიგო, რისთვის იხმობდა სნეული მეფე და მაშინვე მასთან გაეშურა. ესაიამ ასე უთხრა ეზეკიას, რომელიც „სალმობიერ იქმნა სიკვდიდმდე“: „ესრეთ იტყვის უფალი: ამცენ სახლსა შენსა, რამეთუ მოჰკვდები შენ და არა იქმნები ცოცხალ! და მიიქცია ეზეკია პირი თვისი კედლისა მიმართ და ევედრა უფალსა და იტყოდა: უფალო, მოიხსენე აწ, რამეთუ ჭეშმარიტებით ვიდოდი წინაშე შენსა და გულითა სრულითა და სათნო წინაშე თვალსა შენსა ვიყავ! — და ტიროდა ეზეკია ტირილითა დიდითა. და იყო კვალად ესაია საშუალ კარსა და იყო სიტყვა უფლისა მისა მიმართ და ეტყოდა: მიიქეც და არქვი ეზეკიას მწყემსსა ერისა ჩემისასა, ესრეთ იტყვის უფალი ღმერთი დავით მამისა შენისა: მესმა ლოცვისა შენისა და ვიხილენ ცრემლნი შენნი: აჰა მე განგკურნო შენ! და დღესა მესამესა აღხვიდე სახლსა შინა უფლისასა. და შევსძინო წელიწადთა შენთა წელიწადი ათხუთმეტი, და ხელისაგან მეფისა ასურასტანისა გიხსნა შენ და ქალაქი ესე!“ *(4 მეფეთა, 20, 1—7)*.

ესაიას, როგორც წინასწარმეტყველს, არაფერი გაჰკვირვებია და პატიოსნად შეასრულა დავალება. მაგრამ ერთიმეორის საწინააღმდეგო წინასწარმეტყველებამ დააბნია და დააშინა თვითონ ავადმყოფი მეფე. ეზეკიას ესაიამ წყლულზე „ლეღვის ჩურჩხალაკი“ დაადო, ეზეკიამ კი ეჭვით ჰკითხა: „რაი არს სასწაული, რამეთუ განმკურნებს მე უფალი და აღვიდე სახლსა შინა უფლისასა მესამესა დღესა? და ჰრქვა ესაია: ესე სასწაული უფლისა მიერ, რამეთუ ყოს უფალმან სიტყვა, რომელი თქვა: განებავსა, რათა წარდგეს აჩრდილი ათსა ხარისხსა, ანუ მოიქცეს ათსა ხარისხსა? (გინდა, აჩრდილი ათი საფეხურით წინ წამოდგეს? თუ წარდგეს ათი საფეხურით უკან?). და ჰრქვა ეზეკია: უადვილეს არს აჩრდილისა მიდრეკად ათსა ხარისხსა, ვიდრეცა მოიქცეს აჩრდილი ათსა ზედა ხარისხსა მართლ უკუნ (არა, ჯობია უკან მიდგესო). და ღაღად ყო ესაია წინასწარმეტყველმან უფლისა მიმართ და მოიქცა აჩრდილი რიცხვისა ებრ ათისა ხარისხისა მართლ უკუნ“* *(მუხლ. 7—11)*.

ურწმუნოები ხუმრობენ მზის საათის ამ დაფაზე, სადაც აჩრდი-

---

* აქ ქართულ თარგმანში გამოტოვებულია მცირე დეტალი: აჩრდილმა (ე. ი. სიკვდილმა) ათი საფეხურით უკან დაიხია აქაზის საფეხურებზე.

ლი უკან იხევს. ან ეზეკიას სნეულება უმნიშვნელო ყოფილა, რაკი ლეღვის სალბუნმა მოარჩინაო, ამბობენ, ან კიდევ მისი ერთადერთი გამაჯანსაღებელი ყოფილა ღმერთის ძალა, და მაშინ ლეღვის სალბუნი მოულიად ზედმეტი იყო. რაც შეეხება მზის საათს, აქ კრიტიკოსები ეზეკიას ცდილობენ, ეზეკიას ცდილობენ, ეზეკიას ცდილობენ,

ტობიას წმინდა რომანული ამბავი

ობია ტოვილის ძე, „ტომისაგან [illegible], ასირიის მეფის სალმანასარის [illegible] ვანეს ნინევიაში. სამწუხაროდ, ამ ბიბლიურმა მეფემ თავისი სამფლობელოების გეოგრაფიული რუკა არ დაგვიტოვა. უამისოდ კი შეუძლებელია იმის გაგება, თუ ნინევიაში მობინადრე სალმანასარმა თუ ენემესარმა ტიგროსიდან რანაირად აუქცია გვერდი ბაბილონის სამეფოს, რათა პალესტინის მოსახლეობა ტყვედ წაესხა. ეს ხომ იგივეა, რომ მაგალითად თურქებს საბერძნეთი გაევლოთ და იტალიელები ტყვედ წაეყვანათ. ტობია თურმე მიდიაში დადიოდა, „და ოდეს იხილა მრავალთა შორის ტომთა თვისთა ღავაილსა ძმა გაბარაელ სიგლახაკესა შინა მყოფი, რომელი იყო ტომისაგან მისისა, მისცა მას ვეცხლი ესე, შემდგომად ხელით წერილისა მისისა“ (წიგნი ტობიასი, 1, 16). ეს ათი ტალანტი ვერცხლი მას მეფემ აჩუქა, თანაც თავისუფლება მიანიჭა, რადგანაც გულწრფელად ესავდა ღმერთს და ღმერთმაც „მისცა მას წყალობა წინაშე პირსა სალმანასარ მეფისა“. სადაც გინდა, იქ დასახლდიო, უთხრეს, და სამოსახლოს ძებნაში ის თავისი ნაშოვარიც თავიც თანამოძმეს მისცა. ათი ტალანტი ვერცხლი მცირე თანხა როდია მშრომელი ჭალის ქმრისათვის, რომელიც უცხო ქვეყნის ტყვეობაში მოხვდა (ტობიას ცოლი ანა მრთველი იყო). გასაკვირი კია ამ ტობიას საქმე, ნინევიიდან ასობით კილომეტრის მანძილზე რომ წასტიალდა იმისათვის, რომ ვინმე ღავაილს თავისი ფული შესანახად მისცეს.

ერთხელ ვიღაცის გასვენებიდან დაბრუნებულ ტობიას ღმერთმა უბედურება შეამთხვია*. „მაშვრალი მოვიდა სახლსა შინა თვისსა“ და

---

* აქ ტაქსილს მნიშვნელოვანი მომენტი აქვს გამოტოვებული. ტობია „ვიღაცის გასვენებიდან“ კი არ ბრუნდებოდა, თვითონვე დამარხა ერთი უცნობი ებრაელი, რომელიც ჭუჩაში იპოვა მკვდარი მისმა შვილმა, როცა უფლის დღესასწაული ჰქონდა და „ჰრქვა ძესა თვისსა: წარვედ და მოიყვანენ რომელნიმე ტომთაგან ჩვენთა მოშიშნი ღმრთისა, რათა ჰამონ ჩვენთანა“ (ტობიასი, 2, 2). ეს რომ გაიგო, ტობიას ამოს წინასწარმეტყველის სიტყვები გაახსენდა: „დღენი დღესასწაულთა თქუენთა გარდაიქცენ ტირილად და გოდებად“. ტობიამ ცხედარი დამარხა, თუმცა ეს აკრძალული იყო. ამას ხშირად აკეთებდა, რადგან ღვთისნიერი კაცი იყო და „უფროს ეშინოდა ღმრთისა, ვიდრე მეფისა“; ღმერთმაც ამისათვის გამოცადა იობივით: აბა თუ გაღაიტანს უდრტვინველად ყველა განსაცდელსო!

განწმენდის მიზნით „დაწვა მახლობელ ზღუდისა და დაიძინა“. მძინარესა მას დაეცა სკინტლი ტფილი თვალთა ზედა მისსა ბუდისაგან მერცხლისა და იქმნა ბრჴა“ (*მუხლ. 2, 11*)*.

კომპეტენტური ხალხი ამტკიცებს, რომ ჩიტის სკინტლი მხედველობისათვის სულაც არ არის საშიში და ტობიას შეეძლო ეს ბრჭყალი წყლით დაებანა, მეტი არაფერი. ეტყობა, ღმერთს ასე სურდა.

ტობიამ იმდენი ითმინა, რომ გული აგიჩვილდებოდათ. ბოლოს კი ხმა ამოიღო, მაგრამ სამდურავისა კი არა: ბოდიშს უხდის ღმერთს, არა ვიდოდით ჭეშმარიტებათა შინა შენდა, სამართლიანად დავისაჯეთო. მაგრამ ახლა, როცა ამდენ ძნელბედობას სიბრმავეც დაემატა, თქვა: ბარემ მომკალი, „ბრძანე მშვიდობით მიღებად სული ჩემი, რამეთუ უმჯობეს არს ჩემდა სიკვდილი, ვიდრე ცხოვრებაო“. ამ ჩივილში რომ დიდი დრტვინვაც იფარება, ეს ცხადია, მაგრამ სიტყვიერად ეს არ გამოუხატავს და ისე ღმერთს ცოდვად არ ჩაუთვლია.

„ხოლო მასვე დღესა შეემთხვია სარეიას (სარას), ასულსა რაღუილისასა, რაღესა ქალაქსა შინა მიდთასა (ეკბატანს) სმენად ყვედრება ერთთაგან მხევალთა მამისა თვისისათა, ვინათგან მიცემულ იყო (სარა) შვიდთაგან კაცთა (მხევალთა საყვედურები მოისმინა: შვიდ კაცს გაჰყოლიხარ და შვიდივე დახოცე, არა გრცხვენიაო?). და სახელით დემონ აზმოდეოს ანაზდად მოკლა იგინი მყის, ოდეს ვიდოდენ მის თანა (დემონი აზმოდეოსი კლავდა ქმრებს, ვიდრე სარასთან მივიდოდნენ). ოდეს უკვე მიზეზისა მისთვის შეჰრისხნა ქალსა, ხოლო ქალმან მიუგო მას და ჰრქვა: შენგან არა ვიხილოთ ძე, არცა ასული ქვეყანასა ზედა, მკვლელი კაცთა შენთა. ნუთუ მოკვლაცა ჩემი გნებავს, ვითარცა მოაკვდინენ შვიდნი კაცნი?... აღვიდა სარა სახლსა უფლისასა და სამ დღე და სამ ღამე არა ჭამა, არცა სვა, არამედ იდგა ლოცვასა ზედა... ვითხოვ ,უფალო, რათა მიმიღო მე... შენ უწყი, უფალო, რამეთუ არა ოდესვე ვინებე ქმარი და წმიდად ვიპყარ სული ჩემი ყოვლისაგან გულის თქმისა. არცა მომღერეთა თანა ვიცინოდი... ხოლო კაცსა არა ნებითა ებრ ჩემთა, არამედ შიშითა შენითა ვინებე მოღებად. ანუ მე არა ღირს ვიქმენ ამათ, ანუ იგინი ჩემდა არა იქმნენ ღირსნი...“ (*ტობია, 3, 7—19*).

კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ აქამდე არასოდეს ებრაელებს არ უხსენებიათ არავითარი დემონი და ეშმაკი. ბოროტი სულების სავანე სპარსეთია, იქიდან მოდიან ქვეყნის ყველა მხარეში. იქ ხალხს სწამდა ორი

---

* ზოგ თარგმანში წერია ბეღურები. აქ მცირე გაუგებრობა იჩენს თავს. ტობია თავის მიცვალებულებს ჩვეულებრივ ღამით მარხავდა („დაჰფარვიდა სახლსა შინა თვისსა და შუალამ დამარხვედა მათ“), და რანაირად მოხვდებოდა შუაღამისას ზღუდესთან დაწოლილ ტობიას ბეღურის ან მით უმეტეს ბუდეში მჯდარი მერცხლის სკინტლი, ისიც ორსავე თვალში ერთდროულად?

ერთნაირად ძლიერი ღმერთის — ორმუზდისა და არიმანის (აჰრიმანის) არსებობა. პირველი სიკეთის სულია, მეორე — ბოროტებისა. ორივე სულსა თუ ღმერთს სიკეთისა და ბოროტების სულთა მთელი არმია ჰყავს. ებრაელები მხოლოდ მიმბაძველები იყვნენ. თავიანთ რელიგიას მეზობელი ხალხების ან დამმონებლებისაგან იღებდნენ, ამასთან ვასესხებდნენ არა მარტო წესებს, არამედ გადმოცემებსაც.

ტობიას წიგნი გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ბოროტ სულს სარა უყვარდა და ეჭვიანობის ნიადაგზე ხოცავდა მეტოქეებს. ეს სავსებით ეწყობა ძველ მოძღვრებას სულების, ანგელოზებისა და ღმერთების შესახებ. „შექმნათა“ წიგნში უკვე ვნახეთ ანგელოზები, რომლებიც ქალწულ ქალებთან ცხოვრობდნენ და ამ კავშირის შედეგად ბუმბერაზები იბადებოდნენ. ეკლესიის მსახურებმა შემდეგ უთვალავი ამბავი გამოიგონეს დემონებზე, რომელთაც სქესობრივი კავშირი დაუჭერიათ ქალებთან; არაჩვეულებრივ არსებებზე, რომლებიც ამ „უკეთური“ კავშირის შედეგად იშობოდნენ; ეშმაკებზე, რომლებიც ათასნაირი ხერხით უძვრებოდნენ სხეულში ჭაბუკებსა და ქალიშვილებს; ამ ეშმაკეულთა გამოდევნის უთვალავ ხერხზე და „განწმენდაზე“, რაც ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებოდა მას, ვის სხეულშიც „ავსული“ დაიბუდებდა. მუდამ არსებობდა და არსებობს მრავალი ველური ცრუ რწმენა და ცრუ აზრი, რაც ეკლესიას საუკუნეების განმავლობაში წარმატებით გამოუყენებია საკუთარი ანგარებისათვის. ადამიანთა სისულელე კვებავს მის სიღატაკეს, შიშსა და უბედურებას.

ისრაელთა ღმერთმა ისმინა ვედრება.

„და მას ჟამსა შინა შესმენილ არიან ვედრებანი ორთავე (ტობიასი და სარასი) წინაშე პირთა დიდებისა მაღლისა ღვთისა, და მოვლინებულ იქმნა ანგელოზი უფლისა, წმიდაი რაფაილ, რათა განჰკურნოს იგინი ორნივე, რომელთა ვედრებანი ერთსა შინა ჟამსა მათნი იქმნეს ყოფილნი წინაშე პირსა უფლისასა“ *(ტობიასი, 3, 24—25)**.

რაფაელმა ტობიასაც აუხილა თვალები და სარაც განკურნა ბოროტი დემონის ჯადოსაგან, მერე სარა ტობიას შვილს მიათხოვა და შებოჭა აზმოდეოსი, ბოროტი სული.

აქ წმინდა წერილი პირველად უწოდებს სახელს ანგელოზს. ყველა კომენტატორი ერთხმად ამტკიცებს, რომ იუდეველ-ქრისტიანთა ანგელოზების ყველა სახელი ქალდეური წარმოშობისაა: რაფაელი (რაფაილი) —უფლის მკურნალი, ურიელი — უფლის ცეცხლი, აზრაილი — უფლის მოდგმა, მიხაილი (მიქაელი) — უფლის სახე, გაბრიელი — ღვთის კაცი. სპარსთა ანგელოზებს სულ სხვა სახელები ჰქონდათ: მა, კურ, დუბადურ,

---

* ქართული თარგმანი აქ არ შეიცავს იმის აღწერილობას, რაც რაფაელმა გააკეთა (წაკლულია).

ბაამან და ა. შ. ებრაელები ქალდეველთა ტყვეობაში იყვნენ და არა სპარსელთა, ამიტომ გადაიღეს ქალდეველთა ანგელოზებისა და ეშმაკების სახელები. როგორც კი ეს უფლის რჩეული ხალხი ბატონებს იცვლის, ცვლაფერიც იცვლება მის ცხოვრებაში. როცა ქანაანელთა მონობაში იყვნენ, ქანაანელთა ღმერთები სწამდათ. როცა ასირიელებად ყოფნის ჟამს ასირიელთა ეშმაკებს ემორჩილებოდნენ, ასირიელთა რელიგიას იღებდნენ, მაგრამ ერთგული და ბოროტი სულები სწამდათ.

„ოდეს უკვე ტობია ჰგონებდა ვედრებასა თვისსა შესმენილ ყოფად, რათა მოკვდეს, მოუწოდა თავისა მიმართ ტობიას, ძესა თვისსა და პრქვა მას...“ აქ ტობია შვილს მიმართავს ვრცელი სიტყვით, რომელშიაც უფლის მორჩილებასა და პატიოსნებას უქადაგებს, თანაც მოაგონებს მოვალეობას მშობელთა წინაშე: „ოდეს მიიღოს ღმერთმან სული ჩემი, გვამი ჩემი დამარხე და პატივი გქონდეს დედისა შენისა ყოველსა დღესა ცხოვრებისა მისისასა, და მოიხსენიებდე, რომლისა და რაოდენსა სალმობისა მომთმენელ არს შენთვის მუცელსა შინა თვისსა. ხოლო ოდეს ამანცა აღასრულოს ჟამი ცხოვრებისა თვისისა, დამარხე იგი მახლობელ ჩემსა“ *(ტობიასი, 4, 1—6)**.

თავისი სიტყვის ბოლოს ტობიას აგონდება ის ათი ტალანტი ვერცხლი, რაც ხელწერილით ჩააბარა შესანახად ერთ თავისიანს: „ხოლო გაუწყო შენ ესეცა, ძეო ჩემო, რამეთუ მივეც ათი ტალანტი ვეცხლი, ოდეს კვალადღეა ყრმა იყავ, გავალს ვლაღეს, ჭალაქსა მიდთასა, და ხელით წერილი მაქვს მე ჩემთანა“ *(მუხლ. 21)*.

ტობიამ შვილს ხელწერილი გადასცა და ურჩია, თანამგზავრი აიყვანე, რომ მიდიაში ჩაგყვესო, მაშინ განვიდა ტობია სარწმუნო კაცის საძებნელად, „და პოვა ჭაბუკი ბრწყინვალე, მორტყმული მდგომარე და ვითარცა განმზადებული გზასა ზედა**. და ვერ ცნა, რამეთუ ანგელოზი უფლისა იყო, მოიკითხა იგი და პრქვა: სადათგან გაქვს შენ კეთილნი, ყრმაო? ხოლო მან მიუგო: ძეთაგან ისრაელისთა. და ჰრქვა მას ტობია: უწყია თუ გზა, რომელი მიიყვანს ადგილთა შინა მიდთასა? და მიუგო მას: ვუწყი, და ყოველსა გზასა მისსა ჟამ-ჟამად აღვალ, და ვიყავ ღავალისთანა, ძმისა ჩვენისა“ *(ტობიასი, 4—8)*.

კაცი იტყვის, ანგელოზს ბევრი საქმე არა ჰქონია, თუ სადღაც მიდიაში მიბარებული ვერცხლის საპოვნელად აჰყოლია ვინმე ტობიასო. მაგ-

---

* ტობიას წიგნის ქართულ თარგმანში სათვალავი სხვაა, ალაგ-ალაგ აღგილები გამოტოვებულია და საერთოდ ეს თარგმანი ჩვეულ დონეზე ვერაა შესრულებული.

** ესაა მთავარანგელოზი რაფაელი. სწორედ ასეთი მეფური იერის ჭაბუკი იყო დიდი რაფაელ სანტი, რომელიც ამ ანგელოზის სახელს ატარებდა. და ამ სახელით მისი მონათლა მეტი სასწაულია, ვიდრე ცხრა ბიბლიური სასწაული.

რამ ბიბლიურ პერსონაჟებს სხვა საქმე არა აქვთ: ისრაელი ხალხის ბედი და უბედობაა კაცის, ღმერთის და ანგელოზთა საქმე.

რა საგულისხმო დამთხვევაა, არა? ახალგაზრდა ტობიამ მამას წარუდგინა ბრწყინვალე აღნაგობის ჭაბუკი, რომელმაც განაცხადა, ანანია დიდის გვარისა ვარ და აზარია მქვიაო. ესეც ერთი ბედნიერი დამთხვევა! მოხუცი ტობია (ტობიტი) კარგად იცნობდა ანანიას და შორეულ ნათესავადაც კი მოხვდებოდა. იწყება ვაჭრობა ჰონორარისათვის. რამდენი უნდა მიიღოს ციურმა მეგზურმა, ყმაწვილი რომ მიდიაში ჩაიყვანოს? ანგელოზი ჰპირდება, მშვიდობით ჩავიყვან და მოვიყვანო. მამაც ჰპირდება, დღეში დრაქმას მოგცემ და ჩამოსვლისას კიდევ დაგიმატებო. უცნაური კია, რომ ტობია, რომელიც ნინევიაში ცხოვრობს, არც ებრაულ ფულს სთავაზობს სასყიდლად, არც მიდიურს, არამედ ბერძნულს.

ასე დაიწყო მოგზაურობა შორეულ მიდიაში. „ხოლო ვიდოდა ტობია და ძაღლი შეუდგა მას", ე. ი. ძაღლი აედევნა, თუმცა გადაცმული ანგელოზი აზარია უკვე თან ახლდა. ღამით ეს ძაღლიც ტიგრის ნაპირზე დაწვა. იწყება თავგადასავალი, უამისოდ ხომ მოგზაურობა საინტერესო არ იქნებოდა! არც დაიწყებდა მებაღე ბაღის შემოღობვას და არც გახდებოდა საჭირო სცენაზე ორი მოქმედი პირის გამოყვანა. ადგა ტობია „და განვიდა, რათა დაიბანოს ფერხნი თვისნი და აჰა თევზი დიდი გამოვიდა შთანთქმად მისა, რომელსა განცვიფრდა ტობია, ღაღადყო ხმითა დიდითა და თქვა: უფალო, შთანთქმა ჩემი ჰნებავს თევზსა და ჰრქვა მას ანგელოზმან: იპყარ ლაყუჩი მისი და გამოზიდე იგი თავისად მიმართ! ხოლო ესე ჰყო, გამოზიდა იგი ხმელსა ზედა და იწყო ფორთხალი წინაშე ფერხთა მისთა" *(ტობია, 6, 2—5)*.

როგორ მოხდა, რომ ურჩხულისოდენა თევზი, რომელსაც კოღოსავით შეუძლია ადამიანის გადაყლაპვა, ამ ყმაწვილს ლაყუჩებში აკიდვინებს ხელს და მორჩილად მოჰყვება, როგორც რომელიმე ბაჭია, რომელსაც ხელი ყურებში ჩაავლეს? ღვთისმეტყველს პასუხის გაცემა არ გაუჭირდება. არც ის აწუხებს, რომ ასეთი თევზები მტკნარ წყალში არ ბინადრობენ. ეტყობა, ეს თევზი მდინარე ტიგრში გამონაკლისის სახით იქნა გადასროლილი უფლის ბრძანებით, სასწაულის მოსახდენად. საერთოდ, ეს იყო ღვთაებრივი ინსცენირება და მაშასადამე, სრულიად უშედეგო იქნება ძიება, თუ თევზთა რა სახეობას ეკუთვნოდა ეს უზარმაზარი კაციჭამია თევზი, მტკნარი წყლის „ლევიათანი".

ანგელოზმა ტობიას უბრძანა, თევზი გაჭერი, გულ-ღვიძლი და ნაღველა შეინახეო. როცა ეს ოპერაცია დასრულდა, თევზი შეწვეს და ეკბატანში ჩასვლამდე ამ თევზით იკვებებოდნენ, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ანგელოზებსაც ჭამა ესაჭიროებათ.

„და მაშინ გამოჰკითხა ტობია ანგელოზსა და ჰრქვა მას: გეყვედრები

შენ, ძმაო აზარია, რათა მაუწყო მე: რაი კურნება აქვს ამათ, რომელი თევზისაგან დაცვად მიბრძანენ? და მიუგო ანგელოზმა და ჰრქვა მისა მიმართ: ნაწილი გულისა თევზისა, უკეთუ დასდვა ნაკვერცხალსა ზედა და კვამლი მისი განდევნის ყოველსა ნათესავსა ეშმაკისასა, ანუ კაცისაგან ანუ ვედაკაცისაგან და შემდგომად მისა ვერაოდეს ეახლების მისა მიმართ. და ნაღველი სახმარ არს ცხებად თვალთა, რომელთაცა ზედა, უკეთუ იყოს სითეთრე და განკურნოს“ (ტობია, 6, 7—9).

შემდეგ რაფაელმა ტობიას ურჩია, ჩემს ნათესავ რაღუილთან ითხოვე დროებით ბინა და მისი ასული სარა შეირთეო ცოლად. გამოუცდელი ტობია ამ უკანასკნელ წინადადებას დიდი ეჭვითა და ჭოჭმანით შეხვდა. ანგელოზს ასე უთხრა: „მესმა, რამეთუ მიცემულ იყო შვიდთა კაცთა და მომკვდარ არიან. აჰა მესმა, რამეთუ ეშმაკმა მოჰკლა იგინი. ამისთვის მეშინის, რათა მეცა ესე არ შემემთხვიოს და ვინათგან მე ერთი ვარ მშობელთა თანა ჩემთა, რათა არა შთავყარო სიბერე მათი მწუხარებითურთ საფლავსა შინა. მაშინ ანგელოზმან რაფაილ ჰრქვა მას: მისმინე მე და მე გაუწყო შენ ამისათვის, რომელთაცა ზედა ეშმაკთა აქვთ ხელმწიფება. რამეთუ იგინი, რომელნი იქორწინებენ, ღმერთს თვისისა გონებიდან განდევნიან... ესრეთთა ზედა ეშმაკსა აქვს ხელმწიფება. ხოლო შენ ოდეს მოიღო იგი და აღხვიდე სარეცელსა შინა, სამთა დღეთა აღიკრძალე მისგან (სამ დღეს არ გაეკარო), და ნუ რა რასა ჰყოფ, თვინიერ ლოცვით სდეგ მისთანა. ხოლო თვით ღამესა შინა პირველსა რათა დასხნა ნაკვერცხალსა ზედა ცეცხლისათა ნაწლევი თევზისა ესე და განიდევნოს ეშმაკი. ხოლო მეორესა ღამესა შეერთებასა შინა..“ ამ ღვთისმეტყველურმა ქადაგებამ რომ არ მოგვაბეზროს, მოკლედ მოვჭრათ: ქორწინების შემდეგ კაციჭამია თევზის ღვიძლი უნდა აკმიოს საკმეველივით საპატარძლოს სარეცელთან, ეშმაკი განიდევნება, აღარასოდეს არ დაბრუნდება, სარა შეიყვარებს ტობიას არა სიძვისათვის, არამედ იმისათვის, რომ აბრაამის შთამომავლობა არ გაწყდეს, და უსათუოდ ეყოლებათ შვილები, რადგან სარა საუკუნოდ ტობიასთვის არის გათვალისწინებული“ (ტობია, 6, 14—18).

მივიდნენ რაღუილთან, „და შეიწყნარა იგინი რაღუილ სიხარულითა“, და მისი ასული სარაც იცრემლებოდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ „ნეფთალემისა არიან“ ტობიას სახლიდან. მაშინვე სუფრა გაშალეს, მაგრამ ტობია უმცროსმა შიმშილობა გამოაცხადა: ვიდრე სარას არ მომათხოვებთ, მე აქ ლუკმის ამღები არა ვარო. რაღუილი ისეთი მასპინძელი აღმოჩნდა, რომ არაფერზე უარს არ ეტყოდა, მაგრამ თავი მოვალედ ჩათვალა ეთქვა პირველი შვიდი ქმრის ხვედრი, და არ დაუფარავს არც თავისი შიში: ვაი თუ მშვენიერ სარას წაყვანა შენც სიცოცხლის ფასად დაგიჯდესო! ახალგაზრდა ტობია ისე იყო გადარეული, რომ წარ-

ბიც არ შეიხარა. ანგელოზისაგან დაიმედებულმა მშობლებს განუცხადა, არაფრისა არ მეშინიაო, ე. ი. არც ეშმაკისა მეშინიაო.

„მაშინ ჰრქვა რაღუილ: არა შეორგულდები, რამეთუ ღმერთმან დიდ ვანი ჩემნი და ცრემლნი ჩემნი წინაშე პირთა თვისთა შეიწყნარა. და მრწამს, რამეთუ ამისთვის გყო თქვენ მოსლვად ჩემდამო, რათა ესე შეერთებისა თვისსა სჯულისაებრ მოსესა... და უპყრა მარჯვენა ასულსა თვისსა და მისცა იგი მარჯვენესა ხელსა ტობიასსა: ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა იყავნ თქვენ თანა და თავადმან შეგაერთნეს თქვენ, და მოიღეს ეტრატი და ქმნეს წერილი შეუღლებისა“, დედამ კიდევ თავის მხრივ დალოცა: ძლიერი სასოება გქონდეს, ასულო ჩემო, ჭირთა თმენისათვისო! *(მუხლ. 7)*.

ამრიგად, საქმე სწრაფად მოგვარდა.

ანამ საწოლი გაამზადა და სარა შიგ შეიყვანა, ცრემლი მოსწმინდა, დააწყნარა და დატოვა.

ნავახშმევს ტობიაც იქით გაეშურა. „შემდგომად ხოლო მწუხრისა შეიყვანეს ჭაბუკი მისთანა, და მოიხსენია ტობიამ სიტყვანი ანგელოზისანი და აღიღო ბალანტისაგან თვისისა ნაწილი ნაწლევისა თევზისა და დასდვა იგი ნაკვერცხალსა ცეცხლისასა, ხოლო ანგელოზმან რაფაილ წარიტაცნა ეშმაკნი* და შეკრნა იგი უდაბნოსა შინა უმაღლეს ეგვიპტისასა“ *(მუხლ. 8, 1—3)*. ტობიამ კი საიდუმლო გაანდო სარას და ალერსიანად უთხრა: ეს სამი დღე მოვითმინოთ, ვილოცოთ, მესამე ღამეს კი „თვისითურთ შევიერთნეთო“, ასე წარმართებივით ნუ დავწვებითო.

ღვთისმეტყველნი სერიოზულად იკვლევენ, სად არის დღეს აზმოდეი და შეკრულია თუ თავისუფალი. საყურადღებო საკითხია! მელნის მდინარეები დაღვრილა ამის გამოსაკვლევად**. განსაკუთრებით გაქნილი გაიძვერები აღმოჩნდნენ ერთ-ერთი ეგვიპტური მონასტრის ბერები, რომლებიც ცნობისმოყვარე მორწმუნეებს უჩვენებენ ძალიან ღრმა ჭას, რომლის ფსკერზეც თითქოს დემონი შებოჭა ანგელოზმა. დემონი დღესაც იქ იმყოფებაო. ჭაში ჩახედვა არ არის ინტერესს მოკლებული, ამისათვის ფულსაც კი არ ითხოვენ. სამაგიეროდ მცირეოდენი თანხისათვის ბერები ცნობისმოყვარეებს ნებას აძლევენ ჭაში რამდენიმე კენჭი ჩააგდონ ან წმინდა წყლის წვეთები დააქციონ, რათა ამით კიდევ უფრო გააძლიერონ ეშმაკის ტანჯვა, რაც ისედაც უსაზღვროა: აბა ვის არ მოსწყინდება ბნელ ჭაში უჭმელ-უსმელად გდება ორი ათასი წელიწადი!

* დედანში (და სხვაგან ქართულშიაც) ეშმაკი, დემონი ერთია. მხოლობით რიცხვში.

** მელნის მდინარეები არ დაიღვრებოდა, რომ ბიბლიის ავტორს ერთი წვეთი მელანიც დაეხარჯა და დაეწერა: „მოდღეისწდელ დღედმდე“ შებოჭილიაო. იზმოდეის „პრობლემა“ ღვთისმსახურთა პედანტობისა და ეაზრო დავის კლასიკური ნიმუშია.

რაღუილი დარწმუნებული იყო, რომ ტობია ამ მდგომარეობიდან მშვიდობიანად ვერ დააღწევს თავს, და მოთმინებით უთხრიდა სიმარეს. მაგრამ დილით, როცა სიძე მთელი და უვნებელი ნახა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სამარე მაშინვე მიწით ამოავსეს და საქორწინო ლხინი განაახლეს. ქორწილი 14 დღე გრძელდებოდა. ლხინის დასასრულს ტობიას უთხრა: ისმინა ღმერთმა ლოცვა, გაგზავნა ჩვენგან მტერი, რომელი გვაჭირვებდა", ახლა კი საგზალს გაგიმზადებენ ორ ძროხას პოხილს, ოთხ ვერძს, სალხინოს ყოველნაირს, მშვიდობით წადი მამაშენთან, ჩემი ქონების ნახევარი შენია და როცა მოვკვდები, დანარჩენიცო. საამისო ხელწერილიც კი გაატანა.

ამასობაში რაფაელიც დაბრუნდა ეგვიპტიდან, აზარიას სახით დაესწრო ლხინს. ღავაილის საქმეც კარგად მიდიოდა, ათი ტალანტი უკლებლივ დაუბრუნა ტობიას.

დაბოლოს, ახალგაზრდა ტობია, მისი ცოლი, ციური მეგზური და ძაღლი ნინევიაში დაბრუნდნენ, სადაც მოხუცი, ბრმა ტობია უკვე დარდისაგან ჭკუასაც კარგავდა. წინ მახარობელი გაუშვეს. „და აღდგა მამა მისი ბრმა, იწყო მოსწრაფედ განსლვაი, უბრკმა ფერხითა და მისცა ხელი ყრმასა (წაბორძიკდა, მსახურს მიენდო), რათა განიყვანოს იგი, და გამოვიდა მიგებებად ძისა თვისისა, და მიითვალა, ამბორს უყო მას, ცოლისა თანა თვისითა, და იწყეს ორთავ ტირილად სიხარულისაგან" *(მუხლ. 11, 10—13)*. ახლა რჩებოდა მარტო მეგზურის გასტუმრება. იმან გასამრჯელოზე უარი თქვა, გამოაცხადა თავისი ვინაობა: რაფაელი ვარო, შვიდ ციურ მთავარანგელოზთაგანი, და გაქრა. დარჩენილები შვიდი დღე ლხინობდნენ. ახლა მამასაც ახელილი ჰქონდა თვალები. ცხადია, მისვლისთანავე „მოიღო ტობია ნაღველი თევზისა, სცხო თვალთა მამისა თვისისასა, და დაიყოვნა ვითარცა ნახევარ ჟამისა, და იწყო სითეთრემან თვალისაგან მისისა განსლვად, ვითარცა აფსკა თევზისა, და მეყსეულად აღეხილა. ამის შემდეგ კიდევ იცხოვრა 42 წელი, იხილა შვილიშვილები. ილოცა: „ნეტარ ვიყო, უკეთუ იყვნენ ნეშტნი თესლისა ჩემისა, რათა იხილოს დიდება იერუსალიმისა, ბჭენი იერუსალიმისა საპფირონისაგან და სამარაგდოსა აღეგენნეს, ფოლოცნი მისნი ქვისაგან მარმარილოსა მოფენილნი და მებოძირნი უგალობდენ ალილუიასა" *(მუხლ. 13, 20—22)*. ასე ლოცვა-კურთხევაში და იერუსალიმის აღდგენაზე ოცნებაში ამოხდა სული ღვთისნიერ ტობიას, ას ორი წლის სათნო ბერიკაცი, რომელსაც ჩიტმა დაასკინტლა და ორმოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში თვალთა სინათლე არა ჰქონდა, „და მესამოცესა წელსა შინა კვალად მოიღო". გარდაცვალების წინ შვიდივე შვილიშვილი მოიხმო და ისევ უქადაგა ნინევიის დაქცევა, იერუსალიმის დიდება, უსჯულოებისა აღსასრული, და უან-

დერძა: აჭ ნუ დარჩებით, ჩემი დასაფლავებისთანავე მეყსეულად განემზადეთ და წადითო სიმამრთან.

ტობია უმცროსმა ოთხმოცდაცხრამეტი წლისამ დახუჭა თვალი და იხილა „მეხუთე ტომი ძის ძეთა თვისთა“*.

ქრისტნელი
ბიბლიოთეკა

---

* ტობიას ამბავი ჩვეულებრივ ბიბლიის სამოძღვრებო საკითხავ წიგნებშია შეაქვთ. მართლაც, ეს იდილიური მოთხრობა მთელი თავისი შინაგანი სიწყნარითა და ჰარმონიით სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ბიბლიის ძირითადი ნაწილი, სადაც ყოველ გვერდზე სისხლის სუნი დგას. თვით ტობიას ხანგრძლივ სიბრმავესაც კი აქ რაღაც ირონიისა და სიმშვიდის იერი გადაჰკრავს, ყველა კეთილია და სათნო, ყველაფერი წყნარად იწყება და მშვიდად თავდება. დედააზრი კი მაინც იგივეა: რწმენის განმტკიცება, მორწმუნეთა ბეჩავად აცრემლება!

თავი ორმოცდამეორე

ივდითის გმირობა

ქრისტული ბიბლიოთეკა

რანაკლებ მომხიბლავია ივდითის წიგნი. ბარემ მოისმინეთ ეს პატარა ზღაპარიც.

ეს მოხდა ნაბუქოდონოსორის მეფობის მეთვრამეტე წელს. ახალბაბილონურ ანუ ქალდეველთა სამეფოს ამ ძლიერ მბრძანებელს, რომლის დროსაც ბაბილონმა ძლიერების ზენიტს მიაღწია, ბიბლია ასირიის მეფეს ეძახის. აი, ამ სახელგანთქმულმა მბრძანებელმა შეყარა არმია, „რომელთა არა იყო რიცხვი", „დაფარეს პირი ქვეყანისა, ვითარცა მკალთა" და მთავარსარდალ ოლომფრეს წინამძღოლობით დაძრა ქვეყნიერების შესამუსრავად. ამ არმიის ძირითად ბირთვს შეადგენდა 120 000 ფეხოსანი და 12 000 ცხენოსანი, აურაცხელი მხედარი, ეტლი და აქლემი დაიძრა სალაშქროდ. მრისხანე არმიამ „განვლო ევფრათი და მივიდა შუა მდინარეს შინა და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი დიდნი, ვიდრე მივიდა ზღვად... შემდგომად ამისა მოვიდა ველსა ზედა დამასკოსასა დღესა შინა მკისას და მოწვნა ყოველნი თესლნი" *(წიგნი ივდითისა, 2, 7—17)*.

მთელი ეს არმია თითქოს ქალაქ ბეთილუის შემოადგა. არც ერთ ისტორიკოსსა და გეოგრაფს არ სმენია სხვა წყაროებიდან ასეთი ქალაქის არსებობა, არც ოლომფრეა ისტორიული პიროვნება. მაგრამ ებრაელი ხალხის უბედურებას ეს არ ამსუბუქებს. ოლომფრემ გადაკეტა წყაროები და არხები, რომ მოწყურებულ ხალხს „ჯურღმულებიდანაც" ვერ აეღო წყალი. ოლომფრეს მოახსენეს, ამ ხალხს „მთანი შეეწევიანო", შუბზე არ დაესობიან, ისარი მათ არ ესობაო, ამიტომ ბრძოლასაც აარიდეს თავი, ჭებს მცველები მიუჩინეს და უბრძოლველად, წყურვილით განიზრახეს მათი დახოცვა. ადამიანები ქუჩებში ეცემოდნენ. მაშინ შეიყარა ხალხი ოსიასთან, დაუწყეს ყვედრება, შენ შეკარი ზავი წარმართებთან და ამისათვის მიგვცა ღმერთმა ურჯულოს ხელშიო. ხალხმა ასე განსაჯა: „და აწ შევიკრიბოთ ყოველნი, რომელნი ქალაქსა შინა არიან, რათა ნებით ყოველნი მივცნეთ ერთა ოლომფრესათა, რამეთუ უმჯობეს არს ჩვენდა, რათა ცოცხალ ვიყვნეთ ტყვეობასა შინა, მაქებელნი უფლისა ღვთისა, ვიდრე მოვსწყდეთ და ვიქმნნეთ საყვედრელ ყოველთა ერთა, ოდეს ვიხილნეთ ცოლნი ჩვენნი და ჩჩვილნი ჩვენნი მკვდარნი წინაშე თვალთა ჩვენთა... შენ, უფალო, ვინათგან მშვიდ ხარ, შეგვიწყალენ ჩვენ, ანუ შენითა სწავ-

ლითა შური აგე უსჯულოებასა ჩვენსა, და ნუ მიგვცემ აღმსარებელთა შენთა ერთა, რომელნი არა გიცნობენ შენ! რათა არა თქვან შორის წარმართთა, სადა არს ღმერთი მათი! და ოდეს ამათ ღაღადებათა და ამათ ტირილთა დაშვრენ, დასხდენ, დადუმდეს. და აღდგა ოზია, ცრემლითა სავსე და თქვა: დიდ ბრალ იქმენით, ძმანო, და კვალად ხელ-ყო დავიწყე დიდეთ"... *(თავი 7, 12—23).*

ღმერთი აყოვნებდა. მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა.

„და იყო, ოდეს ესმა ესე სიტყვა ივდითს, ქვრივსა, რომელი იყო ასული მერარისა (აქ ჩამოთვლილია ივდითის მთელი გენეალოგიური ნუსხა)... და ქმარი მისი იყო მანასე, რომელი მოკვდა დღეთა შინა მკისა ქრთილთასა... და მოვიდა ხორშაკი თავსა ზედა მისა და მოკვდა" *(თავ. 8, მუხლ. 2—3)*. აი, ამ მზის დაკვრისაგან გარდაცვლილი მშრომელი ებრაელის პირმშვენიერმა ქვრივმა განიზრახა სამშობლოს გადარჩენა განსაცდელისაგან. ამისათვის ჩაიცვა თავისი საუკეთესო კაბა, გამოეწყო, წაისვა ზიზილ-პიპილები და მხევლის თანხლებით მტრის ბანაკისაკენ გაემართა, თან წაიღო ღვინო, ზეთი, ხალი, ლეღვი, პური და ყველი. გზაში ასურასტანელმა გუშაგებმა შეიპყრეს და ჰკითხეს, ვინა ხარ და საით მიდიხარო? ივდითი ამას ელოდა, არ დაბნეულა: ებრაელი ქალი ვარ, გამოვიპარე, ოლომფრესთან მივდივარ, რომ მთელი ჩვენი საიდუმლო გავანდო, რადგან „გულისხმა ვყავ, რამეთუ მოგეცნეს თქვენ ტყვეობასა შინა". გუშაგებმა შეხედეს ამ მშვენიერ ქალს, რომელიც თავის განწირულ ხალხს განდგომოდა, „უჭვრეტდეს პირსა ზედა მისსა და იყო წინაშე თვალთა მათთა საკვირველ, ვინათგან შვენიერებასა მისსა განჰკვირდეს ფრიად. და ეტყოდეს: დაგიცავს ცხოვრება შენი, ამისთვის, რამეთუ ესევითარი გიპოვნიეს განზრახვა, რათა მიხვიდე უფლისა მიმართ ჩვენისა... და იქმნე უსაყვარლესი გულსა შინა მისსა" *(თავ. 10, მუხლ. 11—16)*. მართლაც, როგორც კი შევიდა „გენერალთან", „მეყსეულად მოიწყლა ოლომფრე „ხილვითა" და შესძახა: „ვინ შეურაცხ ჰყოფთ ერთა ებრაელთა, რომელთა ესე ვითარი შვენიერი დედა-კაცნი ჰყავთ?"

დიდებულ სარეცელზე იწვა ოლომფრე, პორფირით, ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოჭარგულ ფარდაგის უკან, და მშვენიერ სტუმარს შესცქეროდა. ქალმა მიწამდე თაყვანი სცა, მონებმა სარდლის ბრძანებით ააყენეს. შემდეგ გაიმართა დიალოგი. გენერალმა მოსვლის მიზანი ჰკითხა, მაგრამ ქალებმა იციან საიდუმლოს შენახვა, სიტყვა მოუქცია: შენი სიბრძნის ამბავი მსმენია, „კეთილ და ძლიერ ხარ" თურმე და „მომავლინა მე შენთან უფალმან მოთხრობად, რამეთუ მე მხევალი შენი ვმსახურებ უფალსა ღმერთსა და აწ მყოფი წინაშე შენსა და რათა განვიდეს მხევალი შენი და ევედროს უფალსა ღმერთსა... რამეთუ მეცა შევიდე შენ თანა იერუსალიმსა, რომელსა არა არს მწყემსი და არა ჰყეფდეს არცა ერთი ძაღლი...

რამეთუ განრისხნა მათ ზედა უფალი ღმერთი მათი, ამისთვის მოვლინებულ ვარ მოთხრობად წინაშე შენსა... და სახელი შენი იდიდის უცხოელსა ქვეყანასა“ (თავ. 11).

ამ ეშმაკურ სიტყვაში ერთი რამ მართალია: გმირ ქალის — ჯუდითის წყალობით ამ ოლომფრეს სახელი მართლაც „იდიდა უცხოელსა ქვეყანასა“*.

ივდითმა ოლომფრეს სასმელ-საჭმელი დაუდგა და სთხოვა, მიირთვი, ვიდრე საწადელს ეწევიო. ოლომფრემაც მიიწვია ქალი სუფრაზე, მაგრამ ორაზროვანი უარი მიიღო: „ცხოველ არს სული შენი, უფალო ჩემო, რამეთუ არა ვჭამო ყოველი ესე მხევალმან შენმან, ვიდრემდის ქმნას უფალმან ღმერთმან ხელითა ჩემითა ესე, რომელი განვიზრახე“. მერე ღამის სამყოფელში შეიყვანეს. ივდითმა სრული თავისუფლება ითხოვა, რომ ღამე გარეთ სალოცავად გასვლა შესძლებოდა. ოლოფერნი იმდენად რეგვენი აღმოჩნდა, რომ ყველაფრის ნება მისცა. „და იხარებდა ოლომფრე მისთვის და სვა ღვინო მრავალი ფრიად, რაოდენ არაოდეს ესვა ცხოვრებასა შინა თვისსა“ (თავი 12, 20). მოკლედ, ეს რეგვენი ღვინოს დაასკდა, იმის ნაცვლად, რომ მზეთუნახავის ტუჩებს დაკვდომოდა, მერე კი საწოლზე გაიშხლართა და ხვრინვა ამოუშვა**.

ივდითი ლოცულობდა: „განმაძლიერე მე, უფალო ღმერთო ისრაელისაო“, მერე მივიდა სვეტთან, რომელიც ოლოფერნის სარეცლის თავთან იყო, „და მახვილი მისი, რომელი მას ზედა შეკრული მოკიდებულ იყო, იხადა, უპყრნა თმანი თავისა მისისანი... დასცა ორგზის ქედსა ზედა მისსა და მოჰკვეთა თავი მისი და აღიღო კრეტსაბმელი (კარის ფარდა) და შეხვია მძორი მისი უთავო“.

ამრიგად, ნაბუქოდონოსორის სარდალი უთავოდ დარჩა, არმია კი — უსარდლოდ, თუმცა ვერც აქამდე დაიტრაბახებდა ოლომფრე, თავი მებაო, და არც არმიას შეეძლო ქადილი, დიდი ბედენა სარდალი მყავსო.

ივდითი ფრთხილად გამოვიდა გარეთ, ოლომფრეს თავი მხევალს მიაჩეჩა სამოსელში ჩადევრო (ზოგი ცნობით — სანოვაგის აბგაშიო), და ფრთხილად მიატოვეს მტრის ბანაკი. აბა ვინ იტყვის ამის შემდეგ, სიყვარული ადამიანს თავს არ აკარგვინებსო?

ორივე ქალი მშვიდობით დაბრუნდა ქალაქში. მეორე დღეს ქალაქ ბეთილუის ზღუდეზე ნაბუქოდონოსორის მთავარსარდლის თავი გამოჩნდა. ოლომფრეს სახე ჩამოსტიროდა. ბიბლიის თანახმად, მოკვეთილი სარდლის თავის დანახვაზე მთელი ეს ასოცდათორმეტიათასიანი არმია თავქუდმოგ-

---

* ამ საყოველთაო დიდებაში ეუნარეს ყოვლისა ევულისხმობთ კორეონეს უკვდავ ტილოს: ივდითი.

** თუ სესხებისა და მიბაძვის პრინციპს გავყვებით, ეს ოლოფერნი რამდენადმე მოგვაგონებს ციკლოპს, რომელიც ოდისევსმა დაათრო და გააბრიყვა.

ლეჯილი გაიქცა. არავის არ უფიქრია, რომ მთავარია არმია, და შეიძლება მის სათავეში სხვა ვინმე დააყენონ*.

აი ამ ამბავთან დაკავშირებით ვოლტერის კომენტარები: „გეოგრაფს ძალიან გაუჭირდებოდა ამ ბეთილეის მოთავსება რომელიმე რუკაზე. ერთნი ამბობენ, ორმოცი მილის დაშორებით მდებარეობსო იერუსალიმიდან ჩრდილოეთით, სხვები იერუსალიმის სამხრეთში ათავსებენ. რამდენიმე მილის დაშორებით. მაგრამ ყოველი წესიერი ქალი უფრო შეიძლება მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, მშვენიერი ივდითის საქციელის გამართლება რომ დაევალებინათ. არმიის სარდალთან დასაძინებლად წასვლა იმ მიზნით, რომ თავი მოჰკვეთოო, — ეს, ბოლოს და ბოლოს, რა ისეთი თავდაჭერაა! მაგრამ ეს გასისხლიანებული თავი რომ შენივე გასისხლიანებული ხელებით ტომარაში ჩადო და ასიათასიანი არმიის მთელი განლაგება ისე გაიარო, არც ერთმა გუშაგმა არ შეგაჩეროს, — ეს უკვე უბრალო ამბავი არ არის“.

მაგრამ ამაზე უფრო ძნელია ასეთი საგმირო საქმის შემდეგ ქალმა თავისი განსვენებული ქმრის სახლში დამშვიდებით იცხოვროს კიდევ ას ხუთი წელი, როგორც 16 თავშია ნათქვამი. ივდითის ასაკი საკმაოდ დიდი დავის საგანია. ჩვენი ნაცნობი ბენედიქტინელი კალმეტი თავისი კალმით ამტკიცებს, რომ სახელოვანი გმირობის მოხდენის დროს ივდითი სამოცდახუთი წლისა იყო. რა ზედგამოჭრილი ასაკია იმისათვის, რომ ადამიანებს თავბრუ დაახვიო და თავები წააჭრა! მაგრამ ბიბლია აქვე ასალი სიძნელის მორევში გვიკრავს თავს. არავის არ დაურღვევიაო ისრაელთა სიმშვიდე ივდითის დროს და არც მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე ხნის განმავლობაში: „ხოლო ყოველსა შინა დღეთა ცხოვრებისა მისისასა არა იყო შემაძრწუნებელი ერთა ისრაილთა და შემდგომად სიკვდილისა მისისა წელსა მრავალსა“ (მუხლ. 25, 30)**. მისი სახელობის დღესაც ამიტომ დღესასწაულობენ „იუდიანთაგანნი მის ჟამისაგან ვიდრე დღემდე“. ეს ტექსტი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რა თვითდაჯერებული რიხით დასცინიან გულუბრყვილო მორწმუნეებს ბიბლიის შთამაგონებელნი. თუ ვერწმუნებით ბენედიქტინელ ბერს კალმეტსა და სხვა ღვთისმეტყველებს, რომ ივდითი მაშინ 65 წლისა იყო (ბიბლიაში ეს არსად არაა ნათქვამი!), მის საგმირო საქმესა და სიკვდილს შორის სრული ორმოცი წელი შუალედი რჩება. მართალია, ივდითს ხალხი ზეიმით შეხვდა, მას ადიდებდნენ, გამარჯვებას სამ თვეს დღესასწაულობდნენ, მაგრამ ამისათვის სიმართლეს არ ეღალატება. თუ დავუბრუნდებით მეფეთა მეოთხე წიგნს (იუდეველთა

---

* ტაჯსილი დეტალებს ტოვებს: ებრაელთა სარდლობას ივდითმა ასწავლა: სარდლის თავი გამოჰკიდეთ, მერე იერიშზე გადაწით, გაქცეული მტერი კარავში სარდლის ტანს ნახავს, შეძრწუნებული გაიქცევაო...

** ქართულ დაბადებაში აქაც ხშირია რიცხვთა (მუხლთა) სათვალავის სხვაობა. ივდიტის წიგნის ეს ბოლო 30 მუხლიც ზოგ ტექსტში 25 მუხლია.

უკანასკნელი მეფეებისადმი მიძღვნილ თავებს) და წავიკითხავთ ასურ-ბაბილონურ სამეფოს ისტორიას, მაშინ ივდითის ამბავი გაშიშვლებულ ზღაპრად გამოჩნდება.

ბაბილონის სამეფოს ქალდეური დინასტიის დამფუძნებელი — მეფის ნაბოპალასარის (მეფობდა 626—604 წლებში ძვ. წ. ა.) — შესახებაც ავიდა მისი შვილი, რომელსაც მეფეთა შორის ყველაზე გრძელი სახელი აქვს: ნებუკადნეცარ-ნაბუკუდურუსსურ-ნაბუქოდონოსორი (როგორც ბიბლია ეძახის, მეფობდა 604—562 წლებში). ამ უკანასკნელმა დაამარცხა ფარაონი ნექო, რომელსაც შეეტაკა ევფრატის ზემო წელზე, კარხემიშის სახელგანთქმულ ბრძოლაში. სწორედ ამ დროს მოახდინა ნაბუქოდონოსორმა იუდეველებზე თავდასხმა, რათა დაესაჯა მეფე იოაკიმი, იოსიას შვილი, რომელიც ბაბილონის მეფეს ებრძოდა, როგორც ფარაონ ნექოს მოკავშირე. 597 წელს ბაბილონის ჯარებმა იერუსალიმი აიღეს. მოსახლეობის ნაწილი ნამდვილად წაასხეს ტყვედ ბაბილონში (ყველაფერში რომ ტყუის ბიბლია!). ეს იყო სამოცდაათწლიანი „ბაბილონის ტყვეობის“ დასაწყისი. იუდეის სამეფო ჯერ კიდევ დაბოუკიდებელი რჩებოდა, მაგრამ დიდხანს კი ვეღარ გაძლო. მას შემდეგ, რაც დავითისა და სოლომონის მემკვიდრეები სამოქალაქო ომში ჩაებნენ, სამეფო ორად გაიყო, იუდეას რობოამი ჩაუდგა სათავეში და ათ ჩრდილოელ ტომს კი — ისრაელის სამეფოს — იერობოამი — ადრე თუ გვიან ასე უნდა მომხდარიყო. ახლა ფარაონისა და ბაბილონელთა ლაშქრობამ ორივე სამეფო საბოლოოდ დასცა და დააკნინა.

ნაბუქოდონოსორის პირველი შეჭრის ამბავი იუდეაში არანაირად არ ეწყობა იმას, რასაც ამავე საგანზე ივდითის წიგნი გვიამბობს. თუ ოლოფერნის თავის მოჭრა ამ ლაშქრობის დროს მოხდა, არავითარი ეჭვი არ არის, რომ ნაბუქოდონოსორი იუდეაში ქვას ქვაზე არ დატოვებდა და თავისი „გენერლის“ სისხლს არავის შეარჩენდა. ეს მოხდებოდა ამ პირველსავე ლაშქრობაში.

ვერ მივაკუთვნებთ ამ ამბავს ვერც მეორე შემოსევას, რადგან ამ დროს იუდეა ბაბილონის უღელქვეშ ისე იტანჯებოდა, როგორც არასოდეს. 588 წელს (ეს უკვე ზღაპარი აღარაა) ფარაონმა უახ-აბ-რამ (აფრიმ) სირიელებს რამდენიმე დამარცხება აგება და იუდეის მეფე ხიზკია (სედეკია) წააქეზა, შენც გადააგდეო ბაბილონის უღელი. მაგრამ ნაბუქოდონოსორმა სირიაში აფრი დაამარცხა. თავისი ძლევამოსილი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ ნაბუქოდონოსორმა ისევ ალყაში მოაქცია იერუსალიმი. ივდითის გამარჯვება, ცხადია, არც ამ დროს მომხდარა, რადგან ახლაც ისრაელის მტრებმა გაიმარჯვეს. ალყა დასრულდა იერუსალიმის აღებით და იუდეველთა სამეფოს სრული დამხობით. ბაბილონელთა ჯარები დავითის ქალაქში შევიდნენ 586 წლის 9 ივლისს ღამით. ტაძარი

და სასახლე დააქციეს, რაც, ცხადია, მორიგი ბარბაროსობა იყო, საზოგადოებრივი შენობები, კერძო სახლები დაწვეს, სიმაგრეები ნაგრეხთა გროვად აქციეს. მთელი სამეფო ოჯახი გაწყვიტეს და ქუდის დამბურავი მოსპეს, მეფე სედეკიას გამოკლებით, რომელსაც თვალები დასთხარეს, მერე კი ბაბილონში გარეკილ ტყვეებს გააყოლეს.

ნაბუქოდონოსორს არასოდეს არ შეუწყვეტია ებრაელთა ჩაგვრა დამ მათი რისხვა იყო. მის არმიებს არაერთხელ გაუვლიათ პალესტინა, ყოველთვის იმარჯვებდნენ, თვითონ სარდლობდა თუ მისი ხელქვეითები, სულერთია, ეს არმია უძლეველი იყო. ამას არც ბიბლიური მეფეთა წიგნები უარყოფენ. ორი ნაბუქოდონოსორი არ არსებობდა*. მაშასადამე, რაკი ივდითს ამ მეფის ერთ-ერთი სარდლის მოკვლა მიეწერება, გამოდის, რომ ივდითის წიგნი პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე ღვთისმეტყველთა მოგონილია.

---

* ეს მტკიცება ლოკალური ხასიათისაა. დაახლოებით 1150 წელს ძვ. წ. ბაბილონს განაგებდა ნაბუქოდონოსორ I, რომელიც წარუმატებლად ებრძოდა ასურელებს, წარმატებით — ელამიტებს. დიდმა ნაბუქოდონოსორ II კი ხუთნახევარი საუკუნით გვიან დაიწყო მეფობა (605) და მის დროს, ცხადია, სხვა ნაბუქოდონოსორი არ ყოფილა. ამ ძლევამოსილ მეფეს (საკ. ნაბუკუდურ-უსურ: „დაიცავი გვირგვინი") ქვეყნის გაძლიერება და ბაბილონის დაშვენება ჰქონდა მიზნად. სასტიკი დესპოტის, „ღვთის რისხვის" სახელი მას დაუგდო ბიბლიამ, რადგან ებრაელთა მეფეებს და ამ ხალხს მართლაც სასტიკად ექცეოდა ფარაონთან კავშირის გამო.

წინასწარმეტყველი დანიელი და მისი წმინდა მემუარები

წინასწარმეტყველთა — ესაიას, იერემიას, იეზეკილის, დანიელის, იოველის, მიქიას, ანგიას, ზაქარიას, მალაქიას და სხვათა წიგნები ჩვენი გამოკვლევისათვის არავითარ ინტერესს არ შეიცავენ. ესაა მოთხრობები მოვლენებზე, რომლებიც თითქოს ამ წინასწარმეტყველური სიტყვების შემდეგ მომხდარა, სინამდვილეში კი ეს ზღაპარი თუ სინამდვილე ან წარსულია, ან ავტორთა თანამედროვე ამბების აღწერილობა. რაც შეეხება წინასწარმეტყველებებს, მეტისმეტად ბუნდოვანი და გაურკვეველი შრომებია. ეს გარემოება იძლევა საშუალებას, რომ ყველაფერი აიხსნას სურვილის მიხედვით, ვის რა მიზნით რაც სურს, ის ამტკიცოს, რა მოვლენაც უნდა, იმას მიუსადაგოს. მათზე არც შევჩერდებით. ეს იგივე იქნებოდა, რომ ჩვენცა და მკითხველსაც დრო უქმად გვეფლანგა.

აქ დავემშვიდობებით ჩვენს ადრინდელ სისტემას, ბიბლიის შინაარსს რომ მოვყვებოდით და თანმიმდევრობით ვიხილავდით მის ყოველ ამბავს. ჩვენი შრომის დარჩენილ ნაწილში დავაჯგუფებთ ებრაელი ხალხის ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს, რომლებიც შეადგენენ ამ ისტორიის დოგმატიკურ ნაწილს და შეიცავენ მოვლენებს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის ეკლესიის დანგრევიდან იესო ქრისტემდე. ამრიგად, მკითხველს შევთავაზებთ რელიგიის მსახურთაგან აღიარებულ, გულმოდგინედ შერჩეულ, ყველაზე უფრო საინტერესო ეპიზოდებს, დაწყებულს დანიელიდან, რომელიც ნაბუქოდონოსორის ეპოქაში ცხოვრობდა.

დანიელის წიგნი იწყება თხრობით იმის შესახებ, როგორ აღზარდა ნაბუქოდონოსორმა ბაბილონში თავის საჭურისთა და მსახურთა შორის ოთხი ებრაელი ყმაწვილი, წარჩინებული ჩამომავლობისანი, თვალადნი და ტანადნი, „შვენიერნი ხილვითა, გულისხმიერნი ყოველსა შინა სიბრძნესა“, და ქალდეველთა ენაც კი ასწავლა მათ. ასთენაქმა, საჭურისთა უფროსმა, თავის თანაშემწეს ამელსარს ჩააბარა ეს ოთხი რჩეული, ბრძენი და ზრდილი ყმაწვილი — დანიელი, ანანია, აზარია და მისაილი, რომელთაც სახელები გამოუცვალეს და უწოდეს ბალთაზარი, სედრაქი, მისაქი და ავდენაქი (აბედნაქო). სიმართლე რომ ითქვას, ამ ყმაწვილთა

სწავლის საქმე კარგად მიდიოდა, ასე რომ თვით ნაბუქოდონოსორმა აღნარა, მთელი ჩემი სამეფოს ყველა ბრძენსა და ვარსკვლავთმრიცხველს ათჯერ აღემატებიანო ჭკუითა და ცოდნით.

ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად — ერთ მშვენიერ ღამეს, ნაბუქოდონოსორმა ისეთი საკვირველი სიზმარი ნახა, რომ [illegible] დეგაც გონებაში ჩარჩა. ყველა ქალდეველი ბრძენი დაიბარა და უბრძანა, გამოეცანით, რა მესიზმრა და რას ნიშნავს ჩემი სიზმარიო. ბრძენთა პასუხი ბრძნული იყო: ამოცანის პირველი ნაწილის გადაწყვეტა შეუძლებელია, მაგრამ თუ მეფე გვეტყვის, რა ნახა სიზმრად, მაშინ ამის გამოცნობაზე, ე. ი. ახსნაზე იოლი არაფერიაო. ნაბუქოდონოსორი გაშმაგდა, ბრძენთა წამება ბრძანა. ამ ეგზეკუციის დროს, როდესაც ის ოთხი ახალგაზრდა ებრაელიც უნდა დაღუპულიყო, მიუხედავად იმისა, რომ მეფეს სიზმრის ამხსნელებად არ მოუწვევია, წოულოდნელად დანიელმა განაცხადა, მზად ვარ შევახსენო მეფეს თავისი სიზმარი და შეუცდომლად ავხსნა კიდევაც. მოგვთა და მეწამლეთა შორის ნამდვილი ვარსკვლავი ამობრწყინდა. თურმე ეს სიზმარი არ ყოფილა „ბრძენთა მოგვთა მსახრვალთა ზაღარინელთა მითხრობად მეფისა“, „არამედ არს ღმერთი ცისა შორის გამომაცხადებელი საიდუმლოისა, და აუწყნა მეფესა ნაბუქოდონოსორს, რომელნი ჯერ არიან ქმნად უკანასკნელთა დღეთასა: ძილის შორისი შენი, და ხილვა თავისა შენისა საწოლსა ზედა შენსა ესე არს, მეფე. გულის ზრახვანი შენნი საწოლსა შენსა ზედა აღვიდეს, რაი ჯერ არს ქმნად ამათსა შემდგომად...“ მოკლედ რომ ვთქვათ, დანიელმა მეფეს აუხსნა: შენ ნახე დიდი ქანდაკება ოქროსთავიანი, ვერცხლისმკერდიანი და ვერცხლისხელებიანი, სპილენძის მუცელ-ბარძაყებიანი და ნახევრად რკინის, ნახევრად თიხის ფეხებიანი. მახლობელი კლდიდან კენჭი დაგორდა, ქანდაკებას ფეხებში მოხვდა და მოამსხვრია, ქანდაკება ძირს დაეცა, კენჭი კი გაიზარდა, იქცა მთად, მთელი დედამიწა დაფარაო.

ახლა დაიწყო სიზმრის ახსნა: ოქროს თავი — ეს პირადად მისი უდიდებულესობა ნაბუქოდონოსორია. მისი დაცემის შემდეგ აღიმართება ვერცხლის სამეფო, უფრო პატარა. მას მოჰყვება მესამე სამეფო, სპილენძისა. მეოთხე რიგში ჩამოდგება უზარმაზარი სამეფო, ნახევრად რკინის, ნახევრად თიხისა, ე. ი. ნაწილობრივ ძლიერი, ნაწილობრივ სუსტი. მაშინ ღმერთი დაძრავს მეხუთე სამეფოს, რაც ყველაფერ დანარჩენს სძლევს, მოსპობს და დაამხობს. ეს მეხუთე სამეფო დარჩება საუკუნოდ.

ასეთი სიბრძნით სრულიად რეტდასხმული ნაბუქოდონოსორი ახალგაზრდა დანიელის ფერხთით დაემხო, საჩუქრებით აავსო და ბაბილონის ერთ-ერთი პროვინციის გამგებლად დანიშნა. ბიბლია გვარწმუნებს, ასე იყოო, თუმცა არქეოლოგებმა მსგავსი ვერაფერი ნახეს ასირიულ წარწერებში.

გავიდა ხანი და ნაბუქოდონოსორმა გაშლილ ველზე, ბაბილონის პროვინცია დეირეს მიწაზე ოქროს ქანდაკება აღმართა, სამოცი წყრთის სიმაღლისა და ექვსის სიგანისა. მისი კურთხევის დღეს მოიწვია ყველა თავისი სატრაპი, მამასახლისი, სარდალი, მმართველი და ა. შ. ქანდაკების შორიახლო უზარმაზარი ღუმელი დაადგმევინა, შიგ ცეცხლი დვიოდა. მალემსრბოლმა მეფის სახელით გამოაცხადა: ვინც ქანდაკების წინაშე პირქვე არ დაემხობა, ამ ღუმელში გადაისვრიანო. ანანიამ, აზარიამ და მისაილმა არ ისურვეს მუხლის მოყრა. გაშმაგებულმა ნაბუქოდონოსორმა რისხვის ბუქი დააყენა, ღუმელში ჩვეულებრივზე შვიდჯერ მეტი შეშა ჩაყარეთ, კადნიერ ჭაბუკებს ხელ-ფეხი შეუკარით და ღუმელში გადაუძახეთო.

მაგრამ ღუმელი ისე იყო გავარვარებული, რომ ვიდრე აღმსრულებელნი თავისუფლად მოაზროვნეებს შიგ ჩაყრიდნენ, თვითონ დაიწვნენ; ნაბუქოდონოსორმა ღუმელში ჩაიხედა და განცვიფრებული დარჩა: მოგიზგიზე ცეცხლში არხეინად დადიოდა არა სამი, არამედ ოთხი კაცი. არავითარ ზიანს არ აყენებდა მათ ცეცხლის სიმხურვალე. ნაბუქოდონოსორმა ანანიას, აზარიას და მისაილს უბრძანა, გამოდითო ღუმელიდან. ჭაბუკები ასედაც მოიქცნენ. („და არ შეეხო მათ ყოვლითურთ ცეცხლი მათდა, და არ შეაწუხნა იგინი... და გამოვიდეს სედრაქ, მისაქ, აბედნაქო საშუალისაგან ცეცხლისა და შემოკრბებიან სატრაპესნი და სპის მყვანნი და ადგილის მთავარნი, და ძლიერნი მეფისანი და ჰხედვიდეს მამაკაცთა მათ, რამეთუ ვერ ეუფლა ცეცხლი სხეულთა მათ". მაშინ ნაბუქოდონოსორმა დაუყოვნებლივ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც ებრაელთა ღმერთის მგმობელი საშინელ სასჯელს ვერ ასცდებოდა: „მე დავსდებ რწმენასა, რათა ყოველმან ერმან, ტომმან, ენამან, რომელმან უკეთუ თქვას გმობა ძვინად* ღვთისა სედრაქ, მისაქ და აბედნაქოსსა, წარსაწყმედელად იყოს და სახლნი მათნი დასატაცებელად, ვინათგან არა ვინ არს ღმერთი სხვა, რომელიმცა შემძლებელ იყოს ხსნად ესრეთ" *(დან., 3, 96)*.

მეოთხე თავი — გონებრივი სიჩლუნგის შედევრია. მღვდელები მოგვითხრობენ, რომ ნაბუქოდონოსორი ამპარტავნობისათვის დადაბლდა, ცხოველად იქცა და შვიდი წელიწადი ნადირის ტყავს ატარებდა. დანიელი აქ კალამს მეფეს უთმობს და ნაბუქოდონოსორი თვითონვე მოგვითხრობს, რაც შეემთხვა: „მე, ნაბუქოდონოსორ, წარმართებით ვიყავ სახლსა შორის ჩემსა და კეთილ მყავან საყდარსა ზედა ჩემსა ძილის შორის ვიხილე და შემაშინა მე და შევშფოთენ საწოლსა ზედა ჩემსა და ხილვათა თავისა ჩემისათა აღმაშფოთეს მე" *(დან. 4, 1—2)*.

მეფე განაგრძობს უჩვეულოდ სულელური სიზმრის მოყოლას. ერთხელ თურმე თავისი სასახლიდან განდევნეს და ადამიანებმა შეიძულეს,

---

* ძვინად — „მისთვის საროსხველად" (საბა). ძვინი — ჯავრი.

რის გამოც იძულებული გახდა თავშესაფარი ველზე ეპოვნა. იქ ბალახსა
სძოვდა და მთელი შვიდი წლის განმავლობაში სხვა საჭმელი არ უნახავს.
ტანი ლომის ტყავით შეემოსა, არწივის ფრთები გამოესხა, მტაცებელი
ფრინველის ბრჭყალებად ექცა ფრჩხილები. მეშვიდე წლის ბოლოს „სიტყ-
ვა შესრულდა ნაბუქოდონოსორის ზედა და კაცთაგან განიდევნა და თივასა
ვითარცა ზროხა ჭამდა, და ცვარისაგან ცისა სხეული მისი შეიღებოდა,
და თმანი მისნი ვითარცა ლომთანი განდიდნეს, და ფრჩხილნი მისნი, ვი-
თარცა მფრინველთანი. შემდგომად დღეთასა მე, ნაბუქოდონოსორ, თვალ-
ნი ჩემნი ცად მიმართ აღვიხვენ და გრძნობანი ჩემნი მოიქცეს ჩემდამო,
და მაღალი ვაკურთხე და მცხოვნი საუკუნოდ ვაქე და ვადიდე... მას ჟამსა
გრძნობანი ჩემნი მოიქცეს ჩემდამო და პატივად მეფობისა ჩემისა მოვედ
და შესახედავი ჩემი მოიქცა ჩემ ზედა, და მძლავრნი ჩემნი, და დიდე-
ბულნი ჩემნი მეძიებდეს მე, და მეფობასა ჩემსა ზედა განვმტკიცენ, და
სიდიდე უმეტესი მომემატა. აწ მე ნაბუქოდონოსორ ვადიდებ მეფესა ცი-
სასა, რამეთუ ყოველნი საქმენი მისნი ჭეშმარიტებ, და ალაგნი მისნი
მსჯავრ, და ყოველთა მავალთა ამპარტავნებით შემძლებელ არს დამდაბ-
ლებად“ (დან., 4, 31—35).

ძალიან საწყენია, რომ ნაბუქოდონოსორი არ გვიმხელს, ვინ მეფობ-
და მის მაგიერ ამ შვიდი წლის განმავლობაში, როცა თვითონ პირუტყვი
იყო და მინდვრის ბალახს ძოვდა. რასაკვირველია, მეცნიერებისათვის სრუ-
ლიად უცნობია ნაბოპალასარის ეს „დაცემა“ და შვიდი წლის შემდეგ
მისი ტახტზე დაბრუნების ფაქტი.

მეხუთე თავში დანიელი მოგვითხრობს არაჩვეულებრივ თავგადა-
სავალს, რაც ბალთაზარის ნადიმის სახელითაა ცნობილი. ავტორი რამდე-
ნიმეჯერ აცხადებს, ეს ბალთაზარი ნაბუქოდონოსორის შვილი იყოო*. ამ
რიგად, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ბალთაზარმა „უქმნა სერი დიდი დიდე-
ბულთა მისთა მამრთა ათასთა“ (მუხლ. 1). ნადიმის დასასრულ თავში
ასეთი ფანტაზია მოუვიდა: იმ წმინდა სასმისებით შევსვათ, მამაჩემმა რომ
ჩამოიტანა იერუსალიმიდანო: „ბრძანა შემოხვმად ჭურჭელთა ოქროსა და
ვეცხლისათა, რომელნი გამოიღო ნაბუქოდონოსორმან მამამან მისმან ტაძ-
რისაგან იერუსალიმისა, და სვმიდეს მათ მიერ მეფე და დიდებულნი მისნი
და თანამწოლნი მისნი და ხარჭნი მისნი და მოიღეს ჭურჭელნი ოქროსანი
და ვეცხლისანი, რომელი გამოღებულ იყო ტაძრისაგან ღვთისა, რომელი
იყო იერუსალიმს და სვეს მეფეთა და დიდებულთა მისთა და ხარჭთა მათ-
თა და თანა მწოლთა მათთა და სვმიდეს ღვინოსა და აქებდეს ღმერთთა
ოქროსათა და ვეცხლისათა, და რვალისათა და რკინისათა, და ძელისათა
და ქვისათა. მას ჟამსა შინა გამოვიდეს თითნი ხელისა კაცისასანი, და წერ-

* სინამდვილეში ბალთაზარი (გერ. ბელზაცარ, ბაბილ. „ბელ-შარ-უსურ“:
ღმერთო (ბააკო), შეეწიე მეფეს!) იყო ნაბუნაიდის შვილი.

დეს პირის პირ ლამპრისა, საგოზელსა ზედა კედლისასა სახლსა მეფისასა და მეფე ხედვიდა თითთა მათ ხელისა მწერლისასა. მაშინ შესახედავი მეფისა შეიცვალა, და გულის ზრახვანი მისნი აღშფოთებულ იქმნეს, და სანაწევრონი წელთა მისთანი ყოვლითურთ დაიხსნებოდეს და მუხლნი მისნი ერეკებოდეს. და ღაღადყო მეფემან ძლიერად შეყვანება — მოგვთა ქალდეველთა ღაზარინელთა, მიუგო მეფემან და ჰრქვა ბრძენთა ბაბილონისათა, ვითარმედ ყოველმან კაცმან, რომელმან წარიკითხოს ნაწერი ესე, და თან შეტყუება მისი მაუწყოს მე, პორფირი შეიმოსოს და მანიაკი ოქროსაი ქედსა ზედა მისსა და მესამედ მთავრობდეს მეფობასა შორის ჩემსა. და შევიდოდეს ყოველნი ბრძენნი მეფისანი და ვერ შეუძლებდეს წარკითხვასა ნაწერისასა... და მეფე ვალტასარ აღშოფთნა, და დიდებულნი მისნი შეშფოთნებოდეს" *(დან., 5, 2—9)*.

ვერავინ შესძლო უჩინარის ხელით კედელზე წარწერილის წაკითხვა. ბედზე დედოფალს დანიელი მოაგონდა. გამოცხადდა წინასწარმეტყველი და თვალიც არ დაახამხამა, ისე ამოიკითხა: „მენე, მენე, ტეკელ, ფარეს" (უფარსინ). შემდეგ იქ მყოფთ ეს სიტყვები უთარგმნა, ისე რომ არ უთქვამს, რა ენაზე იყო წარწერა. „და ესე თან შეტყვება სიტყვისა: მენე* — განზომა ღმერთმან მეფობა შენი, და აღავსო იგი. თეკელ —აღწონა უღლითა და იპოვა მოკლებულად. ფარეს — განიწვალა მეფობა შენი და მიეცა მიდთა და სპარსთა" *(დან., 5, 26—28)*.

ბალთაზარმა დაუჯერა და როგორც პატიოსანმა კაცმა, რომელიც სიტყვას არ გატეხს, იქვე ბრძანა შეემოსათ დანიელი პორფირით, დაეკიდათ ოქროს ძეწკვი (მანიაკი) და დაენიშნათ მისი სამეფოს მესამედის მმართველად (მთავრად). თავის დასასრულს ასეთი მუხლებია: „ამას ღამესა შინა მოიკლა ვალტასარ მეფე ქალდეველი და დარიოს მიდმან მიიღო მეფობა მყოფმან წელთა სამეოცდა ორთად" *(მუხლ. 30—31)*.

ცნობილია, რა წარმატება ჰქონდა ამ ლეგენდას — ბალთაზარის ნადიმს. მისი პოეტური სიუჟეტი მართლაც მიმზიდველ მასალას აძლევს მწერლებსა და მხატვრებს, რომელთაც ამ თემაზე მრავალი შედევრი შეუქმნიათ**. მერე რამდენი კეთილი ადამიანი ფიქრობს, რომ ოდესღაც ეს ნადიმი ნამდვილად ყოფილა! მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს მეცნიერება, რასაც ისტორია ეწოდება და რაც სრულიად უდავოდ უარყოფს ბიბლიური თქმულებების ასეთ გულუბრყვილო ახსნას.

ჯერ ერთი, ბაბილონის მეფეთა შორის არავითარი ბალთაზარი არ ყოფილა ცნობილი. ნაბუქოდონოსორი გარდაიცვალა 562 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ტახტზე დატოვა შვილი ებილმეროდაქი, რომელმაც იმეფა 562 წლიდან 556 წლამდე. ამის გარდა დარჩა ასული, რომელიც

---

* ქართულ დაბადებაში არასწორადაა „მაკი", უნდა იყოს „მენე".

** ჰენდელის ორატორიუმი, ჰაინეს ბალადა და სხვ.

ცოლად ჰყავდა მერგალსარასარს (ნერიგლისორს). ამ უკანასკნელმა მოკლა თავისი ცოლისძმა, ძალით ჩაიგდო ხელში ტახტი და თვითონაც გარდაიცვალა ერთი წლის შემდეგ, 555 წ. ძველი წელთაღრიცხვით, — სპარსეთის მეფე კიროსთან ბრძოლაში დაიღუპა. მაგრამ გვირგვინი ისევ ნაბუქოდონოსორის ოჯახში დარჩა, ებილმეროდაქის შვილს ხელში გადავიდა, რომელმაც სულ რამდენიმე თვე იმეფა. ტახტზე ავიდა ნაბონიდი, ნაბუქოდონოსორის უმცროსი ძმის შვილი, ეს იყო ნაბოპალასარის დინასტიის უკანასკნელი მეფე, რომელიც ბაბილონს განაგებდა 555 —538 წლებს შორის ძვ. წ. ცხადია, ნაბონიდი არაა ის მეფე, რომელსაც ბიბლია ბალთაზარს (ბელცეზარს) უწოდებს, რადგან დანიელის წიგნი გარკვევით ამბობს, ბალთაზარი ნაბუქოდონოსორის შვილი იყოო, და კლავს იმ ღამეს, როცა ბაბილონი დარიოსმა აიღო. მაგრამ ბაბილონი აიღო სინამდვილეში არა დარიოსმა, არამედ კიროსმა, ეს მოხდა 538 წელს, რითაც დასრულდა ნაბონიდების დინასტიის ბატონობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ნაბონიდია ბალთაზარი.

მართალია, ბაბილონი მეორედ აიღეს ოცდაორი წლის შემდეგ, ამჯერად კი ნამდვილად დარიოს პირველმა აიღო. აი, ზოგიერთი ეშმაკი ღვთისმეტყველი ამტკიცებს, ბიბლიის ბალთაზარი სწორედ ამ მეორე ეპოქის ბაბილონელი მეფე იქნებოდაო. მაგრამ კრიტიკას ვერც ეს ხერხი უძლებს. ათასჯერ ცნობილია, რომ კიროსმა შეაერთა სპარსეთი, ლიდია, მიდია და ასირია, ამით შექმნა ერთიანი დიდი სპარსეთის მონარქია და მთელს დასავლეთ აზიაში გაბატონდა. მისმა შვილმა კამბიზმა ამ ისედაც უზარმაზარ იმპერიას ეგვიპტეც შეუერთა 525 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და გარდაიცვალა 523 წელს. ცნობილია, რომ კამბიზი უშვილო იყო. გვირგვინი მისი ძმის სმერდიზის ხელში გადავიდა. ეს უკანასკნელი ფარულად მოკლეს მიდიელმა მოგვებმა, რომელთაც ამ ადგილზე თავიანთი მოძმეთაგანი დასვეს. მაგრამ გავიდა შვიდი თვე და მათი გაიძვერობა ცნობილი გახდა. სპარსელმა დიდებულებმა შეთქმულება მოაწყვეს, მოკლეს ცრუ სმერდიზი და დახოცეს მისი მომხრე მოგვები (521 წ. ძვ. წ.). გვირგვინი გადასცეს დარიოსს, რომელიც ორმაგი სიძე იყო კიროსისა (ორი მისი ასული ჰყავდა ცოლად — ატოსე და არისფონე). ეს მონარქი ცნობილია დარიოს I, გისტასპის ძის სახელწოდებით. აი, ესაა ისტორია! დარიოსმა, რომელიც მეფობდა 521—486 წლებში ძვ. წ., თავისი სამეფოს ოც სასატრაპოდ დაანაწილა.

მართალია, გარკვეული ხნით ბაბილონის სატრაპებმა ნაბუ-ინტუკმა და მისმა შვილმა ბელსარუსურმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და დარიოსს მეორედ მოუხდა თავისი საბრძანებლის დაპყრობა (516 წ. ძვ. წ.), მაგრამ რანაირად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ბელსარუსური იგივე ბალთაზარია, რაკი ეს მხოლოდ მეამბოხე სატრაპი იყო და არა დიდი ნა-

ბუქოდონოსორის ღვიძლი შვილი? ბიბლია ხომ მას ასეთ კვალიფიკაციას აძლევს და არაერთხელ იმეორებს, რომ ნაბუქოდონოსორსა და ბელსარუსურს შორის ბაბილონს ცხრა მეფე განაგებდა!

წიგნის მომდევნო თავებში მოთხრობილია, რომ დანიელი დარიოსისა და კიროსის საბრძანებელში უაღრესად მაღალ ფუნქციებს ასრულებდა. ბიბლიის მიხედვით, ეს ორი მეფე ერთდროულად მეფობს — ერთი მიდიაში, მეორე სპარსეთში. სინამდვილეში კი ჯერ ერთი განაგებდა მიდია-სპარსეთის გაერთიანებულ სახელმწიფოს და მერე მეორე, ხოლო კიროსისა და მისი ცოლისძმის მეფობას შორის კიდევ მბრძანებლობდნენ კამბიზ დამპყრობელი და ცრუ-სმერდიზი.

დაბოლოს, უდავოა, რომ ბაბილონ-ქალდეველთა სამეფო (ნაბოპალასარის დინასტია) 538 წელს დაეცა ჩვენს ერამდე, ბაბილონი კიროსმა აიღო. ჰოდა, ზოგიერთი ღვთისმეტყველი ასეთ ოცნებას გაუტაცნია: დარიოსი რომ თავის ნათესავ კიროსის არმიას წინამძღოლობდა, ალბათ მისი სამეფოც დაიმორჩილაო. ეს იგულისხმებაო ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული მეხუთე თავის 31 მუხლში (იგულისხმება დანიელის წიგნი). აქ ისევ უმატებენ: უზენაეს მბრძანებლად კიროსი დარჩებოდა, მაგრამ განსაკუთრებული რწმუნებით გაისტუმრებდაო თავის სიძეს დარიოსს ქალდეის, ესე იგი სავარაუდო ბალთაზარის სამეფოს გამგებლად. ქალდეის დედაქალაქი იყო ბაბილონი. ამის დასამტკიცებლად იშველიებენ დანიელის წიგნის ამ ადგილებს: „დანიელ ესრეთ წარემართა მეფობასა შინა დარიოსისა და მეფობასა შინა კვიროს სპარსისასა“ (6, 28), „პირველსა შორის წელსა დარიოს ძისა ასურისსა თესლისაგან მიდთასა, რომელი განმეფნა მეფობასა ზედა ქალდეველთასა“ *(მუხლ. 9, 1)*. აი, ეს გვაძლევს საშუალებას, რომ დანიელის მოთხრობა ისტორიულ მონაცემებთან შევათანხმოთო, ამბობენ ღვთისმეტყველნი.

ძალიან კარგადაა გასაგები, რომ ეკლესიის მსახურნი, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ დანიელის გამოცხადებას უდიდეს წინასწარმეტყველად, ყოველნაირად ცდილობენ მის დაცვას ბრალდებისაგან, რაც ტყუილ ბაქიობას ედრება. თორემ აბა თუ იმ მოვლენების აღწერაში იცრუა, რომელთა უშუალო მონაწილეც ეს ებრაელი მწერალი ყოფილა, მაშინ რაღა დაეჯერება მომავალი ამბების აღწერილობაში? ხოლო რაკი ეს წინასწარმეტყველებანი ეხება ქრისტესა და მის ეკლესიას და ამდენად უზარმაზარი მნიშვნელობა აქვთ ქრისტიანობისათვის, რაც დანიელმა თითქოს იწინასწარმეტყველა, ამიტომ არანაირად არ შეიძლება დანიელის გამოჭერა რაიმე სიცრუეში. აი, რატომ ძვრებიან ქრისტიანი ღვთისმეტყველნი საკუთარი ტყავიდან, რათა რადაც უნდა დაუჯდეთ დაამტკიცონ, რომ ბაბილონის სამეფოს დაცემის დღეს რომელიმე უკანასკნელი მბრძანებელი, კერძოდ, ბალთაზარი, ნაბუქოდონოსორის ძე, დაიღუპა, ქალაქი

კი დარიოს მიდიელმა აიღო, კიროსის ბრძანებით, თანაც მაშინვე დანიშნა ამ ქვეყნის მბრძანებლად.

მაგრამ აქ არის რაღაც საბედისწერო ამბავი: ებრაელი ღვთისმსახურნი, კვეხნით და მთხზველობით გატაცებულნი, მხოლოდ თავიანთი უმეცარი თანამემამულეების, დაბალი ფენებისათვის წერდნენ, რომელთაც არ შეეძლოთ ისტორიულ ფაქტებზე ლევიტებთან დავის გამართვა. ამიტომაც გამოიგონეს ლეგენდები ოლოფერნის, ბალთაზარის და სხვა მითიური მბრძანებლების შესახებ. ასეთი ეპიზოდები ძლიერ მოსწონდა ათას ჭირში გამოვლილ ებრაელ ხალხს, რადგან ეს იყო ერთგვარი ნუგეში, ეროვნული თავმოყვარეობის მაამებელი და ნიშნის მომგები იმ დამპყრობელთა წინაშე, რომელთაც თავიანთი სისასტიკით მართლაც სიძულვილი დაიმსახურეს. მთელი ეს ივდითის საგმირო საქმე, დანიელები და ესთერები ხალხის გულის სიმებს ნაზად ეხებოდნენ და სულიერად ამშვიდებდნენ მონობიდან თავგამოხსნილ, ტყვეობით ნაწამებ ადამიანებს. სწორედ მაშინ დაიწერა ეს უაზრო ფანტაზიით გაჟღენთილი წიგნები, რადგან აზრადაც არავის მოსვლია, რომ დადგებოდა დრო, როცა სწავლულები კითხვებს დასვამდნენ და დაანგრევდნენ სიცრუის გოდოლს, გამოჩნდებოდა ანაფორიანი მატყუარების მთელი ცინიზმი.

მართლაც, ღვთისმეტყველთა უკანასკნელი არგუმენტი, რითაც დანიელს იცავენ, სხვა არგუმენტებზე მყარი როდია. ეს ჰიპოთეზაც ქვიშაზეა აგებული. დარიოსი არ ყოფილა მეფის ძე, ერთ-ერთი სპარსელი მთავრის გისტასპის შვილი იყო. მაშ, არც ასუირის შვილია, და თვითონ ასუირი ერთ-ერთი მორიგი საეჭვო მეფეა, ბიბლიის ავტორთა მოგონილი, როგორც სპარსეთისა და მიდიის მეფე, რომელმაც ებრაელი ქალიშვილი ესთერი შეირთო. დარიოსი არ ყოფილა მიდიელთა გვარისა. პირიქით, კიროსის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც სპარსელთა ბატონობა დაამყარა ახალ სამეფოში, მიდიელმა მოგვებმა ეგვიპტეში კამბიზის ექსპედიციით ისარგებლეს, რათა ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ. ეს ცრუ-სმერდიზის შემწეობით მოახერხეს კიდეც. მაგრამ სწორედ მიდიელთა რასის მოშორების მიზნით მოაწყო სპარსეთის დიდკაცობამ აჯანყება, მოკლეს მოგვთა მეფე, დახოცეს თვითონ მოგვები და ტახტზე დასვეს დარიოსი, გისტასპის შვილი, სპარსელი. დაბოლოს, დარიოსს არასოდეს არ ჰქონია ბაბილონში ცალკე სამეფო: გვირგვინი მიიღო, როგორც კიროსისა და კამბიზის კანონიერმა მემკვიდრემ, რათა ყოფილიყო სპარსეთის დიდი იმპერიის ბელადი, სპარსეთის, მიდიის, ლიდიის, ქალდეისა და ეგვიპტის მბრძანებელი.

ბალთაზარის თავშესაქცევი ამბის შემდეგ დანიელი მეექვსე თავში მოგვითხრობს, როგორ გაჰყო დარიოსმა თავისი საბრძანებელი, ას ოც სასატრაპოდ გაანაწილა და სათავეში სამი გუბერნატორი დაუყენა. დანიელი

ამ სამიდან თითქოს ყველაზე უფრო გავლენიანი იყო. დანარჩენმა გუბერნატორებმა და ას ოცმავე სატრაპმა ებრაელის ეს განუზომელი ავტორიტეტი ვერ იგუეს და შეთქმულება მოაწყვეს, განიზრახეს წინასწარმეტყველის მოკვლა. მათივე წინადადებით დარიოსმა ბრძანა დანიელისთვის ოცდაათი დღის განმავლობაში თაყვანი ეცათ, როგორც — ღმერთისათვის. დანიელმა ამ დეკრეტს საკმაო ყურადღება ვერ დაუთმო და თავისი ღმერთის თაყვანისცემას განაგრძობდა. მაგრამ როცა დარიოსმა დასმენა მიიღო თავის პირველ ვეზირზე, რომლის მიმართაც საუკეთესო გრძნობით იყო გამსჭვალული, მიხვდა, რომ მრჩევლებმა მას მახე დაუგეს. ახლა მეფური სიტყვა მიცემული იყო, და ის რომ არ დაერღვია, ლომების ბუნაგში დანიელის ჩაგდება ბრძანა. საერთოდ, ეტყობა, დარიოსი ებრაელთა ღმერთსაც პატივსა სცემდა, თუმცა ერთგულად ემსახურებოდა საკუთარი ქვეყნის ღმერთებს.

„მაშინ მეფემან თქვა და მოიყვანეს დანიელი და შთააგდეს იგი მღვიმესა ლომთასა, და ჰრქვა მეფემან დანიილსა: ღმერთმან შენმან, რომელსა შენ მიმდემად მკუთვნელ ხარ, მან განგარინენ შენ! (იმ ღმერთმა გიხსნას, რომლის მიმდევარიც ხარო!). და მოიღეს ლოდი დიდი და დასდვეს პირსა ზედა მღვიმისასა, და დაჰბეჭდა მეფემან ბეჭდისა მიერ მისისა, და ბეჭდისა მიერ დიდებულთა მისთასა, რათა არ შეიცვალოს საქმე დანიილის ზედა. და წარვიდა მეფე სახიდ თვისსა და დაწვა უსეროდ და სანოვაგენი არა მოართვნეს მას და ძილი განეყენა მისგან, და დახშნა ღმერთმან პირნი მათ ლომთანი, და არა შეეხნეს დანიელს. მაშინ მეფე აღდგა განთიად სანთლითა და სწრაფისა მიერ მოვიდა მღვიმესა მას ლომთასა, და მიახლებასა მისსა მღვიმისა მიმართ, ხმა უყო დანიილსა ძლიერითა ხმითა, და მიუგო მეფემან და ჰრქვა დანიელს: დანიელ, მონაო ღვთისა ცხოველისაო, ღმერთმან შენმან, რომლისა განმკუთვნელ ხარ მიმდემად უკეთუ შეუძლეს განრინებაი შენი პირისაგან ლომთასა? და ეუბნა დანიილ მეფესა და თქვა: მეფე, საუკუნეთა ცოცხლებდ! და ღმერთმან ჩემმან მოავლინა ანგელოზი თვისი და დახშნა პირნი ლომთანი და არა განმრყვნეს მე, რამეთუ წინაშე მისსა სიწრფოება ჩემი იპოვა და წინაშე შენსაცა, მეფე, შეცოდება არა ვყავ! მაშინ მეფე მრავლად მხიარულ იქმნა მის ზედა და დანიილისი თქვა აღმოყვანება მღვიმისაგან, და აღმოყვანებულ იქმნა დანიილ მღვიმით და ყოველი განხრწნილება არა იპოვა მის თანა, რამეთუ ჰრწმენა ღვთისა მიმართ მისსა. და თქვა მეფემან და მოიყვანნეს კაცნი შემასმენელნი დანიილისნი, და მღვიმესა ლომთასა შთაიყარნეს იგინი, და ძენი მათნი, და ცოლნი მათნი, და არღა მიწეუნულ იყვნეს იატაკად მღვიმესა, ვიდრე არა ეუფლნეს მათ ლომნი, და ყოველნი ძვალნი მათნი დააწვლილნეს. მაშინ დარიოს მეფემან მიუწერა ყოველთა ერთა, ტომთა, ენათა, მკვიდრთა ყოვლისა შორის ქვეყანისა: მშვი-

დობა თქვენი, განმრავლდინ! პირისაგან ჩემისა დაიდვა რწმენა, ყოველსა შორის მთავრობასა მეფობისა ჩემისასა, ყოფა მძრწოლარეთა და მოშიშთა პირისაგან ღვთისა დანიილისისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ცხოველი და გებული საუკუნეთა მეფობა მისი არა განირყვნეს და უფლება მისი ვიდრე დასასრულამდე“ (დან., 6, 16—26).

ამრიგად, ბაბილონის დიდმა მეფემ მთელს თავის სამეფოში განკარგულება გასცა თაყვანი ეცათ დანიელის ღმერთისათვის, რადგან ის მიიჩნია ცხოველ, მარადიულ, უძლიერეს ღმერთად.

სწორედ ასე ბნელში ეყოლებოდათ ებრაელი ხალხი თავიანთ ბელადებს, არავის ეცოდინებოდა, რა ხდებოდა გარშემო, სხვა ხალხებში! სწორედ ასეთი ფენომენალური თავხედობა უნდა ჰქონოდათ წმინდა წერილის ავტორებს! დახეთ, რას ამბობენ? დარიოსის მოქცევა ებრაელთა რჯულზე? დარიოსის ედიქტით იუდაიზმის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად? მერე ასეთი უზარმაზარი მნიშვნელობის რელიგიურ-პოლიტიკური მოვლენა მეფის ბრძანებით ეუწყება ყველა ხალხს! განა შეიძლება უფრო თავხედური და ჭედმაღლური სიცრუის წარმოდგენა? ვინ იფიქრებდა ასეთ რამეს, ბიბლიას რომ არ შემოენახა? დარიოსი თაყვანსა სცემს ბიბლიურ საბაოთს — ადონაის? ის დარიოსი, რომელმაც თავისი საგანძური მიაშველა სახელგანთქმული წარმართული სამლოცველოს — ეთესის დიანას ტაძრის მშენებლებს? იცრუე, ოღონდ ზომა იცოდე! მეტისმეტი — ბრეტისბრეტიო — სწორედ ამაზე იტყვიან.

სამაგიეროდ დანიელი, დარიოსის საეჭვო პრემიერ-მინისტრი და ვეზირთუხუცესი, თავის თოთხმეტთავიან წიგნში ერთ სიტყვასაც არ ამბობს დარიოსის ომზე ბერძნებთან. ამ გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენას თითქოს დანიელისათვის შეუმჩნევლად ჩაუვლია. მარათონის ბრძოლის ამბავიც კი არ იცის!

7—12 თავები დანიელის სიზმრებსა და მის წინასწარმეტყველებებს ეძღვნება. ეს სიზმრები რომ ნამდვილ მწერალს მოეთხრო, ცხადია, არც მაშინ ექნებოდათ მნიშვნელობა. მაგრამ მათ მოგვითხრობს ბაქია, რომელიც გვარწმუნებს, ჯერ ნაბუქოდონოსორის პროვინციის გამგებელი ვიყავი, მერე კი დარიოსის პრემიერ-მინისტრიო. ამდენად ამ პრეტენციოზულ წინასწარმეტყველებას იმ ინტერესის აღძვრაც კი არ შეუძლია, რასაც ზოგჯერ სულელის ბოდვა იწვევს ხოლმე. რა გვესაქმება, მაგალითად, იმასთან, ესიზმრა დანიელს ოქროსფრთებიანი ლომი, ან დათვი, რომლის სამი ბასრი ეშვი ელავდა, ან ოთხთავიანი ლეოპარდი, რომელსაც ზურგზე ფრინველის ოთხი ფრთა ჰქონდა, ან კიდევ გამოუცნობი მხეცი, რომელსაც ათი რქა და რკინის კბილები ამკობდა? რა ისეთი საოცრებაა, რომ ეს კადნიერი მატყუარა ბრძანებს, საყოველთაო აღდგომა მოხდებაო „ჟამთა და კერძოსა ჟამისასა დასასრულისა...“ (დან., 12, 7).

ყოველივე ამას ბანქოზე მკითხავი ქალის ყბედობაზე მეტი ფასი არ ედება. ასეთ რამეებს რომ ვკითხულობთ, კიდევ უფრო გვეკარგება რელიგიის რწმენა, ადამიანთა გონების დაჩლუნგებას რომ ასეთი მარჩიელობით ფიქრობენ. საცოდავია ყველა, ვინც ამ ზღაპრებს ჭეშმარიტ შთაგონების ნაყოფად თვლის.

მეცამეტე თავი მოგვითხრობს, როგორ იხსნა დანიელმა ერთი ქველმოქმედი ქალი, რომლისთვისაც ორმა ბებერმა თაღლითმა სიკვდილის განაჩენი გამოატანინა ხალხს, მერე როგორ დაამტკიცა წინასწარმეტყველმა მათი თაღლითობა და მიაღწია ქალის ნაცვლად ცილისმწამებელთა დასჯას. მოქმედება ხდება ებრაელთა ტყვეობის ჟამს ბაბილონში. თქმულების გმირია ვინმე სუსანა, იოაკიმის ცოლი. ეს სუსანა ძალიან ლამაზი იყო და ქმრის ერთგული. ორი ბებერი თაღლითი მისი ხილვისას ვნების ცეცხლით აენთო. „და იყვნეს ორნივე ლმობიერ მისთვის და არა მიუთხრეს ურთიერთას ლმობა მათი, რამეთუ ენებაყე თან ყოფა მისი, და უმზირდეს დღითი დღე პატივის მოყვარებით ხედვად მისსა, და ჰრქვა მოყვასმან მოყვასსა: წარვიდეთ სახიდ, რამეთუ სამხრისა ჟამს არს, და გამოსრულნი განიყვნეს ურთიერთას...“ *(დან., 13, 10—14)*.

მოკლედ: შემთხვევამ ორივე ბებერ არშიყს ენა გაუხსნა, ერთიმეორეს გაანდეს გულისნადები და განიზრახეს ერთმანეთის დახმარებით მიეღწიათ სუსანასთან მიზნისათვის. ამ მიზნით ერთხელ ბაღში დაუდარაჯეს. როცა სუსანამ ტანთ გაიხადა და მოახლეები გაისტუმრა, რომ საბანაოდ აუზში ჩასულიყო, ორივე თაღლითი საფრიდან გამოვიდა და ქალს მოსთხოვეს, გულის ნება აგვისრულეო. სუსანა ტიროდა და ყოველნაირად წინააღმდეგობას უწევდა. ორივე ბებერმა, — სხვათა შორის, ორივე ადგილობრივი მოსამართლე იყო, — ყვირილი ატეხა. მთელი ჯალაბობა, მეზობლობა და ბრბო შეიყარა. ყველამ სასამართლო მოითხოვა, რაც მეორე დღისთვის დაინიშნა. სამსჯავრო იოაკიმის სახლის წინ უნდა გამართულიყო.

მაინც რა უცნაური თავისუფლებაა ხალხისათვის, რომელიც თითქმის მუდამ მონობაშია? მეტადრე ახლა, ის ხომ ბაბილონის ტყვეობაშია გარეკილი! უეცრად თურმე დამპყრობელები უფლებას აძლევენ მოიწვიონ სახალხო კრებები, გაარჩიონ სასამართლო საქმეები, თითქოს თავიანთ იერუსალიმში იყონ! უფრო იოლად დაიჯერებდა კაცი, რომ ორი ბაბილონელი მოსამართლის მიერ ადულტერში ბრალდებული სუსანა ბაბილონის სასამართლოსათვის გადაეცათ, ნაბუქოდონოსორის კანონების თანახმად გაერჩიათ მათი საქმე*.

---

* ტაქსილი აქაც მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენს ბიბლიური თქმულებების მხატვრული მხარის მიმართ. საკმარისია ითქვას, რომ სუსანას თემაზე ტიციანმა უკვდავი ტილო შექმნა.

ამრიგად, დანიშნულ საათს სრულიად თავისუფლად შეიკრიბა ყველა ებრაელი, რომელიც ბაბილონის ტყვეობაში იმყოფებოდა. სუსანა სახალხო სამსჯავროს წარუდგა. ორივე ბებერი ბრალს სდებდა. ორივემ ბრალდებულის თავზე ხელის დადებით დაიფიცა, რომ სუსანას წაადგნენ ბაღში, სრულიად შიშველს, ვიღაც უცნობ ჭაბუკთან დაწოლილიყო. ქმრიანი ქალის გამრყვნელმა მიმალვა მოასწრო. სუსანა მთელს ბრალდებას ქალაყოფდა, მაგრამ იმას კი არ ამბობდა, რატომ სდებდნენ ტყუილად ბრალს ეს მოსამართლენი. ისე კი ხმამაღლა აღავლინა ლოცვის სიტყვა და ღმერთს შეჰფიცა, უმანკო ვარ და ტყუილუბრალოდ ვისჯებიო. ხალხმა ცილისმწამებლებს დაუჯერა და გადაწყვიტა, მოღალატე ქალი უნდა დაისაჯოსო.

უკვე განაჩენის აღსასრულებლად ემზადებოდნენ, როცა ახალგაზრდა დანიელმა ბრალდებულ სუსანას უცოდველობის დაცვა იკისრა. მისი წინადადებით ორი ბებერი არშიყი დააშორიშორეს. მერე ერთი მათგანი უკანვე მოიწვიეს და დანიელმა ასეთი ეშმაკური დაკითხვა დაიწყო: „დაძველებულო ბოროტთა დღეთაო, აწ გეწინეს ცოდვანი შენნი, რომელთა ჰყოფდი პირველად. მშჯელი შჯათა ცრუთა და უბრალოთა უკვე დამსჯელი, ხოლო განმტევებელი მიზეზიანთა იტყოდეს რაი უფალი: „უბრალო და მართალი არ მოაკვდინო“ — აწ უკვე ესე უგულებელს ჰყავ, თქვი, რომელსა ხესა ქვეშე იხილენ იგინი მზრახველნი ურთიერთას? და მან თქვა: ხეთქილსა ქვეშე (დანამასტიკის ქვეშო). და თქვა დანიელმან: მართლიად იტყვი თავისა მიმართ შენისა, რამეთუ ეგერა ანგელოზი ღვთისა მიმღებელი ღვთისაგან განჩინებასა და განგხეთქს შენ შუა“ (*დან., 13, 52—55*).

დანიელი ეუბნება: შენ იცრუე და ამისათვის ანგელოზი გაგხეთქს შენ შუაზეო. კაცი იტყვის, ჯერ მეორე ცრუ მოწმე უნდა მოიწვიოს და მხოლოდ მისი საპირისპირო ჩვენების შედეგად უნდა დაიწყოს ბრალდების წაყენებაო. ასეა იურიდიულად. მაგრამ „წმინდა ყრმა ჭაბუკი“ დანიელი, რომელსაც მომავალში უნდა წაეკითხა კედელზე წარწერილი მაგიური სიტყვები, დედამიწაზე არსებულ არც ერთ ენას რომ არ ეკუთვნიან, ცხადია, სხვა ადამიანებივით უბრალო აღნაგობისა როდია. მან წინასწარ იცის ყველაფერი. განვაგრძობთ ბიბლიის კითხვას:

„და გარდამადგინებელმან მისმან ბრძანა მოყვანება სხვისა, და ჰრქვა მას: „თესლო ქანანისო, და არა იუდასო, შვენიერებამან შეგაცდუნა შენ, და გულის თქმამან გარდააქცია გული შენი. ესრეთ უყოფდით ასულთა ისრაელისათა და იგინი შიშნეულნი გზრახვიდეს თქვენ, გარნა არა ასულმან იუდასმან დათმო უსჯულოება თქვენი. ხოლო აწ მითხარ, მე, ქვეშე რომელსა ხესა დააპყრენ იგინი, მზრახველნი ურთიერთას?“ და მან თქვა:

ხერხულსა ქვეშე (მუხის ქვეშო)“ *(დან. 13, 56—58)*. ანგელოზი ღვთისა „დგას განხერხვად შენდა საშუალ“, — მიუგო დანიელმა.

ყალბი ჩვენება დადასტურდა. ცხადია, ორივე ბაბილონელი ბებერი სამართლიან სასჯელს იმსახურებდა. მაგრამ ვის შეეძლო მათი გასამართლება და დასჯა? ბიბლია გვარწმუნებს, განაჩენი ტყვე ებრაელთა სახალხო კრებამ გამოიტანა და სისრულეშიც მანვე მოიყვანა.

„და აღიღაღადა ყოველმან შესაკრებელმან ხმითა დიდითა და აკურთხეს ღმერთი მაცხოვნებელი მოსავთა მისდამი. და აღდგეს მოხუცებულთა ზედა, რამეთუ შეაყენნა იგინი დანიელ თქმულთაგან მათთა ცილის დამწამებელნი და ყვეს მათდა, ვითარცა იგი ბოროტი იზრახეს ყოფად მოყვასისა შჯულისაებრ მოსესსა, და მოკლნეს იგინი, და ცხონდა სული უმიზეზო მას დღესა შინა“ *(დან., 13, 60—62)*.

თუ ამ ამბის სიმართლეს ვერწმუნებით, აგრეთვე განაჩენის აღსრულებასაც დავიჯერებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ვაღიარებთ, რომ ორივე ბებერი თაღლითი სავსებით სამართლიანად დაისაჯა. მაგრამ საიდან ვიცით, რომ მათი დასჯა მხოლოდ ბაბილონის სასამართლოს კომპეტენციას ექვემდებარებოდა? ეს დასკვნა ბუნებრივია, ბაბილონელი მოძალადენი თავიანთ მოსამართლეებს დაიცავდნან, და მაშინ ბიბლიური მოთხრობის სიცრუე უნდა ვაღიაროთ. პირდაპირ უაზრობაა იმაზე ფიქრი, რომ ბაბილონელი მოსამართლენი გულგრილად უყურებდნენ, როგორ ასამართლებდა ტყვე ებრაელთა ბრბო მათ მოძმეებს, თუნდაც აშკარა დამნაშავეებს, და უსწორებდა ანგარიშს. შეუძლებელია, რომ მონა ებრაელებს ასე საჯაროდ და თავისუფლად გამოეყენებინათ მოსეს კანონი ორი ბაბილონელი სახელმწიფო მოხელის მიმართ, რომლებიც მათი ბატონებისა და დამმონებლების რიცხვში შედიოდნენ. ამასთან სუსანას და მისი ხანდაზმული არშიყების ამბავი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ეპიზოდია რელიგიურ იგავთა შორის. ხელოვნებამ შეუწყო ხელი მის პოპულარიზაციას. ათასობით სურათი დაიხატა ქმრის ერთგულ სუსანას თემაზე. ის იქცა პატივსაცემ ტრადიციად, რასაც ადამიანთა მასები აღიარებენ. ოღონდაც, ხალხი ხომ ნაკლებად კითხულობს ბიბლიას! მისი კითხვა ნიშნავს, რომ მისივე რწმენა დაკარგო და შეიძულო, იმდენად ტლანჭი და ცინიკურია მასში გადმოცემული უამრავი სიცრუე.

დანიელის წიგნის მეთოთხმეტე და უკანასკნელი თავი მღაღადებელი ისტორიული შეცდომით იწყება: „და იყო დანიელ თან მცხოვრებელ მეფისა და დიდებულ უფროს ყოველთა მოყვარეთა მისთა, და იყო კერპი ბაბილოვნელთა, რომლისა სახელი ბილ, და წარაგებდეს მისა მიმართ თითოეულსა დღესა სემიდალსა გრივსა ათორმეტსა, და ცხოვართა ორმეოცთა და ღვინოსა საწყაულსა ექვსთა“ *(დან., 14, 1—2)*. აქ გამოტოვებულია მეფის ასტიაგის სახელი, აგრეთვე კიროსისა, სპარსთა მეფისა,

რომელთა გვერდითაც დანიელი ცხოვრობდა, პატივდებული „უფროს ყოველთა მოყვარეთა მისთა“. ლევიტმა, რომელიც ამ წიგნს წერდა, ისიც კი არ იცის, რომ ასტიაგი, მიდიის მეფე, რომელიც 559 წელს გარდაიცვალა ჩვენს წელთაღრიცხვამდე, უმემკვიდროდ არ გადაგებულა: ტახტზე დატოვა შვილი კიაქსარ II. ამ ლევიტმა არც ის იცის, რომ მხოლოდ კიაქსირის სიკვდილის შემდეგ მიიღო მიდიის სამეფო სამემკვიდრეო კიროსმა, რომელიც ერთდროულად იყო მისი ძმისწულიც და სიძეც. მხოლოდ მაშინ შეუერთა კიროსმა მიდია სპარსეთს, რადგან კიაქსირს ვაჟიშვილი არ დარჩენია. ამრიგად, ეს თავი, რაც ერთბაშად ტლანქი სიცრუით იწყება, ბევრს გვპირდება.

სწორედ ამ თავში ვგებულობთ, რომ კიროსი ბაბილონში თაყვანსა სცემდა კერპს, რომელსაც ერქვა ბილი. ბევრი კომენტატორი ამაში ბაალს ხედავს. ჰოდა, აი, ბილის ანუ ბაალის ქურუმნი ამტკიცებდნენ, რომ მათი კერპი დილამდე შთანთქავს მთელს სანოვაგეს, რასაც მორწმუნეები მისი ტახტის წინ დატოვებენო. ბიბლია ცდილობს დაგვაჯეროს, რომ კიროსი ისე გულუბრყვილო იყო, ასეთი ყალიბის სისულელე სწამდა და დანიელსაც კი არწმუნებდა, ქურუმები სიმართლეს ამბობენო.

„და მივიდოდა მეფე თითოეულსა დღესა თაყვანისცემად მისსა, ხოლო დანიელ თაყვანისცემდა ღმერთსა თვისსა, და ჰრქვა მეფემან, რაისათვის არ თაყვანისცემ ბილს? ხოლო მან ჰრქვა მას, რამეთუ არა ვმსახურებ კერპთა ხელით ქმნულთა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, ამგებელსა ცისა და ქვეყანისასა, და მჭონებელსა უფლებისა ყოვლისა ხორცისასა. და ჰრქვა მეფემან: „არა საგონებელ არს შენდა ბილ ყოფად ცხოველად ღმერთად? ანუ არა ხედავა, რაოდენთა სვამს და ჭამს თითოეულსა დღესა?“ და ჰრქვა დანიელ განმცინებელმან: „ნუ სცდები, მეფეო, რამეთუ ესე შინაგან თიხა არს, ხოლო გარეგანი რვალი, და არა უჭამიეს, არცა უსვამს ოდესმე“. და განმწყრალმან მეფემან მიუწოდა მღდელთა მისთა და ჰრქვა მათ: არა თუ მითხართ მე, ვინ არს შემჭმელი წარსაგებელისა ამის, მოჰკვდეს“ *(დან., 14, 3—7)*.

დანიელს მოტყუებული მეფე შეეცოდა და გამოცდა შესთავაზა. ბილის საკურთხეველთან ხორცი და ღვინო დატოვეს. ტაძრიდან ქურუმები გაიყვანეს. შემდეგ დანიელმა მეფის დასწრებით ტაძარში ნაცარი მოაფრქვია, მერე თვითონაც წავიდნენ, კიროსმა კარები საიმედოდ დაბეჭდა. მაგრამ ქურუმებს საკურთხეველთან მისასვლელი მიწისქვეშა ხვრელი ჰქონდათ. ამ გზით შეაღწიეს ღამით ტაძარში და მთელი სანოვაგე წაიღეს. მეორე დღეს იატაკზე დაყრილ ნაცარზე მათი ნატერფალი ნახეს. კიროსი, რომელსაც ასე დიდხანს აბრიყვებდნენ, გაშმაგდა. მაშინვე ბრძანა გაეწყვიტათ ყველა ქურუმი, მათი ცოლ-შვილი, კერპი კი გადასცა დანიელს, რომელმაც ის დაამსხვრია და დააქცია ტაძართან ერთად.

„და იყო ვეშაპი დიდი მასვე ადგილთა შინა, და ჰმსახურებდეს მას ბაბილოვნელი იგი“ *(მუხლ. 23)*. კიროსმა დანიელს უთხრა: ეს ურჩხული ხელით გაკეთებული კერპი არაა, ცოცხალია და მაშასადამე, ის ღმერთიაო. მაშინ დანიელმა მეფეს სთხოვა, ნება მომეცი ამ ვეშაპს შევებრძოლო. თანაც როგორ? მახვილი კი არა, უბრალო ჯოხიც არ მინდაო. კიროსმა ნება მისცა. „და მოიღო დანიელმან ფისი და ცმელი (ქონი) და ბალანი და შეაგბნა (შეურია) ერთბამად და შექმნა გუდად და მისცა პირსა ვეშაპისასა და განიბძარა ვეშაპი იგი“ *(მუხლ. 27)*.

ხალხი უკმაყოფილო დარჩა, ვეშაპი რომ მოუკლეს, და ბრბოს დასაშოშმინებლად კიროსმა ბრძანა დანიელი ისევ განთქმული ლომების ხაროში ჩაეგდოთ. კიროსსა და ბაბილონელებს უნდა სცოდნოდათ, რომ წინასწარმეტყველს ლომები ვერ შეჭამდნენ, რადგან ეს თავგადასავალი ერთხელ უკვე გამოქვეყნდა. გამოცემა მეორდება. წმინდა ავტორი აქ ყველამდე ეფლობა სიცრუის მორევში და ძალზე კომიკურ ვარიანტს პოულობს. პირველად ლომების ორმოში დანიელი დარიოსის დროს ხვდება და სულ ერთ ღამეს ატარებს იქ. ამჯერად კი, მეფე კიროსის ბრძანებით იქ ექვს დღეს ატარებს, მშიერ მტაცებელთა შორის, და უვნებელი რჩება. ამრიგად, ახლა ეფექტი უეჭველად უფრო განსაცვიფრებელი უნდა იყოს.

ბიბლიაში ეს ეპიზოდი ასეა მოთხრობილი: „და იყო, ვითარცა ესმა ბაბილოვნელთა, შეეწყინაყე ფრიად, და შეკრბეს მეფისა ზედა და თქვეს, ჰურია იქმნა მეფე, ბილი შემუსრა და ვეშაპი მოკლა და მღვდელნი მოსრა! მოვიდეს და თქვეს მეფისა მიმართ: მოგვეც ჩვენ დანიელ, უკეთუ არა მოგკლავთ შენ, და სახლი შენი იავარ ვჰყოთ! და იხილა მეფემან, რამეთუ ზედ დაესხმიან მას ფრიად, და იძულებულმან მისცა მათ დანიელ, ხოლო მათ შთააგდეს იგი მღვიმესა მას ლომთასა, და იყო მუნ დღეთა ექვსთა, ხოლო იყვნეს მღვიმესა მას შინა შვიდნი ლომნი და მიეცემოდა მათ დღივ ორი კაცისა გვამნი, და ორნი პატრუჭაკნი, ხოლო მაშინ არა მიეცა მათ, რათა შჭამონ დანიილი“ *(დან., 14, 27—31)*.

ამჯერად საჭირო გახდა წინასწარმეტყველის არა მარტო ლომთა კლანჭებისაგან დაცვა, არამედ მისი რჩენაც ექვსი დღის განმავლობაში. ამრიგად, სასწაული ისეთი სრულყოფილია, რომ უკეთესს ვერ ინატრებთ. ამ თავგადასავლის გაგრძელება მართლაც რომ უფრო საინტერესოა, ვიდრე ყველაფერი ის, რაც აქამდე წაგვიკითხავს.

„იყო ამბაკომ წინასწარმეტყველი იუდეასით და მან შეაგბო გბოლვილი, და შაანეცვნა პურნი ვარცლსა (ე. ი. შეამზადებდა შეჭამადს, ჩაფშვნიდა შიგ პურს) და განვიდოდა ველად მირთმევად მომკალთა. და ჰრქვა ანგელოზმან უფლისამან ამბაკომს: მიართვი სამხარი, რომელი გაქვს ბაბილონად დანიელს მღვიმესა შინა ლომთასა. და თქვა ამბაკომან: უფალო, ბაბილონი არ მიხილავს, და მღვიმე იგი არა ვიცი. და უპყ-

რა ანგელოზმან უფლისამან თხემისა მისისა და მტვირთველმან თმითა თავისა მისისათა დადვა იგი ბაბილონს მღვიმესა ზედა, და განკრთომილებასა შინა სულისა მისისასა. და ხმა ყო ამბაკომ, მეტყველმან: „დანიელ, დანიელ! მიიღე სამხარი, რომელ წარმოგცა შენ ღმერთმან“. და ჰრქვა დანიელმან: რამეთუ მომიხსენე მე, ღმერთო, და არცა მიგდებ მოყვარენი შენნი! და აღდგომილმან დანიელმან ჭამა, ხოლო ანგელოზმან ღვთისამან კვალად აგო ამბაკუმ მეყსა შინა ადგილსა ზედა თვისსა (ე. ი. ანგელოზმა ამბაკო თავის ადგილზე დააბრუნა). ხოლო მეფე მოვიდა დღესა მეშვიდესა გოდებად დანიილისა და მივიდა მღვიმესა ზედა და შთაიჴვირა, და აჰა დანიელ მჯდომარე“ (დან., 14, 33—40).

ცხადია, კიროსი დარიოსს ბაძავდა, დანიელი ორმოდან ამოიყვანა და მის ნაცვლად შიგ მისი მტრები ჩაყარა, რომლებიც დამშეულმა ლომებმა დაუყოვნებლივ შეახრამუნეს. რასაკვირველია, კიროსის ლომების მღვიმის სასწაული სრულიად ჩრდილავს დარიოსის მღვიმის სასწაულს, მაგრამ ზოგი შენიშვნა ამაზეც აქვთ მოურიდებელ კრიტიკოსებს: დარიოსი კიროსის გარდაცვალებიდან ცხრა წლის შემდეგ ავიდა ტახტზე. ე. ი. ჯერ მეფობდა კიროსი, მერე დარიოსი. წმინდა ავტორი კი, საეკლესიო მწერალს რომ დაბადების წიგნებს კარნახობდა,სრულიად ივიწყებს ქრონოლოგიას და ურევს ამ ორი მეფის მბრძანებლობის უდავო ისტორიულ თანმიმდევრობას.

ისევ და ისევ წინასწარმეტყველნი და მათი სასწაულები

ეზეკიელი, ისაიას, იერემიას და დანიელთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივცემული წინასწარმეტყველია როგორც ებრაელთა, ისე ქრისტიანთა შორის. თავის წინასწარმეტყველებებს ის თხზავდა ყველასათვის უცნობ მდინარე ჰოვარის ნაპირებზე, როგორც ბაბილონელთა ტყვე. თუ დანიელი ტლანქი მატყუარაა, იეზეკიელი პირდაპირ შეშლილის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი წიგნი 48 თავისაგან შედგება და ერთიან ბოდვას წარმოადგენს. მაგალითად, მოგვითხრობს, რომ ნახა ცხოველები, რომელთაც ადამიანის ტანი ჰქონდათ, ოთხ-ოთხი ფრთა, ხბოს ფეხები, ოთხ-ოთხი სახე: ადამიანის, ხარის, ლომისა და არწივის. ნამდვილად ვნახე, ცეცხლოვანი გარეგნობა ჰქონდათ და განუწყვეტლივ მოძრაობდნენო. მათ გვერდით არაჩვეულებრივ მაღალი ბორბლები დაგორავდნენ, თვალებით სავსენიო. ეს აღწერილობა უკვე იძლევა ერთგვარ წარმოდგენას ავტორის ფსიქიურ მდგომარეობაზე.

ეს „წინასწარმეტყველი“ მოგვითხრობს, თუ რა გააკეთა უფლის ბრძანებით. ერთხელ შეჭამა წიგნი, რომელშიაც საჩივრები და წყევლა ეწერა. ცოტა ხნის შემდეგ დაწვა და 390 დღე მარცხენა გვერდზე იწვა ისრაელთა სახელმწიფოს ცოდვების გამოსყიდვის მიზნით. მერე გადაბრუნდა და ახლა მარჯვენა გვერდზე იწვა 40 დღე—იუდეველთა ცოდვების გამოსასყიდად. თანაც, სხვისი ცოდვის გამოსყიდვის მიზნით ამ ხანგრძლივი წოლის დროს იკვებებოდა პურით, რომელზედაც წაცხებული იყო... ადამიანის განავალი. თვით მოწყალე ღმერთმა გამოუწერა ასეთი ბუტერბროდები: „და ფუნესა შინა სკორისა კაცობრივისასა დაჰფლნე იგინი წინაშე თვალთა მათთა, და სთქვა: ამას იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა“ *(ეზეკიელი ანუ იეზეკიელი, 4, 12—13)*.

უნდა ითქვას, რომ ასეთი დიეტა ეზეკიელს მალე მოსწყინდა და მაშინ ღმერთმა ნება მისცა მენიუში ერთგვარი ნაირფეროვნება შეეტანა: „და ვთქვი, ნუ სადა, უფალო ღმერთო ისრაელისაო, აჰა სული ჩემი არ შეგინებულ არს არა მწიდებისა მიერ, და მძორი და ნამხეცავი არ მიჭამიეს შობით ჩემითგან ვიდრე აქამდე, არცა შესრულ არს პირსა ჩემსა ყოველი ხორცი ბილწი და შეგინებული. და თქვა ჩემდამო: აჰა, მიგეც შენ ფუნე

ზროხათა ფუნისა წილ კაცობრივისა, და შეჰქმნნე პურნი შენნი მას ზედა“ *(მუხლ. 15)*. დიდი შეღავათია! ბუტერბროდის ხარისხი, ცხადია, დიდად არ გაუმჯობესებულა იმით, რომ ადამიანის განგაღი ძროხის სკორემ შეცვალა.

სხვა დროს ვიღაცის სახლში მყოფ იეზეკილს გარეთ გასვლა მოუნდა, მაგრამ მოაგონდა ისრაელთა და იუდეველთა ცოდვები და ვერსად [illegible] არ გავიდა, კედელში გახვრიტა ხვრელი და იქ გამოჰყო თავისი სამოსი და ავლადიდება. 37 თავში იეზეკილი მოგვითხრობს: ერთხელ გამოფიტული ძვლებით მოფენილ ველზე დავეხეტებოდი, სიტყვით მივმართე და ძვლები გავაცოცხლეო.

იეზეკილის წიგნში არის ერთი ადგილი, რამაც განსაკუთრებით აღაშფოთა კრიტიკოსები და საგონებელში ჩააგდო ღვთისმეტყველნი. ესაა იგავი ორ დაზე, რომელთა სახელებია ოჰოლა და ოჰოლიბა. ებრაელთა რწმენის ნაკლებობაზე რომ ლაპარაკობს, იეზეკილი ღმერთ ადონაის აიძულებს საზიზღარი, ტლანქი, ქუჩური გამოთქმები იხმაროს: „და შეიბილწა მათთანა, და განდგა სული მისი მათგან და გამოაცხადა სიძვა მისი, და გამოაცხადა უშვერება მისი და განეშორა სული ჩემი მისგან, ვითარ სახედ განეშორა დისაგან მისისა, და განმრავლდა სიძვა შენი, მოხსენებად დღეთა სიჭაბუკისა შენისათა, ლალთა შინა სიძევდ, ეგვიპტეს შინა, და ზედ დაერთე ქალდეველთა მიმართ, რომელთა ხორცნი იყვნეს ვითარცა ვირთა ხორცნი, და ქუქუნი ცხენთანი ქუქუნი მათნი“ *(ეზეკიელი, 23, 18—20)*. ეს ნამდვილი პორნოგრაფია გახლავთ. როგორც ეგვიპტეში იყავი გახრწნილი, ისევე ქალდეაში განაგრძობო, ეუბნებიან ებრაელ ქალს, მერე ქალდეველნი ხომ ვირები არიან და მათი „ქუქუნი“ ულაყთა მსგავსიაო!

ესეც მორიგი უსირცხვილო შედარებები, რომლის მსგავსნიც ბიბლიაში ხშირად გვხვდება და რომელთაც ღვთისმეტყველთა მტკიცებით ალეგორიული მნიშვნელობა აქვთ! ნუთუ აუცილებელი იყო ასეთი ღორული გამოთქმების შეტანა საღვთო წიგნში იმის სათქმელად, რომ იუდეველნი და ისრაელნი ცოდვილნი იყვნენ?

მეორე წინასწარმეტყველი, რომელიც პორნოგრაფიით ტკბებოდა, ოსია იყო. ღმერთთან თავის საუბარს რომ გადმოგვცემს, საკმაოდ უწმაწურ გამოთქმებს ხმარობს და უზნეო წვრილმანებს გვიამბობს. ამ ოსიამ, სამარიტელმა, ებრაელთა ღმერთის კულტი მიიღო. ბიბლია მას ღვთის მორჩილებისა და მოშიშობის მაგალითად გვისახელებს. მაგრამ რა უცნაურ ბრძანებებს აძლევს ღმერთი! „დასაბამი სიტყვათა უფლისათა ოსეს მიმართ, და ჰრქვა უფალმან ოსეს: წარვედ და მოიყვანე თავისა შენისა დედაკაცი სიძვისა და შვილნი მისნი სიძვისანი, რამეთუ სიძვით ისიძვიდეს ქვეყანასა უკანათგან უფლისა“ *(ოსე, 1, 2)*.

უფლის ამ უზნეო რჩევით ამართლებს საწყალი ოსე ანუ ჰსია თავის საქციელსა თუ უსაქციელობას, როსკიპი დედაკაცი რომ შეირთო. თუ წინასწარმეტყველს ვერწმუნებით, ღმერთმა ერთგვარი შეღავათი მისცა: ნება დართო დაწოლილიყო თავისი ერთ-ერთი მეგობრის ცოლთან, ოღონდ იმ პირობით, თუ იმ ქალმა ქმარს უკვე უღალატა სხვასთან.

„თქვა უფალმან ჩემდამო კვალად: წარვედ შენ და შეიყვარე დედაკაცი ერთი, რომელსა უყვარდეს სიბოროტე და იყოს როსკიპ, — ვითარცა შეიყვარა ღმერთმან ძენი ისრაელისანი, ხოლო იგინი ჰმსახურებდეს ღმერთთა უცხოთა და უყვარან ნაგუდალნი ყურძნისანი. მორეწედ დავსდევ ათხუთმეტისა ვეცხლისა და სათოველისა ერთისა ქრთილისა და ნახევარ სათოველისა ქერისა. და ვარქვი მას: მრავალთა დღეთა მგებდი მე (დარჩიო ჩემთან) და არღარა ისიძო და არცა შეეყო კაცსა სხვასა და მეცა გგებდი შენა“ *(ოსე, 3, 1—3)*.

აბა სხვა რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ მთელი ამ ღაღადისიდან, რომლის მსგავსიც ბიბლიაში აუარებელია, გარდა იმისა, რომ „ღვთის ხალხი“ შედგებოდა რჯულიდან გადამდგართა და ლოთებისაგან, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ, თუ ვერწმუნებით წინასწარმეტყველ იოველს: „განიფრთხვეთ (გაიღვიძეთ) დამთვრალთა და ტიროდეთ: გოდებდით ყოველნი მსმელნი ღვინოსა სიმთრვალედ, რამეთუ მოღებულ არს პირისაგან თქვენისა შვება და მხიარულება“ *(იოველი, 1, 5)*.

ესთერის წიგნიც ალბათ იმ მიზნითაა დაწერილი, რომ ებრაელთა ეროვნული თავმოყვარეობის ჭრილობები გაამთელონ. ამ წიგნის მიხედვით, მეფე არტაქსერქსმა გამართა ნადიმი, რაც 180 დღეს გაგრძელდა*. ეს ნადიმი რომ დამთავრდა, მეორე მოაყოლა, რაც გათვალისწინებული იყო მთელი ქალაქისათვის და გაგრძელდა შვიდ დღეს. ჰოდა, მეშვიდე დღეს, შეზარხოშებულმა მეფემ თავის ევნუქებს უბრძანა „შემოყვანებად ასტინ დედოფლისა წინაშე მისსა, რომელ სუფევდეს იგი, და დაადგას მას ზედა გვირგვინი მეფობისა, და უჩვენოს იგი ყოველთა მთავართა და წარმართთა შვენიერება მისი, რამეთუ შვენიერ იყო“ *(ესთერი, 11)*.

მაგრამ დედოფალმა „არა ისმინა მისლვად საჭურისთათანა“, რადგან მოქეიფეებით გაჭედილ დარბაზში რომ თავისი მშვენიერება ეჩვენებინა, ამისათვის არსებული ბიბლიური ზნის პირობებში დედოფალი სრულიად უნდა გაშიშვლებულიყო, ეს კი ლამაზმა ასტინმა იუკადრისა. გამძვინვარებული მეფე ცოლს გაეყარა, მისი გვირგვინი კი დაუთქვა ულამაზეს ქალწულს, რომელიც ხელმწიფეს მოეწონებოდა. მთავარი საჭურისის ჰეგაის წინამძღოლობით ბაბილონში ჩამორეკეს უთვალავი ლამაზი ქალიშვილი.

---

* დაბადებაში გამოტოვებულია: არტაქსერქსი (არტაქსარი, საკ. აჰასფეროსი) „მეფობდა ინდოეთიდან მავრიტანიამდე“.

ყოველ მათგანს მორიგეობით თითო ღამე უნდა გაეტარებინა მეფის საწოლში. ეს იყო გამოცდა.

ჰოდა, დაიწყო!

„და იყო კაცი ებრაელი სუსან ქალაქსა შინა და სახელი მისი მარდოხე, ძე იაირისა, ძისა სემეისა, ტომისაგან ბენიამენისა, რომელი-იყო ტყვე იერუსალემითგან ნაბუქოდონოსორის მეფისა ბაბილონისა და ჰყვა მას ქალწული, გამოზრდილი ამინადაბისა, ძმისა მამისა მისისა, და სახელი მისი ესთერ. ხოლო შემდგომად მიცვალებისა მშობელთა მისთა მოიყვანა იგი მარდოხ ასულისა წილ და იქმნა ასული შვენიერი და კეთილ სახილავ. და ოდეს სმენილ იქმნა ბრძანება მეფისა, შეკრებულ იქმნა ქალწულთა მრავალთა სუსან ქალაქსა შინა ხელსა ქვეშე აღაისა და მიყვანებულ იქმნა ესთერ აღას მიმართ, მცველისა მიმართ დედათა, და სათნო იქმნა მისა ქალი და პოვა მადლი წინაშე მისა და ისწრაფა ნელსაცხებელი მისა მიცემად ნიჭთა და შვიდნი ქალწულნი დაადგინა მისთანა სახლისაგან მეფისა და სცვიდენ იგინი და მხილველნი მისი კეთილნი სახლსა შინა დედათასა. და არა მიუთხრა ესთერ ნათესავი თვისი, არცა მამული, რამეთუ მარდოხე ამცნო მას არა მითხრობად (ე. ი. მარდოხემ გააფრთხილა, არ გაამხილო, რომ ებრაელი ქალი ხარო). ხოლო ყოველსა დღესა ვიდოდა მარდოხე სახლისა მიერ სადედოსა, მჭვრეტელი რა ესთერისა შეიმთხვა. ხოლო ესე იყო ჟამი ქალწულისა, რომელი შევიდოდა მეფისა მიმართ, ოდეს აღესრულოს ათორმეტნი თვენი, რამეთუ ესრეთ აღასრულებდეს დღეთა განშვენებისასა ექვს თვე სუნელთა შორის და ნელსაცხებელთა შინა დედათა და ექვს თვე მცხებელნი ზმირინთა ზეთითა, და მაშინ აღვიდოდეს მეფისა მიმართ, და რომლისა უკეთუ ჰრქვას მოყვანებად, იგი შევალს მისთანა ერთბამად სახლიდან სადედოსა, ვიდრე სახლადმდე მეფისა. მწუხრსა ზედა შევიდოდა და განთიადს მიექცეოდა სახლსა შინა სადედოსა... და შევიდა ესთერ მეფისა მიმართ არტაქსერქსისა, მეათორმეტი თვესა... წელსა შინა მეშვიდესა მეფობისა მისსა. და უქმნა მეფემან ლხინნი ყოველთა მეგობართა თვისთა და ძალთა შვიდ დღე, და აღამაღლა ქორწილი ესთერისა, და იყო განსახარელი მყოფთა სამეფოსა შინა მისსა“ *(ესთერი, 2,5—17)*.

გავიდა ხანი და მეფის ვეზირთუხუცესი გახდა ვინმე ამანი. ეს ამანი მეტისმეტად ამპარტავანი ვინმე იყო და უნდოდა, რომ ყველა მის ფერხთა მტვრად ქცეულიყო. მხოლოდ მარდოხემ არ სცა თაყვანი. მაშინ გამძვინვარებულმა ამანმა მეფეს გამოსთხოვა ბრძანება, რომ ყველა ებრაელი უკლებლივ გაეწყვიტათ. მიუხედავად გონებრივი გამჭრიახობისა და პოლიტიკური გაქნილობისა, რომლის შემწეობითაც ასეთ მაღალ სახელმწიფოებრივ პოსტზე მოხვდა, ამანმა ვერავითარი სხვა ღონისძიება ვერ გამონახა მარდოხეს მოსადრეკად. მაგრამ როცა ებრაელთა გაწყვეტის

ბრძანებას უკვე ყველა მხარეში გზავნიდნენ, მარდოხემ მოახერხა ესთერის გაფრთხილება, და დედოფალი მეფესთან გაეშურა. მისი მშვენიერებით მოხიბლულმა არტაქსერქსმა ნაზად ჰკითხა, რას ინებებო, და ყოველ შემთხვევისათვის იქვე ნახევარი სახელმწიფო შესთავაზა. ესთერმა მეფეს და ამანიც სადილად მიიწვია.

სადილი შედგა, და მოხიბლულმა არტაქსერქსმა ისევ შესთავაზა ნახევარი სამეფო. ესთერმა უარი უთხრა, მაგრამ თავის გვირგვინოსან მეუღლეს სთხოვა, ხვალაც მეწვიე სადილად, ამანის თანხლებითო. ვეზირთუხუცესი ისე გაამაყდა დედოფლის ასეთი ყურადღებით, რომ თავის ცოლსა და მეგობრებსაც კი თავი მოაწონა, ტრაბახი დაიწყო. მაგრამ მარდოხეს დამოუკიდებლობა ახლა უფრო აწუხებდა, ვიდრე ოდესმე. ამიტომ ბრძანა აღემართათ ორმოცდაათი წყრთის სიმაღლის (26 მეტრი!) სახრჩობელა და გუნებაში ეს უზარმაზარი „ნაგებობა“ უკვე მიუძღვნა საძულველ ებრაელს, რომელსაც არ სურდა მის წინაშე მუხლის მოყრა: ამანმა ჯერ არაფერი იცოდა მარდოხეს და დედოფლის ნათესაობაზე.

ამასობაში არტაქსერქსმა, რომელსაც იმ ღამეს რატომღაც არ დაეძინა, ბრძანა, ჩემი სამეფოს ანალები წამიკითხეთო. ამრიგად, საშუალება ეძლეოდა გაეხსენებინა, რომ ორმა საჭურისმა, ჰავაფამ და ფარამ შეთქმულება მოუწყო, უნდა მოეკლათ, მაგრამ მათი შეთქმულება ვინმე მარდოხემ აღმოაჩინა, და ამრიგად მარდოხემ მეფე დაღუპვისაგან იხსნა. ეს საკმაოდ ძველი ამბავი იყო. მეფემ იკითხა, როგორ დავასაჩუქრეთო მარდოხე. არავითარი საჩუქარი არ მიუღიაო, უპასუხეს. ამიტომ მეორე დღეს, როცა ამანი გამოცხადდა, მეფემ ჰკითხა, როგორ უნდა მოექცეს ხელმწიფე ადამიანს, რომელსაც განსაკუთრებული პატივი უნდა მიაგოსო. ამანს ეგონა, საქმე მე მეხებაო, და ასეთ პასუხი გასცა: ასეთ ადამიანს მეფის სამოსელი უნდა ჩააცვათ, ცხენზე შესვათ, ქალაქის მოედანზე გამოიყვანოთ და საჯაროდ გამოაცხადოთ: აი, ადამიანი, რომელსაც მეფემ თავის საბრძანებელში სრულიად განსაკუთრებული პატივი უნდა მიაგოს-თქო. მაშინ მეფემ ამანს უბრძანა, მარდოხე მომინახე და ეს ცერემონიალი აღასრულე მის მიმართო. რა თქმა უნდა, ამანი წელმოწყვეტილი წავიდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, მეფის ბრძანება უნდა სისრულეში მოეყვანა *(თავ. 6)*.

საღამოს დედოფალმა მეორე სადილობა გაუმართა მეფესა და მის კარისკაცს, მაგრამ ამანი გუშინდელივით მხიარულ გუნებაზე ვერ იყო. მეფემ მესამედ შესთავაზა მეუღლეს ყველაფერი, რასაც ინებებდა, თუნდაც ისევ ის აჩემებული ნახევარი სამეფო. მაგრამ დედოფალმა მისი ტომის ადამიანთა შეწყალება სთხოვა. არტაქსერქსი, რომელიც მეუღლის არჩევის დროს მისი ჩამომავლობით არ დაინტერესებულა, ძლიერ გაოცებული დარჩა. როცა დედოფალმა აუხსნა, ერთმა მტერმა განიზრახა მთელი

ჩემი მოდგმის გაწყვეტაო, არტაქსერქსმა შესძახა: „ვინ არს ესე, რომელმან იკადრა ყოფად საქმე ესე?“ და პრქვა ესთერ: კაცი მტერი, ამან ბოროტი ესე“ (თავ. 7, მუხლ. 5—6).

ამანი შეშფოთდა, მეფე გაშმაგდა, ხოლო შემოსულმა სპეკულატორმა თქვა: მაღალი ხე, მინისტრის ბრძანებით რომ აღმართეს, მარდოხეს მოსახრჩობად არისო გათვალისწინებული. კვანძი იხსნება: გამზადებულ სახრჩობელაზე მეფის ბრძანებით ჰკიდებენ თვითონ ამანს, მის ადგილზე კი პირველ მინისტრად ნიშნავენ, — თვითონვე მოგეხსენებათ, — მარდოხეს.

მეფის თანხმობით ესთერმა და მარდოხემ გამოაცხადეს: ადარის თვის მეცამეტე დღეს, როცა ებრაელთა გაჟლეტა იყო ნავარაუდევი, ყველა ებრაელს უფლება ეძლეოდა მოეკლა სხვა ტომის ადამიანი, რომელიც ცუდად ექცეოდა ტყვეობის დროს. „და მასვე დღესა შინა წარწყმდებოდეს მტერი ებრაელთა... და სუსან ქალაქსა მოსწყვიდნეს ებრაელთა ხუთასნი კაცნი“ (თავ. 9, მუხლ. 2—6). საერთოდ, სუზში 800 კაცი დახოცეს, სამეფოს სხვა ქალაქებში კი — 75 000 კაცი. ადარის მეთხუთმეტე დღეს ებრაელები ყველგან ნადიმობდნენ. ესთერმა ბრძანება გამოსცა, ამ მოვლენის სამახსოვროდ ეს დღე ყოველწლიურად ზეიმით აღინიშნოსო. ესაა „პურიმის“ დღესასწაული, რასაც მორწმუნე ებრაელები აღნიშნავენ: ერთი დღის მარხვა ესთერის ლოცვის და დარდის სახსოვარია, ორი დღის მხიარულება — გაწყვეტისაგან ებრაელთა გადარჩენის აღსანიშნავი.

ასეთია ზღაპარი, საიდანაც ქურუმებმა წმინდა ისტორია შექმნეს, და ეს ისტორია უნდა ვიწამოთ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ისტორიის საწინააღმდეგო ამბავს ღაღადებს. წმინდა ლეგენდა, სხვათა შორის, მუდამ რაიმე უმსგავსობიდან იწყება: თუ დედოფალმა ასტინმა ქმარს უარი უთხრა კარისკაცთა დასწრებით გაშიშვლებაზე, დედოფლობის მორიგმა კანდიდატმა, უნდა ვიფიქროთ, ასეთი შეცდომა აღარ დაუშვა და მზად იყო ქმრის ყოველგვარი სურვილი შეესრულებინა. კრიტიკოსები ამტკიცებენ, არასოდეს არც ერთი აღმოსავლელი მბრძანებელი — არც თურქეთის სულთანი, არც მაროკოს ბეი, არც სპარსეთის შაჰი, არც დიდი მოგოლი, არც ჩინეთის ბოგდიხანი თავის ჰარამხანაში არ მიიღებდა ქალიშვილს, თუ წინასწარ მის ჩამომავლობასა და გვარ-ტომობას არ გაარკვევდა. არც ერთი ულაყიც კი არ დაბმულა ხსენებულ მბრძანებელთა საჯინიბოში, თუ მეჯინიბეთუხუცესს არ ეცოდინებოდა, რა ჯიშისა იყო ცხენი. როგორ დავიჯეროთ, რომ არტაქსერქსმა არ იცოდა გვარი, ტომი და რელიგია ქალიშვილისა, რომელიც ცოლად შეირთო და ტახტზე დასვა?

რაც შეეხება ამანს, რომელსაც მთელი ხალხის გაწყვეტა განუზრახავს მხოლოდ იმისათვის, რომ ვიღაც მარდოხმა ქუდი არ მოუხადა,

იმ დროს როცა ყველა დანარჩენი ებრაელი ქუდსაც უხდის, ჩექსაც უხრის და კრძალვითაც ემორჩილება, ასეთი სასაცილო და თანაც საშინელი სიგიჟე არასოდეს არავის არ მოსვლია თავში. მეორე მხრივ, თუნდაც ესთერს მოეხერხებინა კიდეც თავისი ებრაელობის დაფარვა ეტიკეტზე მოტყუებით ასვლა, ან ამაღლების ფასიც საგრძნობლად კლებულობს რადგან ეს ბევრს არაფერს აძლევს მისი ერის ნაციონალური თავმოყვარეობას. არც ის ჩანს, რანაირად დააბრალა არტაქსერქსმა ამანს, ჩემი ესთერის მოკვლა გდომებიაო, როდესაც არავინ არ იცოდა დედოფლის ებრაელობა? დაბოლოს, აზიზ ესთერის საზიზღარი სისასტიკე ზღაპარს არა მარტო სასაცილო, არამედ აღმაშფოთებელ სახესაც აძლევს.

„ჩვენ ვიცით, — ამბობს ვოლტერი, — რომ ესთერის ზღაპარს ერთი მომხიბლავი მხარე აქვს: ტყვე ქალი დედოფალი ხდება და დაღუპვისაგან იხსნის თავის ერს, — ეს კარგი სიუჟეტია რომანის ან ტრაგედიისათვის. მაგრამ როგორ აფუჭებს ამ ამბავს წინააღმდეგობა და უაზრობა, რითაც ეს წიგნი აღსავსეა! როგორაა ის ჩირქმოცხებული ესთერის ბარბაროსობით, რაც ეწინააღმდეგება მის სქესსა და უბრალო ყოველდღიურ სიმართლეს!“

ეზდრასა და ნეემიას ღვთისაგან არჩეული ხალხის განთავისუფლების ამბავთან ერთად ვუახლოვდებით. ფანტასტიკური ბიბლიური ქრონოლოგიის თანახმად, ებრაელთა მძიმე ტყვეობა რამდენადმე შემსუბუქდა ასურის, დარიოსის მამის დროს. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ დარიოსი იყო სპარსელი მთავრის გისტასპის შვილი, რომელიც არასოდეს არსად არ მეფობდა. ებრაელთა ტყვეობა შედარებით იოლი უნდა ყოფილიყო აგრეთვე დარიოსის დროს, რომელმაც პირველ მინისტრად ებრაელთა დანიელი დანიშნა, ისევე როგორც ასურის (არტაქსერქსის) დროს, როდესაც პირველი მინისტრი მარდოხე ყოფილა. მაგრამ ბიბლია, როგორც უკვე ვნახეთ, დარიოსს კიროსის წინ ამეფებს. ეზდრას წიგნში კიროსს მოსდევს ასურის, მერე არტაქსერქსი, ბოლოს ისევ დარიოსი. ეს ახლებური განლაგებაც ისევე ნაკლებად შეესაბამება ისტორიას, როგორც ბიბლიის დანარჩენი ამბები.

ყოველივე ამის გარდა, ეზდრა და ნეემია, ორი წინასწარმეტყველი, რომელთაც ემყარება ეკლესია ტყვეობიდან ებრაელთა დაბრუნების პირობების ზუსტად დასადგენად, ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ეზდრა ამბობს, რომ კიროსი თავისი ბატონობის პირველსავე წელს აძლევს ნებას ებრაელებს, შინ დაბრუნდითო, იუდეაში, და საგანგებო ედიქტით განაცხადა, ღმერთმა მიბრძანა იერუსალიმის ტაძრის შეკეთებაო. ებრაელები შინ თავიანთი წინამძღოლის ზორაბაბელის მეთაურობით ბრუნდებიან. ტაძრის ხელახლა აშენება შეწყდა ჯერ ასურის, მერე კი არტაქსერქსის მეფობის დროს იმ სხვადასხვა ხალხის წინააღმდეგობის გამო, რომლებიც

ბაბილონის ტყვეობის ჟამს ებრაელთა მიწაწყალზე დასახლებულან. ბოლოს, დარიოსის მეფობის დროს, ეს მტრობა დასრულდა და ახალი მეფის ტახტზე ასვლის მეექვსე წელს ტაძრის მშენებლობაც დამთავრდა.

ნეემია კი ამბობს, რომ არტაქსერქსმა თავისი მეფობის მეოცე წელს ებრაელებს ნება დართო იერუსალიმში დაბრუნებულიყვნენ და დანგრეული ქალაქი აღედგინათ, ხალხის სათავეში კი ზორაბაბელი იდგა. ამთავრებულ ქვეყანაში დასახლებული ხალხების წინააღმდეგობა ებრაელებმა ვერ გატეხეს ისე, რომ ცალ ხელში ბარი ეჭირათ, მეორეში — მახვილი. ბოლოს წმინდა ავტორი მოგვითხრობს, ბაბილონში იმ დროს ვიყავი, როცა ტაძრის მშენებლობა უკვე თავდებოდა, ეს იყო არტაქსერქსის მეფობის ოცდამეთორმეტე წელსო*.

მაგრამ ეზდრა ამტკიცებს, რომ ნეემია ზორაბაბელს ახლდა იუდეაში დაბრუნების დროს, არტაქსერქსეს მეფობაში, ოღონდ მისი მეფობის მეშვიდე და არა მეოცე წელს. თანაც დასძენს, სწორედ მე და არა სხვა ვინმე მოვუძღოდი ხალხს ტყვეობიდანო. სცადეთ ამ ხლართებიდან თავის დაღწევა! რომელი წინასწარმეტყველია მართალი და რომელი ტყუის? იქნებ ორივე მართალია?

---

* არტაქსერქსე (ძვ. სპარს. „ძლევამოსილი") — სამი მეფის სახელია, სპარსულ ლეგენდებში გაერთიანებული.

ნეტარხსენებული წმიდა მამანი — მრავალტანჯული იობი და იონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზდრას, ნეემიას და ესთერის წიგნებს ბიბლიაში მოსდევს იობის წიგნი, რომლის ფურცლებზე მოთხრობილი ამბავიც ვერავინ დაათარიღა. ის შემდეგში მდგომარეობს: სადღაც უცის მიწაზე ოდესღაც ცხოვრობდაო საოცრად მდიდარი და ღვთისმოშიში კაცი, სახელად იობი.

„კაცი ვინმე იყო ქვეყანასა ავსიტისასა, რომლისა სახელი იობ*. და იყო კაცი იგი ჭეშმარიტ, უბიწო, მართლ, ღვთის მსახურ, განშორებულ ყოვლისაგან ბოროტისა ნივთთა. ხოლო იყვნეს ძენი მისნი შვიდ და ასულნი სამ. და იყო საცხოვარი მისი ცხვარი შვიდიასი, აქლემები სამათასნი, უღლეული ხართა ხუთასი, ვირი ხდალი მძოვარი ხუთას, და მსახურთა სიმრავლე ფრიად და საქმენი მისნი დიდ იყვნეს ქვეყანასა ზედა, და იყო კაცი იგი აზნაური მზისა აღმოსავლისათაგანი“ *(იობი, 1, 1—3)*.

როგორც ვხედავთ, ეს ჩვენი აზნაური იობი ნამდვილი მილიონერია, ფაშასავით ხელგაშლილი ცხოვრობს, დარდი არ იცის. ნადიმობს, მსხვერპლსა და ზვარაკს არ იშურებს ღვთისთვის და ისიც სწყალობს... „ესრეთ უკვე ყვის იობ, შემდგომად ყოველთა დღეთა, და იყო ვითარცა დღე ესე, და აჰა, მოვიდეს ანგელოზნი ღვთისანი დგომად წინაშე უფლისა, და ეშმაკიცა მოვიდა მათთანა. და ჰრქვა უფალმან ეშმაკსა: სადით მოხვალ? და მიუგო ეშმაკმან უფალსა და ჰრქვა: მომივლიეს ქვეყანა და განმივლიეს ცასა ქვეშე და მოვედ. და ჰრქვა მას უფალმან: მიხედეა გონებითა შენითა მონასა ზედა ჩემსა იობს! რამეთუ არა არს მსგავსი მისი მყოფთაგან ქვეყანასა ზედა კაცი უბიწო, მართლ, ჭეშმარიტ, ღვთის მსახურ, განშორებულ ყოვლისაგან ნივთისა ბოროტისა. ხოლო მიუგო ეშმაკმან წინაშე უფლისა და ჰრქვა: ნუ სადა, ცუდად ჰმსახურებს იობ უფალსა. ანუ არა შენ თუ მოჰზღუდეა გარემოი მისი, და შინაგანი სახლისა მისისა, და მყოფი გარეშე ყოველივე მისი. ხოლო საქმენი ხელთა მისთანი აკურთხენ. და საცხოვარი მისი მრავალ ჰყავ ქვეყანასა ზედა. არამედ

---

* ბიბლიაში ჩვეულებრივ ამ ადგილას ნახსენებია ქვეყანა უცი (ასე აქვს ლუთერსაც), ესაა საკუთარი სახელი არამის შვილისა (დასახელებული მაგალითად მოსეს წიგნში, 10, 23). როგორც ადგილის სახელი, გაურკვეველია.

მიავლინეღა ხელი შენი და შეახე ყოველთა შინა, რომელიცა აქვს, უკეთუ პირითაღა თუ გაკურთხევდეს შენ!“*

სატანის პასუხი ანგარიშგასაწევია: სიკეთით აგივსია და თაყვანს გცემს, მაგრამ აბა სიმწარე აგემე, თუ გაკურთხოსო! ღმერთმა არ იხეპა თავისი ერთგული მსახურის განაწყენება, სამაგიეროდ სატანას ნება დართო: გამოსცადე და რაც გენებოს, ის გაუკეთეო! მთელი მიწა-წყლები ხელთ მომიცია, ოღონდ „თვით მას არა შეეხო“, ე. ი. არ მოკლაო, უთხრა ცინიკურად.

იობზე, რა თქმა უნდა. მაშინ შეუდგა ბატონი ეშმაკი მოხუც იობის „დამუშავებას“, როგორც იტყვიან. დაიწყო იმით, რომ მომთაბარე არაბებმა მისი მსხვილფეხა საქონელი და დედალი ვირები გარეკეს. მერე მეხმა ცხვარი დაუღუპა, ზედ მწყემსებიც მიაყოლა. ქალდეველებმა მისი აქლემების ჯოგი გაიტაცეს და მეჯოგეებიც გაწყვიტეს. ბოლოს მძვინვარე უდაბნოს ქარმა სახლი დაუნგრია, ნანგრევებში ჩაიმარხა მისი შვიდი ვაჟი და სამი ასული.

იობს ეს ახალი ამბები ერთიმეორის მიყოლებით შეატყობინეს, თითქმის ზედიზედ. მაგრამ ბერიკაცი სათნო ხასიათისა იყო, მხოლოდ დაიჩოქებდა და შესძახებდა: „თვით მე შიშველი გამოვედ მუცლითგან დედისა ჩემისა, შიშველიცა განვიდე მუნვე. უფალმან მომცა, უფალმან მიმიღო. ვითარცა უნდა უფალსა, ეგრეთცა იქმნა, იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდე“ *(მუხლ. 1, 21)*.

მაგარი მოხუცი იყო, მეტი არაფერი არ გაუკეთებია. მაგრამ არც სატანა თვლიდა თავს დამარცხებულად. ძალიან მოკლე ხანში იობმა საკუთარ ტანზე ჩირქიანი წყლულები შენიშნა, თავით ფეხამდე მოედო და გააწამა ღვთისმსახური მოხუცი. ნაკელზე იჯდა იობი და ქოთნის ნამუსრევით იცილებდა ჩირქს, ღია ჭრილობებიდან რომ სდიოდა. ცოლი ლანძღავს, მაგრამ იობი ბრძნულ პასუხს აძლევს: „რად ვითარცა ერთი უგუნურთა დედათაგანი იტყვი: უკეთუ კეთილი შეიწყნარეთ ხელისაგან უფლისა, ბოროტი არა მოვითმინოთა თუ? ყოველთა შინა ამათ შემთხვევათა მისა არა რაი ცოდა იობ წინაშე ღვთისა ბაგითა“ *(მუხლ. 2, 10)*.

უეცრად კი მოჰყვა მაინც იობი წუთისოფლის გმობასა და თავისი სასტიკი ბედის გამო ტირილს. თავისი დაბადების დღეს წყევლის: „რათა წარწყმდეს დღე, რომელსა შინა ვიშევ, და ღამე იგი, რომელსა შინა თქვეს: აჰა, არს წული!“ *(მუხლ. 3, 3)*. ხმამაღლა მოუხმობს სიკვდილს. ეს ჩივილი გამოხატულია მესამე თავის ოცდაექვს მუხლში. მაგრამ რამდენადაც წიგნის ძირითად იდეას ეწინააღმდეგებიან, წმინდა წერილის სახელმძღვანელოებში ეს ადგილი გამოტოვებულია ხოლმე. მართლაც, წიგნი რომ ამ ჩივილამდე თავდებოდეს, ბევრად მოიგებდა. ეშმაკს სანაძ-

---

* ლუთერის და მთავარ სხვა თარგმანში ეშმაკის ნაცვლად წერია სატანა.

ლეო ჰქონდა დადებული ღმერთთან და როგორც კი იობი ჩივილს დაიწყებდა, არსებითად მოგებული ჰქონდა სანაძლეო.

ამ დროს მოდიან იობის მეგობრები, მეფეები ვილდადი (ვალდადი), ელიფაზი და სოფარი, რომელთაც მიზნად დაუსახავთ მეგობრის დაშოშმინება თავიანთი ვრცელი შეგონებებით. უბედურება მხოლოდ გაბორტყვებულთ ატყდებათო, მოაგონებენ. იობი ღმერთს მოუწოდებს პირწმედ, არავითარი ბოროტება არ ჩამიდენია, უდანაშაულოდ ვიტანჯებიო. იობისა და მისი მეგობრების ეს მოსაწყენი საუბარი გრძელდება... ოცდაცხრა თავში ანაზდად, 32 თავში გამოცხადდება ახალი თანამოსაუბრე — ელიუს, ყველა დანარჩენზე უფრო ახალგაზრდა. მისი მიზანი ის კი არაა, იობს უთხრას, ყველა ციური სასჯელი დამსახურებული გაქვსო, არამედ ისა, რომ გააფრთხილოს, მეტისმეტ ამპარტავნობას იჩენ, შენს უცოდველობაზე რომ ლაპარაკობო. ვერც ერთი მოკვდავი ვერ ჩასწვდება ღვთის მსჯავრს და ვერავინ ვერ დააღწევს თავს სავსებით შეცოდებებს, რომ უფლის წინაშე სპეტაკი გამოვიდესო. შენ ვინ ხარ, რომ თქვა, მართალი ვარო.

შემდეგ ღმერთი ქარიშხლის ფრთებზე გამოცხადდა, გაკიცხა ელიუ და მოაგონა ზოგიერთი სასწაული, რაც მის ყოვლისშემძლეობას მოწმობს. იობი აღიარებს, სისუსტემ და უბედურებამ საზღვარს გადამიყვანესო, ნანობს თავის სულმოკლეობასა და უმეცრებას, ღმერთიც მის მორჩილებას სარწმუნო საბუთად თვლის, მაშინვე წყლულებს მოურჩენს და ორმაგად უბრუნებს ყოველივე დაკარგულს... შვილებსაც, ცხადია. ღმერთი თავისი ძლიერების საბუთად გამოიყვანს ორ საკვირველ ცხოველს — ბეჰემოთსა და ლევიათანს, რომელთა ფანტასტიკურ აღწერილობას ორი გვერდი უჭირავს. წმინდა წერილში ამდენი ადგილის დათმობა ორი ზღაპრული მხეცისათვის, ცხადია, მეტისმეტი სიუხვეა, რაც არღვევს სიმეტრიას. სამაგიეროდ ავტორი სრულიად ივიწყებს ეშმაკს, დასაწყისში რომ დიდის ამბით შემოდის. ერთ-ერთი მთავარი გმირი ასპარეზიდან ისე ქრება, არც კი დაგვემშვიდობა. უკანასკნელ, 42 თავში ის მოგვითხრობს, რომ იობს კიდევ ეყოლა იმდენივე შვილი — შვიდი ვაჟი და სამი ქალი — ამრიგად, უკვე ყველაფერი ორმაგად დაუბრუნდა, ასეთი მძიმე განსაცდელის შემდეგ მომთმენმა ბერიკაცმა კიდევ იცოცხლა 140 წელი და მშვიდად მიიცვალა, ორას ორმოცდა რვა წლისა, „სავსე დღითა“*. პატრიარქი მოესწრო მეოთხე თაობას და ისეთი ქალიშვილები დარჩა, „არა იპოვნეს მგზავსნი შვენიერებასა შინა ასულთა იობისთა ცასა ქვეშე“.

ცხადია, იობის წიგნი მაინცა და მაინც გულის წამღებ ინტერესს არ შეიცავს. კრიტიკოსები მის ერთ უცნაურობას შენიშნავენ: სატანა ცაში ისე დაეხეტება, კეთილ ანგელოზებს შორის, როგორც საკუთარ სახლში.

---

* ქართულ დაბაღებაში აქაც სხვა ციფრია: „ცხოვნდა იობ შემდგომად წყლულებისა ას სამეოცდა ათ წელ“ (თ. 42, 16).

უბრალოდ უდებს ღმერთს სანაძლეოს, იობს დავჩაგრავ და ღვთის გმობას დავაწყებინებო. ღმერთიც იღებს წინადადებას და იმედოვნებს, რომ მისი ერთგული მსახური გამოცდას გაუძლებს. ამრიგად, ნათელი ხდება, რომ ღმერთი მთლად გარკვევით ვერ ხედავს მომავალს და ზოგჯერ ცდება კიდეც, რადგან ბოლოს და ბოლოს, სანაძლეო ხომ ეშმაკმა მოიგო! იობმა მართლაც უღალატა თავის მოთმინების სარწმუნოებას.

ახლა წინასწარმეტყველ იონას წიგნს მივხედოთ. იონა წარმრ-შობით გალილეველი იყო. მისი ცხოვრება ებრაელთა მეფის იერობოამ მეორის მეფობას ემთხვევა. ამრიგად, ერეტიკოსებს შორის იზრდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ღმერთმა უბრძანა, ნინევიაში წადი და იქადაგეო. იონა ერთადერთი წინასწარმეტყველი იყო, რომელმაც ამნაირი დავალება მიიღო. რა ენაზე ქადაგებდაო, კითხულობს ვოლტერი, და შენიშნავს, იონას სამშობლოდან ნინევიამდე ექვსასი კილომეტრი მანძილიაო. იონამ ვერ შეატყო, რომ მისი ქადაგება რაიმე წარმატებას მოუტანდა. ნინევიაში წასვლის ნაცვლად მის საპირისპირო მხარეს გაემგზავრა, იოპიაში ჩავიდა, საზღვაო ქალაქში და ფარსისში მიმავალ გემში ჩაჯდა.

ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. საოცარი კია, მაგრამ გემების დამღუპველმა ქარიშხალმა იონა დააძინა. ზარდაცემულმა მეზღვაურებმა მთელს ტვირთს ზღვაში გადაუძახეს, მაგრამ შემსუბუქებული ხომალდი უწინდელზე უარესად ქანაობდა. მაშინ კაპიტანმა იონა გააღვიძა და უთხრა: შეევედრე შენს ღმერთს, გადაგვარჩინოსო, სტიქია დააშოშმინოსო. იონამ ეს არ გააკეთა. ზღვა სულ უფრო ბობოქრობდა... ბიბლიაში ეს ამბავი რეალისტურადაა აღწერილი:

„უფალმან აღადგინა ქარი ზღვასა შინა და იქმნა ღელვა დიდი შორის ზღვისა, და ნავი დაჭირვებულ იქმნებოდა შემუსრვად და შეშინდეს მენავენი, და ხმობდა კაცად კაცადი ღვთისა მიმართ თვისისა, და გარდაყრა ქმნეს ნავის შინათა ჭურჭელთა ზღვად, აღსუბუქებად მათგან, ხოლო იონა შთავიდა უბესა ნავისასა და დაეძინა და ხვრინვდა. და მოვიდა მისდამი მეპრორე და ჰრქვა მას: რასა ჰხვრინავ შენ, აღდეგ და ჰხადე ღმერთსა შენსა, უკეთუ ვითარ მაცხოვნნეს ჩვენ ღმერთმან და არა წარვწყმდეთ... მოვედით ვყარნეთ წილნი, ვსცნათ, ვისთვის არს სიბოროტე ესე ჩვენ ზედა! ყარნეს წილნი და დავარდა წილი იონას ზედა, და თქვეს მისდამი: მითხარ ჩვენ, რასათვის არს სიბოროტე ესე ჩვენ შორის?“ *(იონა, 1, 4—8)*.

მოკლედ, წილი იონას ხვდა. უბედურების მიზეზი მაშინვე ზღვაში გადააგდეს. იმავე წამს ღელვაც შეწყდა. მაგრამ იონას ბევრი მლაშე წყლის გადაყლაპვა მოუხდა. სადაც იყო, სადაც არა, გამოჩნდა ვეშაპი. სამხრეთის ზღვებიდან ჩამოეცურა, რომ გაეგო, რა ხდება ხმელთა-

შუა ზღვაში. ცნობისმოყვარე ბუმბერაზმა პირი დააღო და იონა გადაყლაპა.

ამას იონა არ მოელოდა. მაგრამ გამოსავალი არ იყო და მოთმინებით დაელოდა საქმის ვითარებას, თავის უცნაურ სამყოფელში გამომწყვდეული. ბიბლია ამბობს, სამი დღე და სამი ღამე დარჩა იონა ვეშაპის მუცელში და ღვთის სადიდებელ საგალობლებს ალაპარაკდა. ღმერთსაც, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ის უნდოდა, რომ მისთვის ჭკუა ესწავლებინა. რაკი დარწმუნდა, რომ იონამ ურჩობა მოინანია, ღმერთმა ფანტასტიკურ თევზს უბრძანა, უკანვე გადმოანთხიეო. ვეშაპმა შეისმინა და მოახდინა იონას ევაკუაცია. წინასწარმეტყველი ისევ ხმელეთზე აღმოჩნდა. ახლაც გვიჩვენებენ იმ ადგილს, სადაც ვეშაპმა იონა გადმოაფრქვია. მართალია, ღვთისმეტყველთ დაბეჯითებით ვერ გაურკვევიათ, პირიდან მოახდინა ასეთი ევაკუაცია თუ უკანა მხარეს, კუდიდან.

ურწმუნო კრიტიკოსები ამბობენ, ეს ბერძნული ლეგენდის მიბაძვა არისო. ჰომეროსი მეოცე წიგნში მოგვითხრობს ერთი ზღვის ურჩხულის ამბავს, ჰერაკლეს რომ დაესხა თავს. ჰერაკლემაც სამი დღე და ღამე გაატარა მის წიაღში, და ურჩხულის ღვიძლით იკვებებოდა, მეოთხე დღეს კი მუცელი გაუჭრა და არაჩვეულებრივ ციხეს წარმატებით დააღწია თავი. ჰერაკლეს ცხოვრების ეს ეპიზოდი არაფრით არ ჩამოუვარდება ბიბლიურ ლეგენდას*.

წარმართულ მითოლოგიაში ცნობილია აგრეთვე არიონის ამბავი, ისიც მეზღვაურებმა გადააგდეს ზღვაში, დაღუპვას დელფინებმა გადაარჩინეს, ზურგზე შეისვეს და ლესბობზე გაიყვანეს. მაგრამ სიმართლესთან ბევრად უფრო ახლო მყოფი ეს ლეგენდა ფერს კარგავს ჰერაკლეს და იონას ლეგენდების წინაშე.

ვეშაპის მუცლიდან დაბრუნებული იონა ნინევიაში გაეშურა და უფლის სახელით ქალაქს მალე დაღუპვა უწინასწარმეტყველა. ბიბლია ამბობს: „და იქადაგა და ითქვა ნინევს შინა მეფისა მიერ და დიდ დიდთა მისათა მეტყველთა და კაცნი და საცხოვარნი და ზროხანი და ცხოვარნი ნუ იგემებენ ნურარას და წყალს ნუ სმენ, ნუცა ძოენ. და გარე მოირტყეს ძაძა კაცთა და საცხოვართა, და ღაღადყვეს ღვთისა მიმართ გულს მოდგინედ და მოაქცია კაცადმან გზისაგან თვისისა ბოროტისა და სიცრუისაგან და ხელთა მათთა შენისა მეტყველთა“ *(იონა, 3, 7)*.

რაკი ყველა მცხოვრები ჭეშმარიტ სარწმუნოებას დაუბრუნდა, ღმერთი დაცხრა და იონას წინასწარმეტყველება ამჯერად არ გამართლებულა, ნინევია წარწყმედას გადარჩა: „და იხილნა ღმერთმან საქმენი მათნი, რამეთუ მოაქციეს გზათაგან მათთა ბოროტთა, და შეინანა ღმერთმან

---

* ანალოგიური ამბავი ქართულ ზღაპრებშიც გვხვდება (ამირანი).

სიბოროტესა ზედა, რომელი თქვა ყოფად მათდა და არა უყო“ (მუხლ. 3, 10).

ნინევია დაიქცა და ნანგრევეთა გროვად იქცა ბევრად უფრო გვიან, იონა შეურაცხყოფილი დარჩა იმ აზრით, რომ მოსახლეობას შეეძლო ის უბრალო მოლაყბედ ჩაეთვალა, რაკი მისი წინასწარმეტყველება ასრულდა, და ნინევია დატოვა, უდაბნოში განმარტოვდა [illegible] ცხის ბუღი იდგა, გარშემო კი ერთი ბუჩქიც არ ჩანდა.

„და უბრძანა ღმერთმან აყიროსა და აღმოხდა ზეშთა თავსა იონასსა ფოფად ჩრდილი, ზედა კერძო თავისა მისისა, დაგრილებისა თვის მისისა ბოროტისა მისგან სიცხისა და განიხარა იონა აყიროსა ზედა სიხარული დიდი. და უბრძანა ღმერთმან მატლსა განთიადისასა ხვალისაგან და დაშცა აყიროსა და განხმა. და იქმნა მეყსეულად აღმოსვლასა მზისასა, და უბრძანა ღმერთმან სულსა ცხელსა შემწველსა, დასცა მზემან თავსა ზედა იონასსა და სულმოკლებდა და დაეთხოვებოდა სულსა მისსა, და თქვა: კეთილარს ჩემდა სიკვდილი ჩემი, ვიდრე სიცოცხლე. და თქვა უფალმან: შენ ჰრიდე აყიროსა ძალით (ასე დაგენანა აყირო?), რომლისა ძლით არა ძვირად ივნე, არცა განჰზარდე იგი, რომელი ღამესა შინა იქმნა და ღამესა შინა წარწყმდა? ხოლო მე არა ვჰრიდო ნინევისა, ძლით ქალაქისა დიდისა, რომელსა შინა დამკვიდრებულ არიან მის შორის უმრავლესნი, ვიდრე ათორმეტნი ბევრნი კაცთანი, რომელთა ვერ ცნეს მარჯვენე მათი ანუ მარცხენე და საცხოვარი მრავალი?“ (იონა, 4, 6—11).

ამ ღვთაებრივი ნაკვესით თავდება იონას წიგნი: შენ ერთი აყირო გენანება, ღამით ამოსული და დილით დამჭკნარი, მისი დაჭკნობისათვის სიკვდილს ნატრულობ, და მე როგორ არ დამენანოს ხალხმრავალი ნინევია, რომლის ბინადართ მარჯვენა და მარცხენა ვერ გაურჩევიათო? დასასრული საკმაოდ უსუსურია, რადგან აყიროს იგავი არაფერია ვეშაპის სასწაულთან შედარებით, სენტენცია კიდევ ნაკლებად შეეფერება მხეცური სისასტიკის სისხლიან ხაზს, რაც წითელი ზოლივით გასდევს მთელს ბიბლიას. ასე რომ ენანებოდეს ღმერთს ადამიანი და „საცხოვარი“, ეგზომ უწყალოდ არ მოუვლენდა გოგირდის წვიმას სოდომსა და გომორს, არ მოახდენდა მსოფლიო წარღვნას, არ გაჟლეტდა ათი ათასობით ადამიანს სჯულის კიდობანში ჩახედვისათვის და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველნი ძმანი მაკაბელნი

ვენ ვუახლოვდებით ებრაელი ხალხის ისტორიის უკანასკნელ ხანას ე. წ. ქრისტეს დაბადებამდე. ძველი აღთქმის სრული ორტომეული თავდება მაკაბელთა სამი და ეზდრას მესამე წიგნით.

მაკაბელთა პირველი წიგნის პირველი თავი იწყება ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვებით სპარსთა მეფე დარიოსზე. ალექსანდრე დიდმა, ფილიპეს ძემ „დასცა დარია, მეფე სპარსეთისა და მიდელისა, გამეფდა ელადასა შინა“ (ისტორიულად კი ჯერ გამეფდა და მერე „დასცა დარია“). გავიდა ხანი და მაკედონიის მეფე ავად გახდა, გარდაიცვალა, მისი ვრცელი სამეფო კი მისმა სარდლებმა — დიადოხებმა გაინაწილეს. ეს ისტორიიდანაც ცნობილი ამბებია. ბიბლიის მიხედვით, იერუსალიმს რომ მიუახლოვდა, ალექსანდრეს ებრაელთა მღვდელმთავარი გამოეგება და მსოფლიოს მალე დაპყრობა უწინასწარმეტყველა. ამგვარი მლიქვნელობით მოხიბლულმა ალექსანდრემ თითქოს შეიწყალა იერუსალიმი.

იუდეა იმ დროს თეოკრატიული მმართველობის ქვეშ იყო: ხალხს არ ჰყავდა მეფე, არ ჩაგრავდა გადამთიელი და ერთგვარი თავისუფლებაც ჰქონდა. სახელმწიფოს ქურუმები განაგებდნენ. საკურთხეველი იმავე დროს ტახტიც იყო. სიმართლე რომ ითქვას, მმართველობის ასეთი სისტემა დიდად არ განსხვავდება მონარქიისაგან, რადგან ხალხი მღვდელმთავრებს მეათედსაც უხდიდა და სამოქალაქო გადასახადსაც აძლევდა.

არ ვიცით, რამდენს ხანს გრძელდებოდა ეს შედარებით თავისუფლების პერიოდი, მაგრამ მაკაბელთა წიგნებიდან ვგებულობთ, რომ მაკედონელის მემკვიდრეთა მეუფების ჟამს ებრაელები მაინცა და მაინც ბედნიერნი არ ყოფილან. აი, როგორ აგვიწერს ბიბლია საქმის ვითარების შეცვლას. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დამდგარა: „და მეფობდა ალექსანდრე ათორმეტ წელ და მოკვდა. და ჰფლობდეს ყრმანი მისნი თვითეულნი ადგილსა შინა თვისთა. და დაიდვეს დიადიმა ყოველთა შემდგომად სიკვდილისა მისისა და ძეთა მათთა შემდგომად მათსა წელსა მრავალთა და განამრავლეს ბოროტი ქვეყანასა ზედა და გამოვიდა მათგან ძირი ცოდვისა ანტიოხოს ეპიფან, ძე ანტიოხოს მეფისა“ *(1 მაკაბ,. 1, 9—10)*.

სელევკიდების ბერძნული დინასტიის ეპოქაში, როცა სირიაში ბერძნები ბატონობდნენ, ებრაელებმა, უთუოდ, ისევ ნახეს შავი დღეები, თუმცა ზოგიერთი ახალი სასწაულის მოშველიებით წმინდა ავტორი აქაც ცდილობს აამაღლოს ერის პრესტიჟი, მიუხედავად სავალალო მდგომარეობისა, რაშიაც ღვთის რჩეული ხალხი დამპყრობლებს ჰყავდათ, როგორც ქვემოთ აღთქმის ყოველ წიგნში, მაკაბელთა წიგნებშიაც უხვადაა გაბნეული წინააღმდეგობანი, ისტორიული ფაქტების დამახინჯების აურაცხელი მაგალითი. გარდა ამისა, მოვლენები ისე არათანმიმდევრობითაა აღწერილი, იმდენი ერთიმეორის გამომრიცხველი ცნობებია ერთსა და იმავე ამბავზე, რომ კაცი ვერ გაარჩევს, რომელია ტყუილი, რომელი მართალი.

ჯერ ებრაელთა ისტორიის მოკლე მიმოხილვა გავაკეთოთ.

სირიაში ანტიოხ ეპიფანეს ბატონობის დროს ქურუმმა მატათიმ მოკლა ებრაელი, რომელმაც მსხვერპლი შესწირა სირიის ღმერთებს, და ამით მისცა ხალხს აჯანყების ნიშანი. თან ხუთი შვილი ახლდა: იოანე, სიმონი, იუდა, ელიაზარი და იონათანი. სწორედ მათ უწოდებს მაკაბელნიუროები. იუდეა ფეხზე დადგა. ხალხი შეიარაღდა იმით, რაც ხელში მოხვდა. მეამბოხეებს სათავეში ჩაუდგა იუდა მაკაბელი, მატათის უმამაცესი ძე, და დაიწყო მეფის მოხელეთა ნაკუწ-ნაკუწად ქცევა. მაგრამ ბელადის მდგომარეობას როდი სჯერდება, ქურუმიც ხდება. პირველი წიგნის მესამე თავში ჩამოთვლილია ის გამარჯვებანი, რომლებიც იუდამ მოიპოვა აპოლონიუსთან ბრძოლაში სამარიის გარეუბნებში: სირონთან ბეთორონში და ანტიოხის სამ სხვა სარდალთან — პტოლემეოსთან, ნიკანორთან და გორგისთან შეტაკებებში.

ანტიოხ ევპატორის, ანტიოხ ეპიფანეს ძის მეფობის დროს ელიაზარ მაკაბელი თავის ძმა იუდაზე ნაკლებად იღბლიანი გამოდგა. ცხარე ბრძოლაში რომ სამეფო ნიშნებით დამშვენებული საბრძოლო სპილო ნახა, მყისვე მივარდა, რადგან ეგონა, რომ მეფე ამ სპილოზე იჯდა. მაგრამ სპილომ ჩვენი თამამი ებრაელი სარდალი ხორთუმით აიტაცა და ფაიფურის თოჯინასავით შუაზე გადატეხა*. ასე ძვირად დაუჯდა ელიაზარს თამამი განზრახვა, რომ მოეკლა სამეფო სპილო, „შემოსილი ჯაჭვითა მეფისათა“ და „ეხსნას ერი თვისა და ყოს თავისა თვისისა სახელი საუკუნო“.

დიმიტრი სოტერის, ანტიოქ ევპატორის ბიძისა და მემკვიდრის ეპოქაში იუდა მაკაბელმა ერთხელ კიდევ იზეიმა გამარჯვება სირიის არმიაზე, რომელსაც ბაკქიდი სარდლობდა. ორჯერაც ნიკანორი დაამარცხა,

---

* ბიბლიის ცნობილ ტექსტში ეს ცოტა სხვანაირადაა: „და მიისწრაფა მისდა მიმართ (ელიაზარი) კადნიერებითა და საშუალ ბანაკსა შინა მოჰკლვიდა მარჯვნით და მარცხნით, და განიპებოდეს მისგან ამიერ და იმიერ, და შევარდა შიგა სპილოსა და ქვეშე დაიდვა მისა და მოკლა იგი და დაეცა ქვეყანასა ზედა ზეით მისა და მოკვდა მუნ“ (მაკაბ. 6, 45—46), ე. ი. მოკლულმა სპილომ გაჰყლიტა.

რომელსაც გამარჯვებულებმა „თავი მოჰკვეთეს და მარჯვენა მიხა, რომელი განირთხა ამპარტავნებითა, და მოიღეს და მოჰკიდეს წინაშე იერუსალიმისა, და იშვებდეს ერი ფრიად და ყვეს დღესა მას შინა შვება დიდი, და დაადგინეს ყოფად ყოველისა ზედა წელსა დღე იგი ათცამეტსა თვისა ადარისსა, და დადუმდა ქვეყანა იუდასი მცირეთა დღეთა ზედა (მაკაბ., თავ. 7, მუხლი 47—50). მალე ბაკქიდი ისევ შეტევაზე გადმოვიდა. შეკრწუნებული იუდეველნი დაიფანტნენ, გენერალი იუდა მარტო შეატოვეს მტერს და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა სახელგანთქმული სარდალი. მისი ადგილი თანმიმდევრობით დაიჭირეს მისმა ძმებმა იონათანმა და სიმონმა.

მაკაბელნი ლევიტელთა ტომისანი იყვნენ. უბრალო ქურუმები მეფეები გახდნენ. ნამდვილად არ შეიძლება ამ შემთხვევაში არ ვაღიაროთ, რომ ეს მოვლენა სრულიად აბათილებს ყველა წინასწარმეტყველებას იმის შესახებ, მეფეები იუდეველთა გვარიდან გამოვლენო. მაკაბელთა გაბატონება ფეხქვეშ თელავდა წინასწარმეტყველებას, დავითის სახლის მთავრები უწინამძღვრებენო ერს. აღარავინ არ დარჩა დავითის ტომიდან. ყოველ შემთხვევაში, ბიბლიის არც ერთი წიგნი არ ახსენებს ამ მეფის არც ერთ შთამომავალს ბაბილონური ტყვეობის შემდეგ.

ლევიტელ მატათის შვილებმა, რომელთაც ჯერ მაკაბელნი უწოდეს, შემდეგ კი ხასმონველნი, თავიანთი დანაშაულობით შებილწეს ტახტიცა და საკურთხეველიც. ბარბაროსულ პოლიტიკას ეწეოდნენ, რამაც საბოლოოდ დაღუპა მათი სამშობლო. ქურუმთა ძალაუფლებამაც ვერ იხსნა ისინი ხარკისაგან, რასაც სირიის მეფეებს უხდიდნენ. გარდა ამისა, ეს წმინდა გმირები ერთიმეორეს მუსრავდნენ. ერთ-ერთ ნადიმზე შეზარხოშებული სიმონი, იუდა მაკაბელის უკანასკნელი ძმა, თავის ორ შვილთან ერთად მოკლა მისმა სიძემ, იერიქონის მმართველმა პტოლემეოსმა, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება.

ჰირკანი, ქურუმთქურუმ სიმონის შვილი შეეცადა ამბოხების მოწყობას ანტიოქ სიდეტიუსის წინააღმდეგ. სირიის მეფემ მას ალყა შემოარტყა იერუსალიმში, ღმერთმა კი, ეტყობა, მოსაშველებლად მოსვლა დააგვიანა, ასე რომ ჰირკანს კონტრიბუციით მოუხდა სირიის მეფის დაშოშმინება.

ეს ის ჰირკანი იყო, რომელმაც სირიაში დაწყებული არეულობით ისარგებლა, სამარიას დაეპატრონა, იერუსალიმის ძველ მტერს. ეს ქალაქი შემდეგ ახლად ააშენა იროდემ, სახელიც გამოუცვალა, სევასტი დაარქვა. სამარიტელები გადაბარგდნენ სიქემში, რომელსაც ამჟამად ნაპელუზა ეწოდება. ამრიგად, კიდევ უფრო დაუახლოვდნენ იერუსალიმს. ღვთისგან ამორჩეული ხალხის ამ ორი ნახევრის ურთიერთ სიძულვილმა ახლა კიდევ უფრო გაშმაგებული ხასიათი მიიღო. იერუსალიმი, სიქემი, სამარია, იერიქონი, რომელთაც ასე კარგად ვიცნობთ რელიგიური თქმულებე-

ბის წყალობით და რომელნიც ასე ნაკლებად იყვნენ ცნობილი აღმოსავლეთში, მთელი მათი სახელოვანი, მაგრამ მონაგონი ისტორიის მანძილზე პატარა ქალაქებს წარმოადგენდნენ ერთიმეორეს რომ ეკვროდნენ და ეტმასნებოდნენ. მათი ღარიბი მოსახლეობა საშოვარზე გადიოდა და თავს ძლივს ირჩენდა.

შოვინიზმით გაჟღენთილი იოსებ ფლავიუსი თავის ბრალმაუ შრომებში შემთხვევას არ უშვებს აღნიშნოს, რომ ჰირკან მაკაბელი დამპყრობელი და წინასწარმეტყველი იყო და ღმერთი არაერთხელ დალაპარაკებია პირისპირ. მისი აზრით, ჰირკანის წინასწარმეტყველური ნიჭის უტყუარი საბუთი ისაა, რომ ორი საყვარელი, საშინლად მუხანათი და სასტიკი შვილი ჰყავდა, და ორივეს ურიგო აღსასრულს უწინასწარმეტყველებდა, თუ არ გამოსწორდებოდნენ. ეს ორი ყმაწვილი ბოროტებას მაინც არ იშლიდა. ერთს ერქვა არისტობული, მეორეს ანტიგონე. მთავარი სახელები როდი იყო, მაგრამ სახელებშიც კი გამოჩნდა მათი ამპარტავნობა: ებრაელებმა ყოყოჩობით ბერძნული სახელები დაირქვეს ერთ ღამეს ჰირკანი ღმერთმა ინახულა და ერთი სხვა შვილის პორტრეტი უჩვენა, ჯერ რომ იოანე ერქვა და მერე ალექსანდრე იწოდა.

— აი, ეს მუდამ დაიჭერს შენს ადგილს და დიდი ქურუმი იქნება, — აუხსნა ღმერთმა.

კეთილმა მამამ ჰირკანმა ეს წინასწარმეტყველება ცუდად ინიშნა: ტახტს წამართმევსო, და იოანე-ალექსანდრე მოკლა, „შიშით, რომ წინასწარმეტყველება არ ამხდარიყო", — როგორც შენიშნავს იოსებ ფლავიუსი, მაგრამ, ეტყობა, ეს იოანე ან მთლად არ მომკვდარა, ან ღმერთს გაუცოცხლებია, რადგან ცოტა ხნის შემდეგ იერუსალიმის უზენაესი ქურუმი და მბრძანებელი გახდა.

რაღა მოუვიდათ ორ საყვარელ ძმას — არისტობულსა და ანტიგონს? ჰირკანის გარდაცვალების შემდეგ მღვდელი არისტობული კლავს მღვდელ ანტიგონს, ღვიძლ ძმას, ისიც ტაძარში, და ბრძანებას გასცემს გაგუდონ დილეგში მშობელი დედა. ეს ის არისტობულია, — პირველი მაკაბელი, იუდეველთა მეფის ტიტულს რომ აღებს ,— რომელსაც იოსებ ფლავიუსი ძალიან ლმობიერ მბრძანებელს უწოდებს.

იმ ეპოქაში იუდეას აღელვებდა ორი რელიგიური სექტის მეტოქეობა. ამ სექტებს მალე პოლიტიკურ პატიებად გადაკეთება ელოდათ. ერთი იყო ფარისეველთა სექტა, რაც ნიშნავს „განკერძოებულს", „გამორჩეულს" და ჩინებულს, რადგან სხვა ხალხისაგან გამორჩეულთა პრეტენზია ჰქონდათ, მეორე კი — სადუკეველთა, რომელთაც ასე ეწოდება რელიგიური ბეჭდის სადოკის სახელის მიხედვით. ეს უკანასკნელნი ებრაელი ხალხის თავისებური ეპიკურელები იყვნენ: ფანატიკურად მისდევდნენ „მოსეს

ხუთი წიგნის“ (ხუთწიგნეულის) კანონებს, არ ცნობდნენ სულის უკვდავებას, მაშასადამე, არ ცნობდნენ არც ჯოჯოხეთს, არც სამოთხეს, არც მით უმეტეს მკვდრეთით აღდგომას.

ფარისევლები კი მოსეს კანონებს კიდევ ზეპირ ტრადიციას უმატებდნენ, რომლის მიხედვითაც სწამდათ სულთა გადასახლება. მეტაფსიქოზის ამ თეორიას მრავალ სხვა რწმენასაც ურთავდნენ. მაგალითად, ამტკიცებდნენ, ბოროტი სული შეიძლება ცოცხალი ადამიანის სხეულშიც დასახლდესო. ყველა გაურკვეველ სნეულებაში დემონთა ხრიკებს ხედავდნენ. ფარისევლები „ჯულის წიგნშიაც“ იხედებოდნენ, მის სწავლულ ამხსნელებადაც ითვლებოდნენ. მათთან სწავლობდნენ საიდუმლოებათა გამოცნობას. ქადაგებდნენ მიცვალებულთა აღდგომას და ციურ სასუფეველს.

მესამე სექტაც იყო — ესეველნი ანუ ესენები. კომუნებად ცხოვრობდნენ, მოთმინებითა შენითაო, ქადაგებდნენ და ნაირნაირ სპარსულ რწმენას ითვისებდნენ.

მაკაბელნი პირველად სადუკეველთ მფარველობდნენ ფარისეველთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს, ცხადია, იმით აიხსნება, რომ ფარისეველთ ძლიერი პარტია შექმნეს, მთელს სახელმწიფოში დიდი ზეგავლენით სარგებლობდნენ, ყველა საქმეში ერეოდნენ და, მაშასადამე, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ მაკაბელებს. როცა არისტობულ I გარდაიცვალა, მისი მოკლული ძმა იოანე-ალექსანდრე „აღდგა“ და ტახტზე ავიდა. ეტყობა, ყოველ შემთხვევისათვის ციხეში ინახავდნენ და არა საფლავში, თორემ რანაირად შერჩებოდა სული? იოანემ სალომეა შეირთო, არისტობულის ქვრივი, და სახელად ალექსანდრა უწოდა.

სწორედ ამ ეპოქაში პტოლემეოსები — საბერძნეთ-ეგვიპტის მეფეები, და სელევკიდები, საბერძნეთ-სირიის მეფეები, გაშმაგებით ედავებოდნენ ერთიმეორეს პალესტინას. ეს დავა ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის დღიდან დაიწყო. ამ მბრძანებელთა ჭიშპობამ ებრაელ ხალხს საშუალება მისცა, რომ ოდნავ სული მოეთქვა და მომაგრებულიყო. მაგრამ მღვდლები, რომლებიც ხალხს განაგებდნენ, წამდაუწუმ იცვლიდნენ ორიენტაციას და ეტმასნებოდნენ უფრო ძლიერს, რომელიც მათ იყიდიდა. იოანე-ალექსანდრემ თავისი ჭურუმობა იმით დაიწყო, რომ ერთადერთი ძმა მოკლა. დაღუპული ნასავით მკვდრეთით აღარ ამდგარა. იოსებ ფლავიუსი ამ მოკლულის სახელს არ გვიმხელს, მაგრამ ბიბლიურ მკვლელობათა კატალოგში ამას ჩვენთვის არცა აქვს არავითარი მნიშვნელობა. იოანე-ალექსანდრემ ბატონობა შეინარჩუნა მხოლოდ იმ არეულობათა წყალობით, რომლებიც აზიაში სდებოდა. მისი მმართველობა ერთდროულად იყო ჭურუმული, არისტოკრატიული და დემოკრატიული სრული ანარქია თუ გნებავთ, ესაა.

ფლავიუსი მოგვითხრობს, ერთხელ ტაძარში ხალხმა იოანე-ალექსან-

დრეს ვაშლები და ფორთოხლები მიაყარა (ალბათ დამპალი). როცა ალექსანდრემ თავი მბრძანებლად გამოაცხადაო. ალექსანდრემ 5000 კაცის მოკვლა ბრძანა. ამ ხოცვა-ჟლეტამ მისცა დასაბამი მასობრივი დარბევების ხანას, რაც მთელი ათი წელი გრძელდებოდა.

ვის უხდიდნენ ებრაელები ხარკს ამ ხნის განმავლობაში, ისტორია-სი არც კი ეხება ამ საკითხს. ის უშვებს ასეთ შესაძლებლობას: იუდეა თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო იყოო. ამის მიუხედავად რატომღაც სირია და ეგვიპტე ეცილებოდა ერთიმეორეს ამ ქვეყანას, ვიდრე ბოლოს რომაელები არ მოვიდნენ და მთელი პალესტინა არ შეუერთეს თავიანთ სამფლობელოებს.

ამ იოანეს შემდეგ, სრულიად ამაოდ რომ მიიკერა დიდი ალექსანდრეს სახელი, ძალაუფლება ხელთ ეჭირა მის ქვრივს სალომეა-ალექსანდრას, მისებრ დუხჭირ დედაკაცს, რომელიც ვითომ მცირეწლოვან შვილთა რეგენტი იყო, სინამდვილეში კი ფაქტიურად მთელი სახელმწიფოს მართვა ხელთ ჩაუგდო ფარისეველებს, რომლებიც თავისუფლად უსწორდებოდნენ სადუკეველთ, თავიანთ მოწინააღმდეგეებს ძმისმკვლელის ქვრივიც თვალებს ხუჭავდა მათ დანაშაულობათა წინაშე. როცა მისმა სიკვდილმა სულაც გაათავისუფლა ბრძოლის ველი ამ ორი პარტიის მეტოქეობისათვის, ეს სამეფო, რომელიც ოც კილომეტრზეც კი არ იყო გაჭიმული, ახალი სამოქალაქო ომის ხანძარში გაეხვია. ჰირკან II, იოანე-ალექსანდრეს უფროსი შვილი, ფარისეველთა სათავეში ჩადგა, ხოლო არისტობულ II, უმცროსი, სადუკეველებს მიემხრო. ამრიგად, იუდეას ერთი მეფის ნაცვლად უკვე ორი ჰყავდა. მოჭიშპე ძმები პატარა ქალაქ იერიქონის კედლებთან შეხვდნენ ერთიმეორეს, მაგრამ არა 300, 400, 500, 600 ათასიანი არმიებით, როგორც უდარდელი მატყუარა — წმინდა ავტორი თუ სულიწმინდა მოგვითხრობდა, არა, იმ ხანებში უკვე ვეღარ ბედავდნენ ასეთი სიცრუის წერას. თვითონ იოსებ ფლავიუსმა ვერ გაბედა ეს, თუმცა ასე უყვარდა გაზვიადება. ებრაელთა არმიაში ამ დროისათვის სულ სამი-ოთხი ათასი კაცი თუ იქნებოდა. ჰირკანი დამარცხდა და ბრძოლის ველზე მბრძანებლად დარჩა არისტობულ II.

იმავე ეპოქაში რომაელებმა თავიანთი ძლევამოსილი იარაღი გადაიტანეს მცირე აზიაში, სირიაში და იქით, კავკასიაში, ისე რომ სულაც არ შერცხვათ კავშირისა, რაც თითქოს მაკაბელებთან ჰქონიათ შეკრული. სელევკიდები საერთოდ აღარ არსებობდნენ. ტიგრანმა, სომეხთა მეფემ, მითრიდატეს სიმამრმა, სირიის სამფლობელოების მცირე ნაწილი დაიპყრო. გნეი პომპეუსმა კი ტიგრანი დაიპყრო და ვეფხვი კატად აქცია. ისე გაამწარა სომეხთა მეფე, რომ თვითმკვლელობამდე მიიყვანა 64 წელს ჩვენს ერამდე და სირია რომის პროვინციად აქცია.

პლუტარქეს ნათლად აქვს აღწერილი პომპეუსის ეს ლაშქრობა სო-

მხეთისაკენ. ის ტიგრან მცირის მიწვევით დაიძრა. ტიგრანმა მამას უღალატა და რომაელი სარდალი მიიწვია. ლუკულის მიერ ახლახან დამარცხებული ტიგრან დიდი მაშინვე ეახლა პომპეუსს. ბანაკის სახლოს ორი ლიქტორი შეხვდა, ცხენიდან დაქვეითება უბრძანეს, რაც [illegible]. „ბოლოს, მივიდა თუ არა პომპეუსთან, თავიდან [illegible] უნდოდა ეს დოლბანდიც მის ფერხთით დაედო და თვითონაც, საკუთარი ღირსებისათვის დიდად სამარცხვინოდ, მიწაზე განრთხმულიყო, რათა რომაელთა მხედართმთავარს მუხლებზე მოჰხვეოდა. მაგრამ პომპეუსმა დაასწრო, გვერდით დაისვა, ხოლო მისი ძე ტიგრან მცირეც მეორე გვერდით დაისვა". მამის კომპრომისით უკმაყოფილო ტიგრან მცირე პომპეუსს ნადიმზე არ ეწვია, რისთვისაც ის შეიპყრეს და ტრიუმფალური მსვლელობის დასამშვენებლად მცველები მიუჩინეს. სულ სხვა შეხვედრა მოუწყვეს პომპეუსს „კავკასიის ტომთა შორის ყველაზე უფრო უდიდესთ და უძლიერესთ" — ალბანელებმა და იბერებმა (ქართველებმა). „იბერნი რიცხვით ალბანელებს არ ჩამოუვარდებოდნენ, გულადობითაც სხვაზე უფრო მამაცნი იყვნენ" და სასტიკი ბრძოლა გაუმართეს მრისხანე რომაელებს, რომელთაც ის იყო გადათელეს ბიბლიური ქვეყნებიც. საბოლოოდ პომპეუსმა „იბერებიც დაამარცხა დიდ ბრძოლაში, ამასთან ცხრა ათასი კაცი დაიხოცა".

ბიბლია, კერძოდ მაკაბელთა წიგნი არაფერს არ ამბობს ამ დიდ დამპყრობელზე. არც მეორე დიდ რომაელს ლუკულს ახსენებს. ბიბლიისაგან ეს სულაც არ გვიკვირს.

ჰირკანმა, რომელიც საკუთარმა ძმამ არისტობულმა განდევნა, თავი შეაფარა არაბთა ტომის ბელადს, სახელად არეტასს. ჩანს, იერუსალიმი მაშინაც ერთი საცოდავი სოფელი ყოფილა, რომ არაბთა პატარა მომთაბარე ყაჩაღთა რაზმის ბელადმა არეტასმა შესძლო მისთვის ალყა შემოერტყა. პომპეუსი იმ დროს ქვემო სირიაში იმყოფებოდა. არისტობულმა შემწეობა სთხოვა მის ერთ-ერთ სარდალს, და იმანაც არაბებს უბრძანა ალყა მოეხსნათ, ხელი არ ეხლოთ რომის მიწებისათვის, რადგან სირიის შემოერთების შემდეგ პალესტინაც რომის პროვინციად იქცა. ასეთი იყო ის ერთადერთი კავშირი, რაც რომაელებს შეეძლოთ იუდეველებთან შეეკრათ*.

ფლავიუსი წერს, რომ არისტობულმა პომპეუსს მდიდრული საჩუქრები გაუგზავნა, რათა მისი კეთილგანწყობილება დაემსახურებინა. სტრაბონი გვიდასტურებს, რომ ეს იყო ოქროს მტევანი, მაგრამ ასეთ საჩუქარს მიაწერს არა არისტობულს, არამედ იოანე-ალექსანდრეს. ასეა თუ ისე არი-

---

* იერუსალიმის გამოცხადება „სოფლად" მეორე უკიდურესობაა. ეს სიმაგრე იოლად ვერ აიღო თვით პომპეუსმა: სამი თვე იყო ალყაში.

სტობული და ჰირკანი, რომლებიც ჭურუმთჭურუმის უფლებისათვის იბრძვიან, პომპეოსის სამსჯავროზე ცხადდებიან. დიდი სარდალი უკვე თავისი მსჯავრის გამოცხადებას აპირებდა, როცა არისტობული გაქრა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოქროს მტევანმა ვერ მოხიბლა მოსამართლე და იოანე-ალექსანდრეს შვილმა უმჯობესად ჩათვალა თავი ჭურუმთჭურუმის ცილავნისათვის შეეფარებინა.

პომპეუსმაც შემოარტყა იერუსალიმს ალყა. ცნობილია, რომ ამ ქალაქს თავდაცვისათვის საუკეთესო მდებარეობა აქვს. მეტნაკლებად დახელოვნებული მშენებელი მას იოლად აქცევდა აღმოსავლეთის საუკეთესო სიმაგრედ. ყოველ შემთხვევაში, ტაძარი, რაც ციტადელს წარმოადგენს, მიუვალ ციხედ შეიძლებოდა ქცეულიყო, რადგან ფრიალო ქარაფის თავზე იყო აღმართული და გარშემო უფსკრულებს დაეღოთ პირი. პომპეუსმა სამი თვე მოანდომა საალყოდ საბრძოლო მანქანების მომზადებას. მაგრამ როგორც კი ბრძოლა დაიწყო, სიმაგრე დანებდა. იმპერატორ სულას ერთ-ერთი შვილი პირველი შევიდა სიმაგრეში. ამ დღეს ფასს აძლევს ის ამბავიც, რომ რომაელები იერუსალიმში შევიდნენ ციცერონის კონსულობის დროს (63 წელს ძველი წელთაღრიცხვით).

იოსებ ფლავიუსი ამბობს, ტაძარში 12 000 ებრაელი დახოცესო დავუჯერებდით ისტორიკოსს, რომ არ ვიცოდეთ, როგორ უყვარს გადაჭარბება. ვერც იმას დავიჯერებთ, რომ ტაძარში ნახეს 2000 ტალანტი ოქრო და ქალაქში კიდევ შეაგროვეს 10 000 ტალანტი, ბოლოს და ბოლოს, იმდენჯერ აიღეს და გაძარცვეს იერუსალიმი იუდეველთა მტრებმა, რომ საეჭვოა იქ დიდი განძი შენახულიყო. კიდევ უფრო ძნელია ისეთი სისულელის დაჯერება, რომ შინაური თუ გარეშე მტრების, ძმათა შორის სისხლის ღვრის ამ მცირე სათარეშო მოედანზე რომაელებს ასეთი დიდი კონტრიბუცია აეკრიფათ, 10 000 ტალანტი წაეგლიჯათ ღატაკი ხალხისათვის.

ამაზე არ ფიქრობენ ის გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც შეუგნებლად კითხულობენ ბიბლიას და ჭეშმარიტება ჰგონიათ არაკები, გათელილი ეროვნული თავმოყვარეობით ნაკარნახევი ბიბლიური ლეგენდები! გონიერი ადამიანი მხოლოდ მხრებს აიჩეჩავს, როცა გაიგებს, რომ დიდმა ალექსანდრემ ვერ მოაგროვა მთელს იუდეაში 30 ტალანტზე მეტი თანხა დარიოსთან დამოუკიდებლობისათვის გამართულ ომში, და უცებ პომპეუსი ებრაელთა სალაროებში პოულობს თორმეტი ათას ტალანტს!

უფრო სარწმუნოა, რომ პომპეუსმა თავისთვის არაფერი არ აიღო და ებრაელები აიძულა მხოლოდ სალაშქრო ხარჯები გადაეხადათ იმ ექსპედიციისათვის, რაც ბოლოს და ბოლოს მხოლოდ დამხმარე დივერსიული ხერხი იყო მცირე აზიის საერთო კამპანიის დროს. ციცერონი მის უანგარობას აქებს. მაგრამ როლენი თავისი „რომის ისტორიის“ მეთექვსმეტე წიგნ-

ში ამბობს: პომპეუსს იმ დღიდან არაფერი არ გამოსდის, რაც მკრეხელურმა ცნობისმოყვარეობამ ებრაელთა უწმინდეს ტაძარში შეაყვანაო.

ვოლტერი როლენს არ ეთანხმება: არა მგონია პომპეუსს სწორედ ეს ეფიქრა, რომ ტაძარში შესვლა აკრძალულიაო. ყოველ შემთხვევაში, ფარისევლებმა ებრაელებს და არა პომპეუსს. დურგლები, [illegible] მთლელები და სხვა ხელოსნები ხომ შედიოდნენ, როცა რამე სარემონტო იყო! შეიძლებოდა დაგვემატებინა, რომ „სჯულის კიდობანი", რომელშიაც თვით ღმერთი იმყოფებოდა, ამ ტაძარში ინახებოდა და შესვლასაც ის ართულებდა მაგრამ კიდობანი ჯერ კიდევ ნაბუქოდონოსორის ჟამს გაჭრა.

კეისარიც ასევე შევიდოდა, როგორც პომპეუსი, — განაგრძობს ვოლტერი,— ამ შენობაში, რომლის სიგრძეა სულ ცხრა მეტრი. მასაც ხომ დააინტერესებდა ღმერთ საბაოთის საკურთხეველი! პომპეუსი კეისარმა დაამარცხა ფარსალის ბრძოლაში 48 წლის 6 ივნისს ძვ. წ. იქნებ ამით დაისაჯა იერუსალიმის ტაძარში შესვლისათვის? მაგრამ ამ დამარცხებას სხვა მიზეზებიც ჰქონდა და მათ შორის კეისრის სამხედრო გენია მცირე როლს რომდი თამაშობდა. ტაძარში შესვლაზე მეტი მკრეხელობა არ არის განა იქვე 12 000 უდანაშაულო ადამიანის გაჟლეტა?

პომპეუსმა ებრაელთა ჭურუმი არისტობულიც ტიგრან მცირესავით დაატყვევა და რომში გაგზავნა, რომ მისი ტრიუმფი დაემშვენებინა. 48 წ. ძვ. წ. სციპიონის ერთ-ერთ შთამომავალს უბრძანა, თავის მოადგილეს სირიაში, სიკვდილით დაესაჯა არისტობულის უფროსი შვილი, რომელმაც ალექსანდრე იწოდა და თავი მეფედ გამოაცხადა. ეს მოვლენა უკანასკნელი მაგალითია იმ „თანასწორუფლებიანი კავშირისა", რაც მაკაბელთა წიგნის თანახმად ებრაელებმა შეკრეს რომთან. რომი, რომლის ერთადერთი ნიჭი მსოფლიოს დაპყრობა იყო (ვოლტერის სიტყვებია), ასეთ კავშირებს არ კრავდა თავის პროვინციებთან. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რა ნაკლებად სარწმუნოა წმინდა წერილი ისტორიული ფაქტების გადმოცემისას.

დაბოლოს, სურათი რომ უკანასკნელი მონასმით დავასრულოთ და მკითხველს ვუჩვენოთ, როგორ სცემდა პატივს რომის იმპერია ებრაელ ხალხს, საკმარისია ვთქვათ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ (38 წელს ძვ. წ.) ტრიუმვირმა მარკ ანტონიუსმა მონური სიკვდილი მიუსაჯა კიდევ ერთ ებრაელ მეფეს, არისტობულის მეორე შვილს ანტიგონს: სახრის ქვეშ ამოხადეს სული და მერე ჯვარს აცვეს. რა საჭიროა ტყუილი, რომაელთა სისასტიკე ხომ ცნობილია!

სენატმა მაშინ მეფის ტიტული მიანიჭა იდუმეველ იროდეს, იუდეის პროკურატორ ანტიპატორის შვილს, რომელსაც ცოლად ჰყავდა მარიანა, ჰირკან მეორის ასული. მან თითქმის ორმოცი წელი იმეფა რომის მფარველობის ქვეშ, და რკინის ძალაუფლებით ხდიდა სულს საკუთარ ხალხს.

მაკაბელთა წიგნების მიმოხილვა ვოლტერმა გააკეთა. დავიმოწმოთ ზოგიერთი ადგილი. დიდ განმანათლებელს ეყო მოთმინება დაწვრილებით განეხილა ბიბლიის ბოლო ტექსტები და შედეგების მცდარობაზე დათანადო დასკვნები გაეკეთებინა. აი მისი რეზიუმე:

I. უნდა უარვყოთ მოთხრობა შვიდთა ძმათა მაკაბელთა წამების შესახებ, აგრეთვე მათი დედის წამების ამბავი, რომელიც თითქოს იმის გამო აწამეს, რომ ღორის ხორცი არ ჭამა. პირველი წიგნი ამას არ აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ შორსაა სცილდება ანტიოხ ეპიფანის მეფობის ეპოქას მაკაბელთა მამას მხოლოდ ხუთი შვილი ჰყავდა, ხუთივემ თავი გამოიჩინა სამშობლოსათვის ბრძოლაში. მაკაბელთა წამების ამბავში მეორე წიგნი არ ამბობს (თავ. 7), რომელ ქალაქში მოხდა ეს ბარბაროსული ეგზეკუცია. ამას გარდა, საეჭვოა, რომ ანტიოხი ასეთი სასტიკი, ასეთი საზიზღარი და ამასთან ეგზომ უსარგებლო საქმის ჩამდენი ყოფილიყო. ეს იყო მბრძანებელი, რომში აღზრდილი და ღირსი თავისი აღზრდისა — კაცი სახელოვანი და დიდსულოვანი. ერთადერთი რამ, რისთვისაც მას საყვედურობენ, ესაა მეტისმეტი თავმდაბლობა ადამიანებთან ურთიერთობაში, როგორც იცოდნენ რომაელმა მბრძანებლებმა, რათა ხალხში პოპულარობა მოეხვეჭათ. ზედწოდება „ეპიფანე" (ქართულად „ბრწყინვალე", „სახელოვანი", „სახელგანთქმული") კარგი პასუხია იმ ლანძღვა-გინებისათვის, რასაც ებრაელი ავტორები მის ხსოვნას უძღვნიან.

იერუსალიმი სირიის ფართო სამფლობელოებს შეუერთეს. ებრაელები ანტიოჭს აეშალნენ. სარდალი მეამბოხეთა დასასჯელად გაეშურა. რაკი რწმენა იყო ებრაელთა ყველა დანაშაულის უსაშველო საბაბი, თვით ანტიოხს მოჰბეზრდა საკუთარი მომთმენლობა და ბრძანა, ნუღარავითარი რელიგია ნუ იქნება, სირიის ღმერთების კულტის გარდაო. მეამბოხეებს მან წაართვა თავიანთი რელიგია და ფული — ორი რამ, რაც ებრაელ ქურუმებს ყველაზე ძვირად უღირდათ. ანტიოხი სხვათა შორის, ასე არ მოქცეულა ეგვიპტეში, რაც აგრეთვე დაიმოჩიღა. პირიქით, ის საეფო იმავე მეფეს დაუბრუნა, და ეს იყო დიდსულოვნობა, რომლის მსგავსი მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელს ჩაუდენია. თუ ის უფრო მკაცრი აღმოჩნდა ებრაელთა მიმართ, ეს იყო იძულებითი სისასტიკე. სამარიელებმა მორჩილება გამოუცხადეს, იერუსალიმი კი არ ემორჩილებოდა. მოხდა სისხლისმღერელი შეტაკება, ომი, რომელშიაც იუდა მაკაბელმა და მისმა ოთხმა ძმამ, როგორც ბიბლია გვარწმუნებს, მოახდინეს ნამდვილი სასწაულები, და ისიც ერთი მუჭა ჯარის საშუალებით.

II. ფანტაზიორი — პირველი წიგნის ავტორი — თავისი სიცრუის მტკიცებას იმით აწყებს, რომ ალექსანდრემ თავისი საბრძანებელი ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაუნაწილა სარდლებს ეს შეცდომა მტკიცებასაც არ საჭიროებს, თავისთავად ლაპარაკობს ავტორის „განსწავლულობაზე".

III. მაკაბელთა პირველი წიგნის თითქმის ყველა წვრილმანი და დაწვრილებითი თხრობა სრულიად ქიმერულია. მისი ავტორები ამბობენ, რომ იუდა მაკაბელი, რომელიც იუდეის მიყრუებულ მხარეში, გამოქვაბულიდან გამოქვაბულში დაეხეტება, უეცრად განიზრახავს კავშირი შეკრას რომაელებთან, რადგან გაუგონია, კარგი მეომრები ყოფილანო. „და ესმა იუდას სახელი ჰრომთა, რამეთუ არიან ძლიერნი ძალითა და ამათ ყოველთათვის სათნო უჩნს შეძინებად მათდა და რაოდენნიცა მოვიდოდნენ მათდა მომართ, დაადგინებდნენ მათ თანა მეგობრად, რამეთუ არიან ძლიერნი ძალითა, და მიეთხრეს მას ბრძოლანი მათნი და სიმხნე კეთილი, რომელსაც ჰყოფენ ღაღადელთა შორის, და რამეთუ დაიპყრნეს იგინი და მოიყვანნეს ქვეშე ხარკსა“ (*თავ. 8, მუხლ. 1—2*). მაგრამ ღაღადელნი იმ დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ რომაელთა მოხარკენი და არც დაპყრობილნი. ეს მოხდა მხოლოდ ლუციუს კორნელიუს სციპიონის დროს.

IV. შემდეგ ავტორი ლაპარაკობს, რომ ანტიოხ III (მეფობდა 223-183 წლებში), რომელსაც ანტიოხ IV ეპიფანი (მართავდა 175-163 წლებში) შვილად მოხვდებოდა, რომაელთა ტყვეობაში იყო. ეს აშკარა შეცდომაა: ეს ანტიოხ III ბრძოლაში დაამარცხა ლუციუს კორნელიუს სციპიონმა, აზიელად წოდებულმა (მაგნეზიასთან), მაგრამ ტყვედ არ ჩავარდნილა რომაელებთან ზავი დადო და სამხედრო ხარჯები გადაიხადა. აქ ჩანს ებრაელი ავტორი, რომელიც ნაკლებად არის გაცნობილი სინამდვილესთან, არ იცის რა ხდება ქვეყნად და ლაყბობს იმაზე, რაც არ გაგონებია.

V. ავტორი დასძენს, რომ ანტიოხ III-მ რომაელებს დაუთმო ინდოეთი, მიდია და ლიდია (*მუხლ. 8,8*). ეს კი მეტისმეტია! ასეთი სითამამე ისტორიულ ფაქტებთან სრულიად გაუგებარია. ავტორს ისღა დარჩენია, რომაელებს დაუთმოს ჩინეთი და იაპონია!

VI. შემდეგ აქაო და რომის საქმეებში გარკვეული ვარო, ამბობს, რომ იქ ყოველწლიურად ირჩევენ მბრძანებელს — მოსამართლეს, და მხოლოდ მას ემორჩილებიან („და ერწმუნებიან ერთსა კაცსა უხუცესად“) (*მუხლ. 8, 16*). ამ უმეცარს ისიც არ სცოდნია, რომ რომში ორი კონსულია!

VII. იუდა მაკაბელმა და მისმა ძმებმა, თუ წიგნს დავუჯერებთ, რომის სენატში ელჩები გაგზავნეს და ელჩებმა ასე თქვეს: „იუდა მაკაბელმან და ძმათა მისთა და სიმრავლემან ებრაელთამან წარმოგვგზავნეს ჩვენ თქუენთა მიმართ, დადგინებად თქუენ თანა მეგობრობისა და მშვიდობისა და დაწერად ჩვენდა მებრძოლთა და მეგობრად თქუენდა“ (*მუხლ. 8. 20*). ეს დაახლოებით იგივე იქნებოდა, რომ სან-მარინოს რესპუბლიკის პარტიის ლიდერი გამგზავრებულიყო ელჩად მაგალითად თურქეთში და მეგობრული კავშირის შეკვრა შეეთავაზებინა. რომში რომ ნამდვილად

ჩასულიყო რომელიმე მეტად თუ ნაკლებად ცნობილი რესპუბლიკის საელჩო, და რომს „სათნოდ მიეღო“ მისი სიტყვა, მართლა შეუკრა საზეიმო კავშირი იერუსალიმთან, ტიტ ლივიუსსა და სხვა ისტორიკოსებს ეს უთუოდ ეცოდინებოდათ. მაგრამ რომთან „კავშირს“ მხოლოდ ბიბლია გვატყობინებს.

VIII. მალე გვხვდება კიდევ ერთი ფანფარონადა: ებრაელთა მონაგონი ნათესაობა სპარტანელებთან. ავტორი ამბობს, რომ ვინმე არეოსს (ონიარს), ლაკედემონელთა მეფესა და მღვდელმთავარს, დარიას მემკვიდრეს, ებრაელთა მღვდელმთავრისათვის, ონიასათვის ასეთი ეპისტოლე მიუწერია: „...ონია მღდელთ მთავარსა გიხაროდენ! პოვა წერილსა შინა სპარტიატელთა თვის და ებრაელთა, რამეთუ არიან ძმანი, და რამეთუ არიან ნათესავისაგან აბრაჰამისა. და აწ მიერითგან ესე ვცანთ, კეთილს ვყოფთ და ვსწერთ ჩვენ მშვიდობისა თვის თქვენისა. ხოლო ჩვენ მოგწერთ თქვენ, საცხოვარნი თქვენნი და წარსაგებელნი თქვენნი — ჩვენნი არიან, და რამეთუცა ჩვენნი თქვენნი არიან. ვუბრძანეთ უკვე, რათა მოგითხრან თქვენ ესე. ესმა იონათანს...“ *(მუხლ. 12, 23)*.

სისულელეა სერიოზულად მოვეკიდოთ სისულელეებს, რომელნიც ბოკლებული არიან ყოველგვარ საღ აზრს. ეს მოგვაგონებს იმ ტაკიმასხარის ამბავს, რომელიც თავს ჰოძღვრად ასაღებდა როცა მოსამართლეებმა სიცრუეში გამოიჭირეს, მან მიუგო: „სიმართლე გითხრათ, მე თავი მართლა მღვდელი მეგონაო“. რა საჭიროა იმის მტკიცება, რომ არასოდეს სპარტანელებს არ ჰყოლიათ მეფე არეოსი, და დიდი ქურუმის ონიას დროს ლაკედემონიელებს საერთოდ აღარ ჰყავდათ მეფეები ზედმეტი დროის დაკარგვა იქნებოდა ისიც, რომ ვამტკიცოთ, აბრამი საბერძნეთშიც ისევე უცნობი იყო, როგორც რომშიო.

IX. ახლა შევჩერდეთ ილიოდორის ჯადოსნურ თავგადასავალზე, რაც მეორე წიგნის მესამე თავშია მოთხრობილი. „სელევკმა, აზიის მეფემ“ (სელევკ IV ფილოპატორმა), ანტიოხ IV ეპიფანის უფროსმა ძმამ და წინამორბედმა, თითქოს ერთი ებრაელისაგან გაიგო, მონასტრის ყოფილი წინამძღვრისაგან, რომ იერუსალიმის საგანძურში განუზომელი სიმდიდრე ინახება. მეფეს თავისი ჯარებისათვის ფული ესაჭიროებოდა და ერთერთი ოფიცერი, ილიოდორი გაგზავნა, რათა ეს სიმდიდრე გამოეთხოვა. ილიოდორმაც ადგილზე მისვლა არ დააყოვნა, ქურუმთქურუმ ონიასაც შეუთანხმდა. ვიდრე ეს ორი კაცი ტაძარში მოლაპარაკებას აწარმოებდა, ციდან უზარმაზარი ცხენი დაეშვა, ზედ ოქროში ჩამჯდარი მხედარი იჯდა. ცხენმა წინა ტორები დაუშინა ილიოდორს, ორმა ანგელოზმა კი, რომელთაც სადავეები ეჭირათ — მათრახები. ქურუმმა ონიამ ხელები აღაპყრო, ღმერთს შეევედრა, შეიბრალეო. უწმინდესმა ანგელოზებმა მათრახის შენა შეწყვიტეს და ოფიცერს უთხრეს: მადლობა უთხარი ონიას! მისი

ლოცვა რომ არა, ცემით სულს ამოგხდიდითო. ამის შემდეგ ანგელოზები ცივიმალნენ.

ეს სასწაული კრიტიკოსებს განსაკუთრებით საცნაური ეჩვენათ, რადგან არც ეგვიპტის ფარაონი სუსაკიმი, არც ნაბუქოდონოსორი, არც ანტიოქ ეპიფანი, არც პტოლემეოს სოტერი, არც დიდი პომპეუსი არცა იმპერატორი ტიტე არ გაუმათრახებიათ ანგელოზებს, თუმცა ყველანი ისე ბარცვავდნენ იერუსალიმის ტაძარს, როგორც მოესურვებოდათ მართალია, ვიღაც წმინდა ბერმა თითქოს დალანდა კარლ მარტელის სული, რომელსაც ეშმაკები ჯოჯოხეთისაკენ მიაცილებდნენ, თან წკეპლას უშენდნენ იმისათვის, რომ კარლს წმინდა დენისის მონასტრის განძეულობა ჰქონდა მითვისებული, მაგრამ ასეთი შემთხვევები, თავაზიანად რომ ვთქვათ, ძალიან იშვიათია ხოლმე.

X. ჩვენ განზე ვტოვებთ უამრავ ანაქრონიზმს, აღრევას, შეცდომას, ნაყალბევს, უმეცრულ ზღაპარს, რომლებითაც სავსეა მაკაბელთა წიგნები, და გადავდივართ ანტიოხის სიკვდილზე, რაც მეორე წიგნის მეცხრე თავშია მოთხრობილი, სიცრუის, უაზრობისა და მონაჩმახის ეს ხუხულა ზიზღს იწვევს. ავტორის განცხადებით, ანტიოხი ქალაქ პერსეპოლისში მივიდა იმ მიზნით, რომ გაეძარცვა ეს ქალაქი და ტაძარი. საკმაოდ ცნობილი ამბავია: ქალაქი პერსეპოლისი („სპარსელთა ქალაქი") ალექსანდრე მაკედონელმა დაანგრია. ებრაელები, რომლებიც სხვა ხალხებს შორის მუდამ იზოლირებულ მდგომარეობაში ცხოვრობდნენ, ყოველთვის მხოლოდ საკუთარი ინტერესებით იფარგლებოდნენ, სძულდათ სხვა ტომისა და სხვა სარწმუნოების ადამიანები, ცხადია, ვერ იქნებოდნენ ვთქვათ ჩინეთისა და ინდოეთის მოვლენების კურსში. მაგრამ განა შეეძლოთ არ სცოდნოდათ, რომ ქალაქმა, რომელსაც მხოლოდ ბერძნები ეძახდნენ პერსეპოლისს, ანტიოხამდე 160 წლის წინ შეწყვიტა არსებობა? ამ ქალაქის ნამდვილი სახელი იყო ისტახარი.მაკაბელთა წიგნი რომ იერუსალიმელ ებრაელს, აზიის მცხოვრებს დაეწერა, ქალაქს არ მისცემდა ბერძნულ სახელწოდებას, რადგან ეს იყო აზიის ქალაქი,სპარსელთა სატახტო ქალაქი აქედან გამოაქვთ დასკვნა,რომ ძველი აღთქმის უკანასკნელი წიგნები მხოლოდ ალექსანდრიელ ებრაელ-ელინისტებს უნდა დაეწერათ.

მაგრამ აი კიდევ ერთი საბაბი ეჭვისა. პირველ წიგნში ნათქვამია. რომ ანტიოხ ეპიფანემ განიზრახა დაპატრონებოდა ოქროს ფარებს, ალექსანდრე დიდს რომ დაუტოვებია ელიმაისში, ეკბატანის გზაზე, „ჰპოვა ბოროტმან და წარწყმდა მწუხარებითა დიდითა ქვეყანასა შინა უცხოსა" *(მუხლ. 6, 13)*, როცა გაიგო, რომ მაკაბელებმა მის ჯარს იუდეაშიც გაუწიეს წინააღმდეგობა. მეორე წიგნში, პირიქით, ნათქვამია, რომ ეს მეფე, ანტიოხი, ეტლიდან გადმოვარდა, ძლიერ დაშავდა, გარდაიცვალა, მთელს ტანზე მატლი დახვეოდა და ისე იტანჯებოდა, რომ ებრაელთა ღმერთსა

სთხოვა შეწევნა. ამ სისულელის შემთხზველი გახარებულია, რომ ებრაელთა მოძულე მეფეს „ცოცხალსავე სალმობათა შინა და ტანჯვათა შინა ხორცნი მისნი დასცვივოდა“, თან ნიშნს უგებს: ევედრებოდა ღმერთს და არ ისმინა ებრაელთა ღმერთმა მისი ვედრებაო. ბოლოს „უღირსებელმა“ სარწმუნოების მიღებას დაჰპირდაო, დასძენს ავტორი. ეს იგივე იქნებოდა, რომ, მაგალითად, ჯვაროსანია მეფე კარლოს დიდი სულთანს დაჰპირებოდა, ისლამს მივიღებო.

აი, კიდევ ერთი პატარა სცენა მესამე წიგნიდან. მოქმედება ხდება ეგვიპტეში. მეფე პტოლემეოს ფილოპატორი ებრაელებს გაუწყრა, ჩემს ქვეყანაში ფართო ვაჭრობას ეწევითო. აღწერის ჩატარება ბრძანა და აღმოჩნდა, რომ მილიონი ებრაელი ყოფილა. ეს მილიონი კაცი გარეკეს ალექსანდრიის იპოდრომზე. მეფემ ბრძანა, სპილოები მიუშვით და გადათელონო. ამ საშინელი სანახაობის საათმა რომ დაჰკრა, თავისი ხალხის დარაჯმა ღმერთმა საქმე ისე მოაწყო, რომ მეფეს ჩაეძინა რომ გაეღვიძა, სანახაობა მეორე დღისთვს გადადო. მეორე დღეს ღმერთმა გონება დაუბნელა: პტოლემეოსმა ვერაფერი ვერ გაიხსენა, ბოლოს მესამე დღეს როგორც იქნა, საქმის ვითარება გაიხსენა და ბრძანა. ებრაელები და სპილოები მოამზადეთო. სპილოებს საკმევლიან ღვინოს ასმევდნენ. ის იყო პიესა უნდა გათამაშებულიყო, როცა გაიხსნა ცა და „დიდმან დიდებულმან ყოვლისა მპყრობელმან და ჭეშმარიტმან ღმერთმან გამოაჩინა წმინდა თვისი პირნი, განახვნა ბჭენი ცისანი, რომლისაგან გარდამოვიდეს ორნი შვენიერნი და საშინელნი ხილვითა ანგელოზნი“ (მუხლ. 6, 17). მათ სპილოებს ჯარისკაცების წინააღმდეგ უქნეს პირი. ჯარისკაცები, ცხადია, გადათელეს, ებრაელები კი, ცხადია, გადარჩნენ, მეფე კიდევ, ესეც ცხადია, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქციეს. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს რელიგიურად დაბურული გონების ხალხისათვის განკუთვნილ კეთილმსახურულ ზღაპრებში“.

ასეთია ვოლტერის მოკლე რეზიუმე. ამის შემდეგ რაღა საჭიროა მაკაბელთა დანარჩენი წიგნების მიქარვების დაწვრილებითი მიმოხილვა?

* * *

ჩვენი ამოცანა შესრულებულია. დაგვრჩენია სულ რამდენიმე სიტყვა, რაც ალბათ გააოცებს თავისუფლად მოაზროვნე მკითხველს, მაგრამ წარმოადგენს სრულ სიმართლეს, რაც ავტორმა წლების განმავლობაში მორწმუნეთა ზნეზე დაკვირვების დროს დაადგინა: რა უაზრობასაც არ უნდა შეიცავდეს ბიბლია, არიან მღვდლები და ჭკვიანი მღვდლებიც კი, რომლებიც სრულიად კეთილსინდისიერად თვლიან მას მართალ, სარწმუნო და ჭეშმარიტ წიგნად, რომელთა გონება არასოდეს არ შეუშფოთებია „წმინდა წერილის“ ავტორთა თვით ყოვლად ფანტასტიკურ თხრობას. ეს არაჩვე-

ულებრივ გულუბრყვილო ადამიანები არიან. მათ არა მარტო სჯერათ, რომ ვეშაპმა იონა გადაყლაპა, არამედ სიამოვნებით დაიჯერებდნენ იმასაც, იონამ გადაყლაპაო ვეშაპი, ოღონდ ასეთი რამ მოსვლოდა თავში და ეკარნახა წმინდა მტრედს რომელიმე წინასწარმეტყველისათვის.

ასეთია შედეგი მრავალსაუკუნოვანი ჩაგონებისა და რელიგიური აღზრდისა „ღვთის წინაშე“ უდრტვინველი მოწიწების სულისკვეთებით. ასეთია ძალა გულუბრყვილო რწმენისა. ოღონდ სარწმუნოების ავტორიტეტმა თქვას და დედამიწა ყირაზე დადგაო, ულაპარაკოდ დაიჯერებენ*.

---

* მკითხველს ტაქსილის რეზიუმესთან დაკავშირებითაც შევახსენებთ, რომ როგორც ათეისტური პროპაგანდის უებრო ნიმუში, მისი წიგნი სავსებით მისაღებია, მაგრამ ბიბლიის, როგორც მხატვრული ქმნილების ხელაღებით უარყოფაში ვერ დავეთანხმებით. უცნობმა ავტორებმა შექმნეს შედევრი და თავიანთი სახელიც კი არ მიაწერეს. დანიური ლიტერატურის მამად წოდებულმა პედერსონმა (გარდ. 1554 წ.) ბიბლიის თარგმანით საფუძველი ჩაუყარა დანიურ სალიტერატურო ენას, ლუთერმა — გერმანულ სალიტერატურო ენას, ქართველმა მთარგმნელებმაც ბევრად უფრო ადრე გააკეთეს იგივე საქმე ქართულ მწერლობაში. „დაბადებას“ კითხულობენ ყველა ქვეყანაში. ერთნი ამბობენ — სასტიკი წიგნია, ავაცრემლებსო, ზეორენი — ჩატკბილებულია, ავაცრემლებსო, მესამენი — სასაცილოა, ავაცრემლებსო... მოკლედ, სამივე თითქოს ერთი აზრისაა. თავისი ხალასი იუმორით ტაქსილის „ვასართობი ბიბლიაც“ არაერთ მკითხველს „აცრემლებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველესი პოეტური ძეგლები, რომელთაც ბიბლიური დაკავშირება

1. სამყაროს შექმნა

შვიდი ფირფიტა. ასურბანიპალის ბიბლიოთეკიდან.

1. პირველყოფილი ქაოსი

როცა სივრცეში ჯერ სახელი არ ედო ცასა,
ძირს კი სახელი არა ჰქონდათ დღესასწაულებს,
მართ ოდენ აპსუ[1] არსებობდა, იმათი მამა,
მერე მუმუ და ტიამატი[2], ღმერთების დედა —
განუყოფელი იყო მათი წყალთა წიაღი...
არც ველი იყო, არც ჭაობი, არც მთა და ბარი,
არც ერთი ღმერთი არ სუფევდა ჯერ კიდევ მაშინ.
მას შემდეგ იშვა ცათა შინა ღმერთების დასი,
იშვა ლამუ და მასთან ერთად დიდი ლახამუ...
გავიდა დიდი დრო და ხანი... ანშარს და კიშარს
ეყოლათ ანუ, მბრძანებელი ცისა და ქვეყნის...
მაშინ შეგროვდა სათათბიროდ ღმერთთა კრებული,
შეშფოთდა მძლავრი ტიამატი, აპსუ (და მუმუ)...
გაწყრა, განრისხდა აპსუ, დიდი ღმერთების მამა,
და მუმუს, თავის თანაშემწეს, ასე მიმართა:
„ო, მუმუ, ჩემო ერთგულო და შვებავ გულისა,
წავიდეთ, ვნახოთ ტიამატი, ვიღონოთ რამე!“
წავიდნენ, ნახეს ტიამატი, დაუკრეს თავი,
ბჭობა გამართეს უღირს შვილთა დასათრგუნავად.
აპსუმ გააპო ბაგეები, ცოლს მიუბრუნდა,
თვალმოციმციმე ტიამატსა, და უთხრა სიტყვა:
„დახე, აშლილან ჩვენდა სამტროდ და საზიანოდ,
დღისით სიმშვიდი დამიკარგავს, ღამე კი ძილი...
მინდა გავწყვიტო, მოვუშალო სავალი გზები,

---

[1] აპსუ — პირველყოფილი ქაოსის განსახიერება, რომელსაც მამაკაცის სახე ჰქონდა.

[2] ტიამატი — პირველყოფილი ქაოსის ქვესკნელთა განსახიერება, გამოხატავდნენ ქალის-სახე ურჩხულად. მითი შეიქმნა ძველ შუამდინარეთში.

ცრემლი შეგვაშრეს და ვიპოვოთ სულის სიმშვიდე“.
ესმა ტიამატს მისი სიტყვა,
შეჰყვირა რისხვით,
ელდანაკრავმა, უნუგეშოდ გაშმაგებულმა
ბოროტი საქმე განიზრახა, დასტური მისცა:
„რაც შეგვიქმნია, დავანგრიოთ თვითონვე ბარემ!
მათი გზა იყოს ზაფრითა და კაეშნით სავსე,
ჩვენი მეფობა — მოუშლელი, მარადიული...“
(თქვეს და კიდევაც გაიმარჯვეს ამჯერად, მაგრამ
გოროზ ღმერთების გვარმა ისევ წამოჰყო თავი).
შმაგად აგებდნენ მზაკვრულ მახეს დღითა და ღამით,
ისევ საომრად მიიწევდნენ ცოფმორეულნი.
დედა ხუბურმა — ტიამატმა, ყოვლის მშობელმა
შექმნა შუბები, შვა ძალუმი გველეშაპები,
აღჭურვა ბასრი კბილებით და უწყალო გულით,
ძარღვებში შხამი ჩაუყენა სისხლის მაგიერ,
ელდით შემოსა ცოფიანი ბუმბერაზები,
ცეცხლი შეუნთო საზარელი, ცად აამაღლა,
მათი მნახველი მყისვე შიშით იღუპებოდა,
დახორგილებმა არ იცოდნენ უკან დახევა.
გამოიყვანა დრაკონები, გველი და ხვლიკი,
ჭაჯთა, ცოფიან ძაღლთა ხროვა. ღრიანკალ-კაცნი,
მძლავრი ქარები, თევზ-კაცები, შმაგი ყოჩები,
შეუდრეკელნი, შეჭურვილნი, შლეგნი ბრძოლაში...
პირველშობილთა, გარშემოყრილ ღმერთთა კრებულში
მბრძანებლად კინგუ აირჩია, პირმშო თავისი,
ლაშქრის გაძღოლა დაავალა, სასტიკ ბრძოლაში
ხმლის გაშიშვლება, მეომართა წახალისება.
ღმერთებთან ომში პირველობა ამ ერთს უბოძა,
მისცა სამეფო სამოსი და ასე უბრძანა:
„მე შენ გიხმე და ჩაგაბარე ღმერთების დასი,
ღმერთთა კრებულის მბრძანებლობა მოგანდე შენა!
იყავი დიდი, ერთადერთო მეუღლევ ჩემო,
ანუნაკებმა განადიდონ სახელი შენი“.
ბედის სასწორი ჩააბარა, მკერდზე დაადო:
„მარად უცვლელი იყოს ნება და სიტყვა შენი!“

(შემდეგ ტექსტი ძლიერ დაზიანებულია. ღმერთებს ტიამატის სამზადისი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, თავიანთი ბედი ბაბილონის ახალგაზრდა ღმერთს მარდუკს მიანდეს და უზენაეს მეფედაც ის აირჩიეს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მარდუკის დიდება

მარდუკს, თავიანთ შურისმგებელს, წილი უყარეს
და განუმზადეს სამეუფო დარბაზი ფართო.
მამა-პაპათა ტახტზე ახლა თვითონ ავიდა.
„ხარ ღმერთებს შორის სხვაზე მეტად წარჩინებული,
წილიც შენია, სიტყვაც შენი, ვით ანუს სიტყვა!
ამიერიდან ნებაც შენი იყოს უცვლელი,
მოგენდოს არსთა ამაღლებაც, დამდაბლებაცა,
და შეუცვლელი იყოს მარად ბრძანება შენი...
ვერც ერთი ღმერთი შენთან დავას ვეღარ გაბედავს...
ო, მარდუკ, შენ ხარ ერთადერთი ქომაგი ჩვენი,
ფართო სამყაროს გამგებლობას გავალებთ შენა.
ღმერთთა თათბირზე რომ დაჯდები, გაგივა სიტყვა.
შენი მახვილი უძლეველი შენს მტერს შემუსრავს.
ვინც მოგენდობა, მას სიცოცხლე აჩუქე შენა
და თუ ბოროტი განიზრახოს, დაამხე ღმერთი!“
მხიარულობდნენ, გაჰყვიროდნენ: „ღმერთი ხარ, მარდუკ!“
მისცეს მახვილი, ტახტი, სკიპტრა, ძალაუფლება:
„ძლევამოსილო, ამ მახვილით შემუსრე მტერი!“

3. მარდუკისა და ტიამატის ორთაბრძოლა

მშვილდი მოდრიკა, იარაღად ირჩია თვისად,
შუბი აიღო, რომ მტრისათვის ეტყორცნა გულში,
ხმალი აიღო და ჩააგო მძლავრი მარჯვენით,
მშვილდი, კაპარჭი გაიკეთა მარცხენა მხარეს,
წინ დაიყენა ელვის ენა,
ცეცხლი შეუნთო,
ბადე დააგო ტიამატის შესაბოჭავად,
ოთხ ქარს მიანდო, რომ ვერსაით გაპარულიყო.
აღმოსავლეთში, დასავლეთში, სამხრეთს, ჩრდილოეთს
გაშალა მამის ნაჩუქარი ძალუმი ბადე,
შექმნა სასტიკი ქარიშხალი, სამხრეთის ქარი,
ოთხმაგი ქარი, შვიდი ქარი და ბორბალ-ქარი,
ბოროტი ქარი იმხულა და მგუდავი ქარი.
შექმნა ქარები და გაუშვა შვიდსავე მხარეს,
რათა აევსო ტიამატის წიაღნი ძრწოლით.
შემდეგ ატეხა ქარიშხალი, მრისხანე ძალა,
ჭარბუქის ფრთოსან ეტლში ჩაჯდა ძალუმი ღმერთი
და შიგ შეაბა ოთხი ცხენი — სადავიანი,

ფრთოსანი, წარღვნის, უმოწყალო და დამღუპველი,
ბასრი კბილები სავსე ჰქონდათ გესლით ტაიჭებს
აი, ჭენება მათ იცოდნენ და მტრის დამხობა...
ჭექა-ქუხილით შეიმოსა, ელდა მოისხა,
თავზე თავისი რისხვის შუქის მოირგო ზუჩი
და გზას გაუდგა, გააქროლა ბილიკზე იქით,
სადაც ცოფიან ტიამატსა ჰქონდა ბუნაგი.
კინგუმ მარდუკი რომ იხილა, შედრკა, შეშფოთდა,
სადღაც გაუქრა ქედმაღლობა, აზრი დაებნა.
მეფე — დევგმირი რომ იხილეს მისმა ღმერთებმა,
შედგა, შეირყა, შეყოყმანდა მისი ლაშქარი.
მართ ოდენ მარტო ტიამატი დარჩა ურყევი,
ამბოხის სიტყვის ღვარს ანთხევდნენ მისნი ბაგენი...
მაშინ გაუშვა მბრძანებელმა ქარბუქი მძლავრი
და შეუთვალა გაცოფებულ დედაკაცს ასე:
„აღზევებულხარ, გულგოროზი, ავის მზრახველი,
ღმერთებს შებმიხარ, გსურს შემუსრო ჩემი მამები!
გაქვს იარაღი, აღჭურვილან შენი ბრბოები —
გამოდი ბარემ, ჩვენ შევებათ ერთიმეორეს!“
ეს ტიამატმა რომ გაიგო, ჭკუა დაკარგა,
ცეცხლი მოედო, გაჰკიოდა ცოფმორეული.
მისთა უფსკრულთა ძაგძაგებდნენ ბნელნი წიაღნი...
იწყო შელოცვა, მისნურ სიტყვებს აღმოისროდა.
ომის ღმერთებმა იარაღი მოუჯადოვეს.
მაშინ გავიდნენ და შეიბნენ საგულდაგულოდ
ტიამატი და ღმერთთა შორის ბრძენი მარდუკი.
ბადე დაუგო უფალმა და შეიპყრო ქალი,
ქარბუქის ქარი დაადევნა, მკაცრი მხლებელი.
პირი დააღო ტიამატმა, ნაპრალთა მსგავსად,
და ვერ დახურა — შიგ შეუშვა მარდუკმა ქარი[1].
შმაგმა ქარებმა გაუბერეს ტიამატს ტანი,
გაღვივდნენ მისნი წიაღისნი, გაუსკდა ხახა.
მაშინ ასწია ღმერთმა დანა, აკუწა ტანი,
დაჭრა, დაკეპა შიგნეული, განგმირა გული,
შეკრა, შებოჭა, დაასრულა სიცოცხლე მისი.

---

[1] ბრწყინვალე თქმულების ეს მომენტია აღბეჭდილი არანაკლებ **ბრწყინვალე** უძველეს ბარელიეფზე: დევგმირი — ღმერთი მარდუკი მისდევს **ოთხფეხ** ურჩხულს, ფრთოსან ტიამატს, რომელსაც ნისკარტისებური პირი დაუღია.

დააგდო გვამი და დაადგა ფეხებით ზედა...
ღმერთები, მას რომ გარს ეხვივნენ, თანაშემწენი,
შეძრწუნებულნი უკუიქცნენ, უჩვენეს ზურგი,
გაქცევით სცადეს განსაცდელში თავის დაღწევა,
მაგრამ მოტყუვდნენ, ვერ გაექცათ, შეიპყრეს ყველა.

ქართული
ბიბლიოთეკა

4. სამყაროს შექმნა

როცა უფალი ისვენებდა, გვამის ჭვრეტისას
მან მოიფიქრა ბრძნული საქმე: ხორცის გაყოფა,
და მართლაც გაჭრა მთელს სიგრძეზე, ბრტყელი თევზივით.
ზევით აღმართა ნახევარი, ზეცას გააკრა,
ზედ ურდულები გაუყარა, მცველებს მიანდო:
არ გადმოუშვათ უსარგებლოდ ციდან ცვარიო.
ცა დაიარა, შეიხედა ყველა მხარეში
და გაუსწორდა ოკეანეს, ეას სამყოფელს,
გაზომა მისი სანაპირო, წიაღნი ზღვათა,
და ზღვათა მსგავსად მან აღმართა ღმერთთა სავანე,
ციურ ე-შარას სამ ქალაქში მან დაასახლა
სამი ღვთაება: ბრძენი ეა, ანუ, ენლილი,[1]—
დიდი ღმერთების სამყოფელი ასე მოაწყო,
ციურ ჯებირზე განალაგა მათნი მნათობნი,
წელი განსაზღვრა, დაადგინა მიჯნა-სამანნი,
თორმეტი თვისთვის შექმნა თითო სახი ვარსკვლავი[2],
დღესა და ღამეს დაუდგინა თავი და ბოლო,
შექმნა ნიბირუს მტკიცე გზა[3] და მისცა მსვლელობა,
რომ არ დაირღვეს მიმოქცევა ციურ ცთომილთა,
მყარი ადგილი მისცა მანვე ენლილს და ეას.
ორივე მხარეს გახსნა თაღი მსახვრალი ხელით,
მარჯვნივ და მარცხნივ გაუკეთა მყარი ჭიშკრები,
ქალღმერთის გულში დააფუძნა ჩრდილო პოლუსი,
ნანარა-მთვარე აანთო და მიანდო ღამე,
ღამის გუშაგად დააყენა, დღეთა მრიცხველად:
„თვის დასაწყისში ამოხვალო ზეცის ტატნობზე!

---

[1] უძველესი სამება: ანუ (მორჩუნული, მიუწვდომელი), ენლილი (ძლიერი), ეა—ბრძენი, წმინდა. სუმერთა სამება გადმოიღო ქრისტიანობამ. არსებობს ანალოგიური ეგვიპტური თქმულება: ღმერთმა შუმ (ჰაერმა) გაყო ცა (ნუტი) და მიწა (გები) ამასთან ცას (ნუტს) ხელ-ფეხზე დაბჯენილი ქალის სახე აქვს.

[2] ჩანს, იმ დროს თვე სამ ნაწილად იყოფოდა.

[3] პლანეტა მარდუკი (იუპიტერი).

რქებით ანათე, ექვსდღიანი აღნიშნე კვირა,
მეშვიდე დღეზე ნახევარი გამოჩნდი ცაზე
და მეთოთხმეტე დღეს იყავი ბადრი მთვარეო".

(შემდეგ დაზიანებულ ტექსტში ლაპარაკია [illegible] შექმნაზე, მისი გზის დადგენაზე, ციური ბაბილონის შექმნაზე, [illegible] შეორე ნახევრისაგან დედამიწის, მცენარეთა და ცხოველთა შექმნაზე. ბოლოს მარდუკი იწყებს ადამიანის შექმნას).

დაბოლოს გულმა ბრძნული საქმე ურჩია უფალს,
გახსნა ბაგე და უთხრა ეას, რაც განეზრახა,
გაანდო საქმე საკვირველი:
„მინდა ავაღო ჩემი სისხლი და ჩემი ძვალი,
ადამიანი შევქმნა მისგან...
შევქმნი კიდევაც, რომ იცხოვროს დედამიწაზე
და ემსახუროს მაღალ ღმერთებს..."

(ძეგლის დაზიანებულ ბოლოს სწავლულები ვერ არჩევენ).

5. მოქმულება წარღვნაზე[1]
(გილგამეშიანიდან)

ასე უთხრა გილგამეშმა უტ-ნაპიშტიმს, განდეგილსა:
„ო, ნათელო უტ-ნაპიშტიმ, გიყურებ და ცქერით ვტკბები.
შენი სახე არ მაშინებს, ჯუფთი ხარ და მსგავსი ჩემი,
მსგავსი ხარ და ტოლი ჩემი, გარჩევაც კი გაჭირდება.
შენი გული ვარგისია, რომ იცინოს ბრძოლის ველზე,
როცა გძინავს, ზურგზე წევხარ, როგორც ყველა დანარჩენი!
რად აღზევდი, დაგამკვიდრეს მაინც უკვდავ ღმერთთა შორის?"
უტ-ნაპიშტიმს გაეღიმა, უპასუხა გილგამეშსა:
„მე გაგანდობ, გილგამეშო, საიდუმლო სიტყვას ჩემსას,
დიად ღმერთთა საიდუმლოს გაგიმჟღავნებ, მომისმინე,
შურიპაკი, ის ქალაქი, შენ რომ იცი,
და ევფრატის მღვრიე ტალღებს გადასცქერის,
ძველებური ქალაქია, ღმერთებისა,
აქ ანიშნა გულმა ღმერთებს — წარღვენითო!
აქ მოგროვდნენ დიდი ანუ, მამა-ღმერთი,
ბელ — მებრძოლი, მეომარი და მრჩეველი,
და ენუგი, წინამძღოლი ღმერთებისა,

---

[1] წარღვნის ამბავს გმირ გილგამეშს მოუთხრობს მისი წინაპარი, უტ-ნაპიშტიმი, რომელსაც ჭვეყნიერების კიდეში შეხვდა, „სიკვდილის წყლების" მიღმა. ის ერთადერთი მოკვდავია, რომელიც წარღვნას გადარჩა, ბიბლიური ნოესავით, და უკვდაეებას ეზიარა.

ქართული
ბიბლიოთეკა

გრძენთაბრძენი ეაც აქვე ბრძანდებოდა.
მათი სიტყვა მან გადასცა ლერწმის ღობეს:
„ღობევ, ღობევ! ზღუდევ, ზღუდევ, გაგვიგონე!
მოგვისმინე, შეისმინე, ლერწმის ღობევ!
შურიპაკის მკვიდრო კაცო, ტუტუს ძეო,
დაანგრიე სახლი — გემი ააშენე,
მიატოვე ქონება და იხსენ თავი,
სიცოცხლისთვის შეიძულე სიმდიდრე და
შენს ხომალდზე აიტანე ყველა თესლი.
ჯერ გაზომე კარგად მისი სიგრძე-განი,
დიდი იყოს გემი, შენ რომ ააშენებ,
სიგანე და სიგრძე ჰქონდეს ზომიერი,
შემდეგ ზღვაში შეაცურე გაბედულად!“
გავიგონე და ვუთხარი უფალს ეას:
„ო, უფალო, ყველაფერი, რაც მითხარი,
გულისყურით ვისმინე და შესრულდება,
ნაგრამ ხალხს და ბერიკაცებს რაღა ვუთხრა?“
ეამ ბაგე გააპო და მიპასუხა,
თავის მსახურს მიპასუხა:
„ეს უთხარი შენს ხალხსა და ბერიკაცებს:
— ბელსა ვძულვარ, თქვენს ქალაქში არ ვიცხოვრებ,
არ დავადგამ ფეხსაც ბელის მიწა-წყალზე,
ზღვაში ჩავალ, ვესტუმრები ბაბონს ეას,
თქვენ ის უხვად მოგიგზავნით წარღვნის წყალსა.
ფრინველების წერა ხართ და თევზთა ლუკმა,
უწმინდურ წყალს დაღვრის ღვარად ღმერთი ციდან“.
როგორც ინათა, შევუდექი, საგულდაგულოდ,
ხუთი დღე ვხაზე, დავასრულე ბოლოს ნახაზი.
კედლების სიგრძე ას ოცი წყრთა ვივაოაუდე,
და გემის ბანიც ას ოცივე წყრთა იქნებოდა.
ჯერ მოვხაზე და მერე გემი დავხატე კიდეც,
კედლებს ექვსმაგი ტყავის გარსი გადავაკარი
და შვიდ ნაწილად სახურავი დავყავი მისი,
შიგნით გავტიხრე. ცხრა ნაწილად დავყავი გემი,
შუა ადგილას დავდგი მისი მოწყობილობა,
საჭე გავმართე და მოვაწყვე, რაც საჭიროა,
ექვსი საწყაო იატაკზე ფისი დავღვარე,
ექვსი საწყაო იატაკზე კუპრი დავღვარე.
მონებმა ზეთი მომიტანეს სამი საწყაო:

ერთი სამსხვერპლო ცეცხლისათვის გამოვიზოგე,
მენავემ ორი დანარჩენი შემოინახა.
ხალხისთვის ხარებს ვკლავდი ხოლმე,
და ვკლავდი თხასა,
ყოველდღე თითო ვაცსა ვკლავდი —
ღვინოს, კენკრის წვენს
და ზეთს ვასმევდი ისე, როგორც
უბრალო წყალსა.
დღესასწაული საახალწლო გავმართე გემზე,
გავხსენ ბეღლები, ამოვიღე ძვირფასი მური[1],
შებინდებამდე დავასრულე გემის შენება,
ბოლოს მშენებელთ მომიტანეს მაღალი ანძა
და ყოველივე, რაცა მქონდა, ავზიდე ზედა,
მთელი ის ვერცხლი, რაც გამაჩნდა, ავზიდე გემზე
მთელი ის ოქრო, რაც გამაჩნდა, ავზიდე გემზე.
მის სენაკებში შევიყვანე მთელი ოჯახი,
მხეცი, ნადირი, საქონელი, ფრინველი, მწერი...
მერე შამაშმა დამინიშნა დრო და საათი:
— საღამოს ბინძურ წყალს დაუშვებს ბინდის მეუფე,
შედი გემში და საიმედოდ ჩაგმანე კარი —
საბედისწერო დადგა წუთი წინასწართქმული!
მწუხრის ჟამს ბინდის მბრძანებელმა დაუშვა წყალი.
დღეს რომ შევხედე, შემაძრწუნა:
ამინდი წახდა,
გემში შევედი, საიმედოდ დავხურე კარი,
ნაოსანს, პოზურ-ბელს მივანდე მართვა გემისა,
მთელი ხომალდის ტვირთის მოვლა და პატრონობა.
ჯიდეც ინათა,
წამოვიდა შავი ღრუბელი,
შიგა ღმუოდა ცის სიღრმიდან კუშტი ადადი,
ნაბუ და მეფე წამოვიდნენ, ავის მენცარნი,
გადმოიარეს ველ-მინდვრები
მაღალი მთები...
ნერგალმა ანძა გადატეხა, გასტყორცნა ზღვაში.
მოდის ნინიბი, მოიჩქარის, ბრძოლა სწყურია.

---

[1] მური, ზმირინი (ბერძ. გუნდრუკი) — სურნელოვანი ნივთიერება: „შტახსისა ნაწური სულნელი... ეს მური ყვავილისაგან გამოიხდება მეფეთ საცხებლად, თუ მკვდარს წასცხო, წლამდისინ არ გაიხრწნება. ბაბილონს მოვა“ (საბა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუნაკებმა ჩირაღდნები ააგიზგიზეს
და მათი შუქით გაანათეს პირი მიწისა.
ადადის გრგვინვამ ზეცის თაღი შეაზანზარა
და რაც ნათელი იყო, შთანთქა წარღვნის წყვდიადმა.
ძმა ვეღარ ხედავს ალალ ძმასა, მშობელი შობილს,
და ადამიანს ვეღარა ცნობს ადამიანი.
ღმერთებს აშინებთ წარღვნის წყალი,
ძრწიან, შფოთავენ,
გარბიან ზევით, აფარებენ ანუს ცას თავსა.
იქ ძაღლებივით სხდებიან და კედლებს ეკვრიან.
უხმობს იშტარი დარაჯივით ღმერთებს ხმამაღლა,
ხმით საოცარით უხმობს ღმერთებს ცის დედოფალი:
„ის დღე დაიწვას, დაიფერფლოს, ნაცარ-მტვრად იქცეს,
რა დღესაც ღმერთებს ჩავასმინე საქმე საზარი:
წარღვენით-მეთქი, მოსპეთ კაცის სახსენებელი,
რომ ზღვა დაფაროს გვამმა, როგორც თევზის ქვირითმა!“
აქ აკუნაკმა სხვა ღმერთებსაც ადინა ცრემლი,
ისმის ტირილი, გულდაკოდილ ღმერთთა გოდება,
სხედან, უსიტყვოდ ცახცახებენ პირმოკუმულნი,
ქარი, წყალი და ურაგანი დანავარდობენ
ექვს დღეს, ექვს ღამეს, ცას და მიწას აზანზარებენ...
მეშვიდე დღეს კი ურაგანი დადგა, დამშვიდდა,
წარღვნის ჯარივით რომ იბრძოდა მძვინვარე ფრთებით.
ზღვაც მაშინ დაცხრა, ქარიც ჩადგა, წარღვნა დავარდა.
ზღვას გადავხედე, არ ისმოდა ტალღების ჩქამი,
კაცობრიობა ქცეულიყო შლამად, ტალახად,
სახურავებზე მაღლა იდგა ჭაობის წყალი!
კარი გავაღე, გამინათა დღემან ღაწვები,
გიჟს დავემსგავსე, ვიჯექი და ვტიროდი ჩემთვის.
მოწანწკარებდა ჩემს ლოყებზე მდუღარე ცრემლი.
გავხედე ზღვათა წიაღსა და ქვეყნიერებას,
ოც დღის სავალზე პაწაწინა კუნძული ჩანდა,
ჩემმა ხომალდმა მიაშურა ნიზირის მთასა.
დღე პირველი და დღე მეორე მას არ უშვებენ,
დღე მესამე და დღე მეოთხე გზას არ აძლევენ,
არც მეხუთე და არც მეექვსე... აი მეშვიდეც!
როგორც ინათა, გავაფრინე გემიდან მტრედი.
გაფრინდა მტრედი, იფრინა და მოფრინდა უკან,
თიოქოს ადგილი ვერ იპოვა, დაბრუნდა გემზე

ახლა მერცხალი გავაფრინე გემის სარკმელში,
დიდხანს იფრინა და მოფრინდა ხელახლა უკან,
მშრალი ადგილი ვერ იპოვა, დაბრუნდა უკან.
ბოლოს ყორანი ავიყვანე და გავაფრინე,
გაფრინდა შორს და შეამჩნია, წყალმა დაიკლო,
ჭამდა, ფრინავდა, ყრანტალებდა, აღარ დაბრუნდა.
მეც ის ოთხსავე ქარს ვანდე და ზეთის წაქცევით
მსხვერპლი შევწირე უზენაესს მაღალ მწვერვალზე.
დავდგი თოთხმეტი სალოცავი სამსხვერპლო ურნა,
მური, კედარი და ლერწამი დავფინე დაბლა.
ღმერთებმა მსხვერპლის სუნი იკრეს, კეთილი სუნი,
და ბუზებივით დაეხვივნენ მსხვერპლის შემწირველს.
ბოლოს ღმერთების დედოფალიც მოვარდა მაღლით,
აღმართა ანუს ნაჩუქარი სამკაულები:
„ჰოი, ღმერთებო, აქ რომ დგახართ, მისმინეთ კარგად:
როგორც ამ ფირუზ-ვერცხლის ფარღულს არ დავივიწყებ,
ისე არც ამ დღის შვებას მივცემ დავიწყებასა!
მიუახლოვდით, მაშ, ღმერთებო, სამსხვერპლო ცეცხლსა!
ოღონდ ბელმა კი არ გაბედოს, არ გაეკაროს,
რადგან მოიქცა განუსჯელად, წარღვნა მოაწყო,
ჩემს ადამიანს სავალალო ბედი არგუნა“.
მაშინ მოვარდა ღმერთი ბელი,
გემი იხილა,
რისხვით აევსო დამღუპველი, სასტიკი გული,
აღშფოთებულმა ღმერთ იგიგას ასე მიმართა:
„განა გადარჩა რომელიმე მოკვდავთაგანი?
დამიჭცევია დედამიწა და იყოს ასე!
ქვეყნად არ უნდა ჭაჭანებდეს აღამიანი!“
სიტყვა ნინიბმა აიღო და
გმირ ბელს მიმართა:
„ვინ არს ქმნილების შემოქმედი, ეს კიდეგან?
მართ ოდენ მარტო ეამ იცის ქვეყნის ამბავი“.
ბაგე გახლიჩა დიდმა ეამ,
გმირ ბელს მიმართა:
„შენ, ბრძენთაბრძენო ღმერთთა შორის, მძლე მეომარო,
აბა როგორ არ დაუფიქრდი, წარღვნა მოაწყვე?
ცოდვა მოჰკითხე ცოდვილსა და არა ქვეყანას!
დანაშაული დააკისრე დამნაშავესა!
მაგრამ ჯერ უკან დაიხიე, ვიდრე დათრგუნავ!

რისთვის წარღვენი? რად დაღუპე ქვეყნიერება?
დე, თუნდაც ლომი მოსულიყო, ეგლიჯა ხალხი!
რისთვის წარღვენი?
თუნდაც ავაზა მოსულიყო, ეჭამა ხალხი!
რისთვის წარღვენი?
დაე, შიმშილი მოვლენოდა, ექცია მიწა!
რისთვის წარღვენი?
დე, შავი ჭირი მოსულიყო, ეწყვიტა ხალხი!
დიდი ღმერთების საიდუმლო ხალხს არ გავანდე,
გამოვეცხადე სიზმარში და გავანდე ბრძენმა!
ასე ვიხსენი ჩემი ხალხი...“
ღმერთებმა რჩევა ჰკითხეს ბელსა;
გემზე ავიდა,
ჩამავლო ხელი ბრძენმა ბელმა, ამწია მაღლა.
ცოლიც ასწია, დაგვაყენა ერთად ორივე.
სახეზე ხელი შეგვახო და ასე დაგვლოცა;
„უტ-ნაპიშტიმი იყო ერთი მოკვდავთაგანი,
დღევიდან იყოს ის უკვდავი, ღმერთების მსგავსად
ცოლიც იახლოს, დაემკვიდროს შესართავთანო!“—
გამიყვანეს და დამასახლეს მდინარის პირას.

6. შვიდი სული

(ბაბილონური თქმულებიდან)

შვიდნი არიან, შვიდნი არიან,
შავბნელ ქვესკნელში შვიდნი არიან...
მიწის წიაღში გაზრდილებია,
არც კაცებია, არც ქალებია —
დამანგრეველი ქარიშხლებია,
არც არასოდეს ქორწინდებიან,
არც არასოდეს მშობიარობენ,
არც სიბრალული მათ არ იციან,
ლოცვა-ვედრებას ყურს არ აპყრობენ...
მთებში გაზრდილი ულაყებია,
ეას მტრებია, შუქის მტრებია
და ღმერთებს შორის მძლეთამძლეობენ,
გზაში ხვდებიან, მგზავრებს ღუპავენ,
ავნი არიან, შმაგნი არიან,
შვიდნი არიან, შვიდნი არიან,
და ერთხელ კიდევ შვიდნი არიან*...

---

* ლექსები თარგმნა **აკაკი გელოვანმა.**

[1] იაღვე, იახვე იუდეველთა ერთარსება ღმერთია, მისი სახელის წარმოთქმა იკრძალებოდა და ამიტომ ძველ ებრაულ ტექსტებში ის ჰიეროგლიფი აღინიშნებოდა სიტყვით „ადონაი" — უფალო ჩემო! შუა საუკუნეებში ებრაელ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა მეტყველებმა თანხმოვნებს შორის ხმოვნები ჩასვეს, და ასე ხელოვნურად მიიღეს სიტყვა „იეღოვა", საბაოთის ერთ-ერთი სინონიმი. მერე ბიბლიური სახელწოდება ამ ღმერთისა — „ელოჰიმი", „იელოჰიმი" იგივე ღმერთია, ოღონდ მრავლობით რიცხვში: ღმერთები. ბიბლიური ღმერთი ერთია, მაგრამ უძველესი წარმართული ღმერთების ცნების ზეგავლენით შემორჩენილი ეს სიტყვა სხვა „წმინდა" წიგნებშიც გაიპარა. დავითის ფსალმუნებში ვკითხულობთ: „რამეთუ ღმერთი დიდ არს, უფალი და მეუფე დიდ არს ყოველსა ქვეყანასა ზედა" (ფსალ. 94, 3). აქ ქართულ ტექსტში „ქვეყანასა" წერია, მაგრამ სინამდვილეში აქ უნდა იყოს „ყოველთა ღმერთთა შორის" (ასეა რუსულ და გერმანულ თარგმანებში. ლუთერს აქვს, მაგალითად: «über alle Götter» 96, 4). დავიმოწმებთ კიდევ ერთ მაგალითს იმავე ფსალმუნიდან: „ჰრცხვენოდენ ყოველთა, რომელნი თაყუანისსცემენ ხელით-ქმნულთა და რომელნი იქადოდიან კერპებითა მათითა. თაყუანის-ეცით მას ყოველთა ანგელოსთა მისთა" (ფსალ. 96, 7). ქართულ თარგმანში აქაც კორექტივია შეტანილი. სინამდვილეში უნდა იყოს „თაყუანი ეცით, ყველა ღმერთებს", (ლუთერი, ფსალ. 97, 7).

„ელოჰიმ" საფუძვლად დაედო ზოგადსემიტური სიტყვის ძირი „ელ", რაც ნიშნავს უზენაეს ძალას, სულს, ღმერთს (აქედან რაფაელი, მიქაელი, ალაჰი და სხვ.). უძველესი რწმენით ეს ღმერთი (თუ „ღმერთები") ცხოვრობს სინაის მთაზე, ღრუბლებში დაჰქრის, ცეცხლის ალის სახით ევლინება ადამიანებს, მეხს ატეხს, მიწას ძრავს.. ჩვეულებრივ ტექსტებში „ელოჰიმის" შესატყვისია „ღმერთი", იაღვესი — „უფალი" და „იაღვე ელოჰასი" (მხოლოობითში)— „უფალა ღმერთი". ერთი წინააღმდეგობაც: თუ ადამი და ევა ყველა ხალხის წინაპრებია, მათი ღმერთიც ყველა ხალხის ღმერთია და მაშინ რატომ აღიარებს თვით იაღვე სხვა ღმერთების არსებობას?

ბიბლიური წიგნების სხვადასხვა, ერთიმეორის საწინააღმდეგო წყაროების სახელწოდებაც მეცნიერულ კრიტიკაში ასე დამკვიდრდა: იახვისტური და ელოჰისტური.

ბიბლიის შინაარსს ტაქსილი თანმიმდევრობით მოგვითხრობს და არჩევს წმინდა წერილის დედნის მიხედვით. წიგნში გადმოცემულია თითქმის მთელი ბიბლიის ზუსტი შინაარსი, ყოველ შემთხვევაში მისი ყველა მნიშვნელოვანი მომენტი, რასაც რაიმე შინაარსი გააჩნია, და ციტირებულია დაბადების უმთავრესი, საგულისხმო ნაწილი.

უნდა ითქვას, რომ იაღვესადმი და მისი „რჩეული ხალხის" ცხოვრებისადმი მიძღვნილ ამ დიდ ორტომეულში, რომლის მთლიანი მოცულობა ახალი აღთქმის ჩაუთველად ორი ათას გვერდს აღემატება, არაფერი ისე იდეალურად არაა მოგვარებული, როგორც მტკიცე დაყოფა წიგნებად, თავებად და მუხლებად, რაც საშუალებას იძლევა ისევე ადვილად ვიპოვოთ საჭირო ადგილი, როგორც ლექსიკონში — საძიებელი სიტყვა.

სადაც სათვალავში განსხვავებაა, ქართული ტექსტის მკითხველისათვის ნაჩვენებია ქართული დაბადების ნომრები, სქოლიოში კი მითითებულია განსხვავების შესახებ.

2. „ტოგუ ბოგუ“ ძველი ებრაული სიტყვაა: „ცარიელი უდაბურობა“, ქაოსი, უთავბოლო, დაუწყობელი სივრცე.

3. ბიბლიური სულის შესახებ თეოლოგიაში დიდი დავა იყო. „სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთაო“, ეს ბუნდოვანი ადგილი ბევრი ფიქრის საგანი გახდა და მისგან მნიშვნელოვანი დასკვნებიც გააკეთეს. გვიან ღვთისმეტყველებმა ასე განსაჯეს: რაკი არსებობს მამა-ღმერთი და ძე-ღმერთი, მაშასადამე, [illegible] მების“ მესამე პირიც — სულიწმინდა. აი, ეს სულიწმინდა მ[illegible] მარიამს და ამის შედეგად იშვა იესო ქრისტე. ლუკას სახარებაში ეს საქრისტიანოს უდიდესი მოვლენა ასეა გადმოცემული: „და გარდამოჰხდა სული წმიდა ხორციელთა ხილვითა, ვითარცა ტრედი მის ზედა და ხმა იყო ზეცით და ჰსთქვა: შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, შენ სათნო გიყავ“ (ლუკა, **3, 22**). ჯერ იოსების დანიშნულს მარიამს ანგელოზმა აუწყა: „და აჰა ესერა, შენ მუცლად იღო და შვა ძე და უწოდე სახელი მისი: იესო... ჰრქვა მარიამ ანგელოსსა მას: ვითარმედ იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამა-კაცი არა ვიცი? მიუგო ანგელოსმან მას და ჰრქვა მას: სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს შენ: ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს და ძე მაღლის“ **(ლუკა, 1—35)**.

ამრიგად, ბიბლიის ერთი ფრაზა არსებითად საფუძვლად დაედო ახალ რელიგიას, ქრისტიანობის შთამაგონებელ „იდეად“ იქცა. სულიწმინდას ჩვეულებრივ გამოხატავენ მტრედის სახით, რომელიც მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის (ქრისტეს) ზემოთ ზის. მისი კარნახით არის თითქოს მთელი ბიბლია დაწერილი, ამიტომაც ახსენებს ასე ხშირად ტაქსილი მტრედს.

4. ღვთისმეტყველნი ცდილობენ ცის შექმნის ბიბლიური მითის ეს წინააღმდეგობა ახსნან და ასეთ დასკვნამდე მიდიან: ღმერთმა პირველად ცა შექმნა, როგორც ღმერთის სამეფო, შემდეგ კი, მეორედ — ხილული საფარველი, მყარი ცა. სინამდვილეში კი ცა ერთია, და ერთიც არაა: ესაა ჰაერი. ბიბლია ორ სხვადასხვა მითს გვთავაზობს, ისე რომ ნაწერის რედაქტირებასაც ზედმეტად თვლიან მისი ავტორები.

5 ეკლესიის მამები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ცის ხილული თაღი მაგარია, როგორც ჩამოსხმული მინა **(იობი, 37, 18)**; დავითის ფსალმუნში **(ფსალ. 103, 2)** ნათქვამია: „გარდაართხენ ცანი, ვითარცა კარავნი“. ამას ამტკიცებდა თავის „ქმნილებებში“ ეკლესიის „მამა და მასწავლებელი“ ნეტარი ავგუსტინე **(მუხლ. 354—430)**: ცა შეიძლება მოძრაობაც იყოს, მაგრამ იმავე დროს მაგარიო, და თავისი პოზიციის სისუსტეს თვითონვე გრძნობს: ახლა დრო არა მაქვს, რომ ეს დავამტკიცო და არც სხვას ეურჩევ საამისო დროის გამონახვას, თუ სურს საკუთარი სულის გადარჩენაც და ეკლესიის ინტერესების დაცვაც. იმასვე ამტკიცებდა მისი უფროსი თანამედროვე, კაპადოკიის კესარიელი ეპისკოპოსი. „მართლმადიდებლობის ბურჯი“ ვასილი წიგნში, რომელსაც აგრეთვე „ქმნილებები“ ეწოდება **(ტ. I, გვ. 27, რუს. გამოც. 1911)**: მაგარს იმას ეძახიან, რასაც ჩინებული სიმაგრე აქვსო! არც ვასილის ეცალა...

მეცნიერებამ კი მოიცალა იმისათვის, რომ გაეფანტა ცის თაღზე დაწოლილი ნისლი და დაემტკიცებინა, რომ ესაა ჰაერი, ატმოსფერო, რომელზედაც ღმერთი კი არა, კოღოც ვერ ღაჭდება, და მისი ფერი გამოწვეულია იმით, რომ ჰაერი უველაზე მეტად ფანტავს ლურჯ-იისფერ სხივებს.

ასე რომ, ბიბლიის მტკიცება, რომ ღმერთმა ნისლების ზემოთ „მოდრიკნა ცანი და გარდამოხდა“ **(2 მეფეთა, 22, 10)** — მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით არის დამაჯერებელი.

6. ბიბლიის რუსულ თარგმანში ეს ადგილი ბუნდოვანია: მამაკაცი და დედა-

კაცი შექმნაო. ქართულ დაბადებაში ეს საჩოთირო ადგილი ისეა თარგმნილი, რომ ჰერმაფროდიტების ლეგენდა იფანტება (ნ. სქოლიო).

7. ადამიანის სახელწოდება სწავლულთა აზრით წარმომდგარია ძველი ებრაული სიტყვიდან „ადამახ“ — „დედა-მიწა“. ასევე ეწოდება თიხას, რომლისგანაც თითქოს ღმერთმა ადამიანი გამოძერწა. მარტო ეს ერთი [illegible] ებრაელთა დიდ როლს ამ დიდი რელიგიისა და მისი ეგზომ [illegible] საქმეში, და ნაწილობრივ ამათილებს იმ აზრს, რომ მთელი ბიბლია ნასესხები მითების კონგლომერატია. მის შექმნას, რა წინააღმდეგობები და ნასესხობაც არ უნდა იყოს, მაინც ადამიანის შემოქმედებითი გენია ესაჭიროებოდა.

8. საინტერესოა, რომ ბიბლიური გეოგრაფია მტკიცედ იჯდა ბევრი სწავლული კაცის თავშიც, მხატვრებსა და მოქანდაკეებზე რომ არაფერი ვთქვათ. X საუკუნის ერთი უგანათლებულესი ადამიანი, ლევ დიაკონი ირწმუნებოდა, დუნაი სამოთხის ბაღიდან გამოდის, მიწისქვეშ იკარგება და მერე ისევ მიწაზე მოედინება კელტების ქვეყანაშიო. დანარჩენი მდინარეების შესახებაც იძლევა ერთი სხვა ღვთისმეტყველი, ნეტარი თეოდორიტი, ანალოგიურ ცნობას: მიწისქვეშ იმისათვის იკარგებიან, რომ ეშმაკმა ადამიანებმა მათი გაყოლებით წასვლა და სამოთხის მიგნება არ მოინდომონო. ეს ის თეოდორიტეა, რომელიც ქრისტეში ორ საწყისს ამტკიცებდა: ღმერთისა და ადამიანისას, და ამ საკითხში დავის დროს ორატორული ხელოვნების მოშველიებით დაამარცხა წმ. კირილე (ეთესის კრებაზე, 431 წ.). ქადაგებდა ასკეტიზმს და წერდა: ჩემი ჭონება ისაა, რაც ზედ მაცვიაო. რუსი მღვდელი იოანე ლუკიანოვიც კი აგერ 1710 წელს პალესტინაში მოგზაურობის შემდეგ სერიოზული ტონით წერდა: ნილოსი სამოთხიდან გამოედინებაო.

9. სოლიტერი ფრანგულად „განმარტოებულს“ ნიშნავს, აქედან მომდინარეობს ანალოგია ჰერმაფროდიტებთან, უსქესო და უგრძნობელ ბიოლოგიურ არსებებთან.

10 იულიანე განდგომილი ანუ აპოსტატა, ფლაბიუს-კლავდიუსი, რომის იმპერატორი და გონებამახვილი ფილოსოფოსი იყო (331—363), დაწერა სამტომიანი ბრწყინვალე თხზულება „ქრისტიანობის წინააღმდეგ“, რაც თავის დროზე ქრისტიანთა მესვეურებმა დაწვეს (გადარჩა ნაწყვეტები). იულიანე განათლებული მწერალი იყო, და მართალია, დახავსებული წარმართული რელიგიების აღდგენას ცდილობდა, დევნიდა ქრისტიანებს, რომელთაც იმპერიის დაცემის მიზეზად თვლიდა, მაგრამ შედარებით ლმობიერი იყო და მისი სისასტიკის ამბავს ეკლესიის მესვეურები აზვიადებენ. ებრძოდა სპარსელებს. დაწვა ფლოტი. უკან გამობრუნებული ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა და გარდაიცვალა. ამბობენ, რომ მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „შენ გაიმარჯვე, გალილეველო“ (გულისხმობდა ქრისტიანებს). სასტიკად აკრიტიკებდა ბიბლიას.

11 ძველ აღთქმაში რამდენიმე ადგილას არის ნახსენები ლუციფერი, რომლის სინონიმებია სატანა, დემონი, ეშმაკი, ჭაჭი, ასმოდეოსი, ბელზებელი, დიაბელი (დიაბლე), ბნელეთის სული და სხვ. მაგრამ ბიბლიური ეშმაკი, გინდა დემონი, სულაც არ არის ისეთი, რანაირიც ქრისტიანთა მოძღვრებაში ასეთ დიდ როლს თამაშობს: ის იქ ღმერთის მტერი კი არ არის, მისი მორჩილია და ერთ-ერთი ანგელოზის თანაბარი უფლებით სარგებლობს; თუნდაც იობის წიგნი გაიხსენოთ. ეშმაკი ცაში ღმერთს ეახლა და ღმერთმა ჰკითხა: საიდან მოხვედიო? მერე ღმერთს სანაძლეოს უდებს და ბოლოს ქრება ასპარეზიდან. უფრო აქტიურობენ ის სატანები, თუ დემონებ, რომლებიც „ნეშტთა“ და „ტობიას“ წიგნებში გამოდიან, როგორც მაცდურნი. „ხოლო აღდგა ეშმაკი ისრაელსა ზედა და იბირნა

დაეით, რათა აღრიცხვნეს ისრაელნი“ (ნეშტთა, 21, 1). ამ აღწერას ღვთის რისხვა და ხალხის გაწყვეტა მოჰყვა, თუმცა ასეთი დავალება ღმერთსაც ერთხელ მიუცია ისრაელთა წინამძღოლებისთვის. ტობიას წიგნში მყუანებული ეშმაკი ფარულად კლავს სარას საქმროებს, მერე ჯადოსნური თევზის გულ-ღვიძლის კმევით განდევნიან და ანგელოზი ბოჭავს (ეს დემონი სპარსელთა ეშმის მოგვაგონებს).

სატანა ძველებრაული სიტყვაა, ქალდეველთა რელიგიიდან გადმოსული (თვით „სატანას“ ბერძნული სინონიმია), მაგრამ მისი სახე, როგორც აბსოლუტურად ბოროტი სულისა, ქვესკნელის მბრძანებლისა, მავნე საწყისისა, რომელიც არიმანს, შაითანსა და იბლისს ენათესავება, ქრისტიანობამ „დაამუშავა“. ბიბლიაში მეტად ის არაა მოხსენებული და არც არის იქ მისთვის ისეთი ასპარეზი, რაც ახალ აღთქმაში მიეცა.

[12] „უკვდავნი“: იგულისხმებიან საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრები, რომელთაც ჩვეულებრივ უკვდავთ ეძახიან (მართალია, ერთ დროს ამ აკადემიაში არ მიიღეს... ბალზაკ! უთუოდ იმის შიშით, რომ მაშინდელი აკადემიკოსები ასეთ პატივს დაკარგავდნენ).

[13] „ცხოვრების ხის“ საკითხში ფილოსოფიას და კაზმულ ლიტერატურას შეუძლიათ ტაქსილს შეეღავონ. ცხოვრების ხე და მისი ნაყოფი, აკრძალული ხილი შემეცნებისა — ერთგვარი სიმბოლოა ადამიანის დაუცხრომელი ბუნებისა, მისწრაფებისა, ცნობისმოყვარეობისა, სიცოცხლისა და ჭეშმარიტების შეცნობისაკენ მიდრეკილებისა, რაც თანდაყოლილ მკვლევართა მაგალითებზეც მტკიცდება — ჯუნგლებში, პოლუსების გზებზე, მეხამრიდებთან თუ კოსმოსში. ამ აზრით ამ ხის „დარგვას“ გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა, თუნდაც ბიბლიაში ეს სტრიქონურად შეჭრილიყო. სხვა საქმეა მისი რელიგიური სარჩული.

[14] ედემი, სამოთხის მითიური ბაღი სადღაც პალესტინის აღმოსავლეთ ნაწილში, ტიგრისა და ევფრატის სათავეებთან, ებრაულად არის იგივე ედენ: „განედენ“— შემოღობილი ადგილი. ეს ერთგვარი „ნიშანია“, რითაც ბევრი გულუბრყვილო მორწმუნე ეძებდა სამოთხის წალკოტს.

[15] ერთი ებრაულ-რაბინული გადმოცემით ადამმა კავშირი დაიჭირა დემონ ქალ ლილიტთან და ეყოლათ ბუმბერაზები. ლილიტი (ძველებრაულად: „ღამისა“, ღამისეული დიაცი), ძველი ასირიულ-ბაბილონური დემონი ქალი, რომელიც თითქოს ბნელ ღამეში დადის და მძინარე მამაკაცებს ესტუმრება, თალმუდის მიხედვით ადამის პირველი ცოლი ყოფილა, სპარსელთა დევი-ქალის მსგავსი გრძელთმიანი არსება, რასაც ჰოტის სახეც მისცეს, შუა საუკუნეებში ბავშვებს „იტაცებდა“.

[16] ღვთისმეტყველნი და ეკლესიის მამები, რომელთაც „დრო არ ჰქონდათ“, რომ გაერკვიათ, არის თუ არა ცის თაღი ნამდვილად მაგარი, მუდამ პოულობდნენ დროს იმისათვის, რომ დაეთვალათ, რამდენი ანგელოზი ეტევა ნემსის წვერზე, შობს თუ არა ჯორი და ჰქონდათ თუ არა ადამსა და ევას ჭიპი: ისინი ხომ მუცლიდან არ შობილან, ღმერთმა შექმნა ერთი თიხისაგან, მეორე — ნეკნისაგან (ამაზე ხუმრობდა გოეთე: ამიტომ ჭირსო ქალის გასწორება). ამერიკაში ერთი მხატვარი პასუხისგებაშიც კი მისცეს: ადამს ჭიპი რად გაუკეთეო! ხელოვანმა თავი იმართლა: მიქელანჯელოს ადამი უჭვენა.

[17] ღმერთმა სიამოვნებით მიიღო აბელის ძღვენი, კაენისას კი არც შეხედა. ბუნებრივია, წამოიჭრა კითხვები, რატომ მოხდა ასე, კაენმაც ხომ შესწირა მსხვერპლიო! იოანე ოქროპირი და სხვა ავტორიტეტები აქაც ამართლებენ ბიბლიას: აბელმა სავსე გულით მოართვა, რაც უკეთესი ნახა, კაენმა კი დაუდევ-

რად და „რაც მოხვდაო“. ამის გამო მოგვითხრობენ, ვითომ აბელის სამსხვერპლოდან კვამლი სწორ სვეტად ავიდა ცაში, კაენისა კი მიწაზე ჩაწოლაო... ეს გვიანდელი დამატებებია, ბიბლიაში ეს არ წერია.

[18] ეშმაკი, სატანა, ნ. შენ. 11.

[19] განიმედი — ტროის დამაარსებლის, მეფე ტროსის ვაჟიშვილი, სიმაწვილეშივე ნახა ზევსმა და ისე მოეწონა, რომ არწივი გამოგზავნა ცაში გაეტაცა და ღვინის მწდედ დაიყენა. ამ თემაზე ბევრსა აქვს შექმნილი ტილო, გამოირჩევა რემბრანდტისა.

[20] ტაქსილი ნიღაბს ხდის ღვთისმეტყველთა მორიგ დოგმას, ბიბლიის ავტორთა შეუსაბამობას. ღმერთმა ადამიანის ასაკი 120 წლით განსაზღვრა. ესაა ცოდვების „მონანიების“ ვადაც (მართალია, ნოე 500 წლისა იყო, როცა სემი, ჭამი და იაფეთი „შვა“, და 600 წლისა — როცა „საქანელნი ცისანი განეხვნეს“, ე. ი. წარღვნა დაიწყო), მაგრამ მერე იჩქარა, ოცი წლით ადრე მოუელინა ადამიანებს წარღვნა.

[21] საერთო აზრით კიდობანი ფიცრებისაგან ააშენეს. მაგრამ ბიბლიურ ებრაულ დედანში კიდობანს ქვია „ტება“. იმავე სახელითაა ცნობილი კალათი, რომლითაც ყრმა მოსე ნილოსში შეაცურეს და გადაარჩინეს. ნოეს კიდობანიც ლერწმის წნულისა ყოფილა. მაგრამ ეს სრულიად აქარწყლებს ამ კიდობნის არსებობას, რადგან 150 მეტრი სიგრძის ლერწამი არ არსებობს, რომ მისი ღეროებისაგან კიდობანი დაეწნათ და გაეფისათ.

[22] როდის მოხდა მსოფლიო წარღვნა? ბიბლიის განსწავლული განმმარტებელნი ამ დროს თითქმის ზუსტად ანგარიშობენ: 3242 ან 3247 წელს ქრისტეს დაბადებამდეო (ორ წლამდე სიზუსტით!), მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ სწორედ იმ ხანებში მოხდა ეგვიპტის გაერთიანება ფარაონ მენესის დროშის ქვეშ, და არსად არაფერია ნათქვამი არავითარ წარღვნაზე. ნუთუ ის ეგვიპტის დაბლობს არ შეეხო?

[23] არავინ იცის, რამდენ ხანს გრძელდებოდა მსოფლიო წარღვნა და მაშასადამე ნოეს კიდობნის ცურვა საშინელ ტალღებში. ერთი ვარიანტით კაცთა მოდგმის დასასჯელად ღმერთს 40 დღე ეყო. მეორე ანგარიშით, რაც მართლმადიდებელ ეკლესიაშია მიღებული, ცურვა გრძელდებოდა 364 დღეს. ეს ცნობა ეყრდნობა თვით ბიბლიის ჩვენებას, ამა და ამ თვის ამა და ამ დღეს შევიდა ნოე კიდობანში და ამ დღეს გამოვიდაო. მაგრამ ებრაელებს არ ჰქონიათ საიმედო კალენდარი. ამიტომ ყველაზე უფრო „სარწმუნოა“ ისევ წმინდა წერილში აღნიშნული ვადების შეჯამება: კიდობანში შეიდი დღის ყოფნის შემდეგ ცის თაღი გაირღვა, ორმოცი დღე წვიმდა, 150 დღე წყალი მატულობდა, 150 დღე იკლებდა, 40 დღის შემდეგ ნოემ მაცნედ მტრედი გაუშვა, შეიდი დღე დაიცადა და მეორე მტრედი გაუშვა, და კიდევ 7 დღე დაიცადა... მოკლედ, სულ 400 დღე და ღამე გამოდის, თუ მეტი არა.

[24] რამდენი ცოცხალი არსება ჩაეტეოდა წყვილ-წყვილად ერთ კიდობანში? მეცნიერები გვეუბნებიან, რომ მარტო ძუძუმწოვართა 3500 სახეობაა ცნობილი, ფრინველთა — 8600, 5500 — მიწაწყლიერნი და ქვეწარმავალნი, 750 000 მწერთა, 30 000 ობობასებრთა სახეობა. დაუმატეთ ამას ყოველწაირი მწერი, მილიონზე მეტი არსება, ისიც დაწყვილებული! პლანეტაზე უჭირს დატევა ცხოველთა სამყაროს, ერთ კიდობანში კი არა. მიტროპოლიტი ფილარეტი ცხოველებს „რაციონალურად“ ალაგებს: დიდი ცხოველების ქვეშ პატარები მოთავსდებოდნენო! ფილარეტები კი მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი ავტორიტეტები იყ-

ვნენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ღმერთი შეცდა, ადამიანი ასე გონიერი რომ შექმნა. დიდი რეგვენი რომ ყოფილიყო, ყველაფერს დაიჯერებდა.

25 ღვთისმეტყველნი ბიბლიურ სისულელეს იმით ასაბუთებენ, რომ ვითომ პატარა ქანაანმა დააშავა, მთვრალი პაპა პირველმა დაინახა და მამას უთხრა შეხე, ტიტველიაო!

26 იოანე ოქროპირის მტკიცებით, ხალხების ასეთი ბიბლიური დახარისხებით დაიწყო უთანასწორობა და ერთი ადამიანისადმი მეორის სამსახურია ასეთი ანა რელიგიური ცრუ რწმენით — მორიგი სისულელეა.

27 ცხადია, ბიბლიის ავტორები არ იცნობენ აცტეკებს, ინკებს, ამერიკელ ინდიელთა არც ერთ ტომს, კუნძულელებს... ამიტომ ბიბლიის თავზე მოხვევა იმ ხალხებისათვის, რომელთაც ბიბლიის ავტორები არ თელიდნენ, იყო ძალადობა, რასაც მთელი ხალხები შეეწირნენ.

28 დევკალიონის ბერძნული მითი ფაქტიურად იგივეა, რაც მის შემდეგ შექმნილი წარღვნის ბიბლიური „ისტორია". ღვთისმოსავი და სტუმართმოყვარე დევკალიონი და მისი ცოლი პირა ასევე კიდობნით გადარჩნენ მსოფლიო წარღვნას, რაც ზევსმა მოაწყო ცოდვილ ადამიანთა დასასჯელად. კიდობანი პარნასის მთაზე გაირიყა და დევკალიონმა ზევსს ჰკითხა, რანაირად აღვადგინო ადამიანთა მოდგმაო. „გადაისროლე ზურგს უკან დედის ძვლები". დევკალიონი მიხვდა, რომ დედის ძვლები — ქვებია. კაცის ნასროლი ქვა კაცად იქცეოდა, ცოლისა — ქალად. ასე გამრავლდა ისევ ადამიანთა მოდგმა. ფიქრობენ, რომ ეს მითი საბერძნეთში შუამდინარიდან გადავიდა, ბიბლიური წარღვნის წყაროც აღმოსავლეთშია საძიებელი, რადგან იქ იცოდა ხშირად წყალდიდობა.

29 აღთქმულ ქვეყანაში, ქანაანში (პალესტინაში) შიმშილი მძვინვარებდა და ამიტომ გაეშურა აბრაამი ეგვიპტეში, როგორც მოგვიანებით წავიდნენ იქ მისი შთამომავალნი — იოსების ძმები.

30 ალფონსი ის კაცია, რომელიც საყვარელი ქალის ქონებით სარგებლობს და უსინდისო ცხოვრებას ეწევა (ალ. დიუმას რომანის — „ბატონ ალფონსის" მთავარი გმირია).

31 აბრაამი რომ თავისი ცოლით, სარათი ვაჭრობს და ცოლს დაღ ასაღებს, რომ მერე მეფეებმა საქონელი მისცენ, ეს სამარცხვინო და შეურაცხმყოფელია, მაგრამ ეკლესია მათ უძველესი დროიდან ცოლქმრული ურთიერთობის ნიმუშად თვლის: „აგრეთვე ცოლნი დაემორჩილენით თვისთა ქმართა..." — წერია პეტრეს პირველ ეპისტოლეში (3, 1). იოანე ოქროპირი კი XXXII საუბარში, ამბობს: „დაე, ისმინონ ეს ქმრებმა და ცოლებმა, და მიჰბაძონ ამ მეუღლეებს ერთსულოვნობაში, მტკიცე სიყვარულში და განუზომელ კეთილმსახურობაში".

32 ბიბლიაში ხშირად გვხვდება ხატოვანი შედარება: განმრავლდი, ვითარცა ზღვაში ქვიშა და ცაში ვარსკვლავიო (ან: გაგამრავლებო, ღმერთი ჰპირდება აბრაამს). ვულუბრყვილო მორწმუნეებს ეს დიდი წყალობა ჰგონიათ. სინამდვილეში კი უბრალო თვალით მოსარკულ ცაზე სულ რამდენიმე ათასი ვარსკვლავის შემჩნევა შეიძლება. თუ ტელესკოპსაც მოვიშველიებთ და ეკლესიის მამები არ გაწყრებიან, მათი რიცხვი რამდენიმე მილიონამდე ავა, და მხოლოდ მაშინ, თუ გალაქტიკაში გადავალთ, სასურველ რიცხვს მივიღებთ —იქ მილიარდობით ვარსკვლავია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ღმერთი ციდან გალაქტიკაში იხედებოდა. მაგრამ ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ღვთისმეტყველნი იმ ვარსკვლავებს გულისხმობდნენ, რომელთაც თვითონ შეუიარაღებელი თვალით ხედავდნენ. რაც შეეხება ზღვაში ქვიშას, ეს უფრო დამაჯერებელი რიცხვია.

[33] მამამთავართა ყველა საქციელი ბიბლიაში საერთოდ მართლდება.

[34] ბიბლიის მიხედვით მერე ისმაილტელები თორმეტ მომთაბარე ტომად გაიყოფიან. ყურანი ისმაილის შთამომავლებად თვლის არაბებსა და თურქებს.

[35] შაბათ დღეს ყოველგვარი საქმიანობისაგან თავის შეკავება ბიბლიის ღმერთმა დაადგინა, მაგრამ რელიგიის მესვეურებმა შეცვალეს (საბოლოოდ ეს დაკანონდა ლაოდიკიის ყრილობაზე 361 წელს). ამ კანონის დამრღვევთ ჯერ ქვით ჩქენება და ქონების ჩამორთმევა ელოდათ.

[36] წმიდა კირილე — ეკლესიის ბურჯთაგანი, ალექსანდრიის პატრიარქი, ეკლესიის მამა, იოანე ოქროპირის მოქიშპე, განსწავლული და სასტიკი მოღვაწე, დევნიდა ერეტიკოს-ნესტორიანებსა და ნოვაციანელებს, განსაკუთრებით მკაცრად უსწორდებოდა ებრაელებს. გამოიწვია ალექსანდრიის პრეფექტის ორესტის პროტესტი, მაშინ პრეფექტს ერთმა ბერმა თავში ქვა ესროლა და დაჭრა. ბერი სიკვდილით დაისაჯა, კირილემ კი მოწამესავით დაკრძალა. აქვს უამრავი ნაშრომი. წინადაცვეთას უარყოფს.

[37] წმ. იოანე ოქროპირი ლოტს ამართლებს: ორი ბოროტებიდან უმცირესი აირჩიაო! აქაც მართლდება პატრიარქთა ფარისეველობა!

[38] ფილემონი და ბავკიდა კეთილი ფრიგიელი ცოლ-ქმარი იყო. ერთხელ იმ სოფელში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, უბრალო მგზავრების სახით მივიდნენ ზევსი და ჰერმესი. არავინ არ შეუშვა, მხოლოდ ამ ორმა გაუწია მასპინძლობა. ზევსმა ფრიგია წარღვნის წყლით დაახრჩო, ფილემონის ქოხი ტაძრად აქცია, თვითონ ქურუმად, მასთან ცოლიც.

ეს წარღვნა ადგილობრივი ხასიათისა იყო და ვერ შეედრებოდა იმას, რაც ზევსმა დევკალიონის და პირას დროს მოაწყო (ნ. შენ. 28).

[39] ტერტულიანი — ეკლესიის მამა, ქრისტიანობის პირველი საუკუნეების საეკლესიო მოღვაწეთაგანი (145—220). წერდა უხეში სტილით, ბუნდოვნად. მაგრამ მის უკვდავსაყოფად საკმარისია ერთი მისი აფორიზმი „მწამს, რადგან სისულელეა" (ქრედო, ქვია აბსურდუმ ესტ), რაც ბრმა, უკრიტიკო რწმენას ამკვიდრებს, თუნდაც სისულელისას (ამ დებულებით, ბიბლიის ყველა შეუსაბამობა უნდა ვიწამოთ).

[40] სტრაბონის გეოგრაფიასა და ბიბლიის აღწერილობაში მაინც არის ერთგვარი შეხვედრა: გოგირდისა და ცეცხლის კატასტროფა, რასაც ერთი მეცნიერულად ხსნის, მეორე — უფლის ჩარევით.

[41] ეკლესია ამართლებს ლოტს, არ უთვლის ცოდვად საკუთარ ქალიშვილებთან დანაშაულებრივ კავშირს, რაც თვით ლევიტელთა წიგნის თანახმად სიკვდილს ითვალისწინებდა. ქრისტიანული ეკლესია ლოტის დღესაც კი აღნიშნავს (9 ოქტომბერს).

[42] აქ ბევრი შეუსაბამობაა. ბიბლია სოდომის, გომორის, გერარის უბადრუკ მთავრებს დიდის ამბით ნათლავს „მეფეებად", ხოლო იმ დროს მართლაც ძლიერსა და განათლებულ მეფეებს არ ახსენებს ან ამცირებს. მაგალითად, ხეთების სამეფო თვით ეგვიპტელ ფარაონთა ძლიერი მეტოქე იყო. შემდეგ, ისააკის საპატარძლოს ჩამოსაყვანად აბრაამის მიერ გაგზავნილ „მონას" პალესტინის ჩრდილო-დასავლეთი მხარიდან ქალაქ ნახორამდე ორი ათასი კილომეტრის გავლა მოუხდებოდა, რაც სახედრებისათვის არც ისე მცირეა. ნახორს ბიბლია მომთაბარეთა მცირე დაბად აცხადებს, სინამდვილეში კი ეს იყო ძლიერი და მდიდარი ქალაქი ური.

[43] ბიბლია იოსებისა და მისი ძმების ასაკის განსაზღვრაშიც წინააღმდეგობაში ვარდება. მისი სხვა ცნობებით, ციხიდან გამოსული იოსები 30 წლისა იყო, ძმებ-

თან შეხვედრის დროისათვის ბენიამინი გამოდის ამდენივე, თვითონ კი — 35 წლისა. ბენიამინი „პატარა“ აღარ იქნებოდა, რაკი ეგვიპტეში თან ახლდა თავისი სამი შვილი და შვიდი შვილიშვილი („შექმნ., 46, 21: ჩამოთვლილია სახელები).

44 სამყაროს შექმნა მართლმადიდებელი ეკლესიის ანგარიშით მოხდა ქრისტეს დაბადებამდე 5507 წელს (ე. ი. ჩვენი დროიდან 7480 წლის წინ), ებრაელთა ანგარიშით კი სამყარო შეიქმნა 3761 წლის წინ ახალ წელთაღრიცხვამდე.

45 სინამდვილეში ასეა: მეორე სჯულთა წიგნი უფრო ადრე დაწერილა, ვიდრე „შექმნათა“ — ბიბლიის პირველი წიგნი, ამიტომ ამ უკანასკნელში განმეორდა ის, რაც სჯულთა წიგნში ეწერა.

46 მოსეს მეორე სჯულის წიგნის ცნობილი პორნოგრაფიული ადგილი ზოგ (მაგალითად, რუსულში და ნაწილობრივ გერმანულში) თარგმანში განზრახ „შერბილებულია“. ქართული ტექსტი ზუსტი შესატყვისია ლათინურისა: „იყოს თუ ვინმე შენ შორის კაცი, რომელი არა წმინდა იყოს დინებისაგან მისისა ღამე, განვედინ ბანაკსა მას გარეშე და ნუ შემოვალნ ბანაკად“ (თ. 23, 10). აქ აკლია მხოლოდ „ტკბილ სიზმარში“, ხოლო ნაცვლად სიტყვებისა „თესლი დაეკარგეს“ ქართულში მოხდენილადაა ნახმარი „დინებისაგან მისისა“.

47 კათოლიკე და მართლმადიდებელი ღვთისმეტყველნი ერთნაირად გულმოდგინედ ამტკიცებენ, ხუთივე წიგნი მოსეს დაწერილიაო, ამასთან ასახელებენ „გეგმის მთლიანობას, ნაწილთა ჰარმონიას, სტილის დიდებულ უბრალოებას, არქაიზმების სიუხვეს, ძველი ეგვიპტის ბრწყინვალე ცოდნას“ (ბიბლია, პეტერბურგი, 1904, შესავალი წერილი). სინამდვილეში კი უბრალოების გარდა არაფერი რჩება აქედან: მთლიანობას წინააღმდეგობა ცვლის, ეგვიპტის ცოდნას —უცოდინარობა....

სწორი ისაა, რომ ებრაელთა ხუთ წიგნს, რასაც მოსეს მიაწერენ, ებრაულად თორა ეწოდება („კანონი“), ეს კანონთა წიგნი იწერებოდა ტყავის გრაგნილებზე, ხანაც ქვაზე (ცერი — ქვა, აქედან — თორა), და მას ქმნიდა ავტორთა ჯგუფი დროთა მანძილზე.

48 ლორდი ჰენრი ბოლინგბროკი (1678—1751)—ვიკონტი, გამოჩენილი ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი, მოაზროვნე, სვიფტისა და ვოლტერის მეგობარი, საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ერთ დროს სტიუარტთან ურთიერთობის გამო მოღალატედ გამოაცხადეს და საფრანგეთში გაიქცა. ეს მშვენიერი, სახენათელი, ვოლტერისებური პარიკით დამშვენებული მოღვაწე იდეებს და ფაბულას აძლევდა თვით ვოლტერს. ლორდმა პირველთაგანმა გამოთქვა აზრი, ქრისტე მითიური პიროვნებააო.

იქვე ნახსენები ნიკოლოზ ფრერე — ფრანგი განმანათლებელი იყო.

49 ტომას ვულსტონი — ინგლისელი ღვთისმეტყველი, რომელიც ამტკიცებდა რომ ძველი აღთქმის სასწაულები არასოდეს არ მომხდარან და სახარების საფუძვლად ეს ზღაპრები გამოიყენეს. ბიბლიის ასეთი თავისუფალი ახსნისათვის შეიპყრეს და 1733 წელს აწამეს.

50 სიტყვა „სამსონი“ მზიურს ნიშნავს. ფიქრობენ, რომ ეს მოდის ძველ ბაბილონელთა მზის ღვთაების გილგამეშის მითიდან, ესაა ღმერთი მხსნელი. მის დაბადებას „ხარების“ მსგავსი ნიშნები იუწყებოდნენ (ასე „ახარეს“ ქრისტეს დაბადებაც).

51 სამსონის ეროვნული გრძნობების დამცირება და მისი გმირობის გამოცხადება მხოლოდ პირადული განცდებით — მეორე უკიდურესობაა. ფილისტიმელებს თავიდანვე ამრეზით უყურებს, დასცინის, პირველსავე შემთხვევაში ხოცავს. ომს კი ვერ გამოუცხადებდა, რადგან იმ ხანებში საერთოდ მშვიდობა იყო

და ხალხის სულისკვეთებაც — მოდუნებული. ისტორიამ და ლიტერატურამ მრავალი მაგალითი იცის, როცა ეროვნული გმირი აშკარა ბრძოლაზე გადადის მას შემდეგ, რაც შეავიწროვეს, უსამართლოდ მოექცნენ მას ან მისიანებს. სამსონის გმირობა რჩება გმირობის კლასიკურ მაგალითად, რაც მრავალმა პოეტმა, დრამატურგმა, მხატვარმა აიტაცა, და მისი დამცირება არ არის საჭირო, მეტადრე ტაძრის ჩამოქცევის გრანდიოზული სცენის გაბიაბრუება.

არც სამსონისა და ჰერაკლეს შედარებაა გამართლებული. ეს სულ სხვადასხვა ხალხის, დროისა და ხასიათის გმირები არიან და ერთიმეორეს არც უშლიან, არც ბაძავენ. იმის განცხადება, რომ ჰერაკლეს თვითმკვლელობა მხოლოდ ფიზიკური ტკივილისაგან თავის დაღწევის მიზნით უფრო პოეტურია, ვიდრე სამსონისა — სამი ათასი მოსისხლე მტრის გასაყლეტად, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

52 ბიბლიის რუსულ თარგმანში ბევრი უწმაწური ადგილია შერბილებული, ძველი სლავური კი უფრო თამამია. აქაც ასეა. ქართული თარგმანი ასეთ შემთხვევებში ზუსტია. „სასხდომლებთა (უკანალთა) სენი", — ზუსტად შეესიტყვება დედანს.

53 საულის, ამ კეთილი, უბრალო ადამიანის ტახტიდან გადაყენება ძლეული მეფის შეწყალებისათვის და მის მაგიერ დავითის გამეფება — ესაა ქურუმთა კასტის გამარჯვება საერო ხელისუფლებაზე და ზუსტად მოგვაგონებს ისტორიულ ფაქტებს, როცა წესიერ პაპს ვერ*ვი კარდინალები წამლავდნენ ან აპატიმრებდნენ ხოლმე.

54 ბერსაბეს შეცდენისათვის მეფე დავითი ორმაგად იმსახურებდა სიკვდილს; როგორც მრუში კაცი და როგორც მკვლელი (ბერსაბეს რომ ქმარი მოუკლა). ეს სასჯელი ეკუთვნოდა თვით ლევიტელთა წიგნის — ბიბლიის მიხედვით, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მაღალმა მდგომარეობამ იხსნა, და ბრალი ისევ ქალს დაატეხეს: გაშლილ ადგილზე რატომ ბანაობდა, რომ მეფეს დაენახაო, რატომ მაშინვე დანებდაო და ა. შ.

55 ქრისტეს უშუალო წინაპრად რომ უზნეო დედაკაცი არ ითვლებოდეს, ლუკას სახარების მესამე თავში მოცემულია მის წინაპართა მთელი სია, რომლის მ*ხედვით მაცხოვარი დავითის მეორე შვილის ნათანის შთამომავლად ცხადდება.

56 გიუე—ფრანგი თეოლოგი, ფილოსოფოსი, ს'კეპტიკოსი (გარდ. 1721).

57 ბიბლიის ისტორიის სახელმძღვანელოში რუსი ღვთისმეტყველი, მაგისტრი ალ. ლოპუხინი (დ. 1852 წ.) თავის ცნობილ შრომებში ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტეს ჰეშმარიტი პირველსახე, სულითაც და ცხოვრებითაც, იყო დავითი. ამ უცნაურ აზრს მარტო დავითის ცოლები ერთხმად უარყოფენ.

58 გოთურ ალმანახში წლიდან წლამდე იწერებოდა ყველა მეფისა და მთავრის დაბადება, გარდაცვალება და საქმენი საგმირონი, აგრეთვე პირადი ცხოვრების დეტალები.

59 სახარება თითქმის მთლიანად გამეორებაა იმ სასწაულებისა და ეპიზოდებისა, რაც უკვე ეწერა ბიბლიაში.

60 ტაქსილის მახვილ ირონიას რატომღაც არ ახლავს სათანადო ცნობები: ელისეს „ძეღლები" მართლაც „იპოვეს" IV საუკუნეში და იულიანე განდგომილის ბრძანებით დაწვეს, მაგრამ მეორედ „აღმოაჩინეს".

ა. გ.

ბიბლიის მცირე ლექსიკონი

ისეთი რთული წიგნის გამოცემა, როგორიცაა ბიბლია, თუნდაც „გასართობი“ იყოს, გამორჩეულ ჯაფას, გულმოდგინებას, რუდუნებასა და აკადემიურ სტილს ითხოვს. მაგრამ ეს საჭიროა მეცნიერების, მწერლის, ფართო მკითხველისათვის, ათეისტებისათვის — თუ სანდო ლექსიკონია და არა დილეტანტური ნაკარჯიშევი.

ბიბლიის ლექსიკონიც, ისევე როგორც წიგნის ძირითადი ნაწილი, ცხადია, მეცნიერულ-ათეისტურ მიზნებს ისახავს. ლაკონიურ სტატიებში უფრო თვალსაჩინოა ის უცნაურობანი, კომიკური თუ დრამატული სიტუაციები, დანაშაულობანი და შეუსაბამობანი, რომლებიც თითქმის ყოველ ასახსნელ სიტყვასთან გვხვდება.

ქართულმა გამოცემამ გარკვეული მოსაზრებებით განსაზღვრა ლექსიკონის აუცილებლობა. მასში მოცემულია დაბადების თითქმის ყველა რამდენადმე თვალსაჩინო გმირი, აგრეთვე სხვა ისტორიული თუ მითიური სახელები, საანდაზო სიტყვა-თქმები. ტექსტიდან გამომდინარე თუ დამატებითი მასალა მკითხველს დაეხმარება ლექსიკონშივე იპოვოს საჭირო ცნობები ბიბლიურ პერსონაჟებზე, რომელთა ნაირფეროვანი სახელების ყველა მთავარი ვარიანტია მოცემული. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ქართულ ბიბლიაში სახელთა დაწერილობა ხშირად თავისებურია და ზოგჯერ არასწორი. უპირატესობა მაინც ქართულად დამკვიდრებულ ფორმას ეძლევა ხოლმე. ცნობილია: ერები ამ ბიბლიურ სახელებს დღემდე ისე ხმარობენ, როგორც პირველ კლასიკურ თარგმანში გადმოიტანეს. წინ მაინც გამოტანილია ის ვარიანტი, რაც მთარგმნელის დაკვირვებით უფრო სწორი და აღიარებულია. ფრჩხილებში ნაჩვენებია სხვა პარალელები და ეტიმოლოგიური ცნობები. ზოგი სახელი ორ ან რამდენიმე გმირსა აქვს (აბიგე, აორამი, იოასი, თამარი, ოსია, ჰირკანი...). ეს გარემოებაც იწვევს აუცილებელ განმარტებებს, რაც ჩვეულებრივი მშრალი საძიებლის ფარგლებს სცილდება. გათვალისწინებულია ის ვარიანტებიც, რომლებიც შეიძლება ჩვენს დაბადებაში არ გვხვდება, მაგრამ სხვა, უცხო ტექსტებში არის (ჰისკია, იეჰუ, სანჰერიბი).

ხატოვანი და საანდაზო თქმები აღნიშნულია ვარსკვლავით (მათი რიცხვი ას ორმოცდაათამდეა). ბიბლიურ პერსონაჟთა ცხოვრების თუ მეფობის წლები, ცხადია, სავარაუდოა, ცნობილი მეცნიერულ თუ თეოლოგიურ ლიტერატურაში.

„მცირე ლექსიკონი“ მხოლოდ მოსამზადებელი ცდაა სრული ცნობარისათვის.

ა

ა ა რ ო ნ ი (არონი) — მოსეს უფროსი ძმა, მისი თანამგზავრი და თანაშემწე ეგვიპტელთა მონობიდან ებრაელი ხალხის გამოხსნის საქმეში. ებრაელთა პირველი მღვდელმთავარი გარდაიცვალა უდაბნოებში 40 წლის ხეტიალის შემ-

დეგ, აღთქმული ქვეყნის გზაზე, ორის მთაზე. მისი ცხოვრების საერთო წლებია 1638—1515 ძვ. წ. (გამოსლვათა და რიცხვთა წიგნები).

• **აარონის კვერთხი** — სასწაულთმოქმედი რამ საგანი: მოსეს ძმის კვერთხმა ფარაონის თვალწინ გველის სახე მიიღო, მერე ნილოსი სისხლად აქცია, წმინდა კარავში ამწვანდა (ფოთოლი და ნაყოფი გამოიღო).

აბდონი (აბიდონი) — ისრაელთა მე-10 მსაჯული. ქვეყანას განაგებდა 8 წლის განმავლობაში (1165-1157), ჰყავდა 70 შვილი (მსაჯ., თ. 12:13).

აბაკუმი — ნ. ამბაკუმი.

აბგბა — ნ. აბიგეა.

აბდია — ღვთისმოშიში კაცი აქაბისა და იეზაბელის ბატონობის დროს. ასი წინასწარმეტყველი იხსნა, გადამალა და ფარულად კვებავდა.

• **აბელი** (ებრ. „ტირილი"; კორდი, ჰალა) — ადამის მეორე შვილი, შურით მოკლა ძმამ კაენმა; წყნარი, მორჩილი, უწყინარი კაცი.

აბენირი (აბნირ, აბინერ, ნერის-ძე) — საულის მოურავი და სარდალი, დავითის დაყალებით ვერაგულად მოკლა მხედართუფროსმა იოაბმა.

I. აბესა (აბესია) — საულისაგან დევნილი დავითის თანამგზავრი, მერე მისი მხედართმთავარი, მოკლა იოაბმა.

II. აბესა (უფრო სწორია აბისაგ) — სუნამიტელი (და არა სომანიტელი) ლამაზი ქალი, მოხუც დავითის „განმატფობელი" და უკანასკნელი ცოლი.

აბესალომი — დავითის პირმშევნიერი შვილი, მამას აუჯანყდა, განდევნა, მერე დამარცხდა, გაიქცა, მუხის ტოტებში გაიხლართა გრძელი თმით. ჯორი გაექცა, თვითონ კი ტოტზე ეკიდა თმით. მოკლა იოაბმა.

აბესია (აბისია, ამასა) — აბესალომის სარდალი, ნ. აბესა.

აბია — 1. სოლომონის ძის რობოამის და თამარის შვილი, იუდეის მეორე მეფე, 40 000 მეომრით დაესხა თავს იერობოამს და „უფლის შეწევნით" დაამარცხა. იმეფა სამი წელი. ჰყავდა 14 ცოლი, 22 ვაჟი და 16 ასული; 2. მეფე იერობოამის უდღეური შვილი, მამის განდგომისათვის დაღუპული.

აბიგეა (აბგეა) — ნაბალის ცოლი, ქმრის სიკვდილის შემდეგ შეირთო დავითმა.

აბიდარი — გეთელი, რომელსაც დავითმა სჯულის კიდობანი მიაბარა მას შემდეგ, რაც მისი შეხებისათვის ღმერთმა მეხით განგმირა ოზია.

აბიმელექი („მეფის მამა") — 1. გერარისა და გაადის მეფეთა ზოგადი სახელია, როგორც ეგვიპტის მეფეებისა — ფარაონი. ამითაც შეიძლება აიხსნას, რომ მეფე აბიმელექთან ჯერ აბრაამმა გაასაღა თავისი ცოლი სარა დად, მერე კი ისააკმა თავისი მეუღლე — რებეკა. შეიძლებოდა ეს სხვა აბიმელექი ყოფილიყო. 2. აბიმელექ გედეონის-ძე, გერარის მეფე. გედეონის ამ უკანონო შვილმა, სიქემელი მეძავისაგან რომ ეყოლა, გაწყვიტა თავისი 70 კანონიერი ძმა და სიქემელებმა მეფედ აირჩიეს, მაგრამ სამი წლის შემდეგ უკაცურ მეფეს აუჯანყდნენ. მეფემ სიქემი გადაწვა, მაგრამ მეორე ქალაქში დამარცხდა და ერთმა დედაკაცმა მოკლა კოშკიდან გადმოგდებული დოლაბით; 3. იგივე აქიმელექი (დაახ. 1056 წ. ძვ. წ.) — იუდეის მეცხრე მღვდელმთავარი, თაშესაფარი მისცა დავითს, როცა საული დევნიდა. ამისათვის საულმა სხვა მღვდლებთან ერთად მისი მოკვლა ბრძანა (1 მეფეთა, 21, 1—22). ამაეე ლევიტელმა მღვდელმა დავითს მისცა გოლიათის მახვილი.

აბიო — ნ. იოილი.

აბირონი — მოსეს მეამბოხე თანამგზავრი.

აბისა (გა) — ნ. აბესა (გა).

აბრაამი (ადრე აბრამი) — თარას შვილი, ძველი აღთქმის დიდი პატრიარქი, „უფლის მეგობარი“ (ვითომ 2180 წელს დაბადებული ძვ. წ.), ქალდეის ურიდან აღთქმულ ქვეყანაში გადასახლდა; აგარასაგან ისმაილი ეყოლა, სარასაგან — ისააკი, ხეტტურასაგან — 6 შვილი. უფლის რჩეული და მორჩილი აბრაამი (ყურანში იბრაჰიმი) მამამთავარია თავისი „დიდი ხალხისა“ და სხვა ხალხთა. შემოიღო წინადაცვეთა („წინა დაიცვითოს ყოველმან წულმან“). გარდაიცვალა დაახ. 1880 წ. ძვ. წ. ამ ანგარიშით 380 წელი უცოცხლია. ბიბლიაში ყოველ შემთხვევაში მათემატიკურად უფრო სწორია: 2040—1865. ნ. ებრაელები.

* მამა აბრაამის ბატკანი — ვითომ უცოდველი, ალალი, ნამდვილად კი ბოროტების ჩამდენი, ქვეშქვეშა ადამიანი (ითქმის ირონიული მნიშვნელობით).

აგაგი — ნ. აგოგი.

აგარა — აბრაამის მხევალი, მისივე მეორე ცოლი, ისმაილის დედა. ფეხმძიმე მხევალი სარამ შეიძულა და ქმრის ნებართვით უდაბნოში გაუშვა. გაგდებული ქალი ანგელოზმა ანუგეშა.

აგოგი (აგაგი) — ამალეკთა მეფე, საულმა დაატყვევა და შეიბრალა, მერე აწამეს. ვოლტერის პიესის გმირი.

ადა — ლამეხის ერთ-ერთი ცოლი.

ადამი — პირველი მამაკაცი, ღმერთმა შექმნა თიხისაგან; ქამთა სიმრავლის, სიძველის სინონიმი (ადამის ჟამისა, ადამის ხნისა).

ადერა იდუმიელი — სოლომონის მტერი, უწინ დევნილი, ფარაონის ქვისლი, ვინც „განამწარა ისრაელი“. პირველი გადაუდგა მეფეს, დამარცხდა, ეგვიპტეში გაიქცა.

ადონაი (ბატონი, უფალი) — ღმერთის სინონიმი, საბაოთი (შდრ. ადონია), წარმოთქვამდნენ მოწიწებით, ნაცვლად საბაოთისა, რისი წარმოთქმაც ეკრძალებოდათ (იეზეკილი, თავი 36 და სხვ.).

ადონია — 1. იგ. ადონაი, ღმერთი საბაოთი; 2. დავითის ძე, აღიფისაგან, სოლომონის უფროსი ძმა და ტახტის მემკვიდრე. სოლომონმა მოაკვლევინა იმ საბაბით, რომ დავითის ქვრივის (ხელუხლებელი ხასის) აბესას ხელი ითხოვა.

ადონი ბეზეკი — ქანაანელთა მეფე, 70 მეფის მძლეველი, აწამეს.

ადონირამი — რობოამის მსახური, ხარკის ამკრეფი, ხალხმა ჩაქოლა.

ადრააზარი — რააბის ძე, სუბის მეფე, მისი სარდალი რაზონი სოლომონს აეშალა.

ადრამელიქი და სარასარი (სარეცერი) — სენაქერიბის ძენი, მოკლეს მამა, თავი სომხეთს შეაფარეს.

აენდორელი ჯადოქარი —საული გამოიწვია საიქიოდან.

ადრიელ მეჭოლელი — საულის სიძე (მიათხოვა მეროვა, დავითის დანიშნული).

ავგუსტინე, ნეტარი, ავრელიუსი — ეკლესიის ყველაზე უფრო ცნობილი მამა (354–439), ეპისკოპოსი, ებრძოდა წარმართებს, არიანებს...

ავენირი — ნ. აბენირი.

ავნანი — ნ. ონანი.

აზაზელი — ანგელოზების მთავარი.

აზაილი (აზილი) — ასირიის (ასურასტანის) მეფე, ბენადადის შემდეგ მეფედ „სცხო“ ელისემ, თუმცა ეს საქმე ღმერთმა ადრევე ილიას დაავალა. უფლის ნებით დასცა, დასაჯა ისრაელი.

აზარია („ღმერთია ჩემი შემწე") — ბიბლიაში ეს სახელი ხშირად გვხვდება: 1. მღვდელი, იოდაის ძე, მოკლა მეფე იოასმა; 2. ანგელოზი, ტობიას თანამგზავრი (ნ. ტობიას უმცროსი); 3) „წმინდა ყრმა", ჰაეთი და ცოდნით გამორჩეული ებრაელი ყმაწვილი ბაბილონის ტყვეობაში, დახიელთან ერთად რომ აღზარდეს საჯურისებმა და ცეცხლში არ დაიწვა; 4. სადუკის შვილი, მღვდელმთავარი სოლომონის დროს; 5. წინასწარმეტყველი ასაპ [illegible] ნ. ამასიას ძე, იუდეის მე-10 მეფე, იმეფა 52 წელი (809—758), [illegible] ძლიერი მბრძანებელი, ქედმაღლობისთვის კეთრი შეეყარა. ტახტი შვილს დაუთმო (მღვდელმთავარმა გადააყენა).

• აზმოდეოსი (ასმოდეოსი) — დემონი, ეშმაკი ტობიას წიგნში (3, 7; 6, 17), რაღუილის ასულს სარას ეჰვიანობის ნიადაგზე მოუკლა შვიდი ქმარი; იქცა განხეთქილების, ქორწინების რღვევის სინონიმად.

• ათი მცნება — მოსეს კოდექსი, რაც უდაბნოში მისცა ხალხს, ათი აუცილებელი მოთხოვნა: „1. არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე, არა ქმნე თავისა შენისა კერპნი; 2. მოიხსენე დღე იგი შაბათი... ექვს დღე იქმოდე და ჰქმენ ყოველი საქმე შენი; 3. ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღვთისა შენისა და არა ჰქმნე ყოველი საქმე მას შინა შენ..., 4. პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; 5. არა კაც კლა; 6. არა იმრუშო; 7. არა იპარო; 8. არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა; 9. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა. არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა... 10. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოსა ზედა..." (შენი ღმერთის სახელი ბოროტად არ გამოიყენო, თორემ ღმერთი დაუსჯელად არ დაგტოვებსო, ბიბლიაში ეს მცნება მესამე ადგილზეა). ეს მცნებანი (გამოსლ., 20, 1—17), ცხადია, სავალდებულოა ქრისტიანთათვისაც. მაგრამ მათ ყოველ ნაბიჯზე არღვევენ თვით ბიბლიაში. თვითონ იდეალური მეფეები — დავითი და სოლომონი გარყვნილებით რომის პაპებს არ ჩამოუვარდებოდნენ და თავიანთი ჰარამხანებით თურქეთის სულთნებს გააწბილებდნენ.

აია (ქართ. იოილი) — საულის ხარჯის, რიცფას დედა.

• აკრძალული ხილი — მომხიბლავი, მაგრამ სახიფათო, აკრძალული რამ (ნ. შემეცნების ხე).

ალექსანდრე მაკედონელი (ისკანდერი) — ძველი დროის უდიდესი სარდალი, აიღო იუდეა და ბაბილონია. ამბობენ, დარიოს მესამის დამარცხების შემდეგ (333 ძვ. წ.) იერუსალიმში შეიარა, რომ იაღვესათვის თაყვანი ეცაო. ბიბლია ამაზე დუმს, ასე რომ ეს არ იქნებოდა თავაზიანობის ვიზიტი ადონაისთან. მაკედონელმა იუდეველებს სხვა ხალხთა თანაბარი უფლებები ძიანიჭა.

ამალეკი — ელიფაზის შვილი. ამალეკები — ედომიტელთა ტომი იყო, სახლობდა ეგვიპტესა და სინაის შორის; ებრაელთა მტრები, რომელთა ხსენება დავითისა და სოლომონის შემდეგ ქრება.

1. ამანი (ამმან) — ლოთის (ლოტის) ძე, ამანელთა მამამთავარი.

2. ამანი. —არტაქსერქსის ვერაგი და ქედმაღალი ვეზირთუხუცესი, ებრაელთა გაჟლეტა სთხოვა მეფეს, მაგრამ ესთერის (არტაქსერქსეს ებრაელი ცოლის) თხოვნით თვითონვე დაჰკიდეს იმ სახრჩობელაზე, რაც ებრაელ მარდოხეოსათვის აღმართა.

• ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო — წერილმანი, უსარგებლო შრომის ,ამაო ფუსფუსის დევიზი (ეკლესიასტე, 1, 2).

ამარფალი (ამრაფელი) — სენაარის მეფე, რომელიც აბრაამმა თავისი 318 მსახურით დაამარცხა (ისიც სხვა მეფეებთან ერთად).

ამასია — იოას იუდეველის ძე და მემკვიდრე, სასტიკად დაამარცხა იოას ისრაელმა.

ამბაკუმ (ამბაკომ, აბაკუმ) წინასწარმეტყველი — იუდეველი ღვთისმსახური, უფლის ბრძანებით საჰმელი მიაწოდა ღმერთა ბუნაგში ჩაგდებულ დანიელს.

ამბრი — გადაუდგა მეამბოხე მეფე ზამბრეს, 12 წელი იმეფა და ტახტზე დატოვა შვილი აქაბი. მიეწერება სამარიის დაარსება (930—918). დევნიდა იეღოვას მსახურთ.

ამენირი — ნ. აბენირი.

ამენხოტეპ III (ამენჭოტეპი) — ძლევამოსილი ფარაონი, ხარკს უხდიდა 115 მეფე. მის დროს ვარაუდობენ ებრაელთა გამოსვლას ეგვიპტიდან, რაც შეუძლებელია: ერთი მუჭა ხალხი ძლიერ ფარაონს ვერ გაექცეოდა.

ამინადაბი — 1. იესეს-ძე, დავითის ძმა; 2. მარდოხეს ბიძა, ესთერის მამა.

ამნონი — „უფლისწული", დავითის უფროსი შვილი, შეაცდინა ღვიძლი და, თამარი! მოკლა ძმამ, აბესალომმა, ნადიმზე, ძმების თვალწინ (2 მეფეთა, თ. 13).

I. ამონი — იუდეველთა მე-16 მეფე, მანასიას შვილი (ვარაუდით, 640-638 ძვ. წ.). მამის გზას დაადგა, კერპებს სცემდა თაყვანს და საკუთარმა მონებმა გაგუდეს სამი წლის მეფობის შემდეგ.

II. (ამმონ) — ლოთის (აბრაამის ძმისწულის) შვილი და შვილიშვილი (საკუთარი ასულისაგან), ამონიტელთა მამამთავარი.

III. (ამმონი) — ეგვიპტელთა ღვთაება, ქალაქ ამონის ღმერთი.

ანა (ანნა) — 1. ელკანას ცოლი, ჭურუმ ელის სამლოცველოში მუცლად იღო და შვა სამუელი; 2. აბესალომის ასული, მეფე ასას ცოლი; 3. რაღუილის ცოლი, მრთველი, სარას დედა (ტობიას წიგნში).

ანანია — „წმინდა ყრმა", ჰკვიანი ებრაელი ყმაწვილი, ბაბილონის ტყვეობაში რომ აღზარდეს, დანიელთან ერთად.

ანგია წინასწარმეტყველი (ჰაგგაი, რუს. აგგეი) — მეათე „მცირე" წინასწარმეტყველი, მოღვაწეობდა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, ტაძრის განახლების ჟამს (520 ძვ. წ.).

ანონი — ამონიტელთა მეფე, ნაასის ახალგაზრდა მემკვიდრე, რომელსაც მამის გარდაცვალების გამო დავითმა სამძიმარი შეუთვალა. ჰაბუკ მეფეს კარისკაცებმა ჩააგონეს, ჯაშუშები არიანო, ცალი წვერ-ულვაში მოპარსეს ელჩებს, რაც მძიმე ომის საბაბი გახდა. დავითის სარდალმა იოაბმა მტერი დაამარცხა.

ანტიგონე I — წინასწარმეტყველ ჰირკანის უკეთური შვილი, ყოყოჩობით დაირქვა ეს ბერძნული სახელი. მამის გარდაცვალების შემდეგ ძმა არისტობული კლავს ტაძარში.

ანტიგონე II — არისტობულის მეორე შვილი, სახრის ქვეშ ამოხადეს სული მარკ ანტონიუსის ბრძანებით და მერე ჯვარს აცვეს.

ანტიოხ III (223-183 ძვ. წ) — რომაელთა ტყვე. სინამდვილეში სციპიონმა დაამარცხა, მაგრამ ტყვედ არ ჩაუგდია. ვითომ რომაელებს დაუთმო ინდოეთი, მიდია და ლიდია!

ანტიოხ ევპატორი — ანტიოხ ეპიფანის შვილი, სირიის მეფე, დაამარცხა ელიაზარ მაკაბელი.

ანტიოხ ეპიფანე („სახელგანთქმული") — სირიის ჰუმანური მბრძა-

ნებელი. მაკაბელთა გამარჯვებით შეწუხებული ეტლიდან გადაყარდა, მაგრამ დაეხვია, ისევ ებრაელთა ღმერთს სთხოვა შეწევნა.

ანჭუსი (ანხუ, ანხუს), მააქას-ძე — გეთის მეფე, ფილისტიმელი, თავშესაფარი მისცა დავითს, რომელმაც თავი გიჟად მოაჩვენა

აოდი — ცაცია ებრაელი მსაჯული, მოაბიტელთა მეფე ეგლონი.

აპოლონიუსი — სირიელი სარდალი, სამარიასიდან [illegible] მაკაბელმა.

• „არა არს სული მათ შორის" — ბიბლიური მსჯავრი, რაც ხელოვნების მდარე ნაწარმოებზე ითქმის: „სირცხვილეულ იქმნა ოქროს მჭედელი ქანდაკებულ მისთაგან, რამეთუ არა არს სული მათ შორის" .

არადი — სინის უდაბნოს მეფე (გამოსლ.); არარსებული, მითიური ვინმე.

არანი — ნ. არრანი.

• არა კეთილ არს ყოფა კაცისა მარტო — ასე უთხრა ღმერთმა ადამს და შექმნა ევა (შექმნ., 2, 18). საანდაზო თქმა უარყოფს მარტოობას.

• არაფერი ახალი არ ხდება მთვარის (მზის) ქვეშ — ეკლესიასტეს სიტყვები, უიმედობის გამომხატველი ძველი სიბრძნე, რასაც ბელინსკის შენიშვნით „მუდამ იმეორებენ მოხუცები, აქებენ ძველს და აგინებენ ახალს" (ეკლ., 1).

• არა ქმნე თავისა შენისა კერპნი — მოსეს ერთ-ერთი მცნება: არ ეთაყვანო ბრმად უღირსსა და უგვანოსო (გამოსლ., 20, 4). თქმას გორკი იყენებს.

• არა ხოლო პურითა ცხოვნდების კაცი — გამოთქმა, რაც გულისხმობს, რომ ადამიანს მარტო ჭამა არ ეყოფა, სულიერი საზრდოც უნდა. მოსე ათ მცნებასთან ერთად გადასცემს ხალხს უფლის სიტყვას: „რამეთუ არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყვითა..." (2 მსჯ., 8, 3).

• არ დავმშვიდდები შენთვის, სიონ! — ბიბლიური თქმა, გამოხატავს ტყვეობაში მყოფი ხალხის დარდსა და რწმენას (ანალოგიურია: თუ დაგივიწყო, იერუსალიმ...). სიონი საკუთრივ იერუსალიმის ერთ-ერთი გორაკია, სადაც ვითომ დავითის სასახლე და მერე მისი სამარხია კლდეში გამოკვეთილი. იუდას „ნათესავის" კუთვნილი ეს გორაკი დავითმა აიღო და იუდეის სატახტო ცენტრად აქცია. აქედან მოდის სიონის სიმბოლური მნიშვნელობის გაბერვა, განდიდება და ყოველნაირი გაღვთაებრივება: აქედან უნდა მოვიდესო აბრაამის ხალხის ხსნა, „ღმერთი ცხადად მოვიდეს... ცეცხლი მის წინაშე აღატყდეს და გარემოს მისსა ნიაქარი ფრიად" (ნიაქარი ძველ ქართულში ქარიშხალს ნიშნავს და ეს მთელს ბიბლიურ ტექსტში ჩანს). წინასწარმეტყველთა წარმოდგენითაც ეს იყო იეღოვას ციური და მიწიერი მეუფების სიმბოლო. „წმინდა" სიონის ამ განდიდებას გულუბრყვილო პოეტური წარმოდგენისა და რელიგიური ფანატიზმის გარდა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ეს წარმოდგენა დაედო საფუძვლად რეაქციულ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობას, სიონიზმად წოდებულს, რაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს შეიქმნა. მისი მიზანია ებრაელთა კლასობრივი შეგნების დაჩლუნგება და ყველა ებრაელის „ერთიანობის" უზრუნველყოფა, მათი თავმოყრა ისრაელში, რაც 1948 წელს შეიქმნა. ამ რეაქციული იდეით ჯერ კიდევ ვაჭარმა ჰერცლიმ დაინტერესა სულთანი აბდულ-ჰამიდი, რომის პაპი პიუს X, კაიზერი ვილჰელმ II და რუსეთის იმპერატორი, რომელმაც სიონისტების პარტიას თავისუფალი მოქმედების ნება

მისცა (1903). მავნე, ვერაგული, ნაციონალისტური პროპაგანდის ანკესზე ვერც გულუბრყვილო ებრაელი წაბოეგო და გაეშურა „აღთქმულ ქვეყანაში“, სადაც ბიბლიური ისტორია განმეორდა: სიღატაკისა, ძნელბედობისა და ლტოლვის მეტი ვერაფერი ნახეს. სიონიზმის რეაქციული ხასიათი სულ უფრო აშკარა ხდება მსოფლიოსათვის. 1967 წელს არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებული აგრესიული ავანტურა, რასაც ამერიკის რეაქციული წრეები უჭერენ მხარს, ნამდვილი ახალი ფორმაა იმ ძალადობის, ხოცვა-ჟლეტისა და ნაციონალისტური კიდეგანბობისა, რასაც ადგილი აქვს ბიბლიაში—მოსედან დაწყებული ბაბილონის ტყვეობამდე (ნავინი, საული, დავითი, აქაბი, იეუეი, 50 000 ბენიამინელის გაწყვეტა ისრაელების მიერ და სხვ. და სხვ.). სიონი, ისევე როგორც ბიბლიური „ისტორია“, საინტერესოა ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით, მაგრამ სიონიზმის რეაქციულ ფილოსოფიას დაუნდობლად უნდა ებრძოდეს თუნდაც ყველა ის, ვინც პატივსა სცემს ბიბლიას, როგორც ადამიანის გენიის ერთ-ერთ ქმნილებას. სიონისტებზე და საერთოდ აგრესორებზე ერთი რამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ვინც სიონისათვის „არ მშვიდდება“ და იარაღს იღებს, მხოლოდ ახალ ბიბლიურ უბედურებას დაიტეხს და ვინც მახვილს იღებს, მახვილით განიწირნება.

ა რ ე ო ს ი (ონიარი) — ლაკედემონელთა (სპარტანელთა) არარსებული მეფე და მღვდელმთავარი, რომელმაც ვითომ წერილი მისწერა ებრაელთა მეფეს ონიას.

ა რ ე ტ ა ს ი — არაბთა ტომის ბელადი, ალყა შემოარტყა იერუსალიმს.

ა რ ი მ ა ნ ი — ნ. ორმუზდი.

ა რ ი ო ნ ი (ბერძ. მით.) — გმირი, სახელგანთქმული ლესბოსელი მომღერალი, დითირამბების გამომგონებელი, დელფინებმა შეისვეს ზურგზე და იხსნეს.

ა რ ი ო ქ ი — ელასარის მეფე. სძლია აბრაამმა (მასა და სამ სხვა მეფეს).

ა რ ი ს ტ ო ბ უ ლ I— ჭურუმ ჰირკანის უკუღმართი შვილი, მოკლა ძმა ანტიგონე, გაგუდა დედა და მაკაბელთაგან პირველი ეკურთხა მეფედ. მისი გარდაცვალების შემდეგ იოანე, მისი ძმა, „აღდგა“ და ტახტი დაიჭირა.

ა რ ი ს ტ ო ბ უ ლ II, უმცროსი — იუდეის მეფის ალექსანდრე იანეის შვილი (69 ძვ. წ.). სადუკეველთა წინამძღოლი (ორმეფობა: ჰირკან II და არისტობულ II). ებრძოდა ძმას, ჰირკანს, ერთხანს ტახტი წაართვა. პომპეუსს ოქროს მტევანი აჩუქა, მაგრამ სარდლის გული რომ ვერ მოიგო, გაქცევა სცადა. პომპეუსმა ტაძარი ბრძოლით აიღო, მეფე შეიპყრო და თავისი ტრიუმფალური ეტლის დასამშვენებლად წაიყვანა რომში, ტიგრანთან ერთად, მისი უფროსი შვილი ალექსანდრე კი, რომელმაც თავი მეფედ გამოაცხადა, სიკვდილით დასაჯა. ამ ტრიუმფისათვის ციცერონს ეპატარავა არისტობული და ტიგრანი, კონსულს დასცინა. 56 წ. მეფე ისევ იუდეაში გაიქცა, ისევ დაატყვევეს, კეისარმა რომში გაგზავნა, გზაში მოიწამლა; იგივე სახელი ერქვა ალექსანდრიელ ებრაელს, რომელმაც მოსეს წიგნები ახსნა (175 ძვ. წ., 2 მაკაბ., 1, 10).

ა რ მ ი ა ებრაელთა — მეფე ავიას დროს 400 000 და 800 000, დავითის დროს — 1 300 000 და სხვ. (ფანტასტიკურად გაბერილი რიცხვებია); აზარიას დროს — 300 000 (ნეშტთა, II, 26)...

ა რ ნ ა ნ ი (არანი) — თარას მესამე შვილი, აბრაამის ძმა, ლოთის მამა თავი მხოლოდ იმით „გამოიჩინა“, რომ აბრაამმა ისა და თავისი ჯალაბობა „გამოიყვანა სოფლისაგან ქალდეველთასა წარსლვად ქვეყანად ქანაანისა“, დაემკვიდრა ჭარრანში და 205 წლისა გარდაიცვალა (შექმ., თ. 11).

ა რ ო ნ — ნ. აარონ.

არ ტ ა ქ ს ე რ ქ ს ი (არტაქსარი, საკ. აჰასფეროსი) — დიდი ხელმწიფე (ასურელი) მეფე, ისტორიული პიროვნება (რამდენიმე მეფეა ცნობილი ამ სახელით, რაც ძველი სპარსული სიტყვიდან მომდინარეობს: არტაქსარა — უძლეველი. ერთი მათგანი, ა. III, მისმა საჭურისმა მოწამლა, გვამი ტახებს შეაჭმევს, ძვლებისაგან ხმლის ვადა დაამზადებს). ესთერის, ეზდრას, ტობიტის, დანიელის წიგნებში უთუოდ ლაპარაკია დარიოს გისტასპზე, რომელმაც ბაბილონის ტაძარი ააშენა. ტაბანმა მამა მოუკლა —500—504.

არ ფ ა ქ ს ა დ ი — სემის შთამომავალი, პატრიარქი, იცოცხლა 438 წელიწადი.

ა ს ა — აბიას ძე, იუდეის მეფე, იოსაფატის მამა, ებრძოდა უცხოელ დამპყრობელებს, იმეფა 41 წელი.

ა ს ა ი ლ ი — დავითის მამაცი მეომარი.

ა ს ა რ დ ა ნ ი, ასარგადონი — ბიბლიის ცნობით, სენაქერიბის მესამე შვილი, ასირთა ძლიერი მეფე, რომელმაც ვითომ კავშირი შეკრა მეფე ეზეკიასთან, რაც შეუძლებელია, რადგან უველა სამფლობელო დაკარგა ნინევიაში.

ა ს ე ნ ე ფ უ (ასენეთი) — პენტეფრეს ასული, იოსების გონიერი ცოლი.

ა ს ი რ ი — იაკობის შვილი ზელფასაგან, პალესტინის ზღვისპირეთში მოსახლე ისრაელთა ტომის მამამთავარი.

ა ს ი რ ი ი ს ბ ა ტ ო ნ ო ბ ა — ნ. სირიის ბატონობა.

ა ს მ ო დ ე ო ს ი — ნ. აზმოდეოსი.

ა ს ტ ი ნ ი (ფასტი) — არტაქსერქსის მშვენიერი მეუღლე, დედოფალი, რომელმაც არ ისურვა ქმრის ბრძანებით ნადიმზე ტიტველი გამოჩენა („ესთერი").

ა ს ტ ა რ ტ ი (ასტრატე) — ფინიკიელთა ნაყოფიერებისა და სიყვარულის ქალღმერთი, ბაბილონელთა იშტარისა და რომაელთა ვენერას „მონათესავე".

ა ს უ ი რ ი — ბაბილონელთა ბიბლიური მეფე, ესთერის ქმარი; დარიოსის მამა;

ა ფ რ ი (უახ-აბ-რამი) — ფარისეველი, იუდეველთა მოკავშირე, დაამარცხა ნაბუქოდონოსორმა.

ა ჭ ა ბ ამბრის-ძე — ისრაელთა მერვე მეფე, „უკეთური აჭაბი", ტახტზე ავიდა იოსაფატ იუდეველის მეფობის მეორე წელს და იმეფა 22 წელი (924-903 ძვ. წ., არაა სწორი სხვა ცნობა: 875-835, ასე 40 წელი გამოდის და არა „ოცდა ორ წელ"). მამის ძლიერი სახელმწიფო კი შეინარჩუნა, მაგრამ „ქმნა უბოროტესი წინაშე უფლისა", ბაალის თაყვანისცემა დაიწყო, ტიროსის მეფეს დაუკავშირდა, მისი ასული იეზაბელი შეირთო, მისი ზეგავლენით ტაძარი აუგო ფინიკიელთა ღმერთებს — ბაალსა და ასტარტას, დევნიდა იეღოვას მსახურებს და აღაშფოთა წინასწარმეტყველნი, ხალხმა კი დახოცა ბაალის მსახურნი და აჭაბი იძულებული გახდა დევნილი წინასწარმეტყველნი დაებრუნებინა. სძლია მოაბიტელებს, ამორიელებს, ასირიელებსაც კი. მტრის მოძალებამ იუდეისა და ისრაელის მეფეები აიძულა კავშირი შეეკრათ, აჭაბმა ასული ათალია მიათხოვა იოსაფატ იუდეველს, მერე მოკავშირე სიძესაც უმუხთლა, თავისი სამოსი ჩააცვა, მაგრამ ასურებმა იცნეს და სასიკვდილოდ აჭაბი დაჭრეს. ეს მოხდა რამოთს, დამასკოსთან გამართულ ბრძოლაში 835 წელს ძვ. წ. აჭაბის სისხლს ძაღლები ლოკავდნენ. ღარჩა 72 ვაჟი და მრავალი ასული. ტახტზე შვილი — აჭაზია დატოვა. აჭაბის დროს განვითარდა ვაჭრობა, აშენდა დიდებული სასახლე, ფლობდა „ტაძართა პილოს-ძვლისათა" (ფსალ. 44, 8). შეიქმნა დიდი წინასწარმეტყველური ლიტერატურა. საოცარია, მაგრამ 1931—35 წლებში ამერიკელმა და

ინგლისელმა არქეოლოგებმა ხმელთაშუა ზღვის სანაპირო მაღლობზე აქაბისა და ლეზაბელის სასახლის ნანგრევები აღმოაჩინეს.

აქაზი — იუდეის მე-12 მეფე (742-729 თუ 734-728 ძვ. წ.). აღიდგინა წინამორბედთა ყველა უკეთურობა. დაჯაბნეს იდუმეველებმა, ფილისტიმელებმა, ისრაელისა და დამასკოს მეფეებმა. შემწეობა სთხოვა ასირიის მეფეს თგლათ-პალასარს, რომელსაც ტაძრისა და სასახლის მთელი ქონება უბრძანა [illegible] დალმა მტრები დაუჩაგრა, მაგრამ თვით მას დაადგა მონობის უღელი. ძალა ასირიის კერპებისათვის ეცა თაყვანი.

აქაზია — ნ. ოქოზია.

აქია— უზენაესი ქურუმი; სილომიტელი წინასწარმეტყველი, იერობოამს შეხვდა, თავისი სამოსი 12 ნაწილად დაგლიჯა, ათი გადასცა: ღმერთის ნებით ათი ტომი შენ გადმოგეცემა, ორი კი სოლომონს დარჩება, ისიც დავითის ხათრით, თორემ თვითონ წარმართთა გზას დაადგაო.

აქიმელექი — ნ. აბიმელექ 2.

აქინოამა — დავითის ერთ-ერთი ცოლი. მეფეს არ უყვარდა.

აქიტოფელი (საკ. აჰითობელი) — დავითის მტერი, მის შვილს აბესალომს ურჩია, მამაშვინის ხარჭებთან შეძიო და მეფეს დაედევნეო, მერე თავი მოიკლა.

აღთქმა — სარწმუნოებრივი ტერმინი, რაც გულისხმობს წმინდა კავშირს ღმერთსა და ადამიანებს შორის. ასეთი აღთქმა დადო ღმერთმა აბრაამთან: ადამიანი ღმერთის ერთგული უნდა ყოფილიყო, უცხო კერპები არ ეწამა, ღმერთი კი აღთქმულ ქვეყანაში წაიყვანდა და მხსნელს მოუვლენდა. ძველი აღთქმა (დაბადება) — ესაა წიგნი აღთქმულ ქვეყანაში დამკვიდრებისა და მხსნელის (მესიის) მოვლინებისა, ახალი აღთქმა (სახარება) — ამ აღთქმის აღსრულებისა (ქრისტეს მოვლინების სახით). აღთქმის ანუ სჯულის კიდობანი — (იგივე უფლის, იეღოვას კიდობანი) — ყუთი, რომელშიაც ბიბლიის მიხედვით ინახებოდა მოსეს ათი მცნების ფიცარი, სჯულისდება, კანონები, და რომელშიაც თვით ღმერთი საბაოთი იმყოფებოდა. სიტიმის ხისა იყო, ოქროთი მოჭედილი, ზედ ოქროს ფრთაგაშლილი ქერუბიმები იდგნენ. კანონების გარდა შიგ ინახებოდა აარონის კვერთხი და ოქროს დოქი (სტამნა), რომელშიაც ციური მანანა ეყარა. სკინია (კარავი), რომელშიაც კიდობანი იდგა, ხან სიქემში იდგა, ხან მასეფში, სილომში და სხვ. მერე დავითმა იერუსალიმში გადაიტანა ჯარის თანხლებით, სოლომონმა კი ტაძარში დადგა. ტაძრის დაწვის შემდეგ კიდობანი დაიკარგა ან იერემიამ გადამალა გამოქვაბულში.

* **აღთქმული ქვეყანა** — ქანაანი, პალესტინა, მიწიერი სამოთხე, რაც ღმერთმა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოყვანილ ებრაელებს აღუთქვა. რძე და თაფლი მოედინებაო, მაგრამ ტანჯვის მეტი არაფერი უნახავს ხალხს; საოცნებო მხარე, რომლის არსს კარგად გამოხატავს ეპიგრამა: „უფლის რჩეული ხალხი აღთქმულ მხარეში მიდის — იქ მისთვის ღელს ჭედენ: გეთი, სპარსი და მიდიელ".

აღწერა ებრაელებისა — ჩაატარა ჯერ მოსემ, მერე დავითმა, ბოლოს პტოლემეოს ფილოპატორმა. ღმერთმა დავითს რატომღაც სასტიკად უწყინა.

ბ

* **ბაალი** (ბელ, ბალ, უფალი) — წარმართთა ღმერთების ბიბლიური სახელწოდება (პალესტინა, სირია, მეტადრე ფინიკია, სადაც ბაბილონელთა ბელის

კულტი გადაიღეს). ესაა უზენაესი ღმერთი მზისა და ნაყოფიერების, ქვეყნიერების ქმნის თავისი ცოლის ასტარტას მეშვეობით. ამდენად ბაალის კულტი დაკავშირებულია ფალოსის კულტთან, თავაშვებულ სიტკბოება-დროსტარებასთან, რითაც ალბათ ასე ხიბლავდა ისრაელთა მეფეებს და მთელს ხალხს. ებრაელები ამ სიტყვას „უფლის“, „ბატონის“ მნიშვნელობით ხმარობდნენ, მაგრამ კრასოდეს არ ეძახდნენ ბაალს თავიანთ Ⴀაბაოთს, ადონაის; იგი ეკლებოდა ბოროტებისა და უკეთურობის სიმბოლოდ.

ბაანა — იეოსთეის სარდალი და მკვლელი.

* ბაბილონის გოდოლი — საყოველთაოდ ცნობილი საანდაზო თქმა, რასაც საფუძვლად უდევს ბიბლიური ლეგენდა: გათამამებულმა ხალხმა განიზრახა ცაში ასვლა და ამ მიზნით დაიწყო უზარმაზარი კოშკის აგება, მაგრამ ღმერთმა კოშკი (გოდოლი) დააქცია, ხალხს ენა აურია და გაფანტა. ეძახიან ნიმეროდის კოშკსაც, რაღგან მისი შენება ნიმეროდმა დაიწყო (ნიმეროდი გვიანდელი თქმულებით იყო ქამის შთამომავალი, ბაბილონის სამეფოს დამაარსებელი, სწორუპოვარი მონადირე). ვარაუდობენ, რომ ეს მოხდა სამყაროს შექმნიდან 2800 წელს (შექმნათა, 11, 1-9).

* ბაბილონის ტყვეობა (დარდი, გოდება) — ებრაელთა მატიანის შავბნელი ფურცელი, მძიმე ტრაგედია, როცა ახალბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ მეორემ იუდეველთა სამეფო დაამხო, იერუსალიმი დაანგრია (588 ძვ. წ.) და ძველი ასირიული ჩვეულებისამებრ თითქმის მთელი ხალხი ბაბილონში გადასახლა. ნგრევის გამოცდილება უკვე ჰქონდათ: სწორედ ასი წლის წინ (689) თვითონ ბაბილონი დაანგრია სენაქერიბ სარგონის-ძემ (ნ.). დამამცირებელი მონობა იერემიას წინასწარმეტყველებით 70 წელიწადს გაგრძელდა (ამის ანალოგიით პაჰთა ავინიონის ტყვეობასაც ბაბილონის ტყვეობა უწოდეს!), სინამდვილეში კი— 50 წელს (588–538). კიროსმა რომ ბაბილონი დაიპყრო, ებრაელებს შინ დაბრუნების ნება მიეცათ. ეროვნული უბედურება ბიბლიაში მრავალფეროვანი პოეტური სიტყვებით აისახა: „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა დავსხედით და ვსტიროდით... უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დაივიწყეს მარჯვენეიცა ჩვენი“ (136, 1,5); ხალხის ხანგრძლივი ძნელბედობა, მონობის ხანა საერთოდ.

ბათოილი, ნაჰორის-ძე (ბათუილი) — აბრაამის ახლო ნათესავი (ძმისწული), ლაბანისა და რებეკას მამა.

ბაკჭიდი — ანტიოქ ევპატორის სარდალი, დაამარცხა იუდამ, მაგრამ მორიგ ბრძოლაში იუდა დამარცხდა და დაიღუპა.

ბალა (ბალლაი) — რაჭილის მოახლე.

*ბალაამი (ბალამ) — ფადარელი წინასწარმეტყველი და მისანი, რომლის ვირი უეცრად ამეტყველდა, რომ პატრონისთვის ეთქვა: უსამართლოდ მცემო. ბალაამის ვირიაო, ირონიულად იტყვიან უთქმელ კაცზე, უეცრად რომ ენას ამოიდგამს და უსამართლობაზე ხმას აიმაღლებს.

ბალაკი — მოაბიტელთა მეფე, ებრაელთა მტერი.

* ბალთაზარ (დაბად. ვალტასარ, გერ. ბელზაცარ, ინგ. და სხვ. ბალთაზარ) 1. ქალდეველი, ნაბუქოდონოსორის შვილი, თავის საბედისწერო ნადიმზე ბრძანა მამამისის მიერ იერუსალიმიდან წამოღებული ოქრო-ვერცხლის ჭურჭლით სმა, უეცრად კედელზე წაეწერა ცეცხლის ასოებით „მენე, ტეკელ, ფარეს“, რაც მხოლოდ დანიელმა ახსნა: „გაზომილია, აწონილია, დანაწილებულია“, ე. ი. შენი სამეფო სპარსთა და მიდთა ხელში იქნებაო; ბალთაზარივით ცხოვრება— უდარდელი დროსტარება განსაცდელის ჟამს.

2. „წმინდა ყრმა“ დანიელი: ეს ბაბილონური სახელი უწოდეს, სამ სხვა ბრძენ ჰაბუკთან ერთად რომ გაზარდეს ნაბუქოდონოსორის საჭურისებმა.

ბანადადი — ნ. ბენადადი.

ბანეია, იოადის-ძე — გმირი, რომელმაც „თოღლში ლომი მოკლა“, დავითის კარისკაცი, მერე სოლომონის ბრძანებით მოკლა საბედნიეროდ ცნობილ ხიან ადგილთვე ბანეას, ჭართ. დაბადებაში ერთგან წერია ვანეა).

ბარაკი — ებრაელთა სარდალი, დებორას შთაგონებით გამარჯვება მოიპოვა ტელებზე. ჰყავდა 10 000 მეომარი.

ბარუხი — იერემიას მოწაფე.

ბეთსაიდელი (ბეთსამიტელი) ცნობისმოყვარენი — 50.070 კაცი, ერთიანად რომ გაჟლიტა ღმერთმა სკულის კიდობანში ჩახედვისათვის.

• ბელზებელი — აკარონელთა ღვთაება; საერთოდ — **ეშმაკი, დემონი,** ბოროტი სული.

ბელსარუსური — ბაბილონელთა მეფე, ზოგი ბალთაზართან აიგივეებს.

ბენადადი (საკ. ბენ-ჰადად, „მზის შვილი“) — ასირიის რამდენიმე მეფე. შესაძლოა საერთო სახელიც, როგორც ბოგდიხანი, მიკადო, ფარაონი... ვარაუდობენ იმასაც, რომ ეს ნიშნავს „ბენის შვილს“, სამეფოს დამაარსებლისას. უფრო ცნობილია სამი მეფე, ებრაელთა სამეფოს გაყოფის ეროისა (X ს. ძვ. წ.). ბენადად I ასა იუდეველს ეხმარებოდა, როცა ისრაელის მეფე ვაასი დაესხა თავს (3 მეფეთა, 20, 34); ბენადად II, ძე ადერისა, ხან მოყვრობდა ისრაელის მეფე აქაბთან, ხან მტრობდა, ერთხელ შეუთვალა: მთელი შენი ოქრო-ვერცხლი ჩემია, „და ცოლნი შენნი და შვილნი შენნი და კეთილნი ჩემნი არიანო“. აქაბს ხუმრობა ეგონა: კი, ბატონო, „შენი ვარ მე და ყოველი ჩემიო“. მერე მოხუცებმა ბრძოლა ურჩიეს, „ბოროტად ითხოვსო“. ბენადადი არ ხუმრობდა, მელის ხერელს არ დაეტოვებ სამარიაშიო. მართლაც, 32 მეფე ჰყავდა მოკავშირედ. აქაბმა შეუთვალა: „ნუ იქადი დაღრეკილად, ვითარცა მართალიო“, შეება და „იელტოდა სირია და სდევნიდა მას ისრაელი“, 120 000 ასური დარჩა ბრძოლის ველზე, მაშინ ადერის-ძემ აქაბს ძმობა სთხოვა. აქაბმა შეწყალა, მაგრამ სამკუთარმა კარისკაცმა აზაილმა დააბრჭო და დამასკოს ტახტი დაიკავა (3 მეფეთა, 20, 22; 4 მეფეთა, თ. 6—8); ბენადად III ამ აზაილის შვილია, მან დაკარგა ის ქალაქები, რომლებიც ისრაელში მამამისმა აიღო.

• ბენიამენი — იაკობისა და რაქილის უკანასკნელი შვილი, „მუდამ პატარა ბენიამენი“; გამორჩეული, საყვარელი შვილი საერთოდ.

ბეროდახ-ბალადანი (მეროდახ) — ქალდეს (ბაბილონის) მეფე (721-710), მარდუკ-აპლუ-იდდინის არასწორ. სახელი ბიბლიაში (ასე დამკვიდრდა ისტორიაშიც), „ზღვისპირეთის მბრძანებელი“. ბატონობდა ელამის შემწეობით, მისი მბრძანებლობის დროს სარგონ II სირია-პალესტინას და სომხეთს იპყრობს, მერე ისევ ბეროდახს უბრუნდება. სამჯერ განდევნილი ბეროდახი ზღვისპირეთს აფარებს თავს და მერე მისი ხსენება ქრება. ნ. ნაბონასარი. კავშირი შეკრა ეზეკია იუდეველთან (ნ. ეს).

ბერსაბე (ბერსაველი) — ურია ქეტელის ცოლი, რომელიც დავითმა მიიტაცა, — სოლომონის დედა.

ბესელეილი და ელიაბი — სკულის კიდობნის კარვის მშენებელი ოსტატები. ნ. სკინია.

• ბიბლიური ასაკი — ხანდაზმულობის სინონიმი: პატრიარქები

არაჩვეულებრივ დღეგრძელნი იყვნენ (აბრაამმა იცოცხლა 175 წელი, ენოქი ღმერთმა ცაში აიტაცა 365 წლისა, მათუსალა გარდაიცვალა 969 წლისა და სხვ.).

ბიბლიური გეოგრაფია — სწავლობს იმ ადგილებს, სადაც ბიბლიურ ხალხებს (ებრაელებს, ქანაანელებს, ფინიკიელებს (ფილისტიმელებს), ეგვიპტელებს, მოაბიტელებს, ამორეველებს და სხვებს) უცხოვრიათ თუ ებრძოლიათ. ძირითადად ეს მოიცავს ეგვიპტეს, ეთიოპიას, სირიას, არაბეთს, პალესტინას, ბაბილონს, ასურეთს, შუამდინარეთს...), ამ მიმართებაში გაშალა მრჩმედება მთელი მეცნიერებისა, რაც ცნობილია ბიბლიური არქეოლოგიის სახელწოდებით.

• ბილი (ბელი, ბაალი) — ძველ ბაბილონელთა ღმერთი, ადამიანთა მსხვერპლს ითხოვდა, თაყვანს სცემდნენ საქსებიც: ფინიკიაში ეს იყო ქარიშხლისა და ჰექა-ქუხილის ღმერთი; სასტიკი, ყოველივე ტლანქისა და უკაცურის სიმბოლო, რაც ნათელ იდეალებს ეწინააღმდეგება.

• ბნელის წყალნი ღრუბელთა შინა ჰაერისათა — ბიბლიური თქმა, რაც გაუგებარის, ამოუხსნელის სინონიმად იქცა სწორედ იმის გამო, რომ გაუგებარია „და დაჰსდვა ბნელე საფარველად მისა... ბნელისა წყალნი ღრუბელთა შინა ჰაერისათა“ (ფსალმ., 17, 11).

ბოოზი (ბოოსი) — რუთის ნათესავი და მერე მისი ქმარი, მდიდარი „მემამულე“.

ბოროტების ძირი — რაიმე ბოროტების, დანაშაულის წყარო, დასაბამი (იობი, 19).

გ

გაადი — 1. იაკობის შვილი მხევალ ზელფასაგან; 2. წინასწარმეტყველი, ღმერთისა და დავითის **შუამავალი.**

გაბარალი — ნ. რაღუილი.

გაბრიელი (ღვთის კაცი) — ანგელოზი.

• განტევების ვაცი — ითქმის ადამიანზე, რომელსაც სხვათა დანაშაულს აბღევინებენ: ებრაელთა მღვდელმთავარი ვაცს თავზე ხელებს დაადებდა, მთელი ხალხის ცოდვებს დააკისრებდა და მერე უდაბნოში გაუშვებდა ხოლმე (ლევიტ., 16, 21-22).

გაჩეევა — მოსესი ეგვიპტიდან, აბერისა — ეგვიპტეში (სოლომონისაგან), დავითისა — აბესალომისაგან, იერობოამისა — ეგვიპტეში, ილია წინასწარმეტყველისა — იეზაბელისაგან, ბენადადისა — აჭაბისაგან... (ნ.).

გედეონი („მამაცი მეომარი“) — ებრაელთა მეხუთე მსაჯული, სამშობლოს მხსნელი, ეფთრათელი მდაბიო, რომელმაც დიდი ხნით ალაგმა მადიამიტელნი (1245—1205 ძვ. წ.), როცა ისრაელი „დაგლახაკნა ფრიად“, დაეცა და გაიხრწნა, მადიამიტელნი და ამალეკები შეესივნენ, „ძენი მზისა აღმოსავლისანი“ თარეშობდნენ, ხალხი გაღატაკდა. გედეონი, **რომელსაც უფროსი ორი ძმა** მტერთან ბრძოლაში დაეღუპა, ფიზიკურად სუსტი იყო, კალოზე პურს ღეწავდა. ანგელოზი გამოეცხადა: „უფალი შენთანაა“. „თუ უფალი ჩემთანაა, სადა არიან საკვირველებანი მისნი?“, და მაშინ მიიღო დავალება. მცირე რაზმით დაესხა თავს ღამით მტრის ბანაკს და სასტიკად დაამარცხა. ხალხს მეფედ **უნდა** აერჩია, მაგრამ არ ისურვა, 40 წელი კი განაგებდა ჭეყანას, როგორც მსაჯული. ჰყავდა უთვალავი ცოლი და 70 შვილი (მსაჯ., თ. 6—7).

გეზი — ელისე წინასწარმეტყველის ეშმაკი მსახური (ყრმა), რომელმაც

თავისი ბატონის მიერ განკურნებული უცხოელი სარდლისაგან ფარულად საჩუქრები მიიღო, ელისემ ისა და მთელი მისი შთამომავლობა კეთილით დაასაჩუქრა.

გეთან (ეთან) ისრაიტელი — უცნობი ბრძენი.

• გველი — რომელმაც ვითომ ევა შეაცდინა. ღვთისმეტყველთა განმარტებით სატანა იყო, მაგრამ ბიბლიის ტექსტით ეს არ მართლდება. ზედაპირი მაცდური ვინმე.

გველი რვალისა — წარმართული კერპი, რომლის თაყვანისცემა მორწმუნეს ეკრძალება.

გირსამი — მოსეს შვილი.

• გლოვის ღელე (ველი, ხეობა) — მიწიერი ცხოვრების ტანჯვა-ვაება. ხატოვანი თქმა აღებულია დავითის ფსალმუნიდან (83, 7): „ღელესა მას გლოვისასა, ადგილსა მას, რომელსაცა აღუთქვა... ივიდოდიან იგინი ძალითი ძალათ, და გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმერთთა სიონს. უფალო ღმერთო ძალთაო, ისმინე ლოცვისა ჩემისა, ყურად იღე, ღმერთო იაკობისაო“.

• გოგი და მაგოგი — რადაც საშინელი, მძვინვარე ძალის სინონიმები: გოგი სასტიკი მითიური მეფეა, მაგოგი — მისი ხალხი და სამეფო (იეზეკილი, 38—39, აპოკალიპსისი ანუ გამოცხადება იოანესი, 20, 8).

გოთოლია (ღოფოლია, სწორია ათალია) — აქაბის და იეზაბელის ასული, იორამ მეფის ცოლი, ურჯულო დედაკაცი, გაწყვიტა შვილიშვილები (ოქოზიას შვილები), რომ იეუეის რისხვისაგან ეხსნა. გადარჩა მხოლოდ იოასი, მოკლეს მღვდელ იოდაის ბრძანებით.

გოთონიელი, კენეზის-ძე — ებრაელთა პირველი მსაჯული, იბატონა 40 წელი.

• გოლიათ გეთელი — ფილისტიმელი ბუმბერაზი, რომელიც ბრძოლის დაწყების წინ ძლიერ იქადნებოდა, ორთაბრძოლაში ვინ გამოხვალთო? ეს იყო ზღაპრული ბუმბერაზი, რომელსაც შებმა ვერავინ გაუბედა. მაშინ გამოვიდა ჰაბუკი დავითი, შურდულით მოკლა და თავის ხალხს გამარჯვება მოუტანა. გოლიათი ზოგად სახელად იქცა: მაღალი, ძლიერი და ბუმბერაზი ადამიანის სინონიმია.

დ

დავითი, იესეს-ძე (1040—1001 თუ 1042—979 ძვ. წ.). — გოლიათის მკვლელი, ქნარზე დაკვრის ოსტატი, ქრისტეს წინაპრად გამოცხადებული ბეთლემელი, ებრაელთა ყველაზე დიდი და გამოჩენილი მეფე, რომელსაც იერუსალიმის გამაგრება და „დავითის ფსალმუნები“ მიეწერება, თუმცა თავის სიცოცხლეში სულ ცოდვილი მკვლელი იყო. იმეფა 40 წელი, ჰყავდა უამრავი ცოლი. დაამშვენა თავისი სატახტო ქალაქი იერუსალიმი, აავო სასახლე და დააგროვა დიდი სიმდიდრე. „იწინასწარმეტყველა“ მესიის მოვლინება. მისი ცეკვა სჯულის კიდობნის წინ აღიარეს იერუსალიმში ქრისტეს შესვლის ალეგორიად. ხელოვნებაში ასახეს მიქელანჯელომ, დონატელომ, რემბრანდტმა...

• დავითის გვირგვინი — ოქროს გვირგვინი, რომლის წონა 36 კილოგრამი გამოდის. დავითმა ამონიტელთა მეფეს მოხადა და თვითონ დაიდგა (2 მეფეთა, 12, 30); დიდება, რაც მჭონებელს გასრესდა.

• დავითის ქნარი — ბიბლიური დავითის ქნარზე დაკვრის ხელოვნება საანდაზოდ დარჩა, და ხმატკბილი მუსიკის ეს სიმბოლო ბევრ ქართველ

პოეტსაც გამოუყენებია თავის შემოქმედებაში. ქართველ მეფეთა — ბაგრატიონების ღერბზე დავითის ქნარიც იყო გამოხატული.

• დავითის როკვა კიდობნის წინ — დიდი პიროზნების მრხეველია კომიკურ მდგომარეობაში: დავითმა რომ სჯულის კიდობანი ერუსალიმში ბარი-ზეიმით შემოასვენა, თვითონაც უბირი ხალხივით ცეკვავდა, რაც ცოლმა არ მოუწონა.

დათანი — ებრაელი, რომელიც მოსეს აუჯანყდა და მიწამ შთანთქა.

• დათვი პალესტინაში — შეუძლებელი, არაბუნებრივი რამ. დავითი არწმუნებს საულს: მამის საქონელს რომ ვმწყემსავდი, „ოდესცა მოვიდოდა ლომი და ანუ დათვი და წარიტაცებდეს ერთსა, მეცა უკანა მისსა განვიდოდი,.. და მოვაკვდინებდი“ (1 მეფეთა, 17, 34). პალესტინაში დათვი არაფის უნახავს.

• დალილა — მშვენიერი ფილისტიმელი ქალი, სამსონის საყვარელი, რომელმაც გმირს თავისი ღონის საიდუმლო გამოსტყუა და დაღუპა; ლამაზი, ცბიერი, ქმრის ორგული და ვერაგი დედაკაცი.

დანი — იაკობის შვილი მხევალ ბალასაგან, იშვილა რაქილმა, დაიბადა მესოპოტამიაში 1932 წ. ძვ. წ., გარდაიცვალა ეგვიპტეში 127 წლისა. მამაშთავარია დანის ტომისა, რაც მოსეს აღწერით 62 700 კაცს შეადგენდა. მისი მიწაწყალია ქალაქი დანი (იაფას მიდამოები).

• დანიდან ბერსაბემდე — რაიმე დიდი მანძილის, ალფას და ომეგას სინონიმი. ბიბლიაში ეს გამოთქმა ხშირად იხმარება (შეკმ., თ. 29 და 40).

დანიელი (ბალთაზარი)— ბრძენი ებრაელი ჰაბუკი, ნაბუქოდონოსორის საჰურისების აღზრდილი, სხვა სამ ყრმასთან ერთად. სიზმრები აუხსნა ნაბუქოდონოსორს, სატრაპად დაინიშნა. თავისი წინასწარმეტყველების წიგნით შესულია ბიბლიაში (ვარაუდით: 618—530 ძვ. წ.).

დარიოს მიდი — კამბიზის მამა, მთავარ გისტასპის ძე, რომელმაც სამეფო დაიპყრო და სპარსეთის ძლიერი იმპერია შექმნა. აიღო იერუსალიმი.

• დაუწველი ბუჩქნარი — მაყვლოვანი (ბუჩქნარი), რომელსაც ცეცხლის ალი შენთებოდა და არ იწვოდა. ამ ალში ეჩვენა მოსეს ღმერთი (გამოსლ., 3, 2); დაუწველი, დაუშლელი, ცეცხლისაგან უვნებელი რამ.

დებორა — წინასწარმეტყველი და მგოსანი ქალი, ცხოვრობდა „პალმის ქვეშ“ ეფრემის მთაზე. განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა ისრაელებს, სუსტი ქალის ენთუზიაზმით აღფრთოვანებულმა ხალხმა გაიმარჯვა და დებორა მსაჯულად აირჩია. ჰყავდა ათი ათასი მეომარი.

• დემონი — ნ. აზმოდეოსი; პირველად ბერძენთა ღვთაება იყო. საერთოდ, წარმართულ მითოლოგიაში ესაა სული, გინდ კეთილი, გინდ ბოროტი, ქრისტიანული ეკლესიის გაგებით კი — მხოლოდ ბოროტი სულია, იგივე სატანა. ასეთია ბიბლიის დემონიც.

• დინა — ლიას და იაკობის ასული, მცირეწლოვანი გოგო, რომელსაც მთავარ ემორის ძემ სიქემმა ნამუსი ახადა. მერე შეუყვარდა და ცოლად მოყვანა მოიწადინა. ქალიშვილის ძმებმა — სიმონმა და ლევიმ მთელს ხალხს მოსთხოვეს წინადაცვეთა, რაც აღასრულეს კიდეც. მაშინ ჭრილობებით დასუსტებულ ხალხს ერთიანად მუსრი გაავლეს. აქედან თქმა: დინას ნამუსი — ერთი შეხედვით იოლად მისაწვდომი სიამოვნება, სინამდვილეში სასტიკი დანაშაული, რაც ჩამდენს სიცოცხლის ფასად უჯდება (შეკმ., 29, 34, თ.).

დოიკ ასური — საულის მონა, დახოცა 305 მღვდელი, რომელთაკ ხელი არ ახლეს მსახურებმა, თუმცა იგივე უბრძანა საულმა.

ებრაელები — სემიტური ოჯახის ძველი ხალხი, რომელიც პრაგალი ძნელბედობის შემდეგ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან მთელს დედამიწაზე გაიფანტა. ბიბლიის მიხედვით ესაა საბაოთის რჩეული ხალხი, რომელიც მოსემ აღთქმული ქვეყნისაკენ წაიყვანა. მისი 12 გვარ-ტომი ადრეულ ხანაში ჯერ ორ სამეფოდ დაიყო: იუდეისა და ისრაელის სამეფოებად, რომელიც ქრისტეშობამდე 722 წელს ასურეთის მეფემ დაღუპა აბრაამის ხალხი. დღეს ებრაელთა რიცხვი 10 230 000-მდეა (უმრავლესობა თავმოყრილია შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირში და ისრაელში). გადმოცემით, სიტყვა „ებრაელი“ წარმომდგარია ბიბლიური სიტყვიდან „გა-იბრი“, ე. ი. „მდინარის გადალმიდან ჩამოსული“, რაც პირველად აბრაამს უწოდეს, მერე მის ხალხზე გავრცელდა (აბრაამი თავისი ჯალაბობისა და ლოტის თანხლებით წავიდა ურიდან — ჩრდ. პალესტინიდან, სადაც საბაოთის თაყვანისცემისათვის წარმართი მეზობლები ავიწროებდნენ, გადალახა მდინარე ევფრატი და ქანაანში დასახლდა).

* ეგვიპტის ჭირი — საშინელი სასჯელი, საყოველთაო უბედურება, რაც ხალხს, ერს, ქვეყანას დაატყდება ხოლმე შიმშილის, ეპიდემიის, ძალადობის სახით. როცა ფარაონი ებრაელებს ეგვიპტიდან არ უშვებდა, ღმერთის დახმარებით მოსემ და აარონმა ათი უბედურება (ჭირი) დაატეხეს ქვეყანას: ჯერ ვეშაპები გააჩინეს, მერე მდინარე — წყლები სისხლად აქციეს, ქვეყანა ბაყაყებით აავსეს, მუმლი შეუსიეს, ძაღლის მწერი დაახვიეს, საშინელი სეტყვა დაატეხეს, საქონელი გაუწყვიტეს, მკალი (ქალია) გაუჩინეს, ქვეყანა დააბნელეს, ახალშობილი ყრმა და საქონელი გაუხოცეს... ბოლოს ფარაონი მოტყდა და ხალხი გაუშვა (გამოსლვათა, 9—14).

* ეგვიპტური ჯაფა — მძიმე, მომქანცველი შრომა, რასაც ეგვიპტის მონობაში ებრაელები ეწეოდნენ და რაც საანდაზოდ იქცა (შეკმნ., 3, 20).

* ეგვიპტური წყვდიადი — მოსეს ერთ-ერთი სასწაულთაგანი, რაც ფარაონის დასაშინებლად მოახდინა და საშინელი სიბნელის სიმბოლოდ იქცა: „განირთხა მოსე ხელი თჳისი და იყო ბნელი, წყვდიადი, ნისლი და არმური სამ დღე“ (გამოსლვათა, 10, 22).

* ეგვიპტური ტყვეობა — მძიმე, მონური მდგომარეობა, რაშიაც იმყოფებოდნენ ეგვიპტეში ებრაელები, ვიდრე მოსე „გამოიყვანდა“; უუფლებობა, მონობა.

ეგლონი — მოაბიტელთა მეფე, ებრაელთა დამმონებელი.

* ევა — პირველი ქალი, რომელიც ღმერთმა ადამის ნეკნიდან შექმნა, გველმა აკრძალული ხილით შეაცდინა და პირველი ცოდვა ჩაადენინა. კაენის და აბელის დედა; ქალური ცნობისმოყვარეობის სინონიმი. (ებრ. ჰავა — „სიცოცხლე“).

ევფრათი — ვინმე ჰალების ცოლი, რომლის სახელზეც ქმარმა ქალაქი ააშენა.

ეზდრა წინასწარმეტყველი — ბიბლიის გამოჩენილი გმირი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ებრაელთა სარწმუნოებრივი სიწმინდის აღდგენის საქმეში. მას მიეწერება ებრაელთა ისტორია და მისი სახელობის წიგნი, აგრეთვე ნეშტთა წიგნი.

ეზეკია (რეზეკია, საკ. ჰისკია), აქაზის ძე — იუდეველთა მე-13 მეფე. მამის ტახტზე 25 წლისა ავიდა, 29 წელი იმეფა იერუსალიმში (728-699 ძვ. წ.). შეუსრა ბაალის კერპები და ბომონნი, დაამსხვრია ასირიელთა უღელი, დაანგრია მათი ტაძარნი, მოსპო წარმართული გველეშაპები, დაამარცხა ფილისტიმე-

ლები, გაამაგრა იერუსალიმი. საოცარია, ამ ღვთისმოსავ მეფეს საშინელი სენი შეეყარა, ან განზრახ შეყარა ღმერთმა, რათა მერე მის წინასწარმეტყველს ესაიას ლეღვის სალბუნით მოერჩინა და 15 წლის სიცოცხლე დაემატებინა. ასურთა მეფემ სენაქერიბმა (სინამდვილეში სარგონ მეორემ) „დასდვა ეზეკიას ზედა, მეფისა იუდასა, სამასი ტალანტი ოქრო, და მისცა ეზეკია ყოველი ვეცხლი, რომელი იპოვებოდა სახლსა უფლისასა და საუნჯეთა შინა სახლისა მეფისა, 18, 15—16).

ეზეკიას არხი — კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი საოცრება — კლდეში გამოკვეთილი დიდი არხი, საიდანაც შიგ უწყალო იერუსალიმში ნაკადი შედიოდა. ამით დაიზღვია თავი ეზეკიამ ასირიელთა ალყის დროს წყურვილით დალუპვისაგან (ძველი, დავითის დროის არხი ამოსებული იყო). სენაქერიბი ტრაბახობს, ეზეკია ისე გამოვამწყვდიე, როგორც ჩიტი გალიაშიო, მაგრამ იერუსალიმი გადარჩა. მართალია, ბიბლია ამასაც ღმერთის ჩარევით ხსნის: ანგელოზმა გაწყვიტაო 185 000 ასირიელი. არხი შემთხვევით აღმოაჩინეს ინგლისელმა და ამერიკელმა არქეოლოგებმა 1880 წელს.

ეზეკიელი — ნ. იეზეკიელი.

ელი — სილონელი მღვდელი, ოფნის და ფინეესის მამა, ელკანას ცოლის ანას შემაცდენელი.

ელიაბი — ბერსაბეს მამა, სოლომონ ბრძენის პაპა.

ელიავი — დავითის ძმა.

ელიაზარი — ჭურეამ მატათის შვილი და თანამებრძოლი მაკაბელთა ბრძოლაში სირიის წინააღმდეგ. ებრაელთა ამბოხების დროს, თავისი ერის ხსნისა და სახელის უკვდავყოფის მიზნით მტრის სპილოს მოეჭრა, რადგან ეგონა, რომ სარღალი იმ სპილოზე იჯდა. სპილომ ხორთუმით ასწია და გადატეხა.

ელიეზერი (ელიაზარი) — აბრაამის მსახური, რომელმაც ისაკს ცოლად რებეკა ჩამოუყვანა.

ელიმელეკი — ნოემანის ქმარი (რუთის წიგნი).

ელისე, საფატის-ძე — წინასწარმეტყველ ილიას შემცვლელი, კეთროვანს კურნავს, მტრის არმიას აბრმავებს, მკვდარს აცოცხლებს:

ელიუსი — იობის მანუგეშებელი.

ელიფაზი — 1. ესავის შვილი; 2. მეფე, იობის მანუგეშებელი მეგობარი.

ელკანა — ანას და ფენანას ქმარი.

ელოხიმი — იგივე იაღვე, იახვე, იელოხიმი — ებრაელთა რელიგიის ერთიანი და ერთადერთი ღმერთი. რაკი მისი სახელის წარმოთქმა იკრძალებოდა, თანხმოვანი ასოებით წერდნენ და მის ნაცვლად იტყოდნენ ადონაის (უფალო ჩემო). მერე ქრისტიანმა ღვთისმეტყველებმა გაუგებრობით ჩასვეს ბიბლიის ტექსტში ხმოვნები და მიიღეს „იეღოვა“. მისი მეორე გავრცელებული სახელია სიტყვა „ელოხის“ მრავლობითი ფორმა „ელოხიმ“ — ღმერთები (უნდა ყოფილიყო „ღმერთი“). ეს იგივე ქრისტიანთა ღმერთიცაა, ოღონდ „ელოხიმს“ არ გეძახით, არც უფრო დამახასიათებელ „საბაოთს“, რაც „ღმერთ-მეომარს“ ნიშნავს (პალესტინის დაპყრობას გულისხმობს), არამედ მამა-ღმერთს, სამების პირველ პირს.

ემორი (ემმორი) — სვიქემის მამა.

• ენა ჩემი სასასა ჩემსა აეკვა — დაემუნჯდით (ფსალმ., 21, 15).

ენოსი — ადამის შვილიშვილი, სეითის ძე, გამოირჩეოდა საბაოთის ჭრთგულებით.

ენოქი (ენუქ, ენოხი) — კაენის შვილი, პატრიარქი, ცოდვაცა ღმერთმა (როგორც დიდი ხნის შემდეგ ილია).

ესავი — ნ. იესავი.

ესაია წინასწარმეტყველი (იგ. ისაია) — ოთხ „ძველი ქართული წარმეტყველთაგანი, მიეწერება მისი სახელობის წიგნის შედგენა. მაგრამ წიგნში არის ადგილები, რომლებიც ეხება VI საუკუნის ამბებს (მეფე კიროსზე და სხვ.). წინასწარმეტყველებს ბედნიერ ერას, იმ პირობით, რომ ხალხი მტკიცედ იწამებს.

ესთერი (ბაბილონელთა ღმერთ იშტარის სახელიდან) — მარდოხეს აღზრდილი მშვენიერი ქალწული, შეირთო მეფე არტაქსერქსემ, „ქალწულთა კონკურსში“ გამარჯვების შემდეგ. გაქლეტისაგან იხსნა ტყვე ებრაელი ხალხი (ნ. ამანი).

ეფრემი — იოსების და ასენეფუს მეორე შვილი, იაკობის შვილიშვილი, დაიბადა ეგვიპტეში სამყაროს შექმნიდან 2293 წელს. იაკობმა გარდაცვალების წინ „ფრიადი და ფრიადი განმრავლება“ უსურვა და უწინასწარმეტყველა. ეს ტომი თავიდანვე ემტერებოდა იუდას მოდგმას, დავითის დროს ერთხანს გამოეყო კიდეც, მერე კი ათი ტომისაგან შექმნა ისრაელის სამეფო.

ეფრონი — ჭებრონელი კაცი, მაჰპელას გამოქვაბული მიჰყიდა სარას დასაკრძალავად აბრაამს (საგვარეულო სამარხად იქცა).

ეშმაკი (სატანა) — იობის წიგნში თავს თავისუფლად გრძნობს, ცაშია, ღმერთთან დებს სანაძლეოს, იობის რწმენას შეეარყეო. მერე ქრება

ვ

ვაას ახნის ძე — მეამბოხე იუდეველი, გადაუდგა მეფე ნაბათს, მოკლა, 24 წელი იმეფა (942—919), ნაბათსა და იერობოალზე უარესად ექცეოდა ღმერთს და ისრაელი „ცოდვაში შეიყვანა“. ღვთის რისხვა ეუწყა იიუის წინასწარმეტყველის პირით: „მომკვდარსა ვაასს ქალაქსა შინა შჭამდენ ძაღლნი“ (3 მეფეთა, 16,2—3).

ვანეა — ნ. ბანეა.

ვეშაპი — ბაბილონელთა კერპი, მოკლა დანიელმა; იონას ყლაპავს ზღვის ვეშაპი; შდრ. ლევიათანი.

ვილდადი (ვალდადი) — მეფე, იობის მეგობარი და სტუმარი მწუხარების ჟამს.

• ვინმე არს მსგავს შენდა, უფალო? — მაკაბელთა დევიზი, რაც დროშაზე ეწერათ (გამოსლ., 15. 11); პათეტიკური მიმართვა ვინმე ძლიერისა და დიდებულისადმი.

ზ

ზაბულონი — ნ. ზებულონი.

ზამბრე, ზამბრი — მეამბოხე, „უფლისა თვისისა მკლელი“, „ნახევარ ეტლოსანთა მთავარი“, რომელმაც მოკლა მეფე ილა ბასას-ძე, გაწყვიტა მთელი მისი მოდგმა და თავი ისრაელის მეფედ გამოაცხადა. პატივმოყვარე სარდალმა, ყოფილმა მონამ, სულ შვიდ დღეს იმეფა. ქალაქ თირსაში (ფერსაში) გამაგრე-

ბულ მეფეს აღშფოთებულმა ხალხმა ალყა შემოარტყა, ზამბრემ სასახლეს ცეცხლი წაუკიდა და ნანგრევებში ჩაიმარხა 918 წ. ძვ. წ. (3 მეფეთა, 16, 9—18).

ზარა (ი) ეთიოპელი — ეთიოპელთა მილიონიანი არმიის სარდალი, დაამარცხა ასამ.

ზაქარია წინასწარმეტყველი — „მცირე წინასწარმეტყველთაგანი“ თორმეტიდან, მოღვაწეობდა ბაბილონის ტყვეობიდან [illegible] ანგიასთან ერთად. თავის თოთხმეტთავიან წიგნში ქადაგებდა ტაძრის აღდგენას, ზნეობის გასპეტაკებას, მესიის მოელინებას.

ზებულონი (ზაბულონი) — ლიას და იაკობის მეექვსე შვილი, პალესტინაში დაიბადა, ეგვიპტეში გარდაიცვალა, სამი შვილი დარჩა. ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის დროისათვის ზებულონის ტომის რიცხვი გახდა 57 400 (ისიც ოცი წლის ზემოთ).

* ზეთისხილის რტო — ზავისა და სიმშვიდის სიმბოლო ძველთაგანვე. ბერძნებთან მშვიდობის ქალღმერთ ეირენეს ემბლემა, ბიბლიაში — მტრედმა მოუტანა ნოეს.

ზელფა — ლიას მხევალი, იაკობის ხასა. ლიას (რაქილის დის) უნაყოფობის დროს მის მაგიერობას ეწეოდა და უშვა იაკობს გაადი, ასირი (ებრ. აშერ), ისაქარი, ზებულონი და დინა.

ზორობაბელი — ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებულ ებრაელთა წინამძღოლი.

* ზურგით ხილვა — ზერელედ ცოდნა, საგანთან გარეგნულად მისვლა: ღმერთმა სიკვდილის მუქარით აუკრძალა ადამიანებს თავისი საჩის ხილვა, მხოლოდ მოსეს მისცა ნება შეეხედა, ისიც ზურგიდან: „და აღვიღო ხელი ჩემი და მაშინ იხილო ზურგით ჩემსა, ხოლო პირი ჩემი ვერ იხილო“ (გამოსლ., 33, 23). ამ ბიბლიური გამოთქმით დასცინოდნენ პლეხანოვი ცრუ ეკონომისტებს და ლენინი ცრუ მარქსისტებს, რომელთაც მხოლოდ „ზურგით იხილეს“ მატერიალიზმი.

თ

* თავზე ნაცრის დაყრა — ძველ ებრაელთა ღრმა მწუხარების ნიშანი (იობი, 2, 12; ესთერი, 4, 1).

თამარი — ბიბლიის სამი გმირი ქალი: 1. ირის ცოლი, იუდას რძალი. ადრეული დაკარგა ქმრები, არც მამამთილის დაჰირებამ გაუმართლა — უმცროსი შვილისათვის გინახავო. ბოლოს თვით იუდასაგან ეყოლა ორი შვილი — ფარეზ და ზარა (მათე, 1, 3) 2. დავითის ასული. ამნონისა და აბესალომის და, ამნონმა შეაცდინა, თავზე ნაცარი დაიყარა და ქვეყანამ გაიგო. აბესალომმა ამნონი მოკლა; 3. აბესალომის ასული, რობოამის (სოლომონის ძის) ცოლი, მეფე აბიას დედა.

თამნა — ელიფაზის ხასა, ამალეკის დედა.

თარა, თარრა — ნ. ფარა.

თარსა — ნ. ფარსა.

* თასის დაცლა — რაიმე სასტიკი განსაცდელის დაძლევა, ბოლომდე მისვლა: დანიელმა მიმართა იერუსალიმს: აღსდეგ, აღორძინდი, იერუსალიმო, შენ, ვინც უფლის რისხვის თასი ბოლომდე დაცალეო! (ესაია, 51, 17).

* თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, ფერხი ფერხისა წილ — აუცილებელი ნაცვალგების, მკაცრი შურისძიების დევიზი (ლევიტ., 24, 20; გამოსლ., 21, 24).

• თვალის ჩინი — გამორჩეული, განსაკუთრებით მოსაფრთხილებელი რამ. გამოთქმა ბიბლიიდანაა აღებული: „უნაკლულო ჰყვნა იგი (ისრაელი ხალხი) უდაბნოსა მას ზედა ქვეყანასა შინა წყურვილისა სიცხისასა... და განსწავლნა იგინი და დაიცვნა იგინი, ვითარცა გუგაი თვალისა“ (2 სჯულისა, 32, 10).

თიდეალი (თაგალი) — წარმართი მეფე, აბრაამმა რომ დამარცხა ხან სხვა მეფესთან ერთად.

• თიხისფეხებიანი ქანდაკება — ოქროსთავიანი, ვერცხლისმკერდიანი და თიხისფეხებიანი ბუმბერაზი, რაც ნაბუქოდონოსორმა ნახა სიზმრად და დანიელმა აუხსნა: ეს შენი სამეფოა, ამ კოლოსს ერთი კენჭი დალეწავს და შენი სამეფო დაიქცევაო. აქედან „თიხისფეხებიანი კოლოსი“ იქცა გარეგნულად ძლიერი, ნამდვილად კი სუსტი ძალაუფლების სინონიმად (ასე ეძახდნენ საქმის უმეცარნი რუსეთს, დიდროს და ფრიდრიხ დიდის დროიდან ბოლო დრომდე).— (დანიელი, 2, 21—35).

თოლაი — ისრაელის მსაჯული, აბიმელექ გედონის-ძის ახლო ნათესავი, 23 წელი მართავდა ქვეყანას ეფრემის მთიდან.

თუბალკაინი (თობელი) — ლამეხის შვილი მეორე ცოლის — ცილლასაგან, სპილენძისა და რკინის დახელოვნებული ოსტატი, მჭედელ-ოსტატთა პატრიარქი („თუბალკაინის ჟამიდან ატომის საუკუნემდე“...). ნ. იაბალი.

ი

• იაბალი (იობილი) და იუბალი — ლამეხის (ლამექის) ვაჟები ადასაგან. იაბალმა მისცა დასაბამი მომთაბარეობას, იუბალი კი მუსიკოსთა მამამთავარი გახდა (შექმ., 4, 20). ოსტატთა, მჭედელთა, მუსიკოსთა, მხატვართა პატრიარქების დასახელებით ბიბლიური თქმულებები იღებენ ბერძნული მითების თანაბარ ყოვლის მომცველ განფენილობას და მათი შემქმნელი ხალხის სიბრძნის გამოხატულებას წარმოადგენენ.

იაბინი — 1. ქანაანელი, ასორის მეფე (3881 დასაბამიდან), სასტიკად დამარცხა და მოკლა იესუ ნავინმა; 2. ასორის სხვა მეფე, დაიმორჩილა ისრაელები, მაგრამ ათი წლის შემდეგ სძლიეს და მოკლეს (მსაჯ., 4, 2—24).

იაილი — ივდითივით პატრიოტი ქალი, კარავში შეიპატიჟა ქანაანელთა მძლე სარდალი სისარა, დააძინა და საფეთქელში ლურსმნის დარჭობით მოკლა.

• იაირა, იაირი — ისრაელთა მე-7 მსაჯული (1283 ძვ. წ.), რომლის დროსაც ფილისტიმელებმა ებრაელები ისევ დაიმორჩილეს. ეს მორიგი მონობა 18 წელი გაგრძელდა. იმავე დროს იაირი განაგებდა 32 ქალაქს და ჰყავდა 32 შვილი. „და აღსხდებოდეს ოცდა ათორმეტთა ვირთა“, რაც დიდი სიმდიდრის ნიშანი იყო (იაირას ვირები).

იაკობი (ებრ. „შემფერხებელი“, „დამაბრკოლებელი“: შობის დროს ხელით ეჭირა ტყუპისცალის — ესავის ქუსლი, თითქოს პირველშობილის უფლებას ეცილებაო) — ძველი აღთქმის სახელოვანი პატრიარქი (2020—1873 ძვ. წ.), ისაკის და რებეკას შვილი, დედის დახმარებით უფროს ძმას ესავს წაართვა პირველშობილის უფლება და უსინათლო მამას დალოცვა გამოსტყუა. ესავის შიშით მესოპოტამიაში გაიქცა. ბიძა ლაბანთან, 14 წელი ემსახურა და შეირთო მისი ასულები — ლია და რაქილი, მერე ცოლ-შვილითა და ჯოგებით დაბრუნდა ქანაანში. მისი ზეღწოდება ისრაილი მთელს ხალხზე გავრცელდა. 130 წლისა ეგვიპტეში გადასახლდა, სადაც ქვეყანას მისი შვილი იოსები განაგებდა, ფარაონის ვეზირი. მიიღეს გესემის რჩეული მიწა. იქვე გარდაიცვალა 147

წლისა. მისი ნეშტი აღთქმულ ქვეყანაში გადაასვენეს. ჰყავდა 12 შვილი —ებრაელთა 12 ტომის მამამთავრები (ნ. ნათესავი) და ერთი ასული (ნ. დინა).— შექმ., 25, 27, 36, 43—50 თავები.

• იაკობის დალოცვა — ბევრის მთქმელი, ზედმიწევნებელი დალოცვა („განძლიერდი უფროს მთასა მყართასა" და სხვ.): ძველების წინ იაკობმა იხმო თავისი 12 შვილი, დალოცა და დასაბამი მისცა 12 ტომს (შექმ., თ. 49).

• იაკობის და ღმერთის ბრძოლა — ქანაანში რომ ბრუნდებოდა, უეცრად ღამით იაკობს ღმერთი შეება და მთელი ღამე ერკინებოდა, მაგრამ ვერ სძლია, მხოლოდ დააკოჭლა. ამ უცნაურ ეპიზოდში მაინც დიდი სიბრძნეა: ღმერთს არ შეუძლია ადამიანის დამარცხება, მხოლოდ შეუძლია დაასახიჩროს.

• იარედი (არედი) — ბიბლიური პატრიარქი, ენოქის მამა, იცოცხლა 962 წელი (შექმნ., 5, 20) და იქცა დღეგრძელობის სინონიმად (იარედის დღე მოგეცესო!). შეად. ადამი, მათუსალა.

იაფეტი (იაფეთ — ებრ. „ვინც მრავლდება", „რაც ერცელდება") — ნოეს უმცროსი შვილი, გადმოცემით არიელთა წინაპარია. მამის პატივისცემისა და მოკრძალებისათვის მამამ და მამაზეციერმა ასე დალოცეს: „განმრავლდიო!" ჰყავდა 7 შვილი, რომელთაც დასაბამი მისცეს ევროპისა და აზიის ხალხთა უმრავლესობას (შექმნ., თ. 9—10).

იაღვე, იეღოვა — ნ. ელოხიმი.

იებოსთეი — ნ. იებუსთეი.

იედდეი (ლათ. გერ. იედიდია) — სოლომონის ზედწოდება, რაც ნათანმა მისცა.

იეზაბელი — აქაბის ცოლი, სიდონის მეფის ასული, წარმართი, დევნის ებრაელებს, ხოცავს წინასწარმეტყველებს, 120 წლისაც კეკლუცობს, უშენებს ბაალს ტაძარს. მეფე იეუეი ფანჯრიდან აგდებს და ძაღლებს უგდებს შესაჭმელად.

იეზეკიელი (ეზეკიელი) — წინასწარმეტყველი, ბაბილონის ტყვე. წინასწარმეტყველებდა მითიური მდინარის ჰოვარის ნაპირებზე. ისრაელთა ცოდვების გამოსყიდვის მიზნით მარცხენა გვერდზე იწვა 390 და მარჯვენაზე 40 დღე, ჰამდა ადამიანის განავალს, მერე საქონლის ნაკელს.

იელოხიმი — ნ. ელოხიმი.

იესთეი (იებოსთეი ,საკ. იეს-ბოსეთ) — საულის შვილი, დაუშალა მამის სარდალს აბენირს მამის გარდაცვალების შემდეგ მის ხარჭასთან — რეცფასთან შესვლა, რითაც ერთგული მსახური განარისხა.

იერემია — დიდი (უფროსი) წინასწარმეტყველი, ოთხთაგანი (639–597), ქადაგებდა ებრაელთა ძნელბედობის ჟამს, წინასწარმეტყველებდა იერუსალიმის დაქცევას, ბაბილონის ტყვეობის დასრულებას და ბაბილონის დამხობას, აგრეთვე „ბრძენი მეფის" დავითის ნათესავ იესოს მოვლინებას. იერემიას წიგნის გარდა მიეწერება გოდების წიგნი იერუსალიმის დაქცევის გამო.

• იერიქონის ბუკები — წმინდა ბუკები, რომელთა ხმამაც იერიქონის აუღებელი კედლები დააქციეს (აღთქმული ქვეყნის გზაზე); ყოველის შემარყეველი ხმაური.

იერობოალი — აბიმელიქის მამა.

იერობოამ I ნაბათის ძე — ეფრათელი, ეფრემიანი, სოლომონის წინააღმდეგ ამხედრებული ძლიერი, ამაყი მეომარი. სოლომონის გარყვნილება

არ მოსწონდა. ეგვიპტეში გაიქცა. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა, სამარიის მეფე გახდა, მერე ისრაელისა. მისი მიზეზით გაიყო ისრაელის და იუდეის სამეფოები, დააარსა ისრაელის დინასტია (962 ძვ. წ.). სოლომონის შვილის რობოამის გაქცევის შემდეგ ეშინოდა, ისევ დავითიანთა არ [illegible] მეფო ტახტი, ააგო ბაალის სამლოცველო, ხბოების უცხო კერპები დაადგინა (3 მეფეთა, 11—12 თ.).

იერობოამ II იოასის-ძე— ისრაელის მეთოთხმეტე მეფე, განაგრძო იერობოამ პირველის უკეთურობა, მაგრამ დროებით შეინარჩუნა ისრაელის სამეფო, რაც სამუდამოდ დაცემის გზაზე იდგა (4 მეფეთა, 14, 23—29, ნეშტთა წიგნი)..

იერონიმე (დაიბ. 341 წ. დალმაციაში) — წმინდანი, ეკლესიის მამა, მონაწილეობდა საეკლესიო პაექრობაში, თარგმნა ძველი აღთქმა.

იესავ (ესავი, ისავი) — აბრაამის და რებეკას პირველი შვილი, იაკობის ტყუპის ცალი, ფიცხი და ღონიერი, მიწის მუშა და მონადირე. პირმშოობა რომ ძმამ წაართვა, მთებში გადასახლდა, ჰყავდა 4 ცოლი და 5 შვილი. დასაბამი მისცა იდუმიელთა ტომს (შექმ., თ. 25).

იესე — დავითის მამა, ბეთლემელი, იესო ქრისტეს „წინაპარი", ჰყავდა 8 შვილი.

იესო (ისუ, ისო) ნავინი (ნაეს-ძე) — ეფრემიანი, მოსეს უახლოესი თანაშემწე, მისი სიკვდილის შემდეგ კი ებრაელი ხალხის წინამძღოლი: მან შეიყვანა ისრაელი ქანაანში, დაჰყო ებრაელები 12 გვარ-ტომად. მიეწერება იესო ნავინის ცნობილი წიგნი (ვარაუდით დაბადებულა 1544 წ. ძვ. წ.). ნ. მზის შეჩერება.

იეუეი (იიუი, იეჰუ, იუეი) — 1. ნამესის ძის იოსაფატის შვილი, ისრაელთა მე-11 მეფე, „უფლის ნებით". ღმერთმა მისი მირონცხება ილიას დაავალა, მაგრამ დავალების შესრულება ილიას ცაღამაღლების შემდეგ ელისეს მოუხდა. საშინელმა მკვლელმა 28 წელიწადი იმეფა და მთელი ეს დრო უფლის სახელით მკვლელობაში გაატარა. მოკლა მეფე იორამი, აქაბის ძე, და მის 70 ძმას თავები დააჭრა, გოდრებში ჩაყარა. ასევე დაკლა ოქოზია იუდას მეფის 42 ძმა (თუმცა ისინი ადრევე არაბებმა გაჟლიტეს, რაც ბიბლიის ავტორებს დაეწყებიათ). მუსრი გაავლო ბაალის მსახურებს, მათი ტაძარი საროსკიპოდ აქცია, თუმცა ამით ბევრი არაფერი შეუცვლია: ეს ტაძარი აღრეც გარყვნილების სავანე იყო. იმეფა 28 წელი (876—848 ძვ. წ.). (4 მეფეთა, თ. 9—10); ნეშტთა, 22, 7—10); 2. იუა ანაანის-ძე — წინასწარმეტყველი, ღმერთის ნება აუწყა ვაას მეფეს და მის შვილს ილას: თქვენი მოდგმა გაწყდებაო, „რამეთუ სცოდა და აცოდა ისრაელი განრისხებად უფლისა,.. ამაოებითა მათითა" (3 მეფეთა, 15, 1—14).

იეფთაი, იეფთაე—ისრაელთა განმათავისუფლებელი და მსაჯული 6 წლის განმავლობაში (1189 ძვ. წ.) გალადელი მეძავის შვილი იყო. დაამარცხა ამონიტელები, აიღო 20 ქალაქი და აღთქმის თანახმად ღმერთებს შესწირა ის, ვინც შინ დაბრუნებულს პირველად შეეგება — ეს აღმოჩნდა მისი საყვარელი ასული. ავაზაკთა ბანდის ყოფილმა ატამანმა, რომელიც თავის დროზე ძმებმა (დედამისის შვილებმა სხვა ქმრისაგან) უდაბნოში განდევნეს, აღთქმა აღასრულა, თუმცა ზოგი ამაში ალეგორიას ხედავს: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა არ ყოფილა. სკინიის მცველად განამწესესო უცოდველი ქალწული (მსაჯულთა, 11—12).

იეღოვა — ნ. ელოჰიმი.

* იეზითი — 1. ესავის ცოლი; 2. მერარის ასული, მანასეს მშვენიერი

ქვრივი, ბიბლიის სახელგანთქმული გმირი ქალი, სარდალ ოლომფრეს შვილი, უკვდავყოფილი ჯორჯონეს ფუნჯით (ჯორჯონეს იუდითის დეტალია გამოხატული ამ წიგნის დანართში). მან იხსნა ებრაელი ხალხი და ამის შემდეგ იცოცხლა 105 წელი, თუმცა როცა ოლომფრეს მახვილით თავი წააცალა, უკვე 65 წლისა იყო. „იუდითის გმირობა" საარაკოდ დარჩა. („იუდეველი ქალი").

ი ი უ ი — ნ. იეუეი.

ი ლ ა (ილაი), ვაასის-ძე — ისრაელის მეოთხე მეფე, ასა იუდეველის თანამედროვე, ავიდა უკეთური მამის ტახტზე და მამის ცოდვა დაატყდა: თვითონაც „ბოროტი", კერპთაყვანისმცემელი, გახრწნილი ილა მისმა სარდალმა ზამბრიმ დაათრო და მოკლა, ისე რომ სულ 1 წელი იმეფა (919-918 ძვ. წ.). — 3 მეფეთა, 16, 6—11.

ი ლ ი ა თ ე ზ ბ ი ტ ე ლ ი (გალადელი) — ბიბლიური წინასწარმეტყველი (შდრ. ჰელიოსი, მზის ღმერთი). ღმერთმა აქაბის მოსარჯულებლად გაგზავნა. დაკლა ბაალის 800 წინასწარმეტყველი, ციური ცეცხლით დაწვა ოქოზიას 102 მოციქული. სამოსის კალთით გააჩერა მდინარე იორდანი. ცად ამაღლდა (4585-4606 დასაბამიდან); დიდი ქურუმი.

ი ლ ი ო დ ო რ ი — „აზიის მეფე სელევკის" (სელევკ IV) ოფიცერი, რომელსაც იერუსალიმის ტაძრის ოქროს წამოღება დაევალა, მაგრამ ციდან დაშვებულმა მხედრებმა და ანგელოზებმა ლამის ცემით სული ამოხადეს.

ი ო ა ბ ი — 1. აბესას ძმა; 2. სარუნის-ძე — დავითის თანამგზავრი, სარდალი და კარისკაცი. სიკვდილის წინ დავითი რატომღაც გაუწყრა, სოლომონს დაავალა მისი მოკვლა, თუმცა ეს მამაცი მეომარი მუდამ მათი ერთგული იყო მეამბოხეებთან ბრძოლაში.

ი ო ა თ ა მ (ძვ. ებრ. „ღმერთი სრულყოფილია") — 1. იუდეის მე-11 მეფე, აზარიას ძე. ტახტზე 25 წლისა ავიდა, იმეფა 16 წელი (758—742), ზრუნავდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მის დროს ქადაგებდნენ ისაია, მიქია, „ამან აღადგინა კარნი ტაძრისა — უფლისანი უმაღლესნი". (4 მეფეთა, 15, 30—38; ნეშტთა, თ. 26—27); 2. გედეონის ერთ-ერთი შვილი.

ი ო ა კ ი მ ი — 1. იოსიას ძე, ნექოს მოკავშირე, ებრძოდა ნაბუქოდონოსორს. მისი დასჯის მიზნით შეესია ნაბუქოდონოსორი იუდეას და კიდეც მოუღო ბოლო; 2. სუსანას ქმარი, ხანში შესული და უმნიშვნელო კაცი.

ი ო ა ნ ე — ქურუმ მატათის შვილი, აუჯანყდა სირიელებს.

ი ო ა ნ ე-ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (იწოდა მაკედონელის სახელი) — წინასწარმეტყველ ჰირკანის შვილი, რომელიც მამამ მოკლა, რადგან ღმერთმა უწინასწარმეტყველა, შენს ადგილს დაიჭერსო. მერე „მოკლული" იოანე იერუსალიმის უზენაესი ქურუმი ხდება. ამასთან კლავს ერთადერთ ძმას და კიდევ 5000 კაცს. იწყება საერთო რბევა, რაც ათ წელს გრძელდება;

ი ო ა ს ი — 1. გედეონის მამა; 2. ოქოზიას ძე, გოთოლიას შვილიშვილი, რომელიც იეუეის დროს სვრემას გადარჩა (მამიდან გადამალა, იორამის ასულმა). იუდეის ეს მერვე ღვთისმოსავი მეფე (886—850) ღმერთს მაინც განუდგა და ღაისაჯა: ქვეყანა აუოხრეს, თვითონაც სარეცელში მოკლეს. იმეფა 40 წელი; 3. იოას უმცროსი, იოქაზის ძე და მემკვიდრე, იეუეის შვილიშვილი, ისრაელის მეფე, ებრძოდა იოას იუდეველის შვილს ამასიას, დაამარცხა და დააქცია იერუსალიმი.

ი ო ა ქ ა ზ ი — 1. იეუეის შვილი (ებრ. „ღმერთი მფარველობს"), ისრაელის მე-12 მეფე, იმეფა 17 წელი (848-831 ძვ. წ.), იერობოამიანთ ღვთისმგმობელი, გახრწნილი კაცი იყო, ბრძოლაშიც მარცხიანი. დამასკოსთან გამართული ხან-

გრძლივი ომი ისრაელთა სრული დამარცხებით დამთავრდა. აზაილმა და ბენიადამა ჯარები გაუწყვიტეს და არმია შეუმცირეს (დარჩა 10 000 ფეხოსანი, 50 ცხენოსანი და 10 ეტლი). (4 მეფეთა, თ. 10, 35; 13, 1—9); 2. იორამის ძე, იუდეის მე-17 მეფე, სულ სამი თვე იმეფა (4 მეფეთა, 13).

იობედ — რუთის შვილი, დავითის წინაპარი.

* იობი — ძალზე მდიდარი, ღვთისმოშიში კაცი, ეშმაკის ცილობის საგანი: ავივსია და თაყვანსა გცემს, წაართვი და გაგინებსო. ღმერთს ეშმაკმა. იობმა ითმინა (იობის მოთმინება —საანდაზოდ დარჩა), მერე კი, უველაფერი რომ დაკარგა, დასნეულებულმა და დაბრმავებულმა ღვთის გმობა დაიწყო; მეფეებმა ანუგეშეს. ღმერთმა უველაფერი ორმაგად დაუბრუნა, კიდევ იცოცხლა 140 წელი და გარდაიცვალა 248 წლისა; დარჩა თქმები: იობივით ტანჯული, იობივით ღატაკი, იობის მოთმინება.

იოდაი (იოანანი) — იუდეის მე-17 მღვდელმთავარი (893—850 ძვ. წ.). კეთილი და სამართლიანი, მამაცი პატრიოტი. მეფედ აკურთხა სურემას გადარჩენილი იოასი (ნ.), იცოცხლა 130 წელი, დაკრძალულია პალესტინელ მეფეთა სამარხში (4 მეფეთა, თ. 11; ნეშტთა, თ. 22).

იოველი — უმცროსი წინასწარმეტყველთაგანი, მისი წიგნი სულ სამი თავისაგან შედგება. იწინასწარმეტყველა მესიის მოვლინება.

იოთორი — სეფორას მამა, მოსეს სიმამრი — 170—71, 183.

1. იოილი — ნ. აია.

* 2. იოილი და აბიო — სამუელის შვილები (ანასაგან), საშინელი მექრთამეები, რომელთაც ხალხი ისე აღაშფოთეს, რომ მოითხოვა მმართველობის სისტემის გამოცვლა. მაშინ დაუნიშნა სამუელმა ებრაელებს მეფე.

3. ნ. იოველი.

იონა — გალილეველი წინასწარმეტყველი (800 ძვ. წ). გემით გაემგზავრა იქით, საითაც ღმერთს არ უბრძანებია (ნინევიაში). ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა, იონამ ხვრინვა ამოუშვა. შეძრწუნებულმა მეზღვაურებმა ზღვაში გადაგდეს. როგორც უბედურების მიზეზი, იქ ვეშაპმა გადაყლაპა, 3 ღღის შემდეგ ამოანთხია და ნაპირზე გადმოაგდო (ვარაუდობენ იმასაც, რომ უკანა მხარეს გაუშვა. იონა კი ნანობდა: ბინაც იყო და საკვებიცო: ბინა-კუჭი, საკვები კი — მეო) იონამ მხოლოდ ახლა იკადრა ნინევიაში წასვლა და ხალხს (განდგომილ ქალაქს) დაღუპვა უწინასწარმეტყველა. ქალაქმა ისევ ღმერთს დაუჩოქა და გადარჩა, ახლა იონა დარჩა ნაწყენი: სიცრუე რად მათქმევინეო! — უსაყვედურა იეღოვას.

იონადაბი — ამნონ დავითის ძის ბიძაშვილი და თანამზრახველი (თამარის შეცდენაში დაეხმარა: თავი მოიავადმყოფე და თამარი იმსახურეო).

იონათან 1. — საულის ძე, დავითის მეგობარი და ძმადნაფიცი, მამაცი მეომარი (1 მეფეთა, თ. 13 და 20);

2. მაკაბელი, ჭურეშ მატათის მეხუთე შვილი, 48-ე მღვდელმთავარი და მამაცი სარდალი, რომელმაც იუდეა იხსნა სირიელთა უღლისაგან (161-143 ძვ. წ.). 18 წელი განაგებდა იუდეას, ვერაგულად მოკლა ანტიოხის ხალხმა (1 მაკაბ., თ. 9 და 10).

იორამი — 1. იოსაფატის ძე, იუდეის მეხუთე მეფე (ვითომ 900—893 წლებს შორის ძვ. წ.), იეზაბელის და აქაბის ასულ გოთოლიას ქმარი, ოქოზიას ძმა და მემკვიდრე; დახოცა ძმები, გადაუდგა სარწმუნოებას და დაისაჯა განუკურნებელი სენით (4 მეფეთა, თ. 1—8). როგორც განდგომილი, მამათა სამარხში არ დაასაფლავეს .2. აქაბის ძე, ისრაელთა მეათე მეფე (ღვთისმეტყველთა ვარაუდით, 904—892 ძვ. წ.), იმეფა 12 წელი (4 მეფეთა, თ. 8, ნეშტთა, 2, 1),

დააქცია მამის კერპი, განაგრძო წარმართთა ღმერთების თაყვანისცემა, ისრაელ მოკლა იეუიმ.

ბიბლიაში ამ ორი მეფის გამგებლობის შესახებ ცნობები აღრეულია, მაგრამ ორივე „ბოროტს აკეთებს“.

ი ო ს ა ბ ე დ ი — იორამის და გოთოლიას ასული, მღვდელ იოდაის ცოლი, იხსნა გოთოლიას შვილიშვილი ბებიისაგან.

ი ო ს ა ფ ა ტ ი — ასიას ძე და მემკვიდრე იუდეის [illegible] (იუდეის) მეფე, უმწიკვლო, ღვთისმოსავი, ვერაგ აქაბის მოკავშირე ასურებთან ბრძოლაში, შინა თუ გარეთ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, მოსპო კერპთაყვანისმცემლობა, იმეფა 25 წელი (დაახ. 925–900), ტახტზე დარჩა შვილი იორამი.

ი ო ს ე ბ ი — იაკობის-ძე, პატრიარქი, არ მიუღია მამის დალოცვა. ბიბლიურ პატრიარქებს შორის იაკობის ეს მეთერთმეტე შვილი აბრაამის შემდეგ ყველაზე უფრო სახელგანთქმულია. პირმშვენიერი და ბრძენი ჰაბუკი 17 წლისა იყო, როცა ძმებმა ისმაიტელებს მიჰყიდეს, ეგვიპტის ფარაონთან მოხვდა, მისი ნდობა მოიპოვა და 80 წელი განაგებდა ეგვიპტეს, იცოცხლა 110 წელი (ვარაუდობენ, რომ სამყაროს შექმნიდან 3645—3755 წლებში ცხოვრობდა).

* ი ო ს ე ბ ი ს ს ი ზ მ ა რ ი — უცნაური წინასწარმეტყველური სიზმარი, რაც თანასწორთა შორის ერთის აღზევებას და დანარჩენთა მორჩილებას გულისხმობს (იოსებს ესიზმრა, ვითომ მისი ძნა ზეზე დარჩა, ძმებისა კი დაეცა. გაბოროტებულმა ძმებმა იოსები გაყიდეს, ის კი მაინც აღზევდა ეგვიპტეში).

ი ო ს ე ბ მ შ ვ ე ნ ი ე რ ი (უმწიკვლო, სამართლიანი) — სულით და ხორცით მშვენიერი, უცოდველი ჰაბუკის სინონიმი: პენტეფრეს ცოლმა რომ ვერ შეაცდინა და სიზმრის ახსნით ქვეყანა იხსნა, მამა და ძმებიც დაასახლა, ამისათვის იქცა იოსების სახელი საანდაზოდ.

ი ო ს ი ა (ებრ. „ღმერთია შემწე“, „ღმერთი გვამაგრებს“) — იუდეის მე-16 მეფე (640—609). ტახტზე 8 წლისა ავიდა, 31 წელი იმეფა. მისი მბრძანებლობა ნათელი პერიოდია ბიბლიის მუქ გვერდებზე. ნიმუშად დავითი გაიხადა. მის დროს მღვდელმა ჰელკიამ ტაძარში ვითომ მოსეს წიგნი იპოვა და წმინდა კანონები აღადგინა. დაანგრია წარმართული ტაძარი, სახელმწიფო წელში გასწორდა, ძველი დიდება უნდა აღედგინა, მით უფრო რომ ასირია დასუსტდა. ეგვიპტესთან მეგობრობაც განაახლა, მაგრამ ნექაო გამოჩნდა, ევფრატისკენ მოიწევდა, იოსიამ მისი შეჩერება სცადა, ბრძოლაში დაიღუპა, დავითის ტაძარში დამარხეს პატივით (4 მეფეთა, 21); 2. ნ. ოსია.

ი რ ა დ ი (ღაიდადი) — კაინის ძე.

ი რ ა ს (უკეთ — ჰირას) — ოდოლამიტელი მწყემსი.

ი რ ი (ირა) — იუდას უფროსი შვილი: „იყო ბოროტ წინაშე უფლისა და მოაკვდინა იგი“ (ნეშტთა, 1, 3).

* ი რ ო დ ე დ ი დ ი (ჰეროდეს, 37—4 ძვ. წ.) — ანტიპატრის შვილი, ასკალონელი, რომის მეუფების დროის პალესტინის ერთი ნაწილის მეფე, მარიამნის ქმარი, რომელსაც მიაწერეს ახალშობილთა გაჟლეტა იესო ქრისტეს დაბადების დღეს. დაიბ. 60 წ. სამი წელი ებრძოდა ანტიგონეს ტახტისათვის და მისი გარდაცვალების შემდეგ რომის სენატმა იუდეის მეფედ დანიშნა. მისი მეფობა ერთიან მკვლელობათა ჯაჭვია. დაახრჩო ცოლისძმა არისტობული, მოკლა ცოლი მარიამნა და სიდედრი, სიძე იოსები, სამი შვილი (ალექსანდრე, არისტობული და ანტიპატრი), გაჟლიტა 14 000 ყრმა, რომ მათ შორის ახალშობილი იესო ქრისტე მოჰყოლოდა. გადმოცემით, უკეთური იუდეველი მატლებმა შეჭამეს, 40 წლის

მეფობის შემდეგ. მეორედ ააშენა სამარია (ქ. სევასტი); —იქცა ურჯულოების, ტირა-
ნის სინონიმად.

ი ს ა ი ა — ნ. ესაია.

ი ს ა კ (ისააკ) — აბრაამის ძე, ცნობილი პატრიარქი, იაკობის მამა. (დაახ. 2080 ძვ. წ.). ყმაწვილკაცობაში ძლივს გადარჩა მამისაგან მსხვერპლად შეწირვას. შეირთო სარა. ეყოლა ტყუპი —ესავი და იაკობი. გარდაიცვალა [illegible] (შეად. თ. 19, 20, 21).

ი ს ა ჭ ა რ ი („სასყიდელი") — იაკობის მეხუთე შვილი. ლიამ, რომელიც ქმარს არ უყვარდა, უნაყოფო დისაგან „იყიდა" ქმართან ერთი ღამით დაწოლის უფლება ნაყოფიერების ფესვისათვის (შვილმა მოუტანა მანდრაგორი), მუცლად იღო და შვა ისაჭარი.

ი ს მ ა ი ლ ი (ისმაელი) — აბრაამის შვილი აგარასაგან (2094 წ. ძვ. წ.). ისაკთან უთანხმოების გამო დედამ უდაბნოში წაიყვანა, რჩეული მოისრე გახდა, შეირთო ეგვიპტელი ქალი და არაბთა (ისმაიტელთა) მამამთავრად ითვლება. მაჰმადიანები მას უდიდეს პატრიარქად თვლიან. მაჰმადი თვითონ ამაყობდა თავისი ამ წინაპრით.

ი ს ო —ნ. იესო.

ი ს რ ა ე ლ ი (ისრაილი) — იაკობის ზედწოდება, ღმერთმა რომ მისცა.

ი ს უ —ნ. იესო.

ი უ ა — იუდეი, მეფე (ნ.).

ი უ დ ა — 1. იაკობის მეოთხე ძე (ლიასაგან), ღმერთმა ყველა ისრაელზე ბატონობა უწინასწარმეტყველა, აღთქმულ ქვეყანაში მიეცათ ის მიწა, სადაც ტაძარი იდგა. მერე ამ გვარიდან გამოვიდა მესია — ქრისტე. 2. ქურუმ მატათის მამაცი შვილი, მაკაბელი, სირიის ბატონობის წინააღმდეგ ამხედრებულ ებრაელთა მეთაური, მერე ქურუმი, დაამარცხა ანტიოხ ეპიფანის სარდლები — აპოლონიუსი, პტოლემეოსი, ნიკანორი, გორგი, ბაკქიდი. დაიღუპა ამ ბაკქიდთან მორიგ ბრძოლაში (ძმებმა უშუხთლეს). კავშირს კრავს რომაელებთან, რაც უაზრობაა. ჰენდელმა ორატორიუმი უძღვნა.

ი უ დ ე ა (პალესტინა) — როგორც ისრაელთან შეკავშირებული მთლიანი სამეფო, დავითის დროს დიდებამოსილი იყო (დაახ. 1000 წ. ძვ წ.), სოლომონის მეფობის დასასრულს ღმერთმა „ცოდვებისათვის განხეთქნა" მისი საბრძანებელი: ჩრდილოეთით ისრაელის სამეფო შეიქმნა, სამხრეთით — იუდეის. პირველის დედაქალაქი იყო სამარია, მეორის — იერუსალიმი (ნ. რობოამი და იერობოამი). ისრაელის სამეფო არსებობდა 962—718 წლებში ძვ. წ., იუდეისა — 902 წლიდან 586 წლამდე, როცა ნაბუქოდონოსორმა სძლია და ხალხი ბაბილონის ტყეობაში გარეკა (ისრაელი კი 722 წელს დაიმორჩილა ასირიამ). 538 წელს იუდეველთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ხან სპარსელთა უღელქვეშ იყო, ხან ეგვიპტელთა (223-140 ძვ. წ.). მაკაბელთა მეფობაში ერთ დროს თავისუფლება დაიბრუნა (167), ჰასმონეველთა დინასტიის ბატონობის (140 წ.) შემდეგ რომაელთა პროვინციად იქცა (63 წლიდან), მხოლოდ იროდეს დროს აღდგა დროებითი დამოუკიდებლობა. ამბოხება, რაც 66-67 წ. მოხდა ახ. წ., დამთავრდა იმით, რომ იმპერატორმა ტიტემ იერუსალიმი დაანგრია. იუდეა გახდა არა ღვთის რისხვის, არამედ სირიის და ეგვიპტის შეტაკებათა მსხვერპლი. „მას დაღუპვა ეწერა მაშინ, როცა უკვე მოასწრო მიეღწია სულიერი განვითარების მაღალი საფეხურისათვის და ამ გაუთავებელი ომებიდან კაცობრიობამ გამოიტანა ფასდაუდებელი საგანძური — ბიბლია" (ოსკარ იეგერი, მსოფლიო ისტორია, ს. — პეტ., 1894, ტ. 1, 51).

იუეი — ნ. იეუეი.

იულიანე განდგომილი — ცნობილი იმპერატორი, ფილოსოფოსი, წმინდა წიგნების კრიტიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაინანი — ორი ბიბლიური პატრიარქი. ერთი წარღვნამდე ცხოვრობდა (4883-3973 — მითიური ანგარიშით), ენოსის შვილი, იცოცხლა 910 წელიწადს (შექმნ., 5, 9—14), მეორე ცხოვრობდა წარღვნის შემდეგ, ნოეს შვილიშვილი იყო, არფაქსადის ძე, იცოცხლა 460 წელი (შექმ., 10, 24).

• კაინი, კაენი (ებრ. „შეძენა", შენაძენი) — ადამის და ევას პირველი შვილი, ე. ი. მესამე ადამიანი დედამიწაზე, მიწათმოქმედი, შურითა და ღვარძლით მოკლა სათნო ძმა აბელი. აქედან გახდა ძმისმკვლელი კაინის სახელი უკეთურობის, ყოველგვარი მუხანათობისა და დანაშაულის სიმბოლო.

კაინის დაღი — ბოროტების, ავკაცობის ნიშანი.

კამბიზი — დარიოს პირველის შვილი, სპარსეთის იმპერიას შეუერთა ეგვიპტე.

• კერპი გამოქანდაკებული — ბიბლიური ტერმინი, რაც ნიშნავს ყველა წარმართული სარწმუნოების კერპს, უმთავრესად ოქროს ხბოს, ასტარტას და სხვ. მათი თაყვანისცემა სასტიკად იკრძალებოდა. საქართველოშიც იყო ასეთი წარმართული კერპები. ასე, პირველმა ქართველმა მეფემ, ფარნაოზ მწიგნობარმა, ქართული ანბანის გამომგონებელმა, იგივე არმაზმა, რომელმაც 65 წელი იმეფა („დასაბამიდან 3675 წელს"), აღმართა არმაზის კერპი, რაც ქრისტიანებმა დალეწეს (ეს აღიარებულია ძველ წყაროებში და ფიქსირებული ცნობარებში, იხ. მაგალითად ტოლის და ვოლენსის ენციკლოპედია, სანკტ-პეტერბურგი, 1864, ტ. III, გვ. 804 და სხვ.); ნ. მანასე, აქაბი... ყალბი რამ, ცრუ კერპი, რასაც უგნურნი და უმეცარნი ეთაყვანებიან.

კიდობანი სჯულისა — ნ. აღთქმის კიდობანი; ნოეს კიდობანი — ნ. ნოე.

კიროსი (ქვიროსი) — სპარსთა მეფე, აიღო ბაბილონი, საკუთარ კერპს ამსხვრევს დანიელის ზეგავლენით, დანიელს ლომების ხაროში აგდებს.

კისი — საულის მამა.

კორე — მოსეს წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხების მეთაური.

ლ

ლაბანი — რებეკას ძმა, იაკობის ბიძა, ცბიერი ქარანელი მესაქონლე (სწორია ლავანი), ნაქორის შვილიშვილი, ბათოილის-ძე (3631—3651 დასაბამიდან). მის ამბავში აისახა სირიელთა (არამეელთა) და ებრაელთა ურთიერთობა. როცა ისააკის და რებეკას შვილმა იაკობმა ძმას ესავს პირველშობილის უფლება წაართვა, შიშით გადაიხვეწა და თავი ლავანს შეაფარა, 14 წელი ემსახურა და შეირთო ჯერ ლია, მერე რაქილი. მერე ჩხუბი მოუვიდათ. იაკობი ჯალაბობითა და ჯოგებით გაიქცა, ლავანი დაედევნა, დაეწია, თავისი ასულისაგან მოპარულ კერპებს ვერ მიაგნო და მოხდა შერიგება იმ ადგილას, რასაც ეწოდა გალედი (გალ-ედ „კლდე-მოწამე").

ლამეკი (ლამეხი) — მათუსალას ძე, ნოეს მამა.

ლევიტელთა (ძვ. — ებრ. ლევი — გველი, გველეშაპი) — მოსეს მესამე წიგნი, შედგება 27 თავისაგან. „ლევიტელნი" — ასე ეწოდა პარტიარქ

ლევის ტომს, „ნათესავს“, საიდანაც გამოდიოდნენ ტაძრის მცველები და ფაქტიურად ქვეყნის გამგებლები. პატრიარქი ლევი (3640—3777 სამყაროს შექმნიდან) იაკობის და ლიას მესამე შვილი, 137 წლისა გარდაიცვალა. მისი სახელი ეწოდა მოსეს ამ ერთ-ერთ წიგნს.

• ლ ე ვ ი ა თ ა ნ ი — ზღვის ურჩხული — ნიანგი თუ გველეშაპი; საშინელი რამ ურჩხი და უშველებელი არსება, სიტლანჭისა და საზარლობის სიმბოლო.

• ლ ე ღ ვ ი ს ქ ვ ე შ ე — თავის საბლში, მყუდრო ჰერქში. ძველ ებრაელებში ლეღვის ქვეშ ხშირად იხსენიება, როგორც მყუდრო ადგილი (I მეფეთა, 4, 25; იოანე, 1, 51).

ლ ი ა — ლავანის (ლაბანის) უფროსი ასული, შეუხედავი და თვალნაკლული, მოტყუებით შეაჩეჩა იაკობს ლამაზი რაქილის ნაცვლად. ქმარს ექვსი შვილი აჩუქა: რუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი და ზაბულონი. დაკრძალულია აბრაამის საგვარეულო სამარხში.

• ლ ო დ ი შ ე ბ რ კ ო ლ ე ბ ი ს — რაიმე გადაულახავი შეფერხება (ესაია, 8, 14, ავრეთვე პავლეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ: „რამეთუ შეჰბრკოლდეს ლოდსა მას შებრკოლებისასა“, „დავჰსდებ სიონს შინა ლოდსა შებრკოლებისასა“, 9, 32—33).

ლ ო თ ი, ლ ო ტ ი — თარრას შვილიშვილი, არრანის შვილი, აბრაამის ძმისწული (დაახ. 2100 ძვ. წ.), ერთადერთი სოდომელი მამაკაცი, რომელიც თავისი ოჯახით გოგირდის წვიმას გადარჩა (ადრე აბრაამმა ტყეობიდანაც დაიხსნა). ცოლი მარილის სვეტად იქცა, თავად მთებში წავიდა, სადაც საკუთარი ასულებისაგან ეყოლა მოაბი და ამონი — მოაბიტელთა და ამონიტების მამამთავრები; ამით ლოთმა ერთხელ კიდევ გააცამტვერა მოსეს კოდექსის მცნება „არა იმრუშო“, რასაც არც დავითი და სოლომონი იცავდნენ. ასეთია ბიბლიის „ობიექტურობა“, საბუთი იმისა, რომ გაბატონებული ადამიანები ერთს ამბობენ და სხვას აკეთებენ.

• ლ ო თ ი ს (ლ ო ტ ი ს) ც ო ლ ი — ქალური ცნობისმოყვარეობის ნიმუში: როცა ლოტი ალმოდებულ სოდომსა და გომორს ტოვებდა, ღმერთის გაფრთხილების მიუხედავად ქალმა უკან მიიხედა და მარილის სვეტად იქცა, რაც თითქოს ღღემდე დგას და ქალური წესიც კი შემოუნახავსო.

• ლ უ კ უ ლ ი — რომის სახელოვანი კონსული, სარდალი, რომელმაც უფრო სიმდიდრით განითქვა სახელი (ლუკულის სადილები, სიუხვე, სიმდიდრე). ილაშქრა აღმოსავლეთში.

ლ უ ც ი ფ ე რ ი — ნ. ეშმაკი, სატანა, ასმოდეოსი.

მ

მ ა ა ლ ო ნ ი — რუთის პირველი ქმარი.

მ ა ა ხ ა — დავითის მეოთხე ცოლი, აბესალომის დედა; აბესალომის ასული, მეფე აბიას დედა.

მ ა დ ა მ ი და მ ა დ ი ა მ ი (ებრ. „ბრძოლა“; „სამსჭვალო“) —აბრაამის ძენი, გაუჩნდა 140 წელს გადაცილებულს ხეტტურასაგან. მადიამი გახდა მადიამიტელთა (მადიანიტელთა) მამამთავარი. არაბული მოდგმის ამ ხალხს ებრაელები 7 წელიწადს ჰყავდა მორჩილებაში (1356-49), მერე მათი ხსენება ქრება: მადიამი სამი ბიბლიური მხარის სახელიცაა.

• მ ა თ უ ს ა ლ ა — ენუქის შვილი, ლამექის მამა, ნოეს პაპა, არაჩვეულებრივ დღეგრძელი ბიბლიური პატრიარქი, რომელმაც ცხრაას სამოცდაცხრა წელიწადი იცოცხლა (ქვეყნიერების შექმნიდან 1287-2256 წლებს შორის) და 187 წლისას ეყოლა ლამექი. მათუსალას დღეგრძელობა საანდაზოდ დარჩა.

მ ა კ ა ბ ე ლ ნ ი (ჰასმონეველნი) — ხუთი ლევიტელი ძმა — იუდა, სიმონი, იონათანი, ელიაზარი და იოანე (ნ.). პირველად მხოლოდ იუდას ეწოდება იყო, მერე მამამისის მატათეს მთელს მოდგმაზე გავრცელდა. სიტყვა მაკაბელი ებრაულ ენაზე ნიშნავს: „ვინ არს მსგავს შენდა, უფალო?“ (ეს პირველი სიტყვა ბერძნულსა და ლათინურში გადავიდა). გმირულად ებრძოდნენ სირიელ დამპყრობელებს, სელევკიდებს, ანტიოქებს (II ს. ძვ. წ.) და ხშირად იმარჯვებდნენ, მაგრამ თვითონვე ბარბაროსულ ღონისძიებებს ატარებდნენ. მათი საქმეები გადმოცემულია მაკაბელთა ორ აპოკრიფულ, პრაქტიკულად ერთმანეთის (ორი სხვაც არასწორად იწოდება მაკაბელთა წიგნებად).

მ ა ლ ა ქ ი ა — ზაბულონის შთამომავალი, უკანასკნელი „უფლისაგან ზეგარდმო შთაგონებული წინასწარმეტყველი“, მოღვაწეობდა ქრისტემდე 400 წლის წინ და წინასწარმეტყველებდა იოანე მახარობლისა და თვით მაცხოვრის გამოცხადებას.

მ ა ნ ა ს ე — იგდითის ქმარი, მკაში მზემ დაჰკრა და გარდაიცვალა.

მ ა ნ ა ს ი ა — 1. იოსების და ასენეფუს უფროსი შვილი, იაკობის შვილიშვილი, მამის გარდაცვალების წინ მისი დალოცვა და პირმშოობა უმცროს ძმას ეფრემს დაუთმო. მანასეველთა ტომი ეგვიპტიდან გამოსვლისათვის 32 200 კაცს ითვლიდა, ისიც 20 წლის ზევით. პალესტინაში ორად გაიყო —იორდანეს აღ. და დას. მხარეს დასახლდნენ (შეკმ., 41, 51 თ; რიცხვთა, 2,20); 2. იუდეის მე-15 მეფე. სათნო ეზეკიას უკეთური შვილი (697-644). დედის სახელია ოფობია. ტახტზე 12 წლის ყმაწვილი ავიდა, „ნეშტთა“ ცნობით კი „ოცისა წლისა იყო მანასე, ოდეს იწყო მეფობაი და ორმეოც და ათხუთმეტ წელსა მეფობდა იერუსალიმს შინა“ (2, 33, 1). თაყვანსა სცემდა ბაალს და „ყოველსა მხედრობასა ცისასა“, დაანგრია მამისეული სალოცავები და დევნიდა იეღოვას მსახურთ, არბევდა მის წინასწარმეტყველთ, აქეზებდა მისნებს, მოგვებს, მჩხიბავთ, მიცვალებულთა სულების გამომწვევთ. ამით „ეანარისხა ღმერთი“, ბომონნი და ასტარტას ქანდაკნი დადგა იეღოვას ტაძარში. მორწმუნე მეფის უღირსმა მემკვიდრემ ასურთა მეფის წინაშე მლიქვნელობით დაიბრუნა ძალაუფლება და კიდეც იმუქრებოდა: „აღვხოცო იერუსალიმი, ვითარცა აღიხოცოს ალაბასტრი განმრეცხელთაგან... და კვალად სისხლი უბრალო დასთხია მანასე ფრიად, ვიდრემდის აღივსო იერუსალიმი პირის პირამდე“. მისი მთავარი დანაშაული მაინც იყო წინასწარმეტყველთა დევნა: შუაზე გადახერხა ესაია, რომელმაც მამამისი ეზეკია განკურნა: ვნახოთ, თუ მართლა სწყალობსო იეღოვა! (4 მეფეთა, 21, 1-18; ნეშტთა. 33, 1—20).

მ ა ნ ი ა ი ო ა დ ი ს-ძ ე — სოლომონის სარდალი, მოკლულ იოაბის შემცვლელი.

მ ა ნ ო ე — სამსონის დედა.

მ ა რ დ ო ხ ე ი (ბაბილონელთა ღმერთ მარდუკის სახელიდან) — იაირის ძე, ბუნიამინელი, საზრიანი და მტკიცედ მორწმუნე ტყვე, რომელმაც ბაბილონში გაზარდა ბიძაშვილი ესთერი, შეთქმულთაგან იხსნა არტაქსერქსე და ამავე მეფემ პირველ ვეზირად დანიშნა, ამანის ნაცვლად, რომელიც მარდოხესათვის აღმართულ სახრჩობელაზე ჩამოჰკიდა (ესთერის წიგნი).

მ ა რ ი ა მ ნ ა (მარიანა) — ჰირკან II ასული, იროდე მეფის ცოლი. იოსებთან კავშირი დაბრალდა და დესპოტმა მეფემ ორივე სიკვდილით დასაჯა, ქალის დედასთან ერთად.

მ ა რ ო დ ა ხ — ნ. ბეროდახი.

მ ა ს ე კ ი — დამასკოელი კაცი, აბრაამის ნათესავი. „ამან სახლის წულ-

მან დამიმკვიდროს მეო“, — სთხოვა ღმერთს უშვილო აბრაამმა, მაგრამ საბაოთმა მასაც აჩუქა შვილები სიბერეში (ჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს!).

მ ა ტ ა თ ი — ლევიტელი ქურუმი, მოკლა ებრაელი, რომელმაც სარის ღმერთებს მსხვერპლი შესწირა, დასაბამი მისცა მეფეების ლევიტელთა შტოს.

მ ა ჰ ი ა ე ლ ი (მალელეილი) — კაენის ძის ენოქის შვილი.

მ ე ლ ქ ა — ნაქორის ცოლი და ძმისწული.

• მ ე ლ ქ ო ლ ა (მელხოლა) — საულის ასული, დავითს პირველ საულმა დავითს მისი ხელისთვის ორასი ფილისტიმელის ჩუჩა მოსთხოვა და მიიღო კიდეც, შემდეგ კი თავისი ასული ვინმე ფალთიას მიათხოვა. დავითმა დაიბრუნა, მაგრამ მეფის კიცხვისათვის, რას ცეკვავდი ტიტველი მეფე ვიწმე უბირსავითო, უშვილობით დაისაჯა. თავისი ეს უსაყვარლესი ცოლი დავითმა თავხედობისათვის სამუდამოდ შეიძულა. ბიბლიამ მელქოლას სახით გამოიყვანა ტიპი ქალისა, რომელმაც არ იცის ზეშთაგონებული ქმრის რიდი და კრძალვა, რისთვისაც მკაცრად ისჯება.

მ ე მ ფ ი ო ს თ ე (ლათ. გერ. მეფიბოსთე)— საულის შვილიშვილი, იონათანის ძე, შეიწყნარა დავითმა.

მ ე რ ო ბ (მეროვა) — საულის უფროსი ასული, დავითს რომ დაუთქვა, ადრიელს კი მისცა.

მ ე რ ო დ ა ხ-ბ ა ლ ა დ ა ნ ი — ნ. ბეროდახ-ბალადანი.

მ ე რ ო დ ა ხ ი — ბაბილონელთა მთავარი ღმერთის მარდუკის გაურკვეველი სახელწოდება (ებრაული დაწერილობით): ცისა და ქვეყნის მეუფე, შუქისა და სიკეთის ღვთაება, შეავიწროვა თვით ბაალის კულტი (ესაია, 46, 1).

მ ე ს ა — მოაბიტელთა მეფე, ისრაელის მოხარკე.

მ ე ფ ე თ ა წ ი გ ნ ე ბ ი — ძველი აღთქმის ოთხი „ისტორიული“ წიგნი. ძველ ებრაულ დედანში პირველ ორს ერქვა „შეფერ შამუელ“ — სამუელის წიგნები, ან უბრალოდ „შემუელ“, რადგან არსებითად ესაა წინასწარმეტყველ სამუელის ამბავი, რომელმაც „სცხო“ ორი მთავარი მეფე — დავითი და სოლომონი. დანარჩენ ორს უბრალოდ ერქვა „მელაქიმ“ — მეფეთა. 2 სამუელის და 2 მეფეთა წიგნის შეერთება „მეფეთა წიგნებად“ 70 ალექსანდრიელი ბერძნის ღვაწლია, თუმცა ზოგან ძველი ტრადიცია რჩება (მაგ., ლუთერის ბიბლიაში). ამ ოთხ წიგნს სეპტუაგინტაში ეწოდება „ბაბილეიონ“ — მეფეთა წიგნები. პირველ ორში უფლის წინასწარმეტყველის ამბავია, ორ დანარჩენში — ისრაელ და იუდეველ მეფეთა. I წიგნი — სამუელის დაბადებიდან მეფე საულის გარდაცვალებამდეა (სულ 110 წელი); II — დავითის მეფობა (40 წელი); III — სოლომონიდან იოსაფატამდე (120 წელი); IV — აქაბის გარდაცვალებიდან ბაბილონის ტყვეობამდე, რითაც დასრულდა მეფობა და ებრაელები ისევ შონობაში აღმოჩნდნენ (340 წლამდე). მთელი ამ წიგნების შინაარსი წინასწარმეტყველ საულისა და მეფე დავითის გარშემო ტრიალებს და ასახავს ებრაელთა ამაღლებასა და დაცემას. ისევე, როგორც ტროადის ომი აქილევსის რისხვას ეძღვნა, ებრაელთა სამეფოს დამხობის მიზეზად გამოცხადებულია მათი განდგომა, კერპთა თაყვანისცემა და ღვთის რისხვა. ეს პროცესი მეფეთა წიგნებში გეგმაზომიერადაა გადმოცემული და დასაბუთებული.

• მ ზ ი ს შ ე ჩ ე რ ე ბ ა (იესო ნავინის თხოვნით, რომ დევნილი მტრის გაქცეტა დაესრულებინა) — ბიბლიური სასწაული, რამაც მრავალი დავა გამოიწვია მეცნიერებსა და ღვთისმეტყველებს შორის; („დადეგიე, მზეო, სწორ გაბაონსა ზედა!“ — ნავინი, 10, 12); შეუძლებელი რამ, სიცრუე, რასაც სინამდვილედ გვისაღებენ და რაც არღვევს სამყაროს ჰარმონიას.

მ ი ს ა ე ლ ი (მისაქი) — ბაბილონის ტყვეობაში აღზრდილი მეოთხე „წმინდა ყრმა“ ჰაბუკი. ნაბუქოდონოსორის ბრძანებით ანანიასთან და აზარიასთან ერთად გაეარეარებულ ღუმელში ჩააგდეს, და მხოლოდ მათ ყრმელნი დაიწვნენ.

მ ი ქ ა ე ლ (მიხაელ, ებრ. „უფლის საზე“) — ერთ-ერთი მთავარანგელოზი.

მ ი ქ ი ა (ლათ. გერ. მიხა, რუს. მიხეი) — ნაბალის ძე, მორასთელი, ღმერთების სამსჯავროს დაესწრო, საიდუმლო ადამიანებს გაანდო, მეფე იოსაფატი რომ თავის სიმამრს — ისრაელთა მეფე აქაბს ესტუმრა, ამ უკანასკნელმა მსახურებს უთხრა: იცით თუ არა, რომ გალაადის რამოთი ჩვენია? რატომ ვზივართ წყნარად და არ წავართმევთ სირიელებსო? იოსაფატმა ურჩია, ღმერთსა ჰკითხეო. ოთხასმა წინასწარმეტყველმა ლაშქრობა ურჩია, ბოლოს მიქიამაც იგივე უთხრა. აქაბს გაუკვირდა, როდის მირჩევდი კარგსო? მაშინ მიქიამ გაამხილა: ღმერთს შენი მოტყუება ენება, რომ შეება და დაიღუპო, ანგელოზმა ურჩია და წინასწარმეტყველებმაც ტყუილი გითხრესო. ერთმა წინასწარმეტყველმა მიქიას სილა გააწნა, აქაბმა შეიპყრო, თვითონ გალადელებს შეება და დაიღუპა კიდეც (3 მეფეთა, 22, 19-23).

მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა ნ ი — აბენირის, აბესალომ დავითის-ძისა, მეფე აგოგის, იონათანის, იორამის, უფლისწულ ადონიასი, მეფისწულ ამნონის, ასაილის, გოლიათის (ბრძოლაში), გოთოლიასი, იებოსთეის, დედოფალ იეზაბელის, მეფე იაბინის, საულის შვილი მემკვიდრისა, იოასის, ოლოფერნის, სემეის, ურიის... (ნ.).

მ ო ა ბ ი — ლოთის ძე საკუთარი ასულისაგან, მოაბელთა მამამთავარი.

* მ ო ი ქ ე ც ბ ო რ ო ტ ი ს ა გ ა ნ და ჰ ქ მ ე ნ კ ე თ ი ლ ი — დავითის თქმა (ფსალმ., 36, 27).

* მ ო ლ ო ქ ი (მოლოხი) — ფინიკიელთა და კართაგენელთა ღმერთი, მოითხოვდა ადამიანის მსხვერპლს, იქცა მსხვერპლისა და საშინელი სიხარბის სინონიმად, უმოწყალო ძალადობის სიმბოლოდ (მოლოქს სწირავენ მსხვერპლად).

მ ო ლ ხ ო ზ — ამონიტელთა მეფე.

მ ო ს ე („წყლიდან ამოყვანილი“) — ბრძენი და უფლებამოსილი წინამძღოლი, რომელმაც ებრაელები ეგვიპტის მონობიდან გამოიყვანა და აღთქმული ქვეყნის კარიბჭემდე მიიყვანა (თვითონ არ ეწერა იქ შესვლა). ფარაონის ბრძანების გამო, რომ ყრმა ებრაელები გაეჟლიტათ, მოსე კალათაში ჩასვეს, ნილოსში შეაცურეს და ასე გადარჩა (ფარაონის ასულმა იხსნა). მოსეს მიეწერება ხუთი წიგნი — ბიბლიის მთავარი ნაწილი, დასაწყისი. შეუდარებელი ძეგლი აუგო მიქელანჯელომ (პაპ იულიუს მეორის სამარხისათვის).

* მ ო ს ე ს კ ე რ თ ხ ი — კლდეს რომ დაჰკრა უდაბნოში და წყალი გადმოსკდა: ზებუნებრივი ძალით და ჯადოსნური თვისებით შექმული რამ.

* მ ო ს ე ს რ ქ ე ბ ი — სიდიადის და ძლიერების სიმბოლო (სხივთა ჩაღია).

მ ს ა ჯ უ ლ თ ა წ ი გ ნ ი (ებრ. შოფეტიმ) — ბიბლიური კანონიკური, ისტორიული ხასიათის წიგნი. სამუელს მიეწერება და მოიცავს პერიოდს იესო ნავინის გარდაცვალებიდან სამსონის გარდაცვალებამდე, ე. ი. დაახ. 400 წლის ამბავს (1550-1150). ისრაელთა მსაჯულნი იყვნენ თეოკრატიული ბელადები, რომლებიც პალესტინას განაგებდნენ ამ ქვეყნის აღებიდან მეფეთა ძალაუფლების დამყარებამდე (ნ. მეფეთა წიგნები). მისი პრინციპი იგივე იყო, რაც შემდეგ პაპობისა: უზენაესი მეუფეა ღმერთი საბაოთი. მას ემორჩილება ყველა. ხალხი, რომელმაც ძლივს დააღწია თავი ეგვიპტის ტყვეობასა და მონობას, უხალისოდ რგავდა თავს ახალი მონობის უღელში, რაც დაუსრულებელ ომს და ნაჯჯელს იწვევდა. აი მსაჯულთა სრული სია: გოთონიელი, აოდი, სამეგრი, დებო-

რა (წინასწარმეტყველი ქალი), გედეონი, ფოლა (თოლა), იაირი, იეფთაე, ესებონი, ელონი, აბდონი, სამსონი, ელია, სამუელი (ნ. სათითაოდ).

• მშვიდობის მტრედი — ზეთისხილი და მტრედი უძველესი დროიდან ითვლებიან მშვიდობის სიმბოლოდ (ვენერას მტრედი ბუდობდა მარსის გადაბრუნებულ მუზარადში). ბიბლიურმა მტრედმა ზეთისხილის რტო მუხტანა კიდობანში ნოეს. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ეს სიმბოლო გამსკუთრებით პოპულარული გახადა („პიკასოს მტრედი").

ნ

ნაასი — ამონიტელთა მეფე, ებრაელთა მოუსვენარი მტერი.

ნაბათი (ნავათი) — იერობოალის ძე, გამეფდა მამის ტახტზე, გადაუდგა საბაოთს (960 ძვ. წ.). ერთი წლის შემდეგ მოკლა ვაასმა (ისრაელთა მე-2 მეფე).

ნაბალი (არა ნავალი) — ებრაულად ეს სიტყვა „შტერს" ნიშნავს. ნაბალი მართლაც ერთი რეგვენი მეუდაბნოე მეცხვარე იყო, „კაცი ფიცხელი" და ძუნწი, დავითს არ გაუმასპინძლდა, მერე კი მისი შიშით გული გაუსკდა, ხოლო მისი ჰკვიანი ცოლი აბიგეა დავითმა შეირთო (1 მეფეთა, 25, 2—42).

• ნაბოთე ისრაიტელი — მეფე აქაბის ჯიუტი მეზობელი, ვენახი რომ არ მიჰყიდა ხელმწიფეს, დარდით ლოგინად ჩააგდო და დედოფალ იეზაბელის ბრძანებით ჩაქოლეს. ნაბოთეს ვენახი — სიმდიდრე, რაც პატრონს სიცოცხლის ფასად უჯდება.

ნაბონარი — ბაბილონის მეფის ნაცვალი ასირიაში, დამოუკიდებლობას ესწრაფვოდა და დასაბამი მისცა ნაბონიდების ერას (747 წლიდან ძვ. წ.). მისი მემკვიდრე იყო ბეროდახ-ბალადანი.

ნაბონიდი (ნაბუ ნაჰიდ — „მაღალი ნაბუ") — ბაბილონის მეფე ქალდეველთა დინასტიისა (556-539 ძვ. წ.). სპარსეთის გამუდმებული თავდასხმების მიუხედავად სულ აშენებდა, ბაბილონში კი შვილი ჰყავდა დატოვებული — ბალთაზარი, რომელიც ნადიმებს გადაჰყვა. მარდუკის თაყვანისცემა შეწყდა, ხალხი დრტვინავდა. ამით ისარგებლა კიროსმა, ბაბილონი აიღო. ნაბონიდი ტყვეობაში გარდაიცვალა. ეს მოხდა ბაბილონის ტყვეობის ხანაში.

ნაბოპალასარი (ნაბუ-აპსუ-უსურ! „ნაბუ, დაიცავი შვილი!") — ბაბილონის მეფე (625-605), ასირიის მეფის სარდალი. ბაბილონის ამბოხების ჩასაქრობად გაგზავნილმა თავი მეფედ გამოაცხადა და დასაბამი მისცა ქალდეველთა დინასტიას. ილაშქრა აღთქმული ქვეყნის მხარეებში (ქარანსა და მესოპოტამიაში), დააარსა „ახალბაბილონური სამეფო". ავად რომ გახდა, მისმა შვილმა ნაბუქოდონოსორმა სირიის დამპყრობელი ფარაონი ნექაო დაამარცხა.

ნაბუქოდონოსორი (გერ. ნაბუკადნეცარ, საკ. ნაბუ-კუდურ-უსურ- „ნაბუ, დაიცავი გვირგვინი!") — ახალბაბილონურ სამეფოს სასტიკი და ძლევამოსილი მეფე, ნაბოპალასარის ძე და მემკვიდრე (605-568). 37 წელი განაგებდა აყვავებულ, მეომარ ქვეყანას, სძლია ეგვიპტეს, დაანგრია იერუსალიმი და ტყვეობაში წაასხა ებრაელები (588), მიწასთან გაასწორა იაღვეს ტაძარი. ღვთის რისხვად წოდებული მეფე ბიბლიის მიხედვით ნადირად იქცა და შვიდი წელი ლომის სახით დადიოდა. ცხადია, ამ ბიბლიურ ლომს ისტორიასთან საერთო არაფერი აქვს.

ნადაბი — აარონის შვილი, იუდეველთა მღვდელი, ღვთიური ცეცხლით დაიწვა თავის უფროს ძმასთან — აბიუდთან ერთად: მსხვერპლის შეწირვის დროს „მოიღეს ცეცხლი უცხო... რომელი არა უბრძანა მათ უფალმან". ამისათვის „გამოჰხდა ცეცხლი უფლისა მიერ და შეწვნა იგინი" (ლევიტ., 10, 2).

ნავე, ნავინი — ნ. იესო ნავინი.

* ნათან ბრძენი — წინასწარმეტყველი, დავითის ერთგული მეგობარი და მრჩეველი. დავითის მეფობის ბოლო წლებში ნათან ბრძენმა ხელი შეუწყო სოლომონის ტახტზე ასვლას. ამის შესახებ იხ. სტატია „ნათან ბრძენი".

ნათესავი — ასე ეწოდება ბიბლიაში სისხლით ნათესაობით შეკრულ ტომს, მოდგმას. ებრაელი ხალხი შედგებოდა 12 ნათესავისაგან, რომელთაც მამამთავართა — იაკობის 12 შვილის სახელი ეწოდათ, ლიას და რაქილის და მათი მხევლებისაგან რომ ჰყავდა: რუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი, ზაბულონი, დანი, ნეფთალიმი, გადი (გაადი), ასირი, იოსები და ბენიამინი. დაბადებაში ნათესავის ნაცვლად ზოგჯერ ტომი წერია. ასე, დანს იაკობი ამგვარად ლოცავს. „შჯიდეს ერსა თვისსა, ვითარცა ერთსა ტომსა ისრაილსა შორის" (შექმ., 49, 16).

ნაქორი — 1. უფროსი (2329 ძვ. წ.), პატრიარქი, თარას მამა, აბრაამის პაპა, იცოცხლა 148 წელი; 2. უმცროსი — აბრაამის ძმა, ჰყავდა 8 შვილი, მათ შორის ბათუილი — რებეკას (ისააკის ცოლის) მამა.

ნეამანი (ნემანი, ნოემანი) — ასურთა მთავარსარდალი, კეთროვანი, განკურნა ელისემ იორდანეს წყალში განბანვით და მადლიერი გაუშვა.

ნებროთი — ნ. ნიმვროდი.

ნეემია — ბიბლიური წინასწარმეტყველი (493 ძვ. წ.), ბაბილონის ტყვეობაში თავი გამოიჩინა და არტაქსერქსემ ღვინის მწდედ დააყენა, მერე იერუსალიმის აღდგენის ნება მისცა. უზრუნველჰყო ებრაელთა შედარებით კეთილდღეობა, მასვე მიეწერება ერთი კანონიკური წიგნი — „ნეემია".

ნემანი — ნ. ნეემანი.

ნეფთალემი — რაქილის და იაკობის შვილი (მხევალმა ბალამ შვა რაქილის მუხლებზე). გარდაიცვალა ეგვიპტეში 132 წლისა, დარჩა 4 შვილი (შექმ., 30, 8).

ნექო, ნექაო — ცნობილი ფარაონი (617-601 ძვ. წ.) — პირველმა ბრძანა ნილოსის შეერთება წითელ ზღვასთან, აფრიკის შემოვლა. წარმატებით ებრძოდა იუდეველებსა და ბაბილონს, მაგრამ სასტიკად დაამარცხა ნაბუქოდონოსორმა.

ნეშტთა, პარალიპომენონი („დამატება") — ბიბლიის ორი კანონიკური წიგნი, რაც ასახავს ებრაელთა გვარ-ტომობისა და მეფეთა გმირობის ამბავს მთელი 4920 წლის განმავლობაში. პირველ წიგნში მოცემულია ქრონიკები ადამიდან დავითამდე, მეორეში — სოლომონიდან იერუსალიმის დაჭცევამდე. ორსავე წიგნში ვხედებით მრავალ ვარიანტს და გადახვევას ან დამატებით ცნობებს ხალხსა და მეფეებზე, მეტადრე ნეშტთა, ცხედართა, სამარხთა ამბავს. ორივე წიგნი ეზრას მიეწერება.

ნიკანორი — სირიელთა სარდალი (ანტიოხ ევპატორის მეფობაში), დაამარცხა იუდა მაკაბელმა, თავი მოჰკვეთეს, იერუსალიმის წინ გამოჰკიდეს.

* ნიმვროდი (ნებროთი) — ჭამის ძის ხუსის შვილი, მითიური მონადირე: „ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღვთისა. ამისთვის თქუეს: რაჲთუ ნებროთ გმირი მონადირე წინაშე უფლისა" (შექმნ., 10, 9); სწორუპოვარი მონადირე.

• ნ ო ე — ლამექის შვილი, სემის, ჭამის და იაფეტის მამა, განთქმული პატრიარქი, რომელიც გარყვნილ კაცობრიობას 120 წელიწადი უქადაგებდა სათნოებას, და რომ ვერაფერი შეასმინა, ღმერთმა კიდობნის აშენება უბრძანა, რათა თვითონ და ცხოველთა სამყაროს ყველა სახეობა. წყვილ-წყვილად გადაარჩინა მსოფლიო წარღვნისაგან. წარღვნის შემდეგ კაცთა მოდგმის განახლება დაეკისრა, იცოცხლა 951 წელი (ვარაუდით, 3846-2895 ძვ. წ.). ნოეს ხომალდი — ხსნის სიმბოლო, (აგრეთვე — ხალხით გაჭედილი ეკლესია).

ნ ო ე მ ი ნ ი (დაბადებაში — ნოოემინ, გერ. და ლათ. „ნაომი") — ელიმელაქის ქვრივი, რუთის დედამთილი, კეთილი ქალი.

• ნ უ თ ვ ა ლ თ ა ღ ე ბ თ პ ი რ ს ა კ ა ც ი ს ა ს ა (განურჩევლად პიროვნებისა) — თქმა მიმართულია მაამებლობის და დიდკაცთა წინაშე მლიქვნელობის წინააღმდეგ (მეორე სჯულისა, 1, 17; მათე, 22, 16).

• ნ უ თ უ ნ ა ც ვ ა ლ ღ ვ თ ი ს ა ვ ა რ მ ე? — იაკობმა უთხრა ცოლს, უშვილო სარას, რომელმაც მოსთხოვა: მომეცი შვილი, თორემ თავს მოვიკლავო: „ნუთუ ნაცვალ ღვთისა ვარ მე, რომელმან დაგაკლო შენ ნაყოფსა მუცლისა-სა?" (შექმ., 30, 2). ითქმის მაშინ, როცა რაიმე შეუძლებელს ითხოვენ: განა ღმერთი ვაროო?

• ნ უ უ კ ვ ე მ ც ვ ე ლ ი ძ მ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა ვ ა რ მ ე? — უტიფრული პასუხი, რაც ძმისმკვლელმა კაინმა მისცა ღმერთს კითხვაზე, სად არისო აბელი? (შექმ., 4, 9).

ო

ო ზ ი ა — 1. (ოზა, ამინაბადის ძე) — სჯულის კიდობნის შეხებისთვის მოკლული ებრაელი: „და განყო ოზია ხელი თვისი კიდობანსა ზედა ღვთისა შეპყრობად და დასცა იგი მუნ ღმერთმან" (2 მეფეთა, 6, 6); 2. მეფე, ნ. ოსია.

• ო ლ ო მ ფ რ ე — ნაბუქოდონოსორის ჯარების სარდალი. იმ დროს, როცა გამარჯვებულ სარდალს ებრაელი ხალხი უნდა მოესპო ან დაემონებინა, მის ბანაკში მისულმა იუდითმა დაათრო, თავი მოაჭრა და დილით კოშკზე გაღმოჰკიდეს. მტერი გაიქცა. რეგვენი მბრძანებელი საერთოდ.

• ო ნ ა ნ ი (ავნანი) — იუდას მეორე შვილი. ძმის ცოლთან რომ შედიოდა, შთამომავლობის შენარჩუნების ნაცვლად თესლს არიდებდა, რომ შვილი არ გასჩენოდა, აქედან შეიქმნა სიტყვა ონანიზმი.

ო ნ ი ა — ებრაელთა მღვდელმთავარი, რომელსაც ვითომ სპარტის მეფემ ეპისტოლე მისწერა.

ო რ ი (საკ. ჰურ) — მოსეს მხლებელი, ალბათ მისი დის მარიამის ქმარი (ფლავიუსი). ამალეკებთან ბრძოლაში მოსეს ცალი ხელი ეჭირა (მეორე კი მოსეს ეპყრა), რადგან ბელადს ხელი უმძიმდა (ვიდრე შემართული ჰქონდა, მტერი მარცხდებოდა). მოსეს არყოფნაში ხალხის გამგებლობაც ევალებოდა (გამოსლ., 17, 10—12; 24, 14).

ო რ მ უ ზ დ ი და ა(ჰ)რ ი მ ა ნ ი — სიკეთისა და ბოროტების სულები თუ ღვთაებანი სპარსულ მითოლოგიაში.

ო რ ნ ე ა იებოსელი — მის კალოზე აღმართა დავითმა საკურთხეველი.

ო რ ფ ა — ნოემინის რძალი.

ოსია — 1. (ოზია, იოსია, უსია, საკ. ჰოსეა), ილის ძე, ისრაელთა უკანასკნელი მეფე (738-723 ძვ. წ.). ტახტზე 8 წლისა ავიდა, 31 წელი იმეფა იერუსალიმში, ხარკი არ გადაიხადა, რისთვისაც მეფე სალმანასარმა დალატი დასწამა, ბორკილგაყრილი წაიყვანა; 2. (ოსე) სამარიტელი წინასწარმეტყველი, საკმაოდ თავისუფალი ქცევისა, ესაიას და იერობოამ მეორის თანამედროვე. ღვთისმა მეძავთან წოლის ნება მისცა. ებრაელ ხალხს ახალი სასჯელ-წინასწარმეტყველა განდგომისათვის.

• ოსპის შეჭამადი — უმნიშვნელო, უნდილი და უბადრუკი რამ, რისთვისაც ძვირფასსა და ფასდაუდებელს აძლევენ: დამშეულმა ესავმა ოსპის შეჭამადისათვის დაუფიქრებლად დაუთმო. თავის ძმას, ტყუპის უმცროს ცალს იაკობს პირმშოობის უფლება და მამის დალოცვა, რაც მერე სასტიკად ინანა (შექმნ., 25, 31-34: „ხოლო იაკობ მისცა ესავს პური და გბოლვილი ოსპისა... და წარწყმიდნა ესავ პირმშოება").

• ოფირი, ელდორადო, ოქროს ქვეყანა — მითიური მხარე თუ კუნძული, საიდანაც სოლომონის არარსებულ ფლოტს ვითომ ოქრო ჩამოჰქონდა. ერთხანს ამ მხარეს სერიოზულად ეძებდნენ ინდოეთში, არაბეთში, ბრაზილიაშიც კი.

• ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა — თქმა, რაც საანდაზოდ იქცა: მძიმე შრომით იარსებეო! (შექმნ., 3, 19).

ოფნი და ფინესი (ფინეესი) — ჭურუმ ელის ხარბი და გახრწნილი შვილები, „პირველი მექრთამეები", რომელთაც წმინდა სკინია გარყვნილების ბუდედ აქციეს, მლოცველ ქალებს იქვე აუპატიურებდნენ. ორივე ძმა ფილისტიმელებთან ბრძოლაში დაიღუპა; მექრთამე და ზნედაცემული ადამიანები ზოგადად.

ოქოზია (აქაზია) — 1. აქაბის-ძე, ისრაელთა მეფე, მოკლული მამის ტახტზე ხეიბარი ავიდა, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ფანჯრიდან გადავარდა. ბაალის თაყვანისცემისთვის ღმერთმა ილიას პირით სიკვდილი შეუთვალა (დაახ. 905 ძვ. წ.); 2. იუდეველი, იორამისა და გოთოლიას ძე, მათებრ უზნეო და უკეთური. 20 წლისა ავიდა იუდეის ტახტზე, 1 წელი იმეფა, მოკლა იეუეიმ. დაუკლეს 42 ძმა (893 ძვ. წ.).

• ოჰოლა და ოჰოლიბა — გარყვნილი ქალები, რომელთაც იეზიკელი გმობს; აღვირახსნილი მეძავების სინონიმი.

• ოქროს ხბო — სიმდიდრე, ფული, ოქრო-ვერცხლი (უდაბნოში ებრაელებმა ოქროს ხბო გამოაქანდაკეს და მას სცემდნენ თაყვანს).

პავლე მეუდაბნოე — წმინდანი, რომელსაც ყორანი უზიდავდა პურს.

პარალიპომენონი — ნ. ნეშტთა.

• პატივი ეც მამასა შენსა — მოსეს ერთ-ერთი მცნება, რაც ანდაზად იქცა: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღე გრძელ იყო ქვეყანასა მას კეთილსა" (გამოსლ., 20, 12).

• პენტეფრე (პოტიფარი) — ფარაონის საჭურისი, რომლის ცოლმაც იოსების შეცდენა მოინდომა და უარი რომ მიიღო, დაღუპვა სცადა, ქმართან დაასმინა, საპყრობილეში ჩააგდებინა; უსინდისო ცოლი, რომელიც ყველაფერს იკადრებს.

პომპეუსი — სახელოვანი რომაელი სარდალი, 63 წ. ძვ. წ. იერუსალიმში შეიჭრა, იუდეა რომის პროვინციად აქცია და დაასრულა სექტების ბრძოლა,

მაგრამ ჰირკანი მღვდელმთავრად დანიშნა და ებრაელები აღიდებდნენ, ასეთ პატივსა გვცემსო (პატივი ტიგრან მეფესაც სცა, გვერდით რომ მოისვა, მერე კი თვითმკვლელობამდე მიიყვანა რომის ტყვეობაში).

პ ო ტ ი ფ ა რ ი — ნ. პენტეფრე.

პ ტ ო ლ ე მ ე ო ს ი — 1. იერიქონის მმართველი, სიმონ მაკაბელის სიძე, რომელმაც ის მოკლა; 2. პტოლემეოს ფილოპატორი — ეგვიპტის მეფე, ძალით ებრაელის გაყვანა ბრძანა ალექსანდრიის იპოდრომზე, სპილოების მიშვება და ხალხის გასრესა, მაგრამ ღმერთმა მეფეს გონება დაუბნელა, სპილოები დაათრო და ისევ მეფის ჯარი გაათელვინა.

რ

რ ა ა ბ ი — 1. იერიქონელი მეძავი, რომელმაც აღთქმული ქვეყნის გზაზე ებრაელთა მსტოვრები დამალა, გააპარა და დიდი სამსახური გაუწია იესო ნავინს, რომელმაც ის რაბინთა მტკიცებით მერე ცოლად შეირთო და გახდა რვა წინასწარმეტყველის (მათ შორის იერემიას) წინაპარი; ნეშტთა და სახარების ცნობით მერე სალმონს მისთხოვდა, რუთის მეორე ქმრის ბოოსის დედაცაა და ამრიგად იესო ქრისტეს უშუალო წინაპარიც, რის გამოც გმირადაა გამოცხადებული ახალ აღთქმაში; 2. სუბის მეფე.

რ ა ბ ს ა კ ი — სენაქერიბის შუაკაცი, ეზეკიას რომ მიუგზავნა.

რ ა გ ა ვ ი — პატრიარქი, იცოცხლა 239 წელი.

რ ა ზ ო ნ ე ლ ი დ ი ს-ძ ე — სირიის მეფე, სოლომონის წინააღმდეგ „მეშფოთეთა ლაშქრის" წინამძღოლი, წაართვა სოლომონს სირია.

რ ა ფ ა ე ლ, რაფაილი („უფლის მკურნალი") — წმინდა მთავარანგელოზი, ერთი შვიდთაგანი, შებოჭა დემონი ასმოდეოსი და ჰაში ჩააგდო (ტობია).

რ ა ჭ ი ლ ი (რახილი) — ებრაულად ეს სიტყვა „ცხვარს" ნიშნავს. ასე ერქვა ლაბანის უმცროს ასულს, იაკობის საყვარელ მეუღლეს (ვითომ 3638-3651 წლებს შორის ქვეყნიერების შექმნიდან). პირველად მამის ცხვარს მწყემსავდა. იაკობი მისი ხელისათვის 14 წელი ემსახურა მამამისს. ჯერ უნაყოფო იყო, მერე იოსები და ბენიამინი ეყოლა, გარდაიცვალა ბეთლემის მახლობლად, სადაც მის სამარხად მიჩნეულ გორაკს ებრაელი ხალხი დღემდე თაყვანსა სცემს და ასეევე აკეთებენ მორწმუნე მაჰმადიანები.

რ ა ღ უ ი ლ ი (გაბარალი) —ტობიას ტომის გლახაკი (მიდიაში), სარას მამა.

რ ე ბ ე კ ა — ისააკის ცოლი, ხარანიდან, არამელი მომთაბარის ბათოილის ასული. აბრაამმა ჩამოაყვანინა ელიაზარს თავისი შვილისათვის. 20 წლის თანაცხოვრების შემდეგ ეყოლა ტყუპი — იესავი და იაკობი (3554 დასაბამიდან). — შეკმ., თ. 14.

რ ე ი მ ა (რეუმა) —ნაჭორის ხასა

რ ე ს პ ა — ნ. რიცფა.

რ ე ქ ა ბ ი — ქანაანის ერთ-ერთი მეფე.

რ ი ქ ა ბ ი — იოსთეის სარდალი და მისი მკვლელი, დავითისაგან მადლობას ელოდა, მაგრამ გვირგვინოსნის მკვლელს გოლიათის მძლეველმა ხელ-ფეხი მოჰკვეთა.

რიცფა (რესფა, რესპა) — საულისა და მერე მისი სარდლის აბენირის ხარჭა, აიას (იოილის) ასული (2 მეფეთა, 3, 7).

რიცხვთა — მოსეს მეოთხე, საკანონმდებლო წიგნი, ბიბლიის განუყოფელი ნაწილი. გვიანდელ ებრაულ გამოცემებში მისი სახელია „ბე-მიდბარ", ე. ი. „უდაბნოში", წიგნის დასაწყისი სიტყვის „უდაბნოს" მიხედვით (ეტყობა უფალი მოსეს უდაბნოსა სინასა, კარავსა წამებისასა"). „რიცხვნი" ძნული სიტყვიდან „არითმოი" — „რიცხვნი": პირველ თავებში ხომ ხალხის აღრიცხვაა მოცემული (ლევიტელთა და სხვა). სამოცდაათთა შრომაშიც „აღრიცხვათა წიგნი "ეწოდა. წიგნი დაიწერა უდაბნოში ორმოცი წლის ხეტიალის დასასრულს, შეიცავს კანონ-წესებსა და ხალხის სვლას სინაიდან ქანაანის მისადგომებამდე (იორდანზე, მოაბიტელთა ველებზე) და სხვ.).

რობოამი (რობუამი) — სოლომონის უდანაშაულო შვილი, რომელსაც ღმერთმა მამის ცოდვები აზღვევინა. იუდეის მეფე იყო, მის დროს დაიწყო ისრაელისა და იუდეის სამეფოები (980–963 ძვ. წ.). კერპებს სცემდა თაყვანს, ერთთავად იერობოამს ებრძოდა, დარჩა 18 ცოლი ,60 ხარჭა, 28 ვაჟი და 60 ასული (3 მეფეთა, 14).

რუბენი — იაკობის და ლიას პირველი შვილი, დაიბადა მესოპოტამიაში. დედას მოუტანა ნაყოფიერების ფესვი — მანდრაგორა. იხსნა იოსები, როცა სხვა ძმებმა მისი მოკვლა განიზრახეს, და მაინც არაა უნაკლო: „თავხედად აწყენინებდა მამას", მის ხარჭასთან — ბალასთან შესელისათვის დაკარგა პირმშოობის უფლება (შეძრწუნებული იაკობი მამბრეში გადაბარგდა). გარდაიცვალა ეგვიპტეში 124 წლისა 1691 წ. ძვ. წ., დარჩა ოთხი შვილი — ენოქი, ფალოსა, ასრონი და ქარმი (შექმ., 49, 1—26).

* რუთი — სათნო ქალი, რუთის წიგნის გმირი, დედამთილის და ოჯახის მოყვარული; იდეალური რძალი.

საბაის დედოფალი (სავაის, სავთა დედოფალი) — სოლომონ-ს სტუმარი, საიდუმლოებით მოცული მშვენიერი მანდილოსანი, ფიქრობენ, რომ ეს იყო „ბედნიერი არაბეთის" (იემენის) დედოფალი

საბაოთი — ნ. ელოხიმი.

* საბასრობელად და იგავად — მოსაყივნებლად, ყბად ასაღებად: „და იყო შენ მუნ საბასრობელად და იგავად და მისათხრობელად ყოველთა შორის ნათესავთა" (მეორე სჯულისა, 28, 37). ბიბლიის ეს თქმა დამოწმებული აქვს ლენინს (11, 221);

საბეი (საბიე, სწორია სება) — ბიხორელის ძე, დავითს აუჯანყდა, დედაკაცმა მოკლა, როგორც „ძე უსჯულოებისა".

სადოკ (სადუკი) — 1. იუდეის მე-11 მღვდელმთავარი (1040 ძვ. წ.). აქიტობეის შვილი, აარონის და ელიაზარის შთამომავალი, მეფედ აკურთხა სოლომონი და თვითონვე იყო მისი მთავარი მღვდელი. ამ სახელიდანაა წარმომდგარი ძველ-იუდეური პოლიტიკურ-სარწმუნეობრივი სექტის — სადუკეველთა სახელი: ცნობდა მხოლოდ მოსეს წიგნებს, უარყოფდა სულის უკვდავებას, მესიას, კეთილ და ბოროტ საქმეს' ,იცავდა მდიდარ მონათმფლობელთა ინტერესებს. სექტის ექვსწლიანი ბრძოლა ფარისეველებთან დაასრულა პომპეუსის შეჯ-

რამ იუდეაში (II-I ს.); 2. იგ. იოაკიმი, ოსაია (677 ძვ. წ.) და იუდეის ოთხმეოთხე მღვდელმთავარი, ცხოვრობდა იეჰიოთის დროს.

სავთა დედოფალი — ნ. საბაის...

სავნა (ლათ. და გერ. სუა) — იუდას ცოლი.

სალმანასარ II — ასირიის ძლევამოსილი მეფე (858-824) სირიის 12 მთავარს. ძლეულთა შორის იყო აქაბის 260 ეტლი და 10 000 მარი.

სალმანასარ III — ასირიის ძლევამოსილი მეფე და სარდალი (859-825 თუ 860-824), სარდანაპალის ძე. ბიბლიით, იეუეის დაეხმარა თავისი მტრის, დამასკოს მეფე აზაილის წინააღმდეგ გამართულ ომში, მერე კი სალმანასარი განზე დადგა, აზაილმა კი ისრაელის მესამედი მიიტაცა და მალე ისრაელის არმიამ არსებობა შეწყვიტა. უზრუნველჰყო ასირიის ბატონობა სირიაზე (840), ხარკი დაადო ისრაელს, ტვიროსს, სიდონს, მხოლოდ ურარტუ ვერ დაიმორჩილა. ძველ ბარელიეფზე გამოხატულია ამაყი სალმანასარ III, რომელსაც მუხლებს უყრის და ხარკს მიართმევს მეფე იეუეი.

სალმანასარ V — ასირიის მეფე (727-722), სულ ხუთი წელი იმეფა, ებრძოდა სირიას და ისრაელს, ალყა შემოარტყა ტვიროსს და სამარიას (ისრაელის სატახტოს), სძლია ბაბილონსაც, გააქცია მისი მეფე ბეროდახბალადანი (709); წარჩინებულთა შეთქმულებამ დასცა. ტახტზე ავიდა სარგონ II. ბიბლიაში აღრეულია სარგონისა და სალმანასარების საქმეები.

სალმონი — რააბის ცოლი.

სალომეა — ალექსანდრა (სალომეა — ებრაული სახელი) — 1. იუდეის დედოფალი, ჰირკან II-ის დედა. პირველი მისი ქმარი იყო არისტობულ II, დაქვრივების შემდეგ მისმა ძმამ ალექსანდრე — იოანემ შეირთო და ალექსანდრა უწოდა; მეორედ რომ დაქვრივდა, 9 წელი დამოუკიდებლად განაგებდა ქვეყანას (79-70). შეწყდა შინაური შფოთი და საგარეო ომები, მფარველობდა ფარისეველებს, რომლებიც თავისუფლად არბევდნენ სადუკეველებს (მთავარი ფარისეველი იყო მისი ძმა სიმონ-ბენ-შეტახი). დევნილმა სადუკეველებმა მფარველობა ნახეს სალომეას შვილის, არისტობულ მეორესთან, რასაც მოჰყვა არისტობულისა და მისი ძმის ჰირკანის შუღლი და ომი — უკვე დედის გარდაცვალების შემდეგ. გარდაიცვალა 73 წლისა. არსებობს ბერძნული მონეტები, რომელთაც აწერიათ „დედოფალი ალექსანდრა"; 2. მისი შვილიშვილი, ხსენებულ ჰირკანის და იროდეს ცოლის მარიამნის დედა. სიკვდილით დასაჯა სიძემ— იროდემ თავის ცოლთან და მის საყვარელ იოსებთან ერთად (27 ძვ. წ.).

სამეგრი — ისრაელთა მხსნელი, სახნის-საკვეთით გაჟლიტა მოაბიტელნი. მესამე მსაჯული.

სამეი (საკ. სემაია) — მორწმუნე კაცი, ღმერთმა მიუგზავნა რობოამს, ნე ებრძვით ძმები ერთმანეთსო.

სამოელ (სამუელ) — დიდი ბიბლიური წინასწარმეტყველი, მოსეს შემდეგ ტოლი არ მოეძებნება. იხსნა თავისი ხალხი ფილისტიმელებისაგან, მეფედ აკურთხა საული და მერე დავითი, გარდაიცვალა 78 წლისა, მას მიეწერება „რუთი" და „მსაჯულთა წიგნი" (1092 ძვ. წ.).

• სამოელის სული —საიქიოდან მოვლინებული თუ გამოწვეული სასტიკი მსაჯული (ჯადოქარმა გამოიწვია წინასწარმეტყველის ლანდი).

• სამსონი (სიმსონ, ქართ. სამფსონ) — გამოჩენილი ბიბლიური გმირი, „მზიური მსაჯული", ფილისტიმელთა რისხვა, რომელმაც მარტო ვირის ყბით ათასი ფილისტიმელი გაწყვიტა. ბორკილებით წამოაქცია ტაძრის სვეტები და

ათასობით ფილისტიმელთან ერთად ნანგრევებში ჩაიმარხა. მსაჯულობდა 1172 წლიდან ძვ. წ. მისი სახელი იქცა ფიზიკური ძლიერების სიმბოლოდ (სამსონის ღონე). ხელოვნებაში სამსონის სახე განსაკუთრებული სიძლიერით უცდიათ რემბრანდტმა, მუსიკაში ცნობილია ჰენდელის ორატორიუმი „სამსონი“ და სენ-სანსის ოპერა „სამსონ და დალილა“ (იგ. სიმსონ და დელილა).

ბიბლიოთეკა

სანჰერიბ — ნ. სენაქერიბი.

სარა — 1. აბრაამის ცოლი, 90 წლისამ შვა ისააკი. 127 წლისა გარდაიცვალა ქებრონში. წინადაცვეთის შემოღების შემდეგ ღმერთმა აბრამს უწოდა აბრაამი, სარას კი — სარრა, ვითომ დიდი პატივი სცა; 2. (სარეია) ეკბატანელი დედაკაცი, რაღუილის ასული, ქმრებს დემონი უხოცავდა, თუმცა „არც ოდეს ყოფილა ქმროსნობის მსურველი“. მერე ტობიას უმცროსმა შეირთო.

სარასარი — ნ. ადრამელიქთან.

სარგონ II (ებრაული სახელია, ასირიულად სარ-რუკინ, „კანონიერი მეფე“) — ასირიის ძლიერი მბრძანებელი, „ქვეყნის ოთხი მხარის მეფე“ (722-705), სინამდვილეში ტახტის მიმტაცებელი; ძმის, სალმანასარ V ტახტი წარჩინებულთა შეთქმულების წყალობით მიიღო. დასუსტებული ასირიის გამგებელი რომ გახდა, პირველ მიზნად დაისახა ჯიუტი ისრაელის დედაქალაქის — სამარიის აღება და ისრაელის სამეფოს დამხობა, რაც შეასრულა კიდეც. სამარია, რასაც ჯერ კიდევ სალმანასარი შემოადგა, აიღო და დაანგრია, 27 200 წარჩინებული სირიაში გადაასახლა, ებრაელთა მიწა-წყალზე კი სხვა ხალხები დაასახლა. თვით ფარაონს შეეშინდა, საჩუქრები გაუგზავნა, ასევე იემენის მეფემ იტამარმა. სარგონმა აიღო ბაბილონიც, მეფე მეროდახ-ბალადანი ქალდეიდან გაიქცა (710). სარგონმა მარდუკის ტაძარში დაიდგა გვირგვინი. ბრწყინვალე გამარჯვებებით შექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელშიაც შევიდა ებრაელთა მიწა-წყალი. ბიბლიაში სარგონის საქმეები ხშირადაა აღრეული სენაქერიბის, სალმანასარის საქმეებთან; სულ სხვაა ძველი სარგონი, მოსესავით კალათში ნაპოვნი მეფე.

სარეფთელი ქვრივი — მტკიცედ მორწმუნე სიდონიელი ქალი, რომელსაც ილია წინასწარმეტყველმა მკვდარი შვილი გაუცოცხლა (3 მეფეთა, 17, 7—24).

სასწაულები — ბიბლიაში უამრავი სასწაულია, თუმცა ერთადერთი რეალური „სასწაულია“ თვით ბიბლია. უფრო ცნობილია ის სასწაულები, რომლებიც მოახდინეს მოსემ და აარონმა, იესო ნავინმა (მზის შეჩერება), ილია წინასწარმეტყველმა (იორდანი გააჩერა), ელისემ (ქვრივის ზეთის სასწაული, ბავშვის გაცოცხლება, ასი კაცის გაძღომა, მდინარიდან ნაჯახის ამოღების, სირიელთა დაბრმავების, კეთროვანი სარდლის ნეემანის მორჩენა...).

სატანა — ნ. ეშმაკი.

საული — კისის ძე, უბრალო მიწის მუშა, მერე უფლის ნებით ისრაელთა პირველი მეფე (დაახ. 1070 წ. ძვ. წ.). ბენიამინელი. „სცხო“ სამუელმა, შემდეგ კი შერისხა წარმართთა მეფის შეწყალებისთვის და ფარულად აკურთხა დავითი. საული საშინელი ეჭვიანობით გახდა ავად, დასნეულდა, დავითს დევნიდა, ბოლოს ფილისტიმელებთან ბრძოლაში თავი მოიკლა, დამარცხებულმა.

• საულიც წინასწარმეტყველია?— ირონიული თქმა, იხმარება უცნაურსა და უჩვეულო ამბავზე, დაახლოებით იმავე მნიშვნელობით, რაც აქვს ქართულ ანდაზას: კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო! (ხალხმა თქვა, როცა ნახა, რომ საული, უბრალო მიწის მუშა, მომავალი მეფე, შთაგონების წუთებში წინასწარმეტყველებივით როკვას მოჰყვა).

• საქანელნი ცისანი განეხვნეს — ირონიული თქმა, რაც ბიბლიურ ღვართქაფს აღნიშნავს: „ამ დღესა შინა გამოეცნეს წყარონი უფსკრულისანი და საქანელნი ცისანი განეხვნეს“ (შექმნ., 7, 11).

• საქმეთაგან დაცხრა — მოისვენა დიდი ჯაფის შემდეგ: ღმერთმა რომ ექვს დღეში სამყარო შექმნა, მეშვიდე დღეს „დასცხრა ყოველთაგან საქმეთა მისთა“.

• საშოს დახშობა — ბიბლიური სასჯელი, რაც ღმერთმა ქალებს დაატეხა, რომ შვილები არ ეშვათ, რადგანაც მეფე აბიმელექმა აბრაამის ცოლის სარას ხასად დასმა განიზრახა (ქმარმა შიშით დად გაასაღა). ნ. შექმნ., 17, 17.

სება — ნ. საბეი.

სედეკია (საკ. ხიზკია) — იუდეის უკანასკნელი მეფე, ნაბუქოდონოსორის დროს შებორკილი წაიყვანეს ბაბილონის ტყვეობაში, თვალებდათხრილი.

სეითი — ადამის და ევას მესამე შვილი, ენოსის მამა (აბელის მაგიერი).

სელლაი — ნ. ცილა.

სელომ — იუდას მესამე შვილი.

სემეი — ნ. სიმეი.

სემი — (იგ. სიმ) პატრიარქ ნოეს უფროსი შვილი (დაახ. 2164 წ. სამყაროს შექმნიდან), ბიბლიური თქმულებით სემიტების მამამთავარი (ებრაელთა, არაბთა, ფინიკიელთა, ბაბილონელთა, ქანაანელთა...), იცოცხლა 600 წელიწადს, ჰყავდა ექვსი შვილი: ელამი, ასური, ართაქსადი, ლუდი, არამი და კაინანი.

სემიაზანი — ანგელოზთა მთავარი.

სენაქერიბი (სენაქერემი, სენნახირიმ, სპარ. ებრ. სანჰერიბ, ბერძ. სენაქერიმ, სლავ. სინ-აქე-რიბ: „მთვარის შვილი (ღმერთი) პატივსა სცემდა ძმებს“) — ასირიის ძლიერი მეფე (705-681 ძვ. წ.), ტახტზე ავიდა მამის — სარგონ მეორის შემდეგ (ტაქსილი სალმანასარ მეხუთის შვილად აცხადებს, რაც არაა სწორი). 700 წ. ილაშქრა სირიასა და ფინიკიაში, შეუტია იუდეას. საერთოდ, განაგრძო ტიგლატ-პალასარის და სალმანასარ მეხუთის ანტიბაბილონური პოლიტიკა, დაამარცხა მეთოქე მარდუკ-აპალ-იდდინი და სრულიად დაანგრია ბაბილონი (689), რითაც მთელს წინა აზიას შეაძაგა თავი, ვერ აიღო იერუსალიმი, თუმცა ტრაბახობს, იუდეა დავაჭკიეო. მართალია, მერე იუდეის მეფე იეზეკია მოხარკედ გაიხადა. 701 წ. ფარაონმა ალტაკუმ დაამარცხა, მაგრამ შემდეგ ეგვიპტესაც სძლია. მეამბოხე ბაბილონელებიც დათრგუნა და ორჯერ გააქცია ბეროდახ-ბალადანი. ნგრევა უფრო იოლია, ვიდრე შენება, მაგრამ სენაქერიბს შენებაც ემარჯვებოდა. მის დროს ასირიამ ძლიერების მწვერვალს მიაღწია. საარაკო იყო სამხრეთ ნინევიის სასახლე. 681 წ. ორმა შვილმა — ადრამელექმა და სერაცერმა — მოკლა. მამის მკვლელებმა თავი სომხეთს შეაფარეს. ტახტზე ავიდა მესამე შვილი ასარგადონი (ნ.). ნაწილობრივ აღრეულია სარგონთან.

სეონი — ნ. სიგონი.

სერუქი — პატრიარქი, იცოცხლა 230 წელი.

სეფორა — ამქმელი ქალი (ეგვიპტეში); მოსეს ცოლი, მადიამელი.

სვიმეონ — ნ. სიმონი.

სვიქემი — იაკობის ასულის დინას შემაცოდინებელი.

სიგონი — (ქართ. სეონ) — ამორეველთა მეფე.

• სიკვდილო! სადაა შენი ნესტარი? ჯოჯოხეთო, სადაა შენი გამარჯვება? — ოსია წინასწარმეტყველის ცნობილი წაშოძახილი (13, 14).

სიმეი (დაბადებაში ხშირად არასწორი ფორმაა: „სემეი") გირანის (გირას) შვილი, საულის ნათესავი, ლტოლვილ დავითს რომ ქვები დაუშინა, დავითმა აპატია, მერე სოლომონს დაუბარა, მოკალიო; სებას არასწორი სახელი დაბადებაში.

სიმონი, სვიმეონი — 1. იაკობის შვილი, დინას ძმა, მატათის-ძე, აეშალა სირიელებს, იუდას დაღუპვის შემდეგ ებრაელებს მეთაურობდა. ჭურუმთჭურუმი იყო, ნადიმზე ორ შვილთან ერთად მოკლა პტოლემეოსმა, სიძემ.

სინაჭრიბი — ნ. სენაქერიბი.

სირიის ბატონობა — დიდი ისტორიული ძნელბედობა ისრაელთა ცხოვრებაში. ბიბლიის ცნობები აქ უფრო სარწმუნოა და ისეა გადახლართული ბაბილონის, ასირიის, ნინევიის მბრძანებელთა ლაშქრობებთან, რომ ბიბლიის მკელეველი მათ გვერდს ვერ აუვლის. სირია ბერძნული შემოკლებული სახელია „ასირიისა" (ჰეროდოტე). უწინ აიგიეებდნენ, მერე აღმოჩნდა, რომ ეს ორი სხვადასხვა ქვეყანაა: სირია–ბიბლიური არამეაა, ასირია კი — მის აღ-ით მდებარე ძველი მდიდარი ქვეყანა (ტიგრზე, დედაქალაქი — ნინევია). განხეთქილების ვაშლი ეგვიპტესა და ბაბილონს შორის, მერე თვით იქცა ძლიერ სახელმწიფოდ. 547 წ. სპარსეთს შეუერთდა, 83 წ. — რომის იმპერიას.

სისარა — მოაბიტელთა მთავარსარდალი, დაამარცხა პოეტმა ქალმა დებორამ.

სისხლის აღება — უძველესი ჩვეულებაა მრავალი ხალხისა, არა მარტო ცალკეული კუთხეებისა, როგორც ზოგსა ჰგონია. ნაცვალგება დანაშაულისათვის, ძალმომრეობა ძალმომრეობისათვის, „კბილი კბილისა წინ" ძველად თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული (საბერძნეთში, რომში, გერმანელებში, სპარსეთში, სლავებში, კავკასიის მთიელებში, სარდინიაში, კორსიკაზე (უკვე მოისპო), ალბანეთში, არაბეთში, შვეიცარიაში, სადაც XVIII საუკუნემდე შემორჩა, და სხვ.). საერთოდ, ვაჟკაცობისა და სამართლიანობის აქტად ითვლებოდა. გერმანელებში შვილი მამის მემკვიდრეობას ვერ მიიღებდა, ვიდრე მამისათვის შურს არ იძიებდა (ეს ემსგავსება კავკასიელთა წესს, რაც უკვე წარსულს ჩაბარდა, შეღლი ძმობით შეიცვალა). ეს დაუსრულებელი სისხლისღვრა უდევს საფუძვლად ედას და ნიბელუნგების თქმულებას (იმავე ძველ გერმანიაში 1 წლის გასვლის შემდეგ სისხლის აღება იკრძალებოდა). ძველ ებრაელებში ცოცხლად დარჩენილს მოკლულისათვის შურისძიება ევალებოდა. მოსემ დააწესა დამნაშავეებისათვის თავშესაფრის ინსტიტუტი. პალესტინაში ასეთი თავშესაფარი ჯერ სამი იყო, მერე ექვსი. სისხლის აღების დევიზი იყო: „სიკვდილითა მოკვედინ კაცის მკვლელი იგი" (რიცხვთა, 35, 16-21).

სკინია (შინია) — კარავი, რომელშიაც იდგა სჯულის კიდობანი. ააგეს 1495 წ. ძვ. წ. მითიურმა მხატვრებმა ბესელეილმა და ელიაბმა სინაიზე, მოსეს მითითების მიხედვით. შედგებოდა სამი ნაწილისაგან: წმიდათა წმიდა, განსაწ. მენდელი და ეზო. ეს იყო სალაშქრო ტაძარი (გამოსლ., 20 და 30).

* სოდომის და გომორის დანთქმა — პალესტინის ამ მითიური ქალაქების თავზე დატეხილი ღვთის რისხვა, გოვირდის წვიმა (შექმნ. 19, 24-25) გახდა საფუძველი საანდაზო თქმისა: უკიდურესი გარყვნილებისა და უთავბოლობის სიმბოლოდ იქცა ამ ქალაქთა სახელი. ისტორია ასეთ ქალაქებს არ იცნობს.

სოე — აბრაამის ძე.

* სოლომონი — სახელგანთქმული ბიბლიური მეფე, დავითის შვილი,

ცნობილი იერუსალიმის ტაძრის შენებით, სიბრძნით, სიმდიდრითა და მრავალცოლიანობით. იმეფა იერუსალიმში 40 წელი (115-975 ძვ. წ.) .სოლომონ ბრძენი — საანდაზოდ დარჩა.

სოლომონის სამსჯავრო — სწრაფი და ბრძნული სამსჯავრო (I მეფეთა, 3, 16-28).

სომანიტელი (უფრო სწორია სონამიტელი) — შუნემელი, რომელსაც ელისემ შვილი აჩუქა.

სოფარი — იობის მეგობარი მეფე.

სუსაკ (სუსაკიმი) — ეგვიპტის მეფე რობოამის დროს. ააოხრა იერუსალიმი, ვარაუდობენ, რომ ეს იყო ფარაონი სეზოსტრისი.

* სუსანა — ვინმე იოაკიმის ლამაზი ცოლი, ერთგულების სინონიმად ქცეული: ებრაელთა ტყვეობის დროს ორი ბებერი მოარშიყე გააწბილა; ერთგული ცოლის სინონიმი.

სციპიონი — რომაელთა სარდალი.

* სძისა და თაფლის ქვეყანა — აღთქმული ქვეყანა, სადაც რძე და თაფლი დუღს და გადმოდის: ღმერთი დაჰპირდა მოსეს, მოესულვარ თქვენდა წასაყვანად „ქვეყანასა მას, გამომადინებელსა სძისა და თაფლისასა“ (გამოსლ., 3, 8).

ტ

ტიგლატ-პალასარ III (ტუკულტი-აბალ-ესარ: „ესარის შვილი — ჩემი ფარია“) — ასირიის ძლევამოსილი მეფე და ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი სარდალი (747-727 ძვ. წ.). უზურპატორი სარგონიეით სამხედრო გადატრიალებით დაეპატრონა ტახტს, მოახდინა არმიის რეფორმა, დაანგრია ურარტუ, სირია, ფინიკია და ისრაელის დიდი ნაწილი, აიღო დამასკო და მოკლა მისი მეფე როცონი (732), დაიმორჩილა არამეელნი, ქალდეველნი, ირანელები, სძლია თავისი მთავარი მეტოქე სარდური, რომელსაც ჩრდ. სირიაში შეეტაკა 743 წ. სარდური გაიქცა. ბრძოლის ველზე დატოვა 73 000 გვამი. არაბთა დედოფალი შამშიე უდაბნოებში შეტყუებით ფიქრობდა მის ძლევას, მაგრამ დამარცხდა და დამორჩილდა. ტიგლატ-პალასარი ნიშნავდა და ამხობდა მეფეებს, ანაწილებდა მიწებს. ცხადია, ასეთ მბრძანებელს არც დასუსტებული ისრაელის დამორჩილება გაუჭირდებოდა და ბოლო მოუღო კიდეც. 724 წ. ბაბილონი აიღო და მისი მეფე გახდა პულუს სახელით. ისრაელში ცოდვის კითხვა დატრიალდა. ნ. სალმანასარ V.

ტიგრანი — სომეხთა მეფე, უბრძოლველად დაემორჩილა პომპეოსს.

ტობია ტოვილის-ძე — ცნობილი ტყვე ებრაელი ნინევიაში, ღვთისნიერი, სამართლიანი. ღამით თვალებზე ჩიტმა დაასკინტლა და 56 წელიწადი ბრმა იყო. რაფაელმა თვალი აუხილა, 102 წლისა გარდაიცვალა.

ტობია ტობიას-ძე. უმცროსი — ტობია უფროსის შვილი, ანგელოზი მიჰყვება მიდიაში, რათა მამის გასესხებული ვერცხლი მიიღოს და სარა შეირთოს. გარდაიცვალა 99 წლისა.

ტომი — ნ. ნათესავი.

უ

* უდაბნოებში ხეტიალი — ირონიულად ნათქვამი ებრაელთა და მომქანცველ საქმიანობაზე რაღაც დიდ საქვეყნო ასპარაზზე: მოსეს ხალხი მთელი ორმოცი წელი დაეხეტებოდა სინაის და არაბეთის უდაბნოებში, აღთქმულ ქვეყანაში მისვლამდე. თაობები გაწყდნენ შიმშილით, აღთქმული ქვეყანა კი მირაჟივით ებრძოდა მათ. გამოთქმა იქცა სიცრუით ხალხის კვების სიმბოლოდ.

ურია (ჰურია) ჭეტელი — ბერსაბეს კანონიერი ქმარი, ვერაგულად მოაკვლევინა თავის სარდალს დავითმა, რათა ქალი მას დარჩენოდა.

ურიელი (უფლის ცეცხლი) — ანგელოზი.

* უფლის მეგობრები — ნ. აბრაამი და მოსე.

* უფლის სტუვა (ქვა სეტყვისა) — ღვთის რისხვა.

ფ

ფალეკი — პატრიარქი, იცოცხლა 239 წელი.

ფალთია — საულის შვილი, მელქოლას ქმარი.

ფარა — 1. (იგ. თარრა, ფარააჰ, ებრ. „სვლა" ან „შეყოვნება") — მეათე პატრიარქი, სემის შთამომავალი, აბრაამის, ნაჭორისა და არანის მამა. ბიბლიის თანახმად დაიბადა 1878 წელს სამყაროს შექმნიდან. 130 წლისა იყო, როცა აბრაამი ეყოლა. როგორც ოჯახის უფროსს, მას მიაწერენ ურიდან ქანაანისაკენ გადასახლების ინიციატივას, მაგრამ ეტყობა, შეყოვნა და გზად გარდაიცვალა, ევფრატზე, 205 წლისა. გადასვლის პატივი აბრაამს ერგო; 2. ებრაელთა ერთ-ერთი ბანაკი უდაბნოებში ხეტიალის დროს.

* ფარაონის მჭლე ძროხები — ბიბლიური მითის თანახმად, ფარაონს ესიზმრა შვიდი მჭლე ძროხა. შვიდი მსუქანი ძროხა შეჭამეს და არ გასუქებულან (ამას მოჰყვა შვიდი შიმშილის წელი); შიმშილის საფრთხე (გამოსლ., 41, 1—4).

ფარეზი (ფარესი) — თამარის შვილი მამამთილ იუდასაგან (ეს უკანონო და უზნეო კავშირის ნაყოფი იესო ქრისტეს წინაპრად ითვლება).

ფარისეველთა („გამოყოფილთა") სექტა — ძველ ებრაელთა რელიგიური გაერთიანება ძვ. წ. II საუკუნიდან 70 წლამდე ახ. წ. (მეკანონეები, ვაჭრები, ხელოსნები). თავი მოჰქონდათ სამართლიანობითა და განსწავლულობით, ებრძოდნენ სასულიერო დიდკაცობას, ქადაგებდნენ ღვთისმსახურებას უფლედელოდ, მსხვერპლის შეცვლას ლოცვით, გამოირჩეოდნენ მკაცრი, მოჩვენებითი, გარეგნული ღვთისნიერებით, რისთვისაც „პერუშიმს" ანუ „განდგომილს" ეძახდნენ. სიტყვა იქცა ორპირობის სინონიმად. ქრისტე ამხელდა მათს ხიყალბეს (მათე, 23, 13—15: „ვაი შორა მიერ" და სხვ.).

ფინეესი — 1. ელიაზარის შვილი, აარონის შვილიშვილი, ებრაელთა მესამე მღვდელმთავარი, მოსეს კანონის ერთგული და მამაცი სარდალი, იცოცხლა 480 წელი; 2. ნ. ოფნი და ფინეესი.

ფოლა — მსაჯული.

ფუაი — ამქმელი (ეგვიპტეში).

ქ ა ლ დ ე ვ ე ლ ი ბ რ ძ ე ნ ნ ი — ვარსკვლავმრიცხველნი, მოგვნი და მენ-ცარნი, რომელთაც ბაბილონის მეფის კარზე თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ. ქალ-დეას მთელს ბაბილონს ეძახდნენ, უფრო სწორად — მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს (ევფრატის აღმოსავლეთით). აქ სახლობდა ქალდეველობა, [illegible] ცნობილი სიბრძნით, ასტრონომიული დაკვირვების ნიჭით, [illegible] ათებით, ობსერვატორიით, რაც ბაალის ტაძარში ჰქონდათ გამართული. ძლიერ საგულისხმოა, რომ ვარსკვლავებზე დაკვირვების ეს ტრადიცია საქართველოშიც შემორჩენილა, კერძოდ სვანეთში, სადაც შემონახულია სიმღერა „იავ ქალდე" და არსებობს სოფელი ქალდე — ლალხორის მახლობლად, რომლის მცხოვრებთაც „ვარსკვლავთმრიცხველებს" ეძახიან.

ქ ა მ ი (ხამი)— ნოეს შვილი, ჰყავდა ოთხი შვილი, ოთხივენი სხვადასხვა ხალხთა მამამთავრები: ხუსი, მესრაინი, ფუდი და ქანაანი. მამისადმი უპატივ-ცემლობის გამო მისი შთამომავალნი (აზიასა და აფრიკაში) სამუდამო ჩაგვრისა და მონობისათვის განწირა ღმერთმა. ამ რეაქციული სარჩულით აიხსნება, რომ ეს სიტყვა ზოგ ენაში მორჩილების და უდრტვინველობის სინონიმად იქცა (ქა-ნაანის შთამომავალნი სემისა და იაფეტის შთამომავალთ ემორჩილებიანო).

ქ ა ნ ა ა ნ ი — ქამის ძე, ნოეს შვილიშვილი, რომელსაც პაპის წყევლა და-ატყდა, თუმცა ნოეს სიტიტვლე დაინახა ქამმა და არა ქანაანმა. ამრიგად, ქამის შვილი ქანაანი იქცა განტევების ვაცად, რომელსაც მამის ცოდვა დაატყდა. მისი შთამომავლობა — ქანაანელნი, ქანაანის მიწის (პალესტინის) მცხოვრებნი თითქმის ერთიანად გაწყვიტეს ებრაელებმა; ქანაანი ერქვა პატარა ქალაქსაც, სადაც მცირე ხანს ცხოვრობდა აბრაამი და დაკრძალულია მამამისი დარა.

ქ ა რ ა მ ი — ნ. ხირამი.

* ქ ა რ ი ს თ ე ს ვ ა — ავი საქმის ჩაწყობა, დანაშაული, რაც ორკეცად ისჯება (ოსია წინასწარმეტყველის სიტყვებია: ქარს თესავდნენ — ქარიშხალს მოიმკიანო).

* ქ ე ბ ა ქ ე ბ ა თ ა (ქებათა ქება, შირ-გა-შირიმ) — ბიბლიური სამოძღვრებო წიგნი, რაც სოლომონ ბრძენს მიეწერება. სულ ათიოდე გვერდს შეადგენს და იმდენად საერო ხასიათისაა, რომ ღმერთის სახელიც კი არაა ნახსენები, მაგრამ ებრაელი და ქრისტიანი ღვთისმეტყველნი ერთხმად აღიარებენ მის განუზომელ ავტორიტეტსა და კანონიკურობას, სიძველეს და სილამაზეს. ორიგენის თქმით, ყველა ბიბლიური სიმღერა რომ გაიარო, კიდევ უფრო მაღლა მოგიხდება ასვლა, რათა ქება ქებათა შეიცნოო. მთელი წიგნი საქმროს განცდებზეა აგებული სარძლოსადმი. საქმრო სოლომონი უნდა იყოს, სარძლო კი ერთ-ერთი მისი ცოლი, ფარაონის ასული სულამიტი, მაგრამ ღვთისმეტყველნი ამტკიცებენ: ესაა ალეგორია ქრისტეს სიყვარულისა ეკლესიისადმიო. ეს წიგნი დაბადებაში ისევე პოეტური და გაუგებარია, როგორც „გამოცხადება" — სახარებაში.

ქ ე დ ო რ ლ ა ო მ ი — (ქოდოლო) — წარმართი მეფე, დაამარცხა აბრაამმა.

ქ ე ტ ტ უ რ ა (ხეტურა) — აბრაამის მესამე ცოლი (სარრას გარდაცვალე-ბის შემდეგ), აჩუქა 6 შვილი, რომელთაც დასაბამი მისცეს აღმოსავლეთის ხალ-ხებს (მადიამიტებს და სხვ.). — შექმ., 25.

* ქ ვ ა კ უ თ ხ ე დ ი — აზრის, იდეის საფუძველი, საყრდენი (სიონის სა-ძირკვლად ჩაიდო ნაცადი, ძვირფასი, დამტკიცებული ქვაკუთხედი — ესაია, 28, 16).

ქ უ ს ა რ ს ა თ ე მ ი — შუამდინარის ძლიერი მეფე, ისრაელთა დამმონე-ბელი, მოკლა გოთონიელ მსაჯულმა.

ღ

ღ ა ვ ა ი ლ ი — ვინმე მიდიელი, რომელსაც ტობია უფროსმა ქერუბელი ასესხა, მერე ვალის დასაბრუნებლად შვილი გაგზავნა (ტობიას წიგნი, თ. 4).

* ღ ვ თ ი ს ც ე ც ხ ლ ი თ (ც ი უ რ ი ც ე ც ხ ლ ი თ) დაწვა — ანაზდეული და უსაშველო დაღუპვა: ღვთის ცეცხლმა დაწვა ნადაბისა და ... **მეამბოხე ებრაელი,** მოსეს და აარონს რომ გადაუდგნენ ... კორე, დათანი და აბირონი მიწამ შთანთქა); ღვთის პირიდან გამოსულმა ცეცხლმა შთანთქა ორჯერ ორმოცდაათი ჯარისკაცი, რომელთაც მთიდან ილიას ჩამოხმობა დაავალეს. ცეცხლმა შთანთქა უბირი ებრაელი კიდობნის შეხებისათვის...

ღ ო ფ ო ლ ი ა — ნ. გოთოლია.

ღ რ ი ა ნ კ ე ლ ი, მორიელი — ტანჯვა-წამების სიმბოლო, ნ. რობოამი (ღრიანკელით დასჯა).

შ

* შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ხ ე — სამოთხის ხე, რომლის ნაყოფის ჭამაც ღმერთმა ადამსა და ევას აუკრძალა. გველმა ევა დაარწმუნა: ჭამეთ, კეთილსა და ბოროტს გაარჩევთ, არ მოკვდებით და ღმერთებივით იცხოვრებთო. აქედან: შემეცნების ხის ნაყოფი იგემაო, ნიშნავს: შეიცნო, მოვლენათა არსს ჩასწვდაო (შექმნ. 3).

* შ ვ ი ლ ი ხ ომ ა რ გ ა კ ლ ი ა? — ეჭვიანი და ირონიული კითხვა, როცა უმნიშვნელო ვინმეს წინ წამოსწევენ ხოლმე და მთავარს უკან ტოვებენ: მეფე საულმა ჰკითხა იესეს, რომელმაც შვიდი შვილი მოჰგვარა: „გაკლს-ღა ძე?“ მართლა, უმცროსი, „ნაბოლარა“ დავითი, მომავალი გოლიათის მკელელი და მეფე, საქონელს მწყემსავდა.

* შ ი შ ი თ დ ა ძ რ წ ო ლ ი თ — გამოთქმა, რაც ბიბლიაში ხშირად გვხვდება: „ჰმონეთ უფალსა შიშით და უგალობდით მას ძრწოლით“ (ფსალმ, 2, 11).

ც

* ც ე ც ხ ლ ი მ ა რ ა დ ი უ ლ ი — დაუშრეტელი, ჩაუქრობელი, მოგიზგიზე. სიმბოლო რაიმე ამაღლებული საქმის, იდეის, რწმენისა... როგორც ასეთი, ბერძნებსა და სხვა ძველ ხალხებსაც ჰქონდათ, მაგრამ ბიბლიაში ვრცლადაა ლაპარაკი ჩაუქრობელ ცეცხლზე, რასაც მერე რელიგიური სარჩული გამოეცალა და სიწმინდის შესატყვისად იქცა: „და ცეცხლი ეგზებოდეს საკურთხეველსა მას ზედა და არა დაშრტეს... და ცეცხლი მარადის ეგზებოდეს“ (ლევიტ., 10, 12—13).

* ც ე ც ხ ლ ი ს ა დ ა გ ო გ ი რ დ ი ს წ ვ ი მ ა — ღვთის რისხვა, რაც უკეთურებისათვის დაატყდათ სოდომსა და გომორს, იორდანის ველზე (შექმ., 19), აბრაამის დროს (გადარჩა მხოლოდ ლოტი), ქალაქების ადგილზე გაჩნდა მკვდარი ზღვა.

* ც ე ც ხ ლ ი ს ღ უ მ ე ლ ი — ჯოჯოხეთური ღუმელი, რაც ნაბუქოდონოსორმა გამართა გაშლილ ველზე, დეირის მხარეში, უზარმაზარი ოქროს კერპის გვერდით, და შიგ ჩაგდებით დაემუქრა ყველას, ვინც ამ კერპს არ ეთაყვანებოდა. „წმინდა ყრმებმა“. — ანანიამ, აზარიამ, მისაილმა და დანიელმა არ ისურვეს კერპის თაყვანისცემა და ღუმელში ჩააგდეს, მაგრამ ჩამგდებნი დაიწვ-

ნენ, თავად კი გადარჩნენ. ნაბუქოდონოსორის ცეცხლის ღუმელი — მძიმე, განსაცდელი, საიდანაც მხოლოდ სასწაულს შეუძლია ადამიანის გამოყვანა.

ცილა (სელლაი) — ლამეხის ერთ-ერთი ცოლი.

* ციური მანანა — ფეტვისმაგვარი საკვები, რასაც ღმერთი აგზავნიდა ციდან ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსულ ებრაელებს უდაბნოებში, არითმეტიკული ქვეყნის გზაზე. აქედან — სანატრელი, ციური რამ, რასაც ადამიანი ელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* ცოდვა სიჭაბუკისა — ახალგაზრდობის შეცდომები, გადახვევები, „უბრალო ბავშვური საქციელი". გამოთქმა, რასაც ირონიული მნიშვნელობით ლენინიც ხმარობდა. ბიბლიურია: „ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ. უფალო!" (ფსალმუნი, 24, 7; იობი, 13, 26).

* ცოცხალი ძაღლის ხვედრი ჯობს მკვდარ ლომისას — ანდაზა, რაც ეკლესიასტედანაა აღებული (9, 4): ცოცხალთა შორის კიდევ არის იმედი.

ძ

* ძაღლის თავი ვარ? — აღშფოთებისა და პროტესტის გამომხატველი თქმა: საულის შვილმა იებოსთემ რომ მამის კარისკაცს აბენირს განსვენებული მამის ხარჭასთან — რიცფასთან შესვლა დაუშალა, აბენირი განრისხდა და მეფისწულს ასე მიმართა: „ნუ უკვე ძაღლის თავი ვარ მე? ვყავ დღეს წყალობა სახლსა მამისა შენისა საულისასა... და შენ ეძიებ უსამართლობასა ჩემ შორის დედაკაცისასა დღეს?!" (2 მეფეთა, 3, 8).

* ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი — იდეური თუ სისხლით ნათესაობის სიმტკიცეზე იტყვიან: ღმერთმა მძინარე ადამს ნეკნი გამოუღო, ევა შექმნა, კაცი გაახარეშა და უთხრა: „აწ ეს ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი ამას ეწოდოს ცოლ..." (შექმნ., 2, 23).

წ

* წიგნი დაბეჭდილი ბეჭდითა შვიდითა — სავსებით მიუწვდომელი, გაუგებარი რამ: „და ვიხილე მარჯვენით მჯდომარისა მის საყდარსა ზედა წიგნი, დაწერილი შინაგან და გარეგან, დაბეჭდული ბეჭდითა შვიდითა... და ვერ ვინ შემძლებელ არს ზეცათა შინა და არცა ქვეყანასა ზედა, არცა ქვესკნელთა შინა, განღებად წიგნისა მის და არცა მიხედვად მისა" (გამოცხად. იოანესი, 5, 1—3).

წინადაცვეთა (ლათ. circumcisio, გერ. Beschneidung, რუს. обрезание)—ჩუჩის მთლიანი ან ნაწილობრივი წაჭრა—ოპერაცია, რაც ქვით ან დანით სრულდება, უაღრესად გავრცელებული იყო ძველ ხალხებში და ნაწილობრივ არის დღესაც (აფრიკა, აზიისა და ამერიკის ხალხები). მეცნიერება ამ წესის რამდენიმე მიზეზს ასახელებს: 1. თანაცხოვრების მეტი თავისუფლება და მემკვიდრეთა მომრავლება; 2. პირიქით, თანაცხოვრების შეზღუდვა; 3. მეომართა ვაჟმარჯვების ნიშანი, როგორც იროკეზების სკალპირების წესი (საულმაც ხომ მოსთხოვა დავითს მტრის 200 ჩუჩა!); 4. ჰაბუკის ცალკე ცხოვრების გზაზე გასვლის ნიშანი; 5. ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ნაშთი; ჰიგიენური მოსაზრება.

ებრაელებში წინადაცვეთა აბრაამმა შემოიღო. ესაა ღმერთთან კავშირის ნიშანი, სხვა ხალხებისაგან ებრაელთა გამოსარჩევი (შექმნ., 17, 12, 13).

წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ნ ი (ძვ. — ებრ. ნაბი — უწყება, შეტყობინება, ბერძ. პროფეტეს. სლავური „პრორոკ“ ბერძნულის კალკაა) — ებრაელებში სიტყვა მეტს ნიშნავს, ვიდრე დღეს გვგონია. უფლის რჩეულნი ხალხის რჩეულნი უზენაესის (საბაოთის) ნებას ატყობინებდნენ ხალხს, ქადაგებდნენ და მოუწოდებდნენ. პირველ ხანებში უბრალო ხალხიდან გამოდიოდნენ (მერე ესეც წარჩინებულთა პრივილეგიად იქცა), ცეკვა-სიმღერით აღტაცებდებოდნენ და შთაგონებულნი წარმოთქვამდნენ სიტყვებს, რომელთაც მაგიური მნიშვნელობა ენიჭებოდა: კიცხვა, მხილება, აღშფოთება, გოდება, მესიის წინასწარმეტყველება და ა. შ. ხალხს აღელვებდა. დიდი ზეგავლენა ჰქონდათ, მაგრამ უმრავლესობის ხვედრი იყო განდევნა. პატიმრობა, მოწამეობრივი სიკვდილი. ახალ აღთქმაში მათ აღარა აქვთ უწინდებური წონა, მხოლოდ იოანეს გამოცხადება (აპოკალიპსი) დგას ძველი აღთქმის 16 წიგნის გვერდით. ეტყობა, დიდი ორატორები და პოეტები იყვნენ ესაია, იერემია, იეზეკილი, დანიელი — დიდი წინასწარმეტყველნი, და არც მცირედ წოდებულნი უდებენ ტოლს (ოსია, იოველი (იოილი), ამოსი, ავდია, იონა, მიქაი ანუ მიქია, ნაუმი, აბაკუმი, სიფონია, აგეი, ზაქარია და მალაქია). ზოგი მართლა არსებობდა, ზოგი მითიურია. ქალებიდან ცნობილი არიან დებორა და მარიამი (მატრიარქატის ნიშანი). წინასწარმეტყველებად ითვლებიან პატრიარქები ენოქი, ნოე, აბრაამი, იაკობი, აგრეთვე იესო ნავე (ნავე— „წინასწარმეტყველი“), ელია, ელისე. დამღუპველ ჟამს, ხალხის ტყვეობისა და სისხლისღვრის დროს ძლევის ხმასავით ისმოდა წინასწარმეტყველთა ხმა და აღანთებდა ხალხს, თუმც რელიგიური სარჩულით.

წ მ ი დ ა წ მ ი დ ა თ ა — იერუსალიმის ტაძრის ნაწილი, სადაც შესვლის ნება ეძლეოდა მხოლოდ მღვდელმთავარს და ისიც წელიწადში ერთხელ (გამოსლ., 26, 33–34); მიუწვდომელი, ძვირფასი რამ საიდუმლო (აზრი, ადგილი).

ჰ

• ჰ ა მ ი თ ე ჰ ა მ ე მ ც ი რ ე თ ა ფ ლ ი ამოწებული შუბის დუგლუგითა, და აჰა მე მოვკვდები (1 მეფეთა, 14, 43)— იონათანის სიტყვები, თავის მამას საულს რომ უთხრა გამარჯვების შემდეგ („მწირის“ ეპიგრაფად გამოიყენა ლერმონტოვმა). ნიშნავს: მცირე სიამისათვის სიკვდილი მომელისო (იონათანის „დანაშაული“).

ხ

ხ ა ლ ე ბ ი — ნ. ჰალები.

ხ ა ს მ ო ნ ე ე ლ ნ ი — ნ. ჰასმონეელნი.

• ხ ა ტ ა დ და მ ს გ ა ვ ს ა დ ჩ ე ნ დ ა — რაიმეს სრული მსგავსების, ორეულის სინონიმი: „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“ (შექმნ., 1, 26). მანიფესტში მარქსმა და ენგელსმა ეს თქმა გამოიყენეს ბურჟუაზიის მიმართ, რომელიც ქვეყანას თავის ხატად და მსგავსად აწყობს.

ხ ე ტ ტ უ რ ა — ნ. ქეტტურა.

ხიზკია — ნ. სედეკია.

ხირამ (ქირამ, ჭარამ) — ტვიროსის მეფე. სოლომონის მოკავშირე, დაეხმარა (მიაწოდა მასალა ტაძრისათვის, გაუგზავნა ხელოსნები).

• **ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა** — ცნობილი ბიბლიური თქმა, უყურადღებობისა და უპატრონობის, ამაო სულისკვეთებასა და უპასუხო ჰეშმარიტების ხატოვანი შესატყვისი. ესაია წინასწარმეტყველის ეს სიტყვა ციტირებულია სახარებაშიც: „რამეთუ ესე არს, რომელ-იგი თქუალ ესაია ისაია წინაჲსწარმეტყველისა მიერ და იტყვის: „ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა“ (ესაია, 40; მათე. 3, 3).

• **ხმა ყო ხმითა დიდითა და მწარითა** — სასოწარკვეთილების შეძახილი; ასე მიმართა ესავმა ისააკს, როცა გაიგო, რომ ძმამ იაკობმა ზაკვით მიიღო მამის ლოცვა (შექმნ., 27, 34), ასევე მიმართა იესომ ჯვარცმის დროს უფალს (მათე, 27, 46); ხატოვანი თქმა საშველად მოხმობას გულისხმობს.

ხოცვა-ჟლეტა: ამალკიტელთა დავითის მიერ; ოქოზიას ძმებისა, იეუის ბრძანებით; 360 ბენიამინელისა დავითის ნებით; მისივე ბრძანებით —18 000 სირიელისა; 3000 ებრაელისა მოსეს ბრძანებით; 20 ფილისტიმელის იონათანის მიერ; 1000 ფილისტიმელისა სამსონისაგან ვირის ყბით; 500 ებრაელისა იოანე მაკაბელისაგან; აბესალომის არმიის 20 000 ჯარისკაცისა; 24 000 ებრაელისა უფლის ნებით; 30 000 ებრაელისა ფილისტიმელებისაგან; 40 0000 ისრაელისა ბენიამინისაგან; 75 800 ებრაელისა ამანის განზრახვით; 12 000 მადიამიტელისა; 185 000 ასირიელისა „უფლის ანგელოზის“ მიერ; 500 000 ისრაელი ჯარისკაცისა იუდეველთა მეფე აბიასაგან; 1 000 000 ეთიოპელისა; ათასობით ბაალის მიმდევრისა იეუეს მიერ; აქაბის 70 შვილისა; ბაალის 850 ჭურუმისა ილიას მიერ; 185 000 ასირიელისა ანგელოზის მიერ; 50 000 ბენიამინელისა ისრაელთაგან; 50 070 ბეთსამიტელისა უფლის მიერ, სჯულის კიდობანში ჩახედვისათვის; 42 000 ეფრემიანის იეფთაის მიერ; 34 000 ისრაელისა ფილისტიმელთა ხელით; 70 000 ებრაელისა „დავითის ცოდვისათვის“; 85 მღვდლისა საულის მიერ; 30 მეფისა იესო ნავინისაგან — ნ. ამ სახელებთან.

• **ხუთი მეფე** — ამორეველნი, იესო ნავინმა რომ გაწყვიტა; ახსენებენ ირონიულად: უსუსურნი არიან, ვითარცა ხუთი ამორეველი მეფეო!

ხუსი (ჰუსაი) — დავითის მეგობარი.

ჰ

• **ჰალები** (ხალები) — იუდას ტომის მამაცი სარდალი, აღთქმული ქვეყნის 12 მზვრთაგანი. ღმერთმა ქანაანის განაწილებაც დააკალა ტომთა შორის. იესო ნავინთან ერთად ანუგეშებდა ხალხს აღთქმული ქვეყნის გზაზე, იესოს სიკვდილის შემდეგ კი გაუძღვა და ორიოდე გამარჯვებაც მოიპოვა. ვინც ჭალაქ დავირს აიღებს, ჩემს ასულს აქსუს მივათხოვებო, განაცხადა. ეს პატივი გოთონიელს ერგო. ჰალების შთამომავლად თვლიან მხატვარ ბესელეილს (რიცხვთა, 13, 31, ნაწ — 15, 16, მსაჯულთა —1, 12, ნეშტთა, 2, 49 და სხვ.).

ჰასმონეველნი (არა ხასმონეველნი) — ებრაელ მეფეთა გვარი, რაც ძველესი მითიური წინაპრის სახელს ატარებს (135 ძვ. წ., —50 ახ. წ.). შეკრა ხასმონმა, იუდა მაკაბელის ძმამ. გვარი დაიღუპა ტახტისათვის და რომაელებთან ბრძოლაში (პალესტინაში).

ჰერა — ნ. ირა.

ჰირკან I („დამაქცეველი" — მტრისა) — იგ. იოანე, 51-ე მღვდელმთავარი, მეფის ძალაუფლებით აღჭურვილი (136-106), სიმონ მაკაბელის შვილი, მამაცი მეომარი, ეძრძოდა სირიელებს. ძმამ განდევნა. ტახტი ეჭირა მის ორ შვილს.

ჰირკან II — იოანე-ალექსანდრეს უფროსი შვილი, მღვდელმთავარი და მეფე, იუდეის მეფე. ტახტზე ავიდა მთელი იმ სისხლიანი ეპოპეის შემდეგ, რითაც აღსავსეა მაკაბელთა ბატონობის ხანა, კერძოდ მამამისის ალექსანდრე იანნეის გარდაცვალების შემდეგ (ძვ. წ.), ჯერ მღვდელმთავრად, მერე კი იერუსალიმის მეფედ (70 წ.). იძულებული გახდა შეთანხმებულიყო უმცროს ძმასთან — არისტობულ მეორესთან, რომელმაც სკიპტრა და მღვდელმთავრობა მიისაკუთრა. არისტობული რომის კონსულის შემწეობით ინარჩუნებდა ძალაუფლებას, ვიდრე პომპეუსმა რომში არ წაიყვანა თავისი ტრიუმფალური ეტლის დასამშვენებლად. კეისარმა ის გაათავისუფლა და ჰირკანთან ანგარიშის გასასწორებლად ორი ლეგიონით გაგზავნა (ჯერ სირიაში), მაგრამ ვიდრე რამეს იღონებდა, პომპეუსის მომხრეებმა მოწამლეს. ასევე დაიღუპა მისი შვილი ალექსანდრე. არც ჰირკანს უსახელებია თავი. ვინც მაკაბელთაგან გადარჩა, იროდე დიდმა გაწყვიტა. ჰირკანი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული (30 წ. ძვ. წ.).

ჰისკია — ნ. ეზეკია.

ჰურია — ნ. ურია (ბერსაბეს ქმარი, რომელიც ვერაგულად მოაკვლევინა დავითმა, რემბრანდტმა ამ თემაზე ბრწყინვალე ტილო შექმნა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელთა საძიებელი*

ბიბლიურ პერსონაჟთა სახელების სიმრავლემ და ნაირფეროვნებამ აუცილებელი გახადა საძიებლის გამოყოფა საერთო ლექსიკონისაგან. დაწვრილებით ცნობებს მკითხველი ნახავს ტექსტში და ლექსიკონში. საძიებელში მოცემულია თითქმის ყველა გვერდი, სადაც ესა თუ ის გმირი ან ტერმინია ნახმარი, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა.

აარონი — 164, 171, 173, 185, 191, 195, 246.
აბაკუმი — ნ. ამბაკუმი.
აბგეა — ნ. აბიგეა.
აბდია — 414—416.
აბდონი — 231.
აბელი — 55—59.
აბენირი — 300, 301, 330—334, 365, 369, 315 (ლანდი).
აბესა — 314—15, 330, 332, 354, 365 (დავითის სარდალი).
აბეტა (დავითის ცოლი) — 362, 367, 368.
აბესალომი — 330, 346—51, 353, 363.
აბესია — ნ. აბესა (სარდალი).
აბია — 1. როგოამის ძე — 350, 406—08; 2. იეროგოამის ძე—405.
აბიათარი — 310, 368—70.
აბიგეა — 317—18, 325, 330, 344, 357.
აბიდარი — 337.
აბიმელექი — 1. გერარის მეფე— 69, 108, 111, 122—23, 227, 247, 341; 2. მღვდელმთავარი — 309—10.
აბიონი — 194.
აბრაამი — 84—98, 108—16, 122, 144, 164, 170, 209, 269.
აგარა — აბრაამის მხევალი — 87, 88, 112—13.
აგაგი — 287—89, 316.
ადა — 58, 182.
ადამი — 31—39, 44—53, 82.
ადერა — 387—88.
ადონაი (საბაოთი)— 386, 491, 499.

* სახელთა საძიებელი შეადგინა ლ. იონათამიშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელთა საძიებელი*

ბიბლიურ პერსონაჟთა სახელების სიმრავლემ და ნაირფეროვნებამ აუცილებელი გახადა საძიებლის გამოყოფა საერთო ლექსიკონისაგან. დაწვრილებით ცნობებს მკითხველი ნახავს ტექსტში და ლექსიკონში. საძიებელში მოცემულია თითქმის ყველა გვერდი, სადაც ესა თუ ის გმირი ან ტერმინია ნახმარი, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა.

აარონი — 164, 171, 173, 185, 191, 195, 246.
აბაკუმი — ნ. ამბაკუმი.
აბგეა — ნ. აბიგეა.
აბდია — 414—416.
აბდონი — 231.
აბელი — 55—59.
აბენირი — 300, 301, 330—334, 365, 369, 315 (ლანდი).
აბესა — 314—15, 330, 332, 354, 365 (დავითის სარდალი).
აბეტა (დავითის ცოლი) — 362, 367, 368.
აბესალომი — 330, 346—51, 353, 363.
აბესია — ნ. აბესა (სარდალი).
აბია — 1. როგოამის ძე — 350, 406—08; 2. იეროგოამის ძე—405.
აბიათარი — 310, 368—70.
აბიგეა — 317—18, 325, 330, 344, 357.
აბიდარი — 337.
აბიმელექი — 1. გერარის მეფე— 69, 108, 111, 122—23, 227, 247, 341; 2. მღვდელმთავარი — 309—10.
აბიონი — 194.
აბრაამი — 84—98, 108—16, 122, 144, 164, 170, 209, 269.
აგარა — აბრაამის მხევალი — 87, 88, 112—13.
აგაგი — 287—89, 316.
ადა — 58, 182.
ადამი — 31—39, 44—53, 82.
ადერა — 387—88.
ადონაი (საბაოთი)— 386, 491, 499.

* სახელთა საძიებელი შეადგინა ლ. იონათამიშვილმა.

ადონია (სოლომონ გრძენის ძმა) — 363—65, 367.
ადონი — გეზერი (მეფე) — 216.
ადონირამი — 400.
ადრაზარი — 338—39, 407.
ადრამელიქი, სარასარი — 463.
ადრიელ მეხოლელი — 303, 357
ავგუსტინე, ნეტარი — 70, 85.
ავენირი — ნ. აბენირი.
ავნანი — ნ. ონანი.
აზაზელი (ანგელოზი) — 68.
აზაილი — 449—50, 452, 457, 460.
აზარია — 1. მღვდელი — 471—72, 474; 2. ანგელოზი — 471—72, 474; 3. წმ. ურმა — 484.
აზმოდეოსი — 468—69, 473.
აზრაილი — 469.
ალექსანდრე მაკედონელი — 512—21.
ამალეკი — 182—83.
ამანი — 1. ლოთის ძე — 106; 2. ვეზირი — 501—04.
ამარფალი — 86.
ამასია — 459—60.
ამბაკუმი — 496—97.
ამგრი — 410—11.
ამენხოტეპი, ფარაონი — 167—68, 178.
ამინადაბი — 1. იესეს-ძე — 295, 336. 2. ესთერის მამა — 501.
ამნონი — 346—48, 353.
ამონი — 330.
ანა — 1. ელკანას ცოლი — 256—60; 2. აბესალომის ასული— 408; 3. სარას დედა — 467, 473.
ანანია — 482, 484.
ანგია — 482.
ანონი — 399.
ანტიგონე — 520.
ანტიოხ III — 522.
ანტიოხ ევპატორი — 513.
ანტიოხ ეპიფანე — 512, 521, 523.
ანჭესი — 319—20, 370.
აოდი — 221, 247.
აპოლონიუსი — 513.
არადი — 195.
არეოსი — 523.
არეტასი — 518.
არიმანი — ნ. ორმუზდი.
არიონი — 510.
არიოქი — 86.
არისტობულ— 1. 515—16; 2. უმცროსი — 517—20.
არონი — ნ. აარონი.
არტაქსერქსი — 500—04.
არფაქსადი — 84.
ასა — 408—09.
ასაილი — 331—32.
ასარდანი, ასარგადონი — 463—464.
ასენეფუ — იოსების ცოლი — 150—52.
ასტინი — 500, 503.
ასტარტი — 219, 385—86, 459.
ასურირი — ბაბილონის მეფე — 489; დარიოსის მამა — 504.
აფრი — 480.
აქაბი — 411—20, 423—33, 452.
აქაზია — ნ. ოქოზია.
აქია — 388—89, 400—05.
აქიმელექი — ნ აბიმელექი.
აქინოამა — 325, 330.
აქიტოფელი — 353.
ბაალი — 219, 411—12, 416, 439, 456.
ბაანა — 334.
ბათოილი — 117.
ბაკქიდი — 513—14.
ბალა — 131, 140.

გალაამი — 197—99, 270.
გალაკი — 196—98.
1. გალთაზარი — მეფე — 485—88.
2. გალთაზარი — „წმინდა ჯრმა“ — — 482.
განეია — 358, 364, 369.
გარაკი — 221.
გარუხი — 362.
გეთსაიდელი ცნობისმოყვარენი — 336.
გელზებელი — 430.
გელსარუსური — 487.
გენადადი — 423—26, 449—50, 460.
გენიამენი — 140, 143, 156, 164, 245, 248.
გეროდახ-გალადანი (მეფე) — —464.
გერსაბე — 340, 343, 363—64, 367—68.
გილი (ღმერთი) — 494—96.
გოლზი — 251—55, 291.
გაადი —1. იაკობის შვილი — 132; 2. წინასწარმეტყველი — 359, 360.
გაბრიელი (ანგელოზი) — 469.
გედეონი — მსაჯული — 82, 223—228.
გეზი — 441—45.
გეთან ბრძენი — 375—76.
გირსამი — 170.
გოთოლია — 426, 433, 451, 453, 457—58.
გოთონიელი — 220—21.
გოლიათ გეთელი — 294—98.
დავითი — 217, 222, 291—305, 325—33, 356—65, 377.
დათანი —194.
დალილა — 235—40.
დანი— 134.
დანიელი (გალთაზარი)—482—98.
დარიოს მიდი — 486—97, 504, 512.
დებორა — 221—22.
დინა — 134, 137.
დოეგ ასური — 318—11.
ებერი — 85.
ეგლონი — 221, 247.
ევა — 36—39, 42, 44, 54, 82.
ევფრათა — 141.
ეზდრა წინასწარმეტყველი — 504—12.
ეზეკია — 426, 462—66.
ელი — 256—65.
ელიაბი — 340.
ელიავი — 295.
ელიაზარი — 513.
ელიეზერი (აბრაამის მსახური)— 87, 117—19, 130, 195, 207, 246.
ელიმელაქი — 250.
ელისე — 422—23, 434—52, 460—61.
ელიუსი — 508.
ელიფაზი — 1. ესავის შვილი — 182; 2. იობის მეგობარი —508.
ელკანა — 256, 260.
ემორი —137—38.
ენოსი — 59.
ენოქი — 57—59, 65, 435.
ესავი — 120—23, 128, 135, 141, 182.
ესაია წინასწარმეტყველი — 64—65, 464—66, 482.
ესთერი — 500—04.
ეფრემი — 152—53.
ეფრონი — 116.
ეშმაკი — 50, 57, 62—64.
ვაასი — 409.
ვანეა — ბანეა (ნ.).
ვეშაპი — 495—96 (ქერპი); ზღვის — 509—10.
ზამბრე — 246—47, 410, 455.
ზარა ეთიოპელი —405.
ზაქარია წინასწარმეტყველი—482.
ზებულონი — 134, 221.
ზელფა — 131—32, 136—37, 140.
ზოროგაბელი — 504—05.
თამარი — 1. იუდას რძალი — 144—46; 2. აბესალომის და —

346—48; 3. აბესალომის ასული — 350.
თამნა — 182.
თარსა — ნ. ფარსა.
თოლაი — 228.
თუბალკაინი —58.
იაბალი და იუბალი — 58.
იაბინი — 221—22, 247.
იაილი — 221—22.
იაირი — 228, 247.
იაკობი — 121—22, 124—27, 129, 137—38, 141, 144, 154, 158—63, 176, 209.
იარედი —59.
იაფეტი — 60, 75, 80, 82.
იაღვე-ელოჰიმი —25.
იეზაბელი — 411, 416, 419, 422—25, 432, 452—55.
იეზეკილი — 483, 493.
იეოსთეი, საულის ძე — 330—34.
იერემია წინასწარმეტყველი — 362, 482, 498.
იერობოალი — 341.
იერობოამი — ნაბათის ძე — 388—406, 452, 457, 480; იოასის ძე — 509.
იერონიმე —65.
იესავი — 116.
იესე—დავითის მამა—254, 291 — 97, 300, 308.
იესუ ნავინი — 183, 194, 207, 209—20, 247, 428, 567.
იეუეი — 409, 422—23, 451—61.
იეფთაი —115, 229—31, 247.
ივდითი — 1. ესავის ცოლი — 123; 2. ოლოფერნეს მკვლელი — 477—81, 489.
ილია წინასწარმეტყველი —411—25, 430—35, 440; დიდი ჟურუმი — 256, 258.
ილიოდორი — 523.
იოაბი — 1. აბესას ძმა — 330—34, 340—42, 344; 2. დავითის თანამგზავრი — 353—55, 359, 363, 365—66, 369, 387.
იოაკიმი — 1. იოსიას ძე —480; 2. სუსანას ქმარი — 492.
იოანე —513.
იოანე — ალექსანდრე —515—15.
იოასი —1. გედეონის ძმა — 223; 2. ოქოზიას ძე — 458—59; 3. იოაქაზის ძე — 460.
იოაქაზი — 457, 459—60.
იოგბედი — 253—54.
იოგბი — 63, 506—08.
იოდაი — 458—59.
იოველ წინასწარმეტყველი — 482, 500.
იოათამი — 227.
იოთორი — 170—71, 183.
იოილი და აბიო —272.
იონა, წინასწარმეტყველი —509—11.
იონადაბი — 346, 348.
იონათან 1. საულის ძე —281—85, 300, 304—05, 308—11, 327—28, 330; 2. მაკაბელი — 513 — 14, 523.
იორამი — 1. იოსაფატის ძე — 438, 451, 453—54; 2. აქაბის ძე — 426, 431, 433, 441, 451—54.
იოსაბედი —458.
იოსაფატი — 409, 425—29, 433, 437—38, 451—52.
იოსები — 134, 142, 147—57, 160—65.
ირადი, კაინის ძე —58.
ირასი, მწყემსი — 143, 145.
ირი — 144.
იროდე —520.
ისაია — ნ. ესაია.
ისააკი — 111—19, 123—28, 141, 164, 170, 209.
ისაქარი — 133.
ისმაილი — 88, 128.
ისაელი (იაკობის ზედწოდება) — 136, 158.
იუდა — 1. იაკობის შვილი — 132—42, 146, 155, 164, 216; 2. მაკაბელი — 513—14, 522.
იულიანე, იმპერატორი — 91—92.
კაინანი — 1. (წარღვნამდე) — 59, 2. (წარღვნის შემდეგ, ნ.

შეჭმ. 10, 24).
კაინი — 55—59, 82.
კამბიზი — 484.
კეისარი (რომის იმპერატორი) — 520.
კირილე (წმინდანი) — 91—92.
კიროსი — 487—88, 494—97.
კისი — 274—75.
ლაბანი — 128, 130—37.
ლამეკი — 58, 59.
ლევი — 132, 138—40, 163, 185.
ლევიათანი — 508.
ლია — 130—37, 164.
ლოთი (ლოტი) — 84, 86, 99—106, 196.
ლუკული — 518.
ლუციფერი — 62, 65.
მაალონი — 250, 253.
მაახა — დავითის მეოთხე ცოლი—348; აბესალომის ასული—408.
მადიამი — 116; მადიამი — 196 (ორივე აბრაამის შვილებია).
მათუსალა — 58, 59.
მაკაბელნი — 512—18, 521.
მალაქია წინასწარმეტყველი — 482.
მანასე — 477.
მანასია — 1. იოსების ძე — 152—53; 2. ეზეკიას შვილი — 465.
მანია — სარდალი სოლომონისა —370.
მარდოხე — 501—03.
მასეკი — 87.
მატათი — ჰურუმი — 513, 515
მაჰიაელი — ენოქის შვილი — 58, 59.
მელქა — 110, 117.
მელქოლა — 285, 303—05, 319, 330—31, 337—38, 356—58.
მემფიოსთე — 356.
მეროზი — საულის ასული — 285, 303, 357.
მესა — მეფე, ისრაელთა მოხარკე — 437—40.
მესაილი — „წმინდა ყრმა“ — 482, 484.
მიქაელი (ანგელოზი.) — 469.
მიქია — 425, 427, 429, 482.
მოაბი — 106, 196.
მოლოქი — 23, 386.
მოლხოზი — 344.
მოსე — 141, 169, 222, 319, 414, 435.
ნაასი — 277.
ნაბათი — 406, 409.
ნაბალი — 317—18.
ნაბოთე — 424—25.
ნაბონიდი — 487.
ნაბოპასალარი — 480.
ნაბუქოდონოსორი — 65, 466, 476, 478, 480—85.
ნადაბი — 187.
ნათან ბრძენი — 342—43, 360, 364.
ნაქორი — 60, 84, 110, 117.
ნეამანი — 444—45.
ნებროთი — ნ. ნიმვროდი.
ნეემია წინასწარმეტყველი — 504—06.
ნეფთალემი — 132, 221.
ნექო — 480.
ნიკანორი — 513—14.
ნოე — 59, 72—83.
ნოემინი — 250—54.
ოზია, მეფე — ნ. ოსია; სჯულის კიდობნის შეხებისათვის მოკლული — 336—37.
ოლოფერე — 474—79.
ონანი — 144.
ონია — 523.
ორი — 183.
ორმუზდი და არიმანი — 469.
ორნეა იებოსელი — 361.
ორფა — 250.
ოსია —1. მეფე—461, 476—77; 2. წინასწარმეტყველი — 499, 500.
ოფნი და ფინეესი — 257—58, 263—65.
ოქოზია — 1. აქაბის ძე—430—33, 438; 2. იორამის ძე — 458, 551, 553—54.
ოჰოლა და ოჰოლიბა — 499.
პავლე მეუდაბნოე — 412.

პენტეფრე — 143, 147—51.
პომპეოსი — 518—20.
პტოლემეოსი — 1. იერიქონის მმართველი — 514; 2. ეგვიპტის მეფე — 524.
რააბი — 1. სუბის მეფე — 338—39; 2. იერიქონელი მეძავი — 210—12.
რაზონი — 338.
რაფაილი, ანგელოზი —468—69, 473—74.
რაქილი — 130, 140, 163.
რალუილი — 467—74.
რებეკა — 117, 120, 122, 164.
რესპა — 330—31.
რეჭაბი — 219 (ქანაანის მეფე).
რიჭაბი —სარდალი —334.
რიცფა —330—31.
როგომაზი — 350, 386, 389, 399—407, 480.
რუბენი — 132—33, 137, 142—43, 163.
რუთი — 250—54, 291.
საბაის დედოფალი — 383.
საბეი (დავითს აუჯანყდა) — 354—55.
სადოკი — 515—16.
სადუკი (მღვდელმთავარი) — 363, 370.
სავნა — 145.
სალი — 84.
სალმანასარ VI—464, 467.
სალმონი —254—55.
სალომეა — ალექსანდრა —516
სამგარი —221.
სამეი —400.
სამოელ, სამუელი — დიდი მსაჯული — 258, 273, 321—24, 329—30.
სამსონი — 231—40, 259—66, 272—73, 297, 348.
სანჰერიბი — 6. სენაქერიბი.
სარა — 1. აბრაჰამის ცოლი — 84—98, 108—116, 119, 164, 269; 2. ეკბატანელი დედაკაცი — 468—72.
სარეფთელი ბაალ-ზებულ-ქრისტე, 440.
სატანა — 62—65.
საული — პირველი მეფე — 217, 274—311, 321—34, 356—57.
სედეკია — მეფე — 480—81.
სეითი — 59.
სელომი — 144—46.
სემი (სიმი) — 60, 75, 80—84.
სენაქერიბი — 462—63.
სერუჭი — 84.
სეფორა — 168, 170.
სვიქემი — 137—39.
სიგონი — მეფე — 196.
სიმეი (დავითის მაგინებელი) — 352, 365, 370.
სიმონი —1. 132, 138—40, 155, 163, 216; 2. მაკაბელი — 513—14.
სისარა — 221—22.
სოდომი და გომორი — 97—98.
სოლომონი —325—43, 363—401.
სომანიტელი ქალი—440—42, 449.
სუსაკიმი —ეგვიპტის მეფე — 407—09.
სუსანა — 492—94.
სციპიონი — 522.
ტიგრანი — 517.
ტოგია უფროსი —467—70, 474; უმცროსი — 470—75.
ურია — 340—42, 345, 366.
ურიელი — 469.
ფალთია — 357.
ფარა — 84, 110.
ფარეზი, ქრისტეს წინაპარი —145, 254.

ფარისევლები — 515.
ფინეესი — 1. ელიაზარის შვილი — 198, 199, 245—46, 248; 2. 284 (ოფნი და ფინეესი).
ფოლა — 247.
ქაზბი — 246.
ქამი (ხამი) — 60, 75, 80—82.
ქანაანი — 80—81.
ქარამი — 334.
ქეტტურა — 116—17.
ქურსარსათემი — 220.
ღავაილი — 474.
ცილა (სელლაილ) — 58.
ციური მანანა — 481, 212.
ციცერონი — 519.
ჩინადაცვეთა — გვ. 91 და სხვ.
ხიზკია — ნ. სეფეკია.
ხირამ — ნ. ქარამი.
ხუთი ამორეველი მეფე — 215.
ხუსი — დავითის მეგობარი — 353.
ჰალები — 194, 199, 247.
ჰირკანი — 514, 517—19.
ჰურია — ნ. შრია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

დაბადების ახალი დაბადება (შესავალი ნარკვევი) — აკ. გელოვანისა 5

თავი პირველი
ქვეყნიერებისა და ადამიანის შექმნა 25

თავი მეორე
წინაპართა შეცოდება 38

თავი მესამე
პირველ ადამიანთა მოკლე ისტორია 54

თავი მეოთხე
აქა ამბავი ანგელოზთა მიჯნურობისა დედამიწაზე 61

თავი მეხუთე
მსოფლიო წარღვნა 72

თავი მეექვსე
ნეტარხსენებული ნოე და ღვთისაგან დალოცვილი მისი შთამომავლობა 80

თავი მეშვიდე
ნეტარხსენებულ წმინდა აბრაამ პატრიარქის ცხოვრება 84

თავი მერვე
წმინდა წინაპარი ლოტი 99

თავი მეცხრე
აქა ამბავი დასასრული „უფლის წმინდა მეგობრის“
კეთილმსახურის აბრაამისა 108

თავი მეათე
წმინდა მამამთავარი ისაკი და მისი შვილები,
რომელნიც ღმერთმა აჩუქა 117

თავი მეთერთმეტე
წმინდა მამამთავარი იაკობი და მისი ცოდვილი ძმა ესავი 124

თავი მეთორმეტე
წმინდა იოსებ „მშვენიერის“ თავბრუდამხვევი კარიერა 142

თავი მეცამეტე
ღვთისნიერი იოსების ლმობიერი შურისძიება

თავი მეთოთხმეტე
იოსების ბრძნული მმართველობა ეგვიპტეში 160

თავი მეთხუთმეტე
უფალი ღმერთის ახალი ფავორიტი — „წმინდა ღვთისმჭვრეტელი“ მოსე 166

თავი მეთექვსმეტე
აქა ამბავი კეთილმსახურული ათი ეგვიპტური ჰპირისა 173

თავი მეჩვიდმეტე.
ორმოცწლიანი ხეტიალი ებრაელებისა უდაბნოებში უფლის სიტყვისაებრ 179

თავი მეთვრამეტე
წიგნი მესამე მოსესი ლევიტელთა. 187

თავი მეცხრამეტე
წიგნი მეოთხე მოსესი რიცხვთ: 191

თავი მეოცე
წიგნი მეხუთე მოსესი — „მეორე სჯულისა“ 201

თავი ოცდამეერთე
წმინდა საქმენი საგმირონი ნეტარისა იესო ნავინისა, ისრაელთა ბელადისა 209

თავი ოცდამეორე
ისრაელთა მსაჯულების „წმინდა“ ისტორიის კეთილმსახურული შესავალი 218

თავი ოცდამესამე
წმინდა მსაჯულნი იეფთაი და სამსონი 229

თავი ოცდამეოთხე
ერთი ლევიტელის კეთილმსახურულ-სამოძღვრებო ამბავი 241

თავი ოცდამეხუთე
გულის ამაჩუყებელი ამბავი იესო ქრისტეს დედამთავრის — წმინდა რუთისი („წიგნი მერვე რუთისი“) 250

თავი ოცდამეექვსე
წმინდა წინასწარმეტყველი სამუელი 256

თავი ოცდამეშვიდე
ღვთისაგან მირონცხებულის — მეფე საულის წმინდა ხელდასხმა და ტახტზე ასვლა 273

თავი ოცდამერვე
საულის შეცოდება და უმოწყალესი ღმერთის რისხვა 286

თავი ოცდამეცხრე
წმინდა თქმულება დავითის სახელოვანი
გამარჯვებისა ურჯულო გოლიათზე 294

თავი ოცდამეათე. ბრძოლა სამეფო ტახტისათვის და უფალი ღმერთის
დამსჯელი მარჯვენა 302

თავი ოცდამეთერთმეტე
უკეთური საულის სავალალო აღსასრული 317

თავი ოცდამეთორმეტე
წყნარი და უწყინარი წმინდა მეფე დავითის
ტახტზე ასვლა და სახელოვანი მეფობა 329

თავი ოცდამეცამეტე
წმინდა დავითის, იუდეველთა მეფისა და
წინასწარმეტყველის სატრფიალო თავგადასავალი 340

თავი ოცდამეთოთხმეტე
წმინდა მეფე დავითის უკანასკნელი დღეები და მარადნეტარი გარდაცვალება 356

თავი ოცდამეთხუთმეტე
მისი უდიდებულესობის სოლომონის ღვთისგანბრძნობილი მეფობა 367

თავი ოცდამეთექვსმეტე
ბიბლიური სიბრძნის უმაღლესი გამოხატულება 391

თავი ოცდამეჩვიდმეტე
ისრაელთა და იუდეველთა მეფეების წმინდა ისტორია 399

თავი ოცდამეთვრამეტე
წინასწარმეტყველ-მეხთამტყორცნელ ილიას საბრძოლო საქმენი საგმირონი 411

თავი ოცდამეცხრამეტე
ზესასწაულებრივი ცხოვრება წმინდა წინასწარმეტყველის ელისეისა და
ისრაელის სამეფოს აღსასრული 437

თავი მეორმოცე
იუდეის სამეფოს აღსასრული 462

თავი ორმოცდამეერთე
ტობიას წმინდა რომანული ამბავი 467

თავი ორმოცდამეორე
იუდითის გმირობა 476

თავი ორმოცდამესამე
წინასწარმეტყველი დანიელი და მისი წმინდა მემუარები 482

თავი ორმოცდამეოთხე
ისევ და ისევ წინასწარმეტყველნი და მათი სასწაულები 498
თავი ორმოცდამეხუთე
ნეტარხსენებული წმინდა მამანი — მრავალტანჯული იობი და იონა 506
თავი ორმოცდამეექვსე
ქებული ძმანი მაკაბელნი
დამატება. უძველესი პოეტური ძეგლები, რომელთაც ბიბლია დაესესხა 527
შენიშვნები 538
ბიბლიის მცირე ლექსიკონი — აკ. გელოვანისა 547
საკუთარ სახელთა საძიებელი 594

ქართული
ბიბლიოთეკა

22
ტ 392

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ვარდოსანიძე
მხატვარი მ. ჰანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ხელაშვილი
კორექტორი ლ. ჩიკვაიძე

გადაეცა ასაწყობად 22/VI-1971 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VII-1972 წ.,
ქაღალდის ზომა 60×90 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 40
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 37,63.
შეკვ. 2302 ტირაჟი 40.000. ფასი 1 მან. 53 კაპ.

T 0158—009 / M—606 (02)—73 19—72

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Лео Таксиль

ЗАБАВНАЯ БИБЛИЯ

(На грузинском языке)

Перевод Акакия ГЕЛОВАНИ

Издательство ЦК КП Грузии

Тбилиси, 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა